

რძი და მშვიდობა

ტომი I

ნაწილი პირველი

თავი პირველი

– Eh bien, mon prince. Gênes et Lucques ne sont plus que des apanages, des მამულეზად, de la famille Buonaparte. Non, je vous préviens, que si vous ne me dites pas, que nous avons la guerre, si vous vous permettez encore de pallier toutes les infamies, toutes les atrocités de cet Antichrist (ma parole, j’y crois) – je ne vous connais plus, vous n’êtes plus mon ami, vous n’êtes plus ჩემი ერთგული ყმა, comme vous dites (აბა, თავადო, რას იტყვით, გენუა და ლუკა ხომ ბონაპარტეს საგვარეულო მამულეზად იქცა. არა, ამთავითვე გაფრთხილებთ, თუ არ მეტყვით, რომ ჩვენ ომი გვაქვს, თუ კვლავ ნებას მისცემთ თავს, დაიცვათ ყველა სისადაგლე, ყველა საშინელება ამ ანტიქრისტესი (გარწმუნებთ, მჯერა, რომ იგი ანტიქრისტეა), თქვენთან ნაცნობობა აღარ მექნება, ჩემი მეგობარი აღარ იქნებით, აღარ იქნებით ჩემი ერთგული ყმა, როგორც თქვენ ზრძანებთ). – ჰოდა, გამარჯობა, გამარჯობა. Je vois que je vous fais peur (ვხედავ, დაგაფრთხეთ). დაბრძანდით და მიამბეთ.

ასე ეუბნებოდა 1805 წლის ივლისს ანა პავლოვნა შერერი დედოფლის, მარია ფიოდოროვნას ფრეილინა[1] და ახლობელი, წარჩინებულ და ჩინოსან თავად ვასილის, რომელიც სადამოზე მიწვეულთაგან პირველი მივიდა. ანა პავლოვნას რამდენიმე დღე ახველებდა, გრიპი ჰქონდა, როგორც თვითონ ამბობდა (გრიპი მაშინ ახალი სიტყვა იყო და იშვიათად იხმარებოდა). წითელლივრენი[2] ლაქის ხელით დილით დაგზავნილ, განურჩევლად ყველა ბარათში ეწერა: „Si vous n’avez rien de mieux à faire, M. le comte (ან mon prince), et si la perspective de passer la soirée chez une pauvre malade ne vous effraye pas trop, je serai charmée de vous voir chez moi entre 7 et 10 heures. Annette Scherer“ („თუ თქვენ, გრაფ (ან თავადო), უკეთეს არას მოელოთ და თუ საბრალო ავადმყოფთან სადამოს გატარება ძალიან არ შეგაშინებთ, მეტად მოხარული ვიქნები, გნახოთ ჩემთან დღეს შვიდიდან ათ საათამდე. ანა შერერი“).

– Dieu, quelle virulente sortie (დმერთო ჩემო, რა ცხარე თავდასხმაა)! – მიუგო დარბაზში შესულმა თავადმა, რომელსაც ბრტყელ სახეზე მხიარული გამომეტყველება აღბეჭდოდა და ასეთი შეხვედრით სრულიად არ შეშფოთებულა. იგი კარისკაცის მოქარგულ მუნდირში, მაღალყელიან წინდებსა და მაშიებში იყო გამოწყობილი და ჯვარ-ვარსკვლავებით დამშვენებული.

თავადი ლაპარაკობდა იმ დახვეწილი ფრანგული ენით, რომელზედაც არათუ ლაპარაკობდნენ, ფიქრობდნენ კიდევ ჩვენი პაპები, და იმ დინჯი, მფარველი კილოთი, რომელსაც ასე იყო შეჩვეული მაღალ საზოგადოებაში, სამეფო კარზე გაჭადრაკებული გავლენიანი კაცი. იგი ანა პავლოვნასთან მივიდა, ხელზე ეამბორა, მელოტი, სუნამოდაპკურებული თავი მიუშვირა და რბილ დივანს მინებდა.

– Avant tout dites-moi, comment vous allez, chère amie (უწინარეს ყოვლისა, მიბრძანეთ, როგორ ხართ, ძვირფასო მეგობარო)! დამამშვიდეთ, – წარმოთქვა თავადმა ხმის შეუცვლელად და ისეთი კილოთი, რომელშიც გამოსჭვიოდა ზრდილობითა და თანაგრძნობით დაფარული გულგრილობაცა და დაცინვაც.

– როგორ შეიძლება ჯანმრთელად იყო... როცა ზნეობრივად იტანჯები? განა შეიძლება ადამიანს გრძნობა გქონდეს და დამშვიდებული იყო ჩვენს დროში? – მიუგო ანა პავლოვნამ, – ვიმედოვნებ, მთელ სადამოს ჩემთან გაატარებთ!

– მერე, ინგლისის ელჩის ზეიმს რაღა ვუყო? დღეს ოთხშაბათია, უნდა ვეჩვენო მაინც, – მიუგო თავადმა, – ჩემი ქალიშვილი გამომივლის და წამიყვანს.

– მე მეგონა დღევანდელი დღესასწაული გადადეს. Je vous avoue que toutes ces fêtes et tous ces feux d'artifice commencent à devenir insipides (გამოგიტყდებით, ეს დღესასწაულები და ფიერვერკები აუტანელი ხდება).

– რომ სცოდნოდით თქვენ არ გსურდათ, გადასდებდნენ დღესასწაულს, – მომართული საათივით, ჩვევისამებრ წარმოთქვა თავადმა ისე, როცა ამბობენ მაშინ, არც თავად რომ სჯერათ ხოლმე და არც უნდათ, სხვამ ირწმუნოს.

– Ne me tourmentez pas. Eh bien, qu'a-t-on décidé par rapport à la dépêche de Novosilzoff? Vous savez tout (ნუღარ მაწვალეთ. რა გადაწყვიტეს ნოვოსელცოვის დეპეშის თაობაზე? თქვენ ხომ ყველაფერი იცით).

– აბა, რა გითხრათ? – თქვა თავადმა ცივი, მოწყენილი კილოთი, – Qu'a-t-on décidé? On a décidé que Buonaparte a brûlé ses vaisseaux, et je crois que nous sommes en train de brûler les nôtres (რა გადაწყვიტეს? გადაწყვიტეს, რომ ბონაპარტემ დაწვა თავისი ხომალდები, და ჩვენც, მეგონი, მზად ვართ ნაცრად ვაქციოთ ჩვენი ხომალდები).

თავადმა ვასილიმ მუდამ ზანტი ლაპარაკი იცოდა, ისე, როგორც მსახიობმა ძველ პიესაში როლის შესრულებისას. ანა პავლოვნა შერერი კი, პირიქით, თავისი ორმოცი წლის მიუხედავად, სიცოცხლით იყო აღსავსე.

ენტუზიასტობა მის საზოგადოებრივ მდგომარეობად გადაიქცა, და ზოგჯერ, თავისი სურვილის წინააღმდეგაც კი, ენთუზიასტი ხდებოდა, რათა არ გაეწბილებინა იმათი მოლოდინი, ვინც მას იცნობდა. თავშეკავებული ღიმილი, რომელიც ანა პავლოვნას მუდამ დასთამაშებდა სახეზე, თუმცა კი არ უხდებოდა მის ხანგადასულ ნაკვთებს, ნებიერი ბავშვის იმ რწმენას გამოხატავდა, რომელსაც ესმის ეს ნაკლი, მაგრამ არ სურს, არ ძალუძს, არც საჭიროდ მიაჩნია მისი მოშორება.

საუბარი პოლიტიკურ ვითარებას შეეხო; შუა საუბარში ანა პავლოვნა გაცხარდა:

– უჰ, ნუ მელაპარაკებთ ავსტრიაზე! იქნებ მე არ მესმოდეს, მაგრამ ავსტრიას არასოდეს სურდა და არც ახლა სურს ომი. ავსტრია გვღალატობს. რუსეთმა მარტოდმარტომ უნდა იხსნას ევროპა. ჩვენმა კეთილისმყოფელმა იცის თავისი მაღალი მოწოდება და მისი ერთგული დარჩება. აი ის, რაც მე მწამს. ჩვენს კეთილ და უებრო ხელმწიფეს უდიდესი როლის შესრულება მოელოდა მსოფლიოში და იგი იმდენად სათნო და მადლიანია, რომ ღმერთი არ მიატოვებს, ის შეასრულებს თავის მოწოდებას – გასრეს რევოლუციის ვეშაპს, რომელიც, მკვლელისა და ბოროტმოქმედის სახით მოვლენილი, ახლა უფრო საშინელია. მარტოდენ ჩვენ უნდა გამოვისყიდოთ ალაღმართალი ადამიანის სისხლი.[3] ან კი ვისი იმედი უნდა გვქონდეს, გეკითხებით! ინგლისი თავისი კომერციული სულისკვეთებით ვერ გაიგებს, მას არც შეუძლია გაიგოს იმპერატორ ალექსანდრეს სულის მთელი სიდიადე. ინგლისმა უარი განაცხადა მალტიდან წასვლაზე. ის ფარულ აზრს დაეძებს ჩვენს მოქმედებაში. რა განუცხადეს ნოვოსელცოვს?.. არაფერი. მათ ვერ გაიგეს, არც ძალუძთ გაიგონ თავგანწირვა ჩვენი იმპერატორისა, რომელსაც არაფერი უნდა თავისთვის, რომელსაც ყველაფერი ქვეყნიერების კეთილდღეობისთვის სურს. მერე რას დაგვირდნენ? არაფერს! რასაც დაგვირდნენ, ისიც არ იქნება! პრუსიამ უკვე განაცხადა, რომ ნაპოლეონი უძლეველია და მთელი ევროპა ვერაფერს გახდება მის წინააღმდეგო... და მე არც ერთი სიტყვა არა მჯერა არც ჰარდენბერგისა, არც ჰაუგეცისა. Cette fameuse neutralité prussienne, ce n'est qu'un piège (პრუსიის ეს ყბადაღებული ნეიტრალიტეტი მხოლოდ ხაფანგია). მე მწამს მხოლოდ ღმერთი და ჩვენი საყვარელი იმპერატორის მაღალი ბედი. ის იხსნის ევროპას!.. – ანა პავლოვნა უცრად შეჩერდა, თავის სიციხარეზე ირონიულად გაეღიმა.

– მე ვფიქრობ, – თქვა ღიმილით თავადმა, – თქვენ რომ გაეგზანეთ ჩვენი საყვარელი ვინცენგეროდეს ნაცვლად, ძალით გამოსტაცებდით თანხმობას პრუსიის მეფეს, ისეთი მჭევრმეტყველი ბრძანდებით ჩაის ხომ დამალევინებთ?

– ახლავე! A propos (ჰო, მართლა) – დაუმატა ანა პავლოვნამ კვლავ დამშვიდებულმა, – დღეს ორი მეტად საინტერესო ადამიანი მეწვევა, le vicomte de Mortemari, il est allié aux Montmorency par les Rohans (ვიკონტ მორტემარი, იგი როჰანების მეშვეობით მონმორანსებს ენათესავება); საფრანგეთის საუკეთესო გვართა წარმომადგენელია, ერთ-ერთი საუკეთესო ემიგრანტთაგანი. მეორე კი – l'abbé Morio (აბატი მორიო). ხომ იცნობთ ამ უჭკვიანეს ადამიანს? იგი ხელმწიფემ მიიღო. იცით თუ არა?

– ოო! დიდად მოხარული ვარ, – თქვა თავადმა. – ერთი მიზრძანეთ, – დაუმატა მან მეტად დაუდევრად, თითქოს ეს-ეს არის გაახსენდაო, ნამდვილად კი ის, რაზედაც ეკითხებოდა, მისი მისვლის მთავარი მიზანი იყო: – მართალია, რომ l'impératrice-mère (დედა დედოფალს) სურს ბარონი ფუნკე დანიშნოს პირველ მდივნად ვენაში? C'est un pauvre sire, ce baron, à ce qu'il paraît (ეს ბარონი, ვგონებ, უმნიშვნელო ვინმე უნდა იყოს), – თავად ვასილის სწადდა თავისი შვილის გამწესება იმ ადგილზე, რომელზედაც დედოფლის, – მარია ფიოდოროვნას დახმარებით ბარონ ფუნკეს დანიშვნას ცდილობდნენ.

ანა პავლოვნამ თითქმის დახუჭა თვალები ნიშნად იმისა, რომ არც მას და არც სხვა ვინმეს არ ძალუძს განსაჯოს ის, რაც სურს ან მოსწონს დედოფალს.

– Monsieur le baron de Funke a été recommandé à l'impératrice-mère par sa soeur (ბარონ ფუნკეს დედა დედოფალთან რეკომენდაცია გაუწია დედოფლის დამ), – თქვა მან სევდიანი, მშრალი კილოთი. როდესაც ანა პავლოვნამ დედოფალი ახსენა, უეცრად სახეზე აღებეჭდა სევდანარევი ღრმა, გულწრფელი ერთგულება და პატივისცემა, რაც ემართებოდა ყოველთვის, როცა ლაპარაკში თავის მაღალ მფარველს ახსენებდა ხოლმე. ანა პავლოვნამ თქვა, რომ მისმა უდიდებულესობამ beaucoup d'estime (დიდი პატივი) დასდო ბარონ ფუნკესო და კვლავ სევდა გამოეხატა თვალებში.

თავადი გულგრილად დადუმდა. ანა პავლოვნამ მოისურვა სეფექალის ჩვეული სისხარტითა და თავდაჭერილი მორიდებულობით წიკპურტი წაეკრა თავადისთვის იმ კაცის უმართებულოდ მოხსენიების გამო, რომელიც დედოფალს ურჩიეს, და იმავე დროს ნუგეშიც ეცა.

– Mais à propos de votre famille (მართლა, რაც შეეხება თქვენს ოჯახს), – თქვა მან, – იცით თუ არა, რომ თქვენი ქალიშვილი, მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში გამოვიდა, აღტაცებას იწვევს, On la trouve belle, comme le jour (ყველას დღესავით მშვენივრად მიაჩნია).

თავადმა პატივისცემისა და მადლობის ნიშნად თავი დახარა.

– მე ხშირად ვფიქრობ, – განაგრძო წამიერი სიჩუმის შემდეგ ანა პავლოვნამ, თან თავადისკენ მიიწია და ტკბილად გაუღიმა, თითქოს ამით აგრძნობინა, რომ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მსჯელობა დასრულდა და ახლა გულღია საუბარი იწყებოდა, – ხშირად მიფიქრია, როგორ უსამართლოდ ხდება ზოგჯერ ცხოვრებაში ბედნიერების განაწილება. რატომ გაჩუქათ ბედმა ორი ასეთი მშვენიერი შვილი (უმცროსის, ანატოლის გამოკლებით, არ მიყვარს იგი, – ჩაურთო მან მოურიდებლად, თან წარბები ზევით აზიდა), ორი ასეთი საუცხოო შვილი? თქვენ კი ყველაზე ნაკლებად მათ აფასებთ, ამიტომ ღირსი არა ხართ მათი.

თქვა ეს და გაუღიმა აღფრთოვანებული ღიმილით.

– Que voulez-vous? Lafater aurait dit que je n'ai pas la bosse de la paternité (რას იზამ! ლაფატერი, ალბათ, იტყოდა, რომ მე მოკლებული ვარ მშობლიური სიყვარულის უნარს), – წარმოთქვა თავადმა.

– ნუ ოხუნჯობთ. მე სერიოზულად მინდოდა მომელაპარაკა თქვენთან. იცოდეთ, უკმაყოფილო ვარ თქვენი უმცროსი შვილისა. ჩვენ შორის დარჩეს და გეტყვი (მისმა სახემ სევდიანი გამომეტყველება მიიღო), რომ მის უდიდებულესობასთან ლაპარაკი ჩამოვარდა თქვენს შვილზე. გიბრალებდნენ...

თავადმა პასუხი არ გასცა. ანა პავლოვნა უსიტყვოდ შესცქეროდა და პასუხს ელოდა. თავადმა წარბი შეკრა.

– რა ვქნა? – თქვა მან ბოლოს, – კარგად მოგეხსენებათ, რომ მათი აღზრდისთვის ყველაფერი მოვიმოქმედე, რაც კი მამას შეუძლია, მაგრამ ორივე des imbéciles (სულელი) გამოვიდა. იპოლიტი წყნარი სულელი მაინც არის, ანატოლი კი შვოთიანია. აი, ერთადერთი განსხვავება, – დასძინა და ჩვეულებრივზე უფრო არაბუნებრივად და აღფრთოვანებით გაიღიმა, რის გამოც პირის ირგვლივ თავმოყრილ ნაოჭებში მოულოდნელად განსაკუთრებით მკვეთრად რაღაც დაეტყო, უხეში და უსიამოვნო.

– ნეტავ ან კი რატომ უჩნდებათ შვილები ისეთ ადამიანებს, როგორც თქვენ ხართ? მამა რომ არ იყოთ, ვერაფერს გისაყვედურებდით, – უთხრა ანა პავლოვნამ და ჩაფიქრებულმა თვალები ასწია.

– Je suis votre (მე თქვენი) ერთგული მონა ვარ და, et à vous seule je puis l'avouer (მხოლოდ თქვენ გამოგიტყდებით), ჩემი შვილები, ce sont les entraves de mon existence (ცხოვრების ტვირთად მომივლინა ბედმა). მათგან ჯვარცმული ვარ. ასე ვფიქრობ. რას იზამ? – თქვა ეს, გაჩუმდა და თან ჟესტივით გამოხატა მორჩილება მკაცრი ბედის წინაშე.

ანა პავლონა ჩაფიქრდა.

– გიფიქრიათ თუ არა იმაზე, რომ ცოლი შერთოთ თქვენს უძღებ შვილს, ანატოლს? ამბობენ: – დაუმატა მან, – ხანში შესული შინაბერები ont la manie des Mariages (შეპყრობილნი არიან მანიით): ყველას უნდა ცოლი შერთონ. მე ჯერ არ შევუპყრივარ ამ სურვილს, მაგრამ მყავს petite personne (ერთი პერსონა), მეტად უბედური მამის ხელში, une parente à nous, une princesse (ჩვენი ნათესავია, კნიაჟნა) ბოლკონსკაია.

თავადმა ვასილიმ პასუხი არ გასცა, თუმცა ყოველივე სწრაფად მოისაზრა, როგორც ეს მაღალი წრის ადამიანებს სჩვევიათ, და, თავის მოძრაობით ანიშნა, ეგ ცნობა მხედველობაში მივიღეო.

– წარმოიდგინეთ, ამ ანატოლზე წელიწადში 40.000-ს ვხარჯავ, – თქვა მან. ეტყობოდა, ვერ ახერხებდა თავისი აზრების ნაღვლიანი მსვლელობის შეჩერებას. სიჩუმის შემდეგ დასძინა, – რა იქნება ხუთი წლის შემდეგ, თუ ასე გაგრძელდა? კნიაჟნა?

– მამა ძალიან მდიდარი ჰყავს და ძუნწი. სოფელში ცხოვრობს. იცით, ეს ცნობილი თავადი ბოლკონსკია, სამსახურიდან გადამდგარი ჯერ კიდევ განსვენებული იმპერატორის დროს და პრუსიის მეფედ წოდებული. ძალიან ჭკვიანი კაცია, მაგრამ უცნაური და აუტანელი. La pauvre petite est malheureuse, comme les pierres (საცოდავი ქალი ქვასავით უბედურია). მას ჰყავს ძმა, კუტუზოვის[4] ადიუტანტი, აი ის, რომელმაც ამას წინათ Lise მეინენი შეირთო. დღეს ისიც მეწვევა.

– Ecoutez, chère Annette (გამიგონეთ, ძვირფასო ანეტ), – მიმართა თავადმა, მოულოდნელად მოსაუბრის ხელს დასწვდა და რატომღაც ქვემოთკენ დახარა, – Arrangez-moi cette affaire et je suis votre (მომიწყეთ ეგ საქმე და მე სამუდამოდ თქვენი ვარ), უერთგულესი მონა, à tout jamais pan, comme mon ზემდეგი m'écrit des (როგორც მწერს ჩემი ზემდეგი) პატაკში! კნიაჟნა კარგი გვარისაა და მდიდარიც. ეს არის ყველაფერი, რაც მე მჭირდება.

და მან თავისუფალი, შინაურული და გრაციოზული მოძრაობით, რითაც საერთოდ გამოირჩეოდა, აიღო ფრეილინას ხელი და ეამბორა, შემდეგ აქეთ-იქით გააქნია ქალის ხელი, სავარძელში ჩაესვენა და განზე დაიწყო ყურება.

– Attendez (მოითმინეთ), – უთხრა ანა პავლოვნამ და ჩაფიქრდა, – დღესვე მოველაპარაკები Lise-ს (ახალგაზრდა ბოლკონსკის მეუღლეს). იქნებ მოგვარდეს ეს საქმე. Ce sera dans votre famille, que je ferai mon apprentissage de vieille fille (თქვენს ოჯახში დავიწყებ შინაბერა ქალის ხელობის შესწავლას).

თავი მეორე

ანა პავლოვნას სასტუმრო ოთახი თანდათან ხალხით ივსებოდა. თავი მოიყარა პეტერბურგის დიდკაცობამ, სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის, მაგრამ ერთი საზოგადოების ხალხმა; მოვიდა თავად ვასილის ქალიშვილი, მზეთუნახავი ელენი, რომელმაც მამას გამოუარა, რათა მასთან ერთად ელჩთან წასულიყო დღესასწაულზე. მის სამეჯლისო სამოსს შიფრი[5] ამშვენებდა. მოვიდა აგრეთვე la femme la plus séduisante de Pétersbourg (პეტერბურგში ყველაზე მომხიბლავ ქალად ცნობილი), თავად ბოლკონსკის მეუღლე, ახალგაზრდა, ტანმორჩილი ბანოვანი; იგი წასულ ზამთარს გათხოვდა და ორსულობის გამო ფართო საზოგადოებაში აღარ ჩნდებოდა, თუმცა მცირე სადამოებს ჯერ კიდევ ესწრებოდა. მოვიდა თავადი იპოლიტი, შვილი თავად ვასილისა; მოვიდა იგი მორტემართან ერთად, რომელიც შეკრებილთ წარუდგინა; მოვიდა აბატი მორიოც და მრავალი სხვა.

– თქვენ ჯერ არ გინახავთ, – ან: – თქვენ არ იცნობთ ma tante (დეიდაჩემს) – ეუბნებოდა ანა პავლოვნა სტუმრებს და მეტად სერიოზული გამომეტყველებით მიჰყავდა ისინი ყელამდე ბაფთებით მორთულ პატარა დედაბერთან, რომელიც სტუმრების დენასთან ერთად მეორე ოთახიდან გამობრძანდა, თან ასახელებდა სტუმართა გვარებს, დინჯად გადაჰქონდა თვალი მათგან ma tante-ზე და ბოლოს შორდებოდა.

ყველა სტუმარი ასრულებდა მისალმების წესს დეიდას წინაშე, რომელსაც არავინ იცნობდა, რომელიც არავის აინტერესებდა და არც არავის სჭირდებოდა. ანა პავლოვნა სევდიანი, საზეიმო თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს და უსიტყვოდ იწონებდა მათ მისალმებას. Ma tante ყველას ერთნაირი სიტყვებით ელაპარაკებოდა თვით სტუმრის ჯანმრთელობაზე, თავის ჯანმრთელობაზე, მისი უდიდებულესობის ჯანმრთელობაზე, რომელიც, მადლობა ღმერთს, დღეს უკეთ გრძნობდა თავს. ყველა მიმსვლელი ზრდილობისთვის სიდინჯეს იჩენდა, ხოლო შემდეგ, თითქოს მძიმე მოვალეობა შეასრულა და შვება იგრძნო, შორდებოდა დედაბერს, რათა მთელ საღამოს ერთხელაც აღარ მიჰკარებოდა მას.

პატარა კნიაგინია ბოლკონსკაიამ თან მიიტანა ოქრომკედით ნაქარგი ხავერდის პარკი, რომელშიც ხელსაქმე ედო. ოდნავ შესამჩნევი შავბუსუსიანი მოხდენილი ზედა ტუჩი თითქოს ვერ ფარავდა კბილებს, მაგრამ მით უფრო მომხიბლავად აპოზდა ბაგეს და კიდევ უფრო ეშხიანად ჭიმავდა ქვედა ტუჩზე დაშვებისას. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, სავსებით მიმზიდველი ქალის ეს ნაკლი – ტუჩის სიმოკლე და ნახევრად გაღებული პირი – სხვის თვალში თავისებურ სილამაზედ მოჩანდა. ყველა სიხარულს განიცდიდა, როდესაც ხედავდა ძალ-ღონითა და სიცოცხლით სავსე ამ მშვენიერ მომავალ დედას, რომელიც ასე ადვილად იტანდა თავის მდგომარეობას. მოხუცებს და მოწყენილ, გულჩათხრობილ ახალგაზრდებს მცირე ხნით მასთან ყოფნისა და გამოლაპარაკების შემდეგ ეგონათ, თითქოს ისინიც მას დაემსგავსნენ. ვისაც მასთან ულაპარაკია და ყოველი სიტყვის წარმოთქმისას უნახავს მისი ნათელი ღიმილი, წამდაუწყუმ მოელვარე, მბრწყინავი თეთრი კბილები, – უფიქრია, რომ იგი განსაკუთრებით თავაზიანი იყო იმჟამად. ამას კი ყველა ფიქრობდა.

პატარა კნიაგინიამ, სამუშაო პარკით ხელში, ბაჯბაჯითა და მოკლე, მაგრამ სწრაფი ნაბიჯით შემოუარა მაგიდას და ტანისამოსის მხიარული სწორებით დაჯდა დივანზე, ვერცხლის სამოვრის მახლობლად, თითქოს ყველაფერი, რასაც იგი აკეთებდა, part de plaisir (გართობა) ყოფილიყო როგორც მისთვის, ისე ყველა იქ მყოფისთვის.

– J'ai apporté mon ouvrage (სამუშაო წამოვიღე თან), – მიმართა მან ყველას ერთად და თან ჩანთის გახსნა დაიწყო, – აბა, Annette, ne me jouez pas un mauvais tour (ანეტ, ცუდი არაფერი დამმართოთ), – მიუბრუნდა იგი დიასახლისს, – Vous m'avez écrit, que c'était une toute petite soirée; voyez, comme je suis attifée (რატომ მეხუმრეთ ასე. აკი მწერდით, სულ პატარა საღამო მექნებაო. და მეც, ხომ ხედავთ, როგორ შევიფუთნე).

და მან ორივე ხელი გაშალა, რომ მკერდს ქვემოთ განიერი ლენტით შემოვლებული მაქმანით მოქარგული, მოხდენილი ნაცრისფერი კაბა ეჩვენებინა.

– Soyez tranquille, Lise, vous serez toujours la plus jolie (ფიქრი ნუ გაქვთ, თქვენ მაინც ყველაზე მშვენიერი იქნებით), – მიუგო ანა პავლოვნამ.

კნიაგინიამ იმავე ტონით განაგრძო და პირი გენერლისკენ მიიბრუნა: – Vous savez, mon mari m'abandonne, il va se faire tuer. Dites-moi, pourquoi cette vilaine guerre (წარმოიდგინეთ, ქმარი მიტოვებას მიპირებს. სასიკვდილოდ მიდის. მითხარით ერთი, რისთვის არის ეს საზიზღარი ომი)? – ჰკითხა მან თავად ვასილის და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, თავად ვასილის ქალიშვილს, ლამაზ ელენს მიაშურა.

– Quelle délicieuse personne, que cette petite princesse (რა საუცხოო არსებაა ეს პატარა კნიაგინია), – წასჩურჩულა თავადმა ვასილიმ ანა პავლოვნას.

პატარა კნიაგინიას შემდეგ შემოვიდა ზორბა, სქელი ახალგაზრდა კაცი, თმაგაკრეჭილი, სათვალისანი, მაშინდელი მოდის მიხედვით ღია ფერის შარვალსა, მაღალ ჟაბოსა და წაბლისფერ ფრაკში გამოწყობილი. ეს ახალგაზრდა კაცი უკანონო შვილი იყო ეკატერინეს დროის დიდგვაროვნის, გამოჩენილი გრაფის ბეზუხოვისა, რომელიც ახლა მოსკოვში სიცოცხლეს ესალმებოდა. ყმაწვილი კაცი ჯერჯერობით არსად მსახურობდა, ეს-ეს არის, ჩამოვიდა უცხოეთიდან, სადაც იზრდებოდა, და ახლა პირველად იყო საზოგადოებაში. ანა პავლოვნა თავის დაკვრით მიესალმა, – ასე ესალმებოდა იგი თავის სალონში ყველაზე დაბალი იერარქიის ადამიანებს. მაგრამ, მისალმების ამ დაბალი ხარისხის მიუხედავად, პიერის დანახვისას სახეზე არეულობა და შიში აესახა, ისეთი შიში, როგორიც აღიბეჭდება ხოლმე ადამიანის სახეზე უზარმაზარი და ადგილისთვის შეუფერებელი ვინმეს დანახვისას. თუმცა პიერი ტანით მართლაც სჭარბობდა ოთახში მყოფ ყველა მამაკაცს, მაგრამ ეს შიში შეიძლებოდა გამოეწვია მხოლოდ იმ ჭკვიანურ და ამასთან მოკრძალებულ, დაკვირვებულ და ბუნებრივ გამოხედვას, რაც მას ასე განასხვავებდა ყველასგან, ვინც ოთახში იყო.

– C'est bien aimable à vous, monsieur Pierre, d'être venu voir une pauvre malade (დიდი პატივია თქვენი მხრივ, მუსიე პიერ, რომ მინახულეთ ავადმყოფი), – უთხრა ანა პავლოვნამ და შიშნაკრავმა დეიდას გადახედა, რომლისკენაც სტუმარს გაუძღვა. პიერმა რაღაც გაუგებარი ჩაიდუდუნა და თვალებით ვილაცის ძებნა განაგრძო. ბოლოს, გახარებულმა, მხიარულად გაუღიმა და თავი დაუკრა პატარა კნიაგინიას, როგორც კარგ ნაცნობს, და დეიდასთან მივიდა. ანა პავლოვნას შიში ტყუილი როდი გამოდგა: პიერი ისე მოშორდა დეიდას, რომ ბოლომდე არ მოისმინა სიტყვები მისი უდიდებულესობის ჯანმრთელობის შესახებ. შემფოთებულმა ანა პავლოვნამ შეაჩერა პიერი.

– არ იცნობთ აბატ მორიოს? მეტად საინტერესო კაცია... – უთხრა მან.

– როგორ არა, მსმენია მისი მუდმივი მშვიდობიანობის პროექტის შესახებ. ძალზე საინტერესოა, მაგრამ საეჭვოა...

– აგრე გგონიათ? – ჰკითხა ანა პავლოვნამ, რათა რამე ეთქვა და კვლავ დაჰბრუნებოდა დიასახლისის მოვალეობას. მაგრამ პიერი კიდევ უფრო უზრდელად მოიქცა. პირველად ხომ ისე მოშორდა მოსაუბრეს, ბოლომდე არ მოუსმინა, ახლა კი თავისი ლაპარაკით შეაჩერა ანა პავლოვნა, რომელსაც სულაც არ ეცალა მასთან სასაუბროდ. პიერმა თავი დაღუნა, დიდი ფეხები გაჩაჩხა და ანა პავლოვნას იმის მტკიცება დაუწყო, თუ რატომ ფიქრობდა, რომ აბატი მორიოს გეგმა ქიმერაა.

– ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, – უთხრა ანა პავლოვნამ ღიმილით.

და, როგორც კი დააღწია თავი ახალგაზრდა კაცს, რომელიც ჯერ კიდევ არ იცნობდა ცხოვრებას, ანა პავლოვნამ კვლავ მიაშურა თავის საქმეს – დიასახლისის მოვალეობას: მას ყური მახვილად ეჭირა და თვალს ბეჯითად ადევნებდა, რათა სწორედ იმ ადგილს მიშველებოდა, სადაც ლაპარაკი შენელებას იწყებდა. როგორც სართავი სახელოსნოს პატრონი, მუშებისთვის სათანადო ადგილების მიჩენის შემდეგ დინჯად დადის თავის საწარმოში და, შენიშნავს თუ არა თითისტარის უმომრატობას, ან გაიგონებს თუ არა მის უჩვეულო, წრიპინა, მეტად მაღალ ხმას, სწრაფად მიემშრება იქითკენ და ანელებს ან აჩქარებს მის მოძრაობას, – ანა პავლოვნაც ასე დადიოდა თავის სასტუმრო ოთახში, ჩერდებოდა დადუმებულ ან ძალზე ხმამაღლა მოლაპარაკე წრესთან და ერთი სიტყვით, ან ადგილის გადანაცვლებით კვლავ მართავდა თანაბარზომიერ თავაზიან სალაპარაკო მანქანას. მაგრამ მთელი ამ ზრუნვის დროს აშკარად გამოსჭვიოდა მასში განსაკუთრებული შიში პიერის გამო. ანა პავლოვნამ შემფოთებულმა გადახედა პიერს მაშინ, როცა იგი მივიდა იმის მოსასმენად, რასაც მორტემარის გარშემო ლაპარაკობდნენ, და, შემდეგ, როცა იგი მეორე წრისკენ გაემართა, სადაც აბატი ლაპარაკობდა. უცხოეთში აღზრდილი პიერისთვის ანა პავლოვნას ეს სადამო პირველი იყო, რომელსაც იგი რუსეთში ესწრებოდა. მან იცოდა, რომ აქ თავმოყრილი იყო პეტერბურგის მთელი ინტელიგენცია, და, როგორც ბავშვს სათამაშოების დუქანში, თვალთ აუჭრელდა. ეშინოდა, არ გამოჰპაროდა ჭკვიანი ლაპარაკი, რომლის მოსმენაც აქ შეეძლო. შეჰყურებდა შეკრებილთა თავდაჯერებულ სახეებს, მათ მოხდენილ გამომეტყველებას და სულ მოელოდა რაღაც განსაკუთრებით გონიერს. ბოლოს, მორიოსთან მივიდა. ლაპარაკი საინტერესოდ მიიჩნია და გაჩერდა: უცდიდა შემთხვევას, თავისი აზრი გამოეთქვა, როგორც ახალგაზრდებს უყვართ ხოლმე.

თავი მესამე

ანა პავლოვნას სადამოს გამოცოცხლება დაეტყო. თითისტარები სხვადასხვა მხრიდან თანაზრად და შეუჩერებლად ზუზუნებდნენ. გარდა ma tante-სა, რომელსაც გვერდზე ჩამოღვენთილ, ნამტირალევსახიანი ერთადერთი ხანდაზმული მანდილოსანი ეჯდა, ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში ესოდენ უცხოდ რომ მოჩანდა. საზოგადოება სამ ჯგუფად გაიყო. ერთში, სადაც მამაკაცები ჭარბობდნენ, ცენტრს აბატი წარმოადგენდა; მეორეს – უფრო ახალგაზრდებისგან შემდგარს, მეთაურობდნენ თავად ვასილის ქალიშვილი, მზეთუნახავი ელენი, და ტანადი, ვარდისფერლოყება, თავისი ასაკისთვის მეტად სრული, თავად ბოლკონსკის პატარა კნიაგინია. მესამეს – მორტემარი და ანა პავლოვნა.

ვიკონტი სანდომიანი ახალგაზრდა კაცი იყო, მიმზიდველი სახისა და მოხდენილი მანერების პატრონი. ალბათ, მას შესანიშნავ ადამიანად მიაჩნდა თავი, მაგრამ, როგორც ზრდილი კაცი, მოკრძალებით ნებას აძლევდა იმ საზოგადოებას, სადაც იმყოფებოდა, სურვილისამებრ მოჰქცეოდნენ. ანა პავლოვნა თავის სტუმრებს აშკარად ყველას ამ ვიკონტს სთავაზობდა. როგორც კარგი მეტრდოტელი საგანგებო –

საუცხოო საჭმელად ასაღებს ხორცის იმ ნაჭერს, რომელსაც ბინძურ სამზარეულოში კაცი პირს არ დააკარებს, ისე ანა პავლოვნამ, როგორც ზებუნებრივად სათუთი რამ, შესთავაზა თავის სტუმრებს ჯერ ვიკონტი, ხოლო შემდეგ აბატი. მორტემარის ჯგუფში თავიდანვე ლაპარაკი ენგიენის ჰერცოგის მკვლელობაზე ჩამოვარდა. ვიკონტმა თქვა, ენგიენის ჰერცოგი დაილუპა თავისი სულგრძელობის გამო და ბონაპარტეს გაბოროტებას განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდაო.

– Ah! voyons. Contez-nous cela, vicomte (ჰო, მართლა, გვიამბეთ ეგ, ვიკონტ), – მიმართა ანა პავლოვნამ და სიხარულით იგრძნო, რომ ეს ფრაზა თითქოს რაღაცით ლუი XV-ის დროს აგონებდა კაცს: – contez-nous cela, vicomte (გვიამბეთ, ვიკონტ).

ვიკონტმა მორჩილების ნიშნად თავი დაუკრა და თავაზიანად გაუღიმა. ანა პავლოვნამ წრე შეკრა ვიკონტის ირგვლივ და მოუწოდა ყველას, – მოესმინა ამბავი.

– Le vicomte a été personnellement connu de monseigneur (ვიკონტი პირადად იცნობდა ჰერცოგს), – წასჩურჩულა ანა პავლოვნამ ერთ-ერთს, – Le vicomte est un parfait conteur (ვიკონტი მშვენიერი მთხრობელია), – ჩაულაპარაკა მეორეს, – Comme on voit l’homme de la bonne compagnie (ამკარად ეტყობა, კარგ საზოგადოებას ეკუთვნის), – უთხრა მესამეს, და დიასახლისმა ვიკონტი საზოგადოებას ისე მოხდენილად და ხელსაყრელი სახით მიართვა, როგორც ცხელ ლანგარზე დადებული მწვანილმოყრილი როსტბიფი.

ვიკონტმა თავაზიანად გაიღიმა და დააპირა ამბის გადმოცემა.

– აქ გამოდით, chère Hélène (საყვარელო ელენ), – მიმართა ამ დროს ანა პავლოვნამ თავადის პირმშვენიერ ასულს, რომელიც მოშორებით იჯდა და სხვა ჯგუფის ცენტრს წარმოადგენდა.

ელენმა გაიღიმა; იგი წამოდგა ყოვლად ნატიფი ქალის იმავე უცვლელი ღიმილით, რომლითაც სასტუმრო ოთახში შევიდა, ჩაუარა განზე გამდგარ მამაკაცებს, სუროსა და ხავსის სახეებით მორთული თეთრი სამეჯლისო კაბის ოდნავი შრიალით. თეთრი მხრების, მოლაპლაპე თმისა და ბრილიანტების ელვარებით პირდაპირ ანა პავლოვნასთან მივიდა; გაიარა ისე, თითქოს თან მოაქვს მეჯლისის ბრწყინვალეობაო. ელენი არავის არ უყურებდა, მაგრამ ყველას უღიმოდა და თავაზიანად უფლებას აძლევდა დამტკბარიყო მისი სხეულის, ხორცსავსე მხრებისა და, მაშინდელი მოდის მიხედვით, ძალზე მოღებული მკერდისა და ბეჭების სილამაზით. ელენი იმდენად მშვენიერი იყო, რომ არათუ არ ემჩნეოდა კოჰწიაობის რაიმე ნასახი, პირიქით, თითქოს რცხვენოდა კიდევ თავისი მეტად ძლიერი და ამკარად მოქმედი სილამაზისა. მას თითქოს სურდა, მაგრამ ვერ ახერხებდა თავისი სილამაზის მოქმედების შენელებას.

– Quelle belle personne (ეს რა მზეთუნახავია)! – ამბობდა ყველა, ვინც მას ხედავდა.

თითქოს რაღაც არაჩვეულებრივად გოაცებულმა ვიკონტმა მხრები შეათამაშა და თვალები დახარა იმ დროს, როცა ელენი მის წინ ჯდებოდა და მასაც შუქს ჰგენდა იმავე უცვლელი ღიმილით.

– Madame, je crains pour mes moyens devant un pareil auditoire (მე, მართალი მოგახსენოთ, ვშიშობ, შევძლებ თუ არა ჩემი უნარის გამოჩენას ასეთი საზოგადოების წინაშე), – თქვა ვიკონტმა და ღიმილით თავი დახარა.

ელენმა თავისი სავსე, შიშველი მკლავი მაგიდას დააყრდნო და საჭიროდ არ მიიჩნია რაიმე ეთქვა. იგი ღიმილით ელოდა ამბავს. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ამბავს გადმოსცემდნენ, ელენი გაჭიმული იჯდა, იშვიათად თუ დახედავდა მაგიდაზე ოდნავ დანდობილ თავის ლამაზ ხელს, ხან კიდევ უფრო ნატიფ მკერდს, რომელზედაც ბრილიანტის ყელსაბამს შეისწორებდა ხოლმე. ზოგჯერ თავისი ტანისამოსის ნაოჭებსაც ისწორებდა, ხოლო როცა ამბავი შთაბეჭდილებას ახდენდა, ანა პავლოვნას

შეხედავდა და იმავე წუთს ისეთ გამომეტყველებას მიიღებდა, როგორსაც ფრეილინას სახეზე დაინახავდა. შემდეგ ელვარე ღიმილით კვლავ მშვიდდებოდა. ელენის შემდეგ ჩაის მაგიდიდან პატარა კნიაგინიაც გადავიდა.

– Attendez-moi, je vais prendre mon ouvrage (მოითმინეთ, ჩემს სამუშაოს წამოვიღებ), – ჩაილაპარაკა მან, – Voyons, à quoi pensez-vous (რა დაგემართათ, რას ფიქრობთ)! – მიმართა თავად იპოლიტს, – apportez-moi mon ridicule (მომიტანეთ ჩემი რედიკიული[6]).

კნიაგინია ღიმილით გადავიდა ახალ ადგილზე, თან ყველას გამოელაპარაკა, დაჯდა და მხიარულად გასწორდა.

– ახლა კარგად ვარ, ჩაილაპარაკა მან, მერე ითხოვა, დაეწყო მორტემარის ამბის გადმოცემა, და მუშაობას შეუდგა.

თავადმა იპოლიტმა რედიკიული მიუტანა და თვითონაც გადავიდა, სავარძელი ახლოს მისწია, გვერდით მიუჯდა.

Le charmant Hippolyte (მომხიბვლელი იპოლიტი) გაგაკვირვებდათ არაჩვეულებრივი მსგავსებით მზეთუნახავ დასთან, უფრო მეტად კი იმით, რომ, ამ მსგავსების მიუხედავად, იგი უჩვეულოდ გონჯი იყო. სახის ნაკვთები ისეთივე ჰქონდა, როგორც დას, მაგრამ მაშინ, როცა დის სახეს ხალისიანი, კმაყოფილი, ახალგაზრდული და მუდმივი ღიმილი აშუქებდა და სხეულის არაჩვეულებრივი, ანტიკური სილამაზე, ძმის ასეთივე სახე, პირიქით, დანისლული იყო იდიოტიზმით და გამოხატავდა თვითკმაყოფილ დაღრეჯილობას, ხოლო ტანი ჩამომხმარი და სუსტი ჰქონდა. თვალები, ცხვირი, პირი როგორღაც გაურკვეველად და სევდიანად ემანჭებოდა, ხელები და ფეხები კი მუდამ არაბუნებრივ მდგომარეობას იღებდნენ.

– Ce n'est pas une histoire de revenants (მოჩვენებათა ამბავი ხომ არ არის ეგ)? – იკითხა მან, როცა კნიაგინიასთან დაჯდა და თვალებთან სწრაფად მიიტანა ლორწეტი, თითქოს უამიარალოდ ლაპარაკის დაწყება არ შეუძლიაო.

– Mais non, mon cher (სრულიადაც არა), – უპასუხა მხრების აწევით გაკვირვებულმა ვიკონტმა.

– C'est que je déteste les histoires de revenants (საქმე ის არის, რომ ვერ ვიტან ამბებს მოჩვენებებზე), – წარმოთქვა თავადმა იპოლიტმა ისეთი კილოთი, საიდანაც ჩანდა, რომ მან ჯერ წამოისროლა ეს სიტყვები და მერე მიხვდა, რასაც ნიშნავდა.

იგი ისეთი დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ ვერავინ მიხვდა, ძალიან ჭკვიანური იყო, თუ ძალიან სულელური ის, რასაც ამბობდა. ეცვა მუქ-მწვანე ფრაკი, შარვალი, როგორც თვითონ ამბობდა, *cuisse de nymphe effrayée* (დამფრთხალი ნიმფის თეძოების ფერის), წინდები და დაბალყელიანი ფეხსაცმელი.

Vicomte (ვიკონტმა) მეტად მოხდენილად უამბო მსმენელებს იმხანად გავრცელებული ანეკდოტი,[7] თუ როგორ ფარულად ჩადიოდა ენგიენის ჰერცოგი პარიზში მსახიობ ქალ m-lle George (მადმუაზელ ჟორჟთან), რომ იქ შეხვდა იგი ბონაპარტეს, რომელიც აგრეთვე სარგებლობდა გამოჩენილი მსახიობი ქალის კეთილგანწყობით, რომ სწორედ ამ შეხვედრის დროს წამოუარა ნაპოლეონს თავისმა სენმა – გულისყრამ და ამრიგად ჰერცოგის ხელში იყო, მაგრამ ჰერცოგმა არ ისარგებლა ამით, სამაგიეროდ, შემდეგში ნაპოლეონმა ეს სულგრძელობა სიკვდილით გადაუხადაო.

ამბავი მეტად მოხდენილი და საინტერესო იყო, მეტადრე ის ადგილი, სადაც მეტოქეებმა უეცრად იცნეს ერთმანეთი, და მანდილოსნები თითქოს აღელდნენ კიდევ.

– Charmant (საუცხოოა), – თქვა ანა პავლოვნამ და პატარა კნიაგინიას გადახედა, თითქოს ანიშნაო.

- Charmant, – წაიჩურჩულა მანაც და ნემსი სამუშაოში გააბნია, თითქოს იმის ნიშნად, ამბავი იმდენად საინტერესო და მოხდენილი იყო, ქარგვა აღარ შემიძლიაო.
- ვიკონტმა შეაფასა ეს მდუმარე შექება, მაღლიერებით გაიღიმა და განაგრძო თხრობა. მაგრამ ამ დროს ანა პავლოვნამ, რომელიც თვალს არ აშორებდა საშინელ ახალგაზრდა კაცს, შენიშნა, რომ იგი მეტისმეტად ცხარედ და ხმამაღლა ელაპარაკებოდა აბატს და გაეშურა დასახმარებლად საშიში ადგილისკენ. პიერმა მართლაც ჩაითრია აბატი პოლიტიკურ ლაპარაკში, და აბატიც, ეტყობა, ყმაწვილი კაცის გულუბრყვილო სიცხარით დაინტერესებული, მის წინაშე ავითარებდა თავის საყვარელ იდეას. ისინი მეტად ცხარედ და ბუნებრივად უსმენდნენ და ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, და აი სწორედ ეს არ მოეწონა ანა პავლოვნას.
- მაგ საშუალებას წარმოადგენს ევროპის წონასწორობა და droit des gens (ხალხის უფლება), – ამბობდა აბატი, – საკმარისია ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო, ისეთი, როგორც რუსეთია, ბარბაროსობით სახელგანთქმული, უანგაროდ ჩაუდგეს სათავეში კავშირს, რომლის მიზანიც ევროპის წონასწორობა იქნება, და იგი იხსნის ქვეყნიერებას.
- მერე როგორ გინდათ მონახოთ მაგნაირი წონასწორობა? – დაიწყო პიერმა, მაგრამ ამ დროს მათთან მისულმა ანა პავლოვნამ სასტიკად შეავლო თვალი პიერს და ჰკითხა იტალიელს, როგორ იტანთ აქაურ ჰავასო. იტალიელის უცბად შეცვლილმა სახემ შეურაცხყოფილ-თვალთმაქცური, საამო გამომეტყველება მიიღო, რასაც, ეტყობა, ჩვეული იყო იგი ქალებთან ლაპარაკში.
- მე ისე ვარ მოხიბლული აქაური საზოგადოებით, სადაც, ჩემდა საბედნიეროდ, მიმიღეს, მეტადრე ბანოვანთა საზოგადოების წარმტაცი ჭკუითა და განათლებით, რომ ჯერჯერობით ვერ მოვასწარი მეფიქრა ჰავაზე, – მიუგო მან.
- ანა პავლოვნამ ხელიდან აღარ გაუშვა აბატი და პიერი და მეთვალყურეობის გასაადვილებლად ისინიც საერთო წრეს შეუერთა.
- ამ დროს სასტუმრო ოთახში ახალი პირი შევიდა. ეს ახალი პირი თავადი ანდრეი ბოლკონსკი იყო. პატარა მანდილოსნის ქმარი თავადი ბოლკონსკი მომცრო ტანის მეტად ლამაზი ახალგაზრდა კაცი გახლდათ სახის გამოკვეთილი და ხმელი ნაკვეთებით. ყველაფერი მის აღნაგობაში, დაწყებული დაღლილი, მოწყენილი გამოხედვით და დამთავრებული დინჯი და მწყობრი ნაბიჯით, მისი პატარა, მკვირცხლი ცოლის მკვეთრ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. ეტყობოდა, სასტუმრო ოთახში მყოფნი არათუ მისი ნაცნობები იყვნენ, არამედ ისე მოჰბეზრებოდნენ, რომ აღარ შეეძლო მათი აღარც დანახვა და აღარც მოსმენა. ყველაზე უფრო კი თითქოს თავისი პირმშვენიერი ცოლის სახე მოჰბეზრებოდა. ანდრეი აიმრიზა, რაც ასე აუშნოებდა მის ლამაზ სახეს, და თვალი აარიდა ცოლს. შემდეგ ხელზე აკოცა ანა პავლოვნას და თვალების ჭკუტვით მთელ საზოგადოებას გადახედა.
- Vous vous enrôlez pour la guerre, mon prince (ომში აპირებთ წასვლას, ჩემო პრინცო)? – ჰკითხა ანა პავლოვნამ.
- Le général Koutouzoff (გენერალმა კუტუზოვმა), – მიუგო მან და მახვილი, ფრანგების მსგავსად, უკანასკნელ მარცვალ ოვ-ზე გადაიტანა: – A bien voulu de moi pour aide-de-camp (ინება ჩემი ადიუტანტად აყვანა)...
- Et Lise, votre femme (მაგრამ ლიზა, თქვენი მეუღლე)?
- იგი სოფელში წავა.
- ცოდვას სჩადიხართ, თქვენს მშვენიერ ცოლს რომ გვაშორებთ!

– André (ანდრე)! – წამოიძახა მისმა ცოლმა და მიმართა ქმარს ისეთივე სიკეკლუციტ, როგორითაც გარეშეებს მიმართავდა ხოლმე, – რომ იცოდე, რა ისტორია გვიამბო ვიკონტმა m-lle Jorj-სა და ბონაპარტზე!

თავადმა ანდრეიმ თვალეზი მოჭუტა და პირი იბრუნა. პიერი, რომელიც გახარებული, მეგობრული თვალეზით შეჰყურებდა ანდრეის იმ წუთიდან, როგორც კი ამ უკანასკნელმა სასტუმრო ოთახში ფეხი შედგა, მივიდა მასთან და ხელში ხელი წაავლო. თავადმა ანდრეიმ უკანმიუხედავად შუბლი შეიჭმუნა, რაც გამოხატავდა უკმაყოფილებას იმისადმი, ვინც ხელი შეახო, მაგრამ როგორც კი მოღიმარი პიერი დაინახა, თავადაც მოულოდნელად გაიღიმა კეთილი და სასიამოვნო ღიმილით.

– ერიჰა! შენც მალალ საზოგადოებაში ხარ? – მიმართა მან პიერს.

– ვიცოდი, რომ აქ იქნებოდით, – მიუგო პიერმა, – ვახშმად მოვალ თქვენთან, – დაუმატა ხმადაბლა, რათა ხელი არ შეეშალა ვიკონტისთვის, რომელიც თავისი ამბის გადაცემას განაგრძობდა, – შეიძლება?

– არა, არ შეიძლება, – მიუგო ღიმილით თავადმა ანდრეიმ და ხელის ჩამორთმეზით ანიშნა, რომ ამაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს თავადი ვასილი ქალიშვილითურთ ფეხზე წამოდგა. აიშალნენ მამაკაცეზი, რათა გზა მიეცათ მათთვის.

– მაპატიეთ, ძვირფასო ვიკონტ, – მიმართა თავადმა ვასილიმ ფრანგს, სახელოში ხელი წაავლო და ალერსიანად დასწია ძირს, სკამისკენ, რათა არ წამომდგარიყო, – ეს უზადრუკი დღესასწაული ელჩთან სიამოვნებას მისპობს მე და სიტყვას გაწყვეტინებთ თქვენ. ძალიან ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ, მივატოვო თქვენი საუცხოო საღამო, – მიმართა მან ბოლოს ანა პავლოვნას.

მისმა ასულმა კაზის კალთაზე ოდნავ მოიკიდა ხელი და სკამეზს შორის გაიარა, ღიმილი უფრო მეტად ელვარებდა მის მშვენიერ სახეზე. პიერი თითქმის დამფრთხალი, აღფრთოვანებული თვალეზით შეჰყურებდა, როდესაც მზეთუნახავმა გვერდით ჩაუარა.

– ძალიან ლამაზია, – თქვა თავადმა ანდრეიმ.

– ძალიან, – მიუგო პიერმა.

თავადმა ვასილიმ გვერდზე ჩავლისას ხელი სტაცა პიერს და ანა პავლოვნას მიუბრუნდა:

– მომითვინიერეთ ეს დათვი, – თქვა მან, – უკვე ერთი თვეა ჩემთან ცხოვრობს და პირველად ვხედავ საზოგადოებაში. ისე არაფერი ესაჭიროება ახალგაზრდა კაცს, როგორც გონიერ ქალთა გარემო.

თავი მეოთხე

ანა პავლოვნამ გაუღიმა და პირობა მისცა, ხელს მოვკიდებ მაგ საქმესო. მან იცოდა, რომ პიერი მამის მხრიდან ნათესავად მოხვდებოდა თავად ვასილის. ხანში შესული მანდილოსანი, რომელიც მანამდე ma tante-სთან იჯდა, სწრაფად წამოდგა და წინა ოთახში დაეწია თავად ვასილის. ნამალადევი დაინტერესება გამქრალიყო მის სახეზე. კეთილი, ნამტირალევი სახე ახლა მხოლოდ მოუსვენრობასა და შიშს გამოხატავდა.

– მაშ, რას მეტყვით, თავადო, ჩემს ბორისზე? – მიმართა მან, როდესაც თავადს წინა ოთახში დაეწია (სახელ ბორისს გამოთქვამდა განსაკუთრებული მახვილით ო-ზე), – პეტერბურგში დარჩენა აღარ შემიძლია. მითხარით, რა ამბავი მივუტანო ჩემს საწყალ ბიჭს?

თუმცა თავადი ვასილი უხალისოდ და თითქმის უპატივცემულოდ უგდებდა ყურს ხანში შესულ მანდილოსანს და მოუთმენლობასაც გამოხატავდა, მაგრამ ქალმა ალერსიანად და მომხიბვლელად გაუღიმა, თანაც, არ წავიდესო, ხელში ხელი წაავლო.

– საკმარისია უთხრათ ერთი სიტყვა ხელმწიფეს და ბორისს პირდაპირ გვარდიაში გადაიყვანენ, – ემუდარებოდა იგი.

– მერწმუნეთ, გავაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია, – ეუბნებოდა თავადი ვასილი, – მაგრამ მეძნელება ვთხოვო ხელმწიფეს. გირჩევდით, თავად გოლიცინის მეშვეობით მიგემართათ რუმინელებისთვის: ეს უფრო ჭკვიანური იქნება.

ხანში შესული მანდილოსანი თავად დრუბეცკოის მეუღლის სახელს, რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო გვარს ატარებდა, მაგრამ ღარიბი იყო. დიდი ხანია მოსწყდა მაღალ საზოგადოებას, დაკარგა ნაცნობობა და გავლენა. ახლა იმისთვის ჩამოსულიყო, რომ თავისი ერთადერთი შვილი როგორმე გვარდიაში გაემწესებინა. მხოლოდ იმიტომ, რომ თავადი ვასილი ენახა, გამოეცნაურა ანა პავლოვნას და მოვიდა მის სადამოზე, მხოლოდ ამისთვის უგდებდა ყურს ვიკონტის ისტორიას. თავად ვასილის სიტყვებმა შეაშფოთეს; ოდესღაც ლამაზ სახეზე გაბოროტება გამოესახა, მაგრამ მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა ეს. მან კვლავ გაიღიმა და უფრო მაგრად მოუჭირა ხელი თავად ვასილის ხელს.

– მომისმინეთ, თავადო, – უთხრა მან, – მე არასოდეს მომიმართავს თხოვნით თქვენთვის, არასოდეს არც მოგმართავთ, არასოდეს არ გამიხსენებია მამაჩემის მეგობრული დამოკიდებულება თქვენდამი. მაგრამ ახლა, გაფიცებთ ღმერთს, გააკეთეთ ეს ჩემი შვილისთვის. და მე ჩემს კეთილისმყოფლად ჩავთვლით. ვთხოვე გოლიცინს, მაგრამ უარი მითხრა. *Soyez le bon enfant que vous avez été* (გამოიჩინეთ ისეთივე გულკეთილობა), როგორსაც წინათ იჩენდით, – ამბობდა ის და თან ცდილობდა გაეღიმა მაშინ, როდესაც თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– მამა, დავიგვიანებთ, – მიმართა კართან მომლოდინე თავადის პირმშვენიერმა ასულმა ელენმა და ანტიკურ მხრებს ზემოდან გადახედა მამას.

მაგრამ გავლენა მაღალ საზოგადოებაში კაპიტალია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება, რათა არ გაქრეს. თავადმა ვასილიმ იცოდა ეს, და რაკი კარგად ესმოდა, რომ თუ ითხოვდა ყველა იმათთვის, ვინც მას მიმართავდა, მალე შეუძლებელი გახდებოდა თხოვნა საკუთარი თავისთვის, ამიტომ იშვიათად იყენებდა თავის გავლენას. კნიაგინია დრუბეცკაიას საქმის გამო, ამგვარად რომ მოუწოდებდა, სინდისის ქენჯნისმაგვარი რაღაც იგრძნო. კნიაგინიამ სიმართლე გაახსენა: მის პირველ ნაბიჯებს სამსახურში ამ ქალის მამამ შეუწყო ხელი. გარდა ამისა, თავადი კარგად ხედავდა, რომ დრუბეცკაია ეკუთვნოდა იმ ქალთა რიცხვს, მეტადრე იმ დედათა რიცხვს, რომელნიც ერთხელ აკვიატებულ აზრს არ მოეშვებიან იმ დრომდე, სანამ საწადელს არ აისრულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზად არიან ჩაგაცივდნენ ყოველდღე, ყოველ წუთს, აურზაურიც კი აგიტეხონ. ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ შეარყია თავადი.

– *Chère* (ძვირფასო) ანა მიხაილოვნა, – თქვა მან თავისი მუდმივი ფამილიარობითა და მოწყენილობით, – ჩემთვის თითქმის შეუძლებელია იმის შესრულება, რასაც თქვენ მთხოვთ, მაგრამ რათა დაგიმტკიცოთ, თუ როგორ მიყვარხართ და რა დიდ პატივს ვცემ მამათქვენის ხსოვნას, შეუძლებელს გავაკეთებ: თქვენი შვილი გადაყვანილი იქნება გვარდიაში, გაძლევთ სიტყვას. კმაყოფილი ხართ თუ არა?

– ჩემო ძვირფასო, ჩემი კეთილისმყოფელი ხართ! სხვა რამეს არც მოველოდი თქვენგან; ვიცოდი, რომ კეთილი გული გაქვთ.

თავადმა წასვლა დააპირა.

– მოითმინეთ, ორი სიტყვა კიდევ, *une fois passé aux gardes* (როცა მას გვარდიაში გადაიყვანენ)... – ოდნავ შეყოყმანდა, – თქვენ კარგი ურთიერთობა გაქვთ მიხაილ ილარიონოვიჩ კუტუზოვთან, ურჩიეთ, აიყვანოს ადიუტანტად. მაშინ მთლად დამშვიდებული ვიქნები, მაშინ...

თავადმა ვასილიმ გაიღიმა.

– მაგას კი ვერ დაგპირდებით. თქვენ არ იცით, როგორ მიესივნენ კუტუზოვს მას შემდეგ, რაც მთავარსარდლად დანიშნეს. თავად მომახსენა: მოსკოველმა მანდილოსნებმა პირი შეჰკრეს, ადიუტანტებად დამინიშნონ თავიანთი შვილებიო.

– არა, არა, პირობა მომეცით; არ გაგიშვებთ, ჩემო საყვარელო კეთილისმყოფელო.

– მამა, – კვლავ მიმართა იმავე კილოთი თავადს მზეთუნახავმა, – დავიგვიანებთ.

– აბა, *au revoir* (ნახვამდის), მშვიდობით! ხომ ხედავთ?

– მაშ, ხვალ მოახსენებთ ხელმწიფეს?

– აუცილებლად, კუტუზოვისთვის თქმას კი ვერ დაგპირდებით.

– არა, უნდა დამპირდეთ, უნდა დამპირდეთ, *Basile* (ვასილი)! – მიაძახა ანა მიხაილოვნამ ახალგაზრდა კოპჩია ქალის ღიმილით, რაც ოდესღაც, ალბათ, მეტისმეტად შვენიოდა, ახლა კი სრულიად არ უხდებოდა მის ჩამომხმარ სახეს.

მას, ეტყობა, დაავიწყდა თავისი წლები და ძველებურად მიმართავდა ქალურ ხერხებს. მაგრამ თავადის გასვლისთანავე მისმა სახემ კვლავინდებურად ცივი, თვალთმაქცური გამომეტყველება მიიღო. იგი დაუბრუნდა იმ წრეს, სადაც ვიკონტი თბრობას განაგრძობდა; თავი ისე ეჭირა, თითქოს ყურს უგდებდნენ. ნამდვილად კი წასვლის დროს უცდიდა, რადგან საქმე უკვე გააკეთა.

– არა, როგორ მოგწონთ მთელი ეს უკანასკნელი კომედია, *du sacre de Milan* (კორონაცია მილანში)? – თქვა ანა პავლოვნამ, – *Et la nouvelle comédie des peuples de Gênes et de Lucques, qui viennent présenter leurs vœux à M. Buonaparte. M. Buonaparte assis sur un trône, et exauçant les vœux des nations! Adorable! Non, mais c'est à en devenir folle! On dirait, que le monde entier a perdu la tête* (ამას გარდა, ახალი კომედიაც, გენუისა და ლუკის ხალხები თავიანთ სურვილს უცხადებენ მუსიე ბონაპარტეს. მუსიე ბონაპარტეც ტახტზე ზის და ხალხთა სურვილს ასრულებს. ოო, საუცხოოა, საუცხოო! არა, შეიძლება კაცმა ჰკუა დაკარგოს ამისგან. გეგონება, მთელ ქვეყნიერებას გზა-კვალი აებნაო).

თავადმა ანდრეიმ პირდაპირ თვალეში შეხედა ანა პავლოვნას და ჩაიცინა.

– „*Dieu me la donne, gare à qui la touche*“ („ღმერთმა გვირგვინი მომცა. ვაი იმას, ვინც ხელს ახლებს ამ გვირგვინს!), – თქვა ანდრეიმ (ბონაპარტეს სიტყვები, წარმოთქმული მაშინ, როდესაც მან სამეფო გვირგვინი დაიდგა თავზე), – *On dit qu'il a été très beau en prononçant ces paroles* (ამბობენ, საუცხოო იყო ბონაპარტე ამ სიტყვების წარმოთქმისასო), – დაუმატა მან და ერთხელ კიდევ გაიმეორა, ამჯერად იტალიურად: „*Dio mi la dona, guai a chi la tocca*“.

– *J'espère enfin* (ვიმედოვნებ), – განაგრძო ანა პავლოვნამ, – *que ça a été la goutte d'eau qui fera déborder le verre. Les souverains ne peuvent plus supporter cet homme, qui menace tout* (რომ ეგ, ბოლოს, ის წვეთია, რომელიც ფიალას აავსებს. ხელმწიფეებს აღარ ძალუძთ ამ კაცის ატანა, რომელიც ყოველთვის იმუქრება.

– Les souverains? Je ne parle pas de la Russie (ხელმწიფეებსო? მე რუსეთზე არ მოგახსენებთ), – თქვა ვიკონტმა თავაზიანად და უიმედოდ, – Les souverains, madame? Qu'ont ils fait pour Louis XVI, pour la reine, pour madame Elisabeth? Rien (მაგრამ რა გააკეთეს მათ ლუი XVI-ისთვის, დედოფლისთვის, ელისაბედისთვის? არაფერი), – განაგრძო აღფრთოვანებულმა, – Et croyez-moi, ils subissent la punition pour leur trahison de la cause des Bourbons. Les souverains? Ils envoient des ambassadeurs complimenter l'usurpateur (მერწმუნეთ, ისინი სასჯელს იხდიან ბურბონების საქმის დალატისთვის. ხელმწიფეებო! ისინი ისწრაფვიან ელჩების წარგზავნას სამეფო ტახტის წარმტაცებლის მისასალმებლად).

მან მწარედ ამოიოხრა და კვლავ პოზა გამოიცვალა. თავადმა იპოლიტმა, რომელიც დიდხანს შეჰყურებდა ლორნეტით ვიკონტს, ამ სიტყვებზე უცბად მთელი სხეული პატარა კნიაგინიასკენ იბრუნა, ნემსი სთხოვა და მაგიდაზე კონდეს გერბის ხატვას შეუდგა. ისეთი გამომეტყველებით უხსნიდა ამ გერბის ამბავს, თითქოს თვით კნიაგინიას ეთხოვოს, – ამიხსენიო.

– Bâton de gueules, engrêlé de gueules d'azur – maison Condé (ჯოხზე გამოყვანილ მხეცთა პირდაღებული სახეები, ლაჟვარდოვანი სახეებით შემოხლართული, – აი, კონდეს საგვარეულო გერბი) – წარმოთქვა მან.

კნიაგინია ღიმილით ყურს უგდებდა.

– თუ ბონაპარტე ერთ წელიწადს კიდევ დარჩება საფრანგეთის ტახტზე, – განაგრძო ვიკონტმა დაწყებული საუბარი იმ კაცის გამომეტყველებით, რომელიც სხვას ყურს უგდებს, მაგრამ ისეთ საქმეში, რომელიც მან ყველაზე კარგად იცის, მხოლოდ თავისი აზრების მსვლელობას ადევნებს თვალყურს, – მაშინ საქმე ძალზე შორს წავა. ინტრიგის, ძალმომრეობის, განდევნის, სასჯელის შედეგად სამუდამოდ მოისპობა საზოგადოება! მხედველობაში მყავს საფრანგეთის საუკეთესო საზოგადოება... და მაშინ...

მან მხრები აიჩეჩა და ხელები გაასავსავა. პიერს რაღაც უნდოდა ეთქვა: ლაპარაკი აინტერესებდა, მაგრამ ანა პავლოვნამ, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, აღარ დააცადა.

– იმპერატორმა ალექსანდრემ გამოაცხადა, – წარმოთქვა მან სევდიანად, რაც მუდამ თან სდევდა მის სიტყვებს, როცა საიმპერატორო გვარეულობაზე ლაპარაკობდა, – თვით ფრანგებს მივანდობ მართვა-გამგეობის წესის არჩევასო და ვფიქრობ, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ უზურპატორისგან გათავისუფლებული მთელი ერი კანონიერ მეფეს მიაშურებს, – დაასრულა ანა პავლოვნამ. როგორც დიასახლისი, იგი ცდილობდა, თავაზიანი ყოფილიყო ემიგრანტთანაც და როიალისტთანაც.[8]

– ეგ საეჭვოა, – თქვა თავადმა ანდრეიმ, – Monsieur le vicomte (ბატონო ვიკონტი) სავსებით სამართლიანად ფიქრობს, რომ საქმე ძალზე შორს წავიდა. ჩემი აზრით, მეტად ძნელი იქნება ძველის დაბრუნება.

– რამდენადაც ვიცი, – კვლავ ჩაერია ლაპარაკში გაწითლებული პიერი, – თითქმის მთელი თავადაზნაურობა უკვე გადავიდა ბონაპარტეს მხარეს.

– მაგას ბონაპარტისტები ამბობენ, – თქვა ვიკონტმა ისე, რომ პიერისთვის არც კი შეუხედავს, – ახლა ძნელია საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის გაგება.

– Bonaparte l'a dit (ეგ ბონაპარტემ თქვა), – ჩამოართვა ღიმილით სიტყვა თავადმა ანდრეიმ (ეტყობოდა, ვიკონტი არ მოსწონდა თავად ანდრეის და თუმცა არ უყურებდა, თავის სიტყვებს მაინც მის წინააღმდეგ მიმართავდა).

– „Je leur ai montré le chemin de la gloire“ („მე ვუჩვენე მათ დიდების გზა“), – მცირე სიჩუმის შემდეგ კვლავ გაიმეორა ანდრეიმ ბონაპარტეს სიტყვები: – („ils n'en ont pas voulu; je leur ai ouvert mes antichambres, ils

se sont précipités en foule“... Je ne sais pas à quel point il a eu le droit de le dire („მათ არ მოისურვებს ამ გზით სიარული, მაშინ გავუღე ჩემი დერეფნები; ისე მოაწყდნენ, რომ ტევა აღარ იყო...“ არ ვიცი, რამდენად ჰქონდა ბონაპარტეს ამისი თქმის უფლება.

– Aucun (არავითარი) უფლება არ ჰქონდა, – მიუგო ვიკონტმა, – ჰერცოგის მოკვლის შემდეგ თვით მიკერძოებულთ აღარ მიაჩნიათ იგი გმირად. Si même ça a été un héros pour certaines gens, depuis l’assassinat du duc il y a un Marityr de plus dans le ciel, un héros de moins sur la terre (თუ ზოგიერთის თვალში ოდესმე გმირი იყო, ჰერცოგის მოკვლის შემდეგ ერთი წამებული მიემატა ზეცას, ხოლო ერთი გმირი დააკლდა დედამიწას), – მიმართა მან ანა პავლოვნას.

ვერ მოასწრეს ანა პავლოვნამ და სხვებმა ღიმილით შეეფასებინათ ვიკონტის ეს სიტყვები, რომ პიერი კვლავ შეიჭრა ლაპარაკში, ანა პავლოვნამ უკვე ვედარ მოახერხა მისი შეჩერება, თუმცა წინათგრძნობამ წასჩურჩულა, უთუოდ რაღაც უზრდელობის თქმას აპირებდა.

– ენგინის ჰერცოგის დასჯა, – დაიწყო პიერმა, – სახელმწიფოებრივი აუცილებლობა იყო, და სულის სიდიადეს სწორედ იმაში ვხედავ, რომ ნაპოლეონმა მარტოდმარტომ იკისრა ამ საქციელის პასუხისმგებლობა.

– Dieu! mon Dieu (ღმერთო! ღმერთო ჩემო)! – საშინელი ჩურჩულით ჩაილაპარაკა ანა პავლოვნამ.

– Comment, M. Pierre, vous trouvez que l’assassinat est grandeur d’âme (როგორ, მუსიე პიერ, ნუთუ თქვენ მკვლელობაში ხედავთ სულის სიდიადეს)? – იკითხა ღიმილით პატარა კნიაგინიამ და ხელსაქმე ახლო მიიწია.

– Ah! Oh! – გაისმა აქეთ-იქიდან.

– Capital (საუცხოოა)! – წამოიძახა ინგლისურად თავადმა იპოლიტმა და ხელები მუხლებზე წაიშინა.

ვიკონტმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

პიერმა სათვალის ზემოდან გადახედა მსმენელთ.

– მე იმიტომ მოგახსენებთ ამას, – განაგრძო სასოწარკვეთილმა, – რომ ბურბონები გაექცნენ რევოლუციას, რომ მათ ხალხი ანარქიას ჩაუგდეს ხელში. ნაპოლეონი კი მიხვდა, რას წარმოადგენდა რევოლუცია და დაამარცხა იგი; ამიტომ საერთო კეთილდღეობისთვის ვერ შეჩერდებოდა ერთი ადამიანის სიცოცხლის წინაშე.

– ხომ არ მოისურვებთ იმ მაგიდასთან გადასვლას? – ჰკითხა ანა პავლოვნამ, მაგრამ პიერმა პასუხი არ გასცა და სიტყვა განაგრძო:

– არა, – მიუგო მან და უფრო და უფრო ალეგზნო, – ნაპოლეონი დიდი კაცია, რადგან იგი რევოლუციაზე მაღლა დადგა. მან ბოლო მოუღო რევოლუციის ბოროტმოქმედებებს და შეინარჩუნა ყოველივე კარგი – მოქალაქეთა თანასწორობაც, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებაც – და მხოლოდ ამიტომ მოიპოვა ძალაუფლება.

– დიახ, მას რომ ძალაუფლება ხელში ჩაგდების შემდეგ გამოეყენებინა არა მკვლელობის ჩასადენად, არამედ კანონიერი მეფისთვის გადასაცემად, – თქვა ვიკონტმა, – მაშინ დიდ ადამიანს ვუწოდებდი.

– ნაპოლეონი ვერ ჩაიდენდა მაგას. ხალხმა ძალაუფლება მას მხოლოდ იმისთვის გადასცა, რომ ეხსნა ბურბონებისგან, და კიდევ იმიტომაც, რომ ხალხს დიდ ადამიანად მიაჩნდა. რევოლუცია დიადი საქმე იყო! – თქვა პიერმა და ამ სასოწარკვეთილი, გამომწვევი ჩართული წინადადებით ცხადყო თავისი მეტისმეტი ახალგაზრდობა და სურვილი, რაც შეიძლება ჩქარა გამოეთქვა ყოველივე.

- რევოლუცია და მეფის მკვლელობაა დიადი საქმე?.. ამის შემდეგ... იქნებ მოისურვოთ იმ მაგიდასთან გადასვლა? – გაიმეორა ანა პავლოვნამ.
- Contrat social[9] (საზოგადოებრივი ხელშეკრულება), – მშვიდი ღიმილით წარმოთქვა ვიკონტმა.
- მე მეფის მკვლელობაზე არ მოგახსენებთ. მე იდეებზე ვლაპარაკობ.
- დიახ, ძარცვა-გლეჯის, მკვლელობის, მეფის მკვლელობის იდეებზე, – კვლავ გააწყვეტინა ირონიულმა ხმამ.
- ეგ, რა თქმა უნდა, უკიდურესობა იყო, და არც მნიშვნელობა აქვს! მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებს; და ეს იდეები მთლიანად შეინარჩუნა ნაპოლეონმა.
- თავისუფლება და თანასწორობა, – ზიზღით თქვა ვიკონტმა, თითქოს გადაწყვიტა, სერიოზულად დაუმტკიცოს ამ ჭაბუკს მისი სიტყვების მთელი სისულელეო, – მხოლოდ მყვირალა სიტყვებია, რომლებსაც დიდი ხანია სახელი გაუტყდა. ვის არ უყვარს თავისუფლება და თანასწორობა? ჯერ კიდევ მაცხოვარი ჩვენს ქადაგებდა თავისუფლებას და თანასწორობას. განა რევოლუციის შემდეგ ადამიანები უფრო გაბედნიერდნენ? პირიქით. ჩვენ თავისუფლება გვინდოდა, ნაპოლეონმა კი მოსპო იგი.
- თავადი ანდრეი ღიმილით შეჰყურებდა ხან პიერს, ხან ვიკონტს, ხან დიასახლისს. პირველ წამს პიერის სიტყვებმა თავზარი დასცა ანა პავლოვნას, თუმცა იგი მიჩვეული იყო საზოგადოებას, მაგრამ როცა დაინახა, რომ პიერის საზარელი სიტყვების მიუხედავად, ვიკონტი მოთმინებიდან არ გამოდიოდა, და როცა დარწმუნდა, რომ ამ სიტყვების მიფუჩეჩება უკვე შეუძლებელი იყო, ძალ-ღონე მოიკრიბა, ვიკონტს მიემხრო და ორატორს თავს დაესხა.
- Mais, mon cher m. Pierre (ერთი მითხარით, ჩემო კარგო, მუსიე პიერ), – მიმართა ანა პავლოვნამ პიერს, – განა დიდ კაცად ჩაითვლება ის, ვინც გაუსამართლებლად და უდანაშაულოდ სჯის ჰერცოგს? დავუშვათ, თუნდაც ნუ იქნება ჰერცოგი, იყოს ჩვეულებრივი ადამიანი!
- მე მინდა ვიკითხო, – დაიწყო ვიკონტმა, – როგორ ხსნის 18 ბრიუმერს?[10] განა ეს მოტყუება არ იყო? C'est un escamotage, qui ne ressemble nullement à la manière d'agir d'un grand homme (ეს გახლდათ ოინბაზობა, რომელიც არა ჰგავდა დიდი კაცის მოქმედებას).
- მის მიერ აფრიკაში ამოჟლეტილ ტყვეებზე რაღას იტყვით? – იკითხა პატარა კნიაგინიამ, – საშინელება! – და მხრები აიჩეჩა.
- C'est un roturier, vous aurez beau dire (ვიგინდარაა და სხვა არაფერი), – დაურთო თავადმა იპოლიტმა. მუსიე პიერმა არ იცოდა, ვისთვის გაეცა პასუხი. მან ყველას გადახედა და გაიღიმა, პიერის ღიმილი არ ჰგავდა სხვათა ღიმილს, რომელიც უღიმარ სახეს შეუმჩნევლად დაერთვის ხოლმე. პირიქით, როცა მას ღიმილი მოადგებოდა, ერთბაშად, თვალის დახამხამებაში ქრებოდა სერიოზული და თითქმის მოღუშული გამომეტყველება და ჩნდებოდა სხვა, ბავშვური, კეთილი სახე, თითქოს მოსულელოც კი და პატიების მთხოვნელი.
- ვიკონტისთვის, რომელიც პირველად ხედავდა პიერს, ცხადი გახდა, რომ ეს იაკობინელი სრულიადაც არ იყო ისეთი საშიში, როგორც მისი სიტყვები. ყველანი გაჩუმდნენ.
- მოითმინეთ, ყველას ერთბაშად ხომ ვერ გაგცემთ პასუხს? – წაეშველა თავადი ანდრეი პიერს, – ამასთან, სახელმწიფო კაცის ქცევა-მოქმედებაში უნდა განვასხვაოთ კერძო პირის, სარდლისა თუ იმპერატორის ქცევა-მოქმედება. მე ასე მგონია.
- დიახ, დიახ! რა თქმა უნდა! – დაემოწმა პიერი, გახარებული მოულოდნელი მხარდაჭერით.

– უნდა ვაღიაროთ, – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – რომ ნაპოლეონი, როგორც ადამიანი, დიადია არკოლის ხიდზე, ქალაქ იაფას საავადმყოფოში... მაგრამ არის სხვაგვარი საქციელი, რისი გამართლებაც მნელია.

თავადი ანდრეი, რომელმაც, ეტყობა, პიერის სიტყვის უხერხულობის გაქარწყლება მოისურვა, ფეხზე წამოდგა შინ წასასვლელად და ცოლსაც ანიშნა, ამდგარიყო.

უეცრად თავადი იპოლიტი წამოდგა, ხელით ანიშნა ყველას, დაეცადათ, დამსხდარიყვნენ და დაიწყო:

– Ah! aujourd’hui on m’a raconté une anecdote moscovite, charmante: il faut que je vous en régale. Vous m’excusez, vicomte, il faut que je raconte en russe. Autrement on ne sentira pas le sel de l’histoire (აჰ, დღეს საუცხოო მოსკოვური ანეკდოტი მიაშხეს. უნდა თქვენც გაგიზიაროთ. მაპატიეთ, ვიკონტ, რუსულად უნდა ვილაპარაკო, წინააღმდეგ შემთხვევაში ანეკდოტს მთელი ლაზათი დაეკარგება).

და თავადმა იპოლიტმა დაიწყო რუსულად ისეთი კილოთი, როგორითაც ლაპარაკობენ ერთ წელიწადს რუსეთში ნამყოფი ფრანგები. ყველანი შეჩერდნენ: ისე გაცხოველებითა და დაჟინებით მოითხოვდა თავადი ყურადღებას თავისი ისტორიისადმი.

– Moscou-ში არის ერთი ქალბატონი, une dame და იგი ძალიან ძუნწია. მას უნდოდა ჰყოლოდა ორი valets de pied (მხლებელი მსახური) კარეტაზე. და ზორბე ტანისა. ეს იყო მისი გემო. და იმას ჰყავდა une femme de chambre (შინამოსამსახურე ქალი), უფრო ზორბე ტანისა. იმან უთხრა...

აქ თავადი იპოლიტი შეჩერდა, ეტყობოდა, გაუჭირდა მოფიქრება.

– იმან უთხრა... ჰო, იმან უთხრა: გოგოვ (à la femme de chambre) ჩაიწვი livrée (ლივრეა) და ცამო ჩემთან კარეტაზე, faire des visites (ვიზიტზე წასასვლელად).

აქ თავადმა იპოლიტმა წაიფრუტუნა და გადიხარხარა თავის მსმენელებზე ბევრად უფრო ადრე, რამაც მთხრობელებზე სასარგებლო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მაგრამ ბევრმა, მათ შორის ხნიერმა მანდილოსანმა და ანა პავლოვნამ მაინც გაიღიმა.

– ის ცავიდა. უცხად მოხდა დიდი ქარი. გოგო დაკარგა შლაპა, და გზელი ტმა გაეშალა... და მთელი ქვეყანა გაიგო...

აქ თავადმა თავი ვეღარ შეიკავა, იწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად სიცილი და თან სიცილში ჩაილაპარაკა:

– და აი, მთელმა ქვეყანამ გაიგო...

ამით დასრულდა ანეკდოტი. თუმცა გაუგებარი იყო, რად დასჭირდა ეს ანეკდოტი და რატომ უნდა ეამბნა იგი უსათუოდ რუსულად, მაგრამ ანა პავლოვნამ და სხვებმა მაინც სათანადოდ შეაფასეს თავაზიანობა თავადი იპოლიტისა, რომელმაც ასე საამურად გააქარწყლა მუსიე პიერის უსიამოვნო და არათავაზიანი საქციელი. საუბარი ამ ანეკდოტის შემდეგ წვრილ, უმნიშვნელო თემებზე გადაიტანეს, ლაპარაკობდნენ მომავალ და წინა მეჯლისზე, წარმოდგენაზე, იმაზე, თუ ვინ ვის როლის და სად შეხვდებოდა.

თავი მეხუთე

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ანა პავლოვნას charmante soirée (მომხიბლავი საღამოსთვის) და წასვლა იწყეს.

პიერი ტლანქი იყო. სქელი, ჩვეულებრივზე მაღალი, განზე გაწეული, უზარმაზარი წითური ხელები ჰქონდა. იგი, როგორც იტყვიან, ვერ ახერხებდა სალონში შესვლას და მით უმეტეს იქიდან გამოსვლას.

ესე იგი, ვერ ახერხებდა გამოსვლის წინ რაიმე განსაკუთრებულად საამოს თქმას. გარდა ამისა, პიერი გულმავიწყი იყო. წასვლისას თავის ქუდის მაგიერ ხელი სტაცა გენერლის არშიაშემოვლებულ სამკუთხა ქუდს, ეჭირა და აწიწვნიდა ჯიდას, სანამ გენერალმა არ სთხოვა ქუდის დაბრუნება. მაგრამ მთელ ამ გულმავიწყობას, სალონში შესვლისა და ლაპარაკის არცოდნას გამოსიყიდა ხოლმე მისი სახის გულკეთილი, ალაღმართალი და მოკრძალებული გამომეტყველება. ანა პავლოვნამ პირი მიიბრუნა მისკენ, ქრისტიანული სიმშვიდით გამოხატა სახეზე პატიება მის მიერ ჩადენილ უსაქციელობისთვის, თავი დაუქნია და უთხრა:

– იმედი მაქვს, რომ კვლავაც გნახავთ, მაგრამ იმის იმედით მაქვს აგრეთვე, რომ აზრებს გამოიცვლით, ჩემო ძვირფასო მუსიე პიერ.

პიერმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ დაიხარა და ერთხელ კიდევ დაანახვა ყველას თავისი ღიმილი, რომელიც არაფერს ამბობდა, გარდა შემდეგისა: „აზრი აზრია, მაგრამ ხომ ხედავთ, რა კეთილი და კარგი ადამიანი ვარ“. და ყველამ, მათ შორის ანა პავლოვნამაც, უნებურად იგრძნო ეს.

თავადი ანდრეი წინა ოთახში გავიდა და ზურგი მიუშვირა ლაქიას, რომელმაც წამოსასხამი მოაგდო მხრებზე. იგი გულგრილად უგდებდა ყურს თავისი ცოლის ლაპარაკს თავად იპოლიტთან, რომელიც აგრეთვე დერეფანში გამოსულიყო. თავადი იპოლიტი სანდომიან ფეხმძიმე მანდილოსანთან იდგა და ლორწოვან დაჟინებით შესცქეროდა.

– დაბრუნდით, Annette, გაცივდებით, – ეუბნებოდა გამომშვიდობებისას პატარა კნიაგინია ანა პავლოვნას. – C'est arrêté (მაშ, გადაწყვეტილია), – დაუმატა მან ხმადაბლა.

ანა პავლოვნამ უკვე მოასწრო მოლაპარაკებოდა ლიზის ანატოლისა და პატარა კნიაგინიას მულის გარიგების შესახებ.

– თქვენი იმედი მაქვს, ძვირფასო მეგობარო, – უთხრა ანა პავლოვნამ ასევე ხმადაბლა, – მისწერეთ და მერე მაცნობეთ, comment le père envisagera la chose. Au revoir (როგორ მიიღებს მამა ამ ამბავს, ნახვამდის)! – და ანა პავლოვნა შინ შებრუნდა.

თავადი იპოლიტი პატარა კნიაგინიასთან მივიდა, თავი მისკენ დახარა და ჩურჩულით რაღაცაზე დაუწყო ლაპარაკი.

ორი ლაქია, ერთი კნიაგინიას, მეორე იპოლიტისა, შალით და რედინგოტით[11] ხელში იდგნენ და იცდიდნენ, როდის დაასრულებდა ლაპარაკს თავადი, თანაც სახის ისეთი გამომეტყველებით უგდებდნენ ყურს მათთვის უცნობ, ფრანგულ ენაზე საუბარს, თითქოს ყველაფერი ესმით, მაგრამ არ სურთ ამის გამხელაო. კნიაგინია, როგორც ყოველთვის, ღიმილით ლაპარაკობდა და სიცილით უსმენდა მოსაუბრეს.

– ძალიან მოხარული ვარ, რომ ელჩთან არ წავედი, – ამბობდა თავადი იპოლიტი, – მოწყენილობა იქნებოდა... საუცხოოდ გავატარეთ საღამო, ხომ მართალია?

– ამბობენ, ძალიან კარგი მეჯლისი იქნებო, – მიუგო კნიაგინიამ და პაწაწა ბუსუსიანი ტუჩი ზევით ასწია, – საზოგადოების ყველა ლამაზი ბანოვანი იქ იქნება.

– არა, ყველა არა, რაკი თქვენ იქ არ იქნებით, ყველა არა, – უთხრა მხიარული სიცილით თავადმა იპოლიტმა, მერე გამოსტაცა შალი ლაქიას, ისე, რომ ხელიც კი ჰკრა, და დაუწყო წამოსხმა კნიაგინიას. შალი უკვე მხრებზე ჰქონდა ქალს, მაგრამ უხერხულობით თუ განზრახ (ვერავინ გაარჩევდა ამას), თავადი იპოლიტი ხელებს დიდხანს არ უშვებდა ძირს, თითქოს ეხვევაო ახალგაზრდა ქალს.

კნიაგინია გრაციოზულად, მაგრამ ღიმილით განზე გადგა, შეტრიალდა და ქმარს შეხედა. თავად ანდრეის თვალები დაეხუჭა, იმდენად დაღლილი და ძილმორეული მოჩანდა.

– მზად ხართ? – ჰკითხა მან ცოლს და თვალი შეავლო.

თავადმა იპოლიტმა საჩქაროდ ჩაიცვა რედინგოტი, რომელიც ქუსლებამდე სწვდებოდა. სირბილით და გრძელ რედინგოტში ფეხების ბლანდვით დაედევნა კნიაგინიას, რომელსაც კართან ლაქია უკვე კარეტაში სვამდა.

– Princesse, au revoir (ნახვამდის, პრინცესა)! – ყვიროდა იგი და ისევე ერეოდა ენა, როგორც ფეხები.

კნიაგინიას კაბის კალთა აეწია და ბნელ კარეტაში ჯდებოდა; მისი ქმარი ხმაღს ისწორებდა; თავადი იპოლიტი დახმარების ნაცვლად ყველას ხელს უშლიდა.

– ნება მიბოძეთ, ბატონო, – ცივად და უკმეხად მიმართა თავადმა ანდრეიმ რუსულად თავად იპოლიტს, რომელიც გავლას უშლიდა.

– გელოდები, პიერ, – ალერსიანად და ნაზად გაისმა ისევ თავად ანდრეის ხმა.

ფორეიტორმა[12] კარეტა დაძრა, გაისმა მისი თვლების რახრახი. თავადი იპოლიტი კართან იდგა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად იცინოდა და ელოდა ვიკონტს, რომელსაც სახლში მიყვანას შეჰპირდა.

– Eh bien, mon cher, votre petite princesse est très bien, très bien (უნდა გამოგიტყდეთ, ჩემო ძვირფასო, თქვენი პრინცესა, პატარა კნიაგინია, ძალიან ტურფა რამ არის), – უთხრა ვიკონტმა, როცა იპოლიტთან ერთად კარეტაში ჩაჯდა, – Mais très bien (ძალიან ტურფა რამ არის), – გაიმეორა და ხელის თითები დაიკოცნა, – Et tout à fait française (თანაც ნამდვილი ფრანგი ქალია).

იპოლიტმა წაიფრუტუნა და გაიცინა.

– Et savez-vous que vous êtes terrible avec votre petit air innocent (მერე, ხომ იცით, რა საშინელი ვინმე ხართ, მიუხედავად თქვენი უმანკო გამომეტყველებისა), – განაგრძო ვიკონტმა. – Je plains le pauvre Mari, ce petit officier, qui se donne des airs de prince régnant (მეცოდება საბრალო ქმარი, ბეჩავი ოფიცერი, რომელსაც თავი მთავრად მოაქვს).

იპოლიტმა კვლავ წაიფრუტუნა და სიცილში ჩაილაპარაკა:

– Et vous disiez, que les dames russes ne valaient pas les dames françaises. Il faut savoir s' y prendre (თქვენ კი ამბობდით, რუსი მანდილოსნები ფრანგ ქალებთან რა მოსატანი არიანო. უნდა იცოდეთ, საიდან მოუარო საქმეს).

პიერი თავად ანდრეის ბინაში შინაურივით მივიდა, შევიდა კაბინეტში და მაშინვე, ჩვეულებისამებრ, დივანზე წამოწვა, თაროდან აიღო წიგნი, რაც ხელში მოხვდა (ეს იყო კეისრის დღიურები) და, იდაყვებზე დაყრდნობილი, შეუდგა კითხვას შუა ადგილიდან.

– არა, რა უყავი m-lle შერერს? ახლა უსათუოდ ავად გახდება, – თქვა პატარა, თეთრი ხელების სრესით კაბინეტში შესვლისთანავე თავადმა ანდრეიმ.

პიერი მთელი სხეულით მიტრიალდა, ისე, რომ დივანმა დაიჭრიალა, გამოცოცხლებული სახე ანდრეისკენ იბრუნა, გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

– არა, აბატი ძალიან საინტერესო კაცია. მხოლოდ ისე არ ესმის საქმე... ჩემი აზრით, სამარადისო მშვიდობა შესაძლებელია, მაგრამ მე ვერ ვახერხებ ამის გამოთქმას... შესაძლებელია, მხოლოდ არა პოლიტიკური წონასწორობით...

თავად ანდრეის, ეტყობოდა, არ აინტერესებდა ეს განყენებული ლაპარაკი.

– არ შეიძლება, mon cher (ჩემო კარგო), ყველგან იმის თქმა, რასაც ფიქრობ. რა ქენი ბოლოს, გადაწყვიტე რამე თუ არა? რა იქნები, კავალერგარდი[13] თუ დიპლომატი? – ჰკითხა თავადმა ანდრეიმ მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ.

პიერი ფეხმორთხმით დაჯდა დივანზე.

– წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ არ ვიცი, რა ვიქნები. არც ერთი მომწონს, არც – მეორე.

– კი მაგრამ, ხომ უნდა გადაწყვიტო რამე? მამაშენი პასუხს ელის.

ათი წლის იყო პიერი, როცა გუვერნიორ აბატთან ერთად საზღვარგარეთ გაგზავნეს, სადაც ოც წლამდე დაჰყო. როდესაც მოსკოვში დაბრუნდა, მამამ აბატი დაითხოვა, ხოლო ახალგაზრდა კაცს უთხრა: „ახლა პეტერბურგს წადი, მიიხედ-მოიხედე და აირჩიე რაიმე საქმე, ყველაფერზე თანახმა ვარ. აი, წერილი თავად ვასილისთან, აი ფულიც. მომწერე ყოველივე, ყველაფერში დაგეხმარები“, პიერი სამ თვეს ირჩევდა კარიერას და არაფერს აკეთებდა. სწორედ ამ არჩევანზე ეკითხებოდა ანდრეი. პიერმა შუბლი მოისრისა.

– უთუოდ მასონი იქნება[14], – თქვა პიერმა და ანა პავლოვნასთან გაცნობილი აბატი იგულისხმა.

– ყველაფერი ეგ ბოდვია, – კვლავ გააწყვეტინა თავადმა ანდრეიმ, – სჯობს საქმეზე მოვილაპარაკოთ. იყავი თუ არა ცხენოსან გვარდიაში?

– არა, არ ვყოფილვარ, მაგრამ, აი, რა აზრი მომივიდა და მინდოდა მეთქვა თქვენთვის. ახლა ომია ნაპოლეონის წინააღმდეგ. ეს რომ იყოს ომი თავისუფლებისთვის, გასაგები იქნებოდა, და მე პირველი შევიდოდი სამხედრო სამსახურში. მაგრამ დავეხმარო ინგლისსა და ავსტრიას დედამიწაზე უდიდესი ადამიანის წინააღმდეგ... ეს კარგი არ არის...

თავადმა ანდრეიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა პიერის ბავშვურ ლაპარაკზე. უსიტყვოდ გააგებინა, რომ არ შეიძლება ასეთ სისულელეზე პასუხის გაცემაო. მაგრამ ამ გულუბრყვილო კითხვაზე მართლაც ძნელი იყო სხვა პასუხის გაცემა, გარდა იმისა, რაც თავადმა ანდრეიმ თქვა:

– ყველა რომ თავისი რწმენით ომობდეს, ომი აღარ იქნებოდა.

– აი, სწორედ ეგ იქნება საუცხოო, – მიუგო პიერმა.

თავადმა ანდრეიმ ჩაიციინა.

– იქნებ მართლაც საუცხოო იყოს, მაგრამ ეგ არასოდეს მოხერხდება.

– მითხარით ერთი, რატომ მიდიხართ ომში? – ჰკითხა პიერმა.

– რატომ? არ ვიცი, ასეა საჭირო. გარდა ამისა, მივდივარ... – იგი შეჩერდა, – მივდივარ იმიტომ, რომ ცხოვრება, რომელსაც მე აქ ვატარებ, არ მიზიდავს.

თავი მეექვსე

მეზობელი ოთახიდან ქალის კაბის შრიალი მოისმა. თითქოს გონს მოვიდაო, თავადი ანდრეი შეიშმუშნა, და ისეთივე გამომეტყველება მიიღო, როგორც ანა პავლოვნას სასტუმრო ოთახში ჰქონდა. პიერმა დივნიდან ფეხები დაუშვა. შემოვიდა კნიაგინია. იგი უკვე ახალ, საშინაო, მაგრამ არანაკლებ მოხდენილ ტანისამოსში იყო. თავადი ანდრეი წამოდგა, თავაზიანად მიაგება სავარძელი.

– ხშირად ვფიქრობ ხოლმე, – დაიწყო კნიაგინიამ, როგორც ყოველთვის, ფრანგულად, თან სწრაფად და ფაციფუცით სავარძელში ჩაჯდა, – რატომ ანეტი არ გათხოვდა? რა სულელები ხართ თქვენ ყველანი, messurs (მუსიე), რომ იგი არ შეირთეთ. მაპატიეთ, მაგრამ ქალებისა თქვენ არაფერი გაგეგებათ. რა მოკამათე ყოფილხართ, მუსიე პიერ!

– მე თქვენს ქმარსაც მუდამ ვეკამათები: არ მესმის, რატომ აპირებს ომში წასვლას, – მიმართა პიერმა კნიაგინიას სრულიად დაურიდებლად (რაც ასე ჩვეულებრივია ახალგაზრდა მამაკაცისა და ახალგაზრდა ქალის ურთიერთობაში).

კნიაგინია შეშფოთდა. ეტყობოდა, პიერის სიტყვები გულში მოხვდა.

– აი, სწორედ მეც მაგას ვამბობ! – წამოიძახა მან, – არ მესმის, რატომ არ შეუძლიათ მამაკაცებს უომრად ცხოვრება? რატომ არის, რომ ჩვენ, ქალებს, არაფრის სურვილი არა გვაქვს, არაფერი არ გვინდა? განსაჯეთ, მუსიე პიერ. სულ ვეუბნები: აქ ადიუტანტად არის ბიძაჩემთან, მეტად ბრწყინვალე მდგომარეობაა. ყველა იცნობს, ყველა აფასებს. ამას წინათ აპრაკსინებთან ჩემი ყურით გავიგონე, როგორ იკითხა ერთმა მანდილოსანმა: „c'est ça le fameux prince André?“ – Ma parole d'honneur! („ეგ ცნობილი თავადი ანდრეაო?“ – პატიოსნებას გეფიცებით)! – კნიაგინიამ გაიცინა, – ანდრეი ყველგან მიღებულია. სულ ადვილად შეუძლია ფლიგელ-ადიუტანტიც[15] კი გახდეს. იგი, ხელმწიფე მეტად მოწყალედ ესაუბრა. მე და ანეტმა მოვილაპარაკეთ: სულ ადვილად მოგვარდება ეს საქმე. თქვენ რას იტყვით?

პიერმა თავად ანდრეის შეხედა და რაკი შენიშნა, რომ მის მეგობარს ეს ლაპარაკი არ მოსწონდა, არაფერი არ უპასუხა.

– როდის მიბრძანდებით? – ჰკითხა პიერმა.

– Ah! ne me parlez pas de ce départ, ne m'en parlez pas. Je ne veux pas en entendre parler (ოჰ, ნუ მელაპარაკებით მაგ წასვლაზე, ნუ! არ მინდა მაგ სიტყვების გაგონება), – დაიწყო კნიაგინიამ იმ ცელქური ჟინიანი კილოთი, რომლითაც იგი იპოლიტს ელაპარაკებოდა სასტუმრო ოთახში და რომელიც ასე არ ეგუებოდა იმ ოჯახურ წრეს, სადაც პიერი თითქოს წვერი იყო, – დღეს, როდესაც გავიფიქრე, რომ უნდა შევწყვიტო ეს ძვირფასი ურთიერთობა... მერე იგი André? – მან თვალით ანიშნა ქმარს: – J'ai peur, j'ai peur (მეშინია! მეშინია)! – ჩაიჩურჩულა და მხრები აუცახცახდა.

ქმარი ისე შეჰყურებდა, თითქოს უკვირდა, რომ მასსა და პიერს გარდა, კიდევ სხვა ვიღაც იყო ოთახში; მაინც თავაზიანად, თუმცა ცივად მიმართა ცოლს:

– რისი გეშინია, ლიზა? ვერ გამიგია!

– აი, როგორი ეგოისტები ხართ მამაკაცები, ყველანი, ყველანი! თავისი ჟინის მოსაკლავად თავს მანებებს, მტოვებს, ღმერთმა უწყის, რატომ, მარტოდმარტოს მამწყვდევეს სოფელში.

– მამასა და დასთან, ნუ გავიწყდება, – წყნარად შენიშნა ანდრეიმ.

– სულერთია, მაინც მარტო ვიქნები, ჩემს მეგობრებს მოწყვეტილი... და ამის შემდეგ მეკითხები, რისი გეშინიაო.

მის კილოში უკვე ბუზღუნნი გაისმა. ტუჩი აებზიკა, რამაც სახეს არა სასიხარულო, არამედ მხეცური, ციყვისებური გამომეტყველება მისცა. იგი გაჩუმდა, თითქოს უზრდელობად მიიჩნია პიერთან თავის ორსულობაზე ლაპარაკი, მაშინ, როდესაც საქმე სწორედ ორსულობას შეეხებოდა.

– მაინც ვერ გამიგია, de quoi vous avez peur (რისი გეშინია)? – დინჯად ჩაილაპარაკა თავადმა ანდრეიმ. იგი თვალს არ აშორებდა ცოლს.

წამოწითლებულმა ქალმა ხელები სასოწარკვეთით გაასავსავა.

– Non, André, je dis que vous avez tellement, tellement changé (არა, ანდრე, ძალიან გამოიცვალე, ძალიან)...

– შენმა ექიმმა ადრე დაწოლა გიბრძანა, – მიმართა თავადმა ანდრეიმ, – სჯობს წახვიდე, დაიძინო.

კნიაგინიას ხმა არ ამოუღია, და უეცრად მოკლე, ბუსუსა ტუჩი აუკანკალდა. თავადი ანდრეი ფეხზე წამოდგა, მხრები აიჩეჩა და ოთახში გაიარა.

გაოცებული პიერი სათვალის ზემოდან გულუბრყვილოდ შეჰყურებდა ხან ანდრეის, ხან მის ცოლს; ერთხანს შეტოკდა, დააპირა წამოდგომა, მერე ისევ გადაიფიქრა.

– ჩემთვის სულერთია, რომ მუსიე პიერი აქ არის, – დაიწყო მოულოდნელად პატარა კნიაგინიამ და სანდომიანი სახე უეცრად ცრემლით დაენამა. დიდი ხანია მინდოდა მეთქვა შენთვის, André: რატომ გამოგეცვალა ასე გუნება ჩემზე? რა დაგიშავე? არმიაში მიდიხარ. არ მიბრალე, რატომ?

– Lise! – წარმოთქვა ანდრეიმ, და ამ სიტყვაში თხოვნაც იყო, მუქარაც და, რაც მთავარია, რწმენაც, რომ მის ცოლს სანანებელი გაუხდებოდა თავისი სიტყვები, მაგრამ ქალი სხაპასხუპით განაგრძობდა:

– ისე მეპყრობი, როგორც ავადმყოფს ან ბავშვს. ყველაფერს ვხედავ, განა ასეთი იყავი ნახევარი წლის წინათ?

– Lise, გთხოვთ შეწყვიტოთ ეგ ლაპარაკი! – წარმოთქვა თავადმა ანდრეიმ უფრო მნიშვნელოვნად.

პიერი, რომელიც ამ ლაპარაკის დროს ღელავდა, წამოდგა და კნიაგინიასთან მივიდა. მას, ეტყობოდა, უმძიმდა ცრემლის დანახვა და მზად იყო, თავადაც აცრემლებულიყო.

– დამშვიდდით, თქვენ მხოლოდ გეჩვენებათ ეგ. იმიტომ, რომ, გარწმუნებთ, თავად გამოვცადე... ვინაიდან... რადგანაც რომ... არა, მაპატიეთ, უცხო კაცი აქ ზედმეტია... გთხოვთ, დამშვიდდეთ... მშვიდობით...

თავადმა ანდრეიმ ხელით გააჩერა.

– არა, მოიცა, პიერ. კნიაგინია იმდენ გულკეთილობას გამოიჩენს, რომ არ მომაკლებს სიამოვნებას, შენთან გავატარო საღამო.

– არა, ის მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, – ჩაილაპარაკა კნიაგინიამ, ის აღარ ცდილობდა მწარე ცრემლების შეკავებას.

– Lise! – თქვა მკვახედ თავადმა ანდრეიმ, ამასთან ისეთი კილოთი, რომელიც ცხადყოფდა მის მოთმინებიდან გამოსვლას.

უეცრად კნიაგინიას ლამაზი სახის მწყრალი, ციყვისებური გამომეტყველება შეცვალა მიმზიდველმა და თანაგრძნობის გამომწვევმა შიშნარევმა გამოხედვამ. თავისი საუცხოო თვალებით შუბლქვეშიდან შეხედა ქმარს, და სახეზე გამოეხატა ის მოკრძალებული და მფრთხალი გამომეტყველება, რაც ასე ახასიათებს ძალს, რომელიც სწრაფად, მაგრამ სუსტად იქნევს ძირს დაშვებულ კუდს.

– Mon Dieu, mon Dieu (ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო)! – ჩაილაპარაკა კნიაგინიამ, ცალი ხელით კაბის კალთა აიკრიფა, ქმართან მივიდა და შუბლზე აკოცა.

– Bonsoir, Lise (ღამე მშვიდობისა, ლიზა)! – უთხრა თავადმა ანდრეიმ და, ფეხზე წამომდგარმა, მოკრძალებით, თითქოს უცხოაო, ხელზე აკოცა.

მეგობრები დუმდნენ. არც ერთი, არც მეორე არ იწყებდა ლაპარაკს. პიერი თავად ანდრეის შეჰყურებდა, თავადი ანდრეი პატარა ხელით შუბლს ისრესდა.

– წავიდეთ, ვივანშმოთ, – თქვა მან ამოოხვრით, ფეხზე წამოდგა და კარისკენ გაემართა.

მოხდენილ, ახლად და მდიდრულად მორთულ სასადილო ოთახში შევიდნენ. ყველაფერი, დაწყებული ხელსახოცებით და დამთავრებული ვერცხლით, ქაშანურითა და ბროლით, სიახლის განსაკუთრებულ ბეჭედს ატარებდა, რაც ასე ახასიათებს ახალგაზრდა მეუღლეთა ოჯახს. შუა ვანშმობისას თავადი ანდრეი იდაყვს დაეყრდნო და იმ კაცივით, რომელსაც გულში რაღაც უდევს და რომელმაც უეცრად გადაწყვიტა ყველაფერი თქვას, ნერვიული გაღიზიანებით, რა მდგომარეობაშიც პიერს არასოდეს უნახავს თავისი მეგობარი, დაიწყო:

– ნურასოდეს, ნურასოდეს ნუ შეირთავ ცოლს, ჩემო მეგობარო! აი, ჩემი რჩევა. ნუ შეირთავ იმ დრომდე, სანამ არ ეტყვი შენს თავს – გავაკეთე ყველაფერი, რისი გაკეთებაც შემეძლოო. და იმ დრომდე, სანამ არ გაგიქრება იმ ქალის სიყვარული, რომელსაც აირჩევ, სანამ ცხადად და ნათლად არ დაინახავ მას, თორემ შეცდები სასტიკად და ველარაფრით გამოასწორებ, შეირთე ცოლი მოხუცმა, როცა ყოვლად უვარგისი ხდები... თორემ დაგელუპება ყველაფერი. რაც შენში კარგი და მაღალია, ყველაფერი წვრილმანებზე დაიხარჯება. დიახ, დიახ, დიახ, ნუ მიყურებ მაგრე გაცოცხლებული. თუ ვინცობაა მომავალში რაიმეს იმედი გაქვს, მაშინ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობ, რომ შენთვის ყველაფერი დამთავრებულია, ყველა გზა დახშულია, სასტუმრო ოთახს გარდა, სადაც გატოლებული იქნები სამეფო კარის ლაქიასთან და იდიოტთან... დიახ...

და ხელი ენერგიულად გააქნია.

პიერმა სათვალე მოიხსნა, რის გამოც სახე შეეცვალა, – უფრო მეტი გულკეთილობა გამოეხატა. იგი გაკვირვებული შეჰყურებდა მეგობარს.

– ჩემი ცოლი, – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – საუცხოო ქალია. იგი ერთი იმ იშვიათ მანდილოსანთაგანია, რომელიც პატიოსნებას არ შეგიბღალავს და ამ მხრივ შეგიძლია დამშვიდებული იყო. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რას არ მივცემდი ამჟამად, ოღონდ უცოლო ვყოფილიყავი. ამას მარტო შენ გეუბნები, იმიტომ, რომ მიყვარხარ.

როდესაც თავადი ანდრეი ამას ლაპარაკობდა, წინანდელზე უფრო ნაკლებად ჰგავდა იმ ბოლკონსკის, რომელიც ანა პავლოვნას სავარძელში გადასვენებული, პირმოკუმული და თვალბმოჭუტული ფრანგულ ფრაზეებს წარმოთქვამდა. ხმელი სახე მთლიანად უკანკალებდა ნერვიული დამაბულობისგან. თვალები, რომლებშიც წინათ თითქოს სიცოცხლე ჩამქრალიყო, ახლა უვარვარებდა და უკაშკაშებდა. ამკარად ეტყობოდა, რაც უფრო უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა იგი ჩვეულებრივ, მით უფრო ენერგიული იყო გაღიზიანების დროს.

– შენ არ გესმის, რატომ ვამბობ ამას, – განაგრძო მან, – ეს ხომ ცხოვრების მთელი ისტორიაა. შენ ამბობ: ბონაპარტე და მისი კარიერაო, – მიმართა თავადმა ანდრეიმ, თუმცა პიერს ბონაპარტეზე სიტყვაც არ დასცდენია, – შენ ამბობ, ბონაპარტეო, მაგრამ ბონაპარტე მუშაობის დროს განუხრელად მიდიოდა თავისი მიზნისკენ. იგი თავისუფალი იყო, თავისი მიზნის გარდა არაფერი აწუხებდა, და მიაღწია კიდეც! მაგრამ თუ ქალს გადაეკიდე, დაკარგავ ყოველგვარ თავისუფლებას, როგორც ხელფეხშეზოკილი პატიმარი. ყოველივე, რაც შენში მოიპოვება – იმედი და ძალ-ღონე, ლოდივით დაგაწვება და სინანულად გადაგექცევა. სადარბაზო ოთახები, ჭორები, მეჯლისები, მედიდურება, არარაობა – აი, ის მოჯადოებული წრე, საიდანაც თავი ვერ დამიღწევია.. მე ახლა ომში მივდივარ, უდიდეს ომში, როგორსაც კი ოდესმე ადამიანი მოსწრებია. მაგრამ არაფერი ვიცი და არაფრისთვის ვვარგევარ. Je suis très aimable et très caustique (მე მშვენიერი მოლაყბე ვარ), – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – და ანა პავლოვნასთან გულისყურით მისმენდნენ. ეს სულელური საზოგადოება, ურომლისოდაც ჩემს ცოლს ცხოვრება არ შეუძლია, და ეს ქალები... შენ რომ იცოდე, რას წარმოადგენენ

toutes les femmes distinguées (ეს პატიოსანი ქალები) და საერთოდ ქალები! მართალია მამაჩემი. ეგოიზმი, თავმომწონობა, გონების სიჩლუნგე, არარაობა – აი, რანი არიან ქალები, როდესაც დაგენახვებიან იმად, რასაც ისინი ნამდვილად წარმოადგენენ. შეხედე საზოგადოებაში მათ და გგონია, თითქოს რაღაც არისო მათში, მაგრამ ვერაფერს, ვერაფერს ვერ დაინახავ. ნუ, ნუ შეირთავ, ჩემო კარგო, ცოლს, – დაამთავრა სიტყვა თავადმა ანდრეიმ.

– სასაცილოა, – თქვა პიერმა, – რომ თქვენ თქვენი თავი, დიახ, თქვენი თავი უნიჭოდ მიგაჩნიათ, ხოლო თქვენი ცხოვრება – წახდენილ ცხოვრებად. თქვენ ყველაფერი, ყველაფერი წინ გელით და...

მას არ უთქვამს, რა ხართ თქვენო, მაგრამ კილო უკვე ცხადყოფდა, თუ რაოდენ აფასებდა იგი მეგობარს და რა ბევრ რამეს მოელოდა მისგან მომავალში.

„როგორ ამბობს ამას!“ – გაიფიქრა პიერმა. პიერს თავადი ანდრეი სწორედ იმიტომ მიაჩნდა უნაკლო ადამიანად, რომ იგი დაჯილდოებული იყო ყველა იმ თვისებით, რასაც მოკლებული იყო თავად პიერი და რასაც ყველაზე უკეთ გამოხატავს ცნება – ნების სიმტკიცე. პიერს მუდამ აკვირვებდა თავად ანდრეის ის უნარი, თუ როგორ წყნარად და მშვიდად ეპყრობოდა იგი სხვადასხვა ჯურის ადამიანებს, აკვირვებდა მისი არაჩვეულებრივი მეხსიერება, ნაკითხობა (კითხულობდა ყველაფერს, იცოდა ყველაფერი, წარმოდგენა ჰქონდა ყველაფერზე), ყველაზე მეტად კი მუშაობისა და სწავლის უნარი. პიერს ხშირად აოცებდა ის, რომ ანდრეი მოკლებული იყო ფილოსოფიური მეოცნებეობის უნარს (რისი დიდი მიდრეკილებაც თავად პიერს ჰქონდა), მაგრამ ესეც არა ნაკლად, არამედ მის ძალად მიაჩნდა.

საუკეთესო, მეგობრულ და უბრალო ურთიერთობაში პირფერობა ან ქება ისევე აუცილებელია, როგორც საპნის წასმა ურმის თვალისთვის.

– Je suis un homme fini (მე გათავებული კაცი ვარ), – თქვა თავადმა ანდრეიმ, – არ ღირს ჩემზე ლაპარაკი, მოდი, შენზე ვილაპარაკოთ, – დაუმატა მან სიჩუმის შემდეგ, როცა თავის მანუგეშებელ აზრებს გაუღიმა.

ეს ღიმილი იმავე წუთს პიერის სახეზე აღიბეჭდა.

– რა უნდა ვილაპარაკოთ ჩემზე? – უპასუხა პიერმა და უზრუნველად, მხიარულად გაიღიმა, – რა ვარ მე? Je suis un bâtard (უკანონო შვილი)! – და უცებ ძალზე გაწითლდა. ეტყობოდა, თავს ძალა დაატანა, რომ ეს სიტყვები წარმოეთქვა, – Sans nom, sans fortune (არც სახელი გამაჩნია, არც ქონება)... თუმცა რა... – მაგრამ ის კი არ უთქვამს მაინც რა, – ჯერჯერობით თავისუფალი ვარ და კარგად ვგრძნობ თავს. არ ვიცი მხოლოდ, რას მოვკიდო ხელი. მინდა სერიოზულად მოველაპარაკოთ და რჩევა გკითხოთ.

თავადი ანდრეი კეთილი თვალებით შეჰყურებდა პიერს. მაგრამ ამ შეხედვაში, მეგობრულ, ალერსიან შეხედვაში მაინც საკუთარი უპირატესობის შეგნება ეხატებოდა.

– შენ ჩემთვის ძვირფასი ხარ. მეტადრე იმიტომ, რომ ერთადერთი ცოცხალი ადამიანი ხარ მთელ ჩვენს საზოგადოებაში. კარგად გრძნობ თავს. აირჩიე, რაც გინდა. სულერთია, ყველგან კარგი იქნები. მაგრამ ერთი რამ კი გახსოვდეს: თავი დაანებე კურაგინთან სიარულს, ხელი აიღე მაგ ცხოვრებაზე. არ შეგშვენის ეგ ქეიფი, ჰუსარობა, ყველაფერი ეს...

– Que voulez-vous, mon cher (რას იზამ, ჩემო კარგო), – უთხრა პიერმა და მხრები აიჩეჩა. – les femmes, mon cher, les femmes (ქალები, ჩემო კარგო, ქალები)!

– არ მესმის, – მიუგო ანდრეიმ, – Les femmes comme il faut (მოწესრიგებული ქალები) სულ სხვა საქმეა, მაგრამ les femmes (ქალები) კურაგინისა, les femmes et le vin (ქალები და ღვინო ვერ გამიგია)!

პიერი თავად ვასილი კურაგინთან ცხოვრობდა და მოწმე იყო მისი შვილის, ანატოლის თავაწყვეტილი ქეიფებისა, სწორედ იმ ანატოლის, რომელსაც გამოსასწორებლად თავად ანდრეის დას უპირებდნენ შერთვას.

– იცი რა? – თქვა პიერმა, თითქოს ერთბაშად ბედნიერი აზრი დაეხადაო, – დამიჯერეთ, დიდი ხანია ვფიქრობ მაგაზე, ასეთი ცხოვრების გადამკიდეს ვერაფერი ვერც გადამიწყვეტია, ვერც მომიფიქრებია. თავი მტკივა, ფული არა მაქვს. დღეისთვისაც მეძახდა, მაგრამ არ წავალ.

– მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ არ ივლი მასთან.

– გეფიცები!

უკვე მეორე საათი იქნებოდა, როცა პიერი თავის მეგობარს განშორდა. ივნისის ღამე იყო, პეტერბურგის უბინდო ღამე. პიერი დაქირავებულ ეტლში ჩაჯდა იმ განზრახვით, რომ შინ წასულიყო. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო გრძნობდა, რომ არ დაეძინებოდა იმ ღამეს, რომელიც მწუხრს ან დილას უფრო ჰგავდა. დაცარიელებულ ქუჩებში თვალი შორს სჭრიდა. პიერს გაახსენდა, რომ ამ საღამოს ანატოლი კურაგინთან უნდა შეკრებილიყო ბანქოს მოთამაშე ჩვეულებრივი საზოგადოება. ბანქოს თამაშის შემდეგ იმართებოდა სმა, რაც პიერის ერთ-ერთი საყვარელი გართობით მთავრდებოდა.

„კარგი იქნება კურაგინთან შევიარო“, – გაიფიქრა პიერმა და მაშინვე გაახსენდა თავად ანდრეისთვის მიცემული სიტყვა, რომ კურაგინთან აღარ ივლიდა.

მაგრამ იმავე წუთს, როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე, ეგრეთ წოდებულ უნებისყოფო ადამიანებს, პიერს ისე მოუნდა ერთხელ კიდევ განეცადა მისთვის ესოდენ ცნობილი ფუქსავატური ცხოვრება, რომ გადაწყვიტა კურაგინთან წასვლა და მაშინვე დაასკვნა, რომ მიცემული ფიცი არაფერს ნიშნავს, რადგან თავად ანდრეიზე ადრე მან თავად ანატოლს მისცა სიტყვა, რომ ესტუმრებოდა. ბოლოს პიერმა გაიფიქრა, რომ ეს პატიოსანი სიტყვები მხოლოდ პირობითი ნიშნებია, რომელთაც არავითარი განსაზღვრული აზრი არა აქვთ, მეტადრე თუ ვიფიქრებთ, რომ ხვალ შეიძლება ის მოკვდეს ან გადაეკიდოს ისეთ არაჩვეულებრივ რამეს, რომ აღარ იყოს აღარც პატიოსანი, აღარც უპატიოსნო. ასეთი მსჯელობით, რაც მთლად სპობდა მის გადაწყვეტილებებსა და განზრახვებს, ხშირად იქარვებდა გულს პიერი. იგი კურაგინთან წავიდა.

როდესაც ეტლი ცხენოსან გვარდიელთა ყაზარმებთან დიდ სახლს მიადგა, სადაც ანატოლი ცხოვრობდა, პიერი განათებულ პარმაღზე ავიდა, მერე კიბეზე და, ბოლოს, ღია კარში შევიდა. წინა ოთახში არავინ იყო: ეყარა დაცლილი ბოთლები, წამოსასხამები, კალოშები; იდგა ღვინის სუნი, შორიდან მოისმოდა ლაპარაკი და ყვირილი.

ბანქოს თამაში და ვახშამი უკვე დაესრულებინათ, მაგრამ სტუმრები ჯერ არ დაშლილიყვნენ. პიერმა წამოსასხამი გადაიგდო და პირველ ოთახში შევიდა, სადაც სუფრა ჯერ არ აელაგებინათ. ერთი ლაქია ჩუმად სვამდა ჭიქებში ჩარჩენილ ღვინოს, ალბათ ეგონა, ვერავინ მხედავსო. მესამე ოთახიდან მოისმოდა ღრიანცელი, ხარხარი, ყვირილი და დათვის ბდღვინვა. რვა ახალგაზრდა კაცი, შეურევბული, ღია ფანჯარასთან შეჯგუფებულიყო. სამი დათვის ბოკვერთან ფუსფუსებდა, რომელსაც ერთი მათგანი ჯაჭვით დაათრევდა და მეორეს აშინებდა.

– მოდის სანაძლეო! მე სტივენსზე ასს ვდებ! – ყვიროდა ერთი.

– ჰა, ხელი არ მიაშველო! – ყვიროდა მეორე.

– არა, დოლოხოვი მოიგებს! – გაიძახოდა მესამე, – გაჭერი, კურაგინ!

– ხელი უშვით დათუნას, აქ სანამღეოა.

– სულმოუთქმელად, თორემ წააგებ! – იძახდა მეოთხე.

– იაკობ! მოიტა ბოთლი, იაკობ! ყვიროდა სტუმრებს შორის ჩამდგარი მასპინძელი, მაღალი, ლამაზი კაცი, რომელსაც შუა მკერდზე გადაეღება სუფთა პერანგი, – მოითმინეთ, ბატონებო! აი, პეტრუშა, ძვირფასი მეგობარი, – მიუბრუნდა იგი პიერს.

გაისმა მეორე ხმა, ნათელი ცისფერთვალა, არცთუ მაღალი ტანის კაცისა, რომელიც ამ მთვრალთა შორის აოცებდა ადამიანს თავისი ფხიზელი გამომეტყველებით და რომელმაც ფანჯრიდან დაიძახა:

– მოდი აქ, გაჭერი სანამღეო!

ეს იყო დოლოხოვი, სემიონოვსკის პოლკის ოფიცერი, ცნობილი ყომარბაზი და ჩხუბისთავი.

ტუჩებზე ღიმილმომდგარი პიერი მხიარულად იცქირებოდა აქეთ-იქით.

– არაფერი მესმის, რა ამბავია? – იკითხა მან.

– მოიცათ, მოიცათ, პიერი მთვრალი არ არის. მომაწოდეთ ბოთლი! – დაიძახა ანატოლმა, მაგიდიდან ჭიქა აიღო და პიერთან მივიდა.

– პირველ ყოვლისა, დალიე!

პიერი შეუდგა სმას, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, ქვემ-ქვემ გაჰყურებდა გაღებულ სტუმრებს, რომელნიც კვლავ შეჯგუფდნენ ფანჯარასთან და ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს. ანატოლი უსხამდა ღვინოს და უამბობდა, რომ დოლოხოვმა სანამღეო დადო იქვე მყოფ ინგლისელ სტივენსონთან, მეზღვაურთან, იმაზე, რომ ის, დოლოხოვი, მესამე სართულის ფანჯარაზე მჯდომარე და გარეთ ფეხებგადაკიდებული, რომით სავსე ბოთლს დაცლისო.

– ბარემ გამოცალე, არ გაგიშვებ, – უთხრა ანატოლმა პიერს და უკანასკნელი ჭიქა მიაწოდა.

– არა, აღარ მინდა, – მიუგო პიერმა, ხელი ჰკრა ანატოლს და ფანჯარასთან მივიდა.

დოლოხოვს ინგლისელისთვის ხელი წაეწყო. იგი მკაფიოდ, გარკვევით უხსნიდა სანამღეოს პირობებს, თან უმთავრესად ანატოლს და პიერს მიმართავდა.

დოლოხოვი საშუალო ტანის კაცი იყო; თმახუჭუჭა, მხიარული, ცისფერთვალა. იქნებოდა ოცდახუთი წლისა. უღვაშს არ ატარებდა, როგორც ქვეითი ჯარის ყველა ოფიცერი, პირის ხაზები მეტად ნაზად ჰქონდა მოღუნული. ზედა ტუჩი შუა ადგილას მახვილი სოლივით ენერგიულად ეშვებოდა მკვრივ ქვედა ტუჩზე და კუთხეებში მუდამ ჩნდებოდა ორი ღიმილისმაგვარი რამ, თითო-თითო ორივე მხარეს; და ყველაფერი ეს ერთად, მეტადრე მტკიცე, ურცხვ, ჰკვიანურ გამოხედვასთან შეერთებული, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ შეუძლებელი იყო ეს სახე არ შეგემჩნიათ. დოლოხოვი ხელმოკლე კაცი იყო, ყოველგვარ გავლენიან ნაცნობობას მოკლებული და თუმცა ანატოლი ათიათასობით ხარჯავდა, მასთან მცხოვრებ დოლოხოვს ისე ეჭირა თავი, რომ ნაცნობები უფრო მეტ პატივს დოლოხოვს სცემდნენ, ვიდრე ანატოლს. დოლოხოვმა იცოდა ბანქოს ყოველგვარი თამაში და თითქმის ყოველთვის იგებდა. რამდენიც უნდა დაეღია, გონებას არასოდეს დაკარგავდა. კურაგინიც და დოლოხოვიც იმხანებში შესანიშნავ კაცებად ითვლებოდნენ პეტერბურგელ მოქეიფეებსა და გიჟმაჟებს შორის.

მოიტანეს რომით სავსე ბოთლი; ჩარჩოს, რომელიც ფანჯრის გარეთა დაქანებაზე დაჯდომის საშუალებას არ იძლეოდა, ორი ლაქია ამტვრევდა; ისინი, გარს შემოხვეული ბატონების რჩევისა და ყვირილისგან დამფრთხალნი, ჩქარობდნენ.

გამარჯვებული შესახედაობის ანატოლი ფანჯარასთან მივიდა. უნდოდა დაეღეწა რამე. ლაქიებს ხელი ჰკრა და ჩარჩოს დაეჯაჯგურა. მაგრამ ვერა დააკლო რა. მხოლოდ მინა გატეხა.

– აბა, შენ სცადე, დევგმირო, – მიმართა მან პიერს.

პიერმა ხელი დასტაცა კადონს და ისე მოსწია, რომ მუხის ჩარჩო ზოგან დაიღეწა, ზოგად ამოვარდა.

– მთლად მოაშორეთ, თორემ იფიქრებენ, მოეჭიდაო, – თქვა დოლოხოვმა.

– ინგლისელი იკვებნის, ხომ?.. კეთილი და პატიოსანი! – წამოიძახა ანატოლმა.

– კეთილი და პატიოსანი, – გაიმეორა პიერმა და შეხედა დოლოხოვს, რომელიც ბოთლით ხელში ფანჯრისკენ გაემართა. ფანჯრიდან მოჩანდა ცის სინათლე და მასზე შეერთებული დაისისა და აისის შუქი.

დოლოხოვი რომის ბოთლით ხელში ფანჯრის რაფაზე შეხტა.

– სმენა იყოს! – დაიყვირა მან, რაფაზე მდგომმა, და ოთახში მყოფთ მიმართა.

ყველა გაჩუმდა.

– სანადლეოს ვდებ (ფრანგულად ლაპარაკობდა, რათა ინგლისელს გაეგო, თუმცა ამ ენაზე არცთუ იმდენად კარგად მეტყველებდა), სანადლეოს ვდებ ორმოცდაათ იმპერიალზე, იქნებ ასზე გნებავთ? – მიმართა მან ინგლისელს.

– არა, ორმოცდაათზე, – მიუგო ინგლისელმა.

– კეთილი, ორმოცდაათ იმპერიალზე, ვდებ სანადლეოს, რომ მთლად დავლევ ერთ ბოთლ რომს, დავლევ ამოუსუნთქავად, პირიდან მოუშორებლად, ფანჯრის იქით მჯდომარე, აი, ამ ადგილას (დაიხარა და ფანჯრის იქით კედლის დაქანებულ განაშვერზე მიუთითა). ამასთან, არაფერს ხელს არ წავავლებ... ასეა ხომ?

– ძალიან კარგი, – თქვა ინგლისელმა.

ანატოლმა პირი ინგლისელისკენ მიიბრუნა, ფრაკის ღილში ხელში ჩაავლო და დაიწყო ინგლისურად სანადლეოს პირობების განმეორება. თან ზევიდან ქვევით დაჰყურებდა ინგლისელს (ინგლისელი დაბალი ტანის კაცი იყო).

– მოიცა! – დაიყვირა დოლოხოვმა და ბოთლი ფანჯარას შემოჰკრა, რათა ყურადღება მიექცია, – მოიცა, კურაგინ! მომისმინეთ! თუ ვინმე მოიმოქმედებს ამასვე, ვიხდი ას იმპერიალს, ხომ გესმით?

ინგლისელმა თავი დაუქნია, მაგრამ კაცი ვერ გაიგებდა, ფიქრობდა თუ არა იგი ამ ახალი სანადლეოს მიღებას, ანატოლი ხელს არ უშვებდა ინგლისელს და თუმცა ინგლისელი თავს იქნევდა და ამით ეუბნებოდა, ყველაფერი გავიგეო, იგი მაინც უთარგმნიდა ინგლისურად დოლოხოვის სიტყვებს. ახალგაზრდა, ხმელ-ხმელი ყმაწვილი, ლეიბ-ჰუსარი, რომელმაც ამ საღამოს საკმაოდ წააგო. ფანჯარაზე აცოცდა, თავი გარეთ გაყო და ძირს ჩაიხედა.

– უ-უ-უ! – ჩაილაპარაკა მან, როდესაც ფანჯრიდან ტროტუარის ქვები დაინახა.

– აბა, წყნარად! – დაიყვირა დოლოხოვმა და ფანჯრიდან გადმოათრია ოფიცერი, რომელსაც დეზებინი ფეხები გაებლანდა და უხერხულად გადმოეშვა იატაკზე.

დოლოხოვმა ბოთლი რაფაზე დადგა, რომ უფრო ადვილად მისწვდომოდა, მერე ფრთხილად და წყნარად ფანჯარაში გაძვრა, ხელები აქეთ-იქით ფანჯრის კედლებს მიაბჯინა, დაჯდა, ფეხები გარეთ გადაუშვა, წონასწორობა მოსინჯა, ხელები კედლებს მოაშორა, მიიწია მარჯვნივ, მერე მარცხნივ, და

ბოთლი აიღო. ანატოლმა ორი სანთელი მიიტანა და რაფაზე დადგა, თუმცა უკვე მთლად გათენებულიყო. დოლოხოვის თეთრპერანგიანი ზურგი და ხუჭუჭა თავი ორივე მხრიდან ნათლად მოჩანდა. ყველა ფანჯარასთან მოგროვდა, ინგლისელი სხვებზე წინ იდგა. პიერი იღიმებოდა და არაფერს ამბობდა. ერთმა შეშინებულმა და გაჯავრებულმა, სხვებზე ხნიერმა დამსწრეთაგანმა უცერად წინ გაიწია, რათა ხელი ეტაცა დოლოხოვის პერანგისთვის.

– ბატონებო, უგუნურებაა, გადაიჩეხება! – წამოიძახა ამ სხვებზე უფრო კეთილგონიერმა ადამიანმა.

ანატოლმა შეაჩერა.

– ხელს ნუ ახლებ, შეაშინებ. გადაიჩეხება, მერე?.. მერე რაღას ვიზამთ, ჰა?

დოლოხოვმა პირი მიიბრუნა, შესწორდა და კვლავ ხელები გაშალა.

– თუ კიდევ ვინმე მომეკარება, – თქვა მან ნაწყვეტ-ნაწყვეტად, – მაშინვე, აი, აქედან გადავუძახებ! აბა!..

როგორც კი თქვა „აბა!“, კვლავ იბრუნა პირი, ხელები დაუშვა, ბოთლი აიღო, პირთან მიიტანა, თავი უკან გადაიგდო და წონასწორობის დასაცავად თავისუფალი ხელი ზევით აიშვირა. ერთ-ერთი ლაქია, რომელიც ის-ის იყო, მინის ნამსხვრევების აკრეფას შეუდგა, წინწახრილი შეჩერდა. იგი თვალს არ ამორებდა ფანჯარასა და დოლოხოვის ზურგს. ანატოლი თვალდაჭყეტილი და გაჭიმული იდგა. ტუჩებგამვერილი ინგლისელი გვერდიდან შეჰყურებდა. ის, ვინც დოლოხოვის შეჩერებას შეეცადა, ოთახის კუთხისკენ გაქანდა, დივანზე წამოწვა და პირი კედელს მიუშვირა. პიერმა ხელები სახეზე მიიფარა, ტუჩებზე სუსტი ღიმილი შერჩა, თუმცა ეს ღიმილი ახლა ზარსა და შიშს გამოხატავდა. ყველა დუმდა. პიერმა თვალებიდან ხელები მოიშორა. დოლოხოვი იმავე მდგომარეობაში იჯდა, მხოლოდ თავი უკან გადაეგდო. ასე რომ, ხუჭუჭა თმა პერანგის საყელოს სწვდებოდა და ბოთლიანი ხელი კანკალით უფრო და უფრო ზევით მიიწევდა, ბოთლი თანდათან იცლებოდა და ზევით ადიოდა. ხოლო თავი უფრო მეტად იხრებოდა უკან. „რა ამბავია, რატომ გაჭიანურდა ასე?“ – გაიფიქრა პიერმა. მოეჩვენა, თითქოს ნახევარი საათი გასულიყო. უცერად დოლოხოვმა ზურგით უკან დაიხია. იმავე დროს ხელი ნერვიულად აუკანკალდა; ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამოდრავებულიყო გარეთა დაქანებაზე მდგარი მთელი სხეულით. იგი კვლავ შეინძრა და უფრო მეტად აუკანკალდა ხელი და თავი. ცალი ხელი ასწია, რომ რაფას ჩასჭიდებოდა, მაგრამ ისევ დაუშვა. პიერმა კვლავ დახუჭა თვალები და სიტყვა მისცა თავს, აღარ გაეხილა. ერთბაშად იგრძნო, რომ ირგვლივ ყველაფერი ამოდრავდა. თვალი გაახილა: დოლოხოვი რაფაზე იდგა, სახეგაფითრებული და მხიარული.

– ცარიელია!

და დოლოხოვმა ბოთლი ინგლისელს გადაუგდო, რომელმაც მარჯვედ დაიჭირა იგი, დოლოხოვი ფანჯრიდან გადმოხტა. პირიდან რომის სუნი ამოსდიოდა.

– საუცხოოა! ყოჩაღ, ბიჭო! აი, სანამლეო ეს არის! ეშმაკმა იცის თქვენი თავი! – ყვიროდნენ აქეთ-იქიდან.

ინგლისელმა საფულე ამოიღო და ფული გადათვალა. მოღუშული დოლოხოვი დუმდა. პიერი ფანჯარაზე შეხტა.

– ბატონებო! ვის უნდა სანამლეო? მეც დავლევ, – უცბად დაიძახა მან, – არც არის საჭირო სანამლეო, უბრძანე, ბოთლი მომიტანონ! მეც ვიზამ... უბრძანე, მომიტანონ...

– გაუშვი, გაუშვი! – დაიძახა ღიმილით დოლოხოვმა.

– რამ გაგაგიჟა? ვინ გაგიშვებს? შენ კიბეზედაც თავბრუ გესხმის! – შესძახეს ყოველი მხრიდან.

– დავლევ, მომეცი ბოთლი! – დაიყვირა პიერმა, მთვრალი კაცივით მაგრად დაჰკრა ხელი მაგიდას და ფანჯრისკენ გაიწია.

ხელი სტაცეს, მაგრამ პიერი იმდენად ღონიერი იყო, რომ შორს გასტყორცნა ყველა, ვინც კი მიუახლოვდა.

– არა, მაგრე ვერ დაიყოლიებთ, – თქვა ანატოლმა, – დამაცადეთ, ხელად მოვატყუებ. გამიგონე, დაგენადმლევები, მხოლოდ ხვალ, ახლა კი ყველანი ...-თან წავიდეთ.

– წავიდეთ! – დაიძახა პიერმა, – წავიდეთ... დათუნიაც თან წავიყვანოთ...

და ხელი სტაცა დათვს, მოეხვია, ასწია და დაიწყო მასთან ერთად ოთახში ტრიალი.

თავი მეშვიდე

თავადმა ვასილიმ კნიაგინია დრუბეცკაიას შეუსრულა დაპირება, მიცემული ანა პავლოვნას სადამოხე, მისი ერთადერთი შვილის, ბორისის შესახებ. ხელმწიფეს მოახსენეს ამ ბორისზე, და იგი, გამონაკლისის სახით, გადაიყვანეს გვარდიაში სემიონოვსკის პოლკის პრაპორშჩიკად. მაგრამ კუტუზოვის ადიუტანტად ან მის მხლებლად ბორისი არ დაუნიშნავთ, მიუხედავად ანა მიხაილოვნას ხრიკებისა და მეცადინეობისა. არ გასულა დიდი ხანი ანა პავლოვნას სადამოს შემდეგ, რომ ანა მიხაილოვნა მოსკოვს დაბრუნდა, თავის მდიდარ ნათესავებთან, როსტოვებთან, ვისთანაც იმყოფებოდა, ვისთანაც ბავშვობიდან იზრდებოდა და წლობით ცხოვრობდა მისი სათაყვანებელი ბორენკა, ახლახან არმიის პრაპორშჩიკად დანიშნული და უმაღლვე გვარდიის პრაპორშჩიკად გადაყვანილი. გვარდია 10 აგვისტოს უკვე გავიდა პეტერბურგიდან და მოსკოვში სამხედრო ტანისამოსისთვის დარჩენილი ბორისი, რადივილოვის გზაზე უნდა დასწეოდა.

როსტოვებთან ნატალიას დღეობა იყო, დედისა და უმცროსი ქალიშვილის დღეობა. დილიდანვე არ შეწყვეტილა ოთხ და ექვსცხენიანი ეტლების ხმაური პოვარსკაიას ქუჩაზე, გრაფ როსტოვის მეუღლის დიდი სახლის წინ, რომელსაც მთელი მოსკოვი იცნობდა. ეტლებს მოჰყავდათ და მოჰყავდათ მომლოცავები. სასტუმრო ოთახში ისხდნენ გრაფინია, მისი უფროსი ლამაზი ქალიშვილი და სტუმრები, რომელნიც განუწყვეტლივ ცვლიდნენ ერთმანეთს.

გრაფინია აღმოსავლური ტიპის ორმოცდახუთი წლის ბანოვანი იყო. გამხდარი სახე ჰქონდა. ეტყობოდა დაუძლურება შვილებისგან, რომელთა რიცხვიც თორმეტს უდრიდა. სისუსტით გამოწვეული მოძრაობისა და დინჯი ლაპარაკის შთაბეჭდილებას ახდენდა და პატივისცემას იწვევდა. ანა მიხაილოვნა დრუბეცკაია, როგორც შინაური, იქვე იჯდა და დიასახლისს ეხმარებოდა სტუმრების მიღებასა და გართობაში, ახალგაზრდობა უკანა ოთახებში იყო. მათ საჭიროდ არ მიაჩნდათ სტუმრების მიღებაში მონაწილეობა. გრაფი ხვდებოდა და აცილებდა სტუმრებს, თანაც ყველას სადილზე იწვევდა.

– დიდად, დიდად გმადლობთ, ma chère (ჩემო ძვირფასოთი მიმართავდა ქალს ან მამაკაცს, განურჩევლად ყველას, როგორც თავისზე მაღლა, ისე თავისზე დაბლა მდგომს), როგორც პირადად, ისე ჩემი ცოლისა და ქალიშვილის სახელით, აუცილებლად მობრძანდით სადილად. დიდად მაწყენინებთ, mon cher, თუ არ მობრძანდებით. გულით გთხოვთ, მთელი ოჯახის სახელით ma chère, – ამ სიტყვებს მხიარული და წმინდად გაპარსული მსუქანი სახის ერთნაირი გამომეტყველებით, ხელის ერთნაირად მაგარი ჩამორთმევით და თავის რამდენჯერმე დაკვრით ეუბნებოდა უკლებლივ და უცვლელად ყველას. ერთი სტუმრის გაცილების შემდეგ გრაფი უბრუნდებოდა იმ მამაკაცსა თუ ბანოვანს, რომელიც ჯერ კიდევ სასტუმრო ოთახში რჩებოდა; სავარძელს ახლო მისწევდა და იმ კაცის გამომეტყველებით, რომელსაც უყვარს და რომელმაც იცის ცხოვრება, დარდიმანდულად განზე ფეხებგადგმული, და

მუხლებზე ხელებდალაგებული, იწყებდა მნიშვნელოვნად გადაქან-გადმოქანებას, თან ლაპარაკობდა ამინდზე, ეკითხებოდა მოსაუბრეს ჯანმრთელობაზე – ზოგჯერ რუსულ, ზოგჯერ კიდევ უხეირო, მაგრამ გულდაჯერებულ ფრანგულ ენაზე, და დაღლილი, მაგრამ თავისი მოვალეობის მტკიცედ აღმსრულებელი კაცის სახით კვლავ მიდიოდა, მელოტ თავზე თხელ თმას ისწორებდა, სტუმარს გააცილებდა და კვლავ მიიპატიჟებდა სადილად. ზოგჯერ, წინა ოთახიდან დაბრუნებისას, ყვავილებისა და ოფიცინტების ოთახებზე გავლით, შეივლიდა მარმარილოს დიდ დარბაზში, სადაც სასადილოდ სუფრას ოთხმოცი კაცისთვის შლიდნენ და, როგორც კი გადახედავდა ოფიცინტებს, მაგიდებსა და სკამებს რომ დგამდნენ, ოქროსა და ფაიფურის ჭურჭელს ალაგებდნენ და სახეებიან ტილოს სუფრებს შლიდნენ, მოიხმობდა დემიტრი ვასილიევიჩს, აზნაურს, რომელიც მთელ მის საქმეებს განაგებდა, და ეუბნებოდა: – აბა, მიტენკა, იცოდე, ყველაფერი კარგად უნდა იყოს, – და სიამოვნებით გადახედავდა განზე გაწეულ უზარმაზარ მაგიდას: – პირველი საქმე სუფრის გაწყობაა. დიახ... – და კმაყოფილი ამოიხვრით ისევ სასტუმრო ოთახში ბრუნდებოდა.

– მარია ლვოვნა კარაგინა ქალიშვილითურთ! – ბოხი ხმით გამოაცხადა სასტუმრო ოთახის კარში გაჩერებულმა გრაფის უზარმაზარმა ლაქიამ, რომელიც მას ქალაქში გასვლის დროს ახლდა ხოლმე.

გრაფინია ჩაფიქრდა, მერე დაეცნო საბურნუთედან რომ ამოიღო, რომლის სახურავზედაც მისი ქმრის სურათი იყო გამოსახული.

– გამტანჯა ამ დარბაზობამ. რას ვიზამ, მაგის მეტს აღარავის მივიღებ, მეტისმეტად გოროზი რამ არის. სთხოვე, – უბრძანა მან ლაქიას მწუხარე ხმით, თითქოს ეუბნებოდა: მომიღეთ ბარემ ბოლო და ის არისო!

კაბების შარიშურით შევიდნენ სასტუმრო ოთახში ტანსრული, ამაყი გამომეტყველების მანდილოსანი და მისი პირმრგვალი მოლიმარი ქალიშვილი.

– Chère comtesse, il y a si longtemps... elle a été alitée la pauvre enfant... au bal des Razoumowsky... et la comtesse Apraksine... j'ai été si heureuse (დიდი ხანია... გრაფინია... ავად არის. საცოდავი... რაზუმოვსკების მეჯლისზე... გრაფ აპრაკსინის მეუღლე... ძალზე მოხარული ვარ...) – გაისმა ქალების გაცხოველებული ხმები, რომელნიც ერთიმეორეს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ერთმანეთში აირია ქალების ხმები, ტანისამოსის შრიალი და სკამების ბრახაბრუხი. ჩამოვარდა ისეთი საუბარი, რომელსაც იწყებენ მხოლოდ იმისთვის, რომ წამოდგნენ პირველივე პაუზის დროს, კაბები ააშრიალონ, ჩაილაპარაკონ: Je suis bien charmée; la santé de maman... et la comtesse Apraksine (დიდად, დიდად... მოხარული ვართ... დედის ჯანმრთელობა... გრაფ აპრაკსინის მეუღლე...). კვლავ ააშრიალონ კაბები, წინა ოთახში გავიდნენ, ქურქები ჩაიცვან ან წამოსასხამები წამოისხან და გზას გაუდგნენ. ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, რაც მაშინ ყველას პირზე ეკერა – სიმდიდრითა და სილამაზით ცნობილ, ეკატერინეს დროინდელი გრაფის, ახლა უკვე მოხუც ბეზუხოვის ავადმყოფობაზე და მის უკანონო შვილ პიერზე, რომელსაც ასე უზრდელად ეჭირა თავი ანა პავლოვნა შერერის საღამოზე.

– ძალიან მებრალება საცოდავი გრაფი, – თქვა სტუმარმა მანდილოსანმა, – ისედაც ვერ არის ჯანზე და ახლა ზედ შვილის ამბავიც დაერთო. ვერ აიტანს!

– რა მოხდა? – იკითხა გრაფინიამ, თითქოს არ იცოდა, რაზე ლაპარაკობდა სტუმარი: მას თხუთმეტჯერ მაინც ჰქონდა გაგონილი გრაფ ბეზუხოვის წყენის მიზეზი.

– აი, ახლანდელი აღზრდა! ისიც საზღვარგარეთ! – თქვა სტუმარმა, – ეგ ყმაწვილი თავის ანაბარა იყო მიტოვებული, და ახლა პეტერბურგში, ამბობენ, ისეთი საშინელი რამეები ჩაიდინა, რომ პოლიციამ გამოაძევა იქიდანო.

– რას ბრძანებთ?! – გაიკვირვა გრაფინიამ.

– ცუდ ნაცნობებს ირჩევდა, – ჩაერია ლაპარაკში თავად დრუბეცკაიას ქვრივი ანა მიხაილოვნა, – რას არ სჩადიოდნენ თურმე თავად ვასილის შვილი, ეგ ახალგაზრდა ბეზუხოვი და ერთი ც დოლოხოვი. და ორივე დაისაჯა. დოლოხოვი ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს, ხოლო ბეზუხოვის შვილი მოსკოვში გადმოასახლეს. ანატოლ კურაგინი მამამ გადაარჩინა, მაგრამ პეტერბურგიდან მაინც გააძევეს.

– მერე, რა ჩაუდენიათ? – იკითხა გრაფინიამ.

– ნამდვილი ყაჩაღები არიან, მეტადრე დოლოხოვი, – თქვა სტუმარმა მანდილოსანმა, – ის შვილია მარია ივანოვნა დოლოხოვასი, მეტად პატივცემული მანდილოსნისა. მერე, რა არ ჩაუდენიათ: სადღაც დათვი უშოვიათ, კარეტაში ჩაუსვამთ და მსახიობ ქალებთან წაუყვანიათ. დასაშოშმინებლად პოლიცია მივარდნილა. მათ უბნის ზედამხედველი დაუჭერიათ, დათვის ზურგზე დაუკრავთ და მერე მოიკაში[16] ჩაუშვიათ; დათვი მიცურავს, ზურგზე კი უბნის ზედამხედველი აკრავს თურმე.

– კარგი სანახავი კი იქნებოდა, ma chère, უბნის ზედამხედველის ფიგურა! – წამოიძახა ხარხარით გრაფმა.

– რა საშინელებაა! რას ხედავთ სასაცილოს, გრაფ?

მაგრამ მანდილოსნები თავადაც იცინოდნენ უნებურად.

– ძლივს გადაურჩენიათ უბედური, – განაგრძო სტუმარმა. – აი, ასე გონიერად ერთობა თურმე გრაფ კირილ ვლადიმროვიჩ ბეზუხოვის შვილი! – დაუმატა მან, – მერე, რას არ ამბობდნენ მის კარგ აღზრდასა და ჭკუაზე! აი, სადამდე მიიყვანა ახალგაზრდა კაცი საზღვარგარეთულმა აღზრდამ! მართალია, მდიდარია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქ მას სახლში არავინ არ მიიღებს. ჩემთვის უნდა წარმოედგინათ, მაგრამ გადაჭრილი უარი შევუთვალე: მე ქალიშვილები მყვანან.

– რატომ ამბობთ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მდიდარიაო? – იკითხა გრაფინიამ და თან სახე აარიდა ახალგაზრდა ქალებს, რომელთაც მაშინვე თავი ისე დაიჭირეს, თითქოს არაფერი ესმოდათ, – ბეზუხოვს ხომ მხოლოდ უკანონო შვილები ჰყავს. ვგონებ... პიერიც უკანონო შვილი უნდა იყოს.

სტუმარმა ხელი გააქნია.

– ვფიქრობ, ოცი უკანონო შვილი მაინც ეყოლება!

ლაპარაკში ანა მიხაილოვნა დრუბეცკაია ჩაერია, ალბათ, იმისთვის, რომ თავისი დიდი ნაცნობობა და მაღალი საზოგადოების ყველა გარემოების ცოდნა დაენახებინა.

– აი, საქმე რაშია, – თქვა მან მნიშვნელოვნად და ნახევრად ჩურჩულით, – გრაფ კირილ ვლადიმროვიჩის რეპუტაცია ცნობილია... მან დიდი ხანია თავისი შვილების სათვალავი დაკარგა. აღარც კი იცის, რამდენი ჰყავს. მაგრამ პიერი იმთავითვე უყვარდა.

– რა ლამაზი კაცი იყო მოხუცი, – თქვა გრაფინიამ, – ჯერ კიდევ შარშან! არც მინახავს მასზე ლამაზი მამაკაცი.

– ახლა ძალიან გამოიცვალა, – ჩამოართვა სიტყვა ანა მიხაილოვნამ, – ჰო, ის უნდა მეთქვა, – განაგრძო მან, – რომ ცოლის მხრივ მთელი ქონების პირდაპირი მემკვიდრე თავადი ვასილია. მაგრამ პიერი მამას ძალიან უყვარდა, თავად ზრდიდა და ხელმწიფესაც მისწერა... ასე რომ, არავინ იცის, თუ მოხუცი მოკვდება (ისე ცუდად არის, რომ ყოველ წუთს მოელიან ამას, ლორენიც ჩამოვიდა პეტერბურგიდან), ვის დარჩება მისი უზარმაზარი ქონება – პიერს თუ თავად ვასილის. ორმოცი ათასი სული ყმა და მილიონები! მე ეს ძალიან კარგად ვიცი, რადგან თვით ვასილიმ მიაშბო. ესეც არ იყოს, თავად კირილ

ვლადიმროვიჩი დედის მხრივ ნათესავად მომხვდება. მანვე მონათლა ბორია, – დაუმატა ისე, თითქოს ამ გარემოებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა.

– თავადი ვასილი გუშინ ჩამოვიდა მოსკოვში. მითხრეს, რევიზიაზე მოდისო, – თქვა სტუმარმა მანდილოსანმა.

– დიახ, მაგრამ, *entre nous* (ჩვენ შორის) კი დარჩეს, – მიუგო ანა მიხაილოვნამ, – ეგ მხოლოდ საბაბია. იგი ჩამოვიდა გრაფ კირილ ვლადიმროვიჩთან, როგორც კი გაიგო, რომ გრაფი ცუდად გახდა.

– არა, *ma chère*, მაინც ჩინებული ამბავია, – დაიწყო გრაფმა და, რაკი შენიშნა, უფროსი სტუმარი ყურს არ უგდებდა, ქალიშვილებს მიმართა, – რა საუცხოო უნდა ყოფილიყო უბნის ზედამხედველის ფიგურა, წარმომიდგენია.

მან წარმოიდგინა, როგორ იქნევდა ხელებს უბნის ზედამხედველი, კვლავ გადაიხარხარა ძლიერი, ბოხი ხმით, რაზეც მთელი ტანით აცახცახდა, გადაიხარხარა ისე, როგორც ხარხარებენ ყოველთვის კარგად მჭამელი და, მეტადრე, კარგად მსმელი ადამიანები.

– მაშ ასე, გთხოვთ, სადილად მობრძანდეთ, – წარმოთქვა მან.

თავი მერვე

სიჩუმე ჩამოვარდა, გრაფინია ტკბილი ღიმილით შეჰყურებდა სტუმარს. თუმცა არც იმას მალავდა, რომ საწყენად არ დარჩებოდა თუ ახლა სტუმარი წამოდგებოდა და წავიდოდა. სტუმრის ქალიშვილმა უკვე შეისწორა ტანისამოსი და თვალთ შეეკითხა დედას – მივდივართ თუ არაო, რომ უეცრად მეზობელი ოთახიდან მოისმა რამდენიმე ვაჟისა და ქალის სირბილის ხმა და წაქცეული სკამის ბრაზუნნი; შემდეგ შემოვარდა და შუა ოთახში გაჩერდა ცამეტი წლის გოგონა, რომელმაც მარმამის მოკლე კაბის კალთაში რაღაც დამალა. აშკარა იყო, რომ მან თავი ვეღარ შეიკავა და იმიტომ შემოვარდა ასე უეცრად. იმავე წუთს კარში გამოჩნდნენ ჟოლოსფერსაყელოიანი სტუდენტი, გვარდიის ოფიცერი, თხუთმეტი წლის ქალიშვილი და ბავშვურ ქურთუკში გამოწყობილი ჩასუქებული წითური ბიჭუნა.

გრაფი წამოხტა და ქანაობით, ფართოდ ხელებგაშლილი შეეგება შემოვარდნილ გოგონას.

– აი ისიც! – სიცილით წამოიძახა მან, – *Ma chère*, დღევანდელი დღეობის მიზეზი!

– *Ma chère*, *il y a un temps pour tout* (საყვარლო, ყველაფერს თავისი დრო აქვს), – მიმართა გოგონას, ვითომ სასტიკად, გრაფინიამ, – შენ მუდამ ანებივრებ, *Elie* (ილია), – უთხრა შემდეგ ქმარს.

– *Bonjour, ma chère, je vous félicite* (გამარჯობა, ჩემო კარგო, მოგილოცავთ), – წარმოთქვა სტუმარმა, – *Quelle délicieuse enfant* (რა საუცხოო ბავშვია)! – მიმართა დედას.

შავთვალწარბა, პირგანიერი, ულამაზო, მაგრამ ცოცხალი, ბავშვური, სირბილისგან კორსაჟიდან ამოვარდნილი ღია მხრებით, უკანგადაყრილი შავი კულულებით, წვრილი შიშველი მკლავებით და მაქმანებიან პერანგის ამხანაგსა და ღია ფეხსაცმელში გამოწყობილი პატარაფეხებიანი გოგონა იმ ასაკში იყო, როდესაც უკვე ბავშვი აღარ არის, ხოლო ბავშვი ჯერ კიდევ ქალიშვილად არ ქცეულა. მამის ხელებისგან გათავისუფლებულმა გოგონამ დედას მიაშურა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია მის მკაცრ შენიშვნას, გავარვარებული სახე დედის თავსაბურავის მაქმანებში ჩამალა და გულიანად გადაიკისკისა. უცნოდა რაღაცას. თან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა თოჯინაზე, რომელიც კალთის ქვეშიდან გამოიღო.

– ხომ ხედავთ?.. თოჯინაა... მიმი... ხომ ხედავთ?

ნატამამ ლაპარაკი ვეღარ შეძლო (ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდა), დედას კალთაში ჩაუვარდა და ისეთი მაღალი და წვრილა ხმით გადაიკისკისა, რომ ყველას, თვით ცხვირაწეულ მანდილოსანსაც კი, თავისდა უნებურად სიცილი აუვარდათ.

– მომშორდი, მომშორდი შენი მახინჯი თოჯინით! – ეუბნებოდა დედა და, ვითომ გაჯავრებული, ხელით იშორებდა, – ეს ჩემი ყველაზე უმცროსი ქალიშვილია, – მიმართა მან სტუმარ ქალს.

ნატამამ წუთით მოაშორა თავი დედის მაქმანებიან ხილაბანდს. ქვევიდან ახედა სიცილისგან აცრემლებული თვალებით და კვლავ ჩამალა სახე.

სტუმარმა, რომელიც იძულებული გახდა დამტკბარიყო ოჯახური სცენით, საჭიროდ ჩათვალა მასში რაიმე მონაწილეობა მიეღო.

– მითხარით, ჩემო კარგო, – მიმართა მან ნატამას, – რა ნათესავად მოგხვდებათ ეგ მიმი? ქალიშვილი თუა?

ნატამას არ მოეწონა მოწყალე კილო, რომლითაც სტუმარი გამოელაპარაკა. მან პასუხი არ გასცა და სერიოზულად შეხედა სტუმარს.

ამასობაში მთელი ეს ახალთაობა: ბორისი – ოფიცერი, ანა მიხაილოვნა დრუბეცკაიას შვილი, ნიკოლაი – სტუდენტი, გრაფის უფროსი შვილი, გრაფის დისწული – თხუთმეტი წლის სონია და პეტრუშა – გრაფის უმცროსი შვილი, სასტუმრო ოთახში მოეწყვნენ. ეტყობოდათ, როგორ ცდილობდნენ ზრდილობის ჩარჩოებში მოექციათ ის სიცხოველე და სიმხიარულე, რომლითაც ჯერ კიდევ ფეთქავდა მათი სახის ყოველი ნაკვთი. ცხადი იყო, რომ იქ, უკანა ოთახებში, საიდანაც ისინი ასეთი სისწრაფით შემოცვივდნენ, უფრო საინტერესო ლაპარაკი ჰქონდათ, ვიდრე აქ, სადაც საუბარი შეეხებოდა ქალაქის ჭორებს, ამინდსა და გრაფ აპრაკსინის მეუღლეს. შიგადაშიგ ერთმანეთს გადახედავდნენ და ძლივს იკავებდნენ სიცილს.

ორი ახალგაზრდა, სტუდენტი და ოფიცერი, ბავშვობის მეგობრები, ერთი ასაკისა იყო. ორივეს ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ ერთიმეორეს არა ჰგავდნენ. ბორისი მაღალი, ქერა ჭაბუკი იყო, მშვიდი და ლამაზი სახის სწორი ნაზი ნაკვთებით, ხოლო ნიკოლაი – არცთუ მაღალი, ხუჭუჭთმიანი ახალგაზრდა, სახის ნათელი გამომეტყველებით. ზედა ტუჩზე უკვე აბიზინებოდა შავი ბუსუსი, ხოლო მთელი მისი სახე სისწრაფესა და აღფრთოვანებას გამოხატავდა. სასტუმრო ოთახში შესვლისას ნიკოლაი გაწითლდა. ეტყობოდა, ეძებდა სათქმელს, მაგრამ ვერ გამოენახა. ბორისი, პირიქით, არ დაბნეულა. მან წყნარად, ხუმრობის კილოთი უამბო დამსწრეთ, როგორ იცნობდა იგი ამ მიმიტიკინას სულ ახალგაზრდას, როდესაც, ცხვირი ჯერ კიდევ დამახინჯებული არ ჰქონდა, როგორ დაბერდა მის თვალწინ ხუთი წლის განმავლობაში და როგორ გაეზარა თავის ქალა მთელ სიგრძეზე. თქვა ეს და ნატამას შეხედა. ნატამამ პირი მიიბრუნა მისგან და უმცროს ძმას გადახედა, რომელსაც, პირმოკუმულს, უხმო სიცილი ახრჩობდა. ბოლოს, ნატამამ თავი ვეღარ შეიკავა, წამოხტა და გავარდა ოთახიდან ისე საჩქაროდ, როგორც კი მის სწრაფ ფეხებს შეეძლოთ გაქროლება. ბორისს არ გაუცინია.

– ვგონებ, თქვენც წასვლას აპირებდით, maman (დედა)? კარეტა ხომ არ დაგჭირდებათ? – ღიმილით მიმართა მან დედას.

– ჰო, ჰო, წადი, უბრძანე, მოამზადონ, – ღიმილითვე უპასუხა დედამ.

ბორისი წყნარად გავიდა კარში და იქითკენ გაემართა, საითაც ნატამა წავიდა. ჩასუქებული ბიჭუნა გაჯავრებული დაედევნა ბორისს, თითქოს გული მოსდისო იმ აურზაურზე, რომელმაც არევ-დარევა შეიტანა მის მეცადინეობაში.

თავი მეცხრე

ახალგაზრდებიდან გრაფის უფროს ქალიშვილსა (რომელიც ოთხი წლით დიდი იყო თავის დაზე და რომელსაც თავი უკვე ისე ეჭირა, როგორც დიდს) და სტუმარ ქალიშვილს გარდა, სასტუმრო ოთახში დარჩნენ ნიკოლაი და გრაფის დისწული სონია. სონია თხელი, პატარა ტანის შავგვრემანი ქალი იყო; მის ნაზ გამოხედვას გრძელი წამწამები ჩრდილავენ, ხშირი, შავი ნაწნავი ორჯერ შემოევლო თავზე; კანს მის სახეზე და, მეტადრე, გამხდარ, მაგრამ გრაციოზულ მარღვიან ხელებსა და კისერზე ყვითელი იერი დაჰკრავდა. მოძრაობის სინარჩარით, პატარა ნაკვთების სიმსუბუქითა და მოქნილობით, ოდნავ ცბიერი და თავდაჭერილი ქცევებით იგი კაცს აგონებდა ლამაზ, მაგრამ ჯერ ზრდადაუმთავრებელ კნუტს, რომელიც მშვენიერ კატად გადაიქცევა. მას, ალბათ, ზრდილობად მიაჩნდა ღიმილით გამოეხატა მონაწილეობა საერთო საუბარში; მაგრამ თავისდა უნებურად მისი თვალები გრძელ, ხშირ წამწამებს ქვეშიდან ისეთი გატაცებული ქალწულური გაღმერთებით შეჰყურებდნენ ჯარში წასასვლელ ბიძაშვილს, რომ ღიმილით ერთი წუთითაც ვერავის მოატყუებდა, და ცხადი იყო, ციცუნისა აქ მხოლოდ იმიტომ მოეკალათებინა, უფრო მარჯვედ ესკუპა და გათამაშებოდა თავის ბიძაშვილს, როგორც კი ბორისისა და ნატაშას მსგავსად, თავს დააღწევდნენ ამ სასტუმრო ოთახს.

– დიახ, ma chère, – მიმართა მოხუცმა გრაფმა სტუმარს და თან თავის ნიკოლაიზე ანიშნა, – ამისმა მეგობარმა ბორისმა ოფიცრობა მიიღო და მეგობრობისთვის ამასაც არა სურს ჩამორჩეს. თავს ანებებს უნივერსიტეტს, თავს მანებებს მეც, მოხუცს: მიდის სამხედრო სამსახურში, ma chère, ადგილი კი არქივში უკვე მომზადებული ჰქონდა, დიახ, რას იზამთ, ასეთია მეგობრობა! – დაუმატა გრაფმა.

– ომი, ამბობენ, უკვე გამოცხადდაო, – თქვა სტუმარმა.

– დიდი ხანია ამბობენ, – დაუდასტურა გრაფმა, – ილაპარაკებენ ასე, ილაპარაკებენ და მერე თავს მიანებებენ. ასეთია ma chère, მეგობრობა, – გაიმეორა მან, – ჰუსარად მიდის.

სტუმარმა არ იცოდა, რა ეთქვა და თავი გააქნია.

– სრულიადაც მეგობრობისთვის არ მივდივარ, – წარმოთქვა ნიკოლაიმ თითქოს ცილისწამების გასაბათილებლად და აენტო, – მივდივარ არა მეგობრობისთვის, არამედ იმიტომ, რომ ვგრძნობ მიდრეკილებას სამხედრო სამსახურისადმი.

მან სონიასა და სტუმარ ქალიშვილს გადახედა: ორივე მოწონების ღიმილით შეჰყურებდა ნიკოლაის.

– დღეს ჩვენთან ისადილებს შუბერტი, პოლკოვნიკი პავლოგრადის ჰუსართა პოლკისა. აქ შვებულებში იყო და ნიკოლაი თან მიჰყავს. რას იზამ? – თქვა გრაფმა მხრების აჩეჩით. იგი ხუმრობის კილოთი ლაპარაკობდა ისეთ საქმეზე, რომელიც, ეტყობოდა, დიდად აწუხებდა.

– მე უკვე მოგახსენეთ, მამაჩემო, – დაიწყო შვილმა, – რომ თუ არ გინდათ ჩემი გაშვება, დავრჩები, მაგრამ ვიცი, სამხედრო სამსახურის გარდა, არაფერში არ გამოვდგები. მე დიპლომატი არა ვარ, არც მოხელე, ვერ დავფარავ იმას, რასაც ვგრძნობ.

ამის თქმის დროს ლამაზი, ახალგაზრდული სიკვლეუცით რამდენჯერმე გადახედა სონიას და სტუმარ ქალიშვილს.

ციცუნია თვალებით ჭამდა ახალგაზრდას; იგი თითქოს ყოველ წუთს მზად იყო გამოთამაშებოდა და გამოემჟღავნებინა მთელი თავისი კატური ბუნება.

– კარგი, კარგი! – უთხრა მოხუცმა გრაფმა, – სულ ცხარობს... სულ ბონაპარტემ გადარია ყველანი. ყველა იმაზე ფიქრობს, თუ როგორ მიაღწია ბონაპარტემ პორუჩიკობიდან იმპერატორობას. ჰოდა, ღმერთმა ქნას! – დაუმატა მან და ვერ შენიშნა ირონიული ღიმილი სტუმრის სახეზე.

უფროსებმა ბონაპარტეზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ჟიული, კარაგინას ქალიშვილი, ახალგაზრდა როსტოვს მიუბრუნდა.

– როგორ ვწუხვარ, რომ ხუთშაბათს არხაროვებთან არ მოხვედით. ძალიან მოწყენილი ვიყავი უთქვენოდ, – ნაზი ღიმილით უთხრა მან.

ამით გულმოგებული ახალგაზრდა კაცი კეკლუცი ღიმილით ახლოს მიუჯდა აგრეთვე მოღიმარე ჟიულის და მასთან ცალკე გააბა მასლაათი. მან სრულებით ვერ შენიშნა, როგორ ლახვარივით მოხვდა გულზე ეს უნებური ღიმილი წამოწითლებულ და განგებ მოღიმარე სონიას. შუა ლაპარაკში თვალი შეავლო სონიას, იგი ცეცხლს აფრქვევდა. გაალმასებული წამოდგა და გავიდა ისე, რომ ძლივს შეიკავა თვალზე ცრემლი, ხოლო ტუჩებზე – მოჩვენებითი ღიმილი. ნიკოლაიმ ერთბაშად ჩამოყარა ფრთები. მან დაუცადა ლაპარაკის დამთავრებას და შეწუხებული სახით ოთახიდან გავიდა სონიას მოსაძებნად.

– რა თეთრი ძაფით არის ნაკერი მთელი ამ ახალგაზრდობის საიდუმლოებები! – თქვა ანა მიხაილოვნამ და ანიშნა მიმავალ ნიკოლაიზე, – *Cousinage dangereux voisinage* (სამიშია ბიძაშვილი ვაჟებისა და ქალების ახლო ყოფნა), – დასძინა მან.

– დიახ, – ჩამოართვა სიტყვა გრაფინიამ მას შემდეგ, რაც გაქრა მზის ის სხივი, რომელმაც ამ ახალ თაობასთან ერთად სასტუმრო ოთახში შემოანათა, და თითქოს უპასუხებს იმ კითხვაზე, რომელიც არავის მისთვის არ მიუციაო, მაგრამ, რომელიც მუდამ აწუხებს, განაგრძო: – რამდენი ტანჯვის, რამდენი მწუხარების გადატანა გიხდება იმისთვის, რომ ახლა გაიხარო მათი ცქერით, თუმცა ახლაც შიშს უფრო განიცდი, ვიდრე სიხარულს. სულ გეშინია, სულ გეშინია! სწორედ ის ასაკია, რომელიც მრავალ საფრთხეს უმზადებს როგორც ქალს, ისე ვაჟს.

– ყველაფერი აღზრდაზეა დამოკიდებული, – თქვა სტუმარმა მანდილოსანმა.

– დიახ, მართალი ბრძანდებით, – განაგრძო გრაფინიამ, – დღემდე, მადლობა უფალს, ჩემი შვილების მეგობარი ვარ და მათი ნდობა არ მაკლია, – ამბობდა გრაფინია და იმეორებდა მრავალი მშობლის შეცდომას, რომელნიც ფიქრობენ, რომ შვილები არაფერს უმაღლავენ მათ, – ვიცი, რომ ყოველთვის ჩემი ქალიშვილების პირველი *confidente* (მრჩეველი) ვიქნები და რომ ნიკოლინკა, თუ ის, თავისი მგზნებარე ხასიათის გამო, ცელქობას მიჰყოფს ხელს (შეუძლებელია ვაჟმა არ იცელქოს), იცელქებს არა ისე, როგორც ის პეტერბურგელი ვაჟბატონები ცელქობენ.

– დიახ, საუცხოო ბავშვები არიან, – დაუდასტურა გრაფმა, რომელიც დახლართულ საკითხებს მუდამ იმით წყვეტდა, რომ ყველაფერს საუცხოოდ მიიჩნევდა ხოლმე, – აბა, აბა, ჰუსარობა მოინდომა! რას იზამ, *ma chère!*

– რა საყვარელი არსებაა თქვენი უმცროსი ქალიშვილი! – თქვა სტუმარმა, – ნამდვილი ცეცხლია!

– დიახ, ცეცხლია, – დაუდასტურა გრაფმა, – მე დამემსგავსა! მერე რა ხმა აქვს. თუმცა ჩემი შვილია, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა: მომღერალი იქნება, მეორე სალომონი[17]. იტალიელი მოვიწვიეთ მასწავლებლად.

– განა ადრე არ არის? ამბობენ, მავნებელია ხმისთვის სიმღერა მაგ ასაკში.

– რას ბრძანებთ, რის ადრე! – მიუგო გრაფმა, – აბა, როგორ თხოვდებოდნენ ჩვენი დედები თორმეტ-ცამეტი წლისანი?

– ნატამას ახლავე უყვარს ბორისი! როგორ მოგწონთ, ჰა? – თქვა გრაფინიამ ოდნავი ღიმილით და ბორისის დედას შეხედა, და, ალბათ, იმ თავისი აზრის საპასუხოდ, რომელიც მუდამ აწუხებდა, განაგრძო, – შემეძლო, რა თქმა უნდა, სასტიკად მოვექცეოდი, ამეკრძალა ყველაფერი... მაგრამ, ღმერთმა

უწყის, რას იზამდნენ და რას ჩაიდენდნენ ჩუმ-ჩუმად (გრაფინია გულისხმობდა, რომ ისინი კოცნას დაუწყებდნენ ერთმანეთს), ახლა კი ვიცი ნატაშას ყოველი სიტყვა. თვითონ მოვარდება ხოლმე საღამოთი და მიაშობს ყველაფერს, იქნებ ვანებივრებ, მაგრამ, გარწმუნებთ, ასე სჯობია. უფროს ქალიშვილს უფრო სასტიკად ვეპყრობოდი.

– მართლაც, მე სულ სხვანაირად მზრდიდნენ, – თქვა ღიმილით გრაფის უფროსმა ქალიშვილმა, ლამაზმა ვერამ.

მაგრამ ღიმილმა როდი დაუმშვენა ვერას სახე, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ხოლმე; პირიქით, არაბუნებრივი და, ამის გამო, უსიამოვნო გაუხდა. უფროსი ქალიშვილი ვერა ლამაზი იყო, ჭკვიანი, სწავლობდა საუცხოოდ, კარგად იყო აღზრდილი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა: ის, რაც მან თქვა, სწორი და მართებული გახლდათ, მაგრამ, გასაოცარია, იქ მყოფმა სტუმარმაც და გრაფინიამაც, მაინც ისე შეხედეს მას, თითქოს გაუკვირდათ, რატომ წარმოთქვა ეს სიტყვებიო, და უხერხულობა იგრძნეს.

– უფროსი ბავშვების აღზრდისას მშობლები მუდამ ჭკუას ძალას ატანენ, უნდათ რაღაც არაჩვეულებრივ ადამიანებად აქციონ, – თქვა სტუმარმა.

– ცოდვა გამჟღავნებული სჯობს: ჩემმა ცოლმა, ma chère, მართლაც დაატანა ძალა ჭკუას ვერას აღზრდისას, – ჩაურთო გრაფმა, – მერე რა? მაინც საუცხოო გამოვიდა, – დაუმატა და მხიარულად ჩაუკრა თვალი ვერას.

სტუმრები წამოდგნენ და წავიდნენ. დაჰპირდნენ – სადილად მოვალთო.

– უცნაური ჩვეულება აქვთ: დასხდებიან და ფეხს აღარ მოიცვლიან! – თქვა გრაფინიამ სტუმრების გაცილების შემდეგ.

თავი მეათე

როდესაც ნატაშა სასტუმრო ოთახიდან გავარდა, მხოლოდ ყვავილების ოთახამდე მიირბინა. იქ შეჩერდა, ყური მიუგდო სასტუმრო ოთახში ლაპარაკს და დაუწყო ცდა ბორისის გამოსვლას. უკვე მოთმინებას კარგავდა, გაჯავრებულმა ფეხიც კი დაჰკრა იატაკს და ის-ის იყო, სატირლად მოემზადა, რომ მოისმა ყმაწვილი კაცის არა წყნარი, არა სწრაფი, არამედ ზომიერი ნაბიჯის ხმა. ნატაშა სწრაფად მიიძალა ყვავილებს შორის.

ბორისი შუა ოთახში შეჩერდა, მიმოიხედა, მუნდირის სახელოდან რაღაც მოიშორა, მერე სარკესთან მივიდა და თავისი ლამაზი სახე შეათვალიერა. ნატაშა განაზული, უთვალთვალეზდა თავისი საფარიდან, ელოდა – რას იზამსო. ბორისი ერთხანს კიდევ იდგა სარკესთან, მერე თავის თავს გაუღიმა და გასასვლელი კარისკენ გაემართა. ნატაშამ დააპირა დაძახება, მაგრამ გადაიფიქრა.

– დაე, მემებოს, – თქვა თავისთვის.

ის იყო ბორისი გავიდა, რომ მეორე კარიდან სახეწამოწითლებული სონია შევიდა; იგი ცრემლმორეული რაღაცას გაბოროტებით ჩურჩულებდა თავისთვის, ნატაშა არ აჰყვა თავის პირველ განზრახვას და არ გამოვარდა საფარიდან, დარჩა იქ უხილავად და უყურებდა, რაც მის თვალწინ ხდებოდა. იგი ახალ, განსაკუთრებულ სიამოვნებას განიცდიდა. სონია რაღაცას ჩურჩულებდა და სასტუმრო ოთახის კარს შეჰყურებდა, კარში ნიკოლაი გამოჩნდა.

– სონია! რა მოგივიდა? როგორ შეიძლება? – წამოიძახა ნიკოლაიმ და სონიასთან მიირბინა.

– არაფერიც არ მომსვლია, თავი დამანებეთ! – და სონია აქვითინდა.

– არა, ვიცი, რაც არის.

– მით უკეთესი, თუ იცით, მიზრძანდით მასთან!

– სონია! ერთი სიტყვა! რატომ მტანჯავ და რატომ იტანჯები შენც რაღაც ფანტაზიის გამო? – უთხრა ნიკოლაიმ და ხელი დაუჭირა.

სონიას ხელი არ გამოუგლეჯია, ტირილიც შეიკავა.

ნატაშა გაუნძრევლად, სულგანაბული, ანთებული თვალებით იცქირებოდა თავისი საფარიდან. ნეტა რა იქნება ახლა, გაიფიქრა მან.

– სონია! მთელი ქვეყანა არაფრად მიღირს, შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის! – ეუბნებოდა ნიკოლაი, – დაგიმტკიცებ ამას.

– არ მიყვარს, როცა მაგრე ლაპარაკობ.

– კარგი, აღარ ვილაპარაკებ, მაპატიე, სონია! – ნიკოლაიმ მიიზიდა და აკოცა.

„უჰ, რა კარგია!“ – გაიფიქრა ნატაშამ, და როცა სონია და ნიკოლაი ოთახიდან გავიდნენ, ისიც გავიდა, ბორისს მოუხმო.

– ბორის, მოდი თქ, – დაუძახა მან სახის განსაკუთრებული, ეშმაკური გამომეტყველებით, – ერთი რამ უნდა გითხრათ. აქეთ, აქეთ, – კვლავ დაუძახა და გაიყვანა ყვავილების ოთახში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ იყო დამალული. ბორისი ღიმილით მისდევდა.

– რა არის ეგ ერთი რამ. რა უნდა მითხრა? – ჰკითხა მან.

ნატაშა შეკრთა, ირგვლივ მიმოიხედა, ყვავილების მოზრდილ ქოთანზე თავისი დედოფალა დაინახა და ხელში აიღო.

– აკოცეთ დედოფალას, – უთხრა მან.

ბორისი ყურადღებით, აღერსიანად დასცქეროდა მის ცოცხალ სახეს. არაფერი უპასუხია.

– არ გინდათ, აკოცოთ? მაშ წამომყევით, – უთხრა ნატაშამ, უფრო ღრმად შევიდა ყვავილებში და დედოფალა გადააგდო, – მომიახლოვდით, მომიახლოვდით! – ჩურჩულით ეუბნებოდა იგი.

ნატაშამ სახელოში სტაცა ხელი ოფიცერს, რომელსაც გაწითლებულ სახეზე აღტაცება და შიში აღბეჭდოდა.

– მე? არ გინდათ მაკოცოთ? – წაიჩურჩულა ნატაშამ ოდნავ გასაგონად და შუბლქვეშიდან შეხედა. აღელვებისგან მზად იყო სატირლად, თუმცა ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა.

ბორისს სახე წამოუწითლდა.

– რა სასაცილო ხართ! – უთხრა მან, დაიხარა გოგონასკენ და უფრო მეტად გაწითლდა, მაგრამ არაფერი მოიმოქმედა და მომლოდინე გაჩერდა.

ნატაშა უეცრად ქოთანზე შეხტა, ასე რომ, ბორისზე მაღალი გახდა, ორივე ხელი კისერზე შემოხვია, ამასთან ნაზი, შიშველი მკლავები კისერს შემოავლო, თავის შერხევით თმა უკან გადაიყარა და შიგ ტუჩებში აკოცა.

შემდეგ ქოთნებს შორის გაძვრა, ყვავილებს მეორე მხრიდან მოექცა, თავი დახარა და შეჩერდა.

– ნატაშა, – მიმართა ბორისმა, – ხომ იცით, რომ მიყვარხართ, მაგრამ...

– მაშ, გიყვარვართ? – შეაწყვეტინა სიტყვა ნატაშამ.

– ჰო, მიყვარხართ. მაგრამ, გთხოვ, ნულარ ვიზამთ იმას, რაც ახლა ჩავიდინეთ... ოთხი წელიწადი კიდევ... მერე ვთხოვ თქვენს მშობლებს, მომათხოვონ თქვენი თავი.

ნატაშა ჩაფიქრდა.

– ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი... – დაითვალა მან სიფრიფანა თითებზე, – კარგი! მამ, გადაწყვეტილია?

სიხარულისა და დამშვიდების ღიმილმა გააშუქა მისი ცოცხალი სახე.

– გადაწყვეტილია! – მიუგო ბორისმა.

– სამუდამოდ! – თქვა ნატაშამ, – სიკვდილამდე!

და მკლავში ხელგაყრილი ბედნიერი სახით გაჰყვა ყმაწვილ კაცს სადივანო ოთახში.

თავი მეთერთმეტე

გრაფინია ისე მოიქანცა ვიზიტებისგან, რომ ბრძანება გასცა, აღარავინ მიეღოთ. შვეიცარსაც ებრძანა, მხოლოდ სადილად მოეწვია ყველა, ვინც მოსალოცად კიდევ მოვიდოდა. გრაფინიას უნდოდა პირისპირ მოლაპარაკებოდა ბავშვობის მეგობარს, თავად დრუბეცკაიას ქვრივს, ანა მიხაილოვნას, რომელიც პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ ხეირიანად არც კი უნახავს. ანა მიხაილოვნა, ნამტირალევი, მაგრამ საამო სახით, ახლო მიუჯდა გრაფინიას სავარძელს.

– შენთან სრულიად გულახდილი ვიქნები, – უთხრა ანა მიხაილოვნამ, – ცოტანილა დავრჩით ძველი მეგობრები! სწორედ ამიტომ ვაფასებ ასე დიდად შენს მეგობრობას.

ანა მიხაილოვნამ ვერას გადახედა და შეჩერდა. გრაფინიამ ხელი ხელზე მოუჭირა მეგობარს.

– ვერა, – მიმართა მან უფროს ქალიშვილს, რომელიც ცხადად ჩანდა, სიყვარულით არ იყო განებივრებული, – გასაოცარია, რომ ვერაფერს მიხვდები ხოლმე. ნუთუ ვერა გრძნობ, რომ ზედმეტი ხარ აქ? წადი დებთან, ან...

ლამაზმა ვერამ ზიზლით გაიღიმა. ეტყობოდა, ოდნავაც ვერ გრძნობდა შეურაცხყოფას.

– ადრევე რომ გეთქვათ, დედაჩემო, მაშინვე წავიდოდი, – უთხრა მან, და თავის ოთახში წავიდა.

მაგრამ სადივანო ოთახთან გავლისას შენიშნა, რომ იქ ორ ფანჯარასთან სიმეტრიულად იჯდა ორი წყვილი. ვერა შეჩერდა და კვლავ ზიზლით გაიღიმა. სონია ნიკოლაის მახლობლად იჯდა. ნიკოლაი პირველად შეთხზულ თავის ლექსებს უწერდა სონიას. ბორისი და ნატაშა მეორე ფანჯარასთან ისხდნენ და როცა ვერა შევიდა, გაჩუმდნენ. სონიამ და ნატაშამ დარცხვენილი, მაგრამ ბედნიერი სახეები ვერასკენ მიაბრუნეს.

სასიხარულო და სასიამოვნო იყო ამ შეყვარებული გოგონების ნახვა, მაგრამ ვერა, ჩანდა, სასამოვნოს ვერაფერს ხედავდა.

– რამდენჯერ მითხოვია თქვენთვის, – დაიწყო მან, – ხელს ნუ ახლებთ ჩემს ნივთებს-მეთქი. თქვენ თქვენი ოთახები გაქვთ, – და მან ხელი წაავლო ნიკოლაის წინ მდგარ სამელნეს.

– ახლავე, ახლავე, – უთხრა ნიკოლაიმ და კალამი სამელნეში ჩააწო.

– არაფრის დრო არ იცით, – განაგრძო ვერამ, – ჯერ იყო და სასტუმრო ოთახში შემოვარდით, ყველას შერცხვა თქვენ მაგიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ვერას სიტყვები სიმართლე იყო ან იქნებ ამიტომაც, პასუხი არავინ გასცა, და ოთხივემ მხოლოდ ერთმანეთს გადახედა. ვერას ხელში სამელნე ეჭირა და ოთახიდან გასვლას აყოვნებდა.

– რა საიდუმლო უნდა იყოს თქვენს ასაკში ნატაშასა და ბორისს ან თქვენს შორის? სისულელეა მხოლოდ!

– ნეტავი შენ რა გაწუხებს, ვერა? – გამოეყომაგა დაბალი ხმით თავის ამხანაგებს ნატაშა...

აშკარად ჩანდა, რომ დღეს იგი ჩვეულებრივზე უფრო გულკეთილი და ალერსიანი იყო.

– სისულელეა, სისულელე! – წამოიძახა ვერამ, – მე მრცხვენია თქვენ მაგიერ. რა საიდუმლო გაქვთ?

– ყველას თავისი საიდუმლო აქვს. ჩვენ ხომ არ გაწუხებთ შენ და ბერგს? – მიუგო უკვე გაცხარებულმა ნატაშამ.

– რატომ უნდა მაწუხებდეთ? – უპასუხა ვერამ, – ჩემს საქციელში ვერასოდეს ვერ იპოვით დასაძრახისს, აი, ნახე, ვეტყვი დედას, როგორ ეპყრობი ბორისს.

– ნატალია ილინიშნა ძალიან კარგად მეპყრობა, – უთხრა ბორისმა, – ვერ დავემდურები, – დასძინა მან.

– ერთი თქვენც, ბორის, ნამდვილი დიპლომატი ხართ (სიტყვა დიპლომატს დიდი გასავალი ჰქონდა ბავშვებს შორის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ); მოსაწყენიც კია, – უთხრა ნატაშამ შეურაცხყოფელი კილოთი, ხმის კანკალით, – რას ჩამაცივდა? შენ ამას ვერასოდეს გაიგებ, – მიმართა მან ვერას, – იმიტომ, რომ არასოდეს არავინ გყვარებია. შენ გული არა გაქვს. შენ მხოლოდ madame de Genlis (მადამ დე ჟანლისი) ხარ (ეს სახელი, რომელიც ძალიან საწყენად ითვლებოდა, ნიკოლაიმ შეარქვა ვერას) და ყველაზე მეტად გახარებს უსიამოვნების მიყენება სხვებისთვის. წადი შენს ბერგთან, ეკეკლუცე, რამდენიც გენებოს, – მიაყარა ნატაშამ სხაპასხუპით.

– მე, რა თქმა უნდა, სტუმრების წინაშე კალთებს არ დავაგლეჯ ახალგაზრდა კაცს...

– კარგი, მორჩი, – ჩაერია ნიკოლაი, – ხომ მიაღწიე შენსას, ყველას უსიამოვნება მიაყენე, ყველას გუნება გაუფუჭე. წავიდეთ საბავშვო ოთახში, – მიმართა მან ამხანაგებს.

ოთხივე დამფრთხალ ფრინველთა გუნდით სწრაფად წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

– მე მომაყენეს და არა მე მივაყენე უსიამოვნება, – თქვა ვერამ.

– Madame de Genlis! Madame de Genlis! – მოისმა მხიარული ხმები კარს იქიდან.

ლამაზმა ვერამ, რომელიც ყველაზე ასე გამაღიზიანებლად, ასე უსიამოვნოდ მოქმედებდა, გაიღიმა; ეტყობოდა, არაფრად მიიჩნია ის, რაც მისი მისამართით იყო ნათქვამი. სარკესთან მივიდა. ჩაიხედა შიგ და შარფი და თმა გაისწორა; სარკეში თავისი სახის დანახვის შემდეგ უფრო ცივი და წყნარი გამომეტყველება მიიღო.

სასტუმრო ოთახში საუბარს განაგრძობდნენ.

– Ah! chère, – ამბობდა გრაფინია, – არც ჩემი ცხოვრების გზაა tout n'est pas rose (ყოველთვის ვარდით მოფენილი), განა ვერ ვხედავ, რომ du train, que nous allons (თუ ასე განვაგრძებთ), ჩვენი ქონება დიდხანს არ გაგვწვდება. ყველაფერი კი კლუბისა და მისი გულკეთილობის ბრალია, განა სოფელში ისე ვცხოვრობთ, რომ ვისვენებდეთ? თეატრები, ნადირობა და ღმერთმა უწყის, კიდევ რა! მაგრამ გავანებოთ თავი ჩემზე ლაპარაკს! ერთი ეს მითხარი, როგორ მოაწყვე ყველაფერი? ხშირად მაკვირვებ, Annette, რანაირად ახერხებ ამ ხნის ადამიანი ამდენ მგზავრობას ეტლით: ეს მოსკოვიო, ეს

პეტერბურგო; არ დატოვებ არც ერთ მინისტრს, არც ერთ წარჩინებულს; იცი, ვის საიდან მოუარო, – მაკვირვებს! მაინც როგორ მოაწყვე ყველაფერი? მე ვერაფერს ვერ მოვახერხებდი.

– ეჰ, ჩემო კარგო, – მიუგო ანა მიხაილოვნამ, – ღმერთმა ნუ ქნას გაიგო, რა არის დაქვრივება, უპატრონოდ დარჩენა შვილით. შვილით, რომელსაც აღმერთებ. ასეთ პირობებში ყველაფერს ისწავლი, – განაგრძო მან ერთგვარი სიამაყით, – ჩემმა პროცესმა ყველაფერი მასწავლა. როცა მჭირდება რომელიმე ბობოლას ნახვა, ვწერ ბარათს: „princesse une telle (ამა და ამ კნიაგინიას) სურს ამისა და ამის ნახვა“. და მივდივარ დაქირავებული ეტლით, მივდივარ ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ, დავდივარ იმ დრომდე, სანამ საწადელს არ მივაღწევ. სულერთია, რას იფიქრებენ ჩემზე.

– მერე ვის, ვის სთხოვე ბორენკას შესახებ? – ჰკითხა გრაფინიამ, – აი, შენი შვილი უკვე გვარდიის ოფიცერია, ნიკოლუმკა კი იუნკრად მიდის, მთხოვნელი და მოცადინე არავინ არის. ვის სთხოვე?

– თავად ვასილის. მეტად თავაზიანად მომეპყრა, მაშინვე თანხმობა განაცხადა. მოახსენა ხელმწიფეს, – ამბობდა აღტაცებით ანა მიხაილოვნა, სულ დავიწყებოდა მთელი ის დამცირება, რაც მიზნის მისაღწევად გადაიტანა.

– ხომ არ დაბერებულა თავადი ვასილი? – ჰკითხა გრაფინიამ, – აღარ მინახავს რუმინელებთან გამართული ჩვენი თეატრების შემდეგ. ალბათ, დავავიწყდი. Il me faisait la cour (უკან დამდევდა, მეკურკურებოდა), – გაიხსენა ღიმილი გრაფინიამ.

– ისეთივეა, როგორც იყო, – მიუგო ანა მიხაილოვნამ, – თავაზიანი, ფეხქვეშ გეგება. Les grandeurs ne lui ont pas touriné la tête du tout (პატივსა და წარჩინებას არ შეუცვლია, თავბრუ არ დაუხვევია). ვწუხვარ, – მეუბნებოდა, – რომ მხოლოდ ამ მცირე რამის გაკეთება შემძლია თქვენთვის, მიბრძანეთო. არა, საუცხოო ადამიანია. გულთბილი, კეთილი, მაგრამ ხომ იცი, Nathalie (ნატალია), როგორ მიყვარს შვილი. რას არ ჩავიდენ მისი ბედნიერებისთვის! ჩემი საქმეები კი ისე ცუდად წავიდა, – განაგრძო ანა მიხაილოვნამ მწუხარედ და ხმადაბლა, – ისე ცუდად წავიდა, რომ ამჟამად საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფები. ჩემი უბედური პროცესი ყველაფერს ნთქავს, რაც გამაჩნია, და წინ მაინც არ მიიწევს. წარმოიდგინე, ზოგჯერ არა მაქვს ორი შაურიც კი, და არ ვიცი, როგორ გამოვაწყო ბორისი, რა ჩავაცვა და დავახურო, – მან ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლის წმენდას შეუდგა, – 500 რუბლი მჭირდება, მე კი მხოლოდ ოცდახუთრუბლიანი მაქვს. საშინელ მდგომარეობაში ვარ... ერთადერთი ჩემი იმედი ახლა გრაფ კირილ ვლადიმეროვიჩ ბეზუხოვია. თუ მან არ მოისურვა და დახმარება არ გაუწია თავის ნათლულს (ის ხომ ბორიას ნათლიაა), თუ არ დაუნიშნა რამე სარჩენად, მაშინ ამდენი დავიდარაბა და თავში ცემა უქმად ჩამივლის: ვერ შევძლებ მის ჩაცმასა და დახურვას.

გრაფინიას ცრემლი მოადგა თვალზე. იგი რაღაცის მოსაზრებას შეუდგა.

– ხშირად ვფიქრობ, იქნებ ეს ცოდვაც იყოს, – განაგრძო ანა მიხაილოვნამ, – ხშირად ვფიქრობ: აი, კირილ ვლადიმეროვიჩ ბეზუხოვი მარტოდმარტო ცხოვრობს... მისი უზარმაზარი ქონება კი... ნეტა რატომ და რისთვის ცოცხლობს? მას სიცოცხლე მძიმე ტვირთად აწევს, ბორია კი ახლა იწყებს ცხოვრებას.

– ალბათ, რამეს დაუტოვებს ბორისს, – ჩაურთო სიტყვა გრაფინიამ.

– ვინ იცის, chère amie (ძვირფასო მეგობარო)! მდიდრები და წარჩინებულნი საშინელი ეგოისტები არიან. მე ბორისთან ერთად მაინც წავალ ახლა მასთან და დაურიდებლად ვეტყვი ყველაფერს. დაე, რაც უნდათ, ის იფიქრონ ჩემზე. ჩემთვის სულერთია, როცა შვილის ბედი ამაზეა დამოკიდებული, – ანა მიხაილოვნა ფეხზე წამოდგა, – ახლა ორი საათია, ოთხზე სადილობთ. მოვასწრებ დაბრუნებას.

და, მსგავსად პეტერბურგელი ქალბატონისა, რომელმაც იცის დროის გამოყენება, დაუყოვნებლივ მოუხმო შვილს და მასთან ერთად წინა ოთახში გავიდა.

– მშვიდობით, ჩემო კარგო, – უთხრა მან გრაფინიას, რომელმაც კარამდე მიაცილა, – მისურვე წარმატება, – დაუმატა ჩურჩულით, რათა შვილს არ გაეგონა.

– გრაფ კირილ ვლადიმროვიჩთან მიბრძანდებით ma chère? – მიმართა მას სწორედ ამ დროს სასადილო ოთახიდან გამოსულმა გრაფმა. თუ გრაფი უკეთ არის, მოიწვიეთ პიერი დღეს ჩემთან სადილად. ის ხომ ყოფილა ჩვენთან, ბავშვებთან უცეკვია. უსათუოდ მოიწვიეთ ma chère, ვნახოთ ერთი, როგორ ისახელებს ტარასი თავს. ამბობს, გრაფ ორლოვსაც არ ჰქონია ისეთი სადილი, როგორც ჩვენ გვექნებაო.

თავი მეთორმეტე

– Mon cher Boris (ჩემო კარგო ბორის), – მიმართა ანა მიხაილოვნამ, როცა გრაფინია როსტოვას კარეტამ, რომელშიც ისინი ისხდნენ, ჩალით მოფენილი ქუჩა გაიარა და გრაფ კირილ ვლადიმროვიჩის ფართო ეზოში შესრიალდა, – Mon cher Boris, – გაიმეორა დედამ, ხელი გამოიღო ძველი მოსასხამიდან და მოკრძალებული, ალერსიანი მოძრაობით შვილის ხელს შეახო, – თავაზიანად და ყურადღებით მოიქეცი. რაც უნდა იყოს, კირილ ვლადიმროვიჩი შენი ნათლიაა და მასზე დამოკიდებულია შენი მომავალი ბედი. გახსოვდეს, ეს mon cher, ალერსიანად მოიქეცი, როგორც შენ იცი ხოლმე...

– დარწმუნებული არა ვარ, რომ აქედან დამცირების გარდა, სხვა რამეც გამოვა... – მიუგო შვილმა ცივად, – მაგრამ, დაგპირდით და შევასრულებ კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ შესასვლელ კართან ვიღაცის კარეტა იდგა, შვეიცარმა თვალი შეავლო დედასა და შვილს (ისინი, ვინაობის განუცხადებლად, პირდაპირ შუშაბანდიან დერეფანში შევიდნენ, სადაც ორივე მხარეს, ნიშებში, ჩამწკრივებული იყო ქანდაკებები), ყურადღებით დააცქერდა ძველ მოსასხამს და იკითხა, ვინ გნებავთ, – თავადის ქალიშვილები თუ გრაფი, და, როგორც კი გაიგო, რომ გრაფის ნახვა უნდოდათ, მიუგო, – მისი ბრწყინვალეობა დღეს უარესად ბრძანდება და არავის იღებსო.

– უკან უნდა დავბრუნდეთ, – უთხრა შვილმა ფრანგულად დედას.

– Mon ami (ჩემო მეგობარო)! – მიუგო დედამ მუდარის კილოთი და კვლავ შეეხო მის ხელს, თითქოს ამ შეხებას დამშვიდება ან აღელვება შესძლებოდა.

ბორისმა ხმა არ ამოიღო და ფარაჯა არც კი გაუხდია, დედას დააცქერდა, თითქოს ეკითხება – მაშ, რა ვქნათო.

– ჩემო ძვირფასო, – ნაზი ხმით მიმართა ანა მიხაილოვნამ შვეიცარს, – ვიცი, რომ გრაფი კირილ ვლადიმროვიჩი ძალიან ავად არის... სწორედ მაგიტომ მოვედი... მე ნათესავი ვარ... არ შევაწუხებ, ჩემო კარგო... მე თავადი ვასილი სერგეევჩი მინდა ვინახულო მხოლოდ: ის ხომ აქ არის ახლა, გთხოვ, მოახსენო.

შვეიცარმა პირქუშად ჩამოჰკრა ზევიდან ჩამოშვებულ ზონარს და პირი იბრუნა.

– კნიაგინია დრუბეცკაია ვასილი სერგეევჩიტან, – დაუყვირა მან ზევიდან დაშვებულ, წინდებში, მაშიებსა და ფრაკში გამოწყობილ ოფიცინტს, რომელმაც კიბის მოსახვევიდან თავი გამოყო.

დედამ შეღებილი აბრეშუმის კაბის ნაკვეცი გაისწორა, კედელში ჩაჭედებულ მთლიან ვენეციურ სარკეში ჩაიხედა და ქუსლებმოცვეთილი ფეხსაცმლით მხნედ აჰყვა ნოხმოფენილ კიბეს.

– Mon cher, voue m'avez promis (ჩემო მეგობარო, არ დაგავიწყდეს, რომ შემპირდი), – კვლავ ხელის შეხებით მიმართა შვილს.

შვილი თვალმდებარეობდა, წყნარად მისდევდა დედას.

დარბაზში შევიდნენ, საიდანაც ერთი კარი იმ ოთახებში გადიოდა, რომლებიც თავად ვასილის ჰქონდა დათმობილი.

იმ დროს, როდესაც დედა-შვილს, უკვე შუა დარბაზში მდგომთ, უნდა ეკითხათ გზა მათი შესვლისას ფეხზე წამომდგარი მოხუცი ოფიცინტისთვის, ერთ-ერთი კარის ბრინჯაოს სახელური შეტრიალდა და მეზობელი ოთახიდან გამოვიდა ხავერდის ჯუბაში გამოწყობილი, შინაურულად ჩაცმული თავადი ვასილი, რომელსაც მკერდზე ერთი ვარსკვლავი ეკეთა. იგი აცილებდა ლამაზ, შავთმიან მამაკაცს. ეს მამაკაცი სახელგანთქმული პეტერბურგელი ექიმი Lorrain-ი იყო.

– C'est donc positif (ნუთუ მართალია, ეგ)? – ჰკითხა თავადმა.

– Mon prince, „errare humanum est“, mais (თავადო, ხომ იცით, „შეცდომა თან სდევს ადამიანს“)... – მიუგო ექიმმა, თან ლათინური სიტყვები ფრანგული კილოთი გამოთქვა.

– C'est bien, c'est bien (კეთილი, კეთილი)...

თავადმა ვასილიმ, რაკი შენიშნა ანა მიხაილოვნა და მისი შვილი, თავის დაკვრით გაუშვა ექიმი და უსიტყვოდ, გაკვირვებული სახით მივიდა მათთან. შვილმა შენიშნა, როგორ აღებეჭდა ღრმა მწუხარება დედას სახეზე და ოდნავ გაიღიმა.

– რა სამწუხარო პირობებში გვიხდება, თავადო, შეხვედრა... როგორ არის ჩვენი ძვირფასი ავადმყოფი?
– შეეკითხა იგი, თითქოს ვერ ამჩნევდა, როგორ ცივად, შეურაცხმყოფელად დააშტერა თვალები თავადმა.

გაოცებულმა თავადმა ვასილიმ, დედის შემდეგ შვილს შეავლო თვალი. ბორისმა თავაზიანად დაუკრა თავი. თავადმა ვასილიმ პასუხი არ გასცა, იგი ანა მიხაილოვნას მიუბრუნდა და მის შეკითხვას თავისა და ტუჩების მოძრაობით გამოეპასუხა, რაც ავადმყოფის სრული უიმედობის მაჩვენებელი იყო.

– ნუთუ? – წამოიძახა ანა მიხაილოვნამ, – საშინელებაა! ფიქრიც კი გზარავს კაცს... ეს ჩემი შვილია, – დაუმატა მან და ბორისზე ანიშნა, – პირადად სურს მადლობა გადაგიხადოთ.

ბორისმა ერთხელ კიდევ დაუკრა თავი თავაზიანად.

– დამიჯერეთ, თავადო, რომ დედის გული არასოდეს არ დაივიწყებს იმას, რაც თქვენ ჩვენთვის გააკეთეთ.

– მოხარული ვარ, რომ გასიამოვნეთ, ძვირფასო ანა მიხაილოვნა, – მიუგო თავადმა ვასილიმ და ჟაბო გაისწორა, ამასთან მოძრაობაშიც და ხმაშიც იგი უფრო მეტად გამოხატავდა ქედმაღლობას აქ, მოსკოვში, ვიდრე იქ, პეტერბურგში, Annette შერერის საღამოზე, – ეცადეთ, იმსახუროთ კარგად და ღირსეული გახდეთ, – მიმართა მან სასტიკად ბორისს. – მოხარული ვარ... აქ შვებულებაში ხართ? – შეეკითხა იგი ცივი კილოთი.

– ველი ბრძანებას, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ წავიდე იქ, სადაც ახლახან დამნიშნეს, – მიუგო ბორისმა. მის კილოში არ მოისმოდა არც წყენა თავადის მკვახე კილოს გამო, არც ლაპარაკის გაბმის სურვილი. იგი იმდენად წყნარი და თავაზიანი იყო, რომ გაკვირვებულმა თავადმა თვალი დააშტერა.

– დედასთან ცხოვრობთ, ალბათ?

– მე ვცხოვრობ გრაფ როსტოვის მეუღლესთან, – მიუგო ბორისმა და კვლავ დაუმატა, – თქვენო ბრწყინვალეზავ.

– ეს ის ილია როსტოვია, რომელმაც Nathalie შინშინა შეირთო, – ჩაურთო ანა მიხაილოვნამ.

– ვიცი, ვიცი, – თქვა თავადმა მონოტონური ხმით, – Je n'ai jamais pu concevoir, comment Nathalie s'est décidée à épouser cet ours mal léché! Un personnage complètement stupide et ridicule. Et joueur à ce qu'on dit (ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, როგორ გაჰყვა ნატალია ცოლად მაგ ბინძურ დათვის. მთლად სულელი და სასაცილო არსებაა, ამასთან ბანქოს მოთამაშეაო, ამბობენ).

– Mais très brave homme, mon prince (სამაგიეროდ, კეთილი კაცია, თავადო), – შენიშნა ანა მიხაილოვნამ, და ტკბილად გაუღიმა, თითქოს თავადაც იცის, რომ გრაფმა როსტოვმა ასეთი აზრი დაიმსახურა, მაგრამ სთხოვს შეიბრალოს საცოდავი მოხუცი.

– რას ამბობენ ექიმები? – იკითხა მან მცირე სიჩუმის შემდეგ და ნამტირალევ სახეზე კვლავ უდიდესი მწუხარება გამოხატა.

– იმედი ნაკლებადაა, – მიუგო თავადმა.

– მე კი ძალიან მინდოდა ერთხელ კიდევ გადამეხადა მადლობა ბიძაჩემისთვის, ყველა იმ სიკეთის გამო, რაც მე და ბორისს მისგან გვახსოვს. C'est son filleul (ეს მისი ნათლულია), – დაუმატა მან ისეთი კილოთი, თითქოს ამ ცნობას ძალზე უნდა გაეხარებინა თავადი ვასილი.

თავადი ვასილი ჩაფიქრდა და დაიღრჩია. ანა მიხაილოვნა მიხვდა, რომ თავადს ეშინოდა, ანა მიხაილოვნას სახით მეტოქე არ გამოსჩენოდა გრაფ ბეზუხოვის ანდერძის საქმეში. იგი შეეცადა თავადის დამშვიდებას.

– ნამდვილი სიყვარული და ერთგულება მამოქმედებს მხოლოდ, – დაიწყო მან და ეს სიტყვები განსაკუთრებული რწმენით და დაუდევრობით წარმოთქვა, – ვიცი მისი ხასიათი, კეთილშობილური და პირდაპირი, მაგრამ მასთან ხომ მართო თავადის ქალიშვილები არიან... ისინი ჯერ ახალგაზრდები არიან... – ანა მიხაილოვნამ თავი დახარა და ჩურჩულით დაუმატა, – შეასრულა კი თავისი უკანასკნელი ვალი? ძვირფასია ეს დარჩენილი წუთები! ამაზე უარესს რაღას უნდა მოველოდეთ? უნდა მოვამზადოთ, თუ მართლა ასე ცუდად არის. ჩვენ, ქალები, თავადო, – და ნაზად გაიღიმა, – ასეთ დროს ყოველთვის ვახერხებთ სიტყვების გამონახვას. აუცილებლად უნდა ვნახო, რაც უნდა სამძიმო იყოს ეს ჩემთვის, მე უკვე მივეჩვიე ტანჯვას.

თავადი, ეტყობოდა მიხვდა, ამასთან მიხვდა ისევე, როგორც Annette შერერის საღამოზე, რომ ანა მიხაილოვნას თავს ვერ დააღწევდა.

– მეშინია, სამძიმო არ იყოს მისთვის ეს შეხვედრა, chère ანა მიხაილოვნა, – უთხრა მან. – დავიცადოთ საღამომდე, ექიმები კრიზისის მოლოდინში არიან.

– ასეთ წუთებში დაცდა არ ივარგებს, თავადო, Pensez, il y va du salut de son âme... Ah! c'est terrible, les devoirs d'un chrétien (დაუფიქრდით, საქმე ეხება მისი სულის ცხოვნებას... საშინელება! ქრისტიანის მოვალეობა)...

ამ დროს გაიღო შიგნითა ოთახის კარი და გამოვიდა გრაფ ბეზუხოვის ერთ-ერთი დისწული, კნიაჟნა, მოღუშული, ცივი სახისა და, ფეხებთან შედარებით, უზომოდ გრძელი წელის პატრონი.

თავადმა მისკენ მიიბრუნა პირი.

– რას იტყვით, როგორ არის?

– ისევ ისეა, როგორც იყო. მერე ეს ხმაური... – უპასუხა კნიაჟნამ და თვალი შეავლო ანა მიხაილოვნას, როგორც უცნობს.

– Ah, chère, je ne vous reconnaissais pas (აჰ, ძვირფასო, ვერც კი გიცანით), – მიმართა საამო ღიმილით ანა მიხაილოვნამ და სწრაფი ნაბიჯით გაემართა გრაფის დისწულისკენ, – Je viens d'arriver et je suis à vous pour vous aider à soigner mon oncle. J'imagine, combien vous avez souffert (მოვედი, რათა დაგეხმაროთ ბიძიას მოვლაში, წარმომიდგენია, როგორ დაიტანჯებოდით), – დაუმატა მან და თანაგრძნობის ნიშნად თვალები მილულა.

კნიაჟნამ პასუხი არ გასცა, არც კი გაუღიმა და იმავე წუთს გავიდა. ანა მიხაილოვნამ ხელთათმანი გაიძრო და გამარჯვებული სახით სავარძელში ჩაჯდა, თან ხელით თავადი ვასილი მიიწვია, გვერდით დამჯდარიყო.

– ბორის, – მიმართა მან ღიმილით შვილს, – მე გრაფთან შევალ, ბიძიასთან, შენ კი mon ami, მანამდე პიერთან წადი. არ დაგავიწყდეს, გადაეცი, რომ მიწვეულია როსტოვებთან. სადილად მიიწვიეს, – მიმართა მან ახლა თავადს, – მე მგონია, არ წამოვა.

– პირიქით, – მიუგო თავადმა, რომელიც, ჩანდა, უგუნებოდ გამხდარიყო, – Je serais très content si vous me débarrassez de ce jeune homme (მოხარული ვიქნები, თუ მომაშორებთ მაგ ახალგაზრდა კაცს... ზის აქ. გრაფს არც ერთხელ არ მოუკითხავს).

თქვა ეს და მხრები აიჩეჩა. ოფიცინტმა ახალგაზრდა კაცი ჯერ ქვევით ჩაიყვანა, მერე მეორე კიბით ზევით აიყვანა პიოტრ კირილოვიჩთან.

თავი მეცამეტე

პიერმა ვერ მოასწრო კარიერის არჩევა პეტერბურგში და უწესრიგო ყოფაქცევითვის მართლაც გააძევეს მოსკოვში. მართალი იყო ის ისტორია, რომელზედაც გრაფ როსტოვის ოჯახში ლაპარაკობდნენ. პიერმა მონაწილეობა მიიღო პოლიციელისა და დათვის გადაბმაში. იგი რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა მოსკოვში და, როგორც ყოველთვის, თავისი მამის სახლში გაჩერდა. თუმცა პიერს გუმანი ჰქონდა აღებული, რომ მოსკოვში უკვე იცოდნენ მისი ამბავი და რომ ის ქალები, მისი არაკეთილისმყოფელნი, რომელნიც გარს ეხვეოდნენ მამამისს, გრაფის გასაღიზიანებლად გამოიყენებდნენ ამ შემთხვევას. მან ჩასვლის დღეს მანც მოინახულა სახლის ის ნაწილი, სადაც გრაფი იმყოფებოდა. სასტუმრო ოთახში შესვლისას (ამ ოთახში ატარებდნენ ჩვეულებრივად მეტ დროს თავადის ქალიშვილები) პიერი მიესალმა ქალიშვილებს. სამნი იყვნენ, ორი ქარგას მისჯდომოდა, მესამე ხმამაღლა წიგნს კითხულობდა. ეს იყო უფროსი ასული, ფაქიზი და სასტიკი ქალიშვილი, გრძელი წელის პატრონი, ის, რომელიც ანა მიხაილოვნას გამოეგება. უმცროსი, წითური და სანდომიანი ქალიშვილები, რომელნიც ერთმანეთისგან გამოირჩეოდნენ მხოლოდ იმით, რომ ერთს ტუჩზე ხალი ჰქონდა, რაც ძალიან უხდებოდა, ქარგავდნენ. პიერს შეხვდნენ როგორც მიცვალებულს ან ჭირიანს. უფროსმა ასულმა კითხვა შეწყვიტა და შეშინებული თვალები მოსულს მიაპყრო. უმცროსმა, უხალომ, სწორედ ისეთივე გამომეტყველება მიიღო; სულ უმცროსმა, ხალიანმა მხიარული და მოკისკასე ხასიათის პატრონმა, ქარგისკენ თავი დახარა, რათა ღიმილი დაეფარა; ღიმილი კი, ალბათ, გამოიწვია მომავალმა სცენამ, რომლის სასაცილობასაც იგი წინასწარ ითვალისწინებდა. მან ძირს დასწია ქსოვილი და უფრო დახარა თავი, თითქოს სახეებს არჩევსო, თან სიცილს ძლივს იკავებდა.

– Bonjour, ma cousine (გამარჯობა, ბიძაშვილებო), – მიმართა პიერმა, – Vous ne me reconnaissez pas (ვერა მცნობთ)?

– ძალიან კარგად გცნობთ, ძალიან კარგად!

– როგორ არის გრაფი? შეიძლება ვნახო? – იკითხა პიერმა უხერხულად, როგორც ყოველთვის, მაგრამ დაურცხვენლად.

– გრაფი იტანჯება ფიზიკურადაც და ზნეობრივადაც, და, ვგონებ, თქვენ შეეცადეთ, რომ რაც შეიძლება მეტი ზნეობრივი ტანჯვა მოგეყენებინათ.

– შეიძლება ვნახო? – გაიმეორა პიერმა.

– თუ გსურთ ბოლო მოუღოთ და მოკლათ, მაშინ შეგიძლიათ ნახოთ. ოლგა, წადი, გაიგე, მზად არის თუ არა ბულიონი ბიძიასთვის, დროა უკვე, – დაუმატა მან და ამით გააგებინა პიერს, რომ მათ არ სცალიათ, საქმეს აკეთებენ, ამშვიდებენ მის მამას მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ ამწარებს და აჯავრებს.

ოლგა ოთახიდან გავიდა. პიერი ერთხანს შეყოყმანდა. შემდეგ დებს თვალი შეავლო და თავის დაკვრით თქვა:

– მაშ წავალ, როცა ნახვა შესაძლებელი იქნება, მაცნობეთ.

პიერი გავიდა და თან გაჰყვა ხალიანი დის წკრიალა, მაგრამ ხმადაბალი სიცილი.

მეორე დღეს ჩამოვიდა და გრაფის სახლში ჩამოხტა თავადი ვასილი. პიერი მიიხმო.

– Mon cher, – მიმართა მან პიერს, – si vous vous conduisez ici, comme à Pétersbourg, vous finirez très mal; c'est tout ce que je vous dis (თუ აქაც ისევე მოიქცევით, როგორც იქცეოდით პეტერბურგში, ძალიან ცუდად გათავდება თქვენი საქმე, მეტი არაფერი მაქვს თქვენთან სათქმელი), დიახ, გრაფი ძალიან, ძალიან ავად არის; საჭირო არ არის ინახულოთ იგი.

მას შემდეგ პიერი არ შეუწუხებიათ, ისიც მთელ დღეებს ზევით, თავის ოთახში ატარებდა.

იმ დროს, როცა ბორისი პიერთან შევიდა, ეს უკანასკნელი წინ და უკან დადიოდა თავის ოთახში, ზოგჯერ კუთხესთან ჩერდებოდა, მუქარით ხელს უქნევდა კედელს, თითქოს დაშნით მკერდს უპობს მტერსო, და მკაცრად იყურებოდა სათვალის ზემოდან. მერე კვლავ განაგრძობდა სიარულს, თან გაურკვეველ სიტყვებს ამბობდა, მხრებს ზევით სწევდა და ხელებს შლიდა.

– L'Angleterre a vécu (ინგლისს ბოლო ეღება), – ჩაილაპარაკა მან სახემოდუმულმა და ვიღაცაზე ხელით ანიშნა, – M. Pitt comme traître à la nation et au droit des gens est condamné à (მუსიე პიტს, როგორც ერისა და ხალხის უფლების მოღალატეს, მიესაჯოს)... – პიერს იმ წუთს თავი ნაპოლეონად ჰქონდა წარმოდგენილი, თავის გმირთან ერთად მან უკვე მოახერხა პა-დე-კალეზე გადასვლა და ლონდონის აღება. მაგრამ ვერ მოასწრო განაჩენის გამოტანა პიტისთვის, რომ თვალწინ აეტუზა ახალგაზრდა, მოყვანილი და ლამაზი ოფიცერი. პიერი შეჩერდა, თოთხმეტი წლის ბიჭუნა იყო ბორისი, როცა პიერი დაშორდა, და ახლა სრულებით აღარ ახსოვდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვეული სისწრაფით, გულთბილად ხელი ხელში სტაცა და მეგობრულად გაუღიმა.

– განა გახსოვართ? – წყნარად, საამო ღიმილით ჰკითხა ბორისმა, – მე და დედაჩემი გრაფთან მოვედით, მაგრამ ის, მგონი, ვერ არის კარგად.

– ჰო, მგონი, უქეიფოდ არის. ძალზე აწუხებენ ყველანი, – მიუგო პიერმა. იგი იგონებდა, მაგრამ ვერ მოეგონებინა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს ახალგაზრდა კაცი.

ბორისი გრძნობდა, რომ პიერმა ვერ იცნო, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნია დაესახელებინა თავისი გვარი. არავითარ უხერხულობას არ განიცდიდა და პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა პიერს.

– გრაფი როსტოვი გთხოვთ ეწვიოთ დღეს სადილად, – უთხრა მან პიერს საკმაოდ ხანგრძლივი და უხერხული სიჩუმის შემდეგ.

– ჰა! გრაფი როსტოვი! – სიხარულით წამოიძახა პიერმა, – მაშ, თქვენ მისი შვილი ილია ხართ? წარმოიდგინეთ, პირველ ხანს ვერ გიცანით. გახსოვთ, ვორობიოვის გორაკებზე რომ ვიყავით m-me Jacquot (მადამ ჟაკოსთან) ერთად?.. დიდი ხანია მას შემდეგ.

– ცდებით, – აუჩქარებლად, თამამი და რამდენადმე დამცინავი ღიმილით მიუგო ბორისმა, – მე ბორისი გახლავართ, კნიაგინია დრუბეცკაიას, ანა მიხაილოვნას შვილი. თვით როსტოვს, მამას ჰქვია ილია, ხოლო შვილს – ნიკოლაი. მე არავითარ m-me Jacquot-ს არ ვიცნობდი.

პიერმა ხელები და თავი გააქნია, თითქოს კოლოს ან ფუტკარს იგერიებდა.

– ეს რა მომდის! ყველაფერი ავურიე. მოსკოვში იმდენი ნათესავი და მოკეთე ჰყავს კაცს! თქვენ ბორისი ხართ... დიახ, დიახ! ახლა ყველაფერი აშკარაა. ერთი ეს მიბრძანეთ, რას ფიქრობთ ბულონის ექსპედიციაზე? ცუდი დღე დაადგებათ ინგლისელებს, თუ ნაპოლეონი სრუტეზე გადასვლას მოახერხებს. ჩემი აზრით, ადვილად შეიძლება ექსპედიციის განხორციელება, ოღონდ ვილნევა არ შეირცხვინოს თავი.

ბორისმა არაფერი არ იცოდა ბულონის ექსპედიციაზე, იგი გაზეთებს არ კითხულობდა და ვილნევის სახელიც პირველად ესმოდა.

– ჩვენ აქ, მოსკოვში სადილებსა და ჭორებს უფრო ვეტანებით, ვიდრე პოლიტიკას, – თქვა მან დინჯი, დამცინავი კილოთი, – ექსპედიციაზე არაფერი არ ვიცი და არც ვფიქრობ. მოსკოვი ყველაზე მეტად ჭორებით ერთობა, – განაგრძო მან, – ახლა თქვენზე და გრაფზე ლაპარაკობენ.

პიერმა გულკეთილი ღიმილით გაუღიმა, თითქოს შიშობს, მოსაუბრეს ისეთი არაფერი წამოსცდეს, რაც შეიძლება მერე სანანებელი გაუხდესო, მაგრამ ბორისი გარკვევით, ნათლად და მშრალად ლაპარაკობდა, თან თვალელებში შესცქეროდა პიერს.

– მოსკოვს ჭორების მეტი არაფერი აღარ დარჩენია, – განაგრძო მან, – ყველა იმაზე ფიქრობს, თუ ვის დაუტოვებს გრაფი თავის ქონებას, თუმცა შეიძლება ყოველ ჩვენგანზე დიდხანს იცოცხლოს, რასაც გულით ვუსურვებ.

– დიახ, ყოველივე ეს ძალზე სამძიმოა, – ჩამოართვა სიტყვა პიერმა, – ძალზე სამძიმოა.

პიერს სულ ეშინოდა, ამ ოფიცერმა თავისდა უნებურად არ გააბას თავისთვის უხერხული ლაპარაკიო.

– თქვენ, ალბათ, გეჩვენებათ, – დაიწყო ბორისმა ოდნავ წამოწითლებულმა, მაგრამ ისე, რომ ხმა და პოზა არ შეუცვლია, – თქვენ ალბათ გეჩვენებათ, რომ ყველა ერთი სურვილით არის გამსჭვალული: რაიმეს გამორჩეს ამ მდიდარს.

„სწორედ მაგრეა“, გაიფიქრა პიერმა.

– გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან შეცდებით, თუ მე და დედაჩემს ამ ადამიანთა რიცხვში მოგვაქცევთ. ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ, მაგრამ მე, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრივ ვამბობ: სწორედ იმიტომ, რომ მამათქვენი მდიდარია, ნათესავად არ ვცნობ, და, არც მე, არც დედაჩემი არასოდეს არაფერს ვთხოვთ, არც მივიღებთ რამეს მისგან.

პიერმა დიდხანს ვერაფერი გაიგო, მაგრამ როცა მიხვდა, წამოხტა დივნიდან ჩვეული სისწრაფით, უხერხულად სტაცა ბორისს ხელი ხელში და, მასზე უფრო მეტად გაწითლებულმა დაიწყო ლაპარაკი. ამასთან, მის ხმაში ერთმანეთში არეული სირცხვილისა და ჯავრის გრძნობა მოისმოდა.

– ა, ეგ უცნაურია! განა მე... ან კი ვინ იფიქრებდა... მე კარგად ვიცი...

მაგრამ ბორისმა კვლავ გააწყვეტინა სიტყვა.

– მოხარული ვარ, რომ ყველაფერი გამოვთქვი, იქნებ თქვენ არ გესიამოვნათ, მაპატიეთ, – დაიწყო მან პიერის დამშვიდება, იმის მაგიერ, რომ პიერს დაემშვიდებინა იგი, – ვიმედოვნებ, რომ არ შეურაცხყავით. წესად მაქვს დადებული, დაურიდებლად ვთქვა ყველაფერი... მაშ როგორ გადავცე? მობრძანდებით თუ არა სადილად როსტოვთან?

და ბორისი, რომელმაც თავიდან მოიხსნა მძიმე მოვალეობა, თავად გათავისუფლდა, ხოლო სხვა ჩააყენა ამ მდგომარეობაში, კვლავ გადაიქცა ტკბილ მოსაუბრედ.

– არა, – დაიწყო უკვე დამშვიდებულმა პიერმა, – გასაოცარი კაცი ყოფილხართ. ის, რაც თქვენ ახლა თქვით, ძალიან კარგი იყო, ძალიან კარგი. რა თქმა უნდა, თქვენ მე არ მიცნობთ, დიდი ხანია აღარ გვინახავს ერთმანეთი... ბავშვობისას დავშორდით... თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ ჩემზე... ყველაფერი მესმის, კარგად მესმის. მე მაგას ვერ ჩავიდენდი, ვერ გავბედავდი, მაგრამ საუცხოოა ეგ. ძალზე მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. უცნაური კია, – დაუმატა მან ღიმილით, მცირე პაუზის შემდეგ, – რაც თქვენ ჩემზე გაიფიქრეთ, – მან გაიცინა, – მერე რა? უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს, – და ხელი ჩამოართვა ბორისს. იცით, მე არც ერთხელ არა ვყოფილვარ გრაფთან. არ მივუხმევარ... მებრალება, როგორც ადამიანი... რას იზამ?

– მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ნაპოლეონი მოასწრებს ჯარის გადაყვანას? – ჰკითხა ბორისმა ღიმილით.

პიერი მიხვდა, რომ ბორისს ლაპარაკის თემის გამოცვლა უნდოდა, დაეთანხმა და შეუდგა ბულონის ექსპედიციის ხელსაყრელი და არახელსაყრელი მხარეების ჩამოთვლას.

ოთახში ლაქია შევიდა ბორისის გასაწვევად დედასთან. ანა მიხაილოვნა შინ ბრუნდებოდა. პიერი დაჰპირდა სადილად ეწვეოდა გრაფ როსტოვს, რათა უფრო დაახლოებოდა ბორისს, მერე ხელი მაგრად ჩამოართვა და სათვალის ზემოდან ალერსიანად შეხედა... ბორისის წასვლის შემდეგ პიერი კიდევ დიდხანს დადიოდა ოთახში, მაგრამ დაშნით მკერდს აღარ უპობდა უხილავ მტერს, მხოლოდ ილიმებოდა ამ ტკბილი, ჭკვიანი და მტკიცე ახალგაზრდა კაცის გახსენებაზე.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე ახალგაზრდობაში, მეტადრე მარტოობაში, პიერმა იგრძნო უმიზეზო სიყვარული ამ ახალგაზრდა კაცისადმი და სიტყვა მისცა თავს, დამეგობრებოდა.

თავადი ვასილი ანა მიხაილოვნას აცილებდა. ანა მიხაილოვნას ცხვირსახოცი თვალებზე მიედო. სახეზე ცრემლი სდიოდა.

– საშინელებაა, საშინელება! – ამბობდა იგი, – რაც უნდა გამიძნელდეს, მაინც შევასრულებ ჩემს ვალს: მოვალ ღამის გასათევად. არ შეიძლება მისი ამ მდგომარეობაში დატოვება. ყოველი წუთი ძვირფასია. ვერ გამიგია, რას აყოვნებენ თავადის ქალიშვილები. იქნებ ღვთის შემწეობით, შევძლო მისი მომზადება. Adieu, mon prince, que le bon dieu vous soutienne (მშვიდობით, თავადო, ღმერთი იყოს თქვენი შემწე)...

– Adieu, ma bonne (მშვიდობით, ჩემო საყვარელო), – მიუგო თავადმა და პირი იბრუნა.

– ჰო, საშინელ მდგომარეობაშია, – უთხრა დედამ შვილს, როდესაც კვლავ კარეტაში სხდებოდნენ, – თითქმის ვერავის ვერ სცნობს.

– ყველაფერს ანდერძი გამოამყლავნებს, ჩემო კარგო; მასზეა დამოკიდებული ჩვენი ბედიც...

– მაგრამ რატომ გგონიათ, დედაჩემო, რომ რამეს დაგვიტოვებენ ჩვენ?

– ეჰ, ჩემო კარგო: ის ძალზე მდიდარია. ჩვენ კი არაფერი გაგვაჩნია!

– ეგ, დედაჩემო, სრულიადაც არ არის საკმაო მიზეზი.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რა ცუდად არის გრაფი! – იძახდა დედა.

თავი მეთოთხმეტე

როცა ანა მიხაილოვნა შვილითურთ გრაფ კირილ ვლადიმროვიჩ ბეზუხოვთან წავიდა, გრაფ როსტოვის მეუღლე დიდხანს იჯდა მარტო და თვალეზე ცხვირსახოცს იდებდა. ბოლოს ზარი დააწკარუნა.

– რა ამბავია, ჩემო კარგო, – მიმართა გაჯავრებულმა მოახლეს, რომელმაც ორიოდ წუთით დაიგვიანა, – იქნებ არ გსურთ სამსახური? თუ აგრეა, ადგილს მოგინახავთ.

მეგობრის მწუხარებამ და მისმა დამამცირებელმა სიღარიბემ ცუდად იმოქმედა გრაფინიაზე, ამიტომ გუნებაზე არ იყო, რაც ყოველთვის გამოიხატებოდა იმაში, რომ მოახლეს სიტყვა კარგოთი და თქვენობით მიმართავდა.

– უკაცრავად, – მიუგო მოახლემ.

– სთხოვეთ გრაფს.

გრაფი ბაჯბაჯით და, როგორც ყოველთვის, დამნაშავესავით შევიდა ცოლთან.

– რომ იცოდე, ძვირფასო, რა საუცხოო sauté au madère (სოტე მადერი) მზადდება ტყის ქათმისგან. გემო გავუსინჯე. ტყუილად კი არ გადავიხადე ტარასკაში ათასი რუბლი. ღირს!

გრაფი ცოლის გვერდით ჩამოჯდა, მკლავებით ყოჩაღად მუხლებს დაეყრდნო და ჭაღარა თმა აიბურძენა.

– რას ბრძანებთ, ძვირფასო?

– აი, რა, ჩემო მეგობარო, რა გიქნია ეს, როგორ მოგისვრია? – უთხრა და ჟილეტზე მიუთითა, – ალბათ, სოტეა, – დაუმატა ღიმილით, – აი, რა, გრაფ: ფული მჭირდება.

და სახეზე სევდა აღებეჭდა.

– ნუთუ? – წამოიძახა გრაფმა და აფუსფუსდა, ჯიბისკენ ხელი წაიღო საფულეს ამოსაღებად.

– ბლომად მჭირდება, გრაფ, ხუთასი რუბლი მინდა, – უთხრა მან, ბატისტის ცხვირსახოცი ამოიღო და ქმრის ჟილეტის წმენდას შეუდგა.

– ამ წუთში, ამ წუთში. ეი, ვინა ხარ მანდ! – დაიყვირა გრაფმა ისეთი ხმით, როგორითაც ყვირიან ისინი, ვინც დარწმუნებულნი არიან, რომ ვისაც ეძახიან, ცხვირ-პირის მტვრევით შევარდება, – გამომიგზავნეთ მიტკა!

მიტენკა, გრაფთან აღზრდილი აზნაურის შვილი, რომელიც ამჟამად გრაფის მთელ საქმეებს განაგებდა, წყნარად შევიდა ოთახში.

– აი, რა, ჩემო კარგო, – უთხრა გრაფმა მოკრძალებულ ახალგაზრდა კაცს, – მომიტანე ახლავე... – გრაფი ჩაფიქრდა, – ჰო, 700 რუბლი. დიახ, მაგრამ იცოდე, ისეთი დახეული და ბინძური არ მოიტანო, როგორც მაშინ. კარგები უნდა იყოს. ქალბატონს სჭირდება.

– ჰო, მიტენკა, სუფთა ფული მოიტანე, – მიმართა გრაფინიამ და მწუხარედ ამოიხვნეშა.

– როდის მიბრძანებთ, მოგართვათ, თქვენო ბრწყინვალეზავ? – ჰკითხა მიტენკამ. – უნდა მოგახსენოთ, რომ... თუმცა ნუ ინებებთ შეწუხებას, – დაურთო მან სწრაფად, როგორც კი შენიშნა, რომ გრაფმა სუნთქვას მოუხშირა, რაც მრისხანების მომასწავებელი იყო, – კინაღამ დამავიწყდა... ახლავე მოგართვათ?

– ჰო, ჰო, მოიტანე და ქალბატონს გადაეცი. ნამდვილი ოქროა ეს ჩემი მიტენკა, – დაუმატა გრაფმა ღიმილით, როცა ახალგაზრდა კაცი ოთახიდან გავიდა, – არაო, ვერ გაიგონებ მისგან. იცის, რომ ვერ ავიტან მაგისტანა რამეს.

– ეჰ, გრაფ, ფული, ფული, რამდენი მწუხარება მოაქვს ფულს ამქვეყნად! – თქვა გრაფინიამ, – ეს ფული კი ძალიან მჭირდება.

– თქვენ, ქალბატონო, ცნობილი მფლანგველი ბრძანდებით, – ჩაილაპარაკა გრაფმა, ცოლს ხელზე აკოცა და კვლავ კაბინეტს მიაშურა.

როცა ანა მიხაილოვნა ბეზუხოვისგან დაბრუნდა, გრაფინიას ფული, სულ ტკიცინა ქაღალდები, მაგიდაზე ედო ცხვირსახოცქვეშ. ანა მიხაილოვნამ შენიშნა, რომ გრაფინია როგორღაც შემფოთებული იყო.

– რა ამბავია, ჩემო კარგო? – ჰკითხა გრაფინიამ.

– ღმერთო ჩემო, რა საშინელ მდგომარეობაშია! ვერ იცნობ, ისე ცუდად არის, ვერ იცნობ! ერთ წუთს დავრჩი და ორი სიტყვაც კი ვერ გადავაბი.

– Annette, ღვთის გულისათვის, უარს ნუ მეტყვი, – მიმართა უეცრად გრაფინიამ და წამოწითლდა, რაც ასე არ ეგუებოდა მის ხნიერ, გამხდარ და მედიდურ სახეს. თან ცხვირსახოცქვეშიდან ფული გამოიღო.

ანა მიხაილოვნა მყის მიხვდა ყველაფერს, და უკვე დაიხარა, რომ შესაფერ მომენტში მოხერხებულად გადახვეოდა გრაფინიას.

– აი, ბორისს ჩემგან, მუნდირის შესაკერად...

ანა მიხაილოვნა უკვე ეხვეოდა მას და ტიროდა. გრაფინიაც ტიროდა. ტიროდნენ იმის გამო, რომ მეგობრები იყვნენ; იმის გამო, რომ კეთილი გულის პატრონები იყვნენ; იმის გამო, რომ ახალგაზრდობის მეგობრები ისეთ უგვანო საქმეზე კარგავდნენ დროს, როგორც არის ფული; იმის გამო, რომ მათმა ახალგაზრდობამ უკვე განვლო... მაგრამ ორივეს ცრემლი საამო იყო...

თავი მეთხუთმეტე

გრაფ როსტოვის მეუღლე ქალიშვილებითურთ და უკვე მრავლად თავმოყრილი სტუმარი სასტუმრო ოთახში ისხდნენ. გრაფმა მამაკაცი სტუმრები თავის კაბინეტში გაიყვანა, სადაც მათი ყურადღება თურქული ჩიბუხების კოლექციას მიაქცია. დროდადრო გამოდიოდა და კითხულობდა: არ მოსულაო. ელოდნენ მარია დმიტრიევნა ახროსიმოვას, საზოგადოებაში le terrible dragon-ად (საშინელ დრაგუნად[18]) მონათლულს, მანდილოსანს, ცნობილს არა სიმდიდრით, არა პატივით, არამედ გამჭირახობითა და მოქცევა-მოპყრობის გულახდილი უბრალოებით. მარია დმიტრიევნას იცნობდა სამეფო გვარეულობა, იცნობდა მთელი მოსკოვი და მთელი პეტერბურგი, და ორივე ქალაქი, მისი ყოფაქცევით გაოცებული, ზურგს უკან დასცინოდა მის უხეშობას და ავრცელებდა ანეკდოტებს; მიუხედავად ამისა, ყველა პატივს სცემდა და ყველას ეშინოდა.

ბოლით სავსე კაბინეტში ლაპარაკობდნენ ომზე, რომელიც უკვე გამოცხადებული იყო მანიფესტით, და ჯარში ხალხის გაწვევაზე. მანიფესტი ჯერ არავის წაეკითხა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგი უკვე გამოცხადებული იყო. გრაფი ტახტზე იჯდა, თუთუნის მწვეელ და მოსაუბრე ორ მეზობელს შუა, თავად არ ეწეოდა და არც ლაპარაკობდა. თავს ხან ერთ მხარეზე გადახრიდა, ხან – მეორეზე და სიამოვნებით შეჰყურებდა და ყურს უგდებდა მეზობლებს, რომლებიც მან ერთმანეთს მიუსია.

ერთი მოლაპარაკეთაგანი სამოქალაქო პირი იყო, ნაოჭებიანი, ღვარძლიანი და გაპარსული გამხდარსახიანი კაცი, უკვე სიბერეს მიახლოებული, თუმცა ახალგაზრდასავით უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული, ფეხები ტახტზე აეკრიბა და შინაურით იჯდა; პირის ერთ კუთხეში ქარვის მუნდმტუკი იდო, გაფიცებით ყლაპავდა ბოლს და თვალებს ჭუტავდა. ეს იყო შინშინი, უცოლშვილო კაცი, გრაფინიას ბიძაშვილი, ავი ენის პატრონი, როგორც მასზე მოსკოვის სასტუმრო ოთახებში ამბობდნენ. იგი მედიდურად ელაპარაკებოდა მოსაუბრეს, თითქოს ძლივს უყადრებდა თავს ახალგაზრდა, ლაჟღაჟა, უზადოდ პირდაბანილ, ღილშეკრულ და დავარცხნილ გვარდიის ოფიცერს, ქარვის მუნდმტუკი რომ ჩაედო, ვარდისფერი ტუჩებით ოდნავ იზიდავდა ბოლს და რგოლებად უშვებდა ლამაზი პირიდან. ეს იყო ის პორუჩიკი ბერგი, სემიონოვსკის პოლკის ოფიცერი, რომელთან ერთადაც ბორისი პოლკში უნდა წასულიყო და რომლითაც ნატაშა აღიზიანებდა ვერას, თავის უფროს დას – შენი საქმროაო. გრაფი მათ შორის იჯდა და გულმოდგინედ უგდებდა ყურს. ყველაზე სასიამოვნო გრაფისთვის, ბოსტონს გარდა, რომლის თამაშიც ძალზე უყვარდა, იყო მსმენელთა მდგომარეობაში ყოფნა, მეტადრე მამინ, როდესაც ორ ყბედ მოსაუბრეს წაჰკიდებდა.

– მაშ ასე, *mon très honorable* (დიდად პატივცემულო) ალფონს კარლიჩ, – ამბობდა შინშინი. იცინოდა და აერთებდა (ეს შეადგენდა მისი მეტყველების თავისებურებას) სულ უბრალო რუსულ ხალხურ გამოთქმებსა და დახვეწილ ფრანგულ ფრაზებს, – *Vous comptez vous faire des rentes sur l'état* (მთავრობისგან შემოსავალი გინდათ მიიღოთ), ასეულისგან შემოსავალი გინდათ მიიღოთ.

– არა, პიოტრ ნიკოლაიჩ, მე მხოლოდ მინდა გაგაგებინოთ, რომ კავალერიაში ყოფნა ნაკლებად ხელსაყრელია, ვიდრე ქვეით ჯარში. აიღეთ თუნდაც ჩემი მდგომარეობა.

ბერგი მუდამ ძალიან ზუსტად, წყნარად და თავაზიანად ლაპარაკობდა. მისი ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ მას ეხებოდა, მუდამ მშვიდობიანად დუმდა, სანამ ლაპარაკობდნენ სხვა რამეზე, რასაც პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა მასთან. ასე მდუმარედ ყოფნა ბერგს შეეძლო რამდენიმე საათის განმავლობაში. არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა იგი და არც სხვებში იწვევდა რაიმე არე-დარევას. მაგრამ, რაწამს ლაპარაკი პირადად მას შეეხებოდა, საუბარს იწყებდა ვრცლად და აშკარა სიამოვნებით:

– დაუკვირდით ჩემს მდგომარეობას, პიოტრ ნიკოლაიჩ! კავალერიაში რომ ვიყო, ვერ მივიღებდი ორას რუბლზე მეტს, პორუჩიკობის დროსაც კი, ხოლო ახლა ორას ოცდაათს ვიღებ, – ამბობდა ის სიხარულით და საამო ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე, თან შინშინსა და გრაფს შეჰყურებდა, თითქოს ცხადი ყოფილიყო, რომ მისი წარმატება ყველა სხვა ადამიანის სურვილის მთავარ საგანს შეადგენდა, – გარდა ამისა, პიოტრ ნიკოლაიჩ, გვარდიაში გადასვლის შემდეგ ყველას თვალწინ ვარ, ყველა მამჩნევს, – განაგრძობდა ბერგი, – ადგილებიც გვარდიის ქვეით ჯარში უფრო ხშირად თავისუფლდება. მერე, თვით განსაჯეთ, როგორ მოვეწყობოდი ორას ოცდაათი რუბლით. ახლა კი ცოტა რამეს ვინახავ და მამასაც ვუგზავნი, – დაამთავრა ბერგმა და ბოლი რგოლებად აუშვა ზევით.

– *La balance y est* (ბალანსი მიღწეულია)... *comme dit le proverbe* (ანდაზისა არ იყოს), გერმანელი ცულის ყუაზედაც კი ახერხებს პურის ლეწვასო, – თქვა შინშინმა, თვალი ჩაუკრა გრაფს და მუნდმტუკს ადგილი გადაუნაცვლა პირში.

გრაფმა გადაიხარხარა. სხვა სტუმრებმა, რაკი დაინახეს, შინშინი რაღაცას ლაპარაკობდა, მოსასმენად მივიდნენ. ბერგი ვერ ამჩნევდა ვერც დაცინვას, ვერც გულგრილობას; იგი განაგრძობდა ლაპარაკს იმაზე, თუ გვარდიაში გადასვლით ამხანაგებთან შედარებით როგორ მოიგო ერთი სამხედრო ხარისხი, როგორ შეიძლება ომის დროს მოკლან ასეულის უფროსი და მან უფროსის ადგილი დაიჭიროს, როგორ უყვარს იგი პოლკში ყველას და რა კმაყოფილია მამამისი. ბერგი, ეტყობოდა, ტკბებოდა, როცა

ყოველივე ამას უამბობდა დამსწრეთ, და აზრად არ მოსდიოდა, რომ სხვებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ პირადი ინტერესები. მაგრამ ბერგი ისე ტკბილად და დარბაისლურად ლაპარაკობდა, მის სიტყვებში ისე აშკარად გამოსჭვიოდა ახალგაზრდობის ეგოიზმის გულუბრყვილობა, რომ მსმენელს ფარ-ხმალს აყრევინებდა.

– თქვენ, ჩემო მეგობარო, ყველგან წაიწვეთ წინ, ქვეით ჯარსა და კავალერიაშიც, ამას უყოყმანოდ გიწინასწარმეტყველებთ, – უთხრა შინშინმა, ხელი მხარზე დაჰკრა ბერგს და ფეხები ტახტიდან ძირს დაუშვა.

ბერგმა სიხარულით გაიღიმა. გრაფი და შემდეგ დანარჩენებიც სასტუმრო ოთახში გავიდნენ.

ის დრო იყო, როდესაც შეკრებილი სტუმრები სადილის წინ, სუფრაზე მიწვევის მოლოდინში, არ იწყებენ გრძელ საუბარს, მაგრამ თანაც საჭიროდ მიიჩნევენ იმოდროს და იხმაურონ, რათა მოუთმენლობა და სულსწრაფობა არ დასწამონ. მასპინძლები კარისკენ იყურებიან და ზოგჯერ ერთმანეთს გადახედავენ. სტუმრები ამ გადახედვაზე ცდილობენ გაიგონ, ვის ან რას ელიან: დაგვიანებულ წარჩინებულ ნათესავს თუ საჭმელს, რომლის მომზადებაც შეფერხდა.

პიერი ზედ სადილის წინ მივიდა. იგი უხერხულად იჯდა სასტუმრო ოთახის შუაში, შესვლისთანავე ჩაჯდა პირველ სავარძელში, რომელიც თვალში ეცა და ყველას გზა გადაუღობა. გრაფინიას უნდოდა საუბარში ჩაება, მაგრამ პიერი გულუბრყვილოდ გამოიყურებოდა სათვალისა და თითქოს ვიღაცას დაემბრო და მოკლედ პასუხობდა გრაფინიას. მას უხერხულობა შეჰქონდა და მარტო თვითონ ვერ ამჩნევდა ამას. სტუმრების უმეტესობამ იცოდა დათვისა და პოლიციელის ამბავი, ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ამ დიდ, სქელ და წყნარ ადამიანს და გაკვირვებული ფიქრობდა, როგორ ჩაიღიმა ამგვარი საქმე ასეთმა დონდლო და მორცხვმა კაცმაო.

– დიდი ხანი არ არის, მგონი, რაც მოსკოვში ჩამობრძანდით? – ჰკითხა გრაფინიამ.

– Oui, madame (დიახ, ქალბატონო), – მიუგო პიერმა და მიმოიხედა.

– ჩემი ქმარი არ გინახავთ?

– Non, madame (არა, ქალბატონო), – უპასუხა მან და უდროოდ დროს გაიღიმა.

– თქვენ, ვგონებ, ახლახან პარიზში ბრძანდებოდით? ალბათ, ძალიან საინტერესოა.

– ძალიან საინტერესოა.

გრაფინიამ ანა მიხაილოვნას გადახედა. ანა მიხაილოვნა მიხვდა, რომ ახალგაზრდა კაცის გართობას სთხოვდნენ. ისიც მიუჯდა პიერს და დაუწყო ლაპარაკი მამაზე. მაგრამ ისევე, როგორც გრაფინიას, პიერი მასაც მოკლე პასუხებს აძლევდა. სტუმრები ერთმანეთთან ლაპარაკში იყვნენ გართული. Les Razoumovsky... ça a été charmant... Vous êtes bien bonne... La comtesse Apraksine (რაზუმოვსკები... მეტად საამო იყო... გრაფინია აპრაკსინა)... – ისმოდა ყოველი მხრიდან.

გრაფინია წამოდგა და დარბაზში გავიდა.

– მარია დმიტრიევნა? – მოისმა დარბაზიდან მისი ხმა.

– სწორედ ის გახლავთ, – უპასუხა ქალის უხეშმა ხმამ, და ოთახში მარია დმიტრიევნა შემოვიდა.

ქალიშვილები და მანდილოსნებიც კი, გარდა ძალზე მოხუცებულებისა, ფეხზე წამოდგნენ. მარია დმიტრიევნა კარში შეჩერდა. მალე ეჭირა ჭაღარა, ხუჭუჭთმიანი ორმოცდაათი წლის თავი. თავისი ზორბა ტანის სიმაღლიდან თვალი გადაავლო სტუმრებს და, თითქოს მკლავებს იკაპიწებსო,

აუჩქარებლად გაისწორა კაბის განიერი სახელოები. მარია დმიტრიევნა მუდამ რუსულად ლაპარაკობდა.

– სახელდების დღეს სალამი ძვირფას დედას შვილებითურთ! – თქვა მან თავისი მაღალი, ბოხი, ყველა სხვა ბგერის ჩამხშობი ხმით, – აი შე, ძველო ცოდვილო, – მიმართა მან გრაფს, რომელიც ხელს უკოცნიდა, – გული გელევა განა მოსკოვში? ძაღლების სათარეშო ადგილი ვერ გამოგინახავს? რას იზამ, ძმაო, აი, ამ ბარტყებს რომ დააფრენ... – ანიშნა ხელით ქალიშვილებზე: – გინდა-არგინდა, საქმროები უნდა გამოუმეზნო... რასა იქმს ჩემი კაზაკი? (ასე ეძახდა მარია დმიტრიევნა ნატაშას), – და მან ხელი მოუთათუნა ნატაშას, რომელიც თამამად და მხიარულად მიუახლოვდა ხელზე საკოცნელად, – ვიცი, სამაგელი გოგონაა, მაგრამ მაინც მიყვარს.

უზარმაზარი რედიკიულიდან მსხლისმაგვარი იაგუნდისთვლიანი ოქროს საყურე ამოიღო და სადღესასწაულოდ სახეგაბრწყინებულ და აწითლებულ ნატაშას გადასცა. იმავე წუთს პირი იბრუნა მისგან და პიერს მიმართა.

– ეე, ჩემო კარგო, მოდი აქ, მომიახლოვდი, – უთხრა მან განგებ მოტკბო, წყნარი და მინაზებული ხმით, – მომიახლოვდი ერთი...

და მან მრისხანედ, უფრო ზევით აიკაპიწა სახელოები.

პიერი მიუახლოვდა, იგი გულუბრყვილოდ შეჰყურებდა სათვალისგან.

– მოდი, მოდი, ჩემო კარგო! შენ კი არა, მამაშენსაც პირში ვეუბნებოდი სიმართლეს, როცა შეემთხვეოდა რამე.

შეჩერდა. ყველანი დუმდნენ, რაღაცას მოელოდნენ, გრძნობდნენ, რომ ეს მხოლოდ წინასიტყვაობა იყო.

– ვაჟკაცს დამიხედეთ, ვაჟკაცს!.. მამა სარეცელზეა მიჯაჭვული, ეს კი იმით ერთობა, რომ უზნის ზედამხედველს დათვით დააჭენებს. სირცხვილია, ჩემო კარგო, სირცხვილი! უმჯობესია, ომში წახვიდე.

უთხრა ეს, პირი იბრუნა და მკლავში ხელი გაუყარა გრაფს, რომელიც სიცილს ძლივს იკავებდა.

– ვგონებ, დროა სუფრას შემოვუსხდეთ, – განაცხადა მარია დმიტრიევნამ.

პირველნი სასადილო ოთახისკენ გრაფი და მარია დმიტრიევნა გაემართნენ. მათ მიჰყვნენ გრაფინია და ჰუსართა პოლკოვნიკი, საჭირო ადამიანი, ვისთან ერთადაც ნიკოლაი პოლკს უნდა დასწეოდა. ანა მიხაილოვნა შინშინს გაჰყვა. ბერგმა ვერას გაუწოდა ხელი. მოლიმარე ჟიული კარაგინას ნიკოლაი ამოუდგა გვერდში. მათ მისდევდნენ სხვა წყვილები, რომელნიც მთელ დარბაზში გაიჭიმნენ. ბოლოს თითო-თითოდ მიდიოდნენ ბავშვები, გუვერნიორები და გუვერნანტები, ოფიციალტები აფუსფუსდნენ, გაისმა სკამების ბრაზაბრუხი, ქანდარაზე აგრიალდა მუსიკა და, სტუმრები შემოუსხდნენ მაგიდას. გრაფის შინაური მუსიკის ხმები შეცვალა დანებისა და ჩანგლების წკრიალმა, წვეულთა ლაპარაკმა, ოფიციალტების ფეხების ფრთხილმა სრიალმა. მაგიდის ერთ თავში იჯდა გრაფინია. მარჯვნივ იჯდა მარია დმიტრიევნა, მარცხნივ – ანა მიხაილოვნა და სხვა სტუმრები. მეორე თავში შუა ადგილი ეჭირა გრაფს. მარცხნივ იჯდა ჰუსართა პოლკოვნიკი, მარჯვნივ შინშინი და სხვა მამაკაცი სტუმრები. გრძელი მაგიდის ერთ მხარეს ისხდნენ უფრო მოზრდილი ახალგაზრდები: ვერა ბერგის გვერდით, პიერი ბორისის გვერდით, მეორე მხარეს კი ბავშვები, გუვერნიორები და გუვერნანტები მოწყობილიყვნენ. ბროლის ჭურჭელს, ბოთლებსა და ხილიან ვაზებს შორის გაჰყურებდა გრაფი თავის ცოლს, ცისფერი ლენტებით მორთულ მის თავსაბურავს და გულმოდგინედ უვსებდა ჭიქებს მეზობლებს, თუმცა არც თავის თავს ივიწყებდა. თავის მხრივ გრაფინია, რომელიც არ ივიწყებდა დიასახლისის მოვალეობას,

ასევე მნიშვნელოვნად გასცქეროდა ანანასებს შორის თავის ქმარს, რომლის მელოტი თავი და სახე, როგორც მას ეჩვენებოდა, სიწითლისგან თითქოს უფრო მკვეთრად განსხვავდებოდა ჭაღარა თმისგან. მანდილოსანთა მხრიდან თანაბარი ტიკტიკი მოისმოდა, ხოლო მაგიდის იმ ადგილას, სადაც მამაკაცები ისხდნენ, უფრო და უფრო ძლიერდებოდა ხმები, მეტადრე ხმა პოლკოვნიკისა, რომელიც იმდენს ჭამდა და სვამდა, თანაც ისე წითლდებოდა, რომ გრაფი მას უკვე მაგალითად უსახავდა სხვებს. ბერგი ნაზი ღიმილით უხსნიდა ვერას, რომ სიყვარული ციური, არაამქვეყნიური გრძნობაა. ბორისი თავის ახალ მეგობარს, პიერს, სუფრაზე მსხდომ სტუმრების გვარებს უსახელებდა და თვალებით ნატაშას ეკურკურებოდა, რომელიც მის პირდაპირ იჯდა. პიერი ცოტას ლაპარაკობდა, ახალ სახეებს ათვალერებდა და ბევრს ჭამდა. ორი წვნიანიდან მან à la tortue (კუს წვნიანი) აირჩია; შემდეგ, დაწყებული ღვეზლით და დამთავრებული ტყის ქათმით, არ გამოუტოვებია არც ერთი თავი კერძი, არც ერთი ღვინო, რომელსაც უკან მდგომი მაჟორდომი[19] ხელსაწმენდში გახვეული ბოთლით მეზობლის ზურგს უკნიდან საიდუმლოდ გამოაჩენდა და წაიბუტბუტებდა ხოლმე: „დრეი-მადერა“, „ვენგერსკოე“ ან „რეინვეინი“.[20] გრაფის ვენზელით შემკული ოთხი ბროლის ჭიქიდან, ყოველი სტუმრის წინ რომ იდგა, პიერი იმას შეუშვერდა ხოლმე დასასხმელად, რომელიც ხელთ მოხვდებოდა. სიამოვნებით სვამდა და უფრო და უფრო გაბრწყინებული სახით ავლებდა თვალს სტუმრებს. ნატაშა, რომელიც პიერის პირდაპირ იჯდა, ისე შეჰყურებდა ბორისს, როგორც ცამეტი წლის გოგო შეჰყურებს ბიჭს, რომელსაც ის-ის არის, აკოცა და რომელიც უყვარს. ნატაშა ზოგჯერ თვალს პიერსაც შეავლებდა ხოლმე, და ამ სასაცილო, მკვირცხლი გოგონას შეხედვა ისე მოქმედებდა პიერზე, რომ თავად მასაც უნდოდა დაეწყო სიცილი, თუმცა არ იცოდა, რისთვის და რატომ.

ნიკოლაი შორს იჯდა სონიასგან. ჟიული კარაგინას გვერდით, და კვლავ იმავე უნებური ღიმილით რაღაცას ეუბნებოდა მეზობელს. სონია სხვების დასანახავად იღიმებოდა, მაგრამ აშკარა იყო, ეჭვი ტანჯავდა: ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა და, ძალზე დამაბული, ყურს უგდებდა იმას, თუ რას ლაპარაკობდნენ ნიკოლაი და კარაგინა. გუვერნანტი ქალი შემფოთებული აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს, თუ ვინმე განიზრახავდა ბავშვების განაწყენებას, დასახვედრად ემზადებო. გერმანელი გუვერნიორი ცდილობდა სხვადასხვა სახის კერძის, დესერტისა და ღვინის სახელწოდების დახსომებას, რომ შემდეგ ყველაფერი დაწვრილებით ჩამოეთვალა შინაურებთან გერმანიაში მიწერილ წერილში. მას ძალზე სწყინდა, როცა მაჟორდომი ხელსაწმენდში გახვეულ ბოთლს აარიდებდა ხოლმე. გერმანელი იღუმებოდა და ცდილობდა, თავი ისე ეჩვენებინა, რომ არც სურდა ამ ღვინის დალევა და მხოლოდ ის აწუხებდა, არავის ჰგონებოდა, რომ ღვინო მას უნდოდა არა წყურვილის მოსაკლავად, არა სიხარბით, არამედ კეთილსინდისიერი ცნობისმოყვარეობისთვის.

თავი მეთექვსმეტე

მამაკაცების მხარეზე ლაპარაკი უფრო და უფრო ცხოველდებოდა. პოლკოვნიკმა თქვა: მანიფესტი ომის გამოცხადების შესახებ უკვე გამოვიდა პეტერბურგში და ის ერთი ცალი ამ მანიფესტისა, რომელიც მას ენახა, დღეს შიკრიკმა მთავარსარდალს მოუტანაო.

– ნეტა რა ეშინებათ ვეომებით ბონაპარტეს? – განაცხადა შინშინმა, – Il a déjà rabattu le caquet à l'Autriche. Je crains, que cette fois ce ne soit notre tour (მან უკვე შეუფუცხუნა და ყოყობა მოაშლევიან ავსტრიას. ვშიშობ, ახლა ჯერი ჩვენზე არ იყოს მომდგარი).

პოლკოვნიკი ჩასხმული, მაღალი, სანგვინიკი[21] გერმანელი იყო, ალბათ, ბეჯითი მოსამსახურე და პატრიოტი. მან საწყენად მიიღო შინშინის სიტყვები.

– იმიტომ, მოწყალეო ხელმწიფევ, – თქვა მან ოდნავ გერმანულ კილოზე, – იმიტომ, რომ იმპერატორმა იცის ეს. მან მანიფესტში თქვა, რომ არ შეუძლია გულგრილად უყუროს იმ საფრთხეს, რომელიც რუსეთს ემუქრება, და რომ უპირველესი საქმე იმპერიის უშიშროება, მისი ღირსება და კავშირების სიწმინდეა, – განაცხადა მან და რატომღაც სიტყვა „კავშირები“ განსაკუთრებული მნიშვნელობით მოიხსენია, თითქოს მთავარი ეს ყოფილიყო.

შემდეგ ჩვეული უცდომლობით, ოფიციალური მეხსიერებით გაიმეორა მან მანიფესტის შესავალი სიტყვები: „და სურვილი, რომელიც ხელმწიფვის ერთადერთ და აუცილობელ მიზანს შეადგენს, არის დაამკვიდროს ევროპაში მტკიცე საფუძველზე დამყარებული მშვიდობიანობა, რამაც აიძულა იგი დაეძრა დღეს საზღვარისკენ ნაწილი ჯარისა და მიემართა განზრახვის შესასრულებლად ახალი ღონისძიებისთვის“.

– აი, რატომ, მოწყალეო ხელმწიფევ, – დაამთავრა მან, გადაჰკრა ჭიქა ღვინო ჭკუის სასწავლებლად და წასაქვებლად გრაფს გადახედა.

– მოგეხსენებათ ანდაზა: „ერემა, ერემა, მჯდარიყავი შენს სახლში და გეთალა შენი თითისტარები“, – თქვა შინშინმა წარბების ჭმუხნით და ღიმილით. – *Cela nous convient à merveille* (ეს ზედგამოჭრილია ჩვენზე). მოგეხსენებათ აგრეთვე, ვინ იყო სუვოროვი, და ისიც კი უსაშველოდ დაამარცხეს. მერე, სადა გვყვანან ახლა სუვოროვები, *Je vous demande un peu* (მე თქვენ გეკითხებით)? – ამბობდა იგი და წამდაუწუმ გადადიოდა რუსულიდან ფრანგულზე.

– ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, – თქვა პოლკოვნიკმა მაგიდაზე ხელის ბრახუნით, – უნდა და-ვი-ხო-ცოთ ჩვენი იმპერატორისთვის და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. მსჯელობით კი, რაც შე-იძ-ლე-ბა ნაკლებად უნდა ვიმსჯელოთ (მან ხმა გააგრძელა სიტყვა „შეიძლებაზე“) – რაც შე-იძ-ლე-ბა ნაკლებად, – დაასრულა და კვლავ გრაფს მიმართა, – ასე ვფიქრობთ ძველი ჰუსარები, დიახ! თქვენ როგორღა ფიქრობთ, ყმაწვილო და ახალგაზრდა ჰუსარო? – მიმართა მან ნიკოლაის, რომელმაც, როგორც კი ყური მოჰკრა, რომ ლაპარაკი ომზე იყო, თავი ანება თავის მოსაუბრეს, თვალები მიაშტერა და მთელი გულისყური მიაპყრო პოლკოვნიკს.

– სავსებით გეთანხმებით, – მიუგო ნიკოლაიმ და მთლად წამოწითლდა. იგი ისე სწრაფად და ისეთი სასოწარკვეთილი სახით ატრიალებდა თეფშს და უცვლიდა ადგილს ჭიქებს, რომ კაცს ეგონებოდა, რაღაც დიდი საფრთხე მოელისო, – მე მწამს, რომ რუსები ან დაიხოცებიან, ან გაიმარჯვებენ, – თქვა მან და თვითონვე იგრძნო, ისევე, როგორც სხვებმაც იგრძნეს მას შემდეგ, რაც იგი უკვე ითქვა, რომ ეს სიტყვა ძალზე აღმაფრთოვანებელი და მაღალფარდოვანი იყო და, მაშასადამე, უხერხული.

– *C'est bien, beau ce que vous venez de dire* (საუცხოოა, საუცხოო, რაც თქვენ ბრძანეთ)! – დასძინა ამოოხვრით ნიკოლაის გვერდზე მჯდომმა ჟიულიმ.

სონიას კი იმ დროს, როცა ნიკოლაი ლაპარაკობდა, მთლად შეაკანკალა, იგი გაწითლდა ყურებამდე, ყურებს უკან, კისრამდე და მხრებამდე. თავის მხრივ პიერი ყურს უგდებდა პოლკოვნიკის სიტყვებს და მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდა.

– აი, ეგ საუცხოოა, – განაცხადა მან.

– ნამდვილი ჰუსარია, ახალგაზრდა კაცი! – დაიყვირა პოლკოვნიკმა და კვლავ დაჰკრა ხელი მაგიდას.

– რას ხმაურობთ მანდ? – უეცრად მოისმა მაგიდის მეორე თავიდან მარია დმიტრიევნას ბოხი ხმა, – რას აბრახუნებ მაგიდაზე? – მიმართა მან პოლკოვნიკს. – ვისზე ცხარობ? ალბათ, ფიქრობ, რომ შენ წინ ფრანგები სხედან, არა?

– მე სიმართლეს ვამბობ, – წარმოთქვა ღიმილით პოლკოვნიკმა.

– სულ ომზე ვლაპარაკობთ, – გადსძახა მაგიდის თავიდან გრაფმა, – ჩემი შვილიც ხომ მიდის, მარია დმიტრიევნა, მიდის.

– მე ოთხი შვილი მყავს არმიაში და მაინც არ ვწუხვარ. ყველაფერი ღვთის ნებაა: შეიძლება შინ მხარეთემოზე წამოწოლილი მოკვდე, ბრძოლაში კი ღმერთმა გადაგარჩინოს, – სრულიად ძალდაუტანებლად დაიგუგუნა ბოხი ხმით მაგიდის მეორე თავიდან მარია დმიტრიევნამ.

– სიმართლეა!

და საუბარი კვლავ გაიყო ორ ნაკადად: ქალებმა თავიანთ მხარეზე გააბეს ლაპარაკი, მამაკაცებმა – თავიანთ მხარეზე.

– ვერა, ვერ ჰკითხავ! – ეუბნებოდა ნატაშას უმცროსი ძმა, – ვერ ჰკითხავ!

– ვკითხავ! – მიუგო ნატაშამ.

და სახე უეცრად აუწითლდა, რაც გაბედული და მხიარული გადაწყვეტილების მიღებას მოასწავებდა. ნატაშა წამოდგა, თვალით პირდაპირ მჯდომ პიერს ანიშნა, – ყური მომაპყარო და დედას მიმართა:

– დედა! – გაისმა მთელ მაგიდაზე მისი ბავშვური, წკრიალა ხმა.

– რა გინდა? – ჰკითხა დედამ შეშინებულმა, მაგრამ როგორც კი სახეზე შენიშნა, რომ ეს ცელქობა იყო, თითი სასტიკად დაუტატანა, თანაც დატუქსვისა და უარყოფის ნიშნად თავი დაუქნია.

ლაპარაკი მაგიდაზე მიყუჩდა.

– დედა! როგორი შაქარლამა გვექნება? – უფრო გაბედულად და მტკიცედ გაისმა ნატაშას ხმა.

გრაფინიას უნდოდა მრისხანე სახე მიეღო, მაგრამ ვერ მოახერხა. მარია დმიტრიევნა თავისი სქელი თითით დაემუქრა ნატაშას.

– აი, შე კაზაკო! – ჩაილაპარაკა მან.

სტუმრების უმეტესობა უფროსებს შეჰყურებდა, არ იცოდნენ, როგორ მიეღოთ ბავშვის საქციელი.

– გაჩვენებ სეირს! – დაემუქრა გრაფინია.

– დედა! შაქარლამა რისი იქნება? – დაიძახა ნატაშამ უკვე თამამად, ჟინიანად და მხიარულად, წინდაწინ დარწმუნებულმა, რომ მის საქციელს მხიარულად მიიღებდნენ.

სონია და სქელი პეტია სიცილს ვერ იკავებდნენ.

– ხომ ვკითხე! – ჩაუჩურჩულა ნატაშამ უმცროს ძმას და პიერს, რომელსაც კვლავ შეავლო თვალი.

– ნაყინი იქნება, მხოლოდ შენ არ მოგცემენ, – განაცხადა მარია დმიტრიევნამ.

ნატაშა ხედავდა, რომ საშიში არაფერი იყო, ამიტომ არც მარია დმიტრიევნას შეუშინდა.

– მარია დმიტრიევნა! რისი ნაყინი? მე ნალების ნაყინი არ მიყვარს.

– სტაფილოსი.

– რისა? მარია დმიტრიევნა, რისა? – თითქმის ყვიროდა ნატაშა, – მინდა ვიცოდე!

მარია დმიტრიევნასა და გრაფინიას გაეცინათ. მათ მთელი მაგიდა აჰყვა. სიცილს იწვევდა არა მარია დმიტრიევნას პასუხი, არამედ არაჩვეულებრივი გაბედულება და მოხერხება ნატაშასი, რომელიც მარია დმიტრიევნასაც კი არ დაერიდა.

ნატაშა მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა უთხრეს, ანანასის ნაყინი იქნებაო. ნაყინამდე შამპანური შემოიტანეს. კვლავ გაისმა მუსიკა. გრაფმა გადაკოცნა თავისი ცოლი, ფეხზე წამომდგარი სტუმრები ულოცავდნენ გრაფინიას, თავიანთ ჭიქებს უჭახუნებდნენ გრაფის, ბავშვებისა და ერთმანეთის ჭიქებს. კვლავ დაფაცურდნენ ოფიციანტები, ახმაურდა სკამები, და იმავე რიგით, მხოლოდ უფრო შეწითლებული სახეებით, წვეულნი სასტუმრო ოთახში და გრაფის კაბინეტში დაბრუნდნენ.

თავი მეჩვიდმეტე

გაშალეს ბოსტონის[22] მაგიდები, დაიყვნენ ჯგუფებად და, გრაფის სტუმრები გაიფანტნენ ორ სასტუმრო ოთახში, სადივანოსა და ბიბლიოთეკაში.

გრაფმა მაროსავით გაშალა სათამაშო ქაღალდი. ნასადილევს ძილს დაჩვეული, ძლივს იმაგრებდა თავს და ყველაფერზე იცინოდა. გრაფინიას მიერ წაქეზებულმა ახალგაზრდობამ თავი მოიყარა კლავიკორდებთან[23] და არფასთან. სტუმრების თხოვნით ყიულიმ პირველმა შეასრულა არფაზე პატარა პიესა ვარიაციებით, და სხვა ქალიშვილებთან ერთად დაუწყო თხოვნა მუსიკალურობით ცნობილ ნატაშასა და ნიკოლაის – ემდერათ რამე. ნატაშას, რომელსაც მიმართავდნენ როგორც დიდს, ეტყობოდა, ამაყობდა ამით, მაგრამ იმავე დროს რცხვენოდა.

– რა ვიმღეროთ? – ჰკითხა მან ნიკოლაის.

– „გასაღები“, – მიუგო ძმამ.

– მაშ დავიწყოთ. ბორის, მოდით აქ, – დაუძახა ნატაშამ, – სად არის სონია?

ნატაშამ მიიხედა და როგორც კი დაინახა, რომ მისი მეგობარი ოთახში არ იყო, სონიას საძებნელად გაიქცა.

ნატაშა სონიას ოთახში შევარდა; მეგობარი იქ არ დახვდა, საბავშვო ოთახში შეირბინა – სონია არც იქ იყო. ნატაშა მიხვდა, რომ სონია დერეფანში უნდა ყოფილიყო, ზანდუკზე შემომჯდარი. ზანდუკი დერეფანში როსტოვების ოჯახის ქალთა ახალგაზრდა თაობის ურვისა და მწუხარების ადგილს წარმოადგენდა. მართლაც, სონია თავისი ჰაეროვანი ვარდისფერი ტანისამოსით პირქვე იწვა ძიძის ბუმბულის უსუფთაო ლეიბზე, რომელიც სკივრზე გადაეფინათ და თვალეზზე ხელეზმიფარებული ხმამაღლა და მწარედ ტიროდა, რისგანაც შიშველი ბეჭები უკანკალებდა. ნატაშას მხიარული, მთელ დღეს სადღესასწაულოდ განწყობილი სახე ერთბაშად შეეცვალა: თვალეზი გაუშემდა, განიერი კისერი აუთრთოლდა, ტუჩების კუთხეები ძირს დაეშვა.

– სონია, რა ამბავია? რა დაგემართა? უ-უ-უ!..

ნატაშამ დაალო თავისი დიდი პირი, რამაც მთლად დაუკარგა სილამაზე, და მორთო ბავშვივით ღრიალი, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა ატირებდა, – ტიროდა მხოლოდ იმიტომ, რომ სონიას ხედავდა მტირალს. სონიას უნდოდა თავი აეწია, უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ვერ ახერხებდა და უფრო ღრმად მალავდა თავს. ლურჯ ლეიბზე ჩამომჯდარი ნატაშა ტიროდა და მეგობარს ეხვეოდა. ბოლოს სონიამ ძალ-ღონე მოიკრიბა, წამოდგა, იწყო ცრემლების წმენდა და ლაპარაკი.

– ნიკოლინკა ერთი კვირის შემდეგ მიდის, მას... ქაღალდი... ამოუვიდა... თავად მითხრა... მე არ ვიტყვები (სონიამ უჩვენა ქაღალდი, რომელიც ხელში ეჭირა. ეს იყო ნიკოლაის მიერ დაწერილი ლექსი), არ ვიტყვები, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, ვერავინ ვერ წარმოიდგენს, რა გული აქვს ნიკოლაის. და მან კვლავ მორთო ტირილი იმის გამო, რომ ნიკოლაის ასეთი კარგი გული ჰქონდა.

– შენ რა გიშავს... არ მშურს... მიყვარხარ, ბორისიც მიყვარს, – დაიწყო მან, როდესაც ცოტათი ძალ-ღონე მოიკრიბა, – ბორისი საყვარელი ადამიანია... თქვენთვის დაბრკოლება არ არსებობს. ნიკოლაი კი ჩემი cousin-ია... თვითონ მიტროპოლიტი უნდა ჩაერიოს... მაშინაც შეუძლებელი იქნება. მერე, თუ დედიკო (სონია გრაფინიას დედად მიიჩნევა და ასეც ეძახდა)... ის იტყვის, რომ მე კარიერას ვუფუჭებ ნიკოლაის, რომ უგულო ადამიანი ვარ, უმადური... ღმერთმანი (სონიამ პირჯვარი გადაიწერა)... ძალიან მიყვარს დედაც, თქვენც ყველანი მიყვარხართ, მხოლოდ ვერა... რატომ მექცევა ასე? რა დავუშავე? ისე მადლობელი ვარ თქვენი... მზად ვარ, ყველაფერი შემოგწიროთ, მაგრამ რომ არაფერი გამაჩნია...

სონიამ ვედარ შეძლო ლაპარაკი და კვლავ ჩამალა სახე ხელებსა და ლეიბში. ნატაშა ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ხვდებოდა მეგობრის მწუხარების მთელ მნიშვნელობას.

– სონია! – წამოიძახა მან უეცრად, თითქოს მიხვდა სონიას მწუხარების ნამდვილ მიზეზს, – ალბათ ვერა გელაპარაკა სადილის შემდეგ, ხომ?

– ჰო... ეს ლექსი ნიკოლაის დაწერილია, მე სხვა ლექსებიც დაწერე. ვერამ ჩემს მაგიდაზე ნახა და თქვა, დედას ვუჩვენებო, ისიც თქვა, უმადური ხარ, დედა არასოდეს მისცემს ნებას ნიკოლაის, შეგირთოს, რომ ის ჟიულის შეირთავსო. ხომ დაინახე, მთელ დღეს რა ამბავი ჰქონდა მასთან... ნატაშა! რისთვის?..

და კვლავ მორთო ტირილი, წინანდელზე უფრო მწარედ. ნატაშამ წამოაყენა, გადაეხვია, ცრემლიან სახეზე ღიმილი მოეფინა და შეუდგა მის დამშვიდებას.

– სონია, ჩემო კარგო, ნუ დაუჯერებ ვერას, ნუ, ხომ გახსოვს, რას ველაპარაკებოდით ჩვენ სამნი ნიკოლინკას დასასვენებელ ოთახში? ვახშმის შემდეგ? ხომ გადავწყვიტეთ, როგორ მოეწყობა საქმე. აღარ მახსოვს – როგორ, მაგრამ თითქოს ყველაფერი კარგად გამოვიდა და შეუძლებელიც არაფერი იყო. აი, ძია შინშინის ძმასაც ცოლად ბიძაშვილი ჰყავს, ჩვენ ბიძაშვილისშვილები ვართ. ბორისმაც თქვა, რომ შესაძლებელიაო. იცი, მე ყველაფერი ვუთხარი. ხომ იცი, რა ჰკვიანი და კეთილია... ნუ ტირი, სონია, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო! – და ნატაშა თან კოცნიდა, თან იცინოდა, – ვერა ავია, ყურადღებას ნუ მიაქცევ. ყველაფერი კარგად მოეწყობა და დედასაც არაფერს ეტყვის. ნიკოლინკა თვითონ ეტყვის, ჟიულიზე კი სულაც არ უფიქრია.

ნატაშა თავზე კოცნიდა მეგობარს. სონია ფეხზე წამოდგა. ციცუნია გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, აი, საცაა კუდის ქნევას შეუდგება, შეხტება თავისი რბილი ფეხებით და კვლავ განაგრძობს ჩვეულებრივ საქმეს – გორგალთან თამაშს, რაც მას ასე შეეფერება.

– მართალს მეუბნები? აბა, დაიფიცე! – უთხრა სონიამ და საჩქაროდ გაისწორა თმა და კაბა.

– ღმერთმანი, მართალს გეუბნები! – მიუგო ნატაშამ მეგობარს და ნაწნავიდან ამოჩაჩული თმა გაუსწორა.

ორივემ გაიცინა.

– წავიდეთ ახლა, ვიმღეროთ „Ключ“ („გასაღები“).

– წავიდეთ.

– რომ იცოდე, რა სასაცილოა ის სქელი პიერი, ჩემ პირდაპირ რომ იჯდა, – უცხად უთხრა ნატაშამ და შეჩერდა, – ძალიან მხიარულ გუნებაზე ვარ.

და ნატაშამ სირბილით გაიარა დერეფანი.

სონიამ კაბიდან ბუმბული გადაიბერტყა, ლექსი უბეში დამალა და, მსუბუქი, მხიარული ნაბიჯით, გაწითლებული სახით ნატაშას გამოუდგა. სტუმრების თხოვნით ახალგაზრდების კვარტეტმა იმღერა

„Ключ“ („გასაღები“), რომელიც ყველას ძალიან მოეწონა. მერე ნიკოლაიმ იმღერა ახალშესწავლილი ჰანგი:

В приятну ночь, при лунном свете,

Представить счастливо себе,

Что некто есть еще на свете,

Кто думает и о тебе!

Что и она, рукой прекрасной,

По арфе золотой бродя,

Своей гармониею страстной

Зовет к себе, зовет тебя!

Еще день, два, и рай настанет...

Но ах! твой друг не доживет![24]

ნიკოლაის ჯერ კიდევ არ დაესრულებინა სიმღერა, რომ ახალგაზრდობა საცეკვაოდ მოემზადა, ხოლო ზემოთ, ქანდარაზე, მუსიკოსებმა ხმაური და ხველა ატეხეს.

პიერი სასტუმრო ოთახში იჯდა, სადაც შინშინმა მასთან, როგორც საზღვარგარეთიდან ჩამოსულთან, მოსაწყენი პოლიტიკური ლაპარაკი გააბა. მათ სხვებიც შეუერთდნენ. როდესაც მუსიკის ხმა მოისმა, ნატაშა სასტუმრო ოთახში შევიდა, პიერს წინ დაუდგა და სახეაწითლებულმა სიცილით უთხრა:

– დედამ მიბრძანა გთხოვოთ, საცეკვაოდ წამობრძანდეთ.

– მეშინია, ფიგურები არ ავურო, – მიუგო პიერმა, – მაგრამ თუ თქვენ ჩემს მასწავლებლობას იკისრებთ...

და თავისი სქელი ხელი ნაზ გოგონას გაუწოდა, თანაც ცდილობდა დაბლა დაეშვა მკლავი.

ვიდრე წყვილები ეწყობოდნენ და მუსიკოსები საკრავებს მართავდნენ, პიერი თავის პატარა მეწყვილესთან ერთად ჩამოჯდა. ნატაშა ძალზე ბედნიერად გრძნობდა თავს: მან დიდთან უნდა იცეკვოს, საზღვარგარეთიდან ჩამოსულთან. ყველა ხედავდა, როგორ დიდივით ელაპარაკებოდა იგი პიერს. ხელში მარაო ეჭირა, რომელიც ერთ-ერთმა ქალიშვილმა მიაწოდა, მცირე ხნით დამიჭირეო. და ნატაშა იჯდა ისე, როგორც მაღალი საზოგადოების მანდილოსნები სხედან (ღმერთმა უწყის, სად და როდის ისწავლა), იქნევდა მარაოს და ღიმლით, მარაოაფარებული ესაუბრებოდა თავის კავალერს.

– შეხედეთ, შეხედეთ ერთი ამას, – თქვა დარბაზში გავლისას გრაფინიამ და ნატაშაზე მიუთითა.

წამოწითლებულმა ნატაშამ სიცილით მიმართა დედას:

– რა არის, დედა? რა მოხდა? რას ხედავთ აქ საკვირველს?

მესამე ეკოსეზის[25] შუაში ახმაურდა სკამები სასტუმრო ოთახში, სადაც გრაფი და მარია დმიტრიევნა ბანქოს თამაშობდნენ, და საპატიო სტუმრების უმეტესობა და მოხუცები, დიდი ხნის ჯდომით დაღლილი მუხლების გაშლისა და საფულებებისა და ქისების ჯიბეებში ჩაწყობის შემდეგ, დარბაზის კარში გამოჩნდნენ. წინ მოდიოდა მარია დმიტრიევნა გრაფთან ერთად – ორივე მხიარული იყო. გრაფმა ოხუნჯური ზრდილობით, ბალეტის მოცეკვავესავით გაუწოდა ხელი მარია დმიტრიევნას. იგი წელში

გასწორდა, სახეზე ახალგაზრდული, ოინზაზური ღიმილი აესახა, და რაწამს ეკოსეზის უკანასკნელი ფიგურა დამთავრდა, მუსიკოსების გასაგონად ხელი ხელს შემოჰკრა და პირველ ვიოლინოს დაუყვირა:

– სემიონ! დანილო კუპორი[26] იცი?

ეს იყო გრაფის საყვარელი ცეკვა, რომლითაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ირთობდა თავს (დანილო კუპორი ნამდვილად ანგლეზის[27] ერთი ფიგურა იყო).

– შეხედეთ მამას! – დაიყვირა მთელი დარბაზის გასაგონად ნატაშამ (სრულიად დაავიწყდა, რომ უფროსთან ცეკვავდა), თან მუხლებისკენ თავს ხრიდა და წკრიალა ხმით იცინოდა.

მართლაც, ყველა, ვინც კი დარბაზში იყო, ღიმილით შეჰყურებდა მხიარულ მოხუცს, რომელიც თავისი წარმოსადეგი და მასზე მაღალი მანდილოსნის, მარია დმიტრიევნას გვერდით ხელებს შლიდა, ტაქტს აყოლებდა, მხრებს ჭიმავდა, ფეხებს სწრაფად ამოძრავებდა და ოდნავ აბაკუნებდა; ღიმილი, რომელიც უფრო და უფრო ეფინებოდა მის მრგვალ სახეს, ამზადებდა მაყურებლებს იმისთვის, რაც უნდა მომხდარიყო. მოისმა თუ არა დანილო კუპორის მხიარული, გამომწვევი, ტრეპაკის[28] მსგავსი ხმები, დარბაზის ყველა კარი გაიჭედა ცალ მხარეს შინაყმა მამაკაცების, მეორე მხარეს შინაყმა დედაკაცების მოღიმარი სახეებით. ყველა ამათ თავი მოიყარეს მოლხენილი ბატონის საყურებლად.

– ჩვენი მამაბატონი ნამდვილი არწივია! – წამოიძახა ხმამაღლა გადიამ ერთი კარიდან.

გრაფი კარგად ცეკვავდა, იცოდა კიდევ ეს, მაგრამ მისმა მანდილოსანმა სულ არ იცოდა ცეკვა და არც უნდოდა კარგად ეცეკვა. უზარმაზარი ტანი სარივით გაეჭიმა, ზორბა ხელები ძირს დაეშვა (რედიკიული გრაფინიას გადასცა); ცეკვავდა მხოლოდ მისი მკაცრი, მაგრამ ლამაზი სახე. იმას, რაც გრაფის მთელ მრგვალ ფიგურაში გამოიხატებოდა, მარტოოდენ მარია დმიტრიევნას უფრო და უფრო მოღიმარე სახე და მოძიგბივე ცხვირი გამოხატავდა. თუ გრაფი, უფრო და უფრო ეშხზე მოსული, ხიბლავდა მაყურებლებს მოხერხებული მიხრა-მოხრისა და მოძრავი ფეხების მსუბუქი ნახტომების მოულოდნელობით, არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა მარია დმიტრიევნა მხრების ოდნავი რხევით, ხელების დინჯი მოძრაობით და ფეხების ბაკუნით, რასაც ღირსეულად აფასებდა ყველა, ვინც კი მხედველობაში იღებდა მის სიმსუქნესა და მუდმივ სიმკაცრეს. ცეკვა უფრო და უფრო ცხოველდებოდა. დანარჩენმა მოცეკვავეებმა წუთითაც ვერ მიიქციეს ყურადღება, არც ცდილობდნენ ამას. ყველას თვალი და ყური გრაფისა და მარია დმიტრიევნასკენ იყო მიქცეული. ნატაშა სახელოებსა და კალთებს აგლეჯდა დამსწრეთ, რომელნიც ისედაც არ ამორებდნენ თვალს მოცეკვავე წყვილს, და მოითხოვდა, ექირათ მისი მამისთვის. გრაფი წამიერი შესვენებისას სულს ძლივს ითქვამდა, ხელებს უქნევდა და უყვიროდა მუსიკოსებს – უფრო სწრაფად დაუკარიოთ. უფრო და უფრო სწრაფად, უფრო და უფრო მკვირცხლად დახტოდა გრაფი. ხან ფეხის თითებზე დგებოდა, ხან ქუსლებს აბაკუნებდა და გულმოდგინედ უვლიდა მარია დმიტრიევნას; ბოლოს, რაკი თავისი მანდილოსანი იქითკენ შეტრიალდა, სადაც მისი ადგილი იყო, გააკეთა უკანასკნელი ილეთი, აიქნია უკან ფეხი, ძირს დახარა გაოფლიანებული თავი მოღიმარე სახით და მარჯვენა ხელით წრე შემოავლო – საერთო გუგუნს, ტაშისკვრასა და ხარხარში, რის დროსაც ნატაშას ხმა ყველაზე მკვეთრად გამოირჩეოდა. მოცეკვავე წყვილი შეჩერდა, ძლივს სუნთქავდნენ, ბატისტის ხელსახოცებით ოფლს იწმენდდნენ.

– აი, როგორ ცეკვავდნენ ჩვენს დროში, ma chère, – თქვა გრაფმა.

– ჰაიდა, დანილო კუპორ! – მძიმე და ხანგრძლივი ამოსუნთქვის შემდეგ წამოიძახა მარია დმიტრიევნამ და სახელოები გადაიწია.

თავი მეთვრამეტე

იმ დროს, როდესაც როსტოვების დარბაზში დაღლილი მუსიკოსების არეულ ხმებზე მეექვსე ანგლეს ცეკვავდნენ, ხოლო მოქანცული ოფიცინტები და მზარეულები ვახშამს ამზადებდნენ, გრაფ ბეზუხოვს მეექვსედ დაეცა დამბლა. ექიმებმა განაცხადეს, მორჩენის იმედი აღარ არისო; ავადმყოფს უსიტყვო აღსარება ათქმევინეს და ზიარება მიაღებინეს. ემზადებოდნენ ზეთის კურთხევისთვის, და მთელ სახლში ალიაქოთი და ჩოჩქოლი იდგა, რაც ასე ჩვეულებრივია ამგვარი შემთხვევის დროს. სახლს გარეთ, ალაყაფის კარს უკან, წამდაუწმ მომდგარ ეტლებს ემალებოდნენ სარფიანი შეკვეთის მომლოდინე მეკუბოვენი. მოსკოვის მთავარსარდალმა, რომელიც განუწყვეტლივ ადიუტანტებს გზავნიდა გრაფის მდგომარეობის გასაგებად, ამ საღამოს თავად მოისურვა მისვლა, რათა გამოსთხოვებოდა ეკატერინეს დროის დიდად წარჩინებულ კაცს, გრაფ ბეზუხოვს.

დიდებული მისაღები ოთახი ხალხით იყო სავსე. ყველა მოწიწებით ფეხზე წამოდგა, როცა მთავარსარდალი გრაფის ოთახიდან გამოვიდა, სადაც მან მარტოდმარტომ ნახევარ საათამდე დაჰყო ავადმყოფთან. ოთახში მყოფთა საღამოს იგი ოდნავი თავის დაკვრით პასუხობდა და ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად გაეგლო ექიმების, სასულიერო პირებისა და ნათესავების რიგები, რომელნიც თვალს არ ამორებდნენ მიმავალ მთავარსარდალს. თავადმა ვასილიმ, ორიოდე დღეში გამხდარმა და ფერწასულმა, გააცილა მთავარსარდალი და რამდენჯერმე რაღაც გაუმეორა ხმადაბლა.

გაცილა თუ არა მთავარსარდალი, თავადი ვასილი დარბაზში სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადადო, იდაყვით მუხლს დაეყრდნო და ხელი თვალებზე მიიფარა. ერთხანს ასე იჯდა, შემდეგ ადგა, არაჩვეულებრივად სწრაფი ნაბიჯით და შეშინებული თვალების ცეცებით გაემართა გრძელი დერეფნით სახლის უკანა ნაწილისკენ, თავადის უფროს ასულთან.

ოდნავ განათებულ ოთახში მყოფნი უთანაბრო ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და გაკვირვებულ და მომლოდინე თვალებს აშტერებდნენ ავადმყოფის ოთახის კარს, როდესაც იგი ვინმეს შესვლისას ან გამოსვლისას სუსტ ხმას გამოსცემდა.

– ადამიანი შეზღუდულია, – ეუბნებოდა მოხუცი სასულიერო წოდების პირი მანდილოსანს, რომელიც, ახლო მიმჯდარი, გულუბრყვილოდ უგდებდა ყურს, – ადამიანის სიცოცხლეს საზღვარი აქვს დადებული და მას ვერავინ ვერ გადალახავს.

– განა გვიანი არ არის ზეთის კურთხევა? – შეეკითხა სასულიერო პირს მანდილოსანი, თითქოს თავად მას ამის შესახებ არავითარი აზრი არ გააჩნდა.

– წმინდა საიდუმლო, შვილო ჩემო, დიადი საქმეა, – მიუგო სასულიერო პირმა და ხელი მელოტ თავზე გადაისვა, რომელზედაც გადაეყარცხნა რამდენიმე ღერი ნახევრად გაჭაღარავებული თმა.

– ვინ იყო ნეტავი? თვით მთავარსარდალი? – კითხულობდნენ ოთახის მეორე ბოლოში, – რა ახალგაზრდულად გამოიყურება!..

– მეშვიდე ათეულში კი გადადგა! მართალია, რომ ამბობენ, გრაფი უკვე ვეღარ სცნობსო? ზეთი უნდა ეკურთხათ?

– მე ერთს ვიცნობდი: შვიდჯერ უკურთხეს ზეთი.

თავადის მეორე ასული ნამტირალევი თვალებით ავადმყოფის ოთახიდან გამოვიდა და ექიმ ლორენს გვერდით მიუჯდა. მაგიდაზე დაყრდნობილი ექიმი გრაციოზულ პოზაში იჯდა ეკატერინეს სურათს ქვეშ.

– Très beau (საუცხოოა), – ამბობდა ექიმი ამინდის შესახებ შეკითხვის საპასუხოდ, – très beau, princesse, et puis, à Moscou on se croit à la campagne (საუცხოო ამინდია, კნიაჟნა, და მერე ასე ჰგავს მოსკოვი სოფელს).

– N'est-ce-pas (ხომ სწორია)? – იკითხა კნიაჟნამ და ამოიოხრა, – მაშ, შეიძლება დავალევიინო?

ლორენი ჩაფიქრდა.

– წამალი დალია?

– დალია!..

ექიმმა საათს დახედა.

– აიღეთ ერთი ჭიქა ნადული წყალი და ჩადეთ შიგ ერთი pincée (მწიკვი) (მან თავისი თლილი თითებით აჩვენა, რას ნიშნავს ერთი pincée) de cremortartari (კრემორტარტარი).

– არ ყოფილა შემთხვევა, – ეუბნებოდა დამტვრეული რუსულით გერმანელი ექიმი ადიუტანტს, – რომ მესამე დამბლის შემდეგ კაცი ცოცხალი გადარჩენილიყო.

– მერე რა შენახული ვაჟკაცი იყო, – თქვა ადიუტანტმა, – ნეტა ვის დარჩება ეს სიმდიდრე? – დაუმატა ჩურჩულით.

– მსურველნი აღმოჩნდებიან, – ღიმილით მიუგო გერმანელმა.

ყველამ კვლავ კარისკენ მიიხედა. კარმა დაიჭრაჭუნა და თავადის მეორე ასული ლორენის მიერ ნასწავლი სასმლით ავადმყოფთან შევიდა. გერმანელი ექიმი ლორენტან მივიდა.

– შეიძლება ხვალ დილამდე მიაღწიოს? – ჰკითხა გერმანელმა უხეირო ფრანგულით.

– ამაღამ, არა უგვიანეს, – მიუგო მან ხმადაბლა და ტუჩებზე თვითკმაყოფილების ზრდილობიანმა ღიმილმა გადაურბინა, აქაოდა, კარგად ვიცი ავადმყოფის მდგომარეობაო, და მოშორდა გერმანელს.

ამასობაში თავადმა ვასილიმ კნიაჟნას ოთახის კარი შეაღო.

ოთახში ნახევრად ბნელოდა; ენთო მხოლოდ ორი კანდელი ხატების წინ, და საკმევლისა და ყვავილების საამო სუნი იდგა. მთელი ოთახი მოფენილი იყო წვრილი ავეჯით – ტანსაცმლისა და მომცრო კარადებით, პატარ-პატარა მაგიდებით. თეჯირის უკან მოჩანდა ბუმბულის მაღალი ლოგინის თეთრი გადასაფარებლები. ფინიამ შეჰყეფა.

– ოჰ, თქვენა ხართ mon cousin?

კნიაჟნა ფეხზე წამოდგა, თმა გაისწორა: თმა მუდამ, ახლაც კი ისე ჰქონდა გადატკეპნილი, კაცს ეგონებოდა – თმა და თავი ერთი ნაჭრისგანაა გამოყვანილი და გადალაქულიო.

– რა იყო, მოხდა რამე? – იკითხა მან. – მე უკვე ძალზე დამფრთხალი ვარ.

– არაფერი არ მომხდარა, ავადმყოფი ისევ ისეა. მოვედი მხოლოდ იმისთვის, რომ საქმეზე მოგელაპარაკო, კატიშ, – წარმოთქვა თავადმა და მოქანცული სავარძელში ჩაეშვა, საიდანაც კნიაჟნა წამოდგა, – ძალზე გაგიხურებია აქაურობა, – დაუმატა მან, – დაჯექ, აი აქ, causons (მოვილაპარაკოთ).

– მე მეგონა, მოხდა რამე, – წარმოთქვა კნიაჟნამ სახის მუდმივი გაქვავებული სასტიკი გამომეტყველებით, თავადის პირდაპირ იჯდა და მოსასმენად მოემზადა, – მინდოდა დამემინა, მაგრამ ვერ დავიძინე, – დაუმატა მან.

– რას მეტყვი, ჩემო კარგო? – მიმართა თავადმა, ხელში ხელი წაავლო და ჩვეულებისამებრ ქვემოთკენ დახარა.

აშკარად ჩანდა, რომ ეს „რას მეტყვი“ ბევრს ისეთ რამეს შეეხებოდა, რაც ორივესთვის უთქმელადაც გასაგები იყო.

ფეხებთან შედარებით შეუსაბამოდ გრძელწელიანი კნიაჟნა იჯდა და გადმოკარკლული ჭროლა თვალებით პირდაპირ, უგრძობლად შეჰყურებდა თავადს. მან თავი გააქნია, ამოიხვნეშა და ხატებს შეხედა. ამის ახსნა ორნაირად შეიძლებოდა: იგი გამოხატავდა ან მწუხარებასა და ერთგულებას, ან დაღლილობას და სწრაფი დასვენების იმედს. თავადმა ვასილიმ ეს ჟესტი დაღლილობის გამოხატულებად მიიჩნია.

– მე? როგორ ფიქრობ, შენზე ნაკლებ ვიტანჯები? – უთხრა მან. – Je suis éreinté comme un cheval de poste (ფოსტის ცხენივით წელში გავწყდი). მიუხედავად ამისა, მაინც უნდა მოგელაპარაკო, კატიშ, და ძალიან სერიოზულადაც.

თავადი ვასილი გაჩუმდა, სამაგიეროდ, მისმა ლოყებმა ნერვიული ტოკვა იწყეს – ხან ერთი ლოყა აუთამაშდებოდა, ხან მეორე, და ეს უსიამოვნო გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს, რასაც თავად ვასილის ვერასოდეს შეამჩნევდით სასტუმრო ოთახში ყოფნის დროს. არც თვალები ჰქონდა ისეთი, როგორც ყოველთვის: ხან დამცინავი კადნიერებით იყურებოდნენ ეს თვალები, ხან კიდევ დამფრთხალნი უკან იცქირებოდნენ.

კნიაჟნა, რომელსაც თავისი მშრალი, გამხმარი ხელებით ფინია ეჭირა მუხლებზე, გულდასმით შესცქეროდა თვალებში თავად ვასილის. მაგრამ ეტყობოდა, რომ იგი არ დაარღვევდა ამ სიჩუმეს კითხვით, დილამდეც რომ მჯდარიყო ასე მდუმარედ.

– ჰოდა, უნდა გითხრა, ძვირფასო კნიაჟნა და ჩემო ბიძაშვილო, კატერინა სემიონოვნა, – ხმა ამოიღო თავადმა ვასილიმ. ჩანდა, რომ მან ერთგვარი ძლიერი ბრძოლა განიცადა, ვიდრე სიტყვას განაგრძობდა, – რომ ისეთ წუთებში, როგორც ახლაა, ყველაფერზე უნდა იფიქრო კაცმა. უნდა ვიფიქრო მომავალზე, თქვენზე... მე, თქვენ, ყველანი, შვილებივით მიყვარხართ. ეს შენ კარგად იცი.

კნიაჟნა კვლავ უსიცოცხლოდ და უძრავად შეჰყურებდა.

– დასასრულ, უნდა ვიფიქრო ჩემს ოჯახზეც, – განაგრძო თავადმა ვასილიმ და გულმოსულმა ხელი ჰკრა მაგიდას, – იცი თუ არა, კატიშ, რომ თქვენ, სამი და მამონტოვები და ჩემი ცოლი, ჩვენ ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრენი ვართ გრაფისა? ვიცი, ვიცი, როგორ გიმძიმს შენ ამისთანა რამეებზე ლაპარაკი და ფიქრი. არც მე შეადვილება. მაგრამ, ჩემო მეგობარო, მე უკვე მეექვსე ათეულში ვარ და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყო. იცი თუ არა შენ, რომ მე კაცი გავგზავნე პიერის მოსაყვანად... და რომ გრაფმა ხელი გაიშვირა მისი სურათისკენ და მოითხოვა მისი მოყვანა?

თავადი ვასილი დააკვირდა თავის მოსაუბრეს, მაგრამ ვერ გამოარკვია, მიხვდა იგი მისი სიტყვების აზრს თუ მხოლოდ შესცქეროდა მას...

– მე მხოლოდ ერთს ვევედრები უფალს, – მიუგო კნიაჟნამ, – შეუწდოს გრაფს და შეამღებინოს მის მშვენიერ სულს მშვიდობიანად დასტოვოს...

– ეგ სწორია, – მოუთმელად შეაწყვეტინა სიტყვა თავადმა და მელოტ თავზე ხელი მოისვა, მერე ბრაზმორეულმა კვლავ მიიწია თავისკენ განზე გაწეული მაგიდა, – მაგრამ, ბოლოს... შენ ხომ იცი, რომ წარსულ ზამთარს გრაფმა დაწერა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მთელ თავის ქონებას უტოვებდა არა პირდაპირ მემკვიდრეებს და ჩვენ, არამედ პიერს.

- მერე, რა ვუყოთ, რომ დაწერა! – თქვა წყნარად კნიაჟნამ, – პიერს მაინც ვერ უანდერძებდა, პიერი უკანონო შვილია.
- *Ma chère*, – დაიწყო უცხად თავადმა ვასილიმ, მაგიდა ზედ მიიკრა, გამოცოცხლდა და ლაპარაკს მოუჩქარა, – მერე რას იზამ, თუ წერილი მიწერილია ხელმწიფესთან და გრაფი ითხოვს, რომ პიერი აღიარონ მის შვილად? ხომ გესმის, გრაფს იმდენი დამსახურება მიუძღვის, რომ მის თხოვნას შეიწყნარებენ.
- კნიაჟნას გაეღიმა, გაეღიმა იმ ადამიანივით, რომელიც დარწმუნებულია, რომ მან უკეთ იცის საქმის ვითარება, ვიდრე მისმა მოსაუბრემ.
- მეტსაც გეტყვი, – განაგრძო თავადმა და თან ხელში ხელი სტაცა, – წერილი დაწერილი იყო, თუმცა არ გაუგზავნიათ, და ხელმწიფემ იცოდა ეს. ახლა საქმე ის არის მხოლოდ, მოსპობილია თუ არა ეს წერილი. თუ მოსპობილი არ არის, რაწამს ყველაფერი გათავდება, – თავადმა ვასილიმ ამოიოხრა და ამით გააგებინა მოსაუბრეს, რას გულისხმობდა იგი, როდესაც ამბობდა: ყველაფერი გათავდებაო, – და გრაფის ქალაქებს გახსნიან, წერილი ანდერძითურთ ხელმწიფეს გადაეცემა და გრაფის თხოვნას, ალბათ, შეიწყნარებენ. პიერი, როგორც კანონიერი შვილი, ყველაფერს მიიღებს.
- ჩვენი წილი? – იკითხა კნიაჟნამ და ირონიულად გაიღიმა, თითქოს ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ეს არასოდეს მოხდებაო.
- *Mais, ma pauvre Catiche, c'est clair, comme le jour* (ჩემო ძვირფასო კატიშ, ყველაფერი დღესავით ნათელია). ერთადერთი ის იქნება კანონიერი მემკვიდრე ყველაფრისა, თქვენ კი ვერაფერს მიიღებთ. შენ უნდა იცოდე, ჩემო კარგო, დაიწერა თუ არა ანდერძი და წერილი და მოსპობილია თუ არა ისინი. და თუ რაიმე მიზეზით დაივიწყეს მათ მოსპობა, შენ უნდა იცოდე, სად არის ერთიცა და მეორეც და უნდა იპოვო, იმიტომ, რომ...
- ეგლა მაკლია! – გააწყვეტინა კნიაჟნამ და ბოროტად გაიღიმა. ისე, რომ თვალების გამომეტყველება არ შეუცვლია, – მე ქალი ვარ; თქვენი აზრით, ჩვენ ყველანი სულელები ვართ; მაგრამ იმდენი მაინც ვიცი, რომ უკანონო შვილი მემკვიდრე ვერ გახდება... *Un bâtard* (ბუში)! – დაუმატა მან და, ალბათ, ამ თარგმანით საბოლოოდ უნდოდა დაემტკიცებინა თავადისთვის მისი აზრის უსაფუძვლოება.
- როგორც არ გესმის, კატიშ! ჭკვიანი ქალი ხარ და ვერ მიმხვდარხარ: თუ გრაფმა ხელმწიფეს წერილი მისწერა და სთხოვა, კანონიერ შვილად იცნოს მისი უკანონო შვილი, პიერი აღარ იქნება პიერი, იგი გრაფი ბეზუხოვი იქნება, და მაშინ, ანდერძის მიხედვით, ის ყველაფერს მიიღებს. და თუ ანდერძი წერილითურთ მოსპობილი არ არის, შენ არაფერი დაგრჩება, გარდა ნუგეშისა, რომ შენ კეთილისმყოფელი ადამიანი იყავი, *tout ce qui s'en suit* (და გარდა ყოველივე იმისა, რაც აქედან გამომდინარეობს). ეს ასეა.
- მე ვიცი, რომ ანდერძი დაწერილია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მას ძალა არა აქვს, და თქვენ *mon cousin*, მგონი მტკნარ სულელად მიგაჩნვიართ, – უთხრა კნიაჟნამ ისეთი გამომეტყველებით, როგორსაც ქალები მიიღებენ ხოლმე მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ ძალზე მახვილი და შეურაცხმყოფელი რამ ვთქვითო.
- ჩემო კარგო და ძვირფასო კატერინა სემიონოვნა! – მოუთმენლად განაგრძო თავადმა, – მოვედი შენთან არა იმისთვის, რომ გედავო და გეკამათო, არამედ იმისთვის, რომ, როგორც ნათესავს, კარგ, კეთილ და ნამდვილ ნათესავს, მოგელაპარაკო შენივე ინტერესებისთვის. მეათედ გეუბნები, თუ გრაფის ქალაქებში არის წერილი ხელმწიფესთან და ანდერძი პიერის სასარგებლოდ, შენ ჩემო კარგო, და შენი

დები მემკვიდრეები აღარ ყოფილხართ. თუ ჩემი სიტყვა არ გჯერა, დაუჯერე მცოდნე ადამიანებს: ეს-ეს არის, ველაპარაკე დმიტრი ონუფრიევიჩს (ეს იყო ოჯახის ვეჩილი) და მანაც ეგ მითხრა.

ეტყობოდა, რაღაც შეიცვალა კნიაჟნაყ აზრებში: თხელი ტუჩები გაუფითრდა (თვალები უცვლელი დარჩა), ხმაც, როცა დაილაპარაკა, ძალზე ჭექდა, რასაც ალბათ, თვითონაც არ მოელოდა.

– ეგ ძალიან კარგი იქნება, – თქვა მან, – მე არაფერი მინდოდა და არც ახლა მინდა.

მუხლებიდან ფინია მოიშორა და ტანისამოსის ნაოჭები გაისწორა.

– აი, როგორ უხდიან მადლობას იმათ, ვინც ყველაფერი შესწირა! – განაგრძო კნიაჟნამ, – კეთილი და პატიოსანი! მე არაფერი მინდა, თავადო!

– შენ ხომ მარტო არა ხარ, შენ დებიც გყავს, – მიუგო თავადმა.

მაგრამ კნიაჟნა ყურს აღარ უგდებდა.

– დიახ, მე დიდი ხანია ვიცოდი ეგ. მაგრამ დამავიწყდა, რომ სიმდაბლის, მოტყუების, შურის, ინტრიგისა და უმადურობის გარდა არაფრის მოლოდინი ამ სახლში არ უნდა მქონოდა.

– იცი თუ არა შენ, სად არის ეგ ანდერძი? – ჰკითხა თავადმა ისე აღელვებულმა, რომ ლოყები წინანდელზე მეტად აუკანკალდა.

– დიახ, სულელი ვიყავი, მწამდა ადამიანთა სიკეთე, მიყვარდა ისინი, თავს ვწირავდი მათ. გზას კი ცხოვრებაში ფლიდნი და საზიზღარნი იკავავენ. ვიცი, ვისი ინტრიგებია ეს.

კნიაჟნამ ადგომა დააპირა, მაგრამ თავადმა ხელი დაუჭირა. კნიაჟნას ისეთი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც უეცრად გული გაუტყდება ყველაფერზე. იგი გაბრაზებული შეჰყურებდა მოსაუბრეს.

– ჯერ კიდევ არის დრო, ჩემო მეგობარო. გახსოვდეს, კატიშ, რომ ყოველივე ეს გრაფმა ჩაიდინა უცაბედად, განრისხების, ავადმყოფობის ჟამს, და მერე დაავიწყდა. ჩვენი მოვალეობაა, ჩემო კეთილო, გამოვასწოროთ მისი შეცდომა, შევუმსუბუქოთ უკანასკნელი წუთები იმით, რომ არ ჩავადენინოთ ეს უსამართლობა, არ დავანებოთ მოკვდეს იმ აზრით, რომ მან გააუბედურა ის ადამიანები...

– ის ადამიანები, რომელთაც ყველაფერი გაწირეს მისთვის, – ჩამოართვა სიტყვა კნიაჟნამ და კვლავ შეეცადა ფეხზე წამოდგომას, მაგრამ თავადმა არ გაუშვა, – რისი დაფასებაც მან არასოდეს არ იცოდა. არა, mon cousin, – დაუმატა კნიაჟნამ და ამოიოხრა, – მე მუდამ მეხსომება, რომ ამქვეყნად არ უნდა მოელოდე ჯილდოს, რომ ამქვეყნად არ არის არც პატიოსნება, არც სამართლიანობა. ამქვეყნად ბოროტი და გაიძვერა უნდა იყო.

– მოდი, voyons (მომისმინე), დამშვიდდი, ვიცი, მშვენიერი გული გაქვს.

– არა, მე ბოროტი გული მაქვს.

– ვიცი, როგორი გული გაქვს, – გაიმეორა თავადმა. – ვაფასებ შენს მეგობრობას და მინდა, შენც ასეთივე აზრისა იყო ჩემზე. დამშვიდდი და parlons raison (საფუძვლიანად მოვილაპარაკოთ), ვიდრე ჯერ კიდევ არის დრო – იქნებ დღე-ღამე, იქნებ საათი; მიაბზე ყველაფერი, რაც ანდერძის შესახებ იცი. პირველ ყოვლისა კი მითხარი, სად არის იგი. შენ უნდა იცოდე. ახლავე ავიღოთ ანდერძი და ვაჩვენოთ გრაფს. მას ალბათ, დაავიწყდა ამ ანდერძის არსებობა, და მოისურვებს მის მოსპობას. ხომ გესმის, რომ მე ერთადერთი სურვილი მაქვს, წმინდად შევასრულო მისი ნება; სწორედ ამისთვის ჩამოვედი აქ, მხოლოდ იმიტომ ვარ აქ, რომ დავეხმარო მას და დაგეხმაროთ თქვენ.

– ახლა ყველაფერს მივხვდი. ვიცი, ვისი ინტრიგებია, ვიცი, – ამბობდა კნიაჟნა.

- საქმე ეგ არ არის, ჩემო კარგო.
- ეს სულ თქვენი protégée (პროტეჟეა), თქვენი ძვირფასი ანა მიხაილოვნა, საზიზღარი, ბილწი დედაკაცი, რომელსაც მე მოახლედაც არ ვიკადრებ.
- Ne perdons point de temps (ნუ დაგვკარგავთ დროს)!..
- ნუ მელაპარაკებით! კარგად ვიცი ყველაფერი: წარსულ ზამთარს გველივით შემოდგრა აქ და ისეთი სისაზიზღრე, ისეთი სიბილწე ჩააწვეთა ყურში გრაფს ყველა ჩვენგანზე, მეტადრე Sophie-ზე, – არ შემძლია გამეორებაც კი, – რომ გრაფი ავად გახდა და ორი კვირის განმავლობაში ახლო აღარ მიგვიკარა. ვიცი, სწორედ იმ დროს დაწერა ის საზიზღარი, ბილწი ქალაღი; მაგრამ მეგონა, ის ქალაღი არაფერს ნიშნავდა.
- Nous y voilà (ეგ არის სწორედ)! მერე რატომ აქამდე არაფერი არ მითხარი?
- მოზაიკურ პორტფელში აქვს, რომელიც ბალიშის ქვეშ უდევს. ახლა ყველაფერი მესმის, – თქვა კნიაჟნამ თავისთვის, – დიახ, თუ რაიმე ცოდვა მიმიძღვის, დიდი ცოდვა, ეს არის სიძულვილი იმ არამზადისადმი! – თითქმის დაიყვირა სახეშეცვლილმა კნიაჟნამ, – რა უნდა, რას მოძვრება აქ? დამაცადოს, ყველაფერს პირში მივახლი, ყველაფერს, მოვა დრო!

თავი მეცხრამეტე

- იმ დროს, როდესაც მისაღებ და კნიაჟნას ოთახებში ასეთი ლაპარაკი იყო, კარეტა, რომელშიც პიერი (ავადმყოფ მამასთან რომ მიიწვიეს) და ანა მიხაილოვნა ისხდნენ (რომელმაც საჭიროდ ჩათვალა გამოჰყოლოდა პიერს), გრაფ ბეზუხოვის სახლის ეზოში შედიოდა. როდესაც კარეტის თვლებმა მსუბუქად გაისრიალეს ფანჯრების წინ დაგებულ ჩალაზე, ანა მიხაილოვნამ პიერს მიმართა სანუგეშებლად, მაგრამ დაინახა, რომ ახალგაზრდა კაცს კარეტის სიღრმეში ჩასძინებოდა და გააღვიძა. გონს მოსული პიერი ანა მიხაილოვნას კარეტიდან გადმოჰყვა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ მომაკვდავი მამა უნდა ენახა. პიერმა შენიშნა, რომ მათი კარეტა გაჩერდა არა საპარადო, არამედ უკანა კართან. იმ დროს, როცა იგი ეტლის საფეხურიდან ჩამოდიოდა, მეშჩანურად ჩაცმული ორი მამაკაცი სწრაფად მოშორდა შესასვლელ კარს და კედლის ჩრდილში მიიმალა, წუთით შეჩერებულმა პიერმა სახლის ჩრდილში, ორივე მხარეს, რამდენიმე ასეთი მამაკაცი კიდევ შენიშნა, მაგრამ არც ანა მიხაილოვნას, არც ლაქიას, არც მეეტლეს, რომელთაც არ შეეძლოთ არ შეენიშნათ ისინი, ყურადღება არ მიუქცევიათ მათთვის. მამასადამე, ასე უნდაო, გადაწყვიტა გულში პიერმა და ანა მიხაილოვნას გაჰყვა. ანა მიხაილოვნა კი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა ზევით სუსტად განათებული ვიწრო ქვის კიბით და უხმობდა უკან ჩამორჩენილ პიერს, თუმცა პიერს ვერ გაეგო, რატომ უნდა ასულიყო საერთოდ გრაფთან, მით უმეტეს, რატომ უნდა ასულიყო უკანა კიბით, მაგრამ რაკი ხედავდა, თუ რა სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა ანა მიხაილოვნა, გულში გადაწყვიტა, ეს აუცილებლად საჭიროაო. შუა კიბეზე კინალამ წააქციეს ისინი ვიღაცებმა, რომელნიც ვედროებით ხელში, წაღების ბრახუნით, ზევიდან სწრაფად ეშვებოდნენ. ზევიდან მომავალნი კედელს გაეკრნენ, რათა გზა მიეცათ პიერისა და ანა მიხაილოვნასთვის. ამ უკანასკნელთა დანახვაზე მათ ოდნავი გაკვირვებაც კი არ შეიმჩნიეს სახეზე.
- აქედან შეიძლება შესვლა თავადის ქალიშვილებთან? – ჰკითხა ანა მიხაილოვნამ ერთ-ერთ მათგანს.
 - შეიძლება, – მიუგო გაბედული, მაღალი ხმით ლაქიამ, თითქოს ახლა ყველაფერი შესაძლებელი ყოფილიყო, – შებრძანდით მარცხენა კარიდან.
 - იქნებ გრაფს არ მოვუხმევარ, – თქვა პიერმა, როცა კიბეს ასცდნენ, – წავალ ჩემს ოთახში.

ანა მიხაილოვნა შეჩერდა, ვიდრე პიერი გაუსწორდებოდა.

– Ah, mon ami! – მიმართა ანა მიხაილოვნამ და, როგორც დღეს დილით შვილს, ხელი შეახო პიერის ხელს, – croyez, que je souffre autant, que vous, mais soyez homme (დამიჯერეთ, თქვენზე ნაკლებ არც მე ვიტანჯები, გამოიჩინეთ ვაჟკაცობა).

– იქნებ წასვლა სჯობდეს? – კვლავ იკითხა პიერმა და სათვალისადაც ალერსიანად შეხედა ანა მიხაილოვნას.

– Ah, mon ami, oubliez les torts qu'on a pu avoir envers vous, pensez que c'est votre père... peut-être à l'agonie (დაივიწყეთ. ჩემო მეგობარო თქვენს წინააღმდეგ ჩადენილი უსამართლობა, გაიხსენეთ, რომ თქვენი მამაა... იქნებ სიკვდილის პირზეა) – ანა მიხაილოვნამ ამოიოხრა, – Je vous ai tout de suite aimé comme mon fils. Fiez-vous à moi, Pierre. Je n'oublierai pas vos intérêts (თავიდანვე შვილივით შემეყვარდით. მენდეთ, პიერ, მე არ დავივიწყებ თქვენს ინტერესებს).

პიერს არაფერი ესმოდა; მაგრამ კვლავ ეჩვენა, ამასთან უფრო მეტადაც, რომ ყველაფერი ასე უნდა იყოს, და მორჩილად გაჰყვა ანა მიხაილოვნას, რომელიც უკვე კარს აღებდა.

კარი შედიოდა უკანა შესასვლელის წინა ოთახში. კუთხეში თავადის ქალიშვილების მოხუცი მსახური იჯდა და წინდას ქსოვდა. პიერი არასოდეს ყოფილა სახლის ამ მხარეზე. არც კი ფიქრობდა, თუ აქეთ ასეთი ოთახ-პალატები იქნებოდა. ანა მიხაილოვნა გამოელაპარაკა გოგოს (ჩემო კარგო და ძვირფასო, – ასე მიმართა), რომელიც მათ დაეწია და რომელსაც სინით გრაფინი მოჰქონდა, მოიკითხა თავადის ქალიშვილები და პიერთან ერთად გზა განაგრძო ქვით დაგებულ დერეფანში. ამ დერეფნიდან პირველი კარი მარცხნივ თავადის ქალიშვილების ოთახებში შედიოდა. მოახლეს, რომელსაც სინით გრაფინი მიჰქონდა, სიჩქარეში (როგორც ყველაფერი ნაჩქარევად კეთდებოდა ამ წუთებში ამ სახლში) კარის დახურვა დაავიწყდა და პიერმა ანა მიხაილოვნათურთ, კართან გავლისას, უნებურად შეიხედა იმ ოთახში, სადაც ისხდნენ და ლაპარაკობდნენ უფროსი ასული და თავადი ვასილი. მათ დანახვაზე თავადი მოუთმენლად შეტოკდა და სასოწარკვეთილმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კარი მიაჯახუნა.

ეს საქციელი ისე არ ეხამებოდა კნაჟნას მუდმივ სიმშვიდეს, ხოლო თავად ვასილის სახეზე გამოხატული შიში ისე არ ეგუებოდა მის მედიდურებას, რომ ოდნავ შეჩერებულმა პიერმა სათვალის ზემოდან გაკვირვებით შეხედა თავის ხელმძღვანელს. ანა მიხაილოვნას არაფერი გაკვირვებია, მან მხოლოდ ოდნავ გაიღიმა და ამოიოხრა, თითქოს გააგებინა პიერს, მოველოდი ყოველსავე ამასო!

– Soyez homme, mon ami, c'est moi qui veillerai à vos intérêts (ვაჟკაცურად მოიქეცით, ჩემო მეგობარო. რაც შეეხება თქვენს ინტერესებს, მე დავიცავ), – უთხრა მან პიერს გაკვირვებული შეხედვის საპასუხოდ და უფრო მოუჩქარა ფეხს.

პიერს ვერ გაეგო, რაში იყო საქმე, უფრო ნაკლებად ესმოდა, რას ნიშნავდა veiller à vos intérêts (მისი ინტერესების დაცვა), მაგრამ ესმოდა, რომ ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო. დერეფნიდან ისინი შევიდნენ ნახევრად განათებულ დარბაზში, რომელიც გრაფის მისაღები ოთახის გვერდით მდებარეობდა. ეს იყო იმ ერთ-ერთი ცივი და მდიდრულად მორთული ოთახთაგანი, რომელსაც პიერი საპარადო შესასვლელიდან იცნობდა, მაგრამ ამ ოთახშიც, შუა ადგილას, ცარიელი აბაზანა იდგა, ხოლო ნოხზე წყალი იყო დაღვრილი. სხვა კარით ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდნენ მსახური და მედავითნე საცეცხლურით, რომელთაც არავითარი ყურადღება მათთვის არ მიუქცევიათ. პიერი და ანა მიხაილოვნა მისაღებ ოთახში შევიდნენ. ამ ოთახს პიერი კარგად იცნობდა, მისი ორი იტალიური ფანჯარა საზამთრო ბაღს გადაჰყურებდა, ოთახში იდგა ეკატერინეს დიდი ბიუსტი და ეკიდა მისივე სურათი, მთელი ტანით დახატული. მისაღებ ოთახში ისხდნენ იგივე ადამიანები, ისხდნენ ისევე და

ერთმანეთს ეჭურჩულებოდნენ. მათი შესვლისას ყველა დუმდა, ყველამ თვალი მიაპყრო ანა მიხაილოვნას, მის ნამტირალზე, ფერწასულ სახეს. და სქელ, ზორბა პიერს, რომელიც თავდახრილი, მორჩილად მისდევდა ანა მიხაილოვნას.

ანა მიხაილოვნას სახეზე გამოეხატა განცდა იმისა, რომ დადგა გადამწყვეტი წუთი. იგი ისე იქცეოდა, როგორც პეტერბურგელი საქმის ქალი: პიერთან ერთად ოთახში შევიდა, შევიდა უფრო გაბედულად, ვიდრე დილას. გრძნობდა, რომ მისი მიღება უზრუნველყოფილი იყო, რადგან თან მიჰყავდა ის, ვისი ნახვაც მომაკვდავმა მოისურვა. სწრაფად მიმოავლო თვალი ოთახში მყოფთ და როგორც კი შენიშნა გრაფის პირადი მოძღვარი, იგი არათუ მოიხარა, თითქოს დაპატარავდა კიდევ. საჩქაროდ მიიჭრა მოძღვართან და მოწიწებით მიიღო კურთხევა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე სასულიერო პირისგან.

– მადლობა ღმერთს, რომ მოვასწართ, – მიმართა მან სასულიერო პირს, – ჩვენ ყველას, ნათესავებს, ძალზე გვეშინოდა. აი, ეს ახალგაზრდა კაცი გრაფის შვილია, – დაუმატა მან ხმადაბლა, – საშინელი წუთია!

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ექიმთან მივიდა.

– Cher docteur (მვირფასო ექიმო), – უთხრა მან ექიმს, – ce jeune homme est le fils du comte... y a-t-il de l'espoir (ეს ახალგაზრდა კაცი გრაფის შვილია... არის თუ არა იმედი)?

ექიმმა მდუმარედ და სწრაფად თვალები ზე აღმართა და მხრები აიჩეჩა. სწორედ ასევე აიჩეჩა მხრები, ზე აღმართა და თითქმის მოხუჭა თვალები ანა მიხაილოვნამაც, მერე ამოიოხრა და პიერს დაუბრუნდა. მან განსაკუთრებული მოწიწებითა და ნაზი მწუხარებით მიმართა ახალგაზრდა კაცს:

– Ayez confiance en Sa miséricorde (მიენდეთ ღვთის მოწყალებას)! – უთხრა და დივანზე მიუთითა, რომ დამჯდარიყო და მოეცადა, თვითონ კი ჩუმი ნაბიჯით გაემართა იმ კარისკენ, რომელსაც ყველა შესცქეროდა, და ამ კარის ოდნავი გახმაურების შემდეგ მოეფერა მას.

რაკი პიერმა გადაწყვიტა, ყველაფერში თავის ხელმძღვანელს დამორჩილებოდა, აღარ დააყოვნა და მის მიერ ნაჩვენებ დივანს მიაშურა. მიეფარა თუ არა ანა მიხაილოვნა კარს, პიერმა შენიშნა, რომ ყველა, ვინც კი ოთახში იყო. განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით და თანაგრძნობით შესცქეროდა მას. შენიშნა ისიც, რომ ოთახში თავმოყრილნი ერთმანეთს ეჭურჩულებოდნენ და თითქოს შიშითა და პირმოთნეობით მასზე უჩვენებდნენ თვალებით. ისეთი პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც წინათ არასოდეს არ შეუძნევია: უცნობი მანდილოსანი, რომელიც სასულიერო პირებს ელაპარაკებოდა, ფეხზე წამოდგა და თავისი ადგილი შესთავაზა, ადიუტანტმა იატაკიდან აიღო და მიაწოდა ხელთათმანი, რომელიც პიერს დაუვარდა; ექიმები მოწიწებით დადუმდნენ, როცა პიერმა გვერდით გაუარა მათ, და მიიწ-მოიწიეს, რათა ადგილი დაეთმოთ. პიერს უნდოდა სხვა ადგილზე დამჯდარიყო, რომ არ შეეწუხებინა მანდილოსანი, უნდოდა თვითონ აეღო დავარდნილი ხელთათმანი და გვერდი აეგლო ექიმებისთვის, რომელნიც სრულიად არ იდგნენ მის გზაზე, მაგრამ მან უეცრად იგრძნო, რომ ეს უზრდელობა იქნებოდა, იგრძნო, რომ ამ სადამოს იგი ის პიროვნებაა, რომელიც მოვალეა შეასრულოს რაღაც საშინელი წესი, რასაც ყველა მოელის და ამიტომ მან მომსახურებისთვის უარი არავის არ უნდა უთხრას. პიერმა უსიტყვოდ მიიღო ადიუტანტისგან ხელთათმანი, დაჯდა მანდილოსნის ადგილზე, თავისი დიდი ხელები, ეგვიპტური ქანდაკების გულუბრყვილო პოზის მსგავსად, სიმეტრიულად გაშვერილ მუხლებზე დაიწყო და გულში გადაწყვიტა, ყველაფერი სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, და იმისთვის, რომ ამ სადამოს თავი არ დაკარგოს და სისულელე არ ჩაიდინოს, არ უნდა იმოქმედოს თავის მოსაზრებათა მიხედვით, არამედ უნდა მიენდოს იმათ ნება-სურვილს, ვინც მას ხელმძღვანელობს.

არ გასულა ორი წუთი, რომ თავადი ვასილი, ხიფთანში გამოწყობილი და სამი ვარსკვლავით დამშვენებული, თავაწეული, მედიდურად შევიდა ოთახში. თითქოს გამხდარიყო დილას აქეთ, პიერი დაინახა, მივიდა ახალგაზრდა კაცთან, აიღო მისი ხელი (რაც წინათ არასოდეს ჩაუდენია) და ქვემოთ დასწია, თითქოს უნდა გაიგოს, მაგრად თუ არის მოზმულიო.

– Courage, courage, mon ami. Il a demandé à vous voir. C'est bien (გულს ნუ გაიტეხთ, გულს ნუ გაიტეხთ, ჩემო მეგობარო, ბრძანა, დაგვემახა თქვენთვის. ეს კარგია), – და წასვლა დააპირა.

მაგრამ პიერმა საჭიროდ ჩათვალა ეკითხა:

– როგორ არის... – აქ შეეყოყმანდა, არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა მომაკვდავისთვის გრაფი ეწოდებინა, მამად მოხსენებისა კი რცხვენოდა.

– Il a eu encore un coup, il y a une demi-heure. Courage, mon ami (კვლავ დაეცა დამბლა ნახევარი საათის წინათ. გულს ნუ გაიტეხთ, მეგობარო).

პიერს ისე ჰქონდა აზრები აზნეული, რომ სიტყვა „დაცემაზე“ რაიმე სხეულის დაცემა წარმოიდგინა. გაოცებულმა შეხედა თავად ვასილის და მხოლოდ შემდეგ მოისაზრა, რომ დამბლის დაცემა ავადმყოფობაა. მიმავალმა თავადმა რამდენიმე სიტყვა უთხრა ლორენს და ფეხის თითებზე კარში შევიდა. მას ასე სიარული არ ეხერხებოდა. ამიტომ მთელი სხეულით უხერხულად დახტოდა. თავადის შემდეგ გრაფის ოთახში თავადის უფროსი ასული შევიდა, მერე სასულიერო პირები და მედავითნეები შეჰყვნენ, მსახურნიც შევიდნენ ამ კარით, კარის იქიდან მოისმა მოძრაობის ხმა და, ბოლოს, იმავე ფერმკრთალი სახით, მაგრამ მტკიცე გამომეტყველებით გამოვარდა ანა მიხაილოვნა. მან პიერს ხელი გაუშვირა და უთხრა.

– La bonté divine est inépuisable. C'est la cérémonie de l'extrême onction qui va commencer. Venez (ღვთის მოწყალეა ულევია. ამ წუთში დაიწყება ზეთის კურთხევა. შევიდეთ).

პიერი შევიდა, ფეხქვეშ რბილი ნოხი მოხვდა. შენიშნა, რომ ადიუტანტიც, უცნობი მანდილოსანიც და კიდევ ვიღაც მსახურთაგანი მას მიჰყვნენ, თითქოს ახლა ოთახში შესასვლელად საჭირო აღარ ყოფილიყო ნებართვის აღება.

თავი მეოცე

პიერი კარგად იცნობდა ამ დიდ, სვეტებითა და კამარით ორად გაყოფილ მთლად სპარსული ნოხებით შემოფარდაგებულ ოთახს. ოთახის ნაწილი, სვეტებს იქით, სადაც იდგა ერთ მხარეს აბრეშუმის ფარდებით აფარებული მაღალი საწოლი, ხოლო მეორე მხარეს – ხატებით სავსე სახატე, წითლად და ძლიერად იყო განათებული, ისე, როგორც საღამოს ლოცვის დროს ეკლესიას ანათებენ. განათებულ სახატესთან იდგა გრძელი ვოლტერული სავარძელი, ხოლო სავარძელში იწვა თოვლივით თეთრი, ეტყობოდა, ახალგამოცვლილი, ჯერ დაუჭმუჭნავი ბალიშებით შემოწყობილი და წელამდე მუქ მწვანე საბანგადაფარებული, პიერის მამის, გრაფ ბეზუხოვის დიდებული ფიგურა. განიერ შუბლზე ძველებურად გადმოყრილი ჰქონდა ფაფარის მსგავსი თმა, რაც ლომს ამსგავსებდა მოხუცს, ხოლო მის ლამაზ წითელ-ყვითელ სახეს ძველებურადვე ჰფარავდნენ მსხვილი, დამახასიათებელი კეთილშობილური ნაოჭები. გრაფი ხატებს ქვეშ იწვა. ორივე სქელი, დიდი ხელი საბანზე ედო. ზურგით ზემოთ მოქცეულ მარჯვენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შუა ჩადებული ჰქონდა თაფლის სანთელი, რომლის დაჭერასაც შველოდა სავარძლის მეორე მხრიდან გადმოყუდებული მოხუცი მსახური. ანთებული სანთლებით ხელში სავარძელს გარს ეხვივნენ და დინჯად ლოცულობდნენ სასულიერო პირნი, გამოწყობილნი დიდებულ და ბრწყინვალე სამოსელში, რომელზედაც

გადმოყრილი ჰქონდათ გრძელი თმები. მათ უკან, ცოტა მოშორებით, ცხვირსახოცი თვალებზე მიედო თავადის ორ უმცროს ასულს, ხოლო წინ – გაბოროტებული და გამწარებული სახის გამომეტყველებით უფროსი ასული კატიში იდგა. იგი წუთით არ ამორებდა თავს ხატებს, თითქოს ეუბნებოდა ყველას, ცუდ რამეს ჩავიდნენ, თუ უკან მივიხედავო. ანა მიხაილოვნა, რომლის სახეც მშვიდ მწუხარებასა და ყოვლის პატიებას გამოხატავდა, და უცნობი მანდილოსანი კართან გაჩერებულიყვნენ, თავადი ვასილი კარის მეორე მხარეს იდგა, სავარძლის მახლობლად, ხვერდგადაკრულ ჩუქურთმებიან სკამს უკან; სკამის ზურგი თავისკენ მიებრუნებინა, ზედ სანთლიანი მარცხენა ხელი ედო, ხოლო მარჯვენათი პირჯვარს იწერდა, ამასთან ყოველთვის, როცა შუბლზე თითებს მიიდებდა, თვალებს ზე აღაპყრობდა ხოლმე. მისი სახე ღვთისმოშიშობასა და ღვთის განგებაზე დანდობას გამოხატავდა. „თუ თქვენ არ გესმით ეს გრძნობები, მით უარესი თქვენთვის“, თითქოს ამბობდა მისი სახე.

მის უკან ადიუტანტი, ექიმები და მამაკაცი მსახურები განლაგებულიყვნენ, თითქოს ეკლესიაში არიანო – მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე იდგნენ. ყველა დუმდა, ყველა პირჯვარს იწერდა; ისმოდა მხოლოდ საეკლესიო კითხვა, თავდაჭერილი, ბოხხმიანი გალობა, ხოლო სიჩუმის დროს – ფეხების გადადგ-გადმოდგმა და ამოოხვრა. ანა მიხაილოვნამ სახის ისეთი გამომეტყველებით, რომელიც ცხადად უჩვენებდა ყველას, ვიცი, რასაც ვაკეთებო, გადაჭრა მთელი ოთახი. პიერთან მივიდა და სანთელი გადასცა. პიერმა სანთელს მოუკიდა და, ისე გაერთო შეკრებილთა თვალიერებაში, რომ პირჯვრის წერა იმავე ხელით დაიწყო, რომელშიც სანთელი ეჭირა.

თავადის უმცროსი ასული, ხალიანი სოფი, ღაჟღაჟა და მოხითხითე ქალიშვილი, თვალს არ ამორებდა პიერს, მან გაიღიმა, სახე ცხვირსახოცში ჩამალა და დიდხანს აღარ აუხედავს; მაგრამ როგორც კი ისევ შეხედა პიერს, კვლავ გაიცინა. ეტყობოდა, პიერის შემყურე სიცილისგან თავის შეკავებას ვერ ახერხებდა, მაგრამ არც ის შეეძლო, რომ შეეხედა, ამიტომ ცდუნების თავიდან ასაცილებლად შეუმჩნევლად სვეტს ამოეფარა. შუა ლოცვის დროს სასულიერო პირთა ხმები უეცრად შეწყდა, ისინი რაღაცას ჩურჩულით გადასცემდნენ ერთმანეთს. მოხუცმა მსახურმა, რომელსაც გრაფის ხელი ეჭირა, წამოიწია და მანდილოსნებს მიმართა. ანა მიხაილოვნა წინ წადგა, ავადმყოფის თავთან დაიხარა და თითით ლორენი მიიხმო. ფრანგი ექიმი, მოუკიდებელი სანთლით ხელში სვეტს მიყრდნობოდა, მისი მოკრძალებული პოზა ცხადად მეტყველებდა, რომ, სარწმუნოების სხვადასხვაობის მიუხედავად, მას ესმოდა იმ წესის მთელი მნიშვნელობა, რომელსაც იმ დროს ასრულებდნენ, და იწონებდა კიდეც მას; იგი აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა ავადმყოფს, თეთრი, მოხდენილი თითებით შეეხო მის თავისუფალ ხელს მწვანე საბანს ზემოთ, მაჯა გაუსინჯა და ჩაფიქრდა. ავადმყოფს რაღაც დააღვივნეს, მის გარშემო აფუსფუსდნენ, მერე ყველამ ისევ თავისი ადგილი დაიჭირა, და ღვთისმსახურება განახლდა. ამ ოდნავი შეფერხების დროს პიერმა შენიშნა, რომ თავადი ვასილი მოშორდა თავისი სკამის ზურგს და იმავე გამომეტყველებით, რომელიც ამბობდა, – ვიცი, რასაც ვაკეთებ და მით უარესი სხვებს, თუ მათ ეს არ ესმითო, ავადმყოფთან მისვლის ნაცვლად, გვერდით ჩაუარა, შეუერთდა თავადის უფროს ასულს და მასთან ერთად გაემართა საწოლი ოთახის სიღრმისკენ, აბრეშუმის ფარდებქვეშ მოთავსებული მაღალი საწოლისკენ. აქედან თავადიც და კნიაჟნაც უკანა კარით მიიმაღნენ, მაგრამ ღვთისმსახურების დასასრულისთვის ორივე დაბრუნდა – ჯერ ერთი, მერე მეორე. პიერმა ამ გარემოებას იმდენივე ყურადღება მიაქცია, რამდენიც ყველა სხვა გარემოებას. რაკი თავის ჭკუაში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, ყველაფერი, რაც ამ საღამოს ხდება, საჭირო და აუცილებელიაო.

საეკლესიო გალობა დასრულდა და მოისმა ხმა სასულიერო პირისა, რომელიც მოწიწებით ულოცავდა ავადმყოფს საიდუმლოების შესრულებას. ავადმყოფი ისევე უსიცოცხლოდ და უმოძრაოდ იწვა. მის გარშემო ყველა აფუსფუსდა, გაისმა ფეხის ხმა და ჩურჩული, ყველაზე მკვეთრად მაინც ანა მიხაილოვნას ჩურჩული ისმოდა.

პიერმა გაიგონა მისი სიტყვები: – უსათუოდ უნდა გადავიყვანოთ საწოლზე, აქ ყოვლად შეუძლებელი იქნება...

ავადმყოფს ისე შემოერთყენენ ექიმები, კნიაჟნები და მსახურები, რომ პიერი ვეღარ ხედავდა იმ თეთრფაფრიან წითელ-ყვითელ თავს, რომლისთვისაც მთელი ღვთისმსახურების დროს წუთითაც არ მოუცილებია თვალები, თუმცა იმავე დროს მრავალი სხვა სახე ედგა წინ. იმ ხალხის ფრთხილ მოძრაობაზე, რომელიც სავარძელს შემოხვეოდა, პიერი მიხვდა, რომ მომაკვდავი გადაჰყავდათ.

– ჩემს ხელს მოეჭიდე, მაგრე დაგივარდება, – მოესმა ერთ-ერთი მსახურის შეშინებული ჩურჩული, – ქვემოდან... ერთი კიდეც, – ამბობდნენ სხვები, ამასთან სუნთქვას და ფეხებს ისე აუჩქარეს, თითქოს სიმძიმე, რომელიც მიჰქონდათ, მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ავადმყოფის გადამყვანნი, რომელთა შორის ანა მიხაილოვნაც იყო, გაუსწორდნენ ახალგაზრდა კაცს, და პიერმა მათ ზურგებსა და თავებს უკნიდან წამით თვალი მოჰკრა ზევით აწეულ მაღალ, სავსე, ღია მკერდს და გაჰქალარავებულ გრუზა, ლომისებურ თავს. ეს თავი, არაჩვეულებრივად ფართო შუბლით და ყვრიმალის ძვლებით, ლამაზი, ვნებიანი პირით და დიდებული ცივი გამოხედვით, არ იყო დამახინჯებული მოახლოებული სიკვდილით. იგი ისეთივე იყო, როგორც პიერს სამი თვის წინათ ენახა, როცა გრაფი მას პეტერბურგში ისტუმრებდა. მაგრამ ეს თავი უმწეოდ ქანაობდა გადამყვანთა არათანაბარი ნაბიჯებისგან, ხოლო ცივმა, უგრძნობმა გამოხედვამ არ იცოდა, რაზე შეჩერებულიყო.

მაღალ საწოლთან ამ ფაცაფუცში რამდენიმე წუთმა განვლო; ისინი, ვისაც ავადმყოფი მიჰყავდა, დაიშალნენ. ანა მიხაილოვნამ ხელი წაატანა პიერს და უთხრა, წავიდეთო. პიერი მასთან ერთად საწოლთან მივიდა, რომელზედაც ავადმყოფი სადღესასწაულო პოზაში დააწვინეს, რასაც, ალბათ, კავშირი ჰქონდა ახლახან შესრულებულ ღვთისმსახურებასთან. ავადმყოფს თავი მაღლა ედო ბალიშებზე, ხოლო ხელები სიმეტრიულად ჰქონდა გადმოლაგებული მწვანე აბრეშუმის საბანზე. როდესაც პიერი მივიდა, ავადმყოფი პირდაპირ მას უცქერდა, მაგრამ ეს იყო ისეთი ცქერა, რომელსაც კაცი ვერ გაუგებდა ვერც აზრს, ვერც მნიშვნელობას. ის ან სრულიად არაფერს ამბობდა, გარდა იმისა, რომ ვიდრე ადამიანს თვალები აქვს, ხომ უნდა იყურებოდეს საითმე, ან ძალზე ბევრს ამბობდა. პიერი შეჩერდა და თვალებით თავის ხელმძღვანელს, ანა მიხაილოვნას შეეკითხა – რა ვქნაო. ანა მიხაილოვნამ სასწრაფოდ თვალებითვე მიუთითა ავადმყოფის ხელზე, ხოლო ტუჩებით გააგებინა – აკოცეო. პიერმა გულმოდგინედ კისერი წაიშვირა, რათა საბანს არ მოსდებოდა და შეასრულა ანა მიხაილოვნას რჩევა – აკოცა ძვალმსხვილ და ხორცსავსე ხელს. არც ხელი გრაფისა, არც რომელიმე ძარღვი მის სახეზე არ შერხებულა. პიერმა კვლავ შეხედა ანა მიხაილოვნას – ახლა რაღა ვქნაო. ანა მიხაილოვნამ თვალებით ანიშნა სავარძელზე, რომელიც საწოლთან იდგა. პიერი მორჩილად შეუდგა სავარძელში ჩაჯდომას, თანაც თვალებით ეკითხებოდა თავის ხელმძღვანელს, მართებულად ვიქცევი თუ არაო. ანა მიხაილოვნამ მოწონების ნიშნად თავი დაუქნია. პიერმა კვლავ მიიღო ეგვიპტური ქანდაკების სიმეტრიული გულუბრყვილო მდგომარეობა; ეტყობოდა, წუხდა, რომ მის უხერხულ და მსხვილ ტანს ესოდენ დიდი ადგილი ეჭირა და ცდილობდა მოეკრიბა მთელი სულიერი ძალ-ღონე, რაც შეიძლება პატარა გამოჩენილიყო. იგი გრაფს შეჰყურებდა, გრაფი კი იმ ადგილს შესცქეროდა, სადაც პიერის სახე იყო მაშინ, როცა იგი ფეხზე იდგა. ანა მიხაილოვნა მთელი თავისი არსებით გამოხატავდა მამისა და შვილის შეხვედრის ამ უკანასკნელი წუთის გულის ამაჩუყებელი მნიშვნელობის შეგნებას. სულ ორ წუთს გაგრძელდა ეს, პიერს კი საათად ეჩვენა. უეცრად გრაფის მსხვილ ძარღვიან და ნაოჭებიან სახეზე თრთოლამ გადაირბინა. თრთოლა გაძლიერდა, ლამაზი პირი მოიღრცა (მხოლოდ ახლა მიხვდა პიერი, თუ სიკვდილს რა მაგრად ჩაეჭიდა კლანჭები მამამისისთვის), მოღრეცილი პირიდან მოისმა გაურკვეველი ხრინწიანი ხმა. ანა მიხაილოვნა გულმოდგინედ შეჰყურებდა თვალებში ავადმყოფს, ცდილობდა გაეგო, რა უნდოდა, უთითებდა ხან პიერზე, ხან სასმელზე, ხან ჩურჩულით თავად

ვასილის ასახელებდა, ხან კიდევ საბანზე უჩვენებდა. ავადმყოფის თვალები და სახე მოუთმენლობას გამოხატავდნენ. მან ძალა დაატანა თავს, რომ შეეხედა მსახურისთვის, რომელიც განუშორებლად სასთუმალთან ედგა.

– მეორე გვერდზე გადაბრუნება სურს, – ჩაიჩურჩულა მსახურმა და ფეხზე წამოდგა, რათა კედლისკენ მიებრუნებინა გრაფის მძიმე ტანი.

პიერიც წამოდგა, რომ მიშველებოდა მსახურს.

იმ დროს, როდესაც გრაფს აბრუნებდნენ, ერთი ხელი უმწეოდ უკან გადაუვარდა, ამაოდ შეეცადა გრაფი, რომ გადაეტანა. გაუგებარი იყო: შენიშნა გრაფმა ის შემზარავი შიში, რომლითაც პიერი ამ უსიცოცხლო ხელს შეჰყურებდა, თუ იმ წუთს სხვა რამ აზრმა გაუელვა თავში მომაკვდავს, მხოლოდ ეს კია, თვითონ მანაც შეხედა თავის ურჩ ხელს, მერე პიერის ზარდაცემულ სახეს. ისევ ხელს, და მის სახეზე სუსტმა, მტანჯველმა ღიმილმა გადაირბინა, რაც თითქოს დაცინვას გამოხატავდა საკუთარ უძლურებაზე, – ღიმილმა, რომელიც ასე არ უხდებოდა მისი სახის ნაკვეთებს. ამ ღიმილის დანახვაზე პიერმა მოულოდნელად იგრძნო, რომ გული აუთრთოლდა, ცხვირი აეწვა და თვალები ცრემლით ამოევსო. ავადმყოფი გადააბრუნეს კედლისკენ. მან ამოიხვნეშა.

– ჩათვლიმა, – თქვა ანა მიხაილოვნამ, როცა შენიშნა შემცვლელად შემოსული კნიაჟნა, – წავიდეთ.

პიერი გავი

თავი ოცდამეერთე

მისაღებ ოთახში არავინ იყო გარდა თავად ვასილისა და თავადის უფროსი ასულისა. ისინი ეკატერინეს სურათის ქვეშ ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. დაინახეს თუ არა პიერი და მისი ხელმძღვანელი, მსწრაფლ გაჩუმდნენ. კნიაჟნამ, როგორც პიერს მოეჩვენა, რაღაც დამალა და ჩაიჩურჩულა.

– არ შემძლია ამ დედაკაცის დანახვა.

– Catiche a fait donner du thé dans le petit salon (კატიშმა უბრძანა, პატარა სასტუმრო ოთახში ჩაი გაეწყოთ), – მიმართა თავადმა ანა მიხაილოვნას, – Allez, ma pauvre ანა მიხაილოვნა, prenez quelque chose, autrement vous ne suffirez pas (წაბრძანდით, საბრალო ანა მიხაილოვნა, დანაყრდით, თორემ ვერ გაუძლებთ).

პიერს არაფერი უთხრა, მხოლოდ მხურვალედ ჩამოართვა ხელი. პიერი და ანა მიხაილოვნა პატარა სასტუმრო ოთახში გავიდნენ.

– Il n'y a rien qui restaure, comme une tasse de cet excellent thé russe après une nuit blanche (უძილო ღამის შემდეგ ისე არაფერი უხდება სხეულს, როგორც ამ საუცხოო რუსული ჩაის ერთი ფინჯანი), – ამბობდა თავშეკავებული სიცხოველით ლორენი. იგი პატარა, მრგვალ სასტუმრო ოთახში იდგა მაგიდის წინ, რომელზეც ჩაის ჭურჭელი და ცივი ვახშამი ელაგა, და მოხდენილი უსახელო ჩინური ფინჯნიდან ჩაის ხვრებდა. მაგიდასთან დასანაყრებლად შეკრებილიყვნენ ყველანი, ვინც იმ ღამეს გრაფ ბეზუხოვის სახლში იყო. პიერს კარგად ახსოვდა სარკეებითა და პატარა მაგიდებით მორთული ეს მომცრო მრგვალი სასტუმრო ოთახი. როცა გრაფის სახლში მეჯლისი იმართებოდა, პიერს, რომელმაც ცეკვა არ იცოდა, უყვარდა ამ პატარა სარკეებიან ოთახში ჯდომა, იგი თვალყურს ადევნებდა, ამ ოთახზე გავლისას როგორ იცქირებოდნენ ძლიერი შუქისგან გაკაშკაშებულ სარკეებში და როგორ ისინჯავდნენ თავს სამეჯლისოდ გამოწყობილი, ბრილიანტებითა და მარგალიტებით მორთული შიშველბეჭებიანი მანდილოსნები. მათი სახის ანარეკლი რამდენჯერმე მეორდებოდა ამ სარკეებში. ახლა იმავე ოთახს ოდნავ ანათებდა ორი სანთელი, და აი, შუაღამისას, ერთ პატარა მაგიდაზე უწესრიგოდ გაბნეულიყო

ჩაის ჭურჭელი, საჭმელი; სხვადასხვა ჯურის, არასადღესასწაულოდ განწყობილი ადამიანები ისხდნენ იქ და ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს; ყოველი მოძრაობა, ყოველი სიტყვა ცხადყოფთა, რომ არც ერთ მათგანს არ ავიწყდებოდა, რა ხდებოდა და კიდევ რა უნდა მომხდარიყო საწოლ ოთახში. პიერს ჭამა არ დაუწყია, თუმცა ძალიან შიოდა. უკან მიიხედა, თავისი ხელმძღვანელისკენ, და დაინახა, რომ იგი ფეხაკრეფით კვლავ სასტუმრო ოთახისკენ მიდიოდა, სადაც დარჩა თავადი ვასილი კნიაჟნასთან ერთად. პიერმა გაიფიქრა, რომ საჭიროაო და მცირე დაყოვნების შემდეგ თვითონაც იქითკენ გაემართა. ანა მიხაილოვნა კნიაჟნას გვერდით იდგა, ისინი აღელვებული ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

– უკაცრავად, მე უკეთ ვიცი, რა არის და რა არ არის საჭირო, – ეუბნებოდა კნიაჟნა და ეტყობოდა, ისევე იყო აღელვებული, როგორც მაშინ, როცა თავისი ოთახის კარი მიიბრახუნა.

– კეთილი, ჩემო კარგო და ძვირფასო, – ეუბნებოდა მშვიდად და დამარწმუნებლად ანა მიხაილოვნა, თან გზას უღობავდა და არ უშვებდა საწოლი ოთახისკენ, – მაგრამ განა ეგ მეტად სამძიმო არ იქნება ავადმყოფი ბიძისთვის ისეთ წუთებში, როცა მოსვენება ესაჭიროება? ასეთ წუთებში ლაპარაკი ამქვეყნიურზე, მაშინ, როდესაც მისი სული უკვე მომზადებულია...

თავადი ვასილი სავარძელში იჯდა. მას, ჩვეულებისამებრ, ფამილარულად ფეხი ფეხზე გადაედო. ლოყები ძალზე უთრთოდა, რომლებიც ძირს დასწეოდა და ქვემოთ უფრო სქლად მოუჩანდა. მაგრამ თვითონ თავადი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ორი მანდილოსნის ლაპარაკი სრულიად არ აინტერესებო.

– Voyons, ma bonne ანა მიხაილოვნა, laissez faire Catiche (დაეხსენით, ძვირფასო ანა მიხაილოვნა, დაე, კატიშმა გააკეთოს ის, რაც სურს). ხომ იცით, როგორ უყვარს იგი გრაფს.

– მე არც კი ვიცი, რა არის ამ ქალაქში, – მიმართა კნიაჟნამ თავად ვასილის და მიუთითა მოზაიკის პორტფელზე, რომელიც ხელში ეჭირა, – ვიცი მხოლოდ, რომ ნამდვილი ანდერძი ბიუროში უდევს, ეს კი დავიწყებული ქალაქია.

კნიაჟნას უნდოდა შემოეგლო ანა მიხაილოვნასთვის, მაგრამ ეს უკანასკნელი სწრაფად შეტრიალდა და კვლავ გადაეღობა გზაზე.

– მე ვიცი, ჩემო ძვირფასო, კეთილო კნიაჟნა, – უთხრა ანა მიხაილოვნამ, ხელი სტაცა პორტფელს და ისე მაგრა ჩაებლაუჭა, რომ ცხადი იყო, მალე არ გაუშვებდა, – ძვირფასო კნიაჟნა, გთხოვთ, გეხვეწებით, შეიბრალებთ იგი. Je vous en conjure (გემუდარებით)...

კნიაჟნა დუმდა. ისმოდა მხოლოდ პორტფელის დასაპატრონებლად ბრძოლის ხმები. აშკარა იყო, თუ კნიაჟნა დაილაპარაკებდა, იტყოდა ისეთ რამეს, რაც საამო არ იქნებოდა ანა მიხაილოვნასთვის. ანა მიხაილოვნას მაგრად ეჭირა პორტფელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის ხმას სიტკბო და სინაზე არ აკლდებოდა.

– პიერ, მოდით აქ, ჩემო მეგობარო. ვფიქრობ, პიერი ზედმეტი არ უნდა იყოს ამ ოჯახურ თათბირში. მართალს არ ვამბობ, თავადო?

– რას გაჩუმებულხართ, mon cousin? – უცბად შეჰყვირა კნიაჟნამ ისე ხმამაღლა, რომ სასტუმრო ოთახში გაიგონეს და შეშინდნენ, – რას გაჩუმებულხართ, როცა აქ ვიღაც ვიგინდარა თავს ნებას აძლევს ჩაერიოს საქმეში და აურზაური ატეხოს მომაკვდავის ოთახის კართან? გაიძვერა! – ჩაიჩურჩულა მან ბოროტად, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკრა პორტფელს, ანა მიხაილოვნამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ პორტფელს მაინც ხელი არ გაუშვა.

– ოჰ! – შესძახა თავადმა საყვედურით და გაკვირვებულმა, თან ფეხზე წამოდგა, – C'est ridicule. Voyons (მართლაც სასაცილოა). ხელი გაუშვით, მე თქვენ გეუბნებით.

კნიაჟნამ ხელი გაუშვა.

– თქვენც!

ანა მიხაილოვნამ არ გაუგონა.

– გაუშვით, გეუბნებით. მე ვკისრულობ ყველაფერს. წავალ და ვკითხავ გრაფს. მე... ხომ საკმარისია ეს თქვენთვის?

– Mais, mon prince (მაგრამ, თავადო), – მიუგო ანა მიხაილოვნამ, – ასეთი დიადი საიდუმლოს შემდეგ წუთით მაინც მოასვენეთ ავადმყოფი. პიერ, გამოთქვით თქვენი აზრი, – მიმართა მან ახალგაზრდა კაცს, რომელიც, მათთან ახლოს მისული, გაცხებულ შუბრებზედა კნიაჟნას გაბოროტებულ, ყოველივე ზრდილობას მოკლებულ სახეს და თავადი ვასილის მთრთოლარე ლოყებს.

– გახსოვდეთ, რომ მთელი შედეგისთვის თქვენ აგებთ პასუხს, – უთხრა მკაცრად თავადმა ვასილიმ, – არ გესმით. რას სჩადიხართ.

– საზიზღარი დედაკაცია! – შეჰყვირა კნიაჟნამ, მოულოდნელად მივარდა ანა მიხაილოვნას და პორტფელი გამოჰგლიჯა.

თავადმა ვასილიმ თავი დახარა და ხელები გაშალა.

იმ წუთს კარი, ის საშინელი კარი, რომელსაც ასე დიდხანს შეჰყურებდა პიერი და რომელიც ასე ჩუმად იღებოდა, სწრაფად, ხმაურით მიეჯახა კედელს, თავადის შუათანა ასული გამოვარდა და ხელები გაასავსავა.

– რას სჩადიხართ?! – სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან, – II s'en va et vous me laissez seule (ადამიანი კვდება, თქვენ კი მარტო დამტოვებთ მასთან).

თავადის უფროს ასულს პორტფელი ხელიდან გაუვარდა, ანა მიხაილოვნა სწრაფად დაიხარა, დასწვდა სადავო ნივთს და საწოლ ოთახში შევარდა. მას მიჰყვნიან გონსმოსული თავადის უფროსი ქალიშვილი და თავადი ვასილი. რამდენიმე წუთის შემდეგ საწოლი ოთახიდან პირველი გამოვიდა ფერწასული, გამოფიტული სახის თავადის უფროსი ქალიშვილი, რომელსაც ქვედა ტუჩი დაკბენილი მოუჩანდა.

– გიხაროდეთ ახლა, – მიმართა მან პიერს, – ამის მოლოდინში იყავით!

აქვითინებულმა თვალეზე ცხვირსახოცი მიიფარა და ოთახიდან გავარდა.

კნიაჟნას შემდეგ საწოლი ოთახიდან თავადი ვასილი გამოვიდა. იგი ბარბაცით მივიდა დივანთან, რომელზედაც პიერი იჯდა, დაეშვა ზედ და თვალეზე ხელები მიიფარა. პიერმა შენიშნა, რომ თავადი ფერწასული იყო და ქვედა ყბა უკანკალებდა, თითქო ციებ-ცხელებამ აიტანაო.

– ოჰ, ჩემო მეგობარო! – მიმართა მან პიერს და იდაყვში ხელი წაავლო; მის ხმაში გულწრფელობა და სისუსტე გამოსჭვიოდა, რაც პიერს არასოდეს წინათ არ შეუნიშნავს, – რამდენს ვცოდავთ, რამდენს ვცრუობთ და მერე რისთვის! მესამოცე წელში გადავდექი, ჩემო მეგობარო... მე ხომ... ყველაფერი სიკვდილით გათავდება, ყველაფერი. სიკვდილი საშინელებაა... – და თავადს ტირილი აუვარდა.

ანა მიხაილოვნა უკანასკნელი გამოვიდა. წყნარი, ნელი ნაბიჯით პიერთან მივიდა.

– პიერ!.. – მიმართა მან.

პიერმა გაკვირვებით შეხედა. ანა მიხაილოვნამ შუბლზე აკოცა ახალგაზრდა კაცს და ცრემლებით დანამა იგი. მცირე ხანს გაჩუმდა.

– Il n'est plus (აღარ გვყავს იგი)...

პიერი სათვალისაგან შესცქეროდა.

– Allons, je vous reconduirai. Tâchez de pleurer. Rien ne soulage, comme les larmes (წავიდეთ, გაგაცილებთ. ეცადეთ, იტიროთ: ისე არაფერი ესალბუნება ადამიანს, როგორც ცრემლი).

ანა მიხაილოვნამ იგი ზნელ სასტუმრო ოთახში გაიყვანა, და პიერი გახარებული იყო, რომ იქ მის სახეს ვერავინ ხედავდა.

ანა მიხაილოვნა სადღაც გავიდა, როდესაც დაბრუნდა, პიერს, თავქვემ ხელამოდებულს მაგრად ეძინა.

მეორე დილას ანა მიხაილოვნა ეუბნებოდა პიერს:

– Oui, mon cher, c'est une grande perte pour nous tous. Je ne parle pas de vous. Mais Dieu vous soutiendra, vous êtes jeune et vous voilà à la tête d'une immense fortune, je l'espère. Le testament n'a pas été encore ouvert. Je vous connais assez pour savoir que cela ne vous tournera pas la tête, mais cela vous impose des devoirs, et il faut être homme (დიახ, ჩემო მეგობარო, ეს დიდი დანაკარგია ყველა ჩვენგანისთვის, თქვენზე ხომ აღარას ვამბობ. მაგრამ ღმერთი არ მიგატოვებთ, ახალგაზრდა ხართ, და აი, ახლა თქვენ, ვიმედოვნებ, უზარმაზარი სიმდიდრის პატრონი გახდით. ანდერძი ჯერ არ გაუხსნიათ. საკმაოდ კარგად გიცნობთ და დარწმუნებული ვარ, რომ ეს თავბრუს არ დაგახვევთ, მაგრამ მოვალეობას კი გაკისრებთ, ამიტომ ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინოთ).

პიერი დუმდა.

– Peut-être plus tard je vous dirai, mon cher, que si je n'avais pas été là, Dieu sait ce qui serait arrivé. Vous savez, mon oncle avant-hier encore me promettait de ne pas oublier Boris. Mais il n'a pas eu le temps. J'espère, mon cher ami, que vous remplirez le désir de votre père (ოდესმე, შემდეგში, გაიმბობთ ყველაფერს, მაგრამ მე რომ აქ არ ვყოფილიყავი, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა. გეტყვით, ამ სამი დღის წინათ ბიძია დამპირდა, რომ არ დაივიწყებდა ბორისს, მაგრამ ვედარ მოასწრო. ვიმედოვნებ, ჩემო მეგობარო, რომ თქვენ შეასრულებთ მამის სურვილს).

პიერს არაფერი ესმოდა და ხმაგაკმენდილი, მორცხვად გაწითლებული, ანა მიხაილოვნას შეჰყურებდა. პიერთან მოლაპარაკების შემდეგ ანა მიხაილოვნამ როსტოვებს მიაშურა და მოსასვენებლად დაწვა. დილით, გაღვიძების შემდეგ, როსტოვებს და ყველა თავის ნაცნობს დაწვრილებით მოუთხრო გრაფ ბეზუხოვის სიკვდილის ამბავი. გრაფი ისე მოკვდა, თქვა მან, რომ ასეთ სიკვდილს მეც ვინატრებდიო, რომ მისი უკანასკნელი წუთები იყო არა მარტო გულისამაჩუყებელი, არამედ ჭკუის სასწავლებელიც, ხოლო მამისა და შვილის უკანასკნელი შეხვედრა იმდენად გულისამაჩუყებელი იყო, რომ შეუძლებელია მისი უცრემლოდ გახსენება, და კაცი ვერ იტყვის, ვის უფრო ღირსეულად ეჭირა თავი იმ საშინელ წუთებში: მამას, რომელმაც უკანასკნელ ჟამს ყოველივე და ყველანი გაიხსენა და მეტად მგრძნობიარე სიტყვები უთხრა შვილს, თუ პიერს, რომელიც, დარდით მოკლული, საბრალო სანახავი იყო, მაგრამ რომელიც, მიუხედავად ამისა, ბოლმას მაინც გულში იკლავდა, რომ მომაკვდავი მამისთვის არ ეწყენინებინაო. „C'est pénible, mais cela fait du bien; ça élève l'âme de voir des hommes, comme le vieux comte et son digne fils“ („სამძიმო იყო ეს, მაგრამ ჭკუის სასწავლებელი კი; სული მაღლდება, როცა ხედავ ისეთ ადამიანებს, როგორც იყო მოხუცი გრაფი და როგორც არის მისი ღირსეული შვილი“), – ამბობდა ანა მიხაილოვნა. არ ივიწყებდა არც კნიაჟნასა და თავად ვასილის საქციელს, არ იწონებდა, მაგრამ ამის შესახებ ყველას დიდი საიდუმლოებით და ჩურჩულით უამბობდა.

თავი ოცდამეორე

ლისიგორაში, თავად ნიკოლაი ანდრევიჩი ბოლკონსკის მამულში, ყოველდღე მოელოდნენ ახალგაზრდა თავადის ანდრეისა და მისი მეუღლის ჩასვლას, მაგრამ ეს მოლოდინი არ არღვევდა იმ წესრიგს, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა ცხოვრება ძველი თავადის სახლში. გენერალ-ანშეფი[29], თავადი ნიკოლაი ანდრევიჩი, საზოგადოებაში le roi de Prusse (პრუსიის მეფედ) წოდებული, მას შემდეგ, რაც პავლეს დროს[30] სოფელში გააძევეს, ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა ლისიგორაში, თავის ქალიშვილ მარიასთან და მის კომპანიონთან, m-lle Bourienne-თან (მადმუაზელ ბურიენტან) ერთად. და თუმცა ახალი მეფობის დროს თავადს სატახტო ქალაქში ყოფნის ნება მიეცა, იგი კვლავ განაგრძობდა სოფლად ცხოვრებას და ამბობდა, თუ ვისმეს დავჭირდები, მოსკოვიდანაც მოახერხებს ას ორმოცდაათი ვერსის გავლას ლისიგორამდე, მე კი არავინ და არაფერი არ მესაჭიროებაო. გენერალი ამბობდა, რომ ადამიანთა ბედნიერების მხოლოდ ორი წყარო არსებობს: უქმად ყოფნა და ცრუმორწმუნეობა, და ორი სათნოება: გარჯა-მოქმედება და ჭკუა. თავადს თვით განეზრახა ქალიშვილის აღზრდა, მასში ორივე მთავარი სათნოება რომ განევითარებინა, ოც წლამდე ალგებრასა და გეომეტრიაში ამეცადინებდა, მთელი მისი დრო ისე გაენაწილებინა, რომ განუწყვეტელ მეცადინეობაში ჰყავდა. თავად მუდამ საქმეში იყო გართული: ხან მემუარებს წერდა, ხან დაზგაზე სათუთუნეს ჩარხავდა, ხან კიდევ მუშაობდა ბაღში და თვალს ადევნებდა მშენებლობას, რაც არასოდეს არ წყდებოდა მის მამულში. რადგან მოქმედება-გარჯის მთავარ პირობას წესრიგი წარმოადგენს, ამიტომ წესრიგი უკიდურეს სიზუსტემდე ჰქონდა დაცული. სუფრაზე მისი გამოსვლა ხდებოდა ერთსა და იმავე უცვლელ პირობებში, და არა მარტო ერთსა და იმავე საათს, არამედ ერთსა და იმავე წუთსაც. იმ ადამიანებთან, რომელნიც გარს ეხვივნენ, ქალიშვილიდან დაწყებული მსახურამდე, თავადი მკვახე და მუდამ მომთხოვნი იყო, ამიტომ, თუმცა თავად მკაცრი არ გახლდათ, სხვებს შიშსა და მოკრძალებას ჰგვრიდა, რასაც ასე ადვილად ვერ მიაღწევდა თვით უსასტიკესი ადამიანიც კი. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიდან გადამდგარი იყო და ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა სახელმწიფო საქმეებში, ყოველი უფროსი იმ გუბერნიისა, სადაც თავადის მამული მდებარეობდა, თავის მოვალეობად მიიჩნევდა ხლებოდა მას, და სწორედ ისე, როგორც არქიტექტორი, მეზაღე ან კნიაჟნა მარია, დალოდებოდა მაღალ საოფიციანტოში თავადის გამოსვლის საათს. ამ მაღალ საოფიციანტოში ყველა მოკრძალების და შიშის იმავე გრძნობას განიცდიდა, როცა გაიღებოდა კაბინეტის უზარმაზარი, მაღალი კარი და გამოჩნდებოდა გაპუდრულპარიკიანი მოხუცის მომცრო ფიგურა, პატარა გამხდარი ხელებით, ნაცრისფერი, ჩამოშვებული წარბებით, რომელნიც, როდესაც შუბლს შეკრავდა, ჰფარავდნენ ჭკვიანი, ახალგაზრდულად მბრწყინავი თვალების ელვარებას.

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ჩასვლის დღეს, დილით, ჩვეულებისამებრ, კნიაჟნა მარია დანიშნულ საათს დილით მისასალმებლად შედიოდა საოფიციანტოში, შიშით პირჯვარს იწერდა და გულში ლოცვას ამბობდა. ყოველდღე შედიოდა და ყოველდღე ლოცულობდა, რომ ამ ყოველდღიურ შეხვედრას კეთილად ჩაევილო.

საოფიციანტოში მჯდომი გაპუდრული მოხუცი მსახური ჩუმი მოძრაობით ფეხზე წამოდგა. ჩურჩულით მოახსენა, მობრძანდითო.

კაბინეტიდან ჩარხის თანაბარი ზუზუნის ისმოდა. კნიაჟნამ გაუბედავად გამოსწია კარი, რომელიც ადვილად და თავისუფლად იღებოდა, და შესასვლელთან გაჩერდა. თავადი ჩარხზე მუშაობდა. მან უკან მიიხედა და საქმე განაგრძო.

უზარმაზარი კაბინეტი სავსე იყო ნივთებით, რომლებსაც განუწყვეტელი ხმარება ეტყობოდა. დიდ მაგიდაზე წიგნები და გეგმები ელაგა, ბიბლიოთეკის მაღალი, მინიანი კარადების კარებში გასაღებები

ჩაეტოვებინათ. აქ იდგა მაღალი მაგიდა ფეხდგომელა საწერად და ზედ გადაშლილი რვეული იდო. სახარატო ჩარხი იარაღით იყო მოფენილი და ირგვლივ ნათალი ეყარა – ყოველივე ეს ცხადყოფთა მუდმივ, შრომატევად საქმიანობას. ასევე ცხადყოფდა, თუ როგორ ამოდრავებდა მოსირმულ თათრულ ჩექმიან ფეხს, რომ თავადს ჯერ კიდევ გააჩნდა სიბერის უდრეკი და ბევრის ამტანი ძალა. ჩარხის რამდენჯერმე დატრიალების შემდეგ თავადმა ფეხი ჩამოიღო სატერფულიდან, გაწმინდა, ჩარხზე ჩამოკიდებულ ტყავის აბგაში ჩააგდო ხვეწი და, მაგიდასთან მისულმა, ქალიშვილი მიიხმო. მას ჩვეულებად არ ჰქონდა შვილებისთვის პირჯვარი გადაეწერა; როგორც ყოველთვის, ახლაც ჯაგრიანი, ჯერ გაუპარსავი ლოყა მიუშვირა, სასტიკად, თან სათუთი ყურადღებით აათვალიერა და ჰკითხა:

– ხომ კარგად ხარ?.. მაშ, დაჯექი!

თავისივე ხელით დაწერილი გეომეტრიის რვეული აიღო და ფეხით სავარძელი მიიწია.

– ხვალისთვის! – უთხრა მან და სწრაფად შეუდგა გვერდის ძებნას, ხოლო როდესაც მოძებნა, პარაგრაფიდან პარაგრაფამდე ფრჩხილის მაგარი გასმით აღნიშნა.

კნიაჟნა მაგიდას მიეკრა და რვეულისკენ დაიხარა.

– ჰო, წერილია შენთან, – მოულოდნელად უთხრა მოხუცმა, მაგიდაზე მიმაგრებულ აბგიდან ამოიღო კონვერტი, რომელზედაც ქალის ხელით იყო წარწერილი, და მაგიდაზე დააგდო.

წერილის დანახვაზე კნიაჟნას სახე წითელი ლაქებით დაეფარა, სწრაფად დაავლო ხელი და დააცქერდა.

– ელოიზისგან არის? – ჰკითხა თავადმა და ცივად გაიცინა, თან ჯერ კიდევ მაგარი და მოყვითალო კბილები გამოაჩინა.

– დიახ, ჟიულისგან, – მიუგო კნიაჟნამ, მორიდებით შეხედა და მოკრძალებით გაიღიმა.

– ორ წერილს კიდევ გადმოგცემ და მესამეს წავიკითხავ, – მკაცრად უთხრა თავადმა, – ალბათ, ბევრ სისულელეს სწერთ. მესამეს წავიკითხავ.

– წაიკითხეთ, mon père (მამაჩემო), თუნდ ესეც, – მიუგო კნიაჟნამ, უფრო მეტად გაწითლდა და წერილი გაუწოდა.

– მესამეს, ვთქვი მე, მესამეს წავიკითხავ-მეთქი! – მოკლედ მოუჭრა თავადმა, წერილს ხელი ჰკრა, მაგიდას დაეყრდნო და გეომეტრიის ნახაზებიანი რვეული ახლოს მიიწია.

– აბა, ქალბატონო, – დაიწყო მოხუცმა, ქალიშვილისკენ გადაიხარა, რვეულს დააცქერდა და ცალი ხელი იმ სავარძლის ზურგს დაადო, რომელზედაც კნიაჟნა იჯდა. კნიაჟნამ მაშინვე იგრძნო მამამისისგან მომდინარე თამბაქოსა და მძაფრი ბებრული სუნი, რომელიც ესოდენ დიდი ხანია ნაცნობი იყო მისთვის, – აბა, ქალბატონო, ეს სამკუთხედები ემსგავსებიან როგორც ხედავ, ABC კუთხე...

კნიაჟნა დამფრთხალი შესცქეროდა შორიახლოს მდგარი მამის მბრწყინავ თვალებს. წითელი ლაქები ულივლივებდა სახეზე და აშკარა იყო, არაფერი ესმოდა, ისე იყო დამფრთხალი, შიში ხელს უშლიდა გაეგო მამის ყოველი შემდგომი ახსნა-განმარტება, რაც უნდა ნათელი ყოფილიყო იგი. ვერ გაიგებდით, ვინ იყო დამნაშავე – მასწავლებელი თუ მოსწავლე, მაგრამ ყოველდღე ერთი და იგივე მეორდებოდა: კნიაჟნას თვალთ უზნელდებოდა, ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, მხოლოდ გრძნობდა თავის მახლობლად მკაცრი მამის ხეშემ სახეს, გრძნობდა მის სუნთქვას, სუნს და მხოლოდ იმასლა ფიქრობდა, რაც შეიძლება ჩქარა გასულიყო კაბინეტიდან და იქ, თავის ოთახში თავისუფლად ყოფნისას გაერკვია ამოცანა. მოხუცს მოთმინება ეკარგებოდა: ბრახუნით სწევდა წინ და უკან სავარძელს, რომელზედაც თავად იჯდა, თავს ძალას ატანდა, არ გაცხარებულყო, მაგრამ თითქმის ყოველთვის ცხარობდა, იგინებოდა და ზოგჯერ რვეულსაც ისროდა.

კნიაჟნას პასუხი შეეშალა.

– სწორედ რომ ყვეყჩი ხარ! – დაიყვირა თავადმა, რვეულს ხელი ჰკრა და სწრაფად პირი მიიბრუნა, მაგრამ იმავე წუთს წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ხელი შეახო კნიაჟნას თმას და კვლავ დაჯდა.

ახლო მიიწია, ახსნა-განმარტება განაგრძო.

– არ შეიძლება, კნიაჟნა, არ შეიძლება! – უთხრა მან, როცა კნიაჟნამ რვეული დახურა და უკვე დააპირა წასვლა, – მათემატიკა დიადი საქმეა, ბატონო ჩემო, ის კი, რომ შენ ჩვენს სულელ ქალბატონებს დაემსგავსო, მე არ მინდა. შეეჩვევი და შეგიყვარდება, – ლოყაზე ხელი წაუთათუნა, – თავი უნდა გაითავისუფლო სისულელისგან.

კნიაჟნამ წასვლა დააპირა, მაგრამ მამამ გააჩერა და მაღალი მაგიდიდან ახალი, გაუჭრელი წიგნი ამოიღო.

– აი, შენი ელიოზა რაღაც საიდუმლოს გასაღებს გიგზავნის. რელიგიურია. მე არავის რწმენაში არ ვერევი... გადავათვალიერე. წაიღე, ახლა წადი, წადი!

მხრებზე ხელი მოუთათუნა და მისი გასვლის შემდეგ თავად დაკეტა კარი.

კნიაჟნა მარია თავის ოთახში მწუხარე, შემინებული დაბრუნდა, რისგანაც იშვიათად თუ ახერხებდა თავის დაღწევას და რაც მის ულამაზო, ავადმყოფურ სახეს უფრო მეტად აუშნოებდა. იგი თავის პატარა მაგიდას მიუჯდა. ამ მაგიდაზე მრავლად ელაგა პაწია პორტრეტები და ეყარა რვეულები და წიგნები. კნიაჟნა იმდენადვე უწესრიგო იყო, რამდენადაც მისი მამა წესრიგის მიმდევარი. მან გეომეტრიის რვეული დადო და მოუთმენლად გახსნა წერილი. წერილი ეკუთვნოდა კნიაჟნას ახლობელს, ბავშვობის მეგობარს; ეს მეგობარი სწორედ ის ჟიული კარაგინა იყო, რომელიც როსტოვებს სახელდების დღეს ესტუმრა.

ჟიული ფრანგულად სწერდა:

„Chère et excellente amie, quelle chose terrible et effrayante que l'absence! J'ai beau me dire que la moitié de mon existence et de mon bonheur est en vous, que malgré la distance qui nous sépare, nos coeurs sont unis par des liens indissolubles; le mien se révolte contre la destinée, et je ne puis, malgré les plaisirs et les distractions qui m'entourent, vaincre une certaine tristesse cachée que je ressens au fond du coeur depuis notre séparation. Pourquoi ne sommes-nous pas réunies, comme cet été dans votre grand cabinet sur le canapé bleu, le canapé à confidences? Pourquoi ne puis-je, comme il y a trois mois, puiser de nouvelles forces morales dans votre regard si doux, si calme et si pénétrant, regard que j'aimais tant et que je crois voir devant moi, quand je vous écris“.

(„საყვარელო და დაუფასებელო მეგობარო, რა საშინელი და საზარელია განშორება! რამდენს არ ვეჩიჩინები ჩემს თავს, რომ ჩემი არსებობისა და ჩემი ბედნიერების ნახევარს თქვენ წარმოადგენთ, რომ მიუხედავად მანძილისა, რომელიც გვაშორებს, ჩვენი გულები განუყრელია ბედის წინააღმდეგ, და, იმ სიამოვნებისა და გართობის მიუხედავად, რომელსაც მე ვეძლევი, ვერ ჩამიკლავს ჩემში ერთგვარი ფარული მწუხარება, რომელსაც გულის სიღრმეში განვიცდი ჩვენი განშორების დროიდან. რატომ არა ვართ ერთად, როგორც შარშან ზაფხულში, თქვენს დიდ კაბინეტში, ცისფერ დივანზე, „საიდუმლოებათა აღიარების“ დივანზე? რატომ არ შემიძლია, როგორც სამი თვის წინათ, მოვიპოვო ახალი ზნეობრივი ძალა თქვენს გამოხედვაში, მშვიდ, წყნარ და გამჭრიახ გამოხედვაში, რომელიც ესოდენ მიყვარდა და რომელსაც ვხედავ ამ წუთსაც კი, როცა ამას გწერთ“).

ამის წაკითხვის შემდეგ კნიაჟნა მარიამ ამოიოხრა და მარჯვნივ მდგარ ტრიუმფში[31] ჩაიხედა. სარკეში აისახა უშნო, სუსტი ტანი და გამხდარი პირისახე. მუდამ მწუხარე თვალები განსაკუთრებით უიმედოდ შეჰყურებდნენ ახლა თავიანთ თავს სარკეში. „პირმოთნეობს“, გაიფიქრა კნიაჟნამ, პირი იბრუნა და

კითხვა განაგრძო. მაგრამ ჟიული არ პირმოთნეობდა მეგობრის წინაშე: კნიაჟნას, მართლაც ისეთი კარგი თვალები ჰქონდა – დიდი, ღრმა და სხივოსანი (ზოგჯერ თითქოს ბლუჯა-ბლუჯა გამოსცემდნენ თბილი შუქის სხივებს), რომ ძალიან ხშირად ეს თვალები, უსახურობის მიუხედავად, სილამაზეზე უფრო მიმზიდველნი ხდებოდნენ. მაგრამ კნიაჟნა ვერასოდეს ხედავდა თავისი თვალების კარგ გამომეტყველებას, ისეთ გამომეტყველებას, როგორსაც ისინი იღებდნენ იმ წუთებში, როცა ის თავის თავზე არ ფიქრობდა. მისი სახე, როცა იგი სარკეში იყურებოდა, როგორც ყველა ადამიანის სახე, იღებდა ნაძალადევ არაბუნებრივ, ცუდ გამომეტყველებას. კნიაჟნამ განაგრძო კითხვა:

„Tout Moscou ne parle que guerre. L'un de mes deux frères est déjà à l'étranger, l'autre est avec la garde qui se met en marche vers la frontière. Notre cher empereur a quitté Pétersbourg et, à ce qu'on prétend, compte lui-même exposer sa précieuse existence aux chances de la guerre. Du veuille que le monstre corsicain, qui détruit le repos de l'Europe, soit terrassé par l'ange que le Tout-Puissant, dans sa miséricorde, nous a donnée pour souverain. Sans parler de mes frères, cette guerre m'a privé d'une relation des plus chères à mon coeur. Je parle du jeune Nicolas Rostoff, qui avec son enthousiasme n'a pu supporter l'inaction et a quitté l'université pour aller s'enrôler dans l'armée. Eh bien, chère Marie, je vous avouerai, que, malgré son extrême jeunesse, son départ pour l'armée a été un grand chagrin pour moi. Le jeune homme, dont je vous parlais cet été, a tant de noblesse, de véritable jeunesse qu'on rencontre si rarement dans le siècle ou nous vivons parmi nos vieillards de vingt ans. Il a surtout tant de franchise et de coeur. Il est tellement pur et poétique, que mes relations avec lui, quelque passagères qu'elles fussent, ont été l'une des plus douces jouissances de mon pauvre coeur, qui a déjà tant souffert. Je vous raconterai un jour nos adieux et tout ce qui s'est dit en partant. Tout cela est encore trop frais. Ah! chère amie, vous êtes heureuse de ne pas connaître ces jouissances et ces peines si poignantes. Vous êtes heureuse, puisque les derienières sont ordinairement les plus fortes! Je sais fort bien, que le comte Nicolas est trop jeune pour pouvoir jamais devenir pour moi quelque chose de plus qu'un ami, mais cette douce amitié, ces relations si poétiques et si pures ont été un besoin pour mon coeur. Mais n'en parlons plus. La grande nouvelle du jour qui occupe tout Moscou est la mort du vieux comte ბეზუხოვის et son héritage. Figurez-vous que les trois princesses n'ont reçu que très peu de chose, le prince Basile rien, est que c'est M. Pierre qui a tout hérité, et qui par-dessus le Mariché a été reconnu pour fils légitime, par conséquent comte ბეზუხოვად est possesseur de la plus belle fortune de la Russie. On prétend que le prince Basile a joué un très vilain rôle dans toute cette histoire et qu'il est reparti tout penaud pour Pétersbourg.

Je vous avoue, que je comprends très peu toutes ces affaires de legs et de testament; ce que je sais, c'est que depuis que le jeune homme que nous connaissions tous sous le nom de M. Pierre tout court est devenu comte ბეზუხოვად et possesseur de l'une des plus grandes fortunes de la Russie, je m'amuse fort à observer les changements de ton et des manières des mamans accablées de filles à Marier et des demoiselles elles-mêmes à l'égard de cet individu, qui, par parenthèse, m'a paru toujours être un pauvre sire. Comme on s'amuse depuis deux ans à me donner des promis que je ne connais pas le plus souvent, la chronique matrimoniale de Moscou me fait comtesse ბეზუხოვის. Mais vous sentez bien que je ne me soucie nullement de le devenir. A propos de Marieage, savez-vous que tout derienièrement la tante en général ანა მიხაილოვნა, m'a confié sous le sceau du plus grand secret un projet de Mariage pour vous. Ce n'est ni plus, ni moins, que le fils du prince Basile, Anatole, qu'on voudrait ranger en le Mariant à une personne riche et distinguée, et c'est sur vous qu'est tombé le choix des parents. Je ne sais comment vous envisagerez la chose, mais j'ai cru de mon devoir de vous en avertir. On le dit très beau et très mauvais sujet; c'est tout ce que j'ai pu savoir sur son compte.

Mais assez de bavardage comme cela. Je finis mon second feuillet, et maman me fait chercher pour aller dîner chez les Apraksines. Lisez le livre mystique que je vous envoie et qui fait fureur chez nous. Quoiqu'il y ait des

choses dans ce livre difficiles à atteindre avec la faible conception humaine, c'est un livre admirable dont la lecture calme et élève l'âme. Adieu. Mes respects à monsieur votre père et mes compliments à m-lle Bourienne. Je vous embrasse comme je vous aime. Julie.

P.S. Donnez-moi des nouvelles de votre frère et de sa charmante petite femme“.

(„მთელი მოსკოვი მხოლოდ ომზე ლაპარაკობს. ჩემი ორი ძმიდან ერთი უკვე საზღვარგარეთ არის, მეორე გვარდიაშია, რომელიც დღე-დღეზე გაემართება საზღვრისკენ სალაშქროდ. ჩვენი საყვარელი ხელმწიფე პეტერბურგს ტოვებს და, როგორც ამბობენ, მზად არის ომის განსაცდელში ჩააგდოს თავისი ძვირფასი სიცოცხლე. ინებოს უფალმა, რომ კორსიკელი ვეშაპი, ევროპის მშვიდობიანობის დამრღვევი, დაემხოს ანგელოზს, რომელიც ყოვლის შემძლებელმა სულგრძელობით მბრძანებლად დაგვისვა. ძმებიც რომ არ გავიხსენო, ამ ომმა დამაკარგვინა მეტად ახლობელი გულის მეგობარი. ვლაპარაკობ ახალგაზრდა ნიკოლაი როსტოვზე, რომელსაც, როგორც ენთუზიასტს, არ შეეძლო უმოქმედობა, – მან მიატოვა უნივერსიტეტი, რათა არმიაში შესულიყო. იგი ძალზე ახალგაზრდაა, მაგრამ, გამოგიტყდებით, საყვარელო მარი, რომ არმიაში მისი წასვლა დიდი მწუხარება იყო ჩემთვის. ყმაწვილი კაცი, რომელზედაც წარსულ ზაფხულს გელაპარაკეთ, განხორციელებული კეთილშობილებაა, მასში დაუმრეტელი ჭემმარიტი ახალგაზრდობაა, როგორსაც იშვიათად შევხვდებით ჩვენს საუკუნეში ჩვენს ოცი წლის მოხუცებს შორის! გიტაცებს მეტადრე მისი გულწრფელობა, მისი გულის სიუხვე. ესოდენ უმწიკვლოა და პოეზიით აღსავსე იგი, რომ ჩემი ურთიერთობა მასთან, მიუხედავად ამ ურთიერთობის მსწრაფლწარმავლობისა, ყველაზე უფრო ნეტარ ნუგეშად ეფინებოდა ჩემს უბედურ, უკვე მრავალტანჯულ გულს. ოდესმე გაიმბობთ ჩვენს გამოთხოვებას და ყოველივე იმას, რაც ამ გამოთხოვების დროს ითქვა. ყოველივე ეს ჯერ კიდევ მეტად ცხოველია... ოჰ, ჩემო კარგო, თქვენ ბედნიერი ხართ, რომ არ განგიცდიათ ეს მწვავე სიტკბოება, ეს მწვავე მწუხარება. ბედნიერი ხართ იმიტომ, რომ უკანასკნელი ძლიერია პირველზე. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ გრაფი ნიკოლაი მეტად ახალგაზრდაა საიმისოდ, რომ მეგობრის გარდა, რაიმე სხვად ვიგულო, მაგრამ ეს ტკბილი მეგობრობა, ესოდენ პოეტური და უმწიკვლო ურთიერთობა, ჩემი გულის მოთხოვნილება იყო, თუმცა კმარა ამაზე.

მთავარი ახალი ამბავი, რაც მოსკოვს პირზე აკერია, არის მოხუცი გრაფის, ბეზუხოვის სიკვდილი და მისი მემკვიდრეობა. წარმოიდგინეთ, თავადის სამმა ასულმა მცირე რამ მიიღო, თავადმა ვასილიმ – არაფერი, ხოლო პიერი მემკვიდრე გახდა ყველაფრისა და გარდა ამისა, აღიარებულია კანონიერ შვილად, მამასადამე, გრაფ ბეზუხოვად და რუსეთში ყველაზე დიდი შეძლების პატრონად. ამბობენ, თავადმა ვასილიმ მთელ ამ ისტორიაში მეტად საზიზღარი როლი შეასრულა და პეტერბურგს მეტად დარცხვენილი დაბრუნდა. გამოგიტყდებით, ძალიან ნაკლებად მესმის ისეთი საქმეები, როგორიც არის ანდერძის წერილები; ვიცი მხოლოდ, რომ მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჩვენ მარტოოდენ პიერის სახელით ვიცნობდით, გადაიქცა გრაფ ბეზუხოვად და ერთ-ერთი საუკეთესო შეძლების პატრონად რუსეთში. ვერთობი იმით, რომ თვალს ვადევნებ, თუ როგორ გამოიცვალეს კილო იმ დედებმა, რომელთაც გასათხოვარი ქალები ჰყავთ, და როგორ გამოიცვალნენ თვით ახალგაზრდა ქალები ამ ყმაწვილისადმი, რომელიც მე (გეტყვით ბრჭალებში) ყოველთვის მეტად უმნიშვნელო ადამიანად მიმაჩნდა. რადგან ორი წელიწადია უკვე ყველას გასართობად გადაიქცა ჩემთვის საქმროების გამოძებნა, – საქმროების, რომელთაც მე მეტწილად არც კი ვიცნობ, ამიტომ მოსკოვის საქორწინო ქრონიკამ მე გრაფ ბეზუხოვის მეუღლედ გამხადა. მაგრამ, გარწმუნებთ, სრულიადაც არა ვარ ამისი მოსურნე მართლა ქორწინების შესახებ. იცით თუ არა თქვენ, რომ ამას წინათ საყოველთაო მამიდამ, ანა მიხაილოვნამ, გამანდო, როგორც უდიდესი საიდუმლოება, თქვენი დაქორწინების განზრახვა. ეს არის, – არც მეტი, არც ნაკლები, – თავად ვასილის შვილი, ანატოლი, რომელსაც სურთ შერთონ მდიდარი და დიდგვაროვანი ქალიშვილი და, ამრიგად, დააბინაონ იგი, და მშობლებმა თქვენ

აგირჩიეს. არ ვიცი, როგორ შეხედავთ თქვენ ამ საქმეს, მაგრამ მე მოვალედ ჩავთვალე თავი წინასწარ გაცნობით ყოველივე. ამბობენ, მეტად ლამაზი და მეტად თავჯარიანი ყმაწვილიაო. აი, ყოველივე, რის გაგებაც მოვახერხე მასზე.

მაგრამ მეყოფა ლაყბობა. მეორე ფურცელს ვასრულებ, დედა კი მეძახის, დროა სადილად აპრაკსინებთან წავიდეთო.

წაიკითხეთ მისტიკური წიგნი, რომელსაც გიგზავნით; იგი დიდი წარმატებით სარგებლობს ჩვენში. თუმცა არის მასში ისეთი საგნები, რომლებიც ძნელი გასაგებია ადამიანის სუსტი გონებისთვის, მაგრამ მაინც ჩინებული წიგნია, მისი კითხვა ამშვიდებს და ამაღლებს სულს. მშვიდობით. ჩემი პატივისცემა მამათქვენს და ჩემი სალამი მადმუაზელ ბურიენს. სიყვარულით გკოცნით.

ჟიული.

P.S. მაცნობეთ თქვენი ძმისა და მისი მშვენიერი ცოლის ამბავი“.

კნიაჟნა ჩაფიქრდა, გაიღიმა (ამასთან სხივოსანი თვალებით გაშუქებული მისი სახე სრულიად გარდაიქმნა), მერე უცბად წამოდგა, მძიმე ნაბიჯით მაგიდასთან მივიდა, ქალაღი ამოიღო, და მისმა ხელმა სწრაფად იწყო მოძრაობა ქალაღდზე. პასუხად სწერდა:

„Chère et excellente ami. Votre lettre du 13 m'a causé une grande joie. Vous m'aimez donc toujours, ma poétique Julie.

L'absence, dont vous dites tant de mal, n'a donc pas eu son influence habituelle sur vous. Vous vous plaignez de l'absence – que devrai-je dire moi, si j'osais me plaindre, privée de tous ceux qui me sont chers? Ah! si nous n'avions pas la religion pour nous consoler, la vie serait bien triste. Pourquoi me supposez-vous un regard sévère, quand vous me parlez de votre affection pour le jeune homme? Sous ce rapport je ne suis rigide que pour moi. Je comprends ces sentiments chez les autres et si je ne puis approuver ne les ayant jamais ressentis, je ne les condamne pas. Il me paraît seulement que l'amour chrétien, l'amour du prochain, l'amour pour ses ennemis est plus méritoire, plus doux et plus beau, que ne le sont les sentiments que peuvent inspirer les beaux yeux d'un jeune homme à une jeune fille poétique et aimante comme vous.

La nouvelle de la mort du comte ბეზუხოვი nous est parvenue avant votre lettre, et mon père en a été très affecté. Il dit que c'était e'avant-dernier représentant du grand siècle, et qu'à présent c'est son tour; mais qu'il fera son possible pour que son tour vienne le plus tard possible. Que Dieu nous garde de ce terrible malheur! Je ne puis partager votre opinion sur Pierre que j'ai connu enfant. Il me paraissait toujours avoir un coeur excellent, et c'est la qualité que j'estime le plus dans les gens. Quant à son héritage et au rôle qu'y a joué le prince Basile, c'est bien triste pour tous les deux. Ah! chère amie, la parole de notre divin Sauveur qu'il est plus aisé à un hameau de passer par le trou d'une aiguille, qu'il ne l'est à un riche d'entrer dans le royaume de Dieu, cette parole est terriblement vraie; je plains le prince Basile et je regrette encore davantage Pierre. Si jeune et accablé de cette richesse, que de tentations n'aura-t-il pas à subir! Si on me demandait ce que je désirerais le plus au monde, ce serait d'être plus pauvre que le plus pauvre des mendiants. Mille grâces, chère amie, pour l'ouvrage que vous m'envoyez, et qui fait si grande fureur chez vous. Cependant, puisque vous me dites qu'au milieu de plusieurs bonnes choses il y en a d'autres que la faible conception humaine ne peut atteindre, il me paraît assez inutile de s'occuper d'une lecture inintelligible, qui par là même ne pourrait être d'aucun fruit. Je n'ai jamais pu comprendre la passion qu'ont certaines personnes de s'embrouiller l'entendement, en s'attachant à des livres mystiques, qui n'élèvent que des doutes dans leurs esprits, exaltant leur imagination et leur donnent un caractère d'exagération tout-à-fait contraire à la simplicité chrétienne. Lisons les apôtres et l'Évangile. Ne cherchons pas à

pénétrer ce que ceux-là renferment de mystérieux, car, comment oserions-nous, misérables pécheurs que nous sommes, prétendre à nous initier dans les secrets terribles et sacrés de la Providence, tant que nous portons cette dépouille charnuelle, qui élève entre nous et l'éternel un voile impénétrable? Bornons-nous donc à étudier les principes sublimes que notre divin Sauveur nous a laissé pour notre conduite ici-bas; cherchons à nous y conformer et à les suivre, persuadons-nous que moins nous donnons d'essor à notre faible esprit humain et plus il est agréable à Dieu, Qui rejette toute science ne venant pas de Lui; que moins nous cherchons à approfondir ce qu'il Lui a plu de dérober à notre connaissance, et plutôt il nous en accordera la découverte par Son divin esprit.

Mon père ne m'a pas parlé du prétendant, mais il m'a dit seulement qu'il a reçu une lettre et attendait une visite du prince Basile. Pour ce qui est du projet de mariage qui me regarde, je vous dirai, chère et excellente amie, que le mariage, selon moi, est une institution divine à laquelle il faut se conformer. Quelque pénible que cela soit pour moi, si le Tout-Puissant m'impose jamais les devoirs d'épouse et de mère, je tâcherai de les remplir aussi fidèlement que je le pourrai, sans m'inquiéter de l'examen de mes sentiments à l'égard de celui qu'il me donnera pour époux.

J'ai reçu une lettre de mon frère, qui m'annonce son arrivée à Лысые Горы avec sa femme. Ce sera une joie de courte durée, puisqu'il nous quitte pour prendre part à cette malheureuse guerre, à laquelle nous sommes entraînés Dieu sait, comment et pourquoi. Non seulement chez vous au centre des affaires et du monde on ne parle que de guerre, mais ici, au milieu de ces travaux champêtres et de ce calme de la nature, que les citadins se représentent ordinairement à la campagne, les bruits de la guerre se font entendre et sentir péniblement. Mon père ne parle que mariche et contre mariche, choses auxquelles je ne comprends rien; et avant-hier en faisant ma promenade habituelle dans la rue du village, je fus témoin d'une scène déchirante... C'était un convoi des recrues enrôlés chez nous et expédiés pour l'armée... Il fallait voir l'état dans lequel se trouvant les mères, les femmes, les enfants des hommes qui partaient et entendre les sanglots des uns et des autres!

On dirait que l'humanité a oublié les lois de son divin Sauveur, qui prêchait l'amour et le pardon des offenses, et qu'elle fait consister son plus grand mérite dans l'art de s'entre-tuer.

Adieu, chère et bonne amie, que notre divin sauveur et Sa très Sainte Mère vous aient en Leur sainte et puissante garde. Maries“.

(საყვარელო და დაუფასებელო მეგობარო. 13-ს დაწერილმა თქვენმა წერილმა დიდი სიხარული განმაცდევინა. კვლავ გიყვარვარ, ჩემო პოეტურო ჟიული. განშორებას, რაზედაც თქვენ ამდენს ცუდს ლაპარაკობთ, ჩანს, თავისი ჩვეულებრივი გავლენა არ მოუხდენია თქვენზე. უჩივით განშორებას: რაღა უნდა ვთქვა მე, რომ გამბედაობა შემწევდეს; მე, მოწყვეტილმა ყველა იმათგან, ვინც ძვირფასია ჩემთვის? ოო, რელიგია რომ ნუგეშად არ გვქონდეს, ცხოვრება მეტად მწუხარე იქნებოდა. რატომ მახვევთ მკაცრ შეხედულებას, როცა ლაპარაკობთ თქვენს დამოკიდებულებაზე ახალგაზრდა მამაკაცისადმი? ასეთ შემთხვევაში მე მკაცრად ვეპყრობი მხოლოდ საკუთარ თავს. გასაგებია ჩემთვის, როდესაც ამ გრძნობას განიცდიან, და თუ ვერ მოვიწონებ მას, რადგან თავად არასოდეს განმიცდია, სამაგიეროდ, არც გავკიცხავ. მე მგონია მხოლოდ, რომ ქრისტიანული სიყვარული მოყვასისადმი, სიყვარული მტრისადმი, უფრო ღირსეულია, სასიხარულო და უკეთესი, ვიდრე ის გრძნობა, რომელსაც ახალგაზრდა კაცის მშვენიერი თვალეზი შთააგონებენ ახალგაზრდა ქალიშვილს, თქვენსავით პოეტურ და მოსიყვარულე ქალიშვილს.

გრაფ ბეზუხოვის სიკვდილის ამბავმა თქვენს წერილზე ადრე მოაღწია ჩვენამდე, და მამაჩემი ძალიან შეაწუხა. მამა ამბობს, რომ გრაფი ბეზუხოვი დიადი საუკუნის ერთ-ერთი უკანასკნელი

წარმომადგენელი იყო და ახლა ჩემი ჯერი მოვიდაო, თანაც უმატებს, – ყველაფერს მოვიმოქმედებ, რომ ეს ჯერი რაც შეიძლება გვიან დადგესო. ღმერთმა გვიხსნას ასეთი საშინელი უბედურებისგან!

მე ვერ გავიზიარებ თქვენს აზრს პიერის შესახებ, რომელსაც ვიცნობდი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბავშვი იყო. ვგონებ, მას ყოველთვის საუცხოო გული ჰქონდა, ეს კი ის თვისებაა, რომელსაც ყველაზე მეტად ვაფასებ ადამიანში. რაც შეეხება მის მემკვიდრეობას და იმ როლს, რომელიც ამ საქმეში თავად ვასილის უთამაშია, მეტად სამწუხარო ამბავია ორივესთვის. ეკ, ჩემო საყვარელო მეგობარო, უაღრესად სამართლიანია ჩვენი ღვთაებრივი მაცხოვრის სიტყვები: უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი ეღირსება სასუფეველსა ცათასა. მეზრალეა თავადი ვასილი, უფრო მეტად – პიერი, ძნელია ასეთი ახალგაზრდისთვის ასეთი უზარმაზარი ქონებით დამძიმება, – რაოდენი ცდუნება უნდა განიცადოს მან! მე რომ მკითხონ, რას ისურვებდი ყველაზე მეტად ამქვეყნადო, ვიტყვოდი: უღარიბეს მათხოვარზე უფრო ღარიბი მინდა ვიყო-მეთქი. ათასჯერ გმადლობთ, საყვარელო მეგობარო, იმ წიგნისთვის, რომელიც გამომიგზავნე და რომელიც ესოდენ ხმაურს იწვევს. მაგრამ რადგან თქვენ თვითონ ამბობთ, რომ მასში ბევრ კარგთან ერთად არის ისეთი რამეებიც, რასაც ადამიანის სუსტი გონება ვერ მისწვდებაო, მე ზედმეტად მიმაჩნია გაუგებარის კითხვა, რომელსაც ამიტომ არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო ის, თუ როგორ ცდილობენ ზოგიერთები თავიანთი აზრების არე-დარევას, გატაცებას მისტიკური წიგნებით, რომლებიც მხოლოდ ეჭვებს იწვევენ მათ გონებაში, აღიზიანებენ მათ ოცნებას, აძლევენ მათ გაზვიადებულ ხასიათს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ უბრალოებას. უმჯობესია ვიკითხოთ სამოციქულო და სახარება. ნუ შევეცდებით ჩავწვდეთ იმას, რაც ამ წიგნებში საიდუმლოა, ვინაიდან განა ძალგვიძს ჩვენ, ბეჩავ ცოდვილებს, შევიცნოთ განგების საშინელი და წმინდა საიდუმლოებანი იმ დრომდე, სანამ ვატარებთ ხორციელ გარსს, რომელიც განუჭრეტ ფარდას აღმართავს ჩვენსა და მარადისმყოფელს შორის? უკეთესია დავჯერდეთ იმ დიადი წესების შესწავლას, რომლებიც დავიციოთ ჩვენმა ღვთაებრივმა მაცხოვარმა სახელმძღვანელოდ აქ, დედამიწაზე; ვეცადოთ დავიცვათ ეს წესები, ვეცადოთ დავრწმუნდეთ, რომ რაც უფრო ნაკლებ გასაქანს მივცემთ ჩვენს გონებას, მით უფრო საამო იქნება ღვთისთვის, რომელიც უარყოფს ყოველსავე ცოდნას, რაც მისგან არ მომდინარეობს, რომ რაც უფრო ნაკლებად ჩავწვდებით იმას, რისი დაფარვაც მან ჩვენგან მოისურვა, მით უფრო მალე გაგვაგებინებს იგი თავისი ღვთაებრივი გონებით ამ საიდუმლოებას.

მამას ჩემთვის არაფერი უთქვამს საქმროს შესახებ, მითხრა მხოლოდ – წერილი მივიღე და თავად ვასილის მოველიო; რაც შეეხება ჩემი გათხოვების გეგმას, გეტყვით, საყვარელო და დაუფასებელო მეგობარი, რომ ქორწინება, ჩემი აზრით, ღვთაებრივი დადგენილებაა, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ. თუ ყოვლის შემძლებელი ინებებს და დამაკისრებს მეუღლისა და დედის მოვალეობას, რაც უნდა მძიმე იყოს ჩემთვის ეს მოვალეობა, ვეცდები შევასრულო იგი ისე ერთგულად, როგორც კი შევძლებ; ამასთან არ შევუდგები ჩემი გრძნობების შესწავლას იმისადმი, ვისაც იგი მეუღლედ მომცემს.

მივიღე წერილი ძმისგან, მატყობინებს, ცოლთან ერთად სოფელში ჩამოვალო. ეს სიხარული ხანგრძლივი არ იქნება, რადგან მალე მიგვატოვებს, რათა მონაწილეობა მიიღოს ამ ომში, რომელშიც ჩათრეულნი ვართ, ღმერთმა უწყის, როგორ და რატომ. ომზე მარტო თქვენ შორის როდი ლაპარაკობენ, საქმეებისა და საზოგადოების ცენტრში, მისი გამოძახილი ისმის, მას მძიმედ განვიცდით აქაც, მინდვრის სამუშაოებსა და ამ მყუდროებაში, როგორც ქალაქელებს სოფელი გაქვთ წარმოდგენილი. მამაჩემს პირზე მხოლოდ ლაშქრობა და ჯარის გადასვლ-გადმოსვლა აკერია, რისაც მე არაფერი გამეგება; ხოლო სამი დღის წინათ, როდესაც სოფლის ქუჩაში ჩვეულებისამებრ სასაქონლოდ გავედი, გულშემზარავ სურათს წავაწყდი. დავინახე აქ შეკრებილი და არმიაში გასაგზავნი ახალწვეულნი. უნდა

გენახათ, რა მდგომარეობაში იყვნენ მათი დედები, ცოლები და შვილები, რომელნიც მიდიოდნენ, და გაგეგონათ, თუ რა მწარედ ქვითინებდნენ როგორც ერთნი, ისე – მეორენი. თითქოს დაივიწყა კაცობრიობამ კანონები თავისი ღვთაებრივი მაცხოვრისა, რომელიც სიყვარულსა და პატიებას გვასწავლიდა, თითქოს მთავარ ღირსებად მას ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა მიაჩნიაო.

მშვიდობით, საყვარელო და კეთილო მეგობარო. ნუ მოგაკლოთ თავისი წმინდა და ძლიერი მფარველობა ჩვენმა ღვთაებრივმა მაცხოვარმა და მისმა ყოვლად წმინდა დედამ.

მარი“).

– Ah, vous expédiez le courrier, princesse, moi j'ai déjà expédié le mien. J'ai écrit a ma pauvre mère (აა, კნიაჟნა, წერილს გზავნით, მე უკვე გავგზავნე ჩემი წერილი. საბრალო დედაჩემს მივწერე), – ასო რ-ზე მოქცევით დაილაპარაკა სწრაფად, საამო ხმით, მოღიმარე m-lle Bourienne-მა და კნიაჟნას გულდახურულ, მწუხარე და მოღუშულ ატმოსფეროში შეიტანა სულ სხვა სამყარო, მხიარული და კმაყოფილი სამყარო.

– Princesse, il faut que je vous prévienne (უნდა გაგაფრთხილოთ, კნიაჟნა), – დაუმატა მან და ხმას დაუდაბლა, – le prince a eu une altercation, – altercation (რომ თავადმა გამოლანძღა), – თქვა კეკლუცად და სიამოვნებით დაუგდო ყური თავის თავს, – une altercation avec Michel Ivanoff. Il est de très mauvaise humeur, très morose. Soyez prévenue, vous savez (დიახ, თავადმა მიხაილ ივანიჩი გამოლანძღა. მეტად უგუნებოდ არის, ძალზე მოღუშულია, გაფრთხილებთ, იცოდეთ)...

– Ah! chère amie (ოჰ, ჩემო კარგო), – მიუგო კნიაჟნამ, – je vous ai prié de ne jamais me prévenir de l'humeur dans laquelle se trouve mon père. Je ne me permets pas de le juger, et je ne voudrais pas que les autres le fassent (მე გთხოვთ, არასოდეს არ გეთქვათ ჩემთვის რამე იმის შესახებ, თუ რა გუნებაზეა მამაჩემი. მე ნებას არ მივცემ თავს, განვსაჯო მამაჩემის მოქმედება და მინდა, რომ არც სხვებმა ჩაიდინონ ასეთი რამ).

კნიაჟნამ საათს შეხედა და, რაკი შენიშნა, რომ უკვე ხუთი წუთი გადააცილა იმ დროს, რომელიც კლავიკორდზე დაკვრას უნდა მოხმარებოდა, შეშინებული სახით სადივანო ოთახისკენ გაემართა. 12 საათიდან 14 საათამდე, შემოღებული წესრიგის მიხედვით, თავადი ისვენებდა, ხოლო კნიაჟნა კლავიკორდზე უკრავდა.

თავი ოცდამესამე

ჭაღარა კამერდინერი იჯდა, თვლებდა და ყურს უგდებდა თავადის ხვრინვას უზარმაზარ კაბინეტში. სახლის შორეული კუთხიდან, მოხურულ კარს იქიდან, მოისმოდა ოც-ოცჯერ გამეორებული დიუსეკის[32] სონატის მნელი პასაჟები.

ამ დროს სახლის პარმალს კარეტა და მსუბუქი ეტლი მიადგა. კარეტიდან თავადი ანდრეი გამოვიდა, მერე მან თავისი პატარა ცოლი გადმოიყვანა და წინ გაუშვა. ჭაღარა ტიხონმა საოფიცინტოს კარიდან პარიკიანი თავი გამოყო, ჩურჩულით მოახსენა, თავადს სძინავსო და სწრაფად მიიხურა კარი. ტიხონმა იცოდა, რომ არც შვილის მოსვლას, არც რაიმე სხვა არაჩვეულებრივ ამბავს არ უნდა დაერღვია დღის წესრიგი. თავადმა ანდრეიმ, ჩანდა, ეს ისევე კარგად იცოდა, როგორც ტიხონმა; მან საათს დახედა, თითქოს იმისთვის, რომ შეემოწმებინა – ხომ არ შეცვლილა მამის ჩვეულება მას შემდეგ, რაც იგი აღარ უნახავს და, რაკი დარწმუნდა, რომ არ შეცვლილიყო, ცოლს მიმართა:

– ოცი წუთის შემდეგ ადგება. შევიდეთ კნიაჟნა მარიასთან.

პატარა კნიაგინია ამ ხნის განმავლობაში გამსხვილებულიყო, მაგრამ თვალები და ბუსუსებიანი მოლიმარე მოკლე ტუჩი კვლავინდებურად მხიარულად და საამოდ აუთამაშდა, როდესაც დაილაპარაკა.

– Mais c'est un palais (ეს ხომ ნამდვილი სასახლეა)! – უთხრა მან ქმარს და მიმოიხედა ისეთი გამომეტყველებით, როგორითაც ქებას შეასხამენ ხოლმე მეჯლისის მასპინძელს, – Allons, vite, vite (მაგრამ ჩქარა, ჩქარა), – ამბობდა იგი და უკან იყურებოდა, თან უღიმოდა ტიხონსაც, ქმარსაც და ოფიცინანტსაც, რომელიც მათ აცილებდა.

– C'est Marie qui s'exerce? Allons doucement, il faut la surprendre (ეს მარი ვარჯიშობს? ჩუმად მივეპაროთ, რომ ვერ დაგვინახოს).

თავაზიანი და ნაღვლიანი გამომეტყველებით მისდევდა თავადი ანდრეი თავის ცოლს.

– დაბერებულხარ, ტიხონ, – უთხრა მან გავლისას მოხუცს, რომელმაც ხელი დაუკოცნა. .

იმ ოთახის წინ, საიდანაც კლავიკორდის ხმა მოისმოდა, გვერდით კარიდან ლამაზი, ქერა ფრანგი ქალი გამოვარდა. აღტაცებისგან m-lle Bourienne გაგიჟებულს ჰგავდა.

– Ah! quel bonheur pour la princesse (ოჰ, რა სასიხარულო ამბავია კნიაჟნასთვის)! – დაიწყო მან, – Enfin! Il faut que je la prévienne (ძლივს! უნდა ვაცნობო).

– Non, non, de grâce... Vous êtes m-lle Bourienne, je vous connais déjà par l'amitié que vous porte ma belle-soeur (არა, არა, გეთაყვა... თქვენ მადმუაზელ ბურიენი ხართ. გიცნობთ, გიცნობთ იმ მეგობრობით, რომელიც ჩემს მულს თქვენთან აქვს), – ეუბნებოდა კნიაგინია და თან კოცნიდა ფრანგს, – Elle ne nous attend pas (მარი არ გელოდებათ)!

იმ ოთახის კართან მივიდნენ, საიდანაც კვლავ და კვლავ განმეორებული პასაჟი მოისმოდა. თავადმა ანდრეიმ ნაბიჯი შეაჩერა და წარბი შეკრა, თითქოს რაღაც უსიამოვნოს მოეღისო.

კნიაგინია შევიდა. პასაჟი შუა ადგილას შეწყდა; მოისმა შეკვივლება, კნიაჟნა მარიას მძიმე ფეხების ბაკუნისა და კოცნის ხმა. როდესაც თავადი ანდრეი შევიდა, კნიაჟნა და კნიაგინია, რომელნიც ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ, ისიც მცირე ხნით, თავად ანდრეის ქორწილში, ხელებგადახვეულნი, ბაგეებით მიჰკვროდნენ იმ ადგილებს, რომლებსაც ტუჩები პირველ წამს დაატაკეს. m-lle Bourienne იქვე იდგა გულზე ხელებდაკრეფილი და სასოებით იღიმებოდა, იგი თითქოს ერთნაირად მზად იყო როგორც სატირლად, ისე საცინლად. თავადმა ანდრეიმ მხრები აიჩეჩა და შუბლი შეკრა, როგორც შეკრავენ ხოლმე შუბლს ყალბი ნოტის გაგონებაზე მუსიკის მოყვარულნი. ქალებმა ხელი უშვეს ურთიერთს. მერე, თითქოს შეეშინდათ, არ დავაგვიანოთო, კვლავ მივარდნენ ერთმანეთს და იწყეს კოცნა, ისევ განშორდნენ და ისევ დაიწყეს კოცნა, და სრულიად მოულოდნელად თავად ანდრეისთვის, ორივე ატირდა, მერე ორივემ ისევ გააბა კოცნა. ატირდა m-lle Bourienne-იც. თავადი ანდრეი ამკარად უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ ქალებს სავსებით ბუნებრივად მიაჩნდათ ტირილი; მათ თითქოს ვერც კი წარმოედგინათ, რომ შესაძლებელი იყო ამ შეხვედრის სხვანაირად ჩატარება.

– Ah! chère!...Ah! Marie (აჰ, საყვარელო!.. აჰ, მარი)! – ერთბაშად დაილაპარაკა ორივე ქალმა და ორივემ გაიცინა, – J'ai rêvé cette nuit ...– Vous ne nous attendez donc pas?... Ah! Mariei, vous avez maigri... – Et vous avez repris (მე სიზმარში გნახეთ. – მაშ არ მოგველოდით?.. აჰ, მარი, როგორ გამხდარხართ... – თქვენ კი გასუქებულხართ)...

– J'ai tout de suite reconnu madame la princesse (მე მაშინვე ვიცანი კნიაგინია), – ჩაურთო სიტყვა m-lle ბურიენმა.

– Et moi qui ne me doutais pas (მე კი აზრადაც არ მომსვლია)! – წამოიძახა კნიაჟნა მარიამ, – Ah! André, je ne vous voyais pas (აჰ, ანდრეი, ვერ დაგინახე).

თავადმა ანდრეიმ აკოცა დას და უთხრა – ისევ ისეთი pleurinicieuse (მტირალა) ხარ, როგორც ყოველთვის იყავიო. კნიაჟნამ პირი ძმისკენ მიიბრუნდა და თავისი მშვენიერი, იმ წუთში დიდი, სხივოსანი, ცრემლიანი თვალები, რომლებიც სავსე იყო სიყვარულითა და თვინიერებით, მის სახეზე შეაჩერა.

კნიაგინია კი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. მოკლე, ბუსუსიანი ზედა ტუჩი წამდაუწუმ და სწრაფად ეშვებოდა ქვევით, ეხებოდა, სადაც საჭირო იყო, ქვედა ღაჟღაჟა ტუჩს, და კვლავ ეღვარებდა მის სახეზე კბილებითა და თვალებით გაბრწყინებული ღიმილი. კნიაგინიამ გაიხსენა შემთხვევა სპასკის გორაკზე, რომელიც საფრთხეს უქადდა მის ახლანდელ მდგომარეობას, და იმავე წუთს აცნობდა მოსაუბრეს, რომ თავისი ტანისამოსი მთლად პეტერბურგს დატოვა და ღმერთმა უწყის, რა უნდა ჩაიცვას აქ, რომ ანდრეი მთლად გამოიცვალა, რომ კიტი ოდინცოვა მოხუცს მისთხოვდა, რომ გამოუჩნდა საქმრო კნიაჟნა მარის, pour tout de bon (ნამდვილი) საქმრო, მაგრამ ამაზე მერე მოვილაპარაკებთო. კნიაჟნა მარი ჯერ კიდევ გაჩუმებული შეჰყურებდა ძმას, და მის მშვენიერ თვალებში სიყვარული და მწუხარება ისახებოდა. აშკარა იყო, რომ გონება ამჟამად მოეცვა აზრთა საკუთარ მიმდინარეობას, რძლის სიტყვებისგან დამოუკიდებელს. როდესაც კნიაგინია პეტერბურგში გამართული უკანასკნელი დღესასწაულის ამბავს უყვებოდა, მარიმ მიმართა ძმას:

– მაშ, აუცილებლად მიდიხარ ომში, André? – ჰკითხა მან და ამოიოხრა.

Lise-მაც ამოიოხრა.

– წარმოიდგინე, ხვალვე, – მიუგო ძმამ.

– Il m'abandonne ici, et Dieu sait pourquoi, quand il aurait pu avoir de l'avancement (იგი მე აქ მტოვებს და ღმერთმა უწყის, რატომ, მაშინ, როდესაც შეეძლო დაწინაურებულიყო სამსახურში).

კნიაჟნამ ბოლომდე არ მოუსმინა, განაგრძო ფიქრი, გაჰყვა თავისი აზრების მიმდინარეობას, ალერსიანად ანიშნა რძალს, თვალებით მუცელზე და ჰკითხა:

– ნამდვილად ასეა?

კნიაგინიას სახე შეეცვალა, ამოიოხრა.

– ნამდვილად, – მიუგო მან, – საშინელებაა...

ლიზას ტუჩი დაეშვა. მან თავისი სახე მულის სახესთან მიიტანა და მოულოდნელად კვლავ ტირილი დაიწყო.

– დასვენება სჭირდება, – თქვა თავადმა ანდრეიმ და შუბლი შეკრა, – ხომ, ლიზა? წაიყვანე შენთან, – მიმართა მან დას, – მე კი მამასთან შევალ, რასა იქმს, ისევ ისეთია?

– ისეთია, ისეთი! არ ვიცი, შენ როგორი გეჩვენება, – მიუგო მხიარულად კნიაჟნამ.

– იგივე საათები და ხეივნებში სეირნობა? დაზგა? – ჰკითხა ანდრეიმ ოდნავი ღიმილით, რაც ცხადყოფდა, რომ შვილმა, მთელი თავისი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, კარგად იცოდა მამის სუსტი მხარეებიც.

– იგივე საათები და დაზგა, დამატებით მათემატიკა და გეომეტრიის გაკვეთილები, – მხიარულად მიუგო კნიაჟნა მარიამ, თითქოს გეომეტრიის გაკვეთილებს მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასიხარულო შთაბეჭდილება მოეხდინოს.

როდესაც იმ ოცმა წუთმა განვლო, რომელიც მოხუცის ადგომამდე რჩებოდა, ტიხონმა ახალგაზრდა თავადს მამასთან მიუხმო. მოხუცმა შვილის ჩასვლის გამო გამონაკლისი დაუშვა თავის დღის განრიგში. ბრძანა შეეშვათ იგი ტანთ ჩაცმის დროს, სადილის წინ. თავადი ძველებურ წესს მისდევდა – ხიფთანს ატარებდა და იპუდრებოდა. და იმ დროს, როდესაც თავადი ანდრეი მამასთან შედიოდა (არა ისეთი გამომეტყველებით და მანერებით, როგორსაც სასტუმრო ოთახებში მიმართავდა ხოლმე, არამედ ისეთი ცოცხალი სახით, როგორითაც პიერს ელაპარაკებოდა), მოხუცი საკაზმულოში იჯდა განიერ, მემგადაკრულ[33] სავარძელში, პლედშემოხვეული, ხოლო ტიხონი თავს დასტრიალებდა.

– ოჰ, მეომარო! ბონაპარტეს დაპყრობა მოიწადინე? – უთხრა მოხუცმა და გაპუდრული თავი გააქნია, რამდენადაც ამის ნებას იძლეოდა ნაწნავი, რომელსაც ტიხონი უგრეხდა, – შენ მაინც გამოიდე თავი, ასწავლე ჭკუა, თორემ ჩვენც თავის ქვეშევრდომებად გაგვხდის... დიახ! – და ლოყა მიუშვირა შვილს საკოცნელად.

სადილამდე გამოძინებული მოხუცი კარგ გუნებაზე იყო (ხშირად ამბობდა: ნასადილევს ძილი ვერცხლია, სადილობამდე კი – ოქრო). იგი თავის ხშირ, ჩამოწოლილ წარბებს ქვეშიდან მხიარულად შეჰყურებდა შვილს. ახლოს მისულმა თავადმა ანდრეიმ აკოცა მამას ნაჩვენებ ადგილზე. თავადი ანდრეი არ გამოეხმაურა მოხუცს საყვარელ თემაზე. ამ თემას კი ახლანდელი სამხედრო პირების, მეტადრე ბონაპარტეს სასაცილოდ აგდება შეადგენდა.

– დიახ, გეახელით, მამაჩემო, ამასთან ფეხმძიმე ცოლით, – უთხრა თავადმა ანდრეიმ. იგი გულისყურითა და მოკრძალებით ადევნებდა თვალს მამის სახის ყოველი ნაკვთის მოძრაობას, – ჯანზე ხომ კარგად ბრძანდებით?

– ავად, ძმაო, სულელები და გარყვნილები არიან. შენ ხომ მიცნობ: დილიდან საღამომდე ვმუშაობ, თავშეკავებული ვარ, ჰოდა, არც ჯანმრთელობა მღალატობს.

– მადლობა ღმერთს, – უთხრა შვილმა ღიმილით.

– ღმერთი აქ არაფერ შუაშია. აბა, მიახმე, – განაგრძო მან და თავის საყვარელ საგანს დაუბრუნდა: – როგორ გასწავლეს თქვენ გერმანელებმა ბონაპარტესთან ბრძოლა ახალი, სტრატეგიადწოდებული მეცნიერების მიხედვით?

თავადმა ანდრეიმ გაიღიმა.

– დამაცადეთ, მამაჩემო, გონს მოვიდე, – უპასუხა მან ღიმილით, რომელიც ააშკარავებდა, რომ მოხუცის სუსტი მხარეები ხელს არ უშლიდა შვილს ჰყვარებოდა მამა და პატივი ეცა მისთვის, – ჯერ არც კი დავბინავებულვარ.

– სტყუი, სტყუი! – დაიყვირა მოხუცმა და ნაწნავი შეარხია, რათა დარწმუნებულიყო, სუსტად ხომ არ იყო თმა დაწნული, თან ხელი სტაცა შვილს, – სახლი მზად არის შენი ცოლისთვის. კნიაჟნა მარია წაიყვანს, ყველაფერს აჩვენებს და ლაპარაკით ყურებს გამოუჭედავს. ეს მათი საქმეა, დედაკაცური საქმე. მიხარია შენი ცოლის მოსვლა. დაჯექი, მიახმე. მესმის მიხელსონის[34] საქმე, ტოლსტოისაც... ერთდროული გადასხმა... რას მოიმოქმედებს სამხრეთის არმია? პრუსია, ნეიტრალიტეტი... ეს ვიცი, ავსტრია? – ამბობდა სავარძლიდან წამომდგარი მოხუცი და ოთახში დაცუხცუხებდა. ტიხონი უკან დასდევდა და სამოსს ნაწილ-ნაწილ აწვდიდა, – შვედეთი რაღას იზამს? პომერანიას[35] როგორ გადალაზავენ?

თავადმა ანდრეიმ, რაკი დაინახა, მამა დაჟინებით მოითხოვდა, უხალისოდ დაიწყო განზრახული ლაშქრობის ოპერაციული გეგმის გადაცემა, მაგრამ შემდეგ უფრო და უფრო გაცხარდა და შუა ლაპარაკში უნებურად, ჩვეულებისამებრ, რუსულიდან ფრანგულზე გადავიდა. უამბო, როგორ დაემუქრება პრუსიას ოთხმოცდაათიათასიანი არმია, რათა გამოიყვანოს იგი ნეიტრალიტეტიდან და ჩააბას ომში, როგორ შეუერთდება შტრალზუნდში[36] ამ ჯარის ნაწილი შვეციის ჯარს, როგორ იმოქმედებს იტალიაში და რეინზე ასი ათას რუსთან შეერთებული ორას ოცი ათასი ავსტრიელი, როგორ გადასხამენ ნეაპოლში ორმოცდაათი ათას რუსს და ორმოცდაათი ათას ინგლისელს და ყოველივე ამის შედეგად როგორ დაესხმის სხვადასხვა მხრიდან ფრანგებს ხუთასი ათასიანი არმია. მოხუცი თავადი, თითქოს ყურს არ უგდებსო, არავითარ ინტერესს არ იმჩნევდა ამ ამბებისადმი და სიარულში განაგრძობდა ტანისამოსის ჩაცმას, მაგრამ მოულოდნელად სამჯერ მაინც გააწყვეტინა სიტყვა შვილს; ერთხელ მაშინ, როდესაც დაიყვირა – თეთრი, თეთრიო.

ეს ნიშნავდა იმას, რომ ტიხონი აწვდიდა არა იმ ჟილეტს, რომელიც მას სურდა. მეორედ, შეჩერებულმა, ჰკითხა შვილს, – მალე გააჩენსო? საყვედურით თავი გააქნია და თქვა, – ვერ არის კარგი! განაგრძე, განაგრძეო.

მესამედ, როდესაც თავადმა ანდრეიმ გეგმის აღწერა დაამთავრა, მოხუცმა ყალბი და ბებრული ხმით დაამღერა ფრანგულად: „Malbroughe's en va-t-en guerre. Dieu sait quand reviendra“ („მალბრუკი სალაშქროდ მიდის, როდის დაბრუნდება, ეს ღმერთმა იცის“).

შვილმა მხოლოდ გაიღიმა.

– ვერ ვიტყვი, რომ ეს ის გეგმა იყოს, რომელიც მე მომწონს, – უთხრა შვილმა: – მე მხოლოდ გადმოგეცით ის, რაც არის. ნაპოლეონმა უკვე შეადგინა თავისი გეგმა, რომელიც ამას არ ჩამოუვარდება.

– ახალი მაინც ვერაფერი მიაგებ, – და ჩაფიქრებულმა მოხუცმა სწრაფად თავისთვის ჩაილაპარაკა, – როდის დაბრუნდება, ეს ღმერთმა იცის!.. წადი სასადილო ოთახში.

თავი ოცდამეოთხე

დანიშნულ საათს გაპუდრული და გაპარსული თავადი სასადილო ოთახში შევიდა, სადაც უცდიდნენ რძალი, კნიაჟნა მარია, m-lle ბურიენი და თავადის არქიტექტორი, რომელსაც, თავადის ახირებული სურვილის გამო, სუფრაზე ჯდომის უფლება ეძლეოდა, თუმცა თავისი მდგომარეობით მას არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა ასეთი პატივისა. თავადი ცხოვრებაში მტკიცედ იცავდა წოდებრივ განსხვავებას და იშვიათად მოისვამდა ხოლმე სუფრაზე წარჩინებულ საგუბერნიო მოხელეებსაც კი; ამ არქიტექტორის, მიხაილ ივანოვიჩის სუფრასთან დასმით კი, არქიტექტორისა, რომელიც ცხვირს კუთხეებში უჯრედებად დაჩითული ცხვირსახოცით იხოცავდა, – თავადი ამტკიცებდა, რომ ადამიანები თანასწორნი არიან და არაერთხელ აგონებდა თავის ქალიშვილს, მიხაილ ივანოვიჩი მე და შენზე ცუდი არაფრით არ არისო. სუფრაზე თავადი ყველაზე ხშირად მდუმარე მიხაილ ივანოვიჩს მიმართავდა ხოლმე.

სასადილოში, უზარმაზარ და მაღალჭერიან ოთახში, როგორც იყო ამ სახლის ყველა ოთახი, თავადის გამოსვლას ელოდნენ შინაურები და ოფიციანტები, რომელნიც ყველა სკამის უკან იდგნენ: მაჟორდომს ხელში ხელსახოცი ეჭირა, გაწყობილ სუფრას ათვალთვრებდა, თვალთ ანიშნებდა ლაქიებს და შემფოთებული აცქერდებოდა ხან კედლის საათს, ხან კარს, საიდანაც თავადი უნდა შემოსულიყო. თავადი ანდრეი შეჰყურებდა ოქროს უზარმაზარ ჩარჩოს, რომელშიც მოთავსებული იყო თავად ბოლკონსკების გენეალოგიური შტო. ანდრეი პირველად ხედავდა ამ ჩარჩოს, რომელიც მეორე ასეთივე

უზარმაზარი ჩარჩოს პირდაპირ ეკიდა. მასში ჩასმული იყო ცუდად შესრულებული (ეტყობოდა, შინაური მხატვრის ხელით), გამოხატულება მთავრისა, რომელიც რიურისკისგან[37] უნდა მომდინარებულყო და თავად ბოლკონსკების გვარის მამამთავარი უნდა ყოფილიყო. თავადი ანდრეი შეჰყურებდა ამ გენეალოგიურ შტოს, თავს იქნევდა და იღიმებოდა ისეთი სახით, როგორც მალზე მსგავს პორტრეტს შესცქერიან.

– რა კარგად ვცნობ მამაჩემს ამ ნახატში! – უთხრა ანდრეიმ მასთან მისულ კნიაჟნა მარიას.

გაკვირვებულმა კნიაჟნამ თვალეზი შეანათა. მას არ ესმოდა, რას უღიმოდა ძმა. ყოველივე, რასაც მამა აკეთებდა, მოწიწებას იწვევდა მასში და წარმოდგენილად მიაჩნდა მისი განსჯა-განხილვა.

– ყველას თავისი აქილევსი ქუსლი აქვს, – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – ასეთი დიდი ჭკუის პატრონი და donner dans ce ridicule (ასეთი წვრილმანებით გატაცება)?

კნიაჟნას ვერ გაეგო ძმის ასეთი გაბედული მსჯელობა. და ის-ის იყო, სიტყვა უნდა შეებრუნებინა, რომ კაბინეტიდან ფეხის ხმა მოისმა: თავადი ჩვეულებისამებრ სწრაფად, მხიარულად შემოდიოდა, თითქოს თავისი აჩქარებული მანერებით განგებ ცდილობს ოჯახში მიღებული წესრიგის დარღვევასო. იმავე წუთს დიდმა საათმა ორი ჩამოჰკრა და მაშინვე სასტუმრო ოთახში წვრილი ხმით მეორე საათი გამოეხმაურა. თავადი შეჩერდა. ხშირ, ჩამოწოლილ წარბებს ქვეშიდან ცოცხალმა, მბრწყინავმა სასტიკმა თვალეზმა ირგვლივ მიმოიხედეს და ახალგაზრდა კნიაგინიაზე შეჩერდნენ. კნიაგინია ამ დროს ისეთსავე გრძნობას განიცდიდა, როგორსაც სასახლის კარისკაცი მეფის გამოსვლის დროს, – შიშისა და მოკრძალების იმ გრძნობას, რომელსაც ეს მოხუცი ყველა ახლობელში იწვევდა. მან კნიაგინიას თავზე ხელი გადაუსვა, მერე უხერხული მოძრაობით კეფაზე წაუთათუნა.

– მოხარული ვარ, მოხარული, – ჩაილაპარაკა, ერთხელ კიდევ ჩახედა რძალს თვალეზში, სწრაფად მოშორდა და თავის ადგილზე დაჯდა, – დასხედით, დასხედით! მიხაილ ივანოვიჩ, დაჯექით.

მან თავის გვერდით უჩვენა ადგილი რძალს. ოფიციალტმა სკამი მისწია.

– ოო, – თქვა მოხუცმა და რძლის შემრგვალებულ წელს თვალი შეავლო, – აჩქარებულხართ, არ არის კარგი!

ჩაიცინა უკმეხად, ცივად, უსიამოვნოდ, როგორც ყოველთვის, გაიცინა მხოლოდ პირით და არა თვალეზით.

– სიარულია საჭირო, რაც შეიძლება მეტი სიარული, მეტი მოძრაობა, – დაუმატა.

პატარა კნიაგინიას არ ესმოდა ან არ უნდოდა გაეგონა თავადის სიტყვები. იგი დუმდა და დარცხვენის ჰგავდა. მოხუცმა გამოჰკითხა მამის ამბავი, კნიაგინიამ დაილაპარაკა და გაიღიმა. შემდეგ თავადი შეეკითხა საერთო ნაცნობების შესახებ. კნიაგინია უფრო გამოცოცხლდა. მან გადასცა მოხუცს სალამი, მოკითხვა ნაცნობებისგან და უამბო ქალაქის ჭორები.

– La comtesse Apraksine, la pauvre, a perdu son mari, et elle a pleuré les larmes de ses yeux (კნიაგინია აპრაქსინამ, საბრალომ, ქმარი დაკარგა და ტირილით თვალეზი დაისია), – ამბობდა იგი და უფრო და უფრო მხიარულ გუნებაზე დგებოდა.

რაც უფრო მხიარულ გუნებაზე დგებოდა კნიაგინია, მით უფრო მკაცრად შეჰყურებდა მას მოხუცი, და უეცრად, თითქოს საკმაოდ შეისწავლა რძალი და ნათელი წარმოდგენა შეიმუშავა მასზე, პირი იბრუნა მისგან და მიხაილ ივანოვიჩს მიმართა:

– ხედავთ, მიხაილ ივანოვიჩი, რა ცუდი დღე ადგება ჩვენს ბონაპარტეს. როგორც თავადმა ანდრეიმ (მოხუცი ყოველთვის მესამე პირით იხსენიებდა შვილს) მიაჩნო, დიდი ძალები ამხედრებულან მის წინააღმდეგ. მე და თქვენ კი არაფრად ვაგდებდით.

მიხაილ ივანოვიჩის სრულიად არ ახსოვდა, ოდესმე მათ ასეთი სიტყვები ეთქვათ ბონაპარტეზე, მაგრამ ესმოდა, რომ იგი საჭირო იყო საამო საუბრის დასაწყებად, ამიტომ გაკვირვებული თვალები მიაშტერა ახალგაზრდა თავადს, თუმცა, არ იცოდა, რა მოჰყვებოდა ამას!

– დიდი ტაქტიკოსია! – უთხრა თავადმა შვილს და არქიტექტორზე ანიშნა.

და კვლავ ჩამოვარდა ლაპარაკი ომზე, ბონაპარტეზე და ახლანდელ გენერლებსა და სახელმწიფო პირებზე. მოხუცი თავადი, ეტყობოდა, დარწმუნებული იყო არა მარტო იმაში, რომ ახლანდელი მოღვაწეები ბიჭბუჭები არიან, რომელთაც არაფერი გაეგებათ სამხედრო და სახელმწიფო საქმეებისა, ხოლო ბონაპარტე უბადრუკი ფრანგია, რომელმაც წარმატებას მიაღწია მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ არიან პოტიომკინები[38] და სუვოროვები[39], – იგი დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ ევროპაში არავითარი პოლიტიკური სიძნელე არ არის, არ არის არც ომი, რომ იქ მხოლოდ ტიკინების კომედიაა და ამ კომედიას თამაშობენ ახლანდელი ადამიანები, თანაც თვალთმაქცობენ, საქმეს ვაკეთებთო. თავადი ანდრეი მხიარულად ხვდებოდა თანამედროვეთა სასაცილოდ აგდებას მამის მიერ, აშკარა ხალისით იწვევდა მოხუცს სალაპარაკოდ და უსმენდა მას.

– ყველაფერი, რაც უწინ იყო, კარგად გვეჩვენება, – თქვა მან, – განა იგივე სუვოროვი არ გაება მახეში, რომელიც მას მორომ[40] დაუგო და რომლისგანაც თავის დაძვრენა ველარ მოახერხა?

– მერე ვინ გითხრა ეგ, ვინ? – დაუყვირა თავადმა, – სუვოროვი! – თქვა მან და თეფში მოიქნია, რომელსაც ტიხონმა მარჯვენდ სტაცა ხელი, – სუვოროვი!.. დაუფიქრდი, თავადო ანდრეი. ორი იყო: ფრიდრიხი[41] და სუვოროვი... მორო! მორო ტყვეობას ვერ ასცდებოდა, სუვოროვს რომ ხელები თავისუფალი ჰქონოდა; მას ხელ-ფეხს უბორკავდნენ ჰოფს-ვურსტ-შნაპს-რატები. ეშმაკიც კი კისერს მოიტეხდა. ინებეთ და გაიცანით ეს ჰოფს-კრიგს-ვურსტ-შნაპს-რატები! თუ სუვოროვმა ვერაფერი გააწყო მათთან. რას გააწყობს მიხაილ კუტუზოვი? არა, მეგობარო, – განაგრძო მოხუცმა, – თქვენ თქვენი გენერლებით ვერაფერს გახდებით ბონაპარტეს წინააღმდეგ. ფრანგებთან საქმე ისე უნდა დაიჭირო, რომ ძალლი პატრონს ველარ ცნობდეს და შინაურმა შინაურს მოსცხოს. გერმანელი პალენი[42] ნიუ-იორკში გაგზავნეს, ამერიკაში, ფრანგ მოროსთან, – თქვა მოხუცმა და გადაჰკრა იმათ, ვინც წელს მოროს იწვევდა რუსეთის სამსახურში, – სასწაულებია სწორედ!! განა პოტიომკინები, სუვოროვები, ორლოვები[43] გერმანელები იყვნენ? არა, ძმაო, ან თქვენ ყველამ იქ ჰკუა დაკარგეთ, ან მე გამოვყეყედი. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ჩვენ კი ვნახავთ, რა იქნება. ბონაპარტე ამათ თვალში დიდ სარდლად გადაიქცა! ჰმ!..

– მე არ ვამბობ, ყოველი განკარგულება კარგი იყო-მეთქი, – თქვა თავადმა ანდრეიმ, – მხოლოდ ვერ გამიგია, რატომ მსჯელობთ ასე ბონაპარტეზე. დასცინეთ, რამდენიც გენებოთ, მაგრამ ბონაპარტე მაინც დიდი სარდალია!

– მიხაილ ივანოვიჩი! – დაუყვირა მოხუცმა თავის არქიტექტორს, რომელიც ის-ის იყო, მოხრაკულის ჭამას შეუდგა და იმედოვნებდა, დავავიწყდი მოსაუბრეებსო, – მე ხომ გეუბნებოდით, ბონაპარტე დიდი ტაქტიკოსია-მეთქი? აი, ესეც ადასტურებს.

– როგორ არა, თქვენო ბრწყინვალება, – მიუგო არქიტექტორმა.

თავადმა კვლავ გაიცინა თავისი ცივი სიცილით.

– ბონაპარტე ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა. საუცხოო ჯარისკაცები ჰყავს. ესეც არ იყოს, პირველად იგი გერმანელებს დაესხა თავს. გერმანელები კი მხოლოდ ზარმაცებს არ უტყეპიათ. მას შემდეგ, რაც დედამიწა არსებობს, ყველა გერმანელებს უბრაგუნებს. მათ კი ვერავის ვერ მოსცხეს. მხოლოდ ერთმანეთზე იყრიან ჯავრს. ბონაპარტემ გერმანელებზე გაითქვა სახელი.

და თავადი შეუდგა ყველა იმ შეცდომის აღწერას-განხილვას, რომელიც კი, მისი გაგებით, ბონაპარტეს ჩაედინა თავის ომებში და სახელმწიფო საქმეებშიც კი. შვილი დუმდა, მაგრამ აშკარა იყო, რა საბუთებიც უნდა მოეყვანათ, იგი ისევე არ შეიცვლიდა თავის აზრს, როგორც მოხუცი თავადი თავისას. თავადი ანდრეი ყურს უგდებდა, თავს იკავებდა სიტყვის შებრუნებისგან და უნებურად გაკვირვებას ეძლეოდა, როგორ და რანაირად შეეძლო მოხუცს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფეხმოუცვლელად იჯდა სოფელში, სცოდნოდა ასე დაწვრილებით და ასე ზედმიწევნით ევროპის უკანასკნელი წლების სამხედრო და პოლიტიკური ვითარება.

– შენ გგონია, მე, მოხუცს, არ მესმის საქმის ახლანდელი ვითარება? – დაასკვნა მან, – მე ფიქრად გადავიქეცი, ძილი გამიფრთხა. აბა, სად დაგვანახვა თავი ამ დიდმა სარდალმა, შენმა სარდალმა?

– გრძელი ამბავია, – მიუგო შვილმა.

– წადი შენს ბონაპარტესთან! M-lle Bourienne, voilà encore un admirateur de votre goujat d'empereur (მადმუაზელ ბურიენ, აი, ერთი თავყვანისმცემელი კიდევ თქვენი მონური იმპერატორისა)! – დაუყვირა მან ჩინებულ ფრანგულ ენაზე.

– Vous savez, que je ne suis pas bonapartiste, mon prince (მოგეხსენებათ, თავადო, მე ბონაპარტისტი არა ვარ).

– „Dieu sait quand reviendra“ („როდის დაბრუნდება, ეს ღმერთმა იცის“)... – ჩაიმლერა თავადმა ყალბი ხმით, უფრო ყალბად გაიცინა და გაშორდა სუფრას.

პატარა კნიაგინია მთელი კამათისა და სადილის განმავლობაში მდუმარედ და შეშინებული შეჰყურებდა ხან კნიაჟნა მარიას, ხან მამამთილს. როდესაც სუფრას მოშორდნენ, მან ხელი წაავლო მულს და მეორე ოთახში გაიყვანა.

– Comme c'est un homme d'esprit votre père (რა ჰკვიანი კაცია მამათქვენი), – უთხრა მან, – c'est à cause de cela peut-être qu'il me fait peur (იქნებ ამიტომ მეშინია მისი).

– ოჰ, მეტად გულკეთილი ადამიანია! – მიუგო კნიაჟნამ.

თავი ოცდამეხუთე

თავადი ანდრეი მეორე დღეს, საღამოთი უნდა გასდგომოდა გზას. მოხუცმა თავადმა თავის წესს არ გადაუხვია და სადილს შემდეგ თავის ოთახს მიაშურა. პატარა კნიაგინია მულთან იჯდა. უეპოლეტო სამგზავრო სერთუკში გამოწყობილი თავადი ანდრეი თავის კამერდინერთან ერთად სამგზავრო სამზადისში იყო. თვითონვე დაათვალიერა ეტლი, გასინჯა, როგორ იყო ჩალაგებული ჩემოდნები და უბრძანა, ცხენები შეებათ. ოთახში მხოლოდ ის ნივთები რჩებოდა, რომლებიც თავად ანდრეის მუდამ თან დაჰქონდა: კოლოფი, ვერცხლის დიდი ყუთი, ორი თურქული დამბაჩა და ოჩაკოვიდან მოტანილი ხმალი, მამის ნაჩუქარი. ამ საგზაო ნივთებს თავადი ანდრეი სათუთად უვლიდა: ყველაფერი ახალი იყო, გაკრიალებული, მაუდის ბუდეებში ჩაწყობილი და ზორტებით გულმოდგინედ შეკრული.

განშორებისა და ცხოვრების შეცვლის წუთებში ადამიანს, რომელსაც თავისი საქციელის მოფიქრების უნარი შესწევს, ჩვეულებრივად სერიოზული აზრები იპყრობს. ამ წუთებში ხდება წარსულის

შემოწმება და მომავლის გეგმების გათვალისწინება. ძალიან ჩაფიქრებული თავადი ანდრეი ნაზად გამოიყურებოდა. უკან ხელებდაწყობილი სწრაფად დადიოდა ოთახში, კუთხიდან კუთხეში, თან წინ იყურებოდა და ჩაფიქრებული თავს იქნევდა. ძნელი გასაგები იყო, რა უფრო აწუხებდა: ომში წასვლა თუ ცოლის მიტოვება. შეიძლება ერთიცა და მეორეც, – მხოლოდ აშკარა იყო, არ უნდოდა ენახა ვინმეს ამ მდგომარეობაში, ამიტომ, მოესმა თუ არა დერეფნიდან ფეხის ხმა, სწრაფად ხელები გაითავისუფლა, მაგიდასთან გაჩერდა, თითქოს კოლოფის ბუდეს ჰკრავსო, და თავისი ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო. ოთახში მძიმე ნაბიჯით კნიაჟნა მარია შევიდა.

– მითხრეს, ცხენების შებმა გიბრძანებია, – უთხრა მან, თან სულს ძლივს ითქვამდა (ეტყობა, მორბოდა), – მე კი ძალიან მინდოდა შენთან მარტოდმარტოს დარჩენა და მოლაპარაკება. ვინ იცის, რამდენი ხნით ვშორდებით ერთმანეთს. ხომ არ ჯავრობ, რომ მოვედი? ძალიან გამოიცვალე, ანდრიუშა, – დაუმატა მან, თითქოს ასეთი კითხვის ასახსნელად.

ანდრიუშას წარმოთქმისას კნიაჟნამ გაიღიმა, ეტყობოდა, თვითონაც უცნაურად მოეჩვენა, რომ ეს მკაცრი, ლამაზი მამაკაცი სწორედ ის ანდრიუშა იყო, გამხდარი, ცელქი ბიჭი, მისი ბავშვობის ამხანაგი.

– Lise სადღაა? – იკითხა მან, დის შეკითხვას კი მხოლოდ ღიმილით უპასუხა.

– ისე დაიღალა, რომ ჩემს ოთახში დივანზე მიეძინა. ოჰ, André! Que! trésor de femme vous avez (ოჰ, რა საუნჯეა, ანდრეი, შენი ცოლი), – უთხრა კნიაჟნამ და ძმის პირდაპირ დივანზე ჩამოჯდა, – ნამდვილი ბავშვია, საყვარელი, მხიარული ბავშვი. ძალზე შემეყვარდა.

თავადი ანდრეი დუმდა, მაგრამ კნიაჟნამ შენიშნა, როგორ აღებეჭდა სახეზე ირონია.

– საჭიროა ლმობიერება, ყველას აქვს სუსტი მხარე, André! ნუ დაგავიწყდება, რომ ის მაღალ საზოგადოებაში აღიზარდა. მერე სახარბიელო არც მისი ახლანდელი მდგომარეობაა. უნდა შევიდეთ ადამიანის მდგომარეობაში. Tout comprendre, c'est tout pardonner (ვინც ყველაფერს მიხვდება, ყველაფერს აპატიებსო). აბა, დაუკვირდი, რას შეიძლება გრძნობდეს საწყალი: იმ ცხოვრების შემდეგ, რომელსაც ის მიეჩვია, უნდა განშორდეს ქმარს და დარჩეს სოფელში მარტოდმარტო, ისიც ასეთ დღეში. ეს ძალიან მძიმეა.

თავადი ანდრეი შეჰყურებდა დას და იღიმებოდა. ასე ვიღიმებით მაშინ, როცა ყურს ვუგდებთ ისეთ ადამიანს, რომლის აზრ-განზრახვასაც, ჩვენი აზრით, ძალიან კარგად ვხედავთ.

– შენ სოფელში ცხოვრობ და ეგ ცხოვრება საშინელებად არ მიგაჩნია! – მიუგო თავადმა ანდრეიმ.

– მე სხვა ვარ, არც ღირს ჩემზე ლაპარაკი. მე სხვა ცხოვრებას არ დავეძებ, სურვილიც არა მაქვს, რადგან არ ვიცნობ რაიმე სხვა ცხოვრებას. დაუფიქრდი, André, რა ძნელი უნდა იყოს ახალგაზრდა და საზოგადოებაში გამოსული ქალისთვის საუკეთესო წლების ჩამარხვა სოფელში, მარტოდმარტო დარჩება აქ, რადგან მამა მუდამ თავის საქმეებშია გართული, მე კი... ხომ იცი, რა მოსაწყენი ვარ უკეთეს საზოგადოებას მიჩვეულ ქალისთვის. მხოლოდ m-lle...

– ძალზე არ მომწონს ეგ თქვენი Bourienne, – გააწყვეტინა სიტყვა თავადმა ანდრეიმ.

– ოჰ, არა, არა! მეტად საყვარელი და გულკეთილია. მთავარი კი ის არის, რომ უბედური ადამიანია. არავინ არ ჰყავს, არავინ. სიმართლე თუ გინდა, მე არათუ არ მჭირდება, ცოტა არ იყოს, მაწუხებს კიდევ. მერე, ხომ იცი, მე მუდამ ველური ვიყავი. ახლა უფრო მეტად გავველურდი. მე მარტოობას ვარ მიჩვეული... Mon père (მამას) უყვარს ძალიან. ის და მიხაილ ივანიჩი – აი, ორი ადამიანი, რომელთაც მუდამ აღერსიანად და გულკეთილად ეპყრობა, რადგან მან ორივე გააბედნიერა, სტერნი[44] კი ამბობს: „ჩვენ ადამიანები გვიყვარს არა იმდენად იმ სიკეთისთვის, რომელიც მათ მოგვიტანეს, რამდენადაც იმ

სიკეთისთვის, რომელიც ჩვენ მოვუტანეთ მათ“. Mon pere-მ ობოლი აიყვანა იგი sur le pave (ქუჩაში). თვითონაც ძალიან გულკეთილია. Mon pere-ს მისი კითხვის მანერაც უყვარს. სადამოობით ხმამაღლა უკითხავს, ამასთან საუცხოოდ კითხულობს.

– სიმართლე თუ გინდა, Marie, მე მგონია, შენთვის ზოგჯერ ძნელი ასატანია მამას ხასიათი, ხომ? – ჰკითხა უეცრად თავადმა ანდრეიმ.

კნიაჟნა მარია ამ კითხვამ ჯერ გააოცა, მერე შეაშფოთა.

– ჩემთვის?.. ჩემთვის?.. ძნელი ასატანია?! – წამოიძახა მან.

– მამა მუდამ მკაცრი იყო, ახლა, ვფიქრობ, უფრო დაუმძიმდა ხასიათი, – თქვა ანდრეიმ, ალბათ, განგებ, რომ მამაზე ასეთი აზრის გამოთქმით გაეოცებინა ან გამოეცადა თავისი და.

– ყველაფრით კარგი ხარ, André, მაგრამ ერთგვარი სიამაყე გაქვს, – მიუგო კნიაჟნამ; იგი თავისი აზრების მსვლელობას უფრო ადევნებდა თვალყურს, ვიდრე ლაპარაკის მიმდინარეობას, – ეს კი დიდი ცოდვაა. განა შეიძლება მამის განსჯა? რომ შეიძლებოდეს კიდევ, vénération (ულრმესი პატივისცემის) გარდა, სხვა რა გრძნობის გამოწვევა შეუძლია ისეთ ადამიანს, როგორიცაა mon père? მე ძალზე კმაყოფილი და ბედნიერი ვარ მასთან. ვისურვებდი მხოლოდ, რომ ყველა თქვენგანი ჩემსავით ბედნიერი ყოფილიყო.

ძმამ უნდობლად გააქნია თავი.

– მაწუხებს მხოლოდ ერთი რამ, – გეტყვი სიმართლეს, André, – მაწუხებს მამაჩემის აზრები რელიგიაზე. ვერ გამიგია, როგორ ვერ ხედავს ისეთი დიდი გონების პატრონი, როგორიც მამაჩემია, იმას, რაც დღესავით ნათელია? როგორ უნდა ცდებოდეს ასეთი ადამიანი? აი, ეს არის ჩემი უბედურება. მაგრამ აქაც ამ ბოლო დროს რაღაც სანუგეშოს ვხედავ. უკანასკნელ დროს იგი ისე გესლიანად აღარ გამოხატავს დაცინვას, არის ერთი ბერი, რომელსაც ის იღებდა და რომელთანაც დიდხანს საუბრობდა.

– ვშიშობ, ჩემო კარგო, რომ მაგ ბერისგან არაფერი გამოვა და ტყუილად დაკარგავ დროს, – დაცინვით, მაგრამ ალერსიანად უთხრა თავადმა ანდრეი.

– Ah! mon ami (აჰ, ჩემო მეგობარო)! მე მხოლოდ ვევედრები უფალს და ვიმედოვნებ, რომ შეისმენს... André, – მიმართა მან ძმას მოკრძალებით წუთიერი სიჩუმის შემდეგ, – დიდი თხოვნა მაქვს შენთან.

– რა თხოვნა, ჩემო მეგობარო?

– არა, დამპირდი, რომ უარს არ მეტყვი. ეს არავითარ შრომას არ მოითხოვს შენგან, ანდრეიუმა, – სთხოვა კნიაჟნამ, ხელი ჩაყო რედიკიულში, რაღაცას მოჰკიდა, მაგრამ ჯერჯერობით არ უჩვენებდა, თითქოს ის, რაც ხელში ეჭირა, თხოვნის საგანს შეადგენდა და თითქოს ამ დაპირებამდე არ შეეძლო იმ რაღაცის რედიკიულიდან ამოღება.

კნიაჟნა გაუბედავად, ვედრებით შეჰყურებდა ძმას.

– თუნდაც ეგ დიდ შრომას მოითხოვდეს ჩემგან... – მიუგო თავადმა ანდრეიმ, თითქოს მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

– რაც გინდა იფიქრე! ვიცი, შენც ისეთივე ხარ, როგორიც mon père. რაც გინდა იფიქრე, მაგრამ ეს შემისრულე. ჩემთვის შეასრულე. გევედრები, შეასრულე. ჯერ კიდევ მამაჩემის მამა, ჩვენი პაპა ატარებდა ამას ყველა ომში, – ხელი ისევ რედიკიულში ედო და ის რაღაც ეჭირა, – მაშ, მპირდები?

– რა თქმა უნდა, გპირდები. რაშია საქმე?

– André, დაგლოცავ ხატით და დამპირდი, რომ არასოდეს მოიხსნი... დამპირდები?

– თუ ეგ შენი ხატი ორი ფუთი არ იქნება და კისერს არ მომწყვეტს... – მიუგო თავადმა ანდრეიმ და იმავე წუთს, რაკი შენიშნა, როგორი მწუხარე გამომეტყველება მიიღო ამ ოხუნჯობაზე დის სახემ, სინანულმა შეიპყრო, – ძალზე მოხარული ვარ, ძალზე, ჩემო მეგობარო! – დაუმატა მან.

– შენდა უნებურად გადაგარჩენს ღმერთი, შეგიწყალებს, მიგიზიდავს, იმიტომ, რომ მარტოოდენ მასშია ჭემმარიტებაც და სულიერი სიმშვიდეც, – უთხრა კნიაჟნამ ადელვებისგან აკანკალებული ხმით, მერე ამოიღო ვერცხლით შეჭედილი მაცხოვრის პატარა ოვალური, ჩაშავებულსახიანი ძველებური ხატი, წვრილად ნამუშევარი ვერცხლისავე ძეწკვი რომ ება, ორივე ხელში დაიჭირა და საზეიმო გამომეტყველებით დაუდგა ძმას წინ, შემდეგ პირჯვარი გამოისახა, აკოცა ხატს და ანდრეის გაუწოდა.

– გთხოვ, André, ჩემთვის...

დიდრონი თვალებიდან კეთილი და მოკრძალებული შუქის სხივები გამოკრთოდნენ. ეს თვალები აშუქებდნენ და ამშვენებდნენ მთელ მის დაავადებულ და გამხდარ სახეს. ძმამ მოიწადინა ხატის ჩამორთმევა, მაგრამ დამ შეაჩერა. ანდრეი მიხვდა: პირჯვარი გამოისახა და ემთხვია ხატს. მისი სახე ერთსა და იმავე დროს სინაზესაც (გული აუჩუყდა) და დაცინვასაც გამოხატავდა.

– Merci, mon ami (გმადლობ, ჩემო მეგობარო)! – უთხრა დამ, შუბლზე ეამბორა და კვლავ დივანზე ჩამოჯდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– უკვე გითხარი, André, რომ გულკეთილი და სულგრძელი უნდა იყო, როგორც ყოველთვის იყავი. სასტიკად ნუ განსჯი Lise-ს, – დაიწყო მან. იგი დიდად საყვარელია, გულკეთილი, ამასთან, ამჟამად მეტად მძიმე მდგომარეობაშია.

– მგონი, არაფერი მითქვამს შენთვის, მაშა, რომ მე ვაყვედრიდე რამეს ჩემს ცოლს, ან მისი უკმაყოფილო ვიყო. მაშ, რატომ მეუბნები ყოველივე მაგას?

კნიაჟნა მარია გაწითლდა, ისე, რომ ლოყებზე ლაქები დააჩნდა, და გაჩუმდა, თითქოს დამნაშავედ გრძნობს თავსო.

– მე არაფერი მითქვამს შენთვის, შენ კი უკვე რაღაც გითხრეს. მეტად სამწუხაროა.

წითელი ლაქები უფრო მკვეთრად დააჩნდა კნიაჟნას შუბლზე, კისერსა და ლოყებზე. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ძმა მიხვდა: თავადის პატარა მეუღლეს უტირია სადილის შემდეგ, უთქვამს, – ვგრძნობ, რომ მშობიარობა უბედურად დასრულდება, მეშინიაო, შეუჩივლია თავის ბედზე, მამამთილზე, ქმარზე. ტირილის შემდეგ ჩასძინებია. ანდრეის თავად შეებრალა თავისი და.

– იცოდე, მაშა, რომ მე ვერაფერს ვუსაყვედურებ ჩემს ცოლს, არც წინათ მისაყვედურია და არც ოდესმე ვუსაყვედურებ. თვით ჩემს თავსაც ვერაფერს ვუსაყვედურებ. ვერ ვიტყვი, რომ დამნაშავე ვარ მის წინაშე, მაგრამ თუ გინდა სიმართლე გაიგო... თუ გინდა იცოდე, ბედნიერი ვარ თუ არა? გეტყვი, არა ვარ ბედნიერი, ბედნიერია თუ არა ის? არ არის ბედნიერი. რატომ? არ ვიცი...

ამ სიტყვებზე წამოდგა, დასთან მივიდა, დაიხარა და შუბლზე აკოცა, მარიას მშვენიერი თვალები ჭკვიანურად და კეთილად გამოიყურებოდნენ, არაჩვეულებრივად ბრწყინავდნენ, მაგრამ ანდრეი დას როდი უყურებდა, მის თავს ზემოდან გაღებულ კარის სიბნელეს გასცქეროდა.

– წავიდეთ მასთან, უნდა გამოვეთხოვო. ან მარტო წადი, გამოაღვიძე და მეც ამ წუთში მოვალ. პეტრუშკა! – გასძახა მან კამერდინერს, – მოდი აქ, ჩაიტანე. ეს დასაჯდომზე დადე, ეს – მარჯვენა მხარეს.

კნიაჟნა წამოდგა და კარისკენ გაემართა. შეჩერდა.

– André, si vous avez la foi, vous vous seriez adressé à Dieu, pour qu'il vous donne l'amour, que vous ne sentez pas et votre prière aurait été exaucée (ანდრეი, შენ რომ მორწმუნე იყო, ღმერთს ლოცვით მიმართავდი, ჩაენერგა შენთვის სიყვარული, რომელსაც არ გრძნობ. და ზეცა შეისმენდა ამ ლოცვას).

– ნუთუ? – თქვა თავადმა ანდრეიმ, – წადი, მაშა, მეც ამ საათში მოვალ.

დის ოთახისკენ მიმავალი ანდრეი, გალერეაში, რომელიც ერთ სახლს მეორესთან აერთებდა, წააწყდა მომხიბლავად მოდიმარე m-lle Bourienne-ს, რომელიც აღტაცებული და გულუბრყვილო ღიმილით დღეს უკვე მესამედ ხვდებოდა ყრუ ადგილებში.

– Ah! je vous croyais chez vous (აჰ, მეგონა თქვენს ოთახში ბრძანდებოდით), – უთხრა ქალმა, ამასთან რატომღაც გაწითლდა და თვალები დახარა.

თავადმა ანდრეიმ მკაცრად შეხედა. უეცრად სიბრაზემ გადაჰკრა სახეზე. ანდრეის პასუხი არ გაუცია, მაგრამ ისეთი ზიზღით დააცქერდა არა მის თვალებს, არამედ მის შუბლსა და თმას, რომ ფრანგი ქალი გაწითლდა და უსიტყვოდ მოშორდა. როდესაც თავადი ანდრეი დის ოთახს მიუახლოვდა, პატარა კნიაგინიას უკვე ეღვიძა, და ღია კარიდან მოისმოდა მისი მხიარული ხმა, რომელიც სიტყვებს სხაპასხუპით ისროდა; ისე ლაპარაკობდა, თითქოს ხანგრძლივი თავშეკავების შემდეგ დაკარგული დროის ანაზღაურება სურსო. ლაპარაკობდა, როგორც ყოველთვის, ფრანგულად.

– Non, mais figurez-vous, la vieille comtesse Zouboff avec de fausses boucles et la bouche pleine de fausses dents, comme si elle voulait défier les années (არა, ერთი წარმოიდგინეთ გრაფ ზუბოვის ბებერი ცოლი ხელოვნური კულულებით, ჩასმული კბილებით, თითქოს მასხრად იგდებს დრო-ჟამსო)... ჰა, ჰა ჰა, Marie!

სწორედ იგივე ფრაზა გრაფ ზუბოვის ცოლის შესახებ და ასეთივე სიცილი ხუთჯერ მაინც გაუგონია გარეშეებთან თავად ანდრეის თავის ცოლისგან. იგი წყნარად შევიდა ოთახში, ჩამრგვალებული, გადაჟღაურებული პატარა კნიაგინია სავარძელში იჯდა, სამუშაო ეჭირა და განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, იგონებდა პეტერბურგის ამბებს, იქ წარმოთქმულ ფრაზებსაც კი. თავადი ანდრეი ცოლთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა, – მგზავრობის შემდეგ მოისვენე თუ არაო. პასუხის გაცემის შემდეგ მან იგივე ლაპარაკი განაგრძო.

ექვსცხენიანი ეტლი საპარადო კართან იდგა. შემოდგომის ბნელი ღამე იყო. მეეტლე ეტლის ხელნასაც ვერ ხედავდა. პარმაღზე ფარნით ხელში ხალხი დაფუსფუსებდა. უზარმაზარი სახლის ფანჯრები შუქისგან ლაპლაპებდა, წინა ოთახში შინაყმები ირეოდნენ, სურდათ გამოსთხოვებოდნენ ახალგაზრდა თავადს; სადარბაზო ოთახში შინაურები იცდიდნენ: მიხაილ ივანოვიჩი, m-lle Bourienne, კნიაჟნა მარია, კნიაგინია. თავადი ანდრეი კაბინეტში მიიხმო მამამ: უნდოდა მარტოდმარტო გამოსთხოვებოდა შვილს. ყველანი მათ გამოსვლას უცდიდნენ.

როცა თავადი ანდრეი კაბინეტში შევიდა, მოხუცი თავადი ბებრული სათვალით მაგიდასთან იჯდა და წერდა. ეცვა თავისი თეთრი ხალათი, რომელშიც, შვილის გარდა, არავის არ იღებდა. მოხუცმა უკან მიიხედა.

– მიდიხარ? – იკითხა და წერა განაგრძო.

– გაიხელით გამოსათხოვებლად.

– მაკოცე აი, აქ, – და ლოყაზე უჩვენა, – გმადლობ, გმადლობ!

– რისთვის მმადლობთ?

– იმისთვის, რომ არ იგვიანებ, რომ ცოლის კალთას არ დაებლაუჭე. სამსახური უპირველეს ყოვლისა. გმადლობ, გმადლობ! – და წერა განაგრძო. წერდა ისე სწრაფად, რომ კალამი მელნის შხეფებს აქეთ-იქით ისროდა, – თუ სათქმელი გაქვს რამე, თქვი. ამ ორი საქმის კეთება ერთად შემიძლია, – დაუმატა მან.

– ცოლის შესახებ მინდოდა... ისეც ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ გიტოვებთ საზრუნავად.

– რატომ სტყუი? თქვი, რაც საჭიროა.

– როდესაც მშობიარობის დრო დაუდგება, მოსკოვში კაცი გაგზავნეთ მეანის მოსაყვანად... რომ აქ იყოს იმ დროს.

მოხუცი თავადი შეჩერდა და, თითქოს არ ესმისო, სასტიკი თვალებით მიაშტერდა შვილს.

– ვიცი, ვერავინ ვერ უშველის, თუ განგებამ არ უშველა, – ამბობდა თითქოს დარცხვენილი თავადი ანდრეი, – გეთანხმებით, რომ მილიონ შემთხვევიდან ერთს მოსდევს უბედური შედეგი, მაგრამ ეს მისი და ჩემი ახირებაა. ყურები გამოუჭედეს, სიზმარში რაღაცები ნახა და ეშინია.

– ოჰ... ოჰ... – ჩაიბუტბუტა თავისთვის მოხუცმა თავადმა და წერა განაგრძო, – ჩამოვიყვან.

თქვა ეს და გაჰკრა-გამოჰკრა კალამი, მერე სწრაფად შვილისკენ მიტრიალდა და გაიცინა.

– ცუდად არის საქმე, ჰა?

– რა არის ცუდად, მამაჩემო?

– ცოლი! – მოკლედ და მნიშვნელოვნად მოუჭრა მოხუცმა თავადმა.

– არ მესმის, – მიუგო თავადმა ანდრეიმ.

– რას იზამ, მეგობარო, – განაგრძო თავადმა, – ყველანი მაგეთები არიან, ვერ გაეყრები. ფიქრი ნუ გაქვს. არავის ვეტყვი, თვითონ იცი.

პატარა, გამხმარი ხელით შვილის ხელს წასწვდა და მაგრად შეანჯღრია, მერე სწრაფი თვალებით, რომელნიც თითქოს ყველაფერს ამჩნევსო, შვილის სახეს დააცქერდა და კვლავ გაიცინა ცივად.

შვილმა ამოიოხრა და ამით თითქოს დაადასტურა, რომ მამამ ყველაფერი გაუგო. მოხუცი განაგრძობდა წერილის დაკეცვას და დაბეჭდვას, რისთვისაც ჩვეული სისწრაფით იღებდა და აგდებდა ლუქს, ბეჭედსა და ქალაღს.

– რას იზამ? ლამაზია! ყველაფერს გავაკეთებ. დამშვიდებული იყავი, – ამბობდა ის ნაწყვეტ-ნაწყვეტად და თან წერილს ბეჭდავდა.

ანდრეი დუმდა; მისთვის სასიამოვნოც იყო და არასასიამოვნოც, რომ მამა ყველაფერს მიუხვდა. მოხუცი ფეხზე წამოდგა, წერილი გაუწოდა შვილს.

– გამიგონე, – მიმართა მან, – ცოლისთვის ნუ წუხხარ: რისი გაკეთებაც შეიძლება, ყველაფერს გავაკეთებ. ახლა მომისმინე: ეს წერილი მიხაილ ილარიონოვიჩს გადაეცი. ვწერ, რომ ცხარე საქმეში ჩაგაბას და დიდხანს ადიუტანტად არ გაგაჩეროს: სამაგელი თანამდებობაა! გადაეცი, რომ მახსოვს და მიყვარს. მომწერე, როგორ მიგიღებს, თუ კარგად მოგექცა, იმსახურე. ნიკოლაი ანდრეევიჩ ბოლკონსკის შვილი მოწყალებისთვის ვერავისთან ვერ იმსახურებს. ახლა კი მოდი აქ.

ისე სწრაფად ლაპარაკობდა მოხუცი, რომ სიტყვებს არ აბოლოებდა, მაგრამ შვილი მიჩვეული იყო ამას და ყველაფერს იგებდა. მოხუცმა შვილი ბიუროსთან[45] მიიყვანა, თავი გადახადა, უჯრა გამოსწია და თავისი მსხვილი და გრძელი ხელით მჭიდროდ ნაწერი რვეული ამოიღო.

– ალბათ, მე შენზე ადრე მოგვკვდები. იცოდე, რომ აქ ჩემი ჩანაწერებია, ჩემი სიკვდილის შემდეგ ხელმწიფეს გადასცემ. აი, იქ, ლომბარდის ბილეთია და წერილი: ეს პრემიაა, მიეცემა იმას, ვინც სუეოროვის ომების ისტორიას დაწერს. აკადემიას გადაუგზავნე, აქ ჩემი შენიშვნებია, ჩემ შემდეგ გადაიკითხე – გამოგადგება.

ანდრეის არ უთქვამს მამისთვის, ჯერ კიდევ დიდხანს იცოცხლებო, ესმოდა, რომ ამისი თქმა საჭირო აღარ იყო.

– ყველაფერს შევასრულებ, მამაჩემო.

– ახლა მშვიდობით! – ხელი გაუწოდა საკოცნელად და გადაეხვია, – გახსოვდეს, თავადო ანდრეი, ერთი რამ: თუ მოგვკლეს, ჩემთვის, მოხუცისთვის, სამძიმო იქნება... – მოულოდნელად გაჩუმდა და უეცრად მყვირალა ხმით განაგრძო, – ხოლო თუ გავიგე, რომ შენ თავი ისე გეჭირა, როგორც არ შეშვენიის ნიკოლაი ბოლკონსკის შვილს, ჩემთვის... სირცხვილი იქნება! – შეჰკვივლა მან.

– ეგ, მამაჩემო, შეგეძლოთ არ გეთქვათ ჩემთვის! – უთხრა ღიმილით შვილმა.

მოხუცი დუმდა.

– ერთი რამ კიდევ მინდოდა მეთხოვა თქვენთვის, – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – თუ მომკლეს და თუ ჩემს ცოლს ვაჟიშვილი ეყოლა, ნუ მოიშორებთ თავიდან, როგორც გუშინ მოგახსენებდით, დაე, თქვენთან გაიზარდოს...

– ცოლს ნუ დავანებებ? – თქვა მოხუცმა და გაიცინა.

მდუმარედ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მოხუცის სწრაფი თვალები პირდაპირ ჩააშტერდნენ შვილის თვალებს. რაღაც შეირხა მოხუცი თავადის სახის ქვედა ნაწილში.

– გამოვემშვიდობებთ ერთმანეთს... ახლა წადი! – უეცრად უთხრა მოხუცმა, – წადი! – დაიყვირა მან გაჯავრებული, მაღალი ხმით და კარი გამოაღო.

– რა მოხდა, რა? – წამოიძახეს კნიაგინიამ და კნიაჟნამ, როდესაც დაინახეს თავადი ანდრეი და გაჯავრებული ხმით მყვირალი, თეთრ ხალათში გამოწყობილი, უპარიკო და ბებრულსათვალისანი მოხუცი, რომლის ფიგურაც წუთით გამოჩნდა კარში.

თავადმა ანდრეიმ ამოიხრა და პასუხი არ გასცა.

– აბა, – მიმართა მან ცოლს და ეს „აბა“ ცივ დაცინვად გაისმა, თითქოს ამბობდა: დაიწყეთ ახლა თქვენი ოინები.

– André, déjà (ანდრეი, უკვე)? – წამოიძახა ფერდაკარგულმა პატარა კნიაგინიამ და შემკრთალი თვალები ქმარს შეანათა.

ანდრეი გადაეხვია. ცოლმა შეჰკვივლა და უგრძნობლად მხარზე მიესვენა. თავადმა ანდრეიმ მხარი გაითავისუფლა, სახეში ჩახედა ცოლს და ფრთხილად სავარძელში ჩასვა.

– Adieu, Mariei (მშვიდობით, მამა)! – მიმართა მან ხმადაბლა დას, გადაკოცნა და სწრაფი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

კნიაგინია სავარძელში იწვა, m-lle ბურიენი საფეთქლებს უზელდა... კნიაჟნა მარია, რომელიც რძალს დასტრიალებდა, მშვენიერი ნამტირალევი თვალებით ჯერ კიდევ გაჰყურებდა კარს, საიდანაც თავადი ანდრეი გავიდა, და ჰაერში პირჯვარს სწერდა. კაბინეტიდან სროლასავით მოისმოდა ცხვირის ბებრული დაცემინების გაჯავრებული ხმები. ის-ის იყო, თავადი ანდრეი გავიდა, რომ კაბინეტის კარი სწრაფად გაიღო და მოხუცის თეთრხალათისანი სასტიკი ფიგურა გამოჩნდა.

– წავიდა? ძალიან კარგი! – თქვა, მკაცრად შეავლო თვალი უგრძობლად მწოლიარე პატარა კნიაგინიას, საყვედურის ნიშნად თავი გააქნია და კარი შეიბრახუნა.



ნაწილი მეორე

თავი პირველი

1805 წლის ოქტომბერს რუსთა ჯარებს ავსტრიის საჰერცოგოს სოფლები და ქალაქები ეჭირა, იმავე დროს ახალ-ახალი პოლკები ჩადიოდნენ რუსეთიდან, რომელნიც, ავიწროებდნენ ჯარის ჩაყენებით მცხოვრებთ და ბრაუნაუს ციხესთან ეწყობოდნენ. ბრაუნაუში იყო მთავარი ბინა მთავარსარდალ კუტუზოვისა.

1805 წლის 11 ოქტომბერს ბრაუნაუში ახალჩასული ერთ-ერთი ქვეითი პოლკი, მთავარსარდალის დათვალიერების მოლოდინში, ქალაქიდან ნახევარი მილის მანძილზე იდგა. მიუხედავად არარუსული ადგილებისა და გარემოსი (ხეხილის ბაღები, ყორეები, კრამიტის სახურავები, შორეული მთები, არარუსი ხალხი, რომელიც ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ჯარისკაცებს), პოლკი ისევე გამოიყურებოდა, როგორც გამოიყურება ხოლმე დასათვალიერებლად მომზადებული ყოველი რუსული პოლკი სადმე შუაგულ რუსეთში.

სადამოთი, უკანასკნელი გადასასვლელის გავლის შემდეგ, მიიღეს ბრძანება – მთავარსარდალი პოლკს ლაშქრობის პირობებში დაათვალიერებსო. თუმცა ბრძანების სიტყვები პოლკის უფროსს გაურკვეველად ეჩვენა და საკითხიც კი აღიძრა, როგორ გაეგოთ ეს სიტყვები: დაეტოვებინათ პოლკი სალაშქრო ფორმაში თუ არა, მაინც ბატალიონების მეთაურთა საბჭომ გადაწყვიტა, პოლკი მთავარსარდალისთვის საპარადო ფორმაში დაეხვედრებინათ, იმ მოსაზრებით, რომ თავაზიანობაში სჯობს გადააჭარბო, ვიდრე დააკლო. ჯარისკაცებმა, რომელთაც ოცდაათი ვერსის გავლის შემდეგ თვალი არ მოუხუჭავთ, მთელი ღამე კერვასა და წმენდაში გაატარეს, ხოლო ადიუტანტებმა და ასეულის უფროსებმა ეს ღამე თვლასა და აღრიცხვას მოანდომეს, და დილისთვის პოლკი, დაქსაქსულ უწესრიგო ბრბოს ნაცვლად, როგორც იგი წინაღულს უკანასკნელ გადასასვლელზე იყო, წარმოადგენდა 2 000 კაცისგან შემდგარ მწყობრ მასას, რომელთაგან ყოველმა იცოდა თავისი ადგილი, თავისი საქმე; რომელთაგან თითოეულს ყოველი ღილი და თასმა თავის ადგილას ჰქონდა და სისუფთავით ბრწყინავდა. არათუ გარეგანი მხარე იყო წესრიგში, – მთავარსარდალს რომ მოესურვებინა და მუნდირქვეშ შეეხედა, იქაც ყველას სუფთა პერანგს უნახავდა, ხოლო ყოველ ჩანთაში ნახავდა ნივთების დაკანონებულ რიცხვს, „шильце и мыльце“-ს (სადგის-საპონს), როგორც ჯარისკაცები ამბობდნენ. მხოლოდ ერთი რამ უფროსობდა ყველას მოსვენებას – ფეხსაცმელი. ნახევარზე მეტს წაღები დაგლეჯილ-დაფლეთილი ეცვა, მაგრამ ამაში პოლკის უფროსს ბრალი არ მიუძღოდა, რადგან, მრავალი თხოვნის მიუხედავად, ავსტრიის უწყებამ მას საქონელი არ მისცა, პოლკმა კი ათასი ვერსი გაიარა.

პოლკის უფროსი ხანში შესული სანგვინიკური აღნაგობის გენერალი იყო, შევერცხლილი წარბები და ბაკენზარდები ჰქონდა, მკვრივი და განიერი, – განიერი უფრო მკერდიდან ზურგისკენ, ვიდრე ბეჭიდან ბეჭისკენ. ეცვა ახალთახალი, დიდი ხნის დებისგან ნაკეცბდაჩნეული მუნდირი, ხოლო მხრებზე ედო ოქროსფერი ხშირფუნჯიანი ეპოლეტები, რომლებიც ამ მსუქან მხრებს თითქოს ზემოთ ეწეოდნენ და არა ქვემოთ. პოლკის უფროსს იმ კაცის გამომეტყველება ჰქონდა, რომელიც ბედნიერად ამთავრებს თავისი სიცოცხლის ყველაზე საზეიმო საქმეს. იგი პოლკის წინ მიმოდოდა და ამ მიმოსვლის დროს, ოდნავ წინწახრილი, ფეხის ყოველ გადადგმაზე თითქოს წაიძიგმიგებდა ხოლმე. აშკარა იყო, პოლკის უფროსი შეჰხაროდა თავის პოლკს, ბედნიერებას ჰგვრიდა იგი, რომ მთელი მისი გულისყური პოლკისკენ იყო მიქცეული; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისი ძიგმიგა სიარული თითქოს ცხადყოფდა, რომ სამხედრო ინტერესების გარდა, მის გულში მცირედი ადგილი არ უნდა სჭეროდა საზოგადოებრივი ყოფის ინტერესებს და მდებრობით სქესს.

– ეე, მიხაილო მიტრიჩ, – მიმართა მან ერთ-ერთ ბატალიონის უფროსს (ბატალიონის უფროსმა ღიმილით წინ წაიწია, ეტყობოდა, ისინი ბედნიერად გრძნობდნენ თავს), – მწარე დღე დაგვადგა წუხელ, მაგრამ მგონი, არა უშავს რა, პოლკი სხვებს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს!

ბატალიონის უფროსი მიუხვდა მხიარულ ირონიას და გაუცინა:

– ცარიცინის ველიდანაც[46] კი არ გაგვრეკდნენ.

– რაო? – შეეკითხა პოლკის უფროსი.

ამ დროს ქალაქიდან მომავალ გზაზე, სადაც პოლკს ნიშნის მომცემი ეყენა, ორი ცხენოსანი გამოჩნდა. ესენი იყვნენ ადიუტანტი და კაზაკი, რომელიც ადიუტანტს უკან მოსდევდა.

ადიუტანტი მთავარი შტაბიდან გამოეგზავნათ, რათა დაედასტურებინა პოლკის უფროსისთვის ის, რაც გუშინდელ ბრძანებაში გაურკვეველად იყო ნათქვამი, სახელდობრ ის, რომ მთავარსარდალს პოლკის ნახვა უნდოდა სწორედ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც იგი გზაში იყო – ფარაჯებში, ხალათებსა და სრულიად მოუმზადებელი.

კუტუზოვთან წინააღმდეგ კოფრისრატის[47] წვერი იყო ვენიდან. მან წინადადება მისცა და მოსთხოვა კუტუზოვს, რაც შეიძლება საჩქაროდ შეერთებოდა ერცჰერცოგ[48] ფერდინანდისა[49] და მაკის[50] არმიას, ხოლო კუტუზოვს ხელსაყრელად არ მიაჩნდა ეს შეერთება და თავისი აზრის სასარგებლოდ სხვა საბუთებს გარდა, განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა ავსტრიელი გენერლისთვის ის სავალალო მდგომარეობა, როგორშიც რუსეთიდან მოსული ჯარი იმყოფებოდა. ამ მიზნით უნდოდა გასულიყო პოლკის შესახვედრად, ასე რომ, რაც უფრო ცუდ ყოფაში დახვდებოდა პოლკი, მით უფრო საამო იქნებოდა მთავარსარდალისთვის. თუმცა ადიუტანტმა დაწვრილებით არ იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ პოლკის უფროსს მაინც გადასცა მთავარსარდალის მტკიცე მოთხოვნა, რომ ჯარისკაცები უსათუოდ ფარაჯებსა და ხალათებში ყოფილიყვნენ და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მთავარსარდალი უკმაყოფილო დარჩებოდა.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ პოლკის უფროსმა თავი ჩაქინდრა, მდუმარედ მხრები აიჩეჩა და სანგვინიკური ქესტით ხელები გაშალა.

– სამაგელი ამბავია! – ჩაილაპარაკა მან, – აი, ხომ გეუბნებოდით, მიხაილო მიტრიჩ, რომ ლაშქრობისას ჯარისკაცებს ფარაჯები უნდა ეცვას-მეთქი, – მიმართა მან საყვედურით ბატალიონის უფროსს, – ღმერთო ჩემო! – დაუმატა და რამდენიმე ნაბიჯი მტკიცედ გადადგა წინ, – ბატონო ასეულის უფროსებო! – დაიყვირა მან ბრძანებას ჩვეული ხმით: – გამოიხმეთ ფელდფებელები...[51] მალე მობრძანდებიან? – მიმართა მოსულ ადიუტანტს მოკრძალებული თავაზიანობით და ეს თავაზიანობა, ჩანდა, ეხებოდა იმ პირს, რომელზედაც გენერალი ლაპარაკობდა.

– ვფიქრობ, ერთი საათის შემდეგ.

– მოვასწრებთ კი გადაცმას?

– რა მოგახსენოთ, გენერალო.

პოლკის უფროსმა თავად ჩაუარა რიგებს და გასცა განკარგულება, კვლავ ჩაეცვათ ფარაჯები. ასეულის უფროსებმა ასეულებს მიაშურეს, ფელდფებელები დაფაცურდნენ (ფარაჯები ვერ იყო სავსებით ვარგისი), და მანამდე სწორი, მდუმარე ოთხკუთხედები ერთბაშად შეტოკდნენ, გაიშალნენ და აგუგუნდნენ. ჯარისკაცები გარბი-გამორბოდნენ, მხრების აწევით აბგებს იძრობდნენ. ფარაჯებს აცლიდნენ და მალლა აშვერილ ხელებს ფარაჯების სახელოებში ჰყოფდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ ყველაფერმა წინანდელი წესრიგი მიიღო, მხოლოდ ოთხკუთხედები შავის ნაცვლად რუხად გამოიყურებოდნენ. პოლკის უფროსი კვლავ წინ გამოვიდა ძიგძიგა ნაბიჯით და შორიდან გახედა პოლკს.

– ეს რა ამბავია! რა არის ეს? – შეჰყვირა მან და შეჩერდა, – მესამე ასეულის უფროსი!

– მოუხმეთ მესამე ასეულის უფროსს გენერალთან! ასეულის უფროსს გენერალთან! მესამეს გენერალთან! – მოისმა ხმები რიგებში და ადიუტანტი სადღაც შეფერხებული ოფიცრის მოსამძებნად გაიქცა.

იმ დროს, როცა ერთგული ხმები უკვე არეულად ყვიროდნენ: „გენერალს, მესამე ასეულთან“ და როცა ამ ხმებმა დანიშნულების ადგილს მიაღწიეს, ასეულის უკნიდან გამოჩნდა გამოძახებული ოფიცერი, და თუმცა იგი ხანში იყო შესული და სირბილს უჩვევი, მაინც ჩორთით მიემართებოდა გენერლისკენ, თან ფეხსაცმლის წვერებით უხერხულად მიწას ედებოდა. სახეზე კაპიტანს იმ მოწაფის შემფოთება აღბეჭდოდა, რომელსაც დაუსწავლელი გაკვეთილის გადაცემა უბრძანეს. წითელ (ალბათ, თავშეუკავებლობისგან) ცხვირზე ლაქები დასჩენოდა, ხოლო პირს ბუნებრივი გამოსახულება დაეკარგა. პოლკის უფროსი თავით ფეხებამდე ათვალიერებდა აქაქანებულ ოფიცერს, რომელმაც მიახლოებისას ნაბიჯს უკლო.

– თქვენ მალე სარაფანებში გამოაწყობთ ჯარისკაცებს! ეს რა ამბავია? – დაუყვირა პოლკის უფროსმა კაპიტანს, ქვედა ყბა დაიგრძელა და მესამე ასეულის რიგებში ერთ ჯარისკაცზე მიუთითა, რომელსაც სხვებისგან განსხვავებული, ფაბრიკის მაუდის ფერის ფარაჯა ეცვა, – თავად სადღა ბრძანდებოდით? მთავარსარდალს ველოდებით, თქვენ კი თქვენს ადგილს ტოვებთ... მე თქვენ გასწავლით, როგორ უნდა დათვალიერების დროს ჯარისკაცების კაზაკინებში გამოწყობა!..

კაპიტანი გაშტერებული შესცქეროდა უფროსს და ორ თითს უფრო და უფრო მაგრად აჭერდა ქუდს, თითქოს ახლა მარტოოდენ ამაში ხედავს ხსნასო.

– რას გაჩუმებულხართ? ვინ გყავთ ეგ უნგრულად გამოწყობილი? – სასტიკად იოხუნჯა პოლკის უფროსმა.

– თქვენო აღმატებულებავ...

– ჰო. რა, თქვენო აღმატებულებავ? თქვენი აღმატებულებავ! თქვენო აღმატებულებავ! მერე რაო?

– თქვენო აღმატებულებავ, დოლოხოვი გახლავთ, ხარისხაყრილი... – მიუგო ხმადაბლა კაპიტანმა.

– მერე, გაფელდმარშლებულია თუ გაჯარისკაცებული? ჯარისკაცს კი ისე უნდა ეცვას, როგორც ყველას აცვია, ფორმის მიხედვით.

– თქვენო აღმატებულებავ, თვით თქვენ დართეთ ნება.

– დართეთ! დართეთ! მუდამ ასეთები ხართ ახალგაზრდა კაცები! – წამოიძახა პოლკის უფროსმა უკვე თვალსაჩინოდ დამცხრალმა, – მერე რა, რომ ნება დავრთე? საკმარისია გითხრათ კაცმა რამე და თქვენ...

– მცირე ხნით დადუმდა. – საკმარისია გითხრათ კაცმა რამე და თქვენ... რაო? – კვლავ გაბრაზდა პოლკის უფროსი, – კეთილი ინებეთ და წესიერად ჩააცვით ჯარისკაცებს!..

პოლკის უფროსმა შეავლო თვალი ადიუტანტს და თავისი ძიგძიგა ნაბიჯით კვლავ მიაშურა პოლკს. ეტყობოდა, თავად მოეწონა თავისი გაბრაზება, და პოლკის წინ გავლისას ახალ საბაბს ეძებდა გასაბრაზებლად. ერთ ოფიცერს შეუტია გაუწმენდავი ნიშნისთვის, მეორეს – რიგის უსწორმასწორობისთვის. ბოლოს მესამე ასეულთან მივიდა.

– რროგორ დგახარ? სადა გაქვს ფეხი? ფეხი-მეთქი! – დაუყვირა პოლკის უფროსმა მოლურჯო ფარაჯაში გამოწყობილ დოლოხოვს, და მის ხმაში ტანჯვა გაისმა, დაუყვირა ისეთი მანძილიდან, რომ მათ შორის ჯერ კიდევ ხუთი კაცი იდგა.

დოლოხოვმა აუჩქარებლად გამართა მოლუნული ფეხი და მხიარული და კადნიერი თვალები პირდაპირ სახეში შეანათა გენერალს.

– რად გაცვია ლურჯი ფარაჯა? გაიძვრე!.. ფელდფებელ! გამოიცვალე ფარაჯა!.. სამ... – ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება.

– გენერალო, მოვალე ვარ შევასრულო ბრძანება, მაგრამ მოვალე არა ვარ ავიტანო... – სწრაფად წარმოთქვა დოლოხოვმა.

– ხმა! ფრონტში დგომისას არ გაბედოთ ლაპარაკი!.. არ გაბედოთ!.. არ გაბედოთ!..

– მოვალე არა ვარ ავიტანო შეურაცხყოფა, – ხმამალა, მჭექარე ხმით დაამთავრა დოლოხოვმა.

გენერლისა და ჯარისკაცის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. გენერალი დადუმდა, მაგრად მოჭერილი შარფი გაჯავრებულმა ძირს დაიწია.

– ინებეთ და ფარაჯა გამოიცვალეთ, გთხოვთ, – უთხრა მან და მოშორდა.

თავი მეორე

– მოდის! – დაიძახა ამ დროს ნიშნის მომცემმა.

პოლკის უფროსი, გაწითლებული, ცხენს მივარდა, აკანკალებული ხელი უხანგს წაატანა, მერე უნაგირზე გადაეშვა, შესწორდა. დაშნა ამოიღო და ბედნიერი და მტკიცე სახით, ნახევრად პირგაღებული, დასაყვირებლად მოემზადა. პოლკი ერთი კი შეკრთა, როგორც დამფრთხალი ფრინველი, მერე გაინაზა.

– სმე-ნა! – შეჰყვირა პოლკის უფროსმა თავზარდამცემი ხმით. ეს ხმა სასიხარულო იყო თავად მისთვის, სასტიკი – პოლკისთვის და ალერსიანი – მოახლოებული უფროსისთვის.

განიერ, ხეებჩარიგებულ, დიდ, გაუტკეპნელ გზაზე, რესორების ოდნავი რახრახით, ჩორთით მოექანებოდა მაღალი, ცისფერი ვენური ეტლი, რომელშიც ცხენები წყვილ-წყვილად შეებათ. ეტლს მოსდევდა ამაღა და კროატელთაგან შემდგარი მცველი რაზმი. კუტუზოვთან თეთრმუნდირიანი ავსტრიელი გენერალი იჯდა, რომელიც უცნაურად გამოირჩეოდა შავმუნდირიანი რუსებისგან. ეტლი პოლკის წინ გაჩერდა. კუტუზოვი და ავსტრიელი გენერალი რაღაცაზე ჩუმად ლაპარაკობდნენ, და კუტუზოვმა ოდნავ გაიღიმა იმ დროს, როცა მძიმედ დაძრულმა, საფეხურიდან ფეხი ძირს დაუშვა, თითქოს არც კი არსებობდა ეს 2 000 კაცი, რომელნიც სულგანაბლნი შესცქეროდნენ მას და პოლკის უფროსს.

გაისმა პოლკის უფროსის ბრძანება. კვლავ შეირხა პოლკი იარაღის ჟღარუნით. სამარისებური სიჩუმე დაარღვია მთავარსარდლის სუსტმა ხმამ. პოლკმა შეჰყვირა: „გისურვებთ ჯანმრთელობას, თქვენო მაღა-ღა-ღა-ღა-ბავ!“ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. პირველ ხანს, ვიდრე პოლკი მოძრაობდა, კუტუზოვი ერთ ადგილას იდგა, მერე თეთრ გენერალთან ერთად ქვეითად, ამაღის თანხლებით იწყო სიარული ჯარისკაცთა რიგებში.

პოლკის უფროსის ყოველი მოქმედება: თუ როგორ მიესალმა იგი მთავარსარდალს, როგორ აშტერდებოდა და იჭიმებოდა, როგორ მისდევდა წინწახრილ გენერლებს რიგებში, ისე რომ ძლივს

იოკებდა ძიგძიგა მოძრაობას, როგორ მიიჭრებოდა ხოლმე ხტომით მთავარსარდალთან თითოეულ მის სიტყვასა და მოძრაობაზე, – ყოველივე ეს ცხადად ამჟღავნებდა, რომ იგი უფრო სიამოვნებით ასრულებდა თავის მოვალეობას როგორც ხელქვეითი, ვიდრე როგორც უფროსი. პოლკის უფროსის სისასტიკისა და გულმოდგინების მეოხებით, პოლკი კარგ მდგომარეობაში იყო, იმავე ხანებში ბრაუნაუში ჩასულ სხვა პოლკებთან შედარებით, ჩამორჩენილთა და ავადმყოფთა რიცხვი მხოლოდ 217 კაცს უდრიდა და ყველაფერი რიგზე იყო, ფეხსაცმლის გარდა.

კუტუზოვმა რიგებს ჩაუარა. იშვიათად შეჩერდებოდა და რამდენიმე ალერსიან სიტყვას ეუბნებოდა თურქეთის ომის დროიდან ნაცნობ ოფიცრებს, ზოგჯერ ჯარისკაცებსაც. თვალს არ აშორებდა ჯარისკაცთა ფეხსაცმელს. მან რამდენჯერმე მწუხარედ გაიღიმა და ისეთი გამომეტყველებით მიუთითა ფეხსაცმელზე ავსტრიელ გენერალს, თითქოს ამისთვის არავის არ უსაყვედურებდა, მაგრამ არ შეეძლო კი არ დაენახა, თუ რამდენად სავალალო იყო ეს. პოლკის უფროსი ყოველთვის ასეთ შემთხვევაში წინიდან წამოუვლიდა მთავარსარდალს, ეშინოდა, არ გამოჰპაროდა არც ერთი მისი სიტყვა პოლკის შესახებ. კუტუზოვს უკან, ისეთ მანძილზე, რომ შეიძლებოდა ხმადაბლა წარმოთქმული ყოველი სიტყვის გაგონება, მისდევდა ამაღლა, ოციოდე კაცი. ამაღლის წევრები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და ზოგჯერ იცინოდნენ. ყველაზე ახლოს მთავარსარდალს მისდევდა ლამაზი ადიუტანტი. ეს იყო თავადი ბოლკონსკი. ბოლკონსკის გვერდით მიდიოდა მისი ამხანაგი ნესვიცკი, მაღალი, ძალზე სქელი შტაბოფიცერი[52], კეთილი, მოდიმარი, ლამაზი სახისა და წყლიანთვალეზიანი. ნესვიცკი ძლივს იკავებდა თავს სიცილისგან, რომელსაც იწვევდა მასთან ერთად მიმავალი შავგვრემანი ჰუსართა ოფიცერი. ჰუსართა ოფიცერი სერიოზული სახით მისჩერებოდა ზურგში პოლკის უფროსს და აჯავრებდა ყოველ მის მოძრაობას, ამასთან აჯავრებდა გაუღიმებლად, გაშტერებული თვალების გამომეტყველების შეუცვლელად. ყოველთვის, როგორც კი პოლკის უფროსი ძიგძიგით წინ წაიხრებოდა, სწორედ მასავით ძიგძიგით წინ წაიხრებოდა ჰუსარი ოფიცერიც. ნესვიცკი იცინოდა და უბიძგებდა სხვებს შეეხედათ ოხუნჯისთვის.

კუტუზოვი დინჯად და ზანტად მიაბიჯებდა ათასი გადმოკარკლული თვალის წინ. ყველა გაფაციცებით შეჰყურებდა უფროსს. როდესაც მესამე ასეულს გაუსწორდა, უცებ შეჩერდა, ამაღლა არ მოელოდა ამ შეჩერებას და უნებურად ზედ წაადგა მთავარსარდალს.

– ოჰ, ტიმოხინ! – წამოიძახა მთავარსარდალმა, როგორც კი იცნო ცხვირწამოწითლებული კაპიტანი, რომელსაც ასეთი ცუდი დღე დაადგა ლურჯი ფარაჯისთვის.

თითქოს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო იმაზე მეტად გაჭიმვა, როგორც გამოიჭიმა ტიმოხინი, როცა პოლკის უფროსი შენიშვნას აძლევდა; მაგრამ ამჟამად, როცა მთავარსარდალმა მიმართა, კაპიტანი ისე გამოიჭიმა, რომ წუთიც და იგი ვეღარ აიტანდა უზომო დამაბვას. ეტყობა, კუტუზოვი მიუხვდა გაჭირვებას, და რაკი, პირიქით, ყოველი სიკეთის მოსურნე იყო მისთვის, სწრაფად პირი იბრუნა. კუტუზოვის შემუშვებულ, ჭრილობით დამახინჯებულ სახეზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაირბინა.

– იზმაილოველი ამხანაგები ვართ, – თქვა მან, – მამაცი ოფიცერია. კმაყოფილი ხართ? – შეეკითხა კუტუზოვი პოლკის უფროსს.

და პოლკის უფროსმა, რომელიც ჰუსარი ოფიცრის სახეზე სარკვესავით აისახა, აკანკალებულმა, წინწამოდგარმა მიუგო:

– მეტად კმაყოფილი გახლავართ, თქვენო მაღალადმატებულეზავ!

– ყველა ჩვენგანს აქვს სუსტი მხარე, – უთხრა კუტუზოვმა ღიმილით და განშორდა ტიმოხინს, – ბახუსის თაყვანისმცემელი იყო, – დაუმატა მან.

პოლკის უფროსს შეეშინდა, მე ხომ არა ვარ ამაში დამნაშავეო, და პასუხი არ გასცა. ჰუსართა ოფიცერმა ამ დროს შენიშნა ცხვირწამოწითლებული და მუცელაწეული კაპიტანი და ისე გამოაჯავრა მის სახესა და პოზას, რომ ნესვიცკიმ სიცილი ვეღარ შეიკავა. კუტუზოვმა უკან მიიხედა. ეტყობოდა, ჰუსართა ოფიცერი სულ ადვილად ახერხებდა სახის დამორჩილებას. იმ წუთს, როცა კუტუზოვმა მიიხედა, ოფიცრის სახე უკვე სერიოზულად და მოკრძალებით გამოიყურებოდა.

მესამე ასეული უკანასკნელი იყო, და კუტუზოვი ჩაფიქრდა, ჩანდა, რაღაცის გახსენებას ლამობდა. ამალიდან გამოყოფილმა თავადმა ანდრეიმ ფრანგულად წასჩურჩულა:

– ნაბრძანები გაქვთ, გაგახსენოთ ამ პოლკში მყოფი გაჯარისკაცებული დოლოხოვი.

– სად არის აქ დოლოხოვი? – იკითხა კუტუზოვმა.

დოლოხოვმა, უკვე ჯარისკაცის რუხ ფარაჯში გამოწყობილმა, აღარ დაუცადა გამოძახებას: ნათელი, ცისფერთვალემა ქერა ჯარისკაცის მოხდენილი ფიგურა ფრონტიდან გამოვიდა, იგი მთავარსარდალს მიუახლოვდა და სამხედრო წესისამებრ გამოეჭიმა.

– პრეტენზიაა? – იკითხა ოდნავ მოღუშულმა კუტუზოვმა.

– დოლოხოვი გახლავთ, – მიუგო თავადმა ანდრეიმ.

– აა! – წამოიძახა კუტუზოვმა, – იმედი მაქვს, რომ ეს გაკვეთილი გამოგასწორებს, კარგად იმსახურე. ხელმწიფე მოწყალეა. არც მე დაგივიწყებ, თუ დაიმსახურებ.

ცისფერი, ნათელი თვალემა ისევე შეუპოვრად შეჰყურებდნენ მთავარსარდალს, როგორც პოლკის უფროსს, თითქოს თავისი გამომეტყველებით იგი ჰგლეჯდა იმ პირობითს ფარდას, რომელიც ასე აშორებს მთავარსარდალს ჯარისკაცისგან.

– ერთს გთხოვთ, თქვენო მაღალადმატებულეზავ, – მიმართა მან თავისი მჭექარე, მტკიცე, აუჩქარებელი ხმით, – გთხოვთ. შემადლებინოთ გამოვასწორო ჩემი დანაშაული და დავუმტკიცო ჩემი ერთგულება ხელმწიფე იმპერატორს და რუსეთს.

კუტუზოვმა პირი იბრუნა. მის სახეზე ისეთივე ღიმილმა გადაირბინა, როგორმაც მაშინ, როცა პირი იბრუნა კაპიტან ტიმოხინისგან. პირი მიიბრუნდა და მოიღუშა, თითქოს ამით სურდა გამოეხატა, რომ ყოველივე ის, რაც დოლოხოვმა თქვა, და ისიც, რისი თქმაც მას შეეძლო, დიდი ხანია, დიდი ხანია იცოდა, რომ ყოველივე ეს მოსწყინდა, და რომ ყოველივე ეს სრულიადაც არც იყო ის, რაც საჭიროა. იგი მიბრუნდა და ეტლისკენ გაემართა. პოლკი ასეულეზავ დაეწყო და დანიშნული ბინებისკენ გაემართა ბრაუნის მახლობლად, სადაც იმედოვნებდა, რომ ტანთ და ფეხთ ჩაიცვამდა და მძიმე მგზავრობის შემდეგ დაისვენებდა.

– ხომ არ მემდურებით, პროხორ იგნატიჩ? – მიმართა პოლკის უფროსმა, როდესაც დანიშნულ ადგილისკენ მიმავალ მესამე ასეულს შემოუარა და კაპიტან ტიმოხინთან მივიდა, რომელიც ასეულს წინ მიუძღოდა. კეთილად ჩავლილი დათვალეზრების შემდეგ პოლკის უფროსის სახეზე უზომო სიხარული აღბეჭდილიყო, – მოგეხსენებათ, მეფის სამსახურია... არ შეიძლება... ზოგჯერ მოხდება ფრონტზე, ვისმე შეუყვირებ... პირველი ვიხდი ბოდის, ხომ მიცნობთ... დიდად დაგვიმადლა! – და ხელი გაუწოდა კაპიტანს.

– რას ბრძანებთ, გენერალო, როგორ გაგიბედავთ სამდურავს! – მიუგო ცხვირწამოწითლებულმა და გაღიმებულმა კაპიტანმა. ღიმილმა ორი წინა კბილის ნაკლებობა გამოაჩინა. ეს კბილები იზმაილის ბრძოლაში ჩაუმტვრიეს.

– ჰო, გადაეცით დოლოხოვს, რომ არ დავივიწყებ, დამშვიდებული იყოს. მითხარით ერთი, სულ მინდა გკითხოთ, როგორია, როგორ იქცევა?

– სამსახურში მეტად წესიერია, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ ხასიათი... – მიუგო ტიმოხინმა.

– რა ხასიათი? – შეეკითხა პოლკის უფროსი.

– ზოგჯერ წამოუვლის ხოლმე, თქვენო აღმატებულებავ, – ამბობდა კაპიტანი, – ხან ჭკვიანიც არის, ნასწავლიც, გულკეთილიც, ხან კი მხეცია... პოლონეთში, მოგეხსენებათ, კინაღამ ერთი ებრაელი მოკლა.

– დიახ, დიახ, – უთხრა პოლკის უფროსმა, – უნდა შევიბრალოთ უბედურებაში ჩავარდნილი ახალგაზრდა კაცი. ხომ იცით, დიდი ნაცნობობა აქვს.. მაშ, თქვენ...

– მესმის, თქვენო აღმატებულებავ, – ჩამოართვა სიტყვა ტიმოხინმა და ღიმილით გააგებინა, რომ მიხვდა უფროსის სურვილს.

– დიახ, დიახ!

პოლკის უფროსმა მონახა რიგებში დოლოხოვი და ცხენი შეაჩერა.

– პირველ ყოვლისა, ეპოლეტებია, – უთხრა მან ახალგაზრდა კაცს.

დოლოხოვმა თვალი შეავლო, არაფერი თქვა და არც დამცინავად მოღიმარე გამომეტყველება შეცვალა.

– მაშ, ასე, – განაგრძო პოლკის უფროსმა, – ჯარისკაცებს ჩემგან თითო ფიალა არაყი, – დაუმატა მან ხმამაღლა, რათა ჯარისკაცებს გაეგონათ. – ვმადლობ ყველას! დიდება უფალს! – გაშორდა ამ ასეულს და მეორესთან მივიდა.

– სიმართლე თუ გინდა, კარგი კაცია, შეიძლება მაგასთან სამსახური, – უთხრა ტიმოხინმა თავის გვერდით მიმავალ სუბალტერნოფიცერს[53].

– ერთი სიტყვით, გულის მეფეა! (პოლკის უფროსს ბანქოს ქაღალდის გულის მეფე შეარქვეს), – თქვა სიცილით სუბალტერნოფიცერმა.

ბედნიერი განწყობილება დათვალაიერების შემდეგ უფროსებისგან ჯარისკაცებსაც გადაედოთ. ასეული მხიარულად მიდიოდა. ყოველი მხრიდან ჯარისკაცები ერთმანეთს ეხმაურებოდნენ.

– ამბობდნენ, კუტუზოვი ცალი თვალით ბრუტიანიაო.

– ტყუილია თუ? მთლად ბრუტიანია.

– არა, ძმაო... შენზე თვალხილულია. წაღები, სახვევები – ყველაფერი აათვალ-ჩაათვალაიერა...

– რომ დამაშტერა, ძმაო, თვალი ფეხებზე, – ეე, გავიფიქრე...

– მეორე ავსტრიელი რომ მოსდევდა გვერდით, თითქოს ცარცში ამოუსვრიათო, ისე იყო თეთრად გადაპენტილი. ალბათ, საჭურველივით ხეხავდნენ.

– რაო, ფედემოუ?.. ხომ არ უთქვამს, როდის დაიწყება ბრძოლა, შენ უფრო ახლო იდექი? სულ იმას ამბობდნენ, ბრუნოვში თავად ბონაპარტე დგასო.

– ბონაპარტე დგასო... შეხედე ერთი, რომავს, რაც ენაზე მოადგება! ახლა პრუსიელი შფოთავს, ავსტრიელი კი აწყნარებს, როცა პრუსიელი დაწყნარდება, მაშინ ბონაპარტესთან დაიწყება ომი. ეს კი ამბობს, ბრუნოვში ბონაპარტე დგასო... გეტყობა, სულელი ხარ. ყური დაუგდე, რას ამბობენ სხვები.

– აი, დალახვრა ეშმაკმა ბინების მიმჩნენი! ერთი შეხედე: მეხუთე ასეულმა უკვე სოფელში შეუხვია. ისინი საჭმელს მოიხარშავენ, ჩვენ კი ჯერ მისულიც არ ვიქნებით.

– თუ კაცი ხარ, ორცხოზილა მომეცი.

– შენ კი მომეცი გუშინ თამბაქო? ასეა, ძმაო... კარგი, კარგი. აჰა, წაილე.

– შეგვასვენონ მაინც, თორემ ცარიელი კუჭებით ხუთ ვერსს კიდევ გვახეტილებენ.

– სწორედ სასიამოვნო იყო, როგორ მოგვაგებეს ეტლები გერმანელებმა. ჩაჯექი და თავმომწონედ გააქროლე! – იოხუნჯა ერთმა ჯარისკაცმა.

– აჰ, ძმავ, მთლად დამთხვეული ხალხი მოჩანს. იქ თითქოს პოლონელები იყვნენ, რუსთ ხელმწიფის ქვეშევრდომები, აჰ კი მთლად გერმანელები არიან.

– მომღერლები წინ! – მოისმა კაპიტნის ხმა.

და სხვადასხვა რიგიდან ოცამდე კაცი გავარდა წინ. სიმღერის დამწყებმა მედოლემ პირი მომღერლებისკენ იბრუნა, ხელი აიქნია და გააბა ჯარისკაცური გრძელი სიმღერა, რომელიც ამნაირად იწყება: „Не заря ли, солнышко занималось“[54] და სრულდება შემდეგი სიტყვებით: „То-то, братцы, будет слава нам с Каменским отцом“[55]. ეს სიმღერა ჯარისკაცებმა თურქეთში გამოთქვეს და ახლა ავსტრიაში ერთი ცვლილებით მღეროდნენ: „Каменским отцом“[56] მაგიერ ჩაურთეს სიტყვები „Кутузовым отцом“[57].

ორმოცი წლის მედოლემ, ხმელ-ხმელმა და ლამაზმა კაცმა, ჯარისკაცურად მოსწყვიტა ეს უკანასკნელი სიტყვები, ხელები აიქნია, თითქოს რაღაც უნდა დაახეთქოსო მიწაზე, მკაცრად გადახედა მომღერლებს და თვალები მოხუჭა. შემდეგ, რაკი დარწმუნდა, რომ ყველას თვალი მისკენ გაექცა, ორივე ხელი ფრთხილად ზევით წაიღო, თითქოს რაღაც უხილავი ძვირფასო ნივთი აზიდა მალაო, რამდენსამე წუთს ასე გააჩერა და უცბად მოწყვეტით გადაისროლა:

Ах, вы, сени мои, сени![58]

„Сени новые мои...“[59] – ჩამოართვა ოცმა ხმამ, და ამ დროს, საჭურვლის სიმძიმის მიუხედავად, მკვირცხლად გამოვარდა მესაკრავე საკრავი ჯოხებით და მხრების ძიგძიგით, პირუკულმა გაითამაშა ასეულის წინ, თან საკრავ ჯოხებს ისე იქნევდა, თითქოს ვიღაცას ემუქრებო. განიერი ნაბიჯით მიმავალმა ჯარისკაცებმა ხელები და ფეხები უნებურად სიმღერას ააყოლეს. ასეულის უკანიდან მოისმა ეტლის თვლების ხმაური, რესორების ღრაჭუნნი და ცხენების თქარათქური. კუტუზოვი ამალითურთ ქალაქში ბრუნდებოდა. მთავარსარდალმა ანიშნა, – განეგრძოთ ჯარისკაცებს თავისუფლად სიარული, ამასთან სიმღერის გაგონებაზე, მოცეკვავე ჯარისკაცისა და მხიარულად და ხალისით მიმავალი ასეულის დანახვაზე მთავარსარდალსაც და ყველა დანარჩენებს მის ამაღამი სახეზე სიამოვნება მოეფინა. მეორე რიგში, მარჯვენა ფრთაზე, საიდანაც ეტლი ასეულს წამოეწია, უნებურად კაცს თვალში ეცემოდა ცისფერთვალა ჯარისკაცი, დოლოხოვი, რომელიც განსაკუთრებით მკვირცხლად და მოხდენილად აყოლებდა ფეხებს სიმღერას და ისეთი გამომეტყველებით შეჰყურებდა მომავალთ, თითქოს იბრალებდა ყველას, ვინც იმ დროს ასეულთან არ მიდიოდა. ჰუსართა კორნეტი[60] კუტუზოვის ამალიდან, რომელიც პოლკის უფროსს აჯავრებდა, ეტლს ჩამორჩა და დოლოხოვთან მივიდა.

ჰუსართა კორნეტი ჟერკოვი ერთხანს პეტერბურგში იმ თავზე ხელაღებულთა წრეს ეკუთვნოდა, რომელთაც დოლოხოვი ხელმძღვანელობდა. საზღვარგარეთ ჟერკოვი დოლოხოვს შეხვდა. მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ჯარისკაცი იყო, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნია ეცნო იგი. ახლა კი, როცა კუტუზოვი გაჯარისკაცებულ დოლოხოვს გამოელაპარაკა, მანაც გაიხსენა ძველი მეგობრობა და მიმართა დოლოხოვს:

– როგორ ხარ, გულითადო მეგობარო? – ჰკითხა მან და თავისი ცხენის ნაბიჯი ასეულის ნაბიჯს ააყოლა.

– როგორ ვარ? – ცივად მიუგო დოლოხოვმა, – როგორც მხედავ.

ცოცხალი სიმღერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ჟერკოვის თამამ და მხიარულ კილოს და დოლოხოვის განზრახ გულგრილ პასუხს.

– უფროსებთან როგორა ხარ? – ჰკითხა ჟერკოვმა.

– არა მიშავს რა, კარგი ხალხია. შენ როგორ მიეტმასნე შტაბს?

– მიმავლინეს, ვმორიგეობ.

გაჩუმდნენ.

„Выпускала сокола да из правого рукава“,[61] ამბობდა სიმღერა და უნებურად უღვიძებდა კაცს მხიარულ გრძნობას. მათი საუბარი, ალბათ, სხვანაირი იქნებოდა, სიმღერის ფონზე რომ არ ელაპარაკათ.

– რას ამბობენ, მართლა დაამარცხეს ავსტრიელები? – ჰკითხა დოლოხოვმა.

– ეშმაკმა იცის მათი თავი, ამბობენ, დაამარცხესო.

– მოხარული ვარ, – მიუგო დოლოხოვმა მოკლედ და მკაფიოდ, როგორც სიმღერა მოითხოვდა.

– გამოიარე ჩვენკენ ხოლმე, სალამოობით, ბანქოს წავითამაშებთ, – უთხრა ჟერკოვმა.

– რაო, ბევრი ფული გაგიჩნდათ?

– გამოიარე.

– არ შემიძლია. აღთქმა დავდე: არ დავლიო და არ ვითამაშო, ვიდრე არ აღმადგენენ.

– მერე რა, პირველ შემთხვევისთანავე...

– ვნახოთ.

კვლავ გაჩუმდნენ.

– შემოიარე, თუ რამე დაგჭირდეს, შტაბში ყველანი დაგეხმარებიან, – უთხრა ჟერკოვმა.

დოლოხოვმა ჩაიცინა.

– ნუ შეწუხდებით, თუ დამჭირდა რამე, თხოვნას არ დავიწყებ, თავად ავიღებ.

– რას ამბობ, მე ისე გითხარი...

– მეც ისე გითხარი.

– მშვიდობით.

– კარგად იყავი...

...и высоко, и далеко,

На родиму сторону...[62]

ჟერკოვმა დეზები შემოჰკრა ცხენს. გაცხარებულმა ცხენმა რამდენჯერმე ფეხები შეინაცვლა, თითქოს არ იცოდა, რომლით გადაედგა პირველი ნაბიჯი, ბოლოს მოკურცხლა, მირბოდა და თან სიმღერის ტაქტს აყოლებდა ფეხებს. ჟერკოვმა ასეულს გაუსწრო და ეტლს მიუახლოვდა.

თავი მესამე

დათვალიერებიდან დაბრუნებულმა კუტუზოვმა ავსტრიელი გენერლის თანხლებით თავის კაბინეტს მიაშურა. შესვლისთანავე დაუძახა ადიუტანტს და უბრძანა, მიეტანა ზოგიერთი ქაღალდი, რომლებიც რუსეთიდან ჩასული ჯარის მდგომარეობას შეეხებოდა და მოწინავე არმიის უფროსის, ერცჰერცოგ ფერდინანდის წერილები: თავადი ანდრეი ბოლკონსკი აღნიშნული ქაღალდებით მთავარსადლის კაბინეტში შევიდა. კუტუზოვი და ჰოფკრიგსრატის ავსტრიელი წევრი მაგიდაზე გადაშლილი გეგმის წინ ისხდნენ.

– ჰა! – წამოიძახა კუტუზოვმა და ბოლკონსკის გადახედა. თითქოს ამ წამოძახილით ადიუტანტს ეუბნება, დაიცადეო, თანაც განაგრძო ფრანგულად დაწყებული ლაპარაკი.

– მე მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, გენერალო, – ამბობდა კუტუზოვი საამური მოხდენილი გამოთქმით და ინტონაციით, რაც აიძულებდა მსმენელს, ჩაჰკვირვებოდა დინჯად წარმოთქმულ ყოველ სიტყვას. ეტყობოდა, კუტუზოვი თავადაც სიამოვნებით უსმენდა თავის თავს, – მე მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, გენერალო: საქმე რომ ჩემს პირად ნებაზე იყოს დამოკიდებული, დიდი ხანია, შესრულებული იქნებოდა მისი უდიდებულესობის იმპერატორ ფრანცის სურვილი. მე დიდი ხანია შევუერთდებოდი ერცჰერცოგს. და დაუჯერეთ ჩემს პატიოსნებას, პირადად ჩემთვის არმიის უფროსობის გადაცემა ჩემზე უფრო მცოდნე და დახელოვნებულ გენერლისთვის, რითაც ასე უხვად არის დაჯილდოებული ავსტრია, და თავიდან აცილება მთელი ამ მძიმე პასუხისმგებლობისა, – პირადად ჩემთვის ეს სასიხარულო იქნებოდა. მაგრამ ვითარება ჩვენზე ძლიერია, გენერალო.

და კუტუზოვმა გაიღიმა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ამბობდა: „თქვენ სრული უფლება გაქვთ, არ დამიჯეროთ; მაგრამ ჩემთვის სულერთია, – დამიჯერებთ თუ არ დამიჯერებთ, თუმცა საბაზი არა გაქვთ მითხრათ ეს. აი, ამაშია მთელი საქმე“.

ავსტრიელი გენერალი უკმაყოფილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ არ შეეძლო იმავე კილოთი არ ეპასუხა კუტუზოვისთვის.

– პირიქით, – თქვა მან ბუზღუნითა და გაჯავრებით, რაც ასე ეწინააღმდეგებოდა წარმოთქმული სიტყვების საამო მნიშვნელობას, – პირიქით, მისი უდიდებულესობა დიდად აფასებს თქვენი აღმატებულების მონაწილეობას საერთო საქმეში; მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლანდელი დაყოვნება დააკარგვინებს სახელოვან რუს ჯარს და მის მთავარსარდლებს იმ დიდებას, რომლის მოხვეჭასაც ბრძოლებში ისინი ჩვეულნი არიან, – დაამთავრა მან, როგორც ეტყობოდა, მომზადებული ფრაზა.

კუტუზოვმა იმავე ღიმილით თავი დაუკრა.

– მე კი დარწმუნებული ვარ და იმ უკანასკნელი წერილის მიხედვით, რითაც პატივი დამდო მისმა უმაღლესობამ, ერცჰერცოგმა ფერდინანდმა, ვფიქრობ, ავსტრიის ჯარმა, ისეთი დახელოვნებული თანაშემწის უფროსობით, როგორც არის გენერალი მაკი, უკვე მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება და ეს ჯარი ჩვენს დახმარებას აღარ საჭიროებს, – თქვა კუტუზოვმა.

გენერალმა შუბლი შეკრა. თუმცა ჯერ არ იყო მიღებული ცნობა ავსტრიელთა დამარცხების შესახებ, მაგრამ ბევრი რამ იყო ისეთი, რაც არახელსაყრელ ხმებს ადასტურებდა. ამიტომ კუტუზოვის სიტყვები ავსტრიელთა გამარჯვების შესახებ ძალზე წააგავდა დაცინვას. მაგრამ კუტუზოვმა მშვიდად გაიღიმა, იმავე გამომეტყველებით, რომელიც თითქოს ამბობდა – უფლება მაქვს ასე ვიფიქროო; მართლაც, მაკის არმიიდან მიღებული უკანასკნელი წერილი იტყობინებოდა გამარჯვებას და იმას, რომ არმია მეტად ხელსაყრელ სტრატეგიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

– მომეცი ერთი ის წერილი, – მიმართა კუტუზოვმა თავად ანდრეის, – აი, ინებეთ, – და კუტუზოვმა ტუჩების კუთხეებში გაელვებული დამცინავი ღიმილით გერმანულად წაუკითხა ავსტრიელ გენერალს შემდეგი ადგილი ერცჰერცოგ ფერდინანდის წერილიდან: „Wir haben vollkommen zusammengehaltene Kräfte, nahe an 70 000 Mann, um den Feind, wenn er den Lech passirte, angreifen und schlagen zu können. Wir können, da wir Meister von Ulm sind, den Vortheil, auch von beiden Uferien der Donau Meister zu bleiben, nicht verlieren; mithin auch jeden Augenblick, wenn der Feind den Lech nicht passirte, die Donau übersetzen, uns auf seine Communications-Linie werfen, die Donau unterhalb repassiren und dem Feinde, wenn er sich gegen unsere treue Allirte mit ganzer Macht wenden wollte, seine Absicht alabald vereiteln. Wir werden auf solche Weise den Zeitpunkt, wo die Kaiserlich-Ruseische Armée ausgerüstet sein wird, muthig entgegenharren, und sodann leicht gemeinschaftlich die Möglichkeit finden, dem Feinde das Schicksal zuzubereiten, so er verdient“ („ჩვენ გვყავს სავსებით თავმოყრილი ძალა, 70 000-მდე კაცი, ასე რომ, შეგვიძლია შევუტიოთ და დავამარცხოთ მოწინააღმდეგე იმ შემთხვევაში, თუ იგი მდინარე ლეხზე გადმოსვლას მოიწადინებს. რადგან ულმი უკვე ჩვენ გვიჭირავს. შეგვიძლია შევინარჩუნოთ პოზიციები დუნაის ორივე ნაპირზე, მაშასადამე, თუ მოწინააღმდეგე ლეხს არ გადმოვა, ყოველ წუთს შეგვიძლია გადავლახოთ დუნაი, შევიჭრათ მტრის საკომუნიკაციო ხაზში, მერე, უფრო ქვემოთ, უკან გადმოვლახოთ დუნაი და მოწინააღმდეგეს, თუკი იგი მოიწადინებს მთელი თავისი ძალების მიმართვას ჩვენი ერთგული მოკავშირეების წინააღმდეგ, არ მივცეთ ამ განზრახვის შესრულების საშუალება. ამრიგად, ჩვენ უშიშრად დავუცდით იმ დროს, როდესაც რუსეთის საიმპერატორო არმია სავსებით მოემზადება, და შემდეგ ერთად ადვილად გამოვნახავთ საშუალებას განვუმზადოთ მოწინააღმდეგეს ისეთი ხვედრი, როგორის ღირსიც ის არის“).

ამ გრძელი ნაწყვეტის წაკითხვის შემდეგ კუტუზოვმა მძიმედ ამოიხვნეშა და ყურადღებითა და ალერსით შეხედა ჰოფკრიგსრატის წევრს.

– მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, თქვენო აღმატებულებავ, ბრძნული წესი, რომლის მიხედვითაც მუდამ უარესი უნდა წარმოიდგინო, – თქვა ავსტრიელმა გენერალმა. ეტყობოდა, მოწადინებული იყო ბოლო მოელო ხუმრობისთვის და საქმეს შესდგომოდნენ.

მან ადიუტანტს შეხედა უკმაყოფილოდ.

– მაპატიეთ, გენერალო, – გააწყვეტინა სიტყვა კუტუზოვმა და მანაც პირი ანდრეისკენ მიიბრუნა, – აი, რა, ჩემო კარგო, გამოართვი კოზლოვსკის ჩვენი მზვერავებისგან მიღებული ცნობები. აი, გრაფ ნოსტიცის ორი წერილი, აი, მისი უმაღლესობის ერცჰერცოგ ფერდინანდის წერილი, აი, კიდევ, – უთხრა მან და რამდენიმე ქაღალდი მიაწოდა, – და ყოველივე ამისგან ფრანგულ ენაზე ლამაზად შეადგინე მემორანდუმი, ბარათი, რომ ნათელი და ცხადი გახდეს ყველა ის ცნობა, რომელიც ავსტრიის არმიის მოქმედების შესახებ მოგვიპოვებია. ჰოდა, მერე მათ აღმატებულებას მორთვი.

თავადმა ანდრეიმ თავი დახარა ნიშნად იმისა, რომ პირველ სიტყვაზევე მიხვდა არა მარტო იმას, რაც ითქვა, არამედ იმასაც, რაც კუტუზოვს გულში ედო. თავი მოუყარა ქაღალდებს, საერთო სალამი მისცა ოთახში მყოფთ, წყნარი ნაბიჯით გაიარა ნოხმოფენილი იატაკი და მისაღებ ოთახში გავიდა.

თუმცა დიდხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც თავადმა ანდრეიმ რუსეთი მიატოვა, იგი მაინც დიდად გამოიცვალა ამ ხნის განმავლობაში. სახის გამომეტყველებაში, მოძრაობასა და სიარულში თითქმის აღარ ემჩნეოდა წინანდელი თვალთმაქცობა, დაღლილობა და სიზანტე; მას იმ კაცის გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც დრო არა აქვს იფიქროს, თუ რა შთაბეჭდილებას გამოხატავდა საკუთარი თავით და ყველა იმათით, ვინც გარს ეხვია; მისი ღიმილი და გამოხედვა უფრო მხიარული და მიმზიდველი გამხდარიყო.

კუტუზოვმა, რომელსაც ის პოლონეთში დაეწია, ალერსიანად მიიღო, დაჰპირდა, – არ დაგივიწყებო. მთავარსარდალს გამორჩეული ჰყავდა იგი სხვა ადიუტანტებისგან, თან დაჰყავდა ვენაში და უფრო სერიოზულ დავალებებს აკისრებდა. ვენიდან კუტუზოვი თავის ძველ ამხანაგს, თავად ანდრეის მამას სწერდა:

„თქვენი შვილი იმედს იძლევა, რომ თავისი გულმოდგინებით, სიმტკიცითა და სიბეჯითით სხვებისგან გამორჩეული ოფიცერი დადგება. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ასეთი ხელქვეითი მყავს“.

კუტუზოვის შტაბში, ამხანაგ თანამოსამსახურეთა შორის და, საერთოდ, არმიაში, ისევე, როგორც პეტერბურგის საზოგადოებაში, თავად ანდრეის შესახებ ორი სრულიად საწინააღმდეგო აზრი არსებობდა. ზოგს, უმცირესობას, თავადი ანდრეი განსაკუთრებულ კაცად მიაჩნდა, ისეთად, რომელიც განსხვავდებოდა მათგან და ყველასგან; მოელოდნენ, რომ იგი დიდ წარმატებას მიაღწევდა, ალტაცებაში მოდიოდნენ მისით, ემორჩილებოდნენ და ჰზამავდნენ მას; ამ ადამიანებთან თავად ანდრეის უბრალოდ ეჭირა თავი და მათთან ყოფნა სასიამოვნოდ მიაჩნდა. სხვებს, უმეტესობას, არ უყვარდათ თავადი ანდრეი, ზვიად, უკმეხ და უსიამოვნო კაცად მიიჩნევდნენ. მაგრამ ამათთან თავად ანდრეის ისე ეჭირა თავი, რომ პატივს სცემდნენ, და ეშინოდათ კიდევ მისი.

კუტუზოვის კაბინეტიდან გამოსული და მისაღებ ოთახში შესული თავადი ანდრეი ქალაქებით მივიდა ამხანაგთან, მორიგე ადიუტანტ კოზლოვსკისთან, რომელიც წიგნით ხელში ფანჯარასთან იჯდა.

– რაო, თავადმა? – ჰკითხა კოზლოვსკიმ.

– მიზრძანა, შევადგინოთ ბარათი, თუ რატომ არ მივიწვევთ წინ.

– მერე, რატომ არ მივიწვევთ?

თავადმა ანდრეიმ მხრები აიჩეჩა.

– არის თუ არა ცნობები მაკისგან? – იკითხა კოზლოვსკიმ.

– არ არის!

– მართალი რომ იყოს მისი დამარცხება, ცნობა უკვე მოვიდოდა.

– ალბათ, – მიუგო თავადმა ანდრეიმ და გასასვლელი კარისკენ გაემართა; მაგრამ სწორედ ამ დროს კარი მიიბრახუნა და მისაღებ ოთახში სწრაფი ნაბიჯით შევიდა, ეტყობოდა, ახალმოსული ავსტრიელი გენერალი; გენერალს სურთუკი ეცვა, თავი შავი ხილაბანდით წაეკრა და კისერზე მარია-ტერეზიას ორდენი ეკიდა. თავადი ანდრეი შეჩერდა.

– გენერალ-ანშეფ კუტუზოვი აქ არის? – სწრაფად ჩაილაპარაკა მოსულმა გენერალმა მკვეთრი გერმანული გამოთქმით, აქეთ-იქით მიიხედა და შეუჩერებლად წავიდა კაბინეტის კარისკენ.

– გენერალ-ანშეფს არ სცალია, – უთხრა კოზლოვსკიმ, სწრაფად მივიდა უცნობ გენერალთან და კარისკენ გზა გადაუღობა, – მიზრძანეთ, რა მოვახსენო?

უცნობმა გენერალმა ზიზლით გადახედა ზემოდან ტანით მომცრო კოზლოვსკის, თითქოს გაიკვირვა, ვინ არის, რომ ვერ მცნობსო.

– გენერალ-ანშეფს არ სცალია, – წყნარად გაიმეორა კოზლოვსკიმ.

გენერალს სახე მოელუშა, ტუჩები აუკანკალდა. უბის წიგნაკი ამოიღო, სწრაფად რაღაც ჩაწერა ფანქრით, ფურცელი ამოხია, გადასცა, სწრაფი ნაბიჯით ფანჯარასთან მივიდა, სკამზე დაეშვა და ოთახში მყოფთ გადახედა. თითქოს ეკითხება, რატომ მიცქერითო. მერე გენერალმა თავი ასწია, კისერი წაიგრძელა, გეგონება, რაღაცის თქმას აპირებსო, მაგრამ იმავე წუთს, თითქოს დაუდევრად თავისთვის წაიმღერაო, უცნაური ხმა გამოსცა, რომელიც მაშინვე ჩაწყდა. კაბინეტის კარი გაიღო და ზღურბლზე კუტუზოვი გამოჩნდა. თავწაკრული გენერალი თითქოს განსაცდელს გაურბისო, წაიხარა და გამხდარი ფეხებით სწრაფად და დიდი ნაბიჯებით გასწია კუტუზოვისკენ.

– Vous voyez le malheureux Mack (თქვენ წინაშე უბედური მაკია), – ჩაილაპარაკა მან ფრანგულად ჩახლეჩილი ხმით.

კუტუზოვი კაბინეტის კარში იდგა; ერთხანს სახეშეუცვლელად გამოიყურებოდა. მერე ნაოჭმა ტალღასავით გადაურბინა სახეზე, შუბლი გადაეწმინდა; მოკრძალებით დახარა თავი, თვალები დახუჭა, უსიტყვოდ შეუშვა მაკი და კარი მიიხურა.

მართალი გამოდგა ადრევე გავრცელებული ხმა ულმთან ავსტრიელთა შემუსვრისა და მთელი მათი არმიის მტრის ხელში ჩავარდნის შესახებ. ნახევარი საათის შემდეგ უკვე დაგზავნეს სხვადასხვა მიმართულებით ადიუტანტები. იმ ბრძანებებიდან, რომლებიც მათ გაატანეს, ცხადად ირკვეოდა, რომ მოწინააღმდეგეს მალე უნდა შეხვედროდა რუსი ჯარიც, რომელიც მანამდე უმოქმედოდ იდგა.

თავადი ანდრეი ერთ-ერთი იყო შტაბში იმ იშვიათ ოფიცერთაგან, რომელიც თავის მთავარ ინტერესს მთლად სამხედრო საქმის მიმდინარეობაში ხედავდა. მაკის დანახვაზე და მისი ჯარის დაღუპვის გაგონებაზე მიხვდა, რომ ნახევარი საქმე წაგებული იყო. მიხვდა მთელ იმ სიძნელეს, რომელშიც რუსი ჯარი ჩავარდა, და ცოცხლად წარმოიდგინა, რა მოელოდა არმიას. წარმოიდგინა ის როლიც, რომელიც მას უნდა შეესრულებინა ამ არმიაში. თავისდა უნებურად ამაღელვებელ სასიხარულო გრძნობას განიცდიდა, როდესაც გაიხსენებდა თავისი თავის მოიმედე ავსტრიის შერცხვენას და იმას, რომ შეიძლებოდა ერთი კვირის შემდეგ მას, ანდრეის, საკუთარი თვალთ ენახა და იქნებ მონაწილეობაც მიეღო რუსების შეტაკებაში ფრანგებთან, პირველად სუვოროვის შემდეგ. მაგრამ მას ეშინოდა ნაპოლეონის გენიისა, რომელიც შეიძლებოდა თვით რუსების ჯარის სიმამაცეზე უფრო ძლიერი აღმოჩენილიყო; იმავე დროს არ უნდოდა თავისი გმირის შერცხვენაც.

ამ აზრებით აღელვებული და გაღიზიანებული თავადი ანდრეი თავისი ოთახისკენ გაემართა, რათა წერილი მიეწერა მამისთვის, რომელსაც ყოველდღე სწერდა. ტალანში იგი შეხვდა ნესვიცკის, რომელთან ერთადაც ოთახში ცხოვრობდა, და ხუმარა ჟერკოვს. ისინი, როგორც ყოველთვის, რაღაცაზე იცინოდნენ.

– რას მოღუშულხარ? – ჰკითხა ნესვიცკიმ, როდესაც თავად ანდრეის გაფითრებული სახე და გავარვარებული თვალები დაინახა.

– სასიხარულო არაფერია, – მიუგო ბოლკონსკიმ.

იმ დროს, როდესაც თავად ანდრეი ნესვიცკის და ჟერკოვს შეხვდა, ტალანის მეორე მხრიდან მათკენ მოდიოდნენ კუტუზოვის შტაბთან მყოფი ავსტრიელი გენერალი შტრაუზი, რომელიც თვალყურს ადევნებდა რუსების ჯარის კვებას, და ჰოფკრიგსრატის წევრი, წინააღმდეგ ჩამოსული. ფართო ტალანში

საკმაო ადგილი იყო, რომ გენერლები თავისუფლად დასცილებოდნენ ოფიცრებს, მაგრამ ჟერკოვმა ხელი წაჰკრა ნესვიცკის და აქაქანებული ხმით წაილაპარაკა:

– მოდიან!.. მოდიან!.. გზა მიეცით, გზა!

გენერლები, ეტყობოდა, თავს არიდებდნენ შემაწუხებელ სალამს. მასხარა ჟერკოვის სახეზე უეცრად სიხარულის სულელური ღიმილი აისახა, რომლისგანაც იგი ვითომ თავს ვერ იკავებდა.

– თქვენო აღმატებულებავ, – მიმართა მან გერმანულად და წინ წაიწია ავსტრიელი გენერლისკენ, – პატივი მაქვს მოგილოცოთ!

მან თავი დახარა და როგორც ბავშვმა, რომელსაც ცეკვას ასწავლიან, იწყო ხან ერთი, ხან მეორე ფეხის იატაკზე ფხაკუნნი.

გენერალმა, ჰოფკრიგსრატის წევრმა, მკაცრად შეავლო თვალი ჟერკოვს, მაგრამ, როგორც კი შენიშნა სულელური ღიმილის სერიოზულობა, უარი ვედარ უთხრა წუთიერ ყურადღებაზე და მან მოსასმენად თვალეზი მოჭყუტა.

– პატივი მაქვს მოგილოცოთ, გენერალი მაკი ჩამოვიდა, სავსებით ჯანმრთელია, მხოლოდ აქ არის ცოტათი დაშავებული! – დაუმატა მან ღიმილად გადაქცეულმა და თავზე მიუთითა.

გენერალმა წარბი შეკრა, პირი მიიბრუნა და გზა განაგრძო.

– Gott, wie naiv (ღმერთო ჩემო, რა მიამიტია)! – თქვა მან გაჯავრებულმა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ.

ნესვიცკი ხარხარით გადაეხვია თავად ანდრეის, მაგრამ ბოლკონსკიმ, უფრო მეტად გაფითრებულმა, ბოროტი გამომეტყველებით ხელი ჰკრა და ჟერკოვს მიმართა. იმ ნერვიულმა გაღიზიანებამ, სადამდეც მიიყვანა იგი მაკის საცოდაობამ, მისი ჯარის დამარცხების ამბავმა, და იმ აზრმა, თუ რა მოელის რუსთა ჯარს, იფეთქა ახლა, ჟერკოვის შეუფერებელი ხუმრობის გაგონებისას.

– თუ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, – დაიწყო მან ზიზღითა და ქვედა ყბის ოდნავი კანკალით, – გსურთ მასხარა გახდეთ, მე ხელს ვერ შეგიშლით, მაგრამ გიცხადებთ: თუ კვლავ გაბედავთ ჩემი თანდასწრებით ლაზღანდარობას, მე გასწავლით, როგორ უნდა თავის დაჭერა.

ნესვიცკი და ჟერკოვი ისე გაოცდნენ ამის გაგონებაზე, რომ ჩუმად და თვალეზდაჭყეტილნი შეჭყურებდნენ ბოლკონსკის.

– რა მოხდა, მე მხოლოდ მივულოცე, – თქვა ჟერკოვმა.

– მე არ გეხუმრებით, ინებეთ გაჩუმება! – დაუყვირა ბოლკონსკიმ, მერე ხელი წაავლო ნესვიცკის და განშორდა ჟერკოვს, რომელმაც ვერ მოახერხა პასუხის გაცემა.

– რა დაგემართა, ძმაო? – მიმართა ნესვიცკიმ დასამშვიდებლად.

– როგორ თუ რა დამემართა? – დაიწყო თავადმა ანდრეიმ, თან აღელვებისგან მაღიმალ ჩერდებოდა, – გაიგე, რომ ჩვენ ან ოფიცრები ვართ, რომელთაც გვევალება ჩვენი მეფისა და სამშობლოს სამსახური, რომელთაც გვახარებს საერთო წარმატება და გვაწუხებს საერთო მარცხი, ან ლაქიები, რომელთაც არა ეკითხებათ რა ბატონის საქმისა. Quarante milles hommes massacrés et l'armée de nos alliés détruite, et vous trouvez là le mot pour rire (დაიღუპა ორმოცი ათასი კაცი, მოისპო მოკავშირე არმია, თქვენ კი დამდგარხართ აქ და ლაზღანდარობთ), – მან ეს უკანასკნელი ფრაზა ფრანგულად თქვა, თითქოს ამ ფრანგული ფრაზით თავისი აზრი განამტკიცაო, – C'est bien pour un garçon de rien, comme cet individu, dont vous avez fait un ami, mais pas pour vous, pas pour vous (ეპატიება ეს უსუსურს, როგორიც აი, ეს

ვაჟბატონია, რომელიც თქვენ მეგობრად გაიხადეთ, მაგრამ არა თქვენ, არა თქვენ)! მხოლოდ უსუსურებს შეუძლიათ ასე თავის გართობა, – დაუმატა თავადმა რუსულად (სიტყვა უსუსურებს ფრანგული აქცენტით წარმოთქვა), რადგან შენიშნა, რომ ჟერკოვს ჯერ კიდევ შეეძლო მისი სიტყვების გაგონება.

თავადი ანდრეი შეჩერდა, – პასუხს ხომ არ გამცემს კორნეტიო. მაგრამ კორნეტი მიტრიალდა და ტალანიდან გავიდა.

თავი მეოთხე

ჰუსართა პავლოგრადის პოლკი ბრაუნაუდან ორი მილის მანძილზე იდგა. ესკადრონი[63], სადაც ნიკოლაი როსტოვი იუნკრად მსახურობდა, დაბანაკებული იყო გერმანულ სოფელ ზალცენეკში. ესკადრონის უფროსს, როტმისტრ დენისოვს, მთელ ცხენოსანთა დივიზიაში ვასკა დენისოვის სახელით ცნობილს, სოფელში საუკეთესო ბინა ჰქონდა დათმობილი. იუნკერი როსტოვი იმ დღიდან, როცა იგი პოლონეთში პოლკს დაეწია, ესკადრონის უფროსთან ერთად ცხოვრობდა.

11 ოქტომბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მთავარ ბინაში ცნობამ მაკის დამარცხების შესახებ ყოველივე და ყველაფერი ფეხზე დააყენა, ესკადრონის შტაბში სალაშქრო ცხოვრება წყნარად და კვლავინდებურად მიმდინარეობდა. დენისოვი, რომელიც მთელ ღამეს ბანქოს თამაშობდა, ჯერ კიდევ შინ არ იყო მისული, როცა როსტოვი, ცხენების საკვებისთვის წასული, დილაადრიან დაბრუნდა. იუნკრის მუნდირში გამოწყობილმა როსტოვმა ცხენი პარმალს მიაყენა, მოქნილი, ახალგაზრდული მოძრაობით შეირხა და უზანგზე გაჩერდა, თითქოს არ უნდოდა გამოსთხოვებოდა ცხენს. ბოლოს, ჩამოხტა და შიკრიკს დაუმახა.

– ოჰ, ბონდარენკო, გულითადო მეგობარო! – მიმართა მან ჰუსართს, რომელიც სწრაფად მივარდა ცხენს, – გაატარ-გამოატარე, თუ ძმა ხარ, – სთხოვა მან იმ ძმური, მხიარული სინაზით, როგორითაც მიმართავენ ხოლმე ყველას კარგი ახალგაზრდები, როცა ისინი ბედნიერად გრძნობენ თავს.

– მესმის, თქვენო ბრწყინვალეზავ! – მიუგო თავის მხიარული აქნევით ბონდარენკომ.

– აბა, შენ იცი, კარგად მიხედე!

მეორე ჰუსარიც მივარდა ცხენს, მაგრამ ბონდარენკოს ლაგამის სადავე უკვე გადაეგდო ცხენის კისერზე. ეტყობოდა, იუნკერი ფულს არ იშურებდა არყისთვის, რომ ასე ხელსაყრელი იყო მისთვის სამსახურის გაწევა. როსტოვმა ხელი გადაუსვა ცხენს ჯერ კისერზე, მერე გავაზე და პარმალს მიაშურა.

„საუცხოოა! მშვენიერი ცხენი დადგება!“ – თქვა თავისთვის. ხმალზე ხელი წაივლო და ღიმილით და დეზების წკარაწკურით პარმალზე ავარდა. სახლის პატრონმა, სათბუნებლიანმა გერმანელმა, ჩაჩი რომ ეხურა, ბოსლიდან გამოიხედა; ხელში ფიწალი ეჭირა, რომლითაც ნაკელს ხვეტდა. როსტოვის დანახვაზე სახე უეცრად გაუბრწყინდა, მხიარულად გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. „Schön, gut Morgen! Schön, gut Morgen“ („მშვენიერია, დილა მშვიდობისა, დილა მშვიდობისა!“) – იმეორებდა იგი, ეტყობოდა, სიამოვნებას ჰგვრიდა ახალგაზრდა კაცთან გამოლაპარაკება.

– Schon fleissig (უკვე მუშაობთ)! – უთხრა როსტოვმა იმავე მხიარული, ძმური ღიმილით, რომელიც მის სიცოცხლით სავეს სახეს არ შორდებოდა, – Hoch Oestreicher! Hoch Russen! Kaiser Alexander hoch (ვაშა ავსტრიელებს! ვაშა რუსებს! ვაშა იმპერატორ ალექსანდრეს!) – მიმართა მან გერმანელს: იმეორებდა იმ სიტყვებს, რომლებსაც ხშირად ამბობდა სახლის პატრონი გერმანელი. გერმანელმა გაიცინა, ბოსლიდან გამოვიდა, ჩაჩი იშვლიპა, თავს ზევით ასწია და დაიყვირა:

– Und die ganze Welt hoch (ვაშა მთელ ქვეყნიერებას)!

როსტომმა გერმანელივით ქუდი ზევით ასწია და სიცილით დაიძახა: „Und Vivat die ganze Welt“ („გაუმარჯოს მთელ ქვეყნიერებას“)! თუმცა განსაკუთრებული სიხარულის გამომჟღავნებისთვის არავითარი საბაზი არ მოეპოვებოდა არც გერმანელს, რომელიც თავის ბოსელს ხვეტდა, არც როსტომს, რომელიც ათეულთან ერთად თივის მოსატანად იყო წასული, მაინც ბედნიერი აღტაცებითა და ძმური სიყვარულით გადახედეს ერთმანეთს, თავები გააქნიეს, ნიშნად ურთიერთსიყვარულისა, და დამორდნენ. გერმანელი ბოსელში შევიდა, ხოლო როსტომი – სახლში, სადაც დენისოვთან ერთად იდგა.

– სად არის ბატონი? – ჰკითხა როსტომმა ლავრუშკას, დენისოვის ლაქიას, მთელ პოლკში ცნობილ გაიძვერას.

– წუხანდელს აქეთ არ ჩანს. ალბათ, წააგო, – მიუგო ლავრუშკამ, – უკვე ვიცი: როცა მოიგებს, ადრე მოდის სატრაბახოდ, თუ დილამდე არ მოვიდა, მაშ გაუყვლეფიათ, გაჯავრებული მოვა. ყავას ხომ არ ინებებთ?

– მოიტა, მოიტა.

ათი წუთის შემდეგ ლავრუშკამ ყავა შეუტანა.

– მოდის! – წამოიძახა მან, – ვაი აქაურობას!

როსტომმა ფანჯრიდან გაიხედა და შინისკენ მომავალი დენისოვი დაინახა. დენისოვი მოწითალო სახის პატარა კაცი იყო, შავი, ვარვარა თვალები ჰქონდა, შავი აბურძგნილი უღვაში და თმა. ეცვა ღილებგახსნილი კურტაკი. კეფაზე დაჭმუჭნილი ჰუსარული ქუდი მოეგდო. მოღუშული, თავდახრილი უახლოვდებოდა პარმალს.

– ლავრუშკა! – დაიძახა გაჯავრებულმა ხმამაღლა, თან რ-ზე ენა მოუქცია, – აბა, ბრიყვო, გამხადე!

– მე ისედაც გხდით, – მიუგო ლავრუშკამ.

– ოჰ, შენ უკვე ამდგარხარ? – უთხრა დენისოვმა ოთახში შესვლისას.

– დიდი ხანია ავდექი, – მიუგო როსტომმა, – თივაზე ვიყავი და ფროილან მატლდაც ვნახე.

– რას ამბობ?! მე კი წუხელ, ძმაო, ძაღლის ლეკვივით ტყავი გამამძვრეს! – დაიყვირა დენისოვმა, სიტყვებს ისე ამბობდა, რომ რ-ს არ გამოთქვამდა, – დიდი უბედურებაა, დიდი უბედურება! შენი წასვლის შემდეგ დაიწყო. ეი, ჩაი!

დენისოვს სახე დაედრიჯა, თითქოს ილიმებაო, და მოკლე ნაფოტა კბილები გამოუჩნდა; კოტიტათითებიანი ორივე ხელი ტყესავით ხშირ თმაში იტაცა და მის აბურძგნას შეუდგა.

– ნეტავ ფეხი მომტეხოდა და იმ ვირთაგვასთან (ოფიცრის მეტსახელი) არ წავსულიყავ, – ამბობდა დენისოვი და ორივე ხელით შუბლსა და სახეს ისრესდა. – წარმოიდგინე, არც ერთი მოსაგები ქალაღი არ მომცა.

დენისოვმა გადაწვდილი ჩიბუხი აიღო, ხელი მაგრად მოუჭირა, იატაკზე დაანარცხა და ცეცხლი გამოყარა, თან ყვირილი განაგრძო:

– ცოტას გაგებინებს, ბევრს გიკლავს; ცოტას გაგებინებს, ბევრს გიკლავს!

ცეცხლი გაფანტა, ჩიბუხი გატეხა და გადააგდო. შემდეგ გაყურდა, მაგრამ უცებ გავარვარებული შავი თვალები მხიარულად შეანათა როსტომს.

– ქალები მაინც იყვნენ! თორემ რა უნდა გააკეთო სმის მეტი! მალე მაინც დაიწყო ბრძოლა... ეი, ვინა ხარ მანდ? – დაიძახა მან და კარისკენ მიიხედა, სადაც დიდწაღებიანი ფეხის ხმა და დეზების წკარუნი შეწყდა და საიდანაც მოკრძალებული ხველა მოისმა.

– ვახმისტრია! – თქვა ლავრუმკამ.

დენისოვს უფრო მეტად დაედრიჯა სახე.

– სამაგლობაა! – ჩაილაპარაკა მან და საფულე გადაისროლა, – თუ კაცი ხარ, როსტოვ, დათვალე, რა დარჩა მანდ, საფულე ბალიშქვეშ შედე, – უთხრა და ვახმისტრთან გავიდა.

როსტოვმა საფულე აიღო, ოქროს ძველი და ახალი ფული მორიგეობით დააწყო და თვლას შეუდგა.

– ოჰ, ტელიანინ, თქვენ ხართ? გამატყავეს გუშინ, – მოისმა მეორე ოთახიდან დენისოვის ხმა.

– ვისთან თამაშობდით? ბიკოვთან, ვირთაგვასთან? ვიცოდი, – მიუგო მეორე წვრილმა ხმამ. და იმწუთას ოთახში შევიდა პორუჩიკი ტელიანინი, იმავე ესკადრონის ოფიცერი, პატარა ტანის კაცი.

როსტოვმა საფულე ბალიშქვეშ შეაგდო და მისკენ გაწვდილ პატარა ოფლიან ხელს თავისი შეაგება. ტელიანინი ლაშქრობის წინ რაღაცისთვის გვარდიიდან არმიაში გადაიყვანეს. პოლკში თავი ძალიან კარგად ეჭირა, მაგრამ ამხანაგებს არ უყვარდათ, მეტადრე როსტოვს, რომელსაც ვერც დაეძლია და ვერც დაეფარა თავისი უმიზეზო ზიზღი ამ ოფიცრისადმი.

– როგორ გემსახურებათ, ახალგაზრდა კავალერისტო, ჩემი გრაჩიკი? – ჰკითხა მან როსტოვს (გრაჩიკი სათადარიგო ცხენი იყო, რომელიც ტელიანინმა როსტოვს მიჰყიდა).

პორუჩიკი არასოდეს თვალეებში არ უყურებდა მოსაუბრეს; მისი თვალეები მუდამ დახტოდნენ, ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდნენ.

– დაგინახეთ, დღეს რომ გაიარეთ...

– არა უშავს რა, კარგი ცხენია, – მიუგო როსტოვმა, თუმცა ცხენი, რომელშიც როსტოვმა 700 რუბლი მისცა, ამ ფასის ნახევარიც არ ღირდა, – ცოტა მოიკოჭლებს წინა მარცხენა ფეხზე, – დაუმატა მან.

– ალბათ, ჩლიქი გაეზარა! ეგ არაფერია. გასწავლით, როგორ უნდა შეუკავშიროთ მოქლონით.

– მასწავლეთ, გეთაყვა, – მიუგო როსტოვმა.

– გასწავლით, გასწავლით, საიდუმლო როდია. ცხენისთვის კი მადლობელი დამრჩებით.

– მაშ, ვუბრძანებ, მოიყვანონ ცხენი, – უთხრა როსტოვმა და, რათა ტელიანინს მოშორებოდა. გარეთ გავიდა, რომ ცხენის მოყვანა ებრძანებინა.

დერეფანში, ზღურბლზე დენისოვი ჩიბუხით ხელში მობღუნებული იჯდა ვახმისტრის წინ, რომელიც რაღაცას მოახსენებდა. როსტოვის დანახვაზე დენისოვმა წარბი შეკრა, ცერით ზურგს უკან ოთახზე მიუთითა, სადაც ტელიანინი იყო და ზიზღით თავი გააქნია.

– უჰ, არ მიყვარს ეგ ვაჟბატონი, – უთხრა ისე, რომ არ დაერიდა ვახმისტრსაც კი.

როსტოვმა მხრები აიჩეჩა, თითქოს ამბობდა: „მეც არ მიყვარს, მაგრამ რას იზამო!“ გასცა განკარგულება და ტელიანინს დაუბრუნდა.

ტელიანინი ისევ ისე არხეინად იჯდა, როგორც როსტოვმა დატოვა და პატარა თეთრ ხელებს ისრესდა.

„ნეტავ, რატომ არსებობენ ასეთი სამაგელი ადამიანები!“ – გაიფიქრა როსტოვმა ოთახში შესვლისას.

- რა ქენით, უბრძანეთ ცხენის მოყვანა? – ჰკითხა ტელიანინმა, ფეხზე წამოდგა და დაუდევრად მიმოიხედა.
- ვუბრძანე.
- მაშ, წავიდეთ. შემოვიარე მხოლოდ იმისთვის, რომ გუშინდელი ბრძანების შესახებ გამომეკითხა დენისოვისთვის. მიიღეთ, დენისოვ?
- ჯერ არ მიმიღია. სად მიდიხართ?
- აი, ახალგაზრდა კაცს ცხენის დაჭედვა უნდა ვასწავლო, – მიუგო ტელიანინმა.
- ისინი პარმალზე გავიდნენ, შემდეგ საჯინბოში შევიდნენ, პორუჩიკმა უჩვენა როსტოვს, როგორ უნდა გადაეხადა გახლეჩილი ჩლიქი და წინ წავიდა.
- როდესაც როსტოვი ოთახში შებრუნდა, მაგიდაზე არყიანი ბოთლი და ძეხვი დაინახა. დენისოვი მაგიდას ეჯდა და ქალაქზე კალამს აწრიპინებდა. მან პირქუშად შეხედა როსტოვს.
- იმ ქალს ვწერ, – უთხრა დენისოვმა.
- კალმით ხელში მაგიდას დაეყრდნო და ალბათ, გახარებული, რომ სიტყვიერად უფრო სწრაფად გადასცემდა იმას, რის დაწერასაც ფიქრობდა, უამბობდა როსტოვს თავისი წერილის შინაარსს.
- აი, რას გეტყვი, მეგობარო, – უთხრა მან, – ჩვენ გვძინავს, სანამ სიყვარულის ალი არ მოგვედება, მიწის შვილნი ვართ... – ხოლო როცა სიყვარული მოგვედება, ერთბაშად გარდავიქმნებით. ღმერთიც ხარ, უბიწოც ხარ, როგორც გაჩენის პირველ დღეს... ეს ვიღაა? კინწისკვრით გააგდე, არ მცალია! – დაუყვირა მან ლავრუშკას, რომელიც გაბედულად მივიდა მასთან.
- ვინ უნდა იყოს? – მიუგო ლავრუშკამ, – თავად უბრძანეთ მოსვლა. ვახმისტრი გეახლათ ფულისთვის. დენისოვმა შუბლი შეკრა. რაღაც უნდოდა დაეყვირა, მაგრამ გაჩუმდა.
- სამაგლადაა საქმე, – ჩაილაპარაკა დენისოვმა თავისთვის, – რამდენი დარჩა მანდ, საფულეში? – ჰკითხა როსტოვს.
- შვიდი ახალი და სამი ძველი.
- სამაგლობაა! რას უდგახარ, საფრთხოვებლავ, შემოუშვი ვახმისტრი! – დაუყვირა ლავრუშკას.
- გთხოვ, დენისოვ, მიიღო ჩემგან ფული. ხომ იცი, მაქვს, – უთხრა როსტოვმა და თან გაწითლდა.
- არ მიყვარს შინაურებისგან ფულის სესხება არ მიყვარს – წაიდუდუნა დენისოვმა.
- თუ ამხანაგურად არ გამომართმევ, მაწყენინებ. გარწმუნებ, მაქვს ფული, – გაიმეორა როსტოვმა.
- არა-მეთქი, გეუბნები!
- და დენისოვი საწოლს მიუახლოვდა, რომ ბალიშქვეშიდან საფულე გამოეღო.
- სად შედე, როსტოვ, ფული?
- ქვედა ბალიშქვეშ ამოვდე.
- აქ არ არის.
- დენისოვმა ორივე ბალიში გაბერტყა და გადაისროლა. საფულე არსად იყო.
- ნამდვილი სასწაულია!
- მოიცა, იქნებ გადმოგივარდა, – უთხრა როსტოვმა და ბალიშები სათითაოდ აიღო, შეარხია.

საბანი გადმოიღო, გაბერტყა, საფულე მაინც არსად ჩანდა.

– ხომ არ დამავიწყდა? არა, გავიფიქრე კიდეც – განძივით თავქვემ იდებს-მეთქი, – განაგრძო როსტოვმა, – აი, აქ დავდე. სად არის? – მიმართა მან ლავრუმკას.

– მე არ შემოვსულვარ. სადაც დადეთ, იქ იქნება.

– აქ არ არის.

– ასე იცით ხოლმე, მიაგდებთ სადმე და მერე დაივიწყებთ... ჯიბეები გაისინჯეთ.

– არა, განძზე რომ არ მეფიქრა, კიდეც ჰო, – თქვა როსტოვმა, – მაგრამ კარგად მახსოვს, რომ დავდე.

ლავრუმკამ მთელი ლოგინი გადააქოთა, შეიხედა საწოლქვემ, მაგიდის ქვემ, მთელი ოთახი გადააბრუნა და ბოლოს შუა ოთახში გაჩერდა. დენისოვი უსიტყვოდ ადევნებდა თვალს ლავრუმკას მოძრაობას და როცა ლავრუმკამ გაოცებით ხელები გაშალა და ამით განაცხადა, რომ საფულე არსად არისო, მან როსტოვს გადახედა:

– როსტოვ, ნუ ბავშვ...

როსტოვმა, როგორც კი იგრძნო, რომ დენისოვი დააშტერდა, თვალეები ასწია, მაგრამ იმავე წუთს ძირს დაუშვა. სადღაც ყელში გაჩხირული სისხლი ერთბაშად მოაწვა სახესა და თვალეებზე. სუნთქვა შეეკრა.

– ოთხშიც არავინ იყო, პორუჩიკსა და თქვენ გარდა, აქ იქნება სადმე, – თქვა ლავრუმკამ.

– შენ, ეი, ჯოჯოხეთის მამხალავ, გაინძერი, მოძებნე! – დაიყვირა უცებ წამოწითლებულმა დენისოვმა და აშვერილი ხელებით ლაქიას მივარდა, – ამ საათში გააჩინე საფულე, თორემ სულს ამოგხდი, ყველას ტყავს გაგადრობთ!

როსტოვმა თვალი აარიდა დენისოვს, ქურთუკი შეიკრა, ხმალი ჩამოიკიდა და ქუდი დაიხურა.

– გიბრძანებ, ახლავე გააჩინე საფულე! – ყვიროდა დენისოვი, თან ანჯღრევდა ლავრუმკას და კედელს ახლიდა.

– თავი დაანებე, დენისოვ. მე ვიცი, ვინც წაიღო, – უთხრა როსტოვმა და თვალეებდახრილმა კარისკენ გასწია.

დენისოვი შეჩერდა, ჩაფიქრდა, და, რაკი მიუხვდა განზრახვას, ხელი წაატანა.

– სისულელეა! – დაიყვირა დენისოვმა ისე, რომ მარღვები კისერსა და შუბლზე თოკებივით დაეჭიმა, – გეუბნები, ჭუაზე შეშლილხარ! მაგის ნებას არ მოგცემ. საფულე აქ არის, ტყავს გავადრობ ამ გაიძვერას და იპოვის.

– ვიცი, ვინც წაიღო, – გაიმეორა როსტოვმა აკანკალებული ხმით და კარისკენ წავიდა.

– მე კი გეუბნები, არ გაბედო მაგის ჩადენა-მეთქი! – დაიყვირა დენისოვმა და იუნკერს მივარდა, რათა არ გაეშვა.

მაგრამ როსტოვმა ხელი გამოჰკლიჯა და ისეთი გულისწყრომით დააშტერა თვალეები, თითქოს დენისოვი მისი უდიდესი მტერი ყოფილიყოს.

– გესმის კი რას ამბობ? – მიმართა როსტოვმა აკანკალებული ხმით, – ჩემს მეტი ოთახში არავინ იყო. მაშასადამე, თუ არა ის, მაშინ...

ვეღარ დაასრულა და ოთახიდან გავარდა.

– ემშაკმა წაგიღოთ ყველანი, შენცა და სხვებიც! – ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც როსტოვმა გაიგონა.

როსტოვი ტელიანინის ბინაზე მივიდა.

– ბატონი შინ არ არის, შტაბში წავიდა, – უთხრა ტელიანინის მსახურმა ჯარისკაცმა, – ხომ არაფერი მომხდარა? – დაუმატა მან, იუნკრის შემფოთებული სახით გაოცებულმა.

– არა, არაფერი.

– ერთი ფეხით გაგასწროთ.

შტაბი ზალცენევიდან სამ ვერსზე იყო. როსტოვმა შინშეუხვევლად იშოვა ცხენი და გასწია შტაბისკენ. იმ სოფელში, სადაც შტაბი იმყოფებოდა, ტრაქტირი იყო. ამ ტრაქტირში ოფიცრები დადიოდნენ. როსტოვი ტრაქტირთან გაჩერდა. პარმალთან ტელიანინის ცხენი დაინახა.

ტელიანინი მეორე ოთახში მაგიდასთან იჯდა, წინ თევზით სოსისები ეწყო და ერთი ბოთლი ღვინო ედგა.

– ოჰ, თქვენც მობრძანდით, ჭაბუკო! – მიმართა ღიმილით ტელიანინმა და წარბები ზევით აზიდა.

– ჰო, მოვედი, – მიუგო როსტოვმა ისე, თითქოს ძალზე უჭირდა ამ სიტყვის წარმოთქმა და მეზობელ მაგიდას მიუჯდა.

ორივენი ჩუმად ისხდნენ; ოთახში ორი გერმანელი და ერთი რუსი ოფიცერი იჯდა. ყველანი დუმდნენ, ისმოდა მხოლოდ დანების ჩხაკუნის თევზებზე და პორუჩიკის ხრამუნის. როცა ტელიანინმა საუბრე დაასრულა, ჯიბიდან ორმაგი საფულე ამოიღო, უკან გადახრილი პატარა თეთრი თითებით რგოლები გადასწია, ოქრო ამოიღო, წარბები ზევით აზიდა და ფული მსახურს გადასცა.

– მიიღეთ, ოღონდ ცოცხლად! – უთხრა მან.

ოქროს ფული ახალი იყო. როსტოვი წამოდგა და ტელიანინთან მივიდა.

– ნება მომეცით, საფულე გავსინჯო, – უთხრა მან წყნარი, ოდნავ გასაგონი ხმით.

ტელიანინმა მოუსვენარი თვალებით, მაგრამ კვლავ აწეული წარბებით საფულე გადააწოდა.

– დიახ, კარგი საფულეა... დიახ, დიახ... – თქვა ტელიანინმა და უეცრად ფერი ეცვალა, – გასინჯეთ, ჭაბუკო! – დაუმატა მან.

როსტოვმა საფულე აიღო, თვალი გადაავლო, შიგ ჩაიხედა, ბოლოს ტელიანინს შეხედა. პორუჩიკი ჩვეულებრივად ცმუკავდა, ირგვლივ იყურებოდა და თითქოს უეცრად ძალზე გამხიარულდა.

– თუ ვენაში მოვხვდებით, ყველაფერს იქ დავტოვებთ, აქ კი ამ გაფხევილ ქალაქში, რას უზამ ფულს? – უთხრა მან, – აბა, მომეცით, ჭაბუკო, უნდა წავიდე.

როსტოვი დუმდა.

– თქვენ რაღად მოხვედით? თქვენც სასაუზმოდ? კარგი საჭმელები იციან აქ, – განაგრძო ტელიანინმა, – მომეცით საფულე.

ხელი გაიწოდა, საფულეს წაავლო. როსტოვმა ხელი უშვა. ტელიანინმა საფულე შარვლის ჯიბისკენ წაიღო, თან წარბები ასწია და პირი ოდნავ გააღო, თითქოს ამბობდა: „დიახ, დიახ, ჯიბეში ვიდებ ჩემს საფულეს, ასე მნებავს და არავის ამასთან საქმე არა აქვს“.

– რას იტყვით, ჭაბუკო? – უთხრა მან და აწეულ წარბებს ქვეშიდან თვალებში შეხედა როსტოვს. თვალების რაღაც შუქმა ელექტრონის ნაპერწკლის სისწრაფით ტელიანინის თვალებიდან როსტოვის თვალებისკენ გადაირბინა და უკან დაბრუნდა, კვლავ გადაირბინა და დაბრუნდა. ყველაფერი ეს ერთ წამში მოხდა.

– აქეთ მოდით, – ჩაულაპარაკა როსტოვმა, ხელში ხელი წაავლო ტელიანინს და თითქმის მიათრია ფანჯარასთან, – ეგ ფული დენისოვისაა, თქვენ წამოიღეთ... – ჩასჩურჩულა ყურში.

– რაო?.. რაო?.. როგორ მიზედავთ მაგას?.. – ჩაილაპარაკა ტელიანინმა.

მაგრამ ეს სიტყვები საცოდავ, სასოწარკვეთილ ყვირილად და პატიების მუდარად მოისმოდა. ამის გაგონებაზე როსტოვს ყოველივე ეჭვი გაეფანტა. მან სიხარული იგრძნო, იმავე დროს შეებრაღა ეს უბადრუკი ადამიანი, რომელიც მის წინ იდგა. მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა.

– აქ ხალხია, ვინ იცის, რას იფიქრებენ, – წაიბუტბუტა ტელიანინმა, ქუდს ხელი დაავლო და პატარა, ცარიელი ოთახისკენ წავიდა, – უნდა მოვილაპარაკოთ...

– ყველაფერი ვიცი და დავამტკიცებ კიდეც, – უთხრა როსტოვმა.

– მე...

ტელიანინს კანკალი აუვარდა, შეშინებულ და გაფითრებულ სახეზე ყველა კუნთი უთრთოდა; მისი თვალები ისევ ისევ დახტოდნენ, მაგრამ სადღაც ქვემოთ, როსტოვის სახეზე შეხედვას ვერ ბედავდნენ. მოისმა ქვითინი.

– გრაფ!.. ნუ დამღუპავთ ახალგაზრდა კაცს... აი, ეს უბედური ფული, წაიღეთ... – და საფულე მაგიდაზე დააგდო, – მოხუცი მამა მყავს, დედა...

როსტოვმა ფული აიღო, თვალი აარიდა ტელიანინს და უსიტყვოდ კარისკენ გაემართა. მაგრამ კართან შეჩერდა და უკან დაბრუნდა.

– ღმერთო ჩემო, – თქვა მან თვალებზე ცრემლმორეულმა, – როგორ ჩაიდინეთ ასეთი რამ?

– გრაფ... – დაიწყო ტელიანინმა და იუნკრისკენ გაიწია.

– ხელი არ მახლოთ! – წამოიძახა როსტოვმა და გაშორდა, – თუ გიჭირთ, წაიღეთ ეს ფული! – ესროლა საფულე და ტრაქტირიდან გავარდა.

თავი მეხუთე

იმავე დღეს, საღამოთი, დენისოვის ბინაზე ცხარე კამათი გაიმართა ესკადრონის ოფიცრებს შორის.

– მე გეუბნებით, როსტოვ, რომ ბოდიში უნდა მოიხადოთ პოლკის უფროსის წინაშე, – ეუბნებოდა სახელაეწილ, ყურებამდე გაწითებულ როსტოვს ჭადარაშერეულთმიანი, უზარმაზარულვაშიანი და მსხილნაკვთებიანი, დანაოჭებული სახის მაღალი შტაბროტმისტრი[64].

შტაბროტმისტრი კირსტენი ორჯერ იყო ხარისხაყრილი და გაჯარისკაცებული დუელის გამო და მან ორჯერვე დაიბრუნა ხარისხიც და სახელიც.

– ნებას არავის არ მივცემ მითხრას, სტყუიო! – შეჰყვირა როსტოვმა, – მან მითხრა, ცრუობო, მე კი ვუთხარი, თქვენ ცრუობთ-მეთქი. ეს იყო და ეს. შეუძლია ყოველდღე მორიგედ დამნიშნოს და დამაპატიმროს, ბოდიშის მოხდას კი ვერავინ მაიძულებს იმიტომ, რომ თუ ის, როგორც პოლკის უფროსი, თავს არ გამიყადრებს და არ დამაკმაყოფილებს...

– მოითმინეთ, ბატონო ჩემო, გამიგონეთ, – გააწყვეტინა შტაბროტმისტრმა ბოხი ხმით და წყნარად გადაისვა ულვაშზე ხელი, – თქვენ სხვა ოფიცრების თანდასწრებით უთხარით პოლკის უფროსს, ოფიცერმა მოიპარაო...

– ჩემი რა ბრალია, თუ ლაპარაკი სხვა ოფიცრების თანდასწრებით ჩამოვარდა! იქნებ არ უნდა ჩამომეგდო სიტყვა სხვებთან, მე დიპლომატი არა ვარ. მე იმიტომ შევედი ჰუსარად, ვფიქრობდი, აქ მიკიბ-მოკიბვა საჭირო არ იქნება-მეთქი, ის კი მეუბნება, სტყუიო. რაკი ასეა, დამაკმაყოფილოს.

– კეთილი, არავინ ფიქრობს, რომ მხდალი ხართ, არც არის ამაში საქმე. ჰკითხეთ დენისოვს, ჰგავს რამეს თუ არა, რომ იუნკერმა დაკმაყოფილება მოსთხოვოს პოლკის უფროსს?

დენისოვს ულვაში პირში ჩაედო და სახემოლუშული ყურს უგდებდა; ეტყობოდა, არ უნდოდა ამ ლაპარაკში ჩარევა. შტაბროტმისტრის შეკითხვაზე მან უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ოფიცრებთან ელაპარაკებოდით პოლკის უფროსს ამ სისაძაგლეზე, – განაგრძო შტაბროტმისტრმა, – ბოგდანიჩმა (ბოგდანიჩს პოლკის უფროსს უწოდებდნენ) შეგაჩერათ.

– კი არ შემაჩერა, მითხრა, მორთალს არ ამბობო.

– დიახ, და თქვენ ათასი სისულელე ჰკადრეთ, ამიტომ ბოდიში უნდა მოიხადოთ.

– არაფრის გულისათვის! – შეჰყვირა როსტოვმა.

– არ მოველოდი მაგას თქვენგან, – უთხრა სერიოზულად და მკაცრად შტაბროტმისტრმა, – ბოდიშის მოხდა არ გინდათ, მაშინ, როდესაც თქვენ, ბატონო ჩემო, დამნაშავე ხართ არა მარტო პოლკის უფროსის წინაშე, არამედ მთელი პოლკის წინაშე, ყველა ჩვენ წინაშე, დამნაშავე ხართ თავით ფეხამდე. აი, რას გეტყვით: უნდა დაფიქრებულიყავით და სხვებთან მოგელაპარაკათ, როგორ მოგეველოთ ამ საქმისთვის, თქვენ კი არც აიღეთ და ოფიცრებთან პირში მიახალეთ, ქურდიაო. რა უნდა ქნას ახლა პოლკის უფროსმა? მისცეს ოფიცერი პასუხისგებაში და ჩირქი მოსცხოს მთელ პოლკს? ერთი არამზადის გულისთვის თავი მოსჭრას მთელ პოლკს? ასეა ხომ, თქვენებურად? ჩვენებურად კი მაგრე არ გახლავთ. და ბოგდანიჩიც ჩინებულად მოიქცა, როცა გითხრათ, მართალს არ ამბობთო. სასიამოვნო არ არის, მაგრამ, რას იზამ, თავად ასტეხეთ ეს აურზაური. ახლა კი, როცა საქმის მიჩქმალვა მოიწადინეს, თქვენ ყოყოჩობთ და არ გსურთ ბოდიში მოიხადოთ, გინდათ ყველაფერი დაფქვათ. საწყენად მიგაჩნიათ, რომ მორიგეობა მოგიხდებათ. რატომ გიმწელდებათ ბოდიშის მოხდა მოხუცი და პატიოსანი ოფიცრის წინაშე? რანაირიც უნდა იყოს ბოგდანიჩი, ის მაინც პატიოსანი და მამაცი პოლკოვნიკია, ძველი პოლკოვნიკი! დიახ, თქვენ საწყენად მიგაჩნიათ ბოდიშის მოხდა, პოლკისთვის ჩირქის მოცხება კი თქვენთვის არაფერია, – შტაბროტმისტრს ხმა აუკანკალდა, – თქვენ, ბატონო ჩემო, რამდენიმე კვირას თუ თვეს დაჰყოფთ აქ, დღეს აქა ხართ, ხვალ ადიუტანტად გადახვალთ სადმე, თქვენთვის არაფერია, როცა იტყვიან: პავლოგრადის ოფიცრებს შორის ქურდები აღმოჩნდნენო, ჩვენთვის კი სულერთი არ არის. ასეა, ხომ, დენისოვ? სულაც არ არის ერთი.

დენისოვი კვლავ დუმდა, არ ინძრეოდა, მხოლოდ იშვიათად შეანათებდა ხოლმე როსტოვს თავის მბრწყინავ, შავ თვალებს.

– თქვენ ყოყოჩობთ, ბოდიშის მოხდა არ გინდათ, – განაგრძო შტაბროტმისტრმა, – ჩვენთვის კი, აქაურებისთვის, იმათთვის, ვინც აქ გაიზარდა და ვინც, ალბათ, აქვე მოკვდება, ძვირფასია პოლკის სახელი, და ბოგდანიჩმა ეს იცის. ო, რა ძვირფასია, ბატონო ჩემო! ვერ იქცევით კარგად, ვერა. გეწყინებათ თუ არ გეწყინებათ, მე მაინც ყოველთვის სიმართლეს გეტყვით. დიახ, ვერ იქცევით კარგად! შტაბროტმისტრი ადგა და მოშორდა როსტოვს.

– სწორია, დიახ, სწორია! – შეჰყვირა ფეხზე წამოჭრილმა დენისოვმა, – დიახ, როსტოვ! დიახ!

როსტოვი ხან ერთ ოფიცერს შეჰყურებდა, ხან – მეორეს, სახეზე წამდაუწუმ ფერი ეცვლებოდა.

– არა, ბატონებო, არა... ნუ გგონიათ... მე ძალიან კარგად მესმის, ტყუილად ფიქრობთ ჩემზე მაგრე... მე... ჩემთვის... პოლკის სახელისთვის... საქმით დაგიმტკიცებთ, რომ ჩემთვის დროშის სახელი... ეჰ, მართალია, დამნაშავე ვარ! – თვალზე ცრემლი მოადგა, – დამნაშავე ვარ, თავით ფეხამდე დამნაშავე ვარ!.. მეტი რაღა გინდათ!..

– აი, ეგ მესმის, გრაფ! – წამოიძახა შტაბროტმისტრმა, როსტოვისკენ მიტრიალდა და თავისი დიდი ხელი მხარზე დაადო.

– ხომ გითხარი, – გამოეხმაურა დენისოვი, – ჩინებული ბიჭია-მეთქი.

– ასე სჯობია, გრაფ, – გაიმეორა შტაბროტმისტრმა, თითქოს სწორედ ამის აღიარებისთვის იწყო როსტოვის მოხსიენება გრაფის წოდებით, – წავიდეთ ახლა და ბოდიში მოხადეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ!

– ბატონებო, ყველაფერს ვიზამ, კრინტს, ხმას აღარ დავძრავ, – დაიწყო როსტოვმა მუდარის ხმით, – მაგრამ ბოდიშს ვერ მოვიხდი, ღმერთმანი ვერ მოვიხდი, რაც გინდათ, ის მიყავით! როგორ უნდა მოვიხადო ბოდიში, თითქოს პატარა ვიყო, თითქოს პატიებას ვითხოვდე!..

დენისოვმა გაიცინა.

– უარესი იქნება თქვენთვის. ბოგდანიჩი გულღრმო კაცია, გადაგიხდით ჯიუტობისთვის, – უთხრა კირსტენმა.

– ღმერთმანი, ჯიუტობა არ არის! ვერ აგიწერთ, რა გრძნობაა...

– თქვენი ნებაა, – უთხრა შტაბროტმისტრმა, – ის არამზადა სადღა დაიკარგა? – ჰკითხა მან დენისოვს.

– თავი მოიავადმყოფა, ბრძანებაა, ხვალ პოლკიდან გარიცხონ, – მიუგო დენისოვმა.

– ეს ავადმყოფობა სხვანაირად გაუგებარია, – თქვა შტაბროტმისტრმა.

– ავადმყოფობაა თუ კარგადმყოფობა, მიფრთხილდეს, თვალით არ დამენახოს, მოგვკლავ! – წამოიძახა მრისხანედ დენისოვმა.

ოთახში ჟერკოვი შემოვიდა.

– საიდან გაჩნდი? – მიმართეს ერთბაშად ოფიცერებმა შემოსულს.

– ლაშქრობაა, ბატონებო! მაკი ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, მთელი თავისი არმიით, ყველაფრით.

– სტყუი!

– თავად ვნახე.

– როგორ, მაკი ცოცხალი ნახე? ხელფეხიანად?

– ლაშქრობა, ლაშქრობა! მოიტათ ერთი ბოთლი ასეთი კარგი ამბისთვის! აჰ როგორღა მოხვდი?

– ისევ პოლკში გადმომიყვანეს, იმ ჯადო მაკის გამო. ავსტრიელმა გენერალმა მიჩივლა, რომელსაც მე მაკის მოსვლა მივულოცე. რა დაგმართნია, როსტოვ, თითქოს აბანოდან გამოსულხარ?

– აჰ, ჩემო ძმაო, ორი დღეა ისეთი ორომტრიალია.

შემოვიდა პოლკის ადიუტანტი. მანაც დაადასტურა ჟერკოვის მიერ მოტანილი ამბავი. ხვალისთვის გასვლის ბრძანება იყო გაცემული.

– ლაშქრობაა, ბატონებო!

– მაღლობა ღმერთს, ობი მოგვეკიდა ერთ ადგილზე ყოფნით.

თავი მეექვსე

კუტუზოვმა ვენისკენ დაიხია. მიდიოდა და თან ანგრევდა ხიდებს მდინარეებზე ინსა (ბრაუნაუში) და ტრაუნზე (ლინცში). 23 ოქტომბერს რუსთა ჯარი მდინარე ენსს გადადიოდა. შუადღისას რუსების საბარგულები, არტილერია და ჯარის კოლონები ქალაქ ენსში იყვნენ და ხიდის ორივე მხარეს გაიშალნენ.

შემოდგომის თბილი, წვიმიანი დღე იყო. მაღლობზე რუსთა ბატარეები იდგნენ და ხიდს იცავდნენ. თვალუწვდენი პერსპექტივა, რომელიც ამ მაღლობიდან იშლებოდა, ხან უეცრად იფარებოდა ალმაცერი წვიმის გამჭვირვალე ფარდით, ხან ასევე უეცრად ფართოვდებოდა, და მზის სინათლეზე შორს და ცხადად მოჩანდა საგნები, თითქოს გაულაქავთო. ქვემოთ, ფეხთქვეშ, მოჩანდა ქალაქი თეთრი სახლებით და წითელი სახურავებით, ტაძრითა და ხიდით, რომლის გაღმა-გამოღმაც რუსთა ჯარი მიედინებოდა. დუნაის მოსახვევზე მოჩანდნენ გემები, კუნძული, ციხე-კოშკი პარკით, რომელსაც გარს წყალი არტყია, რადგან აქ ენსი დუნაის ერთვის; მოჩანდა დუნაის მარცხენა კლდოვანი და ფიჭვნარით დაფარული ნაპირი, ხოლო შორს თვალს იტაცებდნენ საიდუმლოებით მოცული მწვანე მწვერვალები და ცისფერი ხეობები. ფიჭვნარიდან, რომელიც ხელუხლებელ, უტებ ტყედ ეხატებოდა თვალს, მონასტრის კოშკები გამოიყურებოდნენ, წინ კი, შორეულ გორაზე, ენსის გაღმა, მოწინააღმდეგის ცხენოსანი პატრულები ჩანდნენ.

მაღლობზე, წინა მხარეს, ქვემეხებს შორის, იდგა გენერალი, არიერგარდის[65] უფროსი, ამაღის ოფიცრითურთ, და დურბინდით მიდამოს ათვალიერებდა. უკან, ცოტა მოშორებით, ქვემეხის ლულაზე იჯდა მთავარსარდლის მიერ არიერგარდში გაგზავნილი ნესვიცკი. კაზაკმა, რომელიც ნესვიცკის ახლდა, გადასცა ამ უკანასკნელს აბგა და მათარა, და ნესვიცკი ღვეზლით და ნამდვილი დოპელკიუმელით[66] უმასპინძლდებოდა ოფიცრებს. ოფიცრები სიხარულით შემოხვეოდნენ, ვინ წამოჩოქილიყო, ვინ ფეხმორთხმული იჯდა სველ ბალახზე.

– დიახ, უჭკუო არ უნდა ყოფილიყო ის ავსტრიელი თავადი, რომელმაც აქ ციხე-კოშკი ააგო. ჩინებული ადგილია, რატომ არ მიირთმევთ, ბატონებო? – სთავაზობდა ნესვიცკი.

– დიდად გამაღობთ, თავადო, – მიუგო ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელსაც სიამოვნებას ჰგვრიდა შტაბის ასეთ წარჩინებულ მოხელესთან ლაპარაკი, – საუცხოო ადგილია. ჩვენ გვერდზე ჩავუარეთ პარკს, ორი ირემი დავინახეთ. სახლი მართლაც ჩინებულია.

– შეხედეთ, თავადო, – თქვა მეორემ, რომელსაც ძალიან უნდოდა კიდევ ერთი ღვეზლის აღება, მაგრამ რცხვენოდა, ამიტომ თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მიდამოს ათვალიერებდნენ, – შეხედეთ ერთი, ჩვენი ქვეითი ჯარისკაცები უკვე გაჩნდნენ. იქ, აი იქ, მდელოზე, სოფელს გარეთ, სამნი რაღასაც მოათრევენ. დააცარიელებენ იმ სასახლეს, – დასძინა მან აშკარა კმაყოფილებით.

– დიახ, დიახ, – დაუდასტურა ნესვიცკიმ, – მაგრამ ყველაზე მეტად ერთ რამეს ვინატრებდი, – დაუმატა მან და თავისი ლამაზი, ნერწყვით სავსე პირით ღვეზლის ღეჭვა განაგრძო, – შემადგო ახლა აი, იქ.

და ხელი გაიშვირა კომპიუტერის მონასტრისკენ, რომელიც გორაკზე მოჩანდა, გაიღიმა, თვალები შეუვიწროვდა და გაუბრწყინდა.

– რას იტყვით, ხომ კარგი იქნება?

ოფიცრებმა გაიცინეს.

– თუნდაც მხოლოდ შესაშინებლად. ამბობენ, იტალიელი მონაზვნები არიანო, ახალგაზრდები. გეფიცებით, ხუთი წლის სიცოცხლეს მივცემდი.

– ისინიც ხომ მოწყენილები იქნებიან, – უთხრა სიცილით უფრო გაბედულმა ოფიცერმა.

ამასობაში ამაღის ოფიცერი, რომელიც წინ იდგა, რაღაცაზე მიუთითებდა გენერალს; გენერალი დურბინდში იყურებოდა.

– დიახ, სწორია, სწორი, – თქვა გამარჯვებული კილოთი გენერალმა, დურბინდი თვალებს მოაშორა და მხრები აიჩჩა, – დიახ, დიახ, ხიდს დაუშენენ. რაღას აყოვნებენ ნეტავ?

მეორე მხარეს კარგად მოჩანდა მტერი და მისი ბატარეა, რომლის თავზედაც უეცრად მოთეთრო-რძისფერი კვამლი გამოჩნდა. კვამლს შორეული სროლის ხმა მოჰყვა, და აშკარად ჩანდა, როგორ აფუსფუსდა და აჩქარდა ჩვენი ჯარი ხიდზე.

ნესვიცკი მძიმედ წამოდგა და ღიმილით გენერალთან მივიდა.

– ხომ არ ინებებს თქვენი აღმატებულება დანაყრებას? – მიმართა მან გენერალს.

– ცუდად არის საქმე, – უთხრა მან და ნესვიცკის პასუხი არ გასცა, – ჩვენებმა შეიგვიანეს.

– იქნებ საჭიროა წავიდე და გავიგო საქმის ვითარება, თქვენო აღმატებულება? – შეეკითხა ნესვიცკი.

– დიახ, წადით, გეთაყვა, – მიუგო გენერალმა და გაიმეორა ის, რაც ერთხელ უკვე დაწვრილებით ჰქონდა ნაბრძანები, – უთხარით ჰუსარებს, რომ უკანასკნელები გადმოვიდნენ და ცეცხლი წაუკიდონ ხიდს, როგორც უკვე ვუბრძანე. ამასთან, გასინჯონ ხიდზე საწვავი მასალა.

– კეთილი, – მიუგო ნესვიცკიმ.

კაზაკს, რომელსაც ცხენი ეჭირა, უბრძანა აზგა და მათარა აეღო. მერე, თავისი მძიმე ტანის მიუხედავად, ადვილად მოახტა ცხენს.

– მერწმუნეთ, შევივლი მონაზვნებთან, – უთხრა მან ოფიცრებს, რომელნიც ღიმილით შეჰყურებდნენ, და მიხვეულ-მოხვეული ბილიკით დაღმართზე დაეშვა.

– აბა, კაპიტანო, მოსცხეთ ერთი, ესროლეთ, სადამდისაც მიაღწევს, – მიმართა გენერალმა არტილერისტს, – გაერთეთ, თორემ მოგეწყინებათ.

– ქვემეხებთან! – დაიძახა ოფიცერმა და ერთი წუთის შემდეგ არტილერისტები კოცონებს მოშორდნენ, მხიარულად მოცვივდნენ და ქვემეხები გატენეს.

– პირველი! – მოისმა ბრძანება.

მარჯვედ გადახტა უკან პირველი ნომერი. გაისმა ქვემეხის გამაყრუებელი გრიალი, და რუსების თავზე, გორაკის ქვემოთ, სტვენით გადაიქროლა ყუმბარამ, მაგრამ ვერ მიაღწია მტერს და კვამლით აღნიშნა თავისი დაცემისა და გასკდომის ადგილი.

ამ ხმაზე ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სახეები გაუმხიარულდათ; ყველა ფეხზე წამოიჭრა, ყველა თვალყურს ადევნებდა თავიანთი ჯარის მოძრაობას ქვემოთ, ხოლო მის წინ – მოახლოებული მტრის

მოძრაობას. ყველაფერი ეს ისე მოჩანდა, როგორც ხელისგულზე. სწორედ იმ წუთს მზემ თავი დააღწია ღრუბლებს, და ამ ცალკეული გასროლის მჭექარე ხმა და გავარვარებული მზის ბრწყინვალეობა შეერთდა მებრძოლთა გამამხნეველად და გამამხიარულებლად.

თავი მეშვიდე

ხიდის თავზე უკვე გადაიქროლა მტრის ორმა ყუმბარამ და ხიდზე ჭაპანწყვეტა ატყდა. ცხენიდან ჩამომხტარი თავადი ნესვიცკი, თავისი სქელი ტანით მოაჯირს რომ მიჰკვროდა, შუა ხიდზე იდგა. სახე უკან მიექცია და ღიმილით კაზაკს შეჰყურებდა, რომელსაც, რამდენიმე ნაბიჯით დაშორებულს, ორი ცხენი ეჭირა. ის-ის იყო, თავადმა ნესვიცკიმ მოიწადინა წინ წასვლა, რომ ჯარისკაცებმა და საბარგულეებმა კვლავ შებოჭეს და მოაჯირს მიაკრეს, გაღიმების მეტი რა ჩარა ჰქონდა!

– რა კაცი ხარ, ძმაო! – ეუბნებოდა კაზაკი არტილერიის საბარგულის ჯარიკაცს, რომელიც თავისი ოთხთვალათი დაურიდებლად მიიწევდა წინ და ყურადღებას არ აქცევდა საბარგულის თვლებთან და ცხენების ფეხებთან მოფუსფუსე ქვეით ჯარისკაცებს, – რა კაცი ხარ! მოთმინება არა გყოფნის. ხომ ხედავ, გენერალმა უნდა გაიაროს.

მაგრამ მებარგულმა არაფრად ჩააგდო გენერლის ხსენება და დაუყვირა ჯარისკაცებს, რომელთაც გზა გადაუღობეს:

– ეი, ჩვენებურებო, მარცხნივ მიდექით, მარცხნივ!

მაგრამ ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული „ჩვენებურები“ განუწყვეტელ, ერთიან მასად გადაქცეულნი, შეუჩრებლად მიიმართებოდნენ ხიდზე. თავადმა ნესვიცკიმ მოაჯირიდან გადაიხედა და დაინახა ენსის სწრაფი, შფოთიანი, არცთუ მაღალი ტალღები, რომელნიც, ერთურთში შერეულნი, აქაფებულნი და ხიდის ბურჯებთან წამით უკუქცეულნი, ერთმანეთს უსწრებდნენ. შემდეგ ხიდს გახედა და დაინახა ჯარისკაცთა ასეთივე ერთფეროვანი ცოცხალი ტალღები, დაინახა ფოჩებიანი ზონრები, კივერები,[67] ჩანთები, ხიშტები, გრძელი თოფები, ხოლო კივერებს ქვეშ – ყვირიმალის ფართომკვლიანი სახეები, ლოყები რომ ჩასცვენოდათ და უზრუნველ-დაღლილი გამომეტყველება აღბეჭდვოდათ, დაინახა ხიდის ფიცრებზე დაგროვილ და აზელილ ტალახში მოძრავი ფეხები. ზოგჯერ ჯარისკაცთა ერთფეროვან ტალღებში, როგორც თეთრი ქაფის აშხეფება ენსში, თავისებური, ჯარისკაცებისგან განსხვავებული ფიზიონომიის, წამოსასხამიანი ოფიცერი გამოჩნდებოდა; ზოგჯერ ქვეით ჯარისკაცთა ტალღა მდინარეში ათამაშებული ნაფოტივით მიაქანებდა ხიდზე ქვეითად მიმავალ ჰუსარს, მსახურს ან ადგილობრივ მცხოვრებს; ზოგჯერ მდინარის მიერ მოტაცებული მორგვივით მიცურავდა ხიდზე ხალხით გარშემორტყმული, პირთამდე გავსებული და ტყავებგადაფარებული ასეულის ან ოფიცრის ოთხთვალა.

– ერთი უყურე, თითქოს წყალს ჯებირი გაურღვევიაო, – თქვა უიმედოდ გაჩერებულმა კაზაკმა, – ნეტა ბევრია კიდევ დარჩენილი?

– მილიონია ერთით ნაკლები! – თვალის ჩაკვრით უპასუხა მის გვერდით ჩავლილმა დახეულფარაჯიანმა ჯარისკაცმა და მაშინვე თვალს მიეფარა, მის შემდეგ გაიარა მოხუცმა ჯარისკაცმა.

– ნახავ ახლა, როგორ დაუშენს ის (ის – მტერი) ხიდს, – ეუბნებოდა პირკუმტი მოხუცი ჯარისკაცი თავის ამხანაგს, – თავის მოფხანასაც ვეღარ მოასწრებ.

და მანაც ჩაიარა. მას მისდევდა სხვა ჯარისკაცი, რომელიც ოთხთვალაში იჯდა.

– სად ჯანდაბას ჩამალე, შე ჯოჯოხეთო, შენა, ფეხსახვევები? – ეუბნებოდა მას მსახური ჯარისკაცი, ძუნძულით მისდევდა ოთხთვალას და მის უკანა ნაწილში ხელებს აფათურებდა

ამ ოთხთვალამაც ჩაიარა.

ამას მისდევდნენ მხიარული და, ეტყობოდა, გადაკრული ჯარისკაცები.

– არა, უნდა გენახა, როგორ სთხლიშა კონდახი შიგ კბილებში... – სიხარულით და ხელების ქნევით ეუბნებოდა მალა აკეცილ ფარაჯაში გამოწყობილი ერთი ჯარისკაცი მეორეს.

– აბა, ეგ იქნებოდა აი, გემრიელი ლორი, – მიუგო მეორემ ხარხარით.

და მათაც, ისე ჩაიარეს, რომ ნესვიცკიმ ვერ გაიგო, ვის სთხლიშეს კბილებში და რა ლორზე იყო ლაპარაკი.

– როგორ ჩქარობენ! მან ფუჭი ისროლა და ჰგონიათ, ყველას ამოჟლეტენ, – ამბობდა გაჯავრებული, საყვედურის კილოთი უნტეროფიცერი.

– ისე გამიქროლა გვერდზე, ბიძია, ყუმბარამ, კინაღამ სული გამძვრა! – ამბობდა და თან სიცილს ძლივს იკავებდა ახალგაზრდა, ვეებაპირიანი ჯარისკაცი, – ღმერთმანი, ძალზე შემეშინდა! – ისე ამბობდა ჯარისკაცი, თითქოს იკვებხნიდა, რომ შეეშინდა.

მანაც ჩაიარა. მას მისდევდა ოთხთვალა, რომელიც არაფრით ჰგავდა მანამდე გავლილთ. ეს იყო ორცხენიანი გერმანული ფორშპანი, თითქოს მთელი სახლით დატვირთული. ფორშპანისთვის, რომელიც გერმანელს მიჰყავდა, უკან გამოებათ ლამაზი, ჭრელი, უზარმაზარცურიანი ძროხა. ლეიბებზე ისხდნენ ქალი ძუძუთა ბავშვით, მოხუცი დედაკაცი და ახალგაზრდა, თეთრყირმიზა, ჯან-ღონით სავსე გერმანელი ქალიშვილი. ეტყობოდა, განსაკუთრებული ნებართვით გამოეშვათ ეს ლტოლვილი მოქალაქენი. ყველა ჯარისკაცმა თვალეები ამ ქალებს მიაპყრო, და ვიდრე ფორშპანი წელი ნაბიჯით მიიზღაზნებოდა ხიდზე, ჯარისკაცთა ყოველი შენიშვნა მხოლოდ და მხოლოდ ორ ქალს ეხებოდა. ყველას სახეზე უკადრისი ღიმილი უთამაშებდა, რის მიზეზსაც ეს ქალები შეადგენდნენ.

– შეხედე ერთი, ეს კალბასიც[68] რომ აბარებულა!

– ჰეი, ძმობილო, მომყიდე ეგ ქალი! – მიმართა მეორე ჯარისკაცმა გერმანელს, რომელსაც თვალეები დაეშვა და გაჯავრებული და შეშინებული განიერი ნაბიჯით მიდიოდა.

– როგორ მორთულა და!

– აი, ფედოტოვო, შენ უნდა ჩაგაყენონ მაგათთან.

– გვინახავს, ძმაო, მაგათნაირები!

– საით? – შეეკითხა ვაშლის ჭამით ქვეითი ოფიცერი გერმანელს. ისიც სხვებივით იღიმებოდა და ლამაზ ქალიშვილს შეჰყურებდა.

გერმანელმა თვალეები მოჭუტა და ანიშნა, – არ მესმის, რას მეკითხებიო.

– აჰა, თუ გინდა, აიღე, – მიმართა იმავე ოფიცერმა ქალიშვილს და ვაშლი გაუწოდა.

ქალიშვილმა ღიმილით ვაშლი ჩამოართვა.

ნესვიცკი, როგორც ყველა სხვა ხიდზე მყოფი, თვალს არ აშორებდა ქალებს, სანამ ხიდს არ გასცდნენ. როდესაც გაიარეს, კვლავ წამოვიდნენ ასეთივე ჯარისკაცები ასეთივე ლაპარაკით და, ბოლოს, უეცრად ყველანი გაჩერდნენ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ხიდის ბოლოში ასეულის ოთხთვალას ცხენები შეფერხდნენ, და მთელ ხალხს უნდა დაეცადა.

– რატომ გაჩერდნენ ნეტავ? წესრიგი არ არის! – ამბობდნენ ჯარისკაცები, – რას მოძვრები, შე ოხერო?! ვერ მოითმენ! უარესი დღე დაგადგება, როცა ის ცეცხლს წაუკიდებს ხიდს. აგერ ოფიცერიც მიუჭექყავთ, – ამბობდნენ შერებულნი, ერთმანეთს ათვალთვლებდნენ და ცდილობდნენ გზის გაკვლევას ხიდის ბოლოსკენ.

ნესვიცკიმ კვლავ მდინარეს გადახედა და უეცრად გაიგონა რაღაც ახალი, უცნობი ხმა, რომელიც სწრაფად ახლოვდებოდა და რომელმაც წყალში ტყაპანი მოაძინა.

– დახე, სად უმიზნებს! – თქვა მკაცრად ახლო მდგომმა ჯარისკაცმა და ხმაზე უკან მიიხედა.

– გვაქეზებენ, რომ ჩქარა გავიაროთ ხიდი, – უთხრა მეორემ, შემფოთებულმა.

ბრბო კვლავ დაიძრა. ნესვიცკი მიხვდა, რომ ყუმბარა იყო.

– ჰეი, კაზაკო, მომგვარე ცხენი! – დაუძახა მან კაზაკს, – აბა, გაიწ-გამოიწიეთ, გზა მოგვეცით!

მან დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწია ცხენამდე. წინ მიიწევდა, თან განაგრძობდა ყვირილს. ჯარისკაცებმა მიიწ-მოიწიეს, რათა გზა მიეცათ, მაგრამ მალე კვლავ მიაწვნენ და ფეხი დაუბეჭვეს; ამაში მახლობლად მდგომნი არ იყვნენ დამნაშავენი, რადგან მათ სხვები აწვებოდნენ უკანიდან.

– ნესვიცკი! ნესვიცკი! ეი, ჯოჯოვ! – მოესმა ამ დროს უკნიდან ხრინწიანი ხმა.

უკან მობრუნებულმა ნესვიცკიმ თხუთმეტიოდე ნაბიჯზე დაინახა შავი, თმააწეწილი, კეფაზე ქუდგადადებული, მხრებზე კოხტად კურტაკწამოსხმული ვასკა დენისოვი; მას და დენისოვს მოძრავი ქვეითი ჯარის ცოცხალი მასა ჰყოფდა.

– უბრძანე მაგ ეშმაკებს, მაგ ქაჯებს, გზა მოგვეცენ! – ყვიროდა დენისოვი, აბრიალებდა ნაკვერჩხალივით გავარვარებულ თვალებს და ქარქაშიდან ამოუღებლად იქნევდა ხმალს, რომელიც პატარა და ისეთივე წითელ, შიშველ ხელში ეჭირა, როგორც სახე ჰქონდა. ეტყობოდა, დენისოვი ძალზე გაბრაზებული იყო.

– ოჰ, ვასია! – შესძახა სიხარულით ნესვიცკიმ, – რა გინდა?

– ესკადრონს ვერ გაუვლია, – ყვიროდა კვლავ ვასკა დენისოვი, ბრაზისგან თეთრ კბილებს აჩენდა და დეზებს უჭერდა ლამაზ, შავ, ჯიშინ ცხენს, რომელსაც, ჯარისკაცთა ხიშტებისგან დამფრთხალს, ყურები აეცქვიტა და ირგვლივ თეთრ დუქს ფრუტუნით ისროდა, ფლოქვებს ხიდის ფიცრებს ურტყამდა, თითქოს მხედარს რომ ნება მიეცა, მოაჯირიდან გადაეშვებოდა.

– ეს რა ამბავია? ცხვრები არიან, ნამდვილი ცხვრები! ეი, შენ, გაიწიე განზე, გზა დაგვითმე!.. შე ოთხთვალავ, გაჩერდი მანდ, თორემ აგკუწავ! – დაიყვირა მან, მართლაც იშიშვლა ხმალი და დაუწყო ქნევა.

დამფრთხალი ჯარისკაცები ერთმანეთს მიეკვრნენ, და დენისოვი ნესვიცკისთან წავიდა.

– რა ამბავია, მთვრალი ხომ არა ხარ დღეს? – უთხრა ნესვიცკიმ დენისოვს, როდესაც ეს უკანასკნელი მასთან მივიდა.

– დასათრობადაც ვეღარ მოგიცლია კაცს! – მიუგო ვასკა დენისოვმა, – მთელ დღეს აქეთ-იქით დაათრევენ პოლკს. თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს, თორემ რას ჰგავს ეს?!

– რა გამოპრანჭული გამოიყურები! – უთხრა ნესვიცკიმ და აუთვალ-ჩაუთვალა კურტაკი და ყაჯარი[69].

დენისოვმა გაიღიმა, ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ნესვიცკის ცხვირთან მიუტანა. ცხვირსახოცი სასიამოვნო სურნელს აფრქვევდა.

– სხვანაირად არ შეიძლება: საბრძოლველად მივდივარ! გავიპარსე, კბილები გავიხეხე და სურნელება ვიპკურე.

ნესვიცკის წარმოსადგობამ, რომელსაც ამასთანავე კაზაკიც ახლდა, და დენისოვის გაბედულებამ, რომელიც განუწყვეტლივ ხმალს იქნევდა და თავგანწირვით გაჰკიოდა, იმდენად იმოქმედა, რომ ხიდის მეორე თავს მიაღწიეს და ქვეითი ჯარი გააჩერეს. ნესვიცკიმ ხიდის ყურესთან ნახა ის პოლკოვნიკი, ვისთვისაც ბრძანება უნდა გადაეცა, და, რაკი დავალება შეასრულა, უკან გაბრუნდა.

დენისოვმა გზა გაათავისუფლა და ცხენი ხიდის შესასვლელთან გააჩერა. იგი ძლივს იკავებდა ულაცს, რომელიც ტორს სცემდა მიწას და თავისიანებისკენ მიიწევდა. დენისოვი უკვე დაძრულ ესკადრონს გაჰყურებდა, ხიდის ფიცრებზე გაისმა ცხენების ფეხის არეული ხმები, თითქოს რამდენსამე ცხენს მოაჭენებენო, და ესკადრონი, რომელსაც ოფიცრები მიუძღოდნენ, ხიდზე გაიჭიმა, ოთხ-ოთხი კაცი რიგში. მალე მან ხიდის მეორე თავს მიაღწია.

შეჩერებული ქვეითი ჯარისკაცები ახელილ ტალახში იდგნენ და იმ უკმაყოფილო გრძნობით, რომლითაც ჩვეულებრივ ხვდებიან ერთმანეთს ჯარის სხვადასხვა სახის წარმომადგენელი, შეჰყურებდნენ თავიანთ წინ მწყობრად მიმავალ, სუფთად და კობტად გამოწყობილ ჰუსარებს.

– გამოწყვილილი ბიჭები არიან! თვალის გასახარებლად თუ ვარგიან!

– რა სარგებლობაა მაგათგან! მხოლოდ საჩვენებლად დაჰყავთ! – ამბობდა მეორე.

– ქვეითებო, ნუ ამტვერებთ! – იოხუნჯა ჰუსარმა, რომლის ცხენმაც შეითამაშა და ტალახი შეუმხაპუნა ქვეით ჯარისკაცს.

– მაჩვენა შენი თავი ზურგზე აბგამოკიდებული ორი გადასასვლელის შემდეგ, ნახავდი, როგორ დაგაწყდებოდა ზონრები! – ამბობდა ქვეითი ჯარისკაცი და თან სახელოთი ტალახს იწმენდდა სახიდან, – შეხედე ერთი, რითი ჰგავს ადამიანს, ჩიტვით წამოსკუპულა ცხენზე! – დაუმატა მანვე.

– აი, შენ უნდა შეგსვან, ზიკინ, ცხენზე, დიდ მარიფათს გამოიჩენდი! – დასცინა ეფრეიტორმა გამხდარ, აბგის სიმძიმისგან მოკაკულ ჯარისკაცს.

– კეტი ამოიდე ლაჯებშუა და ცხენი იქნება! – გამოეხმაურა მათ ჰუსარი.

თავი მერვე

ხიდთან შეჯგუფებული დანარჩენი ქვეითი ჯარი ძაბრის მსგავსად აწვებოდა ხიდის ყურს და სასწრაფოდ გადიოდა ხიდზე. ბოლოს ყველა ოთხთვალამ გაიარა, ჭყლეტა შენელდა, უკანასკნელი ბატალიონიც ავიდა ხიდზე. მარტო დენისოვის ჰუსარებიღა რჩებოდნენ ხიდს იქით, მტრის პირისპირ. მტერი, რომელიც გამოდმა მაღლობიდან კარგად მოჩანდა, ჯერ კიდევ ვერ დაენახათ ქვემოდან, ხიდიდან, რადგან ხეობიდან, სადაც მდინარე მოედინებოდა, ჰორიზონტი თავდებოდა პირდაპირ მდებარე მაღლობით, არაუმეტეს ნახევარი ვერსის მანძილზე. წინ იყო უდაბური ადგილი, სადაც აქა-იქ რუსების კაზაკთა პატრულები მოძრაობდნენ. უეცრად პირდაპირ მდებარე მაღლობზე, გზაზე, ლურჯხალათიანი ჯარი და არტილერია გამოჩნდა. ესენი ფრანგები იყვნენ. კაზაკთა პატრულები ჩორთით გაეშურნენ მაღლობის ძირისკენ. თუმცა დენისოვის ესკადრონის ოფიცრები და ჯარისკაცები ცდილობდნენ გარეშე საგნებზე ელაპარაკათ და აქეთ-იქით ეცქირათ, მაგრამ მაინც განუწყვეტლივ ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა ხდებოდა იქ, გორაკზე, და წამდაუწუმ იყურებოდნენ ცის კიდურისკენ, იმ

ლაქებისკენ, რომლებიც მათ მტრის ჯარად მიაჩნდათ. ნაშუადღევს კვლავ გამოიდარა და გავარვარებული მზე დუნაისკენ და მის გარშემო მდებარე ბნელი მთებისკენ ეშვებოდა. სიწყნარე იყო. იმ მაღლობიდან დროგამოშვებით მოისმოდა მტრის ბუკ-ნაღარისა და ყვირილის ხმა. ესკადრონსა და მტერს შორის, წვრილ პატრულებს გარდა, აღარავინ იყო. ცარიელი ადგილი, სამასიოდე საყენილა ჰყოფდა მათ ურთიერთისგან. მტერმა სროლა შეწყვიტა, და მით უფრო მკვეთრად იგრძნობოდა ის მკაცრი, მრისხანე, მიუვალი და უჩინარი ხაზი, რომელიც ორი მტრის ჯარს ჰყოფნიდა.

„ერთი ნაბიჯი ამ ხაზს იქით, რომელიც ცოცხლებისა და მკვდრების გამყოფ ხაზს გვაგონებს, და მზად არის შეუცნობელი ტანჯვა და სიკვდილი. მერე რა არის იქ? ვინ არის იქ? იქ, ამ მინდორს იქით, ამ ხის, მზით განათებულ სახურავს იქით? არავინ იცის, გინდა კი იცოდე; საშინელებაა ამ ხაზზე გადასვლა, მაგრამ გინდა გახვიდე; იცი კიდეც, რომ ადრე თუ გვიან, მოგიხდება გადასვლა და იმის გაგება, თუ რა არის იქ, ხაზის მეორე მხარეს, როგორც აუცილებლად მოგიხდება იმის გაგება, თუ რა არის სიკვდილს იქით. თავად კი ღონიერი ხარ, ჯანმრთელი, მხიარული და გაგულსიებული, გარსაც ასეთი ჯანმრთელი და გაგულსიებულ-გაცხოველებული ადამიანები გახვევიან“. თუ ასე არ ფიქრობს, ასე მაინც გრძნობს ყოველი ადამიანი, რომელიც მტრის პირისპირ დგას, და ეს გრძნობა ყველაფერ იმ წუთში მომხდარს განსაკუთრებულ ელვარებას და შთაბეჭდილებათა სასიხარულო სიმძაფრეს აძლევს.

ბექობზე, მტრის რიგებში, კვამლი გამოჩნდა, და ყუმბარამ ჰუსართა ესკადრონს სტვენით თავზე გადაუარა. ერთად შეჯგუფებულმა ოფიცრებმა თავიანთ ადგილებს მიაშურეს. ჰუსარები გულმოდგინედ შეუდგნენ ცხენების მწყობრში ჩაყენებას. ესკადრონში ყოველივე დადუმდა. ყველანი წინ იცქირებოდნენ, მტრისკენ და ესკადრონის უფროსისკენ – მოელოდნენ ბრძანებას. გადაიქროლა მეორე, მესამე ყუმბარამ. აშკარა იყო, რომ ჰუსარებს ესროდნენ, მაგრამ ყუმბარა თანაბარი სისწრაფით უსტვენდა, ჰუსართა თავზე გადადიოდა და სადღაც უკან ეცემოდა. ჰუსარები უკან არ იყურებოდნენ, მაგრამ გადაქროლილი ყუმბარის ყოველ ზუზუნზე მთელი ესკადრონი თავისი ერთფეროვან-მრავალფეროვანი სახეებით, ვიდრე ყუმბარა მიფრინავდა, თითქოს ბრძანებით, სუნთქვაშეკრული, უზანგებზე დგებოდა და კვლავ ეშვებოდა, ჯარისკაცები თავს არ იბრუნებდნენ, აღმაცერად უცქერდნენ ერთმანეთს და ცნობისმოყვარეობით ცდილობდნენ იმის გაგებას, თუ რას განიცდიდა ამხანაგი. ყოველ სახეზე, დენისოვიდან მეტუკემდე, ტურებსა და ნიკაპთან აღიბეჭდა ერთი ხაზი – ბრძოლის, გაღიზიანებისა და მღელვარების ხაზი. ვახმისტრი ჯარისკაცებს ათვალისწინებდა და იღუმებოდა, თითქოს ემუქრება – დაგსჯითო. იუნკერი მირონოვი ყუმბარის ყოველ გადაფრენაზე იხრებოდა. როსტოვი თავის ფეხებდაზიანებულ, მაგრამ წარმოსადეგ გრაჩიკზე იჯდა. იგი მარცხენა ფრთაზე იყო და ბედნიერად გამოიყურებოდა გამოცდაზე გაწვეულ მოწაფესავით, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავს ისახელებს დიდი საზოგადოების წინაშე. გულლიად და დაურიდებლად იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს ეხვეწებოდა ყველას, – შემომხედეთ, რა მშვიდად ვდგავარ ყუმბარებს ქვეშო. მაგრამ ის ხაზი, რაღაც ახლისა და ძველის აღმნიშვნელი ხაზი, მისი სურვილის წინააღმდეგ, გამოჩნდა მის სახეზეც, მის პირთან.

– ვინ აკანტურებს მანდ თავს? იუნკერ მირონოვი! რას ჰგავს ეს, მე შემომხედეთ! – შეჰყვირა დენისოვმა, რომელსაც გული არ უდგებოდა ერთ ადგილას და ცხენს ციბრუტივით ატრიალებდა ესკადრონის წინ.

პაჭუაცხვირიან ვასკა დენისოვის შავი, ბალნიანი სახე და მთელი მისი პატარა ჩატიკნილი ფიგურა, ძარღვიან ხელში (ბალნით დაფარული მოკლე თითებით), ამოწვდილი ხმალი რომ ეჭირა, ახლაც სწორედ ისეთი იყო, როგორც სხვა დროს, მეტადრე სადამოობით, ორი ბოთლის დაღვევის შემდეგ რომ ხდებოდა ხოლმე. ის მხოლოდ ჩვეულებრივზე უფრო გაწითლებულიყო. უეცრად დენისოვმა ბანჯგვლიანი თავი მაღლა ასწია, ისე, როგორც სტვენის დროს ფრინველები იქცევიან, პატარა ფეხებით უწყალოდ მოუჭირა დეხები კეთილ ბედუნს, თითქოს უკან ვარდებო, ესკადრონის მეორე ფრთისკენ

გააქანა იგი და ხრინწიანი ხმით დაუყვირა მხედრებს, – დამბაჩები გაისინჯეთო. შემდეგ კირსტენისკენ გაეშურა. შტაბროტმისტრი, რომელიც ზორბა და დინჯ ფაშატზე იჯდა, წელი სვლით მიემართებოდა დენისოვისკენ. შტაბროტმისტრი, თავისი გრძელი უღვაშით, როგორც ყოველთვის, სერიოზულად გამოიყურებოდა, მხოლოდ თვალები უბრწყინავდა ჩვეულებრივზე მეტად.

– ხომ ხედავ? – მიმართა მან დენისოვს, – საქმე ბრძოლამდე არ მივა. აი, ნახავ, უკან დაგვაბრუნებენ.

– ეშმაკმა იცის, რას სჩადიან! – ჩაიბუტბუტა დენისოვმა, – ეი, როსტოვ! – დაუყვირა როსტოვს, როცა მისი მხიარული სახე დაინახა, – ხომ ეღირსე!

და ტკბილად გაუღიმა, ეტყობოდა, სიხარულს ჰგვრიდა იუნკრის დანახვა. როსტოვმა მთლად ბედნიერად იგრძნო თავი.

ამ დროს ხიდზე უფროსი გამოჩნდა. დენისოვმა მისკენ გააქანა ცხენი.

– თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით, იერიში მივიტანო! ხელად უკუვაგდებ!

– რა დროს იერიშია! – მიუგო უფროსმა მოწყენილი ხმით და შუბლი შეკრა. თითქოს მომაბეზრებელ ბუზს იგერიებდნენ, – ან კი რას უდგახართ აქ? ხომ ხედავთ, ფრანკერები უკან იხევენ. დააბრუნეთ ესკადრონი!

ესკადრონი ხიდს გადავიდა; ისე გასცილდა სროლის ადგილს, რომ არც ერთი კაცი არ დაუკარგავს. მის შემდეგ ხიდს გადავიდა მეორე ესკადრონიც, რომელიც მოწინავე სადარაჯოზე იდგა. ბოლოს, უკანასკნელად კაზაკებმაც მიატოვეს გაღმა მხარე.

პავლოგრადელთა ორი ესკადრონი ხიდზე გავლის შემდეგ გორაკისენ გაემართა. პოლკის უფროსი, კარლ ბოგდანოვიჩ შუბერტი, დენისოვის ესკადრონთან მივიდა და მასთან ერთად განაგრძო გზა. იგი მიდიოდა წელი სვლით როსტოვის მახლობლად, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ უკანასკნელს, თუმცა, ტელიანინის გამო მომხდარი შეტაკების შემდეგ პირველად ხედავდნენ ერთმანეთს. როსტოვი, რაკი გრძნობდა, რომ ფრონტზე იმ კაცის ხელქვეითი იყო, რომლის წინაშეც ახლა თავი დამნაშავედ მიაჩნდა, თვალს არ აშორებდა პოლკის უფროსის გოლიათურ ზურგს, ქერა კეფას და წითელ კისერს. ხან ისე ეჩვენებოდა, რომ ბოგდანოვიჩი განზრახ არ ამჩნევდა მას, რომ ერთადერთი მისი მიზანია – გამოცადოს იუნკრის ვაჟკაცობა, და როსტოვიც წელში სწორდებოდა, მხიარულად იყურებოდა. ხან ეგონა, რომ ბოგდანოვიჩმა საგანგებოდ აირჩია ადგილი მის მახლობლად, რათა დაენახებინა როსტოვისთვის თავისი სიმამაცე. ხან ფიქრობდა, რომ მისი მტერი ახლა განზრახ გაგზავნის ესკადრონს თავგანწირულ იერიშზე. რათა დაესაჯა ის, როსტოვი. ხან კი ფიქრობდა, რომ იერიშის შემდეგ პოლკის უფროსი სულგრძელობას გამოიჩენდა, მასთან მივიდოდა შესარიგებლად და ხელს გაუწოდებდა დაჭრილს.

პოლკის უფროსთან მივიდა პავლოგრადელების ნაცნობი ჟერკოვი (მან ახლახან მიანება თავი პოლკში სამსახურს) მაღალი, აწურული მხრებით. მთავარი შტაბიდან განდევნის შემდეგ ჟერკოვმა არ მოისურვა პოლკში დარჩენა: – სულელი როდი ვარ, – ამბობდა ის, – ვწიო ჭაპანი ფრონტზე, როცა შტაბში არაფერს გავაკეთებ და მეტ საჩუქარს მივიღებო, – და მოახერხა იმდენი, რომ თავად ბაგრატიონთან შიკრიკად მოეწყო. ახლა თავის ყოფილ უფროსს ბრძანება მიუტანა არიერგარდის უფროსისგან.

– პოლკოვნიკო, – მიმართა მან ჩვეულებისამებრ დაღვრემილი სერიოზულობით როსტოვის მტერს, თან ამხანაგებს გადახედა, – ბრძანებაა ხიდს ცეცხლი წავუკიდოთ.

– Кто велено (ვინ ბრძანებაა)? [70] – ჰკითხა პირქუშად პოლკოვნიკმა.

– არ ვიცი, პოლკოვნიკო, ვინბრძანებაა, – მიუგო სერიოზულად კორნეტმა, – მხოლოდ თავადმა მიბრძანა: „წადი და პოლკოვნიკს უთხარი, ჰუსარები სწრაფად დაბრუნდნენ და ხიდს ცეცხლი წაუკიდონო“.

ჟერკოვის შემდეგ ჰუსართა პოლკოვნიკთან იმავე ბრძანებით ამაღის ოფიცერი მივიდა, ხოლო მას ფეხდაფეხ მიჰყვა ნესვიცკი, რომლის ზორბა ტანი დაოთხილ ცხენს ძლივს მიჰქონდა.

– ხომ მოგახსენეთ, პოლკოვნიკო, – ყვიროდა შორიდანვე ნესვიცკი, – ხიდს ცეცხლი უნდა წაუკიდოთ-მეთქი, ახლა კი ვიღაცამ აურია; იქ ყველანი ჭკუაზე შეიშალნენ, ვერაფერს გაიგებ.

პოლკოვნიკმა აუჩქარებლად გააჩერა პოლკი და ნესვიცკის მიმართა:

– თქვენ მითხარით საწვავ ნივთიერებაზე, – უთხრა მან, – იმაზე კი, რომ ცეცხლი წამეკიდა, არაფერი გითქვამთ.

– როგორ არა, მამავ ბატონო, – ჩაილაპარაკა უკვე შეჩერებულმა ნესვიცკიმ, ქუდი მოიხადა და ფუნთუშა ხელით ოფლისგან დასველებული თმა გაისწორა, – როგორ არა, გითხარით. ხიდისთვის ცეცხლი წაგეკიდებინათ, როცა საწვავ ნივთიერებას ჩადებდით.

– მე თქვენთვის მამა ბატონი არ ვარ, ბატონო შტაბოფიცერო, და თქვენ ჩემთვის არ გითქვამთ, ხიდს ცეცხლი წაუკიდეთ. მე სამსახური ვიცი და ჩვეულებად მაქვს, ბრძანება სწორად შევასრულო. თქვენ თქვით, ხიდს წაუკიდებენო, ხოლო ვინ წაუკიდებდა, სულიწმიდა ვერ ჩამაგონებდა...

– ასეა ყოველთვის, – ჩაიქნია ხელი ნესვიცკიმ, – შენ საიდან გაჩნდი აქ? – მიმართა მან ჟერკოვს.

– ამავე საქმისთვის მოვედი. შენ, მგონი, ხავსი მოგკიდებია აქ. მოდი, გაგწმინდო.

– თქვენ თქვით, ბატონო შტაბოფიცერო... – განაგრძო პოლკოვნიკმა ნაწყენი კილოთი.

– პოლკოვნიკო, – გააწყვეტინა ამაღის ოფიცერმა, – საჭიროა აჩქარება, თორემ მტერი იმდენად წამოსწევს წინ ქვემეხებს, რომ ფინდიხი[71] ჩვენამდე მოაღწევს.

პოლკოვნიკმა ხმის ამოუღებლად შეხედა ამაღის ოფიცერს, სქელ შტაბოფიცერს, ჟერკოვს და შუბლი შეკრა.

– მე ხიდს ცეცხლს წავუკიდებ, – თქვა მან აღტაცებული კილოთი, თითქოს ამით სურდა ყველასთვის ემცნო, იმ უსიამოვნების მიუხედავად, რომელსაც მაყენებენ, მე მაინც გავაკეთებ იმას, რაც საჭიროაო.

პოლკოვნიკმა გრძელი, ძარღვიანი ფეხები შემოჰკრა ცხენს, თითქოს ის ყოფილიყოს ყველაფერში დამნაშავე, წინ წაიწია და მეორე ესკადრონს, სწორედ იმას, სადაც დენისოვის უფროსობით როსტოვი მსახურობდა, უბრძანა, დაბრუნებულიყო უკან, ხიდისკენ.

„აკი ვამბობდი, – გაუელვა როსტოვს თავში, – სურს გამომცადოს!“ გული შეეკუმშა, სახე აუწითლდა. „დაე, ნახოს, მხდალი ვარ თუ არა“, – გაიფიქრა მან.

ყველას სახემ კვლავ სერიოზული გამომეტყველება მიიღო. ისეთი, როგორიც დაეტყოთ მაშინ, როცა მათ თავზე ყუმბარები გადადიოდნენ. როსტოვი გაშტერებული შესცქეროდა თავის მტერს, პოლკის უფროსს, უნდოდა მის სახეზე ამოეკითხა თავისი გუმანის დადასტურება; მაგრამ პოლკოვნიკს არც ერთხელ არ შეუხედავს როსტოვისთვის. იგი, როგორც ყოველთვის, რაზმის ფრონტს გაჰყურებდა, გაჰყურებდა მრისხანედ და აღტყინებით. მოისმა ბრძანება.

– მარდად! მარდად! – ჩაილაპარაკა მის გვერდით რამდენიმე ხმამ.

ჰუსარები დეზების წკარუნით სწრაფად ხტებოდნენ ცხენებიდან, თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ. პირჯვარს იწერდნენ. როსტოვი პოლკის უფროსს აღარ უყურებდა, არ ეცალა. ეშინოდა, როცა ცხენი ცხენმატარს გადასცა, და გრძობდა, როგორი დაგადუგით აწვებოდა სისხლი გულზე. დენისოვმა გვერდით ჩაუარა. უკან გადახნილი, იგი რაღაცას ყვიროდა. როსტოვი ვერაფერს ამჩნევდა, ხედავდა მხოლოდ, როგორ გარბოდნენ გარშემო დეზების წკარუნით და ხმლების ჩხარუნით ჰუსარები.

– საკაცე! – დაიმახა ვიღაცამ უკან.

როსტოვმა ვერ მოიფიქრა, რას ნიშნავდა საკაცის მოთხოვნა, იგი მხოლოდ გარბოდა, ცდილობდა ყველასთვის გაესწრო; გარბოდა ისე, რომ ქვემოთ, ფეხებისკენ არ იყურებოდა, როცა ზედ ხიდთან ახელილ ტალახში მოჰყვა, წაიბორძიკა და ხელებზე დაეცა. უკან მყოფებმა გაუსწრეს.

– ორივე მხრიდან, როტმისტრო! – მოესმა ამ დროს ხმა პოლკის უფროსისა, რომელმაც ჯარისკაცებს წინიდან წამოუარა და თავისი ცხენი ხიდის მახლობლად გააჩერა. იგი მხიარულად გამოიყურებოდა.

როსტოვმა ტალახში ამოსვრილი ხელები რეიტუზზე გაიწმინდა, სახე უკან მიიბრუნა, თავის მტერს შეხედა და დააპირა წინ გაქცევა, – ეგონა, რაც უფრო შორს გავიქცევი, მით უკეთესი იქნებაო. მაგრამ ბოგდანიჩმა ამ დროს დაუყვირა, თუმცა ვერ იცნო იგი:

– ვინ მირბის შუა ხიდზე? მარჯვენა მხრით! იუნკერო, უკან! – დაუმახა მან გაჯავრებულმა და მიმართა დენისოვს, რომელმაც სიმაძაცის გამოსაჩენად ხიდის ფიცრებზე შეაგდო თავისი ცხენი:

– რატომ იმეტებთ თავს, როტმისტრო? უმჯობესია ჩამოხტეთ!

– სულერთია, ტყვია თავის საკბილოს იპოვის, – მიუგო ვასკა დენისოვმა და უნაგირზე შეტრიალდა.

ამასობაში ნესვიცკი, ჟერკოვი და ამალის ოფიცერი, რომელნიც ისეთ ადგილას იდგნენ, სადამდეც ტყვია ვერ აღწევდა, გაჰყურებდნენ ხან ყვითელ კივერებს, ზონრებით აჭრელებულ მუქ-მწვანე ქურთუკებსა და ლურჯ რეიტუზებში გამოწყობილ და ხიდთან მოფუსფუსე ადამიანთა ამ პატარა ჯგუფს, ხან – მდინარის მეორე მხრიდან მომავალ ლურჯხალათიანებს და ცხენებიან ჯგუფებს, რომლების ქვემეხებად მიღება ადვილად შეიძლებოდა.

„მოსწრებენ თუ არა ხიდისთვის ცეცხლის წაკიდებას? ვინ ვის დაასწრებს: ჰუსარები ცეცხლის წაკიდებას თუ ფრანგები ყუმბარის მანძილზე მოახლოებას და ხიდზე მყოფთა ამოჟლეტას?“ – ამ კითხვას უნებურად და გულისფანცქალით აძლევდა თავის თავს ყოველი იმათგანი, ვინც ხიდს ზემოთ იდგა, – იქ კი ჯარის დიდი რაოდენობა იდგა, – და სადამოს გავარვარებულ შუქზე გაჰყურებდა ხიდს და ჰუსარებს, ხოლო მეორე მხარეს, გადაღმა – ხიმტებითა და ქვემეხებით მომავალ ლურჯხალათიანებს.

– ოჰ, მოხვდებათ ჰუსარებს! – თქვა ნესვიცკიმ, – ახლა უკვე ფინდიხის მანძილზე არიან.

– სულ ტყუილად წაიყვანა ამდენი ხალხი, – გამოეხმაურა ამალის ოფიცერი.

– მართლაც, – დაუდასტურა ნესვიცკიმ, – ორი კაციც საკმაო იყო.

– ეე, თქვენო ბრწყინვალეზავ, – ჩაერია ჟერკოვი, რომელიც თვალს არ ამორებდა ჰუსარებს, იგი ლაპარაკობდა თავისი ჩვეულებრივი გულუბრყვილო მანერით, რომლის გამოც კაცი ვერ მიხვდებოდა, სერიოზულად ლაპარაკობდა თუ არა, – ეე, თქვენო ბრწყინვალეზავ, უცნაურად მსჯელობთ: ორი კაციც საკმარისი იყო; მერე, ჩვენ ვინლა მოგვცემს ვლადიმირს ბანტით? ახლა კი, თუმცა დასცხებენ ჩვენებს, მაგრამ, სამაგიეროდ, შეიძლება მთელი ესკადრონის წარდგენა და თავადაც ბანტის მიღება. ჩვენმა ბოგდანიჩმა წესები იცის.

– შეხედეთ! – წამოიძახა ამაღლის ოფიცერმა, – ეს უკვე ფინდიხია!

მან ხელი გაიშვირა ფრანგთა ქვემეხებისკენ, რომლებსაც წინალებს ხსნიდნენ და ცხენები სასწრაფოდ უკან მიჰყავდათ.

ფრანგების მხარეზე, იმ ჯგუფებში, სადაც ქვემეხები იდგა, გამოჩნდა კვამლი, თითქმის ერთდროულად ერთგან, მეორეგან, მესამეგან, და იმ წუთს, როგორც კი მოაღწია პირველი გასროლის ხმამ, გამოჩნდა კვამლი მეოთხეგანაც. მოისმა ზედიზედ ორი გასროლის ხმა და მერე მესამე გასროლის ხმაც.

– ოჰ! – ამოიოხრა ნესვიცკიმ თითქოს მწარე ტკივილისგან და ხელი სტაცა ამაღლის ოფიცერს, – ხედავთ, ერთი დაეცა! დიახ, დაეცა!

– მგონი, ორი დაეცა.

– მე რომ მეფე ვიყო, არასოდეს ვიომებდი, – თქვა ნესვიცკიმ და პირი იბრუნა.

ფრანგები თავიანთ ქვემეხებს კვლავ სასწრაფოდ ტენიდნენ. ლურჯხალათიანი ქვეითი ჯარი სირბილით მოემართებოდა ხიდისკენ. კვლავ გამოჩნდა აქა-იქ კვამლი, მაგრამ სხვადასხვა დროს და ატკაცუნდა და აგრიალდა ფინდიხი ხიდზე. ნესვიცკის ახლა აღარ შეეძლო იმის დანახვა, რაც ხიდზე ხდებოდა: ხიდიდან ხშირი კვამლი ავარდა. ჰუსარებმა მოასწრეს ხიდისთვის ცეცხლის წაკიდება, და ფრანგთა ბატარეები ახლა ისროდნენ არა იმისთვის, რომ ხელი შეეშალათ ჰუსარებისთვის, არამედ იმიტომ, რომ ზარბაზნები მომზადებული ჰქონდათ და ჰუსარები ნიშანში ამოდებული ჰყავდათ.

ფრანგებმა სამჯერ მოასწრეს გასროლა, ვიდრე ჰუსარები ცხენებს დაუბრუნდებოდნენ. ორი ფინდიხი გადასცდა, სამაგიეროდ მესამემ, ჰუსართა ჯგუფის შუაგულში ჩავარდნილმა, სამი კაცი წააქცია.

როსტოვი, შეწუხებული თავისი ურთიერთობით ბოგდანიჩთან, ხიდზე გაჩერდა. არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ასაკუწი (ასე ჰქონდა წარმოდგენილი ბრძოლა) არავინ იყო, ვერც ხიდისთვის ცეცხლის წაკიდებაში შევლოდა ჰუსარებს, რადგან სხვა ჯარისკაცებივით ჩალის კონა არ ჰქონდა თან. იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა, როცა უეცრად ხიდზე ტკაცატკუცი გაისმა, თითქოს კაკალი მიმოაბნისო, და როცა ერთი ჰუსარი კვნესით დაეცა, როსტოვი სხვებთან ერთად წაქცეულს მივარდა. კვლავ წამოიძახა ვილაცამ. საკაცეო, წაქცეულს ოთხმა კაცმა სტაცა ხელი და აწევა დაუწყო.

– ვაი, ვაი!.. თავი დამანებეთ, ღვთის გულისათვის! – დაიყვირა დაჭრილმა, შორეულ ადგილებს გადაავლო თვალი, მერე დუნაის გადახედა, ცას და მზეს ახედა. რა კარგია ცა, როგორ მტრედისფრად, წყნარად და მშვიდად გამოიყურება! რა კაშკაშით და ზეიმით ეშვება მზე! რა ალერსიანად ლივლივებს წყალი შორეულ დუნაიში! უკეთესად მოჩანს შორეული მტრედისფერი მთები დუნაის იქით, მონასტერი. საიდუმლო ხეობები, კენწერობამდე ნისლში გახვეული ფიჭვის ტყეები... სიმშვიდეა იქ, ბედნიერება... „არაფერი მინდა, არაფერი, ოღონდ იქ ვიყო, – ფიქრობდა როსტოვი. – მარტო ჩემში და ამ მზეშია ამდენი ბედნიერება, აქ კი... კვნესაა, ტანჯვა, შიში და ეს გამოურკვევლობა, ეს აჩქარება... აი, კვლავ ყვირის ვილაც, კვლავ გაიქცნენ ყველანი სადღაც უკან, მეც გავიქცევი მათთან... აი, აქ არის, აქ არის სიკვდილი, ჩემს თავზე, ჩემ ირგვლივ... ერთი წამი – და მე ველარასოდეს ველარ დავინახავ ამ მზეს, ამ წყალს, ამ ხეობას...“

იმ წუთში მზე ღრუბლებს ეფარებოდა; როსტოვის წინ სხვა საკაცე გამოჩნდა. და სიკვდილისა და საკაცის მიერ გამოწვეული შიში, მზისა და სიცოცხლის სიყვარული, – ყოველივე ეს ერთ ავადმყოფურ-ამაზრუნენ შთაბეჭდილებად გადაიქცა.

„ღმერთო დიდებულო! შენ, ვინც ხარ იქ, იმ ცაში, გადამარჩინე, მაპატიე და დამიფარე!“ – წაიჩურჩულა თავისთვის როსტოვმა.

ჰუსარები ცხენებს მისცვივდნენ, გაისმა უფრო ხმამაღალი და დამშვიდებული ლაპარაკი, საკაცები თვალთაგან მიიფარნენ.

– ჰა, ძმაო, ხომ იყნოსე თოფის წამლის სუნი? – მოესმა ზედ ყურთან ვასკა დენისოვის ხმა.

„გათავდა ყველაფერი, მაგრამ მე მხდალი ვარ, დიახ, მხდალი!“ – გაიფიქრა როსტოვმა, ღრმად ამოიოხრა, ჩამოართვა თავისი გრაჩიკი ჯარისკაცს და შეჯდომას შეუდგა.

– ის რა დაგვიშინეს, ფინდიხი ხომ არ იყო? – ჰკითხა მან დენისოვს.

– მერე როგორი! – მიუგო დენისოვმა. – ყოჩაღად მუშაობდნენ ჩვენები. სამუშაო კი საძაგელი იყო... სულ სხვაა იერიში – გულს ახარებს, აკუწე და აჩეხე მარჯვნივ და მარცხნივ. აქ კი, ეშმაკმა იცის, რა ხდება, ისე გიშენენ, როგორც სამიზნეს! დენისოვმა ცხენი მიატრიალა და შორიახლო მჯდომ ჯგუფისკენ გასწია; იქ იყვნენ: პოლკის უფროსი, ნესვიცკი, ჟერკოვი და ამაღის ოფიცერი.

„მგონი, ვერავინ შემამჩნია სიმხდალუ“, – გაიფიქრა თავისთვის როსტოვმა.

მართლაც არავის არაფერი შეუმჩნევია, იმიტომ, რომ ყველასთვის ნაცნობი იყო ის გრძნობა, რომელიც განიცადა ბრძოლაში პირველად მყოფმა იუნკერმა.

– ახლა რელაციაც[72] იქნება, – თქვა ჟერკოვმა, – ჰოდა, იქნებ პოდპორუჩიკობაც გავიკრა.

– მოახსენეთ თავადს, რომ ხიდს ცეცხლი წავუკიდე, – თქვა პოლკოვნიკმა აღფრთოვანებითა და მხიარულად.

– დანაკლისზე რომ იკითხონ?

– არაფერია! – მიუგო პოლკოვნიკმა, – ორი ჰუსარი დაიჭირა, და ერთიც იქვე გათავდა, – უთხრა მან აშკარა სიხარულით, თან თავი ვერ შეიკავა ბედნიერი ღიმილისგან, როცა

წამოიძახა ეს ლამაზი სიტყვა გათავდა.

თავი მეცხრე

რუსთა ოცდათხუთმეტათასიან არმიას სდევნიდა და ფეხდაფეხ მისდევდა ფრანგთა ასიათასიანი არმია ბონაპარტეს მეთაურობით. რუსთა არმიას გზაში მტრულად განწყობილი მოსახლეობა ხვდებოდა, იგი აღარ ენდობოდა თავის მოკავშირეებს, სურსათ-სანოვავის ნაკლებობას განიცდიდა და იძულებული იყო ემოქმედა ომში გათვალისწინებული პირობების გარეშე. ყოველივე ამის გამო, რუსთა არმია კუტუზოვის მეთაურობით სასწრაფოდ იხევდა ქვემოთ, დუნაის მიმართულებით, და ჩერდებოდა იქ, სადაც მტერი დაეწეოდა. ჩერდებოდა იმისთვის, რომ არიერგარდული ბრძოლებით მოეგერიებინა იგი იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო მძიმე ტვირის დაუკარგავად უკან დახევისთვის. შეტაკებები მოხდა ლამბახში, ამშტეტენსა და მელკში; მაგრამ, მიუხედავად რუსების სიმამაცისა და გამძლეობისა, რასაც თავად მტერიც აღიარებდა, ყველა ამ შეტაკებას ერთი შედეგი მოჰყვა მხოლოდ: რუსთა ჯარი უფრო მეტი სისწრაფით იხევდა უკან. ავსტრიის ის კარი, რომელიც ულმში ტყვეობას გადაურჩა და ბრაუნაუში კუტუზოვს შეუერთდა, ახლა კვლავ ჩამოშორდა რუსთა ჯარს, და კუტუზოვი თავისი სუსტი და დაუძლურებული ძალების ამარა დარჩა. ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა ვენის დაცვაზე. ნაცვლად ღრმად მოფიქრებული და ახალი მეცნიერების – სტრატეგიის კანონების მიხედვით შედგენილი შეტევითი ომისა, რომლის გეგმაც ვენაში ყოფნის დროს კუტუზოვს ავსტრიის ჰოფკრიგსრატმა გადასცა, ერთადერთ, თითქმის მიუწვდომელ მიზნად კუტუზოვს ახლა ესახებოდა ის, რომ მაკის მსგავსად არმია არ დაეღუპა და რუსეთიდან მომავალ ჯარს შეერთებოდა.

28 ოქტომბერს კუტუზოვი თავისი არმიით დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და რაკი მას და ფრანგთა მთავარ ძალებს დუნაი ჰყოფდა, პირველად შეჩერდა. 30 ოქტომბერს მან იერიში მიიტანა დუნაის მარცხენა ნაპირზე მყოფ მორტიეს დივიზიაზე და დაამარცხა იგი. ამ ბრძოლაში პირველად ჩაიგდო რუსმა ჯარმა ხელში ნადავლი: დროშა, ქვემეხები და მტრის ორი გენერალი. ორი კვირა იხევდა რუსების ჯარი უკან და ახლა პირველად შეჩერდა, ხოლო ბრძოლის შემდეგ არათუ შეინარჩუნა ბრძოლის ველი, განდევნა კიდევ ფრანგები. მიუხედავად იმისა, რომ ჯარი შიშველ-ტიტველი, დაუძლურებული და დასუსტებული იყო, რადგან ჩამორჩენილთა, დაჭრილთა, მოკლულთა და დაავადებულთა რიცხვი მესამედს მაინც შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ დუნაის მეორე მხარეს დატოვეს ავადმყოფნი და დაჭრილნი, რომელთა ბედსაც კუტუზოვი თავის წერილში მტრის კაცთმოყვარეობას ანდობდა; მიუხედავად იმისა, რომ დიდი საავადმყოფოები და საავადმყოფოებად გადაქცეული სახლები კრემში ვეღარ იტევდნენ ყველა სნეულსა და დაჭრილს, – ყველაფერ ამის მიუხედავად, კრემშივე შეჩერებამ და მორტიეს დამარცხებამ საგრძნობლად გაამხნევა ჯარი. მთელ არმიაში და მთავარ ბინაზე მეტად სასიხარულო, თუმცა სიმართლეს მოკლებული ხმა დადიოდა, ხმები რუსეთიდან გაგზავნილი ჯარის მიახლოების შესახებ, ავსტრიელების რაღაც გამარჯვებისა და შეშინებული ბონაპარტეს უკან დახევის შესახებ.

თავადი ანდრეი ბრძოლის დროს ახლდა ამ ბრძოლაში მოკლულ ავსტრიელ გენერალ შმიდტს. თავად ანდრეის ცხენი მოუკლეს, თვითონ მასაც ტყვიამ ოდნავ ხელი გაუკაწრა. მთავარსარდალმა განსაკუთრებული წყალობის ნიშნად იგი აირჩია გამარჯვების ამბის მიმტანად ავსტრიის იმპერატორთან. იმპერატორი იმ დროს უკვე ბრიუნში იყო და არა ვენაში, რომელსაც ფრანგთა ჯარი ემუქრებოდა. აღელვებული და არა დაღლილი თავადი ანდრეი (გარეგნობით სუსტი აგებულების მიუხედავად, მას შეეძლო ფიზიკური დაღლილობა ღონიერ ადამიანებზე ბევრად უფრო ადვილად აეტანა) ბრძოლის ღამეს ცხენდაცხენ დაბრუნდა დობტუროვის მოხსენებით კრემში კუტუზოვთან, რომელმაც იმავე ღამეს იგი შიკრიკად გაგზავნა ბრიუნში. შიკრიკად გაგზავნა, ჯილდოს გარდა, ნიშნავდა თვალსაჩინოდ დაწინაურებას სამსახურში.

ბნელი ღამე იყო, ვარსკვლავებიანი; გზა შავად გაწოლილიყო თეთრ თოვლზე, რომელიც ბრძოლის წინადღეს დაედო. ხან გარდასული ბრძოლის ამბებით გართული, ხან კიდევ წინასწარ გახარებული იმ შთაბეჭდილებით, რომელსაც იგი გამარჯვების ამბის მიტანით მოახდენდა, თავადი ანდრეი იგონებდა, როგორ აცილებდნენ მას მთავარსარდალი და ამხანაგები, საფოსტო ეტლით მიქროდა და იმ კაცის გრძნობას განიცდიდა, რომელიც დიდი ხანია, მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ეღირსა სანატრელი ბედნიერების დასაწყისს. რაწამს თვალს დახუჭავდა, იმწამსვე ყურებში თოფისა და ზარბაზნის ხმა ჩაესმოდა და ეს ხმა თვლების რახრახსა და გამარჯვების შთაბეჭდილებას უერთდებოდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ რუსები გარბიან, რომ თვითონ ის მოკლულია; მაგრამ სწრაფად იღვიძებდა და, ბედნიერი, რწმუნდებოდა, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და რომ პირიქით, ფრანგები გარბოდნენ. იგი კვლავ იგონებდა ბრძოლის ყოველ წვრილმანს, თავის აუღელვებელ ვაჟკაცობას ბრძოლის დროს და, დამშვიდებული, თვლემას ეძლეოდა... ბნელი, ვარსკვლავებიანი ღამის შემდეგ კაშკაშა, მხიარული დილა დადგა. თოვლი დნებოდა მზეზე, ცხენები სწრაფად გარბოდნენ, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ ერთმანეთს ცვლიდნენ ათასნაირი ახალ-ახალი ტყეები, მინდვრები, სოფლები.

ერთ-ერთ სადგურზე თავადი ანდრეი საბარგულებს დაეწია; ამ საბარგულებით დაჭრილი რუსები მიჰყავდათ. რუსი ოფიცერი, ტრანსპორტის უფროსი, წინა საბარგულზე გამხლართული რაღაცას გაჰყვიროდა და უხეში სიტყვებით ჯარისკაცებს ლანძღავდა. გრძელ გერმანულ ფორშპანებში ქვიან გზაზე ნჯღრევით მიჰყავდათ ფერწასული, ჭრილობაშეხვეული და უსუფთაო დაჭრილები. თითოში ექვს-ექვსი კაცი იყო, ზოგში მეტიც. ზოგი მათგანი ლაპარაკობდა (თავადმა ანდრეიმ გაიგონა რუსული

საუბარი), სხვები ჭამდნენ, ყველაზე მძიმედ დაჭრილები უსიტყვოდ, ლმობიერი და ბავშვური გამომეტყველებით შეჰყურებდნენ მათ გვერდით სწრაფად მიმავალ სამხედრო შიკრიკს.

თავადმა ანდრეიმ ეტლი შეაჩერებინა და ჰკითხა ჯარისკაცს, რომელ ბრძოლაში დაგჭრესო.

– გუმინწინ, დუნაიზე, – მიუგო ჯარისკაცმა.

თავადმა ანდრეიმ საფულე ამოიღო და სამი ოქრო მისცა ჯარისკაცს.

– ყველას ეყოფა, – უთხრა ოფიცერს, რომელიც ამ დროს წამოეწია მათ, – გამოკეთდით, ბიჭებო, – მიმართა ახლა ჯარისკაცებს, – ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

– რა ისმის, ბატონო ადიუტანტო, ახალი? – ჰკითხა ოფიცერმა, ეტყობოდა, ლაპარაკის მოსურნემ.

– კარგი ამბები... გასწი წინ! – დაუყვირა თავადმა ანდრეიმ მეეტლეს და გაუდგა გზას.

მთლად ჩამოზნელებული იყო, როცა ქალაქ ბრიუნში შესულმა თავადმა ანდრეიმ დაინახა მაღალი სახლები, გაჩირაღდნებული დუქნები, სახლის ფანჯრები და ფარნები, ქუჩებში მოსრიალე ლამაზი ეტლები, იგი მოექცა დიდი, გაცხოველებული ქალაქის იმ ატმოსფეროში, რომელიც ბანაკის შემდეგ ესოდენ მიმზიდველია სამხედრო პირისთვის. სწრაფი მგზავრობისა და უძილო ღამის მიუხედავად, თავადი ანდრეი, როცა სასახლეს უახლოვდებოდა, უფრო მხნედ გრძნობდა თავს, ვიდრე წინადდეს. მხოლოდ თვალები უბრწყინავდა არაჩვეულებრივად და აზრები ცვლიდა ერთმანეთს უაღრესი სისწრაფით და სიცხადით. კვლავ ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ ბრძოლის ყოველი წვრილმანი, ამასთან წარმოუდგა არა ბუნდოვნად, არამედ გარკვევით და სხარტად, ისე, როგორც მას იმპერატორ ფრანცისთვის უნდა გადაეცა. ცოცხლად წარმოუდგა ის შემთხვევითი კითხვები, რომლებითაც შეიძლება მიმართონ, და ის პასუხი, რომელიც უნდა გასცეს. თავადი ანდრეი ფიქრობდა, რომ მას დაუყოვნებლივ წარუდგენენ იმპერატორს. მაგრამ დიდ შესასვლელ კართან მასთან გამოვარდნილმა მოხელემ, რაკი გაიგო, რომ ახალმისული სამხედრო შიკრიკი იყო, მეორე შესასვლელი კარისკენ წაიყვანა.

– ტალანიდან მარჯვნივ, იქ, Euer Hochgeboren (თქვენო მაღალკეთილშობილებავ), ნახავთ მორიგე ფლიგელ-ადიუტანტს, – უთხრა მოხელემ, – ის გაგიძღვებათ სამხედრო მინისტრთან.

მორიგე ფლიგელ-ადიუტანტი, რომელიც თავად ანდრეის დახვდა, თვითონ წავიდა სამხედრო მინისტრთან, ხოლო თავად ანდრეის სთხოვა დაეცადა. ხუთი წუთის შემდეგ ფლიგელ-ადიუტანტი დაბრუნდა, მეტად თავაზიანად დაიხარა, გაუშვა წინ თავადი ანდრეი და ტალანით კაბინეტში შეიყვანა, სადაც სამხედრო მინისტრი მუშაობდა. ფლიგელ-ადიუტანტს საგანგებო თავაზიანობით თითქოს სურდა თავი დაეცვა რუსი ოფიცრის ფამილარული ურთიერთობისგან. თავად ანდრეის სიხარული საგრძნობლად შენედა, როცა სამხედრო მინისტრის კაბინეტის კარს უახლოვდებოდა. მან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ხოლო შეურაცხყოფის გრძნობა იმავე წუთს, თვით თავად ანდრეის შეუმჩნეველად, უსაფუძვლო ზიზღის გრძნობად გადაიქცა. მახვილმა გონებამ სწრაფად უკარნახა ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მას უფლება ჰქონდა შეზიზღებოდა ადიუტანტიც და სამხედრო მინისტრიც. „ამათ, რომელთაც თოფის წამლის სუნი ჯერ არ უყნოსიათ, ალბათ, ადვილ საქმედ ეჩვენებათ გამარჯვება!“ – გაიფიქრა მან. თავადმა ანდრეიმ ზიზღით მოჭყუტა თვალები; იგი მეტად ზანტად შევიდა სამხედრო მინისტრის კაბინეტში. ეს გრძნობა უფრო გაძლიერდა მამინ, როცა დაინახა სამხედრო მინისტრი, რომელიც დიდ მაგიდას მისჯდომოდა; მან პირველ ორ წუთს არავითარი ყურადღება არ მიაქცია ახალშესულს. სამხედრო მინისტრი, რომელსაც შეჭალარავებულსაფეთქლიანი მელიოტი თავი ძირს დაეხარა, ქალაქებს კითხულობდა და ფანქრით რაღაცას აღნიშნავდა; აქეთ-იქით

ანთებული სანთლები ედგა. თავაულებლად განაგრძობდა კითხვას, როცა კარი გაიღო და ფეხის ხმა მოისმა.

– წაიღეთ ეს და გადაეცით, – უთხრა სამხედრო მინისტრმა თავის ადიუტანტს და ქაღალდები მიაწოდა. მან ახლაც არ მიაქცია ყურადღება სამხედრო შიკრიკს.

თავადმა ანდრეიმ იგრძნო, რომ სამხედრო მინისტრს ყველა იმ საქმიდან, რითაც იგი იყო გართული, ან კუტუზოვის არმიის მოქმედება ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა, ან საჭიროდ მიაჩნდა, ეგრძნობინებინა ეს რუსი შიკრიკისთვის. „მაგრამ ჩემთვის სულერთია“, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ. სამხედრო მინისტრმა ხელი მოუსვა დანარჩენ ქაღალდებს, შეასწორა ისინი და თავი ასწია. მას ჭკვიანი, ნიშანდობლივი თავი ჰქონდა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა სამხედრო მინისტრმა თავად ანდრეის მიმართა, მისი ჭკვიანი და მტკიცე გამომეტყველება, ეტყობა, შეგნებულად და ჩვეულებისამებრ, შეიცვალა: მის სახეზე გამოინასკვა სულელური და თვალთმაქცური ღიმილი იმ ადამიანისა, რომელიც ზედიზედ მრავალ მთხოვნელს იღებს.

– გენერალ ფელდმარშალ კუტუზოვისგან ხართ? – ჰკითხა მან, – იმედი მაქვს, კარგი ამბები მოგვიტანეთ. მოხდა შეტაკება მორტიესთან? სწორედ დროა!

ჩამოართვა დეპეშა, რომელიც მის სახელზე იყო და ნაღვლიანი გამომეტყველებით შეუდგა კითხვას.

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! შმიტი! – თქვა გერმანულად, – რა უბედურებაა, რა უბედურება!

დეპეშა გადაიკითხა, მაგიდაზე დადო და ანდრეის შეხედა. ეტყობოდა, ფიქრმა გაიტაცა.

– ოჰ, რა უბედურებაა, – გაიმეორა და თავად ანდრეის მიმართა, – ცხარე ბრძოლა იყო, ამბობთ თქვენ, მაგრამ მორტიე მაინც ხელში ვერ ჩაიგდეთ (ჩაფიქრდა). ძალიან მოხარული ვარ, რომ კარგი ამბავი მოგვიტანეთ, თუმცა შმიტის სიკვდილი გამარჯვების ძვირი სასყიდელია. მისი უდიდებულესობა, ალბათ, მოისურვებს თქვენს ნახვას, მხოლოდ არა დღეს. გმადლობთ, დაისვენეთ. ხვალ დაესწარით მათი უდიდებულესობის გამოსვლას, პარადის შემდეგ. თუმცა თავად მე გაცნობებთ.

ლაპარაკის დროს გამქრალი სულელური ღიმილი კვლავ გაჩნდა სამხედრო მინისტრის სახეზე.

– ნახვამდის! დიდად გმადლობთ! ხელმწიფე იმპერატორი, ალბათ, მოისურვებს თქვენს ნახვას, – გაიმეორა მან და თავი დახარა.

თავადმა ანდრეიმ სასახლიდან გასვლისას იგრძნო, რომ მთელი ის ინტერესი და ბედნიერება, რაც გამარჯვებამ განაცდევინა, მან ისეთ გულგრილ ადამიანებს გადასცა და დაუტოვა, როგორც იყვნენ სამხედრო მინისტრი და თავაზიანი ადიუტანტი. ერთბაშად შეეცვალა აზრთა მომდინარეობდა: ბრძოლა წარმოუდგა დიდი ხნის საქმედ, შორეულ მოგონებად.

თავი მეათე

თავადი ანდრეი ბრიუნში ჩამოხტა თავის ნაცნობ რუს დიპლომატ ბილიბინთან.

– ოო, ძვირფასო თავადო, თქვენზე სასიამოვნო სტუმარს ვერ ვეღირსებოდი, – უთხრა ბილიბინმა, როდესაც თავად ანდრეის გამოეგება, – ფრანც, თავადის ნივთები ჩემს საწოლ ოთახში შეიტანე! – მიმართა მან მსახურს, რომელმაც ბოლკონსკი შემოაცილა, – ჰა, გამარჯვების მახარობელი ხარ? საუცხოოა, მე კი, როგორც ხედავთ, ავადა ვარ.

პირდაბანილი და ტანისამოსგამოცვლილი თავადი ანდრეი დიპლომატის ბრწყინვალე კაბინეტში გამოვიდა და გამზადებულ სადილს მიუჯდა. ბილიბინი კი მოსასვენებლად ბუხართან დაჯდა.

თავადი ანდრეი მგზავრობის, მეტადრე ლაშქრობის შემდეგ, როდესაც მოკლებული იყო სუფთა და საამო ცხოვრების ყველა სიკეთეს, სიამოვნებით განიცდიდა ახლა დასვენების ნეტარ გრძნობას ნებიერი ცხოვრების ისეთ პირობებში, როგორსაც იგი ბავშვობიდან იყო მიჩვეული. გარდა ამისა, მას, ავსტრიის სამეფო კარზე მიღების შემდეგ, სიამოვნებას ჰგვრიდა დალაპარაკებაც კი რუსთან, თუნდაც არარუსულად (ისინი ფრანგულად ლაპარაკობდნენ). დარწმუნებული იყო, რომ იგი იზიარებდა რუსი საზოგადოების საერთო სიმულვილს (ახლა უფრო მძაფრად განცდილს) ავსტრიელებისადმი.

ბილიბინი ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო, უცოლშვილო, იმავე საზოგადოების წევრი, რომელსაც თავადი ანდრეი ეკუთვნოდა. ისინი ჯერ კიდევ პეტერბურგში იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ უფრო დაახლოვდნენ მაშინ, როცა თავადი ანდრეი კუტუზოვთან ერთად უკანასკნელად ჩავიდა ვენაში. როგორც ახალგაზრდა თავად ანდრეის, ისე, და უფრო მეტადაც ბილიბინს დიდი წარჩინება მოელოდა მომავალში: პირველს – სამხედრო ასპარეზზე, მეორეს – დიპლომატიურ სარბიელზე. ბილიბინი ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ არა ახალგაზრდა დიპლომატი, რადგან სამსახური დაიწყო თექვსმეტი წლისამ. იყო პარიზში, კოპენჰაგენში, ხოლო ახლა ვენაში საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. იცნობდნენ და აფასებდნენ მას კანცლერიც და რუსეთის ელჩიც ვენაში. ბილიბინი არ ეკუთვნოდა იმ დიპლომატთა დიდ რიცხვს, რომელთათვისაც სავალდებულოა მხოლოდ უარყოფითი ღირსებები – ზოგი რამის არჩადენა და ფრანგულად ლაპარაკი, რათა კარგი დიპლომატის სახელი მოიხვეჭო; იგი ერთ-ერთი იმ დიპლომატთაგანი იყო, რომელსაც უყვარდა და ეხერხებოდა მუშაობა და რომელიც, სიზარმაცის მიუხედავად, ზოგჯერ მთელ ღამეებს ათენებდა საწერ მაგიდასთან. იგი ერთნაირად კარგად მუშაობდა, რა სამუშაოც უნდა ჰქონოდა. მას აინტერესებდა არა კითხვა „რატომ?“, არამედ კითხვა „როგორ?“ მისთვის სულერთი იყო, რას წარმოადგენდა დიპლომატიური საქმე, მაგრამ ცირკულარის, მემორანდუმის ან მოხსენების ოსტატურად, მოსწრებულად და მოხდენილად შედგენა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. ბილიბინს, წერილობითი სამუშაოს გარდა, აფასებდნენ იმისთვისაც, რომ კარგად იცოდა თავის დაჭერა და ლაპარაკი უმაღლეს სფეროებში.

ბილიბინს ლაპარაკი, ისევე, როგორც მუშაობა, უყვარდა მხოლოდ მაშინ, როცა გამოსვლა მოხდენილი და მახვილგონივრული იყო. საზოგადოებაში მუდამ ელოდა შემთხვევას, რომ ეთქვა შესანიშნავი რამ, და ლაპარაკს იწყებდა მხოლოდ ამ დროს. ბილიბინის ლაპარაკი მუდამ გამოირჩეოდა საერთო ინტერესის შემცველი ორიგინალური, მახვილი და დასრულებული ფრაზებით. ამ ფრაზებს ბილიბინი ამზადებდა თავის შინაგან ლაბორატორიაში, ამასთან, თითქოს განგებ, ამზადებდა პორტატიული ხასიათის ფრაზებს, რათა მაღალი საზოგადოების უმნიშვნელო ადამიანებს ადვილად დაეხსომებინათ და დარბაზიდან დარბაზში გადაეტანათ. და მართლაც, ბილიბინის მოსწრებული სიტყვა, როგორც ამბობდნენ, ვენის სალონებს ედებოდა და ხშირად გავლენას ახდენდა ეგრეთ წოდებულ მნიშვნელოვან საქმეებზე.

გამხდარი, გამოფიტული, მოყვითალო სახე მთლად დაღარული ჰქონდა მსხვილი ნაოჭებით. ეს ნაოჭები მუდამ ისე სუფთად და გულმოდგინედ დაბანილი მოუჩანდა, როგორც თითების ბოლოები აბანოს შემდეგ. ამ ნაოჭების მოძრაობას შეჰქონდა მთავარი ცვლილება მის სახეში. ხან შუბლი ესერებოდა ფართო ნაოჭებით და წარბები ზევით მიიწევდნენ, ხან წარბები ეშვებოდა ქვემოთ და ლოყებთან მსხვილი ნაოჭები უჩნდებოდა. ღრმად ჩამჯდარი პატარა თვალებით მუდამ პირდაპირ და მხიარულად გამოიყურებოდა.

– აბა, ახლა მომიყევით თქვენი გმირობის ამბავი, – უთხრა მან.

ბოლკონსკიმ უამბო საქმის ვითარება და ისიც, თუ როგორ მიიღო სამხედრო მინისტრმა, უამბო მოკრძალებით, ისე, რომ არც ერთხელ არ უხსენებია თავისი თავი.

– Ils m’ont reçu avec ma nouvelle, comme un chien dans un jeu de quilles (ისე მიმიღეს ამ ამბის მიმტანი, როგორც კეგლის თამაშის დროს ძაღლს მიიღებენ ხოლმე (ფრანგული ანდაზა)), – დაამთავრა მან.

ბილიბინმა ჩაიცინა და შუბლი გახსნა.

– Cependant, mon cher (ეჰ, ჩემო კარგო), – დაიწყო მან და შორიდან თავისი ფრჩხილი შეათვალა, თან მარცხენა თვალს ზემოთ კანი შეიჭმუხნა, – malgré la haute estime que je professe pour le (მიუხედავად იმისა, რომ მე დიდ პატივს ვცემ) რუსეთის მართლმადიდებელ მხედრობას, j’avoue que votre victoire n’est pas des plus victorieuses (მაინც ვფიქრობ, თქვენი გამარჯვება არ უნდა მიეკუთვნებოდეს უბრწყინვალეს გამარჯვებათა რიცხვს).

იგი კვლავ ფრანგულ ენაზე განაგრძობდა საუბარს, რუსულად ამბობდა მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებსაც ზოგჯერ ზოგჯერ უნდოდა გაესვა.

– დიახ, დიახ, მთელი თქვენი ჯარით თავს დაესხით უბედურ მორტიეს ერთადერთ დივიზიას და ეს მორტიე მაინც ხელიდან გაგისხლტათ. სად არის აქ გამარჯვება?

– თუ ნამდვილი გნებავთ, – მიუგო თავადმა ანდრეიმ, – ჩვენ დაუტრაბახებლად შეგვიძლიათ ვთქვათ, რომ ეს ცოტათი მაინც სჯობია ულმს...

– რატომ ერთი მარშალი მაინც ვერ ჩაიგდეთ ტყვედ?

– იმიტომ, რომ ყველაფერი ისე როდი კეთდება, როგორც ფიქრობ, და არც ისე რეგულარულად, როგორც პირადზე ხდება. ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, განზრახული გვქონდა დილის შვიდი საათისთვის ზურგში მოვქცეოდით მტერს, მაგრამ სადამოს ხუთი საათისთვისაც არ ვიყავით იქ.

– რატომ ვერ მიხვედით დილით შვიდი საათისთვის? უნდა მისულიყავით დილის შვიდ საათზე, – ღიმილით თქვა ბილიბინმა, – უნდა მისულიყავით დილის შვიდ საათზე.

– რატომ ვერ ჩააგონეთ თქვენ დიპლომატიური გზით ბონაპარტეს, რომ მისთვის გენუის მიტოვება უმჯობესი იქნებოდა? – იმავე კილოთი შეეკითხა თავადი ანდრეი.

– ვიცი, – მიუგო ბილიბინმა, – რასაც ფიქრობთ: ადვილიაო, გულში ამბობთ, მარშლების ხელში ჩაგდება, როცა ბუხრის წინ სავარძელში ზიხარ. ეს მართალია, მაგრამ მაინც, რატომ ვერ ჩაიგდეთ მარშალი ხელში? და ნუ გაიკვირვებთ, რომ არათუ სამხედრო მინისტრი, არამედ თვით უავგუსტოესი იმპერატორი და მეფე ფრანციც არ იქნება დიდად გაბედნიერებული თქვენი გამარჯვებით; მეც კი, რუსეთის საელჩოს ბეჩავი მდივანი, არ ვგრძნობ რაიმე განსაკუთრებულ სიხარულს...

– ახლა ჩემი ჯერია, ჩემო კარგო, გკითხოთ, რატომ? – უთხრა ბოლკონსკიმ, – გამოგიტყდებით, რომ არ მესმის, იქნებ აქ ისეთი დიპლომატიური რამეებია, რასაც ჩემი გონება ვერ მისწვდება, მაგრამ ვამბობ, არ მესმის-მეთქი: მაკი კარგავს მთელ არმიას, ერცჰერცოგი ფერდინანდი და ერცჰერცოგი კარლი გატრუნულები სხედან და შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. დასასრულ, მხოლოდ კულტუზოვი აღწევს ნამდვილ გამარჯვებას და აქარწყლებს მოსაზრებას ფრანგების დაუმარცხებლობის შესახებ. სამხედრო მინისტრს კი არაფერი აინტერესებს.

– სწორედ იმავე მიზეზით არ აინტერესებს, Voyez-vous, mon cher (ხედავთ, ჩემო კარგო)! ხომ იცით, ვაშა მეფისთვის, რუსეთისთვის, სარწმუნოებისთვის! Tout ça est bel et bon (ყველაფერი ეს კარგია, ჩინებულია). მერე რა გვესაქმება ჩვენ, მე ვამბობ, ავსტრიის სამეფო კარს ჩვენს გამარჯვებებთან? სულ სხვა საქმე იქნება, თუ მოგვიტანთ კარგ ამბავს ერცჰერცოგ კარლის ან ფერდინანდისას. ეს ერცჰერცოგები, როგორც მოგახსენებთ, un archiduc vaut l’autre (ერთმანეთის ღირსნი არიან). თუნდაც ბონაპარტეს სახანძრო რაზმის ერთ ასეულზე მოპოვებული გამარჯვების გამო ზარბაზნების სროლას

ავტებთ, თორემ თქვენი გამარჯვება! თითქოს განგებ გამოიგონეს ჩვენს გასაბრაზებლად და გასაღიზიანებლად. ერცჰერცოგი კარლი არაფერს აკეთებს. ერცჰერცოგი ფერდინანდი თავს ირცხვენს. ვენას ტოვებთ, აღარ იცავთ, comme si vous nous disiez (და როგორც გვითხარით), თითქოს ღმერთი ჩვენთან იყოს, ღმერთი კი თქვენთან არის და თქვენს სატახტო ქალაქთან. ერთი გენერალი, რომელიც ყველას გვიყვარდა, შმიტი, ტყვიას დაუყენეთ წინ, და გამარჯვებას გვილოცავთ!.. დამეთანხმეთ, რომ შეუძლებელია იმაზე გამაღიზიანებელი ამბის გამოგონება, როგორც თქვენ მოგვიტანეთ. C'est comme un fait exprès, comme un fait exprès (თითქოს განგებ იქცევით ასე, დიახ, განგებ)!.. ესეც არ იყოს, რა ცვლილებას შეიტანდა საქმის საერთო მიმდინარეობაში თუნდაც თქვენი ბრწყინვალე გამარჯვება, თუნდაც ერცჰერცოგ კარლის გამარჯვება? ახლა, როცა ვენა ფრანგმა ჯარმა დაიკავა, უკვე გვიანაა.

– როგორ თუ დაიკავა? ვენა აიღეს?

– არათუ აიღეს, არამედ ბონაპარტე შენბრუნშია, ხოლო გრაფი, ჩვენი კეთილი გრაფი ვრბნა უკვე გაეშურა მასთან ბრძანების მისაღებად.

დალილ ბოლკონსკის, მგზავრობის, ბრიუნის ამბებისა და მეტადრე, სადილს შემდეგ, ნაკლებად ესმოდა გაგონილი სიტყვების მთელი მნიშვნელობა.

– დღეს დილით აქ გრაფი ლიხტენფელსი იყო, – განაგრძო ბილიბინმა, – გრაფმა მაჩვენა წერილი, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ფრანგების პარადი ვენაში. Le prince Murât et tout le tremblement (პრინცი მიურატი და ყოველივე სხვა)... ხომ ხედავთ, თქვენი გამარჯვება არცთუ იმდენად სასიხარულო ყოფილა, და თქვენ ვერ მიგიღებენ, როგორც მხსნელს.

– მერწმუნეთ, ჩემთვის სულერთია, დიახ, სულერთია! – უთხრა თავადმა ანდრეიმ, იგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ მის ცნობას კრემსის ბრძოლის შესახებ მართლაც ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი ამბების შემდეგ, როგორც იყო ავსტრიის სატახტო ქალაქის დაკავება, – ნუთუ ვენა მართლა აიღეს? მერე tête de pont (გამაგრებული ხიდი), და თავადი აუერსპერგი? ჩვენში ხმა დადიოდა, რომ თავადი აუერსპერგი ვენას იცავსო.

– თავადი აუერსპერგი აქეთ მხარეს არის, ჩვენს მხარეს, და ჩვენ გვიცავს. ვფიქრობ, ძალიან ცუდად გვიცავს, მაგრამ მაინც გვიცავს. ვენა კი იქით მხარესაა. არა, ხიდი ჯერჯერობით არ აუღიათ და, ვიმედოვნებ, ვერც აიღებენ, იმიტომ, რომ დანაღმულია; ამასთან, ნაბრძანებია ააფეთქონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ხანია ჩვენ ბოჰემიის[73] მთებში ვიქნებოდით, ხოლო თქვენ და თქვენი არმია თხუთმეტიოდე შფოთიან წუთს ორ ცეცხლშუა გაატარებდით.

– მაგრამ ეგ მაინც არ ნიშნავს, რომ ომი დასრულებულია, – თქვა თავადმა ანდრეიმ.

– მე კი ვფიქრობ, რომ დასრულებულია. ასევე ფიქრობენ აქაური დიდი ჩერჩეტები, მაგრამ ვერ ბედავენ თქმას. მოხდება ის, რასაც ომის დასაწყისში ვამბობდი: საქმეს გადაწყვეტს არა თქვენი თოფები, არა ამ echauffourée de Dürenstein (თოფების ბათქაბუთქი დიურენშტეინთან), არა, საზოგადოდ, თოფის წამალი, არამედ ისინი, ვინც თოფის წამალი გამოიგონა, – თქვა ბილიბინმა და ამით გაიმეორა ერთ-ერთი თავისი mots (მოსწრებული სიტყვა), თან ნაოჭები გახსნა, და შეჩერდა, – საქმე ის არის მხოლოდ, რას მოგვცემს იმპერატორ ალექსანდრეს შეხვედრა პრუსიის მეფესთან ბერლინში. თუ პრუსია კავშირში შევიდა, on forcera la main à l'Autriche (ავსტრიას აიძულებენ), და ომი გაგრძელდება. თუ არ შევიდა, მაშინ საქმე გათავდება ისეთი ადგილის ამორჩევით, სადაც უნდა შეადგინონ ახალი Campo Formio-ს (კამპოფორმიოს ზავის)[74] დასაწყისი მუხლები.

– Buonaparte? – იკითხა ბილიბინმა. შუბლი შეკრა და ამით აგრძნობინა მოსაუბრეს, რომ ამ წუთს un mot (იქნებაო), – Buonaparte? – იკითხა კვლავ და u-ს მახვილი დაუსვა. ვფიქრობ, რომ ნაპოლეონი

შენბრუნნიდან კანონების უგზავნის ავსტრიას, *il faut lui faire grâce de l'u* (უნდა გავათავისუფლოთ იგი ასო u-სგან). მე გადაჭრით ვადგები ახალ გზას და ვუწოდებ Bonaparte tout court (უბრალოდ ბონაპარტეს).

– არა, ხუმრობის გარეშე, – უთხრა თავადმა ანდრეიმ, – ნუთუ ფიქრობთ, რომ ომი დასრულდა?

– აი, მე რას ვფიქრობ: ავსტრია პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, რასაც ის ჩვეული არ არის და სამაგიეროს გადახდას არც დააყოვნებს. ხოლო პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პროვინციები აოხრებულია, *on dit, le* მართლმადიდებელი *est terrible pour le pillage* (ამბობენ, მართლმადიდებელი მხედრობა სასტიკად ძარცვავს მოსახლეობას), ჯარი დამარცხებულია, სატახტო ქალაქი აღებულია, ყველაფერი ეს კი სარდინიის უდიდებულესობის *pour les beaux yeux du* (მშვენიერი თვალებისთვის მოხდა). ამიტომ, *entre nous, mon cher* (ჩვენ შორის დარჩეს), ჩემო კარგო, ალლოთი ვგრძნობ, რომ გვატყუებენ. ალლოთი ვხედავ კავშირის გაბმას საფრანგეთთან, ვხედავ მასთან ცალკეულად დასადები ზავის, საიდუმლო ზავის პროექტებს.

– *Qui vivra verra* (ეგ შეუძლებელია)! – თქვა თავადმა ანდრეიმ, – ეგ მეტად საზიზღარი რამ იქნება.

– ცოტა კიდევ და ვნახავთ, – მიუგო ბილიბინმა და საუბრის დამთავრების ნიშნად შუბლი გახსნა.

როცა თავადი ანდრეი მისთვის მომზადებულ ოთახში შევიდა და საცვლებგამოცვლილი ბუმბულის ლოგინში ჩაწვა, ხოლო თავი სურნელოვან, გამთბარ ბალიშებზე მიდო, იგრძნო, რომ ის ბრძოლა, რომლის ცნობაც მან მოიტანა, შორს იყო, ძალზე შორს იყო მისგან. მისი ფიქრი და გონება უკვე სხვა რამეს დასტრიალებდა, სახელდობრ – პრუსიის კავშირს, ავსტრიის ღალატს, ბონაპარტეს ახალ ზეიმს, იმპერატორ ფრანცის ხვალისდელ გამოსვლას, პარადს და მის, თავად ბოლკონსკის, მიღებას.

თვალი დახუჭა, მაგრამ იმავე წუთს მოესმა ზარბაზნების გრიალი, თოფების ბათქაბუთქი, ეტლების თვლების რახარუხი, და აი კვლავ ეშვებიან მაღლობიდან ძაფივით გაჭიმული მუშკეტერები, თოფებს ისვრიან ფრანგები; გრძნობს, როგორ ეკუმშება გული, ცხენს წინ წააგდებს, შმიტს გვერდში ამოუდგება, ტყვიები მხიარულად ზუზუნებენ ირგვლივ, და იგი განიცდის ცხოვრების გაათკეცებული სიხარულის იმ გრძნობას, რომელიც ბავშვობიდან აღარ განუცდია.

გამოეღვიძა...

„დიახ, ყველაფერი ეს იყო!“ – თქვა მან ბედნიერად, ბავშვურად გაუღიმა თავის თავს და ახალგაზრდული ღრმა ძილით დაიძინა.

თავი მეთერთმეტე

მეორე დღეს გვიან გაიღვიძა. წარსულის შთაბეჭდილების განახლებისას მან, პირველ ყოვლისა, გაიხსენა, რომ დღეს იმპერატორ ფრანცს უნდა წარუდგეს, გაიხსენა სამხედრო მინისტრის, თავაზიანი ავსტრიელი ფლიგელ-ადიუტანტი ბილიბინი და წუხანდელი ლაპარაკი. თავადმა ანდრეიმ სასახლეში წასასვლელად ჩაიცვა სრული საპარადო ფორმა, რომელიც დიდი ხანი აღარ სცმია, და ახალგაზრდა, პირმშვენიერი გარეგნობის ჭაბუკი შეხვეული ხელით ბილიბინის კაბინეტში შევიდა. კაბინეტში იმ დროს დიპლომატიური კორპუსის ოთხი კაცი იყო. თავად იპოლიტ კურაგინს, საელჩოს მდივანს, ბოლკონსკი წინათაც იცნობდა; სხვები ბილიბინმა გააცნო.

ბილიბინთან მყოფნი, მაღალი საზოგადოების წევრნი, ახალგაზრდა, მდიდარი და მხიარული ადამიანები, ვენაშიც და აქაც განკერძოებულ წრეს შეადგენდნენ. ბილიბინი, წრის მეთაური, მათ ჩვენებს (*les nftres*) უწოდებდა. ამ წრეს, რომელიც თითქმის მხოლოდ დიპლომატებისგან შედგებოდა,

ჰქონდა მხოლოდ თავისი, მაღალი საზოგადოების ინტერესები, რასაც ომსა და პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ეს გახლდათ მათი დამოკიდებულება ზოგიერთ ქალთან და სამსახურის საკანცელარიო მხარესთან. ამ ბატონებმა ხალისით მიიღეს თავადი ანდრეი თავიანთ წრეში, მიიღეს, როგორც თავისიანი (პატივით, რომელსაც იშვიათად თუ ვინმეს დასდებდნენ ხოლმე). თავაზიანობისთვის და საუბრის დასაწყებად თავად ანდრეის რამდენიმე კითხვით მიმართეს, კითხვები არმიასა და ბრძოლას შეეხებოდა, და მალე ამ საუბარს გაფანტული ლაპარაკი, მხიარული ოხუნჯობა და ათასი ჭორი მოჰყვა.

– მაგრამ ყველაფერს სჯობდა ის, – უამბობდა შეკრებილთ ერთი დამსწრეთაგანი დიპლომატი ამხანაგის მარცხის შესახებ, – რომ კანცლერმა მას პირდაპირ უთხრა: – ეს თქვენი დანიშვნა ლონდონში დაწინაურებაა და ასეთად უნდა ჩათვალოთო. წარმოიდგინეთ მისი ფიგურა ამ დროს!..

– მაგრამ ყველაზე ცუდი, ბატონებო, ის არის, რომ უნდა გავცე კურაგინი: კაცი უბედურებაშია და სწორედ ამით სარგებლობს ეს დონ-ჟუანი, ეს საშინელი ადამიანი!

თავად იპოლიტს, ვოლტერულ სავარძელში^[75] გადასვენებულს, ფეხები სახელურზე გადაეწყო. მან გაიცინა.

– Parlez-moi de ça (აბა, აბა), – ამბობდა იგი.

– ოი, დონ-ჟუანო! ოი, გველო! – მოისმა ხმები.

– იცით რა, ბოლკონსკი, – მიმართა ბილიბინმა თავად ანდრეის, – მთელი საშინელება საფრანგეთის ჯარისა (კინალამ წამომცდა – რუსეთის ჯარისა-მეთქი) არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ კაცმა ქალებს დამართა.

– La femme est la compagne de l'homme (ქალი მამაკაცის მეგობარია), – წარმოთქვა თავადმა იპოლიტმა, ლორწერტი თვალეზზე მიიღო და თავის აწეულ ფეხებს დააცქერდა.

ბილიბინმა და რუსებმა იპოლიტს თვალეზში შეხედეს და გადაიხარხარეს. თავადი ანდრეი ხედავდა, რომ ეს იპოლიტი, რომლის გამოც (უნდა გამოტეხილიყო) იგი თითქმის ეჭვიანობდა თავის ცოლზე, მასხრად ქცეულიყო ამ საზოგადოებაში.

– არა, უნდა გაგიმასპინძლდეთ კურაგინით, – ხმადაბლა უთხრა ბილიბინმა ბოლკონსკის, – საუცხოოა, როცა პოლიტიკაზე მსჯელობს, უნდა ნახოთ, როგორ იბღინძება.

ამ სიტყვების შემდეგ იპოლიტს მიუჯდა, შუბლი შეკრა და პოლიტიკაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. თავადი ანდრეი და სხვები გარს შემოერთყნენ.

– Le cabinet de Berlin ne peut pas exprimer un sentiment d'alliance (ბერლინის კაბინეტი ვერ გამოთქვამს თავის აზრს კავშირზე), – დაიწყო იპოლიტმა და მედიდურად გადახედა ყველას, – sans exprimer... comme dans sa dernière note... vous comprenez... vous comprenez... et puis si sa Majesté l'Empereur ne déroge pas au principe de notre alliance (თუ არ გამოხატა... როგორც თავის უკანასკნელ ნოტაში... ხომ გესმით... ხომ გესმით... ესეც კია, თუ მისი იმპერატორობის უდიდებულესობამ არ შეცვალა ჩვენი კავშირის დედაარსი)...

– Attendez, je n'ai pas fini (მოითმინეთ, ჯერ არ დამისრულებია)... – უთხრა მან თავად ანდრეის და ხელში ხელი სტაცა, – Je suppose que l'intervention sera plus forte que la non-intervention. Et (მე ვფიქრობ, რომ ჩარევა უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ჩაუვარევლობა. და)... – მცირე ხანს შეჩერდა, – On ne pourra pas imputer à la fin de non-recevoir notre dépêche du 28 novembre. Voilà comment tout cela finira (შეუძლებელია

ჩვენი 28 ნოემბრის დეკემბის მიუღებლობით საქმე დასრულებულად ჩაითვალოს... აი, რით დამთავრდება ყველაფერი ეს).

მან ხელი გაუშვა ბოლკონსკის და ამით გააგებინა, ლაპარაკი დავამთავრო.

– Demosthène, je te reconnais au caillou que tu as caché dans ta bouche d'or (დემოსტენე[76], გცნობ იმ კენჭით, რომელსაც ოქროს ბაგეებში მალავ)! – წამოიძახა ბილიბინმა და სიამოვნებისგან თავზე თმა შეუტოკდა.

ყველას სიცილი აუვარდა.

იპოლიტი ყველაზე ხმამაღლა იცინოდა. ეტყობოდა, იტანჯებოდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ თავს მაინც ვერ იკავებდა სიცილისგან, რაც ძალზე ჭიმავდა მის მუდამ უმოძრაო სახეს.

– აი, რა, ბატონებო, – თქვა ბილიბინმა, – ბოლკონსკი ჩემი სტუმარია ამ სახლში და აქ, ბრიუნში, მინდა, რამდენადაც შევძლებ, გავუმასპინძლდე ყოველივე იმით, რაც კი აქ ცხოვრებას ახარებს. ვენაში რომ ვიყო, ადვილი იქნებოდა ამის შესრულება; აქ კი, dans ce vilain trou morave (ამ საზიზღარ მორავულ სოროში), უფრო ძნელია. ამიტომ დახმარებას ვთხოვ ყველას. Il faut lui faire les honneurs de Brünn (მას ჩვენ ბრიუნი უნდა წარვუდგინოთ). თქვენ იკისრეთ თეატრი, მე საზოგადოებას ვიკისრებ, თქვენ კი, იპოლიტ, რა თქმა უნდა, ქალები გევალებათ.

– უნდა ვაჩვენოთ ამელი, ჩვენი მშვენიერება, – ამ სისხლისმსმელ ჯარისკაცს უნდა ჩავუნერგოთ რაც შეიძლება მეტი კაცთმოყვარე შეხედულება.

– საეჭვოა, ბატონებო, რომ ვისარგებლო თქვენი სტუმართმოყვარეობით. ახლა უკვე ჩემი წასვლის დროა, – თქვა ბოლკონსკიმ და საათს დახედა.

– სად?

– იმპერატორთან.

– ო-ო!

– მაშ ნახვამდის, ბოლკონსკი! ნახვამდის, თავადო! სადილად ადრე მობრძანდით! – მოისმა აქეთ-იქიდან, – ხელიდან არ გაგიშვებთ!

– ეცადეთ, იმპერატორთან ლაპარაკის დროს რაც შეიძლება მეტად შეაქოთ წესრიგი სურსათ-სანოვაგისა და მარშრუტების მოწოდების საქმეში, – უთხრა ბილიბინმა, როცა წინა ოთახამდე გააცილა.

– სურვილი მაქვს შევაქო, მაგრამ საქმის ვითარება რომ ვიცი, არ ძალმიძს, – მიუგო ღიმილით ბოლკონსკიმ.

– საერთოდ, რამდენადაც შეძლებთ, გააბით ლაპარაკი. გატაცებულია აუდიენციებით, მაგრამ ლაპარაკი თავად არ უყვარს და, როგორც დაინახავთ, არც ეხერხება.

თავი მეთორმეტე

გამოსვლისას იმპერატორმა ფრანცმა მხოლოდ ყურადღებით შეხედა სახეში თავად ანდრეის, რომელიც ავსტრიელ ოფიცერთა შორის იდგა დანიშნულ ადგილას, და თავისი გრძელი თავი დაუქნია. მაგრამ გამოსვლის შემდეგ გუშინდელმა ფლიგელ-ადიუტანტმა თავაზიანად გადასცა ბოლკონსკის იმპერატორის სურვილი აუდიენციის შესახებ. იმპერატორი შუა ოთახში იდგა, როცა ბოლკონსკი

შევიდა. ლაპარაკის დაწყებამდე თავადი ანდრეი გააოცა იმან, რომ იმპერატორი, თითქოს აირიაო, ვერ ახერხებდა რისამე თქმას, და გაწითლდა.

– მითხარით, როდის დაიწყო ბრძოლა? – ჰკითხა მან აჩქარებით.

თავადმა ანდრეიმ მიუგო. ამ კითხვას სხვა, ასეთივე უბრალო კითხვები მოჰყვა: „ჯანმრთელად არის თუ არა კუტუზოვი? როდის გავიდა კრემსიდან?“ და სხვ. იმპერატორი ისეთი გამომეტყველებით ლაპარაკობდა, თითქოს მის მიზანს განსაზღვრული რაოდენობის კითხვების დასმა შეადგენდა. პასუხი კი ამ კითხვებზე, ერთობ ცხადი იყო, სრულიად არ აინტერესებდა.

– რომელ საათზე დაიწყო ბრძოლა? – ჰკითხა იმპერატორმა.

– ვერ მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომელ საათზე დაიწყო ბრძოლა ფრონტზე, მაგრამ დიურენშტეინში, სადაც მე გახლდით, ჯარმა იერიში მიიტანა სადამოს 6 საათზე, – უთხრა ბოლკონსკიმ და გამოცოცხლდა, რადგან ფიქრობდა, ახლა კი მოვახერხებ წარვუდგინო გონებაში უკვე ჩამოყალიბებული სწორი აწერილობა ყველა იმისა, რაც ვიცი და ვნახეო.

მაგრამ იმპერატორმა გაიღიმა და გააწყვეტინა:

– რამდენი მილია?

– საიდან სადამდე, თქვენო უდიდებულესობავ?

– დიურენშტეინიდან კრემსამდე.

– სამ-ნახევარი მილი, თქვენო უდიდებულესობავ.

– ფრანგებმა მარცხენა ნაპირი მიატოვეს?

– როგორც მხერავებმა გვაცნობეს, ღამე ფრანგები ტივებით გადავიდნენ მდინარეზე.

– არის თუ არა კრემსში საკმაო საკვები ცხენებისთვის?

– საკვები არ მოგვაწოდეს იმდენი...

იმპერატორმა გააწყვეტინა:

– რომელ საათზე მოკლეს გენერალი შმიტი?

– ვგონებ, შვიდ საათზე.

– შვიდ საათზე? ძალიან სამწუხაროა! ძალიან სამწუხარო!

იმპერატორმა მადლობა გამოუცხადა და თავი დაუკრა. გამოსვლისთანავე თავად ანდრეის კარისკაცები შემოეხვივნენ. ყოველი მხრიდან ალერსიანი თვალები შესცქეროდნენ და ალერსიანი სიტყვები ესმოდა. გუშინდელმა ფლიგელ-ადიუტანტმა უსაყვედურა, რატომ სასახლეში არ ჩამოხტითო, და თავისი სახლი შესთავაზა. სამხედრო მინისტრმა, რომელიც თავად მივიდა ანდრეისთან, მიულოცა იმპერატორის წყალობა – მარია-ტერეზას მესამე ხარისხის ორდენი. დედოფლის კამერჰერი^[77] მის უდიდებულესობასთან, დედოფალთან, ეპატიჟებოდა. ერცჰერცოგის მეუღლესაც სურდა მისი ნახვა. თავადმა ანდრეიმ არ იცოდა, ვისთვის გაეცა პასუხი, და ერთხანს აზრს იკრებდა. რუსეთის ელჩმა მხარზე ხელი დაადო, ფანჯარასთან მიიყვანა და ლაპარაკი დაუწყო.

არ გამართლდა ბილიბინის სიტყვები: თავად ანდრეის მიერ მიტანილი ამბავი სასახლეში სიხარულით მიიღეს. დაინიშნა სამადლობელი პარაკლისი. კუტუზოვი დააჯილდოეს მარია-ტერეზას სახელობის დიდი ჯვრით, ხოლო მთელმა არმიამ საჩუქრები მიიღო. ბოლკონსკის ყველგან ეპატიჟებოდნენ, და მთელი დილა დარბაზობას მოანდომა: ინახულა ავსტრიის უპირველესი დიდებულნი და

წარჩინებულნი. დარბაზობის დასრულების შემდეგ, საღამოს მეხუთე საათზე, როდესაც თავადი ანდრეი ბილიბინთან ბრუნდებოდა, გონებაში ადგენდა მამასთან გასაგზავნად წერილს ბრძოლისა და ბრიუნში ყოფნის შესახებ. იმ სახლის პარმალის წინ, სადაც ბილიბინი ცხოვრობდა, ნივთებით ნახევრად დატვირთული ეტლი იდგა, და კარიდან გამოსული ფრანცი, ბილიბინის მსახური, ძლივს, წვალებით მოათრევდა ჩემოდანს (ბილიბინთან დაბრუნებამდე თავადმა ანდრეიმ წიგნის დუქანში შეიარა, რომ ლაშქრობისთვის ბლომად შეეძინა და კარგა ხანს დაყო იქ).

– რა ამბავია? – იკითხა ბოლკონსკიმ.

– Ach, Erlaucht (ეჰ, თქვენო ბრწყინვალეზავ), – მიუგო ფრანცმა და ხვნეშით შედო ჩემოდანი ეტლში, – Wir ziehen noch weiter. Der Bösewicht ist schon wieder hinter uns her (უფრო შორს მივემართებით. ავაზაკი ფეხდაფეხ მოგვდევს).

– რას ამბობ? – შეეკითხა კვლავ თავადი ანდრეი.

ამ დროს ბილიბინი გამოვიდა. მისი მუდამ მშვიდი სახე მღელვარებას მოეცვა.

– Non, non, avouez que c'est charmant (არა, არა, გამოტყდით, საუცხოოა), – დაიწყო მან, – cette histoire du pont de Thabor. Ils l'ont passé sans coup férir (საუცხოოა ეს ტაბორის ხიდის ისტორია. ისე გადმოვიდნენ ხიდს, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია).

თავად ანდრეის ვერაფერი გაეგო.

– არა, საიდან მოდიხართ, რომ არ იცით ის, რაც უკვე იცის ყველა მეეტლემ ქალაქში?

– ერცჰერცოგის მეუღლესთან ვიყავი, იქ არაფერი გამიგონია.

– არ შეგიძნევიათ, რომ ყველგან ბარგს ალაგებენ?

– არ შემიმჩნევია... მითხარით, რა მოხდა? – იკითხა მოუთმენლად თავადმა ანდრეიმ.

– რა მოხდა? მოხდა ის, რომ ფრანგები გადმოვიდნენ ხიდს, რომელსაც თავადი აუერსპერგი იცავდა, და ავსტრიელებს ხიდი არ აუფეთქებიათ. ასე რომ, მიურატი ბრიუნისკენ მოემშურება და დღეს თუ არა, ხვალ აქ იქნება.

– როგორ თუ აქ იქნება? რატომ არ ააფეთქეს ხიდი, აკი დანაღმული იყო?

– სწორედ მაგას გეკითხებით მეც! ეგ არავინ იცის, თვით ბონაპარტემაც კი.

ბოლკონსკიმ მხრები აიჩეჩა.

– თუ ხიდს გადმოვიდნენ, მაშ არმიაც დალუპულა, გზას გადაუჭრიან, – თქვა მან.

– საქმეც მაგაშია, – მიუგო ბილიბინმა, – მომისმინეთ, როგორც მოგახსენეთ, ფრანგები ვენაში შევიდნენ. კეთილი და პატიოსანი. მეორე დღეს, ესე იგი, გუშინ, ბატონი მარშლები: მიურატი, ლანი და ბელიარი ცხენებზე სხედან და tête de pont (გამაგრებული ხიდისკენ) მოემართებიან (დაიხსომეთ, რომ სამივე ეს მარშალი გასკონელია). ბატონებო, – ამბობს ერთი მათგანი, – როგორც მოგეხსენებათ, ტაბორის ხიდი დანაღმულია და კონტრდანაღმული; მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ჩვენ წინაშე აღმართულია ხიდის მხრისხანე სიმაგრე და იქ ჯარი დგას, – თხუთმეტი ათასი კაცი, რომელსაც ნაბრძანები აქვს, – ააფეთქოს ხიდი და არ გაგვიშვას. მაგრამ ჩვენს ხელმწიფე იმპერატორს, რა თქმა უნდა, ეს იამოვნება, თუ ხიდს ხელში ჩავიგდებთ. წავიდეთ სამნი და ავილოთ ეს ხიდი. წავიდეთო, – კვერს უკრავენ დანარჩენნი. მიდიან, მართლაც, იღებენ ხიდს, გადმოდიან მასზე, და ახლა მთელი არმია დუნაის აქეთა მხარეს მოემართება ჩვენს წინააღმდეგ, თქვენს წინააღმდეგ და თქვენი გზების გადასაჭრელად.

– ნუ ხუმრობთ, – მწუხარედ და სერიოზულად უთხრა თავადმა ანდრეიმ.

ეს ამბავი სამწუხარო და იმავე დროს სასიამოვნო იყო თავად ანდრეისთვის. გაიგო თუ არა, რომ რუსეთის არმია ასეთ უნუგემო მდგომარეობაშია ჩავარდნილიო, მაშინვე იმ აზრმა გაუელვა თავში, რომ სწორედ მან უნდა იხსნას რუსეთის არმია გაჭირვებისგან, რომ სწორედ ახლა გაჩნდა ის ტულონი,[78] რომელიც გამოიყვანს უცნობ ოფიცერთა რიგებიდან და გაუხსნის პირველ გზას სახელისკენ, დიდებისკენ. უგდებდა ყურს ბილიბინს და იმავე დროს ფიქრობდა, როგორ მივა არმიაში, როგორ წარუდგენს სამხედრო თათბირს თავის აზრს ჯარის გადარჩენისას და როგორ მიანდობენ მას ამ გეგმის შესრულებას.

– ნუ ხუმრობთ, – გაიმეორა თავადმა ანდრეიმ.

– არ ვხუმრობ, – განაგრძო ბილიბინმა, – არაფერი არ არის ამაზე მართალი და სამწუხარო. მარშლები მარტოდმარტონი მივლენ ხიდთან და ააფრიალებენ თეთრ ხელსახოცებს; ირწმუნებიან, რომ დაიდო დროებითი ზავი და რომ ისინი, მარშლები, მოვიდნენ თავად აუერსპერგთან მოსალაპარაკებლად. მორიგი ოფიცერი შეუშვებს tête de pont (გამაგრებულ ხიდზე). მარშლები ართობენ ოფიცერს ათასი გასკონური სისულელით: ამბობენ, რომ ომი დასრულებულიაო, რომ იმპერატორმა ფრანცმა დრო დანიშნა ბონაპარტესთან შესახვედრადო, თან ოხუნჯობენ, ზარბაზნებზე სხდებიან. ამასობაში ფრანგთა ბატალიონი შეუმჩნევლად გაჩნდება ხიდზე, წყალში გადაყრის ტომრებს საწვავი ნივთიერებით და სიმაგრესთან მივა. ბოლოს, გაჩნდება თვით გენერალ-ლეიტენანტი, ჩვენი კეთილი თავადი აუერსპერგ ფონ-მაუტერნი. „საყვარელო მოწინააღმდეგე! ავსტრიის მხედრობის თვალო, თურქეთის ომების გმირო! მტრობა ჩვენ შორის გათავდა, შეგვიძლია ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს... იმპერატორ ნაპოლეონს უდიდესი სურვილი აქვს გაიციოს თავადი აუერსპერგი“. ერთი სიტყვით, ეს ბატონები ტყუილად როდი არიან გასკონელები: ლამაზი სიტყვებით ისე აუხვევენ თვალებს თავად აუერსპერგს, იგი ისე მოიხიბლება სწრაფად დამყარებული ინტიმობით ფრანგ მარშლებთან, ისე დაბრმავდება მიურატის მანტიისა და სირაქლემის ფრთების დანახვაზე, რომ qu'il n'y voit que du feu, et oublie celui qu'il devait faire, faire sur l'ennemi (ის დაინახავს მხოლოდ მათ ცეცხლს და დაივიწყებს თავისას. იმ ცეცხლს, რომელიც მას მტრისთვის უნდა დაეშინა). ბილიბინი გატაცებით ლაპარაკობდა, მიუხედავად ამისა, მან არ დაივიწყა შეჩერება ამ mot-ის (სიტყვის) შემდეგ, რათა მისი შეფასების დრო მიეცა მოსაუბრისთვის. ამასობაში ფრანგთა ბატალიონი შეიჭრება tête de pont (ხიდის სიმაგრეში), მოშლის ზარბაზნებს და, ამრიგად, ხიდს აიღებს. არა, ყველაზე გასაოცარი აქ სერაჟანტის ამბავია, – განაგრძობდა ბილიბინი და, საკუთარი თხრობის სიმშვენიერით დამტკბარი, თანდათან მშვიდდებოდა მლეღვარებისგან, – ზარბაზნს, რომლის გასროლის შემდეგაც ნაღმებისთვის ცეცხლი უნდა წაეკიდებინათ და ხიდი აეფეთქებინათ, მიჩენილი ჰყავდა სერჟანტი. აი, ეს სერჟანტი, როგორც კი დაინახავს, რომ ფრანგები ხიდზე მორბიან, დააპირებს ზარბაზნის გასროლას, მაგრამ ლანი ხელს აუკრავს. სერჟანტი, ალბათ, თავის გენერალზე უფრო ჰკვიანი კაცი, აუერსპერგთან მივა და ეტყვის: „თავადო, გატყუებენ, აი, ფრანგები!“ მიურატი ხედავს, რომ საქმე ჩაიშლება, თუ სერჟანტს ლაპარაკის ნება მისცა. იგი, ვითომ გოცეხული (ნამდვილი გასკონელია), მიმართავს აუერსპერგს: „ვერ ვხედავ, თავადო, მთელ დედამიწაზე ქებულ ავსტრიელთა დისციპლინას! როგორ აძლევთ ჯარისკაცს ნებას, ასე გელაპარაკოს!“ C'est génial. Le prince d'Auersperg se pique d'honneur et fait mettre le sergent aux arrêts. Non, mais avouez que c'est charmant toute cette histoire du pont de Thabor. Ce n'est ni bêtise, ni lâcheté (გენიალურია! თავადი აუერსპერგი შეურაცხყოფილად ჩათვლის თავს და უბრძანებს, დააპატიმრონ სერჟანტი. არა, დამეთანხმეთ, რომ საუცხოოა ტაბორის ხიდის მთელი ეს ისტორია. ეს სისულელე როდია, სისამაგლე როდია)...

– C'est trahison peut-être (იქნებ ღალატია), – ჩამოართვა სიტყვა თავადმა ანდრეიმ და ცოცხლად წარმოიდგინა ნაცრისფერი ფარაჯები, ჭრილობა, თოფის წამლის კვამლი, სროლის ხმა და ის სახელი და დიდება, რომელიც მას მოელოდა.

– Non plus. Cela met la cour dans de trop mauvais draps (არც ღალატია. ეგ სამეფო კარს მეტად ცუდ მდგომარეობაში აყენებს), – განაგრძო ბილიბინმა, – Ce n'est ni trahison, ni lâcheté, ni bêtise; c'est comme à Ulm (ეგ ღალატი არ არის, არც სისამაგლე, არც სისულელე. ეგ ულმის მსგავსი რამეა, ეგ)... – ჩაფიქრდა, თითქოს შესაფერის გამოთქმას ეძებო, – c'est... c'est du Mack. Nous sommes mackés (это Маковщина. Мы олмаковались),[79] – დაასკვნა მან და იგრძნო, რომ თქვა un mot, ახალთახალი mot, ისეთი, როგორსაც სხვებიც გაიმეორებენ.

მანამდე შუბლზე თავმოყრილი ნაოჭები, სიამოვნების ნიშნად, ერთბაშად დაიშალა, და ბილიბინი, ოდნავ გაღიმებული, ფრჩხილების სინჯვას შეუდგა.

– საით? – ჰკითხა მან უეცრად თავად ანდრეის, რომელიც ფეხზე წამოდგა და თავისი ოთახისკენ გაემართა.

– მივდივარ.

– სად?

– არმიაში.

– თქვენ ხომ ორ დღეს კიდევ აპირებდით დარჩენას?

– ახლა კი ამ საათში მივდივარ.

თავადმა ანდრეიმ განკარგულება გასცა წასვლის შესახებ და თავის ოთახს მიაშურა.

– იცი რა, ჩემო კარგო, – მიმართა ბილიბინმა ბოლკონსკის, როცა მის ოთახში შევიდა, – თქვენი საქმე ავწონ-დავწონე, რატომ უნდა წახვიდეთ?

და, თავისი აზრის დაურღვევლობის დასამტკიცებლად, სახე მთლად გაითავისუფლა ნაოჭებისგან.

თავადმა ანდრეიმ გაოცებით შეხედა მოსაუბრეს და პასუხი არ გასცა.

– ჰო, რატომ უნდა წახვიდეთ? ვიცი, ფიქრობთ: ჩემი მოვალეობაა მივხედო არმიას ამჟამად, როცა იგი განსაცდელშიაო. mon cher, c'est de l'héroïsme (მესმის, ჩემო კარგო, ვიცი, რომ გმირობაა ეგ).

– სრულიადაც არა, – მიუგო თავადმა ანდრეიმ.

– მაგრამ, თქვენ ხომ un philosophe (ფილოსოფოსი ხართ)! მაშ, ბოლომდე დარჩით ფილოსოფოსად, შეხედეთ საქმეს სხვა მხრიდან, და დაინახავთ, რომ პირიქით, თქვენი მოვალეობაა გაუფრთხილდეთ თავს. დაუთმეთ ეგ იმათ, ვინც სხვა რამისთვის არ გამოდგება... თქვენთვის არ უბრძანებიათ უკან დაბრუნება, არც აქედან გაუშვიხართ; მაშასადამე, შეგიძლიათ დარჩეთ და წამოხვიდეთ ჩვენთან იქ, სადაც ჩვენი უბედური ბედი გადაგვტყორცნის. ამბობენ, ოლმიუცში მიდიანო. ოლმიუცი კი მეტად ჩინებული ქალაქია. მე და თქვენ ერთად გავუდგებით გზას ჩემი ეტლით.

– თავი დაანებეთ ხუმრობას, ბილიბინ, – უთხრა ბოლკონსკიმ.

– გულწრფელად და მეგობრულად გეუბნებით ამას. დაუკვირდით: სად და რატომ უნდა წახვიდეთ ახლა, როცა შეგიძლიათ დარჩეთ აქ? ორში ერთი მოგელით (ბილიბინმა მარცხენა საფეთქელზე კანი ხელით აიკრიბა): ან ვერ მიაღწევთ არმიამდე და ზავი დაიდება, ან კუტუხოვის მთელ არმიასთან ერთად დამარცხება და სირცხვილი გელით.

ბილიბინმა შეკეცილი კანი გაშალა და ამით თითქოს თქვა, – ეს დილემა დაურღვეველიაო.

– მაგას მე ვერ განვსჯი, – მიუგო ცივად თავადმა ანდრეიმ და გაიფიქრა: „მივდივარ იმისთვის, რომ არმია გადავარჩინო“.

– Mon cher, vous êtes un héros (თქვენ გმირი ხართ, ჩემო კარგო), – უთხრა ბილიბინმა.

თავი მეცამეტე

იმავე ღამეს ბოლკონსკი გამოემშვიდობა სამხედრო მინისტრს და გაემართა არმიაში, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, სად იპოვიდა მას. თანაც შიშობდა, კრემლისკენ მიმავალი ხელში არ ჩავარდნოდა ფრანგებს.

ბრიუნში სამეფო კართან დაკავშირებული მთელი მოსახლეობა ბარგს ალაგებდა და წასასვლელად ემზადებოდა; მძიმე რამეებს უკვე გზავნიდნენ ოლმიუცში. ეცელსდორფთან თავადი ანდრეი იმ გზაზე გავიდა, რომლითაც უდიდესი სისწრაფით ძალზე არეულ-დარეული მიემშურებოდა რუსთა არმია. გზა ისე იყო გაჭედილი ოთხთვალებით, რომ შეუძლებელი გახდა ეტლით გავლა. თავადმა ანდრეიმ კაზაკთა უფროსს ცხენი გამოართვა და კაზაკის თანხლებით მშვიერი და დაღლილი გაემშურა მთავარსარდლისა და თავისი ოთხვალის სამეზნელად. გზაზე ათასი შემზარავი ხმა ესმოდა არმიის მდგომარეობის შესახებ, ხოლო უწყესრიგოდ ლტოლვილი ჯარის დანახვა ადასტურებდა ამ ხმებს.

„Cette armée russe que l’or de l’Angleterre a transportée, des extrémités de l’univers, nous allons lui faire éprouver le même sort (le sort de l’armée d’Ulm)“ („რუსეთის ამ არმიას, რომელიც ინგლისის ოქრომ საიდან სად გადმოტყორცნა, ვაიძულებთ განიცადოს აქ იგივე ბედი (ულმის არმიის ბედი)“, – იგონებდა თავადი ანდრეი იმ ბრძანების სიტყვებს, რომლითაც ბონაპარტემ ომის დაწყების წინ თავის არმიას მიმართა, და ამ სიტყვებმა ერთნაირად აღძრეს მასში გაკვირვება გენიოსი გმირის წინაშე, შეურაცხყოფილი სიამაყის გრძნობა და დიდების მოხვეჭის იმედი. „მაგრამ თუ, სიკვდილის გარდა, სხვა გზა არ არის, – ფიქრობდა იგი, – მერე რა, თუ საჭირო იქნება, სხვებზე ცუდად არ მოვკვდები“.

თავადი ანდრეი ზიზღით შეჰყურებდა მიმოსვლის შემაფერხებელ ამ დაუსრულებელ ოთხთვალებს, პარკებს, არტილერიას და კვლავ ათასი სახისა და ჯურის ოთხთვალებს, რომლებიც ზოგან ერთმანეთს უსწრებდნენ, ზოგან კიდევ, სამ და ოთხრიგად ჩამწკრივებულნი, ტალახიან გზას ღობავდნენ. ყოველი მხრიდან, წინიდან და უკნიდან, სადამდისაც ხმა მისწვდებოდა, მოისმოდა თვლების ჭრიალი, ურმების, ფორნების, ლაფეტების გრუხუნის, ცხენების ფეხების ბაგაბუგი, მათრახების ტყლაშუნი, მეეტლეების შეტევა, მებრძოლების, მსახური ჯარისკაცებისა და ოფიცრების ლანძღვა-გინება. გზის აქეთ-იქით, ნაპირებზე, წამდაუწუმ თვალში ეჩხირებოდნენ კაცს ხან მკვდარი ცხენები, გატყავებული და გაუტყავებელი, ხან დამტვრეულ-დალეწილი ოთხთვალები, რომლებთანაც რაღაცის მოლოდინში ცალკეული ჯარისკაცები ისხდნენ, ხან რაზმებს ჩამორჩენილი ჯარისკაცები, რომელნიც ჯგუფ-ჯგუფად მიემართებოდნენ მეზობელი სოფლებისკენ, ან მოეზიდებოდნენ სოფლებიდან ქათმებს, ცხვრებს, თივას ან რაღაც-რაღაცებით გატენილ ტომრებს, დაღმართებსა და აღმართებზე ხალხი უფრო ბლომად და მჭიდროდ იყო თავმოყრილი და უფრო ძლიერი და დაუსრულებელი ყვირილი გაისმოდა. მუხლებამდე ტალახში ჩაფლული ჯარისკაცები ხელით მიათრევდნენ ქვემეხებსა და ფურგუნებს; მძიმედ ეშვებოდა მათრახები, ცურდებოდა ჩლიქები, წყდებოდა ღვედები, ადიოდ-ჩადიოდა ყვირილისგან ათასი მკერდი. ოფიცრები, რომელნიც მოძრაობას განაგებდნენ, ცხენებზე ამხედრებულნი ხან წინიდან მოუვლიდნენ, ხან უკან მოექცეოდნენ ოთხთვალა ქარავანს. საერთო გუგუნში მათი ხმა სუსტად გაისმოდა. სახეზე ეტყობოდათ, რომ წესრიგის აღდგენის ყოველი იმედი დაჰკარგოდათ.

„Voilà le cher (აი, ძვირფასო), ეს არის მართლმადიდებელი მხედრობა“, – გაიხსენა ბოლკონსკიმ ბილიბინის სიტყვები.

იგი მებარგულთან მივიდა, უნდოდა გამოეკითხა და გაეგო, სად იმყოფებოდა მთავარსარდალი. იქვე მახლობლად, მის პირდაპირ მიდიოდა ერთცხენიანი უცნაური ეტლი, ალბათ, ჯარისკაცების მიერ შინაურულად გაწყობილი, რომელიც რაღაც საშუალოს წარმოადგენდა ფორანს, კაბრიოლეტსა და მსუბუქ ეტლს შორის. ეტლზე ტყავი გადაეფარებინათ და ჯარისკაცს მიჰყავდა, ხოლო შიგ, ფარდის უკან, იჯდა თავზე შალშემოხვეული ქალი. თავად ანდრეის ის-ის იყო, უნდა მიემართა კითხვით საბარგულის ჯარისკაცისთვის, რომ მისი ყურადღება მიიქცია უცნაურ ეტლში მჯდომი ქალის საშინელმა წივილმა. ოფიცერი, რომელიც საბარგულებს განაგებდა, სცემდა ამ ქალის მეეტლეს, სცემდა იმისთვის, რომ მეეტლეს უნდოდა სხვებისთვის შემოეარა და წინ წასულიყო. მოქნეული მათრახი ხვდებოდა ჩამოფარებულ ფარდას, რომლის უკანაც ქალი იჯდა. ქალი ძალზე გაჰკვიოდა. როცა მან თავადი ანდრეი დაინახა, ფარდიდან თავი გამოყო და ხელების ქნევით დაიძახა:

– ადიუტანტო! ბატონო ადიუტანტო!.. ღვთის გულისთვის... დაგვიცავით... რა უბედურებაა... მე მემზიდე ეგერთა პოლკის მკურნალის ცოლი ვარ... არ გვიშვებენ, ჩამოვრჩით, ჩვენები დავკარგეთ...

– ლავაშივით გაგაბრტყელებ! მიაბრუნე ცხენი! – უყვიროდა გაბოროტებული ოფიცერი ჯარისკაცს, – შეაბრუნე უკან ეტლი მაგ შენი მაწანწალა დედაკაცით!

– ბატონო ადიუტანტო, დაგვიცავით! რას ჰგავს ეს? – გაჰკვიოდა ქალი.

– გაუშვით ეტლი! განა ვერ ხედავთ, შიგ ქალი ზის? – უთხრა თავადმა ანდრეიმ და ცხენდაცხენ ოფიცერთან მიიჭრა.

ოფიცერმა შეხედა, ხმა არ გასცა და კვლავ ჯარისკაცს მიუბრუნდა:

– გაჩვენებ, როგორ უნდა წინ წასვლა... დააბრუნე უკან!

– გაუშვით, გეუბნებით! – გაიმეორა ტუჩებამრეზილმა თავადმა ანდრეიმ.

– შენ ვილა ხარ? – მიუბრუნდა უეცრად ბოლკონსკის გაცოფებული ოფიცერი, – შენ ვინა ხარ-მეთქი? რომელი უფროსი შენ მყავხარ? – მკვეთრად გაიძახოდა განსაკუთრებით სიტყვას შენ, – მე ვარ აქ უფროსი და არა შენ. დააბრუნე უკან! – გაუმეორა მან ჯარისკაცს, – თორემ ლავაშივით გაგაბრტყელებ! ეს გამოთქმა, ეტყობოდა, ძალიან მოეწონა ოფიცერს.

– კარგად კი შეუკურთხა ადიუტანტს, – მოისმა ვიღაცის ხმა უკნიდან.

თავადი ანდრეი ხედავდა, რომ ოფიცერი ძალზე გააფთრებული იყო; იგი ისეთ მდგომარეობაში იყო, როცა მის გამოსარჩლებას მოჰყვა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდა, რასაც ფრანგულად ridicule (სასაცილო) ეწოდება, მაგრამ ინსტინქტი სულ სხვას ეუბნებოდა. ვერ მოასწრო ოფიცერმა უკანასკნელი სიტყვების დამთავრება, რომ თავადმა ანდრეიმ ცხენი ზედ მიაგდო და ბრაზისგან დამახინჯებული სახით მათრახი აიქნია:

– ი-ნე-ბეთ გა-შვე-ბა! – დაუყვირა თავადმა.

ოფიცერმა ხელი ჩაიქნია და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

– ყოველი არეგ-დარევა ამათგან, ამ შტაბის ადიუტანტებისგან მოდის, – ჩაიბუტბუტა მან, – რაც გენებოთ, ის ქენით!

თავადმა ანდრეიმ სწრაფად იბრუნა პირი მკურნალის ცოლისგან, რომელიც მას მხსნელს უწოდებდა, და გააქანა ცხენი იმ სოფლისკენ, სადაც, როგორც აცნობეს, მთავარსარდალი უნდა ყოფილიყო. მიდიოდა და ზიზღით იგონებდა ამ დამამცირებელი სცენის ყოველ წვრილმანს.

სოფელში შესვლისას ცხენიდან ჩამოხტა და ახლო მდებარე სახლისკენ გაემართა იმ განზრახვით, რომ წუთით მაინც შეესვენა, მცირედ დანაყრებულები და ნათელი მოეჩინა ამ შეურაცხმყოფელი, მტანჯველი აზრებისთვის. „ეს არამზადების ბრბოა და არა ჯარი“, გაიფიქრა და პირველი სახლის ფანჯარასთან მივიდა, როცა ნაცნობმა ხმამ მისი სახელი წამოიძახა.

უკან მიიხედა. პატარა ფანჯარაში ნესვიცკის გარეთ გამოყოფილი ლამაზი სახე მოჩანდა. იგი მადიანად ილუკმებოდა, ხელს უქნევდა და თავისთან უხმობდა.

– ბოლკონსკი, ბოლკონსკი! არ გესმის? მოდი აქ! – უყვიროდა ნესვიცკი.

როდესაც თავადი ანდრეი სახლში შევიდა, დაინახა ნესვიცკი და ერთი სხვა ადიუტანტი, რომელნიც რაღაცას შეეცუოდნენ. ისინი საჩქაროდ შეეკითხნენ ბოლკონსკის, – ახალი თუ იცი რამეო. კარგად ნაცნობ მათ სახეებზე თავადმა ანდრეიმ შემფოთება და აღელვება ამოიკითხა. შემფოთება განსაკუთრებით ნესვიცკის მუდამ მოლიმარე სახეს ემჩნეოდა.

– მთავარსადალი სად არის? – იკითხა ბოლკონსკიმ.

– აქ არის, აი, იმ სახლში, – მიუგო ადიუტანტმა.

– მართალია ზავი და კაპიტულაცია? – ჰკითხა ნესვიცკიმ.

– მე თქვენთვის უნდა მეკითხა. არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ძლივს მოვალწიე თქვენამდე.

– აქ, ძმაო, საშინელებაა! ვნანობ, რომ მაკს დავცინოდი. თვითონ უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდი, – უთხრა ნესვიცკიმ, – დაჯექი, შეჭამე რამე.

– ახლა, თავადო, ვერაფერს იპოვით, ვერც ოთხთვალას, ვერც სხვა რამეს. თქვენი პეტრეც, ვინ იცის, სად არის, – უთხრა მეორე ადიუტანტმა.

– სად არის მთავარი ბინა?

– ღამე ცნაიმში უნდა გავათიოთ.

– მე კი ყველაფერი, რაც მჭირდება, საუცხოოდ შევკარი, – თქვა ნესვიცკიმ, – ორი ცხენის საპალნე გამოვიდა. მშვენიერი საპალნეებია, თუნდ ბოჰემიის მთებისკენ მოკურცხლე. ცუდად არის, ძმაო საქმე. შენ რაღა მოგდის, უქეიფოდ ხარ, რომ მაგრე გაკანკალებს? – ჰკითხა ნესვიცკიმ, როცა შენიშნა, როგორ შეთრთოლდა თავადი ანდრეი, თითქოს ხელი ლეიდენის ქილას[80] შეახოო.

– არაფერია, – მიუგო თავადმა ანდრეიმ.

ამ დროს უეცრად გაახსენდა შეტაკება მკურნალის ცოლსა და საბარგულის ოფიცერთან.

– რას აკეთებს აქ მთავარსარდალი? – იკითხა მან.

– არაფერი მესმის, – მიუგო ნესვიცკიმ.

– მე კი ერთი ვიცი მხოლოდ, რომ ყველგან საზიზღრობაა. საზიზღრობა და საზიზღრობა! – თქვა თავადმა ანდრეიმ და იმ სახლისკენ გაემართა, სადაც მთავარსარდალი იდგა.

თავადმა ანდრეიმ გვერდით ჩაუარა კუტუზოვის ეტლს, ამალის გატანჯულ ცხენებს, ხმამალა მოლაპარაკე კაზაკებს და დერეფანში შევიდა. კუტუზოვი, როგორც თავად ანდრეის გადასცეს, თავად ბაგრატიონთან და ვეიროტერთან ერთად შიგნით იყო. ვეიროტერი ავსტრიელი გენერალი იყო,

რომელმაც მოკლული შმიტი შეცვალა. დერეფანში გადამწერი ჯარისკაცის წინ პატარა კოზლოვსკი ჩაცუცქულიყო. გადამწერს მუნდირის სახელოები გადაეკეცა და გამალებული წერდა გადამწერებულ გეჯაზე. კოზლოვსკის გატანჯული სახე ჰქონდა, ეტყობოდა, ღამე უძილოდ გაეთია. მან თავად ანდრეის შეხედა, მაგრამ თავიც კი არ დაუქნია.

– მეორე ხაზი... დაწერე? – განაგრძო მან კარნახი, – კიევის გრენადერთა პოლკი, პოდოლის...

– ვერ დაგეწევით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, – მიუგო გადამწერმა უპატივცემულოდ და გაჯავრებით, თან კოზლოვსკის გადახედა.

ოთახიდან მოისმოდა გაცხოველებული და ამავე დროს უკმაყოფილო ლაპარაკი კუტუზოვისა, რომელსაც მეორე უცნობი ხმა სიტყვას აწყვეტინებდა. ამ ხმების კილომ, იმან, თუ როგორ უგულოდ შეხედა მას კოზლოვსკიმ; გატანჯული გადამწერის უპატივცემულობამ; აგრეთვე იმან, რომ გადამწერი და კოზლოვსკი ასე ახლოს ისხდნენ მთავარსარდალთან; ამასთან, ისხდნენ იატაკზე, გეჯასთან; რომ კაზაკები, რომელთაც ცხენები ეჭირათ, ხმამაღლა იცინოდნენ ფანჯარასთან, – ყველაფერმა ამან თავად ანდრეის აგრძნობინა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი და უბედური რამ უნდა მომხდარიყო.

თავადმა ანდრეიმ დაჟინებით მიმართა კოზლოვსკის.

– ამ საათში, თავადო, – მიუგო კოზლოვსკიმ, – დისპოზიცია ბაგრატიონს.

– კაპიტულაცია?

– არავითარი კაპიტულაცია! გაიცა განკარგულება ბრძოლისთვის.

თავადი ანდრეი კარისკენ წავიდა, იქითკენ, საიდანაც ლაპარაკი მოისმოდა. მაგრამ იმ დროს, როცა კარი უნდა გაეღო, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, კარი შიგნიდან გაიღო და გამოჩნდა კუტუზოვი თავისი არწივისებური ცხვირით ფუნჩულა სახეზე. თავადი ანდრეი კუტუზოვის პირდაპირ იდგა, მაგრამ მთავარსარდალის ერთადერთი სალი თვალის გამომეტყველება ცხადყოფთა, რაღაც აზრსა და ზრუნვას ისე მოეცვა, რომ სხვას ვედარაფერს ხედავდა. კუტუზოვი პირდაპირ შეჰყურებდა თავის ადიუტანტს, მაგრამ ვერ სცნობდა.

– ვერ დაასრულე? – მიმართა მან კოზლოვსკის.

– ამ წუთში, თქვენო მაღალაღმატებულებავ!

მთავარსარდალს ოთახიდან გამოჰყვა ბაგრატიონი, არცთუ მაღალი ტანის კაცი, ხმელ-ხმელი, აღმოსავლური ტიპის მტკიცე და უმოძრაო სახის პატრონი, ჯერ კიდევ ჭარმაგი.

– მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გეახელით! – გაიმეორა საკმაოდ ხმამაღლა თავადმა ანდრეიმ და კონვერტი გაუწოდა.

– ვენიდან? კეთილი. მერე, მერე!

კუტუზოვი ბაგრატიონთან ერთად პარმაღზე გავიდა.

– აბა, თავადო, მშვიდობით, – უთხრა მან ბაგრატიონს, – ქრისტე იყოს შენი შემწე. გლოცავ და გგზავნი დიდ საგმირო საქმეზე.

კუტუზოვს სახე მოულოდნელად შეეცვალა, თვალში ცრემლი ჩაუდგა, მარცხენა ხელით მან ბაგრატიონი მიიზიდა, ხოლო მარჯვენათი, რომელზედაც ბეჭედი წამოეცვა, ალბათ, ჩვეული ჟესტით, პირჯვარი გადასწერა და ფუნჩულა ლოყა მიუშვირა, მაგრამ ბაგრატიონმა ლოყის მაგიერ კისერში აკოცა.

– ქრისტე იყოს შენი შემწე! – გაიმეორა კუტუზოვმა და ეტლთან მივიდა, – დაჯექი ჩემთან, – მიმართა მან ბოლკონსკის.

– თქვენო მაღალადმატებულებავ, მე მინდა სასარგებლო ვიყო აქ. ნება მიბოძეთ, თავად ბაგრატიონის რაზმში დავრჩე.

– დაჯექი! – გაიმეორა კუტუზოვმა და როცა შენიშნა, რომ ბოლკონსკი აყოვნებდა, უთხრა, – მე კარგი ოფიცრები თავად მჭირდება, თავად!

ჩასხდნენ ეტლში. რამდენიმე წუთს ხმა არ ამოუღიათ.

– წინ ჯერ კიდევ ბევრი, ბევრი საქმეა გასაკეთებელი, – თქვა კუტუზოვმა მოხუცის შორსგამჭვრეტელობით, თითქოს მიხვდა, რა ხდებოდა იმ დროს ბოლკონსკის გულში, – თუ ხვალ ამისი რაზმიდან მეათედი მაინც გადარჩა, ღმერთს მადლობას შევწირავ, – დაუმატა ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო.

თავადმა ანდრეიმ კუტუზოვს შეხედა, და ნახევარი ადლის მანძილიდან, თავისდა უნებურად, თვალში ეცა ნაჭრილობევის კარგად მობანილი ნაკეცი მის საფეთქელზე, სადაც იზმაილის ტყვიამ გაუარა, და მისი დაშრეტილი თვალი. „დიახ, ამას უფლება აქვს დამშვიდებით ილაპარაკოს ამ ხალხის დაღუპვაზე“, – გაიფიქრა ბოლკონსკიმ.

– სწორედ მაგიტომ გთხოვთ, გამგზავნოთ მაგ რაზმში, – თქვა მან.

კუტუზოვმა პასუხი არ გასცა. თითქოს დაავიწყდაო, რა თქვა. ჩაფიქრებული იჯდა. ხუთი წუთის შემდეგ, როდესაც ეტლი თავისი რბილი რესორებით წყნარად აქანავებდა კუტუზოვს, მან თავად ანდრეის მიმართა. მის სახეზე აღარ მოჩანდა მღელვარების ნასახიც კი. კუტუზოვმა დაწვრილებით და ოდნავ შესამჩნევი დაცინვით გამოჰკითხა თავად ანდრეის იმპერატორთან შეხვედრის ამბავი. ის, თუ რას ამბობდნენ მეფის კარზე კრემლის ბრძოლის შესახებ; გამოჰკითხა აგრეთვე ზოგიერთი საერთო ნაცნობი ქალის ამბები.

თავი მეთოთხმეტე

კუტუზოვმა თავისი მზვერავისგან 1-ელ ნოემბერს ისეთი ცნობა მიიღო, რომელიც მის არმიას თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა. მზერავმა აცნობა, ფრანგთა დიდძალი ჯარი, ვენის ხიდზე გადასვლის შემდეგ, იმ გზისკენ გაემართა, სადაც კუტუზოვი რუსეთიდან მომავალ ჯარს უნდა შეერთებოდა. თუ კუტუზოვი კრემსში დარჩენას გადაწყვეტდა, ნაპოლეონის ასორმოდათიასთან არმია გზას გადაუჭრიდა, გარს შემოერთებდა ორმოცათასიან დაუძღვრებულ არმიას და მაშინ კუტუზოვი ისეთსავე მდგომარეობაში ჩავარდებოდა, როგორშიც მაკი – ულმთან. თუ კუტუზოვი გადაწყვეტდა იმ გზის მიტოვებას, რომლითაც შეიძლებოდა რუსეთიდან მომავალ ჯართან შეერთება, მაშინ მის ჯარს უგზო-უკვლოდ უნდა ეარა ბოჰემიის უცნობ მთებში, დაეცვა თავი ბევრად უფრო ძლიერი მტრისგან და უკუეგდო ბუკსჰედენთან შეერთების ყოველი იმედი. თუ კუტუზოვი გადაწყვეტდა კრემსიდან ოლმიუცში მიმავალი გზით წასვლას რუსეთიდან გამოგზავნილ ჯართან შესაერთებლად, მაშინ ვენის ხიდით გადასული ფრანგები დაასწრებდნენ ამ გზაზე გასვლას, და რუსების ჯარი იძულებული გახდებოდა შებრძოლებოდა სამჯერ უფრო ძლიერ მტერს, რომელიც ორი მხრიდან ერთგვარად მას გარს, შებრძოლებოდა მთელი ბარგი-ბარხანით დატვირთული.

კუტუზოვმა ეს უკანასკნელი გამოსავალი აირჩია.

როგორც მზვერავი იუწყებოდა, ვენის ხიდზე გავლის შემდეგ ფრანგები სწრაფი სვლით გაემართნენ კუტუზოვის გზაზე მდებარე ცნაიმისკენ. კუტუზოვის ცნაიმამდე ას ვერსზე მეტი უნდა გაევიღო. ცნაიმში ფრანგებზე ადრე მისვლა რუსი ჯარის გადარჩენის დიდ იმედს იძლეოდა. მაგრამ თუ ფრანგები დაასწრებდნენ ცნაიმში მისვლას, მაშინ რუსის ჯარს დიდი განსაცდელი მოელოდა: ან ულმის მსგავსი სირცხვილი, ან საერთო დაღუპვა. მაგრამ ფრანგებზე ადრე მისვლა მთელი ჯარით შეუძლებელი ჩანდა: ფრანგების გზა ვენიდან ცნაიმამდე უფრო მოკლე და უკეთესი იყო, ვიდრე რუსების გზა კრემსიდან ცნაიმამდე.

ცნობა კუტუზოვმა ღამით მიიღო. იმ ღამესვე მან ოთხი ათასი კაცისგან შემდგარი ბაგრატიონის ავანგარდი გაგზავნა მთებით მარჯვნივ, კრემს-ცნაიმის გზიდან ვენა-ცნაიმის გზაზე. ბაგრატიონს შეუსვენებლად უნდა გაევიღო ეს მანძილი, მისულიყო დანიშნულ ადგილას. გაჩერებულიყო იქ ისე, რომ პირი ვენისკენ მიექცია, ხოლო ზურგი ცნაიმისკენ, და, თუ დაასწრებდა ფრანგებს, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შეეჩერებინა ისინი. თავად კუტუზოვი კი მთელი დანარჩენი ჯარითა და ბარგი-ბარხანით პირდაპირ ცნაიმისკენ დაიძრა.

ბაგრატიონმა მშვიერი და შიშველი ჯარისკაცებით მთებში, უგზო-უკვლოდ, ქარიშხლიან ღამეში გადალახა ორმოცდახუთი ვერსი და, თუმცა რაზმის მესამედი გზაში დაკარგა (ჩამორჩა რაზმს), – მაინც მიაღწია ვენა-ცნაიმის გზაზე მდებარე გოლაბრუნს რამდენიმე საათით ადრე ფრანგებზე, რომელნიც ვენიდან იმავე გოლაბრუნისკენ მიემართებოდნენ. კუტუზოვს თავისი საბარგულებით ერთი დღე-ღამე კიდევ უნდა ეარა, რომ გოლაბრუნამდე მიეღწია, და ამიტომ ბაგრატიონს რუსი არმიის გადასარჩენად ოთხი ათასი მშვიერი, გაწამებული ჯარისკაცით დღე-ღამის განმავლობაში უნდა გაეჩერებინა მტრის მთელი არმია, რომელსაც იგი გოლაბრუნში შეხვდა, რაც ცხადია, შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ უცნაურმა ბედმა შეუძლებელი შესაძლებლად გადააქცია. იმ თვალთმაქცობის წარმატებამ, რომელმაც ვენის ხიდი უბრძოლველად ჩაუგდო ფრანგებს ხელში, ამყამადაც წაათამაშა მიურატი: იგი შეეცადა კუტუზოვის ასევე მოტყუებას. მიურატმა, რაკი დაინახა ბაგრატიონის სუსტი რაზმი ცნაიმის გზაზე, კუტუზოვის მთელ არმიად მიიჩნია იგი. რათა უეჭველად გაენადგურებინა რუსები, მან გადაწყვიტა, დაეცადა ვენიდან მომავალი და გზაზე ჩამორჩენილი ჯარისთვის. ამ აზრით, წინადადება მისცა მოწინააღმდეგეებს, ჩამოეგდოთ სამი დღით დროებითი ზავი, იმ პირობით, რომ როგორც ერთის, ისე მეორის ჯარს არ შეეცვალა მდგომარეობა და არ დაძრულიყო ადგილიდან. მიურატი ირწმუნებოდა, რომ უკვე წარმოებს მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებად და ამიტომ, სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, წინადადებას იძლეოდა, დაედოთ დროებითი ზავი. ავანპოსტზე[81] მდგომმა ავსტრიელმა გენერალმა, გრაფმა ნოსტიცმა ირწმუნა პარლამენტორის[82] სიტყვები. უკან დაიხია და გამოაჩინა ბაგრატიონის რაზმი. მეორე პარლამენტორი რუსი ჯარისკენ გაემართა, რათა ეცნობებინა ზავზე მოლაპარაკების დაწყება და წინადადება მიეცა, დაედოთ სამი დღით დროებითი ზავი. ბაგრატიონმა მიუგო, არ შემიძლია მივიღო ან არ მივიღო დროებითი ზავი, და პასუხისთვის კუტუზოვთან გაგზავნა ადიუტანტი.

დროებითი ზავი ერთადერთი ხსნა იყო რუსი არმიისთვის. იგი საშუალებას აძლევდა კუტუზოვს, დრო მოეგო, დაესვენებინა ბაგრატიონის გაწამებული რაზმი და ოდნავ მაინც წაეწია წინ ცნაიმის გზაზე არმიის საბარგულები და მძიმე ტვირთი (რომელთა მოძრაობაც დაფარული იყო ფრანგებისთვის). ეს წინადადება არმიის გადარჩენის ერთადერთ და მოულოდნელ საშუალებას წარმოადგენდა. ცნობის მიღებისთანავე კუტუზოვმა დაუყოვნებლივ გაგზავნა მოწინააღმდეგის ბანაკში გენერალ-ადიუტანტი ვინცენგეროდე, რომელსაც არათუ უნდა მიეღო დროებითი ზავი, არამედ კაპიტულაციის პირობებიც წარედგინა; იმავე დროს კუტუზოვმა თავისი ადიუტანტები გაგზავნა მთელი არმიის საბარგულების მოძრაობის დასაჩქარებლად კრემს-ცნაიმის გზაზე. მარტოდმარტო ბაგრატიონის გაწამებულ და მშვიერ

რაზმს უნდა დაეცვა საბარგულებისა და მთელი არმიის ეს მოძრაობა, ფეხი არ მოეცვალა ადგილიდან და გამკლავებოდა რვაჯერ უფრო ძლიერ მტერს.

გამართლდა კუტუზოვის მოლოდინი, როგორც იმის შესახებ, რომ კაპიტულაციის წინადადება, რომელიც არავის არაფერს არ ავალებდა, ხელს შეუწყობდა საბარგულების ნაწილის მოძრაობის დაჩქარებას, ისე იმის შესახებაც, რომ მიურატის შეცდომა მალე გამოამკარავებოდა. ბონაპარტე შენბრუნში იყო, გოლაბრუნიდან 25 ვერსის მანძილზე. მიიღო თუ არა მიურატის ცნობა და დროებითი ზავისა და კაპიტულაციის პროექტი, აშკარად დაინახა, რომ ატყუებდნენ, და შემდეგი წერილი მისწერა მიურატს:

„Au prince Murat. Schoenbrunn, 25 brumaire en 1805 à huit heures du matin.

Il m'est impossible de trouver des termes pour vous exprimer mon mécontentement. Vous ne commandez que mon avant-garde et vous n'avez pas le droit de faire d'armistice sans mon ordre. Vous me faites perdre le fruit d'une campagne. Rompez l'armistice sur-le-champ et Marichez à l'ennemi. Vous lui ferez déclarer, que le général qui a signé cette capitulation, n'avait pas le droit de le faire, qu'il n'y a que l'Empereur de Russie qui ait ce droit.

Toutes les fois cependant que l'Empereur de Russie ratifierait la dite convention, je la ratifierai; mais ce n'est qu'une ruse. Marichez, détruisez l'armée russe... vous êtes en position de prendre son bagage et son artillerie.

L'aide-de-camp de l'Empereur de Russie est un... Les officiers ne sont rien quand ils n'ont pas de pouvoirs: celui-ci n'en avait point... Les Autrichiens se sont laissé jouer pour le passage du pont de Vienne, vous vous laissez jouer par un aide-de-camp de l'Empereur. Napoléon“.

(„პრინც მიურატს. შენბრუნი. 1805 წლის

25 ბრიუმერი. დილის 8 საათი.

სიტყვა ვერ გამოიმინახავს, რომ უკმაყოფილება გამოგიცხადოთ. თქვენ უფროსობთ მხოლოდ ჩემს ავანგარდს და უფლება არა აქვთ ჩემი ბრძანების გარეშე დროებითი ზავი დადოთ. თქვენ მაიმულებთ, დავეკარგო მთელი კამპანიის ნაყოფი. დაუყოვნებლივ დაარღვიეთ დროებითი ზავი და გაილაშქრეთ მტრის წინააღმდეგ. გამოუცხადეთ მას, რომ გენერალს, რომელმაც ხელი მოაწერა ამ კაპიტულაციას, არ ჰქონდა ამის უფლება და არც სხვა ვინმეს აქვს ამის უფლება, გარდა რუსეთის იმპერატორისა.

თუმცა, თუ რუსეთის იმპერატორი დასთანხმდება აღნიშნულ პირობებს, მეც დავთანხმდები; მაგრამ ეს სხვა არაფერია, გარდა ეშმაკობისა. გაეშურეთ, გაანადგურეთ რუსთა არმია... თქვენ შეგიძლიათ ხელში ჩაიგდოთ მისი საბარგულები და მისი არტილერია.

რუსეთის იმპერატორის გენერალ-ადიუტანტი მატყუარაა... ოფიცრები არაფერს წარმოადგენენ, როცა მათ არა აქვთ ძალაუფლებით აღჭურვილი რწმუნებულება; არც მას აქვს ეს რწმუნებულება... ავსტრიელები მოტყუდნენ ჩვენი ჯარის ხიდზე გავლის დროს, ხოლო თქვენ გატყუებთ იმპერატორის ადიუტანტი.

ნაპოლეონი“.

ბონაპარტეს ადიუტანტი ნიავევით მიაქროლებდა ცხენს, რათა ეს მრისხანე წერილი მიურატისთვის მიეტანა. თავად ბონაპარტე, თავის გენერლებზე გულაცრუებული, მთელი გვარდით ბრძოლის ველისკენ მიეშურებოდა, – ეშინოდა ხელიდან არ გასხლტომოდა უკვე გამზადებული მსხვერპლი, ხოლო ბაგრატიონის 4 000-კაციანი რაზმი კოცონებს ანთებდა, მხიარულად შრებოდა, თბებოდა, სამი დღის შემდეგ პირველად იხარშავდა ფაფას, და არავინ მთელი რაზმიდან არ იცოდა და არ ფიქრობდა, რა მოელოდა ხვალ.

თავი მეთხუთმეტე

თავადმა ანდრეიმ, როგორც იყო, გამოსთხოვა კუტუზოვს ბაგრატიონის რაზმში წასვლის უფლება, სადამოს მეოთხე საათზე გრუნტში ჩავიდა და ბაგრატიონს წარუდგა. ბონაპარტეს ადიუტანტი ჯერ არ იყო ჩასული მიურატის რაზმში და ბრძოლა არ დაწყებულიყო. ბაგრატიონის რაზმში არაფერი იცოდნენ საქმის საერთო მიმდინარეობის შესახებ, ლაპარაკობდნენ ზავზე, მაგრამ, არ სჯეროდათ ზავის ჩამოგდების შესაძლებლობა. ლაპარაკობდნენ ბრძოლაზე, მაგრამ არც ის სჯეროდათ, რომ მალე იბრძოლებდნენ.

ბაგრატიონმა, რომელიც ბოლკონსკის იცნობდა, როგორც კუტუზოვის საყვარელ და ნდობით აღჭურვილ ადიუტანტს, მიიღო იგი, ვით უფროსმა განსაკუთრებული გამორჩევით და წყალობით; აუხსნა, რომ ბრძოლა, ალბათ დღეს ან ხვალ მოხდებაო, და ნება დართო ან დარჩენილიყო მასთან ბრძოლის დროს, ან არიერგარდში თვალყური ედევნებინა უკან დახევისთვის, რასაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვსო.

– თუმცა დღეს, ალბათ, ბრძოლა არ გაიმართება, – თქვა ბოლოს ბაგრატიონმა, თითქოს ამშვიდებდა თავად ანდრეის.

„თუ ეს, – გაიფიქრა ბაგრატიონმა, – შტაბის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ფრანტთაგანია, რომელიც გამოგზავნეს ჯვრის მისაღებად, მაშინ არიერგარდშიც მიიღებს ჯვარს, ხოლო თუ ჩემთან დარჩენა სურს, დაე, დარჩეს... გამომადგება, თუ მამაცი ოფიცერია“. თავადმა ანდრეიმ არაფერი უპასუხა, სთხოვა მხოლოდ, ნება დამრთეთ შემოვიარო პოზიცია და გავიცნო ჯარის განლაგება, რათა დავალების დროს ვიცოდე, საით წავიდეთო. რაზმის მორიგე ოფიცერმა, ლამაზმა და კობტად გამოწყობილმა კაცმა, აღმასის ბეჭედი რომ ეკეთა საჩვენებელ თითზე, მოისურვა თავად ანდრეის გაცილება. იგი თუმცა უხეიროდ, მაგრამ ხალისით ლაპარაკობდა ფრანგულად.

ყველგან მოჩანდა გაწუწული ოფიცრები, რომელნიც მწუხარედ გამოიყურებოდნენ, თითქოს რაღაცას დაეძებნო, და ჯარისკაცები, რომელნიც სოფლიდან კარებს, მერხებსა და ღობეებს მოათრევდნენ.

– აი, თავადო, ვერ დაგვიღწევია თავი ამ ხალხისგან, – უთხრა შტაბოფიცერმა და მიუთითა ბოლკონსკის სოფლიდან მომავალ ჯარისკაცებზე, – უფროსები ყურადღებას არ აქცევდნენ და ისინიც თავს გავიდნენ. აი, აქ კიდევ, – უჩვენა მან მარკიტანტის[83] კარავზე, – თავს იყრიან და სხედან. დღეს დილით ყველანი გავრეკე: შეხედეთ, ისევ სავსეა, ერთ წუთს მომითმინეთ, თავადო, უნდა შევიდე, გავფანტო.

– მეც შემოვალ, ყველს და პურს ვიყიდი, – მიუგო თავადმა ანდრეიმ, რომელსაც ჯერ ვერ მოესწრო დანაყრება.

– რატომ არ მითხარით, თავადო? ჩემი პურმარილით გაგიმასპინძლებოდით.

ცხენებიდან გადმოხტნენ და კარავში შევიდნენ. გაწითლებული და გატანჯული სახის რამდენიმე ოფიცერი მაგიდასთან იჯდა, სვამდა და ჭამდა.

– რა ამბავია, ბატონებო?! – მიმართა შტაბოფიცერმა საყვედურით, იმ კაცის კილოთი, რომელმაც უკვე რამდენჯერმე გაიმეორა ერთი და იგივე, – ხომ იცით, რომ არ შეიძლება სამსახურის მიტოვება. თავადმა ბრძანა, არავინ არ იყოს აქ. აი თქვენ, ბატონო შტაბსკაპიტანო, – მიმართა მან პატარა ტალახში ამოსვრილ, გამხდარ არტილერიის ოფიცერს, რომელიც უწაღებო (წაღები გასაშრობად მიეცა მარკიტანტისთვის), წინდების ამარა იდგა შტაბოფიცერისა და თავად ანდრეის წინ და არაბუნებრივად ილიმებოდა.

– როგორ არ გრცხვენიათ, კაპიტანო ტუშინ, – განაგრძო შტაბოფიცერმა, – თქვენ, როგორც არტილერიისტი, მაგალითს უნდა უჩვენებდეთ სხვებს, ფეხშიშველა კი დადიხართ. ატყდება განგაში და აბა, რა სანახავი იქნებით მაშინ ფეხშიშველა (შტაბოფიცერმა გაიღიმა). კეთილი ინებეთ, წაბრძანდით თქვენს ადგილებზე, ბატონებო, ყველანი, ყველანი, – დაუმატა მან უფროსის კილოთი.

თავადმა ანდრეიმ უნებურად გაიღიმა შტაბსკაპიტან ტუშინის დანახვაზე. ტუშინი ჩუმად იდგა, იღიმებოდა და დიდი, გონიერი და კეთილი თვალებით გაკვირვებული შეჰყურებდა ხან თავად ანდრეის, ხან შტაბოფიცერს.

– ჯარისკაცები ამბობენ, ფეხშიშველას უფრო გვეხერხება მოძრაობაო, – უპასუხა ღიმილით და მოკრძალებით კაპიტანმა ტუშინმა; იგი ოხუნჯობით შეეცადა თავისი უხერხული მდგომარეობის მიფუჩეჩებას.

მაგრამ სანამ სიტყვას დაასრულებდა, მიხვდა, რომ ოხუნჯობა არ გამოუვიდა. შერცხვა.

– ინებეთ წაბრძანება! – მიმართა კვლავ შტაბოფიცერმა სერიოზული კილოთი.

თავადმა ანდრეიმ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი არტილერიისტის ფიგურას. რაღაც განსაკუთრებული იყო ამ ფიგურაში, არა მხედრული, ოდნავ კომიკური, მაგრამ მეტად მიმზიდველი.

შტაბოფიცერი და თავადი ანდრეი ცხენებზე შესხდნენ და თავიანთ გზას გაუდგნენ.

გასცდნენ თუ არა სოფელს, სადაც მათ წამდაუწუმ ხვდებოდნენ სხვადასხვა რაზმის ჯარისკაცები და ოფიცრები, შტაბოფიცერმა და თავადმა ანდრეიმ მარცხნივ დაინახეს მშენებლობაზე მომუშავე ხალხი. აგებდნენ სიმაგრეს, რომელიც, ალბათ, ახალამოთხრილი თიხის გამო, წითლად გამოიყურებოდა. მუშაობდა რამდენიმე ბატალიონი. ცივი ქარი უბერავდა, მიუხედავად ამისა, ჯარისკაცები პერანგის ამარა იყვნენ. ისინი თეთრი ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ ამ სიმაგრეებზე, თხრილიდან ვიღაცები ნიჩბებით წითელ თიხას ისროდნენ. თავად მთხრელები არ მოჩანდნენ. შტაბოფიცერი და მისი თანამგზავრი მშენებლობასთან მივიდნენ და დათვალიერების შემდეგ ისევ გაუდგნენ გზას. იქვე, სიმაგრეთა მახლობლად, ხალხი ირეოდა. ზოგი ჯარისკაცი მშენებლობიდან გამორბოდა, ზოგიც უკან ბრუნდებოდა. იმ ადგილას ჰაერი მთლად მოწამლული იყო; ისეთი სუნი იდგა, რომ თავადმა ანდრეიმ და შტაბოფიცერმა ცხენები გააჩქარეს.

– Voilà l'agrément des camps, monsieur le prince (აი, ბანაკის სიმშვენიერე, თავადო), – უთხრა მორიგე შტაბოფიცერმა.

ისინი პირდაპირ მდებარე მთაზე ავიდნენ. ამ მთიდან უკვე მოჩანდნენ ფრანგები. თავადმა ანდრეიმ ცხენი შეაჩერა და მიდამოს გადახედა.

– იქ, – თქვა შტაბოფიცერმა და ყველაზე მაღალ ადგილზე ანიშნა, – დგას იმ უცნაური შტაბსკაპიტანის ბატარეა, რომელიც ფეხშიშველა იჯდა; იქიდან ყველაფერი მოჩანს: წავიდეთ იქ, თავადო.

– დიდად გმადლობთ, ახლა მარტო წავალ, – მიუგო თავადმა ანდრეიმ; მას შტაბოფიცერის თავიდან მოშორება უნდოდა, – ნულარ შეწუხდებით.

შტაბოფიცერი ჩამორჩა, თავადი ანდრეი მარტო წავიდა.

რაც უფრო წინ მიდიოდა თავადი ანდრეი, რაც უფრო უახლოვდებოდა მოწინააღმდეგეს, მით უფრო მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდა ჯარი. ყველაზე მეტ უწესობას და სასოწარკვეთილებას თავადი ანდრეი წააწყდა საბარგულების იმ ქარავანში ცნაიმის წინ, რომელიც თავადმა ანდრეიმ დილას მოიარა და რომელიც ფრანგებს ათი ვერსით იყო დაშორებული. გრუნტშიც იგრძნობოდა ერთგვარი ჩოჩქოლი და რაღაცის შიში. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა თავადი ანდრეი ფრანგთა მოწინავე რაზმებს, მით

უფრო მეტი სიმტკიცე და გულდაჯერებულება იყო აღბეჭდილი ჩვენი ჯარის სახეზე. ერთ ადგილას ფარაჯებში გამოწყობილი ჯარისკაცები ჩაემწკრივებინათ; ფელდფებელი და ასეულის უფროსი მწკრივში მყოფთ ითვლიდნენ, თანაც მეათეს თითოს მიადებდნენ მკერდზე და უბრძანებდნენ ხელი აეშვირა; ირგვლივ მიმოფანტული ჯარისკაცები შეშასა და ფიჩხს მიათრევდნენ და ფარდულებს იშენებდნენ, თან მხიარულად იცინოდნენ და ლაზღანდარობდნენ; კოცონებთან ისხდნენ ჩაცმული და შიშველი ჯარისკაცები, პერანგებსა და შემოსახვევებს იშრობდნენ ან წაღებსა და ფარაჯებს იკერებდნენ; სხვები ქვაბებთან და მზარეულებთან ირეოდნენ. ერთ ასეულში სადილი უკვე მზად იყო, ჯარისკაცები ხარბი თვალით შეჰყურებდნენ, როგორ ასდიოდა ოხშივარი ქვაბებს. და ელოდნენ, როდის მიუტანდა გასასინჯად კაპტენარმუსი[84] ჯამით საჭმელს ოფიცერს, რომელიც მორზე იჯდა თავისი ფარდულის წინ.

მეორე ასეულში ჯარისკაცები ფელდფებელთან შეჯგუფებულიყვნენ; ნაყვავილარ, განიერ მხარბეჭიან ფელდფებელს პატარა კასრი წამოეყირავებინა და ყველას სათითაოდ მათარებში არაყს უსხამდა. ეს ასეული სხვებზე ბედნიერი იყო, რადგან არაყი ყველას როდი გააჩნდა. ჯარისკაცებს მოწიწებით, თითქოს ლოცულობდნენ, მიჰქონდათ მათარები პირთან, აპირქვავენდნენ, ტუჩებს ფარაჯის სახელოთი იწმენდნენ და შორდებოდნენ ფელდფებელს. ყველას დამშვიდებული სახე ჰქონდა, თითქოს ყოველივე ეს ხდებოდა არა მტრის თვალწინ, ბრძოლის ველზე, სადაც, სულ ცოტა, რაზმის ნახევარზე მეტს თავი უნდა შეეწირა, არამედ სადმე, სამშობლოში, მშვიდობიანი შესვენების მოლოდინში. თავადმა ანდრეიმ ეგერთა პოლკი გაიარა და კიევის გრენადერთა[85] რიგებში, მარჯვე ვაჟკაცთა რიგებში, რომელნიც, სხვებივით მშვიდობიანად მუშაობდნენ, სხვა ფარდულებისგან განსხვავებული პოლკის უფროსის მაღალი ფარდულის მახლობლად, წააწყდა გრენადერთა ოცეულის ფრონტს, რომლის წინაც შიშველი კაცი იწვა. ორ ჯარისკაცს მაგრად ეჭირა იგი, ხოლო ორი სხვა მოქნილ წკეპლებს სცემდნენ გამიშვლებულ ზურგზე. დასჯილი არაბუნებრივად ყვიროდა. სქელი მაიორი ფრონტის წინ დადიოდა, ყურადღებას არ აქცევდა ყვირილს და განუწყვეტლივ ამბობდა:

– ჯარისკაცისთვის სამარცხვინოა ქურდობა, ჯარისკაცი პატიოსანი, კეთილშობილი და მამაცი უნდა იყოს; ვინც თავის ძმას გაქურდავს, ის პატიოსანი არ არის, ის არამზადაა. დაჰკარით კიდევ, კიდევ.

და კვლავ ისმოდა მოქნილი წკეპლების დარტყმა და თავგანწირული, მაგრამ თვალთმაქცური ყვირილი.

– კიდევ, კიდევ, – იმეორებდა მაიორი.

ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელსაც სახეზე შემფოთება და ტანჯვა აღბეჭდოდა, თავი მოარიდა იმ ადგილს და გაოცებული თვალები მიმავალ ადიუტანტს გააყოლა.

თავადი ანდრეი მოწინავე ხაზზე გავიდა და ფრონტს გაჰყვა. მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე ჩვენი და მტრის რაზმები ძალიან შორი-შორს იდგნენ ერთმანეთისგან, მაგრამ შუაში, იმ ადგილას, სადაც დილას პარლამენტორებმა გაიარეს, ისე დაახლოებულიყვნენ, რომ შეეძლოთ სახეები დაენახათ და ლაპარაკი გაებათ. მწკრივში მდგომ ჯარისკაცებს გარდა, ამ ადგილას ბევრმა ცნობისმოყვარემ მოიყარა თავი ორივე მხრიდან, ისინი სიცილით და გაოცებით ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

ნაბრძანები იყო, არ მიეშვათ ხალხი მოწინავე ხაზზე, მაგრამ დილიდანვე იმდენი ცნობისმოყვარე მიდიოდა, რომ უფროსებს ვერაფერი გაეწყობათ. მოწინავე მწკრივში მდგომთათვის ფრანგები ინტერესს აღარ წარმოადგენდნენ, ისინი უფრო მისულებს ათვალიერებდნენ და მოწყენილნი ელოდნენ ცვლას. თავადი ანდრეი შეჩერდა ფრანგების დასათვალიერებლად.

– შეხედე, შეხედე, – ეუბნებოდა ერთი ჯარისკაცი თავის ამხანაგს და უჩვენებდა მემუშკეტე ჯარისკაცზე, რომელიც ოფიცერთან ერთად მწკრივთან მივიდა და რაღაცას სწრაფად და ცხარედ ეუბნებოდა ფრანგ გრენადერს, – უყურე ერთი, როგორ სეტყვასავით დააყარა! სულ თავბრუ დაახვია ფრანგს! აბა, ახლა შენ დაიწყე, სიდოროვ.

– მოიცა, ყური დაუგდე. შეხე, რა დღე დააყენა! – მიუგო სიდოროვმა, რომელიც ფრანგული ენის ლაპარაკში ოსტატად მიიჩნეოდა.

ჯარისკაცი, რომელზედაც მოცინარენი უჩვენებდნენ, დოლოხოვი იყო. თავადმა ანდრეიმ იცნო და ყური დაუგდო მის ლაპარაკს. დოლოხოვი თავის ასეულის უფროსთან ერთად მარცხენა ფრთიდან მოვიდა, სადაც მისი პოლკა იდგა.

– კიდევ, კიდევ! – აქეზებდა ასეულის უფროსი, რომელიც, წინ წახრილი, ცდილობდა, არ გამოჰპაროდა არც ერთი გაუგებარი სიტყვა.

დოლოხოვს პასუხი არ გაუცია ასეულის უფროსისთვის; ის ცხარე კამათში იყო ჩაბმული ფრანგ გრენადერთან. ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლის ამბებზე ლაპარაკობდნენ. ფრანგი რუსებსა და ავსტრიელებს ერთმანეთში ურევდა და ამტკიცებდა: რუსები ისე დამარცხდნენ, რომ ულმიდან შეუჩერებელივ მორბიანო. დოლოხოვი კი უმტკიცებდა, რომ, პირიქით, რუსები არ დამარცხებულან, ისინი მუდამ შავ დღეს აყრიდნენ ფრანგებსო.

– გვიბრძანეს, გაგრეკოთ აქედან და გაგრეკავთ კიდევ, – უთხრა დოლოხოვმა.

– უფრთხილდით კი, რომ ტყვეებად არ წაგასხათ ყველანი, – თქვენც და თქვენი კაზაკებიც, – უპასუხა ფრანგმა გრენადერმა.

მაყურებელმა და მსმენელმა ფრანგებმა გაიცინეს.

– on vous fera danser (ისე გახტუნებთ), როგორც სუვოროვის დროს, – უთხრა დოლოხოვმა.

– Qu'est-ce qu'il chante (რას კაკანებს ეგ კაცი)? – შეეკითხა გრენადერს ერთი ფრანგი.

– De l'histoire ancienne (ძველი ისტორია), – მიუგო მეორემ, რომელიც მიხვდა, რომ ლაპარაკი წარსულ ომებს ეხებოდა.

– L'Empereur va lui faire voir à votre Souvara, comme aux autres (იმპერატორი აჩვენებს სეირს თქვენს სუვარას, როგორც ბევრ სხვას აჩვენა).

– ბონაპარტე... – დაიწყო დოლოხოვმა, მაგრამ ფრანგმა გააწყვეტინა.

– არ არის ბონაპარტე, არის იმპერატორი! Sacré nom (ეშმაკმა წაიღოს შენი თავი)! – დაუყვირა გულმოსულმა ფრანგმა.

– ეშმაკმა თქვენი იმპერატორი წაიღოს!

და დოლოხოვმა რუსულად შეუკურთხა, შეუკურთხა უხეშად, ჯარისკაცურად, თოფი მხარზე გაიღო და თავი მიანება ფრანგს.

– წავიდეთ, ივან ლუკიჩ, – უთხრა მან ასეულის უფროსს.

– აი, ეგ არის ფრანგული! – წამოიძახა მწკრივში მყოფმა ჯარისკაცმა, – აბა, ახლა შენ მიდი, სიდოროვ!

სიდოროვმა თვალი ჩაუკრა, მიმართა ფრანგებს და სეტყვასავით დააყარა გაუგებარი სიტყვები:

– კარი, მალა, ტაფა, საფი, მუტერ, კასკა, – ტიტინებდა იგი, თანაც ცდილობდა დამაჯერებელი ინტონაცია მიეცა თავისი ხმისთვის.

– ჰო, ჰო, ჰო! ჰა, ჰა, ჰა! – გაისმა ისეთი ზორბა და მხიარული სიცილი, რომ მწკრივს იქით მყოფ ფრანგებსაც კი გადაედოთ; ამის შემდეგ თითქოს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ შეკრებილთ, რომ იარაღი დაეყარათ, თოფ-წამალი აეფეთქებინათ და შინისკენ გაბრუნებულიყვნენ.

მაგრამ იარაღი კვლავ ხელში ეჭირათ, სათოფურები სახლებსა და სიმაგრეებში ისევე მრისხანედ გამოიყურებოდნენ, როგორც წინათ, წამოღებული ზარბაზნები ისევე იმუქრებოდნენ, როგორც ძველად.

თავი მეთექვსმეტე

თავადმა ანდრეიმ ჯარის მთელი ხაზი მოიარა, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფრთაზე და მერე იმ ბატარეისკენ გაემართა, საიდანაც, შტაბოფიცრის სიტყვით, მთელი მინდორი მოჩანდა. იქ ოთხი ქვემეხი იდგა. თავადი ანდრეი ცხენიდან გადმოხტა და ჩამოღებულ განაპირა ქვემეხთან გაჩერდა. ქვემეხების წინ გუშაგი არტილერიისტი დადიოდა. ოფიცრის დანახვაზე სწრაფად გამოიჭიმა და ხელი ზევით წაიღო, მაგრამ თავადმა ანიშნა – საჭირო არ არისო, და მან კვლავ განაახლა თანაბარი, მოსაწყენი სიარული. ბატარეის უკან ქვემეხების საზიდის წინა თვლები მოჩანდა, ცოტა მოშორებით – არტილერიისტთა ცხენსაბამები და კოცონები. მარცხნივ, განაპირა ზარბაზნის მახლობლად, მოწული კარავი იდგა, საიდანაც ოფიცრების ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა.

მართლაც, ბატარეიდან ჩინებულად მოჩანდა მთელი ის ადგილი, სადაც რუსი ჯარი იყო განლაგებული, და იმ ადგილის ნაწილი, რომელიც მტერს ეჭირა. ბატარეის პირდაპირ, წინამდებარე ბექობის ჰორიზონტზე, მოჩანდა სოფელი შენგრაბენი; მარცხნივ და მარჯვნივ, სამ ადგილას, კოცონების კვამლში თვალი ადვილად გაარჩევდა ფრანგთა ჯარის მასებს, რომელთა მეტი წილი თვით სოფელში და ბექობს უკან იდგა. სოფლის მარცხნივ, კვამლში, ბატარეის მსგავსი რაღაც მოჩანდა, მაგრამ შეუიარაღებელი თვალი ვერ გაარჩევდა, დანამდვილებით რა იყო. ჩვენს მარჯვენა ფრთას ეჭირა საკმაოდ დაქანებული მალლობი, რომელიც ზევიდან დაჰყურებდა ფრანგთა პოზიციას. იქ ჩვენი ქვეითი ჯარი იდგა, ხოლო მის კიდურზე დრაგუნები მოჩანდნენ. ცენტრიდან, სადაც ტუშინის ბატარეა იდგა (იქიდან ათვალეობდა თავადი ანდრეი პოზიციას), ყველაზე უფრო დაქანებული და პირდაპირი დაღმართი ეშვებოდა ნაკადულისკენ, რომელიც რუსების ჯარს შენგრაბენისგან ყოფდა. მარცხნივ ჯარი ტყეს ეკვროდა, სადაც ქვეითი რაზმების კოცონები ბოლავდნენ; თვით რაზმები შეშას ჭრიდნენ ტყეში. ფრანგების ხაზი უფრო განიერი იყო რუსების ხაზზე და, ცხადია, ადვილად შეეძლოთ მათი შემოვლა ორივე მხრიდან. რუსების პოზიციის უკან ღრმა ხევი იყო დაქანებული ნაპირებით, ამ ხევით დახვევა ძალიან გაუძნელებოდა არტილერიას და ცხენოსნებს. თავადმა ანდრეიმ, ზარბაზანზე დაყრდნობილმა, ქაღალდი ამოიღო და თავისთვის დაიხაზა ჯარის განლაგების გეგმა. ორ ადგილას ფანქრით აღნიშნა ის, რაც ბაგრატიონისთვის უნდა ეცნობებინა. მისი აზრით, საჭირო იყო, ჯერ ერთი – მთელი არტილერიის თავმოყრა ცენტრში, მეორე – კავალერიის გადაყვანა უკან, ხევის იქითა ნაპირზე. თავადი ანდრეი მუდამ მთავარსარდალთან იმყოფებოდა, თვალყურს ადევნებდა მასების მოძრაობას და საერთო განკარგულებებს, განუწყვეტლივ ეცნობოდა ბრძოლების ისტორიულ აღწერილობას, და ახლაც უნებურად ცდილობდა საერთო ხაზებში წარმოედგინა მომავალი ბრძოლის მიმდინარეობა. მისი აზრით, შესაძლებელი იყო ორი შემდეგი თვალსაჩინო მოულოდნელობა: „თუ მოწინააღმდეგე იერიში მოიტანა ჩვენს მარჯვენა ფრთაზე, – ეუბნებოდა ის თავის თავს, – კიევის გრენადერთა და პოდოლის ეგერთა პოლკებმა თავიანთი პოზიცია უნდა შეინარჩუნონ იმ დრომდე, სანამ ცენტრის რეზერვები არ მიეშველებიან. ამ შემთხვევაში დრაგუნები გვერდიდან შეუტევენ და უკუაგდებენ მათ. ხოლო თუ იერიში ცენტრზე მოიტანეს, ჩვენ ამ მალლობზე ცენტრალურ ბატარეას დავდგამთ, მის საფარველქვეშ თავს მოვუყრით მარცხენა ფრთას და მწყობრად დავიხევთ ხევამდე ეშელონებად“.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც თავადი ანდრეი ბატარეაზე იყო, განუწყვეტლივ ესმოდა ფარდულიდან ოფიცრების ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ ლაპარაკის აზრს ყურადღებას არ აქცევდა. უეცრად მოლაპარაკეთა მეტად გულთბილმა კილომ ისე გააოცა, რომ ყური მიუგდო.

– არა, ჩემო კარგო, – დაიწყო სასიამოვნო, თავად ანდრეის თითქოს ნაცნობმა ხმამ, – გეუბნები, რომ ვიცოდეთ, რა იქნება სიკვდილის შემდეგ, მაშინ სიკვდილს არავინ აღარ შეუშინდებოდა. ასეა, ჩემო კარგო.

მეორე, უფრო ახალგაზრდა ხმამ გააწყვეტინა.

– გეშინია თუ არ გეშინია, სულერთია, არ აგცდება.

– მაინც გეშინია! ასეთები ხართ თქვენ, სწავლულები, – გააწყვეტინა ორივეს მესამის ვაჟკაცურმა ხმამ, – ჰოდა, თქვენ, არტილერისტები, იმიტომ ხართ სწავლულები, რომ ყველაფრის წაღება შეგიძლიათ თან, არყისაც, საჭმლისაც.

და ვაჟკაცური ხმის პატრონმა, ალბათ, ქვეითი ჯარის ოფიცერმა, გაიცინა.

– მაინც გეშინია, – განაგრძო პირველმა, ნაცნობმა ხმამ, – არ იცი, რა იქნება, აი, რისი გეშინია. სული ზეცაში წავაო... ჩვენ კი ვიცით, რომ ზეცა არ არის, არის მხოლოდ ატმოსფერო.

ვაჟკაცურმა ხმამ კვლავ გააწყვეტინა არტილერისტს.

– გაგვიმასპინძლდით, ტუშინ, თქვენი პირის ჩასაკოკლოზინებლით, – უთხრა მან.

„ჰო, ეს ის კაპიტანია, ფეხშიშველა რომ იყო მარკიტანტთან“, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ და სიამოვნებით შეიცნო საამური მოფილოსოფოსე ხმა.

– ჰო, ჩასაკოკლოზინებელი შეიძლება, – თქვა ტუშინმა, მომავალს მაინც უნდა მივწვდეთ... – აღარ დაამთავრა აზრი.

ამ დროს ჰაერში ზუზუნნი გაისმა; უფრო და უფრო ახლოვდებოდა იგი, უფრო და უფრო გარკვევით მოისმოდა, და ყუმბარამ თითქოს სათქმელი ვერ დაამთავრაო, არაჩვეულებრივი ძალით გაფანტა შხეფები და ფარდულის მახლობლად ზღართან მოადინა. მიწამ თითქოს ამოიხვნეშა ამ საშინელი დაცემისგან.

იმავე წუთს ფარდულიდან ყველაზე ადრე გამოვარდა პატარა ტუშინი გვერდზე მოქცეული ჩიბუხით პირში; კეთილი, გონიერი სახე ოდნავ ფერწასული ჰქონდა. მას გამოჰყვა ვაჟკაცური ხმის პატრონი, ქვეითა ჯარის მოხდენილი ოფიცერი. იგი თავისი ასეულისკენ გარბოდა და თან ღილებს იკრავდა.

თავი მეჩვიდმეტე

თავადი ანდრეი, ცხენზე მჯდომარე, ბატარეასთან გაჩერდა, იგი იმ ქვემეხის კვამლს შეჰყურებდა, საიდანაც ყუმბარა გამოვარდა. შემდეგ უზარმაზარ სივრცეს მოავლო თვალი. დაინახა მხოლოდ, როგორ შეირხა მანამდე უძრავი მასა ფრანგებისა. დაინახა აგრეთვე, რომ მარცხნივ მართლაც ბატარეა იდგა. ამ ბატარეის თავზე კვამლი ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო. ორმა ფრანგმა ცხენოსანმა, ალბათ, ადიუტანტებმა, მაღლობზე გაიქროლეს. მაღლობის ძირში აშკარად მოჩანდა მოწინააღმდეგის მცირე რაზმი. იგი, ალბათ, მოწინავე მწკრივის გასაძლიერებლად მიდიოდა. ჯერ კიდევ პირველი გასროლის კვამლი არ გაფანტულიყო, რომ გამოჩნდა მეორე კვამლი და მოისმა ახალი გასროლის ხმა. ბრძოლა დაიწყო. თავადმა ანდრეიმ ცხენი მიატრიალა და გრუნტისკენ გააქროლა თავად ბაგრატიონის

მოსაძებნად. უკნიდან ესმოდა, რომ სროლა ხშირდებოდა და ძლიერდებოდა. ეტყობოდა, ჩვენებმაც დაიწყეს სროლა. ქვემოდან, იმ ადგილიდან, სადაც პარლამენტორებმა გაიარეს, თოფის სროლა მოისმა. ლემარუა (Lemarierois), ბონაპარტეს მრისხანე წერილით ის-ის იყო, მივიდა მიურატთან, და დარცხვენილმა მიურატმა, საქმის გამოსასწორებლად, იმავე წუთს დაძრა მთელი თავისი ჯარი მოწინააღმდეგის ცენტრზე იერიშის მისატანად და მისი ორივე ფრთის შემოსავლელად; იმედი ჰქონდა, რომ სადამომდე და იმპერატორის მისვლამდე გაანადგურებდა უმნიშვნელო რაზმს, რომელიც გზას უღობავდა.

„დაიწყო! აჰა ესეც!“ – ფიქრობდა თავადი ანდრეი; გრძნობდა, როგორ აუჩქროლდა მარღვებში სისხლი. „მაგრამ სად? როგორ გამოიხატება ჩემი ტულონი?“ – გაიფიქრა მან.

თავადმა ანდრეიმ იმ ასეულებს გაუარა, რომელნიც თხუთმეტი წუთის წინ ფაფას ჭამდნენ და არაყს სვამდნენ. ყველგან ერთსა და იმავეს ხედავდა – სწრაფ მოძრაობას: ზოგი ეწყობოდა, ზოგი აყუდებულ თოფებისკენ გარბოდა, და ყველას სახეზე გამოცოცხლების ის გრძნობა აღბეჭდოდა, რასაც თვითონ ანდრეი განიცდიდა. „დაიწყო! აჰა ესეც! საშინელია და სასიხარულო!“ – ამბობდა ყოველი ჯარისკაცისა და ოფიცრის სახე.

ჯერ კიდევ არ იყო თავადი ანდრეი იმ ადგილთან მისული, სადაც სიმაგრეს აგებდნენ, რომ შემოდგომის ღრუბლიან სადამოს ბინდებუნდში მომავალი მხედრები დაინახა. წინა მხედარი, ნაბდიანი და კეპიანი, თეთრ ცხენზე იჯდა. ეს თავადი ბაგრატიონი იყო. თავადი ანდრეი ბაგრატიონის მოლოდინში გაჩერდა. თავადმა ბაგრატიონმა ცხენი შეაჩერა და როგორც კი იცნო თავადი ანდრეი, თავი დაუქნია. იგი წინ იყურებოდა, როცა თავადი ანდრეი უამბობდა ყოველივეს, რაც პოზიციის შემოვლის დროს ენახა.

ის გამომეტყველება, რომელიც ამბობდა, – დაიწყო! აჰა, ესეცო! გამოხატული იყო თავად ბაგრატიონის მტკიცე სახეზეც. თვალები ამღვრეოდა, თითქოს არ გამოუძინიაო. თავადი ანდრეი შეშფოთებული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ამ უმოძრაო სახეს, უნდოდა გაეგო, ფიქრობს და გრძნობს თუ არა საერთოდაც და რას ფიქრობს, რას გრძნობს იგი ამ წუთს? „არის თუ არა საზოგადოდ რამე იქ, ამ უმოძრაო სახის იქით?“ – ეკითხებოდა თავადი ანდრეი თავის თავს და შეჰყურებდა თავადს. ბაგრატიონმა თავი დახარა, ნიშნად თანხმობისა იმაზე, რაც თავადმა ანდრეიმ აცნობა, და თქვა, კარგო; ეს ისეთი გამომეტყველებით წარმოთქვა, თითქოს ყოველივე, რაც ხდებოდა და რაც აცნობეს, ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული. თავადი ანდრეი, ჩქარი სიარულისგან სუნთქვაშეკრული, სწრაფად ლაპარაკობდა. თავადი ბაგრატიონი თავისი აღმოსავლური აქცენტით სიტყვებს წარმოთქვამდა მეტად დინჯად, თითქოს უნდოდა შთაეგონებინა მოსაუბრისთვის, საჩქარო არაფერიაო. მაგრამ თავისი ცხენი მაინც გააჩქარა და ჩორთით ტუშინის ბატარეისკენ გაემართა. თავადი ანდრეი ამაღასთან ერთად უკან გაჰყვა. თავად ბაგრატიონს მისდევდნენ: ამაღის ოფიცერი, თავადის პირადი ადიუტანტი ჟერკოვი, სამხედრო შიკრიკი, მორიგე შტაბოფიცერი ლამაზ, ინგლიზირებულ ცხენზე[86] და სამოქალაქო მოხელე, აუდიტორი, რომელმაც ცნობისმოყვარეობის გამო ბრძოლაში ყოფნის ნება გამოითხოვა. აუდიტორი, პირსავსე, მსუქანი მამაკაცი, სიხარულის გულუბრყვილო ღიმილით აქეთ-იქით იყურებოდა და უშნოდ ქანაობდა ცხენზე. თავისი შალის ფარაჯით ფურშტატის უნაგირზე იგი უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა ჰუსარებს, კაზაკებსა და ადიუტანტებს შორის.

– სურვილი დაებადა ინახულოს ბრძოლა, – უთხრა ჟერკოვმა ბოლკონსკის და აუდიტორზე მიუთითა, – მაგრამ გულმა უკვე ფანცქალი დაუწყო.

– კარგი, გეყოფათ, – ჩაილაპარაკა აუდიტორმა გაბრწყინებული, გულუბრყვილო და იმავე დროს ეშმაკური ღიმილით, თითქოს სასახელო ყოფილიყოს ის, რომ ჟერკოვი სასაცილოდ იგდებდა, და თითქოს ცდილობდა იმაზე სულელად მოეჩვენებინა თავი, რაც ნამდვილად იყო.

– Très drôle, mon monsieur prince (ძალზე თავშესაქცევია, ჩემო ბატონო თავადო), – უთხრა მორიგე შტაბოფიცერმა (ახსოვდა, რომ ფრანგულად როგორღაც განსაკუთრებულად გამოითქმის ტიტული თავადი, მაგრამ ვერ იქნა, ვერ გაიხსენა).

ის იყო უახლოვდებოდნენ ტუმინის ბატარეას, რომ ამ დროს მათ წინ ყუმბარა დაეცა.

– რა ამბავია, რა დაეცა? – იკითხა გულუბრყვილოდ აუდიტორმა.

– ფრანგული კვერი, – მიუგო ჟერკოვმა.

– მამ მაგას ისვრიან? – იკითხა აუდიტორმა, – საშინელება!

და იგი თითქოს სიამოვნებას განიცდიდა. ძლივს დაასრულა სიტყვა აუდიტორმა, რომ კვლავ გაისმა საზარელი ზუზუნი, მაგრამ ზუზუნი ერთბაშად შეწყდა. რაღაცამ ტყლაშანი მოადინა, და აუდიტორის უკან, ოდნავ მარჯვნივ, კაზაკი თავის ცხენიანად მიწაზე გაიშხლართა. ჟერკოვი განზე გაატრიალეს. აუდიტორი კაზაკის წინ გაჩერდა და დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. კაზაკი უკვე მკვდარი იყო, ხოლო ცხენი ჯერ კიდევ ფეთქავდა.

თავადმა ბაგრატიონმა თვალი მოჭკუტა, უკან მიიხედა და, რაკი ჩოჩქოლის მიზეზი დაინახა, გულგრილად იბრუნა პირი, თითქოს ამბობდა: „არ ღირს ასეთ სისულელეს ყურადღება მიაქციოს კაცმა“. ცხენი გააჩერა, ოდნავ გადაიხარა მარჯვე ცხენოსნური ხერხით და ნაბადმოდებული დაშნა გაითავისუფლა. დაშნა ძველებური იყო, არა ისეთი, როგორსაც ახლა ატარებენ. თავად ანდრეის გაახსენდა გაგონილი ამბავი, თუ როგორ აჩუქა სუვოროვმა იტალიაში თავისი დაშნა ბაგრატიონს, და იმ წუთს მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ამ ამბის გახსენება. ისინი იმ ბატარეასთან მივიდნენ, საიდანაც ბოლკონსკი ბრძოლის ველს ათვალიერებდა.

– ვისია ასეული? – ჰკითხა ბაგრატიონმა ყუთებთან მდგომ ფეიერვერკერს[87].

მან იკითხა: „ვისია ასეული“. სინამდვილეში კი კითხულობდა: „თქვენ აქ შიმშია ხომ არ შეგაპყროთ“. ფეიერვერკერი მიუხვდა.

– კაპიტან ტუმინისა, თქვენო აღმატებულებავ, – მიუგო მხიარული ხმით წითურმა ფეიერვერკერმა, რომელსაც სახე ჭორფლით ჰქონდა დაფარული.

– დიახ, დიახ, – ჩაილაპარაკა რაღაც მოსაზრებით შეპყრობილმა ბაგრატიონმა და განაპირა ქვემეხისკენ გაემართა.

ამ დროს ამ ქვემეხიდან ზარითა და ზათქით ყუმბარა გავარდა, რამაც ყურები გამოუჭედა თავად ბაგრატიონსა და მის ამაღას. ყველაფერი კვამლში გაეხვია. მოჩანდა, როგორ დასტაცეს ხელი ზარბაზანს კვამლში გახვეულმა არტილერიისტებმა და ძარღვებდაჭიმულებმა მიათრიეს იგი წინანდელ ადგილას. ფართოდ ფეხებგადგმული, მხარბეჭიანი, ზორბა ჯარისკაცი პირველი ნომერი სარცხით ხელში ბორბლისკენ გადახტა. მეორე ნომერმა ხელების კანკალით მუხტი შედო ქვემეხის ტუჩში. დაბალი, ოდნავ წელში წახრილი ოფიცერი ტუმინი წინ გამოვარდა და თვალეზზე ხელაფარებულმა მანძილს გახედა. იგი გენერალს ვერ ხედავდა.

– მოუმატე ორი ხაზი კიდევ და სწორი იქნება, – დაიძახა მან წვრილი ხმით. ცდილობდა ამ ხმისთვის ვაჟკაცური იერი მიეცა, რაც ასე არ ეგუებოდა მის ფიგურას. – მეორე, – დაიწრიპინა მან, – დასცხე, მედვედევ!

ბაგრატიონმა დაუძახა ოფიცერს, და ტუმინი მოკრძალებით და უხერხული მოძრაობით მიესალმა გენერალს, მიესალმა არა ისე, როგორც სამხედროები ესალმებიან, არამედ ისე, როგორც მღვდლები დალოცავენ ხოლმე: სამი თითი მიიდო ქულზე და გენერალთან მივიდა. ტუმინის ასეულს ხევი უნდა

ამოელო მიზანში, – ეს იყო მისი დანიშნულება, მაგრამ ტუშინი ცეცხლწაკიდებულ ყუმბარებს უშენდა ფრანგების დიდ მასებს, რომელნიც სოფელ შენგრაბენის წინ გროვდებოდნენ.

არავის უბრძანებია ტუშინისთვის, სად და რა ესროლა, მაგრამ ტუშინმა, მოითათბირა თავის ფელდფებელ ზახარჩენკოსთან, რომელსაც დიდ პატივს სცემდა და გადაწყვიტა, – ურიგო არ იქნება სოფელს ცეცხლი წავუკიდოთო. „კარგი“, – უთხრა ბაგრატიონმა, როცა ოფიცერმა აუწყა ეს, და გადახედა წინ გადაშლილ ბრძოლის ველს, თითქოს რაღაცის მოსაზრებას შეუდგაო. ყველაზე მეტად ფრანგები მარჯვენა მხრიდან მიუახლოვდნენ რუსებს. იმ მაღლობის ცოტა ქვემოთ, სადაც კიევის პოლკი იდგა, ხევიდან თოფების მომაბეზრებელი და განუწყვეტელი სროლა მოისმოდა, ხოლო მარჯვნივ, დრაგუნების იქით, ამაღის ოფიცერი თავადს უჩვენებდა ფრანგთა კოლონაზე, რომელიც რუსების ფრთას უვლიდა. მარცხნივ ჰორიზონტი მახლობელი ტყით განისაზღვრებოდა. თავადმა ბაგრატიონმა უბრძანა ორ ბატალიონს, ცენტრიდან მარჯვნივ წასულიყო იქ მდგომი ჯარის მისაშველებლად. ამაღის ოფიცერმა გახედა და მოახსენა თავადს, რომ ბატალიონთა წასვლის შემდეგ ქვემეხებს დამცველები აღარ ეყოლებათო. თავადმა ბაგრატიონმა ამაღის ოფიცრისკენ მიიბრუნა პირი და ჩამქრალი თვალებით უსიტყვოდ შეხედა. თავად ანდრეის ამაღის ოფიცრის შენიშვნა სამართლიანად ეჩვენა, და ბაგრატიონს, მართლაც, სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მაგრამ ამ დროს მოვარდა ადიუტანტი ხევში მდგომ პოლკის უფროსისგან და აცნობა ბაგრატიონს, რომ ფრანგთა დიდი ჯარი დაბლობით მოემართება და რიგებარეული პოლკი კიევის გრენადერებისკენ იხევსო. თავადმა ბაგრატიონმა თანხმობისა და მოწონების ნიშნად თავი დახარა. მერე ცხენი მიატრიალა და მარჯვნივ გაემართა, იმავე დროს ადიუტანტი გაგზავნა დრაგუნებთან და დააბარა, – შეუტიეთ ფრანგებსო. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნებულმა ადიუტანტმა ამბავი მოიტანა, რომ პოლკმა უკან დაიხია, იგი ხევს გასცდა, რადგან ძლიერი ცეცხლი დაუშინეს და ტყუილად კარგავდა მეზრძოლებს, პოლკმა ტყეს შეაფარა თავი და ჩამოქვეითდაო.

– კარგი, – მიუგო ბაგრატიონმა.

იმ დროს, როდესაც იგი ბატარეას შორდებოდა, სროლის ხმა მოისმა მარცხენა მხრიდანაც, ტყიდან, და რადგან მარცხენა ფრთა ძალიან შორს იყო და დროზე იქ მისვლას ბაგრატიონი ვერ მოასწრებდა, მან ჟერკოვი გაგზავნა უფროს გენერალთან, იმასთან, რომელმაც ბრაუნაუში პოლკი წარუდგინა კუტუზოვს, რათა მას რაც შეიძლება სწრაფად დაეხია ხევისკენ, რადგან მარჯვენა ფრთა, ალბათ, დიდხანს ვერ შეაჩერებდა მტერს. ტუშინი და ის ბატალიონი, რომელიც მას იცავდა, ყველამ დაივიწყა. თავადი ანდრეი ცდილობდა, არ გამოჰპაროდა თავად ბაგრატიონის არც ერთი სიტყვა, ჯარის უფროსებისთვის ნათქვამი, არც ერთი მისი ბრძანება, და გაოცებული იყო, რომ არავითარ ბრძანებას იგი არ იძლეოდა; თავადი ბაგრატიონი მხოლოდ ცდილობდა დაენახებინა სხვებისთვის, რომ ყოველივე ის, რაც კეთდებოდა აუცილებლობით, შემთხვევით და ცალკეული უფროსების ნება-სურვილით, თუ მისი ბრძანებით არა, ყოველ შემთხვევაში მის განზრახვასთან შეფარდებით მაინც კეთდებოდა. თავადი ბაგრატიონი დიდ ტაქტს იჩენდა და თუმცა ამის გამო ყველაფერი შემთხვევით და უფროსის უნებასურვილოდ ხდებოდა, ბაგრატიონის აქ ყოფნას მაინც უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა. შეწუხებული სახით მისული უფროსები თავად ბაგრატიონის დანახვაზე მშვიდდებოდნენ და წყნარდებოდნენ, ჯარისკაცები და ოფიცრები მხიარულად ეგებებოდნენ და აშკარად ცდილობდნენ, ვაჟკაცურად და გაბედულად დაეჭირათ თავი.

თავი მეთვრამეტე

თავადმა ბაგრატიონმა მიაშურა ყველაზე მაღალ ადგილს რუსების მარჯვენა ფრთაზე, შემდეგ დაეშვა, საიდანაც ხშირი ორმხრივი სროლა მოისმოდა და სადაც თოფის წამლის კვამლისგან არაფერი მოჩანდა. რაც უფრო ეშვებოდნენ ხევსკენ, მით უფრო ნაკლებად ხედავდნენ რამეს, მაგრამ მით უფრო საგრძნობი ხდებოდა ნამდვილი ბრძოლის სიახლოვე. უკვე ხვდებოდნენ დაჭრილებს. ერთი დაჭრილი, თავგასისხლიანებული, უქუდო, ორ ჯარისკაცს ხელით მიჰყავდა. იგი ხრიწინებდა და აფურთხებდა. ეტყობოდა, ტყვია პირში ან ყანყრატოში მოხვედროდა. მეორე დაჭრილი, რომელიც მათ შემოეყარა, მხნედ და მარტო მიდიოდა, უქუდო ხმამაღლა ოხრავდა და ტკივილისგან გაწამებული იქნევდა ხელს, საიდანაც სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა და ფარაჯაზე ეწვეთებოდა. სახე უფრო შეშინებული ჰქონდა, ვიდრე დატანჯული. ის-ის იყო, დაეჭრათ. ბაგრატიონმა და მისმა ამაღამ გზა გადაჭრეს და ხევსკენ დაემხნენ. დაღმართზე რამდენიმე წამოწოლილი კაცი დაინახეს; შემდეგ შეხვდნენ ჯარისკაცთა ჯგუფს, მათ შორის ერივნენ ისეთებიც, რომლებიც არ იყვნენ დაჭრილები. ისინი მაღლობსკენ მიდიოდნენ, მძიმედ სუნთქავდნენ და, თუმცა გენერალს შემოეყარნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ხელებს იქნევდნენ. წინ, კვამლში, უკვე მოჩანდა რუხი ფარაჯების რიგები; ბაგრატიონის დანახვზე ოფიცერი ყვირილით გამოუდგა ჯარისკაცებს და მოსთხოვა უკან დაბრუნება. ბაგრატიონი რიგებთან მივიდა, სადაც სწრაფად ისროდნენ თოფებს და ისე აყრუებდნენ იქაურობას, რომ აღარ ისმოდა ლაპარაკი და ბრძანების ხმა. ჰაერი მთლად გაჟღენთილი იყო თოფის წამლის სუნით. ჯარისკაცებს სახეები გამოცოცხლებული და თოფის წამლისგან მთლად შემჭვარტლული ჰქონდათ. ზოგი ზუმბით თოფს ტენიდა, ზოგი თოფის წამალს აყრიდა ფალიას, ზოგი ტყვია-წამალს იღებდა აბგიდან, ზოგიც თოფს ისროდა. მაგრამ ვის ესროდნენ, ამას ვერ ხედავდნენ თოფის წამლის კვამლში, რომელსაც ქარი არ ჰფანტავდა. საკმაოდ ხშირად ისმოდა ზუზუნისა და სტვენის საამო ხმა. „რა არის, ნეტავ ეს? – ფიქრობდა თავადი ანდრეი, როდესაც ჯარისკაცთა ამ ჯგუფს უახლოვდებოდა, – შეუძლებელია, მოწინავე მებრძოლთა მწკრივი იყოს, რადგან ერთად არიან თავმოყრილნი. შეუძლებელია აგრეთვე იერიში იყოს, რადგან არ მოძრაობენ; არც კარე[88] შეიძლება იყოს. ისე არ დგანან“.

თავად ბაგრატიონს მიეგება გამხდარი, შესახედავად სუსტი მოხუცი პოლკის უფროსი, საამო ღიმილით და ისეთი წამწამებით, რომელნიც ნახევარზე მეტად უფარავდნენ ბებრულ თვალებს და უწყინარ გამომეტყველებას აძლევდნენ მის სახეს; მან ისე მიიღო თავადი, როგორც მასპინძელი ძვირფას სტუმარს მიიღებს ხოლმე. პოლკის უფროსმა მოახსენა გენერალს, ფრანგმა ცხენოსნებმა იერიში მოიტანეს ჩემს პოლკზე და თუმცა მოვიგერიეთ, პოლკმა ჯარისკაცთა ნახევარზე მეტი მაინც დაკარგაო. პოლკის უფროსმა თქვა, იერიში მოვიგერიეთო; მან ეს სამხედრო სახელი გამოიგონა იმის აღსანიშნავად, რაც მის პოლკში მოხდა. ნამდვილად კი თვითონაც არ იცოდა, რა მოხდა ამ ნახევარი საათის განმავლობაში მის ხელქვეით ჯარში და დარწმუნებით ვერ იტყოდა, მოიგერია იერიში თუ მისი პოლკი დამარცხდა ამ იერიშისას. ბრძოლის დაწყებისას იცოდა მხოლოდ ის, რომ მთელი მისი პოლკის თავზე ყუმბარები და ტყვიები ზუზუნებდნენ და ბევრი ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოესალმა, რომ შემდეგ ვიღაცამ დაიძახა, ცხენოსნებიო და რუსებმა სროლა ატეხეს. ისროდნენ ახლაც, ამასთან, ესროდნენ არა ცხენოსნებს, რომელნიც მიიძალნენ, არამედ ქვეით ფრანგებს, რომელნიც ხევში გამოჩნდნენ და რომლებმაც მათ სროლა დაუწყეს. თავადმა ბაგრატიონმა თავი დახარა ნიშნად იმისა, რომ ყოველივე ეს მოხდა სწორედ ისე, როგორც სურდა და როგორც ფიქრობდა. მან უბრძანა ადიუტანტს, მოეყვანა მაღლობიდან ეგერთა მეექვსე პოლკის ბატალიონი, რომლის წინაც ეს-ეს არის გამოევლოთ. თავადი ანდრეი გააოცა იმ ცვლილებამ, რომელიც იმწუთას თავად ბაგრატიონის სახეს დაეტყო. ამ სახეზე ერთბაშად ურყევი და ბედნიერი სიმტკიცე აღებეჭდა. ასეთ გამომეტყველებას

მიიღებს ხოლმე ის კაცი, რომელიც ცხელ დღეს წყალში გადახტომას გადაწყვეტს და გაექანება კიდეც გადასახტომად. აღარსად იყო აღარც გამოუძინებელი ჩამქრალი თვალები, აღარც მოგონილი ღრმააზროვანი გამომეტყველება: მრგვალი, მტკიცე, ქორისებური თვალები აღტაცებითა და ოდნავი ზიზღით იცქირებოდნენ წინ და არაფერზე ჩერდებოდნენ, თუმცა კი თავადი ბაგრატიონი კვლავ დინჯად და ზომიერად მოძრაობდა.

პოლკის უფროსი ეხვეწებოდა თავად ბაგრატიონს, მოშორებოდა იმ ადგილს, რადგან იგი ძალზე საშიში იყო. „გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ღვთის გულისათვის!“ – ეუბნებოდა იგი და თან თავისი სიტყვების დასადასტურებლად შესცქეროდა ამალის ოფიცერს, რომელიც, მხარის დაჭერის მაგიერ, პირს არიდებდა. „აი, ხომ ხედავთ?“ – მიუთითებდა იგი ტყვიებზე, რომლებიც განუწყვეტლივ ზუზუნებდნენ, ღულუნებდნენ და უსტვენდნენ მათ გარშემო. პოლკის უფროსი ამ სიტყვებს ისეთი თხოვნისა და საყვედურის კილოთი ამბობდა, როგორითაც ხურო ეუბნება ხოლმე ბატონს, რომელიც ცულით ხელში მუშაობას დააპირებს, – ჩვენთან ეს ჩვეული საქმეა, თქვენ კი ხელები დაგიკოჭრდებათო. ისე ამბობდა ამას პოლკის უფროსი, თითქოს ეს ტყვიები თავად მის მოკვლას ვერ გაბედავდნენ, და ნახევრად დახუჭული თვალებიც მის სიტყვებს თითქოს უფრო დამაჯერებელს ხდიდნენ. შტაბოფიცერმა მხარი დაუჭირა პოლკის უფროსის მუდარას, მაგრამ თავადმა ბაგრატიონმა პასუხი არ გასცა მათ, უბრძანა მხოლოდ, სროლა შეეწყვიტათ და ისე დალაგებულიყვნენ, რომ ადგილი მიეცათ უკვე მომავალი ორი ბატალიონისთვის. იმ დროს, როცა ის ლაპარაკობდა, თითქოს უხილავმა ხელმაო, ნამდვილად კი უცხად ამოვარდნილმა ქარმა მარჯვნიდან მარცხნივ გადასწია კვამლის ფარად, რომელიც ხეობას ფარავდა, და მათ თვალწინ გადაიშალა პირდაპირ მდებარე მაღლობი მასზე მოძრავი ფრანგებითურთ. ყველამ თვალი უნებურად მათკენ მომავალ და მისახვევ-მოსახვევებში დაკლაკნილ ფრანგთა ამ კოლონას მიაშტერა. უკვე ხედავდნენ ჯარისკაცთა ბანჯგვლიან ქულებს, ხედავდნენ, როგორ ფრიალებდა მათი დროშა.

– ჩინებულად მოდიან, – თქვა ვიღაცამ ბაგრატიონის ამალიდან.

კოლონის თავი უკვე ჩაეშვა ხევში. შეტაკება, ალბათ, დაღმართს აქეთა მხარეს მოხდებოდა.

წინა ბრძოლის მონაწილე რუსული პოლკის ნაშთები სასწრაფოდ ეწყობოდნენ და მარჯვნივ იხევდნენ. უკნიდან მათკენ მწყობრად მოემართებოდა და თან ჩამორჩენილებს ჰფანტავდა ეგერთა მეექვსე პოლკის ორი ბატალიონი. ისინი ჯერ კიდევ არ გასწორებოდნენ ბაგრატიონს, რომ უკვე მოისმა მთელი ამ მასის მწყობრად გადადგმული მძიმე ნაბიჯები. ყველაზე მეტად ბაგრატიონს დაუახლოვდა მარჯვენა ფრთაზე მომავალი პირმრგვალი, ბრგე, ვაჟკაცური სახის სულელურობამდე ბედნიერი გამომეტყველების ასეულის უფროსი. სწორედ ის, რომელიც ფარდულიდან გამოვარდა. ეტყობოდა, არაფერზე ფიქრობდა, გარდა იმისა, რომ უფროსების წინაშე ყოჩაღად გაევილო.

სავსებით კმაყოფილი მიაბიჯებდა მარღვიანი ფეხებით, მიდიოდა მსუბუქად, ძალდაუტანებლად, თითქოს მიცურავსო; და მისი სიარული თავისი სიმსუბუქით აშკარად გამოირჩეოდა ჯარისკაცთა მძიმე ნაბიჯებისგან, რომელნიც თავიანთ სიარულს მის ფეხის ხმას აყოლებდნენ. ქარქაშიდან ამოდებული თხელი, ვიწრო დაშნა (მოკაკული პატარა დაშნა, რომელიც იარაღს არც კი ჰგავდა) ქვემოთ, ფეხებისკენ დაეხარა, ხან უფროსებს შეჰყურებდა, ხან უკან იცქირებოდა, მაგრამ ფეხს მაინც არ ურევდა და მოხერხებულად ატრიალებდა მოქნილ სხეულს. მთელი მისი აზრი და გონება მიმართული იყო იქითკენ, რომ საუკეთესოდ გაევილო უფროსების წინ, და რაკი გრძნობდა, რომ ამ საქმეს კარგად ასრულებდა, ბედნიერი იყო. „მარცხენა, მარცხენა, მარცხენა“, – ეტყობა, იმეორებდა იგი თავისთვის ყოველი ნაბიჯის შემდეგ, და ამ ტაქტის მიხედვით მიემართებოდა აბგებით და თოფებით დამძიმებულ, ერთფეროვან სასტიკსახეებიან ჯარისკაცთა კედელი, თითქოს თითოეული ამ უამრავ ჯარისკაცთაგანი

ყოველ ნაბიჯზე გონებაში იმეორებდა: „მარცხენა, მარცხენა, მარცხენა...“ სქელი მაიორი, ნაბიჯარეული, ქშენით უვლიდა ბუჩქს გზაზე; ჩამორჩენილი ჯარისკაცი, აქაქანებული და წესის დარღვევისთვის შეშინებული, ჩორთით ეწეოდა ასეულს! ყუმბარამ ზუზუნით თავზე გადაუარა თავად ბაგრატიონსა და ამაღას და „მარცხენ-მარცხენას“ ტაქტს აყოლებულ ჯარისკაცთა კოლონას დაეტაკა. „შეჯგუფდით!“ – მოისმა ასეულის უფროსის მოხდენილი ხმა. ჯარისკაცები გარს უვლიდნენ რაღაცას იმ ადგილას, სადაც ყუმბარა დაეცა, და მოხუცი კავალერი, ფლანგის უნტეროფიცერი, მოკლულებთან შეჩერებული, თავის რიგს დაეწია, ოდნავ შეხტა, ფეხი შეინაცვლა, სხვების სიარულს აჰყვა და გაჯავრებულმა უკან მიიხედა. „მარცხენა... მარცხენა... მარცხენა...“ – თითქოს მოისმოდა საშიშარ სიჩუმეში და ერთდროულად გადადგმული ნაბიჯების ერთფეროვან ხმაზე.

– ყოჩაღად, ბიჭებო! – თქვა თავადმა ბაგრატიონმა.

„მზად... ვართ... თქვენო მა-ლა-ლა-ლა-ლა-ბავ!“ – გაისმა რიგებში. მარცხენა მხარეს მიმავალმა მოლუშულმა ჯარისკაცმა ისეთი გამომეტყველებით შეხედა ბაგრატიონს, თითქოს ეუბნებოდა: „თავად ვიცით ყველაფერიო“; მეორე ჯარისკაცს არ შეუხედავს, თითქოს ეშინოდა, არ გავერთოო, მან, პირდაღებულმა, ყვირილით გაიარა.

ბრძანება გაიცა, შეჩერებულიყვნენ და აბგები მოეხსნათ.

ბაგრატიონმა მის წინ გავლილ რიგებს შემოუარა და ცხენიდან გადმოხტა, აღვირი კაზაკს გადააწოდა, მოიხსნა და გადააწოდა ნაზადიც, ფეხები გაიმართა, თავზე ქუდი გაისწორა. ფრანგთა კოლონის წინა რიგები, რომლებსაც ოფიცრები მოუძღოდნენ, გორაკის ძირში გამოჩნდა.

– აბა, ღმერთი ჩვენთან! – ჩაილაპარაკა ბაგრატიონმა მტკიცე, გასაგონი ხმით, წუთით ფრონტს გახედა და ხელების ოდნავი ქნევითა და კავალერისტის უხერხული ნაბიჯით, თითქოს უჭირსო, ოღროჩოღრო მინდვრით წინ გაემართა. თავადი ანდრეი გრძნობდა, რომ რაღაც უძლეველი ძალა მიაქანებდა წინ, – დიდ ბედნიერებას განიცდიდა იგი ამ დროს. აქ მოხდა ის იერიში, რომლის შესახებაც ტიერი[89] ამბობს: „რუსებს მამაცად ეჭირათ თავი და მოხდა ის, რაც ასე იშვიათად ხდება ომში, – ქვეითი ჯარის ორი მასა გადაჭრით მიემართებოდა ურთიერთის წინააღმდეგ და არც ერთმა მათგანმა არ დათმო, თვით შეტაკებამდე“. ხოლო ნაპოლეონმა წმინდა ელენეს კუნძულზე ყოფნის დროს თქვა: „რუსთა რამდენიმე ბატალიონმა შეუპოვრობა გამოიჩინა“.

უკვე ახლოვდებოდნენ ფრანგები: ბაგრატიონის გვერდით მიმავალი თავადი ანდრეი ცხადად არჩევდა ფრანგების წითელ ეპოლეტებს, მათ სახეებსაც კი (კარგად ხედავდა იგი ერთ ფეხებმოგრეხილ, საცვეთებიან, მოხუც ფრანგ ოფიცერს, რომელიც აღმართზე ბუჩქებს ებლაუჭებოდა და ძლივს მიდიოდა). თავად ბაგრატიონს ახალი ბრძანება აღარ გაუცია, იგი ისევ მდუმარედ მიუძღოდა რიგებს. უეცრად ფრანგთა მხარეს თოფი გავარდა, გავარდა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... და ატყდა სროლა და ბათქაბუთქი. იმავე დროს კვამლი მტრის უკვე არეულ რიგებს მოედო. წაიქცა რამდენიმე რუსი ჯარისკაცი, მათ შორის პირმრგვალი ოფიცერი, რომელიც ასე მხიარულად და ბეჯითად მოდიოდა. მაგრამ იმავე წუთს, რა წუთსაც სროლა მოისმა, ბაგრატიონმა უკან მიიხედა და დაიძახა: Ура!

Ура-а-а-а! – მოედო ყვირილი მთელ რუსულ ხაზს. ყველანი წინ გარბოდნენ, უსწრებდნენ ბაგრატიონს და ერთმანეთს, არეული, მაგრამ მხიარული და გაცხოველებული რიგები გორაკისკენ, ნირწამხდარი ფრანგებისკენ გარბოდნენ.

თავი მეცხრამეტე

ეგერთა მეექვსე პოლკის იერიშმა უზრუნველყო მარჯვენა ფრთის უკან დახევა. ცენტრში ტუმინის დავიწყებულმა ბატარეამ, რომელსაც მოესწრო შენგრაბენისთვის[90] ცეცხლის წაკიდება, შეაჩერა ფრანგთა წინსვლა. ფრანგები ხანძარს აქრობდნენ, მაგრამ ქარი ფანტავდა მას, ეს კი დროს იძლეოდა უკან დასახევად. ცენტრის უკან დახევა ხევზე სწრაფად და ხმაურით მიმდინარეობდა; მიუხედავად ამისა, არევ-დარევა არ მომხდარა. აირია მხოლოდ მარცხენა ფრთა, რომელსაც ფრანგებმა ლანის მეთაურობით ერთსა და იმავე დროს შეუტიეს და შემოუარეს კიდეც; მარცხენა ფრთა შედგებოდა აზოვისა და პოდოლის ქვეითა პოლკებისა და პავლოგრადის ჰუსართა პოლკისგან. ბაგრატიონმა ჟერკოვი გაგზავნა მარცხენა ფრთის გენერალთან და უბრძანა, დაუყოვნებლივ დაეხია უკან.

ჟერკოვმა მკვირცხლად, ისე, რომ ხელი ჯერ კიდეც ქუდზე ჰქონდა მიდებულის, დაძრა და გააქროლა ცხენი. მაგრამ გასცდა თუ არა ბაგრატიონს, ძალამ უმტყუნა, – დაუძლეველმა შიშმა შებორკა მთელი მისი არსება და ვედარ ახერხებდა საშიში ადგილისკენ წასვლას.

ჟერკოვი მარცხენა ფრთის ჯართან მივიდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ წასულიყო წინ, იქითკენ, სადაც სროლა იყო, გენერლისა და უფროსების ძებნას შეუდგა იქ, სადაც ისინი არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ამიტომ ბრძანება მან ვერ გადასცა.

მარცხენა ფრთის სარდლობა, უფროსობის მიხედვით, ეკუთვნოდა იმ პოლკის უფროსს, რომელიც ბრაუნაუში კუტუზოვს წარუდგა და რომელშიც ჯარისკაცი დოლოხივი მსახურობდა. ხოლო უკიდურესი მარცხენა ფრთის სარდლობა უნდა გადასცემოდა პავლოგრადის პოლკის უფროსს, სადაც როსტოვი მსახურობდა, და აი, სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია გაუგებრობა და არევ-დარევა, ეს უფროსები გაჯავრებულნი იყვნენ ერთმანეთზე, და იმ დროს, როცა მარჯვენა ფრთაზე გაჩაღებული ბრძოლა იყო და ფრანგებმა უკვე შეტევა დაიწყეს, მათ მოლაპარაკება გააბეს, რასაც ერთადერთი მიზანი ჰქონდა: შეურაცხყოფა მიეყენებინათ ერთმანეთისთვის. პოლკები კი, როგორც ცხენოსანი, ისე ქვეითი, ნაკლებად იყვნენ მომზადებულნი მომავალი ბრძოლისთვის. პოლკში მყოფნი, დაწყებული ჯარისკაცით და დასრულებული გენერლით, არ მოელოდნენ ბრძოლას და წყნარად განაგრძობდნენ მშვიდობიან საქმეს: კავალერიაში ცხენების კვებას, ხოლო ქვეითთა ჯარში – შემის შეგროვებას.

– თუ ის ხარისხით ჩემზე დიდია, – ეუბნებოდა სახეაწითლებული გერმანელი, ჰუსართა პოლკოვნიკი, ახალმისულ ადიუტანტს, – დაე, გააკეთოს ის, რაც მოესურვება. მე კი ჩემს ჰუსარებს ვერ გავწირავ. მებუკვე! მიეცი უკან დახევის ნიშანი!

მაგრამ საქმე სისწრაფეს მოითხოვდა, მარჯვნიდან და ცენტრიდან ერთმანეთში არეული ზარბაზნების გრიალი და თოფების სროლა მოისმოდა, ლანის ხალათებიანი მსროლელნი უკვე გადმოდიოდნენ წისქვილის საგუბარს და ეწყობოდნენ აქეთა მხარეზე, ორი გასროლის მანძილზე. ქვეითი პოლკის უფროსი მიგმიგა ნაბიჯით ცხენთან მივიდა, ზედ შეჰდა და, გაჭიმული პავლოგრადის პოლკის უფროსისკენ გაემართა. პოლკის უფროსები ერთმანეთს შეხვდნენ თავაზიანი სალმით და ღვარძლიანი გულით.

– კვლავ გაუწყებთ, პოლკოვნიკო, – უთხრა გენერალმა, – ხომ ვერ დავტოვებ ჯარისკაცთა ნახევარს ტყეში. გთხოვთ, გთხოვთ, – გაიმეორა მან, – დაიკავოთ პოზიცია და მოემზადოთ იერიშისთვის.

– მე კი გთხოვთ, ნუ ერევით სხვის საქმეში, – მიუგო აპილპილებულმა პოლკოვნიკმა, – თქვენ რომ კავალერისტი იყოთ...

– მე კავალერისტი არა ვარ, პოლკოვნიკო, მაგრამ რუსი გენერალი გახლავართ, და თუ თქვენ ეს არ იცით...

– ძალიან კარგად ვიცი, თქვენო აღმატებულებავ, – უეცრად შეჰყვირა ერთიანად გაწითლებულმა პოლკოვნიკმა და ცხენი ადგილიდან დაძრა, – ხომ არ ინებებთ მოწინავე სადარაჯოებზე წამოსვლას. იქ დაინახავთ, რომ ეს პოზიცია არაფრად ვარგა. მე არ მსურს თქვენდა სასიამოვნოდ ჩემი პოლკის ამოჟღერება.

– თავს გადიხართ, პოლკოვნიკო! მე ჩემს სიამოვნებას არ ვიცავ და ამის თქმის ნებას არავის მივცემ.

გენერალმა, რაკი მიიღო პოლკოვნიკისგან სიმამაცის ტურნირში გამოწვევა, მკერდი წინ წამოსწია და, მოღუშულმა პოლკოვნიკთან ერთად მოწინავე მწკრივს მიაშურა, თითქოს იქ, მწკრივებში, ტყვიებს ქვეშ უნდა გადაწყვეტილიყო მთელი მათი უთანხმოება. ისინი მივიდნენ მწკრივთან და გაჩერდნენ; რამდენიმე ტყვიამ თავზე გადაუარათ. დასანახი და გასასინჯი იქ, მწკრივში, არაფერი იყო, რადგან იმ ადგილიდანაც, სადაც მანამდე იდგნენ, ცხადად მოჩანდა, რომ ბუჩქებსა და ხეებში კავალერიას მოქმედება არ შეეძლო და რომ ფრანგები მარცხენა ფრთას უვლიდნენ. გენერალი და პოლკოვნიკი, როგორც საბრძოლველად მომზადებული ორი მამალი, სასტიკად და მნიშვნელოვნად შეჰყურებდნენ ერთმანეთს და ამოდ ელოდნენ სიმხდალის ნიშნებს. ორივემ ჩააბარა გამოცდა. რადგან სათქმელი არაფერი იყო, ამასთან არც ერთს და არც მეორეს არ უნდოდა მიეცა საბაზი იმის სათქმელად, პირველი გაეცალა ტყვიებსო. ისინი დიდხანს დარჩებოდნენ იქ, რათა ერთმანეთის სიმამაცე გამოეცადათ, რომ უეცრად ტყეში, თითქმის უკნიდან, არ გაეგონათ თოფების ბათქაბუთქი და ყრუ ერთობლივი ყვირილი. ფრანგები თავს დასხმოდნენ ჯარისკაცებს, რომელნიც შემას აგროვებდნენ. ჰუსარებს აღარ შეეძლოთ ქვეით ჯართან ერთად უკან დახევა. მათ მარცხნივ დახევისთვის გზა გადაუჭრეს ფრანგებმა. ადგილმდებარეობა ძალიან მოუხერხებელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭირო გახდა იერიშის მიტანა გზის გასაკაფავად.

ის-ის იყო ესკადრონი, სადაც როსტოვი მსახურობდა, მოაჯდა ცხენებს, რომ შეაჩერეს და პირით მტრისკენ მიაბრუნეს. სწორედ ისევე, როგორც ენსის ხიდზე, ესკადრონსა და მტერს შორის არავინ იყო, მათ ჰყოფდა მათ შორის გავლებული იდუმალებისა და შიშის საზარელი ხაზი, – ხაზი, რომელიც ცოცხლებს მკვდრებისგან ჰყოფს. ყველა გრძნობდა ამ ხაზს, და ის კითხვა: გადავლენ თუ არა და როგორ გადავლენ ამ ხაზს, ყველას აღელვებდა.

ფრონტთან მისულმა პოლკოვნიკმა, გაჯავრებულმა, რაღაც უპასუხა ოფიცრებს კითხვაზე და როგორც ისეთმა კაცმა, რომელიც თავისას არასოდეს დასთმობს, რაღაც ბრძანება გასცა. არავის გარკვეული რამ არ უთქვამს, მაგრამ ესკადრონს მაინც მოედო ხმა იერიშის შესახებ. გაისმა ბრძანება დარაზმულიყვნენ, შემდეგ – ქარქაშიდან ამოწვდილი ხმლების წკრიალი. მაგრამ ჯერ კიდევ არავინ იძვროდა. მარცხენა ფრთის ჯარი, ქვეითნიც და ცხენოსანნიც, გრძნობდნენ, რომ უფროსებმა თვით არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ, და უფროსების გაუბედაობა მათაც ედებოდა.

„ნეტავ ჩქარა დაიწყოს“, – ფიქრობდა როსტოვი და გრძნობდა, რომ ბოლოს, დადგა დრო, როცა უნდა გამოცადოს იერიშით გამოწვეული სიამოვნება, რაზედაც ამხანაგი ჰუსარებისგან ასე ბევრი ამ ჰქონდა გაგონილი.

– აბა, ბიჭებო, ღვთის შეწევნით! – გაისმა დენისოვის ხმა, – ჩორთით იარ!

წინა რიგში ყველა ცხენმა ერთბაშად გავა შეარხია. გრაჩიკმა სადავე დაჭიმა და დაიძრა.

მარჯვნივ როსტოვი თავისი ჰუსარების რიგებს ხედავდა, უფრო მოშორებით, წინ, ბნელი ზოლი მოჩანდა. როსტოვი ხეირიანად ვერ არჩევდა ამ ზოლს, მაგრამ ფიქრობდა, რომ იგი მტერი უნდა ყოფილიყო. სროლის ხმა მოისმოდა, მაგრამ შორიდან.

– უმატე ჩორთს! – მოისმა ბრძანება, და როსტოვი გრძნობდა, როგორ უმატებდა ქროლას მისი გრაჩიკი.

იგი წინასწარ ხვდებოდა თავისი ცხენის მოძრაობას, და უფრო და უფრო მხიარულ გუნებაზე დგებოდა. მან დაინახა განმარტოებული ხე. ეს ხე ჯერ წინ იდგა, იმ ხაზის შუა ადგილას, რომელიც ესოდენ საშიშად ეჩვენებოდა. მაგრამ აი, გადალახეს ეს ხაზი და არათუ საშიში არაფერი მომხდარა, არამედ უფრო და უფრო მხიარულ გუნებაზე დგებოდნენ. „ო-ო, როგორ აკვუწავ“, – ფიქრობდა როსტოვი და უფრო მაგრად უჭერდა ხელს ხმლის ტარს.

– Ура-а-а-а! – აგუგუნდა ამ დროს ხმები.

„დამხვდეს ერთი ახლა, ვაჩვენებ სეირს“, – ფიქრობდა როსტოვი და მაგრად სცემდა ცხენს დეზებს. ცხენი მიუშვა, ყველას გაუსწრო. წინ უკვე მოჩანდა მტერი. უეცრად მთელ ესკადრონს რაღაცამ დაქროლა, თითქოს განიერი ცოცხი მოუქნიესო. როსტოვმა ხმალი აიქნია, მტრის ასაკუწად მოემზადა, მაგრამ ამ დროს ჯარისკაცი ნიკიტენკო, რომელიც მის წინ მიქროდა, დაშორდა როსტოვს, და მან იგრძნო, თითქოს სიზმარში ყოფილიყოს: მიქრის არაჩვეულებრივი სისწრაფით და იმავე დროს ერთ ადგილას დგას. უკნიდან ზედ წააწყდა ნაცნობი ჰუსარი ბონდარჩუკი, რომლის ცხენიც განზე გახტა. ბონდარჩუკმა გაჯავრებით შეხედა როსტოვს, გარს შემოუარა და თავის გზას გაუდგა.

„რა დამემართა? წინ აღარ მივიწევ? ჩამოვვარდი, მომკლეს...“ – სწრაფად იკითხა როსტოვმა და სწრაფადვე უპასუხა თავის თავს. უკვე მარტოდმარტო იყო შუა მიწოდორში. გაჭენებული ცხენებისა და ჰუსართა ზურგების ნაცვლად იგი ირგვლივ უძრავ მიწასა და ნამჯას ხედავდა. მის ქვეშ თბილი სისხლი იყო. „არა, დაჭრილი ვარ, ცხენი კი მოკლეს“. წინა ფეხებზე ჩაჩოქილმა გრაჩიკმა ადგომა დააპირა, მაგრამ წაიქცა და მხედრის ფეხი ქვეშ მოიქცია. თავიდან ცხენს სისხლი სდიოდა. ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ ვერ ახერხებდა. როსტოვმაც მოიწადინა წამოდგომა, მაგრამ წაიქცა. ჩანთა უნაგირს წამოედო. ვერ გაეგო, სად იყვნენ რუსები, სად ფრანგები. ირგვლივ არავინ ჩანდა.

ფეხი გაითავისუფლა და წამოიწია. „სად, რომელ მხარეს არის ახლა ის ხაზი, რომელიც ასე მკვეთრად ჰყოფდა ორ ჯარს? – ეკითხებოდა თავის თავს და პასუხს ვერ იძლეოდა, „ცუდი ხომ არაფერი დამემართა? ხდება კი ასეთი რამე და როგორ უნდა მოიქცეს კაცი ასეთ შემთხვევაში?“ – შეეკითხა კვლავ თავის თავს და წამოდგა; მაგრამ ამ დროს იგრძნო, თითქოს რაღაც ზედმეტი ეკიდა მარცხენა დაბუჩებულ ხელზე, თითქოს ხელის მტევანი სხვისა ყოფილიყო. ხელზე დაიხედა, სისხლის ძებნას შეუდგა, მაგრამ ამაოდ, სისხლი არსად ჩანდა. „აგერ მოდიან, – გაუხარდა, როცა დაინახა მისკენ სირბილით მომავალი რამდენიმე კაცი, – ესენი დამეხმარებიან!“ ყველაზე წინ ერთი ჯარისკაცი მორბოდა. უცნაური სამხედრო ქუდი ეხურა და ლურჯი ფარაჯა ეცვა. შავი იყო, მზისგან დამწვარი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა. მას მოსდევდა ორი კაცი, ხოლო ამათ მრავალი სხვა. ერთმა მათგანმა რაღაც უცნაურად ჩაილაპარაკა, არარუსულად. უკან მომავალ ასეთსავე ადამიანებს და ამგვარსვე ქუდიანებს შორის რუსი ჰუსარი მოჩანდა, ჰუსარისთვის ხელი ჩაეველოთ, ხოლო უკან მისი ცხენი მოჰყავდათ.

„ალბათ, ჩვენი კაცია, ტყვედ ჩავარდნილი... დიახ, ნუთუ მეც წამიყვანენ ტყვედ? რა ხალხია, ნეტავ? – ფიქრობდა როსტოვი და თვალს არ უჯერებდა, – ნუთუ ფრანგები არიან?“ იგი მოახლოებულ ფრანგებს შეჰყურებდა, და თუმცა ერთი წუთით ადრე ცხენს მიაქროლებდა მხოლოდ იმისთვის, რომ დასწოდა ამ ფრანგებს და აეკუწა ისინი, ახლა ისე საზარლად ეჩვენებოდა ყოველივე ეს, რომ საკუთარ თვალს არ უჯერებდა. „ვინ არიან? რატომ მორბიან? ნუთუ ჩემთან? ნუთუ ჩემთან მორბიან? რატომ მერე? ჩემი მოკვლა უნდათ? ჩემი, ვინც ასე ძალიან უყვარს ყველას?“. გაახსენდა, როგორც უყვარს დედას, ოჯახს, მეგობრებს, და შეუძლებლად მოეჩვენა მტრის განზრახვა მისი მოკვლის შესახებ. „მაგრამ იქნებ მართლა ჩემი მოკვლა უნდათ?“ ათ წამზე მეტხანს იდგა უძრავად ერთ ადგილას როსტოვი და მაინც ვერ გამოარკვია თავისი მდგომარეობა. კეხცხვირიანი წინა ფრანგი იმდენად მიუახლოვდა, რომ როსტოვი უკვე არჩევდა მისი სახის გამომეტყველებას. და ამ კაცის ადგზნებულმა, უცხო სახემ, – კაცისა, რომელიც

ხიმტგადმოგდებული, სუნთქვაშეკრული, მსუბუქი ნაბიჯით უახლოვდებოდა, მთლად დააფრთხო როსტოვი. მან ხელი სტაცა დამბაჩას და ნაცვლად იმისა, რომ სროლა დაეწყო, თვით დამბაჩა სტყორცნა ფრანგს, მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბუჩქებისკენ მოკურცხლა. როსტოვი გარბოდა, მაგრამ გარბოდა არა ისე, როგორც ენსის ხიდზე, ეჭვისა და ბრძოლის გრძნობით შეპყრობილი, – გარბოდა როგორც კურდღელი, რომელიც ძაღლებს ემალება. მთელი მისი არსება ერთ განუყოფელ გრძნობას შეეპყრო – შიშს ახალგაზრდული, ბედნიერი ცხოვრებისთვის. იგი ისევე სწრაფად გარბოდა, როგორც გოგო-ბიჭებთან თამაშის დროს, ხტოდა კვლებსა და მიჯნებზე, მიქროდა და დროდადრო თავის ფერწასულ, კეთილ და ახალგაზრდა სახეს უკან იბრუნებდა, და ამ დროს მთელ ტანზე ცივ ოფლს ასხამდა. „არა, უმჯობესია აღარ მივიხედო“, გაიფიქრა, მაგრამ როგორც კი ბუჩქებთან მიიბრინა, ერთხელ კიდევ მიიხედა. ფრანგები ჩამორჩნენ, და იმ წუთს, როცა როსტოვმა უკან მიიხედა, ყველაზე წინ მომავალმა ფრანგმა სირბილს უკლო, ჩორთიდან ნაბიჯზე გადავიდა და, უკან მიბრუნებულმა, რაღაც დაუყვირა თავის ამხანაგს. როსტოვი შეჩერდა, „რაღაც სხვანაირად უნდა იყოს საქმე, – გაიფიქრა მან, – შეუძლებელია, ჩემი მოკვლა უნდოდეთ“. ამასობაში მარცხენა ხელი ძალზე დაუმძიმდა, თითქოს ორფუთიანი ქვა ჰკიდიაო. სირბილი აღარ შეეძლო. ფრანგიც შეჩერდა, მერე თოფი დაუმიზნა. როსტოვმა თვალი დახუჭა და დაიხარა. ჯერ ერთმა, მერე მეორე ტყვიამ ზუზუნით გვერდით გაუარა. როსტოვმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, მარცხენა ხელს მარჯვენა მიაშველა და ბუჩქებთან მიიბრინა. ბუჩქებში რუსი მსროლელები იყვნენ.

თავი მეოცე

ქვეითი პოლკები, რომელთაც მტერი მოულოდნელად თავს წაადგა, ტყიდან გამორბოდნენ, ასეულები ერთმანეთში ირეოდნენ და უწესრიგოდ გარბოდნენ. ერთმა შეშინებულმა ჯარისკაცმა წამოისროლა ომში საზარელი და უაზრო სიტყვები, გზა გადაგვიჭრესო და ეს სიტყვები შიშის გრძნობასთან ერთად მთელ მასას მოედო.

– შემოგვიარეს! გზა გადაგვიჭრეს! დავიღუპეთ! – ყვიროდნენ გაქცეულნი.

პოლკის უფროსი სროლისა და ყვირილის გაგონებისთანავე მიხვდა, რომ მის პოლკში რაღაც საზარელი უნდა მომხდარიყო, და იმ აზრმა, რომ მას, სამაგალითო, მრავალი წლის ნამსახურებ უდანაშაულო ოფიცერს, უთაურობით ან დაუდევრობით შეიძლება რამე დანაშაული ჩაედინა, ისეთი თავზარი დასცა, რომ დაავიწყდა ურჩი კავალერისტი-პოლკოვნიკიც, თავისი გენერლური ქედმაღლობაც, ასე გასინჯეთ, მოსალოდნელი საფრთხე და თავდაცვის გრძნობაც კი; მან ხელი სტაცა უნაგირის ტახტას, დეხები მოიმარჯვა და ბედნიერად ამცდარი ტყვიების ზუზუნზე ცხენი პოლკისკენ გააქროლა. ერთი სურვილი ამოქმედებდა მხოლოდ: გაეგო, რა მოხდა, გამოესწორებინა შეცდომა, თუკი ეს შეცდომა მისი მიზეზით იყო ჩადენილი, და უმწკვივლო გამოსულიყო ოცდაორი წლის ნამსახური, უდანაშაულო, სამაგალითო ოფიცერი.

იგი ბედნიერად გასხლტა ფრანგებს შორის, მინდორზე გავიდა იმ ტყის მეორე მხარეს, რომელზედაც ჩვენები გარბოდნენ და, ბრძანების წინააღმდეგ, გორაკიდან ძირს ეშვებოდნენ. დადგა ზნეობრივი ყოყმანის ის წუთი, რომელიც ბრძოლის ბედს წყვეტს: შეისმენენ ჯარისკაცთა არეული ბრბოები თავიანთი უფროსის სიტყვას თუ შეავლებენ მხოლოდ თვალს და განაგრძობენ სირბილს? მიუხედავად მანამდე მრისხანედ ცნობილი უფროსის სასოწარკვეთილი ყვირილისა, მიუხედავად მისი გააფთრებული, ჭარხალივით გაწითლებული, ძალზე გამოცვლილი სახისა, მიუხედავად იმისა, რომ გამწარებით იქნევდა დაშნას, ჯარისკაცები მაინც გარბოდნენ, ყვიროდნენ, ჰაერში თოფებს ისროდნენ

და ბრძანებას ყურს არ უგდებდნენ. ზნეობრივი ყოყმანი, რომელიც ბრძოლის ბედს წყვეტს, ეტყობოდა, შიშისკენ იხრებოდა.

გენერალმა ყვირილისა და თოფის წამლის ბოლისგან ჩაახველა და სასოწარკვეთილმა ცხენი შეაჩერა. ყველაფერი დაღუპულად მოეჩვენა. მაგრამ ამ დროს ფრანგები, რომელნიც ფეხდაფეხ მოსდევდნენ ჩვენებს, უეცრად, თითქოს უმიზეზოდ, უკან გაიქცნენ და ტყის პირას მიიმალნენ, ხოლო ტყეში რუსი მსროლელები გამოჩნდნენ. ისენი ტიმოხინის ასეულის ჯარისკაცები იყვნენ. ასეული ერთადერთი რაზმი იყო, სადაც წესრიგი არ დარღვეულა, იგი ტყის პირას, არხში ჩასაფრდა და მოულოდნელად დაეტაკა მტერს. ტიმოხინი ისეთი ყვირილით მივარდა ფრანგებს, ისეთი თავგანწირული სიმამაცით ეკვეთა მათ მარტოოდენ დაშნით, რომ ფრანგებმა მოულოდნელობისგან იარაღი მიფანტ-მოფანტეს და მოკურცხლეს. დოლოხოვმა, რომელიც ტიმოხინთან ერთად მიბრუნდა, მიბრუნებულ და მოკლა ერთი ფრანგი, ხოლო მეორეს, ოფიცერს, საყელოში სტაცა ხელი და ტყვედ ჩაიგდო. გაქცეული რუსები დაბრუნდნენ, ბატალიონებმა თავი მოიყარეს და ფრანგები, რომელთაც კინაღამ გაარღვიეს ჩვენი მარცხენა ფრთა, წუთით უკუაგდეს. სათადარიგო ნაწილებმა შეერთება მოასწრეს, გამოქცეულებიც შეჩერდნენ. პოლკის უფროსი მაიორი ეკონომოვთან ერთად ხიდის ყურში იდგა და უკან დახეულ ასეულებს უშვებდა, როცა მასთან მისულმა ჯარისკაცმა ხელი წაავლო და თითქმის მიეყრდნო უზანგს. ჯარისკაცს მოლურჯო ფერის, ფაბრიკაში ნაქსოვი მაუდის ფარაჯა ეცვა, უჩანთო და უქუდო იყო, თავი ხელსახოცით წაეკრა, მხარზე ფრანგული სამუხტე აბგა ეკიდა, ხოლო ხელში ოფიცრის დაშნა ეჭირა. ფერდაკარგული იყო. ცისფერი თვალები ურცხვად შეანათა სახეში პოლკის უფროსს, პირი უღიმოდა. პოლკის უფროსს იმ დროს არ ეცალა, იგი ბრძანებას აძლევდა მაიორ ეკონომოვს, მიუხედავად ამისა, არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ამ ჯარისკაცისთვის.

– თქვენო აღმატებულებაჲ, აი, ნადავლი, – უთხრა დოლოხოვმა და ფრანგულ დაშნასა და აბგაზე მიუთითა, – ტყვედ წამოვიყვანე ფრანგი ოფიცერი. შევაჩერე მთელი ასეული, – დოლოხოვი ისე იყო დაღლილი, რომ ძლივს სუნთქავდა, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, – მთელი ასეული დაამოწმებს. გთხოვთ დაიხსომოთ, თქვენო აღმატებულებაჲ!

– კარგი, კარგი, – უთხრა პოლკის უფროსმა და მაიორ ეკონომოვს მიუბრუნდა.

მაგრამ დოლოხოვი არ მოშორდა, თავზე წაკრული ხელსახოცი მოიგლიჯა და დასისხლიანებული თავი მიუშვირა.

– ხიშტით დამქრეს, მაინც ფრონტზე დავრჩი. არ დაივიწყოთ, თქვენო აღმატებულებაჲ!

ტუშინის ბატარეა ყველამ დაივიწყა და მხოლოდ ბრძოლის დასასრულს, როცა თავადმა ბაგრატიონმა ყური მოჰკრა ზარბაზნების სროლას ცენტრში, გაგზავნა იქ ჯერ შტაბოფიცერი, მერე თავადი ანდრეი და დააბარა, რაც შეიძლება სწრაფად დაეხია ბატარეას. რაზმი, რომელსაც ტუშინის ზარბაზნების დაცვა ჰქონდა დავალებული, ვიღაცის ბრძანებით შუა ბრძოლის დროს წავიდა; მაგრამ ბატარეა განაგრძობდა სროლას და თუ ფრანგებმა ვერ ჩაიგდეს იგი ხელში, მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მტერს ვერ წარმოედგინა ასეთი თავხედობა, რომ შეიძლება რუსებს ოთხი ზარბაზანი დაუცველად მიეტოვებინათ. პირიქით, ამ ბატარეის ენერგიულმა მოქმედებამ აიძულა ფრანგები, ეფიქრათ, რომ აქ, ცენტრში, თავმოყრილი იყო რუსების მთავარი ძალა; ისინი ორჯერ შეეცადნენ იერიშის მიტანას ამ ადგილზე, მაგრამ მაღლობზე მარტო დარჩენილმა ოთხმა ზარბაზანმა ორჯერვე სეტყვასავით დააყარა ფინდიხი და უკუაგდო.

არ გასულა დიდი დრო ბაგრატიონის წასვლის შემდეგ, რომ ტუშინმა შენგრაბენს ცეცხლი წაუკიდა.

– ხედავ, აწრიალდნენ! ცეცხლი წაეკიდა! შეხედე, რა კვამლია! ახია მაგათზე! უჰ, რა ბოლი დადგა! – ამბობდნენ გახარებული მეზარბაზნეები.

ოთხივე ქვემეხი ყუმბარებს ყოველგვარი ბრძანების გარეშე Yხანძრის მიმართულებით ისროდა. თითქოს აქეზებენო, ჯარისკაცები ყოველ გასროლაზე იძახდნენ: „აი, ყოჩაღ! დასცხე, მაგრა დასცხე მაგათ!“ ხანძარი ქარის მეოხებით სწრაფად ვრცელდებოდა. სოფლის მეორე მხრიდან გამოსული ფრანგთა კოლონები უკან დაბრუნდნენ. მაგრამ, თითქოს ამ მარცხის ასანაზღაურებლად, მტერმა სოფლის მარჯვნივ ათი ქვემეხი დადგა და ტუშინის ბატარეას ყუმბარები დაუშინა.

რუსი არტილერიისტები ბავშვებზე გაახარა თავიანთი ყუმბარების მიერ გაჩენილმა ხანძარმა და ზარბაზნების მოხერხებულმა სროლამ. ამიტომ ფრანგთა ახალი ბატარეა მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როცა ჯერ ორი, მერე ოთხი ყუმბარა ქვემეხებს შორის დაეცა, როცა ერთმა ყუმბარამ ორი ცხენი წააქცია, ხოლო მეორემ ფეხი წააგლიჯა ყუთგამძლოლს. მაგრამ სიცხოველე ჯარისკაცთა შორის არ შენელებულა, მხოლოდ ოდნავ გუნება გამოეცვალათ. მოკლული ცხენები სათადარიგო ლაფეტიდან გადმოყვანილი სხვა ცხენებით შეცვალეს, დაჭრილები იმ ადგილს მოაშორეს, და ოთხი ქვემეხი ათზარბაზნიანი ბატარეისკენ მიაბრუნეს. ოფიცერი, ტუშინის ამხანაგი, ბრძოლის დასაწყისშივე მოკლეს, ხოლო ზარბაზნების მომსახურე ორმოც კაცს ერთი საათის განმავლობაში ჩვიდმეტი კაცი დააკლდა; მაგრამ არტილერიისტები წინანდებურად მხიარულად ფუსფუსებდნენ. ქვემოთ, მათ მახლობლად, ორჯერ გამოჩნდნენ ფრანგები და არტილერიისტებმა ორჯერვე ფინდიხები დაუშინეს.

ტანმორჩილი კაცი, რომელიც სუსტად და უხერხულად მოძრაობდა, წამდაუწუმ სთხოვდა სამხედრო მსახურს ჩიბუხს, – გავაბოლებ ამ საქმისთვისო, ამბოდა იგი, ფანტავდა ცეცხლს ჩიბუხიდან, გარბოდა წინ, პატარა ხელით თვალებს იჩრდილავდა და ფრანგებს გაჰყურებდა.

– მუსრი გაავლეთ, ბიჭებო! – ყვიროდა იგი, ებლაუჭებოდა ქვემეხს თვლებზე და შველოდა სროლაში.

კვამლში გახვეული, განუწყვეტელი სროლით გაბრუებული და ყოველ სროლაზე აკანკალებული ტუშინი თავისი მოკლე ჩიბუხით წინ და უკან დარბოდა, ერთი ქვემეხიდან მეორეზე გადადიოდა და ხან უმიზნებდა, ხან მუხტებს ითვლიდა, ხან კიდევ სუსტი, გაუბედავი ხმით განკარგულებას აძლევდა მოკლული და დაჭრილი ცხენების გამოცვლის შესახებ. სახე უფრო და უფრო უცხოველდებოდა. მხოლოდ როდესაც ტყვიით განგმირული, კვდებოდა ვინმე ან დასჭრიდნენ ვისმეს, სახე ეღუშებოდა, მკვდარს თვალს არიდებდა და გაჯავრებული უყვიროდა ჯარისკაცებს, რომელნიც, როგორც ყოველთვის, აგვიანებდნენ დაჭრილის გაყვანას ან მკვდრის გატანას. ჯარისკაცები, მეტწილად ლამაზი ახალგაზრდები (როგორც ყოველთვის, საბატარეო ასეულში ისინი თავიანთ ოფიცერზე ორი თავით Yმადლები იყვნენ და ორჯერ უფრო მხარბეჭიანნი), გაჭირვებულ მდგომარეობაში ბავშვებზე მთქმურებდნენ უფროსს, და ის გამომეტყველება, რომელსაც მაშინ მისი სახე იღებდა, აუცილებლად მათ სახეებზედაც აღიბეჭდებოდა ხოლმე.

ეს საშინელი გუგუნია და ხმაური, ეს დაძაბული ყურადღება და მოქმედება შიშის არავითარ უსიამოვნო გრძნობას არ განაცდევინებდა ტუშინს და ის ფიქრი, რომ შეიძლება მომკლან ან დამჭრანო, აზრად არც კი მოსდიოდა. პირიქით, უფრო და უფრო მხიარულ გუნებაზე დგებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს დიდმა ხანმა, თითქმის დღე-ღამემ განვლო მას შემდეგ, რაც მტერი დაინახა და პირველად ესროლა; თითქოს მინდვრის ის ნაკვეთი, სადაც იგი იდგა, დიდი ხნის ნაცნობი იყო, მისი მშობლიური ადგილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტუშინს ყველაფერი ახსოვდა, რომ იგი საზრიანად მოქმედებდა და ყველაფერს აკეთებდა, ამასთან აკეთებდა ისე, როგორც მის ყოფაში საუკეთესო ოფიცერი გააკეთებდა, ის მაინც ისეთ მდგომარეობაში იყო, რომელიც ციებ-ცხელებას უფრო ჰგავდა ან როგორშიც მთვრალი კაცია ხოლმე.

ტუშინს ესმოდა თავისი ქვემეხების გამაყრუებელი გუგუნი, ესმოდა მტრის ყუმბარების სტვენა და დაცემა, ხედავდა გაოფლიანებულ, გაწითლებულ, ქვემეხების ირგვლივ მოფუსფუსე ჯარისკაცებს, ხედავდა ადამიანებისა და ცხენების სისხლს, მტრის კვამლს მეორე მხარეს (რომლის შემდეგაც ყოველთვის მოფრინავდა ყუმბარა და ეცემოდა მიწაზე, ხვდებოდა კაცს, ქვემეხს, ცხენს), – და ყველაფერი ეს მის თვალში ქმნიდა ფანტასტიკურ სამყაროს, რომელიც იმწუთას სიამოვნებას ჰგვრიდა. მტრის ზარბაზნები მის გონებას ესახებოდა არა ზარბაზნებად, არამედ ჩიბუხებად, რომლებსაც დროგამოშვებით აბოლებდა თამბაქოს უხილავი მწვეელი.

– აგერ, კვლავ იფეთქა, – ჩაილაპარაკა ჩურჩულით ტუშინმა თავისთვის იმ დროს, როდესაც მაღლობზე კვამლი ავარდა, რომელიც ქარმა მარცხნივ წაიღო, – ელოდე ახლა ბურთს.

– რას გვიბრძანებთ, თქვენო კეთილშობილებავ? – ჰკითხა ახლო მდგომმა ფეიერვერკერმა, როცა რაღაც ბურტყუნი გაიგონა.

– არაფერს; ყუმბარა... – მიუგო მან.

„აბა, ჩვენო მატვეენა“, – ამბობდა თავისთვის ტუშინი. მატვეენად ესახებოდა დიდი, ძველად ჩამოსხმული, განაპირა ზარბაზანი, ჭიანჭველებად წარმოდგენილი ჰყავდა თავიანთ ქვემეხებთან მდგომი ფრანგები; მეორე ქვემეხის პირველი ნომერი, ლამაზი და ლოთი, მის სამყაროში ბიძად იყო წოდებული, ტუშინი ყველაზე უფრო ხშირად მას შესცქეროდა, – ახარებდა ყოველი მისი მოძრაობა. თოფის სროლის ხმა მთის ძირში, რომელიც ხან მიყუჩდებოდა, ხან კიდევ გაძლიერდებოდა, ვიღაცის სუნთქვად ეწვეთებოდა ყურში. იგი ყურს მიაპყრობდა ხოლმე ამ ხმების მინელებას და გაჩაღებას.

„ო-ო, ისევ იწყოს სუნთქვა“, – ამბობდა ტუშინი თავისთვის.

თავისი თავი წარმოდგენილი ჰყავდა უზარმაზარ და ძალოვან ვაჟკაცად, რომელიც ორივე ხელით ყუმბარებს უშენს ფრანგებს.

– აბა, მატვეენა, სანატრელო, არ გვიღალატო! – მიმართა მან ქვემეხებს, როდესაც მოესმა უცხო, უცნობი ხმა:

– კაპიტანო ტუშინ! კაპიტანო!

შეშინებულმა ტუშინმა უკან მიიხედა. ეძახდა ის შტაბოფიცერი, რომელმაც გრუნტიდან გააგდო. იგი ქაქანა ხმით უყვიროდა:

– რას სჩადიხართ, ჭკუაზე ხომ არ შეცდით? ორჯერ გებრძანათ უკან დახევა, თქვენ კი...

„ნეტა რა უნდათ ჩემგან?“ – ფიქრობდა ტუშინი და შეშინებული შეჰყურებდა უფროსს.

– მე... არაფერი... – დაიწყო მან და ორი თითი ქუდზე მიიღო, – მე...

მაგრამ პოლკოვნიკმა არ დაამთავრა ის, რისი თქმაც უნდოდა, მის მახლობლად ყუმბარამ გაიქროლა და ამან აიძულა დახრილიყო ცხენისკენ. ერთხანს სულგატრუნული იყო, ხოლო როცა რაღაცის თქმა დააპირა, ახალმა ყუმბარამ კვლავ ჩააჩუმა. პოლკოვნიკმა ცხენი მიატრიალა და მოქუსლა.

– დაიხიეთ! ყველამ დაიხიეთ! – დაუყვირა შორიდან.

ჯარისკაცებს გაეცინათ. ერთი წუთის შემდეგ იმავე ბრძანებით ადიუტანტი მივიდა.

ახალმისული თავადი ანდრეი იყო. როცა თავადმა ანდრეიმ თვალი მიმოავლო იმ ადგილს, სადაც ტუშინის ბატარეა იდგა, პირველ ყოვლისა, დაინახა ფეხმომტვრეული გამოშვებული ცხენი, რომელიც შებმული ცხენების გვერდით ჭიხვინებდა. ფეხიდან შადრევანივით სცემდა სისხლი. წინა თვლებთან რამდენიმე მოკლული ეგდო. ყუმბარებმა ზედიზედ გაიზუზუნეს იმ დროს, როცა თავადი ანდრეი

ბატარეას მიუახლოვდა, და მან იგრძნო, როგორ დაუარა ტანში ჟრუანტელმა. მაგრამ მარტოდენ იმ აზრმა, რომ შიში მეპარებაო, კვლავ გაამხნევა იგი. „შიში არ უნდა მომეკაროს“, – გაიფიქრა და ქვემეხებთან დინჯად ჩამოხტა ცხენიდან. ბრძანება გადასცა, იქვე დარჩა. გადაწყვიტა, არ წასულიყო იმ დრომდე, სანამ ქვემეხებს არ მოაშორებდა იმ პოზიციას. ირგვლივ ფრანგების ყუმბარების საშინელი ზუზუნის ისმოდა, როცა თავადი ანდრეი, ტუშინთან ერთად, მოკლულთა გვამებზე ალაჯებდა და ბატარეას გასაყვანად ამზადებდა.

– ასე უნდა, თორემ თქვენამდე სხვა უფროსი გვეწვია, მაგრამ მაშინვე კუდამოდებული წაბრძანდა, – უთხრა ფეიერვერკერმა თავად ანდრეის, – ისე კი არ მოიქცა, როგორც თქვენი კეთილშობილება.

თავადი ანდრეი არ დალაპარაკებია ტუშინს. ორივე ისე იყო გართული საქმეში, გეგონებოდათ, ერთმანეთს ვერ ხედავენო, როდესაც ოთხიდან ორი გადარჩენილი ქვემეხი წინა თვლებზე შედეს და აღმართს შეუყენეს (დატოვეს ერთი დალეწილი ზარბაზანი და ერთი მარტორქა), თავადი ანდრეი ტუშინთან მივიდა.

– აბა, ნახვამდის, – უთხრა თავადმა ანდრეიმ და ხელი გაუწოდა.

– ნახვამდის, ძვირფასო, – მიუგო ტუშინმა, – საყვარელი ადამიანი ყოფილხართ! ნახვამდის, ძვირფასო, – გაიმეორა ცრემლმორეულმა: გაუგებარი იყო, რატომ აუცრემლდა მოულოდნელად თვალები.

თავი ოცდამეერთე

ქარი ჩადგა, შავი ღრუბლები მძიმედ დაემუნენ ბრძოლის ადგილას და ცის კიდურზე თოფის წამლის კვამლს შეუერთდნენ. თანდათან ჩამოხნელდა. მით უფრო ძლიერად კაშკაშებდა ორ ადგილას ხანძარი. ზარბაზნების გრიალი მინელდა, მაგრამ თოფის სროლა უკან და მარჯვნივ უფრო გახშირდა და მოახლოვდა.

პოზიციიდან წამოსულ ტუშინს ხშირად უხდებოდა თავისი ქვემეხებით დახოცილებისა და დაჭრილების შემოვლა, რომელნიც გზაზე ეყარნენ. ტუშინი გასცდა იმ ადგილს, სადამდეც მტრის ცეცხლი აღწევდა, და ის-ის იყო, ხევში ჩაემვა, რომ დაინახა მომავალი უფროსები და ადიუტანტები; ადიუტანტებს შორის იყვნენ შტაბოფიცერი და ჟერკოვი, რომელიც ორჯერ გაგზავნეს ტუშინთან, მაგრამ რომელმაც ვერც ერთხელ ვერ მიაღწია მის ბატარეამდე. ყველა ისინი ბრძანებას ბრძანებაზე იძლეოდნენ, – ვინ სად წასულიყო, უსაყვედურებდნენ და შენიშვნებს აძლევდნენ ტუშინს. ტუშინი კი არავითარ განკარგულებას არ იძლეოდა და თავისი ჯაგლაგა ცხენით ჩუმად მისდევდა უკან, – ეშინოდა ხმის ამოღებისა, რადგან ყოველ სიტყვაზე, თვითონაც არ იცოდა, რატომ, მზად იყო ტირილი დაეწყო. ნაბრძანები იყო დაჭრილთა მიტოვება, მაგრამ ისინი მაინც ბლომად მისდევდნენ ჯარს და იხვეწებოდნენ ზარბაზნებთან დაესვათ. მატვეენას ლაფეტზე დაეწვინათ მუცელში ტყვიით დაჭრილი ქვეითი ოფიცერი, ის მარჯვე ოფიცერი, რომელიც ბრძოლის წინ ტუშინის ფარდულიდან გამოვარდა. როდესაც აღმართს შეუდგნენ, ტუშინთან მივიდა ფერდაკარგული ჰუსართა იუნკერი, რომელსაც ცალი ხელით მეორე ხელი ეჭირა, და სთხოვა დაესვათ ზარბაზანზე.

– ღვთის გულისათვის, კაპიტანო, ხელი მაქვს დაჟეჟილი, – მიმართა მან, – სიარული არ შემიძლია, ღვთის გულისათვის!

აშკარა იყო, ამ იუნკერს არაერთხელ მიუმართავს სხვებისთვის დაესვათ, მაგრამ ყველგან უარი მიეღო. სთხოვდა გაუბედავი და საბრალო ხმით.

– უბრძანეთ, დამსვან, ღვთის გულისათვის.

– დასვით, დასვით, – უთხრა ტუშინმა, – ფარაჯა დაუგე, შენ, ბიძია, – მიმართა მან თავის საყვარელ ჯარისკაცს, – დაჭრილი ოფიცერი სადღაა?

– გზაში დავტოვეთ, გარდაიცვალა, – მიუგო ვილაცამ.

– დასვით. დაჯექით, ჩემო კარგო. ფარაჯა დაუგე, ანტონოვ.

ეს იუნკერი როსტოვი იყო. ცალი ხელით მეორე ეჭირა, გაყვითლებულს, ქვედა ყბა უკანკალებდა. დასვეს მატვევნაზე, იმ ქვემეხზე, რომლიდანაც მკვდარი ოფიცერი ჩამოიღეს. ქვეშ დაგებული ფარაჯა გასისხლიანებულიყო, რისგანაც როსტოვს რეიტუზები და ხელები მოესვარა.

– რა მოგივიდათ, დაჭრილი ხართ? – ჰკითხა ტუშინმა, როდესაც იმ ქვემეხთან მივიდა, რომელზედაც როსტოვი იჯდა.

– არა, კონტუზია მაქვს.

– მაშ, ეგ სისხლი საიდან არის? – ჰკითხა ტუშინმა.

– ოფიცერმა გამისისხლიანა, თქვენო კეთილშობილება, – მიუგო არტილერისტმა ჯარისკაცმა და, თითქოს ბოდიშს იხდის ქვემეხის უსუფთაობისთვისო, ფარაჯის სახელოთი სისხლი მოსწმინდა.

ქვეითი ჯარისკაცების დახმარებით ძლივს აათრიეს ქვემეხები გორაკზე, და როდესაც სოფელ ჰუნტერსდორფს მიაღწიეს, შეჩერდნენ. ისე ჩამობნელდა, რომ ათ ნაბიჯზე აღარ შეიძლებოდა ჯარისკაცთა მუნდირების გარჩევა: შენელდა სროლაც. მაგრამ მოულოდნელად მარჯვენა მხრიდან, ახლო მანძილიდან, ყვირილი და სროლის ხმა მოისმა. სროლით გამოწვეული ელვარება უკვე არღვევდა წყვილიანს. ეს იყო ფრანგთა უკანასკნელი იერიში. რუსი ჯარისკაცები ფრანგებს სოფელში დახვდნენ, ქუჩებსა და სახლებში. კვლავ გაიქცა ყველა სოფლიდან. მაგრამ ტუშინის ქვემეხებს არ შეეძლო ადგილიდან დაძვრა. არტილერისტებმა, ტუშინმა და იუნკერმა უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს თავიანთი ხვედრის მოლოდინში. ამასობაში სროლა თანდათან შენელდა და გვერდზე ქუჩიდან ხმაურითა და ლაპარაკით ჯარისკაცები გამოვიდნენ.

– პეტროვ, გადარჩი? – იკითხა ერთმა.

– ცუდი დღე დავაყენეთ, ძმაო, ვეღარ გაზედავენ ცხვირის გამოყოფას, – ამბობდა მეორე.

– არაფერი არ ჩანს. ისე მოსცხეს თავიანთებს, რომ შენი მოწონებული! ბნელა, ძმებო; ვერაფერს ვერ ვხედავ; დასალევი ხომ არაფერი გაქვთ?

ფრანგები უკანასკნელად მოიგერიეს. ტუშინის ქვემეხები წყვილიანად კვლავ გაემართნენ საითკენღაც. ირგვლივ ქვეითი ჯარის გუგუნის ჩარჩოსავით ერტყა ამ ქვემეხებს.

სიბნელეში, თითქოს უხილავი, ჩაბნელებული მდინარეაო, ჯარი ერთი მიმართულებით მიიზღაზნებოდა; ისმოდა ჩურჩული, ლაპარაკი, საერთო ხმაურსა და გუგუნში ყველაზე მკვეთრად დაჭრილების კვნესა და ხმები გამოირჩეოდა. მათი კვნესა და ამ ღამის წყვილიანი ერთი და იგივე იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ მოძრავ ბრბოში მღელვარება მოხდა. გაიარა ვილაცამ, თეთრ ცხენზე მჯდომარემ, გაიარა ამალით და რაღაც თქვა.

– რა თქვა? ახლა საით წავალთ? აქ უნდა გავჩერდეთ? იქნებ მადლობა გამოგვიცხადა? – მოისმა ყოველი მხრიდან ხმები, და მთელი მოძრავი მასა თავის თავს აწევებოდა (ეტყობა, წინანი შეჩერდნენ): გავარდა ხმა, ბრძანებაა, – შეჩერდითო. ყველანი შეჩერდნენ შუა გზაზე, ტალახიან გზაზე.

აქა-იქ ცეცხლი აბრიალდა, უფრო მკაფიოდ მოისმა ლაპარაკი, ტუშინმა ბრძანება გასცა, გაეგზავნათ ასეულიდან ჯარისკაცი იუნკრისთვის, შესახვევი პუნქტის ან მკურნალის მოსაძებნად, მერე

ჯარისკაცების მიერ გზაზე დანთებულ ცეცხლს მიუჯდა. როსტოვიც ცეცხლთან გადაჯდა. ტკივილის, სიცივის, სინოტივისგან თრთოდა, მთელი ტანი უცახცახებდა. ძილისგან თავს ვეღარ იკავებდა, მაგრამ ხელი ისე სტკიოდა და სტებდა, რომ დამინება არ შეეძლო, თვალს ხან ხუჭავდა, ხან წითლად გავარვარებულ ცეცხლს აშტერებდა, ხან კიდევ თურქულად მორთხმულ ტუშინის სუსტ მხრებმოხრილ ფიგურაზე აჩერებდა. ტუშინი დიდ, კეთილ და ჭკვიან თვალებს ხშირად მიაჩერებდა ხოლმე მას თანაგრძნობით და სიბრალულით. როსტოვიც ხედავდა, რომ ტუშინს გულწრფელად შესტკიოდა გული, მაგრამ დახმარება არ შეეძლო.

გამვლელ-გამომვლელთა და ირგვლივ დაბანაკებულ ჯარისკაცთა ხმაური და ლაპარაკი მოისმოდა ყოველი მხრიდან. ერთმანეთში ირეოდა ყვირილი, ფეხის ხმა, ფლოქვების თქარათქური, ცეცხლზე დაყრილი შეშის ახლო და შორეული ტკაცანი.

ახლა აღარ მიიკლავნებოდა წყვილიაღმა უხილავი მდინარე, როგორც რამდენიმე ხნის წინათ, ნაცვლად ამისა, თითქოს ჩამავებული ზღვა ქარიშხლის შემდეგ თრთოდა და მოსასვენებლად ემზადებოდა. როსტოვიც უაზროდ იცქირებოდა და ყურს უგდებდა იმას, რაც მის წინ და ირგვლივ ხდებოდა. ქვეითი ჯარისკაცი კოცონთან ჩაცუცქდა, ხელი ცეცხლს მიუშვირა და სახე მიიბრუნა.

– ხომ შეიძლება, თქვენო კეთილშობილებავ? – მიმართა მან ტუშინს, – დავცლდი ასეულს, თავადაც აღარ ვიცი, სადა ვარ. უბედურებაა!

ჯარისკაცთან ერთად ცეცხლთან მივიდა ყბაყრული ქვეითი ოფიცერი. მან სთხოვა ტუშინს, ოდნავ გაეწიათ ქვემეხები, რათა ოთხთვალა გაეტარებინათ. ასეულის უფროსის შემდეგ ცეცხლთან ორი ჯარისკაცი გაჩნდა. ისინი გამწარებით იგინებოდნენ და ერთმანეთს წაღას გლეჯდნენ ხელიდან.

– როგორ არა, შენ აიღე! ხედავთ, რა ხელმარჯვე ყოფილა! – ყვიროდა ერთი ხრინწიანი ხმით.

შემდეგ ცეცხლთან გაჩერდა გამხდარი, ფერწასული ჯარისკაცი, რომელსაც ყელი შეხვეული ჰქონდა გასისხლიანებული ჩვრით. მან გაჯავრებული ხმით წყალი მოსთხოვა არტილერისტებს.

– მაშ, რა ვქნა. ძალივით ხომ არ ჩაკვდები? – ამბობდა ის.

ტუშინმა უბრძანა, მიეცათ წყალი. მერე მხიარულმა ქვეითმა ჯარისკაცმა მიიბრინა. ცეცხლი ითხოვა.

– ცხელ-ცხელი ცეცხლი ქვეითი მხედრებისთვის! კარგად იყავით, გმადლობთ, ჩვენებურებო, ცეცხლისთვის. თავნიანსარგებლიანად დაგიბრუნებთ, – თქვა და მოკიდებული მუგუზლით სიბნელეს შეერია.

ამ ჯარისკაცს ოთხი სხვა მოჰყვა, რომელთაც ფარაჯით რაღაც მძიმე მიჰქონდათ. კოცონს ჩაუარეს. ერთმა წაიბორძიკა:

– ეშმაკმა წაგიღოთ, აჰა! შეშა დაუყრიათ გზაზე, – წაიბურტყუნა მან.

– სული დაუღევია, რაღად მიგვაქვს? – თქვა ერთ-ერთმა მათგანმა.

– ჯანდაბას თქვენი თავი!

და წყვილიაღმა მიიმაღნენ თავიანთი ტვირთით.

– გტკივათ? – ჰკითხა ტუშინმა ჩურჩულით როსტოვის.

– მტკივა.

– თქვენო კეთილშობილებავ, გენერალი გიბარებთ, აქვე, ქოხში, – მიმართა ტუშინს მისულმა ფეიერვერკერმა.

– ახლავე, მეგობარო!

ტუშინი წამოდგა და ფარაჯის შეკვრითა და სწორებით გამორდა ცეცხლს...

თავადი ბაგრატიონი იქვე, არტილერიისტთა კოცონის მახლობლად მისთვის განსაკუთრებით მომზადებულ ქოხში სადილს მისჯდომოდა და იქ შეკრებილ ზოგიერთი ნაწილის უფროსს ელაპარაკებოდა. იქ იყვნენ ნახევრად მოხუჭულთვალეებიანი მოხუცი, რომელიც ხარბად ღრღნიდა ცხვრის ძვალს, ოცდაორი წლის უმწიკვლო გენერალი, ლოყებშეწითლებული ერთი ჭიქა არყისა და სადილისგან, შტაბოფიცერი, თითზე ბეჭედი რომ ეკეთა, ჟერკოვი, რომელიც შემფოთებულ თვალებს აცეცებდა ყველას, და ფერწასული, ტუჩებმოკუმული, თვალებგაბრწყინებული თავადი ანდრეი.

ქოხში, კუთხეში, მიყუდებული იყო ფრანგული დროშა, რომელიც რუსებს ბრძოლის დროს გამოეტაცათ. აუდიტორი ხელით სინჯავდა დროშის ქსოვილს და გოცებული თავს იქნევდა, იქნებ იმიტომ, რომ მართლაც აინტერესებდა როგორ გამოიყურებოდა ეს დროშა, მაგრამ იქნებ იმიტომაც, რომ მას, მშიერს, უმძიმდა ცქერა გაშლილი სუფრისთვის, სადაც ჭურჭლის სიმცირის გამო ვერ დასვეს. მეზობელ ქოხში დრაგუნთა მიერ ტყვედ წამოყვანილი ფრანგი პოლკოვნიკი იმყოფებოდა. მას გარს ეხვივნენ და ათვალერებდნენ რუსი ოფიცრები. თავადმა ბაგრატიონმა მადლობა გადაუხადა ცალკეულ უფროსს, გამოჰკითხა ბრძოლის ამბები, ის, თუ რა დანაკლისი განიცადა ჩვენმა ჯარმა. პოლკის უფროსმა, რომელიც ბრაუნაუში კუტუხოვს წარუდგა, მოახსენა თავადს: – რაწამს ბრძოლა დაიწყო, ტყიდან დავიხიე, თავი მოვუყარე შემისმჭრელ ჯარისკაცებს, წინ გავუშვი ისინი, ორი ბატალიონით შევუტეე და ფრანგები უკუვაგდეო.

– დავინახე თუ არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ პირველი ბატალიონი არეულ-დარეული იყო, გზაზე გავჩერდი და გავიფიქრე: „გავუშვებ ამათ და მტერს საბრძოლო ცეცხლით დავუხვდები-მეთქი“. ასეც მოვიქეცი.

პოლკის უფროსს ისე სწადდა ჩაედინა ეს, ისე წუხდა, რომ ვერ მოასწრო ამის გაკეთება, რომ ბოლოს მოეჩვენა, – ყოველივე ეს ნამდვილად მოხდაო. იქნებ მართლაც მოხდა? განა კაცი გაიგებდა იმ არე-დარევაში, რა მოხდა და რა არ მოხდა?

– ამასთან უნდა აღვნიშნო, თქვენო ბრწყინვალეზავ, – განაგრძო მან, რადგან გაიხსენა დოლოხოვზე ლაპარაკი კუტუხოვთან და გაჯარისკაცებულის უკანასკნელად ნახვა, – რომ გაჯარისკაცებულმა დოლოხოვმა ჩემ თვალწინ დაატყვევა ფრანგი ოფიცერი და საგანგებოდ ისახელა თავი.

– აი, სწორედ იქ ვნახე, თქვენო ბრწყინვალეზავ, პავლოგრადელთა იერიში, – ჩაერია ლაპარაკში ჟერკოვი, თან თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. ამ დღეს მას სრულებით არ უნახავს ჰუსარები, მათი ამბავი მხოლოდ ქვეითი ოფიცრისგან გაიგონა, – ორი კარე მთლად გადაქელეს, თქვენო ბრწყინვალეზავ.

ჟერკოვის სიტყვებზე ზოგიერთებმა, როგორც ყოველთვის, გაიღიმეს, რადგან ოხუნჯობას მოელოდნენ, მაგრამ რაკი დაინახეს, რომ ჟერკოვიც რუსი ჯარისა და დღევანდელი ბრძოლის სასახელოდ ლაპარაკობდა, სერიოზული გამომეტყველება მიიღეს, თუმცა ბევრმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ის, რასაც ჟერკოვი ამბობდა, აშკარა სიცრუე იყო. თავადმა ბაგრატიონმა მოხუც პოლკოვნიკს მიმართა:

– გმადლობთ ყველას, ბატონებო, ყველა გმირულად მოქმედებდა. ქვეითი ჯარიც, კავალერიაც, არტილერიაც. მაგრამ მაინც როგორც დატოვეს ცენტრში ორი ქვემეხი? – იკითხა მან და თვალებით ვილაცის ძებნას შეუდგა (თავად ბაგრატიონს არ უკითხავს მარცხენა ფრთის ქვემეხებზე, მან იცოდა უკვე, რომ იქ დასაწყისშივე მიატოვეს ყველა ზარბაზანი), – მგონი თქვენ გთხოვეთ, – მიმართა მან მორიგე შტაბოფიცერს.

– ერთი ქვემეხი მტრის ყუმბარამ დააზიანა, – მიუგო მორიგე შტაბოფიცერმა, – მეორეს კი არ ვიცი, რა დაემართა; თავად სულ იქ ვიყავი და განკარგულებას ვაძლევდი, მაგრამ წამოვედი თუ არა... ძალზე გახურებული ბრძოლა იყო, – დაურთო მან მოკრძალებით.

ვიღაცამ თქვა, კაპიტანი ტუშინი აქ არისო, სოფლის მახლობლად, და მის მოსაყვანად წავიდა კიდეც კაციო.

– ჰო, თქვენ იყავით იქ, – მიმართა ბაგრატიონმა თავად ანდრეის.

– დიახ, ჩვენ ვიყავით, მაგრამ ვერ შევხვდით, ავციდით ერთმანეთს, – უთხრა მორიგე შტაბოფიცერმა და ტკბილად გაუღიმა ბოლკონსკის.

– მე არ მქონია თქვენი ნახვის ბედნიერება, – ცივად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო თავადმა ანდრეიმ. სიჩუმე ჩამოვარდა.

ზღურბლზე ტუშინი გამოჩნდა, იგი მოკრძალებით მიიკვლევდა გზას გენერლების ზურგს უკან. როგორც ყოველთვის, უფროსების დანახვაზე დარცხვენილმა ტუშინმა გენერლების შემოვლისას ვიწრო ოთახში ვერ შენიშნა კუთხეში მიყუდებული დროშა, ფეხი წამოჰკრა და წაიბორძიკა. რამდენიმე კაცმა ჩაიცინა.

– რატომ დატოვეთ ქვემეხები? – ჰკითხა ბაგრატიონმა და წარბი შეკრა არა იმდენად კაპიტანზე, რამდენადაც გაცინებულებზე, რომელთა შორისაც ყველაზე მეტად ჟერკოვის ხმა მოისმოდა.

ტუშინს მხოლოდ ახლა, მრისხანე უფროსების დანახვაზე წარმოუდგა მთელი საშინელებით თავისი დანაშაული და სირცხვილი იმის გამო, რომ ორი ქვემეხი დაკარგა და თავად ცოცხალი გადარჩა. ისე იყო აღელვებული, რომ ვერ მოასწრო ფიქრიც კი ამაზე. ოფიცრების სიცილმა უარესად დაუბნია თავგზა. იდგა ბაგრატიონის წინ და ქვედა ყბის კანკალს ვერ იკავებდა. ძლივს წაილულლულა.

– არ ვიცი... თქვენო ბრწყინვალეზავ... ჯარისკაცები აღარ იყვნენ, თქვენო ბრწყინვალეზავ.

– დამცველი რაზმიდან მიიშველიებდით.

ტუშინმა არ თქვა, რომ აღარც დამცველი რაზმი იყო იქ, თუმცა ეს სიმართლეს შეეფერებოდა, ეშინოდა, სხვა ვინმე უფროსი არ ჩაეგდო ხიფათში, ამიტომ დუმდა და გაშტერებული თვალებით პირდაპირ სახეში შესცქეროდა ბაგრატიონს, ისე, როგორც აბნეული მოწაფე შესცქერის თვალებში გამომცდელს.

სიჩუმემ საკმაოდ დიდხანს გასტანა. თავად ბაგრატიონს, ეტყობოდა, არ უნდოდა სისასტიკე გამოეჩინა, მაგრამ ვერც რამის თქმას ახერხებდა. დანარჩენები ვერ ბედავდნენ ლაპარაკში ჩარევას. თავადი ანდრეი შუბლშეკრული შეჰყურებდა ტუშინს, ხელის თითები ნერვიულად უკანკალებდა.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, – დაარღვია მკვეთრი ხმით სიჩუმე თავადმა ანდრეიმ, – თქვენ ინებეთ და გამგზავნეთ იქ, სადაც კაპიტანი ტუშინის ბატარეა იყო. ჯარისკაცებისა და ცხენების ორი მესამედი ამოჟლეტილი დამხვდა, ორი ქვემეხი ძალზე დამსხვრეული, ხოლო დამცველი რაზმი არსად ჩანდა.

ორივე, თავადი ბაგრატიონი და ტუშინი, გაშტერებული შეჰყურებდა თავშეკავებით და აღელვებით მოლაპარაკე ბოლკონსკის.

– და თუ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ნებას მომცემთ გამოვთქვა ჩემი აზრი, – განაგრძო მან, – მოგახსენებთ, რომ დღევანდელ წარმატებას ყველაზე მეტად უნდა ვუმაძლოდეთ ამ ბატარეის მოქმედებას და კაპიტან ტუშინისა და მისი ასეულის გმირულ სიმტკიცეს, – დაასრულა თავადმა ანდრეიმ. იგი პასუხის დაულოდებლად იმავე წუთს ფეხზე წამოდგა და მაგიდას მოშორდა.

თავადმა ბაგრატიონმა თვალი შეავლო ტუშინს და, რაკი უხერხულად მიაჩნდა უნდობლობა გამოეჩინა ბოლკონსკის მკვეთრი მსჯელობისადმი და იმავე დროს არ შეეძლო სავსებით ერწმუნა მისი სიტყვები, თავი დახარა და უთხრა ტუშინს, – წასულიყო. ტუშინს ფეხდაფეხ თავადი ანდრეიც გაჰყვა გარეთ.

– დიდად გმადლობთ, ჩემო კარგო, გადამარჩინეთ, – უთხრა ტუშინმა.

თავადმა ანდრეიმ შეხედა ტუშინს, ხმა არ გასცა და პირი მიიბრუნა. თავად ანდრეის სევდა ტანჯავდა, ლოდივით რაღაც აწვებოდა. ყველაფერი ეს უცნაური იყო, ძალზე არ ჰგავდა იმას, რასაც იგი მოელოდა.

„ვინ არიან? საიდან არიან? რა უნდათ? როდის გათავდება ყოველივე ეს?“ – ფიქრობდა როსტოვი და შეჰყურებდა ჩრდილებს, რომლებიც წამდაუწუმ იცვლებოდნენ მის თვალწინ. ხელი უფრო და უფრო მწვავედ სტკიოდა. ძილი ერეოდა. თვალების წინ წითელი რგოლები დაქროდნენ. შთაბეჭდილებას ყოველივე განცდილისგან და მარტოობის გრძნობას უერთდებოდა ტკივილის გრძნობაც. სწორედ ესენი, ეს ჯარისკაცები, დაჭრილები და საღ-სალამათნიც აწვებოდნენ ასე უზომოდ, ტანჯავდნენ, ძარღვებს უჭიმავდნენ, გატეხილ ხელსა და მხარში ხორცის წვას გრძნობდა, ყოველივე ამისგან თავი რომ დაეღწია, თვალი დახუჭა.

ერთ წუთს დავიწყებას მიეცა, მაგრამ დავიწყების ამ მცირე ხნის განმავლობაში უამრავი რამ დაესიზმრა: ნახა თავისი დედა და მისი დიდი თეთრი ხელი, მოელანდა სონიას გამხდარი მხრები, ნატამას თვალები და სიცილი, დენისოვი თავისი ხმითა და უღვაშით, ტელიანინი და მთელი თავისი ისტორია ტელიანინთან და ბოგდანჩთან. მთელი ეს ისტორია იგივე იყო, რაც ეს ჯარისკაცი თავისი მკვახე ხმით, და სწორედ მთელი ეს ისტორია და ეს ჯარისკაცი ეჯაჯგურებოდნენ, აწვებოდნენ ასე მტანჯველად, ასე დაჟინებით და ეწეოდნენ მის ხელს ერთი მხრისკენ. როსტოვი ცდილობდა გასცლოდა მათ, მაგრამ ისინი ერთ გოჯზედაც, ერთ წამსაც არ უშვებდნენ მის მხარს. თუ არა ისინი, თუ არა მათი ჯაჯგური, ტკივილს არ იგრძნობდა, ჯანსაღი ექნებოდა მხარი; მაგრამ შეუძლებელი იყო მათგან თავის დაღწევა.

თვალეები გაახილა და ზევით აიხედა. ზევიდან ჩამოშვებული ღამის შავი ზეწარი ერთი ადლით იყო დამორებული ნაკვერჩხლების შუქს. ამ შუქში თოვლის ფიფქები დაფრინავდნენ. ტუშინი არ ბრუნდებოდა, მკურნალი არ მოდიოდა. მარტო იყო, მხოლოდ ვიდაცა შიშველი ჯარისკაცი იჯდა ახლა ცეცხლის მეორე მხარეს და თავისი გამხდარი, ყვითელი ტანი მიეფიცებინა. „არავის აღარ ვუნდივარ! – ფიქრობდა როსტოვი, – არავინ არის, რომ დამეხმაროს, შემიბრალოს. ხომ ვიყავი ოდესღაც შინ, ვიყავი ღონიერი, მხიარული, ყველასთვის საყვარელი“, – ამოიოხრა და ამ ოხვრასთან ერთად უნებურად დაიკვნესა.

– ჰა, გტკივა? – ჰკითხა ჯარისკაცმა, პერანგი დაბერტყა ცეცხლზე და პასუხისთვის აღარ მოუცდია, ხვნეშით დაუმატა, – ბევრი, ძალიან ბევრი ხალხი გაფუჭდა დღევანდელ დღეს.

როსტოვი ყურს არ უგდებდა. უყურებდა ფიფქების თამაშს ცეცხლის თავზე და აგონდებოდა რუსული ზამთარი, თბილი სახლი, ბეწვიანი ქურქი, მარხილები, ჯანსაღი სხეული და მთელი მოსიყვარულე, მზრუნველი ოჯახი. „ან კი რა ჯანდაბამ წამომიყვანა აქ!“ – ფიქრობდა იგი.

მეორე დღეს ფრანგებს თავდასხმა აღარ განუახლებიათ და ბაგრატიონის რაზმში გადარჩენილნი კუტუზოვის არმიას შეუერთდნენ.

მესამე ნაწილი

თავი პირველი

თავადი ვასილი წინასწარ არ უფიქრდებოდა თავის გეგმებს. უფრო ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, რომ გამორჩენის მიზნით ბოროტება ჩაედინა ადამიანთა საზიანოდ. იგი მხოლოდ მაღალი საზოგადოების კაცი იყო, წარმატებას საზოგადოებაში მიაღწია და ეს წარმატება ჩვეულებად გადაექცა. გარემოების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ ვის უახლოვდებოდა, მუდამ ადგენდა სხვადასხვა გეგმას და მოსაზრებას, მაგრამ ამაში ანგარიშს ხეირიანად არ აძლევდა თავის თავს, თუმცა მთელი მისი ცხოვრების ინტერესს ეს გეგმები და მოსაზრებები შეადგენდნენ. არაერთი და ორი, არამედ ათი და ოცი ასეთი გეგმა და მოსაზრება ჰქონდა სამოქმედოდ გამზადებული, რომელთაგან ზოგი მხოლოდ ესახებოდა, ზოგი მიზანს აღწევდა, ზოგიც ისპობოდა. ის არ ეუბნებოდა, მაგალითად, თავის თავს: „ამ კაცს ამაყად ძალაუფლება აქვს, უნდა მოვიპოვო მისი ნდობა და მეგობრობა და მისი მეოხებით მივიღო ერთდროული დახმარება“, არ ეუბნებოდა აგრეთვე თავის თავს: „აი, პიერი მდიდარია, უნდა მოვიტყუო, შევრთო ჩემი ქალიშვილი და ვესესხო ესოდენ საჭირო 40 ათასი“; მაგრამ აი შეხვდებოდა, ძალაუფლების მქონე კაცს, იმავე წუთს ინსტინქტი უკარნახებდა, ეს კაცი შეიძლება გამომადგესო, და უახლოვდებოდა მას, პირველი შემთხვევისთანავე, მოუმზადებლად, ინსტინქტის კარნახით. პირმოთნეობდა, ფამილარული ხდებოდა, ამბობდა იმას, რაც საჭირო იყო.

პიერი იქვე ჰყავდა, მოსკოვში, და თავადმა ვასილიმ გამოითხოვა მისთვის კამერ-იუნკრობა,[91] რაც მაშინ სტატსკი სოვენტიკის[92] ჩინს უდრიდა, დააჯერა წაჰყოლოდა პეტერბურგს და ჩამომხტარიყო მის სახლში, თითქოს დაუდევრად, უგულისყუროდ, მაგრამ უეჭველი რწმენით აკეთებდა თავადი ვასილი ყველაფერს იმიტომ, რომ პიერისთვის თავისი ქალი მიეთხოვებინა. თავად ვასილის რომ წინასწარ გონივრულად მოესაზრებინა თავისი გეგმები, მაშინ ასეთი ბუნებრიობა აღარ იქნებოდა მის მოპყრობაში, აღარც ასეთი უბრალოება და ფამილიარობა მის ურთიერთობაში ადამიანებთან, მასზე მაღლა და დაბლა მდგომებთან. რაღაც იზიდავდა მუდამ თავად ვასილის თავისზე ძლიერი ან მდიდარი ადამიანებისკენ და იგი დაჯილდოებული იყო ერთი იშვიათი ხელოვნებით: ახერხებდა ისეთი წუთის ხელში ჩაგდებას, როცა საჭირო და შესაძლებელი იყო ადამიანთა გამოყენება.

პიერს, რაკი მოულოდნელად მდიდარ კაცად და გრაფ ბეზუხოვად იქცა, წინანდელ მარტოობასა და უდარდებლობასთან შედარებით, იმდენად გარს შემოერტყა ხალხი და საქმეში ისე ჩააბეს, რომ მხოლოდ დამდამობით ახერხებდა თავის თავთან დარჩენას. მას ხელი უნდა მოეწერა ქალაქზე, საქმე დაეჭირა სახელმწიფო დაწესებულებებთან, რომელთა მნიშვნელობაზე ნათელი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ეკითხა რაღაც მთავარი მოურავისთვის, წასულიყო მოსკოვის მახლობლად მდებარე მამულში და მიეღო უამრავი ხალხი, რომელთაც წინათ მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდათ, ახლა კი ნაწყენი და შეწუხებულნი დარჩებოდნენ, რომ არ მოესურვებინა მათი მიღება. ეს სხვადასხვა ჯურის ხალხი: საქმის კაცები, ნათესავები, ნაცნობები, – ყველა ერთნაირად კარგად და ალერსიანად ეპყრობოდა ახალგაზრდა მემკვიდრეს, ყველანი აშკარად და უსათუოდ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პიერი მაღალი ღირსებით იყო დაჯილდოებული. განუწყვეტლივ ესმოდა ასეთი სიტყვები: „თქვენი არაჩვეულებრივი გულკეთილობით“ ან „თქვენისთანა საუცხოო გულის პატრონი“, ან „თქვენ ისეთი უმწიკვლო ბრძანდებით, გრაფ...“, ან „ის რომ ისეთი ჭკვიანი იყოს, როგორც თქვენ“ და სხვ. ასე რომ, მას უკვე გულწრფელად სჯეროდა თავისი არაჩვეულებრივი გულკეთილობა და თავისი არაჩვეულებრივი ჭკუა, მით უმეტეს, გულის სიღრმეში პიერს ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ ის მართლაც ძალიან კეთილი და ძალიან ჭკვიანია. ისიც კი, ვინც წინათ ბოროტი მოჩანდა და, ალბათ, მტრულად იყო მისდამი

განწყობილი, ნაზი და მოსიყვარულე ხდებოდა. ესოდენ ბრაზიანი წელგრძელი, თოჯინასავით თმაგადატკეპნილი თავადის უფროსი ასული, მოხუცი გრაფის დასაფლავების შემდეგ თავად ესტუმრა პიერს ოთახში. თვალეზღვრებულმა და დარცხვენილმა უთხრა, ძალიან ვწუხვარ ჩვენ შორის მომხდარი გაუგებრობის გამო და ახლა უფლება აღარა მაქვს გთხოვოთ რამე, გარდა ერთისა: ნება მომცეთ განცდილი უბედურების შემდეგ რამდენსამე კვირა კიდევ დავრჩე იმ სახლში, რომელიც ასე მიყვარდა და სადაც ამდენი მსხვერპლი გავიღეო. ამ სიტყვებზე თავი ვეღარ შეიკავა და ტირილი დაიწყო. გულაჩუყებულმა იმით, რომ ეს ქანდაკებისმსგავსი ასული ასე გამოიცვალა, პიერმა ხელი წაავლო მკლავში და ბოდიში მოიხადა, თვითონაც არ იცოდა რისთვის. ამ დღიდან კნიაჟნა შეუდგა ზოლიანი შარფის ქსოვას პიერისთვის და სრულიად გამოეცვალა გუნება მისდამი.

– ნუ დაიშურებ ამას, mon cher, კნიაჟნასთვის, – რაც უნდა იყოს, მან ბევრი რამ გადაიტანა განსვენებულისგან, – უთხრა თავადმა ვასილიმ პიერს და გადასცა ხელმოსაწერად რაღაც ქალაქი კნიაჟნას სასარგებლოდ.

თავადმა ვასილიმ გადაწყვიტა, რომ ეს ძვალი – ოცდაათი ათასი რუბლის თამასუქი, უნდა მივუგდო ბედკრულ ასულს, რათა არასოდეს აღარ გაიხსენოს ჩემი მონაწილეობა მოზაიკური პორტფელის საქმეშიო. ხელი მოაწერინა პიერს თამასუქზე და მას შემდეგ კნიაჟნა უფრო გულკეთილი გახდა. ალერსიანად ეპყრობოდნენ პიერს უმცროსი ასულებიც, მეტადრე სულ უმცროსი, სანდომიანი ხალიანი, რომელიც ხშირად აღელვებდა ყმაწვილს, როცა მის დანახვაზე შეკრთებოდა ხოლმე და იღიმებოდა.

პიერს ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ ყველას უყვარდა, ამიტომ არაბუნებრივად მიიჩნევდა, თუ ვინმეს არ შეუყვარდებოდა; პიერს არ შეეძლო ეჭვი შეეტანა იმათ გულწრფელობაში, ვინც გარს ეხვია. ამასთან, არც დრო გააჩნდა იმდენი, შეჰკითხებოდა თავის თავს მათ გულწრფელობაზე თუ არაგულწრფელობაზე. მას არასოდეს ეცალა, მუდამ ეჩვენებოდა, თითქოს უწყინარი და მხიარული სიმთვრალის ბურანში იყო გახვეული. თავს რაღაც თვალსაჩინო საერთო მოძრაობის ცენტრად გრძნობდა; გრძნობდა, რომ მისგან მუდამ რაღაცას მოელიან, რომ თუ არ გააკეთებს ამასა და ამას, აწყენინებს ბევრს და მოლოდინს გაუცრუებს, ხოლო თუ ამასა და ამას გააკეთებს, ყველაფერი კარგად იქნება, – და ისიც აკეთებდა იმას, რასაც მისგან მოითხოვდნენ; მაგრამ ეს რაღაც კარგი სულ მომავლისთვის რჩებოდა.

ყველაზე მეტად ამ პირველ ხანებში როგორც პიერის საქმეებს, ისე თავად პიერს თავადი ვასილი დაეუფლა. იგი გრაფ ბეზუხოვის სიკვდილის შემდეგ გვერდიდან არ იშორებდა. თავადი ვასილი მუდამ საქმეებით დატვირთული გამოიყურებოდა, დაღლილი, გაწამებული, მაგრამ მაინც ისეთ ადამიანად, რომელსაც, სიბრალულის გამო, არ ძალუძს ბედისა და გაიძვერა ხალხის ანაბარად მიატოვოს ეს უმწეო ჭაბუკი, რაც უნდა იყოს, მისი მეგობრის შვილი après tout (ბოლოს და ბოლოს), ასეთი უზარმაზარი ქონების პატრონი. იმ რამდენიმე დღეში, რაც თავადმა ვასილიმ გრაფ ბეზუხოვის სიკვდილის შემდეგ მოსკოვში გაატარა, იგი პიერს თავისთან იხმობდა ან თვით მიდიოდა მასთან და უკარნახებდა იმას, რისი გაკეთებაც საჭირო იყო; ამასთან, ისეთი დაღლილი და დარწმუნებული კილოთი, თითქოს ეუბნებოდა:

„Vous savez, que je suis accablé d'affaires et que ce n'est que par pure charité, que je m'occupe de vous, et puis vous savez bien, que ce que je vous propose est la seule chose faisable“ („ხომ იცი, საქმეში ვარ ჩაფლული, მაგრამ ულმობლობა იქნება, თავი მიგანებო ამ ყოფაში; იცოდე, რომ რასაც მე გეუბნები, ერთადერთი შესაძლებელი გზაა“).

– აბა, ჩემო მეგობარო, ხვალ, როგორც იქნა, მივდივართ, – უთხრა ერთხელ თვალმოჭუტულმა, თან თითებით მის იდაყვს შეეხო. უთხრა ისეთი კილოთი, თითქოს ის, რასაც ეუბნებოდა, დიდი ხნის გადაწყვეტილი ყოფილიყო მათ შორის და თითქოს არც შეიძლებოდა სხვაგვარად მოქცეულიყვნენ.

– ხვალ მივდივართ, გითმობთ ადგილს ჩემს ეტლში. ძალზე მოხარული ვარ. აქ უკვე მოვაგვარეთ, რაც მთავარი იყო. მე აქამდეც უნდა წავსულიყავი. აი, კანცლერისგან მივიღე პასუხი. ვთხოვე და ჩაგრიცხეს დიპლომატიურ კორპუსში, კამერ-იუნკრად გაგხადეს, ახლა დიპლომატიური გზა გახსნილია შენთვის.

ეს სიტყვები თავადმა ვასილიმ დალილობისა და რწმენის მეტად მტკიცე ტონით წარმოთქვა. მიუხედავად ამისა, პიერმა, რომელიც ასე დიდხანს ფიქრობდა თავის კარიერაზე, მაინც მოისურვა სიტყვის შებრუნება. მაგრამ თავადმა ვასილიმ შეაჩერა იმ მოღუღლუნე ბოხი ხმით, რომელიც შეუძლებელს ხდიდა მისი სიტყვის შეწყვეტას, და რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა ხოლმე დასარწმუნებლად.

– Mais, mon cher (ეს, ჩემო კარგო), ჩემთვის გავაკეთე, ჩემი ნამუსის მოსაწმენდად, და მადლობა საჭირო არ არის. არასოდეს არავის დაუჩივლია, რომ ის გადაჭარბებით ჰყვარებოდეთ; მერე, შენ ხომ თავისუფალი ხარ, შეგიძლია ხვალვე მიანებო თავი. აი, ჩამოხვალ პეტერბურგში და თავად ნახავ ყველაფერს. დროა, თავი მოარიდო ამ მწარე მოგონებებს, – თავადმა ვასილიმ ამოიოხრა, – მაშ ასე, ჩემო კარგო, ჩემი კამერდინერი შენს ეტლში ჩაჯდება. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, – დაუმატა მან, – ხომ იცი, mon cher, რომ მე განსვენებულთან ანგარიშები მქონდა. ჰოდა, რიაზანის მამულიდან მივიღე და ჩემთვის დავიტოვე: შენ არ გჭირდება. მერე გავსწორდებით.

ის, რასაც თავადი ვასილი „რიაზანის მამულიდან მიღებულს“ უწოდებდა, ღალა იყო, რომელიც რამდენიმე ათასს უდრიდა და რომელიც თავადმა ვასილიმ თავისთვის დაიტოვა.

პეტერბურგში, ისევე, როგორც მოსკოვში, პიერს გარს ეხვია მოალერსე, მოსიყვარულე ადამიანთა ატმოსფერო. იგი უარს ვერ იტყოდა იმ ადგილზე, ანუ უკეთ, წოდებაზე (იმიტომ, რომ არაფერს აკეთებდა), რომელიც თავადმა ვასილიმ უშოვა, ხოლო ნაცნობობა, წვეულება და საზოგადოებრივი საქმიანობა იმდენი იყო, რომ პიერი უფრო მეტად იყო ხოლმე გაბრუებული და მოუსვენარი, ვიდრე მოსკოვში. ელოდა რაღაც სიკეთეს, მაგრამ განუხორციელობლობის გრძნობა დაუფლებოდა.

იმ საზოგადოების წევრთაგან, რომელიც უცოლშვილო ახალგაზრდებისგან შედგებოდა, სადაც იგი წინათ ტრიალებდა, ბევრი პეტერბურგში აღარ იმყოფებოდა. გვარდია სალაშქროდ წასულიყო, დოლოხოვი გაეჯარისკაცებინათ, ანატოლი არმიაში იყო, პროვინციაში, ხოლო თავადი ანდრეი – საზღვარგარეთ. ამიტომ პიერი ვერ ახერხებდა ვერც ღამეების ისე გატარებას, როგორც წინათ, ვერც ათასში ერთხელ გულის გადაყოლებას ამხანაგურ საუბარში პატივსაცემ უფროს მეგობართან. მთელ დროს სადილებსა და მეჯლისებს ანდომებდა, მეტწილად კი თავად ვასილისთან იყო – მისი მსუქანი მეუღლისა და მზეთუნახავი ელენის საზოგადოებაში.

ანა პავლოვნა შერერს, ისევე, როგორც სხვებს, დაეტყოთ ცვლილება პიერისადმი, რაც გამოწვეული იყო მის ირგვლივ საზოგადოებრივ შეხედულებაში მომხდარი ცვლილებით.

წინათ პიერს ანა პავლოვნას საზოგადოებაში მუდამ ეჩვენებოდა, რომ რასაც ამბობდა, უზრდელობა იყო, უტაქტობა, არა ის, რაც საჭირო იყო; რომ ის სიტყვები, რომლებიც წინასწარ საგანგებოდ მომზადებისას ჰკვიანურად ეჩვენებოდა, სულელური გამოდიოდა, რაწამს ხმამაღლა წარმოთქვამდა და რომ პირიქით, იპოლიტის ყოველი სულელური სიტყვა საამურად და ჰკვიანურად მოისმოდა. ახლა კი მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა charmant (საუცხოო) იყო. თუნდაც ანა პავლოვნას არ ეთქვა

ეს, პიერი ატყობდა, რომ ამის თქმის სურვილი ჰქონდა, ხოლო თუ არ ამბობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ პატივს სცემდა მის მოკრძალებას და თავს იკავებდა.

1805 წლის დამლევის, ზამთრის დასაწყისში, პიერმა ანა პავლოვნასგან ჩვეულებრივი ვარდისფერი მოსაწვევი ბარათი მიიღო. ბოლოში ბარათს დართული ჰქონდა: „Vous trouverez chez moi la belle Hélène, qu'on ne se lasse jamais de voir“ („ჩვენთან იქნება მშვენიერი ელენ, რომლის ცქერაც მუდამ ახარებს თვალს“).

ამ ადგილის წაკითხვისას პიერმა პირველად იგრძნო, რომ მასსა და ელენს შორის რაღაც კავშირი გაიბა, რომელსაც სხვებიც ხედავენ, და ამ აზრმა ერთსა და იმავე დროს შეაშინა, თითქოს რაღაც ვალდებულება ეკისრებოდა, რომლის შესრულებასაც ვერ შეძლებდა, და მოეწონა კიდეც, როგორც გასართობი რამ.

ანა პავლოვნას საღამო ისეთივე იყო, როგორც პირველი, მხოლოდ ის, რითაც იგი ახლა თავის სტუმრებს უმასპინძლდებოდა, იყო არა მორტემარი, არამედ ბერლინიდან ჩამოსული დიპლომატი, რომელსაც ახალთახალი ამბები ჩამოეტანა იმპერატორ ალექსანდრეს პოდესტამში ყოფნისა და იმის შესახებ, თუ როგორ შეჰფიცა ორმა უმაღლესმა მეგობარმა, განუყრელი კავშირით დაეცვათ მართალი საქმე ადამიანთა მოდემის მტრისგან. პიერის მიღებისას ანა პავლოვნას სახეზე ოდნავი სევდა აღებეჭდა, რაც მიეკუთვნებოდა ალბათ ახალგაზრდა კაცის დანაკარგს – გრაფ ბეზუხოვის გარდაცვალებას (ყველას მუდამ თავის მოვალეობად მიაჩნდა, დაერწმუნებინა პიერი, თუ როგორ წუხდა იგი თავისი მამის გარდაცვალების გამო, – მამისა, რომელსაც ის თითქმის არც იცნობდა); აღიბეჭდა ამ სახეზე აგრეთვე სხვა სევდაც, სწორედ ისეთი, როგორსაც ანა პავლოვნა გამოხატავდა ხოლმე უავგუსტოესი დედოფლის, მარია ფიოდოროვნას ხსენებაზე. ამით დიასახლისმა პიერის გული მოიგო. ანა პავლოვნამ ჩვეულებრივი ოსტატობით მოაწყო წრეები თავის სასტუმრო ოთახში. დიდი წრე, სადაც თავადი ვასილი და გენერლები იყვნენ, დიპლომატს შემორტყმოდა გარს. მეორე წრე ჩაის მაგიდას ეჯდა. პიერს უნდოდა პირველ წრეს მიჰკედლებოდა, მაგრამ ანა პავლოვნამ, იმ გაგულისებულ სარდალივით, რომელსაც ბრძოლის ველზე ათასი ახალი ბრწინვალე აზრი ებადება თავში და რომელიც ძლივს ასწრებს მათ მოყვანას სისრულეში, დაინახა თუ არა პიერი, თითქმის შეახო მის სახელოს.

– Attendez, j'ai des vues sur vous pour ce soir (მოითმინეთ, ამ საღამოს თქვენ სხვა რამე უნდა დაგაკისროთ),
– მან ელენს შეხედა და გაუღიმა, – Ma bonne Hélène, il faut, que vous soyez charitable pour ma pauvre tante, qui a une adoration pour vous. Allez lui tenir compagnie pour 10 minutes (ჩემო საყვარელო ელენ, გამოიჩინეთ გულკეთილობა და მიხედეთ ჩემს საწყალ დეიდას, რომელიც ასე გაღმერთებთ. დაჰყავით მასთან ათიოდე წუთი), მაგრამ ძალიან რომ არ მოგწყინდეთ, აი, საყვარელი გრაფი, რომელიც არ დაიზარებს და გამოგყვებათ.

მზეთუნახავი დეიდისკენ გაემართა, პიერი კი ანა პავლოვნამ შეაჩერა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ერთი უკანასკნელი აუცილებელი განკარგულება კიდეც უნდა გასცეს.

– ხომ წარმტაცია ჩვენი ელენ? – ჰკითხა მან პიერს და უჩვენა მზეთუნახავზე, რომელიც მომხიზლავად მიგოგმანობდა დარბაზში, – Et quelle tenue (მერე, როგორ უჭირავს თავი)! ასეთი ახალგაზრდა ქალიშვილი და ესოდენი ტაქტი, თავის დაჭერის ამგვარი ოსტატობა! გულით მოსდის ეს. ბედნიერი იქნება ის, ვისაც ეგ გაჰყვება. მასთან თვით მაღალ საზოგადოებას მოწყვეტილი ქმარიც კი ბრწყინვალე ადგილს დაიჭერს ამ საზოგადოებაში. ხომ მართალს ვამბობ? მინდოდა მხოლოდ თქვენი აზრი გამეგო,
– და ანა პავლოვნამ გაათავისუფლა პიერი.

პიერმა გულწრფელად დაუდასტურა ანა პავლოვნას, როცა ეს უკანასკნელი ელენის თავდაჭერის ოსტატობაზე შეეკითხა. თუ პიერი ოდესმე ელენზე ფიქრობდა, ფიქრობდა სწორედ მის სილამაზეზე, მაღალ საზოგადოებაში ღირსეულად თავდაჭერის გასაოცარ ოსტატობაზე.

დეიდამ მიიღო თავის კუთხეში ორი ახალგაზრდა, მაგრამ ისე ეჭირა თავი, თითქოს სურდა დაეფარა, თუ როგორ აღმერთებდა ელენს, და უფრო გამოეხატა შიში ანა პავლოვნას წინაშე. იგი შესცქეროდა დისწულს, თითქოს ეკითხებოდა, რა ვუყო ამ ახალგაზრდებსო. მოშორებისას ანა პავლოვნამ კვლავ შეახო თითი პიერის სახელოს და ჩაილაპარაკა:

– J'espère, que vous ne direz plus qu'on s'ennuie chez moi (იმედი მაქვს, სხვა დროს აღარ იტყვი, რომ ჩემთან მოწყენილობაა), – და ელენს გადახედა.

ელენმა გაიღიმა ისე, თითქოს ამბობდა: შეუძლებლად მიმაჩნია, ვინმემ დამინახოს და აღტაცებაში არ მოვიდესო. დეიდამ ჩაახველა, ნერწყვი გადაეყარა და ფრანგულად თქვა, ძალიან მოხარული ვარ ელენის ნახვისო; შემდეგ პიერს მიმართა ასეთივე მისალმებით და სახის ამგვარივე გამომეტყველებით. მოწყენილი და ნამალადევი ლაპარაკის დროს ელენმა პიერს შეხედა და გაუღიმა იმ ნათელი, ლამაზი ღიმილით, როგორც ყველას უღიმოდა. პიერი ისე მიეჩვია ამ ღიმილს და იგი ისე ცოტა რამეს გამოხატავდა მისთვის, რომ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. დეიდა ამ დროს ლაპარაკობდა იმ საბურნუთეების კოლექციაზე, რომელიც პიერის განსვენებულ მამას, გრაფ ბეზუხოვს ჰქონდა; და მან მოსაუბრეებს თავისი საბურნუთე უჩვენა. ელენმა საბურნუთეზე გამოხატული დეიდის ქმრის სურათის ნახვა მოისურვა.

– ეს, ალბათ, ვინესის ნაოსტატარია, – თქვა პიერმა და ცნობილი მინიატურის ავტორი დაასახალა, მერე მაგიდისკენ დაიხარა საბურნუთეს ასაღებად, თან ყური მიუგდო ლაპარაკს მეორე მაგიდაზე.

პიერი წამოდგა შემოსასვლელად, მაგრამ დეიდამ საბურნუთე პირდაპირ გადააწოდა, ელენის ზურგს უკნიდან. ელენი წინ წაიხარა, რათა ადგილი დაეთმო, თან ღიმილით უკან მიიხედა. ელენს, როგორც ყოველთვის საღამოებზე, მაშინდელი მოდის მიხედვით, ეცვა წინ და უკან ძალზე ამოჭრილი კაბა. ელენის ბიუსტი, რომელიც პიერს მუდამ მარმარილოსგან გამოკვეთილად ეჩვენებოდა, ისე ახლოს იყო მისგან, რომ იგი თავისი ბეცი თვალებითაც კი უნებურად არჩევდა მისი მხრებისა და კისრის წარმტაც მშვენიერებას, და ისე ახლოა მის ტუჩებთან, რომ კმაროდა ოდნავი დახრა, რათა შეხებოდა მას. პიერს ეფინებოდა მისი სხეულის სითბო და ნელსაცხებლის სუნი, ესმოდა კორსეტის ჭრაჭუნის მოძრაობის დროს. იგი ხედავდა ელენის არა მარმარილოსებრ სილამაზეს, რაც განუყრელ მთლიანობას წარმოადგენდა მის ტანსაცმელთან ერთად, იგი ხედავდა და გრძნობდა მარტოოდენ სამოსით დაფარული მისი სხეულის მთელ სიტურფეს, და რაკი ერთხელ დაინახა ეს, აღარ შეეძლო დაენახა სხვანაირად, ისევე, როგორც არ შეგვიძლია დავუბრუნდეთ უკვე გამოაშკარავებულ თვალთმაქცობას.

„მაშ, თქვენ აქამდე არ შეგიძინევიათ, რა ლამაზი ვარ? – თითქოს თქვა ელენმა, – არ შეგიძინევიათ, რომ მე ქალი ვარ? დიახ, ქალი გახლავართ, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ყველას და აგრეთვე თქვენც“, – თქვა მისმა თვალებმა. და იმ წუთს პიერმა იგრძნო, რომ ელენი არათუ შეიძლება გახდეს, არამედ უნდა გახდეს კიდევ მისი ცოლი, რომ სხვანაირად შეუძლებელია.

პიერმა იმ წუთს ისევე კარგად იცოდა ეს, როგორც უნდა სცოდნოდა საქორწინო გვირგვინის ქვეშ დგომის დროს. როგორ მოხდება ეს? და როდის? არ იცოდა; არ იცოდა ისიც, კარგი იქნება ეს თუ არა (გრძნობდა კი, რომ ეს რატომღაც კარგი არ არის), მაგრამ იცოდა, რომ ეს მოხდებოდა.

პიერმა თვალები დახარა, ისევე ასწია, მას კვლავ უნდოდა ელენი დაენახა შორეულ, უცხო მზეთუნახავად, როგორსაც წინათ ყოველდღე ხედავდა; მაგრამ აღარ შეეძლო, არ შეეძლო ისევე,

როგორც იმ კაცს, რომელსაც ნისლში შამბის ღერო ხედ ეჩვენებოდა, მაგრამ ღეროს ნახვის შემდეგ აღარ შეეძლო იგი კვლავ ხედ მიეჩნია. ელენი ძალიან ახლობელი იყო მისთვის. იგი უკვე იმორჩილებდა პიერს. ელენსა და პიერს შორის არავითარი ზღუდე აღარ არსებობდა, გარდა საკუთარი ნება-სურვილისგან წამომდგარი ზღუდისა.

– Bon, je vous laisse dans votre petit coin. Je vois, que vous y êtes très bien (კეთილი, დაგტოვებთ მანდ, მაგ თქვენს კუთხეში. ვხედავ, კარგად გრძნობთ თავს), – მოისმა ანა პავლოვნას ხმა.

გაწითლებულმა პიერმა შიშით გაიფიქრა, დასაძრახისი ხომ არაფერი ჩავიდინეო და ირგვლივ მიმოიხედა. ასე ეგონა, თითქოს მასავით ყველამ იცოდა, რაც დაემართა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა დიდ წრესთან მივიდა, ანა პავლოვნამ უთხრა:

– On dit que vous embellissez votre maison de Pétersbourg (ამბობენ, პეტერბურგში სახლის გაწყობა-გამშვენებას შესდგომიხართ).

(ეს ამბავი მართალი იყო: არქიტექტორმა უთხრა, ეს საჭიროაო, და პიერიც, თვითონაც არ იცოდა რატომ, აწყობდა და ამშვენებდა თავის უზარმაზარ სახლს პეტერბურგში).

– C'est bien, mais ne déménagez pas de chez le prince Basile. Il est bon d'avoir un ami comme le prince (კარგი საქმეა, მაგრამ თავად ვასილის ნუ მოშორდებით, კარგია მაგისტანა მეგობრის ყოლა), – უთხრა მან და თავად ვასილის გაუღიმა, – J'en sais quelque chose. N'est-ce pas (ცოტა რამ მეც ვიცი. ხომ მართალია)? თქვენ კი ჯერ ახალგაზრდა ხართ. რჩევა-დარიგება გესაჭიროებათ. ხომ არ ჯავრობთ, მოხუცთა უფლებით რომ ვსარგებლობ, – გაჩუმდა, როგორც ჩუმდებიან ქალები და რაღაცას ელიან მას შემდეგ, როცა თავიანთ წლოვანებაზე ჩამოაგდებენ ლაპარაკს, – თუ ცოლს შეირთავთ, მაშინ სხვა საქმეა, – და თვალით შეაერთა ისინი, პიერი ელენს არ უყურებდა, არც ელენი უყურებდა პიერს. მაგრამ ელენი ისევ ძალზე ახლობელი იყო მისთვის. პიერმა რაღაც ჩაილულლულა და გაწითლდა.

შინ დაბრუნებულმა პიერმა დიდხანს ვერ დაიძინა, ფიქრობდა, რა დამემართაო. ჰოდა, რა დაემართა? არაფერი. მიხვდა მხოლოდ, რომ ის ქალი, რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა, რომელზედაც, როცა ეუბნებოდნენ, მზეთუნახავიაო, დაბნეულად ამბობდა: დიახ, მართალიაო, – მიხვდა, რომ ეს ქალი შეიძლება მას ეკუთვნოდეს.

„მაგრამ ის ხომ სულელია, თავად მე ვამბობდი, სულელია-მეთქი, – ფიქრობდა პიერი, – რაღაც სიბილწეა იმ გრძნობაში, რომელიც მან ჩემში აღძრა, რაღაც აკრძალული. მეუბნებოდნენ, ძმას, ანატოლს უყვარდაო, ელენსაც უყვარდა თურმე; მთელი ისტორია ყოფილა, სწორედ ამიტომ მოაშორეს ანატოლი. მისი ძმა იპოლიტია, მამა – ვასილი... კარგი არ არის ეს“, – ფიქრობდა პიერი; და სწორედ მაშინ, როცა ასე მსჯელობდა (მსჯელობა ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული), ამჩნევდა, რომ ელიმებოდა. ხედავდა, რომ პირველ მსჯელობას ახალი, სხვაგვარი მსჯელობა მოსდევდა, რომ ერთსა და იმავე დროს ფიქრობდა მის არარაობაზე და ოცნებობდა კიდევ, თუ როგორ გახდება ელენი მისი ცოლი, როგორ შეიყვარებს მას, როგორ გადაიქცევა სხვა ადამიანად, და ყოველივე ის, რასაც ფიქრობდა და რაც გაგონილი ჰქონდა მასზე, შეიძლება მართალი არ გამოდგეს. და კვლავ ეჩვენებოდა პიერს იგი არა თავად ვასილის რომელიღაც ქალიშვილად, არამედ ხედავდა მთელ მის სხეულს, მხოლოდ ოდნავ დაფარულს ნაცრისფერი ტანისამოსით. „მერე რატომ აქამდე არ მომდიოდა ეს აზრი თავში?“ და კვლავ არწმუნებდა თავის თავს, რომ მათი შეერთება შეუძლებელია; რომ ამ შეუძლებლებაში, როგორც მას ეჩვენებოდა, იყო რაღაც სიბილწე, ბუნების საწინააღმდეგო, უპატიოსნო. გაახსენდა ელენის წინანდელი სიტყვები და სახის გამომეტყველება, იმათი სიტყვები და სახის გამომეტყველება, ვინც მათ ერთად ხედავდა. გაახსენდა ანა პავლოვნას სიტყვები და სახის გამომეტყველება, როცა სახლზე

ელაპარაკებოდა, გაახსენდა თავად ვასილისა და სხვების ათასი ასეთი გადაკრული სიტყვა, და თავზარი დაეცა, ხელ-ფეხი ხომ არ შეიბორკა ისეთ საქმეში ჩაბმით, რაც, აშკარაა, კარგი არ არის და რასაც იგი არ უნდა გაეკაროს. მაგრამ იმ დროს, როცა მან თავის თავს ასეთი გადაწყვეტილება გამოუტანა, მის გულში, სხვა ადგილას, ამოტივტივდა ელენის სახე მთელი თავისი ქალური სინატიფესილამაზით.

თავი მეორე

1805 წლის ნოემბერს თავადი ვასილი სარევიზიოდ უნდა წასულიყო ოთხ გუბერნიაში. ეს საქმე თავადმა დაიწყო იმ ანგარიშით, რომ თავის აწეწილ მამულებშიც შეეველო და იმავე დროს წაეყვანა თან ვაჟიშვილი ანატოლი (იქიდან, სადაც მისი პოლკი იყო დაბინავებული), მასთან ერთად სწევოდა თავად ნიკოლაი ანდრეევიჩ ბოლკონსკის და იქ სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა: შეერთო შვილისთვის ამ მდიდარი მოხუცის ქალიშვილი. მაგრამ, გამგზავრებამდე და ამ ახალ საქმეებამდე თავად ვასილის უნდა მოეგვარებინა საქმე პიერთან, რომელიც, მართალია, ბოლო დროს მთელ დღეებს შინ ატარებდა, ე.ი. თავად ვასილისთან, სადაც ის ცხოვრობდა და მუდამ, როცა კი ელენს ხედავდა, სასაცილო, აღელვებული და გამომტერებული იყო (როგორც უნდა იყოს შეყვარებული), მაგრამ, ცოლად შერთვის სურვილს მაინც არ უცხადებდა.

„Tout ça est bel et bon, mais il faut que ça finisse“ („კარგია, მშვენიერი, მაგრამ ყველაფერს დასასრული უნდა ჰქონდეს“), – უთხრა ერთ დილას თავის თავს თავადმა ვასილიმ და მწარედ ამოიოხრა. თავადი ვასილი ხედავდა, რომ პიერი, ამდენად მისგან დავალებული (ეჰ, სიკეთე ვის დაუხსომებია!) მთლად მართებულად ვერ იქცეოდა ამ საქმეში. „ახალგაზრდობა... ქარაფშუტობა... რას იზამ, ღმერთმა ხელი მოუმართოს, – გაიფიქრა თავადმა ვასილიმ და თავისმა ასეთმა გულკეთილობამ სიამოვნება არ განაცდევინა, – mais il faut, que ça finisse (ბოლო უნდა მოედოს, უსათუოდ უნდა მოედოს ბოლო). ზეგ ლენას დღეობაა, მოვიწვევ ზოგ ვისმეს და თუ ვერ მიხვდება, რა უნდა მოიმოქმედოს, თავად ჩავერევი საქმეში. დიახ, თავად ჩავერევი, მამა ვარ!

ანა პავლოვნას საღამოს შემდეგ პიერმა მთელი ღამე უძილოდ გაატარა, ღელავდა და გადაწყვიტა, რომ ელენის შერთვა უბედურება იქნებოდა მისთვის, ამიტომ თავი უნდა მოვარიდო და წავიდე სადმეო. თვე-ნახევარმა განვლო ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მაგრამ პიერი ჯერ კიდევ არ გადასულიყო თავად ვასილის სახლიდან და თავზარდაცემული გრძნობდა, რომ სხვების თვალში იგი ყოველდღე უფრო და უფრო უახლოვდებოდა ელენს, რომ მას არ ძალუძდა დაჰბრუნებოდა წინანდელ აზრს ელენზე, არც განშორება შეეძლო, ეს საშინელება იქნებოდა, პირიქით, თავისი ბედი ელენისთვის უნდა დაეკავშირებინა. იქნებ შესძლებოდა კიდევ პიერს თავის შეკავება, მაგრამ ახლა თითქმის ყოველდღე თავად ვასილისთან საღამო იმართებოდა (არადა, იშვიათად ეწყობოდა თავადთან მიღება), რომელსაც პიერი უსათუოდ უნდა დასწრებოდა, თუ არ უნდოდა საერთო სიამოვნების ჩაშლა და ყველას მოლოდინის გაცრეება. თავადი ვასილი იმ იშვიათ წუთებში, როცა შინ იყო, პიერს გვერდით ჩაუვლიდა, ხელს წაატანდა, გაპარსულ, ნაოჭებიან ლოყას საკოცნელად მიუშვერდა და ეტყოდა ან „ნახვამდის“, ან „სადილობამდე, მანამდე ვერ გნახავო, ან „შენთვის ვრჩებიო“ და სხვ., მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თავადი ვასილი, როცა იგი პიერისთვის რჩებოდა შინ (როგორც თვითონ ამბობდა), იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდა, პიერი მაინც ვერ ახერხებდა მისი მოლოდინის გაცრეებას. იგი ყოველდღე ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდა თავის თავს: „ბოლოს ხომ უნდა გავარკვიო და გავიგო, ვინ არის ელენი?.. წინათ ვცდებოდი თუ ახლა ვცდები? არა, უჭკუო არ არის; არა, საუცხოო ქალიშვილია, – ეუბნებოდა პიერი ზოგჯერ თავის თავს, – არასოდეს არაფერში არ ცდება, არასოდეს სისულელე არ უთქვამს. ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ რასაც იტყვის, ყოველთვის უბრალო და ნათელია,

უჭკუო არ არის. არასოდეს არ შემკრთალა და არც შეკრთება. ურიგო ქალი არ არის“. ხშირად უხდებოდა პიერს მსჯელობა ელენთან, ხშირად მისცემია ფიქრს ხმამაღლა, და ყოველთვის ელენი უპასუხებდა ან მოკლე, მაგრამ მოსწრებული შენიშვნით, რაც ცხადყოფდა, რომ მას ეს არ აინტერესებდა, ან მდუმარე ღიმილითა და შეხედვით, რაც ყველაზე ნათლად უჩვენებდა პიერს ელენის უპირატესობას. ელენი მართალი იყო, როცა ყოველი მსჯელობა ამ ღიმილთან შედარებით, სისულელედ მიაჩნდა.

ელენი მუდამ მხიარული, მინდობილი, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ღიმილით მიმართავდა ხოლმე პიერს; ეს ღიმილი რაღაც უფრო მნიშვნელოვანს შეიცავდა, ვიდრე მისი საერთო ღიმილი, რომელიც ყოველთვის უმშვენებდა სახეს. პიერმა იცოდა, რომ ყველანი მისგან მხოლოდ ერთ რამეს მოელოან: – თქვას, ბოლოს, ერთი სიტყვა, გადალახოს ერთგვარი ხაზი, და იცოდა, რომ ადრე თუ გვიან გადალახავდა ამ ხაზს; მაგრამ რაღაც საზარელ შიშს ჰგვრიდა ამ ნაბიჯის გადადგმის მარტოდენ გახსენებაც კი. პიერს ამ თვე-ნახევრის განმავლობაში, როცა გრძნობდა, რომ უფრო და უფრო ეშვებოდა საზარელ უფსკრულში, ათასჯერ უთქვამს თავისი თავისთვის, „რა არის ეს? გამბედაობაა საჭირო. ნუთუ არ მომეპოვება ვაჟკაცობა?“

პიერს უნდოდა გადაეწყვიტა საქმე, მაგრამ სასოწარკვეთილი გრძნობდა, რომ არ ჰყოფნიდა ამ შემთხვევაში გამბედაობა, რომელსაც მუდამ გრძნობდა თავის თავში და რითაც მართლა იყო აღჭურვილი. პიერი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც ძლიერნი მხოლოდ მაშინ არიან, როცა ყოვლად უმწიკვლოდ გრძნობენ თავს. ხოლო იმ დღიდან, როცა სურვილის ის გრძნობა დაეუფლა, რომელიც ანა პავლოვნას საღამოზე საბურნუთეს დანახვისას განიცადა, ამ მისწრაფების დანაშაულის შეუცნობელი გრძნობა ხელ-ფეხს უბორკავდა მის გაბედულებას.

ელენის დღეობაზე თავად ვასილისას ვახშობდა ყველაზე ახლობელ ადამიანთა მცირე საზოგადოება, ანუ როგორც კნიაგინია ამბობდა, ვახშობდნენ ნათესავები და მეგობრები. ყველა ამ ნათესავსა და მეგობარს აგრძნობინეს, რომ ამ დღეს ელენის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. სტუმრები ვახშამს შეექცეოდნენ. კნიაგინია კურაგინას, ზორბა, ოდესღაც ლამაზ და წარმოსადევ მანდილოსანს დიასახლისის ადგილი ეჭირა. მარჯვნივ და მარცხნივ დიდად პატივცემული სტუმრები ისხდნენ – მოხუცი გენერალი, მისი ცოლი, ანა პავლოვნა შერერი; სუფრის ბოლოში ნაკლებად პატივცემული და ნაკლებად ხანში შესული სტუმრები მოთავსებულიყვნენ. იქვე იყვნენ შინაურები, პიერი და ელენი ერთად ისხდნენ. თავადი ვასილი არ ვახშობდა: სუფრას გარს უვლიდა და, მხიარული, ხან ერთ სტუმარს მიუჯდებოდა, ხან – მეორეს. ყველას სასიამოვნო სიტყვას ეუბნებოდა, პიერსა და ელენს გარდა, რომელთა იქ ყოფნას თითქოს ვერც კი ამჩნევდა. თავადი ვასილი ყველას ამხიარულებდა. კამკამბდნენ თავლის სანთლები, ბრწყინავდა სუფრის ჭურჭლის ვერცხლი და ბროლი, მანდილოსანთა სამკაული და ეპოლეტების ოქრო და ვერცხლი; ფუსფუსებდნენ სუფრის ირგვლივ წითელხიფთანიათი მსახურნი, ისმოდა დანების ჩხაკუნი, ჭიქებისა და თევშების წკრიალი და რამდენიმე წყვილის გაცხოველებული ლაპარაკი სუფრის ირგვლივ. სუფრის ერთ კუთხეში მოხუცი კამერჰერი თავის აღფრთოვანებულ სიყვარულში არწმუნებდა მოხუც მანდილოსანს, ბარონის მეუღლეს, ხოლო ეს უკანასკნელი სიცილით უპასუხებდა; მეორე ადგილას ერთ-ერთი დამსწრეთაგანი უყვებოდა მეზობლებს ვიღაც მარია ვიქტოროვნას მარცხის ამბავს. შუა ადგილას თავად ვასილის ეპყრა სუფრაზე მსხდომთა ყურადღება. იგი ღიმილით მოუთხრობდა მანდილოსანთ სახელმწიფო საბჭოს უკანასკნელი – ორშაბათის სხდომის ამბავს. ამ სხდომაზე პეტერბურგის ახალმა გენერალ-გუბერნატორმა სერგეი კუზმიჩ ვიაზმიტინოვმა წაიკითხა არმიიდან გამოგზავნილი ხელმწიფე იმპერატორის, ალექსანდრ პავლოვიჩის იმ დროის შესანიშნავი რესკრიპტი[93], სადაც ხელმწიფე მიმართავდა სერგეი კუზმიჩს და ამბობდა, რომ ყოველი მხრიდან მოდის განცხადებანი ხალხის ერთგულების შესახებ, რომ ყველაზე მეტად ახარებს პეტერბურგის განცხადება, იგი ამაყობს, რომ

ასეთი ერის მეთაურია და ეცდება, მისი ღირსი გახდეს. ეს რესკრიპტი შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: სერგეი კუზმიჩ! ყოველი მხრიდან მომდის ხმები და სხვ.

– ნუთუ ვერ გასცდნენ სერგეი კუზმიჩს? – იკითხა ერთმა მანდილოსანმა.

– დიახ, დიახ, ოდნავადაც ვერ გასცდნენ, – მიუგო სიცილით თავადმა ვასილიმ, – „სერგეი კუზმიჩ... ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან, სერგეი კუზმიჩ...“ საწყალი ვიაზმიტინოვი ვეღარ გასცდა ამ ადგილს. რამდენჯერმე შეუდგა წერილის კითხვას, მაგრამ წაიკითხავდა თუ არა სერგეის... სლუკუნის აუვარდებოდა, კუზმიჩს – ცრემლი სცვიოდა, ყოველი მხრიდან – ქვითინი წასკდებოდა, და ვეღარ ახერხებდა კითხვას. კვლავ ცხვირსახოცი, კვლავ „სერგეი კუზმიჩ, ყოველი მხრიდან“ და ცრემლები.. ასე რომ, სხვას სთხოვეს, წაეკითხა.

– კუზმიჩ... ყოველი მხრიდან... და ცრემლები... – გაიმეორა სიცილით ვიღაცამ.

– ნუ ხართ ავები, – ჩაილაპარაკა ანა პავლოვნამ და თითი დაუქნია სუფრის მეორე კუთხიდან, – ჩინებული კაცია ჩვენი კეთილი ვიაზმიტინოვი.

ბევრი იცინეს. სუფრის თავში, საპატიო ადგილას, ყველა თითქოს მხიარულ გუნებაზე იყო და ამ მხიარულების წყაროს სხვადასხვა განწყობილება შეადგენდა; მხოლოდ პიერი და ელენი ისხდნენ ჩუმად თითქმის სუფრის ბოლოში. ორივეს სახეზე, სერგეი კუზმიჩისგან დამოუკიდებლად, სიხარულის შეკავებული ღიმილი აღბეჭდოდა – ღიმილი მორცხვობისა თავისი გრძნობის წინაშე. რაც უნდა საუბარში ყოფილიყვნენ სხვები გართულნი, ეცინათ და ეოხუნჯათ, რაც უნდა მადიანად შეჰქცეოდნენ პორტვეინსაც, სოტესაც და ნაყინსაც, რაც უნდა აერიდებინათ თვალი ამ წყვილისთვის, გულგრილნი და უყურადღებონი ყოფილიყვნენ მათდამი, მაინც იმით, თუ როგორ შეავლებდნენ ხოლმე იშვიათად მათ თვალს, რატომღაც იგრძნობოდა, რომ ანეკდოტიც სერგეი კუზმიჩზე, სიცილიც და საჭმელიც, – ყოველივე ეს თვალთმაქცობა და მოჩვენება იყო, პირიქით, მთელი ამ საზოგადოების გულისყური მიქცეული იყო მარტოოდენ ამ წყვილისკენ – პიერისა და ელენისკენ. თავადი ვასილი წარმოსახავდა სერგეი კუზმიჩის სლუკუნს, იმავე დროს თვალს შეავლებდა ქალიშვილს, და მაშინ, როცა იგი იცინოდა, მისი სახის გამომეტყველება ამბობდა: „დიახ, დიახ, კარგად მიდის საქმე; დღეს ყველაფერი გადაწყდება“. ანა პავლოვნა ემუქრებოდა თავად ვასილის „ჩვენი კეთილი ვიაზმიტინოვისთვის“, მის თვალეში კი, რომელნიც ოდნავ დააშტერდნენ იმწუთას პიერს, თავადმა ვასილიმ მილოცვა ამოიკითხა – ულოცავდა მომავალ სიძეს და ქალიშვილის გაბედნიერებას. მოხუცმა კნიაგინიამ მწარე ამოოხვრით ღვინო შესთავაზა მეზობელს და გულმოსულად შეხედა ქალიშვილს, და ამ ამოოხვრით თითქოს თქვა: „დიახ, ახლა ჩემო კარგო, მე და თქვენ იმის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, რომ ტკბილი ღვინო ვსვათ, ახლა ამ ახალგაზრდების დროა – იყოს ასე კადნიერად და გამომწვევად ბედნიერი“. „რა სისულელეა, რასაც მე ვამბობ, თითქოს მაინტერესებდეს, – ფიქრობდა დიპლომატი და შეყვარებულთა ბედნიერ სახეებს შესცქეროდა. – აი, ბედნიერება ეს არის“.

იმ წვრილმან, უმნიშვნელო, ხელოვნური ინტერესების გვერდით, რომლებითაც დაკავშირებულნი იყვნენ ამ საზოგადოების წევრნი, გაჩნდა უბრალო გრძნობა: ლამაზი, ახალგაზრდა ვაჟისა და ქალის ერთურთისადმი სწრაფვის გრძნობა და ამ ადამიანურმა გრძნობამ ჩაახშო ყველაფერი, იგი გაბატონდა მთელ მათ ხელოვნურ ტიკტიკზე. ოხუნჯობას ძალა დაეკარგა, ახალი ამბავი საინტერესო აღარ იყო, სიცხოველეს ნამალადეობა დაეტყო. არათუ სუფრაზე მსხდომნი, მომსახურე ლაქიებიც კი, თითქოს იმასვე გრძნობდნენ: ივიწყებდნენ სამსახურის წესრიგს, შეჰყურებდნენ მზეთუნახავ ელენის გაბრწყინებულ თვალებს და პიერის აწითლებულ, მსუქან, ბედნიერ და შემფოთებულ სახეს. თითქოს სანთლების შუქსაც კი მხოლოდ ეს ორი ბედნიერი სახე იზიდავდა.

პიერი გრძნობდა, რომ ყველაფრის ცენტრად ქცეულიყო და ეს მდგომარეობა კიდევ ახარებდა და კიდევ აწუხებდა. იგი იმ კაცის მდგომარეობაში იყო, რომელსაც დიდად გაიტაცებს რაიმე საქმე. მხოლოდ იშვიათად და მოულოდნელად თუ გაუელვებდა გონებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები და სინამდვილის შთაბეჭდილებანი.

„მაშ, უკვე დასრულდა ყველაფერი! – ფიქრობდა იგი, – მერე, როგორ მოხდა ყოველივე ეს? ასე სწრაფად! ახლა ვიცი, რომ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს არა მარტო ელენისთვის, არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის. ყველანი მოუთმენლად მოელიან ამას, ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მოხდება, ამიტომ, ვერა, ვერ მოვატყუებ მათ. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს? არ ვიცი, მოხდება კი, უსათუოდ მოხდება!“ – ფიქრობდა პიერი და შეჰყურებდა ელენის მხრებს, რომელთაც ზედ მის თვალებთან შუქი გადასდიოდა.

ზოგჯერ უეცრად სირცხვილი წამოუვლიდა. უხერხულად გრძნობდა თავს, რომ მარტოდენ ის იქცეოდა ყველას ყურადღებას, რომ ის ბედნიერია ყველას თვალში, რომ თავისი ულამაზო სახით იგი თითქოს ის პარისია[94], ვინც მშვენიერ ელენს დაუფლებია. „მაგრამ, ალბათ, ყოველთვის ასე ხდება და ასე უნდა, – ინუგეშებდა თავს, – ან კი რა მოვიმოქმედე ისეთი ამისთვის? როდის დაიწყო? მოსკოვიდან თავად ვასილისთან ერთად წამოვედი. სხვა არაფერი მომხდარა. შემდეგ, რატომ არ უნდა ჩამოვმხტარიყავი მასთან? მერე ბანქოს ვთამაშობდი ელენთან და რედიკული მივაწოდე, ეტლით ვისეირნეთ. როდის დაიწყო, როდის მოხდა ყველაფერი ეს?“ და ახლა ზის ელენის გვერდით, როგორც მისი საქმრო; განიცდის, ხედავს, გრძნობს მის სიახლოვეს, მის სუნთქვას, მოძრაობას, სილამაზეს. ხან უეცრად მოეჩვენება, რომ ელენი კი არა, თვით ის არის არაჩვეულებრივად ლამაზი, რომ სწორედ ამიტომ შესცქერიან ყველანი, და ამ საერთო გაკვირვებით ბედნიერი, წელში სწორდება, თავს მაღლა სწევს და საკუთარ ბედნიერებას შეჰხარის. უეცრად მოისმის რაღაც ხმა, ვიღაცის ნაცნობი ხმა, რომელიც მეორედ რაღაცას ეუბნება. მაგრამ პიერი ისეა გართული, რომ არ ესმის, რას ეუბნებიან.

– გვეითხები, როდის მიიღე წერილი ბოლკონსკისგან? – გაუმეორა მესამედ თავადმა ვასილიმ, – რა აბნეული ხარ, ჩემო კარგო.

თავადი ვასილი უღიმის, და პიერი ხედავს, რომ ყველა, ყველა უღიმის მას და ელენს. „ჰოდა, რაკი იცით, მით უკეთესი, – ეუბნება პიერი თავის თავს, – მერე რა? სრული სიმართლეა“, და თავადაც იღიმება ბედნიერი ბავშვური ღიმილით, ელენიც იღიმება.

– როდის მიიღე? ოლმიუციდან? – გაუმეორა თავადმა ვასილიმ, რომელსაც ამის გაგება ვითომ დავის გადასაწყვეტად უნდოდა.

„განა შეიძლება ლაპარაკი და ფიქრი ასეთ წვრილმანებზე?“ – გაურბინა თავში პიერს.

– დიახ, ოლმიუციდან, – მიუგო ამოხვრით პიერმა.

სუფრიდან პიერმა თავისი მანდილოსანი, ისევე, როგორც სხვებმა, სასტუმრო ოთახში გაიყვანა. სტუმრებმა წასვლა იწყეს, ზოგი ისე წავიდა, ელენს არ გამოეთხოვა. თითქოს არ უნდათ მოსწყვიტონ იგი სერიოზულ საქმესო. ზოგი სწრაფად უახლოვდებოდა და უმაღვე შორდებოდა, თანაც გაცილების ნებას არ აძლევდა. დიპლომატი სასტუმრო ოთახიდან გასვლისას მწუხარედ დუმდა. მას მთელი თავისი დიპლომატიური კარიერა, პიერის ბედნიერებასთან შედარებით, ამაოებად წარმოუდგა. მოხუცმა გენერალმა გაჯავრებულმა წაუბზულუნა თავის ცოლს, როცა ეს უკანასკნელი მტკივან ფეხზე შეეკითხა. „რა სულელია ეს ბებრუცანა! – გაიფიქრა, – აი, ლენა ვასილიევნა 50 წლისაც ლამაზი იქნება“.

– ვგონებ, შემიძლია მოგილოცოთ, – ჩურჩულით მიმართა ანა პავლოვნამ კნიაგინიას და მაგრად აკოცა, – შაკიკი რომ არა, დავრჩებოდი.

კნიაგინიამ არაფერი უპასუხა; მას შურდა ქალიშვილის ბედნიერება და ეს ტანჯავდა.

სტუმრების გაცილების დროს პიერი დიდხანს დარჩა ელენთან მარტოდმარტო პატარა სასტუმრო ოთახში, სადაც ისინი დასხდნენ. ის წინათაც, უკანასკნელი თვე-ნახევრის განმავლობაში, ხშირად რჩებოდა მარტოდმარტო ელენთან, მაგრამ არასოდეს სიყვარულზე სიტყვა არ ჩამოუგდია. ახლა გრძნობდა, რომ საჭიროა ამის თქმა, მაგრამ ვერასგზით ვერ გაებედა ამ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმა. რცხვენოდა, ისე ეგონა თითქოს აქ, ელენის გვერდით, ვიღაც სხვისი ადგილი ეჭირა. „შენთვის არ არის ეს ბედნიერებაო, – ეუბნებოდა რომელიღაც შინაგანი ხმა, – ეს ბედნიერება იმისთვის არის, ვისაც არა აქვს ის, რაც შენ გაქვს“. მაგრამ რაღაც ხომ მაინც უნდა ეთქვა და მან დაილაპარაკა. ჰკითხა, კმაყოფილია თუ არა დღევანდელი საღამოთი. ელენმა, როგორც ყოველთვის, უბრალოდ მიუგო, დღევანდელი დღეობა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო დღეობა იყო.

ახლო ნათესავთაგან ზოგიერთნი დარჩნენ. ისინი დიდ სასტუმრო ოთახში ისხდნენ. თავადი ვასილი ზანტი ნაბიჯით მივიდა პიერთან. პიერი ზეზე წამოდგა. უკვე გვიან არისო, თქვა მან. თავადმა ვასილიმ სასტიკად და გაკვირვებით შეხედა, თითქოს ის, რაც პიერმა თქვა, იმდენად უცნაური რამ იყო, რომ მისი გაგონებაც კი არ შეიძლებოდა. მაგრამ იმავე წუთს სისასტიკე გაუქრა სახეზე, პიერის ხელი ძირს დასწია, კვლავ დასვა ახალგაზრდა კაცი და ალერსიანად გაუღიმა.

– რას იტყვი, ლელია? – მიმართა მან მაშინვე ქალიშვილს უზრუნველი კილოთი და იმ ჩვეული სინაზით, რასაც ითვისებენ ბავშვობიდანვე შვილების მოალერსე მშობლები, და რომელიც თავადმა ვასილი მხოლოდ სხვა მშობლების მიბაძვით შეიგრძნო.

და კვლავ მიუბრუნდა პიერს:

– სერგეი კუზმიჩი, ყოველი მხრიდან, – ჩაილაპარაკა და ჟილეტის ზედა ღილი შეიხსნა.

პიერმა გაუღიმა, მაგრამ ამ ღიმილზე ეტყობოდა, რომ მას ესმოდა, რა აინტერესებდა თავად ვასილის ამ დროს – სერგეი კუზმიჩის ანეკდოტი თუ სხვა რამ; თავადი ვასილიც მიხვდა, რომ პიერმა გაიგო მისი სიტყვების მნიშვნელობა. თავადმა ვასილიმ უცერად რაღაც წაიდუღუნა და ოთახიდან გავიდა. პიერს მოეჩვენა, თითქოს თავადი ვასილი შეკრთა. საზოგადოებაში გამოჯეკილი მოხუცის შეკრთომამ გული აუჩუყა პიერს; მან ელენს გადახედა, – ისიც თითქოს დარცხვენილი იყო და თვალებით ეუბნებოდა: „მერე რა, თავად თქვენა ხართ დამნაშავეო“.

„აუცილებლად უნდა გადავდგა ეს ნაბიჯი, მაგრამ არ შემიძლია, არ შემიძლია“, – ფიქრობდა პიერი, და კვლავ სულ სხვა საგანზე ჩამოუგდო ლაპარაკი, სერგეი კუზმიჩზე: ჰკითხა, რა აზრს შეიცავდა ის ანეკდოტი, მე ვერ გავიგონეო. ელენმა ღიმილით მიუგო, არც მე ვიციო.

როდესაც თავადი ვასილი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, კნიაგინია მოხუც მანდილოსანს ხმადაბლა ელაპარაკებოდა პიერზე.

– რა თქმა უნდა, c'est un parti très brillant, mais le bonheur, ma chère... Les Mariages se font dans les cieux (ძალიან ბრწყინვალე პარტიაა, მაგრამ იღბალი უნდა, ჩემო კარგო... ქორწინება ზეცაში წყდება), – მიუგო ხანში შესულმა მანდილოსანმა.

თავადი ვასილი, თითქოს მანდილოსნებს ყურს არ უგდებსო, შორეული კუთხისკენ გაემართა და დივანზე ჩამოჯდა. თვალი დახუჭა, თითქოს თვლემსო. უკვე ჩამოაკანტურა თავი, მაგრამ ისევ გამოფხიზლდა.

– Aline, – მიმართა მან ცოლს, – allez voir ce qu'ils font (შეიხედე ერთი, რას აკეთებენ).

კნიაგინია კართან მივიდა, გულგრილად გაუარა კარს და შიგ შეიხედა. პიერი და ელენი ისევ ისე ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

– ისევ ისე არიან, – მიუგო მან.

თავადმა ვასილიმ შუბლი შეკრა და პირი გვერდზე მიიბრუნა: ლოყები ჩვეულებრივად აუთრთოლდა, უსიამოვნოდ, უხეშად. შეირხა, ფეხზე წამოდგა, თავი უკან გადაიგდო, მტკიცე ნაბიჯით მანდილოსნებს გაუარა და პატარა სასტუმრო ოთახში შევიდა. სწრაფი ნაბიჯით, გახარებული, პიერთან მივიდა. თავადი ისე არაჩვეულებრივად, ისე აღგზნებულად გამოიყურებოდა, რომ დამფრთხალი პიერი დანახვისთანავე ფეხზე წამოდგა.

– მადლობა ღმერთს! – უთხრა თავადმა, – ცოლმა ყველაფერი მითხრა! – ცალი ხელი პიერს გადახვია, მეორე – ელენს. – ჩემო ძვირფასო ლელია! ძალზე, ძალზე მოხარული ვარ, – ხმა აუკანკალდა, – მიყვარდა მამაშენი, – უთხრა ახლა პიერს, – კარგ ცოლობას გაგიწევს ლელია... უფალმა გაკურთხოთ!..

მოეხვია ქალს, შემდეგ – პიერს და თავისი ბებრული პირით აკოცა. ცრემლისგან დაენამა ლოყები.

– კნიაგინია, მოდი ჩქარა აქ, – დაუძახა მან ცოლს.

კნიაგინია შევიდა, ისიც ატირდა. ხანში შესულ მანდილოსანსაც ცხვირსახოცი მიედო თვალებზე. პიერს კოცნიდნენ, და მანაც რამდენჯერმე ხელები დაუკოცნა ტურფა ელენს. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ დატოვეს მარტონი.

„ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო, სხვანაირაც არც შეიძლებოდა, – ფიქრობდა პიერი, – ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, კარგია ეს თუ არა. კარგია, რადგან ყველაფერი გარკვეულია და აღარ არის წინანდელი მტანჯველი ეჭვი“. გაჩუმებულ პიერს საცოლის ხელი ეჭირა და თვალს არ ამორებდა მის მშვენიერ ათრთოლებულ მკერდს.

– ელენ! – მიმართა პიერმა ხმამაღლა და შეჩერდა.

„რადაც განსაკუთრებულს ამბობენ ასეთ შემთხვევაში“, – გაიფიქრა მან, მაგრამ ვერასგზით ვერ გაიხსენა, სახელდობრ, რას ამბობენ ასეთ შემთხვევაში. სახეში შეხედა. აწითლებულმა ელენმა ახლო მიიწია მისკენ.

– აჰ, მოიხსენით ეგ... აი, ეგ... – და სათვალეზე უჩვენა.

პიერმა სათვალე მოიხსნა, და მის თვალებში, იმ საერთო უცნაურობის გარდა, რაც სათვალემოხსნილი ადამიანის თვალებს სჩვევიათ, შიში და გაკვირვება ისახებოდა. პიერს უნდოდა დახრილიყო და ეკოცნა მისთვის ხელზე, მაგრამ ელენი სწრაფი და უხეში მოძრაობით დაეწაფა მის ტუჩებს და თავისას შეუერთა. ელენის სახემ გააოცა პიერი უჩვეულო ცვლილებით, უსიამოვნოდ აბნეული გამომეტყველებით.

„ახლა უკვე გვიან არის, ყველაფერი დასრულდა! მიყვარს კიდევ“, – გაიფიქრა პიერმა.

– Je vous aime (მე თქვენ მიყვარხართ), – უთხრა მან, რაკი გაახსენდა, რისი თქმაც იყო საჭირო ამ დროს; მაგრამ ეს სიტყვები ისე უგემურად გაისმა, რომ თავადვე შერცხვა.

თვე-ნახევრის შემდეგ პიერი, ჯვარდაწერილი და, როგორც ამბობდნენ, ლამაზი ცოლითა და მილიონებით გაბედნიერებული, დაბინავდა პეტერბურგს, გრაფ ბეზუხოვების ახალშეკეთებულ და გამშვენიერებულ დიდ სახლში.

თავი მესამე

მოხუცმა თავადმა ნიკოლაი ანდრეევიჩ ბოლკონსკიმ 1805 წლის დეკემბერს წერილი მიიღო თავად ვასილისგან; ატყობინებდა – შვილთან ერთად გეწვევითო („მივდივარ სარევიზიოდ და, რაღა თქმა უნდა, ასი ვერსის ზედმეტად გავლას არად მივიჩნევ, ოღონდ გინახულოთ თქვენ, დიდად პატივცემულო მწყალობელო, – სწერდა იგი, – მაცილებს ჯარში მიმავალი ჩემი ანატოლი; ვიმედოვნებ, ნებას დართავთ პირადად გამოგიცხადოთ უღრმესი პატივისცემა. რითაც იგი, მამის მსგავსად, გამსჭვალულია თქვენდამი“).

– ჰოდა, მარის აღარ დასჭირდება საზოგადოებაში გაყვანა. საქმროები თავად მოილტვიან, – წამოიძახა გაუფრთხილებლად პატარა კნიაგინიამ, როდესაც ეს ამბავი გაიგონა.

თავად ნიკოლაი ანდრეევიჩს სახე დაეღრიჯა; არაფერი უთქვამს.

წერილის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ, საღამოხანს, მოვიდნენ თავად ვასილის კაცები, ხოლო მეორე დღეს გაჩნდა თვითონ თავადი ვასილიც შვილითურთ.

მოხუცი ბოლკონსკი არასოდეს ყოფილა დიდი აზრისა თავად ვასილიზე, მით უმეტეს უკანასკნელ დროს, როცა მან პავლესა და ალექსანდრეს მეფობისას დიდად წაიწია წინ ჩინებითა და პატივით. ახლა კი წერილში გადაკრული მინიშნებიდან და პატარა კნიაგინიას სიტყვებიდან მიხვდა, რაშიც იყო საქმე, და ეს უარყოფითი აზრი თავად ნიკოლაი ანდრეევიჩის გულში ათვალწუნებად გადაიქცა. თავად ვასილიზე ლაპარაკის დროს იგი მუდამ ფრუტუნებდა. თავადი ნიკოლაი ანდრეევიჩი განსაკუთრებით უკმაყოფილო და ამღვრეულ გუნებაზე იყო იმ დღეს, როცა თავადი ვასილი უნდა მოსულიყო. ვერ გაიგებდა კაცი, გუნებაზე არ იყო იმიტომ, რომ თავადი ვასილი უნდა მოსულიყო, თუ თავადი ვასილის მოსვლა უკმაყოფილებას იწვევდა იმიტომ, რომ გუნებაზე არ იყო. ასეა თუ ისე, გუნებაზე არ იყო, და ტიხონმა ჯერ კიდევ დილით ურჩია არქიტექტორს, არ შესულიყო თავადთან მოხსენებით.

– გესმით, როგორ დადის, – უთხრა ტიხონმა არქიტექტორს და მისი ყურადღება თავადის ფეხის ხმას მიაქცია, – მთელი ტერფით ადგამს ფეხს. კარგად ვიცი...

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ცხრის დასაწყისზე თავადი მაინც გამოვიდა სასეირნოდ სიასამურისსაყელოიანი ხავერდის ჯუბით და ასეთივე ქუდი. წინაღღეს თოვლი დაედო. გზა, რომლითაც თავადი ნიკოლაი ანდრეევიჩი ორანჟერეაში დადიოდა, გაწმენდილი იყო, ცოცხის კვალი ჯერ კიდევ ეტყობოდა თოვლგადაგვილ ადგილს, ხოლო ნიჩაბი ჩაერჭოთ ფხვიერი თოვლის ყრილში, რომელიც გზას ორივე მხრით მისდევდა. მოღუშულმა და მდუმარე თავადმა, ორანჟერეები, შინაყმათა სადგომები და ნაგებობები მოიარა.

– მარხილით გავლა შეიძლება? – ჰკითხა მან მოურავს, დარბაისელ კაცს, რომელმაც სახლამდე მიაცილა და რომელიც გარეგნობითა და მანერებით მეპატრონეს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოურავს.

– ღრმა თოვლია, თქვენო ბრწყინვალეზავ. უკვე ვუბრძანე გაეწმინდათ თოვლისგან პრემპექტი[95].

თავადმა თავი დახარა და პარმალთან მივიდა.

„მადლობა ღმერთს, – გაიფიქრა მოურავმა, – ღრუბელი გაიფანტა!“

– გავლა, თქვენო ბრწყინვალეზავ, ძნელად შეიძლებოდა, – დაუმატა მოურავმა. – როგორც ამბობენ, მინისტრი უნდა ეახლოს თქვენს ბრწყინვალეზავს?

თავადი მთელი სხეულით მოურავისკენ მიბრუნდა და მოღუშულმა თვალები დააშტერა.

– რაო? მინისტრიო? რომელი მინისტრი? ვინ ბრძანა? – დაიწყო წრიპინა, მკვახე ხმით, – კნიაჟნასთვის, ჩემი ქალიშვილისთვის არ გაწმინდეთ გზა და მინისტრისთვის გაწმინდეთ? ჩემთვის მინისტრები არ არსებობენ!

– თქვენო ბრწყინვალეზავ, მე ვფიქრობდი...

– შენ ფიქრობდი! – დაიყვირა თავადმა და უფრო და უფრო სწრაფად და გაურკვეველად მიაყარა სიტყვები, – შენ ფიქრობდი... ავაზაკებო! არამზადებო... გასწავლი მე შენ ფიქრს! – წამოიძახა, ჯოხი აიშვირა და ალპატიჩს მოუქნია, უსათუოდ მორტყამდა, მოურავი რომ განზე არ გამხტარიყო, – ფიქრობდა!.. არამზადები!.. – აჩქარებული ყვიროდა იგი. და მიუხედავად იმისა, რომ ალპატიჩი, შემინებული თავისი უტიფრობით, იმით, რომ თავი აარიდა ბატონის მოქნეულ ჯოხს, კვლავ მიუახლოვდა თავადს და მორჩილად დახარა მის წინაშე მელოტი თავი, ან იქნებ სწორედ ამიტომ, თავადმა განაგრძო ყვირილი: „არამზადებო!.. ისევ, ისევ მიაყარეთ თოვლი გზას!..“ მეორედ ჯოხი აღარ აუქნევია და ოთახში შევარდა.

სადილის წინ კნიაჟნა და m-lle Bourienne, რომელთაც იცოდნენ, რომ თავადი გუნებაზე არ იყო, იდგნენ და იცდიდნენ; m-lle Bourienne გაბრწყინებული სახით, რომელიც ამბობდა: „მე არაფერი ვიცი, მე ისეთივე ვარ, როგორც ყოველთვის“, ხოლო კნიაჟნა მარია – გაყვითლებული, შემინებული, დახრილი თვალებით. ყველაზე სამძიმო მარისთვის ერთი რამ იყო: მან იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც m-lle Bourienne იქცეოდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. მარის ეგონა: „თუ ასე მოვიქცევი, თუ მოვაჩვენებ თავს, ვითომ ვერ ვამჩნევ, იფიქრებს, არ თანამიგრძნობსო; თუ თავს მოწყენილად და უგუნებოდ მოვაჩვენებ, მეტყვის (როგორც უკვე უთქვამს), რა ცხვირი ჩამოგიშვიაო“ და სხვ.

თავადმა შეხედა ქალიშვილის შემინებულ სახეს და ჩაიფრუტუნა.

– სს...უღელი!.. – ჩაილაპარაკა მან.

„არც ის არის აქ, ალბათ, მასაც ჩაუკენჭეს ჭორები“, – გაიფიქრა პატარა კნიაგინიაზე, რომელიც სასადილო ოთახში არ იყო.

– კნიაგინია სადღაა? – იკითხა მან, – იმალება?..

– ცოტა უქეიფოდ გახლავთ, – მხიარულად მიუგო m-lle Bourienne-მა, – არ გამოვა სადილად. გასაგებიც არის მის მდგომარეობაში.

– ოჰ! ოჰ! ოჰ! – ჩაიბურტყუნა თავადმა და მაგიდას მიუჯდა.

თეფში უსუფთაო ეჩვენა, მიუთითა ლაქაზე და მოისროლა. ტიხონმა დაიჭირა და მებუფეტეს გადასცა.

პატარა კნიაგინია უქეიფოდ არ იყო: მას იმდენად ეშინოდა თავადისა, რომ, როგორც კი გაიგო უგუნებოდ არისო, გადაწყვიტა არ გამოსულიყო.

– ბავშვი მაფიქრებს, – ეუბნებოდა იგი m-lle Bourienne-ს, – ვინ იცის, რა დამემართოს შიშისგან.

საერთოდ პატარა კნიაგინია ლისიგორაში ცხოვრების დროს მუდმივი შიშისა და ანტიპათიის გრძნობას განიცდიდა მოხუცი თავადისადმი; თანაც თითქოს ვერც გრძნობდა ამას, რადგან მასში შიში სჭარბობდა. თავადიც ანტიპათიით იყო გამსჭვალული, მაგრამ მას სიძულვილი ახშობდა. ლისიგორაში ყოფნის დროს კნიაგინიამ, განსაკუთრებით m-lle Bourienne შეიყვარა, მთელ დღეებს მასთან ატარებდა, სთხოვდა, ღამე მის ოთახში გაეთია, ხშირად ლაპარაკობდა მამამთილზე, ჰკიცხავდა კიდეც.

– Il nous arrive du monde, mon prince (ჩვენთან სტუმრები მოდიან, თავადო), – თქვა m-lle Bourienne-მა და თავისი ვარდისფერი ხელებით თეთრი ხელსაწმენდი გაშალა, – Son excellence le prince Kouraguine avec son fils, à ce que j'ai entendu dire (როგორც გავიგეთ, გვეწვევა მისი ბრწყინვალეობა თავადი კურაგინი ვაჟიშვილითურთ).

– ეგ excellence (ბრწყინვალეობა) ლაწირაკია... მე გავამწესე კოლეგიაში, – თქვა თითქოს შეურაცხყოფილმა თავადმა, – შვილი რაღა შუაშია, ვერ გამიგია. იქნებ კნიაგინია ლიზავეტა კარლოვნამ და კნიაჟნა მარიამ იცინ, მე არ ვიცი, რატომ მოჰყავს აქ ეგ შვილი. ჩემთვის საჭირო არ არის, – და მან წამოწითლებულ მარის შეხედა, – უქეიფოდ ხომ არა ხარ? იქნებ მინისტრის მოსვლამ შეგაკრთო, როგორც დღეს ბრიყვმა ალპატიჩმა თქვა?

– არა, mon père (მამაჩემო).

m-lle Bourienne-მა ვერ შეურჩია სალაპარაკოდ მოხერხებული საგანი, მაგრამ ენა მაინც არ გაუჩერებია, ტარტარებდა ორანჟერებზე, ახალგაშლილი ყვავილის სილამაზეზე, და თავადი წვნიანის შემდეგ მოლბა.

სადილის შემდეგ თავადმა რძალი მოინახულა. პატარა კნიაგინია პატარა მაგიდას მისჯდომოდა და მამასთან, მოახლესთან ლაპარაკით ენას იფხანდა. მამამთილის დანახვაზე ფერი ეცვალა.

პატარა კნიაგინია ძალიან გამოცვლილი გამოიყურებოდა. იგი ახლა უფრო ულამაზო მოჩანდა, ვიდრე ლამაზი. ლოყები დაშვებოდა. ტუჩი ზევით ასწეოდა, თვალებიც ქვემოთკენ დასჭიმვოდა.

– რაღაც სიმძიმე მაწუხებს, – მიუგო თავადს, როცა იგი შეეკითხა, თავს როგორ გრძნობო.

– საჭირო ხომ არაფერია?

– არა, merci, mon père (გმადლობთ, მამა).

– კეთილი, კეთილი.

თავადი გავიდა და საოფიცინტოსკენ გაემართა. ალპატიჩი, თავდახრილი, საოფიცინტოში იდგა.

– მიაყარეთ თოვლი?

– მივაყარეთ, თქვენო ბრწყინვალეობავ. ღვთის გულისათვის, მაპატიეთ, სისულელით მომივიდა.

თავადმა გააწყვეტინა და თავისი არაბუნებრივი სიცილით ჩაიცინა.

– კარგი, კარგი.

ხელი გაუწოდა, ალპატიჩმა აკოცა, და თავადი კაბინეტში შევიდა.

სადამოთი თავადი ვასილი მოვიდა. პრემპექტზე (ასე იწოდებოდა პროსპექტი) დახვდნენ მეეტლეები და ოფიცინტები, რომელთაც განგებ თოვლწყაროლი გზით თავადის მარხილები და საზიდრები აურზაურით ფლიგელს მიაყენეს.

თავად ვასილის და ანატოლის ცალკე ოთახები გაუმზადეს.

კამზოლგახდილი[96] და დონჯშემოყრილი ანატოლი მაგიდას მისჯდომოდა და, მოლიმარი და გონებადაფანტული, მშვენიერი, დიდრონი თვალებით მაგიდის კუთხეს მიმტერებოდა. მთელი ცხოვრება განუწყვეტელ გართობად მიაჩნდა, რომლის მოწყობაც ვიღაცას რატომღაც მისდა გასახარად ეკისრა. ასევე უყურებდა იგი ახლანდელ თავის სტუმრობას ავ მოხუცთან და მის მდიდარ, მაგრამ გონჯ მემკვიდრესთან. ყველაფერი ეს, მისი ფიქრით, შეიძლებოდა მეტად კარგად და სასიამოვნოდ

დასრულებულიყო. „ჰოდა, რატომ არ უნდა შევიერთო, თუკი ძალიან მდიდარია? ეს არასოდეს ზედმეტი არ იქნება“, – ფიქრობდა ანატოლი.

წვერი გაიპარსა, გულმოდგინედ და მოხდენილად იპკურა სუნამო, რაც ჩვეულებად ექცია და თანდაყოლილი ძლევამოსილი გულკეთილობით, მაღლა აწეული ლამაზი თავით მამასთან შევიდა ოთახში. თავად ვასილის ტანთ აცმევდა და თავს ევლებოდა ორი მისი კამერდინერი. მან მკვირცხლად ირგვლივ მიმოიხედა და მხიარულად თავი დაუქნია შვილს, თითქოს ეუბნება, აი, სწორედ მაგნიარი მინდიხარო.

– ხუმრობის გარეშე, მამაჩემო, ძალიან მახინჯია? – ჰკითხა ანატოლმა ფრანგულად, თითქოს განაგრძო მგზავრობის დროს არაერთხელ ჩამოვარდნილი ლაპარაკი.

– გეყოფა სისულელე! მთავარი ის არის, მოკრძალებული და კეთილგონიერი იყო მოხუცი თავადის წინაშე.

– თუ ლანძღვას მოჰყვა, წავალ, – განაცხადა ანატოლმა, – არ შემძლია ამ ბებრების ატანა.

– გახსოვდეს, შენი ბედი მასზეა დამოკიდებული.

ამ დროს სამოახლოში არათუ იცოდნენ მინისტრისა და მისი შვილის მოსვლის ამბავი, დაწვრილებით აღეწერათ უკვე ორივე სტუმრის გარეგნობა. კნიაჟნა მარია მარტო იჯდა თავის ოთახში და ამაოდ ცდილობდა შინაგანი მღელვარების დაძლევას.

„რატომ მოიწერეს, რატომ მითხრა ლიზამ ეს ამბავი? ეს ხომ შეუძლებელია! – ეუბნებოდა თავის თავს და სარკეში იყურებოდა, – როგორ უნდა გავიდე სასტუმრო ოთახში? თუნდაც რომ მომეწონოს, უბრალოდ და ბუნებრივად მაინც ვერ დავიჭერ მასთან თავს“. სასოწარკვეთილებაში აგდებდა მარტოდენ მამის თვალების გახსენება.

პატარა კნიაგინიამ და m-lle Bourienne-მა, მოახლე მაშასგან უკვე მიიღეს საჭირო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი შავთვალეა, ლამაზი ვაჟკაცია მინისტრის შვილი. აგრეთვე იმაზეც, თუ რა ტანჯვით მიათრევდა ფეხებს მინისტრი კიბეზე, ხოლო ვაჟიშვილი როგორ არწივივით ხტოდა სამ-სამ საფეხურზე. როგორც კი ეს ცნობები მიიღეს, პატარა კნიაგინია და m-lle Bourienne, რომელთა გაცხოველებული ლაპარაკი უკვე დერეფნიდან მოისმა, კნიაჟნას ოთახში შევიდნენ.

– Ils sont arrivés, Mari (მოვიდნენ, მარი) გაიგეთ? – უთხრა პატარა კნიაგინიამ, ბაჯბაჯით გაიარა და სავარძელში ჩაეშვა.

მას დილანდელი ხალათი აღარ ეცვა, ერთ-ერთ საუკეთესო კაბაში გამოწყობილს თმა გულდასმით დაევარცხნა და მოერთო, გამოცოცხლებულიყო, მაგრამ ამას მაინც ვერ დაეძალა მისი სახის გახევება და გაფითრება. გამოწყობილი იყო იმ ტანისამოსში, რომელიც ჩვეულებრივ პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში ეცვა; მაგრამ ეს უფრო მეტად ააშკარავებდა თუ რამდენად დაეკლო მის სილამაზეს. m-lle Bourienne-ს დაეტყო მორთულობის რაღაც შეუმჩნეველი გაუმჯობესება, რაც მის ლამაზ, ქორფა სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა.

– Eh bien, et vous restez comme vous êtes, chère princesse (თქვენ კი არ გამოიცვლით ტანისამოსს)? – მიმართა მან კნიაჟნას, – On va venir annoncer, que ces messieurs sont au salon; il faudra descendre, et vous ne faites pas un petit brin de toilette (ახლავე მოვლენ და დაგვიძახებენ. ქვევით უნდა ჩავიდეთ, ოდნავ მაინც მორთულიყავით).

პატარა კნიაგინია სავარძლიდან წამოდგა, მოახლეს დაურეკა და სწრაფად და მხიარულად შეუდგა მორთულობის გამოგონებას კნიაჟნასთვის და მის სისრულეში მოყვანას. კნიაჟნა მარის აღელვებდა

დაპირებული საქმროს მოსვლა და ეს საკუთარი ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნდა; უფრო მეტად შეურაცხყოფდა ის, რომ ორ მის მეგობარს ვერც კი წარმოედგინა საქმის ვითარება სხვანაირად. გაემხილა მათთვის, თუ რამდენად სამარცხვინოდ მიაჩნდა ყოველივე ეს თავისთვის და მათთვისაც, ნიშნავდა მისივე მღელვარების გამომჟღავნებას. გარდა ამისა, უარის თქმას მორთვაზე შედეგად მოჰყვებოდა ხანგრძლივი ოხუნჯობა და დაჟინებული მოთხოვნა. კნიაჟნას ლოყები წამოუწითლდა, მშვენიერ თვალეში ცეცხლი ჩაუქრა და სახე ლაქებით დაეფარა. და იგი მსხვერპლის იმ ულამაზო გამომეტყველებით, რაც ყველაზე ხშირად აღიბეჭდებოდა ხოლმე მის სახეზე, დანებდა m-lle Bourienne-ის და ლიზას ნება-სურვილს. ორივე ქალი ყოვლად გულწრფელად ცდილობდა მარის გალამაზებას. იგი იმდენად გონჯი იყო, რომ არც ერთს არ მოსდიოდა აზრად მასთან მეტოქეობა; ამიტომ სრულიად გულწრფელად, ქალის იმ გულუბრყვილო და მტკიცე რწმენით, რომ მორთულობას შეუძლია სახის გალამაზება, შეუდგნენ მარის ჩაცმა-გამოწყობას.

– არა, ma bonne amie (ჩემო მეგობარო), ეს კაბა არ გიხდება, – ამბობდა ლიზა და თან შორიდან ათვალიერებდა კნიაჟნას, – უბრძანე მოიტანონ, იქ შენ მასაკა[97] გაქვს. ვინ იცის, იქნებ დღეს შენი ბედი უნდა გადაწყდეს. ეს ძალზე ღია ფერისაა, არა, არ ვარგა.

არ ვარგოდა არა კაბა, არამედ უგვანო იყო სახე და ტანადობა კნიაჟნასი, მაგრამ ამას ვერ გრძნობდნენ m-lle Bourienne და პატარა კნიაგინია; მათ ეგონათ, თუ ცისფერ ლენტს ზევით ავარცხნილ თმას შემოავლებდნენ, ხოლო ცისფერ შარვს წაბლისფერი კაბიდან ჩამოუშვებდნენ და სხვა ამისთანა რამეებით მორთავდნენ, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ავიწყდებოდათ, რომ შეუძლებელია შეშინებული სახისა და ტანადობის შეცვლა, ამიტომ მრავალნაირად ცვალებს და ატრიალებს კნიაჟნას სახის ოვალი და მორთულობა, მაგრამ თვით სახე ბეჩავი და ულამაზო რჩებოდა. ორი თუ სამი ცვლილების შემდეგ, რასაც კნიაჟნა უსიტყვოდ დაემორჩილა, იმ წუთს, როცა თმა მარის ზევით ჰქონდა ავარცხნილი (რაც მთლად ცვლიდა და ამახინჯებდა მის სახეს), როცა ცისფერი შარფი ემოსა და მასაკას მორთული კაბა ეცვა, პატარა კნიაგინიამ ორჯერ-სამჯერ გარს შემოუარა, პაწია ხელით აქ კაბის ნაკეცი გაუსწორა, იქ შარფი დასწია, და, გვერდზე თავგადაგდებულმა, შეათვალიერა ჯერ ერთი, მერე მეორე მხრიდან.

– არა, არ შეიძლება, – თქვა მან და ხელი ხელს შემოჰკრა, – Non, Marie, décidément ça ne vous va pas. Je vous aime mieux dans votre petite robe grise de tous les jours. Non, de grâce, faites cela pour moi (არა, მარი, სულ არ გიხდებათ ეს კაბა. მე უფრო მომწონხართ თქვენს ყოველდღიურ ნაცრისფერ კაბაში, გთხოვთ ჩაიცვათ ის კაბა, ჩემი ხათრისთვის). კატია, – დაუძახა მან მოახლეს, მოუტანე კნიაჟნას ნაცრისფერი კაბა, და ნახავთ, m-lle Bourienne, როგორ კობტად გავალამაზებ, – დასძინა მან და ღიმილით გამოხატა თავისი არტისტული სიხარული.

მაგრამ როცა კატია ნაცრისფერი კაბა მოიტანა, კნიაჟნა უძრავად განაგრძობდა ჯდომას სარკის წინ და თავის სახეს შეჰყურებდა; მარიმ სარკეში დაინახა, რომ თვალზე ცრემლი მოსდგომოდა და, სატირლად მომზადებულს ტუჩები უკანკალებდა.

– Voyons, chère princesse (აბა, კნიაჟნა), – მიმართა m-lle Bourienne-მა, – encore un petit effort (ცოტა კიდევ დაატანეთ ძალა თავს).

პატარა კნიაგინიამ მოახლეს კაბა ჩამოართვა და მარისკენ გაემართა.

– ახლა ჩვენ ამას საგანგებოდ გავაწყობთ, – თქვა მან.

ფრინველთა მხიარულ ჭიკჭიკად გაისმოდა პატარა კნიაგინიას, m-lle Bourienne-ისა და კატიას ხმები. კატია ამასთან რაღაცაზე გაიცინა კიდევ.

– Non, laissez-moi (არა, დამანებეთ თავი)! – უთხრა კნიაჟნამ.

და ეს სიტყვები ისე სერიოზულად და ტანჯვით წარმოთქვა მარიმ, რომ ფრინველთა ჭიკჭიკი უმაღლესად შეწყდა. მათ შეხედეს ცრემლითა და ნაღვლიანი ფიქრით სავსე დიდ, მშვენიერ თვალებს, რომელნიც ნათლად და მუდარით გამოიყურებოდნენ, და მიხვდნენ, რომ დაჟინება ამაო იქნება, უღმობელიც კი.

– Au moins changez de coiffure (ყოველ შემთხვევაში, თმა მაინც დაივარცხნეთ სხვანაირად), – უთხრა პატარა კნიაგინამ, – Je vous disais (მე უკვე გითხარით), – მიმართა მან საყვედურით m-lle Bourienne-ს, – Maris a une de ces figures, auxquelles ce genre de coiffure ne va pas du tout. Mais du tout, du tout. Changez de grâce (რომ მარიას ისეთი სახე აქვს, რომელსაც თმის ამგვარად დავარცხნა სულ არ უხდება. გთხოვთ გამოიცვალოთ).

– Laissez-moi, laissez-moi, tout ça m'est parfaitement égal (თავი დამანებეთ, ჩემთვის ყველაფერი სულერთია), – ლამის ატირებულყო კნიაჟნა.

m-lle Bourienne და პატარა კნიაგინა აშკარად ხედავდნენ, რომ კნიაჟნა მარია ასე გამოწყობილი მეტად უღამაზოდ გამოიყურებოდა, ბევრად უღამაზოდ, ვიდრე ყოველთვის; მაგრამ უკვე გვიან იყო. მარია ნაცნობი გამომეტყველებით შეჰყურებდა მათ, იმ გამომეტყველებით, რომელიც ფიქრსა და სევდას გამოხატავდა. ეს გამომეტყველება შიშს არ იწვევდა მათში (ამ გრძნობის აღძვრა მას არ შეეძლო). მაგრამ მათ იცოდნენ, რომ როცა მარის სახეზე ასეთი გამომეტყველება ჩნდებოდა, იგი მდუმარე და უდრეკი ხდებოდა.

– Vous changerez, n'est-ce pas (ხომ დაივარცხნით ხელახლა თმას)? – ჰკითხა ლიზამ, და რაკი კნიაჟნამ ხმა არ გასცა, ოთახიდან გავიდა.

კნიაჟნა მარი მარტო დარჩა. მან არ შეასრულა ლიზას თხოვნა და არათუ ხელახლა აღარ დაივარცხნა თმა, – სარკეშიც არ ჩაიხედა. თვალე და ხელებდაშვებული უღონოდ იჯდა სავარძელში და ფიქრობდა. მას ქმარი წარმოდგენილი ჰყავდა ვაჟკაცად, ძლიერ, აღმატებულ და თავისთავად მიმზიდველ მამაკაცად, რომელსაც კნიაჟნა უცხად თავის, სრულიად სხვა, ბედნიერ სამყაროში გადაჰყავს. თავისი მომავალი შვილი, – ისეთი, როგორც გუშინ ძიძას ეჭირა, წარმოდგენილი ჰყავდა მკერდზე მიკრული. ქმარი იქვე დგას და ნაზად შეჰყურებს მას და ბავშვს. „მაგრამ არა, შეუძლებელია ეს. მე ძალიან გონჯი ვარ“, გაიფიქრა მან.

– მობრძანდით ჩაიზე. თავადი ახლავე გამოვა, – მოესმა კარიდან მოახლის ხმა.

მარი გამოფხიზლდა. შეაძრწუნა იმან, რაზედაც ფიქრობდა. სანამ ქვევით ჩავიდოდა, კნიაჟნა წამოდგა, სახატეში შევიდა, თვალე კანდელით განათებულ მაცხოვრის დიდი ხატის მუქ სახეს მიაპყრო და ხელებდაკრეფილი რამდენსამე წუთს მის წინ გაჩერდა. კნიაჟნა მარიას გულს მტანჯველი ეჭვი ღრღნიდა. შესაძლებელია თუ არა მისთვის სიყვარულით გამოწვეული სიხარული – მიწიერი სიყვარული მამაკაცისადმი? როდესაც კნიაჟნა ქორწინებაზე ფიქრობდა, მას ესახებოდა ოჯახური ბედნიერებაც, შვილებიც, მაგრამ მის უძლიერეს და ფარულ ოცნებას ამქვეყნიური სიყვარული შეადგენდა. ეს გრძნობა მით უფრო ძლიერი იყო, რაც უფრო ცდილობდა დაემალა იგი სხვებისგან და, ასე გასინჯეთ, თავისი თავისგანაც. „ღმერთო ჩემო, – ფიქრობდა მარი, – როგორ ჩავიხშო გულში ეს ეშმაკისეული აზრები? როგორ უკუვაგდო სამუდამოდ ეს ბოროტი ზრახვები ისე, რომ დამშვიდებით შევასრულო შენი ნება-სურვილი, უფალო?“ და დაეხდა თუ არა ეს კითხვა, იმავე წუთს ღმერთმა უპასუხა მისსავე გულში: „ნურაფერს ნუ მოისურვებ შენთვის: ნუ დაეძებ, ნუ ღელავ, ნუ გშურს. ადამიანთა მომავალი და შენი ბედი უცნობი უნდა იყოს შენთვის. მაგრამ იცხოვრე ისე, რომ მზად იყო ყველაფრისთვის. თუ ღმერთმა ინება შენი გამოცდა ქორწინების მოვალეობაში, მზად იყავი შეასრულო

ნება მისი“. ამ დამამშვიდებელი აზრით (მაგრამ მაინც იმ იმედით, რომ მისი აკრძალული, მიწიერი სიყვარული აღსრულდებოდა) კნიაჟნამ ამოიოხრა, პირჯვარი გადაიწერა და ქვევითკენ გასწია. ჩავიდა ისე, რომ აღარ ფიქრობდა აღარც თავის ტანისამოსზე, აღარც თმის ვარცხნილობაზე, აღარც იმაზე, თუ როგორ შევა და რას იტყვის. რას უნდა წარმოადგენდეს ყოველივე ეს ღვთის განგებასთან შედარებით, – ღვთისა, რომლის ნების გარეშე არც ერთი ბეწვი არ დავარდება ადამიანს თავიდან.

თავი მეოთხე

როდესაც კნიაჟნა მარია სასტუმრო ოთახში შევიდა, თავადი ვასილი ვაჟიშვილითურთ უკვე იქ იყო და პატარა კნიაგინიასა და m-lle Bourienne-ს ესაუბრებოდა. როცა მარია თავისი მძიმე ნაბიჯით (მთელი ტერფით ადგამდა ფეხს) შევიდა, მამაკაცებმა და m-lle Bourienne-მა სკამებიდან წამოიწიეს, პატარა კნიაგინიამ ანიშნა მამაკაცებს და წარმოთქვა: – Voilà Marie (აი, მარი)! კნიაჟნა მარიამ ყველანი დაინახა და ყოველი წვრილმანი შენიშნა. მან დაინახა სახე თავად ვასილისა, რომელმაც ერთ წუთს თვალები სერიოზულად შეაჩერა მასზე, მაგრამ მაშინვე გაიღიმა, და სახე პატარა კნიაგინიასი, რომელიც ცნობისმოყვარეობით ცდილობდა წაკითხა სტუმრების სახეზე ის, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მათზე Marie. მარიამ დაინახა m-lle Bourienne-ც თავისი ლენტით, ლამაზი სახითა და მისკენ მიმართული ძალზე გახარებული თვალებით; მაგრამ მისი დანახვა არ შეეძლო, დაინახა მხოლოდ რაღაც დიდი, კაშკაშა და მშვენიერი, რომელმაც მარის შესვლისას მისკენ მიიწია. მასთან ჯერ თავადი ვასილი მივიდა, და მარიმ მელოტ თავზე აკოცა, როცა იგი მისი ხელისკენ დაიხარა, და უპასუხა მის სიტყვებზე, რომ, მე პირიქით, ძალიან კარგად მახსოვხართო. მერე მასთან ანატოლი მივიდა. ვერც ახლა დაინახა იგი. იგრძნო მხოლოდ ნაზი ხელი, რომელიც მაგრად ჩაეჭედა მის ხელს; მარი ოდნავ შეეხო ანატოლის თეთრ შუბლს, რომლის ზემოთაც პომადანაცხებულ მშვენიერი ქერა თმა მოჩანდა. როდესაც შეხედა, გააოცა მისმა სილამაზემ. ანატოლს მარჯვენა ხელის ცერი შეკრული მუნდირის ღილისთვის გამოედო, მკერდი წინ გადმოეგდო, ზურგი – უკან გაეშვირა, თან უკანგაწეულ ცალ ფეხს აქანავებდა და, ოდნავ თავდახრილი, მდუმარედ, მხიარულად შეჰყურებდა კნიაჟნას, მაგრამ, ეტყობოდა, სრულიად არ ფიქრობდა მასზე. სიტყვა-პასუხში ანატოლი ვერ იყო მოსწრებული, სწრაფი და ენაწყლიანი, სამაგიეროდ, დაჯილდოებული იყო საზოგადოებაში დაუფასებელი ნიჭით – სიმშვიდითა და ურყევი თავდაჯერებით. სხვა ვინმე თავდაჯერებას მოკლებული კაცი რომ დადუმებულიყო პირველგაცნობისას, გამოემჟღავნებინა ამ სიჩუმის უზრდელობის შეგნება და ცდილიყო რაიმეს თქმით უხერხული მდგომარეობის გამოსწორებას, ამით მთლად გააფუჭებდა საქმეს; მაგრამ ანატოლი დუმდა, ფეხს აქანავებდა და მხიარულად ათვალეირებდა კნიაჟნას ვარცხნილობას. ეტყობოდა, ძალიან დიდხანს შეეძლო მას ასე ჩუმად ყოფნა. „თუ ვინმეს უხერხულობას გგვრით ეს სიჩუმე, ილაპარაკეთ, მე კი არა ვარ ლაპარაკის გუნებაზე“, თითქოს ამბობდა იგი თავისი გამომეტყველებით. გარდა ამისა, ქალებთან ურთიერთობაშიც ანატოლი დაჯილდოებული იყო იმ მანერით, რომელიც ყველაზე მეტად იწვევს მათში ცნობისმოყვარეობას, შიშს და სიყვარულსაც კი – თავისი უპირატესობის ქედმაღლურად შეგნების მანერით. თითქოს თავისი გამომეტყველებით ეუბნებოდა ქალებს: „გიცნობთ, გიცნობთ, მაგრამ არა ღირს თქვენი აყოლა. გაგიხარდებათ კი“. იქნებ ქალებთან შეხვედრისას ანატოლი არ ფიქრობდა ასე (ალბათ, არც ფიქრობდა, რადგან საერთოდ ნაკლებად ფიქრობდა), მაგრამ ასეთი ჰქონდა გამომეტყველება და საქციელი. კნიაჟნამ იგრძნო ეს და თითქოს იმის გასაგებად, რომ იგი აზრადაც კი ვერ გაივლებს მის გართობას, მოხუც თავადს მიმართა. პატარა კნიაგინიას ხმისა და ბუსუსებიანი ტუჩის მეოხებით, – ტუჩისა, რომელიც მალ-მალე იწევდა ზევით და შორდებოდა თეთრ კბილებს, ლაპარაკი საერთოდ და გაცხოველებული იყო. პატარა კნიაგინია თავად ვასილის შეხვდა იმ სახუმარო კილოთი, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე ენადაუღალავი

და მხიარული ადამიანები და რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როცა იგულისხმება, რომ ორ მოსაუბრეს შორის უკვე დიდი ხანია არსებობს რაღაც სალაღობო ურთიერთობა და მხიარული, არა ყველასთვის ცნობილი, შესაქცევი მოგონებანი, მაშინ როდესაც არავითარი ასეთი მოგონება არ არსებობს მათ შორის, ისევე, როგორც არ არსებობდა იგი პატარა კნიაგინიასა და თავად ვასილის შორის. თავადი ვასილი ხალისით აჰყვამ კილოს; პატარა კნიაგინიამ ამ არარსებული სასაცილო ამბების მოგონებებში ჩაითრია ანატოლიც, რომელსაც ხეირიანად არც კი იცნობდა. m-lle Bourienne-მაც გაინაწილა ეს საერთო მოგონებები, ხოლო კნიაჟნა მარიამ სიამოვნებით იგრძნო, რომ ისიც ჩათრეულიყო ამ მხიარულ მოგონებებში.

– ახლა კი, თავადო, სავსებით გამოგიყენებთ, – ეუბნებოდა თავად ვასილის პატარა კნიაგინია, რა თქმა უნდა, ფრანგულად, – ისე ვეღარ მოიქცევით, როგორც Annette-ს სადამოებზე, საიდანაც მუდამ გარბოდით. ხომ გახსოვთ ჩვენი chère Annette (საყვარელი ანეტი)?

– თქვენ ხომ არ გამიბამთ ლაპარაკს პოლიტიკაზე, როგორც Annette იქცეოდა.

– ჩვენი ჩაის მაგიდა?

– დიახ, დიახ.

– რატომ არასოდეს მინახავხართ Annette-სთან? – ჰკითხა პატარა კნიაგინიამ ანატოლს, – ჰო, ვიცი, ვიცი, – თქვა მან და თვალი ჩაუკრა, – თქვენმა ძმამ, იპოლიტმა მიაგმო თქვენი საქმენი საგმირონი. ოო, – თითქოს დაემუქრა, – ვიცი ჯერ კიდევ პარიზში ჩადენილი თქვენი ოინები.

– მას, იპოლიტს კი არაფერი უთქვამს შენთვის? – თქვა თავადმა ვასილიმ (მან მიმართა შვილს, ხოლო კნიაგინიას ხელში ხელი სტაცა, თითქოს, იგი გაქცევას აპირებს და ძლივს შეიკავაო), – არა უთქვამს რა იმაზე, თუ როგორ დნებოდა თავად იპოლიტი საყვარელი კნიაგინიასთვის და le mettait à la porte (როგორ აგდებდა იგი სახლიდან)?

– Oh! C'est la perle des femmes, princesse (ოჰ, ნამდვილი მარგალიტია კნიაგინია ქალთა შორის, კნიაჟნა)!

– მიმართა მან მარის.

თავის მხრივ m-lle Bourienne-მაც ისარგებლა პარიზის ხსენებით და ისიც ჩაება მოგონებათა საერთო განხილვაში.

მან ნება მისცა თავს ეკითხა ანატოლისთვის, დიდი ხანია თუ არა მიატოვეთ პარიზი და როგორ მოგეწონათ ეს ქალაქიო. ანატოლი დიდი ხალისით გამოეპასუხა ფრანგ ქალს; იგი ღიმილით შეჰყურებდა და ელაპარაკებოდა მის სამშობლოზე. როდესაც ანატოლმა მოხდენილი ბურიენი დაინახა, გადაწყვიტა, აქაც, ლისიგორაშიც, არ ვიქნები მოწყენილიო. – ურიგო არ არის, – გაიფიქრა და შეათვალიერა, – სრულიადაც არ არის ურიგო ეს demoiselle de compagnie (კომპანიონი ქალი). ვიმედოვნებ, მარი თან წამოიყვანს, როდესაც მომთხოვდება, – ფიქრობდა იგი, – la petite est gentille (ის ძალიან საყვარელია).

მოხუცი თავადი აუჩქარებლად იცვამდა კაბინეტში, იღუშებოდა და ფიქრობდა, თუ რა უნდა მოემოქმედა. სტუმრების მოსვლა აბრაზებდა. „რა არის ჩემთვის თავადი ვასილი და მისი შვილი? თავადი ვასილი მკვებარაა, თავქარიანი, არც შვილი იქნება უკეთესი“, – ბუზღუნებდა თავისთვის. აბრაზებდა ის, რომ სტუმრების მოსვლამ კვლავ აუფორიაქა სული და გული, კვლავ წამოიჭრა მის წინაშე გადაუჭრელი საკითხი, რომელსაც მუდამ ახშობდა გულში და რომლის გამოც მოხუცი თავადი მუდამ ატყუებდა თავის თავს. საქმე ის იყო, გაიმეტებდა თუ არა იგი ოდესმე გასათხოვებლად თავის ასულ მარიას. თავადი ვერ ბედავდა პირდაპირ დაესვა ეს კითხვა თავისთვის, რადგან წინასწარ იცოდა, რომ სამართლიანად გადაჭრიდა, სამართლიანობა კი ეწინააღმდეგებოდა არა მარტო მის გრძნობას,

არამედ მთელ მის არსებობას. ცხოვრება უმარიოდ თავად ნიკოლაი ანდრეევიჩს წარმოუდგენლად მიაჩნდა, თუმცა კაცს ეგონებოდა, ნაკლებად აფასებს ქალიშვილსო. „რატომ უნდა გათხოვდეს? – ფიქრობდა მოხუცი, – ალბათ, გასაუბედურებლად. აი, ლიზა ანდრეის მისთხოვდა (უკეთესი ქმარი ახლა, ვგონებ, მნელი საპოვნელია), მერე, კმაყოფილია თავისი ბედისა? ან კი ვინ წაიყვანს სიყვარულით? გონჯია, უგერგილო. წაიყვანენ გავლენიანი ოჯახისთვის, სიმდიდრისთვის. განა ცოტაა გაუთხოვარი? უფრო ბედნიერნიც არიან“. ასე ფიქრობდა ტანისამოსის ჩაცმისას თავადი ნიკოლაი ანდრეევიჩი, მრავალჯერ გადადებული საკითხი კი დაუყოვნებელ გადაჭრას მოითხოვდა. აშკარაა, თავადმა ვასილიმ შვილი მოიყვანა იმ განზრახვით, რომ მარი შერთოს, და დღეს არა, ხვალ ალბათ, პირდაპირ პასუხს მოითხოვს. საზოგადოებაში რიგიანი სახელი და მდგომარეობა აქვს. „ჰოდა, მე წინააღმდეგი არა ვარ, – ეუბნებოდა თავადი თავის თავს, – მაგრამ მისი ღირსი უნდა იყოს. აი, სწორედ ეს უნდა ვნახოთ“.

– სწორედ ეს უნდა ვნახოთ, – ჩაილაპარაკა ხმამაღლა, – ეს უნდა ვნახოთ.

და მან, როგორც ყოველთვის, მხნედ მიაშურა სასტუმრო ოთახს. შესვლისთანავე სწრაფად მიმოავლო თვალი ყველას და შენიშნა კნიაგინიას გამოცვლილი კაბაც, Bourienne-ის ლენტიც, კნიაჟნა მარიას მახინჯი ვარცხნილობაც, Bourienne-ისა და ანატოლის ღიმილიც, საერთო საუბარში თავისი ასულის განმარტობაც. „მორთულა სულელივით, – გაიფიქრა და მწყრალად შეხედა შვილს, – სირცხვილი დაუკარგავს: ვაჟს კი არც სურს თვალი შეავლოს“.

იგი თავად ვასილისთან მივიდა.

– გამარჯობა, გამარჯობა, მოხარული ვარ შენი ნახვის.

– Для мила дружка семь верст не околица,[98] – უთხრა თავადმა ვასილიმ, როგორც ყოველთვის, სწრაფად, დაჯერებითა და ფამილარულად, – აი, ჩემი მეორე ვაჟი, გთხოვთ გიყვარდეთ და მფარველობდეთ.

თავადმა ნიკოლაი ანდრეევიჩმა ახედ-დახედა ანატოლს.

– ყოჩაღ, ყოჩაღ! – უპასუხა მან, – ჰა, მოდი, მაკოცე, – და ლოყა მიუშვირა.

ანატოლმა აკოცა. იგი ცნობისმოყვარეობით და სრულიად დამშვიდებული შეჰყურებდა მოხუცს და მოელოდა მისგან მამის მიერ დანაპირებ უცნაურობას.

თავადი ნიკოლაი ანდრეევიჩი თავის ჩვეულ ადგილზე დაჯდა, დივნის კუთხეში, ახლო მიიწია სავარძელი თავად ვასილისთვის, ანიშნა, დაჯექიო და შეუდგა პოლიტიკური და სხვა ახალი ამბების გამოკითხვას. იგი თითქოს გულმოდგინედ უგდებდა ყურს თავად ვასილის ლაპარაკს, მაგრამ წამდაუწუმ მარიას გადახედავდა ხოლმე.

– ნუთუ პოტსდამიდან იწერებიან? – გაიმეორა მან თავად ვასილის უკანასკნელი სიტყვები, მერე უეცრად წამოდგა და მარისთან მივიდა.

– ეგ სტუმრებისთვის მორთე მაგრე, არა? – უთხრა მან, – საუცხოო ხარ, საუცხოო. სტუმრებისთვის ახლებურად დაგივარცხნია თმა, მე კი სტუმრებთან გეუბნები, რომ ამიერიდან ჩემს დაუკითხავად აღარ გაბედო ტანისამოსის გამოცვლა.

– ეგ ჩემი ბრალია, mon père! – გამოექომაგა წამოწითლებული პატარა კნიაგინია.

– თქვენ სრული უფლება გაქვთ მოიქცეთ ისე, როგორც გენებოთ, – უთხრა თავადმა ნიკოლაი ანდრეევიჩმა, ფეხი ფეხს შემოჰკრა და გამოექიმა რძალს, – ამას კი თავის დამახინჯების ნებას ვერ მივცემ, ისედაც გონჯია.

და კვლავ დაუბრუნდა თავის ადგილს. ამის შემდეგ აღარავითარი ყურადღება აღარ მიუქცევია თითქმის ატირებული ქალიშვილისთვის.

– პირიქით, ეს ვარცხნილობა ძალიან უხდება კნიაჟნას, – თქვა თავადმა ვასილიმ.

– აბა, ჩემო ბატონო, ახალგაზრდა თავადო, რა გქვია? – მიმართა მან ანატოლს, – მოდი აქ, მოდი, მოვილაპარაკოთ, გავიცნოთ ერთმანეთი.

„აი, როდის იწყება სეირი“, გაიფიქრა ანატოლმა და ღიმილით მოხუც თავადს მიუჯდა.

– აი, რას გეტყვით: თქვენ, ჩემო კარგო, ამბობენ, საზღვარგარეთ აღზრდილხართ. ისე კი არა, როგორც მე და მამაშენი, წერა-კითხვას მედავითნე გვასწავლიდა. მითხარით ერთი, ჩემო კარგო, თქვენ ახლა ცხენოსან გვარდიაში მსახურობთ? – ჰკითხა მოხუცმა და დაშტერებით დააცქერდა.

– არა, არმიაში გადავედი, – მიუგო ანატოლმა, თან ძლივს შეიკავა თავი სიცილისგან.

– ჩინებულისა! მაშ ასე, სურვილი გაქვს, ჩემო კარგო, ემსახუროთ ხელმწიფესა და სამშობლოს! ომიანობაა. ასეთი ვაჟკაცი უნდა მსახურობდეს, უნდა მსახურობდეს. ფრონტზე ხართ?

– არა, თავადო, ჩვენი პოლკი გაემგზავრა სალაშქროდ. მე კი ვირიცხები... სად ვირიცხები... სად ვირიცხები, მამაჩემო! – მიმართა მან სიცილით მამას.

– სასახელოდ მსახურობს, სასახელოდ. სად ვირიცხებო! ჰა-ჰა-ჰა! – გაიცინა თავადმა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

ხოლო ანატოლმა უფრო ხმამაღლა გაიცინა. თავადი ნიკოლაი ანდრეევიჩი უეცრად მოიღუპა.

– კარგი, წადი, – უთხრა მან ანატოლს.

ანატოლი ღიმილით კვლავ მანდილოსნებთან დაბრუნდა.

– შენ ხომ ეგენი იქ გაზარდე, საზღვარგარეთ, თავადო ვასილი? ჰა?

– გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო; და გეტყვით, რომ იქაური აღზრდა ბევრად სჯობია ჩვენებურს.

– დიახ, დღეს ყველაფერი სხვანაირია, ახლებური. ყოჩაღი ყმაწვილია, ყოჩაღი! აბა, ახლა წავიდეთ ჩემთან.

მან ხელი გამოსდო თავად ვასილის და კაბინეტისკენ წაიყვანა.

როდესაც თავადი ვასილი პირისპირ დარჩა მოხუც თავადთან, აცნობა ყოველივე, თავისი სურვილები და იმედები.

– მერე რა გგონია, – მიუგო მკვახედ მოხუცმა თავადმა, – იქნებ ფიქრობ, ძალით ვიჭერ, არ შემეძლია განშორება? წარმოიდგენენ უცნაურ რამეს! – ჩაილაპარაკა გაჯავრებულმა, – მე რა. თუნდაც ხვალვე წავიდეს. მხოლოდ ერთს გეტყვი, მინდა კარგად გავიცნო ჩემი სიძე. ხომ იცი ჩემი წესი: ყველაფერი აშკარა მიყვარს! ხვალ შენ თვალწინ ვკითხავ: თუ უნდა ქალს, მაშინ დარჩეს აქ. დარჩეს და ვნახავ, – თავადმა ჩაიფრუტუნა. დაე, მისთხოვდეს, ჩემთვის სულერთია, – შეჰკვივლა მან იმ მწივანს ხმით, როგორითაც შვილს ელაპარაკებოდა გამოთხოვებისას.

– პირდაპირ მოგახსენებთ, – უთხრა თავადმა ვასილიმ იმ ეშმაკი კაცის კილოთი, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეშმაკობით ვერას გააწყობდა შორსმჭვრეტელ კაცთან, – თქვენ ხომ ერთი დანახვით შეიცნობთ კაცს. ანატოლი გენიოსი არ არის, მაგრამ პატიოსანია, კეთილი ახალგაზრდა, საუცხოო შვილი და ახლობელი ადამიანი.

– კარგი, კარგი ვნახავთ.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე უმამაკაცო საზოგადოებაში, ანატოლის გამოჩენისთანავე სამივე ქალმა თავად ნიკოლაი ანდრეევიჩის სახლში ერთნაირად იგრძნო, რომ მათი ცხოვრება მანამდე ცხოვრება არ იყო. მოსაზრების, შერგრძობის, დაკვირვების ძალა სამივეს ერთბაშად გაუათქვეცდა, და თითქოს მათი ცხოვრება, მანამდე წყვდიადში მომწყვდეული, უეცრად გააშუქა ახალმა, მნიშვნელობით აღსავსე სინათლემ.

კნიაჟნა მარია სულ აღარ ფიქრობდა თავის სახესა და ვარცხნილობაზე, აღარც ახსოვდა ეს. მთელი მისი გულისყური შთანთქა იმ ადამიანის ლამაზმა, ნათელმა სახემ, რომელიც შეიძლება მისი ქმარი გამხდარიყო. კეთილ, მამაც, გაბედულ, გულად და სულგრძელ კაცად ეჩვენებოდა იგი. ამაში დარწმუნებული იყო. მომავალი ოჯახური ცხოვრება ათასნაირ ოცნებად ესახებოდა მის გონებას. ცდილობდა ამ ოცნების განდევნას, მის ჩახშობას.

„მაგრამ იქნებ მეტად ცივად ვეპყრობი? – ფიქრობდა კნიაჟნა მარია, – ვცდილობ თავის შეკავებას, რადგან გულის სიღრმეში უკვე მის ახლობელ ადამიანად ვგრძნობ თავს; მაგრამ ხომ არ იცის ყოველივე ის, რასაც მე ვფიქრობ მასზე, და შეიძლება წარმოიდგინოს, რომ მე იგი არ მომწონს“.

და კნიაჟნა მარია ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა თავაზიანი ყოფილიყო სტუმართან.

„La pauvre fille! Elle est diablement laide“ („საცოდავი! ძალზე გონჯია“)! – ფიქრობდა თავისთვის ანატოლი.

სულ სხვანაირად ფიქრობდა ანატოლის მოსვლით აგრეთვე ძალზე აღზნებული m-Ile Bourienne. რა თქმა უნდა, ლამაზი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც არა აქვს გარკვეული მდგომარეობა საზოგადოებაში, რომელსაც არ გააჩნია ნათესავები და მეგობრები, სამშობლოც კი, – ასეთი ქალი არ მოისურვებს შესწიროს მთელი თავისი სიცოცხლე თავად ნიკოლაი ანდრეევიჩის სამსახურს, მისთვის წიგნების კითხვას და კნიაჟნა მარიას მეგობრობას. m-Ile Bourienne დიდი ხანია ელის იმ რუს თავადს, რომელიც ერთბაშად დაინახავს მის უპირატესობას რუსი თავადების ულამაზო, ცუდად ჩაცმულ, უშნო ასულებთან შედარებით, დაინახავს ამას, შეიყვარებს და წაიყვანს; და აი, ეს რუსი თავადი, ბოლოს, გამოჩნდა. m-Ile Bourienne-ს ახსოვდა ერთი ისტორია, ნამშობი მამიდისგან და დამთავრებული თავად მის მიერ; უყვარდა ამ ისტორიის გონებაში გამეორება. ეს იყო ისტორია, თუ როგორ გამოეცხადებოდა ხოლმე, sa pauvre mère (საცოდავი დედა) თავის გზასამცდარ ქალიშვილს და უსაყვედურებდა იმისთვის, რომ იგი ქორწინების გარეშე დანებდა მამაკაცს. m-Ile Bourienne თავის ოცნებაში ხშირად უამბობდა ამ ისტორიას მ ა ს, თავის მაცდუნებელს, და, გულაჩუყებულს, ყოველთვის თვალეხი ცრემლით ევსებოდა. ახლა ის, ნამდვილი რუსი თავადი, გაჩნდა. თან წაიყვანს მას, შემდეგ sa pauvre mère გამოეცხადება, და თავადი ცოლად შეირთავს. ასე წარმოედგინა m-Ile Bourienne-ს მთელი თავისი მომავალი. ამასთან, წარმოუდგა სწორედ იმ დროს, როცა იგი ანატოლს პარიზზე ელაპარაკებოდა. ანგარება არ ამოქმედებდა m-Ile Bourienne-ს, იგი წუთითაც არ უფიქრდებოდა იმას, თუ რა უნდა ჩაედინა, მაგრამ ყოველივე ეს დიდი ხანია უკვე მზად იყო მის გონებაში, ახლა მხოლოდ მკვეთრად გამომჟღავნდა ანატოლის დანახვაზე და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად მოსწონებოდა მას.

პატარა კნიაგინიამ, როგორც პოლკის ძველმა ცხენმა, გაიგონა რა ბუკ-ნადარის ხმა, დაივიწყა თავისი მდგომარეობა და შეუცნობლად დაიწყო მზადება სიკეკლუცის ჩვეული ნავარდისთვის; ამასთან სჩადიოდა ამას არა რაიმე ცუდი განზრახვით ან ბრძოლის შემდეგ, არამედ გულუბრყვილობითა და ზედაპირული სიმხიარულით.

თუმცა ანატოლს ქალთა საზოგადოებაში ისე ეჭირა თავი, თითქოს მობეზრებული იყო ქალებისგან, მაინც კმაყოფილება და სიამოვნება იგრძნო, როცა დაინახა, თუ რა გავლენა მოახდინა მან სამივე ამ ქალზე. გარდა ამისა, სანდომიანი და გამომწვევი ბურიენისადმი იგი უკვე განიცდიდა იმ ვნებით

აღსავსე მხეცურ გრძნობას, რომელიც საოცარი სისწრაფით ეუფლებოდა მას და აიძულებდა მიემართა უაღრესად უხეში და გაბედული საქციელისთვის.

ჩაის შემდეგ საზოგადოება სადივანო ოთახში გადავიდა; ამასთან, სთხოვეს კნიაჟნას კლავიკორდი დაეკრა. ანატოლი კნიაჟნას წინ და m-lle Bourienne-ის გვერდით კლავიკორდს დაეყრდნო. კნიაჟნა მოღიმარი და გახარებული გრძნობდა, რომ ანატოლის თვალები მისკენ იყო მიპყრობილი. საყვარელმა სონატამ უაღრესად პოეტურ სამყაროში გადატყორცნა, ხოლო მისკენ მიპყრობილი თვალები ამ სამყაროს უფრო მეტად აპოეტურებდნენ. ანატოლი კნიაჟნას შეჰყურებდა, მაგრამ მისი გულისყური მიპყრობილი იყო არა მარისკენ, არამედ m-lle Bourienne-ის ფეხისკენ, რომელსაც იგი ამ დროს ფორტეპიანოს ქვეშ თავისი ფეხით ეხებოდა. m-lle Bourienne კნიაჟნას შეჰყურებდა, და კნიაჟნა მარია მის მშვენიერ თვალებში ახალ გამომეტყველებას კითხულობდა – დამფრთხალი სიხარულისა და იმედის გამომეტყველებას.

„როგორ ვუყვარვარ, – ფიქრობდა კნიაჟნა მარია m-lle Bourienne-ზე, – რა ბედნიერი ვარ ამჟამად და რა ბედნიერი შეიძლება ვიყო ასეთ მეგობართან და ასეთ ქმართან! ნუთუ ქმართან?“ – ფიქრობდა იგი და ვერ ბედავდა შეეხედა ანატოლისთვის: გრძნობდა, რომ იგი ისევ გაშტერებით შეჰყურებდა.

საღამოთი, როცა ვახშმის შემდეგ საზოგადოება დასაშლელად მოემზადა, ანატოლმა ხელზე აკოცა კნიაჟნას. თავადაც ვერ გაეგო მარის, როგორ გამოიჩინა იმდენი გამბედაობა, რომ პირდაპირ შეხედა მის ბეც თვალებთან მიახლოებულ მშვენიერ სახეს. კნიაჟნას შემდეგ ანატოლმა m-lle bourienne-ს აკოცა ხელზე (ეს უზრდელობა იყო, მაგრამ ყოველივე ამას იგი სჩადიოდა მეტად დაჯერებით და უბრალოდ), და წამოწითლებულმა m-lle bourienne დამფრთხალი თვალები კნიაჟნას შეანათა.

„Quelle délicatesse (რა თავაზიანობაა), – გაიფიქრა კნიაჟნამ, – ნუთუ Amé Lie (ასე ერქვა m-lle Bourienne-ს) ფიქრობს, რომ მე შემიძლია ეჭვი შევიტანო მასში და არ დავაფასო მისი წმინდა სიყვარული და ერთგულება ჩემდამი“. კნიაჟნამ მაგრად გადაკოცნა m-lle Bourienne. ანატოლი პატარა კნიაგინიასთან მივიდა და მისი ხელისკენ დაიხარა.

– არა, არა, არა! როცა მამათქვენი მომწერს, რომ თქვენ კარგად იქცევით, მაშინ მოგცემთ ხელზე კოცნის ნებას. მანამდე კი არაფრის გულისათვის.

თქვა ეს, თითი აიშვირა და ღიმილით ოთახიდან გავიდა.

თავი მეხუთე

ყველანი დაიშალნენ და, ანატოლის გარდა, რომელმაც დაწოლის უმაღვე დაიძინა, არავის ამ ღამეს დიდხანს არ დაუძინია.

„ნუთუ ის ჩემი ქმარია, სწორედ ეს უცხო, ლამაზი, კეთილი მამაკაცი, რაც მთავარია, კეთილი მამაკაცი“, – ფიქრობდა კნიაჟნა მარია, და შიშმა, რომელიც თითქმის არასოდეს განუცდია, შეიპყრო იგი. ვერ გაეხედა უკან მიხედვა, ელანდებოდა, თითქოს ვიღაც დგას იქ, თეჯირებს უკან, ბნელ კუთხეში. და ეს ვიღაც ის იყო – ეშმაკი, და ის თეთრშუბლიანი, შავწამწამებიანი და ლაჟღაჟატურებიანი მამაკაცი.

კნიაჟნამ მოახლეს დაურეკა და სთხოვა, მის ოთახში დაწოლილიყო.

M-lle Bourienne ამ საღამოს დიდხანს დადიოდა საზამთრო ბაღში და ამაოდ მიელოდა ვიღაცას, ხან უღიმოდა ამ ვიღაცას, ხან კიდევ გულაჩუყებულს ელანდებოდა pauvre mère, რომელიც ვითომ დაცემისთვის უსაყვედურებდა.

პატარა კნიაგინია მოახლეზე ბუზღუნებდა, – ლოგინი არ მოსწონდა. ვერ ახერხებდა დაწოლას ვერც გვერდზე, ვერც გულდაღმა. ყველაფერი მძიმე და უხერხული იყო. მუცელი უშლიდა, უშლიდა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უშლიდა სწორედ დღეს, იმიტომ, რომ ანატოლის იქ ყოფნამ უფრო ცოცხლად გაახსენა ის დრო, როცა ამას არ განიცდიდა, როცა მსუბუქად და მხიარულად გრძნობდა თავს. სავარძელში იჯდა, კოფთა ეცვა და თავსაბური ეხურა. ნამძინარევი და ნაწნავაწეწილი კატია მესამედ ატრიალებდა და ასწორებდა ბუმბულის მძიმე ლეიბს და თან რაღაცას ბუტბუტებდა.

– გეუბნები ოღროჩოღროიანი-მეთქი, – ჩასჩიჩინებდა პატარა კნიაგინია, – მინდა დავიძინო, მაგრამ ვერ დამიძინია. მაშასადამე, მე არა ვარ დამნაშავე, – და სატირლად გამზადებული ბავშვივით ხმა აუკანკალდა.

არ ეძინა არც მოხუც თავადს. ტიხონს ძილში ესმოდა როგორ დაალაჯებდა, ფრუტუნებდა გაჯავრებული თავადი. მოხუც თავადს ეჩვენებოდა, თითქოს ქალიშვილის გამო შეურაცხყოფას აყენებდნენ. შეურაცხყოფა მეტად საწყენი იყო, რადგან იგი ეხებოდა არა მას, არამედ სხვას, ქალიშვილს, რომელიც საკუთარ თავზე უფრო მეტად უყვარდა. მან უთხრა თავის თავს, ხელახლა ჩავუკვირდები ამ საქმეს და ვიპოვი სიმართლეს და იმას, რაც უნდა გავაკეთო, მაგრამ ამის ნაცვლად უფრო აღიზიანებდა საკუთარ თავს.

„გამოჩნდა ვიღაც უცხო, – და დაივიწყა მამაც და ყველაფერი სხვაც, გარბის ზევით, თმას ივარცხნის და კუდს აქიცინებს, მთლად გამოიცვალა! მზად არის, მამა მიატოვოს! იცოდა, რომ შევნიშნავდი ბრ... ბრ... ბრ... განა ვერ ვხედავ, რომ ის ვიგინდარა მხოლოდ ბურიენკას შესციცინებს (უნდა გავაგდო ბურიენკა). არა აქვს იმდენი სიამაყე, რომ ამას მიხვდეს. რაკი სიამაყე არა აქვს, თავისთვის თუ არა, ჩემთვის მაინც ჩაედინა. უნდა დავანახვო, რომ ის ყეყეჩი მასზე სულ არ ფიქრობს, მხოლოდ ბურიენს შეჰყურებს. არა, სიამაყე არა აქვს, მაგრამ გავაგებინებ ამას“...

მოხუცმა თავადმა იცოდა, რომ თუ ქალიშვილს ეტყოდა, რომ იგი ცდებდა, რომ ანატოლი მხოლოდ ბურიენს ეტრფის, ამით კნიაჟნას თავმოყვარეობას გააღიზიანებდა, და მისი საქმე (სურვილი – არ გამოედეს ქალიშვილს) მოგებული იქნებოდა. ამის შემდეგ მოხუცი დამშვიდდა. დაუძახა ტიხონს და ტანისამოსის გახდას შეუდგა.

„რა ეშმაკმა მოათრია! – ფიქრობდა იგი იმ დროს, როცა ტიხონმა ღამის პერანგი გადააცვა მკერდზე თეთრი ბალნით შემოსილ მის გამხდარ, ბებრულ ტანს, – მე მათთვის არ დამიძახია. მოვიდნენ ჩემი ცხოვრების ასაწეწად. ისედაც აღარა დამრჩენია რა“.

– დაილუპნენ აქედან! – ჩაილაპარაკა იმ დროს, როცა პერანგი ჯერ კიდევ თავზე ჰქონდა გადაფარებული.

ტიხონმა იცოდა, რომ თავადს ჩვეულებად ჰქონდა აზრების ხმამაღლა გამოთქმა, ამიტომ გაქვავებული სახით შეხედა თავადის გაჯავრებულ-გაოცებულ თვალებს, როდესაც მან პერანგიდან თავი ამოყო.

– დაწვნენ? – იკითხა თავადმა.

ტიხონმა, როგორც ყველა კარგმა ლაქიამ, ალღოთი იცოდა თავისი ბატონის აზრთა მიმდინარეობდა, მიხვდა, რომ თავად ვასილისა და მის შვილზე ეკითხებოდნენ.

– მოისვენეს, სინათლევ ჩააქრეს, თქვენო ბრწყინვალება.

– სულ ტყუილად, სულ ტყუილად... – სწრაფად ჩაილაპარაკა თავადმა, ფეხები ფოსტლებში წაყო, ხოლო ხელები ხალათში და დივანთან მივიდა, სადაც ჩვეულებრივ იძინებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ანატოლსა და m-Ile Bourienne-ს შორის წინასწარ არაფერი თქმულა, ისინი კარგად მიუხვდნენ ერთმანეთს. მიხვდნენ, თუ როგორ უნდა ჩაატარონ რომანის პირველი ნაწილი, იმ ადგილამდე, სადაც pauvre mère ჩნდება. მიხვდნენ აგრეთვე, რომ მათ საიდუმლოდ ბევრი რამე აქვთ სათქმელი ერთმანეთისთვის, ამიტომ დილიდანვე დაემთხვევას შესახვედრად. სწორედ იმ დროს, როდესაც კნიაჟნა ჩვეულებისამებრ მამასთან შევიდა, m-Ile Bourienne ანატოლს საზამთრო ბაღში შეხვდა.

კნიაჟნა იმ დღეს განსაკუთრებული ძრწოლითა და კანკალით უახლოვდებოდა კაბინეტის კარს. ეჩვენებოდა, თითქოს ყველამ იცის, რომ დღეს მისი ბედი უნდა გადაწყდეს, მეტიც: იციან ისიც, რომ თავად თვითონ ფიქრობს ამაზე. კნიაჟნამ ეს ტიხონის სახეზე ამოიკითხა, ამოიკითხა აგრეთვე თავად ვასილის კამერდინერის სახეზეც, რომელსაც ტალანში შეხვდა და რომელმაც მდაბლად თავი დაუკრა.

მოხუცი თავადი ამ დილით მეტად აღერსიანი და ყურადღებიანი იყო თავის ქალიშვილთან. კნიაჟნა მარია კარგად იცნობდა ამ ყურადღების გამოხატულებას. ეს ის გამოხატულება იყო, რომელიც მოხუცის სახეზე იმ წუთებში ჩნდებოდა, როცა თავადის გამხდარი ხელი მუშტად იკუმშებოდა ჯავრისგან, იმისგან, რომ კნიაჟნას ვერ გაეგო არითმეტიკული ამოცანა; ასეთ შემთხვევაში თავადი ფეხზე დგებოდა, შორდებოდა კნიაჟნას და დაბალი ხმით რამდენჯერმე იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს.

თავადი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს და დაიწყო ლაპარაკი, ამასთან ლაპარაკობდა „თქვენობით“.

– მე პროპოზიციით მომმართეს თქვენ გამო, – უთხრა მან და არაბუნებრივად გაიღიმა, – თქვენ, ალბათ, მიხვდით, – განაგრძო მან, – რომ თავადი ვასილი თავისი გაზრდილითურთ (თავადი ნიკოლაი ანდრეევიჩი ანატოლს რატომღაც გაზრდილს ეძახდა) ჩემი მშვენიერი თვალებისთვის არ მოვიდოდა აქ. გუშინ მე პროპოზიციით მომმართეს თქვენ გამო. და რაკი ჩემი წესები მოგეხსენებათ, მე მოგმართავთ თქვენ.

– როგორ უნდა გავიგო თქვენი სიტყვები, mon père? – ჰკითხა ფერდაკარგულმა და გაწითლებულმა კნიაჟნამ.

– როგორ უნდა გაიგოს! – წამოიძახა გაჯავრებით მამამ, – თავად ვასილის შენ თავისი გემოვნების სარძლოდ მიაჩნხარ და პროპოზიციით მოდის შენთან თავისი გაზრდილის მაგიერ. აი, როგორ უნდა გაიგო. როგორ უნდა გაიგოს?! მე შენ გეკითხები, როგორ უნდა გავიგო?!

– არ ვიცი, როგორც თქვენ გენებოთ, mon père, – ჩურჩულით მიუგო კნიაჟნამ.

– მე? მე? მე რა? მე თავი დამანებეთ. მე როდი ვთხოვდები. რას ინებებთ თქვენ? აი, ამის ცოდნაა სასურველი.

კნიაჟნა მიხვდა, რომ მამა ამ საქმის მოსურნე არ იყო; სწორედ ამ წუთს თავში გაუელვა იმ აზრმა, რომ მისი ბედი გადაწყდება ან ახლა, ან არასოდეს. მარიამ თავი დახარა, რომ მამის თვალები არ დაენახა, გრძნობდა, როგორ კარგავდა ფიქრის უნარს ამ თვალების გავლენით და ჩვეულებისამებრ შეეძლო მხოლოდ მორჩილება.

– მე ერთი წადილი მაქვს მხოლოდ, – უთხრა მან, – შევასრულო თქვენი ნება-სურვილი, მაგრამ თუ საჭიროა ჩემი სურვილის გამოთქმა...

ვერ მოასწრო დამთავრება, თავადმა გააწყვეტინა.

– ჩინებულია! – შეჰყვირა მან, – შეგირთავს, შენს მზითევს წაიღებს და თან m-Ile Bourienne-საც წაიყვანს, ის ცოლი იქნება, შენ კი...

თავადი შეჩერდა. შენიშნა, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ამ სიტყვებმა კნიაჟნაზე. მარიმ თავი დახარა და სატირლად მოემზადა.

– გაგეხუმრე, გაგეხუმრე, – უთხრა თავადმა, – გახსოვდეს, კნიაჟნა, ერთი რამ: მე იმ წესის მომხრე ვარ, რომ ქალწულს არჩევის უფლება აქვს, ამიტომ გაძლევ თავისუფლებას. გახსოვდეს ერთი რამ: მთელი შენი ბედი დამოკიდებულია შენს გადაწყვეტილებაზე. მე სახსენებელი არა ვარ.

– მე არ ვიცი... mon père.

– სათქმელი არაფრია! უბრძანეს და ისიც, შენ კი არა, ვინც გნებავთ, იმას შეირთავს, შენ კი თავისუფალი ხარ, შეგიძლია აირჩიო... წადი ახლა, მოიფიქრე, ერთი საათის შემდეგ კვლავ მოდი აქ და მისი თანდასწრებით თქვი: ჰო თუ არა. ვიცი, ლოცვას შეუდგები. ილოცე, თუ ასე ძალიან გინდა. მხოლოდ სჯობს ჩაუფიქრდე. წადი.

– ჰო თუ არა, ჰო თუ არა, ჰო თუ არა! – ყვიროდა თავადი მაშინაც კი, როცა კნიაჟნა, თითქოს ნისლში გაეხვიო, ბარბაცით კაბინეტიდან გავიდა.

მისი ბედი გადაწყდა, ამასთან გადაწყდა ბედნიერად, მაგრამ რა თქვა მამამ m-lle Bourienne-ზე, – საშინელება იყო. რასაკვირველია, მართალი არ არის, მაგრამ მაინც საშინელებაა; არ შეეძლო არ ეფიქრა ამაზე. კნიაჟნა საზაფხულო ბაღზე მიდიოდა, მიდიოდა ისე, რომ ვერაფერს ხედავდა, არც არა ესმოდა რა, და აი, უეცრად m-lle Bourienne-ის ჩურჩული მოესმა. თავი ასწია და ორ ნაბიჯზე ანატოლი დაინახა, იგი ფრანგის ქალს ეხვეოდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა. ანატოლმა ლამაზი სახე კნიაჟნასკენ მიიბრუნა; საშინელება აღებეჭდა ამ სახეზე, მან პირველ წუთს ვერც კი მოახერხა ხელიდან გაეშვა m-lle Bourienne, რომელიც ვერ ხედავდა კნიაჟნას.

„ვინ არის აქ? რა უნდა? მოითმინეთ“, – თითქოს ამბობდა ანატოლის სახე. კნიაჟნა უსიტყვოდ შეჰყურებდა მათ. ვერა გაეგო რა. ბოლოს, m-lle Bourienne-მა შეჰკვივლა და მოკურცხლა. ანატოლმა მხიარული ღიმილით თავი დაუკრა კნიაჟნა მარიას, თითქოს ეუბნებოდა, შეგიძლიათ იცინოთ ამ უცნაური შემთხვევის გამო, შემდეგ მხრები აიჩეჩა, კარი შეაღო და თავის აპარტამენტში შევიდა.

ერთი საათის შემდეგ კნიაჟნას დასამახებლად ტიხონი მივიდა. ტიხონმა იგი თავადთან მიიხმო, თან დაუმატა, თავადი ვასილი სერგევიჩიც იქ არისო. როდესაც ტიხონი შევიდა, კნიაჟნა დივანზე იჯდა თავის ოთახში, და გულზე მიკრულ მტირალ m-lle Bourienne-ს წყნარად თავზე ხელს უსვამდა. კნიაჟნას მშვენიერი თვალები ჩვეულებრივი სიწყნარითა და სხივების ფრქვევით, ნაზი სიყვარულითა და შებრალებით შეჰყურებდნენ m-lle Bourienne-ის სანდომიან სახეს.

– Non, princesse, je suis perdue pour toujours dans votre coeur კნიაჟნა, სამუდამოდ დაგვარგე მე თქვენი ნდობა და სიყვარული), – ამბობდა m-lle Bourienne.

– Pourquoi? Je vous aime plus, que jamais (რატომ მერე? მე ახლა უფრო მიყვარხართ, ვიდრე ოდესმე), – უპასუხა კნიაჟნამ, – et je tâcherai de faire tout ce qui est en mon pouvoir pour votre bonheur (ვეცდები, თქვენი ბედნიერებისთვის არ დავიშურო არაფერი, რაც კი ჩემს ხელთ არის).

– Mais vous me méprisez, vous si pure, vous ne comprendrez jamais cet égarement de la passion. Ah, ce n'est que ma pauvre mère (თქვენ ალბათ, გძულვართ ახლა: თქვენ, ესოდენ უმწიკვლო ადამიანს, უნდა გძულდეთ; თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ ამ გატაცებას. ოჰ, საბრალო დედაჩემი)!..

– Je comprends tout (მე ყველაფერი მესმის), – მიუგო კნიაჟნა მარიამ მწუხარე ღიმილით, – დამშვიდდით, ჩემო მეგობარი, მე მამასთან წავალ, – უთხრა მან და გავიდა.

თავადი ვასილი, ფეხზე ფეხგადადებული, საბურნუთეთი ხელში, თითქოს უაღრესად გულაჩუყებული, თითქოს თავად წუხს და დასცინის თავის გრძნობიერებასო, გაღიმებული იჯდა, როცა კნიაჟნა მარი შევიდა.

– Ah, ma bonne, ma bonne (ოჰ, ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარელო), – მიმართა თავადმა ვასილიმ, წამოდგა და ორივე ხელი დაუჭირა კნიაჟნას. მერე ამოიოხრა და დაუმატა, – Le sort de mon fils est en vos mains. Décidez, ma bonne, ma chère, ma douce Marie qui j’ai toujours aimée, comme ma fill (ჩემი შვილის ბედი თქვენს ხელთ არის. გადაწყვიტეთ, ჩემო საყვარელო, ძვირფასო, ნებიერო, ყოველთვის ისე მიყვარდით, როგორც საკუთარი ქალიშვილი), – უთხრა ეს და გაშორდა. ნამდვილი ცრემლი გაუბრწყინდა თვალებზე.

– ფრ... ფრ... წაიფრუტუნა თავადმა ნიკოლაი ანდრეევიჩმა.

– თავადი თავისი გაზრდილის სახელით... შვილის სახელით პროპოზიციით მოგმართავს. გსურს თუ არა გახდეთ თავად ანატოლი კურაგინის ცოლი? თქვი: ჰო ან არა, – წამოიძახა მან, – უფლებას ვიტოვებ, შენ შემდეგ ჩემი აზრი წარმოვთქვა. დიახ, ჩემი აზრი, მხოლოდ ჩემი აზრი, – მიმართა მან თავად ვასილის, თითქოს უპასუხებდა მის სახეზე გამოხატულ ვედრებას – ჰო თუ არა.

– ჩემი სურვილია, mon père, არასოდეს მიგატოვოთ თქვენ, არასოდეს ჩამოვამორო ჩემი ცხოვრება თქვენსას, მე არ მინდა გათხოვება, – უთხრა მან გადაჭრით და თავისი მშვენიერი თვალებით თავად ვასილის და მამას შეხედა.

– როშვაა, სისულელეა! როშვაა, როშვა! – დაიყვირა შუბლშეკრულმა თავადმა ნიკოლაი ანდრეევიჩმა, ხელი სტაცა ქალს, თავისკენ მიიზიდა და კი არ აკოცა, მხოლოდ შუბლი შეახო მის შუბლს და ისე მოუჭირა ხელზე ხელი, რომ სახედალრეჯილმა კნიაჟნამ შეჰკვივლა.

თავადი ვასილი წამოდგა.

– Ma chère, je vous dirai, que c’est un moment que je n’oublierai jamais, jamais; mais, ma bonne, est-ce que vous ne nous donnerez pas un peu d’espérance de toucher ce coeur si bon, si généreux. Dites, que peut-être... L’avenir est si grand. Dites: peut-être (ჩემო საყვარელო, გეტყვით, რომ ამ წუთს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ, მაგრამ, უძვირფასესო, მოგვეცით მცირე იმედი მაინც, რომ ეგ გული, ესოდენ კეთილი და სულგრძელი, ოდესმე მოლბება. თქვით, რომ შესაძლებელია ეს... მომავალი დიდია. თქვით, რომ შესაძლებელია).

– თავადო, ყველაფერი, რაც გულში მიდევს, უკვე მოგახსენეთ. გმადლობთ პატივისთვის, მაგრამ თქვენი ვაჟის ცოლი ვერ გავხდები.

– დიახ, დიახ, მორჩა, ჩემო კარგო! მეტად მოხარული ვარ შენი ნახვის, მოხარული ვარ. წადი, კნიაჟნა, შენს ოთახში, წადი, – ამბობდა მოხუცი, – მეტად, მეტად მოხარული ვარ შენი ნახვით, – იმეორებდა და თან ეხვეოდა თავად ვასილის.

„მე სხვა რამისთვის ვარ მოწოდებული, – ფიქრობდა თავისთვის კნიაჟნა, – ჩემი მოწოდებაა, ვიყო ბედნიერი სხვათა ბედნიერებით, სიყვარულისა და თავგანწირვის ბედნიერებით. და რადაც უნდა დამიჯდეს, უსათუოდ გავაბედნიერებ ბედკრულ Amé Lie-ს. რა გატაცებით უყვარს იგი. რანაირად ნანობს ახლა. არაფერს დავიშურებ, ოღონდ მოვანყო ამელის ქორწინება მასთან. თუ კურაგინი მდიდარი არ არის, მე მივცემ Amé Lie-ს საშუალებას, ვთხოვ მამას, ვთხოვ ანდრეის. ბედნიერი ვიქნები, როცა Amé Lie მისი ცოლი გახდება. უბედურია საწყალი. უთვისტომო, მარტოდმარტო, უმწეო. ღმერთო ჩემო, რა გატაცებით უნდა უყვარდეს, თუკი იქამდე მივიდა, რომ ყველაფერი დაივიწყა. იქნებ მეც ასე მოვექცეულიყავი!..“ – ფიქრობდა კნიაჟნა მარია.

თავი მეექვსე

როსტოვებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ ნიკოლუშკას შესახებ; მხოლოდ შუა ზამთარში გადასცეს გრაფს წერილი, რომლის მისამართზედაც იცნო შვილის ხელი. წერილმა ისე დააფრთხო, რომ შეშინებულმა გრაფმა, ფეხის თითებზე შემდგარმა, სწრაფად, – არავინ დამინახოსო, – მიირბინა კაბინეტთან, შევარდა შიგ, კარი ჩაკეტა და კითხვა დაიწყო. ანა მიხაილოვნამ, გაიგო თუ არა (მან ხომ ყველაფერი იცოდა, რაც ოჯახში ხდებოდა) წერილის მიღების ამბავი, ნელი ნაბიჯით გაემართა კაბინეტისკენ; როდესაც შევიდა, გრაფი წერილით ხელში თან ტიროდა, თან იცინოდა.

ანა მიხაილოვნა, საქმეების გამოკეთების მიუხედავად, კვლავ განაგრძობდა როსტოვებთან ცხოვრებას.

– Mon bon ami (ჩემო კეთილო მეგობარო), – მწუხარებით და უდიდესი თანაგრძნობით წარმოთქვა ანა მიხაილოვნამ.

გრაფმა უფრო მწარედ გააბა ტირილი.

– ნიკოლუშკა... წერილი... და... დაჭრილი ყოფილა... ჩემი საყვარელი ბავშვი... ჩემი ცოლი... ოფიცრობა მიუღია... მადლობა ღმერთს... როგორ გავაგებინოთ ჩემს ცოლს.

ანა მიხაილოვნა გვერდით მიუჯდა. თავისი ცხვირსახოცით აცრემლებული თვალები მოუწმინდა, მერე ცრემლით დასველებული წერილი გაწმინდა, თავისი ცრემლებიც შეიმშრალა, წერილი წაიკითხა, გრაფი დაამშვიდა და გადაწყვიტა, სადილამდე და ჩაიმდე მოამზადებდა გრაფინიას, ხოლო ჩაის შემდეგ ღვთის შეწევნით ყველაფერს გაუმხელდა.

მთელი სადილის განმავლობაში ანა მიხაილოვნა ომიდან მოსულ ხმებზე და ნიკოლუშკაზე ლაპარაკობდა; ორჯერ ჰკითხა გრაფინიას, უკანასკნელი წერილი როდის მიიღეო, თუმცა წინათაც იცოდა ეს, და შენიშნა, ადვილი შესაძლებელია წერილი დღესაც მოვიდესო. ყოველთვის, როცა კი გრაფინიას ამ გადაკრულ ლაპარაკზე ეჭვი ეპარებოდა და, შეშფოთებული, ხან გრაფს, ხან ანა მიხაილოვნას შეჰყურებდა, ანა მიხაილოვნა სრულიად ბუნებრივად უმნიშვნელო საგნებზე იწყებდა ლაპარაკს. ნატაშამ, რომელიც მთელ ოჯახში ყველაზე მეტად იყო დაჯილდოებული ადამიანის ინტონაციის, აზრისა და გამომეტყველების გაგების უნარით, სადილის დასაწყისშივე ცქვიტა ყურები; იგი მიხვდა, რომ რაღაც საიდუმლოება იყო მის მამასა და ანა მიხაილოვნას შორის, რომ ეს საიდუმლოება მის ძმას ეხებოდა და რომ ანა მიხაილოვნა უკვე შეუდგა ნიადაგის მზადებას. მიუხედავად მთელი თავისი სითამამისა (ნატაშამ იცოდა, თუ რა გულისფანცქალით ხვდებოდა დედა ყოველ ცნობას ნიკოლუშკას შესახებ), მანაც ვერ გაბედა ეკითხა რამე სადილის დროს; მღელვარებისგან ლუკმა არ ჩაუდვია პირში, ციბრუტივით ტრიალებდა სკამზე და ყურადღებას არ აქცევდა გუვერნანტის შენიშვნებს. სადილის შემდეგ შურდულივით გამოუდგა ანა მიხაილოვნას, დაეწია სადივანოში და კისერზე ჩამოეკიდა.

– დეიდავ, საყვარელო, მითხარით, რა მოხდა?

– არაფერი არ მომხდარა, ჩემო მეგობარო.

– არა, ძვირფასო, სულო, დაუფასებელო, არ მოგეშვებით, სანამ არ მეტყვით, ვიცი, რომ რაღაც იცით.

ანა მიხაილოვნამ თავი გაიქნია.

– Vous êtes une fine mouche, mon enfant (აი, შე მართლა კუდიანო)! – უთხრა მან.

– წერილია ხომ ნიკოლენკასგან? ნამდვილად წერილია! – შეჰყვირა ნატაშამ, როცა ანა მიხაილოვნას სახეზე დამადასტურებელი პასუხი ამოიკითხა.

- ღვთის გულისათვის ფრთხილად იყავი: ხომ იცი, რა საშინლად შეიძლება იმოქმედოს ამან დედაშენზე.
 - ფრთხილად ვიქნები, ფრთხილად, მხოლოდ მიახვებით. არ მიახვობთ? მაშ, წავალ და ყველას შევატყობინებ.
- ანა მიხაილოვნამ მოკლედ გადასცა ნატაშას წერილის შინაარსი იმ პირობით, რომ არავისთვის არ გაემხილა.
- გაძლევთ პატიოსან სიტყვას. – პირჯვრის წერით ეუბნებოდა ნატაშა, – რომ არავის არ ვეტყვი. – და იმავე წუთს სონიასთან გაიქცა.
 - ნიკოლინკა... დაჭრილია... წერილია... – უთხრა მან დიდის ამბითა და სიხარულით.
 - Nicolas! – წამოიძახა სონიამ და ფერი ეცვალა.
- ნატაშამ დაინახა, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სონიაზე მისი დაჭრის ამბავმა და პირველად იგრძნო, თუ რა სამწუხარო მხარე ჰქონია ამ ცნობას.
- იგი სონიას მივარდა, მოეხვია და ტირილი გააბა.
- ცოტათია დაჭრილი, სამაგიეროდ, ოფიცრობა მიუციათ, ახლა ჯანმრთელად არის, თვითონ იწერება, – ამბობდა ნატაშა და თან თვალებიდან ცრემლს აფრქვევდა.
 - აი, გეტყობათ, ქალები ხართ, წირპლიანები, – უთხრა პეტამ და გაბედული და ფართო ნაბიჯით ოთახში გაიარ-გამოიარა... – მე მოხარული ვარ, დიახ, ძალზე მოხარული ვარ, რომ ძმამ ასე ისახელა თავი. თქვენ კი ცხვირ-პირი ჩამოგტირით, არაფერი არ გესმით.
- ნატაშამ ცრემლიანი თვალებით გაიღიმა.
- წერილი ხომ არ წაგიკითხავს? – ჰკითხა სონიამ.
 - არ წამიკითხავს, მაგრამ დეიდამ მითხრა, ყველაფერმა გაიარაო, უკვე ოფიცერია...
 - მადლობა ღმერთს! – თქვა სონიამ პირჯვრისწერით. – მაგრამ იქნებ მოგატყუა, წავიდეთ დედასთან.
- პეტა მდუმარედ დადიოდა ოთახში.
- მე რომ ნიკოლუშკას ადგილას ვყოფილიყავ, სულ ამოვჟღერებდი ფრანგებს, – თქვა პეტამ, – ისეთი საზიზღრები არიან. იმდენს მოვკლავდი, მთელ ხროვას დავაყენებდი, – განაგრძო პეტამ.
 - გაჩუმდი, პეტა. რა სულელი ხარ!..
 - მე კი არა ვარ, ისინი არიან სულელები, უბრალო რამეებზე რომ იწირპლებიან, – მიუგო პეტამ.
 - სონია, ნიკოლუშკა გახსოვს? – წუთიერი სიჩუმის შემდეგ უეცრად ჰკითხა ნატაშამ.
- სონიამ გაუღიმა.
- მახსოვს Nicolas?
 - ჰო, სონია, გახსოვს თუ არა, ისე, რომ თვალწინ გედგას, ყველაფერი კარგად გახსოვდეს, – უთხრა ნატაშამ დაბეჯითებით, ეტყობოდა, უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა უნდოდა მიეცა თავისი სიტყვებისთვის, – მეც მახსოვს ნიკოლინკა, მახსოვს, – დაუმატა მან, – მაგრამ ბორისი არ მახსოვს, სულ არ მახსოვს...
 - როგორ? არ გახსოვს ბორისი? – ჰკითხა გაკვირვებულმა სონიამ.

– არც ისე, რომ არ მახსოვდეს, ვიცი, როგორია, მაგრამ ისე არ მახსოვს, როგორც ნიკოლინკა: თვალი რომ დავხუჭო, წინ დამიდგება ბორისი კი არა, აი, ასე (თვალეებს დახუჭავს), არაფერია.

– ეჰ, ნატაშა! – წამოიძახა სონიამ და აღფრთოვანებით და სერიოზულად შეხედა თავის ამხანაგს, თითქოს უღირსად მიაჩნდა იგი მოესმინა ის, რისი თქმაც განზრახული ჰქონდა, და თითქოს ამას ეუბნებოდა სხვა ვისმე, ვისთანაც ხუმრობა არ შეიძლებოდა: მე შევიყვარე შენი ძმა, და რაც უნდა დამემართოს მას, რაც უნდა დამემართოს მე, ჩემს სიცოცხლეში არ ვუღალატებ ამ სიყვარულს.

ნატაშა გაკვირვებული, ცნობისმოყვარე თვალეებით შეჰყურებდა სონიას და დუმდა. გრძნობდა, რომ სიმართლე იყო ის, რასაც სონია ამბობდა, გრძნობდა, რომ არსებობდა ისეთი სიყვარული, როგორზედაც სონია ლაპარაკობდა. მაგრამ ნატაშას არაფერი ამის მსგავსი ჯერ არ განეცადა. მას სჯეროდა, მაგრამ ვერ გაეგო, რომ ასეთი სიყვარული შესაძლებელია...

– წერილს არ მისწერ? – ჰკითხა მან.

სონია ჩაფიქრდა. ძალიან აწუხებდა ეს საკითხი: როგორ უნდა მისწეროს Nicolas-ს და, საერთოდ, უნდა მისწეროს თუ არა. ახლა, როცა ის უკვე ოფიცერია და დაჭრილი გმირი, უხერხული ხომ არ იქნება, გაახსენოს თავი, გაახსენოს თითქოს ის ვალდებულება, რომელიც ნიკოლინკამ მისდამი იკისრა.

– არ ვიცი! ვფიქრობ, რაკი ის იწერება, მეც მივწერ, – თქვა წამოწითლებულმა სონიამ.

– მერე, არ შეგრცხვება წერილის მიწერის?

სონიამ გაიღიმა.

– არა!

– მე კი შემრცხვებოდა ბორისისთვის წერილის მიწერა, არ მივწერ.

– რატომ უნდა შეგრცხვეს.

– ისე, არ ვიცი. უხერხულია, სირცხვილია.

– მე კი ვიცი, რატომ რცხვენია, – ჩაერია ნატაშას პირველი შენიშვნით გულნატკენი პეტია, – იმიტომ, რომ ის სათვალთან სქელი კაცი უყვარდა (ასე ეძახდა პეტია თავის სეხნიას, ახალ გრაფ ბეზუხოვს), ახლა კიდევ ეს მომღერალი უყვარს (პეტია გულისხმობდა იტალიელს, ნატაშას სიმღერის მასწავლებელს). აი, რატომ რცხვენია.

– პეტია, ბრიყვი ხარ, – მიაძახა ნატაშამ.

– შენზე ბრიყვი მაინც არა ვარ, ჩემო კარგო, – მიუგო პეტიამ ისე, თითქოს ძველი ბრიგადირი ყოფილიყო.

სადილზე ანა მიხაილოვნას გადაკრული ლაპარაკის შედეგად გრაფინია უკვე საკმაოდ მომზადებული იყო. თავის ოთახში დაბრუნებული და სავარძელში გადასვენებული აცრემლებულ თვალეებს არ ამორებდა ბურნუთის კოლოფის სახურავში ჩასმულ შვილის პაწაწა პორტრეტს.

ანა მიხაილოვნა ფეხაკრეფით მივიდა გრაფინიას ოთახთან და გაჩერდა. ხელში წერილი ეჭირა.

– ნუ შემოხვალთ, – უთხრა მან მოხუც გრაფს, რომელიც უკან მისდევდა, – მერე დაგიძახებთ, – და კარი მიიხურა.

ჭუჭრუტანაზე ყურმილებული გრაფი სმენად გადაიქცა.

ჯერ მოესმა გულგრილი ლაპარაკი, მერე ანა მიხაილოვნას გრძელი სიტყვა, შემდეგ შეკვივლება და ორივე ქალის შერეული ლაპარაკი სასიხარულო ინტონაციებით, მერე ფეხის ხმა, ბოლოს, ანა

მიხაილოვნამ ორივე კარი გააღო. იგი ისე ამაყად გამოიყურებოდა, როგორც ქირურგი-ოპერატორი, რომელსაც კარგად შესრულებული ამპუტაციის შემდეგ საზოგადოება შეჰყავს თავისი ოსტატობის საჩვენებლად და დასაფასებლად.

– C'est fait (მზად არის)! – უთხრა მან გრაფს და დიდის ამბით მიუთითა ცოლზე, რომელსაც ცალ ხელში პორტრეტის საბურნუთე ეჭირა, ხოლო მეორეში წერილი და ხან ერთი მიჰქონდა ტუჩებთან საკოცნელად, ხან მეორე.

გრაფის დანახვაზე მან ხელები გაიშვირა, მელოტ თავს მოეხვია, ამ თავს იქით კვლავ გადახედა წერილს და პორტრეტს და კვლავ მიიტანა ისინი ტუჩებთან, თანაც ოდნავ განზე მისწია მელოტი თავი. ვერა, ნატაშა, სონია და პეტია ოთახში შევიდნენ, და დაიწყო წერილის კითხვა. მასში მოკლედ იყო აღწერილი ლაშქრობა და ორი ბრძოლა, რომლებშიც ნიკოლუმკა მონაწილეობდა, და ოფიცრობის მიღების ამბავი; შემდეგ ნათქვამი იყო, ხელებს ვუკოცნი მამას და დედას და მათვე ვთხოვ არ დაიშურონ ჩემთვის ლოცვა-კურთხევაო, ვკოცნი აგრეთვე ვერას, ნატაშას, პეტიას, სალამს ვუძღვნი m-r შელინგს, m-me შოსს და გამდელსო. გარდა ამისა, ითხოვდა, ეკოცნათ მის მაგიერ ძვირფასი სონიასთვის, რომელიც ძველებურად მიყვარს და მახსოვსო. ამის გაგონებაზე სონია ისე გაწითლდა, რომ ცრემლი მოადგა, და რაკი ვეღარ გაუძლო ამდენ თვალს, რომელიც მას მისჩერებოდა, დარბაზში შევარდა, ციბრუტივით დატრიალდა და, გაწითლებული და გაღიმებული, ბუმტივით გაბერილი კაბით იატაკზე დაეშვა.

გრაფინია ტიროდა.

– რა გატირებთ, დედაჩემო? – ჰკითხა ვერამ, – იმის მიხედვით, რასაც ის იწერება, სიხარული გვმართებს და არა ტირილი.

სრული სიმართლე იყო, მაგრამ მაინც, გრაფმაც, მისმა მეუღლემაც, ნატაშამაც, – ყველამ საყვედურის თვალით შეხედა ვერას. „ნეტავ ვის დაემსგავსა“, – გაიფიქრა გრაფინიამ.

ნიკოლუმკას წერილი ათასჯერ წაიკითხეს, და ისინი, ვინც მისი მოსმენის ღირსად ცნეს, უნდა მისულიყვნენ გრაფინიასთან, რომელიც წერილს ხელიდან არ უშვებდა. მოდიოდნენ გუვერნიორები, გადიები, მოვიდა მიტენკა, ზოგიერთი ნაცნობი, გრაფინია ყოველი წაკითხვის დროს ახალ-ახალ სიამოვნებას განიცდიდა და წერილის მეოხებით ახალ-ახალ სათნოებას პოულობდა თავის ნიკოლუმკაში. რა უცნაურად, არაჩვეულებრივად ახარებდა ის, რომ მისი ვაჟიშვილი, – ის ვაჟიშვილი, რომელიც ოცი წლის წინათ თავისი პაწაწა სხეულით ოდნავ, სულ ოდნავ ფართხალებდა მასში, რომლის გამოც ჩხუბი ჰქონდა გიჟმაჟ გრაფთან, ის შვილი, რომელმაც ჯერ სიტყვა „рыча“ (მსხალი) ისწავლა, მერე კი – „нада“. აი ეს შვილი ახლა იქ, უცხო ქვეყანაში, უცხო ქალაქში, მამაცი მეომარია და მარტოდმარტო, დაუხმარებლად და უხელმძღვანელოდ აკეთებს რაღაც დიდ, მამაკაცურ საქმეს. გრაფინიასთვის არ არსებობდა მსოფლიოს მთელი საუკუნეობრივი გამოცდილება, რომელიც ამბობდა, რომ ბავშვები სარწეველადან დაწყებული შეუმჩნეველად იქცევიან ვაჟკაცებად. შვილის მოწიფულობა ასაკოვნების ყოველ ხანაში გრაფინიასთვის მეტად არაჩვეულებრივი მოვლენა იყო, თითქოს არასოდეს არ ყოფილიყვნენ ასევე მოწიფული მილიონჯერ მილიონი ადამიანები. როგორც ოცი წლის წინათ არ სჯეროდა, რომ პატარა არსება, რომელიც სადღაც მკერდის ქვემოთ ფეთქავს, დაიყვრება, ძუძუს წოვას შეუდგება და ლაპარაკს დაიწყებს, ისე ახლა დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ ის არსება გადაიქცა ძლიერ, მამაც ვაჟკაცად, შვილისა და ადამიანის მაგალითად, როგორც იგი ამ წერილის მიხედვით ახლა უნდა ყოფილიყო.

– რა კარგი სტილია, რა მშვენივრად წერს, – ამბობდა გრაფინია ბარათის აღწერილობითი ნაწილის წაკითხვისას, – მერე, რა ადამიანია. თავის თავზე კრინტს, ხმას არ იღებს... არაფერს ამბობს. იწერება ვიღაც დენისოვზე, თვითონ კი, ალბათ, ყველაზე მამაცია. არაფერს ამბობს თავის ტანჯვაზე. რა გული

აქვს! როგორ კარგად ვიცნობ! ყველანი გაიხსენა, არავინ დაივიწყა. მუდამ, მუდამ ვამბობდი, ჯერ კიდევ მაშინ, აი, ამოდენა რომ იყო, მუდამ ვამბობდი...

კვირაზე მეტხანს ემზადებოდნენ, წერდნენ შავად, მერე ათეთრებდნენ ნიკოლუშკასთან გასაგზავნ წერილებს. წერდნენ მთელი ოჯახობით; გრაფინიას მეთვალყურეობით და გრაფის მზრუნველობით აგროვებდნენ საჭირო ნივთებს და ფულს გაოფიცრებულის შესამოსად და აღსაჭურვად. ანა მიხაილოვნამ, პრაქტიკულმა ქალმა, მიმოწერისთვისაც კი მოახერხა არმიაში პროტექციის გამონახვა თავისთვის და თავისი შვილისთვის. მას შემთხვევა მიეცა გაეგზავნა წერილები დიდი მთავრის კონსტანტინ პავლოვიჩის სახელზე, რომელიც გვარდიას მეთაურობდა. როსტოვები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის გვარდია საზღვარგარეთ სავსებით გარკვეული მისამართია. თუ წერილმა მიაღწია დიდ მთავრამდე, რომელიც გვარდიას მეთაურობს, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ იგი მივა პავლოგრადის პოლკამდეც, რომელიც იქვე, სადმე მახლობლად უნდა იყოსო. ამიტომ გადაწყდა, წერილი და ფული დიდი მთავრის შიკრიკით გაეგზავნათ ბორისისთვის, ხოლო ბორისი ნიკოლუშკას გადასცემდა. წერილები გაგზავნეს მოხუცმა გრაფმა, გრაფინიამ, პეტამ, ვერამ, ნატაშამ, სონიამ, გაგზავნეს აგრეთვე ფორმის ტანსაცმლის შესაკერად 6.000 რუბლი, ასევე სხვადასხვა საჭირო ნივთი.

თავი მეშვიდე

12 ნოემბერს ოლმიუცში დაბანაკებული კუტუზოვის მეზობლი არმია ორი იმპერატორის დასახვედრად ემზადებოდა; მეორე დღეს არმია უნდა დაეთვალთქონებინათ რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორებს. გვარდიამ, რომელიც ის-ის იყო, რუსეთიდან ჩავიდა, ღამე ოლმიუციდან 15 ვერსზე გაათია და მეორე დღეს, 10 საათისთვის, უკვე ოლმიუცის ველზე იყო.

ნიკოლაი როსტოვმა ამ დღეს ბარათი მიიღო ბორისისგან, ატყობინებდა, იზმაილოვსკის პოლკი ოლმიუციდან 15 ვერსზე დგას, მოდი, წერილები და ფული მაქვს გადმოსაცემიო. ფული ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა როსტოვს ახლა, როცა ლაშქრობიდან დაბრუნებული ჯარი ოლმიუცთან დაბანაკდა და კარგად მომარაგებულმა მარკიტანტებმა და ავსტრიელმა ებრაელებმა ბანაკი ათასნაირი საცდუნებლით აავსეს. პავლოგრადელთა შორის ქეიფი ქეიფს მისდევდა; მართავდნენ დღესასწაულებს ლაშქრობაში მიღებული ჯილდოების გამო და დაიარებოდნენ ოლმიუცში კაროლინა ვენგერთან, მის ახალგახსნილ ტრაქტირში, რომელსაც მომსახურებას ქალები უწევდნენ. როსტოვმა სულ რამდენიმე ხნის წინათ იდღესასწაულა კორნეტობის მიღება და იყიდა დენისოვის ცხენი, რომელსაც ბედუინს ეძახდნენ. ასე რომ, ყელამდე ამხანაგებისა და მარკიტანტების ვალებში ჩაფლულიყო. ბორისის ბარათის მიღებისთანავე როსტოვმა ამხანაგთან ერთად ოლმიუცს მიაშურა, იქ ისადილა, ერთი ბოთლი ღვინო დალია და მარტომ გასწია გვარდიელთა ბანაკისკენ ბავშვობის ამხანაგის მოსამეზობლად. როსტოვს ვერ მოესწრო ფორმის ტანსაცმელში გამოწყობა. ეცვა დიდი ხნის ნათრევი ქურთუკი, ზედ ჩამოკიდებული ჯარისკაცის ჯვრით, ასეთივე რეიტუზები, რომლებსაც სარჩულად გაფხევილი ტყავი ედო, ეკიდა ოფიცრის ტემლაკიანი ხმალი; იჯდა ლაშქრობის დროს კაზაკისგან ნაყიდ დონურ ცხენზე; თავზე ეხურა უკან და გვერდზე დარდიმანდულად გადაგდებული ჰუსართა ქუდი. როდესაც იზმაილოვსკის პოლკის ბანაკს უახლოვდებოდა, როსტოვი ფიქრობდა, როგორ გააკვირვებდა ბორისს და ყველა მის ამხანაგ გვარდიელს თავისი ჰუსართული გარეგნობით, ბრძოლაში გამოჯეკილი კაცის იერით.

გვარდიამ მთელი გზა რუსეთიდან ავსტრიამდე ისე გაიარა, თითქოს სალაშქროდ კი არა, სასეირნოდ გაეგზავნოთ; მას თავი მოჰქონდა სისუფთავით და დისციპლინით. დღიური გადასასვლელები მოკლე იყო, აბგები საზიდრებით მიჰქონდათ, ოფიცრებს ავსტრიის ხელისუფალნი ყველა გადასასვლელზე საუცხოო სადილს ახვედრებდნენ. პოლკები მუსიკით შედიოდნენ ქალაქებში და მუსიკითვე

გადიოდნენ. დიდი მთავრის ბრძანებით, მთელი ლაშქრობა (რითაც ასე ამაყოფნენ გვარდიელები) ჯარისკაცებმა ფეხაყოლებით გაიარეს, ხოლო ოფიცრები, თავ-თავიანთ ადგილებში ჩამდგარნი, ქვეითად მიდიოდნენ. ბორისი მთელი ლაშქრობის განმავლობაში მიდიოდა და ცხოვრობდა ბერგთან ერთად, რომელიც უკვე ასეულის უფროსი იყო. ასეული ბერგმა ლაშქრობის დროს ჩაიბარა, გულმოდგინებითა და სიბეჯითით უფროსთა ნდობა დაიმსახურა და მეტად ხელსაყრელად მოაწყო თავისი ფინანსური საქმეები; ბორისმა იმავე ლაშქრობის დროს დიდი ნაცნობობა გაიჩინა, რაც მომავალში გამოადგებოდა, ხოლო პიერის მიერ გამოტანებული წერილის მეოხებით გაიცნო თავადი ანდრეი ბოლკონსკი, იმედი ჰქონდა, რომ მისი დახმარებით ადგილს მიიღებდა მთავარსარდლის შტაბში. ბერგი და ბორისი, სუფთად და წესიერად ჩაცმულნი, უკანასკნელი დღიური გადასასვლელის შემდეგ დასვენებულნი, მრგვალ მაგიდას შემოსხდომოდნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ მათთვის მიჩენილ სუფთა ბინაში. ბერგს მოკიდებული ჩიბუხი ეჭირა ხელში. ბორისი, ბერგის გათამაშების მოლოდინში, თეთრი, ნაზი თითებით ჩვეულებისამებრ პირამიდასავით აწყობდა ერთი მეორეზე შაშის ქვებს, თან სახეში შეჰყურებდა პარტნიორს; ფიქრობდა, ალბათ, თამაშზე, როგორც ყოველთვის ფიქრობდა ხოლმე მხოლოდ იმაზე, რასაც აკეთებდა.

– ვნახოთ ერთი, როგორ დაიმჯრენტ ახლა თავს, – უთხრა მან.

– ვეცდები, – უპასუხა ბერგმა და ხელი წაატანა პაიკს, მაგრამ ისევ მოაშორა.

ამ დროს კარი გაიღო.

– აი, თურმე სად ყოფილა! – შეჰყვირა როსტოვმა, – ბერგიც აქ არის. აი, შე პეტიზანფან, ალეკუშმედორმირ![99] – დაიმახა მან და გაიმეორა გადიას სიტყვები; ამ სიტყვების გამო მას და ბორისს ოდესღაც ბევრი უცინიათ.

– ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილხარ! – ბორისი ფეხზე წამოდგა როსტოვის მისაგებებლად, მაგრამ წამოდგომისას არ დავიწყებია, ხელი წაველო წასაქცევად გამზადებულ ჭადრაკისთვის და თავის ადგილას დაედგა იგი. ბორისს უნდოდა მოხვეოდა მეგობარს, მაგრამ ნიკოლაიმ თავი აარიდა. იგი ახალგაზრდობის იმ განსაკუთრებული გრძნობით შეპყრობილიყო, რომელიც გაურბის ნატკეპნ გზას, ერიდება სხვების მიბამვას, რომელსაც სურს ახლებურად, თავისებურად გამოხატოს თავისი გრძნობები და არა ისე, როგორც უფროსები გამოხატავენ, რომელნიც ხშირად თვალთმაქცობას მიმართავენ ხოლმე; ნიკოლაის უნდოდა მეგობრის ნახვისას რაღაც განსაკუთრებული ჩაედინა: ეჩქმიტა ან ხელი ეკრა და არა ეკოცნა, როგორც ყველანი იქცევიან. ბორისმა კი წყნარად და მეგობრულად ხელი მოხვია და სამჯერ გადაკოცნა.

თითქმის ნახევარი წელიწადი არ ენახათ ერთმანეთი; და იმ ასაკში, როცა ახალგაზრდა კაცები პირველ ნაბიჯებს დგამენ ცხოვრებაში, მათ უდიდესი ცვლილებები შენიშნეს ერთმანეთს. შენიშნეს სრულიად ახალი ანარეკლი სხვადასხვა საზოგადოებისა, სადაც მათ პირველი ნაბიჯები გადადგეს. უკანასკნელი ნახვის შემდეგ ორივე ძალიან გამოიცვალა, ორივეს სწაღდა რაც შეიძლება ჩქარა გამოემქლავნებინა მომხდარი ცვლილებები.

– აი, თქვე ნაცარქექიებო! გამოწყობილხართ, გამოწკეპილხართ, თითქოს სეირნობიდან მოდიოდეთ, მე ვიცი ჩვენსავით იქნებით, ცოდვილი არმიელებით, – ამბობდა როსტოვი ბორისისთვის უცნობი ბარიტონით და არმიული ფანდებით, თანაც თავის გატალახიანებულ რეიტუზზე უჩვენებდა.

როსტოვის ხმამალალ ლაპარაკზე კარიდან თავი გამოყო დიასახლისმა, გერმანელმა ქალმა.

– ჰა, ლამაზია? – იკითხა როსტოვმა და დიასახლისზე ანიშნა.

– რა გაყვირებს! შენ აქ ყველას დააფრთხობ, – უთხრა ბორისმა და დაუმატა, – დღეს არ მოგელოდი. მხოლოდ გუშინ გამოვატანე შენთან ბარათი ერთ ჩემს ნაცნობს, კუტუზოვის ადიუტანტ ბოლკონსკის. არ მეგონა, თუ ასე მალე გადმოგცემდა... რასა იქმ, როგორ ხარ? იგემე დენტის სუნი? – ჰკითხა ბორისმა. როსტოვმა პასუხი არ გასცა, ხელი გაიკრა გიორგის ჯვარზე, რომელიც მუნდირის ზონრებზე ეკიდა, მერე თავის შეხვეულ ხელზე უჩვენა, გაიღიმა და ბერგს შეხედა.

– როგორც ხედავ, – უპასუხა მან.

– მაშ ასე, ჰა! – დაიწყო ღიმილით ბორისმა, – ჩვენც ჩინებულად ვიმგზავრეთ. ხომ იცი, ცესარევიჩმა მთელი სალაშქრო მგზავრობა ჩვენს პოლკში გაატარა. ასე რომ, ყველაფერი გვექონდა. ახლა პოლონეთში – რა დახვედრა, რა სადილები, რა მეჯლისები, – ყველაფერს ვერ ჩამოგიტვლი. ცესარევიჩი მეტად მოწყალედ ეპყრობოდა ყველა ჩვენს ოფიცერს.

და მეგობრები ერთმანეთს უამბობდნენ – ერთი ჰუსარულ ქეიფებსა და საბრძოლო ცხოვრებაზე, მეორე იმაზე, თუ რამდენად სასიამოვნო და სარფიანია სამსახური იქ, სადაც უფროსებად მაღლა მდგომი პირნი არიან.

– ოჰ, გვარდია! – წამოიძახა როსტოვმა, – იცი რა, მოდი ერთი კაცი გაგზავნე და ღვინო მოატანინე.

ბორისი დაიღრიალა.

– თუ აუცილებლად საჭიროა, – მიუგო მან.

ბორისი საწოლთან მივიდა, სუფთა ბალიშებს ქვეშიდან საფულე გამოიღო და უბრძანა, ღვინო მოეტანათ.

– ბარე გადმოგცემთ ფულს და წერილს.

როსტოვმა ფული და წერილი გამოართვა, ფული დივანზე დააგდო, ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და კითხვა დაიწყო. რამდენიმე ბჭკარი რომ წაიკითხა, უკმაყოფილოდ შეხედა ბერგს. მათი თვალეები ერთმანეთს შეხვდნენ. როსტოვმა სახეზე წერილი აიფარა.

– როგორც ვატყობ, ბლომად გამოუგზავნიათ ფული თქვენთვის, – უთხრა ბერგმა და დივანში ჩაფლულ მძიმე საფულეს გადახედა, – ჩვენ კი მარტო ჯამაგირით გამოვდივართ. გეტყვი გრაფ, ჩემ შესახებ...

– აი რა, ბერგ, ჩემო კარგო, – მიმართა როსტოვმა, – როცა თქვენ შინიდან წერილს მიიღებთ და ახლობელ კაცს შეხვდებით, კაცს, რომლის გამოკითხვასაც მოისურვებთ, თუ იმ დროს მე იქ ვიქნები, ხელად ავდგები და გაგმორდებით, რათა ხელი არ შეგიშალოთ. გამიგონეთ, წადით აქედან. წადით, თუნდაც ჯანდაბაში! – დაუყვირა მან, იმავე წუთს წამოხტა, მხარში ხელი სტაცა, და თვალეებში ალერსიანად ჩახედა, – ცდილობდა, შეენელებინა თავისი სიტყვების უხეშობა და დაუმატა, – იცი რა, ნუ მიწყენთ, ჩემო საყვარელო, ჩემო კარგო, გულით გეუბნებით, როგორც ჩვენს ძველ ნაცნობს.

– რას ბრძანებთ, გრაფ, ძალიან კარგად მესმის ყველაფერი, – უპასუხა ბერგმა და წამოიწია.

– წადით სახლის პატრონებთან, გეძახდნენ, – დაურთო ბორისმა.

ბერგმა სუფთა, სრულიად უზადო სერთუკი ჩაიცვა, სარკის წინ საფეთქლებთან თმა აიბურძგნა, როგორც დიდ მთავარს, ალექსანდრ პავლოვიჩს ჰქონდა, და, რაკი დარწმუნდა, რომ როსტოვმა მისი სერთუკი შენიშნა, ტკბილი ღიმილით ოთახიდან გავიდა.

– ღმერთო ჩემო, რა პირუტყვი ვარ, რა პირუტყვი! – ჩაილაპარაკა როსტოვმა წერილის კითხვის დროს.

– რა იყო?

– ნამდვილი ღორი ვარ, არც ერთხელ არ გამიგზავნია შინაურებისთვის წერილი. ღორი ვარ, ღორი! – გაიმეორა და უეცრად გაწითლდა, – ჰა, გაგზავნე, რაღა გავრილი ღვინისთვის! კარგად გადავკრათ! – წამოიძახა მან.

მშობლების წერილში ჩადებული იყო სარეკომენდაციო ბარათი თავად ბაგრატიონთან. ეს ბარათი ანა მიხაილოვნას რჩევით და ნაცნობების დახმარებით გრაფინიას ეშოვა, ახლა შვილს უგზავნიდა, სთხოვდა, დანიშნულებისამებრ გადაეცა და გამოეყენებინა.

– სისულელეა, არ მჭირდება! – თქვა როსტოვმა და წერილი მაგიდის ქვეშ შეაგდო. – რა არის ეგ, რატომ გადააგდე? – ჰკითხა ბორისმა.

– რაღაც სარეკომენდაციო წერილია, რა ეშმაკად მინდა.

– როგორ თუ რა ეშმაკად გინდა? – შეუტია ბორისმა, წერილი აიღო, წარწერა წაიკითხა და ნიკოლაის უთხრა, – ძალიან გამოსადეგი წერილია შენთვის.

– მე არა მინდა რა და ადიუტანტად არავისთან არ წავალ.

– რატომ მერე? – ჰკითხა ბორისმა.

– ლაქიური თანამდებობაა.

– ვხედავ, შენ ისეთივე მეოცნებე ხარ, როგორც იყავი, – თავის ქნევით მიუგო ბორისმა.

– შენ კი ისეთივე დიპლომატი. მაგრამ საქმე ეგ არ არის... რასა იქმ, როგორ ხარ? – ჰკითხა როსტოვმა.

– როგორც მხედავ. აქამდე ყველაფერი კარგად მიდის; მაგრამ გამოგიტყდები, ძალიან მინდა ადიუტანტობა, არ მინდა ფრონტზე დავრჩე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ რაკი ერთხელვე სამხედრო სამსახურის კარიერას დაადგება კაცი, უნდა ეცადოს, ეს კარიერა რაც შეიძლება ბრწყინვალე იყოს.

– აი, თურმე რა ყოფილა! – თქვა როსტოვმა სხვა ფიქრებში გართულმა.

იგი გაშტერებული შეჰყურებდა თავის მეგობარს; ამოდ ეძებდა მის თვალეში რაღაც საკითხის გადაწყვეტას.

მოხუცმა გავრილმა ღვინო მოიტანა.

– არ დავეუძახოთ ახლა ალფონს კარლიჩს? – ჰკითხა ბორისმა, – შენ და ის დალევთ, მე კი არ შემიძლია.

– დაუძახე, დაუძახე, როგორია ეგ გერმანელი? – ჰკითხა აბუჩად ამგდები კილოთი როსტოვმა.

– ძალიან, ძალიან კარგი კაცია, პატიოსანი და საამო ადამიანი, – მიუგო ბორისმა.

როსტოვმა ერთხელ კიდევ შეხედა თვალეში ბორისს და ამოიოხრა. ბერგი დაბრუნდა, და ღვინის სმის დროს ლაპარაკი სამ ოფიცერს შორის გაცხოველდა. გვარდიელები უამბობდნენ როსტოვს თავიანთ ლაშქრობაზე, იმაზე თუ როგორი პატივი სცეს გვარდიას რუსეთში, პოლონეთში და საზღვარგარეთ. გაიხსენეს თავიანთი უფროსის, დიდი მთავრის სიტყვები და მოქმედება, ანეკდოტები მის გულკეთილობასა და სიფიცხეზე. ბერგი ჩვეულებისამებრ დუმდა, რაკი საქმე პირადად მას არ ეხებოდა, მაგრამ იმ ანეკდოტის გამო, რომელიც დიდი მთავრის სიფიცხეს შეეხებოდა, სიამოვნებით უამბო როსტოვს, როგორ მოუხდა ლაპარაკი გალიციაში დიდ მთავართან, როცა ეს უკანასკნელი პოლკებს ათვალიერებდა და ჯავრობდა ჯარისკაცების უწესრიგო მოძრაობაზე. საამო ღიმილით უამბო ამხანაგებს, როგორ მივიდა მასთან დათვალიერების დროს ძალზე განრისხებული დიდი მთავარი,

როგორ დაუყვია: „აი, თქვე არნაუტებო“ [100] (სიტყვა „არნაუტი“ ცესარევიჩის საყვარელი გამოთქმა იყო) და ასეულის უფროსი მოითხოვა.

– მერწმუნეთ, გრაფ, ოდნავადაც არ შემშინებია, რადგან ვიცოდი, რომ მართალი ვიყავი. კვებნად ნუ ჩამომართმევთ და გეტყვით, გრაფ, რომ ზეპირად ვიცი პოლკში გამოცემული ბრძანებები, ვიცი წესდებაც, ვიცი ისე, როგორც მამაო ჩვენო. ამიტომ, გრაფ, ჩემს ასეულში ყველაფერი წესრიგშია. სინდისიც დამშვიდებული მაქვს. ჰოდა, წარვუდექ დიდ მთავარს (ბერგი ფეხზე ადგა და წარმოადგინა, როგორ გამოეჭიმა ქუდთან ხელმიტანილი დიდ მთავარს. მართლაც, ძნელად შეიძლებოდა ისეთი მოწიწებისა და კმაყოფილების გამოხატვა, როგორც ბერგის სახეზე აღიბეჭდა). დამტუქსა, მაგრამ როგორ, სულ ტყავი გამადრო, როგორც იტყვიან ხოლმე; თქვე არნაუტებო, თქვე ქაჯებო, სულ გაგაციმბირებთო, – ამბობდა ამას ბერგი და ეშმაკურად იღიმებოდა, – ვიცოდი, რომ მართალი ვიყავი, ამიტომაც გატრუნული ვიდექი, კრინტს არ ვძრავდი. ხომ სწორად მოვიქეცი, გრაფ? რას გაჩუმებულხარ, მუნჯი ხომ არა ხარო, – დამიყვია ბოლოს; მე კვლავ პირმოკუმული ვიდექი. ჰოდა, რა გგონიათ, გრაფ? მეორე დღეს არც ერთი სიტყვა არ იყო ჩემზე ბრძანებაში: აი, რას ნიშნავს, როცა კაცი არ დაიბნევა. ასეა, გრაფ, – დაამთავრა ბერგმა, ჩიბუხი მოსწია და გააბოლა.

– მართლაც რომ სასახელოდ მოქცეულხართ, – უთხრა როსტოვმა.

მაგრამ როგორც კი ბორისმა შეატყო, რომ როსტოვი მასხრად აგდებდა უპირებდა ბერგს, ოსტატურად შეცვალა საუბრის თემა. სთხოვა როსტოვს, ეამბნა, სად და როგორ დაიჭრა. როსტოვს გულში ეამა ეს და დაიწყო ამბის მოყოლა, იმავე დროს თანდათან აღტაცებაში მოდიოდა. იგი მოუყვა ამხანაგებს შენგრაბენის ბრძოლის ამბავს, მოუყვა სწორედ ისე, როგორც ჩვეულებრივ მოჰყვებიან ხოლმე ბრძოლაზე მისი მონაწილენი, ესე იგი ისე, როგორც მათ ენატრებათ ბრძოლის დასრულება; ისე, როგორც სხვა მთხრობელთაგან გაუგონიათ, უფრო ლამაზად, უფრო საამოდ და არა იმგვარად, როგორც ნამდვილად მოხდა. როსტოვი სიმართლის მოყვარული ახალგაზრდა იყო და არაფრის გულისთვის ტყუილს არ იტყოდა. დაიწყო იმ განზრახვით, რომ ყველაფერი გადმოეცა ისე, როგორც ნამდვილად მოხდა, მაგრამ თავისდა შეუმჩნევლად, უნებურად გადაუხვია სიმართლეს. მას რომ სიმართლე გადაეცა ამ მსმენელებისთვის, რომელთაც მასსავით მრავალჯერ გაუგონიათ ამბები იერიშებზე და წარმოდგენა შეჰქმნიათ იმაზე, თუ რა არის იერიში, და რომელნიც სწორედ ასეთსავე ამბავს მოელოდნენ როსტოვისგან, მაშინ ან არ დაუჯერებდნენ ნაამბობს, ან უარესი: იფიქრებდნენ, თავად როსტოვი ყოფილა დამნაშავე, რომ მას არ შეემთხვა ის, რაც ცხენოსანთა იერიშების მომთხრობთ შეემთხვევათ ხოლმეო. ხომ ვერ მოუთხრობდა უბრალოდ იმას, რაც ნამდვილად მოხდა: როგორ გაემართნენ ყველანი ჩორთით, როგორ გადმოვარდა იგი ცხენიდან, როგორ იღრმო ხელი და მერე ფრანგის დანახვაზე როგორ მოკურცხლა ტყისკენ რაც ძალა და ღონე ჰქონდა. გარდა ამისა, იმისთვის, რომ ყველაფერი ისე მოეთხრო, როგორც მოხდა, ძალა უნდა დაეტანებინა თავისი თავისთვის, რათა ეამბნა მხოლოდ ის, რაც შეემთხვა. ასეთ დროს მეტად ძნელია სიმართლის გადაცემა, და იშვიათად თუ რომელიმე ახალგაზრდას შესწევს ამის უნარი. მსმენელნი მთხრობელისგან მოელოდნენ იმას, თუ როგორ აენტო იგი ცეცხლივით, როგორ ეკვეთა ქარიშხალივით, თავდავიწყებული კარეს, შეიჭრა შიგ და შეუდგა მარჯვნივ და მარცხნივ მტრის ჩეხას; როგორ იგემა ხმაღმა მტრის სისხლი და ხორცი, როგორ ეცემოდა თავად იგი ღონემიხდილი, და სხვა ამისთანები. და როსტოვმაც უამბო მეგობრებს ყოველივე ეს.

შუა თხრობის დროს, მაშინ, როცა როსტოვი ამბობდა: „ვერ წარმოიდგენ, რა გაცოფებას, რა უჩვეულო გრძნობას განიცდი იერიშის დროს“, ოთახში შევიდა თავადი ანდრეი ბოლკონსკი, რომელსაც ბორისი მოელოდა. თავადი ანდრეი, რომელსაც უყვარდა მფარველობის გაწევა ახალგაზრდებისთვის, კმაყოფილი იყო იმით, რომ პროტექციისთვის მიმართეს. კეთილგანწყობილი ბორისისადმი, რომელმაც

მოახერხა და წინააღმდეგ თავი მოაწონა, მზად იყო აესრულებინა ყმაწვილი კაცის სურვილი. კუტუზოვის ქალაქდებით ცესარევიჩთან გაგზავნილმა თავადმა ანდრეიმ ახალგაზრდა კაცთან შეუხვია იმ იმედით, რომ იგი მარტო დახვდებოდა. ოთახში შესვლისას მან დაინახა საომარი თავგადასავლის გადაცემით გართული არმიელი ჰუსარი (იმ ჯურის ადამიანი, რომლის ატანაც თავად ანდრეის არ შეეძლო); მან ალერსიანად გაუღიმა ბორისს, შუბლი შეკრა, თვალმოჭუტული დააცქერდა როსტოვს და, ზერელე მისალმების შემდეგ, დადლილად და ზანტად ჩაეშვა სავარძელში. არ ესამოვნა, რომ ცუდ საზოგადოებაში მოხვდა, როსტოვი მიხვდა ამას და აენტო, თუმცა სულერთი იყო მისთვის: ეს ხომ უცხო კაცი იყო. მაგრამ, როდესაც ბორისს შეხედა, დაინახა, რომ თითქოს მასაც შერცხვა ჰუსართა ოფიცრის გამო. მიუხედავად თავად ანდრეის უსიამოვნო, დამცინავი კილოსი, მიუხედავად იმ საერთო ზიზღისა, რითაც გამსჭვალული იყო როსტოვი შტაბის ადიუტანტების და მათ შორის, ალბათ, ახალმოსულის მიმართაც, და რასაც არმიული საბრძოლო თვალსაზრისი უკარნახებდა, როსტოვი მაინც სირცხვილმა აიტანა, გაწითლდა და გაჩუმდა. ბორისმა ჰკითხა თავად ანდრეის, რა ახალი ამბებია შტაბში და რა ისმის ჩვენი მომავალი მოქმედების შესახებო.

– ალბათ წინ წავლენ, – მიუგო ბოლკონსკიმ. ეტყობოდა. გარეშეებთან არ უნდოდა მეტის თქმა.

ბერგმა ისარგებლა შემთხვევით და განსაკუთრებული თავაზიანობით შეეკითხა ბოლკონსკის, ხომ არ აპირებენ, როგორც ისმოდა, არმიის ასეულის უფროსებს გაორმაგებული საფურაჟო ფული მისცენო. ამაზე თავადმა ანდრეიმ ღიმილით მიუგო, ვერაფერს მოგახსენებთ მსგავს თვალსაჩინო სახელმწიფო განკარგულებაზეო, და ბერგმა ხალისით გაიცინა.

– თქვენს საქმეზე, – კვლავ მიმართა თავადმა ანდრეიმ ბორისს, – მოგვიანებით მოვილაპარაკებთ, – და როსტოვს გადახედა, – გამომიარეთ ჯარის დათვალიერების შემდეგ, გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეიძლება.

და როცა ოთახს მიმოავლო თვალი, როსტოვი, რომლის ბავშვური დარცხვენა სადაცაა გაბოროტებულ იქცეოდა, ყურადღების ღირსად არც კი ჩათვალა და ჰკითხა:

– თქვენ, ვგონებ, შენგრაბენის ბრძოლაზე მოუთხრობდით? იყავით იქ?

– ვიყავი, – მიუგო როსტოვმა უკმაყოფილოდ, თითქოს უნდოდა, ამით შეურაცხყოფა მიეყენებინა.

ბოლკონსკიმ შენიშნა, რა მდგომარეობაში იყო ჰუსარი, და სასაცილო ეჩვენა. მან ოდნავი ათვალწუნებით გაიღიმა.

– დიახ, ბევრ რამეს ლაპარაკობენ ამჟამად ამ ბრძოლის შესახებ.

– დიახ, ლაპარაკობენ! – ხმამაღლა დაიწყო როსტოვმა და უეცრად ბრაზმა მოუარა. გაცოფებული თვალებით შეჰყურებდა ხან ბორისს, ხან ბოლკონსკის, – დიახ, ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენი ნალაპარაკები სულ სხვაა, ეს იმათი ნალაპარაკებია, ვინც მტრის ცეცხლი იგემა; ფასი აქვს ჩვენს ნალაპარაკებს და არა შტაბის იმ ვაჟბატონებისას, რომელნიც არას აკეთებენ და ჯილდოებს კი იღებენ.

– და რომელთა რიცხვსაც, როგორც თქვენ ფიქრობთ, მეც ვეკუთვნი, – წყნარად და განსაკუთრებული საამო ღიმილით ჩაილაპარაკა თავადმა ანდრეიმ.

ორი საწინააღმდეგო გრძნობა შეერთდა ამ დროს როსტოვის გულში ამ ადამიანისადმი: გაბოროტებისა და იმავე დროს პატივისცემის უცნაური გრძნობა.

– მე თქვენზე არ ვლაპარაკობ, – უთხრა მან, – მე თქვენ არ გიცნობთ და, გამოგიტყდებით, არც სურვილი მაქვს გიცნობდეთ. მე საერთოდ შტაბის წევრებზე ვლაპარაკობ.

– მე კი აი, რას გეტყვით, – გააწყვეტინა თავადმა ანდრეიმ წყნარი ხმით, მაგრამ ამ წყნარ ხმაში ძალა და სიმტკიცე გამოსჭვიოდა, – თქვენ გსურთ შეურაცხმყოთ, მზად ვარ დაგეთანხმოთ, რომ ამას სულ ადვილად მოახერხებთ, თუ საკმაო პატივისცემით არ მოეპყრობით საკუთარ თავს; მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ დროც და ადგილიც ამისთვის მეტად ცუდად არის შერჩეული. ამ დღეებში ჩვენ ყველას უფრო დიდი და სერიოზული დუელი მოგველის, და გარდა ამისა, დრუბეცკოი, რომელიც ამბობს, რომ თქვენ მისი ძველი მეგობარი ხართ, სრულიად არ არის დამნაშავე, თუ ჩემი ფიზიონომია რაიმე მიზეზით არ მოგეწონათ. თუმცა, – თქვა მან და წამოდგა, – თქვენ იცით ჩემი გვარი, იცით ადგილი, სადაც ჩემი ნახვა შეიძლება; მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, – დაუმატა მან, – რომ მე სრულიადაც არ ვთვლი არც ჩემს თავს, არც თქვენ შეურაცხყოფილად, და როგორც თქვენზე უფროსი, გირჩევთ დატოვოთ ეს საქმე ისე, როგორც არის. მაშ, ხუთშაბათს, დათვალიერების შემდეგ დაგელოდებით, დრუბეცკოი, – დაამთავრა სიტყვა თავადმა ანდრეიმ, ორივეს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

როსტოვს მხოლოდ მაშინ გაახსენდა ის, რაც ბოლკონსკისთვის უნდა ეთქვა, როცა ეს უკანასკნელი უკვე გავიდა. და უფრო მეტად გააჯავრა იმან, რომ დაავიწყდა ამის თქმა. როსტოვმა მაშინვე უბრძანა მოეყვანათ ცხენი, ცივად გამოეთხოვა ბორისს და შინისკენ გაემართა. როგორ მოიქცეს: წავიდეს ხვალ მთავარ ბინაზე და გამოიწვიოს ხმალში ეს ბლენძია ადიუტანტი თუ, მართლაც, უყურადღებოდ დატოვებს ეს საქმე? აი, კითხვა, რომელიც მთელი მგზავრობის დროს ტანჯავდა როსტოვს. ხან გაბოროტებული ფიქრობდა, რა კანკალი აუვარდებოდა ამ პატარა, სუსტ და ამაყ კაცუნას მისი დამბაჩის დანახვაზე და რა სიამოვნებას განაცდევინებდა ეს, ხან კიდევ გაკვირვებული გრძნობდა, რომ იმ ადამიანთაგან, რომელთაც ის იცნობდა, ისე არავინ არ სურდა მეგობრად ჰყოლოდა, როგორც ეს საძულველი ადიუტანტი.

თავი მერვე

ბორისისა და როსტოვის შეხვედრის მეორე დღეს გაიმართა ავსტრიისა და რუსეთის ჯარის დათვალიერება; დათვალიერებაში მონაწილეობდა როგორც ახალი, რუსეთიდან ჩასული, ასევე კუტუზოვთან ერთად ლაშქრობიდან დაბრუნებული ჯარი. იმპერატორებს, რუსეთისას მემკვიდრე ცესარევიჩითურთ და ავსტრიისას ერცჰერცოგითურთ, უნდა დაეთვალიერებინათ მოკავშირეთა ოთხმოციათასიანი არმია.

დილაადრიან დაიწყო კოხტად გაწმენდილ-დასუფთავებული და მორთული ჯარის სვლა; იგი ეწყობოდა მინდორზე ციხის წინ, აქ მიმოდოდა ათიათასობით ფეხი და ხიშტი აფრიალებული დროშებით. ოფიცერთა ბრძანებაზე ჩერდებოდნენ, გვერდზე უხვევდნენ, უვლიდნენ მუნდირებში გამოწყობილ ქვეითი ჯარის ასეთსავე მასებს და, ურთიერთს განსაზღვრული მანძილით დამორებულნი, ისევ ეწყობოდნენ; მოშორებით მწყობრი ბრაგუნითა და ჟღარუნით ხმაურობდა მწვანე, წითელ, ლურჯ მუნდირებში გამოწყობილი, შავ, თაფლა, ნაცრისფერ ცხენებზე ამხედრებული საგანგებოდ მორთული კავალერია, რომელსაც წინ მოქარგულსამოსიანი მემუსიკენი მიუძღოდნენ; სხვაგან ქვეით ჯარსა და კავალერიას შუა მიცოცავდა და დანიშნულ ადგილას მწკრივდებოდა არტილერია თავისი ლაფეტებზე მოძიგმივე, გაკრიალებული, მზინავი ზარბაზნებითა და ფილებით. ყველა გრძნობდა, რომ ხდებოდა რაღაც არასახუმარო, მნიშვნელოვანი და სახეიმიო; გრძნობდნენ ამას არა მხოლოდ სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილი, ყელზე შარფშემოხვეული, მაღალი, უხეში საყელოებისგან აწითლებული და ორდენებით დამშვენებული გენერლები; არა მხოლოდ მორთულ-მოკაზმული ოფიცრები, არამედ ამას გრძნობდა ყოველი ახალდაბანილი, ახალგაპარსული და უკანასკნელ შესაძლებლობამდე გაპრიალებულ, გაწმენდილსაჭურვლიანი ჯარისკაცი; თითოეული ცხენი, რომელიც იმდენად სათუთად იყო მოვლილი, რომ ბეწვი ატლასივით უბზინავდა, ხოლო ოდნავ

შესველებულ ფაფარზე ბალანი ბალანზე ჩამოეხვეწათ. ახლა ყოველი გენერალი და ჯარისკაცი მძაფრად გრძნობდა თავის არარაობას, რადგან ხედავდა, რომ იგი მხოლოდ პაწაწინა კენჭი იყო ამ ზღვა ხალხში, და იმავდროულად გრძნობდა თავის სიძლიერეს, რადგანაც საკუთარი თავი ამ უზარმაზარი ერთეულის ნაწილად მიაჩნდა.

დილაადრიან შეუდგნენ დაძაბულ ფუსფუსს და ათი საათისთვის უკვე ყველაფერი იდეალურ წესრიგში იყო. უზარმაზარ ველზე დაეწყო რიგები. მთელი არმია სამ ხაზად ჩამწკრივდა: წინ კავალერია, მერე არტილერია და ბოლოს ქვეითი ჯარი.

რიგსა და რიგს შუა, თითქოს გაჭიმული ქუჩა ყოფილიყო, მკვეთრად განიყოფებოდა ურთიერთისგან ამ არმიის სამი ნაწილი: კუტუზოვის მებრძოლი არმია (რომლის მარჯვენა ფრთის პირველ ხაზზე პავლოგრადელები იდგნენ), რუსეთიდან ახალჩამოსული არმიისა და გვარდიის პოლკები და ავსტრიის ჯარი. მაგრამ ყველანი ერთად იყვნენ, ერთ მეთაურს ემორჩილებოდნენ და ერთიან წესრიგს იცავდნენ.

როგორც ნიაგრა ფოთლებს, ისე დაუარა რიგებს აღელვებულმა ჩურჩულმა: „მოდიან, მოდიან!“ გაისმა შემინებული ხმები, და მთელ ჯარს უკანასკნელი მზადების ტალღა მოედო.

წინ, ოლმიუცის მხრიდან გამოჩნდა მომავალი ჯგუფი. იმავე დროს, თუმცა წყნარი დღე იყო, მსუბუქმა ნიაგრა ჩაუქროლა არმიას და ოდნავ შეარხია ხიშტებზე ჩამოცმული ფლიუგერები[101] და გაშლილი დროშები. ამ მსუბუქი მოძრაობით თითქოს თვით ჯარმა გამოხატა სიხარული ხელმწიფეთა მოახლოების გამო. გაისმა ერთი ხმა: „სმენა!“ შემდეგ, როგორც მამლებმა გარიჟრაჟზე იციან ხოლმე, სხვადასხვა ადგილას გაიმეორეს ეს ხმა და ყველაფერი მიყუჩდა.

სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ცხენების ფლოქვების თქარათქური ისმოდა. ეს იმპერატორთა ამაღლა იყო. ხელმწიფეები არმიის ფლანგთან მივიდნენ. გაისმა ცხენოსანთა პირველი პოლკის მებუკვების ხმა: უკრავდნენ გენერალ-მარშს. თითქოს მებუკვები კი არ უკრავდნენ, არამედ არმიას უხაროდა ხელმწიფის მოახლოება და ბუნებრივად გამოსცემდა ამ ხმებს. და ამ ხმაურობაში გარკვევით გაისმა იმპერატორ ალექსანდრეს ახალგაზრდული, ალერსიანი ხმა. იგი პირველ პოლკს მიესალმა და პოლკმაც ისე გამაყრუებლად, ხანგრძლივად და სიხარულით შეჰყვირა *Ура!*, რომ თვით მებრძოლნიც გაოცდნენ იმ უზარმაზარი კრებულის სიდიდითა და სიძლიერით, რომელსაც თავადვე წარმოადგენდნენ.

როსტოვი იდგა კუტუზოვის არმიის პირველ რიგებში, რომლებთანაც ხელმწიფე პირველად მივიდა. მასაც იგივე გრძნობა დაუფლებოდა, რასაც განიცდიდა ამ არმიის თითოეული წევრი – თავდავიწყების, სიძლიერის, სიამაყისა და ამაღლებული სიყვარულის გრძნობას იმ ადამიანისადმი, ვისაც ეს ზეიმი ეძღვნებოდა.

როსტოვი გრძნობდა, რომ საკმარისია ამ კაცის ერთი სიტყვა, რათა აქ მყოფთა უზარმაზარი მასა (და ისიც – ამ მასის პაწაწინა ნამცეცი) ცეცხლსა და წყალში გადაეშვას, დანაშაულიც კი ჩაიდინოს, გადადოს თავი სასიკვდილოდ ან უდიდესი გმირობისთვის. ამიტომ მას არ შეეძლო გული უჩვეულოდ არ ათრთოლებოდა ამ მოახლოებული სიტყვის გაგონებისას.

– *Ура! Ура! Ура!* – გრგვინავდნენ ყველგან, და პოლკები ერთმანეთის მიყოლებით გენერალ-მარშით ეგებებოდა ხელმწიფეს; მერე გაისმოდა *Ура*, გენერალ-მარში და კვლავ *Ура* და *Ура*, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მატულობდა, გამაყრუებელ გუგუნად ერთდებოდა.

ვიდრე ხელმწიფე მივიდოდა, ყოველი პოლკი მდუმარედ და უძრავად იდგა, თითქოს უსიცოცხლო სხეულიაო; მისვლისთანავე კი ცოცხლდებოდა, გრგვინავდა და თავის ხმას უერთებდა მთელი იმ ხაზის გუგუნს, რომელიც ხელმწიფეს უკვე განვლილი ჰქონდა. ამ საშინელ, გამაყრუებელ ხმაზე უძრავი, თითქოს თავის სამხედრო მართკუთხედებში გაქვავებულ მასებს შორის გულგრილად, მაგრამ

სიმეტრიულად და რაც მთავარია, თავისუფლად მოძრაობდა ამაღლა – უამრავი ცხენოსანი, ხოლო მათ წინ ორი ადამიანი – ორი იმპერატორი. სწორედ მათკენ და მხოლოდ მათკენ იყო მიპყრობილი სამხედროთა მთელი ამ მასის შეკავებული, მაგრამ აღზნებული ყურადღება.

ლამაზი, ახალგაზრდა იმპერატორი ალექსანდრე, ცხენოსანი გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი, სამკუთხა ქუდით, სასიამოვნო სახით და მჟღერი, არცთუ იმდენად მაღალი ხმით, მთელი ძალით იზიდავდა ყურადღებას.

როსტოვი მებუკეების შორიახლოს იდგა; თავისი მახვილი მზერით შორიდანვე შენიშნა ხელმწიფე და თვალყურს ადევნებდა მის მოახლოებას. როდესაც ხელმწიფე ოციოდე ნაბიჯით მიუახლოვდა და ნიკოლაიმ ცხადად, ყოველი წვრილმანის გამოუკლებლად დაინახა იმპერატორის მშვენიერი, ახალგაზრდა და ბედნიერი სახე, ისეთი სინაზისა და აღფრთოვანების გრძნობა დაეუფლა, როგორც სხვა დროს არასოდეს განუცდია. ყველაფერი – ყოველი ნაკვთი, ყოველი მოძრაობა ხელმწიფისა მას მომხიბვლელად, საუცხოოდ ეჩვენებოდა.

პავლოგრაფელთა პოლკის წინ გაჩერებულმა ხელმწიფემ ფრანგულად რაღაც უთხრა ავსტრიის იმპერატორს და გაიღიმა.

ამ ღიმილის დანახვისას როსტოვმა უნებურად თვითონაც გაიღიმა და კიდევ უფრო მეტი სიყვარულით განიმსჭვალა თავისი ხელმწიფისადმი. მას უნდოდა რითიმე გამოეხატა ეს სიყვარული. მაგრამ რადგანაც იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, ტირილი სწადდა. ხელმწიფემ პოლკის უფროსი მიიხმო და რამდენიმე სიტყვა უთხრა.

„ღმერთო ჩემო! რა მომივიდოდა, ჩემთვის რომ ასე მოემართა ხელმწიფეს! – ფიქრობდა როსტოვი, – ალბათ ბედნიერებისგან მოვკვდებოდი“.

ხელმწიფემ ოფიცრებსაც მიმართა:

– ყველას გულითადად გმადლობთ, ბატონებო (ყოველი სიტყვა როსტოვს ისე ჩაესმოდა, როგორც ზეციდან მოვლენილი ხმა).

რა ბედნიერი იქნებოდა როსტოვი, ახლა რომ თავს გაწირავდეს თავისი მეფისთვის.

– თქვენ გიორგის ჯილდოები დაიმსახურეთ და ღირსეულადაც!..

„ნეტავ ახლა შემემლოს მისთვის თავი გავწირო!“ – ფიქრობდა როსტოვი.

ხელმწიფემ კიდევ რაღაც თქვა, რაც როსტოვს აღარ გაუგონია, და მკერდგამომშვერილმა ჯარისკაცებმაც შეჰყვირეს: Ура!

უნაგირისკენ დახრილმა როსტოვმაც შეჰყვირა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა; თითქოს გულით ეწადა ამ ყვირილით საკუთარი თავისთვის რამე დაეშავებინა და ამით მაინც გამოეხატა თავისი აღტაცება ხელმწიფისადმი.

ხელმწიფე რამდენიმე წუთს ჰუსართა წინ იდგა, თითქოს ყოყმანობსო.

„ნუთუ შეიძლება ხელმწიფე ყოყმანობდეს?“ – გაიფიქრა როსტოვმა, მაგრამ ეს ყოყმანიც კი დიდებულად და მომხიბვლელად ეჩვენა, როგორც ყოველივე, რასაც ხელმწიფე აკეთებდა.

ხელმწიფის ყოყმანმა ერთ წუთს გასტანა. მისი ვიწრო, წაწვეტებულფეხსაცმლიანი (როგორსაც ატარებდნენ იმ დროს) ფეხი წაბლისფერი, ინგლიზირებული ფაშატის ფერდს, რომელზედაც იგი იჯდა; ხელმწიფემ ხელთათმნიანი ხელით სადავე აზიდა და უწესრიგოდ ამოდრავებულ ზღვა ადიუტანტთა თანხლებით ცხენი დაძრა. უფრო და უფრო შორდებოდა ხელმწიფე, სხვა პოლკებთან

ჩერდებოდა, და, ბოლოს, როსტოვი ხედავდა მხოლოდ ამალით გარშემორტყმული ხელმწიფის თეთრ პლუმაჟს[102].

ამალაში, ბატონ მხლებელთა შორის, როსტოვმა შენიშნა ცხენზე ზანტად და დაუდევრად მჯდომარე ბოლკონსკიც. როსტოვს გაახსენდა გუშინდელი შეტაკება მასთან და კვლავ შეეკითხა თავის თავს – უნდა გამოვიწვიო იგი ხმაღში თუ არაო. „რა თქმა უნდა, არა, – გაიფიქრა ახლა როსტოვმა, – ღირს კი ლაპარაკი და ფიქრი ამაზე ისეთ წუთს, როგორც ახლაა. რას წარმოადგენს უმნიშვნელო შეტაკება და წყენა ისეთ წუთს, როდესაც კაცს სიყვარულის, ადფროვანებისა და თავგანწირვის ასეთი გრძნობა ეუფლება?! ამჟამად ყველა მიყვარს, ყველასთვის მიპატიებია“.

როდესაც ხელმწიფემ თითქმის ყველა პოლკი დაათვალიერა, ჯარმა ცერემონიული მარშით გაიარა მის წინ. როსტოვი დენისოვისგან ახალნაყიდ ბედუინზე სულ ბოლოში მისდევდა ესკადრონს, ესე იგი, მარტოდმარტო აღმოჩნდა ხელმწიფის თვალწინ.

ვიდრე ხელმწიფეს გაუსწორდებოდა, როსტოვმა, ჩინებულმა ცხენოსანმა, ორჯერ შემოჰკრა თავის ბედუინს დეზები და ისეთ გაცოფებულ ჩორთულ ალურამდე მიიყვანა, როგორცაც გახურებულმა ბედუინმა იცოდა სიარული. კოხტად კისერმოღერებული და დუჟიანი ტუჩებით, ძუაგაშვერილი, თითქოს ჰაერში მიფრინავსო. ფეხს არ აკარებდა მიწას, მოხდენით გადაჰქონდა ფეხები და უნაცვლებდა მათ ერთმანეთს; ბედუინმა ჩინებულად გაიარა, თითქოს მანაც იგრძნო ხელმწიფის თვალი.

თავად როსტოვმა, უკანფეხბმიქცეულმა და მუცელაკრეფილმა, ცხენთან ერთ მთლიან ნაკვთად ქცეულმა, მოღუშული, მაგრამ ნეტარი სახით ქაჯივით (როგორც დენისოვი ამბობდა) გაიარა ხელმწიფის წინ.

– ყოჩად, პავლოგრადელებო! – ჩაილაპარაკა ხელმწიფემ.

„ღმერთო ჩემო! რა ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა რომ მიბრძანოს, ცეცხლში გადაეშვიო“, – გაიფიქრა როსტოვმა.

როცა დათვალიერება დასრულდა, ახალჩასულნი და კუტუზოვის ოფიცრები ჯგუფებად იკრიბებოდნენ, ლაპარაკობდნენ ჯილდოებზე, ავსტრიელებსა და მათ მუნდირებზე, მათ ფრონტზე, ბონაპარტეზე და იმაზე, თუ რა ცუდი დღე დაადგება ახლა, მეტადრე მაშინ, როცა ჩავა ესენის[103] კორპუსი და როცა პრუსიაც ჩვენს მხარეზე გადმოვა.

მაგრამ ყველაზე მეტად ყოველ წრეში ხელმწიფე ალექსანდრეზე ლაპარაკობდნენ; ერთმანეთს გადასცემდნენ ყოველ მის სიტყვას, აღნიშნავდნენ ყოველ მის მოძრაობას, აღტაცებულნი იყვნენ მისით.

მხოლოდ ერთი სურვილ-წადილი ჰქონდა ყველას: მალე შეჰბოდნენ მტერს ხელმწიფის წინამძღოლობით. ხელმწიფის მეთაურობით შეუძლებელია არ დავამარცხოთ მტერი, ვინც გინდა იყოს იგი, – ფიქრობდა როსტოვი და ოფიცერთა უმეტესობა.

დათვალიერების შემდეგ ყველა დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, უფრო მეტად, ვიდრე დარწმუნებული იქნებოდნენ ორი ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ.

თავი მეცხრე

ჯარის დათვალიერების მეორე დღეს ბორისი საუკეთესო მუნდირში გამოეწყო და ოლმიუცში წავიდა. ბერგმა გზა დაულოცა და წარმატება უსურვა. ბორისი მიდიოდა ბოლკონსკისთან, უნდოდა გამოეყენებინა ამ კაცის კეთილგანწყობა და საუკეთესოდ მოეწყო თავისი მდგომარეობა. მეტადრე სურდა რომელიმე დიდი სამხედრო პირის ადიუტანტობა; განსაკუთრებით სახარბიელოდ მიაჩნდა

ასეთი ადგილი არმიაში. „რა უშავს როსტოვს, რომელსაც მამა ათი ათასს უგზავნის, მას ადვილად შეუძლია თქვას, ქედს არავის მოვუხრი და ლაქიად არავის დავუდგებო; მე კი, რომელსაც საკუთარი თავის გარდა არავინ გამაჩნია, უნდა ვიზრუნო კარიერისთვის, არ გავუშვა ხელსაყრელი შემთხვევა და სათანადოდ გამოვიყენო იგი“.

იმ დღეს ანდრეი ოლმიუცში არ დახვდა. სამაგიეროდ, ოლმიუცის ხილვამ, იმ ოლმიუცისა, სადაც განლაგებული იყო დიპლომატიური კორპუსი და ცხოვრობდა ორივე იმპერატორი ამაღლებითურთ, კარისკაცებით, ახლობლებით, კიდევ უფრო გაამძლიერა მისი სურვილი – ფეხი შეედგა ამ უმაღლეს სამყაროში.

იგი არავის იცნობდა და არც გვარდიელის მოხდენილი მუნდირი შველოდა. ეს მაღალი საზოგადოების ადამიანები, რომელნიც ქუჩებში კოხტა ეტლებს დააქროლებდნენ, რომელთა ცხენებს პლუმაჟები, თავად კი ლენტები და ორდენები ამშვენებდათ, ეს კარისკაცი და სამხედრონი თითქოს ისე მალლა იდგნენ მასზე, გვარდიის უმნიშვნელო ოფიცერზე, რომ არათუ არ უნდოდათ ეცნოთ, მის არსებობასაც კი ვერ გრძნობდნენ. მთავარსარდალ კუტუზოვის სადგომში, სადაც მან ბოლკონსკი იკითხა, ყველანი – ადიუტანტები და სამხედრო მსახურებიც კი ისე უყურებდნენ, თითქოს უნდოდათ ჩაეგონებინათ მისთვის, რომ ისეთი ოფიცერი, როგორც იგია, ძალიან ბევრი დაეთრეოდა აქ და რომ მათ საშინლად მოაბეზრეს ყველას თავი. მიუხედავად ამისა, ან, უფრო სწორად, ამისთვის, მეორე დღეს 15 რიცხვში, ნასადილევს, ბორისმა კვლავ მიაშურა ოლმიუცს და კუტუზოვის სამყოფელ სახლში შესვლისთანავე ბოლკონსკი იკითხა. თავადი ანდრეი შინ იყო. ბორისი დიდ დარბაზში შეიყვანეს, სადაც წინათ, ალბათ, ცეკვავდნენ კიდევ სადღესასწაულო დღეებში, ხოლო ახლა ხუთი საწოლი და სხვადასხვა ავეჯი იდგა: მაგიდა, სკამები, კლავიკორდი. ერთი ადიუტანტი, სპარსულხალათიანი, კარის მახლობლად მაგიდას მისჯდომოდა და წერდა. მეორე, წითური, სქელი ნესვიცკი, საწოლზე იწვა, ხელი თავქვეშ ამოედო და ახლო მიმჯდარ ოფიცერთან ერთად იცინოდა. მესამე კლავიკორდზე ვენურ ვალსს უკრავდა, მეოთხე – იმავე საწოლზე წამოწოლილი, ხმას აყოლებდა ვალსს. ბოლკონსკი იქ არ იყო. ოთახში მყოფთაგან ბორისის დანახვაზე არავინ განძრეულა. იმან, ვინც წერდა, და ვისაც ბორისმა მიმართა, უკმაყოფილოდ მიიბრუნა მისკენ პირი და უთხრა: ბოლკონსკი მორიგეა და თუ მისი ნახვა გსურთ, მიბრძანდით მარცხნივ, მისაღებ ოთახშიო. ბორისმა მადლობა გადაუხადა და მისაღებ ოთახს მიაშურა. მისაღებ ოთახში ათამდე ოფიცერი და გენერალი იყო.

იმ დროს, როცა ბორისი შევიდა, თავადი ანდრეი, უკმაყოფილოდ თვალმოჭუტული (იმ თავაზიანი დაღლილობის განსაკუთრებული გამომეტყველებით, რომელიც ცხადად ამბობს, თუ არა მოვალეობა, ერთ წუთსაც არ გავაზამდი თქვენთან ლაპარაკსო), ყურს უგდებდა ორდენებით დამშვენებულ მოხუც რუს გენერალს, რომელიც, თითქმის ფეხის თითებზე შემდგარი, გამოჭიმული, ჯარისკაცური პირმოთნეობით, მოწითალო სახეზე რომ აღბეჭდოდა, რაღაცას მოახსენებდა თავად ანდრეის.

– ძალიან კარგი, გთხოვთ დაიცადოთ, – უთხრა მან გენერალს რუსულად იმ ფრანგული გამოთქმით, რომელსაც იგი მიმართავდა მაშინ, როცა თავისი უგულუბელყოფის გამოხატვა სურდა, და რაკი ბორისიც შენიშნა, თავადმა ანდრეიმ მიატოვა გენერალი (რომელიც ვედრებით უკან დასდევდა და ეხვეწებოდა, მოესმინა კიდევ რაღაც), მხიარული ღიმილით თავი დაუქნია მას და გამორდა.

ბორისი ამ წუთს უკვე ნათლად მიხვდა იმას, რასაც წინათაც გრძნობდა, სახელდობრ, რომ არმიაში, იმ სუბორდინაციისა და დისციპლინის გარდა, რაც წესდებაში ჩაეწერათ, რაც ოლქშიც იცოდნენ და თავადაც იცოდა, არსებობდა მეორე, გაცილებით არსებითი, დაუწერელი სუბორდინაცია; ის, რომელიც აიძულებდა ამ მოწითალო სახის გენერალს მოწიწებით მოეცადა მაშინ, როცა კაპიტანი თავადი ანდრეი თავისდა სასიამოვნოდ უფრო მოხერხებულად მიიჩნევდა საუბარი გაება პრაპორშჩიკ

დრუბეცკოისთან. ბორისმა ახლა საბოლოოდ გადაწყვიტა, გაჰყოლოდა ცხოვრებაში არა იმ წერილობით წესდებას, არამედ ამ დაუწერელ სუბორდინაციას. ახლა ბორისი გრძნობდა: მარტო იმიტომ, რომ მას თავად ანდრეისთან რეკომენდაცია ჰქონდა, ერთბაშად გენერალზე მალა დადგა, – გენერალზე, რომელსაც სხვა შემთხვევაში, ფრონტზე, შეეძლო მისი, გვარდიის პრაპორშჩიკის, განადგურება. თავადი ანდრეი ბორისთან მივიდა და ხელი მოჰკიდა.

– ძალზე ვწუხვარ, რომ გუშინ შინ არ დაგიხვდით. მთელი დღე გერმანელებს მოვანდომე. ვეიროტერთან ერთად დისპოზიციის[104] შესამოწმებლად ვიყავი. თუ გერმანელმა წესიერებას ჩასჭიდა ხელი, დასასრულს ვეღარ ეღირსები.

ბორისმა გაიღიმა, თითქოს ესმოდა ის, რაზედაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილზე, თავადი ანდრეი მხოლოდ გაკვრით ელაპარაკებოდა. მაგრამ მას პირველად ესმოდა გვარი ვეიროტერიც და თვით სიტყვა დისპოზიციაც.

– მაშ, ჩემო კარგო, ადიუტანტობა გინდათ, არა? მე ვფიქრობდი თქვენზე ამ ხნის განმავლობაში.

– დიახ, – მიუგო ბორისმა და უნებურად გაწითლდა, – მინდოდა მეთხოვნა მთავარსარდლისთვის, რომელსაც თავადმა კურაგინმა ჩემ შესახებ წერილი გამოუგზავნა; მინდოდა მეთხოვნა მხოლოდ იმიტომ, – დაუმატა მან თითქოს ბოდიშის მოსახდელად, – რომ, ვშიშობ, გვარდია ბრძოლაში არ ჩაებმება.

– კეთილი, კეთილი! ყველაფერზე მოვილაპარაკებთ, – უთხრა თავადმა ანდრეიმ, – მხოლოდ დამაცადეთ, მოვახსენო აი, ამ ბატონის შესახებ, მერე თქვენს ხელთ ვიქნები.

იმ დროს, როცა თავადი ანდრეი მთავარსარდალთან შევიდა წითურ გენერალზე მოსახსენებლად, ამ გენერალმა, რომელიც, ეტყობოდა, არ იზიარებდა ბორისის აზრს დაუწერელი სუბორდინაციის სარფიანობის შესახებ, ისე დააშტერა თვალები უტიფარ პრაპორშჩიკს, რომელმაც არ დააცადა ლაპარაკის დამთავრება ადიუტანტთან, რომ ბორისმა უხერხულად იგრძნო თავი. იგი მიტრიალდა და მოუთმენლად დაუწყო ცდა თავად ანდრეის გამოსვლას მთავარსარდლის კაბინეტიდან.

– აი, ჩემო კარგო, რას ვფიქრობდი თქვენზე, – უთხრა თავადმა ანდრეიმ, როცა ისინი დიდ დარბაზში შევიდნენ, სადაც კლავიკორდი იდგა, – არ ღირს მთავარსარდალთან თქვენი წასვლა, ათასი ქათინაურით გაგიმასპინძლებათ, გეტყვით, სადილად მოდიო („ეს მაინცდამაინც ურიგო არ იქნება იმ სუბორდინაციის ხაზით სამსახურისთვის“, გაიფიქრა ბორისმა), მაგრამ აქედან მეტი არაფერი გამოვა; ჩვენ, ადიუტანტები და სამხედრო შიკრიკები, იმდენნი ვართ აქ, რომ მალე ბატალიონი შედგება. აი, როგორ მოვიქცეთ: მე მყავს ერთი კარგი მეგობარი, გენერალ-ადიუტანტი და საუცხოო ადამიანი, თავადი დოლგორუკოვი; შეიძლება თქვენ არც კი იცოდეთ, რომ ამჟამად კუტუზოვი თავისი შტაბით და ჩვენ ყველანი არაფერსაც არ წარმოვადგენთ: ყველაფერი ახლა ხელმწიფის ხელშია თავმოყრილი. ჰოდა, წავიდეთ დოლგორუკოვთან, მაინც საქმე მაქვს მასთან, უკვე ველაპარაკე თქვენზე; იქ ნახავთ, რა გამოვა. იქნებ დოლგორუკოვმა შესაძლებლად მიიჩნიოს თქვენი დატოვება თავისთან ან მოგაწყობთ სადმე სხვაგან, უფრო ახლო მზესთან.

თავადი ანდრეი, როცა შემთხვევა მიეცემოდა, ყოველთვის ცდილობდა გზა გაეკვლია ნიჭიერი ახალგაზრდა კაცისთვის და დახმარებოდა მას საზოგადოებაში წარმატების მოსაპოვებლად. სხვისთვის ამგვარი დახმარების გაწევის საბაზით, რასაც თავად სიამაყის გამო არასოდეს მიიღებდა, იგი ახლო იდგა იმ წრესთან, რომელიც წარმატებას უქადდა და რომელიც თავისკენ იზიდავდა. მან დიდი ხალისით იკისრა ბორისის დახმარება და მასთან ერთად თავად დოლგორუკოვთან წავიდა.

უკვე გვიანი სადამო იყო, როცა ისინი ოლმიუცის სასახლეში შევიდნენ; ეს სასახლე იმპერატორებსა და მათ ახლობლებს ეჭირათ.

სწორედ იმ დღეს სამხედრო თათბირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჰოფკრიგსრატის ყველა წევრი და ორივე იმპერატორი. თათბირზე მოხუცების – კუტუზოვისა და თავად შვარცენბერგის მოსაზრების საწინააღმდეგოდ გადაწყდა, დაუყოვნებლივ შებრძოლებოდნენ ბონაპარტეს. სამხედრო თათბირი ის-ის იყო, დასრულდა, როცა თავადი ანდრეი ბორისის თანხლებით სასახლეში შევიდა თავად დოლოგორუკოვის მოსამებნად. ოლმიუცის სასახლის ბინადარი ჯერ კიდევ დღევანდელი, ახალგაზრდების პარტიისთვის ძლევამოსილი სამხედრო თათბირის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. ისე ერთსულოვნად ჩაახშვეს იმათი ხმა, ვინც მოითხოვდა დაყოვნებას და შეტევის გადადებას, ისე უგულვებელყვეს მათი მოსაზრებანი შეტევის ხელსაყრელობის აშკარად დამამტკიცებელი საბუთებით, რომ ის, რაზედაც თათბირზე ლაპარაკობდნენ, მომავალი ბრძოლა და, უეჭველად, გამარჯვებაც თითქოს უკვე წარსულს ეკუთვნოდა და არა მომავალს. ყველაფერი რუსების გამარჯვების მომასწავებელი იყო. უდიდესი ძალას, რომელიც, ეჭვგარეშეა, სჭარბობდა ნაპოლეონისას, თავი მოეყარა ერთ ადგილას; ჯარი აღფრთოვანებული იყო იმპერატორების მასთან ყოფნით და ბრძოლას ნატრობდა; სტრატეგიულ პუნქტს, სადაც მოქმედება უნდა გაშლილიყო, დაწვრილებით იცნობდა ავსტრიელი გენერალი ვეიროტერი, რომელიც ჯარს ხელმძღვანელობდა (ბედნიერი შემთხვევა იყო, რომ წინა წელს ავსტრიის ჯარმა მანევრები ჩაატარა სწორედ იმ ადგილებში, სადაც ახლა ბრძოლა უნდა გამართულიყო). დაწვრილებით ცნობილი და რუკაზე გადატანილი იყო ჯარის წინ მდებარე ადგილი; თავად ნაპოლეონი, ალბათ, იმდენად დასუსტებულიყო, რომ უმოქმედოდ იდგა.

დოლოგორუკოვი, შეტევის ერთ-ერთი ყველაზე მხურვალე მომხრეთაგანი, ის-ის იყო, დაბრუნდა თათბირიდან; დაბრუნდა დაღლილი, გაწამებული, მაგრამ ამავედროულად ახალი ენერგიით აღსავსე და თათბირზე მოპოვებული გამარჯვებით გაამაყებული. თავადმა ანდრეიმ წარუდგინა თავისი მფარველობის ქვეშ მყოფი ოფიცერი, მაგრამ თავადმა დოლოგორუკოვმა, მართალია თავაზიანად და მაგრად კი ჩამოართვა ხელი ბორისს, მაგრამ არაფერი უთხრა; მან, ალბათ თავი ვეღარ შეიკავა იმ აზრთა გამოთქმისგან, რომლებიც იმ წუთს ყველაზე მეტად იტაცებდნენ, და ფრანგულად მიმართა თავად ანდრეის:

– რომ იცოდეთ, ჩემო კარგო, რა ბრძოლა გადავიტანეთ! ღმერთმა ქნას მხოლოდ, რომ ის, რაც მას შედეგად მოჰყვება, ასევე ძლევამოსილი იყოს. მაგრამ, – განაგრძო მან ნაწყვეტ-ნაწყვეტ და გაცხარებით, – უნდა ვალიარო, დამნაშავე ვარ ავსტრიელებისა და, მეტადრე, ვეიროტერის წინაშე. რა სიზუსტე, რა დეტალები, რა ცოდნა ადგილისა, რა გათვალისწინება ყოველი შესაძლებლობისა, ყოველი პირობისა, ყოველი წვრილმანისა! არა, ჩემო კარგო, განგებ ვერ გამოიგონებს კაცი იმაზე ხელსაყრელ პირობებს, რომლებშიც ჩვენ ვიმყოფებით. ავსტრიელთა წინდახედულების შეერთება რუსთა სიმამაცესთან – რაღა გნებავთ კიდევ?

– მაშ, საბოლოოდ გადაწყდა შეტევა? – თქვა ბოლკონსკიმ.

– იცი რა, ჩემო კარგო, მე მგონია, ბონაპარტეს მთლად დაებნა თავგზა. იცით, რომ დღეს მისგან წერილი მოუვიდა იმპერატორს? – დოლოგორუკოვმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

– აი, თურმე რა ყოფილა! მერედა რას იწერება? – ჰკითხა ბოლკონსკიმ.

– რას მოიწერება? ტრადირიდირას[105] და სხვა ამისთანას, მხოლოდ დროის მოსაგებად. გეუბნებით, ხელში გყავს ჩაჭერილი; სრული სიმართლეა! მაგრამ სერი ის იყო, – თქვა მან და უეცრად კეთილად გაიცინა, – ვერ იქნა, ვერ მოვისაზრეთ, როგორ მიგვემართა მისთვის წერილში. ვგონებ, თუ კონსული

არ შეიძლება, თავისთავად იგულისხმება, რომ იმპერატორიც მიუღებელია, და მაშინ გენერალი ბონაპარტე უნდა აღინიშნოს...

– მაგრამ იმპერატორად არცნობასა და გენერალ ბონაპარტედ მიმართვას შორის ხომ განსხვავებაა, – თქვა ბოლკონსკიმ.

– ეგ არის სწორედ, – სწრაფად და ღიმილით ჩამოართვა დოღგორუკოვმა სიტყვა, – იცნობთ ბილიბინს? ჭკვიანი კაცია! ჰოდა, მან ასეთი მისამართი გვირჩია: „უზურპატორსა და ადამიანთა მოდგმის მტერს“.

დოღგორუკოვმა მხიარულად გადაიხარხარა.

– მარტო ეგ? – შენიშნა ბოლკონსკიმ.

– მაგრამ ბილიბინმა მაინც გამონახა სერიოზული ტიტული მისამართისთვის. გონებამახვილი და ჭკვიანი კაცია...

– როგორი ტიტული?

– საფრანგეთის მთავრობის მეთაურს, au chef du gouvernement français, – სერიოზულად და სიამოვნებით წარმოთქვა თავადმა დოღგორუკოვმა, – ხომ კარგია?

– კარგია, მაგრამ ძალიან არ მოეწონება, – შენიშნა ბოლკონსკიმ.

– რა თქმა უნდა! ჩემი ძმა იცნობს: არაერთხელ უსადილია მასთან, ახლანდელ იმპერატორთან, პარიზში; ჰოდა, ძმამ მითხრა, მაგაზე მოხერხებულ და ეშმაკ დიპლომატს არ შევხვედრივარო: ფრანგული მოხერხებულობისა და იტალიური აქტიურობის ნაზავს წარმოადგენსო. იცით თუ არა ანეკდოტი მასზე და გრაფ მარკოვზე. მარტო გრაფმა მარკოვმა იცოდა, თუ როგორ უნდა მოპყრობოდა ბონაპარტეს. მაშ, არ გაგიგონიათ ცხვირსახოცის ისტორია? მშვენიერი ამბავია!

და ენაწყლიანმა დოღგორუკოვმა უამბო მათ ეს ანეკდოტი, ამასთან, იგი ხან ბორისს, ხან თავად ანდრეის მიმართავდა. ბონაპარტემ, ჩვენი ელჩის გამოსაცდელად, მის წინ იატაკზე ცხვირსახოცი დააგდო თურმე; შეჩერდა და დააცქერდა ალბათ, სამსახურს მოელოდა მარკოვისგან; მარკოვმა კი იქვე თავისი ხელსახოციც დააგდო, მერე დაიხარა და თავისი აიღო, ნაპოლეონისას კი ხელი არ ახლო.

– Charmant (საუცხოოა), – თქვა ბოლკონსკიმ, – მაგრამ აი რა, თავადო, გაიხელით მთხოვნელად ამ ახალგაზრდა კაცისთვის. უნდა მოგახსენოთ...

მაგრამ თავადმა ანდრეიმ ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ ოთახში ადიუტანტი შევიდა და თავადი დოღგორუკოვი იმპერატორთან მიიხმო.

– ოჰ, როგორ ვწუხვარ! – წამოიძახა დოღგორუკოვმა, სწრაფად წამოდგა და თავად ანდრეისა და ბორისს ხელი ჩამოართვა, – დიდად მოხარული ვიქნები გავაკეთო ყველაფერი, რაც ჩემს ხელთ არის, როგორც თქვენთვის, ისე ამ საყვარელი ახალგაზრდა კაცისთვის, – მან ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი ბორისს ისეთი გამომეტყველებით, რომელიც გულკეთილ, გულწრფელ და მეტისმეტ დაუდევრობას გამოხატავდა, – მაგრამ ხომ ხედავ... სხვა დროისთვის გადავდოთ.

ბორისს აღელვებდა უმაღლეს ხელისუფალთა სიახლოვე, რომელშიც იგი ამ წუთს გრძნობდა თავს. მას ეგონა, რომ აქ იმ ჭახრაკებთან იყო, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ მასების უზარმაზარ მოძრაობას და ამ მოძრაობის პატარა, მორჩილ და უმნიშვნელო ნაწილად გრძნობდა თავს საკუთარ პოლკში. თავად დოღგორუკოვთან დამშვიდობების შემდეგ ბოლკონსკი და ბორისი დერეფანში გავიდნენ და იქ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ, არცთუ მაღალ მამაკაცს შეხვდნენ (ხელმწიფის ოთახის იმ კარიდან გამომავალს, რომელშიც დოღგორუკოვი შევიდა). მას ჭკვიანური სახე და მკვეთრად წინ

წამოწეული ყბა ჰქონდა, რომელიც კი არ უმჯობინებდა სახეს, განსაკუთრებულად ცოცხალ და გერგილიან გამომეტყველებას აძლევდა. მან, როგორც ახლობელს, თავი დაუქნია დოლოგორუკოვს, ცივად დააშტერდა თავად ანდრეის და პირდაპირ მისკენ გაემართა. ალბათ მოელოდა, რომ თავადი ანდრეი თავს დაუკრავდა ან გზას მისცემდა. თავადმა ანდრეიმ არც თავი დაუკრა, არც გზა მიუცია და სახეზეც სიძულვილი აღებეჭდა. ახალგაზრდა კაცმაც პირი იბრუნა და დერეფნის მხრით ჩაიარა.

– ვინ არის ეს კაცი? – იკითხა ბორისმა.

– ეგ არის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე უსიამოვნო კაცი. ეგ არის საგარეო საქმეთა მინისტრი, თავადი ადამ ჩარტორიჟსკი.

– აი, ეს ადამიანები, – თქვა სახლიდან გამოსვლისას ბოლკონსკიმ ამოოხვრით, რის შეკავებაც ვერ მოახერხა, – აი, ეს ადამიანები წყვეტენ ხალხთა ბედს.

მეორე დღეს ჯარი სალაშქროდ გაემართა და ბორისმა თვით აუსტერლიცის ბრძოლამდე ვეღარ მოასწრო ვერც ბოლკონსკის, ვერც დოლოგორუკოვის ნახვა, და რამდენიმე ხნით ისევ იზმაილოვსკის პოლკში დარჩა.

თავი მეათე

16 ნოემბერს, გარიჟრაჟზე, დენისოვის ესკადრონი, რომელშიც ნიკოლაი როსტოვი მსახურობდა და რომელიც თავად ბაგრატიონის რაზმში შედიოდა, ღამისსათევიდან, როგორც ამბობდნენ, საბრძოლველად გაემართა, და სხვა კოლონებს უკან მიმავალი, დაახლოებით ერთი ვერსის გავლის შემდეგ დიდ გზაზე გააჩერეს. როსტოვი ხედავდა, როგორ გაუარეს გვერდით და წინ გაემართნენ კაზაკები, ჰუსართა პირველი და მეორე ესკადრონი, ქვეითი ბატალიონები არტილერიითურთ; გაიარეს აგრეთვე გენერლებმა ბაგრატიონმა და დოლოგორუკოვმა ადიუტანტებითურთ. მთელმა შიშმა, რომელსაც როსტოვი წინანდებურად განიცდიდა ბრძოლის წინ, მთელმა შინაგანმა ბრძოლამ, რომლის მეოხებითაც მან ეს შიში დასძლია, მთელმა მისმა ოცნებამ, რომ ჰუსარულად ისახელებდა თავს ამ ბრძოლაში, – ამაოდ ჩაუარა. მათი ესკადრონი რეზერვში დატოვეს, და ნიკოლაი როსტოვმა მთელი ეს დღე მოწყენით და ნაღვლიანად გაატარა. დილის ცხრა საათზე წინიდან მოესმა სროლის ხმა და Урга-ს ძახილი. დაინახა უკან ჩატარებული დაჭრილები (ცოტანი იყვნენ) და, ბოლოს, დაინახა, როგორ ჩაიარა კაზაკთა ასეულით გარშემორტყმულმა ფრანგ კავალერიისტთა მთელმა რაზმმა. ცხადად ჩანდა, რომ ბრძოლა უკვე დასრულებულიყო, ჩანდა აგრეთვე, რომ ბრძოლამ (ალბათ მცირე ბრძოლამ) ბედნიერად ჩაიარა. დაბრუნებული და უკან მიმავალი ჯარისკაცები და ოფიცრები იუწყებოდნენ ბრწყინვალე გამარჯვებაზე, ქალაქ ვიშაუს დაკავებასა და ფრანგთა მთელი ესკადრონის დატყვევებაზე. ღამის ძლიერი ჭირხლის შემდეგ მოწმენდილი დღე დადგა, მზიანი, და შემოდგომის დღის მხიარული ბრწყინვალეობა გამარჯვების ცნობას დაემთხვა; ამ გამარჯვებას ცხადყოფდა არა მარტო ბრძოლის მონაწილეთა ნაამბობი, არამედ იქ მიმავალ და იქიდან დაბრუნებულ და როსტოვის წინ გავლილ ჯარისკაცთა, ოფიცერთა, გენერალთა და ადიუტანტთა სახის მხიარული გამომეტყველებაც. მით უფრო სტკიოდა ნიკოლაის გული, რომ ამაოდ განიცადა მთელი ის შიში, რომელიც წინ უძღვის ბრძოლას, რასაც უმოქმედოდ გატარებული დღეც დაერთო.

– როსტოვ, მოდი აქ, დავლიოთ, ბოლმა ჩავიკლათ! – დაუძახა დენისოვმა, რომელიც გზის პირას მათარასა და საუზმეს მისჯდომოდა.

დენისოვის სამგზავრო ყუთის ირგვლივ თავი მოიყარეს ოფიცრებმა, – ლაპარაკობდნენ და საუზმეს შეეჭკეოდნენ.

– აგერ ერთი კიდევ მოჰყავთ! – თქვა ერთ-ერთმა ოფიცერმა და ხელი გაიშვირა ტყვე ფრანგი დრაგუნისკენ, რომელსაც ორი ქვეითი კაზაკი მისდევდა.

ერთ მათგანს სადავით მოჰყავდა ზორბა და ლამაზი ფრანგული ცხენი, რომელიც ტყვე დრაგუნისთვის ჩამოერთმიათ.

– მომყიდე ცხენი! – დაუყვირა დენისოვმა კაზაკს.

– ინებეთ, თქვენო კეთილშობილებავ...

ოფიცრები წამოდგნენ და ტყვე ფრანგს შემოეხვივნენ. ფრანგი დრაგუნი ყოჩაღი ახალგაზრდა იყო, ელზასელი, გერმანული აქცენტით ფრანგულად მოლაპარაკე. სული ეხუთებოდა მღელვარებისგან, სახე გასწითლებოდა; როგორც კი გაიგონა ფრანგული, სწრაფად გამოელაპარაკა ოფიცრებს, ამასთან ხან ერთს, ხან მეორეს მიმართავდა. დამნაშავე არა ვარ, რომ ტყვედ წამომიყვანესო, – ამბობდა დრაგუნი, – დამნაშავე le caporal-ია, რომელმაც ჩულებისთვის გამგზავნა, თუმცა ვეუბნებოდი, რუსები უკვე იქ არიან-მეთქი. და ყოველ სიტყვას უმატებდა: Mais qu'on ne fasse pas de mal à mon petit cheval (ჩემი ცხენი შეიბრალებო), თან ეაღერებოდა ცხენს. ეტყობოდა, კარგად არ ესმოდა, სად იყო. ხან ბოდიშს იხდიდა ტყვედ ჩავარდნისთვის, ხან ფიქრობდა, რომ თავისი უფროსების წინაშე დგას და ჯარისკაცურ გულმოდგინებას და სამსახურებრივ ერთგულებას იჩენდა. მან რუსულ არიერგარდში სრულიად უცვლელად მოიტანა ფრანგული ჯარის ატმოსფერო, რომელიც ასე უცხო და უცნობი იყო რუსებისთვის.

კაზაკებმა ცხენი ორ ჩერვონეცად[106] დათმეს და იგი სახლიდან გამოგზავნილი ფულის მიღების შემდეგ იყიდა როსტოვმა, ყველაზე მდიდარმა ოფიცერმა.

– Mais qu'on ne fasse pas de mal à mon petit cheval (შეიბრალებო ჩემი ცხენი), – გულკეთილად მიმართა ელზასელმა როსტოვს, როდესაც ცხენი ჰუსარს გადასცეს.

როსტოვმა ღიმილით დაამშვიდა დრაგუნი და ფული აჩუქა.

– Алé! Алé! – უთხრა კაზაკმა ტყვეს და ხელი წაატანა, წავიდეთო.

– ხელმწიფე! ხელმწიფე! – უეცრად გაისმა ჰუსართა შორის.

ყველა გაიქცა, ყველა აჩქარდა და როსტოვმა უკან, გზაზე დაინახა რამდენიმე ცხენოსანი თეთრი, ჯილით მორთული ქუდებით. თვალის დახამხამებაში ყველა თავის ადგილას იდგა და ელოდებოდა.

როსტოვს არ ახსოვდა და არ უგრძნია, როგორ მიირბინა თავის ადგილამდე და როგორ მოახტა ცხენს. ერთბაშად დაავიწყდა ის წუხილი, რომ ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო, გაიარა მისმა ყოველდღიურმა სულისკვეთებამ, გამოწვეულმა უკვე შეჩვეულ პირთა წრეში ყოფნით, ერთბაშად გაქრა ყოველი ფიქრი საკუთარ თავზე: მთელი მისი არსება ხელმწიფის სიახლოვით აღძრულმა ბედნიერებამ მოიცვა. მარტოოდენ ამ სიახლოვით იგი უკვე დაჯილდოებულად გრძნობდა თავს. ისე ბედნიერი იყო, როგორც შეყვარებული, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ რომ ეღირსა პაემანს. ფრონტზე მყოფი როსტოვი ვერ ბედავდა სხვა მხარეს გახედვას და არც იხედებოდა, მაგრამ აღტყინებული ალღოთი გრძნობდა ხელმწიფის მოახლოებას და ამას გრძნობდა არა მხოლოდ მოახლოებულ კავალკადის ცხენების ფეხის ხმაზე, ამას გრძნობდა იმიტომაც, რომ რაც უფრო ახლოვდებოდნენ ცხენოსნები, მით უფრო ნათელი, სასიხარულო და სადღესასწაულო ელფერი ედებოდა ირგვლივ ყველაფერს. უფრო და უფრო ახლოვდებოდა ეს მზე როსტოვისა, რომელიც უფრო და უფრო ავრცელებდა თავის გარშემო მშვიდ და დიდებულ სხივებს, და აი, როსტოვი უკვე გრძნობს, რომ მოცულია ამ სხივებით. უკვე ესმის მისი ხმა – ალერსიანი, წყნარი, დიდებული და იმავე დროს ესოდენ

უბრალო. როგორც როსტოვის განცდის მიხედვით უნდა მომხდარიყო, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში გაისმა ხელმწიფის ხმა.

– Les huzards de Pavlograd (პავლოგრადელი ჰუსარები ხართ)? – იკითხა მან.

– La réserve, sire (რეზერვია, თქვენო უდიდებულესობავ)! – მიუგო ვიდაცის მიწიერმა ხმამ იმ ზეკაცური ხმის შემდეგ, რომელმაც იკითხა, Les huzards de Pavlograd (პავლოგრადელები ხართო)?

ხელმწიფე როსტოვს გაუსწორდა და გაჩერდა. ალექსანდრეს სახე ახლა უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე ჯარის დათვალიერებისას, სამი დღის წინათ. იგი ბრწყინავდა ისეთი სიხარულითა და ახალგაზრდობით, ისეთი წრფელი ახალგაზრდობით, როსტოვს რომ აგონებდა თოთხმეტი წლის ყმაწვილის სიმკვირცხლეს, თუმცა კი ამავდროულად მაინც დიდებული იმპერატორის სახე იყო. როდესაც ხელმწიფემ ესკადრონს გადახედა, შემთხვევით მისი თვალები როსტოვის თვალებს შეხვდნენ და არაუმეტეს ორი წამისა მზერა მათზე შეაჩერა. ვინ იცის, მიხვდა თუ არა ხელმწიფე, რა ხდებოდა როსტოვის გულში (თუმცა როსტოვს მოეჩვენა, ყველაფერს მიხვდაო), ეს კია, რომ თავისი ცისფერი თვალები ორიოდ წამით მის სახეზე შეაჩერა (ლმობიერად და მშვიდად აფრქვევდნენ ეს თვალები სინათლეს), მერე უეცრად წარბები აზიდა, მკვეთრი მოძრაობით მარცხენა ფეხი ცხენს შემოჰკრა და წინ გაეშურა.

ახალგაზრდა იმპერატორს არ შეეძლო თავი შეეკავებინა ბრძოლის დროს ჯარში ყოფნის სურვილისგან. კარისკაცთა ყოველგვარი მომიზეზების მიუხედავად, 12 საათზე ჩამოშორდა მესამე რაზმს, რომელთან ერთადაც იგი ჯარს მისდევდა, და გაეშურა ავანგარდისკენ. ჯერ ჰუსარებთან არც კი იყო მისული, რომ რამდენიმე ადიუტანტმა ბრძოლის ბედნიერად დამთავრება ახარა.

ბრძოლა, რომელიც მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ჩვენებმა ხელთ იგდეს ფრანგთა ესკადრონი, წარმოადგინეს რუსეთის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებად. ამიტომ ხელმწიფესაც და მთელ ჯარსაც, მეტადრე ბრძოლის ველზე თოფის წამლის კვამლის გაფანტვამდე, სჯეროდათ, რომ ფრანგები დამარცხდნენ და თავიანთი სურვილის წინააღმდეგ უკან იხევდნენ. ხელმწიფის გავლიდან რამდენიმე წუთის შემდეგ პავლოგრადელების დივიზიონს უბრძანეს, წინ წასულიყო. თვით ვიშაუში, პატარა გერმანულ ქალაქში, როსტოვმა ერთხელ კიდეც ნახა ხელმწიფე. ქალაქის მოედანზე, სადაც ხელმწიფის გავლამდე დიდი სროლა იყო, რამდენიმე მოკლული და დაჭრილი კაცი ეგდო, – ვერ მოესწროთ მათგან მოედნის გათავისუფლება. ხელმწიფე, სამხედროთა და არასამხედროთაგან შემდგარი ამალით გარშემორტყმული, ინგლიზირებულ თაფლა ფაშატზე იჯდა (სხვა ცხენზე და არა იმაზე, რომლითაც ჯარს ათვალიერებდა) და, გვერდზე გადახრილი, თვალთან გრაციოზულად მიტანილი ოქროს ლორნეტით დაჰყურებდა პირქვე დამხოვილ, უკვივრო[107], თავგასისხლიანებულ ჯარისკაცს. დაჭრილი იმდენად გასაცოდავებული და საშინელი შესახედავი იყო, რომ ხელმწიფესთან მისმა სიახლოვემ როსტოვი დააფრთხო. მან შენიშნა, როგორ აუცახცახდა ხელმწიფის ოდნავ წახრილი მხრები, თითქოს ჟრუანტელმა დაუარაო, როგორ მოუსვენრად წაუშინა მარცხენა ფეხით დეზი ცხენს და როგორ გულგრილად მიიხედა გაწვრთნილმა ცხენმა უკან, მაგრამ ფეხი მაინც არ დაძრა. ცხენიდან ჩამომხტარმა ადიუტანტმა მკლავში წაავლო დაჭრილს ხელი და მოინდომა მისი დაწვენა უცბად გაჩენილ საკაცზე. ჯარისკაცმა დაიკვნესა.

– წყნარად, წყნარად, ნუთუ არ შეიძლება წყნარად? – წამოიძახა ხელმწიფემ და იქაურობას მოშორდა. ეტყობოდა, მომაკვდავზე უფრო ის იტანჯებოდა.

როსტოვმა დაინახა ცრემლით ავსებული ხელმწიფის თვალები და გაიგონა, როგორ უთხრა მან ჩარტორიჟსკის:

– Quelle terrible chose, que la guerre (რა საშინელებაა ომი, რა საშინელებაა)!

ავანგარდის ჯარმა ვიშაუს წინ დაიკავა ადგილი, მტრის მოწინავე მწკრივის პირისპირ, რომელიც მთელი დღის განმავლობაში, მცირე სროლის ატეხისთანავე უკან იხევდა და რუსებს უტოვებდა თავის ადგილს. ავანგარდს ხელმწიფის სახელით მადლობა გამოუცხადეს, დაჰპირდნენ ჯილდოებს, ხოლო ჯარისკაცებს არყის ორმაგი ულუფა დაურიგეს. წინა ღამეზე უფრო მხიარულად გიზგიზებდნენ ბანაკის კოცონები და გაისმოდა ჯარისკაცთა სიმღერა. დენისოვმა ამ ღამეს მაიორობის მიღება იდღესასწაულა და როსტოვმა, უკვე გვარიანად ნასვამმა, ქეიფის დასასრულს ხელმწიფის სადღეგრძელო წარმოთქვა, მაგრამ „არა ხელმწიფე იმპერატორისა, როგორც ოფიციალურ სადილებზე ამბობენ, – თქვა მან, – არამედ ხელმწიფისა, კეთილი, მომხიბვლელი და დიადი ადამიანისა; დავლით მისი სადღეგრძელო და ვისურვოთ უეჭველი გამარჯვება ფრანგებზე“.

– თუ წინათ თავდადებით ვებრძოდით და ცუდ დღეს ვაყენებდით ფრანგებს, როგორც შენგრაბენტან, – თქვა მან, – რაღა იქნება ახლა, როცა იმპერატორი წინ მიგვიძღვის? ყველანი დავიხოცებით, სიამოვნებით დავიხოცებით მისთვის. ხომ ასეა, ბატონებო? იქნებ ისე ვერ ვამბობ, ბევრი დავლიე; დიახ, ასე ვგრძნობ მე, თქვენც, ალბათ, ასე გრძნობთ. გაუმარჯოს ალექსანდრე პირველს. Ура!

– Ура! – გაისმა ოფიცრების აღფრთოვანებული ხმები.

ხანში შესული როტმისტრი კირსტენიც აღფრთოვანებული გაჰყვიროდა, თანაც, არანაკლებ გულწრფელად, ვიდრე ოცი წლის როსტოვი.

როდესაც ოფიცრებმა დალიეს და თავიანთი ჭიქები დაამსხვრიეს, კირსტენმა სხვა ჭიქები აავსო, მერე, პერანგისა და რეიტუზის ამარა, ჭიქით ხელში ჯარისკაცთა კოცონებთან მივიდა, დიდებულად აიქნია ხელი მაღლა და თავისი გრძელი, ჭადარა უღვაშითა და თეთრი მკერდით, რომელიც გაღელილ პერანგს შიგნით მოუჩანდა, კოცონთან გაჩერდა.

– ბიჭებო, ეს ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო იყოს, მტრებზე გამარჯვების სადღეგრძელო! Ура! – დასჭექა კირსტენმა ბებრული, მაგრამ ვაჟკაცური ჰუსარული ბარიტონით.

ჰუსარები შეჯგუფდნენ და ერთსულოვანი შემახილით უპასუხეს.

გვიან ღამით, როცა ყველანი დაიშალნენ, დენისოვმა თავისი მოკლე ხელი წაუთათუნა მხრებზე მისთვის ასე საყვარელ როსტოვს.

– ლაშქრობაში შესაყვარებელი არავინ ჩანს, ამიტომაც მას ხელმწიფე შეუყვარდა, – ღიმილით თქვა მან.

– სახუმარო არ არის ეს, დენისოვ! – წამოიძახა როსტოვმა, – ეს ისეთი ამაღლებული, ისეთი მშვენიერი გრძნობაა, ისეთი...

– მწამს, მწამს, მეგობარო, ვიზიარებ და ვიწონებ...

– არა, არ გესმის!

და ფეხზე წამომდგარმა როსტოვმა ხეტიალი დაიწყო კოცონებს შორის; იგი ოცნებობდა იმაზე, თუ რა ბედნიერებაა სიკვდილი არა ხელმწიფის სიცოცხლის გადასარჩენად (ამაზე ოცნებასაც ვერა ბედავდა), არამედ მხოლოდ მის თვალწინ. როსტოვი მართლა შეყვარებული იყო: უყვარდა მეფეც, რუსი მხედრობის დიდებაც და მომავალი გამარჯვების იმედიც. მარტო იგი როდი განიცდიდა ამგვარ გრძნობას იმ სამახსოვრო დღეებში, რომელნიც წინ უძღოდნენ აუსტერლიცის ბრძოლას: რუსეთის არმიის მეზრძოლთა ცხრა მეათედი გამსჭვალული იყო (თუმცა ნაკლებად აღფრთოვანებული) სიყვარულით თავისი მეფისა და მხედრობისადმი.

თავი მეთერთმეტე

მეორე დღეს ხელმწიფე ვიშაუში გაჩერდა. ლეიბ-მკურნალი ვილიე რამდენჯერმე მიიხმეს მასთან. მთავარ ბინაზე და მახლობლად მყოფ ჯარში ხმა გავარდა, ხელმწიფე უქეიფოდ არისო. არაფერი უჭამია და ღამითაც ვერ დაიძინაო, ამბობდნენ ახლობლები. ამ უქეიფობის მიზეზი ყოფილა ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც მგრძნობიარე მეფეზე დაჭრილთა და მოკლულთა ნახვას მოუხდენია.

17 ნოემბერს, გარიჟრაჟზე, ავანპოსტიდან ვიშაუში გაისტუმრეს პარლამენტიორის ბაირალით მოსული ფრანგი ოფიცერი; მან რუსეთის იმპერატორის ნახვა მოითხოვა. ეს ოფიცერი სავარი იყო. ხელმწიფეს ის-ის იყო, დასძინებოდა, ამიტომ სავარის უნდა დაეცადა. შუადღისას სავარი ხელმწიფესთან შეუშვეს, ხოლო ერთი საათის შემდეგ თავად დოღგორუკოვთან ერთად იგი საფრანგეთის ჯარის ავანპოსტებისკენ გაემართა.

როგორც ცნობილია, სავარი მოვიდა წინადადებით: მოეწყოთ ალექსანდრეს შეხვედრა ნაპოლეონთან. პირად შეხვედრაზე, მთელი არმიის სასიხარულოდ და საამაყოდ, ნაპოლეონს უარი უთხრეს, და ხელმწიფის ნაცვლად სავარისთან ერთად ვიშაუში გამარჯვებული თავადი დოღგორუკოვი გაიგზავნა ნაპოლეონთან მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკების მიზანს, მოლოდინის წინააღმდეგ, მშვიდობიანობის ჩამოგდების ნამდვილი სურვილი შეადგენდა.

სადამოთი დოღგორუკოვი დაბრუნდა, პირდაპირ ხელმწიფესთან შევიდა და დიდხანს დაყო მასთან მარტოდმარტო.

18 და 19 ნოემბერს ჯარმა ორი გადასასვლელი კიდეც გაიარა, და მცირე სროლის შემდეგ მტრის ავანპოსტებმა უკან დაიხიეს. არმიის უმაღლეს სფეროებში 19 ნოემბრის ნაშუადღევად დაიწყო ძლიერი მოუსვენარ-აღტყინებული მოძრაობა, რამაც გასტანა მეორე დღის დილაამდე, 20 ნოემბრამდე, როდესაც გაიმართა ესოდენ დაუვიწყარი აუსტერლიცის ბრძოლა.

19 ნოემბერს, შუადღემდე, მოძრაობა, გაცხოველებული ლაპარაკი, სირბილი, ადიუტანტების გაგზავნა-გამოგზავნა განისაზღვრებოდა მარტოდენ იმპერატორთა მთავარი ბინით; ნაშუადღევს მოძრაობა კუტუზოვის მთავარ ბინას და რაზმების უფროსთა შტაბებს მოედო; სადამოთი ადიუტანტთა მეშვეობით ამ მოძრაობამ არმიის ყველა მიმართულებასა და ნაწილს მიაღწია, ხოლო 19 ნოემბრის ღამეს აიშალა, აგუგუნდა, შეირხა და დაიძრა ათ ვერსზე გაჭიმული მოკავშირეთა ჯარის ოთხმოცათასიანი მასა.

იმპერატორთა მთავარ ბინაში თავმოყრილი და დილით დაწყებული მოძრაობა, რომელმაც ბიძგი მისცა მთელ შემდგომ მოქმედებას, ჰგავდა კოშკის დიდი საათის შუა ბორბლის პირველ გავლას. ნელა დაიძრა ერთი ბორბალი, შეტრიალდა მეორე, მესამე, და უფრო და უფრო მოუჩქარეს ტრიალს ბორბლებმა, ჭოჭონაქებმა, კბილანებმა, იწყეს სიმღერა კურანტებმა, გამოხტომა ფიგურებმა, მწყობრად წინ წაიწიეს და მოძრაობის შედეგი უჩვენეს ისრებმა.

ისე, როგორც საათის მექანიზმში, სამხედრო საქმის მექანიზმშიც უკანასკნელ შედეგამდე შეუკავებელია ერთხელვე დაწყებული მოძრაობა. და ასევე მოძრაობის მომენტის გადაცემამდე გულგრილ უძრაობაში იმყოფებიან მექანიზმის ის ნაწილები, რომლებამდეც საქმე ჯერ არ მისულა. უსტვენენ ღერძებზე ბორბლები და კბილებით ერთმანეთს ედებიან, სისწრაფისგან შიშინებენ ჭოჭონაქები, ხოლო მეზობელი ბორბალი ისევე მშვიდი და უძრავია, თითქოს მზად არის ასობით წლები გალიოს ამ უძრაობაში; მაგრამ დადგა მომენტი – წამოდო ბერკეტი და, მოძრაობაში მოყოლილი, ჭრაჭარუჭით ბრუნავს ბორბალი და უერთდება საერთო მოძრაობას, რომლის შედეგი და მიზანი მისთვის გაუგებარია.

როგორც საათში უთვალავი სხვადასხვა ბორბლისა და ჭოჭონაქის რთული მოძრაობის შედეგი არის მხოლოდ დროს მაჩვენებელი ისრის ნელი და თანაბარზომიერი მოძრაობა, ისე ამ 160 ათასი რუსისა და ფრანგის ყოველ რთულ ადამიანურ მოძრაობას – ამ ადამიანთა ვნებებს, სურვილებს, სინანულს, დამცირებას, ტანჯვას, სიამაყის გატაცებას, შიშს, აღტაცებას – შედეგად მოჰყვა მხოლოდ აუსტერლიცის ბრძოლის, ეგრეთ წოდებული, სამი იმპერატორის ბრძოლის წაგება, ესე იგი, მსოფლიო ისტორიული ისრის ნელი გადანაცვლება კაცობრიობის ისტორიის ციფერბლატზე.

თავადი ანდრეი ამ დღეს მორიგე იყო და ფეხმოუცვლელად მთავარსარდალთან იმყოფებოდა.

სადამოს ექვს საათზე კუტუზოვმა იმპერატორების მთავარ ბინაში შეიარა, მცირე ხანს ხელმწიფესთან დაჰყო და შემდეგ ობერ-ჰოფმარშალ გრაფ ტოლსტოისთან შევიდა.

ბოლკონსკიმ ისარგებლა ამ დროით, რათა დოღგორუკოვთან შესულიყო და საქმის ვითარება გაეგო. თავადი ანდრეი გრძნობდა, რომ კუტუზოვი შეწუხებულია და უკმაყოფილო, რომ მთავარ ბინაში უკმაყოფილონი არიან მისით, რომ იმპერატორის მთავარი ბინის ყველა პირს ისე უჭირავს მასთან თავი, თითქოს მათ რაღაც იციან, რაც სხვებმა არ იციან, და ამიტომ სურდა მოლაპარაკებოდა დოღგორუკოვს.

– გამარჯობა, mon cher, – მიესალმა დოღგორუკოვი, რომელიც ბილიბინთან ერთად ჩაის შეექცეოდა, – ხვალ დღესასწაულია. როგორ არის თქვენი მოხუცი? გუნებაზე არ არის, ხომ?

– ვერ ვიტყვი, რომ გუნებაზე არ არის, მაგრამ მას, ვგონებ, სურს მოუსმინონ.

– მოუსმინეს სამხედრო თათბირზე და კიდევაც მოუსმენენ, როცა საქმიან რამეს იტყვის; მაგრამ დაყოვნება და რაღაცის ცდა ახლა, როცა ბონაპარტეს ყველაზე ძალიან გენერალური ბრძოლისა ეშინია, შეუძლებელია.

– ნახეთ ბონაპარტე? – ჰკითხა თავადმა ანდრეიმ, – როგორია? რანაირი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე.

– დიახ, ვნახე და დავრწმუნდი, რომ მას ყველაზე მეტად ამქვეყნად გენერალური ბრძოლისა ეშინია, – გაიმეორა დოღგორუკოვმა; ეტყობოდა, ძალიან აფასებდა ამ თავის საერთო დასკვნას, გამოტანილს ნაპოლეონთან შეხვედრის დროს, – ბრძოლისა რომ არ ეშინოდეს, აბა, რატომ მოითხოვდა ამ შეხვედრას, მოლაპარაკების გამართვას და, რაც მთავარია, რატომ დაიხვედა უკან მაშინ, როდესაც უკან დახევა ასე არ ეგუება ომის წარმოების მთელ მის მეთოდს. დამიჯერეთ: ეშინია, ეშინია გენერალური ბრძოლისა. მისმა საათმა დაჰკრა. ამას გეუბნებით მე.

– მიამბეთ, რას წარმოადგენს იგი, რა კაცია? – კვლავ შეეკითხა თავადი ანდრეი.

– იგი ნაცრისფერ სერთუკში გამოწყობილი კაცია, რომელსაც დიდად სურდა, რომ მე მეთქვა: „თქვენო უდიდებულესობავ“, მაგრამ მე, მისდა საუბედუროდ, ტიტულის ღირსად არ გავხადე. აი, როგორი კაცია, ეს არის და ეს, – მიუგო დოღგორუკოვმა და ღიმილით ბილიბინს შეხედა.

– დიდ პატივს ვცემ მოხუც კუტუზოვს, – განაგრძო მან, – მაგრამ მაინც ვიტყვი: რა ყოფაში ჩავცვივდებოდით ყველანი, რომ რაღაცას დავლოდებოდით და ამით გაპარვის ან ჩვენი მოტყუების საშუალება მიგვეცა ბონაპარტესთვის, მაშინ, როდესაც ამჟამად იგი ნამდვილად ჩვენს ხელთ არის. არა, არ უნდა დავივიწყოთ სუვოროვი და მისი წესი: თავადვე უნდა მიიტანო იერიში და არ იცადო, სანამ შენ დაგესხმებიან თავს. მერწმუნეთ, ომში ახალგაზრდა კაცების ენერგია ხშირად უფრო სწორად უჩვენებს გზას, ვიდრე მოხუცი კუნქტატორების[108] მთელი გამოცდილება.

– მაგრამ რა პოზიციაზე უნდა მივიტანოთ იერიში? ვიყავი დღეს ავანპოსტებზე და ძნელი გადასაწყვეტია, სად დგას იგი მთავარი ძალებით, – თქვა თავადმა ანდრეიმ.

მას უნდოდა დოღგორუკოვის წინაშე გამოეთქვა იერიშის საკუთარი, მის მიერ შედგენილი გეგმა.

– ეგ სულერთია, – სწრაფად მიუგო თავადმა დოღგორუკოვმა, წამოდგა და მაგიდაზე რუკა გადაშალა, – ყოველი შემთხვევა გათვალისწინებულია: თუ ბრიუნთან დგას...

და თავადმა დოღგორუკოვმა სწრაფად და ბუნდოვნად მოუთხრო თავად ანდრეის ვეიროტერის საფლანგო მოძრაობის გეგმა.

თავადი ანდრეი შეეკამათა, იგი უმტკიცებდა თავისი გეგმის უპირატესობას, – გეგმისა, რომელიც შეიძლება ისეთივე კარგი იყო, როგორც ვეიროტერის, მაგრამ ის ნაკლი ჰქონდა, რომ ვეიროტერის გეგმა უკვე მოწონებული იყო. რაწამს თავადმა ანდრეიმ იწყო იმ გეგმის უვარგისობისა და საკუთარის უპირატესობის მტკიცება, თავადმა დოღგორუკოვმა თავი მიაჩნებდა ყურისგდებას და თვალეზი მიაპყრო არა რუკას, არამედ თავად ანდრეის სახეს.

– ჰო, დღეს კუტუზოვთან სამხედრო თათბირია: შეგიძლიათ ყოველივე ეგ იქ გამოთქვათ, – უთხრა დოღგორუკოვმა.

– გამოვთქვამ კიდეც, – მიუგო ანდრეიმ და რუკას მოშორდა.

– ნეტა რას ზრუნავთ ამდენს, ბატონებო? – ღიმილით იკითხა ბილიბინმა; იგი მანამდე ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს, ახლა კი, ალბათ, საოხუნჯოდ მოემზადა, – სულერთია, იქნება ხვალ გამარჯვება თუ დამარცხება, რუსეთის მხედრობის სახელი დაზღვეულია. თქვენი კუტუზოვის გარდა, ჯარში არ არის რაზმის არც ერთი რუსი უფროსი. უფროსებად არიან: Herr général Wimpfen, le comte de Langeron, le prince de Lichtenstein, le prince de Hohenloe et enfin Prsch... prsch... et ainsi de suite, comme tous les noms polonais (ბატონი გენერალი ვიმპფენი, გრაფი ლანჟერონი, თავადი ლიხტენშტეინი, ჰოჰენლოე და კიდეც პრიშპრშიპრში, როგორც ყველა პოლონური გვარია).

– Taisez-vous, mauvaise langue (გააჩერეთ ეგ თქვენი ავი ენა)! – მიმართა დოღგორუკოვმა, – მართალი არ არის, ახლა უკვე ორი რუსია: მილორადოვიჩი და დოხტუროვი, იქნებოდა მესამეც, გრაფი არაკჩევი, მაგრამ მას სუსტი ნერვები აქვს.

– მიხაილ ილარიონოვიჩი, ვგონებ, უკვე გამოვიდა, – თქვა თავადმა ანდრეიმ, – გისურვებთ, ბატონებო, ბედნიერებასა და წარმატებას, – დაუმატა მან, ხელი ჩამოართვა დოღგორუკოვსა და ბილიბინს და გავიდა.

შინ დაბრუნებისას თავადმა ანდრეიმ თავი ვერ შეიკავა, არ ეკითხა ეტლში ჩუმად მჯდომარე კუტუზოვისთვის, – რას ფიქრობდა ხვალინდელ ბრძოლაზე.

კუტუზოვმა ცივად შეხედა თავის ადიუტანტს და მცირე სიჩუმის შემდეგ უთხრა:

– ვფიქრობ, ბრძოლას წავაგებთ. ასეც ვუთხარი გრაფ ტოლსტოის და ვთხოვე გადაეცა ეს ხელმწიფისთვის. რა გგონია მერე, რა მიპასუხა? Eh, mon cher général, je me mêle de riz et des et côtelettes, mêlez-vous des affaires de la guerre (ეჰ, საყვარელო გენერალო, მე ახლა ბრინჯსა და კატლეტებს შევუდგები, თქვენ კიდეც სამხედრო საქმეებს შეუდექითო). დიახ... აი, რა მიპასუხა!

თავი მეთორმეტე

სადამოს 10 საათისთვის ვეიროტერი თავისი გეგმებით კუტუზოვის ბინაზე გადავიდა, იქვე დაინიშნა სამხედრო თათბირი. რაზმის უფროსები ყველანი მთავარსარდალთან გამოცხადდნენ, გარდა ბაგრატიონისა, რომელმაც უარი შემოთვალა. დანიშნული საათისთვის ყველა მოვიდა.

ვეროტერი, რომელიც განზრახული ბრძოლის სრული განმკარგულებელი იყო, თავისი სიცხოველითა და მოუსვენრობით უკმაყოფილო და მძინარა კუტუზოვის სრულ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა, – კუტუზოვისა, რომელიც უხალისოდ ასრულებდა სამხედრო თათბირის თავმჯდომარისა და ხელმძღვანელის როლს. ვეროტერი თავს, ალბათ, იმ მოძრაობის მეთაურად გრძნობდა, რომლის შეჩერებაც უკვე შეუძლებელი იყო. იგი დატვირთულ ურემში შებმულ და დაღმართზე დაქანებულ იმ ცხენს ჰგავდა, თვითონაც რომ არ იცოდა, თავად მიჰქონდა ურემი თუ ურემი მიაქანებდა; ეს კია, მიქროდა მთელი სისწრაფით და დრო აღარ რჩებოდა ეფიქრა, რა მოჰყვებოდა ამ მოძრაობას.

ვეროტერი ამ საღამოს ორჯერ იყო მტრის წინა მწკრივის დასათვალიერებლად, ორჯერაც ავსტრიისა და რუსეთის ხელმწიფეებთან მოხსენებისა და ახსნა-განმარტებისთვის; იყო აგრეთვე თავის კანცელარიაში, სადაც გერმანულ დისპოზიციას უკარნახებდა. კუტუზოვთან გაწამებული მივიდა.

ვეროტერი, ეტყობოდა, იმდენად იყო საქმეში გართული, რომ მთავარსარდალთან თავაზიანობაც კი დავიწყებოდა: აწყვეტინებდა სიტყვას, ლაპარაკობდა სწრაფად, ბუნდოვნად, ისე, რომ მოსაუბრეს სახეში არ უყურებდა, კითხვებზე პასუხს არ ამღევდა; ტალახში იყო ამოსვრილი და საცოდავად გამოიყურებოდა, გატანჯულად, აბნეულად და იმავე დროს დაჯერებულად და ამაყად.

კუტუზოვი მეზატონის პატარა ციხე-კოშკში იდგა ოსტრავიცის მახლობლად. მთავარსარდალის კაბინეტად ქცეულ დიდ სასტუმრო ოთახში შეიკრიბნენ: თვით კუტუზოვი, ვეროტერი და სამხედრო თათბირის მონაწილენი. ჩაის სვამდნენ, ელოდნენ მხოლოდ თავად ბაგრატიონს, რათა თათბირს შესდგომოდნენ. რვა საათზე ბაგრატიონის შიკრიკი მოვიდა და აცნობა, თავადი ვერ მოვაო. ეს ამბავი თავადმა ანდრეიმ მოახსენა მთავარსარდალს; მან ისარგებლა კუტუზოვის მიერ მიცემული ნებართვით – დასწრებოდა თათბირს და ოთახში დარჩა.

– რადგან თავადი ბაგრატიონი ვერ მოვა, შეგვიძლია დავიწყოთ, – თქვა ვეროტერმა, სწრაფად წამოდგა ადგილიდან და მაგიდასთან მივიდა, რომელზედაც გაშლილი იყო ბრიუნის მიდამოების უზარმაზარი რუკა.

კუტუზოვი ღილებგახსნილი მუნდირით, რომლიდანაც, თითქოს გათავისუფლებული მისი მსუქანი კისერი საყელოზე გადმოცურებელიყო, ვოლტერულ სავარძელში იჯდა, ფუნჩულა ბებრული ხელები სიმეტრიულად სავარძლის სახელურებზე დაეწყო და ლამის ეძინა. ვეროტერის ხმაზე ძლივს გაახილა ერთადერთი თვალი.

– ჰო, ჰო, დაიწყეთ, თორემ გვიან არის, – ჩაილაპარაკა მან, გამომსვლელს თავი დაუქნია, მერე ჩაჰკიდა და კვლავ თვალები დახუჭა.

თუ თავიდან თათბირის წევრები ფიქრობდნენ, კუტუზოვმა თავი მოიმძინარაო, სამაგიეროდ შემდგომი კითხვის დროს ხმები, რომლებსაც კუტუზოვი ცხვირით გამოსცემდა, ცხადყოფდა, რომ მთავარსარდალისთვის საქმე ეხებოდა უფრო მნიშვნელოვან რამეს, ვიდრე მის მიერ დისპოზიციის ან სხვა რამის არად ჩაგდებას: ეს გახლდათ გენერლის უსაჭიროესი ადამიანური მოთხოვნების – ძილის დაკმაყოფილება. კუტუზოვს მართლაც ეძინა. ვეროტერმა, საქმით ძალზე გართული ადამიანის მსგავსად, რომელსაც ენანება წუთის დაკარგვაც კი, თვალი შეავლო კუტუზოვს და, რაკი დარწმუნდა, რომ მართლა ეძინა, ქაღალდები აიღო და მაღალი, თანაბარი ხმით დაიწყო კითხვა მომავალი ბრძოლის დისპოზიციისა შემდეგი სათაურით, რომელიც აგრეთვე წაიკითხა: „დისპოზიცია კობელნიცის და სოკოლნიცის უკან მდებარე მტრის პოზიციებზე იერიშის მისატანად 1805 წლის 20 ნოემბერს“.

დისპოზიცია მეტად რთული და ძნელი იყო. ორიგინალურ დისპოზიციაში აღნიშნული იყო:

Da der Feind mit seinem linken Fluegel an die mit Wald bedeckten Berge lehnt und sich mit seinem rechten Fluegel laengs Kobeilnitz und Sokolienitz hinter die dort befindlichen Teiche zieht, wir im Gegenteil mit unserem linken Flugel seinen rechten sehr debordien, so ist es vorthailhaft letzteren Flugel des Feindes zu attackien, besonders wenn wir die Dorfer Sokolienitz und Kobelienitz im Besitze haben, wodurch wir dem Feind zugleich in die Flanke fallen und ihn auf der Flache zwischen Schlapanitz und dem Thuerassa-Walde verfolgen können, indem wir dem Defileen von Schlapanitz und Bellowitz ausweichen, welche die feindliche Front decken. Zu diesem Endzwecke ist es nöthig... Die erste Kolonne Marschirt... die zweite Kolonne Marschirt... die dritte Kolonne Marschirt (რადგან მტერი თავისი მარცხენა ფრთით ტყით დაფარულ მთებს ეყრდნობა, და მარჯვენა ფრთით გაშლილია კობელნიცისა და სოკოლნიცის გასწვრივ მდებარე გუბეებს უკან, ხოლო ჩვენ, პირიქით, ჩვენი მარცხენა ფრთით ვჭარბობთ მის მარჯვენა ფრთას, ხელსაყრელია იერიში მივიტანოთ მტრის ამ უკანასკნელ ფრთაზე, თუ მეტადრე დავიჭერთ სოფლებს სოკოლნიცსა და კობელნიცს და საშუალება მოგვეცემა დავესხათ მტრის ფლანგს, მივდიოთ მას ველზე შლაპანიცსა და დიურასკის ტყეს შორის და ვერიდოთ დეფილეს[109] შლაპანიცსა და ბელოვიცს შორის, რომლითაც დაცულია მტრის ფრონტი. ამ მიზნისთვის საჭიროა... პირველმა კოლონამ მარშით გაიაროს... მეორე კოლონამ მარშით გაიაროს... მესამე კოლონამ მარშით გაიაროს)... და სხვ., – კითხულობდა ვეიროტერი. გენერლები, ეტყობოდა, ხალისით არ უგდებდნენ ყურს ძნელ დისპოზიციას. ქერა, მაღალი გენერალი ბუკსპევდენი ზურგით კედელს მიყრდნობოდა და ანთებულ სანთელს შესცქეროდა; იგი თითქოს ყურს არ უგდებდა და არც სურდა ეფიქრა, ვინმე ყურს უგდებდნო. ვეიროტერის პირდაპირ, მისკენ ელვარე თვალემიპყრობილი, მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილი, თითქოს საომრად მომზადებულიაო, იჯდა ღაჟღაჟა, ულვამ და მხრებაწეული მილორადოვიჩი. იგი ხმაგაკმენდილი იჯდა, ვეიროტერს სახეში შეჰყურებდა და თვალს აშორებდა ამ სახეს მხოლოდ მაშინ, როცა ავსტრიის შტაბის უფროსი კითხვას შეწყვეტდა. ამ დროს მილორადოვიჩი მნიშვნელოვნად მიმოავლებდა ხოლმე თვალს სხვა გენერლებს, მაგრამ ამ მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვით კაცი ვერ გაიგებდა, ეთანხმებოდა თუ არა იგი დისპოზიციას, კმაყოფილი იყო თუ არა მისით. ყველაზე ახლოს ვეიროტერთან იჯდა გრაფი ლანჟერონი; მისი ფრანგული სახე სამხრეთულ ნაზ ღიმილს გაეშუქებინა, თვალი არ მოუშორებია, დისპოზიციის კითხვის დროსაც შეჰყურებდა თავის მოხდენილ თითებს, რომლითაც სწრაფად ატრიალებდა კუთხეების მხრიდან ოქროსპორტრეტის საბურნუთეს. ერთ-ერთი ხანგრძლივი შესვენების დროს მან საბურნუთეს ბრუნვა შეაჩერა, თავი ასწია, თხელი ტუჩების კუთხეში უსიამოვნო თავაზიანობა გამოეხატა და სცადა სიტყვა შეეწყვეტინებინა ვეიროტერისთვის, რაღაცის თქმა დააპირა; მაგრამ ავსტრიელ გენერალს კითხვა არ შეუწყვეტია, გაჯავრებით შეკრა შუბლი და იდაყვები გააქნია, თითქოს ამბობდა: მერე, მერე მეტყვით თქვენს აზრს, ახლა კი ინებეთ, რუკას უყურეთ და მოისმინეთო. შეცბუნებულმა ლანჟერონმა თვალები ზევით ასწია და მილორადოვიჩს გადახედა, თითქოს ახსნას ეძებდნო, მაგრამ როცა მილორადოვიჩის მრავალმნიშვნელოვან, თუმცა უმეტყველო გამოხედვაში ვერაფერი ამოიკითხა, მწუხარედ თავი დახარა და ისევ საბურნუთეს ბრუნვა განაგრძო.

– Une leçon de géographie (გეოგრაფიის გაკვეთილია), – ჩაილაპარაკა მან თითქოს თავისთვის, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ სხვებსაც გაეგონათ.

პრეზიუმევიკიმ მოწიწებით, მაგრამ ღირსეული თავაზიანობით ყური ხელით ვეიროტერისკენ გადახარა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ყურადღებად ქცეულიყო. ჩია ტანის დოხტუროვი ვეიროტერის პირდაპირ იჯდა ბეჯითი, მოკრძალებული გამომეტყველებით და, გაშლილი რუკისკენ დახრილი, ცდილობდა, კეთილსინდისიერად შეესწავლა დისპოზიცია და უცნობი ადგილი. მან რამდენჯერმე სთხოვა ვეიროტერს გაემეორებინა ის სიტყვები და სოფლების ძნელი დასახელებანი, რომლებიც მან ცუდად გაიგონა. ვეიროტერი ასრულებდა მის სურვილს, ხოლო დოხტუროვი იწერდა.

როდესაც კითხვა დამთავრდა, რამაც ერთ საათს გასტანა, ლანჟერონმა კვლავ შეაჩერა საბურნუთეს ტრიალი და ლაპარაკი დაიწყო; იგი ვეიროტერს არ უყურებდა, არც სხვა ვისმეს; ლაპარაკობდა, თუ რა ძნელია ისეთი დისპოზიციის შესრულება, სადაც ნაგულისხმევია, რომ თითქოს ცნობილია მტრის ადგილსამყოფელი, ნამდვილად კი შეუძლებელია ამ ადგილის ცოდნა.

რადგან მტერი გამუდმებით მოძრაობდა, ამდენად, ლანჟერონის შენიშვნა საფუძვლიანი იყო, მაგრამ აშკარა ხდებოდა, რომ ამ შენიშვნას უმთავრესად სხვა სარჩული ედო: ლანჟერონს უნდოდა ეგრძნობინებინა გენერალ ვეიროტერისთვის, რომელიც, შეკრებილთ ისეთი გულდაჯერებული უკითხავდა თავის დისპოზიციას, როგორც სკოლის მოწაფეებს და რომ მას საქმე ჰქონდა არა სულელებთან, არამედ ისეთ ადამიანებთან, რომელთაც თავად შეუძლიათ ბევრი რამ ასწავლონ მას სამხედრო საქმეში. როდესაც ვეიროტერის მოსაწყენი ხმა მიიწყდა, კუტუზოვმა თვალი გაახლა იმ მეწისქვილესავით, რომელიც იღვიძებს წისქვილის ბორბლების ძილისმომგვრელი ხმაურის შეწყვეტის დროს. ყური დაუგდო იმას, რასაც ლანჟერონი ამბობდა და, თითქოს თქვა: „თქვენ ისევ მაგ სისულელებზე მსჯელობთ?“ თვალი სწრაფად მოხუჭა და თავი უფრო დაბლა დახარა.

ლანჟერონი ცდილობდა, რაც შეიძლება გესლიანად ეკბინა ვეიროტერისთვის და დაემცირებინა მისი, როგორც ავტორის, სამხედრო თავმოყვარობა; იგი ამტკიცებდა, რომ ბონაპარტეს ადვილად შეუძლია თავად მოიტანოს იერიში ჩვენზე, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ მივიტანოთ მასზე იერიში, და ამით სრულიად უსარგებლო გახადოს მთელი ეს დისპოზიცია. ვეიროტერი ყოველსავე ამას მტკიცე და ზიზღით აღსავსე ღიმილით უპასუხებდა; აშკარაა, წინასწარ გაეთვალისწინებინა ეს ღიმილი ყოველი შენიშვნის წინააღმდეგ, იმისდა მიუხედავად, თუ რა შინაარსისა იქნებოდა შენიშვნა.

– მას რომ იერიშის მოტანა შეეძლოს, დღესვე მოიტანდა იერიშს, – თქვა მან.

– მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ იგი უძლურია? – ჰკითხა ლანჟერონმა.

– ბევრი, ბევრი, თუ ორმოცი ათასი კაცი ჰყავს, – მიუგო ვეიროტერმა იმ მკურნალის ღიმილით, რომლითაც ექიმბაში ქალი სამკურნალო საშუალებას ასწავლის.

– გამოდის, რომ თავი დასაღუპავად აქვს გადადებული, რაკი ჩვენს იერიშს მოელის, – თქვა ირონიული ღიმილით ლანჟერონმა და თავისი აზრის დასადასტურებლად კვლავ ახლოს მჯდომ მილორადოვიჩს გადახედა.

მაგრამ მილორადოვიჩი იმწუთას, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, რაზედაც გენერლები დაობდნენ.

– Ma foi (ღმერთმანი), – უთხრა მან, – ხვალ ბრძოლის ველზე ყველაფერს დავინახავთ.

ვეიროტერმა კვლავ გაიღიმა იმ ღიმილით, რომელიც ამბობდა: მე მეცინება, თანაც უცნაურად მეჩვენება რუსი გენერლების გამოლაშქრება ჩემს წინააღმდეგ, უცნაურია, რომ მიხდება იმის მტკიცება, რაშიც არათუ მე ვარ სავსებით დარწმუნებული, არამედ ხელმწიფე იმპერატორებიც დავარწმუნეო.

– მტერმა კოცონები ჩააქრო, ისმის განუწყვეტელი ხმაური მის ბანაკში, – განაცხადა ვეიროტერმა, – რას ნიშნავს ეს? – ან აიყარა და მიდის, რისაც ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს, ან პოზიციას იცვლის (ვეიროტერმა ჩაიცინა). მაგრამ თუნდაც ტიურასზე დაიკავოს პოზიცია, ამით იგი მხოლოდ გაგვათავისუფლებს დიდი დავიდარაბისგან, და ყველა განკარგულება და ყოველი წვრილმანი უცვლელად რჩება.

– რანაირად მერე?.. – იკითხა თავადმა ანდრეიმ, რომელიც დიდი ხანია ელოდა შემთხვევას თავისი ეჭვის გამოსათქმელად.

კუტუზოვმა გაიღვიძა, მძიმედ ჩაახველა და გენერლებს გადახედა.

– ბატონებო, შეუძლებელია შეიცვალოს დისპოზიცია ხვალისთვის, უფრო სწორად, დღეისთვის (იმიტომ, რომ პირველი საათია უკვე), – თქვა მან, – ყველამ მოისმინა დისპოზიცია, ყველა ჩვენგანი შეასრულებს თავის მოვალეობას. ხოლო ბრძოლის წინ ყველაზე სასარგებლო... (მცირე ხანს შეჩერდა) კარგად გამოძინება.

ისე შეინძრა, თითქოს ადგომას აპირებო. გენერლები გამოეთხოვნენ და დაიშალნენ. შუაღამე უკვე გადასული იყო. თავადი ანდრეი ოთახიდან გავიდა.

სამხედრო თათბირმა, რომელზედაც თავადმა ანდრეიმ ვერ მოახერხა თავისი აზრის გამოთქმა, როგორც ფიქრობდა, გაურკვეველი და შემამფოთებელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ბოლკონსკიმ არ იცოდა, ვინ იყო მართალი: დოლგორუკოვი ვეიროტერიტურთ თუ კუტუზოვი ლანჟერონითა და სხვებითურთ, რომელთაც არ მოიწონეს იერიშის გეგმა. „მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა კუტუზოვს პირდაპირ მოეხსენებინა თავისი მოსაზრებანი ხელმწიფისთვის? ნუთუ არ შეიძლება ამის სხვანაირად გაკეთება? ნუთუ სამეფო კარისა და პირად მოსაზრებებს უნდა შეეწიროს მრავალი ათასი კაცის და ჩემი, ჩემი სიცოცხლე?“ – ფიქრობდა იგი.

„დიახ, ადვილი შესაძლებელია, ხვალ მომკლან“, – გაიფიქრა მან და სიკვდილის გახსენებაზე უეცრად უამრავი მოგონება, უაღრესად შორეული და უაღრესად წრფელი, წარმოუდგა თვალწინ; გაახსენდა უკანასკნელი გამოთხოვება მამასთან და ცოლთან; გაახსენდა პირველი დღეები თავისი სიყვარულისა მეუღლისადმი: გაახსენდა მისი ფეხმძიმობა, და შეებრაღა ისიც და თავისი თავიც; თავადი ანდრეი განერვიულებული, გულაჩვილებული და აღელვებული გავიდა იმ სახლიდან, სადაც იგი ნესვიცკისთან ერთად ცხოვრობდა, და დაიწყო სიარული მის წინ.

ნისლიანი ღამე იყო; მთვარე ქურდულად მიიკვლევდა გზას ნისლში. „დიახ, ხვალ, ხვალ! – ფიქრობდა თავადი ანდრეი, – ხვალ იქნებ ყველაფერი დასრულდეს ჩემთვის, აღარ იქნება ეს მოგონებები, აღარავითარი აზრი აღარ ექნება ამ მოგონებებს ჩემთვის. იქნებ ხვალ, სწორედ ხვალ, – წინათგრძნობა მეუბნება ამას, – პირველად მომიხდეს, ბოლოს და ბოლოს, ყოველივე იმის ჩვენება, რისი გაკეთებაც შემძლია“. და წარმოუდგა ბრძოლა, მისი წაგება, მეზრძოლთა შეჯგუფება ერთ ადგილას, უფროსთა დაბნეულობა. და აი, ბოლოს, დადგა ის ბედნიერი წუთი, ის ტულონი[110], რომელსაც იგი ამდენ ხანს მოელოდა. ანდრეი მტკიცედ და გარკვევით აცნობს თავის აზრს კუტუზოვსაც, ვეიროტერსაც და იმპერატორებსაც. აოცებს ყველას მისი მოსაზრების სისწორე, მაგრამ არავინ არ კისრულობს ამ მოსაზრების შესრულებას, და აი, იგი უხმობს პოლკს, დივიზიას, სიტყვას ართმევს უფროსებს, არ ჩაერიონ მის განკარგულებაში, მიჰყავს თავისი დივიზია გადამწყვეტ ადგილას და მარტოდმარტო იმარჯვებს. სიკვდილი და ტანჯვა? – ეკითხება მეორე ხმა. მაგრამ თავადი ანდრეი პასუხს არ აძლევს ამ ხმას და განაგრძობს გამარჯვებას. მარტოდმარტო ადგენს შემდგომი ბრძოლის დისპოზიციას. მართალია იგი კუტუზოვის მორიგე ოფიცერია არმიის ხაზით, მაგრამ ყველაფერს მარტო ის აკეთებს. მორიგ ბრძოლასაც მარტო ის იგებს. კუტუზოვს გადააყენებენ და მას დანიშნავენ... ჰოდა, მერე? – ეკითხება კვლავ მეორე ხმა, – მერე, თუ მანამდე ათჯერ არ დაგჭრეს, არ მოგკლეს ან არ მოგატყუეს, რა იქნება მერე?, მერე... – უპასუხებს თავის თავს თავადი ანდრეი, – არ ვიცი, რა იქნება მერე! არ მინდა და არც შემძლია ვიცოდე; მაგრამ ჩემი რა ბრალია, თუკი ასეთი სურვილი მაქვს, თუკი მინდა სახელი მოვიხვეჭო, ცნობილი გავხდე და ხალხის სიყვარული მოვიპოვო, თუკი მარტო ეს მინდა და მარტო ამით ვსულდგმულობ? დიახ, მარტოდმარტო ამით! არასოდეს არავის არ ვეტყვი ამას, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა უნდა ვქნა, თუკი ისე არაფერი მიყვარს, როგორც სახელი და დიდება, როგორც ხალხის სიყვარული. სიკვდილი, ჭრილობა, ოჯახის დაკარგვა სულაც არ არის ჩემთვის საშინელი და საზარი.

მართალია ჩემთვის ძვირფასი და საყვარელია ჩემთვის მრავალი ადამიანი: მამა, და, ცოლი, – მეტიც, ისინი უსაყვარლესნი არიან, – მაგრამ რაც უნდა საშინლად და არაბუნებრივად გვეჩვენოს ეს, მაინც ყველას გავწირავ და გავიმეტებ წუთიერი დიდებისთვის, გამარჯვებისთვის, იმ ადამიანთა სიყვარულისთვის, რომელთაც არ ვიცნობ და ვერც გავიცნობ, აი, იმ ადამიანთა სიყვარულისთვის“, – გაიფიქრა ანდრეიმ და ყური მიუგდო ლაპარაკს კუტუზოვის ეზოში. კუტუზოვის ეზოდან მოისმოდა ხმები სამხედრო მსახურებისა, რომელნიც ბარგს ალაგებდნენ; ერთი ხმა, ალბათ, მეეტლისა, რომელიც თავად ანდრეის ნაცნობ და ტიტად წოდებულ კუტუზოვის მოხუც მზარეულს აღიზიანებდა, ამბობდა:

– ტიტ, ჰეი, ტიტ!

– რა გინდა? – ეკითხებოდა მოხუცი.

– წადი საცეხავად! – ეუბნებოდა ოხუნჯი.

– ფუი, ეშმაკმა კი წაგიღოს, აჰა! – მოისმოდა ხმა, რომელსაც მსახურთა ხარხარი ფარავდა.

„და მაინც მიყვარს და ვაფასებ მხოლოდ გამარჯვებას ყოველივე იმაზე, ვაფასებ ამ საიდუმლო ძალასა და დიდებას, რომელიც აი აქ, ჩემ ზემოთ, ნისლში მიმოქრის!“.

თავი მეცამეტე

როსტოვი ამ დამეს ოცეულთან ერთად ფლანკურთა მწკრივში იდგა, ბაგრატიონის რაზმის წინ. თავისი ჰუსარები წყვილ-წყვილად გაფანტა მწკრივში, ხოლო თვითონ, ცხენზე ამხედრებული, მწკრივის ხაზზე მიმოდიოდა და ცდილობდა, დაეძლია უზომოდ მორეული ძილი. უკან მოჩანდა ნისლში გახვეული რუსეთის არმიის კოცონების უზარმაზარი სივრცე. მის წინ ნისლიან სიბნელეს მოეცვა ყოველივე. დიდხანს გასცქეროდა როსტოვი ამ ნისლიან სივრცეს, მაგრამ ვერაფერს ხედავდა: ხან ნაცრისფრად, ხან შავად იღებებოდა ყველაფერი; ხან თითქოს შუქი გაიელვებდა იქ, სადაც მტერი უნდა ყოფილიყო; ხან ეგონა, რომ მხოლოდ თვალს ელანდებოდა შუქი. თვალები კი ეხუჭებოდა და მაშინ გონებაში ესახებოდა ხან ხელმწიფე, ხან დენისოვი, ხან მოსკოვის მოგონება; კვლავ სწრაფად ახელდა თვალს და იქვე, სულ ახლოს, ხედავდა იმ ცხენის თავსა და ყურებს, რომელზედაც თავად იჯდა, ზოგჯერ ჰუსართა შავ ფიგურებს, როდესაც ექვს ნაბიჯზე უახლოვდებოდა მათ, ხოლო შორს – იმავე ბურუსიან სიბნელეს. „რატომ მერე? ხომ შეიძლება, – ფიქრობდა როსტოვი, – ხელმწიფემ შეხვედრისას დამავალოს რამე, როგორც ყოველ ოფიცერს, მითხრას, წადი, გაიგე, რა ხდება იქო. ხომ ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ გაიცნო ხელმწიფემ სრულიად შემთხვევით ვიღაც ოფიცერი და დაიახლოვა იგი. რა იქნება, მე რომ დამიახლოვოს! ოჰ, როგორ დავიცავდი, როგორ ვეტყოდი სრულ სიმართლეს, როგორ ვამხელდი მის მატყუარებს!“ და როსტოვმა იმისთვის, რომ ცოცხლად განეცადა თავისი სიყვარული და ერთგულება ხელმწიფისადმი, წარმოიდგინა მტერი ან მატყუარა გერმანელი, რომელსაც არათუ სიამოვნებით კლავდა, არამედ სილას სილაზე აწნავდა ხელმწიფის თვალწინ. უეცრად შორეულმა ყვირილმა გააღვიძა როსტოვი. შეაკანკალა და თვალი გაახილა.

„სადა ვარ? ჰო, მწკრივში ვარ: ლოზუნგი და პაროლი – ხელნა, ოლმიუცი. რა მწყინს, რომ ხვალ ჩვენი ესკადრონი რეზერვში იქნება... – გაიფიქრა, – ვთხოვ, გამიშვან ბრძოლაში. ეს იქნებ ხელმწიფის ხილვის ერთადერთი შემთხვევა იყოს. დიახ, ახლა მალე შეგვცვლიან. შემოვივლი ერთხელ კიდევ და როცა დავბრუნდები, წავალ გენერალთან და ვთხოვ, გამიშვას“. უნაგირზე გასწორდა და ცხენი დაძრა, რომ ერთხელ კიდევ შემოეველო თავისი ჰუსარებისთვის. მოეჩვენა, თითქოს სინათლემ იმატა. მარცხნივ მოჩანდა განათებული დაქანებული ფერდობი და პირდაპირ მდებარე, კედელივით ციცაბო შავი ბეჭობი, ამ ბეჭობზე კი – თეთრი ლაქა; როსტოვს ვერასგზით გაერკვია, რა იყო ეს: მთვარით

განათებული მინდორი ტყეში, ჩარჩენილი თოვლი თუ თეთრი სახლები. ისიც კი მოეჩვენა, თითქოს რაღაც შეირხა ამ თეთრ ლაქაზე. „ალბათ, თოვლია ეს ლაქა; ლაქა – une tache“, – ფიქრობდა როსტოვი. „ეგეც შენ, ტაშ...“

„ნატაშა, ჩემი და, შავი თვალები. ნა...ტაშკა (როგორ გაუკვირდება, როცა ვეტყვი, ხელმწიფე ვნახე-მეთქი)... ნატაშკა... ტაშკა წაიყვანე“. „მარჯვნივ გაუხვიეთ, თქვენო კეთილშობილებავ, თორემ აქ ბუჩქებია“, – მოესმა ხმა ჰუსარისა, რომელსაც ნახევრად მძინარე როსტოვმა გვერდზე გაუარა. როსტოვმა ცხენის ფაფრამდე დაშვებული თავი ასწია და ჰუსარის წინ გაჩერდა. ახალგაზრდული, ბავშვური ძილი თავს ართმევდა. „ჰო, რაზე ვფიქრობდი? არ დამავიწყდეს. როგორ უნდა ველაპარაკო ხელმწიფეს? არა, ეს არა, ეს ხვალ იქნება. ჰო, ჰო! ფეხს დავადგამ, ვის? ჰუსარებს. ჰუსარები და ულვაშები... ტვერის ქუჩაზე მიდიოდა ეს ულვაშიანი ჰუსარი, გავიფიქრე კიდეც მასზე, გურიევის სახლის პირდაპირ... მოხუცი გურიევი... ეჰ, რა საუცხოო კაცია დენისოვი! დიახ, ყველაფერი ეს არაფერია. მთავარი ახლა ერთია – ხელმწიფე აქ არის! როგორ მიყურებდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა... არა, მან კი არა, მე ვერ გავბედე. დიახ, ეს უმნიშვნელოა, მთავარი კი – არ დამავიწყდეს, ვფიქრობდი იმაზე, რაც საჭიროა, დიახ. ნატაშკა, ფეხს დავადგამ, დიახ, დიახ, დიახ! ეს კარგია“. და კვლავ დაუშვა თავი ცხენის კისრამდე. უეცრად მოეჩვენა, თითქოს ესვრიან. „რა? რა? რა? ჰკა! რაო?“ – წამოიძახა გამოფხიზლებულმა როსტოვმა. იმ წუთს, როცა როსტოვმა თვალი გაახილა, წინიდან, იქიდან, სადაც მტერი იყო, მრავალი ათასი ხმის გაბმული ყვირილი მოესმა. მისმა ცხენმა და გვერდით მდგომი ჰუსარის ცხენმა ამ ყვირილზე ყურები ცქციტეს. იმ ადგილას, საიდანაც ყვირილი მოისმოდა, აინთო და ჩაქრა ჯერ ერთი ცეცხლი, მერე მეორე, და გორაკზე, ფრანგთა ჯარის მთელ ხაზზე ცეცხლის ენები აინთო, ყვირილიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა. როსტოვს ესმოდა ფრანგული სიტყვები, მაგრამ ვერ არჩევდა მათ აზრს. ძალზე ბევრი ხმა გუგუნებდა. ახლა ისმოდა: ააა! და რრრ!

– რა უნდა იყოს?... შენ რას ფიქრობ? – მიმართა როსტოვმა გვერდზე მდგომ ჰუსარს, – ეს ხომ მტერია!

ჰუსარმა პასუხი არ გასცა.

– განა არ გესმის?! – კარგა ხნის შემდეგ კვლავ ჰკითხა როსტოვმა.

– ვინ იცის, რა ხდება, თქვენო კეთილშობილებავ, – უპასუხა უხალისოდ ჰუსარმა.

– ადგილის მიხედვით, მტერი უნდა იყოს, – გაიმეორა კვლავ როსტოვმა.

– იქნებ ის არის, იქნებ სხვა რამეა, – ჩაილაპარაკა ჰუსარმა, – დამის ამბავია. ჰა, ნუ ცელქობ! – დაუყვირა მან მოუსვენრად შეტოკებულ თავის ცხენს.

როსტოვის ცხენიც შფოთავდა. ტორს სცემდა გაყინულ მიწას, ყურს უგდებდა ხმებს, თვალს ადევნებდა ცეცხლის ენებს. ყვირილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ბოლოს საერთო გუგუნად გადაიქცა; ასეთი ხმის გამოცემა შეეძლო მხოლოდ რამდენიმეთასიან არმიას. ცეცხლი უფრო და უფრო მატულობდა, ალბათ, ფრანგთა ბანაკის ხაზზე. როსტოვს უკვე გაუფრთხა ძილი. მტრის არმიის მხიარული, აღტყინებული ყვირილი ამაღელვებლად მოქმედებდა მასზე. – Vive l'empereur, l'empereur (გაუმარჯოს, იმპერატორს, იმპერატორს)! – ახლა უკვე გარკვევით ესმოდა როსტოვს.

– შორს არ უნდა იყვნენ, ალბათ, ნაკადულს იქით არიან, – უთხრა მან ჰუსარს.

ჰუსარმა პასუხი არ გასცა, მხოლოდ ამოიოხრა და გაჯავრებით ჩაახველა. ჰუსართა ხაზის მხრიდან მოისმა ჩორთით მომავალი ცხენის ფეხის ხმა; უეცრად დამის ბურუსში, თითქოს უზარმაზარი სპილოაო, გამოჩნდა ჰუსართა უნტეროფიცრის ფიგურა.

– თქვენო კეთილშობილებავ, გენერლები მოდიან! – უთხრა როსტოვს მისვლისას უნტეროფიცრმა.

როსტოვი უნტეროფიცრის თანხლებით ხაზს გაჰყვა, გაემართა რამდენიმე მომავალი ცხენოსნის შესახვედრად, თან იქითკენ იყურებოდა, სადაც ცეცხლის ენები ენთო და საიდანაც ყვირილი მოისმოდა. მომავალთაგან ერთი თეთრ ცხენზე იჯდა. თავადები ბაგრატიონი და დოლოგორუკოვი ადიუტანტებითურთ გამოსულიყვნენ, რათა ენახათ ეს უჩვეულო მოვლენა: კოცონები და ყვირილი მტრის არმიაში. გამოსულიყვნენ, რათა გაეგოთ, რა ხდებოდა იქ. როსტოვი ბაგრატიონთან მივიდა, უპატაკა და ადიუტანტებს შეუერთდა, თან ყურს უგდებდა გენერლების საუბარს.

– მერწმუნეთ, – ეუბნებოდა თავადი დოლოგორუკოვი ბაგრატიონს, – ეს მხოლოდ ეშმაკობაა: ნაპოლეონმა უკან დაიხია და ჩვენს მოსატყუებლად უბრძანა, არიერგარდში კოცონები დაენთოთ და აურზაური აეტეხათ.

– საეჭვოა, – მიუგო ბაგრატიონმა, – სადამოთი იმ ბეჭობზე იყვნენ, თავად დავინახე; თუ წავიდნენ, იქიდანაც უნდა წასულიყვნენ. ბატონო ოფიცერო, – მიმართა თავადმა ბაგრატიონმა როსტოვს, – დგანან კიდეც იქ მისი ფლანკორები?

– სადამოთი იდგნენ, ახლა კი არ ვიცი, თქვენო ბრწყინვალეზავ, – მიუგო როსტოვმა, – თუ მიბრძანებთ, გეახლებით ჰუსარებითურთ.

ბაგრატიონმა არაფერი უპასუხა, ცხენი შეაჩერა და ნისლში როსტოვის სახის დანახვას შეეცადა.

– ჰო, წადით, ნახეთ, – უთხრა მცირე სიჩუმის შემდეგ.

– მესმის!

როსტოვმა დეზები შემოჰკრა ცხენს, უნტეროფიცერ ფედჩენკოს და ორ ჰუსარს დაუძახა, უბრძანა გაჰყოლოდნენ და ჩორთით ქვემოთ დაეშვა. გაემართა იქითკენ, საიდანაც კვლავ მოისმოდა ყვირილი. როსტოვს თან ზარავდა, თანაც ახარებდა სამი ჰუსარითურთ წასვლა იქ, იმ საიდუმლო და საშიშ ადგილას, სადაც მანამდე არავინ ყოფილა. ბაგრატიონმა დაუყვირა გორაკიდან, ნაკადულს არ გასცილებოდა, მაგრამ როსტოვმა ისე მოაჩვენა, თითქოს არც კი გაეგონოს და შეუჩერებლად განაგრძო გზა; მიდიოდა უფრო და უფრო შორს, და წამდაუწუმ ტყუვდებოდა: ბურქები ხეებად ეჩვენებოდა, ხოლო ღრანტეები – ადამიანებად, და წამდაუწუმ რწმუნდებოდა შეცდომაში. როცა ჩორთით დაღმართს ჩავიდა, აღარ მოჩანდნენ აღარც რუსებისა და აღარც მტრის კოცონები, სამაგიეროდ, უფრო ხმამაღლა, უფრო გარკვევით მოისმოდა ფრანგთა ყვირილი. ხევში მდინარის მსგავსი რაღაც დაინახა, მაგრამ როცა მივიდა, გზა დახვდა. გზაზე შემდგარმა ყოყმანით ცხენი შეაჩერა: არ იცოდა, დასდგომოდა გზას თუ გადაეჭრა იგი და შავი მინდვრით გორაკისკენ წასულიყო. ნისლში გზა საკმაოდ გამოკვეთილიყო და მასზე სიარული ნაკლებად საშიში ჩანდა, რადგან უფრო ადვილად შეიძლებოდა კაცის შემჩნევა. მომყევით! – ჩაილაპარაკა მან, გზა გადაჭრა და სწრაფი ნაბიჯით გორაკს მიაშურა. მიდიოდა იმ ადგილისკენ, სადაც გუშინ ფრანგთა პიკეტი იდგა.

– თქვენო კეთილშობილებავ, აი ისინი! – ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ჰუსარმა მის უკან.

უეცრად ბურუსში რაღაც შავი შეირხა, ვერ მოასწრო როსტოვმა მისი გარჩევა, რომ ცეცხლმა იფეთქა და თოფი გავარდა; ტყვიამ, თითქოს რაღაცას უჩივისო, ნისლში გაიზუზუნა და სმენას მოსწყდა. მეორე თოფი არ გავარდნილა, მაგრამ ფალიაზე ცეცხლმა იფეთქა. როსტოვმა ცხენი მოაბრუნა და ჭენებით უკან გამოეშურა. კიდეც გაისმა სხვადასხვა დროს ოთხი გასროლის ხმა და ტყვიებმა, სხვადასხვა ხმაზე ამღერებულმა, სადღაც ნისლში გაიქროლეს. როსტოვმა ცხენი შეაყენა, – სროლისგან ცხენიც მხედარივით გამხიარულდა, – და ნელი სვლით განაგრძო გზა. „აბა, კიდეც, აბა, კიდეც!“ – ამბობდა მის გულში რომელიღაც მხიარული ხმა, მაგრამ სროლა უკვე შეწყვეტილი იყო.

მხოლოდ ბაგრატიონთან მიახლოებისას ააჩქარა როსტოვმა კვლავ ცხენი და ქუდთან ხელმიტანილმა გააჩერა იგი მაშინ, როცა თავადთან მივიდა.

დოლოგორუკოვი კვლავ თავისას განაგრძობდა, – ფრანგებმა დაიხიეს და მხოლოდ ჩვენს მოსატყუებლად გააჩაღეს კოცონებიო.

– რას ამტკიცებს მერე ეს? – ამბობდა ის, როცა როსტოვი მათთან მივიდა, – მათ უკან დაიხიეს და პიკეტები დატოვეს.

– ეტყობა, ჯერ ყველანი არ წასულან, თავადო, – თქვა ბაგრატიონმა, – ხვალ დილამდე დაველოდოთ, ხვალ ყველაფერს გაიგებთ.

– გორაკზე პიკეტია, თქვენო ბრწყინვალეზავ, იქვეა, სადაც საღამოთი იყო, – მოახსენა წინ წახრილმა როსტოვმა და ქუდთან ხელი მიიტანა, მას ჯერ კიდევ ვერ შეეკავებინა ამ მგზავრობით, უფრო კიტყვიების ზუზუნით გამოწვეული მხიარული ღიმილი.

– კეთილი, კეთილი, – უპასუხა ბაგრატიონმა, – გმადლობ, ბატონო ოფიცერო.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, – მიმართა როსტოვმა, – ნება მომეცით, გთხოვოთ...

– რა უნდა მოთხოვოთ?

– ხვალ ჩვენი ესკადრონი რეზერვშია, ნება მიბოძეთ, გთხოვოთ, – მიმავლინეთ პირველ ესკადრონში.

– რა გვარი ხარ?

– გრაფი როსტოვი.

– კარგი! დარჩი ჩემთან შიკრიკად.

– ილია ანდრიევიჩის შვილი? – ჰკითხა დოლოგორუკოვმა.

როსტოვმა პასუხი არ გასცა.

– მაშ, იმედი მექნება, თქვენო ბრწყინვალეზავ!

– კარგი, ვუბრძანებ!

„ხვალ იქნებ რამე ბრძანებით ხელმწიფესთან გამგზავნონ, – გაიფიქრა როსტოვმა, – მადლობა უფალს“.

ყვირილი და ცეცხლი მტრის არმიაში იმიტომ იყო, რომ როცა ჯარის ნაწილებს ნაპოლეონის ბრძანებას უკითხავდნენ, თავად იმპერატორი, ცხენზე ამხედრებული, ბანაკს ათვალეირებდა. ჯარისკაცებმა, დაინახეს თუ არა იმპერატორი, ჩალის კონებს ცეცხლი წაუკიდეს და ყვირილით: „გაუმარჯოს იმპერატორს!“ უკან დაედევნენ. ნაპოლეონის ბრძანება ასეთი იყო:

„ჯარისკაცებო! რუსეთის ჯარი იმიტომ გამოდის ჩვენს წინააღმდეგ, რომ შური იძიოს ავსტრიელებისთვის, ულმის არმიისთვის. ეს იგივე ბატალიონები არიან, რომელნიც თქვენ გოლაბრუნთან დაამარცხეთ და რომელთაც თქვენ განუწყვეტლივ სდევნით ამ ადგილამდე. პოზიციები, რომლებიც ჩვენ გვიჭირავს, – უპლიერესია, და სანამ რუსები მიემართებიან, რათა მარჯვენა მხრიდან შემოგვიარონ, ისინი თავიანთ ფლანგს მომიშვერენ. ჯარისკაცებო! თავად მე ვუხელმძღვანელებ თქვენს ბატალიონებს. მე შორს ვიქნები ცეცხლისგან, თუ თქვენ თქვენი ჩვეულებრივი სიმამაცით უწესოებას და არევ-დარევას შეიტანთ მტრის რიგებში; მაგრამ, თუ გამარჯვება, თუნდაც ერთი წუთით, საეჭვო გახდება, თქვენ დაინახავთ, როგორ პირველი მიეგეგება თქვენი იმპერატორი მტრის მახვილს, იმიტომ, რომ შეუძლებელია ყოყმანი გამარჯვებაში,

განსაკუთრებით იმ დღეს, როცა ლაპარაკია საფრანგეთის ქვეითი ჯარის სახელობე, რაც ასე აუცილებელია საკუთარი ერის დიდებისთვის.

დაჭრილების გაყვანის საბაბით ნუ აურევთ რიგებს. დაე, ყველა გაიმსჭვალოს იმ აზრით, რომ უნდა დამარცხდნენ ინგლისის მიერ დაქირავებულნი, რომელნიც ესოდენი სიძულვილით არიან გამსჭვალულნი ჩვენი ერის წინააღმდეგ. ამ გამარჯვებით დავასრულებთ ჩვენს ლაშქრობას და შეგვეძლება დავუბრუნდეთ საზამთრო ბინებს, სადაც დაგვხვდება ახალი ფრანგული ჯარი, რომელსაც თავს უყრიან საფრანგეთში, და მაშინ ზავი, რომელსაც მე დავდებ, ღირსეული იქნება ჩემი ხალხისთვის, თქვენთვის და ჩემთვის.

თავი მეთოთხმეტე

დილის 5 საათზე ჯერ კიდევ მთლად ბნელოდა. ცენტრისა და რეზერვების ჯარი და ბაგრატიონის მარჯვენა ფრთა ისევ უძრავად იდგა; მაგრამ მარცხენა ფრთაზე ქვეითი ჯარის, კავალერიისა და არტილერიის კოლონები, რომელნიც პირველი უნდა დაშვებულიყვნენ მაღლობებიდან, რათა იერიში მიეტანათ ფრანგთა მარჯვენა ფრთაზე და, დისპოზიციით, ბოჰემიის მთებისკენ უკუეგდოთ იგი, უკვე აფუსფუსდნენ და აიშალნენ თავიანთ ღამის სათევებში. თვალს აცრემლებდა კოცონების კვამლი. კოცონებში ყრიდნენ ყველაფერს, რაც კი ზედმეტად მიაჩნდათ. ციოდა და ბნელოდა. ოფიცრები აჩქარებით სვამდნენ ჩაის და საუზმობდნენ. ჯარისკაცები ორცხობილას ჭამდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ხურდებოდნენ და თავს იყრიდნენ კოცონების შორიახლო, თან შეშად ყრიდნენ ფარდულების ნარჩენებს, სკამებს, მაგიდებს, ბორბლებს, კათხებს, ყველაფერს ზედმეტს, რის წაღებაც თან შეუძლებელი იყო. ავსტრიული რაზმის წინამძღოლნი რუსი ჯარის ნაწილებს შორის დაფუსფუსებდნენ; მათი გამოჩენა ჯარის დამცრის მოახლოებას მოასწავებდა. რაწამსაც ავსტრიელი ოფიცერი პოლკის უფროსის კარავთან ჩნდებოდა, იმწამს პოლკი ფუსფუსს იწყებდა: ჯარისკაცები კოცონებიდან გარბოდნენ, ჩიბუხებს ჩექმის ყელში იდებდნენ, ხოლო ტოპრაკებს საზიდებში ინახავდნენ, თოფებს იღებდნენ და რიგებად ეწყობოდნენ. ოფიცრები ღილებს იკრავდნენ, დაშნებს და ჩანთებს იკიდებდნენ და ხმაურით უვლიდნენ რიგებს. მეზარგულები და სამხედრო მოსამსახურენი საზიდრებში ცხენებს აბამდნენ, შიგ ბარგს აწყობდნენ და ჰკრავდნენ. ადიუტანტები, ბატალიონისა და პოლკის უფროსები ცხენებზე სხდებოდნენ, პირჯვარს იწერდნენ, უკანასკნელ ბრძანებას, დარიგებასა და დავალებას აძლევდნენ დატოვებულ მეზარგულებს... გაისმოდა მრავალი ათასი ფეხის მონოტონური ბაგაბუგი. რაზმები მიდიოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, სად. ხალხით, სახლებითა და ხშირი ნისლით გარშემორტყმულნი ვერ ხედავდნენ ვერც იმ ადგილს, საიდანაც გადიოდნენ, ვერც იმას, სადაც შედიოდნენ.

ჯარისკაცი მოძრაობისას ისევე გარემოცულია, შეზღუდული და წარტაცებული თავისი პოლკის მიერ, როგორც მეზღვაური გემის მიერ, რომელზედაც იგი იმყოფებოდა. რაც უნდა დიდი მანძილი გაიაროს, რაც უნდა უცნაურ, უცნობ და საშიშ განედებში მოხვდეს, თავის გარშემო მუდამ და ყველგან ხედავს თავისი გემის იმავე ბაქნებს, ანძებს, ბაგირებს; იმავე ამხანაგებს, იმავე რიგებს, იმავე ფელდფებელს, ივან მიტრიჩს, ასეულის იმავე ძაღლს, ჟუჩკას, იმავე უფროსებს. ჯარისკაცს იშვიათად აქვს სურვილი იცოდეს ის განედები, სადაც იმყოფება მთელი მისი გემი, მაგრამ ბრძოლის დღეს, ღმერთმა უწყის, როგორ და საიდან, ჯარის ზნეობრივ სამყაროში ჩნდება ყველასთვის ერთი მკაცრი ნოტა, რომელშიც ისმის რაღაც გადამწყვეტისა და საზეიმოს მოახლოება და რომელიც იწვევს ჯარისკაცისთვის უჩვეულო ცნობისმოყვარეობას. ჯარისკაცები ბრძოლის დღეებში აღზნებულად ცდილობენ გადალახონ თავიანთი პოლკის ინტერესები, ყურს უგდებენ, თვალს ადევნებენ ყველაფერს, ხარბად კითხულობენ, რა ხდება მათ ირგვლივ.

უკვე გათენდა, მაგრამ ისეთი შავი ნისლი ჩამოწოლილიყო, რომ ათ ნაბიჯზეც არაფერი ჩანდა. ბუჩქები უზარმაზარ ხეებად გამოიყურებოდნენ, სწორი ადგილები ფლატეებად და ფერდობებად. ყველგან, ყოველ მხარეს, შეიძლებოდა კაცი ათ ნაბიჯზე უხილავ მტერს წასწყდომოდა. მაგრამ დიდხანს მიდიოდნენ რაზმები იმავე ნისლში, ეშვებოდნენ დაღმართებზე და ადიოდნენ აღმართებზე ახალ, უცნობ ადგილებში, გასცდნენ ბაღებს, ღობე-ყორებს, მტერს კი მაინც ვერსად შეხვდნენ. პირიქით, წინ და უკან, ყოველ მხარეს, ჯარისკაცები ერთსა და იმავეს ხედავდნენ – ერთი მიმართულებით მიმავალ თავიანთ რაზმებს, რუსთა რაზმებს. ყოველ ჯარისკაცს გულზე ეშვებოდა, როცა იგებდა, რომ იქითკენ, საითკენაც ის მიდიოდა, ესე იგი, უცნობი ადგილისკენ, კიდევ ბევრი, ბევრი მისიანი მიდიოდა.

– შეხედე ერთი, კურსკელებმაც გაიარეს, – ამბობდნენ რიგებში.

– უჰ, რა ურიცხვი ჯარია, ძმებო, თავმოყრილი! საღამოს გადავხედე ცეცხლებს, ბოლო არ უჩანდა. ერთი სიტყვით, მოსკოვია, რაღა!

თუმცა არავინ რაზმის უფროსთაგან არ მისულა რიგებთან და არ დალაპარაკებია ჯარისკაცებს (რაზმის უფროსები, როგორც სამხედრო თათბირის დროს დავინახეთ, გუნებაზე არ იყვნენ, უკმაყოფილონი მომავალი ბრძოლით მხოლოდ ბრძანებას ასრულებდნენ და არ ზრუნავდნენ ჯარის გასამხიარულებლად), ჯარისკაცები მაინც, როგორც ყოველთვის, მხიარულად მიდიოდნენ ბრძოლაში, მეტადრე, შეტევით ბრძოლაში. მაგრამ ერთი საათის შემდეგ იმავე ხშირ ნისლში მიმავალი ჯარის უმეტესობა იძულებული გახდა გაჩერებულიყო, და რიგებს ჩადენილი უწყესობისა და უთაურობის უსიამოვნო განცდა მოედო. მეტად ძნელი გასარკვევია, როგორ გადაეცემა ხოლმე ეს განცდა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ იგი მეტად შეუცდომლად ვრცელდება. ამასთან, ისე სწრაფად, შეუმჩნევლად და შეუკავებლად ედება ჯარს, როგორც ადიდებული წყალი მოედება ხოლმე ხევს. რუსეთის ჯარი რომ მარტო ყოფილიყო და არა მოკავშირე ჯართან ერთად, შეიძლება დიდ დროს გაეგლო კიდევ, ვიდრე უწყსრიგობის ეს განცდა საერთო რწმენად იქცეოდა. მაგრამ ახლა, როცა უწყსრიგობის მიზეზი განსაკუთრებული სიამოვნებით მიაწერეს გერმანელთა უთაურობას და ბუნებრივადაც ჩათვალეს ეს, ყველა დარწმუნდა, რომ მოხდა მავნე არეგ-დარევა, რომელიც კოლბასნიკებმა[111] ჩაიდინეს.

– რატომ გაჩერდნენ? გზა ხომ არ გადაგვიღობეს? თუ ფრანგებს წავაწყდით.

– არაფერი ისმის, თორემ სროლას დაიწყებდნენ.

– გვაჩქარებდნენ, გამოდით, გამოდითო! გამოვედით და აი, უაზროდ შუა მინდორში გაგვაჩერეს, სულ წყეული გერმანელები ურევენ საქმეს. ეშმაკმა წაიღოს იმათი უტვინო თავი!

– ჰოდა, მეც ავიღებდი და გავუშვებდი მაგ გერმანელებს წინ. თორემ აგერ უკნიდან გვეტმასნებიან ეგ წუწკები. იდექი ახლა მშვიდი.

– რას სჩადიან, ნეტა ჩქარა დაიძვრებიან თუ არა? ამბობენ, კავალერიამ გადაღობა გზაო, – თქვა ოფიცერმა.

– ოჰ, ეგ წყეული გერმანელები, არ იცნობენ თავიანთ მიწა-წყალსაც კი, – ამბობდა მეორე.

– თქვენ რომელ დივიზიას ეკუთვნით? – კითხულობდა ახალმოსული ადიუტანტი.

– მეთვრამეტეს.

– მერე აქ რას უდგახართ? რამდენი ხანია წინ უნდა ყოფილიყავით. ახლა საღამომდე ვეღარ გააღწევთ.

– აი, სულელური განკარგულება, თავად არ იციან, რას სჩადიან, – თქვა ოფიცერმა და მოშორდა იქაურობას.

მერე გენერალმა გაიარა, გაჯავრებული რაღაცას ყვიროდა უცხო ენაზე.

– ტაფა-ლაფაო, იძახის, მაგრამ რას ჯუჯღუნებს, ვერ გაარჩევ, – აჯავრებდა ჯარისკაცი გენერალს, – სათითაოდ დავხვრეტდი მაგ არამზადებს!

– გვიბრძანეს, ცხრა საათისთვის დანიშნულ ადგილას მივსულიყავით, ჯერ კი ნახევარიც არ გაგვივლია. განკარგულებაც ასეთი უნდა! – იმეორებდნენ სხვადასხვა ადგილას.

და ის სიმხნევე, რომლითაც ჯარი საბრძოლველად გამოვიდა, თანდათან ქრებოდა, მის ადგილს უკმაყოფილება და გულისწყრომა იკავებდა; უკმაყოფილონი იყვნენ უაზრო განკარგულებითა და გერმანელებით.

არევ-დარევის მიზეზი შემდეგი იყო: უმაღლესმა ხელმძღვანელობამ ცნო, რომ მარცხენა ფრთაზე მიმავალი ავსტრიის კავალერიის მანევრირების დროს ჩვენი ცენტრი ძალიან დაშორდა მარჯვენა ფრთას. ამიტომ მთელ კავალერიას ებრძანა მარჯვენა მხარეს გადასულიყო. რამდენიმე ათასი ცხენოსანი ქვეითი ჯარის წინ მარცხნიდან მარჯვნივ გადადიოდა, და ქვეით ჯარს უნდა დაეცადა.

წინ შეტაკება მოხდა ავსტრიელ რაზმის წინამძღოლსა და რუს გენერალს შორის. რუსი გენერალი ყვირილით მოითხოვდა კავალერიის შეჩერებას; ავსტრიელი უმტკიცებდა, დამნაშავე მე არა ვარ, დამნაშავეა უმაღლესი მთავრობაო. ამასობაში ჯარი მოწყენილი იდგა და სულით ეცემოდა. ერთი საათის შეფერხების შემდეგ ჯარი, როგორც იქნა, კვლავ დაიდრა და გორაკიდან ქვემოთ დაემუა. ნისლი, უკვე გაფანტული გორაკზე, უფრო სქლად იფინებოდა გორაკის ძირში, სადაც ჯარი ჩაემუა. წინ, ნისლში, გაისმა სროლა ერთხელ, მეორედ, ჯერ არეულად, დროგამოშვებით: ტრატა... ტატ, მერე უფრო მწყობრად და ხშირად.

დაიწყო ბრძოლა ჰოლდბახის დელესთან:

ჯარი არ მოელოდა ქვემოთ, ხევში, მტერს, რომელსაც იგი უცაბედად წააწყდა ნისლში; მას არ ესმოდა გამხრევიებისა და აღფრთოვანების სიტყვები უფროსებისგან; მის რიგებს შორის უკვე გავრცელებულიყო ის აზრი, რომ ყველაფერს ვერ ხედავდა წინ და ირგვლივ. ყოველივე ამის გამო რუსები ზანტად და ზარმაცად ესროდნენ მტერს, მიიწევდნენ წინ და ისევ ჩერდებოდნენ, დროზე ვერ იღებდნენ ბრძანებებს უფროსებისა და ადიუტანტებისგან, რომელნიც ნისლში გახვეულნი და უცნობ ადგილას დაკარგულნი, ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ თავიანთ ნაწილებს. ასე დაიწყო ბრძოლა ქვემოთ ჩასულ პირველ, მეორე და მესამე რაზმისთვის, მეოთხე რაზმი, რომელთანაც კუტუზოვი იმყოფებოდა, პრაცენის მადლობზე იდგა.

ქვემოთ, ხევში, სადაც ბრძოლა უკვე დაწყებული იყო, ჯერ კიდევ ნისლი იდგა, ხოლო ზემოთ გაფანტულიყო, მაგრამ იქიდან არ ჩანდა, რაც წინ ხდებოდა. იყო თუ არა მტრის მთელი ძალა, როგორც ვარაუდობდნენ, ათი ვერსით დაშორებული რუსებისგან, თუ იგი, ამ ნისლით შემოფარგლული, აქვე, მათ წინ იდგა, – 9 საათამდე არავინ იცოდა.

დილის 9 საათი იყო. ნისლი ზღვასავით მოსდებოდა დაბლობს, მაგრამ ის მადლობი სოფელ შლაპანიცთან, რომელზეც მარშლებით გარშემოხვეული ნაპოლეონი იდგა, მთლად განათებულიყო. ზევიდან ნაპოლეონს მოწმენდილი მტრედისფერი ცა დაჰყურებდა და უზარმაზარი ბურთივით დამრგვალებული მზე, რომელიც ნისლის რძისფერ ზედაპირზე ისე დალივლივებდა, როგორც ვეება გულფულურო წითელი ტივტივა. არათუ ფრანგთა მთელი ჯარი, არამედ თვით ნაპოლეონიც კი თავისი შტაბით არ იდგა გუბეებს გადაღმა, სოფელ სოკოლნიცისა და შლაპანიცის დაბლობების მეორე მხარეს, რომელთა იქითაც აპირებდნენ რუსები პოზიციის დაჭერასა და ბრძოლის დაწყებას. ჯარიც და ნაპოლეონიც იდგნენ აქეთა მხარეს, ისე ახლო რუსთა ჯარისგან, რომ ნაპოლეონს უბრალო თვალით

შეეძლო რუსულ ჯარში ცხენოსნის გარჩევა ქვეითისგან. ნაპოლეონი მომცრო ნაცრისფერ არაბულ ცხენზე იჯდა და ოდნავ წინ იდგა თავის მარშლებზე; ეცვა ლურჯი ფარაჯა, სწორედ ის, რომლითაც მან იტალიის კამპანია ჩაატარა. მდუმარედ გაჰყურებდა თითქოს ნისლის ზღვიდან ამოტივტივებულ შორეულ ბორცვებს, რომლებზედაც რუსი ჯარი გადადიოდა, თან ყურს უგდებდა ხევში ატეხილ სროლას. იმხანად ჯერ კიდევ გამხდარი სახე ჰქონდა და ამ სახეზე არც ერთი კუნთი არ იძვროდა; ელვარე თვალები ერთ ადგილს გასცქეროდნენ უძრავად. მისი ვარაუდი სწორი გამოდგა. რუსი ჯარის ნაწილები უკვე ჩავიდნენ ქვევით, იქ, სადაც გუბეები და ტბები იყო, ნაწილი ახლა ტოვებდა პრაცენის მაღლობს, რომლებზედაც მას იერიშის მიტანა სწადდა და რომლებიც პოზიციის გასაღებად მიაჩნდა. ნისლში ხედავდა, როგორ მიდიოდნენ ხიმტების ლაპლაპით ორ გორაკს შუა, ჩაღრმავებულ ადგილას, სოფელ პრაცენის მახლობლად, რუსული ჯარის რაზმები, მიდიოდნენ ერთი მიმართულებით და ერთიმეორეზე ნისლში ინთქმებოდნენ. ცნობები, რომლებიც მან წუხანდელს აქეთ მიიღო, ავანპოსტებზე ღამე გაგონილი თვლებისა და ფეხის ხმები, რუსული რაზმების უწყსრიგო მოძრაობა და ზოგი სხვა მოსაზრება ცხადყოფდა, რომ მოკავშირეებს იგი შორს მიაჩნდათ; რომ რაზმები, რომლებიც სოფელ პრაცენის მახლობლად მოძრაობდნენ, რუსული ჯარის ცენტრს შეადგენდნენ და ეს ცენტრი უკვე იმდენად დასუსტებულიყო, რომ შეიძლებოდა მის წინააღმდეგ იერიშის წარმატებით მიტანა. მაგრამ ჯერჯერობით ბრძოლას მაინც არ იწყებდა.

დღეს საზეიმო დღე იყო მისთვის – სამეფო გვირგვინის კურთხევის წლისთავი. დილით რამდენიმე საათით წაიძინა და ჯანმრთელი, მხიარული, გამხნეებული, იმ ბედნიერ გუნებაზე, როდესაც ყველაფერი შესაძლებლად მიგაჩნია და აღწევ კიდევ ყველაფერს, ცხენზე შეჯდა და ველად გავიდა. ახლა უძრავად იდგა, გაჰყურებდა ნისლიდან ამოტივტივებულ მაღლობებს და მის ცივ სახეზე აღბეჭდილიყო თავდაჯერებული, დამსახურებული ბედნიერების ის განსაკუთრებული იერი, რის დანახვაც შეყვარებული და ბედნიერი ყრმის სახეზე შეიძლება მხოლოდ. მარშლები უკან იდგნენ და ვერ ბედავდნენ მისი ყურადღების გაფანტვას. ნაპოლეონი შეჰყურებდა ხან პრაცენის მაღლობს, ხან ღრუბლებიდან სანახევროდ ამოცურებულ მზეს.

როცა მზე მთლად გათავისუფლდა ღრუბლებისგან და თვალისმომჭრელი სხივები მინდვრებსა და ნისლს სტყორცნა (თითქოს ამ წუთს ელოდაო ბრძოლის დასაწყებად), ნაპოლეონმა ხელთათმანი წაიძრო ლამაზი თეთრი ხელიდან, ამ ხელთათმნით ნიშანი მისცა მარშლებს და უბრძანა დაეწყოთ ბრძოლა. მარშლებმა ადიუტანტების თანხლებით სხვადასხვა მხრისკენ გააქროლეს ცხენები, და რამდენიმე წუთის შემდეგ საფრანგეთის ჯარის მთავარი ძალები სწრაფი ნაბიჯით გაემართნენ პრაცენის იმ მაღლობისკენ, რომელსაც თანდათან ათავისუფლებდა ხევისკენ დაშვებული რუსთა ჯარი.

თავი მეთხუთმეტე

რვა საათზე კუტუზოვი ცხენით პრაცენის მაღლობზე ავიდა. იგი წინ მიუძღოდა მილორადოვიჩის რაზმს, რომელსაც პრჟებიშევსკისა და ლანჟერონის უკვე ხევში ჩასული რაზმების ადგილი უნდა დაეჭირა. კუტუზოვი წინა პოლკის ჯარისკაცებს მიესალმა, შემდეგ ბრძანება გასცა, დაძრულიყვნენ. ამით გააგებინა ყველას, რომ თავად სწადდა გასძღოლოდა ამ რაზმს. სოფელ პრაცენში შესვლისას ცხენი გააჩერა. თავადი ანდრეი მის უკან იდგა, იმ უამრავ პირთა შორის, რომელნიც მის ამაღლას შეადგენდნენ. თავადი ანდრეი აღელვებული და გაკვირვებული გამოიყურებოდა; მაგრამ იმავე დროს თავშეკავებული და დამშვიდებული იყო, ისეთი, როგორც კაცი დიდი ხნის სანატრელი წუთის დადგომის დროს არის ხოლმე. მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ დადგა მისი ტულონის ან არკოლის ხიდის[112] დღე. როგორ მოხდებოდა ეს, – არ იცოდა, მაგრამ მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მოხდებოდა. იცნობდა ადგილს, იცოდა თავისი ჯარის განლაგება, იცოდა იმდენად, რამდენადაც

შეიძლება სცოდნოდა ეს სხვა ვინმეს რუსეთის არმიიდან. დავიწყებას მისცა საკუთარი სტრატეგიული გეგმა, რომლის განხორციელებაზე ფიქრი ახლა სრულიად ზედმეტი იყო. ახლა თვალწინ უკვე ვეიროტერის გეგმა ედგა, და თავადი ანდრეი ვარაუდობდა, რა შემთხვევები შეიძლება წამოჭრილიყო, როცა საჭირო იქნებოდა სწრაფი მოსაზრება და გადამჭრელი მოქმედება.

ქვემოდან, მარცხენა მხრიდან, ნისლში სროლა ისმოდა; სროლა წარმოებდა უხილავ ჯარებს შორის. ის ადგილი, – ანდრეის წარმოდგენით, – იქცეოდა ბრძოლის ცენტრად, იქ გაჩნდებოდა დაბრკოლება, და აი „სწორედ იქ გამგზავნიან, – ფიქრობდა იგი, – ბრიგადით ან დივიზიით, და იქ აფრიალებული დროშით გავწევ წინ და გადავლახავ ყველაფერს, რაც კი წინ გადამელობება“.

თავად ანდრეის არ შეეძლო გულგრილად ეცქირა მიმავალი ბატალიონების დროშებისთვის. უყურებდა დროშას და ფიქრობდა: „იქნებ სწორედ ეს არის ის დროშა, რომლითაც მე ჯარს უნდა გავუძღვე“.

ღამის ნისლმა დილისთვის მაღლობებზე მხოლოდ თრთვილი დატოვა, რომელიც ცვრად გადაიქცა, ხოლო ხეობებში ნისლი ჯერ კიდევ მოთეთრო რძისფერ ზღვად გაწოლილიყო. არაფერი ჩანდა იმ ხევში მარცხნივ, საითკენაც რუსების ჯარი ჩაეშვა, და საიდანაც სროლის ხმა მოდიოდა. მაღლობებს ბნელი, მოწმენდილი ცა დაჰყურებდა, ხოლო მარჯვნივ მზის უზარმაზარი ბურთი ეკიდა. წინ, შორს, ნისლიანი ზღვის მეორე ნაპირზე, მოჩანდა ტყიანი ბორცვები, სადაც მტრის არმია უნდა ყოფილიყო, და მართლაც, რაღაც მოჩანდა იქ. მარჯვნივ ნისლის ზღვაში გვარდია შედიოდა, მოისმოდა ცხენების თქარათქური და თვლების ბრახაბრუხი, ზოგჯერ ხიშტებიც ეღვარებდნენ; მარცხნივ, სოფელს იქით, კავალერიის ასეთივე მასები მიემართებოდნენ და ნისლის ზღვაში ინთქმებოდნენ. წინ და უკან ქვეითი ჯარი მიდიოდა. მთავარსარდალი სოფლის გასასვლელში იდგა. მის წინ ჯარი მიდიოდა. კუტუზოვი ამ დილით დასუსტებული და გაჯავრებული გამოიყურებოდა. მის წინ მიმავალი ქვეითი ჯარი უბრძანებლად გაჩერდა, გაჩერდა, ალბათ იმიტომ, რომ წინ რაღაცამ შეაფერხა.

– გადაეცით, ბატალიონებად დაეწყონ და სოფელს შემოუარონ, – უბრძანა გაჯავრებულმა კუტუზოვმა ახალმისულ გენერალს, – როგორ ვერ გაგიგიათ, თქვენო აღმატებულება, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ არ შეიძლება ჯარის ასე გაჭიმვა სოფლის ამ ვიწრო ქუჩაში, როცა მტრის წინააღმდეგ მივემართებით.

– განზრახული მქონდა სოფლის იქით დავრაზმულიყავით, თქვენო მაღალაღმატებულება, – მიუგო გენერალმა.

კუტუზოვმა ღვარძლიანად გაიცინა.

– კარგი დღე დაგადგებათ, თუ მტრის თვალწინ შეუდექით ფრონტის გამლას, სწორედ რომ კარგი!

– მტერი ჯერ კიდევ შორს არის, თქვენო მაღალაღმატებულება! დისპოზიციით...

– დისპოზიცია! – ღვარძლიანად წამოიძახა კუტუზოვმა, – ვინ გითხრათ მერე? ინებეთ და შეასრულეთ, რასაც გიბრძანებენ.

– მესმის!

– Mon cher (ჩემო კარგო) – მიმართა ჩურჩულით თავად ანდრეის ნესვიცკიმ, – le vieux est d'une humeur de chien (მოხუცი მეტად ცუდ გუნებაზეა).

კუტუზოვს მივარდა თეთრმუნდირიანი ავსტრიელი ოფიცერი, ქუდზე მწვანე პლუმაჟით და იმპერატორის სახელით ჰკითხა, – ჩაება თუ არა ბრძოლაში მეოთხე რაზმიო.

კუტუზოვმა პასუხი არ გასცა და პირი მიიბრუნა; უნებურად თვალში მოხვდა მახლობლად მდგომი თავადი ანდრეი. ბოლკონსკის დანახვაზე კუტუზოვმა შეარბილა ბოროტი და გესლიანი

გამომეტყველება, თითქოს მიხვდა, რომ მისი ადიუტანტი დამნაშავე არ იყო იმაში, რასაც სხვები აკეთებდნენ. მან უპასუხოდ დატოვა ავსტრიელი ადიუტანტი და ბოლკონსკის მიმართა:

– *Allez voir, mon cher, si la troisième division a dépassé le village. Dites-lui de s'arrêter et d'attendre mes ordres* (წადით, ჩემო კარგო, და გაიგეთ, განვლო თუ არა მესამე დივიზიამ სოფელი. უთხარით, გაჩერდეს და ჩემს ბრძანებას დაუცადოს).

განშორდა თუ არა თავადი ანდრეი, კუტუზოვმა შეაჩერა.

– *Et demandez-lui, si les tirailleurs sont postés* (ჰკითხეთ, დააყენეს თუ არა მეწინავე მსროლელნი, – დაუმატა მან, – *Ce qu'ils font, ce qu'ils font* (რას სჩადიან, რას სჩადიან)! – ჩაილაპარაკა თავისთვის და ავსტრიელს მაინც პასუხი არ აღირსა.

თავადმა ანდრეიმ ცხენი გააქროლა დავალების შესასრულებლად.

როცა ყველა მიმავალ ბატალიონს გაუსწრო და მესამე დივიზია გააჩერა, დარწმუნდა, რომ რუსების რაზმების წინ მართლაც არ იყო მსროლელთა მწკრივი. იმ პოლკის უფროსი, რომელიც ყველაზე წინ იყო, ძალზე გააოცა მთავარსარდლის ბრძანებამ მსროლელთა რაზმების წინ განლაგების შესახებ. პოლკის უფროსი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ წინ სხვა ჯარი იდგა და მტერი ათ ვერსზე ახლოს არ იყო. მართლაც, წინ ხშირ ნისლში გახვეული დაქანებული უდაბური ადგილის მეტი არაფერი მოჩანდა. თავადმა ანდრეიმ უბრძანა შეესრულებინათ მთავარსარდლის განკარგულება და ცხენი უკან გამოაქროლა. კუტუზოვი იმავე ადგილას იდგა, სადაც თავადმა ანდრეიმ დატოვა, და, თავისი მსუქანი სხეულით ბებრულად უნაგირში ჩაშვებული, თვალდახუჭული ზარმაცად ამთქნარებდა. ჯარი აღარ იძვროდა და თოფებდაშვებული ერთ ადგილას იდგა.

– კეთილი, კეთილი, – უთხრა თავად ანდრეის და მიმართა გენერალს, რომელიც საათს დაჰყურებდა და ამბობდა, დროა დავძრათ ჯარი, რადგან მარცხენა ფრთიდან ყველა რაზმი უკვე დაემჯავა.

– ნუ ჩქარობთ, მოვასწრებთ, თქვენო აღმატებულება, – მიუგო გენერალს მთქნარებით კუტუზოვმა, – მოვასწრებთ! – გაიმეორა მან.

ამ დროს უკნიდან, შორი მანძილიდან მოისმა პოლკების მისალმებათა ხმები. ხმები სწრაფად ახლოვდებოდა და რუსთა რაზმების გრძლად გაჭიმულ მთელ ხაზს ედებოდა. აშკარა იყო, რომ ის, ვისაც ესალმებოდნენ, სწრაფად მოაქროლებდა ცხენს. როდესაც შეჰყვებოდა იმ პოლკმა, რომლის წინაც კუტუზოვი იდგა, მთავარსარდალმა ცხენი ოდნავ განზე მიაყენა და შუბლშეკრულმა უკან მიიხედა. პრაცენიდან მომავალი გზით, თითქოს ესკადრონიაო, ცხენებს მოაქროლებდნენ ფერად-ფერად ტანისამოსში გამოწყობილი მხედრები. ორი მათგანი, ერთად მომავალი, ყველაზე წინ მოაჭენებდა ცხენებს. ერთი, შავ მუნდირში გამოწყობილი და თეთრი ჯილით თავდამშვენებული, თაფლა ინგლიზირებულ ცხენზე იჯდა, ხოლო მეორე, თეთრმუნდირიანი, – შავ ცხენზე. ესენი იმპერატორები იყვნენ თავიანთი ამალებითურთ. კუტუზოვმა ფრონტზე მყოფი ბეჯითი მოსამსახურის აფექტაციით შესძახა გამოჭიმულ ჯარს – *смирно* (სწორდი!)! და სამხედრო სალმით მიეახლა იმპერატორს. ერთბაშად გამოიცვალა მთელი მისი ფიგურა და მანერა. მან მიიღო დაქვემდებარებული კაცის სახე. გადაჭარბებული მოწიწებით მივიდა ხელმწიფესთან და მიესალმა, რამაც, ეტყობოდა, უსიამოვნოდ გააოცა იმპერატორი ალექსანდრე.

უსიამოვნო შთაბეჭდილებამ, როგორც ნისლის უკანასკნელმა ნაფლეთმა მოწმენდილ ცაზე, სწრაფად გადაირბინა იმპერატორის ახალგაზრდა და ბედნიერ სახეზე. უქეიფობის შემდეგ ოდნავ გამხდარი ჩანდა ამ დღეს, უფრო მეტად, ვიდრე ოლმიუცის ველზე, სადაც ბოლკონსკიმ პირველად ნახა მას შემდეგ, რაც იგი საზღვარგარეთ იყო; მაგრამ სიდიადისა და სიმშვიდის მომხიბვლელი ნაზავი

გამოსჭვიოდა მის მშვენიერ ცისფერ თვალებში და ნაზი ტუჩები კვლავ ამჟღავნებდნენ, რომ მათ შეეძლოთ გამოეხატათ სხვადასხვა გამომეტყველება, უფრო კი გულკეთილი და ხალასი ახალგაზრდობისა.

ოლმიუცის დათვალეირებისას იგი უფრო დიადი იყო, აქ კი უფრო მხიარული და ენერგიული. სამი ვერსის ცხენით სწრაფად გავლის შემდეგ ოდნავ წამოწითლებულიყო. და, რაკი ცხენი შეაჩერა, თითქოს შეისვენაო, ამოისუნთქა, უკან მიბრუნდა და გადახედა თავისი ამალის წევრთა ისეთსავე ახალგაზრდა, ისეთსავე ენერგიულ სახეებს, როგორც მისივე სახე იყო. ლაპარაკითა და ღიმილით მისდევდნენ ხელმწიფეს ჩარტორიჟსკი, ნოვოსილცევი, თავადი ბოლკონსკი, სტროგანოვი და სხვები. როცა ხელმწიფე გაჩერდა, გაჩერდნენ ისინიც, მდიდრულად ჩაცმული, მხიარული ახალგაზრდა კაცები ჩინებული, საუცხოოდ მოვლილი, ოდნავ გაოფლიანებული ცხენებით. იმპერატორი ფრანცი, ღაჟღაჟა, გრძელსახიანი ახალგაზრდა კაცი, ძალზე გაჭიმული იჯდა ლამაზ შავ ულაყზე. შეფიქრიანებული აუჩქარებლად იყურებოდა გარშემო. მან მიიხმო ერთ-ერთი თავისი თეთრი ადიუტანტთაგანი და რაღაც უთხრა. „ალბათ, ჰკითხა, რომელ საათზე გამოვიდნენ“, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ. უყურებდა იგი თავის ძველ ნაცნობს და ღიმილს ვერ იკავებდა, როცა აუდიენცია აგონდებოდა. იმპერატორთა ამალაში სულ ვაჟკაცი შიკრიკები იყვნენ, რუსები და ავსტრიელები, გვარდიისა და არმიის პოლკებში შერჩეული. მათ შორის იყვნენ ბერეიტორები[113], რომელთაც ლამაზი, ფერადი ყაჯრებით[114] მორთული სათარიგო სამეფო ცხენები მიჰყავდათ.

თითქოს გაღებული ფანჯრიდან მინდვრის საამო ნიავმა შეიქროლაო ჰაერდახშულ ოთახში, ისე დაქროლა კუტუზოვის მოწყენილ შტაბს ამ ნიავივით მოვარდნილმა ბრწყინვალე ახალგაზრდობამ სიყმაწვილით, მხნეობითა და გამარჯვების რწმენით.

– რატომ არ იწყებთ, მიხაილ ლარიონოვიჩ? – სწრაფად მიმართა იმპერატორმა ალექსანდრემ კუტუზოვს და იმავე დროს თავაზიანად შეხედა იმპერატორ ფრანცს.

– ვუცდი ჯარს, თქვენო უდიდებულესობავ, – გაიმეორა კუტუზოვმა (თავადმა ანდრეიმ შენიშნა, რომ კუტუზოვს ზედა ტუჩი არაბუნებრივად შეუკანკალდა, როცა წარმოთქვა, ვუცდიო), – ჯერ კიდევ ყველა რაზმი არ მოსულა, თქვენო უდიდებულესობავ!

ხელმწიფემ პასუხი გაიგონა, მაგრამ, ეტყობოდა, არ მოეწონა: მოხრილი მხრები აიჩჩა და გვერდით მდგომ ნოვოსილცევს შეხედა, თითქოს ამ შეხედვით კუტუზოვზე ბრაზობსო.

– ცარიცინის ველზე ხომ არა ვართ, მიხაილ ლარიონოვიჩ, სადაც აღლუმს არ იწყებენ, სანამ პოლკები თავს არ მოიყრიან, – უთხრა ხელმწიფემ და კვლავ შეხედა თვალებში იმპერატორ ფრანცს, თითქოს ეუბნებოდა, თუ მონაწილეობას არ მიიღებთ ლაპარაკში, ყური მაინც დამიგდე, რას ვამბობო, მაგრამ იმპერატორი ფრანცი ყურს არ უგდებდა და უკან ცქერას განაგრძობდა.

– სწორედ იმიტომ არ ვიწყებ, ხელმწიფეო, – უპასუხა ხმამაღლა კუტუზოვმა, თითქოს იმიტომ, რომ წელანდელივით არ გამოჰპაროდა ხელმწიფეს მისი სიტყვები, და მის სახეზე ერთხელ კიდევ აკანკალდა რაღაც, – სწორედ იმიტომ არ ვიწყებ, ხელმწიფეო, რომ აღლუმზე არა ვართ და არც ცარიცინის ველზე ვართ, – წარმოთქვა მან ნათლად და გარკვევით.

ამალაში მყოფთ ერთმანეთს გადახედეს; ყველას სახეზე დრტვინვა და უკმაყოფილება აღიბეჭდა. „მოხუცია, მაგრამ ასე მაინც არ უნდა კადრულობდეს ლაპარაკს“, ამბობდნენ თითქოს ეს სახეები.

ხელმწიფემ გაშტერებით და ყურადღებით შეხედა თვალებში კუტუზოვს, იქნებ კიდევ რამე თქვასო. თავის მხრივ კუტუზოვიც, მოწიწებით თავდახრილი, თითქოს რაღაცას მოელოდა. სიჩუმემ ერთ წუთამდე გასტანა.

– მაგრამ, თუ მიბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ, – მიმართა კუტუზოვმა და თავი ასწია, იგი კვლავ გადავიდა წინანდელ კილოზე, გონებაჩლუნგი, ბრძანების შემსრულებელი, მორჩილი გენერლის კილოზე.

მან ცხენი დაძრა, რაზმის უფროს მილორადოვიჩს დაუძახა და უბრძანა, დაეწყო შეტევა.

ჯარი კვლავ შეირხა და, ნოვგოროდის პოლკის ორმა და აფშერონის პოლკის ერთმა ბატალიონმა ხელმწიფის წინ გაიარეს.

იმ დროს, როცა აფშერონის ბატალიონი მიდიოდა, ცხენით გამოვარდა და, სამხედრო სალმის კოხტად მიცემის შემდეგ, ხელმწიფის წინ გაჩერდა ლაჟღაჟა მილორადოვიჩი, უფარაჯო, მუნდირსა და ორდენებში და გვერდზე გადაგდებული ქუდით, რომელსაც უზარმაზარი ჯილა ამშვენებდა.

– ღმერთი იყოს თქვენი შემწე, გენერალო! – უთხრა მას ხელმწიფემ.

– Ma foi, sire, nous ferons ce qui sera dans notre possibilité, sire (თქვენო უდიდებულესობავ, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელი იქნება, თქვენო უდიდებულესობავ), – მიუგო მან მხიარულად. მიუხედავად ამისა, მისმა უხეირო გამოთქმამ ფრანგულ ენაზე ღიმილი გამოიწვია ამაღლის წევრთა შორის.

მილორადოვიჩმა სწრაფად შეატრიალა ცხენი და ხელმწიფის უკან დადგა, ცოტა მოშორებით. აფშერონელებმა, ხელმწიფის ნახვით აღფრთოვანებულებმა, მკვირცხლი, ვაჟკაცური ნაბიჯით გაიარეს იმპერატორებისა და მათი ამაღლის წინ.

– ბიჭებო! – დაიძახა მაღალი, მტკიცე და მხიარული ხმით მილორადოვიჩმა, ეტყობა, იმდენად აღტყინებულმა სროლის ხმით, ბრძოლის მოლოდინით და ვაჟკაც აფშერონელების, სუვოროვის დროის თავისი ამხანაგების სახით, რომელნიც მკვირცხლად მიდიოდნენ იმპერატორების წინ, რომ დაივიწყა ხელმწიფის იქ ყოფნა და ხმამაღლა შეჰყვირა, – ბიჭებო, პირველად არ გიხდებათ სოფლის აღება!

– მზად ვართ! – შეჰყვირეს ჯარისკაცებმა.

ხელმწიფის ცხენი განზე გახტა ამ მოულოდნელი შეყვირებისგან. ამ ცხენს, რომელიც ხელმწიფეს ჯერ კიდევ რუსეთში ატარებდა ჯარის დათვალიერებისას, აქ, აუსტერლიცის ველზე, ისევე დაჰყავდა თავისი მხედარი, ისევე იტანდა მისი მარცხენა ფეხის ხშირ გულმავიწყ შემოკვრას ფერდში, ისევე ცქვეტდა ყურებს სროლის ხმაზე, როგორც რუსეთში, მარსის მოედანზე; მას არ ესმოდა არც ამ სროლის და არც იმპერატორ ფრანცის შავი ულაცის მეზობლობის მნიშვნელობა, არ ესმოდა მას აგრეთვე ყველა იმის მნიშვნელობა, რასაც ამბობდა, ფიქრობდა, გრძნობდა ამ დღეს ის, ვინც მის ზურგზე იჯდა.

ხელმწიფემ ღიმილით მიმართა ერთ-ერთ თავის ახლობელს, მიუთითა ვაჟკაც აფშერონელებზე და რაღაც უთხრა.

თავი მეთექვსმეტე

კუტუზოვი თავისი ადიუტანტების თანხლებით ნელი სვლით აედევნა კარაბინელებს.

იგი რაზმს კუდში მისდევდა; ნახევარი ვერსის გავლის შემდეგ გაჩერდა მარტო მდგარ მიტოვებულ სახლთან (აღბათ ყოფილ ტრაქტირთან), იქ, სადაც გზა იყოფოდა. ორივე გზა ქვემოთ ეშვებოდა და ორივეზე ჯარი მიდიოდა.

ნისლი იფანტებოდა, და ორიოდ ვერსის მანძილზე, პირდაპირ მაღლობზე, ბუნდოვნად უკვე მოჩანდა მტრის ჯარი. მარცხნიდან, ქვემოდან, სროლა უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა. კუტუზოვი გაჩერდა

და ავსტრიელ გენერალს გამოელაპარაკა. ოდნავ უკან მდგომი თავადი ანდრეი მათ შეჰყურებდა; მან მეორე ადიუტანტს დურბინდი სთხოვა.

– შეხედეთ, შეხედეთ, – ეუბნებოდა ეს ადიუტანტი და თან იყურებოდა არა შორეული ჯარისკენ, არამედ იქვე, გორაკის ძირისკენ, – ფრანგები არიან!

ორივე გენერალმა და ადიუტანტმა დურბინდს წაატანა ხელი, ცდილობდნენ დაესწროთ ერთმანეთისთვის. ყველას სახე ერთბაშად გამოეცვალა, ყველა ზარდაცემული გამოიყურებოდა. ფიქრობდნენ, ფრანგები ორ ვერსზე არიანო. ახლა კი უცბად, მოულოდნელად ცხვირწინ გაჩნდნენ.

– ეს მტერია?... არა!.. შეხედეთ... მართლაც მტერია... საიდან, როგორ? – მოისმა აქეთ-იქიდან. თავადმა ანდრეიმ მარჯვნივ, არაუმეტეს ხუთას ნაბიჯზე იმ ადგილიდან, სადაც კუტუზოვი იდგა, უდურბინდოდ დაინახა ქვემოდან მომავალი ფრანგთა ხშირი რაზმი; ისინი მოდიოდნენ იმ გზით, რომლითაც აფშერონელები ეშვებოდნენ.

„აი, დადგა გადამჭრელი წუთი! მოაღწია საქმემ ჩემამდე“, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ, ცხენს დეზი შემოჰკრა და კუტუზოვთან მივიდა.

– უნდა შევაჩეროთ აფშერონელები, თქვენო მაღალადმატებულეზავ! – დაიყვირა მან.

მაგრამ სწორედ იმ წუთს ყველაფერი კვამლმა მოიცვა. მახლობლად სროლა გაისმა, და შეშინებულმა ხმამ ორ ნაბიჯზე თავად ანდრეისგან გულუბრყვილოდ წამოიძახა: „ეჰ, ძმებო, გათავდა ყველაფერი!“ ისე გაისმა ეს ხმა, როგორც სამხედრო ბრძანება, ამ ხმაზე ყველამ პირი იბრუნა, ყველა გაქცევაზედა ფიქრობდა.

ერთმანეთში არეული, უფრო და უფრო გაზრდილი ბრბოები გარბოდნენ იმ ადგილისკენ, სადაც ხუთი წუთის წინათ ჯარმა იმპერატორთა წინ გაიარა. არათუ ძნელი იყო ამ ბრბოს შეჩერება, არამედ შეუძლებელი იყო ბრბოსთან ერთად თავადაც უკან არ დაეხია. ბოლკონსკი ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა ბრბოს, გაცეხული აქეთ-იქით იყურებოდა. ვერ გაეგო, რა ხდებოდა ირგვლივ. ნესვიცკი გაბოროტებული სახით, გაწითლებული და მთლად გამოცვლილი, უყვიროდა კუტუზოვს, მოშორებოდა იქაურობას, თორემ უსათუოდ ტყვედ ჩაუვარდებით მტერსო. კუტუზოვმა არაფერი უპასუხა, იგი იმავე ადგილას იდგა და ჯიბიდან ხელსახოცს იღებდა. ლოყიდან სისხლი სდიოდა. თავადმა ანდრეიმ ხალხი გააპო და მასთან მივიდა.

– დაჭრილი ხართ? – ჰკითხა, თან ძლივს იკავებდა ქვედა ყბის კანკალს.

– ჭრილობა აქ კი არ არის, აგერ იქ არის, – უპასუხა კუტუზოვმა, ხელი დაჭრილ ლოყაზე მიიღო და გამოქცეულებზე მიუთითა.

– შეაჩერეთ! – დაიყვირა მან, მაგრამ იმავე დროს, ალბათ, დარწმუნდა, რომ ბრბოს შეჩერება შეუძლებელი იყო, – ცხენს შემოჰკრა და მარჯვნივ გაემართა.

გამოქცეულთა ახალმოზღვავებულმა ტალღამ ისიც გაიტაცა უკან.

ჯარი ისე შემჭიდროებული გამორბოდა, რომ შუაში მოყოლისთვის ძნელი იყო თავის დაღწევა. ვინ ყვიროდა, „გასწი, რას აყოვნებთ“, ვინ პირს იბრუნებდა, და იქვე ჰაერში ისროდა, ვინ კუტუზოვის ცხენს სცემდა. უდიდესი ვაი-ვაგლახით დააღწია კუტუზოვმა თავი ბრბოს ტალღას, მარცხნივ გავიდა და თავისი განახევრებული ამალით იქითკენ გაემართა, საიდანაც ქვემეხების სროლა მოისმოდა. გამოქცეულთა ბრბოდან გამოსული თავადი ანდრეი ცდილობდა, არ ჩამოშორებოდა კუტუზოვს. მან დაღმართთან დაინახა კვამლში გახვეული რუსთა ბატარეა. ბოლკონსკი ხედავდა, როგორ განაგრძობდა ჯერ კიდევ სროლას ბატარეა და როგორ მირბოდნენ მისკენ ფრანგები. ცოტა ზემოთ რუსთა ქვეითი

ჯარი იდგა; იგი არც ადგილიდან იძვროდა და არც დახმარებას ფიქრობდა ბატარეისთვის, არც უკან დახევას, იმ მიმართულებით, საითკენაც გაქცეულები გარბოდნენ. ამ ჯარს გენერალი გამოეყო და კუტუზოვთან მივიდა. კუტუზოვს თავისი ამალიდან ოთხი კაციღა შერჩა. ფერი არავის აღარ ედო სახეზე; ჩუმად შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

– შეაჩერეთ ეგ არამზადები! – დაუყვირა სულშეხუთულმა კუტუზოვმა პოლკის უფროსს და გაქცეულებზე მიუთითა, მაგრამ სწორედ იმ წამს, თითქოს დასასჯელად ამ სიტყვების წარმოთქმისთვის, ტყვიებმა ფრინველთა გუნდით გადაუქროლა თავზე პოლკსა და კუტუზოვის ამალას.

ფრანგებმა იერიში მიიტანეს ბატარეაზე და, როგორც კი კუტუზოვი დაინახეს, მასაც სროლა აუტეხეს. ამ სროლაზე პოლკის უფროსმა ფეხზე ხელი იტაცა, რამდენიმე ჯარისკაცი წაიქცა, ხოლო პოდპრაპორშჩიკმა[115], რომელსაც დროშა ეჭირა, ხელი უშვა მას. დროშა შეტოვდა, გადაიქცა და მეზობელ ჯარისკაცთა თოფებზე დაეკიდა. ჯარისკაცებმა უბრძანებლად დაიწყეს სროლა.

– ოჰჰ! – ამოიოხრა სასოწარკვეთით კუტუზოვმა და მიმოიხედა, – ბოლკონსკი, – ჩაიჩურჩულა მან ბებრული უძღურების განცდისგან აკანკალებული ხმით, – ბოლკონსკი, – გაიმეორა და მიუთითა არეულ ბატალიონსა და მტერზე, – რა არის ეს?

მაგრამ ვიდრე კუტუზოვი სიტყვას დაამთავრებდა, თავადი ანდრეი, რომელსაც სირცხვილი და ბრაზი ახრჩობდა, უკვე ცხენიდან გადმომხტარი დროშისკენ გარბოდა.

– ბიჭებო, წინ! – შეჰყვირა მან ბავშვისებური წრიპინა ხმით.

„აი, ისიც!“ – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ, სტაცა ხელი დროშის ტარს და ნეტარებით დაუგდო ყური ტყვიების ზუზუნს: ტყვიები, ალბათ, მისკენ იყო მიმართული. რამდენიმე ჯარისკაცი წაიქცა.

– Ура! – დაიყვირა თავადმა ანდრეიმ და მძიმე დროშით, რომელსაც ძლივს იმაგრებდა, გაიქცა წინ, დარწმუნებული, რომ მთელი ბატალიონი დაედევნა Ура-ს ძახილით და გაუსწრო კიდეც. ბატალიონის უნტეროფიცერმა მიირბინა და თავად ანდრეის ჩამოართვა სიმძიმისგან მის ხელში აკანკალებული დროშა, მაგრამ იგი იმ წუთშივე ტყვიამ განგმირა. თავადი ანდრეი კვლავ დასწვდა დროშას; მიათრევდა ტარით და ბატალიონთან ერთად გარბოდა. წინ რუს არტილერიისტებს ხედავდა, რომელთაგან ზოგი იბრძოდა, ზოგიც თავს ანებებდა ზარბაზნებს და მისკენ გამორბოდა; თავადი ანდრეი ფრანგ ჯარისკაცებსაც ხედავდა, ქვეით ჯარისკაცებს, რომელნიც ხელს სტაცებდნენ არტილერიის ცხენებს და ზარბაზნებს აბრუნებდნენ. თავადი ანდრეი ბატალიონითურთ უკვე ოც ნაბიჯზე იყო ქვემეხებიდან. ესმოდა ტყვიების განუწყვეტელი ზუზუნით თავს ზემოთ და იმავე დროს გრძნობდა, წამდაუწუმ როგორ ეცემოდნენ კვნესით მარჯვნივ და მარცხნივ ჯარისკაცები. მაგრამ თავადი ანდრეი არ უყურებდა მათ. აკვირდებოდა მხოლოდ იმას, რაც ხდებოდა მის წინ – ბატარეაზე. უკვე ცხადად ხედავდა ერთ ფიგურას, წითურ არტილერიისტს, გვერდზე გადაგდებული კივერით, რომელიც სარცხს ერთი თავიდან ეწეოდა თავისკენ, ხოლო იმავე სარცხის მეორე თავისთვის ფრანგ ჯარისკაცს ჩაეჭიდა ხელი და ისიც თავისკენ ეწეოდა. უკვე ცხადად ხედავდა თავადი ანდრეი ამ ორი კაცის სახეზე აბნეულ და იმავე დროს გაბოროტებულ გამომეტყველებას, ეტყობოდა, არ გაეგებოდათ, რას სჩადიოდნენ.

„რას სჩადიან?“ – ფიქრობდა ანდრეი და შეჰყურებდა მათ, – რატომ არ გარბის წითური არტილერიისტი, როცა იარაღი აღარ აქვს? რატომ არ ჩასცემს ხიშტს ფრანგი? ვერ მოვასწრებ მიშველებას, რომ ფრანგი გაიხსენებს თოფს და ხიშტით გამოლადრავს“.

მართლაც, მეორე ფრანგმა, თოფმოღერებულმა, მებრძოლთან მიირბინა, და უნდა გადაწყვეტილიყო ბედი წითური არტილერიისტისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ესმოდა, რა მოელოდა, და რომელმაც

ძლევამოსილად გამოჰგლიჯა სარცხი მოწინააღმდეგეს. მაგრამ თავად ანდრეის არ დასცალდა იმის დანახვა, თუ რით გათავდა ეს ბრძოლა. თითქოს ერთ-ერთმა ახლო მყოფმა ჯარისკაცმა, როგორც მას მოეჩვენა, მოქნიული მაგარი ჯოხი თავში დაჰკრა. ოდნავი ტკივილი იგრძნო, უფრო კი ეწყინა, რადგან ეს ტკივილი ხელს უშლიდა იმის დანახვაში, რასაც უყურებდა.

„რა მემართება? ნუთუ ვეცემი? მუხლები მეკეცება“, – გაიფიქრა და პირაღმა დაეცა. თვალი გაახილა იმ იმედით, რომ დაენახა, რით დასრულდა ფრანგისა და რუსი არტილერიისტი ბრძოლა, უნდოდა აგრეთვე გაეგო, მოკლეს თუ არა ის წითური არტილერიისტი, აიღეს თუ გადაარჩინეს ზარბაზნები. მაგრამ ვერაფერს ვეღარ ხედავდა. მის ზემოთ აღარაფერი იყო, იყო მხოლოდ ცა, მაღალი ცა, არა მოწმენდილი, მაგრამ მაინც უზომოდ მაღალი ცა, რომელზედაც დინჯად დაცურავდნენ ლეგა ღრუბლები. „რა სიწყნარეა, სიმშვიდე და სიდიადე. სრულიადაც არ არის ისე, როგორც მაშინ, როცა მე მოვრბოდი, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ, – არა ისე, როცა ჩვენ მოვრბოდით, ვყვიროდით, ვჩხუბობდით; არა ისე, როგორც მაშინ, როცა გაბოროტებული და შეშინებული სახეებით ერთმანეთს სარცხს ართმევდნენ ფრანგი და რუსი არტილერიისტი, – სრულიადაც ისე არ მიცურავენ ღრუბლები ამ მაღალ დაუსრულებელ ცაზე. რატომ არ მინახავს წინათ ეს მაღალი ცა? რა ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს, გავიგე ასეთი ცის არსებობა. დიახ, ყველაფერი ფუჭია, ყველაფერი მოტყუებაა, ამ დაუსრულებელი ცის გარდა. არაფერია, არაფერი ამის მეტი. მაგრამ ისიც არ არის, არაფერი არ არის, სიწყნარის, სიმშვიდის მეტი. და მადლობა ღმერთს!“

თავი მეჩვიდმეტე

მარჯვენა ფრთაზე ბაგრატიონის რაზმში 9 საათზე ბრძოლა ჯერ არ იყო დაწყებული. ბაგრატიონს არ სწადა ბრძოლის დაწყება, როგორც ამას დოღგორუკოვი მოითხოვდა, და რაკი პასუხისმგებლობის თავიდან აცილება უნდოდა, მან წინადადება მისცა დოღგორუკოვს, გაეგზავნათ კაცი და შეჰკითხებოდნენ მთავარსარდალს. თითქმის ათი ვერსით იყო დაშორებული ერთი ფრთა მეორეს; ამ მანძილის მიხედვით ბაგრატიონმა იცოდა, რომ გაგზავნილი, თუნდაც არ მოეკლათ იგი გზაში (რაც ძალიან საეჭვო იყო) და თუნდაც ეპოვა მთავარსარდალი, რაც ძალიან ძნელი იყო, სადამომდე ვერ მოასწრებდა დაბრუნებას.

ბაგრატიონმა დიდი, არაფრის გამომხატველი, გამოუძინებელი თვალებით თავის ამაღას გადახედა; მას ყველაზე უმაღლეს თვალში ეცა მღელვარებისა და იმედისგან აღგზნებული ბავშვური სახე როსტოვისა. ბაგრატიონმა ის გაგზავნა მთავარსარდალთან.

– თუ მთავარსარდალზე ადრე მის უდიდებულესობას შევხვდი, როგორ მოვიქცე, თქვენო ბრწყინვალეზავ? – ჰკითხა ქუდზე თითებმიდებულმა როსტოვმა.

– შეგიძლიათ ყოველივე გადასცეთ მის უდიდებულესობას! – სწრაფად დაასწრო ბაგრატიონს დოღგორუკოვმა.

მწკრივში შენაცვლების შემდეგ როსტოვმა მოასწრო დილაამდე რამდენიმე საათით გამოძინება, და ახლა თავს მხიარულად, გაბედულად, მამაცად გრძნობდა, გრძნობდა მოქნილობას მოძრაობაში, დარწმუნებული იყო თავის ბედნიერებაში, ისეთ გუნებაზე იყო, როცა კაცს ყველაფერი მსუბუქად, მხიარულად და შესაძლებლად მიაჩნია.

ასრულდა ყოველი მისი სურვილი ამ დილით; უნდა მომხდარიყო გენერალური ბრძოლა და ის მონაწილეობას მიიღებდა ამ ბრძოლაში; მეტიც: იგი შიკრიკად იყო უმამაცეს გენერალთან; უფრო მეტიც: მიდიოდა დავალებით კუტუზოვთან, იქნებ ხელმწიფესთანაც. დილა მოკრიალებული იყო,

ცხენი საუცხოო ჰყავდა. სიხარული და ბედნიერება ეფინებოდა მის გულს. ბრძანების მიღებისთანავე ცხენი მიუშვა და გაჰყვა ჯარის ხაზს. თავდაპირველად ბაგრატიონის ჯარის ხაზს მისდევდა, – ეს ჯარი არ ჩაბმულიყო ბრძოლაში და უძრავად იდგა; შემდეგ იმ ადგილებში შევიდა, რომელიც უვაროვის კავალერიას ეჭირა; იქ უკვე შენიშნა ჯარის გადაყვან-გადმოყვანა და ბრძოლისთვის მზადების ნიშნები; უვაროვის კავალერიის გავლის შემდეგ უკვე გარკვევით მოესმა წინიდან ზარბაზნებისა და ქვემეხების სროლა. სროლა თანდათან ძლიერდებოდა.

დილის სუფთა ჰაერში სულ სხვანაირად გაისმოდა სროლა, არა ისე, როგორც წინათ, დროგამოშვებით, როცა თოფის ორ-სამ გასროლას ქვემეხის ერთი ან ორი გავარდნა მოსდევდა; ახლა მთების ფერდობებზე, პრაცენის მაღლობის წინ, იყო თოფების განუწყვეტელი სროლა, რომელსაც ქვემეხების იმდენად ხშირი ჭექა მოსდევდა, რომ ზოგჯერ ზარბაზნის რამდენიმე გასროლა მოისმოდა არა ცალკეულად, არამედ შეერთებულად, განუწყვეტელ გუგუნად.

აშკარად ჩანდა, როგორ დახტოდა თოფის კვამლი ფერდობებზე, როგორ ეწეოდა ერთი კვამლი მეორეს, როგორ ბოლქვად ადიოდა ქვემეხების კვამლი, იშლებოდა ჰაერში და მერე ერთდებოდა. კვამლში გაელვებული ხიშტების მეოხებით მოჩანდა ქვეითი ჯარის მოძრაობა და მწვანეყუთებიანი არტილერიის ვიწრო ზოლები.

როსტოვმა მაღლობზე წუთით ცხენი შეაჩერა და მიმოიხედა, უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა; მაგრამ, მთელი გულისყურის დამაბვის მიუხედავად, ვერც ვერაფერი გაიგო და ვერც ვერაფერი გაარჩია. იქ კვამლში მოძრაობდნენ ვიღაცები, უკანაც მოძრაობდა რაღაც ჯარი; მაგრამ რატომ, ვინ იყვნენ, სად იყვნენ, სად მიდიოდნენ, – კაცი ვერ გაარკვევდა. ეს სანახაობა და ეს ხმები არათუ არ აღძრავდნენ მასში სასოწარკვეთილების ან სიმხდალის გრძნობას, არამედ, პირიქით, ენერგიასა და გამბედაობას მატებდნენ.

„აბა, შეუტოეთ, კიდევ, კიდევ!“ – შესძახოდა იგი გულში ამ ხმებს, კვლავ მიაჭენებდა ცხენს ხაზზე და უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა იქ, სადაც ჯარი უკვე ბრძოლაში ჩაბმულიყო.

„არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება“, – ფიქრობდა როსტოვი.

იგი გასცდა ავსტრიის რომელიღაც ჯარს; აქ შენიშნა, რომ ხაზის შემდგომი ნაწილი (გვარდია) უკვე ჩაბმულიყო ბრძოლაში.

„მით უკეთესი! ახლო ვნახავ ყოველივეს“, – გაიფიქრა თავისთვის.

თითქმის წინა ხაზს მისდევდა. რამდენიმე ცხენოსანი მისკენ მოაჭენებდა ცხენს. რუსების ლეიბ-ულანები[116] იყვნენ, რომელნიც რიგებარეულნი იერიშიდან ბრუნდებოდნენ. როგორც კი მათ გასცდა, უნებურად თვალი მოჰკრა, რომ ერთი მათგანი სისხლში იყო მოსვრილი. როსტოვმა ჭენებით გზა განაგრძო.

„რა მესაქმება!“ – გაიფიქრა. ვერ მოასწრო ამის შემდეგ მისმა ცხენმა რამდენიმე ასეული ნაბიჯის გადადგმა, რომ მარცხნივ გამოჩნდა კავალერიის უზარმაზარი მასა, რომელსაც მთელი მინდორი დაეფარა და რომელიც ჩორთით მოემართებოდა პირდაპირ მისკენ; თეთრ, ბრწყინვალე მუნდირებში გამოწყობილი კავალერისტები შავ ცხენებზე ისხდნენ. როსტოვმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიუშვა ცხენი, უნდოდა გასხლტომოდა გზიდან კავალერისტებს და გაუსხლტებოდა კიდევ, რომ მათაც იმავე ალურით ევლოთ, მაგრამ კავალერისტები თანდათან უმატებდნენ ნაბიჯს. ასე რომ, ზოგიერთი ცხენი უკვე ჭენებით მოემართებოდა. როსტოვს უფრო და უფრო მკვეთრად ესმოდა მათი ცხენების ფეხის ხმა და იარაღის ჟღარუნნი, უფრო და უფრო გარკვევით ხედავდა მათ ცხენებს, ფიგურებს და სახეებსაც კი.

ეს რუსი კავალერგარდები იყვნენ, – იერიში მიჰქონდათ ფრანგთა კავალერიაზე, რომელიც მეორე მხრიდან მოეშურებოდა მათ შესახვედრად.

კავალერგარდები ცხენებს უკვე მოაჭენებდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ უჭერდნენ მათ თავებს. როსტოვი ხედავდა სახეებს, გაიგონა სიტყვები: „Марш, марш!“ (იარეთ, იარეთ!) – წარმოთქმული ოფიცრის მიერ, რომელმაც ამ დროს მთელი ძალ-ღონით მიუშვა თავისი ჯიშის ცხენი. როსტოვი იმის შიშით, არ გაეტანათ კავალერგარდებს ან არ მოჰყოლოდა მათ რიგებში და მათთან ერთად არ განეგრძო იერიში, მიაჭენებდა ცხენს რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ გასხლტომა ფრონტიდან მაინც ვერ მოასწრო.

განაპირა კავალერგარდმა, უზარმაზარმა ნაყვავილარმა კაცმა, როგორც კი დაინახა თავის წინ როსტოვი, რომელსაც აუცილებლად უნდა დასტაკებოდა, გაბოროტებით შუბლი შეკრა. ეს კავალერგარდი უსათუოდ წააქცევდა როსტოვს და გადათელავდა მასაც და მის ბედუინსაც (როსტოვს თავად ეჩვენებოდა თავისი თავი პატარა და სუსტ კაცად ამ უზარმაზარ გოლიათებთან და მათ ცხენებთან შედარებით), როსტოვი რომ არ მიმხვდარიყო და მათრახი არ აექნია კავალერგარდის ცხენის თვალწინ. შავი, მძიმე, ხუთგოჯიანი ცხენი განზე გახტა, მაგრამ ნაყვავილარმა კავალერგარდმა ისე მაგრად ჰკრა უზარმაზარ ცხენს ფერდში დეხები, რომ მან კუდი აიქნია, კისერი დაიმაბრა და უფრო სწრაფად გაიქროლა. ჩაიარეს თუ არა კავალერგარდებმა, როსტოვს მოესმა მათი ყვირილი: Ура! როცა მიიხედა, დაინახა, კავალერგარდების პირველი რიგები უკვე არეულიყო უცნობებში, ალბათ წითელეპოლეტებიან ფრანგ კავალერისტებში. მერე არაფრის გარჩევა აღარ შეიძლებოდა, რადგან მაშინვე ზარბაზნებმა საიდანღაც სროლა ასტეხეს და ყველაფერი კვამლში გაეხვია.

იმ წუთს, როცა კავალერგარდები გასცდნენ და კვამლში გაეხვივნენ, როსტოვი შეყოყმანდა. ვერ გადაეწყვიტა, დასდევნებოდა მათ თუ თავის გზას გასდგომოდა. ეს კავალერგარდების ის ბრწყინვალე იერიში იყო, რომელმაც თვით ფრანგები გააკვირვა. როსტოვს შემდეგში თავზარი დასცა იმის გაგონებამ, რომ ამ გოლიათ, თვალტანად ადამიანთა მასიდან, ამ ბრწყინვალე, ათასებად ღირებულ ცხენებზე მჯდომარე მდიდრების, ჭაბუკების, ოფიცრებისა და იუნკერებისგან, რომელთაც როსტოვს წინ ჩაუქროლეს, იერიშის შემდეგ გადარჩა მხოლოდ თვრამეტი კაცი.

„რატომ უნდა მშურდეს, ჩემი ხვედრი ვერსად გამექცევა, მე იქნებ ამ წუთში ხელმწიფეც ვნახო!“ – გაიფიქრა როსტოვმა და განაგრძო გზა.

როცა გვარდიის ქვეით ჯარს გაუსწორდა, შენიშნა, რომ ჯარის თავზე და მის მახლობლად ყუმბარები ჰქროდა. შენიშნა, ეს არა იმიტომ, რომ ესმოდა ყუმბარების ზუზუნი, არამედ უფრო იმიტომ, რომ ჯარისკაცთა სახეზე მოუსვენრობა ამოიკითხა, ხოლო ოფიცრების სახეზე – არაბუნებრივი საბრძოლო აღტყინება.

როდესაც როსტოვმა გვარდიის ერთ-ერთი ქვეითი პოლკის ხაზს უკან გაიარა, ვიღაცამ დაუძახა:

– როსტოვ!

– რა იყო? – გამოეხმაურა იგი. როსტოვმა ვერ იცნო ბორისი.

– როგორია, ჰა? წინა ხაზზე მოვეყვით. ჩვენმა პოლკმა იერიში მიიტანა! – უთხრა ბორისმა და გაიღიმა იმ ბედნიერი ღიმილით, რომელიც ბრძოლის ცეცხლში პირველად მოყოლილ ახალგაზრდებს სჩვევიათ.

როსტოვმა ცხენი შეაჩერა.

– ჰოო! მერე?

– მოვიგერიეთ, – მიუგო მხიარულად ბორისმა, რომელიც ლაყობას მიჩვეულიყო, – აბა, წარმოიდგინე!

და ბორისმა უამბო, როგორ მიიღო მიჩენილ ადგილზე მისულმა გვარდიამ მის წინ მდგომი ჯარი ავსტრიელებად, და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ ჯარიდან გამოსროლილი ყუმბარები დაინახეს, მიხვდნენ, რომ წინა ხაზზე იდგნენ და მოულოდნელად ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყვნენ. როსტოვმა ყური აღარ დაუგდო და წასვლა დააპირა.

– საით? – ჰკითხა ბორისმა.

– მის უდიდებულესობასთან, დავალების გადასაცემად.

– აგერ აქ არის! – უთხრა ბორისმა, რომელსაც მოესმა, თითქოს როსტოვს უნდოდა ეთქვა „მისი უმაღლესობა“ და არა „მისი უდიდებულესობა“.

და მან მიუთითა დიდ მთავარზე, რომელიც მათგან ათ ნაბიჯზე, ჩაჩქანით თავზე და კავალერგარდის კოლეტში[117] გამოწყობილი, მხრებაწეული და წარბებშეკრული რაღაცას უყვიროდა თეთრტანისამოსიან და გაფითრებულ ავსტრიელ ოფიცერს.

– ეგ ხომ დიდი მთავარია, მე კი მთავარსარდალი ან ხელმწიფე მინდა, – უთხრა როსტოვმა და წასვლა დააპირა.

– გრაფ, გრაფ! – ყვიროდა ბერგი ისევე მხიარული, როგორც ბორისი, და მეორე მხრიდან მორბოდა როსტოვისკენ, – გრაფ, მარჯვენა ხელში დამჭრეს (ამბობდა და ცხვირსახოციტ შეხვეულ გასისხლიანებულ მარჯვენა ხელს უჩვენებდა), მაინც ფრონტზე დავრჩი. გრაფ, დაშნა მარცხენა ხელით მიჭირავს: ჩვენს გვარში, ფონბერგების გვარში, გრაფ, ყველა რაინდი იყო.

ბერგი კიდევ რაღაცას ამბობდა, მაგრამ როსტოვმა ყური აღარ ათხოვა და გზას გაუდგა.

გვარდიისა და ცარიელი ადგილის გავლის შემდეგ როსტოვმა, რათა პირველ ხაზს ასცდენოდა და ისევე აღარ მოჰყოლოდა იერიშში, როგორც ახლა, გზას გადაუხვია და რეზერვის ხაზით გაემართა; შორიდან უვლიდა იმ ადგილს, საიდანაც ყველაზე გახურებული სროლა და ზარბაზნების გრიალი მოისმოდა. უეცრად თავის წინ და რუსი ჯარის უკან, სულ ახლოს, ისეთი ადგილიდან, სადაც სრულიად არ მოელოდა მტერს, თოფის სროლის ხმა მოესმა.

„რა უნდა იყოს? მტერი ხომ ჩვენი ჯარის ზურგს უკანაა? შეუძლებელია! – გაიფიქრა როსტოვმა და უეცრად თავზარი დაეცა, შიშმა მოიცვა. აფიქრებდა თავისი მდგომარეობაც და მთელი ბრძოლის შედეგიც, – რაც უნდა იყოს, აღარ ღირს ახლა გზის გაგრძელება. მთავარსარდალი აქ უნდა ვეძებო, და თუ ყველაფერი დაიღუპა, ჩემი მოვალეობაა, სხვებთან ერთად მეც დავიღუპო“.

ცუდი წინათგრძნობა, რომელმაც უეცრად მოიცვა როსტოვი, რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო დასტურდებოდა, მეტადრე სოფელ პრაცენის შემდეგ, იმ ადგილებში, რომელნიც სხვადასხვა სახის ჯარის ბრბოებს ეჭირათ.

– რა ამბავია? ვის ესვრიან? ვინ ისვრის? – კითხულობდა როსტოვი, როცა ხვდებოდა გზაზე რუსი და ავსტრიელი ჯარისკაცების ერთმანეთში არეულ გამოქცეულ ბრბოებს.

– ეშმაკმა იცის მათი თავი და ტანი! ყველას მოსცხო! დაიღუპოს ყველაფერი! – უპასუხებდნენ რუსულად, გერმანულად, ჩეხურად გამოქცეულთა ბრბოები, რომელთაც ისევე არ ესმოდათ, რა ხდებოდა ირგვლივ, როგორც თავად როსტოვს.

– დაჰკარ გერმანელებს! – ყვიროდა ერთი.

– ჯანდაბას მაგათი თავი, მაგ მოლაღატეებისა!

– Zum Henker diëse Ruesen (ეშმაკმა წაიღოს ეს რუსები)! – ბუზლუნებდა რაღაცას გერმანელი.

გზაზე რამდენიმე დაჭრილი მოდიოდა. ლანძღვა-გინება, ყვირილი, კვნესა საერთო გუგუნად გაისმოდა. სროლა მიყუჩდა და, როგორც შემდეგ გაიგო როსტოვმა, ერთმანეთს ესროდნენ თურმე რუსი და ავსტრიელი ჯარისკაცები.

„ღმერთო ჩემო! რა ხდება ეს? – ფიქრობდა როსტოვი, – მერე აქ, სადაც ყოველ წუთს შეიძლება ნახოს ხელმწიფემ ისინი... მაგრამ არა, ალბათ, რამდენიმე არამზადის საქმეა ეს. გაივლის, შეუძლებელია სხვა რამე იყოს. ჩქარა, ჩქარა გავცდე მათ!“

როსტოვს აზრადაც არ მოსდიოდა დამარცხება და გამოქცევა. თუმცა მან თავისი თვალთ დაინახა ფრანგთა ზარბაზნები და ჯარი. ამასთან დაინახა პრაცენის მალლობზე, სწორედ იქ, სადაც ნაბრძანები ჰქონდა მთავარსადლის მოძებნა, მაგრამ მას მაინც არ შეეძლო და არ უნდოდა ერწმუნა ეს.

თავი მეთვრამეტე

როსტოვს ნაბრძანები ჰქონდა სოფელ პრაცენის მახლობლად მოეძებნა კუტუზოვი და ხელმწიფე. მაგრამ იქ არათუ არ იყვნენ ისინი, – არ იყო არც ერთი უფროსთაგანი; იყვნენ მხოლოდ დაშლილი ჯარის აჭრელებული ბრბოები. იგი მიაჩქარებდა უკვე დაღლილ ცხენს, ცდილობდა, მალე გასცლოდა ამ ბრბოებს, მაგრამ რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო მეტად არეული ბრბოები ხვდებოდნენ. დიდ გზაზე, რომელზეც როსტოვი გავიდა, ერთმანეთში არეულიყვნენ ყველა ჯურის ეტლები, რუსი და ავსტრიელი ჯარისკაცები, დაჭრილები და საღი მებრძოლნი, ყველა ესენი დარბოდნენ და ფუსფუსებდნენ მაშინ, როცა მათ თავზე მკაცრი ზუზუნით გადადიოდა პრაცენის მალლობზე განლაგებული ფრანგთა ბატარეის ყუმბარები.

– სად არის ხელმწიფე? სად არის კუტუზოვი? – ეკითხებოდა როსტოვი ყველას, ვისი გაჩერებაც შეეძლო, მაგრამ ვერავისგან პასუხის მიღებას ვერ ახერხებდა.

ბოლოს საყელოში სტაცა ხელი ერთ ჯარისკაცს და აიძულა მიეცა პასუხი.

– ეე, ძმაო! რამდენი ხანია მოკურცხლეს, წინ არიან ყველანი! – უთხრა მან სიცილით როსტოვს, თან შეეცადა გათავისუფლებას.

როსტოვმა თავი მიანება ჯარისკაცს, რომელიც, ეტყობოდა, მთვრალი იყო, გააჩერა რომელიღაც წარჩინებული პირის დენშჩიკის[118] თუ ბერეიტორის ცხენი და შეუდგა გამოკითხვას. დენშჩიკმა უთხრა როსტოვს, ერთი საათი იქნება, რაც ხელმწიფე კარეტით აი, სწორედ ამ გზაზე ჩააქროლეს და ამასთან, ხელმწიფე მძიმედ არის დაჭრილი.

– შეუძლებელია! – წამოიძახა როსტოვმა, – ალბათ სხვა ვინმე იქნებოდა.

– თავად დავინახე, – მიუგო დენშჩიკმა დამაჯერებელი ღიმილით, – დროა უკვე ვიცნობდე ხელმწიფეს: ვინ მოთვლის, რამდენჯერ მინახავს პეტერბურგში. აი, ასე, მთლად ფერდაკარგული იჯდა კარეტაში. ოთხი შავი ბედაური ება. ჩვენ წინ ჩაიქროლეს. დროა, ვგონებ, ვიცნობდე აგრეთვე მეფის ცხენებსა და ილია ივანიჩს. თუ არა ხელმწიფე, სხვა ილია მეეტლეს, ვგონებ, არავინ დაჰყავს.

როსტოვმა ხელი გაუშვა მის ცხენს და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს გზად მიმავალმა დაჭრილმა ოფიცერმა მიმართა.

– თქვენ ვინ გინდათ? – ჰკითხა მან, – მთვარსადალი? ყუმბარამ მოკლა, გულში მოხვდა, ჩვენს პოლკთან იყო.

– კი არ მოკვდა, დაიჭრა, – გაუსწორა მეორე ოფიცერმა.

– ვინ? კუტუზოვი? – იკითხა როსტოვმა.

– კუტუზოვი კი არა, აი ის, რა გვარია, მაგრამ სულერთია, ცოტა თუ გადარჩა ცოცხალი. აი, იქითკენ წადით, აგერ იმ სოფლისკენ, იქ მოიყარეს თავი უფროსებმა, – უთხრა ოფიცერმა, უჩვენა სოფელი გოსტიერადეკი და გვერდზე გაუარა.

როსტოვს ნელი სვლით მიჰყავდა ცხენი, აღარ იცოდა, ვისთან მისულიყო ახლა. ხელმწიფე დაჭრილია, ბრძოლა წაგებულა! – აღარ შეიძლებოდა ახლა ამაში ეჭვის შეტანა. როსტოვი მიდიოდა იმ მიმართულებით, რომელიც ოფიცერმა უჩვენა, სადაც კოშკი და ეკლესია მოჩანდა. რა ეჩქარებოდა? რა უნდა უთხრას ხელმწიფეს ან კუტუზოვს, თუნდაც ისინი ცოცხლები იყვნენ და არც დაჭრილები?

– ამ გზით მიბრძანდით, თქვენო კეთილშობილებავ, თორემ ასე პირდაპირ მოგკლავენ, – დაუყვირა ჯარისკაცმა, – იქ მოგკლავენ.

– ეე, რას ამბობ! – თქვა მეორემ, – სად უნდა წავიდეს? ასე ახლოა.

როსტოვი ჩაფიქრდა და წავიდა სწორედ იმ მიმართულებით, რომელზედაც უთხრეს, – მოგკლავენო.

„ახლა სულერთია!..“ – ფიქრობდა იგი. შევიდა იმ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტი ხალხი დაიღუპა პრავენის მალლობიდან გაქცევის დროს. ფრანგებს ჯერ არ დაეკავებინათ ეს ადგილი, ხოლო რუსებმა, იმათ, ვინც ცოცხალი გადარჩა და დაჭრილი იყო, დიდი ხანია მიანებეს მას თავი. მინდორში, როგორც ხელეურები კარგად მომკილ ყანაში, ათი-თხუთმეტი მოკლულ-დაჭრილი ეგდო ყოველ დესეტინაზე[119]. დაჭრილები ერთმანეთისკენ მიცოცავდნენ, ორი-სამი კაცი ერთად იყრიდა თავს, და მოისმოდა უსიამოვნო და ზოგჯერ, როგორც როსტოვს ეჩვენებოდა, თვალთმაქცური ყვირილი და კვნესა. როსტოვმა ცხენი ააჩქარა, რათა აღარ ენახა ეს ტანჯული ხალხი. საშინელებას განიცდიდა. სიცოცხლე არ აფიქრებდა, ეშინოდა არ დაეკარგა სიმამაცე, რომელიც ესოდენ ესაჭიროებოდა და რომელიც, როგორც თავად იცოდა, ვერ გაუძლებდა ამდენი უბედურების ხილვას.

ფრანგებმა სროლა შეწყვიტეს, ისინი ყუმბარებს აღარ უშენდნენ მკვდრებითა და დაჭრილებით მოფენილ ამ ადგილს, რადგან ცოცხალს ვეღარავის ხედავდნენ იქ, მაგრამ მოჰკრეს თუ არა თვალი ცხენით მიმავალ ადიუტანტს, მაშინვე დაუმიზნეს ქვემეხი და რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. ყუმბარების ეს საშინელი სტვენა-ზუზუნი და ირგვლივ მიმოფენილ დახოცილთა ხილვა თავზარს სცემდა როსტოვს და იწვევდა სიბრალულს საკუთარი თავისადმი. გაახსენდა დედის უკანასკნელი წერილი. „რას იგრძნობდა, – გაიფიქრა, – რომ მხედავდეს ახლა აქ, ამ ველზე, ჩემკენ დამიზნებული ქვემეხებით“.

სოფელ გოსტიერადეკში თუმცა არეული, მაგრამ მაინც საკმაოდ მწყობრი რუსი ჯარი ბრძოლის ველს შორდებოდა. ფრანგთა ყუმბარები ვეღარ აღწევდნენ გოსტიერადეკამდე, ხოლო სროლის ხმა შორიდან მოისმოდა. აქ უკვე აშკარად ხედავდნენ და ამბობდნენ, ბრძოლა წაგებულაო. ბევრს მიმართა როსტოვმა, მაგრამ ვერავინ უთხრა, სად იყო ხელმწიფე ან კუტუზოვი. ერთნი ამბობდნენ, ხელმწიფის დაჭრის ამბავი სიმართლეაო, მეორენი – არ არის სიმართლეო, და ხსნიდნენ ამ ხმის გავრცელებას იმით, რომ ხელმწიფის კარეტას, ბრძოლის ველიდან გაბრუნებულს, მართლაც ჩაუქროლია სოფელში, მაგრამ შიგ მჯდარა არა ხელმწიფე, არამედ ფერმიხდილი და შეშინებული ობერ-ჰოფმარშალი[120] გრაფი ტოლსტოი, რომელიც ხელმწიფის ამაღლის სხვა პირებთან ერთად ბრძოლის ველზე ყოფილა. ერთმა ოფიცერმა უთხრა, სოფელს იქით, მარჯვნივ ვნახე ვიღაც, უფროსთაგანი უნდა ყოფილიყოო. და როსტოვიც იქითკენ გაემართა, თუმცა იმედი აღარ ჰქონდა, რომ ვისმეს იპოვიდა. მიდიოდა მხოლოდ სინდისის დასამშვიდებლად. როდესაც სამიოდე ვერსი გაიარა და რუსთა ჯარის უკანასკნელი ნაწილები მოიტოვა, როსტოვმა ბოსტანთან, რომელსაც რუ ჩაუდიოდა, ორი ცხენოსანი დაინახა; ამ

რუსთან იდგნენ. ერთი, რომელსაც თეთრი ჯიდა ეკეთა ქუდზე, რატომღაც ნაცნობად მოეჩვენა; მეორე, უცნობი ცხენოსანი, თაფლა ცხენით (ეს ცხენიც ნაცნობად ეჩვენა როსტოვს) რუსთან მივიდა, ჰკრა დეზი ცხენს, აღვირი მიუშვა და ადვილად გადაახტუნა რუზე. მხოლოდ მიწა ჩაცვივდა თხრილიდან უკანა ფეხების დაკარების დროს. მერე სწრაფად მოატრიალა ცხენი, ისევ უკან გადმოეშვა და მოწიწებით მიმართა თეთრჯიდიან ცხენოსანს; ალბათ, წინადადებას აძლევდა, ასევე მოქცეულიყო. ცხენოსანმა, რომლის ტანადობაც ნაცნობად მოეჩვენა როსტოვს და რომელმაც რატომღაც უნებურად მიიზიდა მისი ყურადღება, უარის ნიშნად თავი და ხელი გააქნია და ამ ჟესტზე როსტოვმა ერთბაშად იცნო თავისი სათაყვანებელი ხელმწიფე, რომელსაც იგი გულში უკვე დასტიროდა.

„მაგრამ შეუძლებელია ის იყოს, მარტოდმარტო ამ უდაბურ მინდორში“, – გაიფიქრა როსტოვმა. ამ დროს ალექსანდრემ თავი უკან მიიბრუნა და როსტოვმა დაინახა მის მეხსიერებაში ასე ცოცხლად ჩაჭედული საყვარელი ნაკვთები. ხელმწიფე ფერმკრთალი იყო, ლოყები ჩავარდნოდა, თვალები ჩასცვივნოდა; მაგრამ ამით უფრო მეტი მომხიბლაობა და სიმშვიდე შეეძინა მის ნაკვთებს. როსტოვი ბედნიერი იყო, რაკი დარწმუნდა, რომ ხმები ხელმწიფის დაჭრის შესახებ მართალი არ გამოდგა. ბედნიერი იყო, რომ ხედავდა მას. იცოდა, რომ შეეძლო, მოვალეც იყო, პირდაპირ მიემართა ხელმწიფისთვის და გადაეცა ის, რის გადაცემაც დოლოგორუკოცმა უბრძანა.

მაგრამ, როგორც შეყვარებული ჭაბუკი, რომელიც თრთის, იღევა და ვერ ბედავს იმის თქმას, რაზეც მთელ ღამეებს ოცნებობს, და, დამფრთხალი, აქეთ-იქით იყურება, ეძებს დახმარებას ან გადადებისა და გაქცევის შესაძლებლობას, მაშინ, როცა დადგა სანატრელი წუთი, და გაშეშებული დგას მის გვერდით, ისე იდგა როსტოვი გაშეშებული. ახლა, როცა მიაღწია იმას, რასაც ყველაზე მეტად ნატრობდა ამქვეყნად, იდგა და არ იცოდა, როგორ მისულიყო ხელმწიფესთან, არ იცოდა, რადგან ათასი მოსაზრება ელობებოდა წინ და აგებინებდა, თუ რატომ იყო ეს უხერხული, უმართებულო და შეუძლებელი.

„როგორ? მე თითქოს გახარებული ვარ ამ შემთხვევით: მინდა გამოვიყენო მისი მარტოობა და მწუხარება. იქნებ არ ესაიამოვნება, იქნებ ემძიმება ეჩვენოს უცხო პირს მწუხარების ამ წუთებში; მერე, რა უნდა ვუთხრა ახლა, როცა მარტოდენ მის დანახვაზე მიკვდება გული და მიშრება პირი? უამრავი სიტყვა მქონდა მომზადებული, რითაც ხელმწიფესთან შეხვედრის დროს უნდა მიემართა მისთვის, მაგრამ აღარც ერთი სიტყვა აღარ მოსდიოდა ახლა თავში. ეს სიტყვები მეტწილად სხვა პირობებისთვის იყო მომზადებული, ისინი მეტწილად წარმოითქმებოდნენ გამარჯვებისა და ზეიმის წუთებში და, განსაკუთრებით, სიკვდილის სარეცელზე, როცა, სასიკვდილოდ დაჭრილს ხელმწიფე მადლობას გადაუხდოდა გმირული მოქმედებისთვის, ის კი, მომაკვდავი, საქმით დადასტურებულ თავის სიყვარულს გამოუცხადებდა.

„მერე, რა ბრძანება უნდა მოვთხოვო ხელმწიფეს მარჯვენა ფრთისთვის, როცა უკვე ოთხი საათია და ბრძოლა წაგებულია? არა, ვერ მივალ ახლა მასთან, ვერ დავარღვევ მის ფიქრს. ათასჯერ მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე ცუდად შემომხედოს, ცუდი იფიქროს ჩემზე“, – გადაწყვიტა როსტოვმა და შეშინებული და სასოწარკვეთილი გაშორდა იქაურობას, თან მალიმალ უკან იყურებოდა, – ხელმწიფე ისევ ისე იდგა და ყოყმანობდა.

იმ დროს, როცა როსტოვი ასე ფიქრობდა და შეწუხებული შორდებოდა ხელმწიფეს, კაპიტანი ფონ-ტოლი, შემთხვევით მოყოლილი იმ ადგილას, ხელმწიფის დანახვის უმალ, სწრაფად გაეშურა მისკენ, შესთავაზა მომსახურება და დაეხმარა ქვეითად რუზე გადასვლაში. ხელმწიფე უქეიფოდ გრძნობდა თავს და დასასვენებლად ვაშლის ხის ქვეშ ჩამოჯდა, ხოლო ტოლი მის გვერდით გაჩერდა. როსტოვი შურითა და სინანულით ხედავდა შორიდან, როგორ ელაპარაკებოდა რაღაცაზე ტოლი დიდხანს და

ცხარედ ხელმწიფეს, როგორ მიიღო ხელმწიფემ ხელი თვალეზზე, – ეტყობოდა ატირდა, და როგორ ჩამოართვა, ბოლოს ალექსანდრემ ხელი ტოლს.

„შემძლო მის ადგილას ვყოფილიყავ!“ – გაიფიქრა როსტოვმა, ძლივს შეიკავა ხელმწიფის უბედობით გამოწვეული ცრემლები და, სასოწარკვეთილმა განაგრძო გზა. მიდიოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა – სად და რატომ.

მისი სასოწარკვეთილება მით უფრო ძლიერი იყო, რომ გრძნობდა, თავისივე სისუსტე იყო ამ სასოწარკვეთილების მიზეზი.

მას შეეძლო... არათუ შეეძლო მისვლა, – უნდა უსათუოდ მისულიყო კიდევაც ხელმწიფესთან. და ეს ერთადერთი შემთხვევა იქნებოდა დაენახებინა ხელმწიფისთვის თავისი ერთგულება. და მან ვერ გამოიყენა ეს შემთხვევა... „რა ჩავიდინე, რა?“ – გაიფიქრა მან, უეცრად ცხენი მიატრიალა და გააქროლა იმ ადგილისკენ, სადაც იმპერატორი ნახა; მაგრამ რუს გაღმა აღარავინ იყო. მიდიოდნენ მხოლოდ ოთხთვალეები და ეტლები. ერთი ფურმანისგან^[121] როსტოვმა გაიგო, რომ კუტუზოვის შტაბი მახლობელ სოფელშია, იქ, საითკენაც საბარგულები მიემართებოდნენ. როსტოვი გაჰყვა მათ.

როსტოვის წინ მიდიოდა კუტუზოვის ბერიეტორი, რომელსაც ყაჯრიანი ცხენები მიჰყავდა. მას მისდევდა ოთხთვალა, ხოლო ოთხთვალის შემდეგ მიდიოდა მოხუცი, მრუდეფეხებიანი შინაყმა, რომელსაც კეპი ეხურა და ტყაპუჭი ეცვა.

– ტიტ, ჰეი ტიტ! – მიმართა ბერიეტორმა.

– რა გინდა? – უგულოდ შეეკითხა მოხუცი.

– წადი საცეხავად.

– ფუი, სულელი! – თქვა მოხუცმა და გაჯავრებით გადააპურჭყა.

გავიდა რამდენიმე წუთი ჩუმ მოძრაობაში და განმეორდა იგივე ოხუნჯობა.

სადამოს ხუთი საათისთვის ბრძოლა წაგებულ იყო ყველგან. ას ქვემეხზე მეტი უკვე ფრანგებს ჰქონდათ ხელთ.

პრეზიმივესკიმ თავისი კორპუსით იარაღი დაყარა. სხვა რაზმებმა დაკარგეს ჯარისკაცთა ნახევარი. ისინი, ერთმანეთში არეულნი და ბრბოებად გადაქცეულნი, უკან იხევდნენ.

ლანჟერონისა და დოხტუროვის ჯარის ნაშთები, სოფელ აუგესტის მახლობლად გუბურებთან მიმწყვდეულნი, კაშხალსა და ნაპირებზე ირეოდნენ.

ექვს საათზე აუგესტის კაშხალთანდა მოისმოდა ზარბაზნების გრიალი, ისიც მხოლოდ ფრანგთა ზარბაზნებისა: მათ მრავალი ბატარეა გამწვრივეს პრაცენის დაღმართზე, საიდანაც ყუმბარებს უშენდნენ უკან დახეულ რუს ჯარს.

არიერგრაღში დოხტუროვი და სხვები თავს უყრიდნენ ბატალიონებს და ესროდნენ ფრანგთა კავალერიას, რომელიც სდევნიდა მათ. ბინდდებოდა. აუგესტის ვიწრო კაშხალზე, სადაც ამდენი წლის განმავლობაში მოხუცი მეწისქვილე, თავზე ჩაჩი რომ დაეხურა და ხელში ანკესი მოემარჯვებინა, მშვიდობიანად იჯდა; მისი შვილიშვილი კი, პერანგის სახელოებაკაპიწებული, ხელით აცოდვილებდა სარწყულში ჩაყრილ ვერცხლისფერ თევზებს, მოუსვენრად რომ ფართხალებდნენ; ამ კაშხალზე, რომელზეც ხორბლით დატვირთული ურმებით მშვიდობიანად გადადიოდნენ თავიანთი ბანჯგვლიანი ქუდებით და ლურჯი ქურთუკებით მორაველები და მერე იმავე კაშხლით უკან ბრუნდებოდნენ უკვე თეთრად შეგლესილები, – ამ ვიწრო კაშხალზე ახლა ფურგუნებსა და ზარბაზნებს

შორის, ცხენებს ქვეშ და თვლებს შორის ირეოდნენ სიკვდილის შიშით თავზარდაცემული ადამიანები, რომელნიც ერთმანეთს სრესდნენ, იხოცებოდნენ, მკვდრებზე გადადიოდნენ და ჰკლავდნენ ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ თავად ისინიც სწორედ ასევე დაეხოცათ.

ყოველ ათ წუთში, ჰაერის დამაბვის შემდეგ, ტყლაშანს ადენდა ან სკდებოდა ყუმბარა, სკდებოდა შეტბორებულ ბრბოში, ხოცავდა და სისხლით ღებავდა ახლო მდგომთ. ქვეითად მიმავალი ხელში დაჭრილი დოლოხოვი თავისი ასეულის (დოლოხოვი უკვე ოფიცერი იყო) ათიოდე ჯარისკაცით და ცხენზე მჯდომარე მისი პოლკის უფროსი, – აი ის, რაც მთელ პოლკს გადარჩა. ბრბოს ტალღის მიერ კაშხლის შესასვლელისკენ გატაცებულნი და ირგვლივ ზღვა ხალხით შემორტყმულნი, ისინი ამ შესასვლელთან გაჩერდნენ, რადგან წინ ზარბაზნის ქვეშ ცხენი მომკვდარიყო და ხალხი ამ ცხენის გამოთრევაზე ფუსფუსებდა. ერთმა ყუმბარამ ვიღაც მოკლა უკან, მეორე წინ დაეცა და მოკლულთა სისხლი შეაშხაპუნა დოლოხოვს. სასოწარკვეთილი ხალხი წატორტმანდა, შეჯგუფდა და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კვლავ შეჩერდა.

„ასი ნაბიჯიც და უსათუოდ გადავრჩები; ორი წუთი გაჩერება კიდევ და უსათუოდ დავიღუპები“, – ფიქრობდა თითოეული.

შუა ბრბოში მდგომმა დოლოხოვმა კაშხლის ნაპირისკენ გაიწია, ორი ჯარისკაცი წააქცია და იმ მოლიპულ ყინულზე ჩაირბინა, რითაც გუბურა იყო დაფარული.

– გადმოუხვიეთ აქეთ! – ყვიროდა იგი და თან ხტოდა ყინულზე, რომელსაც ჭრაჭაჭრუჭი გაუდიოდა, – გადმოუხვიეთ! – უყვიროდა იგი მეზარბაზნეებს, – გაუძლებს.

ყინული იმაგრებდა მას, მაგრამ იღუნებოდა და ჭრაჭუნებდა, აშკარა იყო, არათუ ქვემეხებს და ბრბოს ვერ გაუძლებდა, არამედ საცაა მის ქვეშაც ჩაეშვებოდა. მას დაჰყურებდნენ, ნაპირს ეკვროდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ ყინულზე ჩასვლას. პოლკის უფროსმა, რომელიც ცხენით შესასვლელში იდგა, ხელი აიშვირა და პირი გააღო, რათა დოლოხოვისთვის მიემართა. უეცრად ერთმა ყუმბარამ ისე დაბლა გაიზუზუნა ხალხის თავზე, რომ ყველა დაიხარა. რაღაცამ ტყაპანი მოადინა სველ ადგილას, და გენერალი ცხენიანად სისხლის გუბეში ჩავარდა. არავის შეუხედავს გენერლისთვის, არავის უფიქრია მისი წამოყენება.

– ჩამოდით ყინულზე! ჩამოდით, ჩამოდით! მოაბრუნე! არ გესმით?

იმ ყუმბარის შემდეგ, რომელმაც გენერალი წააქცია, უეცრად მოისმა უამრავი ხმა, ყვიროდა ყველა ერთად, მაგრამ რას და რატომ, ვერავინ გაარჩევდა.

კაშხალზე შემდგარმა ერთ-ერთმა უკანა ქვემეხმა ყინულისკენ გადაუხვია. კაშხლიდან გაყინულ გუბურაზე ჩასვლა იწყეს ჯარისკაცებმაც. ერთ-ერთ წინა ჯარისკაცს ფეხქვეშ ყინული ჩაემტვრა და ფეხი წყალში ჩაუვარდა; უნდოდა ფეხი ამოეღო, გასწორებულიყო, მაგრამ წელამდე ჩაეშვა წყალში, ახლო მყოფი ჯარისკაცები დაიბნენ, მეტყვიამფრქვევემ თავისი ცხენი შეაჩერა, მაგრამ უკნიდან განუწყვეტელი ყვირილი ისმოდა: „ჩადი ყინულზე! რას გაჩერდი? ჩადი, ჩადი!“ და საზარელი ყვირილი გაისმა ხალხში. ჯარისკაცები, რომელნიც ქვემეხს ეხვივნენ, ხელებს უქნევდნენ ცხენებს, სცემდნენ მათ, რათა ქვემეხს გადაეხვია და გზა გაეთავისუფლებინა. ცხენები დაიძვრნენ ნაპირიდან. ყინული, რომელიც ქვეითებს იმაგრებდა, უზარმაზარ ნატეხად მოსწყდა და წყალში ჩაინთქა; ყინულზე მყოფი ორმოცამდე კაცი აქეთ-იქით გაიქცა, ვინ წინ, ვინ უკან, მაგრამ, დახმარების მაგიერ, ერთმანეთს სძირავდნენ.

ყუმბარები კი ისეთივე ზუზუნით მოდიოდნენ და ეცემოდნენ ყინულში, წყალში, უფრო ხშირად კი ხალხში, რომლითაც მოფენილი იყო კაშხალი, გუბურები და ნაპირი.

თავი მეცხრამეტე

თავადი ანდრეი ბოლკონსკი პრაცენის მალლობზე ეგდო, იმ ადგილას, სადაც იგი დროშის ტარით ხელში დაეცა; ეგდო მიწაზე, სისხლისგან იცლებოდა და უნებურად კვნესოდა, კვნესოდა წყნარი, საბრალო და ბავშვური ხმით.

სადამო ჟამს კვნესა შეწყვიტა და სრულიად მიყუჩდა. უეცრად თავი ისევ ცოცხლად იგრძნო, იგრძნო, რომ იტანჯებოდა მწვავე ტკივილისგან თავში, ისეთი ტკივილისგან, რომელიც ყველაფერს ჰგლეჯს.

„სად არის ის მაღალი ცა, რომლის არსებობაც არ ვიცოდი აქამდე და რომელიც დღეს დავინახე“, – ეს იყო პირველი აზრი, რომელმაც თავში გაუელვა. „არც ამ ტანჯვას ვიცნობდი, – გაიფიქრა მან, – რაღა ეს, დღემდე სულ არა ვიცოდი რა. მაგრამ სადა ვარ?“

ყური მიუგდო, მოესმა ცხენის ფეხის თქარათქური და ფრანგულად მოლაპარაკეთა ხმები. თვალი გაახილა. ზევით ისევ ის მაღალი ცა მოჩანდა, უფრო ზემოთ აწეული ღრუბლებით, რომლებს იქითაც თვალწინ იშლებოდა ლურჯი უსაზღვროება. თავი არ მიუბრუნებია და არ დაუნახავს ისინი, ვინც ფეხისა და ლაპარაკის ხმების მიხედვით, ეტყობოდა, მასთან მივიდნენ და გაჩერდნენ.

თავად ანდრეისთან მისული ცხენოსანნი იყვნენ ნაპოლეონი და მისი ორი ადიუტანტი. ბონაპარტე ბრძოლის ველის მოვლისას უკანასკნელ ბრძანებებს აძლევდა იმ ბატარეების გაძლიერების შესახებ, რომელნიც აუგესტის კაშხალს ყუმბარებს უშენდნენ; იმავე დროს ბონაპარტე ბრძოლის ველზე მიტოვებულ მოკლულებს და დაჭრილებს ათვალიერებდა.

– De beaux hommes (ჩინებული ხალხია)! – წარმოთქვა ნაპოლეონმა და დააცქერდა მოკლულ რუს გრენადერს, რომელიც გაშავებული კისრით პირქვე დამხობილი ეგდო და რომელსაც სახე მიწაში ჩაეყო, ხოლო ცალი უკვე გათოშილი ხელი განზე გადაეგდო.

– Les munitions des pièces de position sont épuisées, sire (საბატარეო მუხტები აღარ არის, თქვენო უდიდებულესობავ)! – მოახსენა ამ დროს იმ ბატარეიდან მოსულმა ადიუტანტმა, რომელიც აუგესტს ყუმბარებს უშენდა.

– Faites avancer celles de la réserve (უბრძანეთ, რეზერვებიდან მოიტანონ), – უთხრა ნაპოლეონმა და, რამდენიმე ნაბიჯით განზე გამდგარმა, ცხენი გააჩერა თავად ანდრეისთან, რომელიც გულაღმა იწვა, იქვე ეგდო დროშის ტარი (თვით დროშა უკვე წაეღოთ ფრანგებს, როგორც ნადავლი).

– Voilà une belle mort (აი, მშვენიერი სიკვდილი)! – წარმოთქვა ნაპოლეონმა, როცა ბოლკონსკის დააცქერდა.

თავადი ანდრეი მიხვდა, რომ ეს სიტყვები მასზე იყო ნათქვამი და რომ ამას ამბობდა ნაპოლეონი. მას ესმოდა, როგორ უწოდებდნენ ამ სიტყვების წარმომთქმელს „თქვენო უდიდებულესობავ“. მაგრამ ეს სიტყვები ბუზის ბზუილივით ესმოდა. მას არათუ არ აინტერესებდა ეს სიტყვები, ყურადღებაც არ მიუქცევია და იმავე წუთს დაივიწყა კიდეც. თავი ეწვოდა; გრძნობდა, რომ სისხლისგან იცლებოდა, ზემოთ კი ხედავდა შორეულ, მაღალ და მარადიულ ცას. იცოდა, რომ მასთან მისული ნაპოლეონი იყო მისი გმირი, მაგრამ ამ წუთს ნაპოლეონი ეჩვენებოდა მეტად პატარა, უმნიშვნელო ადამიანად იმასთან შედარებით, რაც ახლა ხდებოდა მის სულსა და ამ მაღალ, მცურავი ღრუბლებით დაფარულ დაუსრულებელ ცას შორის. ბოლკონსკისთვის ამ წუთს სულერთი იყო, ვინც უნდა მდგარიყო მის წინ

და რაც უნდა ეთქვა მასზე; ახარებდა მხოლოდ ის, რომ ეს ადამიანები დახმარებოდნენ და დაებრუნებინათ იგი სიცოცხლისთვის, რომელიც ესოდენ წარმტაცად ეჩვენებოდა, იმიტომ, რომ ასე სხვანაირად ესმოდა ახლა იგი. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რათა განძრეულიყო ან რაიმე ბგერა გამოეცა. ფეხი სუსტად შეარხია. ხოლო პირიდან უძლური, ავადმყოფური კვნესა აღმოხდა, რამაც თავად მასში გამოიწვია სიბრაღული.

– ოჰო, ცოცხალია! – წარმოთქვა ნაპოლეონმა და ბრძანება გასცა, – ააყენეთ ეს ყმაწვილი კაცი და შესახვევ პუნქტში გადაიყვანეთ!

თქვა ეს ნაპოლეონმა და გზა განაგრძო; იგი მარშალ ლანისკენ წავიდა, რომელმაც მიახლოებისას ქუდი მოიხადა და ღიმილით გამარჯვება მიულოცა.

თავად ანდრეის ამის შესახებ აღარაფერი აღარ ახსოვდა. გრძობა დაკარგა საშინელი ტკივილისგან, რომელიც მიაყენა საკაცეზე დადებამ, მოძრაობამ, როცა საკაცით მიჰყავდათ, და ზონდით ჭრილობის მოსინჯვამ შესახვევ პუნქტში. გონს მოვიდა მხოლოდ დღის დამლევს, როცა სხვა რუს დაჭრილებთან და ტყვეებთან ერთად ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ამ გადაყვანის დროს უკეთ გრძობდა თავს, შეეძლო მიმოხედვა და ლაპარაკიც კი.

პირველი, რაც გონს მოსვლის შემდეგ გაიგონა, იყო საბადრაგო ოფიცრის სიტყვები, რომელიც აჩქარებით ამბობდა:

– აქ უნდა შეეჩერდეთ: იმპერატორი სულ მალე გამოივლის; სიამოვნებას მოჰგვრის ამ ტყვე ბატონების ხილვა.

– დღეს დიდძალი ტყვე ჩაგვივარდა ხელში, ვგონებ, მთელი რუსი ჯარი მოჰყვა ტყვედ, ასე რომ, იმპერატორს, ალბათ, უკვე მოჰბეზრდა ტყვეების ნახვა, – თქვა მეორე ოფიცერმა.

– არა, მაინც! აი, ეს, მაგალითად, ამბობენ, ალექსანდრე იმპერატორის მთელი გვარდიის უფროსიაო, – მიუგო პირველმა და მიუთითა კავალერგარდის თეთრმუნდირიან რუს ოფიცერზე.

ბოლკონსკიმ იცნო თავადი რეპნინი, რომელსაც იგი პეტერბურგის საზოგადოებაში ხვდებოდა. მის გვერდით იდგა 19 წლის ყმაწვილი, კავალერგარდის ოფიცერი, აგრეთვე დაჭრილი.

ბონაპარტემ სწრაფად მოაქროლა ცხენი და ტყვეების წინ გააჩერა.

– ვინ არის ამათში უფროსი? – იკითხა მან ტყვეთა დანახვისას. დაასახელეს პოლკოვნიკი, თავადი რეპნინი.

– თქვენ ხართ იმპერატორ ალექსანდრეს კავალერგარდის პოლკის უფროსი? – ჰკითხა რეპნინს ნაპოლეონმა.

– მე ესკადრონის უფროსი გახლდით, – მიუგო რეპნინმა.

– თქვენმა პოლკმა პატიოსნად შეასრულა თავისი მოვალეობა, – უთხრა ნაპოლეონმა.

– დიდი მხედართმთავრის ქება ჯარისკაცისთვის საუკეთესო ჯილდოა, – მიუგო რეპნინმა.

– სიამოვნებით გაძლევთ ამ ჯილდოს, – უთხრა ნაპოლეონმა, – ვინ არის ეგ ახალგაზრდა კაცი თქვენ გვერდით?

თავადმა რეპნინმა დაუსახელა გვარი – პორუჩიკი სუბტელენი.

ნაპოლეონმა თვალი შეავლო, გაიღიმა.

– Il est venu bien jeune se frotter à nous (ძალიან ახალგაზრდას მოუსურვებია ჩვენთან ბრძოლა).

– ახალგაზრდობა ხელს არ უშლის სიმამაცეს! – ჩაილაპარაკა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუბტელენმა.

– საუცხოო პასუხია! – წამოიძახა ნაპოლეონმა, – შორს წახვალთ, ყმაწვილო კაცო!

ტყვეებისგან შემდგარი ნადავლის სისრულისთვის სხვებთან ერთად საჩვენებლად გამოყვანილ თავად ანდრეის არ შეეძლო არ მიექცია ნაპოლეონის ყურადღება. ნაპოლეონმა, ეტყობოდა, გაიხსენა, რომ თავადი ანდრეი ბრძოლის ველზე ნახა, და ახლაც მიმართვისას იგივე სახელწოდება იხმარა – „ყმაწვილი კაცი“, რა სახელწოდებითაც ბოლკონსკი პირველად აისახა მის მეხსიერებაში.

– Et vous, jeune homme (თქვენ რაგორღა ხართ, ყმაწვილო კაცო)? – მიმართა მან თავად ანდრეის, – როგორა გრძნობთ თავს, mon brave (ჩემო მამაცო)?

მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წუთის წინათ თავადმა ანდრეიმ შეძლო და რამდენიმე სიტყვა უთხრა ჯარისკაცებს, რომელთაც მისი საკაცე გადაჰქონდათ, ახლა იგი დუმდა და ხმის ამოუღებლად შეჰყურებდა ნაპოლეონს თვალებში... იმ მაღალ, სამართლიან და კეთილ ცასთან შედარებით, რომელიც მან დაინახა და შეიგნო, იმდენად უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა ამ წუთში ის ინტერესები, რითაც გატაცებული იყო ნაპოლეონი, იმდენად წვრილმან ადამიანად მოჩანდა მის თვალში თავად ნაპოლეონი, მისი გმირი, თავისი მედიდურობითა და გამარჯვების სიხარულით, რომ თავად ანდრეის არ შეეძლო პასუხი გაეცა.

და არა მარტო ეს, – ყველაფერი უსარგებლოდ და უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა აზრის იმ მტკიცე და დიდებულ წყობასთან, რომელსაც იწვევდა მასში სისხლის დაკარგვისგან ძალ-ღონის დაუძღურება, ტანჯვა და დღე-დღეზე სიკვდილის მოლოდინი.

თავადი ანდრეი შეჰყურებდა თვალებში ნაპოლეონს და ფიქრობდა სიდიადის არარაობაზე, ცხოვრების არარაობაზე, რომლის მნიშვნელობასაც ვერავინ მიმხვდარა, და სიკვდილის უფრო მეტ არარაობაზე, – სიკვდილისა, რომლის აზრიც ცოცხალთაგან ვერავის გაუგია და ვერ აუხსნია.

იმპერატორმა პასუხს აღარ დაუცადა, პირი მიიბრუნა და წასვლის წინ ერთ-ერთ მეთაურს უთხრა:

– მზრუნველობას ნუ მოაკლებენ ამათ, გადაიყვანონ ჩემს ბანაკში: ჩემმა ექიმმა ლარეიმ გასინჯოს მათი ჭრილობები. ნახვამდის, თავადო რეჰნინ, – და ნაპოლეონი სწრაფად გაუდგა გზას.

მის სახეზე თვითკმაყოფილება და სიხარული აღბეჭდილიყო.

ჯარისკაცებმა, რომელთაც თავადი ანდრეი საკაცით მოიყვანეს, მას მკერდიდან მოხსნეს ოქროს ხატი, რომელიც კნიაჟნა მარიამ ძმას ჩამოჰკიდა, მაგრამ ახლა, როცა დაინახეს, თუ რა ალერსიანად ელაპარაკებოდა იმპერატორი ტყვეებს, კვლავ დაუბრუნეს ხატი პატრონს.

თავად ანდრეის არ დაუნახავს, ვინ და როგორ ჩამოჰკიდა ისევ ხატი, მაგრამ იგი კვლავ გაჩნდა მის მკერდზე, მუნდირს ზემოთ, ოქროს ძეწკვით ჩამოკიდებული.

„კარგი იქნებოდა, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ, როცა დახედა ხატს, რომელიც ასეთი გრძნობითა და მოწიწებით ჩამოჰკიდა დამ, – კარგი იქნებოდა, ყველაფერი რომ ასე ნათელი და უბრალო იყოს, როგორც კნიაჟნა მარიას ეჩვენება. რა კარგი იქნებოდა ვიცოდეთ, სად უნდა ვეძიოთ დახმარება ამ ცხოვრებაში და რას უნდა მოველოდეთ ამ ცხოვრების შემდეგ, იქ, სამარეში! რა ბედნიერი და დამშვიდებული ვიქნებოდი, რომ შემემძლოს ვთქვა: უფალო, შემიწყალე!.. მაგრამ ვის უნდა ვუთხრა ეს? და ძალა – გაურკვეველი, მიუწვდომელი, რომელსაც მე ვერა თუ ვერ მივმართავ, სიტყვითაც ვერ გამოვხატავ, – დიადია, ყველაფერია ან არაფერია, – ეუბნებოდა თავადი ანდრეი თავის თავს, – ან იქნებ ეს ის ღმერთია, რომელიც აი, აქ არის ჩაკერებული, ამ ავგაროზში, კნიაჟნა მარიას მიერ? არა არის რა მართალი, გარდა

ყოველივე იმის არარაობისა, რაც ჩემთვის გასაგებია, და რაღაც გაუგებარისა, მაგრამ უმნიშვნელოვანესის სიდიადისა“.

საკაცე ასწიეს და წაიღეს, ყოველ შენძრევაზე კვლავ აუტანელ ტკივილს განიცდიდა; სიცხემ უმატა, ბოდვა დაიწყო. მისი ბოდვის მთავარ საფუძველს შეადგენდა ის ოცნება მამაზე, ცოლსა და მომავალ შვილზე, ის სიყვარული მათდამი, რომელიც მან ბრძოლის წინაღამეს განიცადა, პატარა, უმნიშვნელო ნაპოლეონის ფიგურა და ყველა ამათ ზევით – მაღალი ცა.

წარმოუდგა წყნარი და მშვიდობიანი ოჯახური ბედნიერება ლისიგორაში. იგი უკვე ტკბებოდა ამ ბედნიერებით, როცა უცებ ჩნდებოდა პატარა ნაპოლეონი თავისი გულგრილი, შეზღუდული და სხვათა უბედურებით გაბედნიერებული გამომეტყველებით, და იწყებოდა ეჭვი, ტანჯვა, და მხოლოდ ცა ჰპირდებოდა შვებას. დილით სხვადასხვა ოცნება და ფიქრი ერთმანეთში აირია, და ცნობამიხდილობისა და დავიწყების ქაოსმა და წყვდიადმა მოიცვა ყოველივე, რაც, თვით ნაპოლეონის ექიმის ლარეის აზრით, უფრო სიკვდილით უნდა დასრულებულიყო, ვიდრე განკურნებით.

– C'est un sujet nerveux et bilieux (ეს ვაჟბატონი ნერვიული და ღვარძლიანი კაცია), – თქვა ლარეიმ, – il n'en rechappera pas (და არ მორჩება)!

თავადი ანდრეი, სხვა უიმედო დაჭრილებთან ერთად ადგილობრივ მცხოვრებთ გადასცეს საზრუნავად.

შენიშვნები

- [1] ფრეილინა (რუს., გერმ.) – მეფის კარზე: დედოფლის ან პრინცესის მხლებელი გაუთხოვარი ქალი თავად-აზნაურთა წრიდან.
- [2] ლივრეა (ფრანგ.) – შვეიცრების, ლაქიების, მეეტლეების ფორმის ტანსაცმელი, ჩვეულებრივ, მოსირმული.
- [3] იგულისხმება ენგიენის ჰერცოგი, ბერმონების გვარის პრინცი, რომელიც ნაპოლეონმა გერმანიის ტერიტორიაზე დაატყვევებინა, პარიზში მიაყვანინა და ვენჰენის ციხის თხრილში დაახვრეტინა 1804 წელს.
- [4] კუტუზოვი, მიხაილ ილარიონოვიჩ გოლეშნიშჩევ-კუტუზოვი (1745-1813) – რუსი გენერალ-ფელდმარშალი (გენერლის უმაღლესი ჩინის მქონე), შემდგომ მთავარსარდალი. 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის გმირი.
- [5] შიფრი – აქ: საპატიო ნიშანი დედოფლის ვენზელით (ერთმანეთში მხატვრულად გადახლართული ინიციალებით), რომელსაც იღებდნენ ინსტიტუტდამთავრებული ქალიშვილები.
- [6] რედიკიული (ფრანგ.) – ქალის პატარა ჩანთა.
- [7] ანეკდოტი (ბერძნ.) – აქ და ყველგან, წინამდებარე რომანში ტერმინი ანეკდოტი გამოიყენება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რაც ბერძნულად აღნიშნავს გამოუცემელ, დაუბეჭდავ მოთხრობას, ამბავს. ამ ტერმინმა ახლანდელი მნიშვნელობა (მოკლე სასაცილო ამბავი, შეთხზული გასართობად) მოგვიანებით შეიძინა (რედაქტორის შენიშვნა).
- [8] როიალისტი (ფრანგ.) – როიალიზმის მიმდევარი. როიალიზმი – მეფის ხელისუფლების ერთგულება.
- [9] Contrat social (ფრანგ.) – აქ იგულისხმება ფრანგი განმანათლებლის ჟან ჟაკ რუსოს (1712-1778) ცნობილი ტრაქტატი „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“, რომელიც რადიკალური შეხედულების გამო მის რომანთან „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ ერთად საეკლესიო ხელისუფალთა წარდგინებით ცეცხლს მისცეს პარიზსა და ჟენევაშიც.
- [10] ბრიუმერი (ფრანგ.) – მეორე თვე საფრანგეთის რევოლუციური კალენდრისა (22 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე), რომელიც მიიღო კონვენტმა 1793 წელს. რესპუბლიკის მერვე წლის 18 ბრიუმერს, ანუ 1799 წლის 9 იანვარს, ნაპოლეონ ბონაპარტემ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, ჩამოაგდო დირექტორია და თავი პირველ კონსულად გამოაცხადა.
- [11] რედიგოტი (ფრანგ.) – გრძელი სერთუკი, რომელსაც თავდაპირველად იცვამდნენ ცხენზე შესაჯდომად (გავრცელებული იყო XVIII-XIX საუკუნეებში).
- [12] ფორეიტორი (გერმ.) – წინა ცხენზე მჯდომი მეეტლე (ეტლში ცხენების ერთიმეორის მიყოლებით შებმისას).
- [13] კავალერგარდი (ფრანგ.) – ჯარისკაცი ან ოფიცერი მეფის არმიის განსაკუთრებული პოლკისა.
- [14] მასონი (ფრანგ.; ინგლ.) – სიტყვასიტყვით ნიშნავს ქვის მთლელს. თავისუფალი მასონობა არის ორგანიზაცია, რომელიც აღმოცენდა XVIII საუკუნეში. 1717 წელს შეიქმნა პირველი ოფიციალური დიდი ლოჟა დიდ ბრიტანეთში დახურული ორგანიზაციის სახით, საკუთარი რიტუალებითა და სიმბოლოებით, რომლებიც გადმოღებულია ნაწილობრივ ქრისტიანობიდან. მასონური ეთიკა და ფილოსოფია აგებულია მონოთეისტურ შეხედულებებზე. დღეისათვის თავისუფალი მასონობა სხვადასხვა ფორმით არსებობს მსოფლიოში, თუმცა ოფიციალური ორგანიზაციის სახით არც ერთ ქვეყანაში არ არის რეგისტრირებული.
- [15] ფლიგელ-ადიუტანტი (გერმ.) – მეფის რუსეთში: არმიის სარდლის დავალებათა შემსრულებელი ოფიცრის ან მეფის ამალის ოფიცრის ჩინი. ამ ჩინის მქონე ოფიცერი.
- [16] მოიკა – აქ: პატარა მდინარე, სარეცხელა.
- [17] სალომონი – იმდროისთვის ევროპასა და რუსეთში პოპულარული რუსი საოპერო მომღერალი ქალი.
- [18] დრაგუნე (ფრანგ.) – მეფის რუსეთისა და ზოგი სხვა ქვეყნის არმიებში: ჯარისკაცი ან ოფიცერი ისეთი კავალერიული ნაწილებისა, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ ქვეითად და ცხენდაცხენ საბრძოლველად.
- [19] მაჟორდომი (ფრანგ.) – აქ: უფროსი მსახური მდიდართა სახლებში.
- [20] „დრეი-მადერა“, „ვენგერსკოე“, „რეინვეინი“ – ღვინის სახეობები.
- [21] სანგვინიკი (ლათ.) – მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი, რომელიც გარეგნულად მკვეთრად გამოხატავს თავის ემოციებს.
- [22] ბოსტონი – აქ: ბანქოს თამაში ერთგვარი.

- [23] კლავიკორდი (ფრანგ.) – ძველებური კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი, კლავესინის (ფორტეპიანოს წინამორბედის) მსგავსი აგებულებისა.
- [24]1 საამო ღამეს, შუქზე მთვარისა, / ბედნიერად რომ იგულვო თავი, / რომ გრძნობდე, ვიღაც არის ამქვეყნად, / შენზე რომ ფიქრობს დღითა და ღამით. / და რომ თვით ისიც, მშვენიერ ხელით / ქნარზე ოქროსი დახეტილობს, / თვის ჰარმონიით, ვნებიან ღელვით / თავისკენ გიხმობს, თავისკენ გიხმობს! / კიდევ ერთი დღე, მეორე დღეც და, აჰა, სამოთხეც, / მაგრამ რად გინდა, როს მეგობარი, ვერ მოესწრება ამ დღეს ბედშავი (რომანში გამოყენებული პოეტური სტროფები და სალექსო სტრიქონები რუსულიდან თარგმნა ელენე სალარიძემ).
- [25]1 ეკოსეზი (ფრანგ., შოტლანდ.) – 1. ძველებური შოტლანდიური ცეკვა კადრილის ტიპის; 2. ამ ცეკვის სტილის მუსიკალური ინსტრუმენტული პიესა.
- [26]1 დანილო კუპორი – ცეკვა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო რუსეთში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.
- [27] ანგლეზი (ფრანგ.) – ძველებური ევროპული ცეკვა.
- [28] ტრეპაკი – რუსული ხალხური ცეკვა.
- [29] გენერალ-ანშევი (ფრანგ.) – XVIII საუკუნეში: ე.წ. სრული გენერალი (უდრის ახლანდელ არმიის გენერალს).
- [30] პავლეს დროს – იგულისხმება რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის (1754-1801) ტახტზე ყოფნის წლები (1796-1801). როგორც ცნობილია იგი 1801 წელს მოკლეს შეთქმულებმა.
- [31] ტრიუმო (ფრანგ.) – კედლის მაღალი სარკე.
- [32] დიუსევი, იან ლადისლავ (1760-1812) – ჩეხი კომპოზიტორი და პიანისტი. იმ დროისთვის პოპულარული როგორც რუსეთში, ასევე მთელ ევროპაში.
- [33] მუში – ცუდი ხარისხის ცხვრის ტყავი.
- [34] მიხელსონი, ივან ივანოვიჩ (1740-1807) – რუსეთის იმპერიის არმიის გენერალი.
- [35] პომერანია (ლათ., გერმ.) – შუა საუკუნეების საჰერცოგო ბალტიის ზღვის სანაპიროზე; შემდგომში პრუსიის პროვინცია.
- [36] შტრაღუნდი – ქალაქი გერმანიაში (როსტოკის ოლქი).
- [37] რიურიკი (გარდ. 879 წ.) – რუსული მატანის მიხედვით, რუსეთის სახელმწიფოებრიობის დამაარსებელი, წარმოშობით ვარიაგი (ვიკინგი), ნოვგოროდის მთავარი 862 წლიდან და მამამთავარი საგვარეულოსი, რომელიც საფუძვლად დაედო რუსეთის პირველ სამეფო, რიურიკების დინასტიას.
- [38] პოტიომკინი-ტავრიჩესკი გრიგორი ალექსანდროვიჩ (1739-1791) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მრავალი ქალაქის დამაარსებელი, გენერალ-ფელდმარშალი.
- [39] სუვოროვი, ალექსანდრ ვასილიევიჩ (1730-1800) – რუსეთის ნაციონალური გმირი, დიდი რუსი მხედართმთავარი, ერთ-ერთი დამაარსებელი რუსული სამხედრო ხელოვნებისა.
- [40] მორო, ჟან ვიქტორ (1763-1813) – პირველი ფრანგული რესპუბლიკის გენერალი.
- [41] ფრიდრიხ II დიდი (1712-1786) – პრუსიის მეფე 1740 წლიდან. პრუსიულ-გერმანული სახელმწიფოს დამაარსებელი.
- [42] პალენი, პიოტრ ალექსეევიჩ (1745-1826) – რუსი სამხედრო მოღვაწე, კავალერიის გენერალი.
- [43] ორლოვი, გრიგორი გრიგორიევიჩ (1734-1783) – იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ფავორიტი, გრაფი, გატჩინისა და მარმარილოს სასახლეების მშენებელი.
- [44] სტერნი, ლორენს (1713-1768) – ინგლისელი მწერალი.
- [45] ბიურო (ფრანგ.) – აქ: ერთგვარი გამოსაწევსახურავიანი საწერი მაგიდა, რომელსაც აქვს თაროები და უჯრები ქაღალდების, საბუთების შესანახად.
- [46] ცარიცინის ველი – ყოფილი მარსის ველი. მოედანი სანქტ-პეტერბურგის ცენტრში, სადაც იმართებოდა სამხედრო აღლუმები.
- [47] ჰოფკრიგსრატი (გერმ.) – საღვთო რომის იმპერიის, შემდგომ ავსტრიის იმპერიის სამეფო კარის სამხედრო საბჭო. არსებობდა ვენაში 1556 წლიდან 1848 წლამდე. 1848 წლიდან იწოდება სამხედრო სამინისტროდ.

- [48] ერცჰერცოგი (გერმ.) – ავსტრიასა და შემდეგ ავსტრია-უნგრეთში: ჰაბსბურგების სამეფო გვარის პრინციების ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი. ჰაბსბურგების იმპერია – ჰაბსბურგები ევროპის ერთ-ერთი ძლევამოსილი სამეფო საგვარეულოა შუა საუკუნეებიდან ახალ დრომდე. დინასტიის წარმომადგენლები ავსტრიას მართავდნენ 1282 წლიდან, რომელიც შემდგომ ავსტრიულ იმპერიადა იქცა (1918 წლამდე). საგვარეულო იკავებდა ასევე საღვთო რომის იმპერიის ტახტს 1438-1806 წლებში (მცირე წყვეტით 1742-1745). დინასტიის დამაარსებლად მიიჩნევა ვინჩე ჰუნტრამი (930-990), რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა ჩრდილოეთ შვეიცარიაში. ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმართულ კამპანიაში ჰაბსბურგები იყვნენ პრუსიისა და რუსეთის მოკავშირეები და რამდენჯერმე დაამარცხეს კიდევ საფრანგეთის ჯარები, თუმცა საბოლოოდ ჰაბსბურგები ომიდან გავიდნენ.
- [49] ფერდინანდი, კარლ (1781-1850) – ავსტრიის ფელდმარშალი, გენერალ-გუბერნატორი გალიციისა (ჰაბსბურგების იმპერიის პროვინცია. ახლანდელი პოლონეთის ტერიტორია) და ტრანსილვანიის (ისტორიული ოლქი. ახლანდელი რუმინეთი).
- [50] კარლ მაკ ფონ ლეიბერხ (1752-1828) – ავსტრიელი ფელდმარშალი.
- [51] ფელდფებელი (გერმ.) – მეფის რუსეთის, აგრეთვე ზოგი უცხო ქვეყნის არმიებში: ქვეითი ჯარის, არტილერიის, საინჟინრო ჯარების უფროსი უნტეროფიცრის წოდებულება (დაახლოებით თანამედროვე არმიის ზემდეგი); ამ წოდებულების მქონე პირი.
- [52] შტაბოფიცერი (გერმ.) – მეფის რუსეთისა და ზოგი უცხო ქვეყნის არმიებში: უფროსი ოფიცრის (პოლკოვნიკის, პოდპოლკოვნიკის ან მაიორის წოდებულება; ამ წოდებულების მქონე პირი).
- [53] სუბალტერნოფიცერი (გერმ.) – მეფის რუსეთის არმიაში: ასეულის, ესკადრონის, ბატარეის უმცროსი ოფიცერი.
- [54] ნუთუ ასე უქმად ანათებდა მზე (რუს.).
- [55] სწორედაც რომ დიდება ჩვენ, ძმებო, / დიდება ჩვენ, კლდის მამასთან ერთად (რუს.)
- [56] კლდის მამით (რუს.).
- [57] კუტუზოვ-მამით (რუს.).
- [58] ეი, თქვენ, ჩემო პარმალნო (რუს.).
- [59] ახალო პარმალნო, ჩემნო (რუს.).
- [60] კორნეტი (ფრანგ.) – 1. სპილენძის სასულე საკრავი ერთგვარი; 2. რევოლუციამდელ რუსეთში: ოფიცრის პირველი ჩინი კავალერისა და სასაზღვრო დაცვის ჯარებში. შეესაბამება ქვეითი ჯარის პოდპორუჩიკს.
- [61] გამოაფრინა შევარდენი მარჯვენა მკლავით (რუს.).
- [62] მაღლაც და შორსაც, / მშობლიურ მხარეს (რუს.).
- [63] ესკადრონი (ფრანგ.) – კავალერიის ქვეგანყოფი, რომელიც ქვეითი ჯარის ასეულს შეესაბამება.
- [64] შტაბროტმისტრი (გერმ.) – რევოლუციამდელი რუსეთის არმიაში: ოფიცრის ჩინი კავალერიაში.
- [65] არიერგარდი (ფრანგ.) – ჯარის ან ფლოტის ნაწილი, რომელიც ფრონტიდან ზურგისკენ მოძრაობისას მთავარ ძალებს ბოლოში მიჰყვება და იცავს მათ.
- [66] დოპელკიუმელი (გერმ.) – კვლიავის ტკბილი არაყი.
- [67] კივერი (რუს.) – ტყავისა და მაუდის ძველებური მაღალი სამხედრო ქუდი.
- [68] კალბასა (რუს.) – რუსი მდაბიო ხალხი გერმანელს დაცინვით коинаса-ს (მეხვს) უწოდებდა.
- [69] ყაჯარი – უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი.
- [70] უნდა იყოს, ვისი ბრძანებაა. აქ ავტორს გერმანელი პოლკოვნიკი გამოჰყავს, რომელმაც რუსული კარგად არ იცის (მთარგმნელის შენიშვნა).
- [71] ფინდიხი (თურქ.) – მსხვილი სასროლი ტყვია.
- [72] რელაცია (ლათ.) – აქ: მეთაურის ცნობა საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ.
- [73] ბოჰემია – ჰაბსბურგების იმპერიაში შემავალი ჩეხეთის ოფიციალური სახელი (1526-1918 წწ.).

[74] კამპოფორმიოს ზავი – ხელშეკრულება, რომელსაც 1797 წლის 17 ოქტომბერს ხელი მოაწერეს იტალიის სოფელ კამპოფორმიოსთან გრაფმა ლუდვიგ კობენცლმა და გენერალმა ბონაპარტემ. ამ ზავით დამთავრდა საფრანგეთის რესპუბლიკის ომი ავსტრიასთან და ავსტრია გამოვიდა პირველი ანტიფრანგული კოალიციიდან. ავსტრია ცნობდა საფრანგეთის უფლებებს დაპყრობილ ტერიტორიებზე, ციხალპური (ალპების სამხრეთით მდებარე) რესპუბლიკის შექმნას, თანახმა იყო ხელი შეეწყო საფრანგეთისთვის რაინის მარცხენა ნაპირზე დამკვიდრებაში. ამ ზავით საფრანგეთის ხელში გადადიოდა გაუქმებული ვენეციის რესპუბლიკა, იონიის კუნძულები და ალბანეთის ნაწილი. ავსტრია საკომპენსაციოდ იღებდა ზალცბურგს, ბავარიის მიწების ნაწილს, ასევე ამ ზავით ლიკვიდირებული ვენეციის რესპუბლიკის ტერიტორიის დიდ ნაწილს.

[75] ვოლტერული სავარძელი – ასე უწოდებდნენ მოსასვენებელ სავარძელს მხოლოდ რუსეთში. იგი უკავშირდება ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის ფრანსუა-მარი არჟუს, ანუ ვოლტერის (1694-1778) სახელს.

[76] დემოსთენე (ძვ.წ. 384-322) – ძველი ათენის სახელმწიფო მოღვაწე და უდიდესი ორატორი.

[77] კამერჰერი (გერმ.) – ზოგიერთ მონარქიულ სახელმწიფოში: ერთ-ერთი წოდებულება სამეფო კარზე (კამერ-იუნკერზე მეტი); ამ წოდებულების მქონე პირი.

[78] ტულონი – ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. 1793 წელს აქ დაიწყო ნაპოლეონ ბონაპარტეს კარიერა.

[79] это Маковщина. Мы обмаковались – მთარგმნელის აზრით, ეს ძნელად გადმოსაცემი სიტყვების თამაშია. ბუნებრივია, აქ იგულისხმება პარალელის გავლება ავსტრიელი ფელდმარშალ მაკის სასტიკ დამარცხებასთან ულმში. სიტყვები Маковщина (მაკის მახე) და обмаковались (მაკის მახეში გაგვბეს) ბილიბინის თქმით, სწორედ მისი „აღმოჩენილი“ un mot-ია, ანუ ახალთახალი სიტყვები (რედაქტორის შენიშვნა).

[80] ლეიდენის ქილა – ელექტრული კონდენსატორი. მასში დიელექტრიკს წარმოადგენდა ქილა, რომელსაც გარედან და შიგნიდან გადაკრული ჰქონდა სტანიოლი (კალის ან მისი ტყვიასთან შენადნობის სიფრიფანა ფურცლები, რომლის ნაცვლად დღეს იხმარება ალუმინის ფოლგა).

[81] ავანპოსტი (ფრანგ.) – ზოგი ქვეყნის არმიაში: მოწინავე სადარაჯო პოსტი, რომელიც იცავს დასასვენებლად განლაგებულ ან დაცვაზე მყოფ ჯარს მტრის მოულოდნელი თავდასხმისგან.

[82] პარლამენტორი (ფრანგ.) – ერთ-ერთი მეომარი მხარის მიერ მოწინააღმდეგესთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი პირი.

[83] მარკიტანტი (რუს.) – ძველად: ვაჭარი, რომელიც მისდევდა ჯარს ლაშქრობაში და ყიდდა სურსათსა და სხვადასხვა წვრილმანს.

[84] კაპტენარმუსი (რუს., ფრანგ.) – რუსეთის არმიაში: თანამდებობის პირი სერჟანტთა შემადგენლობისა, რომელსაც ევალება მიიღოს პოლკის საწყობიდან სურსათი, ტანისამოსი, იარაღი და შემდეგ დაურიგოს ასეულის სერჟანტებსა და ჯარისკაცებს.

[85] გრენადერი (ფრანგ.) – აქ: (ისტ.) ევროპის ქვეყნებისა და მეფის რუსეთის არმიებში: რჩეული ჯარისკაცი, რომელიც გაწვრთნილი იყო ხელყუმბარის ტყორცნაში.

[86] ინგლიზირებული ცხენი – ინგლისური წესით კუდმოკვეცილი ცხენი.

[87] ფეიერვერკერი (რუს.) – მეფის რუსეთის არმიაში: არტილერიის უნტეროფიცერი.

[88] კარე (ფრანგ.) – (სამხ.) ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა კვადრატის ან სწორკუთხედის სახისა; იყენებდნენ ძველად კავალერიის შეტევის მოსაგერიებლად.

[89] ტიერი, ლუი ადოლფ (1797-1877) – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი.

[90] შენგრაბენის ბრძოლა (ცნობილია ასევე როგორც ჰოლაბრუნის ბრძოლა) – მესამე კოალიციის ომის ერთ-ერთი ბრძოლა, რომელიც გაიმართა 1805 წლის 4(16) ნოემბერს პატარა ქალაქ შენგრაბენტთან. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთის არმიის არიერგარდი პეტრე ბაგრატიონის და საფრანგეთის არმიის კორპუსი იოახიმ მიურატის მეთაურობით. იმის მიუხედავად, რომ ფრანგებმა მცირერიცხოვან მტერზე გამარჯვება მოიპოვეს, ბრძოლა რუსების სტრატეგიული წარმატებით დამთავრდა, რადგანაც არიერგარდმა შეძლო მტერი ორი დღით დაეყოვნებინა და ძირითადი არმიის უკან დახევა უზრუნველყო.

[91] კამერ-იუნკერი (გერმ.) – მეფის რუსეთსა და ზოგ სხვა მონარქიულ სახელმწიფოში: დაბალი წოდებულება სამეფო კარზე; ამ წოდებულების მქონე პირი.

[92] სტატსკი სოვეტნიკი (რუს.) – მე-5 კლასის სამოქალაქო ჩინი ძველ რუსეთში.

- [93] რესკრიპტი (ლათ.) – (ისტ.) აქ: მეფის მიერ გამოქვეყნებული წერილი ქვეშევრდომისადმი – გაწეული სამსახურისთვის მადლობის გამოცხადების, დაჯილდოების შესახებ.
- [94] პარისი (ბერძნ.) – ძველ ბერძნულ ეპოსში: ტროის მეფე პრიამეს შვილი. მან მოიტაცა მშვენიერი ელენე – სპარტის მეფე მენელაეს ცოლი და ეს გახდა ტროის ომის დაწყების საბაზი.
- [95] პრემჰექტი – არყის ხეების ხეივანი. ლევ ტოლსტოის პრემჰექტი რამდენჯერმე აქვს მოხსენიებული წინამდებარე რომანში. როგორც მწერალი მეუღლისადმი მიწერილ ბარათში (1897) აღნიშნავდა, მას ახლაც ისევე ხიბლავდა არყის ხის ხეივნის – პრემჰექტის სილამაზე, როგორც 60 წლის წინათ, როცა პირველად შეამჩნია იგი და შეიყვარა (რედაქტორის შენიშვნა).
- [96] კამზოლი (ფრანგ.) – 1. მამაკაცის ძველებური სამოსი. ჩვეულებრივ, უსახელო. იცვამდნენ როგორც ჟილეტს. 2. დოდის მონაწილის (ჟოკეის) ზედა ჩასაცმელი.
- [97] მასაკა – მოდური სამოსი ერთგვარი. სიტყვა „მასაკა“ უნდა მომდინარეობდეს ფრანგულიდან.
- [98] რუსული ხალხური ანდაზა (ითარგმნება ასე: „საყვარელი მეგობრისთვის შვიდი ვერსის მოვლა არაფერია“).
- [99] ბავშვებო, წადით დასადინებლად.
- [100] არნაუტი, არნაბუდი, არნაუდი – ბალკანეთის ალბანელთა ბერძნული სახელწოდება. აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნიდან თურქი მემატინანები არნაუტებს უწოდებდნენ ქართველებსაც, რომლებიც ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ თურქ დამპყრობლებს.
- [101] ფლიუგერი, ფლუგერი (გერმ., ჰოლანდ.) – მეტეოროლოგიური ხელსაწყო, რომელიც უჩვენებს ქარის მიმართულებასა და სიჩქარეს; წარმოადგენს ანძაზე, ლატანზე დამაგრებულ თავისუფლად მოძრავ ფირფიტას, ისარს და სხვ.
- [102] პლუმაჟი (ფრანგ.) – ფრთების კონა, ძუის ფუნძი და მისთ., როგორც სამკაული ქუდზე ან ცხენის აღკაზმულობაზე.
- [103] ესენი, პიოტრ კირილოვიჩი (1772-1844) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის (ქვეითი ჯარის) გენერალი.
- [104] დისპოზიცია (ლათ.) – 1. ჯარის ან ფლოტის საბრძოლველად განლაგება; 2. XVIII-XIX საუკუნეებში: წერილობითი ბრძანება ჯარისადმი ბრძოლის დასაწყებად.
- [105] ტრადირიდირა – აქ იგულისხმება: ალთას და ბალთას მოედება.
- [106] ჩერვონეცი (რუს.) – აქ: რუსული ოქროს ფული სამი რუბლის ღირებულებისა; გასავალი ჰქონდა რუსეთში XVIII საუკუნიდან მოყოლებული.
- [107] კივერი (რუს.) – ძველებური მაღალი სამხედრო ქუდი ტყავისა და მაუდისა.
- [108] კუნქტატორი (წიგნ.) – იტყვიან მეტისმეტად ფრთხილ და გაუბედავ ადამიანზე. მეტსახელ კუნქტატორის მიხედვით, რაც გაუბედავს, ზოზინას ნიშნავს. კუნქტატორი შეარქვეს სარდალ კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსს მე-2 პუნიკური ომის დროს (ძვ.წ. 218-202) მეტისმეტად ფრთხილი და გაუბედავი მოქმედების გამო ჰანიბალთან ბრძოლაში.
- [109] დეფილე (ფრანგ.) – აქ: (სამხ.) ვიწრო გასასვლელი ძნელად მისადგომ ადგილებში (ტყეებში, ჭაობებში, მთებში).
- [110] ტულონი – ქალაქი საფრანგეთში, სადაც გაიმართა ბრძოლა ტულონის ალყის სახელწოდებით 1793 წელს. ეს არის საფრანგეთის რევოლუციური ბრძოლის ეპიზოდი, რომლითაც დაიწყო ნაპოლეონ ბონაპარტეს კარიერა. მალე ქალაქის ამ სახელწოდებამ, ტულონმა მიიღო მეტაფორული მნიშვნელობა, რომელიც მიესადაგება ახალგაზრდა სამხედრო პირის კარიერის ბრწყინვალე დასაწყისს.
- [111] კოლბასნიკი (რუს.) – გერმანელებისადმი მიმართული მოძველებული სალანძღავი მეტსახელი.
- [112] არკოლის ხიდი – აქ იგულისხმება არკოლის ბრძოლა 1796 წლის 15-17 ნოემბერს საფრანგეთისა და ავსტრიის არმიებს შორის გენერლების, ნაპოლეონისა და ალვინცის მეთაურობით. როგორც ცნობილია, ამ ბრძოლისას ნაპოლეონმა არკოლის ხიდზე თავადვე აჩვენა უდიდესი გმირობის მაგალითი, როცა დროშით ხელში თვითონვე მიუძღოდა წინ საფრანგეთის არმიას.
- [113] ბერეიტორი (გერმ.) – ცხენების გამხედნი; ცხენოსნობის მასწავლებელი.
- [114] ყაჯარი – უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი!
- [115] პოდპრაპორშჩიკი (რუს.) – მეფის რუსეთის არმიაში: უმცროს მეთაურთა შემადგენლობის უმაღლესი ჩინი; ამ ჩინის მქონე ოფიცერი.

[116] ლეიბ-ულანი – ლეიბ (გერმ.) – სამეფო კარის; ულანი (პოლონ.; თურქ.) – მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარისკაცი ან ოფიცერი; აქ: მეფის ოფიცერი.

[117] კოლეტი (ფრანგ.) – თეთრი მაუდის მოკლე მუნდირი.

[118] დენშივი – იგივე სამხედრო მსახური.

[119] დესეტინა (რუს.) – ძველებური მიწის საზომი ერთეული რუსეთში. უდრის 1,09 ჰექტარს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

[120] ობერ-ჰოფმარშალი (გერმ.) – ტიტული სამეფო კარის მთავარი მოხელისა, რომელიც განაგებდა სასახლის სამეურნეო საქმეებს; ამ ტიტულის მქონე პირი.

[121] ფურმანი – იგივე მეფურგუნე.

რძი და მშვიდობა

ტომი II

ნაწილი პირველი

თავი პირველი

1806 წლის დასაწყისში ნიკოლაი როსტოვი შვებულებით ბრუნდებოდა შინ. დენისოვიც შინ მიდიოდა, ვორონეჟში. როსტოვმა დაიყოლია, მოსკოვამდე ერთად ემგზავრათ, იქ კი მასთან მისულიყო სტუმრად. მოსკოვამდე ორი გაჩერებით ადრე დენისოვმა ამხანაგთან ერთად, რომელსაც სადგურზე შეხვდა, მთელი სამი ბოთლი ღვინო დალია. გზა ოღროჩოღრო იყო, მიუხედავად ამისა, დენისოვს აღარ გაუღვიძია, საფოსტო მარხილში იწვა როსტოვის წინ, რომელსაც მით უფრო იპყრობდა მოუსვენრობა, რაც უფრო უახლოვდებოდა მოსკოვს.

„მალე მივალთ ნეტავ? ოო, ეს დაუსრულებელი ქუჩები, დუქნები, პურის კვერები, ფარნები, მეეტლეები!“ – ფიქრობდა როსტოვი, როცა სადარაჯოზე უკვე ჩააწერინეს შვებულება და ქალაქში შევიდნენ.

– დენისოვ, მოვედით! ისევ სძინავს, – წამოიძახა და მთელი სხეულით წინ გადაიხარა, თითქოს ამით მარხილის აჩქარებას ლამობსო.

დენისოვი ხმას არ იღებდა.

– აი, გზაჯვარედინი, კუთხე, სადაც მეეტლე ზახარი დგას ხოლმე; აგერ ისიც, ზახარიც; იგივე ცხენი. აგერ დუქანიც, სადაც თაფლაკვერებს ვყიდულობდით. ნეტავ მალე მივალთ? აბა, მოუჩქარე.

– რომელ სახლთან მივიდე? – იკითხა მეეტლემ.

– აგერ, ბოლოში, დიდ სახლს ხომ ხედავ! ჩვენი სახლია ეგ, – წამოიძახა როსტოვმა, – ეგ ხომ ჩვენი სახლია! დენისოვ! დენისოვ! ამ წუთში მივალთ.

დენისოვმა თავი ასწია, ჩაახველა, მაგრამ პასუხი არ გასცა.

– დმიტრი, – მიმართა როსტოვმა მარხილის კოფოზე მჯდომ ლაქიას, – აგერ, ის სინათლე ჩვენთან არის, ხომ?

– დიახ, მამათქვენის კაბინეტშიც სინათლეა.

– ჯერ არ დაწოლილან, ხომ? შენ როგორ ფიქრობ? აბა, არ დაგავიწყდეს, მაშინვე მონახე ახალი უნგრულა[122], – დაუმატა როსტოვმა და ახალშეღერილ ულვაშზე ხელი გადაისვა.

– ჰა, გასწი! – დაუყვირა მეეტლეს, – გაიღვიძე, ვასია! – ახლა დენისოვს მიმართა, რომელმაც კვლავ ჩაქინდრა თავი.

– გასწი, ჰა! მოდის სამი რუბლი არყისთვის, გასწი! – კვლავ დაუყვირა მეეტლეს, როცა მარხილი მათ ჭიშკარს მხოლოდ სამი სახლითლა იყო დაშორებული. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ცხენები არ იძვროდნენ. ბოლოს მარხილმა მარჯვნივ გადაუხვია, ჭიშკრისკენ; როსტოვმა მაღლა აიხედა და ნაცნობი ლავგარდანი[123] დაინახა მოვარდნილი ბათქაშით, დაინახა პარმალი, ბოძი ტროტუარზე. იგი მიმავალი მარხილიდან გადმოხტა და დერეფნისკენ გაიქცა. სახლი ისე უძრავად იდგა და ისე გულგრილად გამოიყურებოდა, თითქოს მისთვის სულერთი იყო, ვინ ესტუმრა. დერეფანში არავინ ჩანდა. „ღმერთო ჩემო, ხომ არაფერი მომხდარა?“ – გაიფიქრა როსტოვმა, გულის ფანცქალით შეჩერდა ერთ წამს და მაშინვე გაიქცა დერეფანში, ნაცნობ, მოღრეცილ კიბეზე. აი, კარის საკეტის იგივე

სახელური, რომლის უსუფთაობისთვისაც ასე ჯავრობდა გრაფინია; კვლავინდებურად სუსტად იღებდა იგი. წინა ოთახში ქონის ერთი სანთელი ენთო.

მოხუც მიხაილოს მერხზე ეძინა. პროკოფი, მხლებელი ლაქია, რომელიც იმდენად ღონიერი იყო, რომ უკანა მხრიდან კარეტის აწევას ახერხებდა, იჯდა და ტყავის ნაჭრებისგან ქალამანს ასხამდა. პროკოფიმ გაღებულ კარისკენ მიიხედა და მისი გულგრილი, ნამძინარევი გამომეტყველება ერთბაშად შეიცვალა – სახეზე ერთდროულად აღტაცება და შემფოთება დაეტყო.

– ღმერთო დიდებულო! ახალგაზრდა გრაფი! – წამოიძახა მან, როგორც კი იცნო ახალგაზრდა ბატონი, – ნუთუ? ჩემო საყვარელო! – და პროკოფი, აღელვებისგან აკანკალებული, სასტუმრო ოთახის კარს მივარდა, ალბათ, იმისთვის, რომ ეცნობებინა ბატონის მოსვლა, მაგრამ გადაიფიქრა, უკან დაბრუნდა და ახალგაზრდა ბატონის მხარს დაეკონა.

– კარგად არიან? – იკითხა როსტოვმა, თან ხელი გაითავისუფლა.

– მადლობა უფალს! ღვთის მადლით, კარგად არიან! ეს-ეს არის, დანაყრდნენ. ნება მომეცით, დავტკბე თქვენი ცქერით, თქვენო ბრწყინვალეზავ!

– მაშ, ყველაფერი რიგზეა?

– მადლობა უფალს, მადლობა უფალს!

როსტოვმა სრულიად დაივიწყა დენისოვი. არ უნდოდა ვინმეს დაესწრო მისთვის, ქურქი გაიხადა და ფეხის თითებზე შემდგარი ბნელ, დიდ დარბაზში შევარდა. ისევ ისე დახვდა იქ ყველაფერი: იგივე ლომბერის მაგიდა^[124], იგივე ჭადი, შალითაშემოხვეული. მაგრამ ვიღაცამ უკვე მოჰკრა თვალი ახალგაზრდა ბატონს, და ვერ მოასწრო როსტოვმა სასტუმრო ოთახამდე მირბენა, რომ ვიღაც სწრაფად, ქარიშხალივით გამოვარდა გვერდით კარიდან, კისერზე მოეხვია და კოცნა დაუწყო. ახლა მეორე, მესამე ასეთივე არსება გამოვარდა მეორე, მესამე კარიდან; კიდევ ხვევნა, კიდევ კოცნა, კიდევ კივილი, სიხარულის ცრემლები. ვერ გაერჩია, სად და რომელი იყო მამა, რომელი ნატაშა, რომელი პეტია. ყველანი კიოდნენ, ლაპარაკობდნენ, კოცნიდნენ ერთსა და იმავე დროს. მხოლოდ დედა არ იყო მათ შორის – ეს ახსოვდა.

– მე კი ვერ გავიგე... ნიკოლუშკა... ჩემო მეგობარო!

– აი, ჩამოვიდა... ჩვენი კოლია... გამოცვლილა. სად არის სანთლები? აბა, ჩაი!

– მეც მაკოცე, მეც!

– ძვირფასო... მეც.

სონია, ნატაშა, პეტია, ანა მიხაილოვნა, ვერა, მოხუცი გრაფი, – ყველანი ეხვეოდნენ. ოთახები მოსამსახურეებითა და მოახლეებით გაივსო, ისინი მოთქვამდნენ და ოხრავდნენ.

პეტია ფეხებზე ჩამოეკიდა ახალმოსულს.

– მე, მე ვერ მხედავ? – ყვიროდა იგი.

ნატაშამ თავისკენ მიიზიდა მმა და მთელი სახე დაუკოცნა, მერე განზე გახტა, უნგრულას კალთაში ხელი სტაცა და დაიწყო თხასავით ხტუნვა ერთ ადგილას და ყურისწამლები წივილი.

ყოველი მხრიდან სიხარულის ცრემლებით აღსავსე, გაბრწყინებული და მოსიყვარულე თვალები შეჰყურებდნენ, ყოველი მხრიდან კოცნას მოწყურებული ტუჩები მოისწრაფოდნენ.

შილასავით[125] აწითლებულ სონიასაც ნიკოლაისთვის ჩაეჭიდა ხელი და, მთლად გაბრწყინებულს, ნეტარი თვალეზი მიეპყრო მისი თვალეზისთვის, რომელთა ხილვასაც ასე მოუთმენლად მოელოდა. სონიას თექვსმეტი წელიწადი შეუსრულდა, იგი ძალიან ლამაზი იყო, მეტადრე ამ წუთებში, როცა ბედნიერ და აღზნებულ აღტაცებას განიცდიდა. თვალს ვერ აშორებდა ახალგაზრდა კაცს, შეპყრებდა, იღიმებოდა და სუნთქვა ეკვროდა. ნიკოლაიმ მადლიერი თვალეზი შეავლო; მაგრამ იგი ჯერ კიდევ სხვა ვიღაცას მოელოდა და ეძებდა. გრაფის მოხუცი მეუღლე ჯერ კიდევ არ გამოსულიყო. და აი, კარიდან ფეხის ხმა მოისმა. ისეთი სწრაფი ნაბიჯით მოემართებოდა იგი, შეუძლებელი იყო, დედა ყოფილიყო.

მაგრამ ის დედა იყო, ახალ, შვილისთვის უცნობი, მისი იქ არყოფნის დროს შეკერილ ტანისამოსში გამოწყობილი. ყველა ჩამოშორდა ნიკოლაის და იგი დედისკენ გაიქცა. როდესაც ერთმანეთთან მივიდნენ, მოხუცი დედა ქვითინით დაეკონა შვილის მკერდს. მას თავი ვერ აეწია ზევით, აცრემლებული სახით ეკვროდა შვილის უნგრულას ცივ ზონრებს.

დენისოვი, შეუმჩნევლად ოთახში შესული, იქვე იდგა, შეპყრებდა დედა-შვილს და თვალეზს ისრესდა.

– ვასილი დენისოვი, თქვენი შვილის მეგობარი, – წარუდგინა მან თავი გრაფს, რომელიც გაკვირვებული შეპყრებდა.

– გთხოვთ, მობრძანდეთ! – წამოიძახა გრაფმა, მოეხვია და გადაკოცნა, – გიცნობთ, გიცნობთ, ნიკოლუშკა გვწერდა თქვენზე... ნატაშა, ვერა, აი, დენისოვი!

იგივე ბედნიერი, აღფრთოვანებული სახეები დენისოვის ბანჯგვლიანმა ფიგურამ მიიპყრო. გარს შემოეხვივნენ.

– საყვარელო დენისოვ! – შეპყვირა აღფრთოვანებისგან თავდავიწყებულმა ნატაშამ, მივარდა დენისოვს, ხელები მოხვია და გადაკოცნა.

ნატაშას საქციელმა ყველა შეაცბუნა. დენისოვიც წამოწითლდა, მაგრამ გაიღიმა და ხელზე აკოცა ნატაშას.

დენისოვი მისთვის მომზადებულ ოთახში მოათავსეს, ხოლო როსტოვები ყველანი სადივანო ოთახში შეიკრიბნენ და ნიკოლუშკას გარს შემოერტყნენ.

გრაფინია გვერდით ეჯდა შვილს და წამდაუწუმ ხელს უკოცნიდა; დანარჩენნი გარს ეხვივნენ მათ, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ნიკოლუშკას ყოველ მოძრაობას, სიტყვას, გამოხედვას, აღტაცებულ და მოსიყვარულე თვალეზს არ აშორებდნენ. ძმას და დებს ერთი ალიაქოთი და ჩხუბი ჰქონდათ იმაზე, თუ ვინ უფრო ახლო მიუჯდებოდა ძმას, ვინ მიუტანდა ჩაის, მიაწვდიდა ცხვირსახოცს, ჩიბუხს.

როსტოვი ძალზე ბედნიერი იყო – ყველა სიყვარულით მიეგება მას, მაგრამ შეხვედრის პირველი წუთი იმდენად ნეტარი იყო, რომ ახლანდელი ბედნიერება მცირედ ეჩვენებოდა, და სულ მოელოდა რაღაცას, კიდევ და კიდევ რაღაცას.

მეორე დილას ნამგზავრთ ათ საათამდე ეძინათ.

წინა ოთახში ხმლები, ჩანთები, აბგები, ღია ჩემოდნები და ტალახიანი ჩექმები ეყარა. ის-ის იყო, კედელთან დადეს ორი წყვილი გაწმენდილი დეზებიანი ფეხსაცმელი. მსახურთ მოჰქონდათ პირსაბანები, ცხელი წყალი პირის გასაპარსად და გასუფთავებულ-გაწმენდილი ტანისამოსი. ოთახში თამბაქოსა და მამაკაცთა სუნნი იდგა.

– ჰეი, გრიშკა, ჩიბუხი! – გაისმა ვასკა დენისოვის ხრინწიანი ხმა, – როსტოვ, ადექი!

როსტოვმა ნამძინარევი თვალები მოისრისა და თმანაწეწილი თავი გახურებულ ბალიშს მოაშორა.

– რაო, განა გვიან არის?

– გვიან არის, ათი საათია, – მიუგო ნატაშას ხმამ, და მეზობელ ოთახიდან მოისმა გახამებული ტანისამოსის შარიშური, ქალიშვილების ჩურჩული და სიცილი. ოდნავ გაღებულ კარში გაიელვა რაღაც ცისფერმა, გაიელვეს ლენტებმა, შავმა თმებმა და მხიარულმა სახეებმა. ესენი იყვნენ ნატაშა, სონია და პეტია. მოვიდნენ, გაეგოთ, ადგნენ თუ არა ახალმოსულნი.

– ნიკოლინკა, ადექი! – კვლავ მოისმა კარიდან ნატაშას ხმა.

– ამ წუთში!

ამ დროს პეტამ პირველ ოთახში იარაღის დანახვისთანავე ხელი სტაცა ხმაღს. იგი აღტაცებას განიცდიდა, ისეთს, როგორსაც უფროსი მეომარი ძმის ხილვისას განიცდიან ხოლმე ყმაწვილები; მას დაავიწყდა, რომ დებს არ შეჭფეროდათ ჩაუცმელი მამაკაცების დანახვა, და კარი შეაღო.

– ეს შენი ხმალია? – დაიძახა პეტამ.

ქალიშვილები უკან გადახტნენ, დენისოვმა საბანში შეყო ბანჯგვლიანი ფეხები, თან შეშინებული თვალებით გადახედა ამხანაგს, თითქოს დახმარებას სთხოვსო. პეტია ოთახში შევიდა, მერე კარი მიიხურა. კარს იქით სიცილი მოისმა.

– ნიკოლინკა, ხალათით გამოდი, – მოისმა ნატაშას ხმა.

– ეს შენი ხმალია? – იკითხა პეტამ, – თუ თქვენია? – მოკრძალებული პატივისცემით მიმართა მან ულვაშთან, შავგვრემან დენისოვს.

როსტოვმა სწრაფად ჩაიცვა ფეხთ, ხალათი გადაიცვა და გავიდა. ნატაშას ცალი ჩექმა ჩაეცვა, დეზიანი, მეორეშიც ფეხს ჰყოფდა. სონია ტრიალებდა და ის-ის იყო, კაბა უნდა გაეხერხა და იატაკზე დაშვებულიყო, რომ როსტოვი გამოჩნდა. ნორჩ, ღაჟღაჟა, მხიარულ ქალიშვილებს ერთნაირი ახალთახალი ცისფერი კაბები ეცვათ. სონია გაიქცა, ხოლო ნატაშამ მკლავში ხელი გაუყარა ძმას, სადივანო ოთახში გაიყვანა და ლაპარაკი გაუბა. ვერ ასწრებდნენ ერთმანეთისთვის კითხვებისა და პასუხების მიცემას ათას წვრილმანზე, რაც მხოლოდ მათ აინტერესებდათ. ნატაშა იცინოდა ყოველ სიტყვაზე, რომელსაც ძმა ამბობდა და რომელსაც თავად ამბობდა, იცინოდა არა იმიტომ, რომ ნათქვამი სასაცილო იყო, არამედ იმიტომ, რომ გახარებული იყო და არ შეეძლო შეეკავებინა სიხარული, რომელსაც სიცილით გამოხატავდა.

– რა კარგია, რა მშვენიერია! – ამბობდა იგი წამდაუწუმ ყველაფერზე.

როსტოვმა იგრძნო, როგორ ეფინებოდა მის სულსა და სახეს, პირველად წელიწად-ნახევრის შემდეგ, სიყვარულის მხურვალე სხივების გავლენით ის ბავშვური ღიმილი, როგორითაც არც ერთხელ აღარ გაუღიმიოდა მას შემდეგ, რაც შინიდან წავიდა.

– არა, მომისმინე ერთი, – თქვა ნატაშამ, – შენ ახლა ნამდვილი ვაჟკაცი ხარ! ძალზე მიხარია, რომ შენ ჩემი ძმა ხარ! – ნატაშამ ხელი შეახო ძმის ულვაშს, – მინდა ვიცოდე, როგორები ხართ მამაკაცები? ისეთები, როგორიც ჩვენა ვართ? არა?

– რატომ გაიქცა სონია? – ჰკითხა როსტოვმა.

– ჰო, ეგ მთელი ისტორიაა. როგორ უნდა ელაპარაკო სონიას: შენობით თუ თქვენობით?

– როგორც მომიხდება, – მიუგო როსტოვმა.

– თქვენობით ელაპარაკე, გთხოვ, მერე აგისხნი.

– რატომ?

– მაშ, ახლავე გეტყვი, ხომ იცი, რომ სონია ჩემი მეგობარია, ისეთი მეგობარი, მისთვის ხელს დავიწვავ. აი, დახედე, – ნატაშამ მარმაშის სახელო გადაიწია და გრძელ, გამხდარ და ნაზ მკლავზე, ბეჭთან, იდაყვიდან საკმაოდ ზემოთ (იმ ადგილას, რომელიც საბალო ტანისამოსითაა ხოლმე დაფარული), წითელი ნიშანი უჩვენა, – ეს ამოვიწვი იმიტომ, რომ სონიასთვის სიყვარული დამემტკიცებინა. სახაზავი ცეცხლზე გავახურე და მკლავზე მივიდე.

როსტოვი თავის წინანდელ საკლასო ოთახში იჯდა დივანზე, რომელსაც სახელურებზე პატარა ბალიშები ჰქონდა, შეჰყურებდა ნატაშას ძალზე გაბრწყინებულ თვალებს და კვლავ გრძნობდა თავს იმ ოჯახურ, ბავშვურ სამყაროში, რომელსაც მის გარდა არავისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ რომელიც ცხოვრებაში გამოვლილ ერთ-ერთ უდიდეს ნეტარებას განაცდევინებდა; და სიყვარულის დასამტკიცებლად სახაზავით მკლავის ამოწვაც არ მოეჩვენა უსარგებლო რამედ. ესმოდა ეს და აღარ უკვირდა.

– მერე რა? მეტი არაფერი? – ჰკითხა მან.

– ჩვენ ძალიან დიდი მეგობრები ვართ. ეს რაა, სისულელეა – სახაზავით ამოწვა. ჩვენი მეგობრობა მუდმივია, ვისაც სონია შეიყვარებს, შეიყვარებს სამუდამოდ; მე კი არ შემძლია, მაშინვე დავივიწყებ ხოლმე.

– მერე რა?

– დიახ, ვუყვარვართ მე და შენ, – ნატაშა უცბად წამოწითლდა, – ხომ გახსოვს, წასვლის წინ... სონია ამბობს, რომ შენ ყველაფერი ის უნდა დაივიწყო. მან თქვა: მე მუდამ მეყვარება, ის კი დაე, თავისუფალი იყოსო. ხომ მართალია, რომ კარგად იქცევა, კეთილშობილურად! დიახ, ხომ ძალიან კეთილშობილური საქციელია? ხომ? – ეკითხებოდა ნატაშა ისე სერიოზულად და აღელვებული, რომ ცხადი იყო, ამას, რასაც ახლა ეკითხებოდა, წინათ აცრემლებული ამბობდა.

როსტოვი ჩაფიქრდა.

– მე არაფერში ჩემი სიტყვა უკან არ მიმაქვს, – თქვა მან, – მერე, სონია ისეთი მშვენიერებაა, რომ რომელი სულელი იტყვის უარს კარზე მომდგარ ბედნიერებაზე?

– არა, არა! – შეჰყვირა ნატაშამ, – მაგაზე ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ. ვიცოდით, შენ რასაც იტყობდი. მაგრამ ეგ შეუძლებელია, იმიტომ, რომ რაკი ასე ამბობ, თავს მოვალედ მიიჩნევ, დანაპირები აასრულო. გამოდის, თითქოს სონიას განგებ ეთქვას ეგ, გამოდის, თითქოს შენ იძულებით ირთავ მას, ეს კი სულ სხვაა.

როსტოვი ხედავდა, რომ ყველაფერი კარგად იყო მოფიქრებული. სონიამ გუშინაც გააოცა თავისი სილამაზით. დღეს მხოლოდ გაკვრით მოჰკრა თვალი, მაგრამ უფრო ლამაზად ეჩვენა. სონია თექვსმეტი წლის საუცხოო გოგონა იყო, რომელსაც აშკარაა იგი გატაცებით უყვარდა (ამაში როსტოვი წუთითაც არ დაეჭვებულა). „რატომ არ უნდა მიყვარდეს იგი ახლა და რატომ უნდა ვთქვა უარი თუნდაც შერთვაზე, – ფიქრობდა როსტოვი, მაგრამ... – ახლა რამდენი სხვა რამეა სასიხარულო, რამდენი საქმეა! დიახ, საუცხოო რამ მოიფიქრეს მათ, – უნდა თავისუფალი დავრჩე“.

– კეთილი და პატიოსანი, – თქვა როსტოვმა, – მერე მოვილაპარაკოთ... ოჰ, რა მოხარული ვარ! – დაუმატა მან და ჰკითხა, – შენ, შენ რაღას აკეთებ, ბორისს ხომ არ უღალატე?

– რა სისულელეა! – სიცილით წამოიძახა ნატაშამ, – არაფერზე, არავისზე არ ვფიქრობ და არც მინდა ვიფიქრო.

– აი, თურმე რა ყოფილა! მაშ, რა უნდა ქნა?

– მეე? – შეეკითხა ნატაშა და ბედნიერმა ღიმილმა გააშუქა მისი სახე, – გინახავს დიუპორი?

– არა, არ მინახავს.

– სახელგანთქმული დიუპორი, მოცეკვავე, არ გინახავს? მაშ, შენ ვერაფერს გაიგებ. აი, მე ვინ ვარ!..

და ნატაშამ ორივე ხელით კაბის კალთები აიწია, ისე როგორც ცეკვის დროს იციან ხოლმე. რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა, შეტრიალდა, ანტრამა[126] გააკეთა, ფეხი ფეხს შემოჰკრა, მერე ფეხის თითებზე შედგა და ასე გაიარა რამდენიმე ნაბიჯი.

– ხომ ვდგავარ? აი, ვდგავარ, – წამოიძახა ნატაშამ, მაგრამ ფეხის თითებზე თავი ვეღარ შეიმაგრა, – ჰოდა, აი, ვინ ვარ მე! არასოდეს არავის არ მივთხოვდები, წავალ მოცეკვავედ. მხოლოდ ნურავის ნუ ეტყვი.

როსტოვმა ისე ხმამაღლა და მხიარულად გადიხარხარა, რომ დენისოვს მეორე ოთახში შეშურდა; ვერც ნატაშამ შეიმაგრა თავი და ძმასთან ერთად თვითონაც გაიცინა.

– ხომ კარგია? – წამდაუწუმ იმეორებდა ნატაშა.

– კარგია! მაშ, ბორისს აღარ გინდა მისთხოვდე?

ნატაშა აენტო.

– არავისაც არ მივთხოვდები. ბორისსაც ამას ვეტყვი, როცა ვნახავ.

– ჰოო! – წამოიძახა როსტოვმა.

– ჰო, ჰო, ყველაფერი ეს სისულელეა! – განაგრძო ტიტინი ნატაშამ, – მითხარი ერთი, კარგი კაცია დენისოვი?

– კარგი კაცია!

– ახლა მშვიდობით, ჩაიცვი, საშინელია დენისოვი?

– რატომ იქნება საშინელი? – ჰკითხა Nicolas-მა, – არა, ვასკა საუცხოო ადამიანია.

– ვასკას ეძახი? უცნაურია. ძალიან კარგი კაცია?

– ძალიან კარგი.

– მაშ ეგრე, მალე მოდი ჩაის დასალევად. ყველანი ერთად ვიქნებით.

და ნატაშა, ფეხის თითებზე შემდგარი, ისე გავიდა ოთახიდან, როგორც გადიან მოცეკვავენი, მაგრამ ილიმებოდა ისე, როგორც ილიმებიან მხოლოდ თხუთმეტი წლის ბედნიერი გოგონები. როსტოვი წამოწითლდა, როცა სასტუმრო ოთახში სონიას შეხვდა. არ იცოდა, როგორ დაეჭირა მასთან თავი. გუშინ, შეხვედრით გამოწვეული სიხარულის პირველ წუთს ერთმანეთი გადაკოცნეს, მაგრამ ახლა გრძნობდნენ, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ; როსტოვი ხედავდა, რომ ყველანი, დედაც და დებიც, გაკვირვებული შეჰყურებდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ, როგორ დაიჭერდა იგი თავს სონიასთან; მან ხელზე აკოცა და თქვენობით მიმართა: თქვენ, სონიაო. მაგრამ მათმა თვალებმა, როცა ურთიერთს შეხვდნენ, შენობით მიმართეს და ნაზად გადაკოცნეს ერთმანეთი. თავისი გამოხედვით სონია პატიებას სთხოვდა იმისთვის, რომ ნატაშამ მოციქულობის დროს გაზედა და გაახსენა დაპირება და მაღლობას

უცხადებდა სიყვარულისთვის. ხოლო როსტოვი თავისი გამოხედვით მადლობას უხდოდა თავისუფლების მიცემისთვის და ამბობდა, რომ მას ასე თუ ისე, მუდამ ეყვარება სონია, რადგან შეუძლებელია არ უყვარდეს იგი.

– რა უცნაურია, – თქვა ვერამ, როცა საერთო სიჩუმე ჩამოვარდა, – რომ სონია და ნიკოლინკა თქვენობით მიმართავენ ახლა ერთმანეთს, როგორც უცხონი.

ვერას შენიშვნა სამართლიანი იყო, როგორც ყველა მისი შენიშვნა, მაგრამ, როგორც მეტწილად მისი შენიშვნების დროს, ყველამ უხერხულად იგრძნო თავი, და არათუ სონია, ნიკოლაი და ნატაშა, გოგონასავით წამოწითლდა გრაფის მოხუცი მეუღლეც კი, რომელსაც შიშს ჰგვრიდა შვილის ეს სიყვარული სონიასადმი, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა ახალგაზრდა კაცის ბრწყინვალე შეუღლებისთვის.

დენისოვმა როსტოვი გააოცა, – იგი ახალ მუნდირში გამოწყობილი, პომადაწაცხებული და სურნელებანაპკურები გამოცხადდა სასტუმრო ოთახში. ისე იყო გამოწყობილი, როგორც ბრძოლის ველზე, და ისეთი თავაზიანი მანდილოსნებთან და კავალრებთან, რომ როსტოვი არასოდეს მოელოდა.

თავი მეორე

არმიიდან მოსკოვში დაბრუნებული ნიკოლაი როსტოვი შინაურებმა ისე მიიღეს, როგორც საუკეთესო შვილი, გმირი და დაუფასებელი ნიკოლუშკა; ნათესავებმა – როგორც საყვარელი, სასიამოვნო და მოკრძალებული ახალგაზრდა კაცი; ნაცნობებმა – როგორც ჰუსართა ლამაზი პორუჩიკი, მარჯვე მოცეკვავე და მოსკოვის ერთ-ერთი საუკეთესო სასიძო.

როსტოვებს დიდი საახლობლო ჰყავდათ – მთელ მოსკოვს იცნობდნენ, ფული იმ წელს მოხუც გრაფს საკმაოდ დაუგროვდა, რადგან ხელახლა დააგირავა ყველა თავისი მამული; ამიტომ ნიკოლუშკა მეტად მხიარულად ატარებდა დროს. გაიჩინა საკუთარი, ჩორთით მოსიარულე ცხენი, ეცვა უკანასკნელი მოდის რეიტუზი, განსაკუთრებული, ისეთი, როგორც მოსკოვში ჯერ არავის ჩაეცვა, და სავსებით უკანასკნელი მოდისვე ჩექმა – ძალზე წამწვეტილი ცხვირითა და პატარა ვერცხლის დეზებით. ჯარიდან დაბრუნებულ როსტოვს საამო გრძნობა ეუფლებოდა შინ, მით უფრო, როცა ცხოვრების ძველ პირობებს იხსენებდა. მას უკვე დავაჟკაცებული და დასრულებული ეჩვენებოდა საკუთარი თავი. სასოწარკვეთილება საღვთო სჯულში გამოცდის ჩაუბარებლობის გამო, ეტლის დასაქირავებლად ფულის სესხება გავრილასგან, იდუმალი კოცნა სონიასი, – ყოველსავე ამას იგონებდა, როგორც ბაღლობას, რომლისგანაც ახლა იგი ძალიან, ძალიან შორს იყო. დღეს კი, მოვერცხლილ კურტაკში გამოწყობილი, ჰუსართა პორუჩიკი, წმინდა გიორგის ჯვრით მკერდზე, ცნობილ ხანში შესულ მოხალისეებთან და პატივცემულ პერსონებთან ერთად ამზადებდა თავის ცხენს დოლისთვის; ჰყავდა ნაცნობი ბანოვანი ბულვარზე, რომელთანაც საღამოობით დადიოდა, დირიჟორობდა მაზურკას არხაროვების ბაღზე, ელაპარაკებოდა ომზე ფელდმარშალ კამენსკის, დადიოდა ინგლისურ კლუბში, შენობით ელაპარაკებოდა ერთ ორმოცი წლის პოლკოვნიკს, რომელიც დენისოვმა გააცნო.

მოსკოვში ოდნავ შეუწედა გატაცება ხელმწიფით, რადგან ამ ხნის განმავლობაში აღარ ენახა იგი. მაგრამ მაინც ხშირად ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკს ხელმწიფეზე, თავის სიყვარულზე მისდამი და აგებინებდა ყველას, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ ეამბნა, რომ იყო მის გრძნობაში ხელმწიფისადმი კიდევ რაღაც, რის გაგებაც ყველას არ შეეძლო, და იგი სულითა და გულით ინაწილებდა იმდროინდელ მოსკოველთა საერთო განცდას – აღმერთებდა იმპერატორ ალექსანდრ პავლოვიჩს. იმპერატორს, რომელსაც მოსკოვში მაშინ „ხორცმესხმული ანგელოზი“ უწოდეს.

მოსკოვში ამ ხანმოკლე ყოფნის დროს, ჯარში წასვლამდე, როსტოვი არ დაახლოვებია სონიას, პირიქით, უფრო დაშორდა კიდეც. თუმცა სონია ძალიან ლამაზი იყო და ეტყობოდა, გატაცებით უყვარდა როსტოვი, მაგრამ როსტოვი ახალგაზრდობის ისეთ ასაკში იყო, როცა კაცს ჰგონია, აუარებელი საქმე მაქვს და დრო აღარ მრჩება ვიფიქრო სიყვარულზეო; თანაც, ახალგაზრდა კაცს ეშინია ხელ-ფეხი არ შეიბორკოს. იგი დიდად უფრთხილდება თავისუფლებას, რომელიც ბევრ სხვა რამისთვის სჭირდება. როდესაც როსტოვი მოსკოვში ამ ხელახალი ყოფნის დროს სონიაზე ფიქრობდა, თავს ეუბნებოდა: „ეჰ, ჯერ კიდევ ბევრი, ბევრი იქნება ასეთი და არიან კიდეც იქ, სადაც, ჩემთვის უცნობნი. მოვასწრებ, როცა მოვისურვებ, ხელი მივყო სიყვარულს, ახლა კი არ მცალია“. გარდა ამისა, ქალთა საზოგადოებაში იგი ხედავდა რაღაც დამამცირებელს თავისი ვაჟკაცობისთვის; დადიოდა ბალებზე და ქალთა საზოგადოებაში, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა ყველას, თითქოს ამას სურვილის წინააღმდეგ სჩადიოდა; დოლი, ინგლისური კლუბი, ქეიფი დენისოვთან, სიარული იქ – ეს სულ სხვა იყო: ეს სავსებით შეეფერებოდა ახალგაზრდა ჰუსარს.

მარტის დასაწყისში მოხუცი გრაფი ილია ანდრეიჩ როსტოვი ძალიან გართული იყო თავად ბაგრატიონის პატივსაცემად განზრახული სადილის გამართვით ინგლისურ კლუბში.

ხალათში გამოწყობილი გრაფი დარბაზში დადიოდა და ბრძანებას აძლევდა კლუბის ეკონომსა და სახელგანთქმულ ფეოკტისტს, ინგლისური კლუბის უფროს მზარეულს, ეზრუნათ სატაცურზე, ქორფა კიტრზე, მარწყვზე, ხბოს ხორცსა და თევზზე თავად ბაგრატიონის სადილისთვის. კლუბის დაარსებიდან გრაფი მისი წევრი და მამასახლისი იყო. კლუბმა მას დაავალა ზეიმის მოწყობა ბაგრატიონის პატივსაცემად, რადგან იშვიათად თუ ვინმე ახერხებდა მასავით ხელგაშლილად, გულუხვად ნადიმის მოწყობას, უფრო კი იმიტომ, რომ იშვიათად თუ ვინმე მოისურვებდა მასავით საკუთარი ფულის გაღებას, როცა ამას საჭიროება მოითხოვდა. კლუბის მზარეული და ეკონომი მხიარული სახეებით ისმენდნენ გრაფის ბრძანებებს, რადგან იცოდნენ, რომ სხვებზე მეტად მასთან შეიძლებოდა გამორჩენა სადილისგან, რომელიც რამდენიმე ათასი რუბლი ჯდება.

– აბა, შენ იცი, ტორტიუსთვის[127] ბიბილოები არ დაგავიწყდეს, ბიბილოები!

– ცივად, მამასადამე, სამი? – იკითხა მზარეულმა.

გრაფი ჩაფიქრდა.

– ნაკლები არ შეიძლება, სამი უნდა იყოს... მაიონეზი ერთი, – თქვა მან და თითი მოკვეცა.

– მაშ, გვიბრძანებთ, მოზრდილი ცქვრინები[128] ავიღოთ? – ჰკითხა ეკონომმა.

– რას იზამ, აიღე, რაკი არ გვითმობენ. ეე, ძმაო, კინალამ დამავიწყდა: საჭირო იქნება სხვა სამშვენისიც სუფრისთვის. ღმერთო ჩემო! – თავზე წაივლო ხელები გრაფმა, – ვინ მომიტანს ყვავილებს? მიტინკა! ჰეი, მიტინკა! გასწი სწრაფად ქალაქგარეთ, მამულში, – მიმართა მან ოთახში შემოსულ მოურავს, – გასწი მამულში, უბრძანე მაქსიმკა მეზადეს, ახლავე ბეგარა მოაწყოს. უთხარი ყველა ორანჟერეი აქ მოათრიოს, ჩულებში შეახვიოს, ორასი ქოთანნი ყვავილი პარასკევისთვის აქ უნდა იყოს.

კიდევ და კიდევ გასცა ბრძანება, შემდეგ მოსასვენებლად მეუღლესთან შევიდა, მაგრამ რაღაც გაახსენდა, დაბრუნდა, დააბრუნა მზარეული და ეკონომი და კვლავ შეუდგა ბრძანების გაცემას. კარიდან მოისმა მამაკაცის მსუბუქი ფეხის ხმა, დეზების წკარუნი და შემოვიდა ახალგაზრდა გრაფი – ლამაზი, ლაჟღაჟა, შავად აბიზინებული ულვაშით; ეტყობოდა, მოსკოვში მშვიდობიანი ცხოვრების მეოხებით დასვენებული და განებივრებული იყო.

– ეჰ, ძმაო, თავგზა დამებნა! – წამოიძახა ღიმილით მოხუცმა, თითქოს დარცხვენილმა შვილის წინაშე,
– შენ მაინც მიშველე! სამხედრო მომღერლებიც უნდა მოვიწვიოთ, მუსიკოსები გვყავს, მაგრამ არ ვიცი, ბოშებიც დაგვჭირდება თუ არა? თქვენ, სამხედროები, ბოშა მომღერლების მოყვარულნი ხართ.

– მამაჩემო, თავადი ბაგრატიონი შენგრაბენის ბრძოლისთვის მზადებისას, მგონი, იმაზე ნაკლებად შფოთავდა, ვიდრე თქვენ ახლა, – მიუგო შვილმა ღიმილით.

მოხუცმა თავი გაჯავრებულად მოაჩვენა.

– შენ რა გენადვლება, აბა, სცადე და გააკეთე! – და გრაფმა მიმართა მზარეულს, რომელიც ჭკვიანური და დარბაისლური სახით დაკვირვებითა და ალერსიანად შეჰყურებდა მამა-შვილს.

– ხომ ხედავ, ფეოკტისტი, როგორი ახალგაზრდობა წამოვიდა! – წამოიძახა თავადმა, – დაგვცინიან მოხუცებს.

– რას იზამთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, მაგათ ოღონდ გემრიელად მიირთვან და არ დაგიდევინ, სუფრას ვინ და როგორ გააწყობს, მაგათი საქმე არ არის ეგ.

– დიახ, დიახ! – შესძახა გრაფმა, მხიარულად სტაცა ხელი შვილს და წამოიძახა, – ხომ ჩამივარდი ხელში! შეაბმევიანე ამ წუთში ორცხენიანი მარხილი, გასწი ბეზუხოვთან და უთხარი, – გრაფ ილია ანდრეიჩმა გამომგზავნა, რათა ახალთახალი მარწყვი და ანანასი გთხოვოთ-თქო. სხვასთან ვერსად იშოვი. თვით მოსკოვშიც არ არის, ამიტომ თავადის ქალიშვილებთან შედი და იმათ უთხარი; იქიდან კი რაზგულიაიში წადი – იპატკა მეეტლემ იცის, – მოძებნე იქ ილიუშკა ბოშა, აი, თუ გახსოვს, გრაფ ორლოვთან რომ ცეკვავდა მაშინ, თეთრ კაზაკინში[129] გამოწყობილი, და აქ მომგვარე.

– ბოშა ქალებთან ერთად ხომ არ მოვიყვანო? – სიცილით ჰკითხა ნიკოლაიმ.

– ჰა, ჰა!

ამ დროს ჩუმი ნაბიჯით ოთახში ანა მიხაილოვნა შემოვიდა. მას საქმიანი და შეფიქრიანებული სახე ჰქონდა, თანაც ქრისტიანულად უწყინარი გამომეტყველება, რაც არასოდეს შორდებოდა მის სახეს. ანა მიხაილოვნა თითქმის ყოველდღე ხედავდა გრაფს ხალათში, მიუხედავად ამისა, გრაფი ყოველთვის უხერხულობას გრძნობდა და მუდამ ბოდინს იხდიდა თავისი სამოსისთვის.

– ნუ წუხდებით, გრაფ, არაფერია, ჩემო კარგო, – თქვა ანა მიხაილოვნამ და მშვიდად მილულა თვალები,
– ბეზუხოვთან მე შევივლი, – განაგრძო მან, – ახალგაზრდა ბეზუხოვი ჩამოვიდა და ახლა მის ორანჟერეაში ყველაფერს ვიშოვით. უნდა მენახა კიდეც. მან ბორისის წერილი გამომიგზავნა. მადლობა ღმერთს, ბორისი ახლა შტაბში მსახურობს.

გრაფს გაუხარდა, რომ ანა მიხაილოვნამ მისი დავალებების ერთი ნაწილის შესრულება იკისრა და ბრძანა, მცირე კარეტა შეებათ.

– ბეზუხოვს გადაეცით, მოვიდეს, სიაში ჩავიწერ, ცოლით არის ჩამოსული? – იკითხა მან.

ანა მიხაილოვნამ თვალები ზევით ალაპყრო, მის სახეზე ღრმა მწუხარება აღიბეჭდა...

– ეჰ, ჩემო მეგობარო, დიდად უბედურია იგი, – თქვა მან, – თუ მართალია, რასაც ყური მოვკარით, საშინელებაა. განა ვიფიქრებდით ამისთანა რამეს მაშინ, როცა მის ბედნიერებას შევხაროდით? მერე რა მაღალი, რა ზეციური სულის პატრონია ახალგაზრდა ბეზუხოვი! დიახ, გულწრფელად მებრალება იგი და ვეცდები, რამდენადაც შემიძლება, ვანუგეშო.

– რა ამბავია, რა მოხდა? – იკითხა ერთდროულად უფროსმა და უმცროსმა როსტოვმა.

ანა მიხაილოვნამ მწარედ ამოიოხრა.

– ამბობენ, დოლოხოვი, მარია ივანოვნას შვილი, – დაიწყო მან საიდუმლო ჩურჩულით, – მთლად სახელს უტეხს თურმე ბეზუხოვის ცოლს. ბეზუხოვმა გამოიყვანა დოლოხოვი საზოგადოებაში, მიიწვია იგი თავის სახლში, პეტერბურგს, და აი, ახლა რა მოხდა... ქალი აქ ჩამოვიდა და ის თავზე ხელაღებულიც უკან დაედევნა, – თქვა ანა მიხაილოვნამ. მას უნდოდა თანაგრძნობა გამოეთქვა პიერისთვის, მაგრამ უნებური ინტონაციით და ნახევრად ღიმილით თანაგრძნობას უცხადებდა თავზე ხელაღებულს, როგორც იგი დოლოხოვს უწოდებდა, – ამბობენ, თვით პიერი მეტისმეტად დაბოლმელიაო.

– მაინც უთხარით, მოვიდეს კლუბში, გაერთობა. დიდი ქეიფი იქნება.

მეორე დღეს, 3 მარტს, ნაშუადღევს მეორე საათზე, ინგლისური კლუბის ორას ორმოცდაათი წევრი და ორმოცდაათი მიწვეული, სადილად მიელოდა ძვირფას სტუმარს და ავსტრიის ლაშქრობის გმირს – თავად ბაგრატიონს. თავდაპირველად, როდესაც აუსტერლიცის ბრძოლის ამბავი მოვიდა, მოსკოვი საგონებელს მიეცა. იმ ხანებში რუსები ისე იყვნენ მიჩვეული გამარჯვებას, რომ აუსტერლიცის დამარცხების ცნობის მიღებისას ზოგმა არ დაიჯერა ეს ამბავი, სხვები ასეთი უცნაური მოვლენის ახსნას რაღაც არაჩვეულებრივ მიზეზებში ეძებდნენ. ინგლისურ კლუბში, სადაც თავს იყრიდა ყველა, ვინც კი წარჩინებული და დიდგვაროვანი იყო, ვისაც სწორი ცნობები მოეპოვებოდა და ვინც გავლენით სარგებლობდა, დეკემბერში, როცა ომის ამბებმა იწყეს დენა, არას ამბობდნენ არც ომზე და არც უკანასკნელ ბრძოლებზე, თითქოს ყველამ პირი შეკრა – ხმა-კრინტი არ დაემრათ ამაზე. ისინი, ვინც მიმართულებას აძლევდნენ საუბარს, როგორც იყვნენ გრაფი რასტოპჩინი, თავადი იური ვლადიმეროვიჩ დოლოგორუკოვი, ვალუევი, გრაფი მარკოვი, თავადი ვიაზემსკი, კლუბს აღარ ეკარებოდნენ, იკრიბებოდნენ ოჯახებში, თავიანთ ინტიმურ წრეებში, და მოსკოველები, რომელნიც სხვის ნათქვამს იმეორებდნენ (ამათ რიცხვს ილია ანდრეიჩ როსტოვიც მიეკუთვნებოდა), მცირე ხნით გარიყულნი – ომზე მსჯელობას მოკლებულნი – უხელმძღვანელოდ დარჩნენ. მოსკოველები გრძნობდნენ, რომ მოხდა რაღაც ისეთი, რაც არცთუ ისე კარგი იყო, და რომ ძნელია ცუდ ამბებზე მსჯელობა. ამიტომაც დადუმება ამჯობინეს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევე, როგორც სათათბირო ოთახიდან მსაჯულები გამოდიან, გამოჩნდნენ ბობოლები, რომელნიც აზრს ჰქმნიდნენ კლუბში, და ყველა ნათლად და გარკვევით ალაპარაკდა. გამოუნახეს მიზეზები იმ დაუჯერებელ, გაუგონარ და შეუძლებელ ამბავს, რომ რუსები დამარცხდნენ, და ყველაფერი ცხადი გახდა. ახლა ყველგან, მოსკოვში ერთსა და იმავეზე ალაპარაკდნენ. აი, ეს მიზეზები: ავსტრიელთა ღალატი, ჯარის ცუდად კვება, პოლონელ პრშებიშევსკისა და ფრანგ ლანჟერონის ღალატი, კუტუზოვის უუნარობა და (ჩურჩულით უმატებდნენ) ხელმწიფის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა, ხელმწიფისა, რომელმაც საქმე ცუდ და უმნიშვნელო ადამიანებს ჩაუფლო ხელშიო. მაგრამ ჯარი, რუსი ჯარი, – ამბობდა ყველა, – არაჩვეულებრივი რამ იყო და სიმამაცის სასწაულებს ახდენდა. ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები – ყველანი გმირები იყვნენ. მაგრამ გმირთაგმირი იყო თავადი ბაგრატიონი, რომელმაც თავი ისახელა შენგრაბენის ბრძოლით და უკან დახევით აუსტერლიციდან, საიდანაც მან ერთადერთმა გაიყვანა ჯარი მწყობრად და დაუშლელად და სადაც იგი მთელ დღეს იგერიებდა ორჯერ უფრო ძლიერ მტერს. ბაგრატიონის გმირად გამოცხადებას მოსკოვში ხელს ისიც უწყობდა, რომ იქ მას არც ნაცნობობა ჰყავდა და არც ნათესაობა, იგი უცხო იყო მოსკოვისთვის. მისი სახით პატივს სცემდნენ მეზრძოლ, უბრალო, უგავლენო და უინტრიგო რუს ჯარისკაცს, რომელიც იტალიური ლაშქრობის მოგონებებით დაკავშირებული იყო სუვოროვის სახელთან. გარდა ამისა, თავად ბაგრატიონის ასეთი პატივისცემა ყველაზე უკეთესად ააშკარავებდა იმას, რომ კუტუზოვს აღარ სწყალობდნენ, ემდუროდნენ კიდეც.

– ბაგრატიონი რომ არ ყოფილიყო, il faudrait l'inventer (უნდა გამოგვეგონა იგი), – ვოლტერის წაბადვით წარმოთქვა ოხუნჯმა შინშინმა.

კულტუროვზე არას ამბობდნენ, მხოლოდ ზოგიერთნი ჩურჩულით აგინებდნენ მას და სასახლის მასხარასა და ბებერ სატირს უწოდებდნენ.

მთელ მოსკოვში იმეორებდნენ თავად დოლგორუკოვის[130] სიტყვებს: „Лепя, лепя и облепишься“.[131] დოლგორუკოვისა, რომელიც ჩვენს დამარცხებაში წინანდელ გამარჯვებათა გახსენებით ინუგეშებდა თავს. იმეორებდნენ აგრეთვე რასტოპჩინის[132] სიტყვებს, რომ ფრანგი ჯარისკაცი საბრძოლველად მაღალფარდოვანი სიტყვებით უნდა აღაფრთოვანო, გერმანელს ლოგიკური მსჯელობით უნდა დაუმტკიცო, რომ უკუქცევა უფრო საშიშია, ვიდრე შეტევა და წინსვლა, რუსი ჯარსკაცი კი უნდა შეაკავო და სთხოვო – ცოტა მოუკელი ნაბიჯსო. ყოველი მხრიდან ისმოდა ახალ-ახალი ამბები ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სიმამაცეზე, რაც მათ აუსტერლიცის ბრძოლის დროს გამოიჩინეს. ერთმა დრომა გადაარჩინა, მეორემ ხუთი ფრანგი მოკლაო, სხვა მარტოდმარტო ახერხებდა თურმე ხუთი ზარბაზნის გატენას. ლაპარაკობდნენ ბერგზედაც ისინი, ვინც მას არ იცნობდა; ამბობდნენ, რომ მან, მარჯვენა ხელში დაჭრილმა, მარცხენა ხელი სტაცა დაშნას და მტერს ეკვეთაო. ბოლკონსკიზე არას ამბობდნენ და მხოლოდ კარგად მცნობნი გამოთქვამდნენ სინანულს, რომ იგი ადრე მოკვდა და უნუგეშოდ დატოვა ფეხმძიმე ცოლი და ახირებული მამა.

თავი მესამე

3 მარტს ინგლისური კლუბის ყველა ოთახში მოლაპარაკეთა დაუსრულებელი გუგუნი იდგა და, როგორც გაზაფხულზე აშლილი ფუტკარი, კლუბის წევრები და სტუმრები წინ და უკან მიმოდიოდნენ, სხდებოდნენ, ურთიერთს ხვდებოდნენ და შორდებოდნენ; ზოგს მუნდირი ეცვა, ზოგს – ფრაკი, იყვნენ აგრეთვე პუდრწაყრილნიც და ხიფთანიანნიც. გაპუდრული, წინდებსა და მაშიებში გამოწყობილი ლივრეიანი ლაქიები ყველა კართან იდგნენ და, დაძაბულნი, თვალყურს ადევნებდნენ კლუბის წევრებისა და სტუმრების ყოველ მოძრაობას, რათა სწრაფად და დროულად მომსახურებოდნენ თითოეულს. დამსწრეთა უმრავლესობას მოხუცი, დარბაისელი ხალხი შეადგენდა, ფართო და გულდაჯერებული სახეებით, სქელი თითებით, მტკიცე მოძრაობით და რიხიანი ხმით. ამ ჯურის სტუმრები და წევრები ერთხელვე აჩემებულ, განსაზღვრულ ადგილებზე იხდნენ, მიჩვეულ, კარგად ნაცნობთა ჯგუფებად იკრიბებოდნენ. დამსწრეთა მცირე ნაწილი შედგებოდა შემთხვევითი სტუმრების, მეტწილად ახალგაზრდებისგან; ამ რიცხვს განეკუთვნოდნენ დენისოვი, როსტოვი და დოლოხოვი, რომელიც კვლავ სემიონოვსკის პოლკის ოფიცერი იყო. ახალგაზრდობის, მეტადრე სამხედრო პირთა სახეზე გამოხატული იყო თითქოსდა მოკრძალებული დამოკიდებულება მოხუცებისადმი, რომელშიც აბუჩად აგდება გამოსჭვივის და რომელიც თითქოს ეუბნება ძველ თაობას: „ჩვენ მზად ვართ პატივითა და მოწიწებით მოგექცეთ, მაგრამ გახსოვდეთ, მომავალი მაინც ჩვენ გვეკუთვნის“.

ნესვიცკიც იქ იყო, როგორც კლუბის ძველი წევრი. პიერი, რომელსაც ცოლის ბრძანებით თმა მოეშვა, სათვალე მოეხსნა და მოდის მიხედვით შემოსილიყო, დაღვრემილი, სევდიანი სახით დადიოდა დარბაზებში. აქაც, როგორც ყველგან, ისეთი ხალხი შემოხვეოდა, რომელიც მუხლს იდრეკდა მისი სიმდიდრის წინაშე და ისიც, ბატონობას მიჩვეული, უყურადღებოდ და ათვალწუნებით ეპყრობოდა მათ.

წლოვანებით პიერი ახალგაზრდებს ეკუთვნოდა, სიმდიდრით და გავლენით კი მოხუც, პატივცემულ სტუმართა ჯგუფის წევრი იყო, ამიტომ ის ხან ერთ ჯგუფს ეკედლებოდა, ხან – მეორეს. ყველაზე გავლენიანი მოხუცები ჯგუფების ცენტრს შეადგენდნენ. უცნობნიც კი მოწიწებით უახლოვდებოდნენ მათ, რათა მოესმინათ ცნობილ ადამიანთა ნალაპარაკები. დიდი ჯგუფები გროვდებოდნენ გრაფ

რასტოპჩინის, ვალუევისა და ნარიშკინის ირგვლივ. რასტოპჩინი უამბობდა მსმენელებს, როგორ გადაქელეს რუსები გამოქცეულმა ავსტრიელებმა და როგორ გაიკვლიეს ხიშტებით გზა რუსებმა უკუქცეულ ავსტრიელთა შორის.

ვალუევმა საიდუმლოდ გაანდო დამსწრეთ, უვაროვი პეტერბურგიდან იმისთვის გამოგზავნეს, რათა გაიგონ მოსკოველთა აზრი აუსტერლიცზე.

მესამე ჯგუფში ნარიშკინი ლაპარაკობდა ავსტრიის სამხედრო საბჭოს სხდომის შესახებ, რომელზედაც სუვოროვმა ავსტრიელი გენერლების სისულელის საპასუხოდ მამალივით დაიყვილა. იქვე მდგომ შინშინს უნდოდა ეოხუნჯა, რომ კუტუზოვმა, ეტყობა, ეს უბრალო ოსტატობაც – მამალივით ყვილი – ვერ ისწავლა სუვოროვისგანაო, მაგრამ მოხუცებმა მკაცრად გადახედეს ხუმარას და აგრძნობინეს, დღევანდელ დღეს აქ ასე ლაპარაკი კუტუზოვზე უზრდელობააო.

გრაფი ილია ანდრეიჩ როსტოვი შეფიქრიანებული, სწრაფი ნაბიჯით მიმოდოდა თავისი რბილი ჩექმებით სასადილო ოთახიდან სასტუმრო ოთახში, სწრაფად და სრულიად ერთნაირად ესალმებოდა წარჩინებულ და არაწარჩინებულ პირთ, რომელთაც ყველას იცნობდა, და ხანგამოშვებით თვალებით ეძებდა თავის დავაჟკაცებულ ტანად შვილს, სიხარულით აშტერდებოდა და თვალსაც ჩაუკრავდა ხოლმე. ახალგაზრდა როსტოვი ფანჯარასთან იდგა დოლოხოვთან ერთად, რომელიც ცოტა ხნის წინათ გაიცნო და აფასებდა კიდევ ამ ნაცნობობას. მოხუცი გრაფი მივიდა მათთან და დოლოხოვს ხელი ჩამოართვა.

– გთხოვ, ოჯახში მეწვიო, შენ უკვე იცნობ ჩემს ვაჟკაცს... იქ ერთად იყავით, ერთად იბრძოდით გამირულად... აა, ვასილ იგნატიჩ... ხომ კარგად, მოხუცო, – მიმართა მან მომავალ მამაკაცს, მაგრამ ვერ მოასწრო მისალმება, რომ ერთბაშად ყველაფერი ამოძრავდა და მოვარდნილმა ლაქიამ შეშინებული სახით მოახსენა გრაფს, მობრძანდნენო.

გაისმა ზარების რეკვა; კლუბის მამასახლისები კარებებს მისცვივდნენ; ოთახებში გაფანტული სტუმრები, თითქოს ჭვავის მარცვალს ნიჩაბი მოუსვესო, ერთად შეჯგუფდნენ და დიდ სასტუმრო ოთახში დარბაზის კარის წინ გაჩერდნენ.

წინა ოთახის კარში ბაგრატიონი გამოჩნდა, უქუდოდ და უდაშნოდ, რომლებიც მან, კლუბში მიღებული ჩვეულებისამებრ, შვეიცარს დაუტოვა. მას აღარ ეხურა კრაველის ქუდი, და აღარც მათრახი გადაეგდო მხარზე, როგორც აუსტერლიცის ბრძოლის წინაღამეს, როცა როსტოვმა ნახა იგი. ახლა ვიწრო მუნდირი ეცვა რუსული და უცხოური ორდენებით მოჭედილი და გიორგის ჯვრით მკერდის მარცხენა მხარეზე. ეტყობოდა, ის-ის იყო, სადილის წინ შეეკრიჭა თმა და ბაკუნბარდი, რაც არასასურველად ცვლიდა მის გარეგნობას. სახეზე გულუბრყვილო, სადღესასწაულო იერი გადაჰკრავდა და ეს იერი მის მტკიცე, ვაჟკაცურ ნაკვეთებთან შეერთებული, ოდნავ კომიკურ გამომეტყველებას აძლევდა. მასთან ერთად მოსული ბეკლეშოვი და ფიოდორ პეტროვიჩ უვაროვი კარში შეჩერდნენ, რათა გზა მიეცათ მისთვის, როგორც ყველაზე საპატიო სტუმრისათვის. ბაგრატიონი დაიბნა, მან არ მოისურვა ესარგებლა თანმხლებთა თავაზიანობით, ოდნავ შეფერხდა კარში, მაგრამ ბოლოს მაინც პირველი შევიდა. მორცხვად და უხერხულად მიდიოდა იგი სასტუმრო ოთახის პარკეტზე, მიდიოდა და არ იცოდა, სად წაეღო ხელები. მისთვის უფრო ჩვეული და ადვილი იყო ტყვიების ზუზუნში მოხუნულ მინდორზე სიარული, ისე, როგორც მიუძღოდა კურსკის პოლკს შენგრაბენში. მამასახლისები პირველ კართან შეეგებნენ, რამდენიმე სიტყვით გამოხატეს თავიანთი სიხარული ესოდენ ძვირფასი სტუმრის ხილვისას. მერე არც კი დაუცადეს თავადის პასუხს, თითქოს მის დაუფლებას აპირებენო, გარს შემოერთყვნენ და სასტუმრო ოთახში შეიყვანეს. სასტუმრო ოთახის კარში გავლა შეუძლებელი გახდა, კლუბის წევრები და სტუმრები ერთად შეჯგუფებულიყვნენ, ერთმანეთს აწვებოდნენ, ფეხის თითებზე

დგებოდნენ, რომ წინმდგომთა ზურგს უკნიდან, როგორც იშვიათი ნადირი, ისე შეეთვალეირებინათ ბაგრატიონი. გრაფ ილია ანდრეიჩმა, სხვებზე უფრო ენერგიულმა, სიცილით და „გამიშვი, ჩემო კარგო, გამიშვის“ მახილით გზა გაიკვლია ხალხში, სტუმრები სასტუმრო ოთახში გაიყვანა და შუა დივანზე დასვა. ბობოლეები, კლუბის უპატივცემულისი წევრები, გარს შემოერტყნენ ახალმოსულთ. გრაფ ილია ანდრეიჩმა კვლავ გააპო ხალხი, სასტუმრო ოთახიდან გავიდა, ერთი წუთის შემდეგ სხვა მამასახლისთან ერთად დაბრუნდა და თან მოიტანა ვერცხლის დიდი ლანგარი, რომელიც თავად ბაგრატიონს მიაართვა. ლანგარზე გამირის პატივსაცემად შეთხზული და დაბეჭდილი ლექსი იდო. ლანგარის დანახვაზე ბაგრატიონმა შეშინებული თვალები მოავლო დამსწრეთ, თითქოს დახმარებას ელისო. მაგრამ ყველას თვალებში სასტიკი მოთხოვნა ამოიკითხა – დამორჩილებულიყო. უმწეოდ დარჩენილმა ბაგრატიონმა ლანგარს ორივე ხელი წაავლო და გაჯავრებულმა უმადური მზერით გადახედა გრაფს, რომელმაც ლანგარი მიაართვა. ამ დროს ვიღაცამ თავაზიანად ჩამოართვა ბაგრატიონს ლანგარი (თორემ, ეტყობოდა, საღამომდე აპირებდა ლანგარის ხელში ჭერას და სუფრასთანაც ასე მისვლას) და ლექსზე ანიშნა. „მოდი, წავიკითხავ“, თითქოს გუნებაში გადაწყვიტა ბაგრატიონმა და დაღლილი თვალები ქაღალდს დააშტერა. მერე ყურადღებით და სერიოზული სახით შეუდგა კითხვას. მაგრამ ამ დროს თვით შემდგენელმა აიღო ლექსი და დაიწყო კითხვა. თავადი ბაგრატიონი თავდახრილი უგდებდა ყურს.

Славь Александра век,

И охраняй нам Тита на престоле,

Будь купно страшный вождь и добрый человек,

Рифей в отечестве а Цесарь в бранном поле.

Да счастливый Наполеон,

Познав чрез опыты, каков Багратион,

Не смеет утруждать Алкидов русских боле...[133]

მაგრამ ავტორს ჯერ კიდევ ბოლომდე არ წაეკითხა ლექსი, რომ რიხიანმა დვორეცკიმ დაიძახა, სადილი მზად არისო. გაიღო კარი და სასადილო ოთახიდან მოისმა პოლონური: „Гром победы раздавайся, веселися храбрый росс“.[134] გრაფ ილია ანდრეიჩმა მწყრალად შეხედა ავტორს, რომელიც კვლავ განაგრძობდა ლექსის კითხვას და თავი დაუკრა ბაგრატიონს. ყველანი წამოიშალნენ, რადგან გრძნობდნენ, რომ სადილი ლექსზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ყველაზე წინ სუფრისკენ ისევ ბაგრატიონი გაემართა. პირველ ადგილზე, ორ ალექსანდრეს – ბეკლემოვსა და ნარიშკინს შუა, რასაც აგრეთვე მნიშვნელობა ჰქონდა ხელმწიფის სახელისადმი დამოკიდებულებით, ბაგრატიონი დასვეს. სამასი კაცი ჩინისა და წარმატების მიხედვით მოთავსდა სასადილო ოთახში: ვინც უფრო წარჩინებული იყო, ის უფრო ახლოს დაჯდა სტუმართან, და ეს ისევე ბუნებრივად მოხდა, როგორც წყალი ჩაედინება ხოლმე შედარებით ჩაღრმავებულ ადგილას.

სადილის წინ გრაფმა ილია ანდრეიჩმა თავისი შვილი წარუდგინა თავადს. ბაგრატიონმა იცნო იგი და რამდენიმე შეუსაბამო, უხერხული სიტყვა უთხრა, ისეთივე, როგორც იყო ყოველი მისი სიტყვა იმ დღეს. გრაფი ილია ანდრეიჩი სიხარულითა და სიამაყად შეჰყურებდა ყველას, როცა ბაგრატიონი მის შვილს ელაპარაკებოდა.

ნიკოლაი როსტოვი, დენისოვი და როსტოვის ახალი ნაცნობი დოლოხოვი ერთად დასხდნენ მაგიდის თითქმის შუა ადგილას. მათ პირდაპირ, თავად ნესვიცკის გვერდით, პიერი დაჯდა. გრაფი ილია

ანდრეიჩი სხვა მამასახლისებთან ერთად ბაგრატიონის პირდაპირ იჯდა, უმასპინძლდებოდა თავადს და მოსკოვურ გულუხვობას გამოხატავდა.

შრომამ ამაოდ არ ჩაუარა გრაფს. მისი სადილი, სამარხვო და სახსნილო, ჩინებული იყო, მაგრამ სადილის დამთავრებამდე მთლად მაინც ვერ დამშვიდდა. თვითონ ანიშნებდა მეზუფეტეს, ჩურჩულით აძლევდა ლაქიებს ბრძანებებს და აღელვებული მოელოდა თითოეულ კარგად ნაცნობ კერძს. ყველაფერი კარგად მიდიოდა. როცა მეორე კერძი – უზარმაზარი ცქვრინი შემოიტანეს, რომლის დანახვაზედაც ილია ანდრეიჩს სიხარულისა და მორცხვობისგან სახე აუწითლდა, ლაქიებმა ბოთლების საცობებს ბათქაბუთქი აუტეხეს და შამპანურის დასხმას შეუდგნენ. თევზის შემდეგ, რომელმაც ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა, გრაფ ილია ანდრეიჩმა სხვა მამასახლისებს გადახედა. ბევრი სადღეგრძელო იქნება, დროა დავიწყოთო, – წასჩურჩულა მათ, ჭიქა აიღო და ფეხზე წამოდგა. ყველა გაჩუმდა, მოელოდნენ, რას იტყოდა იგი.

– დღეგრძელობა ხელმწიფე იმპერატორს! – შესძახა გრაფმა და იმავე წუთს კეთილი თვალები სიხარულისა და აღტაცების ცრემლებით აევსო. იმავე წუთს დაუკრეს: „Гром победы раздавайся“. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, ყველამ „Ура!“ შესძახა. ბაგრატიონმაც შესძახა „Ура!“, შესძახა ისევე, როგორც იგი შენგრაბენის ველზე იძახდა. სამასი ხმიდან აშკარად გამოირჩეოდა ახალგაზრდა როსტოვის აღტაცებული ხმა. მას კინაღამ ტირილი აუვარდა. „დღეგრძელობა ხელმწიფე იმპერატორს! – ყვიროდა იგი: – Ура!“ – როსტოვმა სულმოუთქმელად გადაკრა თავისი ჭიქა და იატაკზე დაანარცხა. ბევრმა მიჰბაძა მის მაგალითს. კიდევ დიდხანს გაისმოდა ხმამაღალი ყვირილი. როდესაც ხმაური მიწყნარდა, ლაქიებმა დამსხვრეული ჭურჭელი აკრიფეს. სტუმრები კვლავ დასხდნენ, ღიმილით დაასრულეს ყვირილი და ლაპარაკი გააბეს. გრაფი ილია ანდრეიჩი ისევ წამოდგა, დახედა ბარათს, რომელიც მისი თეფშის წინ იდო და რუსების უკანასკნელი კამპანიის გმირის, თავად პიოტრ ივანოვიჩ ბაგრატიონის სადღეგრძელო წარმოთქვა. ცისფერი თვალები კვლავ ცრემლებით დაენამა. Ура! – ისევ შესძახა სამასმა სტუმარმა და მუსიკის ნაცვლად მოისმა მომღერალთა ხმა. ისინი ასრულებდნენ კანტატას[135], რომელიც პაველ ივანოვიჩ კუტუზოვს შეეთხზა:

Тшетны россам все препоны,

Храбрость есть побед залог,

Есть у нас Багратионы,

Будут все враги у ног...[136]

ამ სიმღერას ახალ-ახალი სადღეგრძელო მოჰყვა, რომელთა დროსაც გრაფ ილია ანდრეიჩს უფრო მეტად აუჩუყდა გული, უფრო მეტი ჭურჭელი დაიმსხვრა და უფრო ძლიერად გაისმა ყვირილი. შესვეს ბეკლემოვის, ნარიშკინის, უვაროვის, დოლგორუკოვის, აპრაქსინის, ვალუევის სადღეგრძელო, მამასახლისების, განმკარგულებლის, კლუბის ყველა წევრის, ყველა სტუმრის და, ბოლოს, ცალკე სადილის მომწყობის – გრაფ ილია ანდრეიჩის სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოზე გრაფმა ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მიიფარა – ტირილი აუვარდა.

თავი მეოთხე

პიერი დოლოხოვისა და ნიკოლაი როსტოვის პირდაპირ იჯდა. იგი ბევრს ჭამდა და ხარბად, და როგორც ყოველთვის, ბევრსაც სვამდა. მაგრამ ვინც პიერს კარგად იცნობდა, ხედავდა, რომ დღეს მასში რაღაც დიდი ცვლილება მოხდა. მთელი სადილის განმავლობაში ჩუმად იჯდა და, სახეშეჭმუხნილი და დაღრეჯილი, ხან ირგვლივ იყურებოდა, ხან თვალებგამტერებული და მთლად დაბნეული, ცხვირს

ისრესდა. სახე მოწყენილი და მოღუშული ჰქონდა, თითქოს ვერ ხედავდა და არც ესმოდა, რა ხდებოდა ირგვლივ, ფიქრობდა ერთ მეტად მძიმე და გადაუწყვეტ რაღაცაზე.

ეს გადაუწყვეტელი საკითხი, რაც ასე ტანჯავდა მას, იყო კნიაჟნას მიერ მოსკოვში ნათქვამი გადაკრული სიტყვები დოლოხოვის სიახლოვეზე მის ცოლთან და დღეს დილით მიღებული ხელმოუწერილი ბარათი, სადაც საზიზღარი ოხუნჯობით, რაც ასე სჩვევია ყველა უსახელო ბარათს, ნათქვამი იყო, რომ იგი ცუდად იყურება თავისი სათვალისა და რომ მისი ცოლის კავშირი დოლოხოვთან მხოლოდ მისთვის შეადგენს საიდუმლოებას. პიერმა სრულიად არ დაუჯერა არც კნიაჟნას გადაკრულ სიტყვებს, არც ბარათში ნათქვამს, მაგრამ საშინელ წუთებს განიცდიდა ახლა, როცა უყურებდა დოლოხოვს, რომელიც მის წინ იჯდა. ყოველთვის, როცა მისი თვალები უნებურად შეხვდებოდნენ დოლოხოვის ლამაზ, მაგრამ ურცხვ თვალებს, პიერი გრძნობდა, რომ რაღაც საშინელი, საზიზღარი ჩნდებოდა მის სულში, და იგი სწრაფად იბრუნებდა ხოლმე პირს. პიერი უნებურად იგონებდა თავისი ცოლის მთელ წარსულს და მის ურთიერთობას დოლოხოვთან და ცხადად ხედავდა, რომ ის, რაც წერილში იყო ნათქვამი, შეიძლებოდა მართალი ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა მართლად სჩვენებოდა კაცს, თუ ეს ამბავი მის ცოლს არ შეეხებოდა. პიერი უნებურად იგონებდა, როგორ დაბრუნდა პეტერბურგში დოლოხოვი, რომელსაც ლამქრობის შემდეგ ყველაფერი დაუბრუნეს, და როგორ ესტუმრა იგი შინ. დოლოხოვმა გამოიყენა ძველი, ქეიფის დროის მეგობრობა პიერთან და პირდაპირ მასთან მივიდა სახლში; პიერმა თავისთან მოათავსა იგი და ფულიც ასესხა. გაიხსენა, როგორ ღიმილით აცხადებდა ელენი უკმაყოფილებას იმის გამო, რომ დოლოხოვი მათ სახლში ცხოვრობდა, როგორ ცინიკურად აქებდა დოლოხოვი მის წინაშე მისივე ცოლის სილამაზეს და იმ დღიდან მოსკოვში ჩამოსვლამდე განუმორებლად იმყოფებოდა მათთან.

„დიახ, ძალიან ლამაზი ვაჟკაცია, – ფიქრობდა პიერი, – ვიცნობ მას. იგი განსაკუთრებულ სიამოვნებად მიიჩნევს ჩემი სახელის შერცხვენას, ჩემს სასაცილოდ აგდებას, სწორედ იმიტომ, რომ მე ყველაფერს ვაკეთებდი მისთვის, შევიკედლე, დავეხმარე. ვიცი, მესმის, როგორი სიმძაფრე უნდა მისცეს მის თვალში ამ გარემოებამ მოტყუებას, მართალი რომ იყოს ეს. დიახ, მართალი რომ იყოს. მაგრამ მე არ მჯერა! უფლება არა მაქვს და არც შემიძლია დავიჯერო“. პიერმა გაიხსენა, როგორ გამომეტყველებას იღებდა დოლოხოვი სიმკაცრის წუთებში. აი, თუნდაც მაშინ, როცა პოლიციელი დათვს გადააბა და წყალში ჩაუშვა, ან მაშინ, როცა სრულიად უმიზეზოდ დუელში იწვევდა ვინმეს, ან როცა დამბაჩით კლავდა მეეტლის ცხენს. ასეთი გამომეტყველება ხშირად იხატებოდა დოლოხოვის სახეზე, როცა მას უყურებდა. „დიახ, ბრეტორია[137], ჩხუბისთავი, – ფიქრობდა პიერი, – მისთვის არაფერია კაცის მოკვლა. ალბათ ჰგონია, რომ ყველას ეშინია მისი და ეს სიამოვნებას ჰგვრის. ალბათ ჰგონია, რომ მეც მეშინია მისი და მართლაც მეშინია“, – ფიქრობდა პიერი და ამ ფიქრთან ერთად კვლავ გრძნობდა, რომ რაღაც საშინელი და საზიზღარი იძვროდა მის სულში. დოლოხოვი, დენისოვი და როსტოვი ახლა მის პირდაპირ ისხდნენ და ძალიან მხიარულად გამოიყურებოდნენ. როსტოვი მხიარულად ელაპარაკებოდა თავის ორ მეგობარს, რომელთაგან ერთი მარჯვე ჰუსარი იყო, ხოლო მეორე ცნობილი ბრეტორი და თავზე ხელაღებული კაცი, და ზოგჯერ დაცინვით გადახედავდნენ ხოლმე პიერს, რომელიც ამ სადილზე აოცებდა კაცს თავისი გულჩათხრობილობით, დაბნეულობით, თავისი მასიური ფიგურით. როსტოვი უკეთური თვალის უყურებდა პიერს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ პიერი, მისი ჰუსარული წარმოდგენით, სამოქალაქო კაცი იყო, მდიდარი, მზეთუნახავის ქმარი, საერთოდ კი ქალაჩუნა; მეორეც იმიტომ, რომ პიერმა, გულჩათხრობილმა და დაბნეულმა, ვერ იცნო როსტოვი და სალამზე არ უპასუხა. როდესაც ხელმწიფის სადღეგრძელოს სვამდნენ, ჩაფიქრებულ პიერს ფეხზე ადგომა და ჭიქის ალება დაავიწყდა.

– რას უყურებთ? – დაუყვირა როსტოვმა და აღტაცებული და იმავე დროს გაბოროტებული თვალები შეანათა პიერს, – განა არ გესმით: ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოა!

პიერმა ამოიხრა, მორჩილად წამოდგა, თავისი ჭიქა გამოცალა და, როდესაც ყველანი დასხდნენ, გულკეთილი ღიმილით მიმართა როსტოვს:

– წარმოიდგინეთ, ვერ გიცანით, – უთხრა მას.

მაგრამ როსტოვს მისთვის არ ეცალა, იგი Yppa-ს გაჰყვიროდა.

– რატომ არ განაახლებ ნაცნობობას? – ჰკითხა დოლოხოვმა როსტოვს.

– ღმერთმა მშვიდობა მისცეს, სულელია, – მიუგო როსტოვმა.

– უნდა ელოლიავო ლამაზი ქალის ქმარს, – თქვა დენისოვმა.

პიერს არ ესმოდა, რას ამბობდნენ ისინი, მაგრამ იცოდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ. წამოწითლდა და პირი მიიბრუნა.

– აბა, ახლა ლამაზი ქალების სადღეგრძელო იყოს, – თქვა დოლოხოვმა და სერიოზული გამომეტყველებით, მაგრამ ოდნავი ღიმილით ტუჩის კუთხეებში და ჭიქით ხელში პიერს მიმართა: – გაუმარჯოს, პეტრუშა, ლამაზ ქალებს და მათ საყვარლებს!

თვალებდახრილი პიერი ისე სვამდა თავისი ჭიქიდან, რომ არ უყურებდა დოლოხოვს და არც პასუხს აძლევდა. ლაქიამ, რომელიც კუტუხოვის კანტატას არიგებდა, ერთი ფურცელი პიერს დაუდო, როგორც უფრო საპატიო სტუმარს. პიერს ფურცლის აღება უნდოდა, მაგრამ დოლოხოვი გადაიხარა, ხელიდან გამოსტაცა ფურცელი და კითხვას შეუდგა. პიერმა შეხედა დოლოხოვს და თვალები დახარა: რაღაც საშინელი და საზიზღარი, რაც მთელი სადილის განმავლობაში უმღვრევდა გულს, წამოიშალა და დაეუფლა მთელ მის არსებას. იგი მთელი თავისი ზორბა ტანით მაგიდაზე გადაიხარა და დაუყვირა:

– არ გაბედოთ აღება!

როცა ნესვიცკიმ და მარჯვენა მხარეს მჯდომმა მეზობელმა ეს ყვირილი გაიგონეს და დაინახეს, ვის ეხებოდა იგი, შეშინებულებმა სწრაფად მიმართეს ბეზუხოვს:

– დამშვიდდით, რა დაგემართათ? – ჩურჩულებდნენ შემფოთებული ხმები.

დოლოხოვმა ნათელი, მხიარული, მკაცრი თვალებით და ჩვეულებრივი ღიმილით შეხედა პიერს, თითქოს ეუბნებოდა, – აი, ეგ მიყვარსო.

– არ მოგცემთ, – ჩაილაპარაკა მან გარკვევით.

გაფითრებულმა, ტუჩებაკანკალებულმა პიერმა ფურცელი ხელიდან გამოჰგლიჯა.

– თქვენ... თქვენ... არამზადა ხართ! გიწვევთ დუელში, – წამოიძახა მან, სკამი უკან გასწია და ფეხზე წამოდგა.

იმ წუთს, როცა პიერმა ეს ჩაიდინა და ზემოხსენებული სიტყვები წარმოთქვა, ცხადად იგრძნო, რომ საკითხი ცოლის დანაშაულის შესახებ, რაც ასე ტანჯავდა უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში, საბოლოოდ და უეჭველად დადებითად გადაწყდა. პიერს ეჯავრებოდა თავისი ცოლი და მასთან კავშირიც სამუდამოდ გაწყვეტილიყო.

მიუხედავად დენისოვის თხოვნისა, როსტოვი არ ჩარეულიყო ამ საქმეში, იგი მაინც დასთანხმდა დოლოხოვის სეკუნდანტობას და სუფრის შემდეგ მოელაპარაკა ბეზუხოვის სეკუნდანტ ნესვიცკის

დუელის პირობების შესახებ. პიერი შინ წავიდა, ხოლო როსტოვი, დოლოხოვი და დენისოვი დიდხანს დარჩნენ კლუბში და ყურს უგდებდნენ ბოშებსა და მომღერლებს.

– მაშ, ხვალამდე, სოკოლნიკში შევხვდებით, – თქვა დოლოხოვმა, როდესაც როსტოვს კლუბის პარმალზე გამოეთხოვა.

– მერე, მშვიდად გრძნობ თავს? – ჰკითხა როსტოვმა.

დოლოხოვი შეჩერდა.

– იცი რა, ორი სიტყვით აგიხსნი დუელის მთელ საიდუმლოებას: თუ დუელზე წასვლამდე შეუდექი ანდერძებისა და მშობლებისადმი ნაზი წერილების წერას, თუ გაიფიქრე, რომ შეიძლება მოგკლან, სულელი ყოფილხარ და დანამდვილებით დაიღუპები; წადი დუელში იმ მტკიცე განზრახვით, რომ რაც შეიძლება ჩქარა და უყოყმანოდ მოკლა მოწინააღმდეგე. მაშინ ყველაფერი კარგად ჩაივლის. ჩვენებური, კოსტრომელი მონადირე მეუბნებოდა ხოლმე: როგორ შეიძლება დათვის არ გეშინოდეს, მაგრამ როცა დათვის დაინახავ, შიში ქრება და ერთ რამეზე ფიქრობ მხოლოდ – არ გაგეპაროს იგი. ასე მემართება მეც. *A demain, mon cher* (ხვალამდე, ჩემო კარგო)!

მეორე დღეს, დილის 8 საათზე პიერი და ნესვიცკი სოკოლნიკის ტყეში შევიდნენ. დოლოხოვი, დენისოვი და როსტოვი უკვე იქ დახვდნენ. პიერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს რაღაც მოსაზრებით ყოფილიყო გართული, რასაც საერთო არაფერი უნდა ჰქონოდა დუელთან. ჩამომჭკნარ სახეზე ყვითელი ფერი გადაჰკროდა. ეტყობოდა, ღამე უძილოდ გაეტარებინა. დაბნეული იყო, ირგვლივ იყურებოდა, სახეს იჭმუხნიდა, თითქოს მცხუნვარე მზე უშლისო. ორი მოსაზრება განსაკუთრებულად დაუფლებოდა მის გონებას: ცოლის დანაშაული, რაშიც უძილო ღამის შემდეგ ეჭვის ნატამალი აღარ ეპარებოდა, და უდანაშაულობა დოლოხოვისა, რომელსაც არაფერი აიძულებდა გაფრთხილებოდა უცხო კაცის ღირსებას. „იქნებ მის ადგილას მეც ასე მოვქცეულიყავი, – ფიქრობდა პიერი, – დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასე მოვიქცეოდი. მაშინ რაღა საჭიროა ეს დუელი, ეს მკვლელობა? ან მე მოვკლავ, ან ის მომახვედრებს ტყვიას თავში, იდაყვში, მუხლში. წავალ აქედან, გავიქცევი, მივიმალე სადმე“, – ასეთი აზრები ებადებოდა, მაგრამ სწორედ იმ წუთებში, როცა ასე ფიქრობდა, ძალზე დამშვიდებული და უგულისყუროდ, რაც დამსწრეთა პატივისცემას იწვევდა, კითხულობდა: „ჩქარა იქნება თუ არა და მზად არის თუ არა?“

როცა ყველაფერი მზად იყო, ხმლები თოვლში ჩაურჭეს, რაც ბარიერს ნიშნავდა, სადამდეც მოწინააღმდეგეებს შეეძლოთ მისვლა, და დამზაჩები გატენეს, ნესვიცკი პიერთან მივიდა:

– გრაფ, მე ჩემს მოვალეობას შესრულებულად ვერ მივიჩნევ, – მიმართა მან მოკრძალებული ხმით პიერს, – და ვერ გავამართლებ იმ ნდობასა და პატივს, რომლითაც თქვენ აღმჭურვეთ მაშინ, როცა სეკუნდანტად ამირჩიეთ, თუ ამ მნიშვნელოვან წუთში, დიდად მნიშვნელოვან წუთში, მთელ სიმართლეს არ მოგახსენებთ. ვფიქრობ, რომ ამ საქმეს საკმარისი მიზეზი არა აქვს, იგი არა ღირს იმად, რომ მისთვის სისხლი დაიღვაროს... თქვენ მართალი არ იყავით, თქვენ გაცხარდით...

– დიახ, დიახ, საშინელი სისულელეა... – მიუგო პიერმა.

– მაშ, ნება მიბოძეთ, გადავცე თქვენი სინანული; დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი თანახმანი იქნებიან მიიღონ თქვენი ბოდიში, – თქვა ნესვიცკიმ (ისევე, როგორც დანარჩენ მონაწილეებს და როგორც ყველა სხვას ასეთ შემთხვევაში, ნესვიცკისაც არა სჯეროდა, რომ საქმე ნამდვილ დუელამდე მივიდოდა), – მოგეხსენებათ, გრაფ, ბევრად უფრო კეთილშობილი იქნება, შევიგნოთ ჩვენი შეცდომა, ვიდრე გამოუსწორებელი რამ ჩავიდინოთ. შეურაცხყოფა არც ერთს არ მიგიყენებიათ. ნება მიბოძეთ, მოველაპარაკო...

– არა, რა არის აქ მოსალაპარაკებელი? – თქვა პიერმა, – სულერთია... მაშ, მზად არის? – დაუმატა მან, – ამიხსენით მხოლოდ, საიდან სადამდე უნდა მივიდე და საით გავისროლო, – მიმართა მან არაბუნებრივი ღიმილით, დამბაჩა აიღო და შეუდგა გამოკითხვას, თუ როგორ უნდა ესროლა, რადგან მანამდე დამბაჩა ხელში არ სჭერია, გამოტეხა კი არ უნდოდა: – ჰო, მართლა, აი ასე, ვიცი, ვიცი, დამავიწყდა მხოლოდ, – ამბობდა იგი.

– არავითარი ბოდიში, არავითარი! – ეუბნებოდა დოლოხოვი დენისოვს, რომელიც თავის მხრივაც შეეცადა მოწინააღმდეგეთა შერიგებას და დანიშნულ ადგილას მივიდა.

ადგილი დუელისთვის აირჩიეს ოთხმოციოდე ნაბიჯზე გზიდან, სადაც მარხილები დატოვეს, ფიჭვის ტყეში, პატარა ველზე, რომელიც დაფარული იყო უკანასკნელი თბილი დღეების დროს ოდნავ გამდნარი თოვლით. მოწინააღმდეგენი ორმოც ნაბიჯზე იდგნენ ერთმანეთისგან, ველის თავსა და ბოლოში. სეკუნდნატებმა, ნაბიჯით მანძილის გაზომვის დროს სველ, ღრმა თოვლში კვალი გაავლეს იმ ადგილიდან, სადაც ისინი იდგნენ, ბარიერის აღმნიშვნელი ნესვიცკისა და დენისოვის ხმლებამდე, რომლებიც ურთიერთისგან ათ ნაბიჯზე იყო ჩარჭობილი თოვლში. ჯერ კიდევ სითბო იყო და ნისლი იდგა. ორმოც ნაბიჯზე არაფერი მოჩანდა. სამი წუთი გავიდა, რაც უკვე ყველაფერი მზად იყო, მაგრამ მაინც არ იწყებდნენ. ყველანი დუმდნენ.

თავი მეხუთე

– მაშ, დავიწყეთ! – წამოიძახა დოლოხოვმა.

– რა თქმა უნდა, – თქვა კვლავ მოლიმარე პიერმა.

საზარელი წუთები დგებოდა. აშკარა იყო, რომ აღარაფრით აღარ შეიძლებოდა იმ საქმის აცილება, რომელიც ასე ადვილად დაიწყო, რომ იგი უკვე თავისით მიდიოდა, ადამიანთა ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად, და უნდა შესრულებულიყო კიდევ. დენისოვი პირველი გავიდა წინ, ბარიერისკენ და წარმოთქვა:

– რადგან მოწინააღმდეგეებმა შერიგებაზე უარი განაცხადეს. კეთილი ინებეთ და დაიწყეთ: აიღეთ დამბაჩები და სიტყვა სამზე ერთმანეთისკენ გაემართეთ.

– ერ-თი! ორი! სამი!.. – მწყრალად წამოიძახა დენისოვმა და განზე გადას.

ორივენი გატკეპნილ ბილიკს დაადგნენ, უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ, უფრო და უფრო კარგად ცნობდნენ ერთმანეთს ნისლში. მოწინააღმდეგეებს უფლება ჰქონდათ, ბარიერთან მისვლამდე გაესროლათ, ვინ როდის მოისურვებდა. დოლოხოვი დინჯად მიდიოდა, დამბაჩის აუწყევლად. იგი თავისი ნათელი, ბრწყინვალე, ცისფერი თვალებით აკვირდებოდა მოწინააღმდეგის სახეს. მის ტუჩებზე, როგორც ყოველთვის, ოდნავი ღიმილი გამოკრთოდა.

როდესაც სიტყვა სამი გაისმა, პიერი სწრაფი ნაბიჯით გაემართა წინ. ფეხი ერეოდა: გატკეპნილ ბილიკს გადადიოდა და გაუკვალავ თოვლში მიაბიჯებდა. პიერს დამბაჩა წინ გაშვერილ მარჯვენა ხელში ეჭირა, თითქოს ეშინოდა, იმ დამბაჩით თავი არ მოეკლა. მარცხენა ხელი გულმოდგინედ უკან გაეშვირა, რადგან უნდოდა მარცხენათი მარჯვენას მიშველებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს არ შეიძლებოდა. როდესაც ექვსიოდე ნაბიჯი გადადგა და კვლავ გადასცდა ბილიკს, პიერმა ძირს დაიხედა, ფეხებზე, მერე სწრაფად ისევ დოლოხოვს შეხედა, დამბაჩას თითი გამოჰკრა, როგორც ასწავლეს, და გაისროლა. შეაჟრჟოლა, – არ მოელოდა ასეთ ძლიერ ხმას. მერე საკუთარ შთაბეჭდილებას გაუღიმა და გაჩერდა. კვამლმა, რომელსაც ნისლი უფრო ახშირებდა, პირველ წუთს ხელი შეუშალა

დაენახა რაიმე; მაგრამ მეორე გასროლა, რომელსაც ის მოელოდა, არ მოესმა. ისმოდა მხოლოდ დოლოხოვის სწრაფი ნაბიჯების ხმა. ბოლოს კვამლში გამოჩნდა მისი ფიგურა. ცალი ხელი გვერდისთვის შეეშველებინა, მეორეს დაშვებულ დამბაჩას უჭერდა. სახე გაჰფითრებოდა. როსტოვმა მიიღბინა და რაღაც უთხრა.

– ა...ა...რა! – წამოიძახა კბილების ღრჭენით დოლოხოვმა, – არა, არ გათავებულა! – ბარბაცით და კოჭლობით რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა ხმლისკენ და მის მახლობლად თოვლზე დაეცა. მარცხენა ხელი სისხლში ჰქონდა მოსვრილი, სერთუკზე გაიწმინდა და ზედ დაეყრდნო. ფერი წასვლოდა, სახე უთრთოდა.

– მობრძან... – დაიწყო დოლოხოვმა, მაგრამ ერთბაშად ვეღარ დაასრულა, – მობრძანდით, – დაამთავრა მან ძალდატანებით.

პიერი ძლივს იკავებდა ქვითინს, იგი დოლოხოვისაკენ გაიქცა და ის-ის იყო, უნდა გაევილო ბარიერებით გაყოფილი ადგილი, რომ დოლოხოვმა დაუყვირა:

– ბარიერთან!

პიერი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თავის ხმალთან გაჩერდა. მხოლოდ ათი ნაბიჯი აშორებდა მათ. დოლოხოვმა თავი ძირს დახარა, პირით ხარბად დაეწაფა თოვლს, მერე ისევ ასწია, გასწორდა, ფეხები მოკეცა და დაჯდა, ეძებდა მტკიცე ცენტრს დასაყრდნობად. წუწნიდა და ყლაპავდა ცივ თოვლს; ტუჩები უკანკალებდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა. უკანასკნელი ძალ-ღონის მოკრებამ თვალები გაუბრწყინა: ბრაზი და ღვარძლი გამოსჭვიოდა იქიდან. დამბაჩა ასწია და დამიზნება დაუწყო.

– გვერდი მიუშვირეთ, დამბაჩა აიფარეთ! – წასჩურჩულა ნესვიცკიმ.

– აიფარეთ! – ვერ მოითმინა და დაუყვირა მოწინააღმდეგეს დენისოვმაც.

ბეზუხოვი, რომელსაც სახეზე სიბრალულისა და სინანულის ღიმილი დასთამაშებდა და რომელსაც ფეხები და ხელები უმწეოდ გაეჩაჩხა, დოლოხოვის წინ იდგა თავისი განიერი მკერდით და ნაღვლიანად შეჰყურებდა მას. დენისოვმა, როსტოვმა და ნესვიცკიმ თვალები დახუჭეს. ერთსა და იმავე დროს მოესმათ მათ დამბაჩის გასროლა და დოლოხოვის ბრაზიანი ხმა:

– ავაცდინე! – წამოიძახა დოლოხოვმა და უღონოდ დაემხო თოვლზე.

პიერმა თავში წაივლო ხელი, უკან მიტრიალდა და ტყისკენ წავიდა. მიაბიჯებდა გაუტეხავ თოვლში და გაუგებარ სიტყვებს ლულლულულებდა:

– სისულელეა... სისულელე! სიკვდილი... სიცრუე... – იმეორებდა იგი სახეშეშქმუხნილი.

ნესვიცკიმ შეაჩერა და შინ წაიყვანა.

როსტოვმა და დენისოვმა დაჭრილი დოლოხოვი წაიყვანეს.

დოლოხოვი მდუმარე, თვალებდახუჭული იწვა მარხილში და არაფერს პასუხობდა შეკითხვებზე, რომლებსაც მას აძლევდნენ; მაგრამ როდესაც მოსკოვში შევიდნენ, უეცრად გონს მოვიდა, თავი მძიმედ ასწია და იქვე მჯდომ როსტოვს ხელი წაავლო. როსტოვი გააოცა დოლოხოვის მთლად შეცვლილმა სახემ და ამ სახის მოულოდნელად აღზნებულმა და ნაზმა გამომეტყველებამ.

– როგორ ხარ? როგორ გრძნობ თავს? – ჰკითხა როსტოვმა.

– ცუდად! მაგრამ საქმე ეს არ არის, – წარმოთქვა დოლოხოვმა სვენებ-სვენებით, – სად ვართ, მეგობარო? ჰო, ვიცი, მოსკოვში ვართ. მე არაფერი მიჭირს, მაგრამ ის მოვკალი, მოვკალი... ის ვერ გადაიტანს ამას, ვერა.

– ვინ? – ჰკითხა როსტოვმა.

– დედაჩემი. ჩემი დედა, ჩემი ანგელოზი, ჩემი სათაყვანებელი ანგელოზი, დედა, – და დოლოხოვს ტირილი აუვარდა, ტიროდა და თან მაგრად უჭერდა როსტოვის ხელს.

როდესაც ოდნავ დამშვიდდა, აუხსნა როსტოვს, რომ ცხოვრობს დედასთან, და დედამ რომ მომაკვდავი შვილი დაინახოს, ამას ვერ გადაიტანს. დოლოხოვი ემუდარებოდა როსტოვს, წასულიყო და მოემზადებინა იგი.

როსტოვი წავიდა დავალების შესასრულებლად, და ძალზე გაოცდა, როცა გაიგო, რომ დოლოხოვი, ეს ჩხუბისთავი, ეს ბრეტორი, მოსკოვში ცხოვრობდა მოხუც დედასთან და კუზიან დასთან და რომ იგი უაღრესად ნაზი შვილი და ძმა ყოფილა.

თავი მეექვსე

ბოლო დროს პიერი იშვიათად ხვდებოდა ცოლს პირისპირ. პეტერბურგსა და მოსკოვშიც მათი სახლი მუდამ გაჭედული იყო სტუმრებით. მეორე დამეს დუელის შემდეგ პიერი, როგორც ხშირად წინათაც, არ შესულა საწოლ ოთახში, დარჩა თავის უზარმაზარ, მამისეულ კაბინეტში, სადაც გრაფი ბეზუხოვი გარდაიცვალა.

დივანზე წამოწვა, უნდოდა დავიწყებისთვის მიეცა ყოველივე, რაც თავს გადახდა, მაგრამ ვერ მოახერხა. უეცრად გრძნობების, აზრების, მოგონებების ისეთი ქარიშხალი ამოვარდა მის სულში, რომ არათუ ძილი აღარ შეეძლო, არ შეეძლო ჯდომაც კი ერთ ადგილას. იძულებული გახდა, წამოვარდნილიყო დივნიდან და სწრაფი ნაბიჯით დაეწყო სიარული ოთახში. ხან ელანდებოდა თავისი ცოლი ისეთი, როგორც დაქორწინების პირველ ხანებში იყო, შიშველი მხრებით და დაღლილი, ვნებიანი თვალებით, და იმავე წუთს მის გვერდით ელანდებოდა დოლოხოვის ლამაზი, თავხედი და აშკარად დამცინავი სახე, როგორც იგი სადილზე იყო, და იგივე სახე დოლოხოვისა გაფითრებული, აკანკალებული, გაწამებული, ისეთი, როგორც იყო მაშინ, როცა ის შეტრიალდა და თოვლზე დაეცა.

„რა მოხდა? – ეკითხებოდა პიერი თავის თავს, – მოვკალი ჩემი ცოლის საყვარელი, დიახ, საყვარელი. დიახ, მოხდა ეს. რატომ? როგორ მივედი აქამდე? – მოხდა იმიტომ, რომ ცოლად შეირთე ის“, – უპასუხებდა შინაგანი ხმა,

„მაგრამ რაში ვარ მაინც დამნაშავე? – კითხულობდა ის. – იმაში, რომ შეირთე იგი უსიყვარულოდ, იმაში, რომ მოატყუე შენი თავიც და ისიც“, – და პიერს ცოცხლად წარმოუდგა ის წუთი, ვახშმის შემდეგ თავად ვასილის ოჯახში, როცა მან ძლივს წარმოთქვა ყელში გაჩხერილი სიტყვები: „Je vous aime“ (მე თქვენ მიყვარხართ). ყველაფერი ამას მოჰყვა. მაშინაც ვგრძნობდი, – ფიქრობდა პიერი, – მე მაშინაც ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო ის, რომ მე ამის უფლება არ მქონდა. ასეც გამოვიდა“. გაახსენდა ქორწინების პირველი თვე და წამოწითლდა ამ მოგონებაზე. მეტადრე ცოცხალი, შეურაცხმყოფელი და სამარცხვინო იყო მისთვის იმის გახსენება, თუ როგორ გამოვიდა ერთხელ ქორწინების შემდეგ, დღის 12 საათზე, აბრეშუმის ხალათში გამოწყობილი, საწოლი ოთახიდან კაბინეტში, სადაც დახვდა მთავარი მოურავი. მოურავმა მოწიწებით დაუკრა თავი, მერე თვალი შეავლო მის სახეს, მის ხალათს და ოდნავ გაიღიმა, თითქოს ამ ღიმილით მოკრძალებით თანაუგრძნობდა თავისი პრინციპალის[138] ბედნიერებას.

„მე კი როგორ ვამაყობდი მისი წარმტაცი სილამაზით, მისი ტაქტით საზოგადოებაში, – ფიქრობდა პიერი, – ვამაყობდი ჩემი სახლით, სადაც ის მთელ პეტერბურგს იღებდა, ვამაყობდი მისი მიუკარებლობითა და სილამაზით. აი, თურმე რით ვამაყობდი?! მაშინ მეგონა, რომ არ მესმოდა მისი. ხშირად, როცა ვაკვირდებოდი მის ხასიათს, ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ დამნაშავე ვარ, რომ მისი

არაფერი გამეგება. არ მესმის მისი მუდმივი სიმშვიდე, კმაყოფილება, რაიმე სურვილისა და მიდრეკილების უქონლობა. მთელი ახსნა კი ერთ საზარელ სიტყვაში იფარებოდა, იმაში, რომ იგი გარყვნილი ქალია: ვთქვი ეს საზარელი სიტყვა და ყველაფერი ცხადი გახდა.

ანატოლი დადიოდა მასთან ფულის სასესხებლად და შიშველ მხრებს უკოცნიდა. იგი ფულს არ აძლევდა, მაგრამ კოცნის ნებას აძლევდა. მამამისი ხუმრობით ეჭვის აღძვრას ცდილობდა მასში. ელენი წყნარი ღიმილით ეუბნებოდა, – იმდენად უგუნური არა ვარ, რომ ეჭვიანი ვიყო, დაე, მოიქცეს ისე, როგორც მოესურვებო, ამბობდა ჩემზე. ერთხელ ვკითხე, ხომ არ გრძნობ ფეხმძიმობის ნიშნებს-მეთქი. ზიზღით გაიცინა და მომიგო, – სულელი კი არა ვარ, რომ შვილები ვისურვო, შენგან შვილები არ მეყოლებო“.

შემდეგ გაახსენდა მისი უხეშობა და აზრის სიცხადე, მისი გამოთქმების ვულგარულობა, რაც ასე სჩვეოდა, თუმცა კი უმაღლეს არისტოკრატიულ წრეში იყო აღზრდილი. „მე ვინმე სულელი არ გეგონო... წადი, თვით გასინჯე... *Allez vous promener* (გაეთრიე)“, – ამბობდა ის. ხშირად, როცა ხედავდა ელენის წარმატებას მოხუცი და ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალების თვალში, პიერს ვერ გაეგო, რატომ თავადაც არ უყვარდა იგი. „მე არც არასოდეს მიყვარდა იგი, – ეუბნებოდა პიერი თავის თავს, – ვიცოდი, რომ გარყვნილი ქალი იყო, – იმეორებდა გულში, – მაგრამ ამის აღიარებას ვერ ვბედავდი.

და ახლა დოლოხოვი აგერ, თოვლზე ზის და ნამალადევი ილიმება, იქნებ კვდება კიდეც და ჩემს სინანულს რაღაც თვალთმაქცური ყოყლოჩინობით უპასუხებს!“

პიერი ერთი იმათაგანი იყო, რომელიც, თავისი ხასიათის გარეგანი, ეგრეთ წოდებული სისუსტის მიუხედავად, არ ეძებს რწმუნებულს მწუხარების გასაზიარებლად. იგი თავადაც ცდილობდა საკუთარი მწუხარების მონელებას.

„ყველაფერში, ყველაფერში ერთადერთი ის არის დამნაშავე, – ეუბნებოდა პიერი თავის თავს, – მერე რა გამოდის აქედან? რატომ გადავეკიდე, რატომ ვუთხარი *Je vous aime* (მე თქვენ მიყვარხართ), რაც სიცრუე იყო და სიცრუეზე უარესიც. დამნაშავე ვარ და უნდა ვზიოდო კიდეც ეს დანაშაული... რა მერე? სახელის გატება, სიცოცხლის გაუბედურება? ეჰ, ყველაფერი სისულელეა, – გაიფიქრა ბოლოს, – სახელის გატებაც, ღირსებაც – ყველაფერი პირობითია, ჩემგან დამოუკიდებელი.

ლუდოვიკო XVI (გაუელვა პიერს თავში) სიკვდილით დასაჯეს იმისთვის, რომ იგი, როგორც ამბობდნენ, უპატიოსნო და დამნაშავე კაცი იყო. ისინი, თავიანთი თვალსაზრისით, მართალნი იყვნენ ისევე, როგორც მართალნი იყვნენ ისინიც, ვინც ლუდოვიკოსთვის მოწამებრივი სიკვდილით კვდებოდა და ვინც მას წმინდანად რაცხდა. შემდეგში რობესპიერი^[139] სიკვდილით დასაჯეს იმიტომ, რომ დესპოტი იყო. ვინ არის მართალი, ვინ დამნაშავე? არავინ! ხოლო რაკი ცოცხალი ხარ, იცხოვრე! ხვალ მოკვდები ისევე, როგორც მე შემეძლო მოვმკვდარიყავი ერთი საათის წინ. ღირს კი ამისთვის ტანჯვა, როდესაც მარადისობასთან შედარებით ერთი წამი გრჩება სიცოცხლე?“

მაგრამ იმ დროს, როცა ამგვარი მსჯელობით თავი დამშვიდებული ეგონა, პიერს უეცრად თვალწინ წარმოუდგებოდა ელენი – განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა ყველაზე უფრო ძლიერად ააშკარავებდა თავის არაგულწრფელ სიყვარულს მისადმი. იგი გრძნობდა სისხლის მოწოლას და იძულებული ხდებოდა, კვლავ ამდგარიყო, ემოძრავა, დაემტვრია და დაეფლითა ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდა. „რატომ ვუთხარი, მიყვარხართ“, – განუწყვეტლივ იმეორებდა თავისთვის და როდესაც მეთედ გაიმეორა ეს კითხვა, თავში მოუვიდა მოლიერის^[140] სიტყვები: „*mais que diable allait-il faire dans cette galère*“ („რა ეშმაკმა მოიყვანა იგი ამ კატარღაზე“) და თავის თავს სიცილი დააყარა.

ღამე კამერდინერს დაუძახა და უბრძანა, პეტერბურგში წასასვლელად ბარგი ჩაელაგებინა. ცოლთან ერთად ვერ დარჩებოდა ერთ ჭერქვეშ. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გამოლაპარაკებოდა ელენს. გადაწყვიტა, რომ ხვალ წავიდოდა და დაუტოვებდა წერილს, – აუწყებდა თავის განზრახვას სამუდამოდ განშორების შესახებ.

დილით, როცა კამერდინერი კაბინეტში შევიდა და ყავა შეუტანა, ტახტზე წამოწოლილ პიერს ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა და ეძინა.

გამოედვიდა თუ არა, შეშინებული დიდხანს იყურებოდა აქეთ-იქით, ვერ გაეგო, სად იყო.

– თქვენმა მეუღლემ მიბრძანა გავიგო, შინ ბრძანდება თქვენი ბრწყინვალეობა თუ არა? – უთხრა კამერდინერმა.

პიერს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, რა პასუხი გაეგზავნა, რომ ოთახში დინჯად და მედიდურად შემოვიდა ვერცხლით მოქარგულ თეთრ ატლასის ხალათში გამოწყობილი და უბრალოდ დავარცხნილი თმით (ორი უზარმაზარი ნაწნავი en diadème (დიადემასავით) ორჯერ უვლიდა ირგვლივ მის საუცხოო თავს) თვით გრაფინია; მხოლოდ მარმარილოს ოდნავ წინწამოშვერილ შუბლზე გაწოლილი ნაოჭი აამკარავებდა მის გულისწყრომას. მან აქაც არ უღალატა თავის ყოვლისშემძლე სიმშვიდეს და კამერდინერთან ხმა არ დაძრა. იცოდა დუელის ამბავი და შევიდა ქმართან ამ დუელზე მოსალაპარაკებლად, და დაუცადა, ვიდრე კამერდინერი ყავას დადგამდა და გავიდოდა. პიერმა სათვალისგან გაუბედავად შეავლო თვალი და, როგორც ძალღებმემორტყმული და ყურებმოლურსული კურდღელი განაგრძობს ხოლმე მტრების წინაშე წოლას, ისე პიერი შეეცადა კითხვის განგრძობას: მაგრამ გრძნობდა, რომ ეს უაზრო და შეუძლებელი იყო, და კვლავ გაუბედავად შეხედა ცოლს. ელენი არ დამჯდარა, იგი კამერდინერის გასვლის მოლოდინში უსიამოვნო ღიმილით მისჩერებოდა ქმარს.

– ეს რაღა ამბავია? რა ჩაგიდენიათ, გეკითხებით? – მიმართა მან მკაცრად.

– მე? რა უნდა ჩამედინა? – მიუგო პიერმა.

– ერთი დამიხედეთ ამ მამაცს! მიპასუხეთ, რა დუელი გქონდათ? რა გეწადათ მაგით დაგემტკიცებინათ, რა? თქვენ გეკითხებით!

პიერი მძიმედ შეტრიალდა დივანზე, მერე პირი დაალო, მაგრამ პასუხი ვერ გასცა.

– თუ თქვენ არ გინდათ მიპასუხოთ, მე გეტყვით... – განაგრძო ელენმა, – თქვენ გჯერათ ყველაფერი, რასაც სხვები გეუბნებიან. თქვენ გითხრეს... – ელენმა გაიცინა, – რომ დოლოხოვი ჩემი საყვარელია, – თქვა მან ფრანგულად, ამასთან ჩვეული ზუსტი უხეშობით წარმოთქვა სიტყვა „საყვარელი“, ისევე როგორც ყველა სხვა სიტყვას წარმოთქვამდა ხოლმე, – და თქვენც დაიჯერეთ! მერე რა დაამტკიცეთ მაგით? რა დაამტკიცეთ მაგ დუელით? ის, რომ vous êtes un sot (თქვენ სულელი ხართ), ეგ ხომ ყველამ იცოდა! რა მოჰყვება ამას? ის, რომ მთელი მოსკოვის სასაცილო გავხდები! ის, რომ ყველამ თქვას: თქვენ, მთვრალმა, გონებადაკარგულმა, დუელში გამოიწვიეთ ადამიანი, რომელზედაც უსაფუძვლო ეჭვი შეგაქვთ, – ელენი უფრო და უფრო იმაღლებდა ხმას, უფრო და უფრო ცხარობდა, – რომელიც ყოველმხრივ თქვენზე უკეთესია...

– ოჰ... ოჰ... – ღმუოდან შუბლშეკრული პიერი. იგი არ უყურებდა ცოლს, უძრავად იდგა გაშეშებული.

– მერე რატომ დაიჯერეთ, რომ ის ჩემი საყვარელია? რატომ? იმიტომ, რომ მიყვარს მასთან ყოფნა? თქვენ რომ უფრო ჭკვიანი და საამო იყოთ, მაშინ თქვენთან ყოფნას ვამჯობინებდი.

– ნუ მელაპარაკებით... გემუდარებით... – ხრინწიანი ხმით ჩაიჩურჩულა პიერმა.

– რატომ არ უნდა ვილაპარაკო? შემიძლია ვილაპარაკო და თამამად ვიტყვი, რომ იშვიათ ცოლად უნდა ჩაითვალოს ის, ვისაც თქვენისთანა ქმარი ეყოლება და საყვარლებს არ გაიჩენს (des amants), მე კი ასე არ მოვეცეულებარ, – წამოიძახა მან.

პიერს რაღაც უნდოდა ეთქვა, მან უცნაური თვალეებით შეხედა ელენს, მაგრამ ელენი ვერ მიხვდა ამ თვალეების გამომეტყველებას, და პიერი კვლავ წამოწვა. იმ წუთს იგი ფიზიკურად იტანჯებოდა: მკერდი შეეკუმშა და ვეღარ სუნთქავდა. იცოდა, რაღაც უნდა გაეკეთებინა, რათა ბოლო მოეღო ამ ტანჯვისთვის, მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მას ეწადა, მეტად საზარელი იყო.

– უმჯობესია, დავშორდეთ ერთმანეთს, – ჩაილაპარაკა პიერმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

– დავშორდეთ? ინებეთ, მხოლოდ ქონება უნდა მომცეთ, – თქვა ელენმა, – გაშორება, აი, თურმე რით მაშინებს!

პიერი დივნიდან წამოხტა და ბარბაცით მივარდა ელენს.

– მოგკლავ! – შეჰყვირა მან და მაგიდაზე მარმარილოს დაფას ხელი დაავლო, ნაბიჯი გადადგა მისკენ და ისეთი ღონით მოუქნია, თვითონაც რომ ვერ წარმოედგინა.

ელენს სახეზე საზარელმა ფერმა გადაჰკრა: მან შეჰკვივლა და უკან გადახტა. მამის მოდგმამ თავი იჩინა პიერში. მან იგრძნო სიშმაგის მშვენიერება. დაფა გადაადგო და დაამსხვრია. მერე ხელეზაწვდილი მივარდა ელენს და დაუყვირა: „გაეთრიე!“ დაუყვირა ისეთი შესაზარი ხმით, რომ მთელ სახლს თავზარი დასცა. ღმერთმა უწყის, რას ჩაიდენდა პიერი იმ წუთს, ელენი რომ ოთახიდან არ გავარდნილიყო.

ერთი კვირის შემდეგ პიერმა ცოლს მინდობილობის ქალაღი გადასცა, რომლის ძალითაც ელენს ველიკორუსეთში მდებარე პიერის მამულეების მართვა-გამგეობის უფლება ეძლეოდა, რაც მისი ქონების ნახევარზე მეტს შეადგენდა. ამის შემდეგ პიერი პეტერბურგში გაემგზავრა.

თავი მეშვიდე

ორმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც ლისიგორაში მიიღეს აუსტერლიცის ბრძოლისა და თავად ანდრეის დაკარგვის ცნობა, მაგრამ, საელჩოს მეშვეობით დაგზავნილი წერილებისა და ძებნა-მოკითხვის მიუხედავად, მისი გვამი ვერსად იპოვეს. იგი არ აღმოჩნდა არც ტყვეთა შორის. ყველაზე სავალალო მშობელ-ახლობელთათვის ის იყო, რომ მაინც რჩებოდა იმედი: ეგებ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ნახეს იგი ბრძოლის ველზე, წაიყვანეს თავიანთთან და ახლა, მორჩენის გზაზე დამდგარი თუ მომაკვდავი, წევს სადღაც მარტოდმარტო და არ ძალუძს ხმა მიაწვდინოს თავისიანებსო. იმ გაზეთებში, სადაც მოხუცმა თავადმა პირველად ამოიკითხა აუსტერლიცის დამარცხების ამბავი, ეწერა, როგორც ყოველთვის, მოკლედ და გაურკვეველად, რომ რუსებს ბრწყინვალე ბატალიის შემდეგ უკან უნდა დაეხიათ და ეს უკან დახევა მათ სრული წესრიგით განახორციელესო. ამ ოფიციალური ცნობიდან მოხუცი თავადი მიხვდა, რომ რუსები დამარცხდნენ. გავიდა ერთი კვირა იმ გაზეთის მიღების შემდეგ, რომელმაც აუსტერლიცის ბრძოლის ამბავი მოიტანა, და მოვიდა კუტუზოვის წერილი; კუტუზოვი ატყობინებდა მოხუც თავადს, თუ რა ბედი ეწია მის ვაჟიშვილს.

„თქვენი ვაჟი, – იწერებოდა კუტუზოვი, – გმირულად დაეცა ჩემ თვალწინ, როცა დროშით ხელში პოლკს მიუძღოდა! დაეცა, როგორც თავისი მამისა და თავისი სამშობლოს ღირსეული შვილი. ჩემდა და მთელი არმიის სავალალოდ, დღემდე არ ვიცი, ცოცხალია იგი თუ არა. ჩემდა და თქვენდა სანუგეშოდ,

თქვენი შვილი ცოცხალი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოხსენებული იქნებოდა ბრძოლის ველზე ნაპოვნ ოფიცერთა შორის, რომელთა სიაც გადმომეცა პარლამენტითორთა მეშვეობით“.

ეს ცნობა მოხუცმა თავადმა გვიან სალამოთი მიიღო, როცა მარტო იყო თავის კაბინეტში; მეორე დილას, ჩვეულებრივად, სასეირნოდ გავიდა, მაგრამ ნოქართან, მეზაღესა და არქიტექტორთან შეხვედრისას დუმდა და, თუმცა მრისხანედ გამოიყურებოდა, არავისთან სიტყვა არ დაუძრავს.

როდესაც კნიაჟნა ჩვეულებრივ დროს შევიდა მასთან, თავადი დაზგასთან იდგა და რაღაცას ჩარხავდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არ მიტრიალებულა და არ შეუხედავს მისთვის.

– აა, კნიაჟნა! – წამოიძახა იგი უეცრად და სახვეწი დააგდო (ბორბალი ჯერ კიდევ ინერციით ტრიალებდა. მარიას დიდხანს ახსოვდა ამის შემდეგ ბორბლის მიმქრალი წრიპინი და ეს წრიპინი მის მეხსიერებაში შეუერთდა იმას, რაც შემდეგ მოხდა).

კნიაჟნამ მისკენ მიიწია, სახეში შეხედა, და უეცრად რაღაც ჩაუწყდა შიგნით. მისი თვალები ნათლად ველარ ხედავდნენ. სახეზე, რომელიც არც მწუხარე იყო, არც დარდით მოკლული, არამედ ბოროტი და არაბუნებრივად თავის თავზე მომუშავე, შეატყო მამას, რომ მას, მარიას, თავს დაატყდა და აი, საცაა გასრესს საშინელი უბედურება, ცხოვრებაში ყველაზე საშინელი უბედურება, ისეთი, როგორიც მას ჯერ არ განუცდია, გამოუსწორებელი უბედურება – სიკვდილი იმისი, ვინც გიყვარს.

– Mon père! André (მამაჩემო! ანდრეი)? – წამოიძახა მარიამ და ისე წარმტაცად, ისე საუცხოოდ გამოხატა ამ არაგრაციოზულმა, უგერგილო ქალიშვილმა მწუხარება და თავდავიწყება, რომ მამამ ველარ გაუძლო მის გამოხედვას და აქვითინებულმა პირი იბრუნა.

– ცნობა მომივიდა. ტყვეებს შორის არ არის, არც მოკლულთა შორის არის. კუტუზოვი იწერება, – მოკლულიაო! – შეჰყვირა მოხუცმა შემზარავად, თითქოს ამ ყვირლით კნიაჟნას გაგდება უნდოდა.

კნიაჟნა არ დაცემულა, გული არ წასვლია. გაფითრებული იდგა, მაგრამ როცა ეს სიტყვები გაიგონა, სახე შეეცვალა და რაღაცამ გაიელვა მის საუცხოო სხვიან თვალებში. თითქოს სიხარული, უმაღლესი სიხარული, ამქვეყნიური მწუხარებისა და სიტკბობისაგან დამოუკიდებელი სიხარული მოეფინა მას იმ დიდი ნაღველის გარდა, რომელიც გულს უღრღნიდა. დაივიწყა მთელი თავისი შიში მამისადმი, მივიდა მასთან, აიღო მისი ხელი, მიიზიდა მოხუცი თავისკენ და ხელები მოხვია მის გამხდარ, დამარღვულ კისერს.

– Mon père, – მიმართა მან, – ნუ იბრუნებთ პირს ჩემგან, ერთად ვიტროთ.

– არამზადები, საზიზღრები! – წამოიძახა მოხუცმა და სახე აარიდა, – დალუპეს არმია, დალუპეს ხალხი! რისთვის? წადი, წადი, გადაეცი ლიზას.

მარია უღონოდ დაეცა სავარძელში მამის გვერდით და ატირდა. მას ძმა წარმოუდგა ისეთი, როგორიც იგი იყო იმ წუთებში, როცა მას და ლიზას ეთხოვებოდა – ნაზი და იმავე დროს მედიდური გამომეტყველებით. წარმოუდგა ის წუთები, როცა ანდრეი ნაზად და დაცინვით იკიდებდა გულზე პატარა ხატს. „სწამდა თუ არა? მოინანია თუ არა ურწმუნობა? იქ არის თუ არა ამჟამად, იქ, მუდმივი სიმშვიდისა და ნეტარების სავანეში?“ – ფიქრობდა იგი.

– Mon père, მითხარით, როგორ მოხდა? – ჰკითხა აცრემლებულმა მარიამ.

– წადი, წადი! მოკლეს ბრძოლაში, სადაც ჩახოცეს საუკეთესო რუსი მეზრძოლები და დაასამარეს რუსეთის დიდება. წადი, კნიაჟნა! წადი და გადაეცი ლიზას. მეც მოვალ.

როდესაც მარია მამისგან დაბრუნდა, პატარა კნიაგინია სამუშაოს ეჯდა. მან ისეთი განსაკუთრებულად ბედნიერი და მშვიდი თვალებით შეხედა კნიაჟნას, როგორიც მხოლოდ ფეხმძიმე ქალებს სჩვევიათ.

ეტყობოდა, მისი თვალები ვერ ხედავდნენ კნიაჟნას, ისინი სადღაც შიგნით იყურებოდნენ – შეჰყურებდნენ იმ რაღაც ბედნიერსა და საიდუმლოს, რომელიც მასში ხდებოდა.

– Marie, – მიმართა მან, ქარგას ჩამოშორდა და უკან გადაესვენა, – მომეცი ხელი, – და მარიას ხელი მუცელზე დაიდო.

თვალები სიხარულის მოლოდინით უღიმოდნენ, ბუსუსიანი ტუჩი ზევით აეწია და ასე დარჩა აწეული, ბავშვურად ბედნიერი.

კნიაჟნამ რძლის წინ დაიჩოქა და თავისი სახე მისი ტანისამოსის ნაოჭებში ჩამალა.

– აი, აი, ხომ გესმის? უცნაურად მეჩვენება. მერე იცი, Marie, ძალიან მეყვარება, – თქვა ლიზამ და თან გაბრწყინებული, ბედნიერი თვალები შეანათა მულს.

კნიაჟნას თავი ვერ აეწია: იგი ტიროდა.

– რა მოგივიდა, მამა?

– არაფერი... გულზე სევდა მომაწვა... ანდრეი მაწუხებს, – მიუგო მან და ცრემლები რძლის მუხლებზე შეიწმინდა.

მთელი დილის განმავლობაში მარია რამდენჯერმე შეეცადა რძლის მომზადებას, მაგრამ ყოველთვის ტირილს იწყებდა. ამ ცრემლებმა, რომელთა მიზეზიც პატარა კნიაგინიას ვერ გაეგო, შეაშფოთეს იგი, შეაშფოთეს, თუმცა იგი ნაკლებად დაკვირვებული ქალი იყო. არას ამბობდა, მაგრამ დამფრთხალი აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს რაღაცას დაემებო. სადილის წინ მის ოთახში მოხუცი თავადი შევიდა ჩვეულებრივზე უფრო შეშფოთებული, გაბოროტებული სახით, და მალე გავიდა, ისე რომ ხმა არ ამოუღია. პატარა კნიაგინიამ კნიაჟნას გადახედა, შემდეგ ჩაფიქრდა თვალების განსაკუთრებული გამომეტყველებით: ეს თვალები შიგნით იცქირებოდნენ, როგორც ორსულმა ქალებმა იციან. მერე უეცრად ატირდა.

– ხომ არაფერია ანდრეისგან? – იკითხა მან.

– არა, არაფერი. ხომ იცი, ჯერჯერობით ცნობა ვერ მოვიდოდა, მაგრამ მამა წუხს და მეც ვღელავ.

– მამ, არაფერია?

– არაფერი, – მიუგო კნიაჟნამ და სხივიანი თვალებით მტკიცედ შეხედა რძალს.

მარიამ გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა რძლისთვის, მამაც დააჯერა, არ გაემხილა მისთვის საზარელი ამბავი მოლოგინებამდე, რასაც დღე-დღეზე მოელოდნენ. ეს ორი ადამიანი – კნიაჟნა და მოხუცი თავადი სხვადასხვაგვარად იკლავდა გულში მწუხარებას და ინახავდა საიდუმლოს. მოხუცმა თავადმა იმედი დაკარგა: მან გადაწყვიტა, ანდრეი მოკლესო, და, თუმცა მოხელე გაგზავნა ავსტრიაში შვილის კვალის მოსაძებნად, მოსკოვში ძეგლი შეუკვეთა, რომელიც განზრახული ჰქონდა თავის ბაღში დაედგა, თანაც ყველას ეუბნებოდა, ჩემი შვილი მოკლესო. ცდილობდა, არ შეეცვალა ცხოვრების წინანდელი წესი, მაგრამ ძალა ღალატობდა: ნაკლებს დადიოდა, ნაკლებს ჭამდა, ნაკლები ეძინა. დღითი დღე სუსტდებოდა. კნიაჟნა კი იმედს არ კარგავდა, ლოცულობდა მმისთვის, როგორც ცოცხლისთვის, და ყოველ წუთს მოელოდა ცნობას მისი დაბრუნების შესახებ.

თავი მერვე

– Ma bonne amie (ჩემო მეგობარო), – თქვა პატარა კნიაგინიამ 19 მარტს დილით, საუზმის შემდეგ, და მისმა ბუსუსიანმა ტუჩმა ჩვეულებისამებრ ზევით აიწია, მაგრამ როგორც ყველაფერს ამ სახლში, არა

მარტო ღიმილს, არამედ თითოეულ ბგერასა და სიარულსაც კი, საზარელი ამბის მიღების შემდეგ მწუხარება სდევდა თან, ისე ახლა პატარა კნიაგინიას ღიმილი, მისთვის უცნობი საერთო განწყობილების ზეგავლენით (თუმცა მიზეზი მან არ იცოდა) ისეთი იყო, რომ უფრო მეტად აგონებდა კაცს საერთო მწუხარებას.

– Ma bonne amie, je crains que le fruschtique (comme dit ფოკა მზარეული) de ce matin ne m'aie pas fait du mal (ჩემო მეგობარო, ვშიშობ, ცუდად არ გავხდე დღევანდელი ფრიშტიკისგან, როგორც მას მზარეული ფოკა უწოდებს).

– რა მოგივიდა, ჩემო კარგო? ფერი არ გადევს სახეზე, ძალზე გაფითრებული ხარ, – თქვა შემინებულმა მარიამ და თავისი მძიმე ნაბიჯით სწრაფად მივარდა რძალს.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, ხომ არ გავგზავნოთ მარია ბოგდანოვნას მოსაყვანად? – მიმართა ერთ-ერთმა იქ მყოფმა მოახლემ კნიაჟნას (მარია ბოგდანოვნა ბებიაქალი იყო სამაზრო ქალაქიდან; უკვე მეორე კვირაა ლისიგორაში ცხოვრობდა).

– მართლაც! – წამოიძახა კნიაჟნამ, – იქნებ სჯობდეს, დავუძახოთ... მე წავალ, ნუ გეშინია, Courage, mon ange (ჩემო ანგელოზო)! – აკოცა ლიზას და ოთახიდან წასვლა დააპირა.

– არა, არა! – და გაფითრების გარდა, პატარა კნიაგინიას სახეზე ბავშვური შიში აღიბეჭდა ულმობელი ფიზიკური ტანჯვის წინაშე, – Non, c'est l'estomac... dites que c'est l'estomac, dites, Marie, dites (არა, ეს კუჭის ბრალია... თქვი, მაშა, რომ ეს კუჭისგანაა)... – და კნიაგინია გაწამებული ბავშვივით ატირდა, ჟინიანად, რამდენადმე თვალთმაქცურადაც კი. ტიროდა და თან პატარა ხელებს იმტვრევდა.

კნიაჟნა მარია ბოგდანოვნას მოსაყვანად გავარდა.

– Oh! Mon Dieu! Mon Dieu (ოჰ! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო)! – ესმოდა მას ზურგს უკან.

ბებიაქალი, საკმაოდ მშვიდი სახითა და მსუქანი, პატარა თეთრი ხელების სრესით, უკვე მოდიოდა.

– მარია ბოგდანოვნა, მგონი დაეწყო! – მიმართა კნიაჟნამ და შიშისგან გაფართოებული თვალები შეანათა.

– მადლობა ღმერთს, კნიაჟნა, – ნაბიჯის აუჩქარებლად მიუგო მარია ბოგდანოვნამ, – თქვენ, ქალიშვილებს, ასეთი რამეების ცოდნა არ შეგფერით.

– მაგრამ მოსკოვიდან ექიმი ჯერ რომ არ ჩამოსულა? – თქვა კნიაჟნამ (ლიზას და თავად ანდრეის სურვილით, მოსკოვში დროზე აცნობეს მუხანათმშენებელს და ახლა დღე-დღეზე მოელოდნენ მის ჩამოსვლას).

– არაფერია, კნიაჟნა, ნუ შეშფოთდებით, – მიუგო მარია ბოგდანოვნამ, – უექიმოდაც ყველაფერი კარგად ჩაივლის.

ხუთი წუთის შემდეგ კნიაჟნამ თავის ოთახში გაიგონა, რაღაც ძალიან მძიმე რომ მიჰქონდათ. როცა გაიხედა, დაინახა, რომ ოფიციალურად საწოლ ოთახში ტყავის დივანი გადაჰქონდათ, რომელიც ადრე თავად ანდრეის კაბინეტში იდგა. მათ სახეზე საზეიმო სიმშვიდე აღბეჭდილიყო.

მარია მარტომარტო იჯდა თავის ოთახში, ყურს უგდებდა სახლის ხმაურს. ზოგჯერ, როცა გაივლიდა ვინმე, კარს აღებდა და აკვირდებოდა ყველაფერს, რაც ტალანში ხდებოდა. რამდენიმე ქალმა ფრთხილი ნაბიჯით გაიარა იქით და შემდეგ უკან დაბრუნდა; როცა მათ კნიაჟნა დაინახეს, პირი მიიბრუნეს. კნიაჟნა ვერ ბედავდა გამოკითხვას, კარს ხურავდა, უკან ბრუნდებოდა და ხან სავარძელში ჯდებოდა, ხან ლოცვანს იღებდა, ხან კიდევ მუხლებზე დგებოდა სახატეს წინ. თავისდა საუბედუროდ და გასაოცრად, იგი გრძნობდა, რომ ლოცვა არ აცხრობდა მის მღელვარებას. უეცრად მისი ოთახის კარი

წყნარად გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ხილაბანდით თავწაკრული მისი მოხუცი გადია პრასკოვია სავიშნა, რომელიც, თავადის აკრძალვის გამო, თითქმის არასოდეს შედიოდა მის ოთახში.

– შენთან მოვედი, მაშენკა, გულის გადასაყოლებლად, – თქვა გადიამ, – აი, თავადის საქორწინო სანთლები მოვიტანე, მინდა, ჩემო ანგელოზო, წმინდანებს დავუწოდოთ, – დაუმატა მან და თან ამოიოხრა.

– ოჰ, როგორ გამახარე, გადიავ.

– ღმერთი მოწყალეა, ჩემო მტრედო.

გადიამ სახატეს წინ ოქროთი მოვარაყებული სანთლები დაანთო და წინდით ხელში კართან დაჯდა. კნიაჟნამ წიგნი აიღო და კითხვას შეუდგა. მხოლოდ როცა ფეხის ხმა ან ლაპარაკი მოესმოდათ, კნიაჟნა შეშინებული და გაოცებული, გადია კი დამშვიდებული სახით შეაცქერდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. სახლის ყველა კუთხეს მოსდებოდა და ყველაფერს დაუფლებოდა ის გრძნობა, რომელსაც განიცდიდა მარია. არსებობს რწმენა: რაც ნაკლები ხალხი გაიგებს მშობიარის ტანჯვას, მით ნაკლებად გაეწამება იგიო; ამის მიხედვით, ყველანი ცდილობდნენ ისე მოეჩვენებინათ თავი, თითქოს არაფერი იცოდნენ: არავინ არას ამბობდა ამაზე. მაგრამ ყველას სახეზე, გარდა თავადის სახლში გაბატონებული და კარგი მანერების შედეგად მოპოვებული ჩვეულებრივი სიდარბაისლისა და მოკრძალებისა, აღბეჭდილი იყო საერთო ზრუნვა, გულჩვილობა და შეგნება რაღაც დიადისა, მიუწვდომლისა, რომელიც იმ წუთს ხდებოდა.

დიდ სამოახლო ოთახში სიცილი არ ისმოდა. საოფიცინტოში ყველანი ისხდნენ და, რაღაცისთვის მომზადებულნი, დუმდნენ. საჯალაბოში კვარსა და სანთლებს წვავდნენ და არ იძინებდნენ. მოხუცი თავადი, ფეხის მთელი ტერფით დადიოდა კაბინეტში. მან ტიხონი გაგზავნა მარია ბოგდანოვნასთან, რა ამბავიაო?

– მხოლოდ ეს უთხარი, თავადმა მიბრძანა გკითხოთ, რა ამბავიაო? მერე მოდი და მაცნობე, რასაც გეტყვის.

– მოახსენე თავადს, რომ მშობიარობა დაეწყო, – უთხრა მარია ბოგდანოვნამ და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ტიხონს.

ტიხონი დაბრუნდა და დანაბარევი მოახსენა თავადს.

– კეთილი, – უთხრა თავადმა და კარი მიიხურა. ტიხონს უბრალო ხმაურიც კი აღარ გაუგონია კაბინეტიდან.

მცირე ხნის შემდეგ ტიხონი კაბინეტში შევიდა, ვითომ სანთლების გასასწორებლად. როცა ტიხონმა დივანზე მწოლარე თავადი დაინახა, თვალი შეავლო, გადახედა მის მწუხარე სახეს, თავი გააქნია, ჩუმად მიუახლოვდა, მხარზე აკოცა და გავიდა ისე, რომ სანთლები არ გაუსწორებია და არც ის უთქვამს, რისთვის შევიდა. კვლავ გრძელდებოდა უდიადესი საზეიმო საიდუმლოება ამქვეყნად. საღამო მიიწურა, ღამე დადგა მოლოდინის. გულის აჩვილების გრძნობა მიუწვდომლის წინაშე, შენელების ნაცვლად, უფრო ძლიერდებოდა. არავის ეძინა.

მარტის ერთ-ერთი იმ ღამეთაგანი იყო, როცა ზამთარს თითქოს უნდა თავისი გაიტანოს და, ძალზე გაბოროტებული ჰყრის უკანასკნელ თოვლს და აყენებს ქარბუქს. მოსკოვიდან დაბარებული გერმანელი ექიმის შესახვედრად, რომელსაც ყოველ წუთს მოელოდნენ და რომლისთვისაც შარავზაზე მარხილი გაგზავნეს, სოფლის მოსახვევისკენ ფარნიანი ცხენოსნები გაისტუმრეს ოღროჩოღრო და ტბორიან გზაზე გამოსაცილებლად.

კნიაჟნას უკვე დიდი ხანია მიენებებინა თავი წიგნისთვის. მდუმარედ იჯდა და სხივიანი თვალები მიეშტერებინა გადიის დანაოჭებული, ყოველ წვრილმანამდე ნაცნობი სახის, ხილაბანდიდან ბლუჯად გამოჩრილი ჭადრა თმისა და ნიკაპქვეშ ტოპრაკივით ჩამოშვებული კანისთვის.

გადია სავიშნა, წინდით ხელში, წყნარი ხმით, ისე, რომ თვით არ ესმოდა და არ გაეგებოდა საკუთარი სიტყვები, უამბობდა კნიაჟნას ასჯერ ნაამბობს, იმის შესახებ, თუ როგორ შობა კიშინიოვში განსვენებულმა კნიაგინიამ კნიაჟნა მარია, როგორ ეხმარებოდა იმ დროს მას, ბებიაქალის ნაცვლად, მოლდაველი გლეხის ქალი.

– ღმერთი მოწყალეა, არასოდეს საჭირო არ არის ექიმი, – ამბობდა იგი.

უეცრად ქარი მოაწვა ოთახის იმ ფანჯარას, სადაც ერთ-ერთი ჩარჩო გაღებული იყო (მოხუცი თავადის სურვილით, მუდამ, ტოროლების გაჩენისთანავე, ყოველ ოთახში თითო ჩარჩოს აღებდნენ). ქარმა უხეიროდ გადაკეტილი რაზა ჩამოაშორა და ქსოვილის ფარდა ააშრიალა; ოთახში სიცივისა და თოვლის სუნი დატრიალდა, სანთელი ჩაქრა. კნიაჟნას შეაჟრჟოლა. გადიამ წინდა დადო, ფანჯარასთან მივიდა, გადაიხარა და შეეცადა ფანჯრის ჩარჩო დაეჭირა. ცივი ქარი აფრიალებდა მის თავსაკრავის ბოლოებს და გაჩეჩილი ჭადრის კულელებს.

– ღმერთო ჩემო, კნიაჟნა, ვიღაც მოდის ჩვენკენ, – თქვა მან ისე, რომ არ დაუხურავს ჩარჩო, რომლისთვისაც ხელი ჩაეველო, – ფარნებით მოდის, ალბათ, ექიმი...

– მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს! – წამოიძახა მარიამ, – უნდა შევხვდე, მან ხომ რუსული არ იცის.

შალი მოისხა და შესახვედრად გაეშურა. წინა ოთახის გავლის დროს ფანჯრიდან სადარბაზო კართან ეტლი და ფარნები დაინახა. კნიაჟნა კიბის ზედა ბაქანზე გავიდა. მოაჯირის სვეტზე ქონის სანთელი იდგა და ქარისგან იღვენთებოდა. ოფიციალტი ფილიპი, დამფრთხალი სახით და მეორე სანთლით ხელში, დაბლა იდგა, კიბის პირველ ბაქანზე. უფრო ქვემოთ, მოსახვევს იქიდან, მოისმოდა კიბეზე ამომავალი, თბილჩექმიანი მამაკაცის ფეხის ხმა. როგორც კნიაჟნას მოეჩვენა, ვიღაცის ნაცნობი ხმით ამბობდა რაღაცას.

– მადლობა ღმერთს! – გაისმა ხმა, – მამა?

– მოისვენეს, – მიუგო მსახურ დემიანის ხმამ. დემიანიც ქვემოთ იყო უკვე.

შემდეგ რაღაც კიდევ გაისმა ნაცნობი ხმით, რაღაც მიუგო დემიანმა, და თბილჩექმიანი მამაკაცი უფრო სწრაფი ნაბიჯით გამოემართა კიბის უხილავი მოსახვევიდან. „ანდრეია! – გაუელვა თავში კნიაჟნას, – არა, შეუძლებელია, ეს მეტად არაჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა“, – გაივლო გულში და, სწორედ იმ წუთს, როცა კნიაჟნა ასე ფიქრობდა, ბაქანზე, სადაც ოფიციალტი იდგა სანთლით ხელში, გამოჩნდა თავად ანდრეის სახე და ქურქში გახვეული ფიგურა, რომლის საყელოც თოვლს დაეფარა. დიახ, ანდრეი იყო, ფერმკრთალი და გამხდარი, სახის შეცვლილი, უცნაურად შერბილებული, მაგრამ შეშფოთებული გამომეტყველებით. იგი კიბეზე ავიდა და დას გადაეხვია.

– ჩემი წერილი არ მიგიღიათ? – იკითხა და პასუხის დაულოდებლად, რომელსაც სულერთია ვერ მიიღებდა, რადგან კნიაჟნას ლაპარაკი არ შეეძლო, უკან დაბრუნდა და ექიმთან ერთად (ამ უკანასკნელს მახლობელ სადგურზე შეხვდა), რომელიც უკან მოსდევდა, სწრაფი ნაბიჯით ავიდა კვლავ კიბეზე და ისევ გადაეხვია დას.

– როგორ ბედზე ჩამოვედი! – ჩაილაპარაკა მან, – მამა, ძვირფასო! – და ანდრეიმ ქურქი და ჩექმა გაიხადა და პატარა კნიაგინიას ოთახისკენ გაეშურა.

თავი მეცხრე

პატარა კნიაგინია ბალიშზე მისვენებული იწვა, თავზე თეთრი ჩაჩი ეხურა (ტკივილი ის-ის იყო, შემსუბუქებოდა). შავი თმა კულულებად ეყარა აწითლებულ, გაოფლიანებულ ლოყებზე: მარჯნისფერი საუცხოო ბაგე შავი ბუსუსებიანი ტუჩით ოდნავ გაღებოდა და გახარებული იღიმებოდა. თავადი ანდრეი ოთახში შევიდა და გაჩერდა დივანთან, რომელზეც კნიაგინია იწვა. სიმწრით ანთებული თვალებით, რომელიც ბავშვურ ძრწოლას აეტანა, პატარა კნიაგინია ანდრეის მიაჩერდა. „ყველანი მიყვარხართ, არავისთვის ვნება არ მიმიყენებია და რატომ ვიტანჯები? მიშველეთ!“ – ამბობდა მისი მზერა. იგი ხედავდა ქმარს, მაგრამ მნიშვნელობას ვერ აძლევდა ანდრეის ასე მოულოდნელად მის წინ გაჩენას. ანდრეიმ დივანს შემოუარა და შუბლზე აკოცა ცოლს

– ჩემო ძვირფასო, – უთხრა ის სიტყვა, რომელიც არასოდეს უთქვამს მისთვის, – ღმერთი მოწყალეა...

ქალი გაცოცხლებული, ბავშვური საყვედურით შეხვდა ქმარს.

„შენგან შველას მოველოდი, მაგრამ შენც ვერაფერი, ვერაფერი ვერ მომიტანე!“ – ამბობდნენ მისი თვალები. არ გაკვირვებია ანდრეის მოსვლა. ვერც გაიგო, რომ იგი ჩამოვიდა. ქმრის ჩამოსვლას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მის ტანჯვასა და ამ ტანჯვის შემსუბუქებასთან. ტკივილები კვლავ დაეწყო და მარია ბოგდანოვნამ ურჩია თავად ანდრეის, ოთახიდან გასულიყო.

მეანი ოთახში შევიდა. თავადმა ანდრეიმ ოთახს თავი მიანება, გარეთ გამოვიდა, მარია დაინახა და კვლავ მასთან მივიდა. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, მაგრამ ლაპარაკი ყოველ წუთს წყდებოდა, ისინი ელოდნენ, ყურს უგდებდნენ.

– Allez, mon ami (წადი, ჩემო მეგობარო), – უთხრა მარიამ.

თავადი ანდრეი კვლავ გაემართა ცოლისკენ, მეზობელ ოთახში დაჯდა და იქ დაიწყო ლოდინი. ვიღაც დედაკაცი შეშინებული სახით გამოვარდა პატარა კნიაგინიას ოთახიდან და თავად ანდრეის დანახვაზე შეკრთა. ანდრეიმ თვალებზე ხელი მიიფარა და რამდენიმე წუთს ასე დაჰყო. მელოგინის ოთახიდან საბრალო, უმწეო, ცხოველური კვნესა მოისმოდა. ანდრეი ფეხზე წამოდგა, კართან მივიდა და გაღება დააპირა. ვილაცას შიგნიდან ეჭირა კარი.

– არ შეიძლება, არა! – მოისმა იქიდან შემფოთებული ხმა.

ანდრეიმ ოთახში სიარული დაიწყო. კივილი მიწყდა. კვლავ განვლო რამდენიმე წამმა. უეცრად მეზობელი ოთახიდან საზარელი კივილი მოისმა, – არა, მისი კივილი არ იყო, მას არ შეეძლო ასე კივილი. ანდრეი კარს მივარდა, კივილი მიწყდა, მოისმა ბავშვის ტირილი.

„რატომ შეიყვანეს იქ ბავშვი? – გაიფიქრა პირველ წუთს ანდრეიმ, – ბავშვი? რომელი?.. რა უნდა იქ ბავშვს? თუ დაიბადა ბავშვი?“

როდესაც უეცრად მიხვდა ამ ტირილის მთელ სასიხარულო მნიშვნელობას, თვალი ცრემლით აევსო, ორივე ხელით ფანჯრის რაფას დაეყრდნო აქვითინებული და ატირდა ისე, როგორც ტირიან ბავშვები. კარი გაიღო, ოთახიდან ექიმი გამოვიდა უსერთუკოდ, ხალათის სახელოები გადაკეცილი ჰქონდა, ფერწასული იყო და ყბა უცახცახებდა. თავადმა ანდრეიმ რაღაც უთხრა მას, მაგრამ ექიმმა აბნეული თვალებით შეხედა და უპასუხოდ ჩაუარა გვერდით. ოთახიდან დედაკაცი გამოვარდა და თავად ანდრეის დანახვაზე შემკრთალი შეჩერდა ზღურბლზე. თავადი ანდრეი ცოლის ოთახში შევიდა. ცოლი უსულოდ იწვა ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც მან ხუთი წუთის წინათ ნახა იგი; გაყინული თვალებისა და გაყვითლებული ლოყების მიუხედავად, ამ საუცხოო ბავშვურ სახეს და შავი ბუსუსით დაფარულ ბაგეს იგივე გამომეტყველება შერჩენოდა.

„ყველანი მიყვარხართ, არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, თქვენ კი რა მიყავით?“ – ამბობდა მისი მშვენიერი, საბრალო, უსიცოცხლო სახე. ოთახის კუთხეში მარია ბოგდანოვნას აკანკალებულ თეთრ ხელში რაღაც პაწაწამ და წითელმა დაიკრუსუნა და დაიწრიპინა.

ორი საათის შემდეგ თავადი ანდრეი ნელი ნაბიჯით შევიდა მამასთან კაბინეტში. მოხუცმა უკვე იცოდა ყველაფერი. კართან იდგა და, გაიღო თუ არა იგი, უსიტყვოდ, მუხრუჭებივით მოხვია შვილს კისერზე თავისი ბებრული ხმელი ხელები და ბავშვივით ატირდა.

სამი დღის შემდეგ წესი აუგეს პატარა კნიაგინას. გამოთხოვებისას თავადი ანდრეი კუბოსთან მივიდა. იგივე გამომეტყველება ჰქონდა მიცვალებულს, თუმცა თვალდახუჭული იწვა. „ოჰ, რა მიყავით?“ – ამბობდა იგი კვლავ, და თავადმა ანდრეიმ იგრძნო, რომ გულში რაღაც ჩასწყდა, იგრძნო, რომ ისეთი დანაშაული მიუძღვის, რომელსაც იგი ვერ გამოისყიდის და ვერც დაივიწყებს. ტირილი არ შეეძლო. მოხუციც მივიდა კუბოსთან, მანაც აკოცა სანთელივით გაყვითლებულ ხელს, რომელიც მშვიდად იდო ზემოდან მეორე ხელზე და მასაც უთხრა ამ სახემ: „ოჰ, რატომ, რისთვის მიყავით ეს?“ ამ სახის დანახვაზე მოხუცი მწყრალად შეტრიალდა.

გავიდა კიდევ ხუთი დღე და პატარა თავადი ნიკოლაი ანდრეიჩი მონათლეს. დედამძუძე ნიკაპით იმაგრებდა ჩვრებს, როცა მღვდელი ბატის ფრთით ზეთს აცხებდა ბავშვის დანაოჭებულ წითელ ხელისგულებსა და ტერფებს.

პაპა-ნათლიას ეშინოდა ბავშვი არ დავარდნოდა, კანკალით უვლიდა სიძველისგან აქა-იქ შეკეცილ თუნუქის ემბაზს და დროგამოშვებით ბავშვს მეორე ნათლიას, თავის ასულ მარიას აწვდიდა. თავადი ანდრეი, შიშისგან გარინდებული – ბავშვი არ დამიხრჩონო, – მეორე ოთახში იჯდა და მოუთმენლად ელოდა ნათლობის წესის დასრულებას. მან სიხარულით შეხედა ბავშვს, როცა გადიამ გამოიყვანა იგი და, როცა ამავე დროს აცნობა, ემბაზში ჩაგდებული ბალნიანი ცვილი არ ჩაიძირა და წყლის ზედაპირზე დაცურავდაო, ანდრეიმ კმაყოფილმა დაუქნია თავი.

თავი მეათე

როსტოვის მონაწილეობა დოლოხოვისა და ბეზუხოვის დუელში მოხუცმა გრაფმა თავისი მეცადინეობით მიაფუჩეჩა და როსტოვი, სამხედრო ხარისხის აყრისა და ჯარისკაცად დაქვეითების ნაცვლად, რასაც იგი მოელოდა, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორთან გაამწესეს ადიუტანტად. ამის გამო მას არ შეეძლო სოფელში გაჰყოლოდა მთელ ოჯახს. ახალმა თანამდებობამ მოითხოვა მისი მოსკოვში დარჩენა მთელი ზაფხულის განმავლობაში. დოლოხოვი განიკურნა და ამ განკურნების დროს როსტოვი განსაკუთრებით დაუმეგობრდა მას. ავადმყოფი დოლოხოვი დედასთან იწვა, რომელსაც უსაზღვროდ და ნაზად უყვარდა შვილი. მოხუცი მარია ივანოვნა, რომელმაც როსტოვი ფედიასთან მეგობრობისთვის შეიყვარა, ხშირად ეუბნებოდა მას თავის შვილზე:

– დიახ, გრაფ, ის ახლანდელი, გარყვნილი საზოგადოებისთვის მეტად კეთილშობილი და სულით სპეტაკი ადამიანია. სათნოება არავის უყვარს. იგი ყველას თვალს სჭრის. აბა, ერთი მიბრძანეთ, გრაფ, განა ბეზუხოვი სამართლიანად, პატიოსნად მოიქცა? ფედიას, როგორც კეთილშობილ ადამიანს, უყვარდა იგი, ახლაც ვერასოდეს გაიგონებთ მისგან ცუდ რამეს ბეზუხოვზე. ის ცელქობა პეტერბურგში პოლიციელთან, რაღაც რომ ჩაიდინეს, ხომ ერთად ჩაიდინეს? რა მერე: ბეზუხოვს არაფერი, ფედიას კი მარტოდმარტოს მოუხდა ყველაფრის გადატანა. მერე რა არ გადაიტანა! მართალია, დაუბრუნეს, მაგრამ განა შეეძლოთ არ დაებრუნებინათ? მე ვფიქრობ, რომ მაგისთანა მამაცი და სამშობლოს ერთგული შვილი ბევრი არ მოიძებნებოდა იქ. ახლა კიდევ ეს დუელი! სად არის გრძნობა, პატიოსნება? იცოდა, რომ დედისერთაა, მაინც გამოიწვია და დაუზოგავად დაახალა ტყვია. კიდევ კარგი, ღმერთმა

შეგვიბრალა. რატომ, რისთვის? ვინ არ ეწევა სასიყვარულო ინტრიგას ჩვენს დროში? ვისი ბრალია, რომ ასეთი ექვიანია? ხომ შეეძლო, ადრევე ეგრძნობინებინა, თორემ ერთი წელიწადი გრძელდებოდა და ხმას არ იღებდა. მერე გამოიწვია დუელში იმ იმედით, რომ ფედია არ მოისურვებდა სროლას, რადგან ფული მართებს მისი. რა სიმდაბლეთა! რა სისამაგლეთა! მე ვიცი, ჩემო საყვარელო გრაფ, რომ თქვენ ყველაფერს მიუხვდით ფედიას და მერწმუნეთ, ამიტომ მიყვარხართ, სულითა და გულით. იშვიათად თუ ვინმე მიუხვდება ხოლმე მას. მეტად მაღალი, ციური სულის პატრონია.

თვით დოლოხოვი გაჯანმრთელების დროს ხშირად ეუბნებოდა როსტოვს ისეთ სიტყვებს, რომელთა გაგონებაც მისგან სულ არ იყო მოსალოდნელი.

– მე ბოროტ ადამიანად მთვლიან, ვიცი, – ამბობდა იგი, – დაე, ჩამთვალონ. არავინ არაფრად მეპრიანება იმათ გარდა, ვინც მიყვარს, მაგრამ ვინც მიყვარს, მიყვარს ისე, რომ თავს დავდებ მისთვის, ყველა სხვას კი ფეხით გავსრეს, თუკი გზაზე გადამელობება. მე მყავს დაუფასებელი დედა, რომელსაც ვაღმერთებ, ორი-სამი მეგობარი, მათ შორის შენ, დანარჩენს იმდენად ვაფასებ, რამდენადაც სასარგებლონი ან მავნებელნი არიან ჩემთვის. და თითქმის ყველანი მავნებელნი არიან, მეტადრე ქალები. დიახ, ჩემო კარგო, – განაგრძო მან, – შევხვედრივარ მოსიყვარულე მამაკაცს, კეთილშობილს, სულით დიადს, მაგრამ ქალს, გარდა დაცემული ქმნილებისა, – სულერთია გრაფის შთამომავალი ყოფილა იგი თუ მზარეული ქალი, – ჯერჯერობით არასოდეს. ჯერ არ შევხვედრივარ იმ ციურ სისპეტაკეს, ერთგულებას, რასაც ქალში დავემებ, რომ ვიპოვიდე ასეთ ქალს, სიცოცხლეს გავწირავდი მისთვის. ესენი კი... – ზიზღით თავი გააქნია, – არ დაიჯერებ, თუ სიცოცხლეს კიდევ ვუფრთხილდები, ვუფრთხილდები მხოლოდ იმიტომ, რომ იმედს არ ვკარგავ, შევხვდები ასეთ ციურ არსებას, არსებას რომელიც განმაახლებს, განმასპეტაკებს და ამამაღლებს. მაგრამ შენ ვერ გაიგებ ამას.

– რატომ, ძალიან კარგად მესმის, – მიუგო როსტოვმა, რომელიც თავისი ახალი მეგობრის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

შემოდგომაზე როსტოვების ოჯახი მოსკოვში დაბრუნდა. ზამთრის დასაწყისში დაბრუნდა და როსტოვებს ესტუმრა დენისოვიც. 1806 წლის ზამთრის დასაწყისი, ნიკოლაი როსტოვისა და მთელი მისი ოჯახისთვისაც მოსკოვში გატარებული დრო ყველაზე ბედნიერი და მხიარული იყო. ნიკოლაიმ ბევრი ახალგაზრდა კაცი მიიზიდა თავისი მშობლების ოჯახში. ვერა ოცი წლის ლამაზი ქალი იყო, სონია – თექვსმეტი წლისა, იგი ახალგაფურჩქნილი ყვავილის სიტურფეს აგონებდა კაცს, ხოლო ნატაშა – ნახევრად დაქალებული არსება, ნახევრად გოგონა, ხან ბავშვურად სასაცილო, ხან კიდევ ქალიშვილივით წარმტაცი.

როსტოვების ოჯახში იმხანად ჰაერიც კი განსაკუთრებული ტრფიალით გაჟღენთილიყო. ასეა ხოლმე იქ, სადაც მეტად ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილები არიან. როსტოვების ოჯახში შესული ყოველი ყმაწვილი კაცი შეჰყურებდა ამ ახალგაზრდა, აღზნებულ, მოდიმარე ქალწულურ სახეებს (რომლებიც საკუთარ ბედნიერებას თუ უღიმოდნენ!), ამ სიცოცხლით სავსე ფუსფუსს, ისმენდა ამ ნორჩი ქალების არეულ, მაგრამ ყველასადმი ალერსიან, ყველაფრით გატაცებულ, იმედით გაცისკროვნებულ ტიტინს, ისმენდა ერთმანეთში არეულ ხან სიმღერის, ხან მუსიკის ხმებს და ერთსა და იმავე გრძნობას შეეპყრო – სიყვარულისთვის მზადყოფნასა და ბედნიერების მოლოდინს, რასაც თვით როსტოვების ოჯახის ახალგაზრდობაც განიცდიდა.

როსტოვის მიერ თავისი მშობლების ოჯახში შეყვანილ ახალგაზრდებს შორის ერთი პირველთაგანი დოლოხოვი იყო, რომელიც, ნატაშას გარდა, ყველას მოეწონა. დოლოხოვის გამო ნატაშა კინაღამ წაეჩხუბა ძმას. ნატაშა ამტკიცებდა, დოლოხოვი ბოროტი კაცია, რომ ბეზუხოვთან დუელში პიერი მართალი იყო, ხოლო დოლოხოვი მტყუანი, რომ დოლოხოვი უსიამოვნო და აუტანელი კაციაო.

– გაუგებარი აქ არაფერია, – ურყევი დაჟინებით იმეორებდა ნატაშა, – ავი და გულცივი კაცია; აი, ხომ მიყვარს შენი დენისოვი, მოქეიფეც არის და კიდევ, ვინ იცის, რა, მაგრამ მაინც მიყვარს, მაშასადამე, მესმის. დოლოხოვს კი, არ ვიცი, როგორ გითხრა, ყველაფერი გაზომილ-გათვალისწინებული აქვს, ეს კი არ მიყვარს. დენისოვი...

– დენისოვი სულ სხვაა, – უპასუხებდა ნიკოლაი და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ დენისოვიც კი, დოლოხოვთან შედარებით, არაფერია, – რომ იცოდე, რა გული აქვს, უნდა ნახო დედასთან და მაშინ მიხვდები!

– ეგ არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ უხერხულად ვგრძნობ მასთან თავს. მერე, იცი თუ არა, რომ დოლოხოვს სონია უყვარს?

– სისულელეა!..

– დარწმუნებული ვარ! აი, ნახავ.

ნატაშას სიტყვები ასრულდა. დოლოხოვს ქალთა საზოგადოება არ უყვარდა, მაგრამ როსტოვების ოჯახში სიარულს მაინც მოუხშირა, და საკითხი იმის შესახებ, თუ ვისთვის დადიოდა იგი (თუმცა ამაზე არავის არაფერი უთქვამს), მალე გადაწყვიტეს: საერთო აზრით, იგი სონიასთვის დადიოდა და სონიამაც, თუმცა ვერასოდეს გაბედავდა ამის თქმას, იცოდა ეს და ყოველთვის, როცა დოლოხოვი მათ სახლში გაჩნდებოდა, ყაყაოსავით წითლდებოდა.

დოლოხოვი ხშირად სადილობდა როსტოვებთან. არასოდეს გამოტოვებდა იმ წარმოდგენას, რომელსაც როსტოვები ესწრებოდნენ. დადიოდა *adolescentes* (მოზარდთა) ბალებზე იოგელის სახლში, სადაც როსტოვები მიდიოდნენ ხოლმე. ყველაზე მეტ ყურადღებას დოლოხოვი სონიას აქცევდა და ისეთი თვალებით შეჰყურებდა, რომ არათუ სონიას ასდიოდა ალმური სახეზე, ხშირად ამის დამნახველი მოხუცი გრაფინია და ნატაშაც კი წითლდებოდნენ.

აშკარა იყო, რომ ეს შავგვრემანი, ნარნარი, სხვისი სიყვარულით გატაცებული გოგონა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ამ ძლიერ და უცნაურ მამაკაცზე.

როსტოვი ხედავდა რაღაც ახალს დოლოხოვსა და სონიას შორის, მაგრამ არ ცდილობდა გაერკვია, როგორი იყო ეს ახალი ურთიერთობა. „ყველა მათგანს ვიღაც უყვარს“, – ფიქრობდა ის სონიასა და ნატაშაზე. მაგრამ ისე თავისუფლად ვეღარ გრძნობდა თავს სონიასა და დოლოხოვთან და უფრო და უფრო იშვიათად რჩებოდა შინ.

1806 წლის შემოდგომიდან კვლავ მოუხშირეს ლაპარაკს ნაპოლეონთან ომზე. ლაპარაკობდნენ უფრო ცხარედ, ვიდრე გასულ წელს. გამოაცხადეს არათუ რეკრუტების[141] შეკრება, არამედ დამატებით 9 მეომრის გაწვევაც ათასიდან. ყველგან წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ ბონაპარტეს, ხოლო მოსკოვში ერთადერთ სალაპარაკო საგანს მომავალი ომი შეადგენდა. როსტოვების ოჯახისთვის ამ საომარი მზადების ერთ-ერთ ინტერესს წარმოადგენდა ის, რომ ნიკოლუშკა არაფრის გულისთვის არ თანხმდებოდა მოსკოვში დარჩენას და უცდიდა მხოლოდ დენისოვის შვებულების დასრულებას, რათა დღესასწაულების შემდეგ მასთან ერთად წასულიყო პოლკში. მომავალი გამგზავრება არათუ ხელს უშლიდა მის დროს ტარებას, არამედ უფრო მეტადაც აქეზებდა. მომეტებულ დროს ოჯახს გარეთ ატარებდა – სადილებსა, საღამოებსა და ბალებზე.

თავი მეთერთმეტე

შობის მესამე დღეს ნიკოლაი შინ სადილობდა, რაც ასე იშვიათად ხდებოდა. ეს იყო ოფიციალური გამოსათხოვარი სადილი, რადგან ნათლისღებას ის და დენისოვი პოლკში ბრუნდებოდნენ. სადილობდა ოცამდე კაცი, მათ შორის დოლოხოვი და დენისოვი.

არასოდეს როსტოვების სახლში სიყვარულით გატაცება, სასიყვარულო ატმოსფერო ისე არ იგრძნობოდა, როგორც ამ დღესასწაულებში. „გამოიყენე ბედნიერების წუთები, შეაყვარე თავი, შეიყვარე თავადაც! მხოლოდ ეს ერთია ნამდვილი რამ ამ ქვეყანაზე, ყოველივე დანარჩენი სისულელეა. და ჩვენც მხოლოდ ამით ვართ ყველანი აქ გართული“, – ამბობდა თითქოს ეს ატმოსფერო.

ნიკოლაიმ ორი წყვილი ცხენი მოღალა, მაინც ვერ მოასწრო ყველა იმ ოჯახში მისვლა, სადაც უნდა მისულიყო და სადაც იწვევდნენ, და როგორც ყოველთვის, შინ ზედ სადილის წინ დაბრუნდა. შედგა თუ არა ფეხი სახლში, მაშინვე შენიშნა და იგრძნო სასიყვარულო ატმოსფეროს დამაბულობა. მაგრამ, გარდა ამისა, შენიშნა რაღაც უცნაური შემფოთებაც, რომელსაც მოეცვა საზოგადოების ზოგიერთი წევრი. აღელვებული იყვნენ მეტადრე სონია, დოლოხოვი, გრაფინია და ოდნავ ნატაშაც. ნიკოლაი მიხვდა, რომ სადილამდე რაღაც უნდა მომხდარიყო სონიასა და დოლოხოვს შორის და, როგორც მის მგრძნობიარე გულს სჩვეოდა, სადილზე მეტად ნაზად და ფრთხილად ეპყრობოდა ორივეს. ამავე საღამოს იოგელთან (ცეკვის მასწავლებელთან) უნდა გამართულიყო ჩვეულებრივი ბალი, რომელსაც იგი დღესასწაულებზე აწყობდა თავისი მოწაფე ვაჟებისა და ქალებისთვის.

– ნიკოლინკა, წამოხვალ იოგელთან? გეხვეწები, წამოდი, – მიმართა ნატაშამ, – იოგელმა განსაკუთრებით გთხოვა. აი, ვასილი დმიტრიჩი (ეს იყო დენისოვი) მოდის.

– სად არ წავალ გრაფინიას ბრძანებით! – თქვა დენისოვმა, რომელსაც როსტოვების ოჯახში ხუმრობით თავი ისე ეჭირა, როგორც ნატაშას რაინდს, – მზად ვარ pas de châte-იც (ცეკვა შალეებით) კი შევასრულო.

– წამოვალ, თუ მოვასწარი. არხაროვებს დავპირდი, საღამო აქვთ, – მიუგო ნიკოლაიმ ნატაშას, – შენ? – მიმართა დოლოხოვს და ჰკითხა თუ არა ეს, მიხვდა, რომ არ უნდა ეკითხა.

– არ ვიცი, იქნებ წამოვიდე... – ცივად და მწყრალად მიუგო დოლოხოვმა, თან თვალი შეავლო სონიას და, მოღუშულმა, კვლავ შეხედა ნიკოლაის, სწორედ ისე, როგორც უყურებდა იგი პიერს კლუბში გამართულ სადილზე.

„აქ რაღაც ამბავია“, გაიფიქრა ნიკოლაიმ, და უფრო დარწმუნდა ამაში მაშინ, როცა დოლოხოვი სადილს შემდეგ დაუყოვნებლივ წავიდა.

ნიკოლაიმ ნატაშა გაიხმო და ჰკითხა, რა მოხდაო.

– მე კი შენ დაგეძებდი, – მიუგო ნატაშამ, როცა მასთან გავარდა, – ხომ გეუბნებოდი, მაგრამ არ მიჯერებდი, – თქვა ნატაშამ, თითქოს ნიშნის მოგებით, – დოლოხოვმა სთხოვა სონიას, ცოლად გამომყვიო.

ბოლო დროს ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდა ნიკოლაი სონიას, მაგრამ მაინც თითქოს რაღაც ჩასწყდა გულში, ისე იმოქმედა მასზე ნატაშას ნათქვამმა. დოლოხოვი არათუ სასურველ, ზოგიერთ შემთხვევაში ბრწყინვალე საქმროდაც ჩაითვლებოდა სონიასთვის, უმზითვო ობლისთვის. გრაფინიასა და საზოგადოების თვალსაზრისით, დოლოხოვს უარი არ ეთქმოდა. ამიტომ პირველ ხანს ნიკოლაიმ უსაყვედურა კიდევ გუნებაში სონიას. ის-ის იყო, უნდა ეთქვა: „ჩინებული ამბავია! რასაკვირველია, უნდა დაივიწყოს ბავშვობის დაპირება და მიიღოს წინადადებაო“, რომ ნატაშამ თქვა:

– წარმოიდგინე, უარი მიახალა, გადაჭრილი უარი. უთხრა სხვა მიყვარსო, – დაუმატა ნატაშამ მცირე სიჩუმის შემდეგ.

„სხვანაირად ვერ მოიქცეოდა ჩემი სონია!“ – გაიფიქრა ნიკოლაიმ.

– ბევრს ეხვეწა დედა, მაგრამ სონიამ მაინც უარი უთხრა. ვიცი, არც გადათქვამს ერთხელ ნათქვამს.

– დედამ მაინც სთხოვა? – საყვედურის კილოთი თქვა ნიკოლაიმ.

– ჰო, სთხოვა, – დაუდასტურა ნატაშამ, – იცი, ნიკოლინკა, ნუ გეწყინება, მაგრამ ვიცი, რომ შენ არ შეირთავ სონიას. ღმერთმა უწყის, რატომ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ არ შეირთავ.

– არაფერიც არ იცი, – მიუგო ნიკოლაიმ, – მაგრამ მე მაინც უნდა მოველაპარაკო სონიას. რა საუცხოო ადამიანია სონია! – დაუმატა ღიმილით.

– მეტად საუცხოო. წავალ, გამოგიგზავნი, – ნატაშამ აკოცა ძმას და გაიქცა.

ერთი წუთის შემდეგ გაჩნდა სონია, შეშინებული, დამფრთხალი, თითქოს რაღაცაში დამნაშავე. ნიკოლაი მივიდა და ხელზე აკოცა: პოლკიდან ნიკოლაის დაბრუნების შემდეგ ისინი პირველად იდგნენ პირისპირ და პირველად ლაპარაკობდნენ თავიანთ სიყვარულზე.

– Sophie, – დაიწყო ნიკოლაიმ ჯერ მოკრძალებით, მერე უფრო და უფრო გაბედულად, – თქვენ გინდათ უარი თქვათ არა მარტო ბრწყინვალე, არამედ ხელსაყრელ საქმროზე... ის ჩინებული, კეთილშობილი ადამიანია... ჩემი მეგობარია...

სონიამ გააწყვეტინა.

– მე უკვე ვუთხარი უარი, – მიუგო სწრაფად.

– თუ თქვენ უარს ეუბნებით ჩემი გულისთვის, ვშიშობ, რომ მე...

სონიამ კვლავ გააწყვეტინა. მან მუდარით, შეშინებული თვალებით შეხედა.

– Nicolas, ნუ მეუბნებით მაგას, – თქვა მან.

– არა, მოვალე ვარ, გითხრათ. იქნებ მე ზედმეტად თავდაჯერებული ვარ, მაგრამ მაინც უმჯობესია ვთქვა. თუ თქვენ ჩემი გულისთვის ეუბნებით უარს, მაშინ სრული სიმართლე უნდა გითხრათ. მე თქვენ მიყვარხართ, ვფიქრობ, ყველაზე მეტად...

– ეგეც საკმაოა ჩემთვის, – მიუგო სონიამ და წამოწითლდა.

– არა, მაგრამ მე ათასჯერ ვყოფილვარ შეყვარებული, კვლავაც შევიყვარებ, თუმცა მეგობრობის, ნდობის, სიყვარულის ისეთ გრძნობას, როგორსაც თქვენდამი განვიცდი, არავისადმი არ განმიცდია. თანაც ახალგაზრდა ვარ. არც დედას უნდა. ერთი სიტყვით, ვერავითარ პირობას ვერ მოგცემთ. ამიტომ გთხოვთ, იფიქროთ დოლოხოვის წინადადებაზე, – დაამთავრა მან, ამასთან ძლივს წარმოთქვა თავისი მეგობრის გვარი.

– ნუ მეუბნებით მაგას. მე არაფერი მინდა. მიყვარხართ, როგორც ძმა და ყოველთვის მეყვარებით, მეტი არა მწადია რა.

– თქვენ ანგელოზი ხართ, მე ღირსი არა ვარ თქვენი, და ვშიშობ მხოლოდ, არ მოგატყუოთ.

ნიკოლაიმ კვლავ აკოცა ხელზე.

თავი მეთორმეტე

მთელ მოსკოვში ყველაზე მხიარული ბალები იოგელთან იმართებოდა. ამას ამბობდნენ დედები, როცა შეჰყურებდნენ თავიანთ adolescents (გოგონებს), რომელთაც გულმოდგინედ გამოჰყავდათ ახალშესწავლილი ილეთები; ამას ამბობდნენ თვით adolescents და adolescents (გოგონები და ყმაწვილები), რომელნიც ქანცის გამოლევამდე ცეკვავდნენ. მოწიფული ქალიშვილები და ყმაწვილი კაცები, რომელნიც მიდიოდნენ ამ ბალებზე იმ მოსაზრებით, რომ უკუეგდოთ უკადრისობა, აქ მართლაც საუკეთესოდ ერთობოდნენ. ამ ბალების მეოხებით წელს ორი ქორწილიც გაიმართა: თავად გორჩაკოვის ორმა ლამაზმა ასულმა საქმრო მონახა. და ამან კიდევ უფრო გაუთქვა სახელი ამ ბალებს. ამ ბალების თავისებურებას შეადგენდა ისიც, რომ იქ არ იყვნენ მასპინძელი და დიასახლისი: იყო გულკეთილი იოგელი, რომელიც ბუმბულივით დაფრინავდა დარბაზში, ცეკვის ხელოვნების წესების მიხედვით ამოდრავებდა ფეხებს და იმავე დროს იღებდა ყველა თავისი სტუმრისგან ბილეთს ცეკვის გაკვეთილისთვის; ამ ბალებზე თავს იყრიდნენ ისინი, ვისაც ცეკვა და მხიარულება უნდოდა, ისევე, როგორც უნდათ ეს ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგონებს, რომელთაც პირველად ჩაიცვეს გრძელი კაბა. იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველანი ლამაზები იყვნენ ან ლამაზებად მოჩანდნენ, ისე აღტაცებით ილიმებოდნენ და ისე უბრწყინავდათ თვალები. ზოგჯერ pas de châte-საც ცეკვავდნენ საუკეთესო მოწაფეები, ხოლო ამ საუკეთესოებში რჩეულად ნატაშა მიიჩნეოდა, რომელიც გრაციოზულობით გამოირჩეოდა. მაგრამ ამ უკანასკნელ ბალებზე ცეკვავდნენ მხოლოდ ეკოსეხს, ანგლეხს და მოდაში ახალშემოსულ მაზურკას[142]. ამ ბალებისთვის იოგელმა დარბაზი ბეზუხოვის სახლში დაუკვეთა და ბალმა ჩინებულად ჩაიარა, როგორც ყველანი ამბობდნენ. ბევრი იყო ლამაზი გოგონა, ხოლო როსტოვების ქალიშვილები ყველასგან გამოირჩეოდნენ. ნატაშა და სონიაც განსაკუთრებით ბედნიერი და მხიარულნი იყვნენ. ამ სადამოს სონია, გაამაყებული დოლოხოვის წინადადებით, თავისი უარით და ნიკოლაისთან ლაპარაკით, ცმუკავდა და დახტოდა ჯერ კიდევ შინ და ხელს უშლიდა მოახლე გოგოს დაეკარცხნა მისთვის თმა, ხოლო ახლა, მთლად სიხარულად ქცეულიყო.

ნაკლებ სიამაყეს არც ნატაშა გრძნობდა; იგი ბედნიერი და გახარებული იყო იმით, რომ პირველად ეცვა გრძელი კაბა და პირველად იყო ნამდვილ ბალებზე. ნატაშას და სონიას ვარდისფერი ლენტებით მორთული თეთრი მარმარის კაბები ეცვათ.

ნატაშას გული სიყვარულით აივსო სწორედ იმ წუთს, რა წუთსაც ფეხი შედგა დარბაზში. გამორჩეულად და განსაკუთრებით მას არავინ უყვარდა, მაგრამ უყვარდა ყველა, უყვარდა ის, ვისაც უყურებდა იმ წუთს.

– რა კარგია! – ეუბნებოდა იგი წამდაუწუმ სონიას.

ნიკოლაი და დენისოვი დარბაზებში დადიოდნენ, ალერსითა და მფარველობით ათვალთვლებდნენ მოცეკვავეთ.

– რა მშვენიერია! ლამაზი ქალი დადგება, – თქვა დენისოვმა.

– ვინ?

– გრაფინია ნატაშა, – მიუგო დენისოვმა. და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა:

– რა საუცხოოდ ცეკვავს, რა გრაციაა!

– ვისზე ლაპარაკობ?

– ვისზე და შენს დაზე, – გაჯავრებული კილოთი მიუგო დენისოვმა.

როსტოვმა ჩაიცინა.

– Mon cher comte; vous êtes l'un de mes meilleurs écoliers, il faut que vous dansiez (საყვარელო გრაფო, თქვენ ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე იყავით, უნდა იცეკვოთ), – მიმართა ნიკოლაისთან მისულმა პატარა იოგელმა, – Voyez combien de jolies demoiselles (შეხედეთ, რამდენი ლამაზი ქალიშვილია)! – ასეთივე თხოვნით მიმართა იოგელმა მეორე თავის ნამოწაფარსაც, დენისოვს.

– Non, mon cher, je ferai tapisserie (არა, ჩემო კარგო, უმჯობესია დავჯდე და ვუყურო), – მიუგო დენისოვმა, – განა აღარ გახსოვთ, რა ცუდად ვსარგებლობდი თქვენი გაკვეთილებით?

– სრულიადაც არა! – სწრაფად ანუგეშა იოგელმა, – თქვენ მხოლოდ უყურადღებობას იჩენდით, ნიჭი კი გქონდათ, დიახ, ნიჭი გქონდათ.

დაუკრეს ახალშემოსული მაზურკა. ნიკოლაიმ უარი ვედარ უთხრა იოგელს და სონია გაიწვია საცეკვაოდ. დენისოვი მოხუც მანდილოსნებს მიუჯდა და, ხმალზე დაყრდნობილმა, ფეხი ააყოლა საცეკვაო ტაქტს, თანაც მხიარულად უამბობდა რაღაცას და აცინებდა ქალბატონებს, იმავე დროს თვალს არ აშორებდა მოცეკვავე ახალგაზრდობას. პირველად იოგელმა ნატაშა გაიწვია, – თავისი სიამაყე და საუკეთესო მოწაფე. მან პირველმა გაიქროლა დარბაზში შემერთალ ნატაშასთან ერთად, რომელსაც გულმოდგინედ გამოჰყავდა ილეუები, გაიქროლა და თან მსუბუქად და ნაზად აამოძრავა პატარა ფეხები. დენისოვი თვალს არ აშორებდა მოცეკვავე ნატაშას, ხმალს იატაკზე აკაკუნებდა ტაქტის მიხედვით და ისე გამოიყურებოდა, თითქოს ამბობდა, არ ვცეკვავ არა იმიტომ, რომ არ ვიცი ცეკვა, არამედ იმიტომ, რომ სურვილი არა მაქვსო. შუა ფიგურის დროს როსტოვი მოიხმო, რომელმაც მის გვერდით გაიარა.

– ეგ სრულიადაც არ არის მაზურკა, – მიმართა მან ნიკოლაის, – განა ეგ პოლონური მაზურკაა? თუმცა ჩინებულად ცეკვავს.

ნიკოლაიმ იცოდა, რომ დენისოვმა პოლონური მაზურკის ცეკვით პოლონეთშიც კი გაითქვა სახელი, ამიტომ ნატაშას მივარდა.

– წადი, დენისოვი გამოიწვიე საცეკვაოდ, – მიმართა მან დას, – ჩინებულად ცეკვავს.

როდესაც კვლავ დადგა ნატაშას ჯერი, მან თავისი ბაფთიანი ფეხსაცმლით სწრაფად და მორცხვად გაირბინა მარტომ მთელი დარბაზი კუთხემდე, სადაც დენისოვი იჯდა. ნატაშა გრძნობდა, რომ ყველანი მას შეჰყურებდნენ და ელოდნენ. ნიკოლაი ხედავდა, რომ დენისოვი და ნატაშა ღიმილით დაობდნენ, რომ დენისოვი უარს ეუბნებოდა, მაგრამ გახარებული იღიმებოდა. ნიკოლაიმ მათთან მიირბინა.

– გთხოვთ, ვასილი დმიტრიჩ, – ეხვეწებოდა ნატაშა დენისოვს, – წამობრძანდით, გემუდარებით.

– არა, გევედრები გამათავისუფლოთ, – ეხვეწებოდა დენისოვი.

– გეყოფა ამდენი უარი, ვასია! – ჩაურთო სიტყვა ნიკოლაიმ.

– თითქოს განაზებულ ფისუნას ეხვეწებიანო, – თქვა ხუმრობით დენისოვმა.

– მთელ საღამოს სიმღერით გაგართობთ, – არ ეშვებოდა ნატაშა.

– რას არ ჩაგადენინებს ჯადოქარი! – თქვა დენისოვმა და ხმალი მოიხსნა, მერე სკამების რიგიდან გავიდა, მაგრამ დაუჭირა ხელი ნატაშას, თავი ასწია, ცალი ფეხი უკან გადადგა და ტაქტს დაუცადა. მხოლოდ ცხენზე ჯდომისა და მაზურკის ცეკვის დროს არ მოჩანდა დენისოვი პატარა ტანის კაცად. ამჟამად იგი ისეთ ვაჟკაცად გეჩვენებოდათ, როგორადაც თვითონ გრძნობდა თავს. ტაქტის მოლოდინში ძლევამოსილად და ღიმილით გადახედა თავის მანდილოსანს, მერე მოულოდნელად ცალი ფეხით დააბაკუნა, ბურთივით მოსხლტა იატაკს და ტრიალით გაჰყვა წრეს, თან თავისი მანდილოსანი წარიტაცა. ცალ ფეხზე უხმოდ გადაიქროლა ნახევარი დარბაზი და, თითქოს ვერ

ხედავდა წინ ჩამწკრივებულ სკამებს, პირდაპირ მათკენ გასწია, მაგრამ უეცრად დეზები ააწკრიალა, ფეხები განზე გადაა და, ქუსლებზე გაშეშებული, ერთ წამს ასე იდგა, შემდეგ დეზებს ერთ ადგილას წკრიალი დააწყებინა, რამდენჯერმე შეტრიალდა, მარცხენა ფეხი მარჯვენას შემოჰკრა და კვლავ გაიქროლა წრეში ტრიალით. ნატაშა ხვდებოდა დენისოვის განზრახვას და თავადაც ვერ გაეგო, როგორ და რანაირად ადევნებდა თვალყურს და ემორჩილებოდა მას. დენისოვი ატრიალებდა ნატაშას ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ხელით, ხან კიდევ, მუხლებზე დავარდნილი თავს ირგვლივ ატრიალებდა, და კვლავ წამომხტარი, ისეთი სისწრაფით მიქროდა, თითქოს სურდა სულმოუთქმელად გაერბინა ყველა ოთახი; ხან უეცრად ისევ ჩერდებოდა და ახალი და მოულონდელი ფიგურები გამოჰყავდა. როცა ბოლოს თავისი მანდილოსანი პირვანდელ ადგილთან მიიყვანა, მაგრად შემოატრიალა, დეზები კვლავ ააწკარუნა და თავი დაუკრა, ნატაშამ რევერანსიც ვერ მოახერხა – გოცეხული შეჰყურებდა და ილიმებოდა, თითქოს ვერ ცნობსო.

– რა ამბავია, რა მოხდა? – ჩაილაპარაკა ქალმა.

თუმცა იოგელს ეს მაზურკა არ მიაჩნდა ნამდვილ მაზურკად, მაინც ყველა აღფრთოვანებული იყო დენისოვის ოსტატობით და განუწყვეტლივ იწვევდნენ მას საცეკვაოდ. ხოლო მოხუცებმა ღიმილით ჩამოაგდეს ლაპარაკი პოლონეთსა და კარგ ძველ დროზე. მაზურკისგან აწითლებული დენისოვი ცხვირსახოცით ოფლს იწმენდა, იგი ნატაშას მიუჯდა და მთელი ბალის განმავლობაში აღარ მოშორებია.

თავი მეცამეტე

ამის შემდეგ მთელი ორი დღე როსტოვმა დოლოხოვი ვეღარც თავის ოჯახში ნახა და ვეღარც თვით დოლოხოვთან. მესამე დღეს კი შემდეგი ბარათი მიიღო მისგან:

„რადგან ამიერიდან, შენთვის ცნობილი მიზეზის გამო, აღარ ვაპირებ თქვენს ოჯახში სიარულს და თანაც ჯარში მივდივარ, დღეს საღამოს ჩემს მეგობრებს გამოსათხოვარ ნადიმს ვუმართავ. მოდი ინგლისურ სასტუმროში“. დანიშნულ დღეს, საღამოს ათ საათზე, როსტოვმა თეატრიდან, სადაც ის შინაურებთან და დენისოვთან ერთად იყო, ინგლისურ სასტუმროში შეიარა. იგი შესვლისთანავე შეიყვანეს სასტუმროს საუკეთესო ოთახში, რომელიც იმ დამისთვის დოლოხოვს დაექირავებინა.

მაგიდასთან, რომლის სიახლოვეს ოციოდე კაცი ირეოდა, დოლოხოვი იჯდა, აქეთ-იქიდან ანთებული სანთლები ედგა. მაგიდაზე ოქროსა და ქალაღდის ფული ეყარა და დოლოხოვი ბანქოს არიგებდა. მას შემდეგ, რაც სონიამ უარყო დოლოხოვის წინადადება, ნიკოლაის დოლოხოვი არ ენახა და ახლა უხერხულად გრძნობდა თავს. აფიქრებდა ის, თუ როგორ შეხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს.

დოლოხოვმა კარშივე შეანათა როსტოვს თავისი ნათელი და იმავე დროს ცივი თვალები, თითქოს დიდი ხანია ელოდებო.

– კარგა ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, – თქვა დოლოხოვმა, – გმადლობ, რომ მოხვედი. აი, დავარიგებ ბანქოს, ამასობაში ილუშკაც მოვა მომღერალთა გუნდით.

– შენსას შევიარე, – უთხრა როსტოვმა და თან წამოწითლდა.

დოლოხოვმა არაფერი უპასუხა.

– შეგიძლია ჩამოხვიდე ბანქოში, – თქვა მან.

როსტოვს იმ წუთში გაახსენდა უცნაური ლაპარაკი, რომელიც მას ოდესღაც დოლოხოვთან ჰქონია, – ბედზე თამაში ბანქოში მხოლოდ სულელებს შეუძლიათო, თქვა მაშინ დოლოხოვმა.

– ან იქნებ გეშინია ჩემთან თამაში? – ჰკითხა ახლა დოლოხოვმა, თითქოს მიხვდა ნიკოლაის გუმანს და გაიღიმა.

ამ ღიმილმა გააგებინა როსტოვს, რომ დოლოხოვი ისეთსავე გუნებაზე იყო, როგორ გუნებაზედაც კლუბში გამართულ სადილზე და საერთოდ როგორ გუნებაზეც იყო ხოლმე მაშინ, როცა ყოველდღიური ცხოვრებით თავმოებურებულს, უნდოდა რაიმე უცნაური, მეტწილად მკაცრი საქციელით, დაერღვია ამ ცხოვრების მიმდინარეობა.

როსტოვმა უხერხულად იგრძნო თავი; იგი გონებაში ეძებდა რაიმე მოსწრებულ სიტყვას, რომ პასუხი გაეცა დოლოხოვისთვის, მაგრამ ვერ პოულობდა. და ვიდრე რამეს მოიფიქრებდა, დოლოხოვმა პირდაპირ სახეში შეხედა და ნელა და დინჯად, ისე, რომ ყველას გაეგონა, უთხრა:

– გახსოვს, ლაპარაკი გვქონდა ბანქოს თამაშზე... სულელია, ვინც ბედზე მოისურვებს თამაშს, დანამდვილებით მოგებაზე უნდა ითამაშო კაცმა. მინდა ახლა ვცადო.

„ვცადო ბედზე თუ დანამდვილებით?“ – გაიფიქრა როსტოვმა.

– უმჯობესია არ ითამაშო, – დაუმატა დოლოხოვმა, მერე ქაღალდი გადაზნიქა, გაატყლაშუნა და წამოიძახა, – ვიწყებ დარიგებას, ბატონებო!

დოლოხოვმა ფული თავისკენ მიიწია და ქაღალდის დასარიგებლად მოემზადა. როსტოვი ახლოს მიუჯდა და პირველ ხანს თამაშში არ მონაწილეობდა.

– რატომ არ თამაშობ? – შეეკითხა დოლოხოვი.

და ნიკოლაის უცნაურმა სურვილმა წამოუარა; მოუნდა ქაღალდის ალება, უმნიშვნელო თანხის ჩასვლა და თამაშის დაწყება.

– ფული არ მაქვს თან, – თქვა როსტოვმა.

– გენდობი!

როსტოვი 5 რუბლს ჩავიდა. წააგო. ჩავიდა კიდევ და კვლავ წააგო. დოლოხოვმა გაუჭრა ზედიზედ ათი ქაღალდი, ე. ი. ათჯერ მოუგო როსტოვს.

– ბატონებო, – წამოიძახა დოლოხოვმა რამდენიმე დარიგების შემდეგ, – გთხოვთ, ფული ქაღალდზე დადოთ, თორემ შეიძლება ანგარიში ამერიოს.

ერთ-ერთმა მოთამაშემ თქვა, ვგონებ, სანდო კაცი უნდა ვიყო.

– ნდობა შეიძლება, მაგრამ მეშინია, ანგარიში არ ამერიოს; გთხოვთ, ფული ქაღალდზე დადოთ, – მიუგო დოლოხოვმა, – შენ ნუ მომერიდები, ჩვენ მერე გავსწორდებით, – მიუბრუნდა ის როსტოვს.

ბანქოს თამაში გაგრძელდა, ლაქია განუწყვეტლივ არიგებდა შამპანურს.

დოლოხოვმა როსტოვს ყველა ქაღალდი გაუჭრა და რვასს რუბლამდე დააწერა. როსტოვმაც ის-ის იყო, რვასს რუბლი წააწერა ერთ სათამაშო ქაღალდს, მაგრამ იმ დროს, როცა ლაქიამ შამპანური მიაწოდა, გადაიფიქრა და კვლავ ჩვეულებრივი თანხა წააწერა, – ოცი რუბლი.

– იყოს რვასსი, – უთხრა დოლოხოვმა ისე, თითქოს არც კი შეუხედავს როსტოვისთვის, – უფრო მალე ამოიგებ. თუმცა რა ვიცი, სხვები მიჭრიან, შენ კი მე გიჭრი. იქნებ გეშინია ჩემი? – გაიმეორა მან.

როსტოვმა დაუჯერა, დატოვა დაწერილი რვასსი და აირჩია კუთხეწაგლეჯილი გულის შვიდიანი, რომელიც მან იატაკიდან აიღო. შემდეგშიც კარგად ახსოვდა ეს შვიდიანი. მან ცარცის ნატეხით გამოიყვანა ხედ მრგვალი და სწორი ციფრები – რვასსი. შემდეგ, დალია ლაქიის მიერ მიწოდებული

შემთბარი შამპანური, გაიღიმა დოლოხოვის სიტყვებზე და გულის ფანცქალით დაუწყო ცდა შვიდიანს, თან ხელებში შესცქეროდა დოლოხოვს, რომელსაც ბანქოს ქალაღდის დასტა ეჭირა.

ამ გულის შვიდიანის მოგება ან წაგება ბევრ რამეს ნიშნავდა როსტოვისთვის. წარსულ კვირას გრაფმა ილია ანდრეიჩმა ორი ათასი რუბლი მისცა შვილს, თანაც მან, რომელსაც არ უყვარდა ფულად გაჭირვებაზე ლაპარაკი, უთხრა ნიკოლაის, ეს ფული უკანასკნელია მასამდეო, ამიტომ სთხოვა, ამხანად ხელმომჭირნედ მოქცეულიყო. ნიკოლაიმ მიუგო, ჩემთვის ეს ფულიც ბევრიაო, და პატიოსანი სიტყვა მისცა, გაზაფხულამდე აღარ შეაწუხებდა. ახლა ამ ფულიდან ათას ორასი რუბლიდა რჩებოდა. მაშასადამე, გულის შვიდიანი ნიშნავდა არა მარტო ათას ექვსასი რუბლის წაგებას, არამედ მიცემული სიტყვის გატეხასაც.

გულის ფანცქალით შესცქეროდა იგი დოლოხოვის ხელებს და ფიქრობდა: „მომეცი ჩქარა ეგ ქალაღდი, რომ დავიხურო ქუდი და გავწიო შინისკენ დენისოვთან, ნატაშასა და სონიასთან სავახშმოდ, მერე, აღბათ, ჩემს სიცოცხლეში აღარ გავეკარები ბანქოს“. ამ წუთს მისი შინაური ცხოვრება – ოხუნჯობა პეტასთან, ლაპარაკი სონიასთან, დუეტები ნატაშასთან, პიკეტი მამასთან, სიმშვიდის მომგვრელი ლოგინიც კი პოვარსკაიაზე მდებარე სახლში – ისე ცხოვლად, ცხადად და ნეტარებით წარმოუდგა, თითქოს ყოველივე ეს უკვე დიდი ხნის განვლილი, დაკარგული და დაუფასებელი ბედნიერება ყოფილიყო. მას ვერ წარმოედგინა, რომ ისეთ სულელურ შემთხვევას, როგორიც არის შვიდიანის დაცემა ჯერ მარჯვნივ და არა მარცხნივ, იმდენი შეეძლოს, რომ დააკარგვინოს მთელი ეს ახალგაგებული, ახლებურად გაშუქებული ბედნიერება და განაცდევინოს ჯერეთ უცნობი და გაურკვეველი უბედურება. შეუძლებლად მიაჩნდა ეს და მაინც გულის ფანცქალით მოელოდა დოლოხოვის ხელების მოძრაობას. ამ ხელებმა კი, მსხვილძვლებიანმა, წითურმა, ბალნიანმა ხელებმა, სათამაშო ქალაღდი დადეს და მიწოდებული ჭიქა და ჩიბუხი აიღეს.

– მაშ, შენ არ გაშინებს ჩემთან თამაში? – გაიმეორა დოლოხოვმა და თითქოს მხიარული ამბის მოყოლას აპირებდო, სათამაშო ქალაღდი დადო, სავარძლის ზურგს მიესვენა და დინჯად, ღიმილით დაიწყო, – დიახ, ბატონებო, გადმომცეს, მოსკოვში ხმა დაუყრიათ, თითქოს შულერი ვიყო, ამიტომ გირჩევთ, ფრთხილად იყოთ ჩემთან.

– დაარიგე, რაღა! – უთხრა როსტოვმა.

– ოი, ეს მოსკოველი დედაბრები! – თქვა დოლოხოვმა ღიმილით და ბანქოს დარიგებას შეუდგა.

„ოჰ!“ – კინაღამ შეჰყვირა როსტოვმა და ორივე ხელი თმისკენ წაიღო. შვიდიანი, რომელიც ასე სჭირდებოდა მას, უკვე მოჩანდა ზემოდან, პირველ ქალაღდად დასტაში. წააგო იმაზე მეტი, რის გადახდაც შეეძლო.

– მაინც ერიდე, ნუ შეტოპავ, – უთხრა დოლოხოვმა, გაკვრით შეხედა როსტოვს და ქალაღდის დარიგება განაგრძო.

თავი მეთოთხმეტე

საათ-ნახევრის შემდეგ მოთამაშეთა უმრავლესობას საკუთარი თამაში უკვე აღარაფრად მიაჩნდა.

მთელი გულისყური როსტოვის თამაშზე იყო მიჰყრობილი. ათას ექვსასი რუბლის ნაცვლად მასზე ციფრების გრძელი სვეტი იყო ჩამოწერილი. ამ სვეტში მას ათი ათას რუბლამდე ჰქონდა დათვლილი, მაგრამ ამ რიცხვს ახლა, მისი ბუნდოვანი ვარაუდით, თხუთმეტი ათასამდე უნდა მიედწია. არსებითად კი ჩანაწერმა უკვე გადააჭარბა ოცი ათას რუბლს. დოლოხოვი ყურს აღარ უგდებდა და აღარც თვითონ

ჰყვებოდა ისტორიებს; იგი თვალს ადევნებდა როსტოვის ხელების ყოველ მოძრაობას და ზოგჯერ სწრაფად გადახედავდა თავის მიერ ჩამოწერილ ციფრებს. მან გულში გადაწყვიტა განეგრძო თამაში იმ დრომდე, სანამ ჩანაწერი ორმოცდასამი ათასს მიაღწევდა. ეს რიცხვი იმიტომ აირჩია, რომ მისი და სონიას სიცოცხლის წლები ერთად შეერთებული ორმოცდა სამს უდრიდა. ორივე ხელზე თავდაყრდნობილი როსტოვი ციფრებით აჭრელებულ, ღვინომოსხმულ და სათამაშო ქალაქით მოფენილ მაგიდასთან იჯდა. მოსვენებას არ აძლევდა ერთი მტანჯველი აზრი: ამ მსხვილძვლებიან წითურ ხელებს, რომლებზედაც პერანგს ქვეშიდან ბალანი მოჩანდა, ამ ხელებს, რომლებიც უყვარდა და სძულდა კიდეც, შეეხოჭათ მთელი მისი არსება.

„ექვსასი რუბლი, ტუზი, კუთხე, ცხრიანი... შეუძლებელია წაგებულის დაბრუნება!.. რა მხიარულად ვიქნებოდი შინ... ვალეტი პეზე... შეუძლებელია!.. რატომ მიკეთებს ასეთ რამეს?..“ – ფიქრობდა და იხსენებდა როსტოვი.

ზოგჯერ დიდ თანხას ჩადიოდა; მაგრამ დოლოხოვი უარს ამბობდა და თვით ნიშნავდა თანხას. ნიკოლაი ემორჩილებოდა, და თან ევედრებოდა ღმერთს, ისევე, როგორც ევედრებოდა მას ბრძოლის ველზე, ამშტეტის ხიდზე, ხან გულში ჩაითქვამდა, რომ ის ქალაქი, რომელიც მაგიდის ქვეშ დაყრილ კუთხეგადაკეცილი ქალაქების გროვიდან პირველი მოხვდება ხელში, იხსნის მას გაჭირვებისგან; ხან ითვლიდა, რამდენი ზონარი იყო მის ქურთუკზე და იმედოვნებდა, იმდენქულიანი ქალაქით შეძლებდა მთელი წანაგების დაბრუნებას; ხან დახმარებისთვის სხვა მოთამაშეებს შეხედავდა, ხან კი აკვირდებოდა დოლოხოვის ახლა უკვე ცივ სახეს და ცდილობდა გაეგო, რას განიცდიდა იგი.

„ხომ იცის, რას ნიშნავს ჩემთვის ეს წაგება. შეუძლებელია ჩემს დასალუპად იყოს მოწადინებული? ის ხომ ჩემი მეგობარი იყო. ხომ მიყვარდა იგი... მაგრამ თვითონაც არ არის დამნაშავე; რა ქნას, თუკი ბედი სწყალობს? არც მე ვარ დამნაშავე, – ეუბნებოდა როსტოვი თავის თავს, – ცუდი არაფერი ჩამიდენია. განა მე მოვკალი ვინმე, შეურაცხვეყავი, ცუდი მომისურვებია ვინმესთვის? მაშ, რატომ დამატყდა თავს ასეთი საშინელი უბედურება? ან როდის დაიწყო? ახლახან არ იყო, ამ მაგიდასთან რომ მოვედი იმ აზრით, მომეგო ასი რუბლი, მეყიდა დედის სახელწოდების დღისთვის ეს კოლოფი და წავსულიყავი შინ? რა ბედნიერი ვიყავი, თავისუფალი, გახარებული! არ მესმოდა მაშინ, თუ რა ბედნიერი ვიყავი. როდის დასრულდა ბედნიერება და როდის დაიწყო ეს ახალი, საზარელი ყოფა? რით აღინიშნა ეს ცვლილება? ასევე ვიჯექი იმ ადგილას, ამ მაგიდასთან, ასევე ვირჩევდი და ვდებდი ქალაქს და შევცქეროდი ამ მსხვილძვლებიან, მოხერხებულ ხელებს. მაშ, როდის მოხდა ეს და რა მოხდა? ჯანმრთელი ვარ, ღონიერი! რაც ვიყავი, იგივე ვარ, და იმავე ადგილას ვზივარ. არა, შეუძლებელია ეს! ალბათ, ყოველივე ეს არა და არ დასრულდება“.

სახე ალეწოდა, ოფლში იწურებოდა, თუმცა ოთახში არ ცხელოდა. საზარლად და უბადრუკად გამოიყურებოდა, უფრო იმიტომ, რომ ამაოდ ცდილობდა მშვიდი იერი მიეღო.

ჩანაწერმა საბედისწერო რიცხვს მიაღწია – ორმოცდა სამი ათას რუბლს. როსტოვმა მოამზადა ქალაქი, რომელიც უნდა დაწყებულიყო კუთხით სამი ათასი რუბლიდან, როცა დოლოხოვმა სათამაშო ქალაქის დასტა მაგიდას დაახეთქა, შემდეგ განზე გასწია, ცარცი აიღო და მტკიცე, გარკვეული ხელით სწრაფად და ცარცის წვერის მტვრევით შეუდგა როსტოვის წანაგების შეჯამებას.

– ვახშამი, ვახშამი, დროა უკვე! აი, ბოშებიც!

მართლაც, უკვე შემოდდიოდნენ გარეთ სიცივიდან, ვიღაც შავვგრემანი კაცები და ქალები და ბოშური აქცენტით რაღაცას ლაპარაკობდნენ.

ნიკოლაის ესმოდა, რომ ყველაფერი დასრულდა, და გულგრილი ხმით წარმოთქვა:

– მაშ, აღარ დაარიგებ? მე კი ჩინებული ქალაქი მაქვს მომზადებული, – ისე თქვა, თითქოს ყველაზე მეტად თვით თამაშით გამოწვეული მხიარულება აინტერესებდა.

„ყველაფერი დასრულდა, დავიღუპე, – ფიქრობდა გულში, – ერთიღა დამრჩენია – ტყვია შუბლში“, – და იმავე დროს მხიარული ხმით წამოიძახა:

– მოდი, ერთ ქალაქს კიდევ ჩამოდი.

– კეთილი, – მიუგო დოლოხოვმა ჯამის გამოყვანის შემდეგ, – კეთილი, მოდის ოცდაერთი რუბლი, – დაუმატა და უჩვენა ოცდაერთ რიცხვზე, რითაც გადამეტებული იყო ორმოცდასამი ათასი, მერე დასტა აიღო და დასარიგებლად მოემზადა. როსტოვმა მორჩილად გადაკეცა ქალაქის კუთხე და, მომზადებული ექვსი ათასის ნაცვლად, გულმოდგინედ გამოიყვანა ოცდაერთი.

– ეგ ჩემთვის სულერთია, – მიუგო მან, – მაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ: გამიჭრი თუ მომცემ ამ ათიანს.

დოლოხოვი სერიოზულად შეუდგა ქალაქის დარიგებას. ო, როგორ სძულდა ამ წუთს როსტოვს ეს ხელები, მოკლეთითებიანი, ბალნიანი წითური ხელები, რომელთაც ასე შეებოჭა იგი...

ათიანი გამოვიდა.

– თქვენზე ორმოცდასამი ათასი რუბლია, გრაფ, – თქვა დოლოხოვმა, გაიხმორა და ფეხზე წამოდგა, – ღლის კაცს ასე დიდხანს ჯდომა, – დაუმატა ბოლოს.

– ჰო, მეც დავიღალე, – თქვა როსტოვმა.

დოლოხოვმა, თითქოს გაახსენაო, რომ მას ოხუნჯობა არ შეშვენის, სიტყვა გააწყვეტინა:

– როდის მიბრძანებთ, გრაფ, ფულის მიღებას?

როსტოვი აენტო. მან მეორე ოთახში გაიხმო დოლოხოვი.

– ერთბაშად ვერ გადავიხდი მთელ თანხას, თამასუქს მოგცემ.

– გამიგონე, როსტოვ, – თქვა დოლოხოვმა, მხიარულად გაიღიმა და თვალებში შეხედა ნიკოლაის, – ხომ გაგიგონია ანდაზა: „ვინც ბანქოში უბედურია, ის სიყვარულშია ბედნიერი“. შენს კუზინას უყვარხარ. ეს მე ვიცი.

„ოო, საშინელებაა გრძნობდე, რომ ამ კაცის კლანჭებში ხარ“, – გაიფიქრა როსტოვმა. მას ესმოდა, რა თავზარს დასცემდა ამ წაგებით მამას, დედას; ესმოდა, რა ბედნიერება იქნებოდა თავი დაეღწია ყოველივე ამისგან; ესმოდა ისიც, რომ დოლოხოვმა იცოდა, მას შეეძლო გადაერჩინა როსტოვი ამ სირცხვილსა და მწუხარებას, ის კი ახლაც ისე ეთამაშებოდა, როგორც კატა თავს.

– შენი კუზინა... – დაიწყო კვლავ დოლოხოვმა, მაგრამ ნიკოლაიმ გააწყვეტინა:

– ჩემი კუზინა აქ არაფერ შუაშია და მასზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია! – დაუყვირა მან გაცოფებულმა.

– მაშ, როდის მივიღებ? – ჰკითხა დოლოხოვმა.

– ხვალ, – მიუგო როსტოვმა და ოთახიდან გავიდა.

თავი მეთხუთმეტე

მწელი არ იყო „ხვალის“ თქმა და ზრდილობიანი კილოს დაცვა, მაგრამ საშინელება იყო შინ მარტო დაბრუნება. დების, ძმის, დედისა და მამის ნახვა, ყველაფრის აღიარება და ფულის თხოვნა, რისი უფლებაც პატიოსანი სიტყვის მიცემის შემდეგ მას აღარა ჰქონდა.

შინ ჯერ კიდევ არ ეძინათ. როსტოვებთან ოჯახის ახალგაზრდობა, თეატრიდან დაბრუნებული, ნავახშმევს, კლავიკორდს მისჯდომოდა. დარბაზში შესვლის უმაღლვე ნიკოლაიმ იგრძნო სიყვარულით გაჟღენთილი ის პოეტური ატმოსფერო, რომელიც ბატონობდა მათ ოჯახში ამ ზამთარს და რომელიც დოლოხოვის წინადადებისა და იოგელის ბალის შემდეგ თითქოს უფრო მძიმედ დაშვებულიყო სონიასა და ნატაშას თავზე. ისე ჩამოწოლილიყო, როგორც ჰაერი ქვეა-ქუხილის წინ. სონია და ნატაშა, ცისფერ ტანისამოსში გამოწყობილნი, იმ ტანისამოსში, რითაც თეატრში იყვნენ, კლავიკორდთან იდგნენ, ლამაზები, ბედნიერები, მოლიმარენი, იდგნენ და გრძნობდნენ თავიანთ სილამაზეს. ვერა და შინშინი ჭადრაკს თამაშობდნენ სასტუმრო ოთახში. გრაფინია, შვილისა და ქმრის მოლოდინში, პასიანსს შლიდა ახნაურის მოხუც ქალთან ერთად, რომელიც როსტოვების ოჯახში ცხოვრობდა. დენისოვი გაბრწყინებული თვალებით და აბურმგნილი თმით კლავიკორდთან იჯდა, ცალი ფეხი უკან გაეწია და მოკლე თითებს საკრავს უბარტყუნებდა. აკორდებს იღებდა, თანაც პატარა, ხრინწიანი, მაგრამ სწორი ხმით მღეროდა თავის მიერ შეთხზულ ლექსს Волшебница-ს, მღეროდა და იმავე დროს ცდილობდა ლექსისთვის მუსიკა შეეწყო:

Волшебница, скажи, какая сила

Влечет меня к покинутым струнам;

Какой огонь ты в сердце заронила,

Какой восторг разлился по перстам![143]

მღეროდა დენისოვი მგზნებარე ხმით და თანაც თავისი შავი აქატისფერი თვალებით შემფოთებულ და ბედნიერ ნატაშას მისჩერებოდა.

– საუცხოოა! ჩინებულია! – უხაროდა ნატაშას, – მეორე სტროფიც მივაყოლოთ, – ამბობდა და ნიკოლაის ვერც ამჩნევდა.

„აქ სულ ერთი და იგივეა“, – გაიფიქრა ნიკოლაიმ და სასტუმრო ოთახში შეიხედა, სადაც დაინახა ვერა და დედა მოხუც ქალთან ერთად.

– ოჰ, აი, ნიკოლინკაც! – წამოიძახა ნატაშამ და მასთან მიიღბინა.

– მამა შინ არის? – ჰკითხა ნიკოლაიმ.

– როგორ მიხარია, რომ მოხვედი! – თქვა ნატაშამ და კითხვაზე პასუხი არ გასცა, – ჩვენ ძალზე მხიარულად ვგრძნობთ თავს. იცი, ვასილი დმიტრიჩი ერთი დღით კიდევ დარჩა ჩემთვის.

– არა, მამა ჯერ არ მოსულა, – მიუგო ნიკოლაის სონიამ.

– კოკო, უკვე მოსულხარ, შემოდი, ძვირფასო, ჩემთან! – მოისმა სასტუმრო ოთახიდან გრაფინიას ხმა.

ნიკოლაი დედასთან შევიდა, ხელზე აკოცა, ხმამაღულვლად მიუჯდა მაგიდას და დააცქერდა დედის ხელებს, რომლებიც პასიანსს შლიდნენ. სადარბაზო ოთახიდან განუწყვეტლივ მოისმოდა სიცილი და მხიარული ხმები: ეხვეწებოდნენ ნატაშას, – იმღერეო.

– არა, არა! – წამოიძახა დენისოვმა, – ახლა უარის თქმა აღარ შეიძლება, თქვენზეა ბარკაროლა[144], გევედრებით!

გრაფინამ თვალი შეავლო მდუმარე შვილს.

– რა დაგემართა? – ჰკითხა დედამ ნიკოლაის.

– ოჰ, არაფერია! – მიუგო შვილმა ისეთი კილოთი, თითქოს უკვე მოჰბეზრდა ერთი და იგივე კითხვა, – მამა მალე მოვა?

– ვფიქრობ, მალე უნდა მოვიდეს.

„აქაც ერთი და იგივეა. ამათ არაფერი იციან. სად გადავიკარგო?“ – გაიფიქრა ნიკოლაიმ და კვლავ სადარბაზო ოთახში შევიდა, სადაც კლავიკორდი იდგა.

კლავიკორდთან სონია იჯდა და იმ ბარკაროლის შესავალს უკრავდა, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა დენისოვს.

ნიკოლაი ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

„რა ამღერებს, ნეტავი ვიცოდე? ან რა უნდა იმღეროს? რა არის აქ სამხიარულო!“ – ფიქრობდა ნიკოლაი.

სონიამ შესავლის პირველი აკორდი აიღო.

„ღმერთო ჩემო, დაღუპული კაცი ვარ, უპატიოსნო. შუბლში ტყვია! ესლა დამრჩენია და არა სიმღერა, – ფიქრობდა იგი, – წავიდე? მაგრამ სად? სულერთია, დაე, იმღერონ!“

ნიკოლაი სიარულს განაგრძობდა და პირქუშად შესცქეროდა დენისოვსა და ქალიშვილებს, ერიდებოდა მათთვის თვალის გასწორება.

„ნიკოლინკა, რა დაგემართათ?“ – უსიტყვოდ, თითქოს თვალებით შეეკითხა სონია. მან უმაღვე შენიშნა, რომ რაღაც შეემთხვა ნიკოლაის.

ნიკოლაიმ პირი იბრუნა მისგან. ალღოთი ნატაშამაც ერთბაშად შენიშნა ძმის მდგომარეობა. შენიშნა, მაგრამ იმდენად მხიარულ გუნებაზე იყო იმ წუთს, იმდენად შორს იყო დარდის, მწუხარებისა და საყვედურებისგან, რომ მან (როგორც ეს ხშირად ემართებათ ახალგაზრდებს) განგებ მოიტყუა თავი: „არა, მე ისეთ მხიარულ გუნებაზე ვარ ამჟამად, რომ არ ძალმიძს სხვისი მწუხარების თანაგრძნობით გუნება გავიფუჭო“, – გაიფიქრა ეს და უთხრა თავის თავს: „არა, უთუოდ ვცდები, ის ისევე მხიარული უნდა იყოს, როგორც მე“.

– აბა, სონია, – მიმართა ნატაშამ სონიას და შუა დარბაზში გავიდა, სადაც, მისი აზრით, ყველაზე უკეთესი რეზონანსი იყო, მერე თავი ასწია, უსიცოცხლოდ დაუშვა ხელები, როგორც ეს მოცეკვავე ქალებს სჩვევიათ, შუა ოთახში გაიარა ისე, რომ ენერგიული მოძრაობით ქუსლებიდან თითებზე გადადიოდა, და გაჩერდა.

„აი, ვინ გახლავართ მე!“ – თითქოს ამბობდა იგი დენისოვის საპასუხოდ, რომელიც აღტაცებული ადევენებდა თვალს ნატაშას.

„რა ახარებს ნეტავი? – გაიფიქრა ნიკოლაიმ და დას შეხედა, – რატომ არ რცხვენია და არ წუხს?“

ნატაშამ პირველი ნოტა აიღო, ყელი გაუგანაიერდა, მკერდი გაუსწორდა, თვალბემა სერიოზული გამომეტყველება მიიღეს. ნატაშა იმ წუთს არავისზე და არაფერზე არ ფიქრობდა, და მისი მოღიმარე ბაგეებიდან მოისმა ბგერები, ისეთი ბგერები, რომლის გამოცემაც შეუძლია ყოველ ადამიანს იმავე ხნის

განმავლობაში და იმავე ინტერვალით, მაგრამ რომლის ათასჯერ მოსმენამაც შესაძლოა არ იმოქმედოს თქვენზე, ათას მეერთეჯერ კი ჟრუანტელი მოგგვაროთ და აგატიროთ.

ნატამამ იმ ზამთარს პირველად დაიწყო სერიოზულად სიმღერა, უფრო კი იმიტომ, რომ დენისოვი აღტაცებული იყო მისი სიმღერით. იგი ახლა ბავშვურად აღარ მღეროდა, აღარ იყო მის სიმღერაში ის კომიკური ბავშვური გულმოდგინება, რომელიც მანამდე ემჩნეოდა; მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ მღეროდა კარგად, როგორც ამბობდნენ მცოდნე მსაჯულნი, რომელნიც ისმენდნენ მის სიმღერას. „მშვენიერი ხმაა, მაგრამ დამუშავებული არ არის, უნდა დამუშავდეს“, შენიშნავდნენ ისინი, მაგრამ ამას ჩვეულებრივ ამბობდნენ კარგა ხნის შემდეგ, როცა მისი ხმა მიყუჩდებოდა ხოლმე. ხოლო იმ დროს, როდესაც ისმოდა ეს დაუმუშავებელი ხმა, რომელსაც თან ერთვოდა არასწორი ფშვინვა და ძალდატანებული გადასვლები, მცოდნე მსაჯულნიც კი არას ამბობდნენ და მხოლოდ ტკბებოდნენ ამ ხმით; მხოლოდ ერთი სურვილით იყვნენ გატაცებული: ერთხელ კიდევ მოესმინათ იგი. ნატამას ხმაში იყო ის უბიწო ხელუხლებლობა, თავისი ძალების ის უცოდინარობა და ჯერ დაუმუშავებელი ხვეწვინება, რაც ისე ეხავებოდა სიმღერის ცოდნის ოსტატობის ნაკლს, რომ დაუზიანებლად არაფრის შესწორება არ შეიძლებოდა ამ ხმაში.

„რა ამბავია ნეტავი? – გაიფიქრა ნიკოლაიმ, როცა ეს ხმა გაიგონა, და ფართოდ გააღო თვალები, – რა დაემართა? როგორ მღერის დღეს?“ და უცერად მთელი მისი გულსყური შემდეგი ნოტის, შემდეგი ფრაზის მოლოდინმა მოიცვა, და ყველაფერი ამქვეყნად სამ ტემპად გაიყო: „Oh, mio crudele affetto (ოჰ, ჩემო მკაცრო სიყვარულო. იტალ.)... ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი... სამი... ერთი... Oh mio crudele affetto... ერთი, ორი, სამი... ერთი... ეჰ, წყეული წუთისოფელი! – ფიქრობდა ნიკოლაი, – ყველაფერი ეს, უბედურებაც, ფულიც, დოლოხოვიც, ღვარძლიც, ღირსებაც, ყველაფერი სისულელეა... აი, ეს არის მხოლოდ სინამდვილე... აბა, ნატამა, აბა, საყვარელო, აბა, ძვირფასო!.. როგორ აიღებს ნეტა ამ si-ს! აილო! მადლობა ღმერთს!“ – და თავისდა შეუმჩნეველად თავადაც აჰყვა სიმღერას და რათა გაემღიერებინა ეს si, გააბა მაღალი ნოტის, ტერციის[145] მოძახილი. „ღმერთო ჩემო, რა კარგია! ნუთუ მე ავიღე ეს ნოტი? რა ბედნიერებაა!“ – გაიფიქრა მან.

ო, როგორ აკანკალდა ეს ტერცია და როგორ ათრთოლდა ის რაღაც, რაც კი საუკეთესო იყო როსტოვის სულში. და ეს რაღაც დამოუკიდებელი იყო ყოველივე აქვეყნიურისგან და ყოველივე ამქვეყნიურზე მაღლა იდგა. რა მოსატანია აქ წაგება, დოლოხოვი, პატიოსანი სიტყვა!.. ყველაფერი სისულელეა! შეიძლება ყელი გამოსჭრა კაცს, მოიპარო და მაინც ბედნიერი იყო...

თავი მეთექვსმეტი

დიდი ხანია როსტოვს ისეთი სიამოვნება აღარ განუცდია მუსიკისგან, როგორც ამ დღეს განიცადა. მაგრამ როგორც კი ნატამამ თავისი ბარკაროლა დაასრულა, სინამდვილე კვლავ გაახსენდა. უსიტყვოდ გავიდა დარბაზიდან და ქვემოთ, თავისი ოთახისკენ გაემართა. თხუთმეტი წუთის შემდეგ მოხუცი გრაფი, მხიარული და კმაყოფილი, კლუბიდან დაბრუნდა. გაიგო თუ არა მამის მოსვლა, ნიკოლაი მისკენ გაემართა.

– რა ქენი, იმხიარულე? – ჰკითხა ილია ანდრეიჩმა და შვილის დანახვაზე სიხარულით და ამაყად გაიღიმა.

ნიკოლაის უნდოდა ეთქვა, ჰო, ვიმხიარულეო, მაგრამ ვერ მოახერხა: კინაღამ ტირილი აუვარდა. ჩიბუხის მოწევაში გრაფმა ვერ შენიშნა, რა მდგომარეობაში იყო შვილი.

„ეჰ! აუცილებელია!“ – გაიფიქრა ნიკოლაიმ პირველად და უკანასკნელად. და უეცრად, თითქოს ეტლსა სთხოვს ქალაქში წასასვლელად, სრულიად დაუდევარი კილოთი მიმართა მამას, ისეთი კილოთი, რომ თვითონვე შეეზიზღა საკუთარი თავი.

– მამაჩემო, მე თქვენთან საქმისთვის მოვედი. კინალამ დამავიწყდა. ფული მჭირდება.

– აი, თურმე რა ყოფილა! – თქვა მამამ, რომელიც მეტად მხიარულ გუნებაზე იყო, – ხომ გითხარი, არ გეყოფა-მეთქი, ბევრი გჭირდება?

– ძალიან ბევრი, – თქვა წამოწითლებულმა ნიკოლაიმ სულელური, უზრუნველი ღიმილით, რომელიც შემდეგში დიდხანს ვერ ეპატიებინა თავისი თავისთვის, – წავაგე ცოტაოდენი ფული, ე. ი. ცოტა კი არა, ბევრი, ძალიან ბევრი, ორმოცდასამი ათასი.

– რაო? ვის?.. ხუმრობ?! – შესძახა გრაფმა და უეცრად დამბლადაცემულივით ისე გაუწითლდა კისერი და კეფა, როგორც მოხუც ადამიანებს ემართებათ ხოლმე.

– ხვალ დავპირდი გადახდას, – თქვა ნიკოლაიმ.

– ერიჰა! – შესძახა მოხუცმა გრაფმა, ხელები გაშალა და უღონოდ დაეშვა დივანზე.

– რას იზამთ, ვის არ მოსვლია ასეთი რამ! – თქვა შვილმა უბოდინო, გაბედული კილოთი მაშინ, როდესაც გულში თავისი თავი საზიზღარ არამზადად მიაჩნდა, რომელსაც სიცოცხლის ფასადაც არ შეეძლო გამოესყიდა თავისი დანაშაული. უნდოდა ხელები დაეკოცნა მამისთვის, დაჩოქილს ეთხოვა პატიება. ის კი უზრუნველი, თითქმის უხეში კილოთი ამბობდა, ყველას შეიძლება მოუვიდესო.

გრაფმა ილია ანდრეიჩმა თვალელები დაუშვა, როცა შვილის სიტყვები გაიგონა და აფუსფუსდა, თითქოს რაღაცას დაეძებო.

– დიახ, დიახ, – ჩაილაპარაკა მან, – ძნელი საშოვნელია, ვფიქრობ, რომ ძნელი საშოვნელია... ვის არ მოსვლია, დიახ, ვის არ მოსვლია!.. – და გრაფმა ოდნავ შეავლო თვალი შვილის სახეს და ოთახიდან გავიდა.

ნიკოლაი წინააღმდეგობის გასაწევად ემზადებოდა და სრულიად არ მოელოდა ამას.

– მამილო! მა...მილო! – მიაძახა აქვითინებულმა შვილმა, – მაპატიეთ! – და ეცა მამის ხელს, ტუჩებით დაეკონა ზედ და ატირდა.

იმ დროს, როცა მამა-შვილი ამ ლაპარაკში იყვნენ, არანაკლებ მნიშვნელოვანი ლაპარაკი ჰქონდათ დედასა და ქალიშვილს.

ნატაშა აღელვებული შევარდა დედასთან.

– დედა!.. დედა!.. მთხოვა, მთხოვა...

– რა გთხოვა?

– ხელი მთხოვა, დედა! დედა! – გაიძახოდა ნატაშა.

გრაფინია ყურს არ უჯერებდა. დენისოვმა ხელი სთხოვა. მერე ვის? ამ პაწაწა გოგონას, ნატაშას, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ტიკინებს ეთამაშებოდა, ხოლო ახლა, ჯერ კიდევ გაკვეთილებს იღებს.

– ნუ სულელობ, ნატაშა! – თქვა დედამ, მაინც ეგონა, რომ ყველაფერი ეს ხუმრობა იყო.

– როგორ თუ ვსულელობ!.. მე მართლა გეუბნებით, – მიუგო გულმოსულმა ნატაშამ, – მოვედი გკითხოთ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, თქვენ კი... ნუ სულელობო...

გრაფინიამ მხრები აიჩეჩა.

– თუ მართალია, რომ მუსიე დენისოვმა ხელი გთხოვა, წადი და უთხარი, რომ ის სულელია, მეტი არაფერი.

– არა, დენისოვი სულელი არ არის, – სერიოზულად და ნაწყენი კილოთი მიუგო ნატაშამ.

– მაშ, რა გინდა? თქვენ ხომ ახლა ყველანი შეყვარებულები ხართ. ჰოდა, რაკი გიყვარს, გაჰყევი კიდეც ცოლად, – ბრაზმორეული სიცილით თქვა გრაფინიამ, – დმერთმა ხელი მოგიმართო!

– არა, დედა, მე არ მიყვარს დენისოვი, ალბათ, არ მიყვარს.

– მაშ, წადი და აგრე უთხარი.

– დედა, რატომ ჯავრობთ? ნუ ჯავრობთ, ჩემო ძვირფასო, რა დავაშავე მე!

– აბა, რა ვქნათ, ჩემო კარგო? გინდა, მე გავალ და ვეტყვი ყველაფერს, – მიუგო ღიმილით გრაფინიამ.

– არა, არა, მე თვითონ ვეტყვი, თქვენ მხოლოდ მასწავლეთ, თქვენთვის ხომ ყველაფერი ადვილია, – დაუმატა მან, – რომ გენახათ, დედა, როგორ მითხრა! მე ხომ ვიცი, მას არ უნდოდა ამის თქმა, მაგრამ უცაბედად წამოსცდა.

– ასეა თუ ისე, მაინც უარი უნდა უთხრა.

– არა, რა საჭიროა, ძალიან მებრალება, ის ისეთი კარგი ადამიანია.

– თუ აგრეა, თანხმობა განუცხადე. ვგონებ, დროც არის, გათხოვდე, – გაჯავრებით და დაცინვით მიუგო დედამ.

– არა, დედა, ძალზე მებრალება. არ ვიცი, როგორ ვეტყვი.

– არც არის საჭირო, შენ უთხრა, მე თვითონ ვეტყვი, – უპასუხა გრაფინიამ, აღშფოთებულმა იმით, რომ გაბედეს და დიდად ჩათვალეს მისი პატარა ნატაშა.

– ნუ, ნუ, დედა, მე ვეტყვი, თქვენ კი ყური დაუგდეთ კართან, – და ნატაშა გაიქცა სასტუმრო ოთახიდან სადარბაზო ოთახში, სადაც იმავე სკამზე, კლავიკორდთან, თვალეზზე ხელეზფარებული იჯდა დენისოვი. იგი ნატაშას ფეხის მსუბუქ ხმაზე შეწამოიჭრა.

– ნატალი, – მიმართა დენისოვმა და სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა, – გადაწყვიტეთ ჩემი ბედი, იგი თქვენს ხელთ არის.

– ვასილი დმიტრიჩ, რომ იცოდეთ, როგორ მებრალებით!.. თქვენ საუცხოო ადამიანი ხართ... რა საჭიროა... ეგ... ისე კი ყოველთვის მეყვარებით.

დენისოვი ნატაშას ხელისკენ დაიხარა, და ნატაშას მოესმა უცნაური, მისთვის გაუგებარი ბგერები. ნატაშამ შავ, აწეწილ, ხუჭუჭა თმაზე აკოცა დენისოვს. ამ დროს გრაფინიას ტანისამოსის სწრაფი შრიალი მოისმა. იგი მათთან მივიდა.

– ვასილ დმიტრიჩ, გმადლობთ, რომ პატივი დამდეთ, – მიმართა მან შემცბარი ხმით, რომელიც დენისოვს სასტიკად მოეჩვენა, – მაგრამ ჩემი ქალიშვილი ძალიან ახალგაზრდაა და მე ვფიქრობდი, რომ თქვენ, როგორც ჩემი შვილის მეგობარი, პირველ ყოვლისა, მე მომმართავდით. მაშინ იძულებულს აღარ გამხდიდით, უარი მეთქვა.

– ბატონო ჩემო... – დაიწყო დენისოვმა. იგი თვალეზდახრილი იდგა დამნაშავესავით. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა დაემა. ისეთი საცოდავი იყო ამ დროს დენისოვი, რომ ნატაშამ ვეღარ შეძლო დამშვიდებით ეცქირა მისთვის და ხმამაღალი ზღუქუნით მორთო.

– დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, – განაგრძო დენისოვმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, – მაგრამ, იცოდეთ, ისე ვაღმერთებ თქვენს ქალიშვილს და მთელ თქვენს ოჯახს, რომ ორ სიცოცხლეს შევწირავდი... – დენისოვმა თვალი შეავლო გრაფინიას. მაგრამ დაინახა მისი მკაცრი სახე და... – მშვიდობით, ბატონო ჩემო, – დაასრულა უეცრად სიტყვა, ხელზე აკოცა და ისე, რომ ნატაშასთვის არ შეუხედავს, სწრაფი, მტკიცე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

მეორე დღეს როსტოვმა გააცილა დენისოვი, რომელსაც ერთი დღეც აღარ უნდოდა დარჩენილიყო მოსკოვში. დენისოვს გამოემშვიდობნენ მთელი მისი მოსკოველი მეგობრები, გამოემშვიდობნენ ბოშებთან, და მას აღარც ახსოვდა, როგორ ჩააწვინეს მარხილში და როგორ გაიარეს პირველი სამი სადგური.

დენისოვის წასვლის შემდეგ როსტოვი ორ კვირას კიდევ დარჩა მოსკოვში, ფულის მოლოდინში, რომლის შეგროვებაც მოხუცმა გრაფმა ერთბაშად ვერ შეძლო. ამ ხნის განმავლობაში, როსტოვი სახლიდან არ გასულა და მეტწილად ქალიშვილების ოთახში რჩებოდა.

სონია უფრო ნაზად ექცეოდა ნიკოლაის, და უფრო მეტ ერთგულებას იჩენდა, ვიდრე წინათ. სონიას თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ფულის წაგება გმირობა იყო, რისთვისაც მას ახლა უფრო უყვარდა ნიკოლაი. მაგრამ ნიკოლაის ახლა თავისი თავი მის საკადრის და ღირსეულ ადამიანად აღარ მიაჩნდა.

ნიკოლაიმ ქალიშვილების ალბომები ლექსებითა და ნოტებით ააჭრელა. ბოლოს გადაუგზავნა დოლოხოვს მთელი ვალი, ორმოცდასამი ათასი რუბლი, და როცა მისგან მიიღო დასტური, ნოემბრის დამლევს გაუდგა გზას, რათა დასწეოდა თავის პოლკს, რომელიც უკვე პოლონეთში იყო. როსტოვი ისე წავიდა, რომ არც ერთ თავის ნაცნობს არ გამოემშვიდობებია.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ცოლთან მოლაპარაკების შემდეგ პიერი პეტერბურგს გაემგზავრა. ტორჟოკში სადგურზე ცხენები არ აღმოჩნდნენ ან შეიძლება ზედამხედველს არ უნდოდა მათი მიცემა. პიერს უნდა დაეცადა. იგი ტანსაცმლის გაუხდელად მიწვა ტყავის დივანზე მრგვალი მაგიდის წინ, თბილჩექმიანი დიდი ფეხები მაგიდაზე შეაწყო და ფიქრს მიეცა.

– ხომ არ მიბრძანებთ, ჩემოდნები შემოვიტანო? ლოგინი გაგიშალოთ და ჩაი მოგართვათ? – ეკითხებოდა კამერდინერი.

პიერი პასუხს არ აძლევდა, მას არაფერი ესმოდა და ვერაფერს ხედავდა. ჯერ კიდევ უკანასკნელ სადგურზე ჩაფიქრდა და განაგრძობდა ფიქრს ერთსა და იმავეზე, ისეთ მნიშვნელოვანზე, რომ ყურადღებას არ აქცევდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. მას არათუ არ აინტერესებდა გვიან ჩავიდოდა თუ ადრე პეტერბურგში, ან ექნებოდა თუ არა დასასვენებელი ადგილი ამ სადგურზე. იმ ფიქრებთან შედარებით, რომლებიც ახლა აწუხებდა, მისთვის სულერთი იყო, დარჩებოდა ამ სადგურზე რამდენიმე საათს თუ მთელ სიცოცხლეს აქ გაატარებდა.

ზედამხედველი, ზედამხედველის ცოლი, კამერდინერი და დედაკაცი, ტორჟოკული[146] საქარგავით ხელში, ოთახში შედიოდნენ და მომსახურებას სთავაზობდნენ. პიერი, კვლავ მაგიდაზე ფეხებშეწყობილი, სათვალისგან შეჰყურებდა ყველას და ვერ გაეგო, რა უნდოდათ და როგორ შეეძლოთ ცხოვრება იმ საკითხების გადაუჭრელად, რომლებიც მას აწვალებდნენ. აწვალებდნენ კი სულ ერთი და იგივე საკითხები იმ დღიდან, როცა დუელის შემდეგ, სოკოლნიკებიდან დაბრუნდა და პირველი მტანჯველი, უძილო ღამე გაატარა; მხოლოდ ახლა, მგზავრობისას, მარტოობაში განსაკუთრებული ძალით დაეუფლნენ ისინი. რაზედაც უნდა დაეწყო ფიქრი, ერთსა და იმავე საკითხებს უბრუნდებოდა, რომლებიც ვერც გადაეჭრა და ვერც ის მოეხერხებინა, რომ აღარ ეფიქრა მათზე. თითქოს თავში გადაეგრია ის მთავარი ხრახნი, რაზედაც დანდობილი იყო მთელი მისი სიცოცხლე: თან აღარც ღრმად იხრახნებოდა, აღარც გარეთ გამოდიოდა, არაფერს ედებოდა, მხოლოდ ტრიალებდა ერთსა და იმავე ადგილას და აღარ შეიძლებოდა ამ ტრიალის შეჩერება.

ოთახში შევიდა ზედამხედველი და დამამცირებელი კილოთი დაუწყო თხოვნა მის ბრწყინვალეებას, დაეცადა მხოლოდ ორი საათი კიდევ, რის შემდეგაც (რაც იქნება, იქნებაო) საუკეთესო ცხენებს მისცემდა. ზედამხედველი აშკარად ტყუოდა. მას მხოლოდ ზედმეტი ფული უნდოდა მიეღო მგზავრისგან. „ცუდია ეს თუ კარგი? – ეკითხებოდა თავის თავს პიერი, – ჩემთვის კარგია, სხვა მგზავრებისთვის ცუდი, თვით ამისთვის კი აუცილებელი, იმიტომ, რომ ლუკმაპური არ გააჩნია. იგი ამბობდა, ასეთი საქციელისთვის ოფიცერმა მიმბეგვაო, ხოლო ოფიცერმა მიბეგვა იმისთვის, რომ წასვლა ეჩქარებოდა. მე დოლოხოვს ტყვია ვესროლე იმისათვის, რომ თავი შეურაცხყოფილად მივიჩნიე. ხოლო ლუდოვიკო XVI სიკვდილით დასაჯეს იმისთვის, რომ მას დამნაშავედ თვლიდნენ. ერთი წლის შემდეგ კი დახოცეს ისინი, ვინც იგი დასაჯა. ისინიც რაღაცისთვის დახოცეს. რა არის ცუდი? რა არის კარგი? რა უნდა გვიყვარდეს, რა უნდა გვძულდეს? რისთვის უნდა ვცხოვრობდე და ვინ ვარ მე? რა არის სიცოცხლე, რა არის სიკვდილი? რა ძალა განაგებს ყოველივეს?“ და არ იყო პასუხი არც ერთ ამ კითხვაზე, გარდა ერთი არალოგიკური პასუხისა, და ისიც ამ კითხვებზე როდი პასუხობდა. აი, ეს პასუხიც: „მოკვდები – ყველაფერი დასრულდება. მოკვდები და ყველაფერს გაიგებ ან აღარაფერს აღარ იკითხავ“. მაგრამ სიკვდილიც რომ საზარელია.

ტორჟოკელი ვაჭარი ქალი წრიპინა ხმით სთავაზობდა თავის საქონელს, განსაკუთრებით თხის ტყავის ჩუსტებს. „მე აუარებელი ფული მაქვს, რომელიც ვერ მომიხმარია, ეს კი დაფლეთილ ქურქში დგას და მოკრძალებით შემომყურებს, – ფიქრობდა პიერი, – ან კი რა საჭიროა ეს ფული? რა ბედნიერება უნდა შემატოს ფულმა ამ დედაკაცს, რა სულის სიმშვიდე უნდა მოუპოვოს? განა არის ქვეყნად ისეთი რამ, რაც არ დაგვიფარავს ბოროტებისა და სიკვდილისგან მე ან იმას? სიკვდილი, რომელიც ყველაფერს ბოლოს მოუღებს და რომელიც უნდა გვეწვიოს დღეს თუ არა ხვალ. – განა ეს წუთი რაიმეს წარმოადგენს მარადისობასთან შედარებით?“ და იგი კვლავ აწვებოდა ხრახნს, ხოლო ხრახნი ისევ ისე ტრიალებდა ერთსა და იმავე ადგილას და არაფერს არ ედებოდა.

პიერს თავისმა მსახურმა ნახევრამდე დაჭრილი წიგნი გადასცა. ეს იყო წერილებად დაწერილი m-me Suza (მადამ სიუზის) რომანი. პიერი შეუდგა იმ ადგილის კითხვას, სადაც აღწერილი იყო ვიღაც Amélie de Mansfeld (ამალია მანსფელდის) ტანჯვა-წამება და სათნო ბრძოლა. „რატომ ებრძოდა ის თავის მაცდუნებელს, – ფიქრობდა პიერი, – თუკი უყვარდა იგი? ხომ არ შეეძლო ღმერთს შთაენერგა მის სულში თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო მისწრაფებანი? ჩემს ყოფილ ცოლს არ უბრძოლია და იქნებ მართალიც იყო. არაფერი ახალი არ აღმოჩენილა, – კვლავ ეუბნებოდა პიერი თავის თავს, – არაფერი არ გამოგონებულა. ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მხოლოდ ის, რომ არა ვიცით რა. ეს ადამიანის სიბრძნის უმაღლესი საფეხურია“.

ყველაფერი თავის სულსა და გულში და თავის ირგვლივ პიერს აწეწილ-დაწეწილად, უაზრობად და საზიზღრობად ეჩვენებოდა. მაგრამ თვით ამ ზიზღით ყოველივე იმისადმი, რაც გარს ეხვია, პიერი ერთგვარ გამაღიზიანებელ სიამოვნებას ჰპოვებდა.

– გავბედავ და ვთხოვ თქვენს ბრწყინვალეობას, ოდნავ მიიწიოთ აი, ამისთვის, – მიმართა პიერს ზედამხედველმა, რომელიც ოთახში შევიდა და თან შეიყვანა იმავე მიზეზით შეჩერებული მეორე მგზავრი.

მგზავრი დაბალი ტანის ძვალმსხვილი მოხუცი იყო, მოყვითალო, დანაოჭებული სახით. ჭადარა წარბებს ქვემოდან მონაცრისფრო თვალები უბრწყინავდნენ.

პიერმა მაგიდიდან ფეხები ჩამოიღო და უკვე მომზადებულ საწოლზე გადაწვა. დროდადრო გადახედავდა ხოლმე ახალშემოსულს, რომელიც მოღუშულ-დაღლილი სახით დინჯად იხდიდა ზედა სამოსს მსახურის დახმარებით. გახდის დროს პიერისთვის არც ერთხელ არ შეუხედავს. როდესაც უცნობი ნაშურშემოვლებულ[147] კარგა ხნის ნახმარ ტყაპუქსა და გამხდარ, გამვალტყავებულ ფეხებზე წამოცმულ თექის ჩექმაში დარჩა, დივანზე ჩამოჯდა, მეტად დიდი და საფეთქლებთან განიერი, მოკლედ თმაშეკრეპილი თავი დივანს მიაყრდნო და ბეზუხოვს შეხედა. პიერი გააოცა მისმა სასტიკმა, ჭკვიანმა და გამჭვალავმა მზერამ. მას სურვილი აღედრა გამოლაპარაკებოდა მოხუცს, მაგრამ ის-ის იყო, დააპირა გზის შესახებ ეკითხა, რომ მგზავრმა თვალი დახუჭა და დანაოჭებული ბებრული ხელები, რომლის ერთ თითზედაც თუჯის ბეჭედი ჰქონდა წამოცმული ადამის თავის გამოსახულებით, გულზე დაიკრიფა. იგი უძრავად იჯდა, და როგორც პიერს მოეჩვენა, ისვენებდა ან რაღაცაზე ღრმავაროვნად და მშვიდად ფიქრობდა. მგზავრის მოსამსახურესაც მოყვითალო, მთლად დანაოჭებული ჰქონდა სახე, ისიც მოხუცი იყო, უულვაშო და უწვერო: ეტყობოდა, ბუნებრივად იყო უწვერულვაშო და არა იმიტომ, რომ მოპარსული ჰქონდა. მარჯვე მოხუცი მსახური პატარა სამგზავრო ყუთს დაჰფუსფუსებდა და ჩაის ამზადებდა, შემდეგ ადუღებული სამოვარი შემოიტანა. როდესაც ყველაფერი მზად იყო, მგზავრმა თვალი გაახილა, მაგიდასთან მიიწია, ერთი ჭიქა ჩაი თავისთვის დაისხა, ხოლო მეორე უწვერულვაშო მოხუცს დაუსხა და მიაწოდა. პიერს მოუსვენრობა იმპყრობდა, გრძნობდა, რომ უნდა დალაპარაკებოდა, აუცილებლად უნდა დალაპარაკებოდა ამ მგზავრს.

მსახურმა უკანვე დადგა ცარიელი, პირქვე დამხოვნილი ჭიქა შაქრის მოუკვნიტელი ნატეხით და იკითხა, კიდევ ხომ არაფერს ინებებთო.

– არაფერს, წიგნი მომაწოდე, – მიუგო მგზავრმა.

მსახურმა მიაწოდა წიგნი, რომელიც პიერს სასულიერო შინაარსის წიგნად მოეჩვენა. მგზავრი კითხვით გაერთო. პიერი თავისი ადგილიდან შეჰყურებდა. უეცრად მგზავრმა გადაკეცა ფურცელი, დახურა წიგნი და გადადო, დახუჭა თვალები, წინანდებურად დაჯდა და ზურგით დივანს მიეყრდნო. პიერი კვლავ შეჰყურებდა უცნობს და ვერ მოასწრო მიბრუნება, რომ მან თვალები გაახილა და მტკიცე და სასტიკი გამომეტყველებით პიერს დააცქერდა.

პიერი უხერხულად გრძნობდა თავს, უნდოდა მორიდებოდა მის მზერას, მაგრამ უცნობის ბრწყინვალე ბებრული თვალები უნებურად იზიდავდნენ თავისკენ.

თავი მეორე

– თუ არა ვცდები, პატივი მაქვს, ველაპარაკო გრაფ ბეზუხოვს, – თქვა მგზავრმა აუჩქარებლად და ხმამაღლა;

პიერი გაჩუმებული და გაკვირვებული შეჰყურებდა თავის მოსაუბრეს.

– ზოგი რამ გამიგონია თქვენზე, – განაგრძო მგზავრმა, – და იმ უბედურებაზე, რომელიც, ხელმწიფეო ჩემო, თქვენ დაგატყდათ, – მან ხაზი გაუსვა სიტყვა უბედურებას, თითქოს თქვა: „დიახ, რაც უნდა უწოდოთ თქვენ მას, ვიცი, რომ ის, რაც მოსკოვში შეგემთხვათ, უბედურება იყო“, – დიდად ვწუხვარ, ხელმწიფეო ჩემო, ამის გამო.

პიერი წამოწითლდა, სწრაფად დაუშვა ფეხები საწოლიდან, მოხუცისკენ გადაიხარა და არაბუნებრივად და მოკრძალებით გაიღიმა.

– ცნობისმოყვარეობის გამო კი არ გაგახსენეთ, ხელმწიფეო ჩემო, ეგ ამბავი, არამედ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, – შეჩერდა, თან თვალს არ აშორებდა პიერს. მერე დივანზე მიიწია და ამით ანიშნა პიერს, მის გვერდით დამჯდარიყო. პიერს არ სიამოვნებდა ამ მოხუცთან ლაპარაკის გაბმა, მაგრამ უნებურად დაემორჩილა, მივიდა და გვერდით მიუჯდა.

– თქვენ უბედური ხართ, ხელმწიფეო ჩემო, – განაგრძო მან, – თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით, მე კი მოხუცი. რამდენადაც შემოიძლია, მინდა დაგეხმაროთ.

– დიახ, დიახ, – არაბუნებრივი ღიმილით თქვა პიერმა, – დიდად გმადლობთ... საიდან ინებებთ მობრძანებას?

მგზავრს ალერსიანი სახე არ ჰქონია, პირიქით, ცივი და მკაცრი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სიტყვაც და სახეც უნებურად იზიდავდა პიერს.

– მაგრამ თუ რაიმე მიზეზით ჩემთან საუბარი უსიამოვნოა თქვენთვის, მაშინ პირდაპირ მითხარით, ხელმწიფეო ჩემო, – თქვა მოხუცმა და მოულოდნელად გაიღიმა მამობრივად ალერსიანი ღიმილით.

– არა, არა, პირიქით, დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, – მიუგო პიერმა და ერთხელ კიდევ დააცქერდა ხელეზზე ახალ ნაცნობს, უფრო კარგად დააკვირდა ბეჭედს, რომელზედაც ადამის თავი იყო გამოსახული – მასონობის[148] ნიშანი, – ნება მიბოძეთ გკითხოთ, მასონი ბრძანდებით? – მიმართა პიერმა.

- დიახ, მე ვეკუთვნი თავისუფალ ქვის მთლელთა ძმობას, – მიუგო მგზავრმა და უფრო ჩააცქერდა პიერს, – ჩემი და მათი სახელით გიწვდით ძმურ ხელს.
- ვშიშობ, – დაიწყო პიერმა ღიმილით და შეყოყმანდა... ყოყმანს იწვევდა, ერთი მხრით, ის ნდობა, რომელსაც მასონის პიროვნება იწვევდა მასში, ხოლო მეორე მხრით, მასონების რწმენის დაცინვის ჩვეულება, – ვშიშობ, ძალიან შორსა ვარ იმის გაგებისგან... არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, ვშიშობ, რომ ჩემი აზრი ქვეყნიერების წარმოშობაზე ისე ეწინააღმდეგება თქვენსას, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერას გავუგებთ.
- ჩემთვის ცნობილია თქვენი აზრი და შეხედულება, – თქვა მასონმა, – და ის თქვენი აზრი და შეხედულება, რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ და რაც თქვენ თქვენი გონებრივი შრომის ნაყოფად მიგაჩნიათ, არის ადამიანთა უმეტესობის აზრი და შეხედულება. არის სიამაყის, სიზარმაცისა და უვიცობის ერთფეროვანი ნაყოფი. მაპატიეთ, ხელმწიფეო ჩემო, ეს რომ არ ვიცოდე, არ გამოგელაპარაკებოდით. თქვენი აზრი და შეხედულება სამწუხარო შეცდომაა.
- სწორედ ასევე შემძლია ვიფიქრო, რომ თქვენი აზრი და შეხედულებაც შეცდომაა, – მიუგო პიერმა და ოდნავ გაიღიმა.
- მე ვერასოდეს გავბედავ ვთქვა, რომ ვიცი ჭეშმარიტება, – მიუგო მასონმა. იგი უფრო და უფრო აოცებდა პიერს თავისი გარკვეულობითა და სიტყვის სიმტკიცით, – ერთი ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს ჭეშმარიტებას. ის ტადარი, რომელიც დიადი ღმერთის ღირსეული საცხოვრებელი უნდა იყოს, უნდა აიგოს თანდათან, ყველას მონაწილეობით მილიონი თაობის მიერ, მამამთავარ ადამიდან ჩვენს დრომდე, – თქვა მასონმა და თვალი დახუჭა.
- უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ მწამს, არ... მწამს ღმერთი, – თქვა სინანულით და ძალდატანებით პიერმა, იგი გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო მთელი სიმართლე ეთქვა.
- მასონმა ყურადღებით შეხედა პიერს და გაუღიმა ისე, როგორც გაუღიმებდა მილიონების პატრონი ღარიბს, როცა ეს უკანასკნელი შესჩივლებდა, – არ გამაჩნია ხუთი რუბლი, რომელსაც ჩემი გაბედნიერება შეუძლიაო.
- თქვენ არ იცნობთ, ხელმწიფეო ჩემო, ღმერთს, – უთხრა მასონმა, – არც შეგიძლიათ იცნობდეთ. თქვენ არ იცნობთ მას და სწორედ ამიტომ ხართ უბედური.
- დიახ, დიახ, უბედური ვარ, – დაუდასტურა პიერმა, – მაგრამ რა უნდა ვქნა?
- თქვენ არ იცნობთ ღმერთს, ხელმწიფეო ჩემო, და ამიტომ ხართ ძალიან უბედური. თქვენ არ იცნობთ მას, ის კი აქ არის, ის ჩემშია, ჩემს სიტყვებში. ის შენშია, იმ წამბილწველ სიტყვებშიც კი, რომლებიც შენ წარმოთქვი ამჟამად, – მკაცრი, აკანკალებული ხმით მიუგო მასონმა.
- გაჩუმდა და ამოისუნთქა. ალბათ ცდილობდა, დამშვიდებულიყო.
- ღმერთი რომ არ არსებობდეს, – განაგრძო მან, – მე და თქვენ, ხელმწიფეო ჩემო, არ ვილაპარაკებდით მასზე. რაზე, ვისზე ვლაპარაკობდით? ვინ უარყავი შენ? – უეცრად წამოიძახა მან და ხმაში აღტაცება და თან სიმკაცრე დაეტყო, – ვინ გამოიგონა ღმერთი, თუ იგი არ არსებობს? რატომ დაიბადა შენში აზრი, რომ არსებობს ასეთი გაუგებარი არსება? რატომ იგულვეთ შენ და მთელმა ქვეყნიერებამ, რომ არსებობს ასეთი მიუწვდომელი არსება, არსება ყოვლისშემძლე, მარადიული და დაუსრულებელი ყველა თავის თვისებაში?.. – შეჩერდა და დიდხანს დუმდა.
- პიერს არ შეეძლო და არც უნდოდა დაერღვია ეს დუმილი.

– იგი არსებობს, მაგრამ შეცნობა მისი ძნელია, – დაიწყო კვლავ მასონმა; იგი პიერს არ უცქერდა, იცქირებოდა პირდაპირ, თავის წინ და თავისი ბებრული ხელებით, რომლებიც შინაგან ღელვას ამჟღავნებდნენ, ფურცლავდა წიგნს, – ის რომ კაცი ყოფილიყო, რომლის არსებობაც ეჭვს აღგიძრავდა, წავავლებდი ხელს იმ კაცს და მოვიყვანდი შენთან. მაგრამ როგორ ვაჩვენო მე, უბადრუკმა მოკვდავმა ადამიანმა, მისი მთელი ძლიერება, მთელი მარადისობა, მთელი სახიერება იმ ადამიანს, რომელიც უსინათლოა, ან იმას, ვინც თვალს ხუჭავს, რათა ვერ დაინახოს, ვერ შეიცნოს იგი და ვერ დაინახოს, ვერ გაიგოს მთელი თავისი ბიწიერება და მანკიერება? – მცირე ხანს შეჩერდა, – ვინა ხარ შენ? რა ხარ შენ? შენ ოცნებობ შენს თავზე, გგონია, რომ ბრძენი ხარ, იმიტომ გაბედე და წარმოთქვი ის წამბილწველი სიტყვები, – განაგრძო მან პირქუში, დამცინავი ღიმილით, – შენ იმ ბავშვზე უფრო სულელი და უგუნური ხარ, რომელიც, ოსტატურად აწყობილ საათის ნაწილებთან თამაშის დროს, გაბედავს და იტყვის, არაფერი მწამს იმ ოსტატისა, რომელმაც ეს საათი დაამზადაო; იტყვის ამას იმიტომ, რომ არ ესმის საათის დანიშნულება. შეცნობა ღვთისა ძნელია. ჩვენ საუკუნეებით, მამამთავარ ადამიდან დაწყებული დღემდე, ვმუშაობთ ამ შეცნობისთვის და მაინც დაუსრულებლად შორსა ვართ მიზნის მიღწევისგან; მაგრამ ღვთის შეუცნობლობაში ვხედავთ მხოლოდ ჩვენს სისუსტესა და ღმერთის სიდიადეს.

პიერი გულის ფანცქალით და ელვარე თვალებით შეჰყურებდა მასონს; არ აწყვეტინებდა სიტყვას, არაფერს ეკითხებოდა და სულითა და გულით იჯერებდა ყველაფერს, რასაც ეს უცხო კაცი ეუბნებოდა. სჯეროდა თუ არა მას ის გონიერი საბუთები, რომლებსაც მასონის სიტყვები შეიცავდნენ. თუ ერწმუნებოდა ისევე, როგორც ბავშვები ერწმუნებიან დაჯერებულ ინტონაციებს და გულითადობას, რაც ისე ისმოდა მასონის სიტყვაში, ერწმუნებოდა მისი ხმის კანკალს, რაც ზოგჯერ თითქმის აწყვეტინებდა ლაპარაკს, ან იქნება მოქმედებდნენ მასზე ეს ელვარე, ოდითგან იმავე რწმენით გატაცებული ბებრული თვალები, ან ის სიმშვიდე, სიმტკიცე და თავისი დანიშნულების შეგნება, რაც მასონის მთელი არსებიდან გამოსჰვიოდა და რაც განსაკუთრებით ძლიერ აოცებდა პიერს თავის მოშვებულობასა და უიმედობასთან შედარებით, – მაგრამ მას მთელი გულით უნდოდა ერწმუნა ის, რასაც მასონი ეუბნებოდა და სწამდა კიდევ. ამავე დროს გრძნობდა, რომ სულიერად მშვიდდებოდა და ცხოვრებას განახლებული უბრუნდებოდა.

– მისი შეცნობა შეიძლება არა გონებით, არამედ ცხოვრებით, – დაუმატა მასონმა.

– მე არ მესმის, – დაიწყო პიერმა და შიშით იგრძნო, როგორ ეუფლებოდა ეჭვი. მას აშინებდა მოსაუბრის საბუთების ბუნდოვანება და სისუსტე, ეშინოდა, ვაითუ ვერ ვირწმუნო მისი სიტყვებით, – მე არ მესმის, როგორ შეიძლება ადამიანის გონება ვერ ჩასწვდეს იმ ცოდნას, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ?

მასონმა გაიღიმა მშვიდი, მამობრივი ღიმილით.

– უმაღლესი სიბრძნე და ჭეშმარიტება წარმოადგენს, ასე ვთქვათ, უწმინდეს სითხეს, სინედლეს, რომლის აღქმაც ჩვენ გვინდა, – თქვა მან, – განა შემძლია ბინძურ ჭურჭელში მოვათავსო ეს წმინდა სითხე და ვიმსჯელო მის სიწმინდეზე? მხოლოდ ჩემი თავის შინაგანი განწმენდით შემძლია მივაღწიო ათვისებული სითხის ერთგვარ სისუფთავეს.

– დიახ, დიახ, ასეა! – სიხარულით წარმოთქვა პიერმა.

– უმაღლესი სიბრძნე არ ემყარება მარტოოდენ გონებას, იმ საერო მეცნიერებებს – ფიზიკას, ისტორიას, ქიმიასა და სხვებს, რომლებზეც იყოფა გონებრივი ცოდნა. უმაღლესი სიბრძნე ერთია. მას ერთი მეცნიერება აქვს – ყველაფრის მომცველი მეცნიერება, მეცნიერება, რომელიც ხსნის მთელ სამყაროს და ადამიანის ადგილს ამ სამყაროში იმისთვის, რომ დაიტოვოს შენში ეს მეცნიერება, უნდა განიწმინდო და განაახლო საკუთარი შინაგანი ადამიანი, და ამიტომ, ვიდრე ცოდნას მოიპოვებდე, უნდა ირწმუნო და

სრულყოფას ესწრაფო. ამ მიზანთა მისაღწევად ჩვენს სულში ჩანერგილია ღვთაებრივი სინათლე, სინდისად წოდებული.

– დიახ, დიახ, – დაუდასტურა პიერმა.

– შეხედე სულიერი თვალებით შენს შინაგან ადამიანს და შეეკითხე შენს თავს, კმაყოფილი ხარ თუ არა საკუთარი თავით? რას მიაღწიე მარტოდენ გონების ხელმძღვანელობით? რა ხარ შენ? თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით. ხელმწიფეო ჩემო, მდიდარი, ჭკვიანი, განათლებული. როგორ გამოიყენებ ყველა ეს მოცემული სიკეთე? კმაყოფილი ხართ თუ არა საკუთარი თავით და საკუთარი ცხოვრებით?

– არა, მე მძულს ჩემი ცხოვრება, – წარმოთქვა პიერმა და სახე შეიჭმუნა.

– გძულს? მაშ, შეცვალე იგი, განიწმინდე თავი და ამ განწმენდასთან ერთად შეიცნობ სიბრძნეს. შეხედეთ თქვენს ცხოვრებას, ხელმწიფეო ჩემო. როგორ ატარებდით მას? თავაშვებულ ორგიებსა და გარყვნილებაში: ყველაფერს იღებდით საზოგადოებისგან და არაფერს არ აძლევდით მას. თქვენ მიიღეთ სიმდიდრე. როგორ მოიხმარებთ მერე იგი? რა გააკეთებთ მოყვასისა თქვენისათვის? გიფიქრიათ თუ არა იმ თქვენს მონებზე, რომელთა რიცხვიც ათათასებს აღწევს, ეხმარებოდით თუ არა მათ ფიზიკურად და ზნეობრივად? არა, არ ეხმარებოდით. თქვენ სარგებლობდით მათი შრომით, რათა გარყვნილი ცხოვრება გეტარებინათ. აი, რა გააკეთებთ თქვენ. აირჩიეთ თუ არა ადგილი სამსახურისთვის, სადაც შეგემლოთ სარგებლობა მოგეტანათ მოყვასისათვის? არა, არ აგირჩევიათ. თქვენ უქმად ატარებდით თქვენ ცხოვრებას. მერე ცოლი შეირთეთ, ხელმწიფეო ჩემო. იკისრეთ პასუხისმგებლობა – გაგეწიათ ხელმძღვანელობა ახალგაზრდა ქალისთვის. მერე რა გააკეთებთ? თქვენ, ხელმწიფეო ჩემო, არ დაეხმარებთ მას, გამოეძებნა გზა ჭეშმარიტებისა, პირიქით, შთააგდეთ იგი სიცრუისა და უბედურების მორევში. ადამიანმა შეურაცხყოფა მოგაყენათ, თქვენ კი მოკალით იგი, და ამბობთ, ღმერთს არ ვიცნობო, მძულს ჩემი ცხოვრებაო. აჰ, ხელმწიფეო ჩემო, ბრძნული არაფერია.

ამ სიტყვების შემდეგ მასონი, თითქოს დაიღალა ხანგრძლივი ლაპარაკითო, კვლავ მიეყრდნო ზურგით დივანს და თვალი დახუჭა. პიერი შეჰყურებდა ამ მკაცრ, უძრავ, ბებრულ, თითქმის მკვდარ სახეს და უხმოდ ატოკებდა ტუჩებს. უნდოდა ეთქვა: დიახ, სამაგელ, უსაქმურ, გარყვნილ ცხოვრებას ვეწეოდიო, მაგრამ ვერ გაეხედა სიჩუმის დარღვევა.

მასონმა ხრინწიანად, ბებრულად ჩაახველა და მსახურს დაუძახა:

– როგორ არის ცხენების საქმე? – იკითხა მან ისე, რომ პიერისთვის არ შეუხედავს.

– მოიყვანეს, თუმცა საფოსტო ცხენები არ არის, – მიუგო მსახურმა. – მოსვენებას არ ინებებთ?

– არა, უბრძანე შეაბან.

„ნუთუ წავა და მარტოს დამტოვებს, არ მეტყვის ყველაფერს და არ დამპირდება დახმარებას? – გაიფიქრა პიერმა, მერე ფეხზე წამოდგა და თავი ჩაქინდრა, ბოლოს ოთახში სიარული დაიწყო. დროდადრო თვალს შეავლებდა ხოლმე მოხუცს, – დიახ, მე არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ მე საზიზღარ, გარყვნილ ცხოვრებას ვეწეოდი, თუმცა არ მიყვარდა იგი. არ მინდოდა ასეთი ცხოვრება, – ფიქრობდა პიერი, – ამ კაცმა კი ჭეშმარიტება იცის და რომ მოისურვოს, თვალს ამიხელს“. პიერს უნდოდა, მაგრამ ვერ გაეხედა ამისი თქმა მასონისთვის. მგზავრმა ჩვეული, ბებრული ხელებით ჩააწყო თავისი ნივთები და ტყაპუჭზე ღილები შეიკრა. როცა დაასრულა ყოველივე ეს, პიერს მიმართა გულგრილი, თავაზიანი კილოთი და ჰკითხა:

– თქვენ სად ინებებთ ახლა წაბრძანებას, ხელმწიფეო ჩემო?

– მეე?.. პეტერბურგს, – მიუგო პიერმა ბავშვური, გაუბედავი ხმით, – გმადლობთ. ყველაფერში გეთანხმებით. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მე მთლად ცუდი კაცი ვარ. სულითა და გულით მინდა ვიყო ისეთი, როგორც თქვენ გწადიათ, მაგრამ არასოდეს არავინ არ დამხმარებია... თუმცა, პირველ ყოვლისა, თვით მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. დამეხმარეთ, მასწავლეთ და იქნებ მე... – სიტყვა ველარ განაგრძო პიერმა, გული აუჩუყდა და სახე მიიბრუნა.

მასონი დიდხანს დუმდა, ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა.

– დახმარებას იძლევა მხოლოდ ღმერთი, – მიუგო მან. – მაგრამ იმ ცოტათი, რითაც შეუძლია დახმარების გაწევა ჩვენს ორდენს, იგი, ხელმწიფეო ჩემო, დაგეხმარებათ. თქვენ მიბრძანდებით პეტერბურგს, გადაეცით ეს გრაფ ვილარსკის (მან საფულე ამოიღო და ოთხად მოკეცილ ქაღალდის დიდ ფურცელზე რამდენიმე სიტყვა დაწერა), – ნება მიბოძეთ, ერთი რჩევა მოგცეთ. სატახტო ქალაქში ჩასვლისას პირველი დღეები შესწირეთ განმარტოებას, საკუთარი თავის განსჯა-განხილვას, ნუ დაადგებით ცხოვრების წინანდელ გზას. შემდეგ, ხელმწიფეო ჩემო, გისურვებთ მშვიდობით მგზავრობას, – თქვა მან, როცა დაინახა ოთახში შესული თავისი მსახური, – და წარმატებას...

როგორც პიერმა ზედამხედველის დავთრიდან გაიგო, მგზავრი ოსიპ ალექსეევიჩ ბაზდეევი გამოდგა. იგი ჯერ კიდევ ნოვიკოვის[149] დროის ერთ-ერთი ცნობილი მასონი და მარტინისტი[150] იყო. მისი წასვლის შემდეგ პიერი დიდხანს არ დაწოლილა, არც ცხენები მოუთხოვია, დადიოდა სადგურის მოსაცდელ ოთახში. მან თვალი გადაავლო თავის ბიწიერ წარსულს და, განახლების იმედით აღზნებულს. თვალწინ წარმოუდგა ნეტარი, უმწიკვლო და კეთილისმყოფელი მომავალი, რომლის მიღწევაც მას ასე ადვილ საქმედ ეჩვენებოდა. იგი ბიწიერი იყო, როგორც თვითონ წარმოედგინა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას როგორღაც შემთხვევით გადაავიწყდა, რა კარგია იყო სათნო ადამიანი. გულში წინანდელი ეჭვის კვალიც კი აღარ რჩებოდა. პიერს მტკიცედ სწამდა ადამიანთა ძმობა, რომელთაც აკავშირებდათ ერთი მიზანი – სათნოების გზაზე მხარი დაუჭირონ ერთმანეთს: სწორედ ასე წარმოედგინა მას მასონობა.

თავი მესამე

პეტერბურგში პიერმა არავის აცნობა თავისი ჩასვლის ამბავი. იგი არსად დადიოდა და მთელ დღეებს თომა კემპიელის[151] წიგნის კითხვაში ატარებდა; მან არ იცოდა, ვინ მოუტანა ეს წიგნი. კითხვის დროს ერთ, მხოლოდ ერთ რამეს გრძნობდა პიერი – აქამდე განუცდელ სიამოვნებას იმის გამო, რომ შეიძლება გწამდეს სრულყოფის მიღწევის შესაძლებლობა და ძმური და დაუცხრომელი სიყვარულის არსებობა ადამიანთა შორის. ის, რაც ბაზდეევმა გააგებინა.

პეტერბურგში ჩასვლის დღიდან ერთი კვირის შემდეგ, საღამოთი, მის ოთახში შევიდა ახალგაზრდა პოლონელი გრაფი ვილარსკი, რომელსაც პიერი ზერელედ იცნობდა პეტერბურგის უმაღლეს საზოგადოებაში ტრიალის დროს; შევიდა იგი ისეთივე ოფიციალური და საზეიმო იერით, როგორც თავს შედიოდა მასთან დოლოხოვის სეკუნდანიტი. გრაფმა კარი მიიხურა, და როცა დარწმუნდა, რომ ოთახში პიერის მეტი არავინ იყო, შემდეგი სიტყვებით მიმართა მას:

– გრაფ, მე მოვედი თქვენთან დავალებით და წინადადებით, – წარმოთქვა მან, – პიროვნებამ, ძალიან წარჩინებულმა ჩვენს ძმობაში, იშუამდგომლა, რათა თქვენ მიგიღონ ძმობაში ვადაზე ადრე, და წინადადება მომცა – თქვენი თავდები ვიყო. საღვთო მოვალეობად მიმაჩნია, შევასრულო ამ პიროვნების ნება-სურვილი. გსურთ თუ არა ჩემი თავდებობით შეხვიდეთ თავისუფალ ქვის მთელეთა ძმობაში?

პიერი გააოცა იმ კაცის ცივმა და სასტიკმა კილომ, რომელსაც იგი თითქმის ყოველთვის თავაზიანად გაღიმებულს ხედავდა ბალებზე, უალრესად ბრწყინვალე ქალების საზოგადოებაში.

– დიახ, მსურს, – მიუგო პიერმა.

ვილარსკიმ თავი დახარა.

– ერთი შეკითხვა კიდევ, გრაფ, – თქვა მან, – რომელზედაც გთხოვთ მიპასუხოთ არა როგორც მომავალმა მასონმა, არამედ როგორც galant homme (პატიოსანმა ადამიანმა) მთელი თქვენი გულწრფელობით: უარყავით თუ არა თქვენი წინანდელი რწმენანი, გწამთ თუ არა ღმერთი?

პიერი ჩაფიქრდა.

– დიახ... დიახ, მწამს ღმერთი, – მიუგო მან.

– თუ ასეა... – დაიწყო ვილარსკიმ, მაგრამ პიერმა გააწყვეტინა:

– დიახ, მწამს ღმერთი – თქვა მან კიდევ ერთხელ.

– თუ ასეა, – განაგრძო ვილარსკიმ, – მაშინ ჩემი კარეტა მზად არის თქვენი სამსახურისთვის.

ვილარსკი მთელი გზა დუმდა. პიერის შეკითხვაზე, როგორ უნდა მოიქცეს და რა უპასუხოს, ვილარსკიმ მიუგო მხოლოდ, ჩემზე ღირსეული ძმები გამოგცდიან და თქვენ მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე უნდა თქვათო.

განვლეს დიდი სახლის ჭიშკარი, რომელშიც მასონთა ლოჯა იყო მოთავსებული, გაიარეს ჩაბნელებული კიბე და შევიდნენ განათებულ მომცრო წინა ოთახში, სადაც მსახურთა დაუხმარებლად გაიხადეს ქურქები. წინა ოთახიდან მეორე ოთახში შევიდნენ. კართან გამოჩნდა უცნაურ სამოსში გამოწყობილი კაცი. ვილარსკი მიეგება მას, რაღაც წასჩურჩულა ფრანგულად და მივიდა მომცრო კარადასთან, სადაც პიერმა ჯერ არნახული სამოსი შენიშნა. ვილარსკიმ კარადიდან ხილაბანდი გამოიღო, თვალეზი აუხვია პიერს და ისე მაგრად მოუჭირა, რომ შიგ თმა მოაყოლა, მერე თავისკენ გადახარა, აკოცა, ხელი ხელზე წაავლო და სადღაც წაიყვანა. პიერს აწუხებდა მაგრად მოჭერილი ხილაბანდი, ამ ტკივილისგან სახეს იჭმუხნიდა და თან რაღაც მიზეზით გამოწვეული სირცხვილისგან იღიმებოდა. მისი უზარმაზარი ფიგურა დაბლა დაშვებული ხელებით, შეჭმუხნილი და მოღიმარი სახით, გაუბედავი და მოკრძალებული ნაბიჯით უკან მისდევდა ვილარსკის.

ათიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ ვილარსკი შეჩერდა.

– რაც უნდა შეგემთხვეთ, – მიმართა მან პიერს, – გულადად უნდა გადაიტანოთ ყველაფერი, თუ მტკიცედ გადაწყვეტით ჩვენს ძმობაში შემოსვლა (პიერი თავის დახრით თანხმობას უცხადებდა ყველაფერზე). როდესაც კარზე კაკუნს გაიგონებთ, ხილაბანდი მოიხსენით, – დაუმატა ვილარსკიმ, – გისურვებთ სიმამაცესა და წარმატებას, – თქვა ბოლოს მან, ხელი ჩამოართვა და გავიდა.

მარტო დარჩენილი პიერი კვლავ განაგრძობდა ღიმილს. ერთი-ორჯერ მხრები აიჩეჩა, ხელიც წაატანა ხილაბანდს, თითქოს უნდოდა აეწია იგი, და ისევ ძირს დაუშვა. ხუთი წუთი იყო თვალახვეული, მაგრამ ეს ხუთი წუთი ერთ საათად მოეჩვენა. ხელები უდუნდებოდა, მუხლები ეკვეთებოდა და ეჩვენებოდა, თითქოს დაიღალა კიდევ. უალრესად რთულ და გაურკვეველ მდგომარეობაში იყო: ეშინოდა, რადგან არ იცოდა, რა მოხდებოდა, უფრო მეტად კი ის აწუხებდა, როგორმე ეს შიში არ გამოეჩინა. ცნობისმოყვარეობა იპყრობდა: უნდოდა გაეგო, რა გადახდებოდა თავს, რა გადაეშლებოდა თვალწინ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის ახარებდა, რომ მოახლოვდა წუთი, როდესაც უნდა დაადგეს განახლებისა და სათნო ცხოვრების გზას, რაზედაც იგი ოცნებობდა ოსიპ ალექსევიჩთან შეხვედრის შემდეგ. კარზე ძლიერი კაკუნნი გაისმა. პიერმა ხილაბანდი მოიხსნა და გარშემო მიმოიხედა. ოთახში

წყვედიადი იდგა, მხოლოდ ერთგან ენთო რაღაც თეთრში ჩადგმული კანდელი. პიერი მიუახლოვდა და დაინახა, რომ კანდელი იდგა შავ მაგიდაზე, რომელზედაც ერთი გადაშლილი წიგნი იდო. ეს იყო სახარება. ის თეთრი, რაშიც კანდელი ენთო, ადამიანის თავის ქალა იყო თვალის ნახვრეტებითა და კბილებით. პიერმა წაიკითხა სახარების პირველი სიტყვები: „პირთველითგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმერთისა თანა“. პიერმა მაგიდას შემოუარა და დაინახა დიდი, რაღაცით სავსე ღია ყუთი. ეს იყო კუბო, რომელშიც ძვლები ეყარა. პიერი ოდნავადაც არ გაცოცხლდა იმით, რაც დაინახა. მას იმედი ჰქონდა, რომ სრულიად ახალ ცხოვრებას შეუდგებოდა, ისეთ ცხოვრებას, რომელიც სავსებით უნდა განსხვავებულიყო წინანდლისგან. ამიტომ იგი ყოველსავე არაჩვეულებრივს მოელოდა, იმაზე მეტად არაჩვეულებრივს, რაც უკვე ნახა. თავის ქალა, კუბო, სახარება – მას ეჩვენებოდა, თითქოს მოელოდა კიდევ ყოველივე ამის ნახვას, მოელოდა მეტსაც. ცდილობდა გული აეჩუყებინა და ამის მოლოდინში ირგვლივ იყურებოდა. „ღმერთი, სიკვდილი, სიყვარული, ადამიანთა ძმობა“, – ეუბნებოდა თავის თავს და ამ სიტყვებს ბუნდოვან, მაგრამ სასიხარულო წარმოდგენებს უკავშირებდა. კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა.

სუსტ შუქზე, რომელსაც პიერმა უკვე შეაჩვია თვალი, დაინახა მომცრო ტანის კაცი. სინათლიდან სიბნელეში შესული უეცრად შეჩერდა; მერე ფრთხილი ნაბიჯით მაგიდისკენ წაიწია და ზედ დააწყო ტყავის ხელთათმნიანი პატარა ხელები.

მომცრო კაცს ტყავის თეთრი წინსაფარი ეკეთა. წინსაფარი მკერდსა და ფეხების ნაწილს უფარავდა, კისერზე ყელსაბამის მსგავსი რაღაც ეკიდა, ხოლო ყელსაბამის ქვეშიდან მოუჩანდა მაღალი, თეთრი ჟაბო, რომელიც არშიასავით შემოვლებოდა ქვემოდან გამუქებულ მის მოგრძო სახეს.

– რატომ მოხვედით აქ? – ჰკითხა შემოსულმა და პირით იქით მიბრუნდა, სადაც პიერი იდგა და საიდანაც მისი ფაჩუნი მოესმა, – რატომ მოხვედით აქ, რა გინდათ ჩვენგან თქვენ, რომელსაც არა სწამს სინათლის ჭეშმარიტება და რომელიც ვერ ხედავს თვით სინათლეს? რა გინდათ – სიბრძნე, სიქველე, განათლება?

იმ წუთს, როცა კარი გაიღო და ეს უცნობი კაცი შევიდა, პიერმა ისეთივე შიში და მოწიწება იგრძნო, როგორც ბავშვობისას, აღსარების დროს მოსვლია. იგრძნო, რომ პირისპირ იდგა ადამიანთან, რომელიც სრულიად უცხო იყო მისთვის მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების მხრივ, მაგრამ ახლობელ ადამიანთა ძმობის მხრივ. აჩქარებული გულისცემა სულს უხუთავდა პიერს. მან რიტორისკენ (ასე ეწოდებოდა მასონს, რომელიც ძმობაში შესვლის მაძიებელს ამზადებდა) მიიწია. როცა პიერი ახლო მივიდა, მან იცნო რიტორი, იგი სმოლიანიწოვი გამოდგა. მაგრამ პიერს შეურაცხყოფად მიაჩნდა ფიქრიც კი, რომ ეს კაცი მისი ნაცნობი იყო: შესული იყო მხოლოდ ძმა და კეთილი დამრიგებელი. პიერმა დიდხანს ვერ ამოიღო ხმა. ასე რომ, რიტორი იძულებული გახდა გაემეორებინა კითხვა.

– დიახ, მე... მე... განახლება მწადია, – ძლივს მიუგო პიერმა.

– კეთილი, – თქვა სმოლიანიწოვმა და მაშინვე განაგრძო, – გაქვთ თუ არა წარმოდგენა იმ საშუალებებზე, რომლითაც ჩვენი წმინდა ორდენი დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში? – ჰკითხა რიტორმა მშვიდად და სწრაფად.

– იმედი მაქვს... ხელმძღვანელობას... დახმარებას... გამიწევთ, – თქვა პიერმა აკანკალებული ხმით და გაჭირვებით, რაც მღელვარების შედეგიც იყო და იმისაც, რომ იგი მიჩვეული არ იყო რუსულად ლაპარაკს განყენებულ საგნებზე.

– როგორი წარმოდგენა გაქვთ ფრანკმასონობაზე?

– მე ვფიქრობ, რომ ფრანკმასონობა არის *fraternité* (ადამიანთა ძმობა) და თანასწორობა, რომელსაც კეთილი მიზნები აქვს დასახული, – თქვა პიერმა; რცხვენოდა, რადგან ფიქრობდა, რომ მისი ლაპარაკი და მისი სიტყვები არ შეეფერებოდა ასეთ საზეიმო წუთებს, – მე ვგულისხმობ...

– კეთილი, – მიუგო რიტორმა სწრაფად, ეტყობოდა, სავსებით კმაყოფილი იყო მიღებული პასუხით, – ეძიებდით თუ არა საშუალებას მიზნის მისაღწევად რელიგიაში?

– არა, არ ვეძიებდი. მე იგი უმართებულოდ მიმაჩნდა და არ მივდევდი მას, – უპასუხა პიერმა ისე ხმადაბლა, რომ რიტორმა ვერ გაიგონა და ჰკითხა, რას ამბობთო, – მე ათეისტი ვიყავი, – მიუგო პიერმა.

– თქვენ ჭეშმარიტებას ეძიებთ იმისთვის, რომ ცხოვრებაში მის კანონებს მისდიოთ; მაშასადამე, თქვენ ეძიებთ სიბრძნეს და სათნოებას, ხომ ასეა? – ჰკითხა რიტორმა ერთი წუთის შეჩერების შემდეგ.

– დიახ, დიახ, – დაუმოწმა პიერმა. რიტორმა ჩაახველა, ხელთათმნიანი ხელები გულზე დაიკრიფა და დაიწყო:

– ახლა მე უნდა გაგიმჟღავნოთ ჩვენი ორდენის მთავარი მიზანი, – თქვა მან, – უკეთუ ეს მიზანი თანხვედრა თქვენს მიზანს, მაშინ ნაყოფიერი იქნება თქვენი შემოსვლა ჩვენს ძმობაში. ჩვენი ორდენის უპირველესი მიზანი და ამასთან, საფუძველი, რომელსაც იგი ემყარება და რომელსაც ვერავითარი ადამიანური ძალა ვერ დაამხოვს, არის დაცვა და გადაცემა შთამომავლობისთვის ერთგვარი თვალსაჩინო საიდუმლოებისა... უძველესი საუკუნეებიდან და თითქმის პირველი ადამიანიდან ჩვენამდე მოღწეულისა, რომელი საიდუმლოებისგანაც იქნებ დამოკიდებულიც იყოს ადამიანთა მოდგმის ბედი. მაგრამ რადგან ეს საიდუმლოება ისეთი თვისებისაა, რომ არავის შეუძლია მისი ცოდნა და მისით სარგებლობა, უკეთუ ამისთვის არ მოემზადა ხანგრძლივი და ბეჯითი განწმენდით, ყველა ვერ იქონიებს იმედს, რომ მალე მოიპოვებს მას. ამიტომ გვაქვს მეორე მიზანი, რომელიც წარმოადგენს იმას, რომ ვამზადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ჩვენი ძმები, გამოვასწოროთ მათი გული, განვწმინდოთ და გავანათლოთ მათი გონება იმ დიდი ადამიანების მიერ აღმოჩენილი და გადმონაცემი საშუალებებით, რომელთაც შრომა გასწიეს ამ საიდუმლოების ძიებაზე, და ამით მოვუპოოთ მათ აღნიშნული საიდუმლოების აღქმის უნარი. მესამე, ჩვენი წევრების განწმენდითა და გამოსწორებით ვცდილობთ ადამიანთა მთელი მოდგმის გამოსწორებას, რადგან, მაგალითად ვუსახავთ მათ ჩვენი წევრების ღვთისმოშიშობას და სათნოებას და ამით ვცდილობთ მთელი ძალ-ღონით ვებრძოლოთ ქვეყნიერებაზე გამეფებულ ბოროტებას. ჩაუფიქრდით ამას და მე კვლავ მოვალ თქვენთან, – თქვა მან და ოთახიდან გავიდა.

– ვებრძოლოთ ქვეყნიერებაზე გამეფებულ ბოროტებას... – გაიმეორა პიერმა და თვალწინ წარმოუდგა თავისი მომავალი მოღვაწეობა ამ ასპარეზზე. თვალწინ წარმოუდგა ისეთი ადამიანები, როგორც თვითონ იყო ამ ორი კვირის წინათ, და გონებაში იგი ჰკუთის სწავლებით და მოძღვრული სიტყვით მიმართავდა მათ. წარმოიდგინა, როგორ დაეხმარება სიტყვითა და საქმით ბიწიერ და უბედურ ადამიანებს, როგორ გაათავისუფლებს მჩაგვრელებისგან მათ მსხვერპლს. რიტორის მიერ დასახელებული სამი მიზნიდან განსაკუთრებით ახლობელი პიერისთვის იყო ეს უკანასკნელი – ადამიანის მოდგმის გამოსწორება. რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლოება, რომელიც რიტორმა მოიხსენია, თუმცა აღიზიანებდა მის ცნობისმოყვარეობას, მაგრამ არსებითად არ ეჩვენებოდა; ხოლო მეორე მიზანი, თავის განწმენდა და გამოსწორება, ნაკლებად იტაცებდა მას, რადგან იგი იმ წუთში სიამოვნებით გრძნობდა თავს სავსებით გამოსწორებულად წინანდელი ბიწიერებისგან, გრძნობდა, რომ ახლა მზად იყო მარტოდენ კეთილი საქმისთვის.

ნახევარი საათის შემდეგ რიტორი დაბრუნდა, რათა გადაეცა პიერისთვის ის შვიდი სათნოება, რომლებიც სოლომონის ტაძრის შვიდ საფეხურს შეესაბამებოდნენ და რომელნიც თავის თავში უნდა

გამოემუშავებინა ყოველ მასონს. ეს შვიდი სათნოება იყო: 1. თავმდაბლობა, ორდენის საიდუმლოს დაცვა; 2. მორჩილება ორდენის უმაღლეს პირთა წინაშე; 3. კეთილზნეობა; 4. სიყვარული კაცობრიობისადმი; 5. სიმამაცე; 6. სიუხვე; 7. სიყვარული სიკვდილისადმი.

– მეშვიდე სათნოების შესასრულებლად, – თქვა რიტორმა, – ეცადეთ სიკვდილზე ხშირი ფიქრით მიაღწიოთ იმას, რომ იგი გეჩვენებოდეთ არა საზარელ მტრად, არამედ მეგობრად... რომელიც ამ უბადრუკი ცხოვრებისგან ათავისუფლებს სიკეთისათვის შრომაში გაწამებულ სულს, რათა შეიყვანოს იგი იქ, სადაც მოელის ჯილდო და სიმშვიდე!

„დიახ, სწორედ ასე უნდა იყოს, – ფიქრობდა პიერი, როცა ამ სიტყვების შემდეგ რიტორი კვლავ განშორდა და დატოვა იგი განმარტოებული ფიქრისთვის, – სწორედ ასე უნდა იყოს, მაგრამ მე ჯერ კიდევ იმდენად სუსტი ვარ, რომ მიყვარს ცხოვრება, რომლის აზრიც ჩემთვის მხოლოდ ახლა ხდება თანდათან გასაგები“. მაგრამ პიერი საკუთარ სულში პოულობდა დანარჩენ ხუთ სათნოებას, რომელიც მან თითებზე ჩამოთვლით გაიხსენა: სიმამაცესაც, სიუხვესაც, კეთილზნეობასაც, სიყვარულსაც კაცობრიობისადმი და განსაკუთრებით მორჩილებასაც, რომლებიც არა სათნოებად, არამედ ბედნიერებად მიაჩნდა (მაგრამ ახლა მას ისე ახარებდა საკუთარი თვითნებობისგან გათავისუფლება და თავისი ნების დამორჩილება იმისთვის და იმათთვის, ვისთვისაც ცნობილი იყო უეჭველი ჭეშმარიტება). მეშვიდე სათნოება პიერს დაავიწყდა და ვერასგზით ვერ გაიხსენა.

მესამედ რიტორი უფრო ჩქარა დაბრუნდა და ჰკითხა პიერს, ისევ ისე მტკიცედ დგას თავის განზრახვაზე და სურს თუ არა, გადაიტანოს ყოველივე ის, რაც მას მოეთხოვება.

– მზად ვარ ყველაფრისთვის, – მიუგო პიერმა.

– უნდა გაცნობოთ ისიც, – თქვა რიტორმა, – რომ ჩვენი ორდენი თავის მოძღვრებას ასწავლის არა მარტო სიტყვით, არამედ სხვა საშუალებებითაც, რაც იქნებ უფრო ძლიერად მოქმედებს სიბრძნისა და სათნოების ჭეშმარიტ მაძიებელზე, ვიდრე მხოლოდ სიტყვიერი ახსნა-განმარტება. ამ ტამარს თავისი მორთულობით, რასაც თქვენ ხედავთ, სიტყვებზე უფრო მეტი უნდა აეხსნა თქვენი გულისთვის, უკეთეს იგი წრფელია. თქვენ შეიძლება შემდგომი მიღების დროსაც გაგეწიოთ ამგვარი ახსნა-განმარტება. ჩვენი ორდენი ჰბაძავს ძველ საზოგადოებებს, რომელნიც თავიანთ მოძღვრებებს იეროგლიფებით გამოავლენდნენ ხოლმე. იეროგლიფი, – განაგრძო რიტორმა, – არის რაიმე საგნის სახელწოდება, რომელიც არ შეიგრძნობა და რომელიც ასახულის მსგავს თვისებას შეიცავს.

პიერმა ძალიან კარგად იცოდა, რა იყო იეროგლიფი, მაგრამ სიტყვის დაძვრა ვერ გაეხედა. მდუმარედ უსმენდა რიტორს და გრძნობდა, რომ დაუყოვნებლივ დაიწყებოდა გამოცდა.

– უკეთეს მტკიცედ დგახართ თქვენს გადაწყვეტილებაზე, უნდა შევუდგე თქვენს შეყვანას ორდენში, – თქვა რიტორმა და ახლოს მივიდა პიერთან, – სიუხვის ნიშნად, გთხოვთ გადმომცეთ ყველა თქვენი ძვირფასი ნივთი.

– თან არაფერი მაქვს, – მიუგო პიერმა. მან გაიფიქრა, რომ სთხოვდნენ გადაეცა ყველაფერი რაც კი ჰქონდა.

– გადმომეცით ის, რაც ზედა გაქვთ: საათი, ფული, ბეჭედი.

პიერმა სწრაფად ამოიღო საფულე და საათი. დიდხანს ვერ წაიძრო მსუქანი თითიდან ნიშნობის ბეჭედი. როდესაც წაიძრო, მასონმა უთხრა:

– მორჩილების ნიშნად, გთხოვთ ტანთ გაიხადოთ.

პიერმა რიტორის მითითებით ფრაკი, ჟილეტი და მარცხენა ჩექმა გაიხადა. მასონმა მკერდის მარცხენა მხარეზე პერანგი გადაუწია, მერე დაიხარა და მარცხენა ფეხზე მუხლს ზევით პერანგის ამხანაგის ტოტი აუწია. პიერმა მოისურვა სწრაფად გაეხადა მარჯვენა ჩექმაც და აეწია პერანგის ამხანაგის მეორე ტოტიც, რათა გაეთავისუფლებინა შრომისგან უცხო ადამიანი, მაგრამ მასონმა უთხრა, საჭირო არ არისო და ფლოსტი მიაწოდა მარცხენა ფეხისთვის. პიერის სახეზე მისდა უნებურად აღიბეჭდა ბავშვური ღიმილი, რომელშიც გამოსჭვიოდა მორცხვობა, ეჭვი და საკუთარი თავის დაცინვა. ასე იდგა იგი მძა მასონის წინაშე ხელებდაშვებული და ფეხებგაჩაჩხული და მოელოდა მის ახალ ბრძანებებს.

– და, დასასრულ, გულწრფელობის ნიშნად, გთხოვთ გამიმჟღავნოთ თქვენი მთავარი მიდრეკილება, – რას უფრო ეტანებოდით? – ჰკითხა მასონმა.

– მიდრეკილება? მე იმდენი მიდრეკილება მქონდა, რომ... – მიუგო პიერმა.

– ის მიდრეკილება, რომელიც სათნოების გზაზე ყველაზე მეტ ყოყმანს იწვევდა.

პიერი ჩაფიქრდა, გონებაში ეძებდა ასეთ მიდრეკილებას.

„ღვინო? გაუმადლობა? უქმად ყოფნა? სიზარმაცე? სიფიცხე? სიბოროტე? ქალები?“ ხელახლა ჩამოთვალა ყველა ეს ნაკლი და გონების თვალთ აწონ-დაწონა ისინი. მაგრამ ვერ გამოერკვია, რომლისთვის მიეცა უპირატესობა.

– ქალები, – თქვა ბოლოს ჩუმი, ოდნავ გასაგონი ხმით.

მასონი არ შერხეულა და ამ პასუხის შემდეგ დიდხანს იდგა გაჩუმებული. ბოლოს მან პიერისკენ მიიწია, მაგიდიდან ხილაბანდი აიღო და კვლავ შეუხვია თვალები.

– უკანასკნელად გეუბნებით: მიაქციეთ მთელი ყურადღება თქვენს თავს, დაადეთ ბორკილები თქვენს გრძნობებს და ეძიეთ ნეტარება არა ვნებებში, არამედ საკუთარ გულში. ნეტარების წყარო არის არა ჩვენს გარეთ, არამედ ჩვენს შიგნით.

პიერი უკვე გრძნობდა ნეტარების ამ გამაგრილებელ წყაროს, რომელმაც ასე აავსო მისი გული სიხარულით და სიამით.

თავი მეოთხე

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო, რომ პიერის წასაყვანად ბნელ შენობაში შევიდა არა წინანდელი რიტორი, არამედ თავმდეები ვილარსკი, რომელიც მან ხმაზე იცნო. ახალ შეკითხვაზე, თუ რამდენად მტკიცეა მისი განზრახვა, პიერმა უპასუხა:

– დიახ, დიახ, თანახმა ვარ, – და ბავშვური ღიმილით გაბრწყინებული პიერი, გაღეღილი მსუქანი მკერდით, ცალ ფეხზე ფლოსტით, ხოლო მეორეზე ჩექმით, არეული და გაუბედავი ნაბიჯით წავიდა წინ. ვილარსკის პიერის გაღეღილ მკერდზე დაშნა მიეზღინა და ისე მიჰყავდა. ოთახიდან დერეფნებით წაიყვანეს, აბრუნეს წინ და უკან და ბოლოს მიიყვანეს ლოჟის კარებთან. ვილარსკიმ ჩაახველა, მას უპასუხეს ჩაქურების მასონური კაკუნით, შემდეგ კარი გაიღო მათ წინ. ვილაცამ ბოხი ხმით (პიერს კვლავ ახვეული ჰქონდა თვალები) ჰკითხა: ვინა ხარ, სად, როდის დაიბადეო და სხვ. შემდეგ კვლავ თვალახვეული წაიყვანეს სადღაც, სიარულის დროს ეუბნებოდნენ ალეგორიებს მისი მგზავრობის სიძნელეებზე, ღვთაებრივ მეგობრობაზე, ქვეყნიერების მარად მშენებელზე, სიმამაცეზე, რომლითაც მას უნდა გადაეტანა შრომა და განსაცდელი. ამ სიარულის დროს პიერმა შენიშნა, რომ მას ხან მაძიებელს უწოდებდნენ, ხან დატანჯულს, ხან მომთხოვნელს და ამ სიტყვებზე სხვადასხვანაირად აკაკუნებდნენ ჩაქურებს და დაშნებს. იმ დროს, როცა რაღაც საგანთან მიიყვანეს, მან შენიშნა, რომ ატყდა

ჩოჩქოლი და ხელმძღვანელთა შორის რაღაც არეულობა მოხდა. გაიგონა, როგორ შეეკამათნენ ერთმანეთს ჩურჩულით ირგვლივმყოფნი და როგორ მოითხოვდა ერთი, რომ პიერი რაღაც ხალიჩაზე გაეტარებინათ. ამის შემდეგ აიღეს მისი მარჯვენა ხელი და რაღაცაზე დადეს, ხოლო მარცხენით უბრძანეს ფარგალი მიედო მარცხენა მკერდზე და გაემეორებინა ორდენის კანონთა ერთგულების ფიცი, რომელსაც სხვა კითხულობდა. შემდეგ ჩააქრეს სანთლები, მოუკიდეს სპირტს, როგორც სუნით გაიგო პიერმა, და უთხრეს, მცირე შუქს დაინახავო. თვალებიდან ხილაბანდი მოხსნეს, და პიერმა სპირტის ცეცხლის სუსტ შუქზე, თითქოს სიზმარშიაო, დაინახა რამდენიმე კაცი, რომელნიც ისეთსავე წინსაფრებში, როგორც რიტორს ეცვა, მის პირდაპირ იდგნენ და რომელთაც მისი მკერდისკენ დაშნები მოედერებინათ. მათ შორის თეთრი, გასისხლიანებული პერანგით იდგა უცნობი მამაკაცი. ამის დანახვაზე პიერმა მკერდით წაიწია დაშნებისკენ, სწადა, შერჭობოდნენ ისინი მკერდში. მაგრამ დაშნებმა თავი აარიდეს, და პიერს მაშინვე კვლავ აუხვიეს თვალები.

– ახლა შენ მცირე სინათლე ნახე, – მოესმა მას ვიღაცის ხმა.

მერე კვლავ მოუკიდეს სანთლებს და უთხრეს, სრული სინათლე უნდა ნახო, ისევ აუხსნეს თვალები და ათ ხმაზე მეტმა უეცრად წამოიძახა: – Sic transit gloria mundi (ასე ქრება ამქვეყნიური დიდება. ლათ.)!

პიერი ნელ-ნელა მოდიოდა გონს. მან თვალი მოავლო ოთახს და იქ მყოფ ადამიანებს. შავით გადაფარებული გრძელი მაგიდის ირგვლივ თორმეტამდე მამაკაცი იჯდა. ყველას ისეთივე სამოსი ეცვა, როგორც იმათ, ვინც მანამდე ნახა. ზოგიერთს პიერი პეტერბურგის საზოგადოებიდან იცნობდა. თავმჯდომარის ადგილას უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა, კისერზე განსაკუთრებული ჯვარი ეკიდა. მის მარჯვნივ იჯდა იტალიელი აბატი, რომელიც პიერს ორი წლის წინათ ენახა ანა პავლოვნასთან. იყვნენ იქ კიდევ ერთი დიდად წარჩინებული კაცი და ერთიც შვეიცარიელი გუვერნიორი, რომელიც წინათ კურაგინებთან ცხოვრობდა. ყველა ღუმდა საზეიმოდ განწყობილი, ყველა ყურს უგდებდა თავმჯდომარეს, რომელსაც ხელში ჩაქუჩი ეჭირა. კედელში ჩასმული იყო ანთებული ვარსკვლავი; მაგიდის ერთ მხარეს მოჩანდა მომცრო ხალიჩა სხვადასხვა გამოსახულებით, მეორე მხარეს – საკურთხევლის მსგავსი რაღაც, რომელზედაც სახარება და თავის ქალა იდო. მაგიდის ირგვლივ იდგა შვიდი დიდი შანდალი, იმის მაგვარი, როგორსაც ეკლესიაში ხმარობენ. ორდენის ორმა ძმამ პიერი საკურთხეველთან მიიყვანა, მის ფეხებს მართკუთხა მდგომარეობა მიაღებინა. შემდეგ უბრძანეს, დაწოლილიყო, თანაც გამოუცხადეს, ტაძრის ბჭეთა წინაშე ემხოზიო.

– მან ჯერ ნიჩაბი უნდა მიიღოს, – თქვა ჩურჩულით ერთ-ერთმა ძმამ.

– ეჰ, კარგი ერთი! – მიუგო მეორემ.

იმის მაგივრად, რომ ბრძანებას დამორჩილებოდა, პიერმა არეული, ბეცი თვალებით ირგვლივ მიმოიხედა და უეცრად ეჭვი შეეპარა: „სადა ვარ? რას ჩავდივარ? ხომ არ დამცინიან? სირცხვილით ხომ არ მომიხდება ყოველივე ამის გახსენება?“ მაგრამ ეს ეჭვი მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა, პიერმა თვალი შეავლო გარშემომყოფთა სერიოზულ სახეებს, გაიხსენა ყველაფერი, რაც უკვე განვლო, და მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა შუა გზაზე გაჩერება. იგი შეადრწუნა თავისმა ეჭვმა, ტაძრის ბჭეთა წინაშე დაემხო და შეეცადა კვლავ დაებრუნებინა წინანდელი გრძნობა, და მართლაც კვლავ დაეუფლა ეს გრძნობა, წინანდელზე უფრო ძლიერი. კარგა ხანს იყო პიერი დამხოზილი. ბოლოს უბრძანეს, ამდგარიყო, გაუკეთეს ისეთივე თეთრი ტყავის წინსაფარი, როგორც სხვებს ეკეთათ და ხელში მისცეს ნიჩაბი და სამი წყვილი ხელთათმანი. მაშინ დიდმა ოსტატმა მიმართა პიერს. მან უთხრა, ეცადე არაფრით შებილწო სითეთრე ამ წინსაფრისა, რომელიც სიმტკიცეს და უბიწოებას წარმოადგენსო. შემდეგ გაურკვეველი ნიჩბის შესახებ უთხრა, ეცადე მისი შემწეობით განიწმინდო გული შენი ბიწიერებისგან და ლმობიერად გამოასწორო გული მოყვასისა შენისაო. მერე მამაკაცის პირველი

ხელთათმნის შესახებ უთხრა, მის მნიშვნელობას ვერ აგისხნი, მაგრამ უნდა გაუფრთხილდეო. მამაკაცის მეორე ხელთათმნის შესახებ გააფრთხილა: კრებებზე უნდა ატაროო. დასასრულ, მესამე, ქალის ხელთათმნის შესახებ უთხრა:

– ძვირფასო ძმაო, ეს ქალის ხელთათმანიც თქვენთვის არის განკუთვნილი. გადაეცით ეს იმ ქალს, რომელსაც ყველაზე მეტი პატივისცემის ღირსად მიიჩნევთ. ამა საბოძვართ თქვენ თქვენი გულის უბიწოებაში დაარწმუნებთ მას, ვისაც აირჩევთ თქვენთვის ღირსეულ ქვის მთელ ქალად, – მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა, – მაგრამ გახსოვდეს, ძვირფასო ძმაო, ამ ხელთათმანმა არ უნდა დაამშვენოს უწმინდური ხელები.

იმ დროს, როცა დიდი ოსტატი ამ სიტყვებს ამბობდა, პიერს ეჩვენა, რომ თავმჯდომარე შეშფოთდა. პიერი უფრო მეტად შეშფოთდა და ძალზე წამოწითლდა, ისე, როგორც ბავშვები წითლდებიან. მან მოუსვენრად მიმოიხედა ირგვლივ. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

სიჩუმე დაარღვია ერთ-ერთმა ძმამ, რომელმაც პიერი ხალიჩასთან მიიყვანა და რვეულიდან დაიწყო კითხვა ამ ხალიჩაზე გამოსახული ყველა ფიგურის ახსნა-განმარტებისა: მზის, მთვარის, ჩაქუჩის, შვეულის, ნიჩბის, გაუთლელი და კუბიკური ქვის, სვეტის, სამი სარკმლის და სხვ. შემდეგ პიერს დაუნიშნეს ადგილი, აჩვენეს ლოჯის ნიშნები, უთხრეს სიტყვა, რომელიც შესვლის დროს უნდა ეთქვა, და, ბოლოს, ნება დართეს დამჯდარიყო. დიდი ოსტატი შეუდგა წესდების კითხვას. წესდება ძალიან გრძელი გამოდგა და პიერს სიხარულის, მღელვარებისა და სირცხვილისგან ვერ გაეგო, რას უკითხავდნენ. მან ყური მიუგდო მხოლოდ წესდების უკანასკნელ სიტყვებს, რომლებიც დაამახსოვრდა კიდეც.

– „ჩვენს ტაძრებში ჩვენ არ ვიცით სხვა ხარისხები, – კითხულობდა დიდი ოსტატი, – გარდა იმათი, რომლებიც იგულისხმებიან სათნოებასა და ბიწიერებას შორის. ერთდე რაიმე განსხვავებას, რასაც შეუძლია დაარღვიოს თანასწორობა. გაეშურე ძმის დასახმარებლად. ვინც უნდა იყოს იგი, დაარიგე შემცდარი, ააყენე დაცემული და ნურასოდეს გულში ნუ გაივლებ ღვარძლსა და მტრობას ძმის წინააღმდეგ. იყავი ალერსიანი და გულითადი. დაანთე ყველას გულში სათნოების ცეცხლი. გაუნაწილე ბედნიერება მოყვასსა შენსა. დაე, ნურასოდეს ნუ ამღვრევს შურნი ამა წმინდა სიტკბოებასა.

„აპატიე მტერსა შენსა, ნუ გადაუხდი სამაგიეროს, თუ არა მარტოოდენ სიკეთით. შეასრულებ ამრიგად უმაღლეს კანონს და ჰპოვებ შენ მიერ დაკარგული ძველი სიდიადის კვალს“, – დაასრულა დიდმა ოსტატმა, ფეხზე წამოდგა, გადაეხვია პიერს და აკოცა.

პიერი, სიხარულის ცრემლებით თვალებზე, ირგვლივ იყურებოდა და არ იცოდა, რა ეპასუხა მილოცვაზე და ნაცნობობის განახლებაზე, რითაც იქ მყოფნი გარს შემოეხვივნენ. იგი არ ცნობდა არავითარ ნაცნობობას; ყოველი იქ მყოფი მხოლოდ ძმად მიაჩნდა და მოუთმენლად მოელოდა მათთან საქმის დაწყებას.

დიდმა ოსტატმა ჩაქუჩი დააკაკუნა, ყველანი თავიანთ ადგილებზე დასხდნენ, და ერთ-ერთმა წაიკითხა ქადაგება მორჩილების შესახებ.

დიდმა ოსტატმა სთხოვა დამსწრეთ, შეესრულებინათ უკანასკნელი მოვალეობა, ხოლო წარჩინებული პირი, რომელიც მოწყალების შემგროვებლის სახელს ატარებდა, შეუდგა ძმების შემოვლას და ფულის შეგროვებას. პიერს უნდოდა მოწყალების ფურცელზე აღენიშნა მთელი ის ფული, რაც თან ჰქონდა, მაგრამ შეეშინდა, ამით სიამაყე არ გამოეჩინა, და ჩაწერა იმდენი, რამდენიც სხვებმა ჩაწერეს.

სხდომა დამთავრდა და შინ მისვლისას პიერს ეჩვენებოდა, თითქოს იგი შორეული მგზავრობიდან დაბრუნდა, სადაც მან მრავალი წელი გაატარა; სრულიად შეიცვალა და ჩამორჩა ცხოვრების წინანდელ წესრიგსა და ჩვეულებებს.

თავი მეხუთე

ლოჟაში მიღების მეორე დღეს პიერი შინ იჯდა, წიგნს კითხულობდა და ცდილობდა ჩაჰკვირვებოდა კვადრატის მნიშვნელობას, რომელიც თავისი ერთი მხრით ღმერთს ასახავდა, მეორით – ზნეობრივ, მესამით – ფიზიკურ, მეოთხით – არეულ გამოსახულებებს. დროდადრო წიგნსა და კვადრატს თავს ანებებდა და ოცნებაში ცხოვრების ახალ გეგმას ისახავდა. გუშინ ლოჟაში უთხრეს, დუელის ამბავმა ხელმწიფის ყურამდე მიაღწიაო, და ურჩიეს, უმჯობესი იქნება პეტერბურგს გამოვლიყო. პიერს განზრახული ჰქონდა სამხრეთში მდებარე თავის მამულებში წასულიყო და იქ გლეხთა საქმეების მოგვარებას შესდგომოდა. იგი სიხარულით ფიქრობდა ამ ახალ ცხოვრებაზე, როცა ოთახში მოულოდნელად თავადი ვასილი შევიდა.

– ჩემო მეგობარო, რა ჩაიდინე მოსკოვში? რატომ წაეჩხუბე, mon cher, ლოლიას? შენ შემცდარი ხარ, – მიმართა თავადმა ვასილიმ შესვლისთანავე, – მე ყველაფერი გავიგე, დარწმუნებით შემძლია გითხრა, რომ ელენი უმწიკვლოა შენ წინაშე ისევე, როგორც ქრისტე – ურიების წინაშე.

პიერს უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ თავადმა ვასილიმ არ დააცადა.

– რატომ პირდაპირ და უბრალოდ არ მომმართე მე, როგორც მეგობარს? მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი მესმის, – თქვა მან, – შენ ისე იქცეოდი, როგორც შეშვების იმ ადამიანს, რომელიც თავის ღირსებას უფრთხილდება; იქნებ ცოტა აჩქარდი, მაგრამ ამას ნულარ გამოვუდგებო. ერთი დაიხსომე მხოლოდ: რა მდგომარეობაში გვგადებ ელენს და მე მთელი საზოგადოებისა და თვით სამეფო კარის თვალში? – დაუმატა მან ხმადაბლა, – ის მოსკოვში ცხოვრობს, შენ აქ. გახსოვდეს, ჩემო კარგო, – განაგრძო მან და პიერს სახელოზე მოქაჩა, – აქ მხოლოდ გაუგებრობაა; მე მგონია, შენ თვითონ გრძნობ ამას. ახლავე დაწერე წერილი, ელენი ჩამოვა და ყველაფერი გაირკვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ დაგიმალავე, ჩემო კარგო, ადვილად შეიძლება დაისაჯო.

თავადმა ვასილიმ მედიდურად გადახედა პიერს.

– სანდო წყაროებიდან გავიგე, რომ ქვრივი დედოფალი დიდ ინტერესს იჩენს მთელი ამ საქმისადმი. იცოდე, რომ იგი მოწყალე თვალთ უყურებს ელენს.

პიერმა რამდენჯერმე დააპირა პასუხის გაცემა, მაგრამ თავადმა ვასილიმ არ დააცადა, მეორე მხრივ, თვითონ პიერსაც ეშინოდა გადაჭრილი უარით მიემართა მისთვის, თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა სწორედ ასეთი პასუხით გაესტუმრებინა სიმამრი. გარდა ამისა, გაახსენდა მასონთა წესდების სიტყვები: „იყავ ალერსიანი და გულითადი“. პიერი შუბლს იჭმუნინდა, წითლდებოდა, დგებოდა და კვლავ ეშვებოდა სავარძელში. თავს ძალას ატანდა, რომ თავისი ცხოვრების უძნელესი განსაცდელის ჟამს პირში ეთქვა უსიამოვნო სიტყვა კაცისთვის, ეთქვა ის, რასაც არ მოელოდა ეს კაცი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. პიერი ისე მიეჩვია თავად ვასილის დაუდევარი, თავდაჯერებული კილოს მორჩილად შეხვედრას, რომ ახლაც გრძნობდა, რამდენად ძნელი იქნებოდა წინააღმდეგობა გაეწია მისთვის; მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, რომ იმაზე, რასაც ის ეტყოდა ამჟამად, დამოკიდებული იქნებოდა მთელი მისი შემდგომი ბედი: დაუბრუნდება ძველ, წინანდელ ცხოვრებას თუ დაადგება იმ ახალ გზას, რომელიც ასე მიმზიდველად დაუხატეს მას მასონებმა და რომელზედაც, როგორც მას მტკიცედ სწამდა, მიაღწევდა ახალი ცხოვრების აღორძინებას.

– მაშ ასე, ჩემო კარგო, – დაიწყო ხუმრობის კილოთი თავადმა ვასილიმ, – მითხარი, „ჰო“, და მეც შენ მაგიერ მივწერ ელენს და მსუქან ზვარაკსაც დავკლავთ.

მაგრამ თავადმა ვასილიმ ვერ მოასწრო თავისი ოხუნჯობის დამთავრება. პიერმა, გაცოფებული სახით, რომელიც იმ დროს მისი მამის სახეს მოგაგონებდათ, ისე, რომ თავად ვასილისთვის თვალეში არ შეუხედავს, ჩურჩულით თქვა:

– თავადო, მე, არ მომიწვევინართ აქ, გთხოვთ წაბრძანდეთ! – პიერი წამოხტა და კარი გაუღო, – რაღას უყურებთ, წაბრძანდით! – გაიმეორა მან. თან თავს არ უჯერებდა და გაუხარდა, როცა თავად ვასილის სახეზე შემფოთება და შიში დაინახა.

– რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ?

– მიბრძანდით! – ერთხელ კიდევ გაიმეორა პიერმა აკანკალებული ხმით.

და თავადი ვასილი იძულებული გახდა წასულიყო, წასულიყო ისე, რომ არავითარ ახსნა-განმარტებას არ ღირსებოდა.

ერთი კვირის შემდეგ პიერი გამოემშვიდობა თავის ახალ მეგობრებს – მასონებს, დაუტოვა მათ დიდი თანხა მოწყალების გასაცემად და გაემგზავრა თავის მამულში. მისმა ახალმა ძმებმა გაატანეს წერილები კიევსა და ოდესაში იქაურ მასონებთან, თანაც დაჰპირდნენ წერილების გაგზავნასა და ხელმძღვანელობას ცხოვრების ახალ გზაზე.

თავი მეექვსე

პიერისა და დოლოხოვის საქმე მიაფუჩიჩეს და თუმცა ხელმწიფე მაშინ ძალიან სასტიკად ეპყრობოდა დუელის მონაწილეებს, არ დასჯილან არც მოწინააღმდეგენი, არც მათი სეკუნდანტები. მაგრამ დუელის ისტორია, დადასტურებული პიერისა და მისი ცოლის განშორებით, გახმაურდა საზოგადოებაში. პიერმა, რომელსაც წყალობისა და მფარველობის თვალთ უყურებდნენ, როდესაც იგი უკანონო შვილი იყო, ეფერებოდნენ და ადიდებდნენ, როდესაც საუკეთესო სასიძო გახდა რუსეთის იმპერიაში, ძალიან ბევრი დაკარგა საზოგადოების თვალში ცოლის შერთვის შემდეგ, როდესაც გასათხოვარი ქალები და მათი დედები აღარაფერს გამოელოდნენ მისგან, მით უმეტეს, რომ პიერს არ შეეძლო და არც უნდოდა მოეგო საზოგადოების გული. ახლა მარტოდენ მას ამტყუნებდნენ იმაში, რაც მოხდა. ამბობდნენ, გონებაჩლუნგი კაცია, ეჭვიანი, მასაც მამასავით წამოუვლის ხოლმე შეუკავებელი ბრაზი და ცოფიო. და როდესაც პიერის სამხრეთისკენ გამგზავრების შემდეგ ელენი პეტერბურგში დაბრუნდა, იგი ყველა ნაცნობმა მიიღო არა მარტო გულთბილად, არამედ ერთგვარი პატივისცემითაც, რაც მის უბედურებას შეეფერებოდა. როდესაც ლაპარაკი მის ქმარზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ელენი ჩვეული ტაქტით იღებდა ერთხელვე შეთვისებულ ღირსეულ გამომეტყველებას, თუმცა მისი მნიშვნელობა არ ესმოდა. ეს გამომეტყველება ამბობდა, რომ მან გადაწყვიტა, უდრტვინველად გადაიტანოს თავისი უბედურება და რომ ქმარი მისთვის განგების მიერ მოვლენილი სატანჯველია. თავადი ვასილი აშკარად გამოთქვამდა თავის აზრს: როცა ლაპარაკი პიერზე ჩამოვარდებოდა, იგი მხრებს იჩეჩდა, შუბლზე თითს მიიღებდა და იტყოდა:

– Un cerveau fêlé – je le disais toujours (ნახევრად ჭკუაზე შემლილია, მე ყოველთვის ვამბობდი ამას).

– მე ადრევე ვთქვი, – გაიძახოდა თავის მხრივ ანა პავლოვნა პიერზე, – იმთავითვე და პირველმა (იგი დაჟინებით იცავდა თავის პირველობას), ვთქვი, რომ უფუნური ყმაწვილი კაცია-მეთქი, საუკუნის გარყვნილი იდეებით გაფუჭებული. მე ჯერ კიდევ მაშინ ვთქვი ეს, როდესაც ყველა აღტაცებული იყო

ბეზუხვით, როცა ის-ის იყო, საზღვარგარეთიდან დაბრუნდა იგი; ალბათ, გეხსომებათ, ერთხელ სალამოთი აქ, ჩემთან, მარატად როგორ გვიჩვენებდა თავს. რით დასრულდა მერე საქმე? მე იმთავითვე წინააღმდეგი ვიყავი ამ ქორწინებისა და ვიწინასწარმეტყველე ყოველივე, რაც მოხდებოდა.

ანა პავლოვნა თავისუფალ დღეებში წინანდებურად მართავდა სალამოებს, მართავდა ისეთივე უნარით, როგორც მარტოოდენ მას გააჩნდა. ამ სალამოებზე იკრიბებოდა, ჯერ ერთი, la crème de la véritable bonne société, la fine fleur de l'essence intellectuelle de la société de Pétersbourg (ნამდვილი, საუკეთესო საზოგადოების ნაღები, პეტერბურგის საზოგადოების ინტელექტუალური ესენციის რჩეული ნაწილი), როგორც თვით ანა პავლოვნა ამბობდა. გარდა საზოგადოების ასეთი ფაქიზი შერჩევისა ეს სალამოები იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ ყოველთვის, ყოველ სალამოზე ანა პავლოვნა თავის სტუმრებს აცნობდა ვინმე ახალ, საინტერესო პიროვნებას და რომ არსად ისე აშკარად და მტკიცედ, როგორც ამ სალამოებზე, არ მქდავდებოდა პოლიტიკური თერმომეტრის ის გრადუსი, რომელზედაც პეტერბურგის სამეფო კარის ლეგიტიმური საზოგადოების განწყობილება იდგა.

1906 წლის დამლევს, როდესაც უკვე მიღებული იყო სამწუხარო დაწვრილებითი ამბები ნაპოლეონის მიერ იენთან და აუერშტეტთან პრუსიის არმიის განადგურებისა და მისთვის პრუსიის ციხესიმაგრეთა უმეტესი ნაწილის გადაცემის შესახებ, როდესაც რუსი ჯარი უკვე შევიდა პრუსიაში და დაიწყო რუსების მეორე ომი ნაპოლეონთან, ანა პავლოვამ სალამო გამართა. ამჯერად, La crème de la véritable bonne société (ნამდვილი საუკეთესო საზოგადოების ნაღები) წარმოადგენენ მომხიბვლელი, მაგრამ უბედური, ქმრის მიერ მიტოვებული ელენი, MorteMarit'a, ვენიდან ახალჩამოსული მომხიბვლელი თავადი იპოლიტი, ორი დიპლომატი, მოხუცი დეიდა, ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც სასტუმრო ოთახში d'un homme de beaucoup de mérite (დიდი ღირსების ადამიანის) წოდებით სარგებლობდა, ერთი ფრეილინა (თავისი დედით), რომელსაც ფრეილინობა ახლახან ჰქონდა ნაბოძები, და ზოგიერთი სხვა, ნაკლებად შესამჩნევი სტუმარი.

ის ახალი პირი, რომელიც იმ სალამოთი ანა პავლოვნას სტუმრებისთვის უნდა წარედგინა, იყო ბორის დრუბეცკოი, რომელიც ის-ის იყო, ჩამოვიდა შიკრიკად პრუსიის არმიიდან და ადიუტანტად ითვლებოდა მეტად დიდ პიროვნებასთან.

იმ სალამოზე დასახული პოლიტიკური თერმომეტრის გრადუსი ასეთი იყო: რაც უნდა ეცადონ ევროპის ხელმწიფეები და სარდლები მოიგონ ბონაპარტეს გული, რათა უსიამოვნება და მწუხარება მოგვაცენონ მე და საერთოდ ჩვენ, არ შეიძლება შეიცვალოს ჩვენი აზრი ბონაპარტეს შესახებ. ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ ჩვენი პირუთვნელი აზრის გამოთქმაზე ამის შესახებ, ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ მხოლოდ პრუსიის მეფეს და სხვებს: „მით უარესი თქვენთვის. Tu l'as voulu, George Dandin (ეს გინდოდა შენ, ჟორჟ დანდენ)! აი ყველაფერი, რისი თქმაც შეგვიძლია“. აი, რაზე მიგვითითებდა პოლიტიკური თერმომეტრი ანა პავლოვნას სალამოზე.

როდესაც სასტუმრო ოთახში შევიდა ბორისი, რომელიც სტუმრებისთვის უნდა წარედგინათ, თითქმის მთელი საზოგადოება უკვე თავმოყრილი იყო და საუბარი, რომელსაც ანა პავლოვნა ხელმძღვანელობდა, შეეხებოდა ჩვენს დიპლომატიურ ურთიერთობას ავსტრიასთან და მასთან კავშირის გაბმას.

ადიუტანტის მოხდენილ მუნდირში გამოწყობილი, დავაჟკაცებული და ლაჟღაჟა ბორისი თავისუფლად შევიდა სასტუმრო ოთახში და როგორც მიღებული იყო, მისალმებისთვის ჯერ დეიდას წარუდგინეს და მერე საერთო წრეს.

ანა პავლოვნამ თავისი ხმელ-ხმელი ხელი გაუწოდა ბორისს საკოცნელად და გააცნო ზოგიერთი მათგანი, ვისაც იგი არ იცნობდა, და წარუდგინა ყოველი მათგანის ღირსება:.

– Le Prince Hyppolite Kouraguine – charmant jeune homme. M-r Kroug chargé d'affaires de Kopenhagen – un esprit profond, და უბრალოდ: M-r Shittoff un homme de beaucoup de mérite (თავადი იპოლიტ კურაგინი, საყვარელი ახალგაზრდა კაცი; ბატონი კრუგი, კოპენჰაგენის რწმუნებული, ღრმა მოაზროვნე; ბატონი შიტოვი, დიდი ღირსების ადამიანი).

ბორისმა თავისი სამსახურის მთელი პერიოდის განმავლობაში, ანა მიხაილოვნას მზრუნველობით, საკუთარი გემოვნებისა და თავშეკავებული ხასიათის მეოხებით მოახერხა ძალზე ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩაეყენებინა თავი სამსახურში. იგი ადიუტანტად ირიცხებოდა მეტად წარჩინებულ პიროვნებასთან, დაკისრებული ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი დავალება პრუსიაში, საიდანაც ის-ის იყო, დაბრუნდა შიკრიკად. მან სავსებით შეითვისა ის დაუწერელი სუბორდინაცია, რომელიც ასე მოეწონა ოლმიუცში და რომლის მიხედვითაც პრაპორშჩიკს შეეძლო შეუდარებლად მაღლა მდგარიყო გენერალზე. იმავე სუბორდინაციის მიხედვით, სამსახურში წარმატებისთვის საჭირო იყო არა თავგამოდება, არა შრომა, არა გამბედაობა, არა გამტანობა, არამედ მხოლოდ უნარი და ცოდნა იმისა, როგორ მოეპყრო მათ, ვინც სამსახურისთვის აჯილდოებს. ბორისს ხშირად თვითონაც აკვირვებდა თავისი სწრაფი წარმატება და ის, თუ რატომ არ ესმოდათ ეს გარემოება სხვებს. ამ აღმოჩენამ მთლად შეცვალა მისი ცხოვრება, მისი ურთიერთობა წინანდელ ნაცნობებთან, მთელი მისი მომავალი გეგმები. იგი მდიდარი არ იყო, მაგრამ თავის უკანასკნელ ფულს ხარჯავდა, რომ სხვებზე უკეთესად ყოფილიყო ჩაცმული; ბევრ რამეს დათმობდა, მაგრამ ნებას არ მისცემდა თავს, უხეირო ეტლით გაევიდა ან ძველი მუნდირით გამოჩენილიყო პეტერბურგის ქუჩებში. უახლოვდებოდა და ეცნობოდა ბორისი მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელნიც მასზე მაღლა იდგნენ და, მაშასადამე, გამოსადეგნი იქნებოდნენ მისთვის. უყვარდა პეტერბურგი და ეზიზღებოდა მოსკოვი. როსტოვების სახლისა და ნატაშასადმი ბავშვური სიყვარულის გახსენება უსიამოვნებას ჰგვრიდა. ჯარში წასვლის შემდეგ არც ერთხელ აღარ ყოფილა როსტოვებთან. ანა პავლოვნას სასტუმრო ოთახში, სადაც ყოფნა თვალსაჩინო სამსახურებრივ წარმატებად მიაჩნდა, ახლა ერთბაშად მიხვდა თავის როლს და უსიტყვოდ დაემორჩილა ანა პავლოვნას – გამოეყენებინა ის ინტერესი, რომელსაც იგი იწვევდა. ბორისი გულდასმით აკვირდებოდა ყოველ პირს და იკვლევდა თითოეულ მათგანთან დაახლოების შესაძლებლობას, იმ სარფს, რომლის გამორჩენაც მათგან შეიძლებოდა.

ბორისი დაჯდა ნაჩვენებ ადგილას, ლამაზი ელენის გვერდით და ყური მიუგდო საერთო ლაპარაკს.

– Vienne trouve les bases du traité proposé tellement hors d'atteinte, qu'on ne saurait y parvenir même par une continuité de succès les plus brillants, et elle met en doute les moyens qui pourraient nous les procurer. C'est la phrase authentique du cabinet de Vienne (წარდგენილი ხელშეკრულების საფუძვლები ვენას იმდენად მიუღებლად მიაჩნია, რომ მათი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მთელი რიგი ბრწყინვალე წარმატებებით; და მას ეჭვი ეპარება იმ საშუალებებში, რომელთა მეოხებითაც შეიძლება მათი მოპოვება). ეს ნამდვილი ფრაზაა ვენის კაბინეტისა, – წარმოთქვა დანიის chargé d'affaires (რწმუნებულმა).

– C'est le doute qui est flatteur (საქებური ეჭვია)! – დაუმატა ეშმაკური ღიმილით l'homme à l'esprit profond (ღრმად მოაზროვნემ).

– Il faut distinguer entre le cabinet de Vienne et l'Empereur d'Autriche (უნდა გავარჩიოთ ურთიერთისგან ვენის კაბინეტი და ავსტრიის იმპერატორი), – თქვა Mortemart-მა, – L'Empereur d'Autriche n'a jamais pu penser à une chose pareille, ce n'est que le cabinet qui le dit (ავსტრიის იმპერატორი არასოდეს გაიფიქრებდა ამას, ამას ამბობს მხოლოდ კაბინეტი).

– Eh, mon cher vicomte (ეჰ, ჩემო კარგო ვიკონტი), – ჩაერია ლაპარაკში ანა პავლოვნა, – l'Urope (იგი ევროპას ფრანგულად გამოთქვამდა განსაკუთრებული სიფაქიზით, რის ნებასაც თავს აძლევდა მხოლოდ ფრანგთან ლაპარაკისას), – l'Urope ne sera jamais notre alliée sincère (არასოდეს იქნება ჩვენი გულწრფელი მოკავშირე).

ამის შემდეგ ანა პავლოვნამ ლაპარაკი ჩამოაგდო პრუსიის მეფის სიმამაცესა და სიმტკიცეზე. ბორისიც ჩაება საუბარში.

ბორისი თავისი ჯერის მოლოდინში გულდასმით უსმენდა მოლაპარაკეს, მაგრამ იმავე დროს მან მოასწრო და რამდენჯერმე თვალი გადაჰკრა თავის მეზობელს, ლამაზ ელენს, რომლის თვალებიც ორ-სამჯერ ღიმილით შეხვდნენ ახალგაზრდა, ლამაზი ადიუტანტის თვალებს.

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ პრუსიის მდგომარეობაზე ლაპარაკის დროს ანა პავლოვნამ სთხოვა ბორისს, გადმოეცა გლოგაუში ჩასვლის ამბავი და ის მდგომარეობა, რომელშიც პრუსიის ჯარი აღმოჩნდა. ბორისმა აუჩქარებლად, სუფთა და სწორი ფრანგული ენით უამბო მსმენელებს მეტად ბევრი საინტერესო წვრილმანი ომსა და სამეფო კარზე. ლაპარაკის დროს გულმოდგინედ ერიდებოდა თავისი აზრის გამოთქმას გადმოცემული ფაქტების შესახებ. ერთხანს ბორისმა საერთო ყურადღება მიიპყრო, და ანა პავლოვნა გრძნობდა, რომ სტუმრებმა სიამოვნებით მიიღეს მის მიერ წარდგენილი ახალი პიროვნება. ყველაზე მეტი ყურადღება ბორისის ნაამბობისადმი ელენმა გამოიჩინა. იგი რამდენჯერმე შეეკითხა ბორისს მისი მგზავრობის ზოგიერთი წვრილმანის შესახებ და თითქოს დიდად დაინტერესდა პრუსიის ჯარის მდგომარეობით. როგორც კი ბორისმა დაასრულა მოყოლა, ელენმა ჩვეული ღიმილით მიმართა მას:.

– Il faut absolument que vous veniez me voir (უსათუოდ უნდა მოხრძანდეთ ჩემს სანახავად), – უთხრა ისეთი კილოთი, თითქოს, ზოგიერთი მოსაზრების გამო, რაც მას არ შეეძლო სცოდნოდა, ეს აუცილებლად საჭირო იყო, – Mardi entre les 8 et 9 heures. Vous me ferez grand plaisir (სამშაბათს 8-დან 9 საათამდე. დიდად მასიამოვნებთ).

ბორისი დაჰპირდა ამ სურვილის შესრულებას და ის-ის იყო, უნდა დაეწყო მასთან საუბარი, რომ ანა პავლოვნამ იგი დეიდასთან გაიხმო, რომელსაც ვითომ ბორისის მოსმენა სწადდა.

– თქვენ ხომ იცნობთ მის ქმარს? – ჰკითხა ანა პავლოვნამ, თან თვალები მილულა და მწუხარე ჟესტით ელენზე უჩვენა, – საუცხოო ქალია, მაგრამ უბედური. არაფერი თქვათ მასთან ქმარზე, ძალიან გთხოვთ. მეტად სამძიმო იქნება მისთვის.

თავი მეშვიდე

როდესაც ბორისი და ანა პავლოვნა სტუმრებს დაუბრუნდნენ, საუბრის სადავე თავადმა იპოლიტმა აიღო. მან სავარძელში ოდნავ წინ წაიწია და თქვა:

– Le Roi de Prusse (პრუსიის მეფე)! – თქვა და გაიცინა. ყველამ მისკენ იბრუნა პირი, – Le Roi de Prusse? – იკითხა მან, კვლავ გაიცინა და წყნარად და სერიოზულად ჩაჯდა სავარძლის სიღრმეში.

ანა პავლოვნამ ცოტათი შეიცადა, მაგრამ რადგან იპოლიტი დუმდა და აღარაფრის თქმას აღარ აპირებდა, ლაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, თუ როგორ წარიტაცა უღვთო ბონაპარტემ პოტსდამში ფრიდრიხ დიდის დაშნა.

– C'est l'épée de Frédéric le Grand, que je (ფრიდრიხ დიდის ეს დაშნა, რომელიც მე)... – დაიწყო მან, მაგრამ იპოლიტმა გააწყვეტინა:

– Le Roi de Prusse... – და როცა ისევე მისკენ მიიხედა ყველამ, კვლავ ბოდიში მოიხადა და გაჩუმდა.

ანა პავლოვნამ შუბლი შეკრა. Mortemart-მა, იპოლიტის მეგობარმა, გადაჭრით მიმართა ამ უკანასკნელს:

– Voyons à qui en avez vous avec votre Roi de Prusse (მერე რა ქნა პრუსიის მეფემ)?

იპოლიტმა გაიცინა, მაგრამ, თითქოს შერცხვა თავისი სიცილის და განაგრძო:

– Non, ce n'est rien, je voulais dire seulement (არა, არაფერი, მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა)... – განზრახული ჰქონდა გაემეორებინა ვენაში გაგონილი ოხუნჯობა, რომლის წარმოსათქმელადაც მთელ სადამოს ემზადებოდა, – Je voulais dire seulement, que nous avons tort de faire la guerre pour le roi de Prusse (მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა, რომ ჩვენ ტყუილად ვომობთ პრუსიის მეფისთვის).[152]

ბორისმა ოდნავ გაიღიმა, ისე, რომ იგი შეიძლებოდა მიეჩნიათ ოხუნჯობის დაცინვად, ან მის მოწონებად, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიიღებდნენ ამ ოხუნჯობას დამსწრენი. ყველამ გაიცინა.

– Il est très mauvais, votre jeu de mot, très spirituel, mais injuste (თქვენი სიტყვების ეგ თამაში მოსაწონი არ არის, ძალიან მოსწრებულია, მაგრამ უსამართლო), – თქვა ანა პავლოვნამ და თან დანაოქებული თითით დაემუქრა, – Nous ne faisons pas la guerre pour le Roi de Prusse (ანუ ფუჭი საქმისთვის), mais pour les bons principes. Ah, le méchant, ce prince Hippolyte! (ჩვენ ვომობთ კეთილი საწყისისთვის და არა პრუსიის მეფისთვის. ოო, რა ბოროტია ეს თავადი იპოლიტი)!

მთელ სადამოს ლაპარაკი არ შენელებულა, იგი უმთავრესად პოლიტიკური ამბების ირგვლივ ტრიალებდა. სადამოს მიწურულს, როცა შეეხნენ ხელმწიფის მიერ ნაბომებ ჯილდოებს, საუბარი განსაკუთრებით გაცხოველდა.

– ხომ მიიღო შარშან NN -მა სათუთუნე პორტრეტითურთ? – თქვა l'homme à l'esprit profond (ღრმად მოაზროვნე კაცმა): – რატომ არ შეუძლია SS-ს მიიღოს იგივე ჯილდო?

– Je vous demande pardon, une tabatière avec le portrait de l'Empereur est une récompense, mais point une distinction (უკაცრავად, სათუთუნე პორტრეტითურთ არის ჯილდო და არა წარჩინება, უფრო კი საჩუქარი, – შენიშნა დიპლომატმა un cadeau plutôt.

– Il y eu plutôt des antécédents, je vous citerai Schwarzenberg (იყო მაგალითები. დავასახელებ შვარცენბერგს).

– C'est impossible (ეგ შეუძლებელია), – შეესიტყვა ვიღაც.

– მოდის სანაძლეო! Le grand cordon, c'est différent (აი, ლენტი სხვა საქმეა)...

როდესაც ყველანი წასასვლელად წამოიშალნენ, ელენმა, რომელიც თითქმის არ ლაპარაკობდა მთელ სადამოს, კვლავ მიმართა ბორისს თხოვნით და ალერსიანი, ოდნავ შესამჩნევი ბრძანებით, უსათუოდ სწვეოდა სამშაბათს.

– ჩემთვის ეს ძალიან საჭიროა, – უთხრა მან ღიმილით და ანა პავლოვნას გადახედა, ხოლო ანა პავლოვნამ ელენის სურვილი დაადასტურა ისეთივე მწუხარე ღიმილით, როგორითაც იგი ამკობდა საკუთარ სიტყვებს თავის მაღალ მფარველზე საუბრისას. გეგონებოდათ, იმ სადამოს ბორისის მიერ პრუსიის ჯარის შესახებ წარმოთქმულმა რაღაც სიტყვებმა ერთბაშად აგრძნობინეს ელენს მისი ნახვის აუცილებლობა. ქალი თითქოს ჰპირდებოდა, რომ სამშაბათს აუხსნიდა ამ აუცილებლობას.

როდესაც ბორისი სამშაბათ სადამოს ელენს ეწვია მის საუცხოო სალონში, ყმაწვილმა კაცმა ვერ მიიღო ნათელი განმარტება, თუ რატომ იყო აუცილებელი მისი მისვლა. იყვნენ იქ სხვა სტუმრებიც, ელენი

ნაკლებად ელაპარაკებოდა მას და მხოლოდ გამომშვიდობებისას, როდესაც ბორისი ხელზე ჰკოცნიდა ელენმა მოულოდნელად, ღიმილის გარეშე, რაც ასე უცნაური იყო, ჩურჩულით უთხრა:

– Venez demain dîner... le soir. Il faut que vous veniez... Venez (მოზრძანდით ხვალ სადილად... საღამოთი, უნდა მოზრძანდეთ... უსათუოდ).

და პეტერბურგში ამ ჩასვლის დროს ბორისი ახლობელი კაცი გახდა გრაფინია ბეზუხოვას სახლში.

თავი მერვე

ომი გაჩაღდა და მისი ასპარეზი რუსეთის საზღვრებს უახლოვდებოდა. ყველგან წყევლა-კრულვა ისმოდა ადამიანთა მოდგმის მტრის – ბონაპარტეს წინააღმდეგ. სოფლად მებრძოლებსა და მოლაშქრეებს კრებდნენ. ომის ასპარეზიდან სხვადასხვა ცნობა მოდიოდა. როგორც ყოველთვის, ყალბი და ათასნაირად შეცვლილ-გადაკეთებული.

მოხუცი თავადი ბოლკონსკის, თავად ანდრეისა და კნიაჟნა მარიას ცხოვრება 1805 წლიდან ბევრ რამეში საგრძნობლად შეიცვალა.

1806 წელს მოხუცი თავადი დაინიშნა ერთ-ერთ მთავარსარდალად ლაშქრის გაწვევის საქმეში. მთელ რუსეთში რვა ასეთი მთავარსარდალი დაინიშნა. მოხუცმა თავადმა, თავისი ბებრული სისუსტის მიუხედავად, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა იმ ხანებში, როცა შვილი დაღუპული ეგონა, შეუძლებლად მიიჩნია უარი ეთქვა იმ თანამდებობაზე, რომელზედაც თვით ხელმწიფემ დანიშნა. ამ ახალგადაშლილმა სარბიელმა აღაფრთოვანა და გაამაგრა იგი. მოხუცი თავადი მოგზაურობდა სამ გუბერნიაში, რომლებიც მას ებარა. თავის მოვალეობას პედანტური სიზუსტით ასრულებდა, ხელქვეითებს ულმობელი სიმკაცრით ეპყრობოდა; ყოველ წვრილმანს თვითონ იკვლევდა და იძიებდა. კნიაჟნა მარია აღარ იღებდა მათემატიკის გაკვეთილებს მამისგან. მხოლოდ დილაობით პატარა თავად ნიკოლაით (როგორც მას პაპა ეძახდა) და ძიძის თანხლებით შედიოდა მამის კაბინეტში, როცა იგი შინ იყო. ჩვილი თავადი ნიკოლაი ძიძასთან და გადია სავინიშნასთან ერთად განსვენებული დედის ოთახებში ცხოვრობდა. კნიაჟნა მარია დღეებს მეტწილად საბავშვო ოთახებში ატარებდა და, რამდენადაც შეეძლო, დედობას უწევდა პატარა ძმისწულს. M-lle Bourienne-საც თითქოს გატაცებით უყვარდა ბავშვი. ამიტომ, მარია ხშირად თვითონ იკვლებდა სიამოვნებას და თავის მეგობარს ანდობდა პატარა ანგელოზის (ასე ეძახდა ძმისწულს) მოვლა-ლოლიაობასა და მასთან თამაშს.

ლისიგორის ეკლესიის საკურთხეველთან პატარა კნიაგინიას საფლაგზე აგებული იყო ნიში და ამ ნიშში იდგა იტალიიდან მოტანილი მარმარილოს ძეგლი, რომელიც ფრთებგაშლილ და ცაში ასაფრენად გამზადებულ ანგელოზს გამოხატავდა. ანგელოზს ზედა ტუჩი ოდნავ აწეული ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არის, უნდა გაიცინოსო; ერთხელ ნიშიდან გამოსული თავადი ანდრეი და კნიაჟნა მარია გამოუტყდნენ ერთმანეთს, რომ ანგელოზის სახე უცნაურად აგონებდა მათ განსვენებულის სახეს. მაგრამ ყველაზე უცნაური, რაც თავად ანდრეის დისთვის არ უთქვამს, იყო ის, რომ იმ გამომეტყველებაში, რაც მხატვარმა შემთხვევით მისცა ანგელოზის სახეს, თავადი ანდრეი კითხულობდა ლმობიერი საყვედურის იმავე სიტყვებს, რომლებიც მაშინ ამოიკითხა მიცვალებული ცოლის სახეზე: „ოჰ, რატომ ჩაიდინეთ ასეთი რამ?“

ანდრეის დაბრუნების შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მოხუცი თავადი გაეყარა შვილს და მისცა მას ბოგუჩაროვო, დიდი მამული, რომელიც ლისიგორიდან ორმოც ვერსზე მდებარეობდა. ანდრეიმ ისარგებლა ამით, შეუდგა ბოგუჩაროვოში მშენებლობას და მეტწილად დროს იქ ატარებდა. ასე მოიქცა ნაწილობრივ ლისიგორასთან დაკავშირებული მძიმე მოგონებების გამო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ

ყოველთვის ვერ ახერხებდა მამის ხასიათის ატანას, ნაწილობრივ კი იმიტომაც, რომ განმარტოება ესაჭიროებოდა.

აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ ანდრეიმ მტკიცედ გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა სამხედრო სამსახური, მაგრამ როდესაც ომი დაიწყო და ყველა ვალდებული იყო ემსახურა, ანდრეიმ სამხედრო სამსახურისგან თავის დასაღწევად მიიღო მამის ხელქვეითი თანამდებობა ლაშქრის შეგროვების საქმეში. მოხუცმა თავადმა და მისმა შვილმა 1805 წლის კამპანიის შემდეგ თითქოს გაცვალეს როლები: მოხუცი თავადი, თავისი მოქმედებით აღტყინებული, ყოველივე კარგს მოელოდა ახალი კამპანიისგან. თავადი ანდრეი კი, რომელიც არ მონაწილეობდა ომში და გულის სიღრმეში წუხდა ამას, პირიქით, მარტოდენ ცუდს ხედავდა ომში.

1807 წლის 28 თებერვალს მოხუცი თავადი ოლქში გაემგზავრა. ანდრეი, ისევე, როგორც მეტწილად მამის შინ არყოფნის დროს, ლისიგორაში დარჩა. პატარა ნიკოლუშკა უკვე ოთხი დღე უქეიფოდ იყო. მეეტლეებმა, რომელთაც მოხუცი თავადი წაიყვნეს და ქალაქიდან დაბრუნდნენ, თავად ანდრეის ქალაქელები და წერილები მოუტანეს.

კამერდინერი წერილებით ახალგაზრდა თავადის კაბინეტში შევიდა და რაკი იქ არავინ დახვდა, კნიაჟნა მარიას ოთახებისკენ გაემართა. მაგრამ თავადი ანდრეი არც იქ აღმოჩნდა. კამერდინერს უთხრეს, თავადი საბავშვო ოთახში წავიდაო.

– მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალეზავ, პეტრუშამ ქალაქელები მოიტანა, – მიმართა გადიის ერთ-ერთმა თანაშემწე გოგომ თავად ანდრეის, რომელიც პატარა საბავშვო სკამზე იჯდა და შუბლმეჭმუხნილი, აძვივებული ხელებით, შუშიდან წამალს აწვეთებდა წყლიან პატარა ჭიქაში.

– რა ამბავია? – იკითხა გაჯავრებულმა და ხელი აუკანკალდა, რის გამოც ზედმეტი წვეთები გადმოასხა შუშიდან. მან წამალი ჭიქიდან იატაკზე გადაღვარა და ახალი წყალი მოითხოვა. გოგომ წყალი მიაწოდა.

ოთახში ბავშვის პატარა საწოლი იდგა, ორი სკივრი, ორი სავარძელი, ჩვეულებრივი და საბავშვო მაგიდა და სკამი, რომელზედაც თავადი ანდრეი იჯდა. ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოფარებული, ხოლო მაგიდაზე სანთელი ენთო, რომელსაც ნოტების ყდიანი წიგნი ჰქონდა აფარებული, რომ შუქი ბავშვის საწოლს არ მისდგომოდა.

– ჩემო მეგობარო, – მიმართა ძმას კნიაჟნამ, რომელიც ბავშვის საწოლთან იდგა, – უმჯობესია დავიცადოთ... მერე...

– ეჰ, დამაცადე ერთი, სისულელეს ამბობ, შენ ისეც დიდხანს უცადე და აი, მოესწარი კიდეც, – მიუგო გაბოროტებულმა თავადმა ანდრეიმ ჩურჩულით, ეტყობოდა, უნდოდა რაღაც მწარე ეთქვა დისთვის.

– ჩემო მეგობარო, გეუბნები, უკეთესია არ გააღვიძო, უკვე დაიძინა, – მუდარის ხმით ეუბნებოდა მარია. თავადი ანდრეი წამოდგა და, ფეხის წვერებზე შემდგარი, ჭიქით ხელში საწოლთან მივიდა.

– მართლაც, იქნებ საჭირო არ იყოს გაღვიძება? – იკითხა მან გაუბედავად.

– როგორც გინდა... მე კი ვფიქრობ... შენი ნებაა, – მიუგო კნიაჟნამ, თან ერიდებოდა და რცხვენოდა, რომ მისმა აზრმა გაიმარჯვა. მან მიუთითა გოგოზე, რომელიც ჩურჩულით უხმობდა თავად ანდრეის.

მეორე ღამე იყო, რომ არც ერთს და არც მეორეს არ უძინია, უვლიდნენ დიდი სიციხით გატანჯულ ბავშვს. არ ენდობოდნენ შინაურ ექიმს და ელოდნენ მეორეს, რომლის მოსაყვანადაც კაცები გაგზავნეს ქალაქში. თვითონ კი მის ჩამოსვლამდე ხან ერთ საშუალებას მიმართავდნენ, ხან – მეორეს. უძილობით გატანჯულნი და შემფოთებულნი, ერთმანეთს სდებდნენ ბრალს, ერთმანეთს უსაყვედურებდნენ და ჩხუბობდნენ.

- პეტრუშამ მამათქვენის ქაღალდები მოიტანა, – ჩურჩულით თქვა გოგომ. თავადი ანდრეი გავიდა.
- რა ამბავია მანდ? – იკითხა გაჯავრებით. შემდეგ მოისმინა მამის სიტყვიერი ბრძანებები, ჩამოართვა გამოგზავნილი კონვერტები და წერილები და საბავშვო ოთახში დაბრუნდა.
- როგორ არის? – იკითხა მან.
- ისევ ისე. დაიცა, ღვთის გულისათვის. კარლ ივანიჩი მუდამ ამბობს, ძილი ყველაფერზე ძვირფასიაო, – ჩურჩულით თქვა და თან ამოიოხრა მარიამ.

თავადი ანდრეი ბავშვთან მივიდა და ხელი შეახო. ბავშვი სიციხისგან იწვოდა.

- მომშორდით თქვენი კარლ ივანიჩით! – წამოიძახა მან, აიღო ჭიქა შიგ ჩასხმული წვეთებით და ისევ საწოლთან მივიდა.
- André, არ არის საჭირო! – მიმართა კნიაჟნამ.

ანდრეიმ შუბლი შექმუხნა, გაბოროტებული და იმავე დროს გატანჯული თვალები შეავლო დას და ჭიქით ხელში ბავშვისკენ დაიხარა.

- მე კი მინდა წამალი მივცე, – მიუგო მან, – გთხოვ, დააღვივინე!

მარიამ მხრები აიჩეჩა, მაგრამ ჭიქა მაინც მორჩილად ჩამოართვა, გადიას დაუძახა და წამლის დაღვივებას შეუდგა. ბავშვმა წამოიყვირა და ჩაიხიხინა. ანდრეიმ შუბლი შეკრა, თავზე ხელი წაივლო, ოთახიდან გავიდა და მეზობელ ოთახში დივანზე ჩამოჯდა.

წერილები ჯერ კიდევ ხელში ეჭირა. ანგარიშმიუცემლად გახსნა ისინი და კითხვა დაიწყო. მოხუცი თავადი მსხვილი, მოგრძო ასოებით, აქა-იქ ქარაგმებით, ლურჯ ქაღალდზე სწერდა:

„მეტად სასიხარულო ცნობა მივიღე ამჟამად, შიკრიკის ხელით, თუ სიცრუე არ გამოდგა. ბენიგსენმა ეილაუსთან თითქოს სრული გამარჯვება მოიპოვა ბონაპარტეზე. პეტერბურგში ყველა ზეიმობს და ურიცხვი ჯილდო გაიგზავნა არმიასი. თუმცა გერმანელია, მაინც გილოცავ. ვერ გამიგია, რას აკეთებს კორჩევის უფროსი, ვიღაც ხანდრიკოვი: დღემდე არა ჩანან დამატებით გამოწვეულნი და სურსათ-სანოვანე. დაუყოვნებლივ გაეშურე და გადაეცი: თავს გავაგდებინებ, თუ ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი მზად არ იქნება. პრეისიმ-ეილაუს ბრძოლის შესახებ კიდევ მივიღე წერილი პეტენკასგან, რომელიც ამ ბრძოლაში მონაწილეობდა – ყველაფერი მართალია. როცა არ უშლიან ისინი, ვინც არ უნდა უშლიდეს, გერმანელიც კი ახერხებს ბონაპარტეს დამარცხებას. ამბობენ, ძალზე არეულ-დარეული გარბისო. იცოდე, არ დააყოვნო: გაეშურე კორჩევში და ყველაფერი შეასრულე!“

ანდრეიმ ამოიოხრა და მეორე კონვერტი გახსნა. ამ კონვერტში ორ ფურცელზე წვრილად დაწერილი ბილიბინის წერილი იდო. ანდრეიმ დაკეცა წერილი და კვლავ გადაიკითხა მამის წერილი, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „გაეშურე კორჩევში და ყველაფერი შეასრულე!“

„არა, ძმაო, ვიდრე ბავშვი არ გამოკეთდება, ვერ წავალ“, – გაიფიქრა მან, კართან მივიდა და ბავშვის ოთახში შეიხედა. კნიაჟნა ისევ საწოლთან იდგა და წყნარად არწევდა ბავშვს.

„ჰო, მართლა, რა უსიამოვნო ამბავს იწერება კიდევ? – ანდრეი იგონებდა მამის წერილის შინაარსს, – ჰო, ჩვენებმა გაიმარჯვეს ბონაპარტეზე, გაიმარჯვეს სწორედ მაშინ, როცა მე არ ვმსახურობ. დიახ, დიახ, ყველაფერი მე დამცინის... ეჰ, რას იზამ!“ და იგი შეუდგა ბილიბინის ფრანგული წერილის კითხვას. კითხულობდა, მაგრამ ნახევარი არ ესმოდა, კითხულობდა მხოლოდ იმიტომ, რომ წუთით მაინც დავიწყებოდა ის, რაზედაც განსაკუთრებულად დიდხანს და მწვავედ ფიქრობდა.

თავი მეცხრე

ბილიბინი ახლა არმიის მთავარ ბინაში იყო დიპლომატიურ მოხელედ და თუმცა მთელ კამპანიას ფრანგულ ენაზე აღწერდა სიტყვის ფრანგული ოხუნჯობებითა და მოქცევებით, მაგრამ აღწერდა მას განსაკუთრებული რუსული შეუპოვარი თვითდაგმობითა და თვითდაცინვით. ბილიბინი იწერებოდა, ჩემი დიპლომატიური *discretion* (მოკრძალება) მტანჯავსო და ბედნიერად მიიჩნევდა თავს, რომ თავად ანდრეის სახით ჰყავს ერთგული კორესპონდენტი, რომლის წინაშეც შეუძლია გამოამჟღავნოს გულში დაგროვილი ბოღმა იმის დანახვაზე, რაც არმიაში ხდება. ეს წერილი დიდი ხნის გამოგზავნილი იყო, ჯერ კიდევ პრეისიშ-ეილაუს ბრძოლამდე.

ბილიბინი იწერებოდა:

„Depuis nos grands succès d’Austerlitz vous savez, mon cher Prince, წმინდა ბილიბინი que je ne quitte plus les quartiers généraux. Décidément j’ai pris le goût de la guerre, et bien m’en a pris. Ce que j’ai vu ces trois mois, est incroyable.

Je commence ab ovo. L’ennemi du genre humain, comme vous savez, s’attaque aux Prussiens. Les Prussiens sont nos fidèles alliés, qui ne nous ont trompés que trois fois depuis trois ans. Nous prenons fait et cause pour eux. Mais il se trouve que l’ennemi du genre humain ne fait nulle attention à nos beaux discours, et avec sa manière impolie et sauvage se jette sur les Prussiens sans leur donner le temps de finir la parade commencée, en deux tours de main les rosse à plate couture et va s’installer au palais de Potsdam.

J’ai le plus vif désir, écrit le Roi de Prusse à Bonaparte, que V. M. soit accueillie et traitée dans mon palais d’une manière, qui lui soit agréable et c’est avec empressement, que j’ai pris à cet effet toutes les mesures que les circonstances me permettaient. Puissé-je avoir réussi! Les généraux Prussiens se piquent de politesse envers les Français et mettent bas les armes aux premières sommations.

Le chef de la garnison de Glogau avec dix mille hommes, demande au Roi de Prusse, ce qu’il doit faire s’il est sommé de se rendre?... Tout cela est positif.

Bref, espérant en imposer seulement par notre attitude militaire, il se trouve que nous voilà en guerre pour tout de bon, et ce qui plus est, en guerre sur nos frontières avec et pour le Roi de Prusse. Tout est au grand complet, il ne nous manque qu’une petite chose, c’est le général en chef. Comme il s’est trouvé que les succès d’Austerlitz auraient pu être plus décisifs si le général en chef eut été moins jeune, on fait la revue des octogénaires et entre Prosorofsky et Kamensky, on donne la préférence au derinier. Le général nous arrive en kibik à la manière Souvoroff, et est accueilli avec des acclamations de joie et de triomphe.

Le 4 arrive le premier courrier de Pétersbourg. On apporte les malles dans le cabinet du Maréchal, qui aime à faire tout par lui-même. On m’appelle pour aider à faire le triage des lettres et prendre celles qui nous sont destinées. Le Maréchal nous regarde faire et attend les paquets qui lui sont adressés. Nous cherchons – il n’y en a point. Le Maréchal devient impatient, se met lui même à la besogne et trouve des lettres de l’Empereur pour le comte T., pour le prince V. et autres. Alors le voilà qui se met dans une de ses colères bleues. Il jette feu et flamme contre tout le monde, s’empare des lettres, les décachète et lit celles de l’Empereur adressées à d’autres. Et il écrit le fameux ordre du jour au général Benigsen.

(„აუსტერლიცში ჩვენი ბრწყინვალე წარმატების შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, ძვირფასო თავადო, მე მთავარი ბინა აღარ მიმიტოვებია. აშკარად გამიტაცა ომმა და ამით კმაყოფილი ვარ; ის, რაც ამ სამ თვეში ვნახე, დაუჯერებელია.

ვიწყებ სულ თავიდან. თქვენთვის ცნობილ ადამიანთა მოდგმის მტერს იერიში მიაქვს პრუსიელებზე. პრუსიელები ჩვენი ერთგული მოკავშირეები არიან, რომელთაც მხოლოდ სამჯერ მოგვატყუეს სამი წლის განმავლობაში. ჩვენ ვესარჩლებით მათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ადამიანთა მოდგმის მტერი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩვენს საუცხოო სიტყვებს და თავისი უზრდელი და ველური მანერით თავს ესხმის პრუსიელებს, არ აძლევს მათ დროს, დაამთავრონ დაწყებული პარადი, სასტიკად ამარცხებს მათ და პოტსდამის სასახლეში იკალათებს.

„ძლიერ მსურს, – სწერს პრუსიის მეფე ბონაპარტეს, – რომ ჩემს სასახლეში თქვენი უდიდებულესობა ისე მიიღონ, რომ ამ მიღებამ უდიდესი სიამოვნება განგაცდევინოთ. მე განსაკუთრებული მზრუნველობით გავეცი ამისთვის საჭირო ყველა განკარგულება, რამდენადაც გარემოებამ ამისი ნება მომცა. ოჰ, ნეტავ მიმალწევინა მიზანს!“ პრუსიის გენერლები თავაზიანობით თავს იწონებენ ფრანგების წინაშე და პირველივე მოთხოვნაზე ნებდებიან მათ. გლოგაუს გარნიზონის უფროსი, რომელსაც ათი ათასი მეზობლი ჰყავდა, პრუსიის მეფეს შეეკითხა, როგორ მოვიქცეო. ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვფიქრობდით ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობით შიშის ზარი დაგვეცა მათთვის, მაგრამ საქმე იმით დასრულდა, რომ ომში ჩაგვაბეს ჩვენსავე საზღვარზე და, რაც მთავარია, პრუსიის მეფისთვის და ხელიხელჩაკიდებული მასთან. ყველაფერი უხვად გვაქვს, გვაკლია მხოლოდ მცირე რამ, სახელდობრ – მთავარსარდალი. რადგან აღმოჩნდა, რომ აუსტერლიცის წარმატებას შეიძლებოდა უფრო გადამჭრელი შედეგი მოჰყოლოდა, მთავარსარდალი რომ ასე ახალგაზრდა არ ყოფილიყო. ამიტომ შეუდგნენ ოთხმოცი წლის გენერლების გადასინჯვას, და პროზოროვსკისა და კამენსკის შორის ირჩევდნენ ამ უკანასკნელს. გენერალი სუვოროვისებურად კიბიტით [153] გვეწვია. იგი მხიარული შეძახილებითა და დიდი ზეიმით მიიღეს.

ოთხ რიცხვში ჩამოდის პირველი შიკრიკი პეტერბურგიდან. შემოაქვთ ჩემოდნები და ფელდმარშლის კაბინეტში, რომელსაც ყველაფრის გაკეთება საკუთარი ხელით უყვარს. მე მეძახიან წერილების გადარჩევაში დასახმარებლად და ჩვენი წერილების წამოსაღებად. ფელდმარშალმა ჩვენ მოგვანდო ეს საქმე. ახლა შემოგვყურებს და ელის თავის სახელზე გამოგზავნილ წერილებს. ვეძებთ, მაგრამ ვერ ვპოულობთ, არ არის მის სახელზე წერილები. ფელდმარშალი დელავს, თვითონ ჰკიდებს საქმეს ხელს და პოულობს ხელმწიფის წერილებს, გამოგზავნილს გრაფ ტ-ს, თავად ვ-ს და სხვების სახელზე. ბრაზი ერევა, მოთმინებას კარგავს, იღებს, ხსნის და კითხულობს სხვისი მისამართით გამოგზავნილ წერილებს. Et il écrit le fameux ordre du jour au général Benigsen (და წერს შესანიშნავ ბრძანებას გრაფ ბენიგსენის სახელზე):

„მე დაჭრილი ვარ, არ შემიძლია ცხენზე ჯდომა, მაშასადამე, არმიის სარდლობაც. თქვენ თქვენი კორპუსი კულტუსკში მიგიყვანიათ დამარცხებული. აქ იგი ღია პოზიციაზე დგას. არა აქვს არც შეშა, არც პირუტყვის საკვები, ამიტომ დახმარება უნდა, და რადგან გუშინ თავად მიმართეთ გრაფ ბუკსჰედენს, უნდა ვიფიქროთ ჩვენი საზღვრებისკენ დახვეის შესახებ; დღეს ეს უკან დახევა უნდა განხორციელდეს.

ყველა ჩემი წინანდელი მგზავრობისას, écrit-il à l'Empereur, იარები უნაგირისგანაც მივიღე, რაც ადრინდელთან ერთად ძალზე მიშლის ცხენით მგზავრობას და ასეთი დიდი არმიის ხელმძღვანელობას. ამიტომ არმიის სარდლობა გადავეცი უფროს გენერალს ჩემ შემდეგ, გრაფ ბუკსჰედენს, მასვე გადავაბარე მთელი მორიგეობა და ყოველივე, რაც მისგან გამომდინარეობს, ამასთან ვურჩიე, თუ პური არ იქნება, დაიხიონ პრუსიის შიდა ოლქებისკენ, იმიტომ, რომ პური ერთი დღის სამყოფილა დარჩა, ზოგიერთ პოლკს კი აღარაფერი გააჩნია, როგორც დივიზიის უფროსებმა ოსტერმანმა და სედმორეცკიმ განაცხადეს, გლეხებს კი ყველაფერი შეუჭამეს. თვით მე, ვიდრე განვიკურნებოდე, ოსტროლენკოს ჰოსპიტალში ვრჩები. იმ დღეს, როცა თქვენს

უქვემევერდომილესობას უწყისს ვაახლებ, გაცნობებთ, რომ თუ ჯარი თხუთმეტ დღეს კიდევ დაჰყოფს ამ ბანაკში, გაზაფხულისთვის მასში არც ერთი ჯანმრთელი კაცი აღარ დარჩება.

გაუშვით სოფელში მოხუცი, რომელიც ისედაც სახელგატეხილია, რომ ვერ შეძლო იმ დიდი და სასახელო ხვედრის შესრულება, რომლისთვისაც იგი აირჩიეს. თქვენს უმოწყალებს ნებართვას ამის შესახებ დაველოდები აქ, ჰოსპიტალში, რათა არ ვითამაშო გადამწერის როლი, არამედ სარდლის როლი ჯარში. ჩემი ჩამოშორება ჯარისგან არავითარ ხმაურს არ გამოიწვევს, თითქოს უსინათლომ მიატოვა ჯარი. ისეთი, როგორც მე ვარ, რუსეთში ათასობით მოიპოვება“.

და ბილიბინი განაგრძობს:

„Le Maréchal se fâche contre l'Empereur et nous punit tous; n'est ce pas que c'est logique!

Voilà le premier acte. Aux suivants l'intérêt et le ridicule montent comme de raison. Après le départ du Mariéchal il se trouve que nous sommes en vue de l'ennemi, et qu'il faut livrer bataille. Boukshevden est général en chef par droit d'ancienneté, mais le général Benigsen n'est pas de cet avis; d'autant plus qu'il est lui, avec son corps en vue de l'ennemi, et qu'il veut profiter de l'occasion d'une bataille „aus eigener Hand“ comme disent les Allemands. Il la donne. C'est la bataille de Poulousk qui est sensée être une grande victoire, mais qui à mon avis ne l'est pas du tout. Nous autres pekins avons, comme vous savez, une très vilaine habitude de décider du gain ou de la perte d'une bataille. Celui qui s'est retiré après la bataille, l'a perdu, voilà ce que nous disons, et à titre nous avons perdu la bataille de Poulousk. Bref, nous nous retirons après la bataille, mais nous envoyons un courrier à Pétersbourg, qui porte les nouvelles d'une victoire, et le général ne cède pas le commandement en chef à Boukshevden, espérant recevoir de Pétersbourg en reconnaissance de sa victoire le titre de général en chef. Pendant cet interrègne, nous commençons un plan de manœuvres excessivement intéressant et original. Notre but ne consiste pas, comme il devrait l'être, à éviter ou à attaquer l'ennemi; mais uniquement à éviter le général Boukshevden, qui par droit d'ancienneté serait notre chef. Nous poursuivons ce but avec tant d'énergie, que même en passant une rivière qui n'est pas guéable, nous brûlons les ponts pour nous séparer de notre ennemi, qui pour le moment, n'est pas Bonaparte, mais Boukshevden. Le général Boukshevden a manqué d'être attaqué et pris par des forces ennemies supérieures à cause d'une de nos belles manœuvres qui nous sauvait de lui. Boukshevden nous poursuit – nous filons. A peine passe-t-il de notre côté de la rivière, que nous repassons de l'autre. A la fin notre ennemi Boukshevden nous attrappe et s'attaque à nous. Les deux généraux se fâchent. Il y a même une provocation en duel de la part de Boukshevden et une attaque d'épilepsie de la part de Benigsen. Mais au moment critique le courrier, qui porte la nouvelle de notre victoire de Poulousk, nous apporte de Pétersbourg notre nomination de général en chef, et le premier ennemi Boukshevden est enfoncé: nous pouvons penser au second, à Bonaparte. Mais ne voilà-t-il pas qu'à ce moment se lève devant nous un troisième ennemi, c'est le православное qui demande à grands cris du pain, de la viande, des souchary, du foin, – que sais je! Les magasins sont vides, les chemins impraticables. Le православное se met à la Maraude, et d'une manière dont la dernière campagne ne peut vous donner la moindre idée. La moitié des régiments forme des troupes libres, qui parcourent la contrée en mettant tout à feu et à sang. Les habitants sont ruinés de fond en comble, les hôpitaux regorgent de malades, et la disette est partout. Deux fois le quartier général a été attaqué par des troupes de Mariaudeurs et le général en chef a été obligé lui même de demander un bataillon pour les chasser. Dans une de ces attaques on m'a emporté ma malle vide et ma robe de chambre. L'Empereur veut donner le droit à tous les chefs de divisions de fusiller les Mariaudeurs, mais je crains fort que cela n'oblige une moitié de l'armée de fusiller l'autre“.

(„ფელდმარშალი ხელმწიფეზე ჯავრობს და გვსჯის ჩვენ, ყველას. ეს სავსებით ლოგიკურია!

აი, კომედიის პირველი მოქმედება. შემდეგ მოქმედებებში, თავისთავად აშკარაა, ინტერესი და სერიოზურობა. ფელდმარშლის წასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჩვენ მოწინააღმდეგის პირისპირ ვდგავართ და აუცილებელი ხდება ბრძოლაში ჩაბმა. ბუკსჰედენი მთავარსარდალია უფროსობის მიხედვით, მაგრამ გენერალი ბენიგსენი სრულიად არ იზიარებს ამ აზრს, მით უმეტეს, რომ სწორედ ის დგას თავისი კორპუსით მოწინააღმდეგის პირისპირ. მას სურს გამოიყენოს ეს შემთხვევა ომის დასაწყებად და გამოიყენა კიდევ.

ეს პულტუსკის ბრძოლა უდიდეს გამარჯვებად მიიჩნევა, მაგრამ, ჩემი აზრით, სრულიადაც არ არის ასეთი. ჩვენ, არასამხედროებს, როგორც მოგეხსენებათ, მეტად ცუდი ზნე გვჭირს – ვჭრით და ვწყვეტთ მოგების თუ წაგების საკითხს. ვინც ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია, მან იგი წააგო! აი, რას ვამბობთ ჩვენ, და თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, პულტუსკის ბრძოლა ჩვენი მხრივ წაგებულად უნდა ჩაითვალოს. ერთი სიტყვით, ბრძოლის შემდეგ უკან ვიხევთ, პეტერბურგს კი შიკრიკს ვგზავნით გამარჯვების საცნობებლად. გენერალი ბენიგსენი არ უთმობს ჯარის უფროსობას გენერალ ბუკსჰედენს, რადგან იმედი აქვს, რომ მაღლობის ნიშნად გამარჯვებისთვის პეტერბურგიდან მთავარსარდალის წოდებას მიიღებს. ბატონობისთვის ამ კინკლაობის დროს ჩვენ ვიწყებთ მეტად ორიგინალურ და საინტერესო მანევრებს. ჩვენი გეგმა აღარ არის ის, რაც უნდა ყოფილიყო: ამ გეგმის მიხედვით, ჩვენ ან თავი უნდა აგვერიდებინა მოწინააღმდეგისთვის, ან იერიში მიგვეტანა მასზე, ახლა კი ჩვენი გეგმა იმაშია მხოლოდ, რომ გავექცეთ ბუკსჰედენს, რომელიც უფროსობის მიხედვით ჩვენი მეთაური უნდა ყოფილიყო. ამ მიზანს ჩვენ ისეთი ენერგიით ვახორციელებთ, რომ იმ მდინარეზე გადასვლისას, სადაც ფონი არ მოიპოვება, ვწვავთ ხიდს, რათა დავიშორეთ მტერი, რომელსაც ამჟამად წარმოადგენს არა ბონაპარტე, არამედ ბუკსჰედენი. ერთ-ერთი ასეთი მანევრის გამო, რომელმაც ბუკსჰედენისგან გადაგვარჩინა, მოწინააღმდეგე კინალამ თავს დაესხა დიდი ძალებით ამ უკანასკნელს და ცოტას გადარჩა, ტყვედ არ წაიყვანა იგი. ბუკსჰედენი ჩვენ გვდევნის, ჩვენ კიდევ გავრბივართ. გადავა თუ არა ის მდინარის ერთ ნაპირზე, ჩვენ კვლავ მეორე ნაპირს ვუბრუნდებით. ბოლოს, ჩვენმა მტერმა, ბუკსჰედენმა დაგვიჭირა და იერიში მოიტანა ჩვენზე. იწყება ახსნა-განმარტება. ორივე გენერალი ჯავრობს და საქმე მთავარსარდალებს შორის თითქმის დუელამდე მიდის. მაგრამ, საბედნიეროდ, უაღრესი დამაბულების დროს ბრუნდება შიკრიკი, რომელმაც პეტერბურგს პულტუსკის გამარჯვების ამბავი წაიღო, ბრუნდება და თან მოაქვს ცნობა მთავარსარდალის დანიშვნის შესახებ, და პირველი მტერი – ბუკსჰედენი დამარცხებულია. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ მეორე მტერზე – ბონაპარტეზე. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სწორედ ამ დროს ამხედრდა ჩვენს წინააღმდეგ მესამე მტერი – მართლმადიდებელი მხედრობა, რომელიც ხმამაღლა მოითხოვს პურს, ხორცს, ორცხობილას, თივას, შვრიას და ვინ იცის, კიდევ რას! მაღაზიები ცარიელია, გზები – გაუვალი. მართლმადიდებელი მხედრობა იწყებს ძარცვა-გლეჯას და ეს ძარცვა-გლეჯა იქამდე მიდის, რომ უკანასკნელ კამპანიას ასეთ რამეზე გაფიქრებაც კი არ შეეძლო. პოლკების ნახევარი თავისუფალ რაზმებს წარმოადგენენ, რომლებიც დადიან დაბა-სოფლად და ყველაფერს ცეცხლსა და მახვილს აძლევენ. მოსახლეობა გაცამტვერებულია, საავადმყოფოები გაჭედული ავადმყოფებით, ყველგან შიმშილია. მაროდორები ორჯერ მთავარ სადგომსაც კი დაეცნენ, და მთავარსარდალი მათ გასარეკად იძულებული გახდა ჯარისკაცთა ბატალიონისთვის მიემართა, ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს გაიტაცეს ჩემი ცარიელი ჩემოდანი და ხალათი. ხელმწიფეს სურს ნება დართოს დივიზიის ყველა უფროსს – დახვრიტონ მაროდორები, მაგრამ მე ძალიან ვშიშობ, რომ ამან არ აამხედროს ჯარის ერთი ნახევარი მეორე ნახევრის დასახვრეტად“).

თავადი ანდრეი ჯერ ზერეულედ კითხულობდა, მაგრამ შემდეგ თავისდა უნებურად იმან, რასაც კითხულობდა (მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, თუ რამდენად დაეჯერებოდა ბილიბინს), უფრო და უფრო დააინტერესა. როცა ჩაიკითხა ეს ნაწილი, წერილი დაჭმუჭნა და გადააგდო. აჯავრებდა არა ის, რაც წერილში წაიკითხა, არამედ ის, რომ იქაური, მისთვის უცხო ცხოვრება ასე

აღელვებდა. თვალი დახუჭა, შუბლზე ხელი გადაისვა, თითქოს უარყოფდა მონაწილეობას ყოველივე იმაში, რასაც კითხულობდა, და ყური მიუგდო იმას, რაც საბავშვო ოთახში ხდებოდა. უეცრად მოეჩვენა, თითქოს კარს იქიდან რაღაც უცნაური ხმა მოისმა. თავზარი დაეცა, შეემინდა, ხომ არაფერი შეემთხვა ბავშვს იმ დროს, როცა წერილს ვკითხულობდიო. ბავშვის ოთახის კართან მივიდა ფეხის წვერებზე და გამოაღო.

იმ წუთს, როცა ანდრეი ოთახში შედიოდა, თვალი მოჰკრა, თითქოს გადიამ რაღაც მიმაღა მისგან, შენიშნა ისიც, რომ კნიაჟნა საწოლთან აღარ იყო.

– ჩემო მეგობარო, – მოესმა ამ დროს ზურგს უკან, როგორც მას მოეჩვენა, მარიას სასოწარკვეთილი ჩურჩული.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე ხანგრძლივი უძილობისა და მღელვარების შემდეგ, უმიზეზო შიშმა მოიცვა ანდრეის მთელი არსება: თავში გაუელვა, ნამდვილად მოკვდა ბავშვიო. ყველაფერი, რაც გაიგონა და დაინახა, ამ შიშის დამადასტურებლად მოეჩვენა.

„ყველაფერი დასრულდა“, – გაიფიქრა და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე. გონებაარეული მივიდა საწოლთან, დარწმუნებული, რომ ცარიელი დახვდებოდა იგი, რომ გადიამ მიმაღა მკვდარი ბავშვი. ფარდები გადასწია და მისმა დამფრთხალმა, არეულმა თვალებმა დიდხანს ვერ შეამჩნიეს ბავშვი. ბოლოს დაინახა იგი: ლოყებაწითლებული, ხელებგაშლილი, გარდიგარდმო იწვა საწოლზე, თავი ბალიშის ქვემოთ ჩამოცურებოდა, ტუჩებს აცმაცუნებდა ძილში და მშვიდად სუნთქავდა.

თავად ანდრეის ბავშვის დანახვა ისე გაუხარდა, თითქოს დაკარგული ეპოვოს. დაიხარა, და როგორც დამ ასწავლა, ტუჩებით გასინჯა, ჰქონდა თუ არა ბავშვს სიცხე. ნაზი შუბლი დასველებოდა. ახლა თავზე დაადო ხელი, თმაც კი სველი ჰქონდა, ისე გაოფლიანებულიყო. აშკარა იყო, რომ კრიზისს გაევილო და ბავშვი უკვე გამომრთელებულიყო. თავად ანდრეის უნდოდა ხელი დაევილო ბავშვისთვის, ჩაებლუჯა, გულში ჩაეკრა ეს პატარა, უმწეო არსება. მაგრამ ვერ გაბედა. იდგა მის წინ, ათვალეერებდა მის თავს, პაწაწა ხელებს, საბანქვეშ ასე გარკვეულად გამოსახულ ფეხებს. მოისმა ფაჩუნი და ვიდაცის ჩრდილი დაინახა საწოლის ფარდასთან. უკან არ მიუხედავს, ბავშვს დაჰყურებდა სახეზე და ყურს უგდებდა მის მშვიდ სუნთქვას. შავი ჩრდილი კნიაჟნასი იყო, რომელიც ჩუმი ნაბიჯით მივიდა საწოლთან, ფარდა გადასწია და შესვლის შემდეგ კვლავ დაუშვა. ანდრეიმ უკან მიუხედავად იგრძნო, ვინ შევიდა და ხელი გაუწოდა. დამ მაგრად ჩამოართვა ხელი.

– ოფლი მოუვიდა, – თქვა თავადმა ანდრეიმ.

– შენთან წამოვედი, რომ მეთქვა ეს.

ბავშვი ოდნავ შეტოკდა ძილში, გაიღიმა და შუბლი ბალიშს მოუცაცუნა.

ანდრეიმ დას შეხედა. მარიას შუქმფენი თვალები, ფარდის მქრქალ შუქზე, ჩვეულებრივზე მეტად ბრწყინავდნენ ბედნიერი ცრემლებისგან. კნიაჟნა მმისკენ გადაიხარა და აკოცა. ამ დროს იგი ოდნავ წამოედო ფარდას. ისინი თითქმის დაემუქრნენ ერთმანეთს. ერთხანს კიდევ იდგნენ მქრქალ შუქზე, თითქოს არ სურდათ განშორებოდნენ ბავშვის სამყაროს, სადაც ისინი, სამი ადამიანი, მოწყვეტილნი იყვნენ მთელ ქვეყნიერებას. ანდრეი პირველი მოშორდა საწოლს; გასვლის დროს თმით გამოედო ფარდის მარმამს.

„დიახ, ეს ერთადერთია, რაც მე შემრჩა ამჟამად“, – წარმოთქვა მან და ამოიოხრა.

თავი მეათე

მასონთა ძმობაში მიღების შემდეგ არ გასულა დიდი დრო, რომ პიერი კიევის გუბერნიაში გაემგზავრა, სადაც მისი გლეხების უმეტესობა ცხოვრობდა. წასვლისას პიერმა თან წაიღო თავისი შედგენილი სახელმძღვანელო, თუ რა უნდა გაეკეთებინა თავის მამულებში. კიევში ჩასვლისას მთავარ კანტორაში დაიბარა ყველა მოურავი და განუმარტა თავისი განზრახვა და სურვილები. პიერმა განუცხადა მათ, რომ დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს გლეხთა სრული გათავისუფლებისთვის ბატონყმური დამოკიდებულებისგან და რომ მანამდე გლეხებს არ უნდა დააკისრონ ზედმეტი სამუშაო, ჩვილბავშვიანი ქალები არ უნდა გაგზავნონ სამუშაოდ, გლეხებს დახმარება უნდა გაუწიონ, ფიზიკური დასჯის მაგიერ უნდა მიმართონ შეგონება-დაჯერებას, ყველა მამულში უნდა მოეწყოს საავადმყოფო, თავშესაფარი და სკოლა. ზოგიერთი მოურავი (იყვნენ იქ წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე ეკონომებიც) შეშინებული უგდებდა ყურს. პიერის ნათქვამიდან მათ ის აზრი გამოიტანეს, რომ ახალგაზრდა გრაფი უკმაყოფილოა მართვა-გამგეობით და ფულის მითვისებითო; სხვებმა, პირველი შიშის შემდეგ, სასაცილოდ მიიჩნიეს პიერის ლულული და ახალი, ჯერ გაუგონარი სიტყვები; ზოგს სიამოვნებას ჰგვრიდა იმის მოსმენა, თუ როგორ ლაპარაკობდა მათი ბატონი; ზოგიერთები კი, ყველაზე ჭკვიანები, მათ შორის მთავარი მმართველი, ამ სიტყვიდან მიხვდნენ, თუ როგორ უნდა მოეპყრან ბატონს თავიანთი მიზნების მისაღწევად.

მთავარი მმართველი დიდი თანაგრძნობით შეხვდა პიერის განზრახვას, მაგრამ შენიშნა, რომ ამ გარდაქმნის გარდა, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ პრობლემებს, რომლებიც აუცილებლად მოსაგვარებელიაო.

მიუხედავად უზარმაზარი სიმდიდრისა, რომელიც პიერმა მიიღო, – როგორც ამბობდნენ, იგი ხუთასი ათას რუბლს უდრიდა წლიურ შემოსავალს, – იგი ბევრად უფრო ნაკლებ მდიდრად გრძნობდა თავს, ვიდრე მაშინ, როცა ათი ათას რუბლს იღებდა განსვენებული გრაფისგან. საერთოდ, პიერს ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი ბიუჯეტი. ყველა მამულის ხაზით სამეურვეო საბჭოში შეჰქონდათ ოთხმოცი ათასი; ოცდაათი ათასამდე ჯდებოდა მოსკოვის გუბერნიაში არსებული მამული, მოსკოვის სახლი და თავადის ქალიშვილების შენახვა; თხუთმეტი ათასამდე იხარჯებოდა პენსიებზე, ამდენივე – სამადლო დაწესებულებებზე; გრაფინიას საცხოვრებლად ეგზავნებოდა ას ორმოცდაათი ათასი; ვალების სარგებელი სამოცდაათი ათას რუბლს აღწევდა; დაწყებული ეკლესიის აგებას ორი წლის განმავლობაში დასჭირდა ათი ათასამდე; დანარჩენი ასი ათას რუბლამდე თვითონაც არ იცოდა, რაზე იხარჯებოდა, და თითქმის ყოველ წელიწადს პიერი იძულებული ხდებოდა სესხისთვის მიემართა; გარდა ამისა, ყოველ წელიწადს მთავარი მმართველი სწერდა პიერს ხანძრებზე, მოუსავლიანობაზე, ფაბრიკა-ქარხნების გადაკეთების საჭიროებაზე. ამრიგად, პირველი, რაც პიერს წამოესახა, იყო ის, რისადმიც მას ყველაზე ნაკლები უნარი და მიდრეკილება გააჩნდა, სახელდობრ – საქმეებში ჩაბმა.

პიერი ყოველდღე მუშაობდა მთავარ მმართველთან ერთად, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ მუშაობამ ერთი ნაბიჯითაც ვერ წასწია წინ საქმეები; გრძნობდა, რომ მუშაობა საქმისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, რომ მუშაობა ცალკე იყო და საქმე – ცალკე და რომ საქმე წინ არ მიდიოდა. ერთი მხრივ, მთავარი მმართველი მეტად ცუდ მდგომარეობაში უჩვენებდა საქმეებს, ამტკიცებდა ვალების გასტუმრებისა და ყმა გლეხთა ძალებით ახალი სამუშაოების დაწყების აუცილებლობას, რაზედაც პიერი ეთანხმებოდა. მეორე მხრივ, პიერი მოითხოვდა შესდგომოდნენ გლეხთა გათავისუფლების საქმეს. მთავარ მმართველს შეუძლებლად მიაჩნდა ამ საქმის ასე სწრაფად მოგვარება, რადგან ჯერ სამეურვეო საბჭოს ვალი უნდა გავისტუმროთო.

მმართველი არ ეუბნებოდა, ეს საქმე ყოვლად შეუძლებელია; იგი დასახული მიზნის მისაღწევად წინადადებას აძლევდა, გაეყიდათ კოსტრომის გუბერნიის ტყეები, ქვემოური მიწები და ყირიმის მამული, მაგრამ ყველა ეს ოპერაცია, მმართველის სიტყვებით, პროცესების, ყადაღის მოხსნის, გამოთხოვის, ნებართვისა და სხვა ამისთანების ისეთ სირთულესთან იყო დაკავშირებული, რომ პიერს გზა-კვალი ებნეოდა და მხოლოდ ერთ რამეს გაიძახოდა: დიახ, დიახ, სწორედ ეგრე მოიქცეთო.

პიერს არ გააჩნდა პრაქტიკული უნარი, უშუალოდ რომ მოეკიდა ხელი საქმისთვის, სწორედ ამიტომ არ უყვარდა საქმე და ცდილობდა მხოლოდ მმართველისთვის მოეჩვენებინა, საქმეში ვარ ჩაფლულიო. ხოლო მმართველი თავის მხრივ ცდილობდა მოეჩვენებინა გრაფისთვის, რომ მას ეს მუშაობა მეტად სასარგებლოდ მიაჩნდა პატრონისთვის და შემავიწროებლად თავისთვის.

დიდ ქალაქში ნაცნობებიც აღმოჩნდნენ, ხოლო უცნობები ისწრაფოდნენ გასცნობოდნენ და გულთბილად მისალმებოდნენ ახალჩასულ მდიდარ კაცს, ყველაზე დიდ მფლობელს გუბერნიაში. ცდუნება მთავარი სისუსტისადმი, რომელშიც იგი ლოჯაში მიღების დროს გამოტყდა, – იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ პიერი ძველებურად თავს ვერ იკავებდა. როგორც პეტერბურგში, პიერი აქაც მთელ დღეებს, კვირებს, თვეებს კვლავ ზრუნვასა და მოუცლელობაში ატარებდა; მთელ დროს კვლავ სადამოებს, სადილებს, საუზმეებს, ბალებს უნდებოდა და წუთიც აღარ რჩებოდა იმისთვის, რომ გონს მოსულიყო. ნაცვლად ახალი ცხოვრებისა, რისი იმედიც ჰქონდა, ისევ წინანდებურად ცხოვრობდა, მხოლოდ სხვა ვითარებაში.

პიერს შეგნებული ჰქონდა, რომ მასონთა სამი დანიშნულებიდან მან არ აასრულა ის, რომელიც ყოველ მასონს აკისრებდა ზნეობრივი ცხოვრების მაგალითი ყოფილიყო, ხოლო შვიდი სიქველიდან სრულიად მოკლებული იყო ორს – კეთილზნეობასა და სიყვარულს სიკვდილისადმი. თავს იმით ინუგეშებდა, რომ სამაგიეროდ ასრულებდა სხვა დანიშნულებას – ადამიანთა მოდგმის გამოსწორებას და მოეპოვებოდა სხვა სიქველე – სიყვარული მოყვასისადმი და, განსაკუთრებით, სიუხვე.

1807 წლის გაზაფხულზე პიერმა გადაწყვიტა დაბრუნებულიყო უკან, პეტერბურგში. გზად განზრახული ჰქონდა მოენახულებინა ყველა თავისი მამული და პირადად გაერკვია, რა გაკეთდა იმისგან, რისი გაკეთებაც ნაბრძანები ჰქონდა, და რა მდგომარეობაში იყო ამჟამად ის ხალხი, რომელიც განგებამ მას ჩააბარა და რომლის გაბედნიერებასაც იგი ასე იყო მოწადინებული.

მთავარი მმართველი, რომელსაც ახალგაზრდა გრაფის ყველა წამოწყება თითქმის უგუნურებად მიაჩნდა, არახელსაყრელად თავისთვის, გრაფისა და გლეხებისთვის, დათმობაზე წავიდა. გლეხთა გათავისუფლების საქმეს კვლავ შეუძლებლად მიიჩნევდა და ამის ნაცვლად განკარგულება გასცა – აეგოთ ყველა მამულში სკოლების, საავადმყოფოებისა და თავშესაფრებისთვის დიდი შენობები. ბატონის ჩასვლის დღისთვის მან ყველგან მოამზადა გლეხები შესახვედრად. ეს შეხვედრა უნდა ყოფილიყო არა საგანგებო, საზეიმო, რაც ბატონს, როგორც მან იცოდა, არ მოეწონებოდა, არამედ რელიგიურ-სამადლობელი, ხატებითა და პურმარილით, სწორედ ისეთი, როგორც, რამდენადაც იგი ბატონს იცნობდა, იმოქმედებდა გრაფზე და თვალს აუხვევდა მას.

სამხრეთის გაზაფხული, მოსვენებული მგზავრობა სწრაფმავალი ვენური ეტლით და მყუდრო გზა საამოდ მოქმედებდნენ პიერზე. მამულები, სადაც ის მანამდე არ ყოფილა, ერთიმეორეზე წარმტაცად გამოიყურებოდნენ. ხალხი, როგორც პიერს ყველგან ეჩვენებოდა, თითქოს ბედნიერი და დიდად კმაყოფილი უნდა ყოფილიყო იმ წყალობით, რომელიც ბატონმა გამოიმეტა მისთვის. ყველგან მოეწყო შეხვედრა, რამაც პიერი, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა, მაგრამ სულის სიღრმეში მაინც სასიხარულო გრძნობა გამოიწვია. ერთ ადგილას გლეხებმა პურმარილი და პეტრესა და პავლეს ხატი მთავრებს და სთხოვეს, ნება დაერთო მისი დღეობის სამახსოვროდ, პეტრესა და პავლეს სახელზე, ნიშნად

სიყვარულისა და მის მიერ გამეტებული სიკეთისა, აეგოთ თავიანთი ხარჯით ახალი ეკვდერი ეკლესიაში. სხვა ადგილას მას შეხვდნენ ქალები ძუძუთა ბავშვებით და მადლობა გადაუხადეს მძიმე სამუშაოსგან გათავისუფლებისთვის. მესამე ადგილას პიერს მღვდელი მიეგება ჯვრით ხელში და ბავშვებმემოხვეული, რომელთაც იგი გრაფის წყალობით წერა-კითხვას და რელიგიას ასწავლიდა. თავისი თვალთ ხედავდა პიერი, რომ ყველა მამულში ერთნაირი გეგმით აგებდნენ – ზოგან უკვე აგებულიც იყო, – საავადმყოფოების, სკოლების, დავრდომილთა თავშესაფრების ქვითკირის შენობებს, რომლებიც მალე უნდა გაეხსნათ. პიერი ყველგან ხედავდა წინანდელთან შედარებით საბატონო ბეგარის შემცირებულ ანგარიშებს და ამის გამო ლურჯ ხიფთანებში გამოწყობილ გლეხთა დეპუტაციების გულისამაჩუყებელ მადლობებს.

პიერმა არ იცოდა მხოლოდ, რომ იქ, სადაც პურმარილით ხვდებოდნენ და პეტრესა და პავლეს ეკვდერს აგებდნენ, იყო სავაჭრო სოფელი და იმართებოდა ბაზრობა პეტრე-პავლობას, რომ ეკვდერს დიდი ხანია აგებდნენ სოფლის მდიდარი გლეხები, ისინი, ვინც მას გამოეცხადა, ხოლო ამავე სოფლის გლეხების ცხრა მეათედი ძალზე გაუბედურებულ-გადატაკებული იყო. მან არ იცოდა, რომ რაკი მისი ბრძანებით ძუძუთა ქალებს აუკრძალეს საბატონო ბეგარაზე გასვლა, ამ ქალებს უფრო მძიმე სამუშაო დაეკისრათ სხვა საქმეში. მან არ იცოდა, რომ მღვდელი, რომელიც ჯვრით ხელში დახვდა მას, თავისი გადასახადებით მძიმე ტვირთად აწვა გლეხებს და რომ მშობლებს დიდი ფულით უხდებოდათ მასთან ძალით თავმოყრილი ბავშვების გათავისუფლება. მან არ იცოდა, რომ გეგმიან ქვითკირის შენობებს საკუთარი მუშები აგებდნენ და რომ ამით ადიდებდნენ გლეხების საბატონო ბეგარას, რაც მხოლოდ ქალაქში იყო შემცირებული. მან არ იცოდა, რომ იქ, სადაც მმართველი დავთარში გრაფის სურვილით ღალის ერთი მესამედის შემცირებას უჩვენებდა, ნახევარი საბატონო ბეგარა იყო მომატებული. ამიტომ იყო პიერი აღტაცებული მამულებში მოგზაურობით; იგი სავსებით დაუბრუნდა იმ ფილანტროპიულ[154] განწყობილებას, რითაც გამსჭვალული იყო პეტერბურგიდან გამგზავრებისას; ამიტომაც სწერდა იგი აღტაცებულ წერილებს თავის მასწავლებელ ძმას, როგორც იგი უწოდებდა დიდ ოსტატს.

„რა სიმსუბუქეს ვგრძნობ, რა ცოტა რამ არის საჭირო, რომ ბევრი სიკეთე დათესო, – ფიქრობდა პიერი, – და რა ნაკლებად ვზრუნავთ ამაზე“.

პიერი ბედნიერი იყო იმ მადლობით, რომელსაც მას უცხადებდნენ, მაგრამ რცხვენოდა ამ მადლობის მიღება. ეს მადლობა აგონებდა მას, რამდენად მეტის გაკეთება შეეძლო მას უბრალო, კეთილ ადამიანთათვის.

მთავარი მმართველი მეტად სულელი, მაგრამ გაიძვერა კაცი იყო. იგი ძალიან კარგად იცნობდა ჭკვიან და გულუბრყვილო გრაფს და ტიკინასავით ათამაშებდა მას. როცა დაინახა, როგორ იმოქმედა პიერზე მომზადებულმა შეხვედრამ, უფრო გაბედულად და გადაჭრით გამოუცხადა გლეხთა გათავისუფლების შეუძლებლობა და, რაც მთავარია, ამ გათავისუფლების უსარგებლობა, რადგან გლეხები უიმისოდაც სავსებით ბედნიერი არიანო.

გულის სიღრმეში პიერი ეთანხმებოდა მმართველს იმაში, რომ ძნელად შეიძლებოდა უფრო ბედნიერი ადამიანების წარმოდგენა და რომ, ღმერთმა უწყის, რა მოელოდა მათ გათავისუფლების შემდეგ. მაგრამ პიერი, თუმცა უხალისოდ, მაინც მოითხოვდა იმას, რაც მას სამართლიანად მიაჩნდა. მმართველი დაჰპირდა, მიემართა ყოველი ღონისთვის გრაფის სურვილის შესასრულებლად. იმავე დროს ცხადად ხედავდა, რომ გრაფი ვერასოდეს ვერ შეამოწმებდა არათუ იმას, გატარდა თუ არა ყველა ღონისძიება ტყეებისა და მამულების გაყიდვისთვის სამეურვეო საბჭოს ვალის გასასტუმრებლად, არამედ არასოდეს ალბათ არც იკითხავდა და ვერც გაიგებდა, თუ როგორ გამოუყენებლად იდგნენ

ახალგაგებული შენობები და როგორ განაგრძობდნენ გლეხები შრომითა და ფულით იმის მიცემას, რასაც გლეხები სხვაგანაც აძლევდნენ, ე. ი. ყველაფერს, რის მოცემაც მათ შეეძლოთ.

თავი მეთერთმეტე

სამხრეთიდან დაბრუნებულმა, სავსებით ბედნიერმა პიერმა შეასრულა თავისი დიდი ხნის სურვილი – შეიარა ორი წლის უნახავ ბოლკონსკისთან. ბოგუჩაროვო ულამაზო, გაშლილ ადგილზე მდებარეობდა; ირგვლივ მინდვრები და გაკაფული და გაუკაფავი ნაძვისა და არყის ხის ტყეები გადაჭიმულიყო. ბატონის ეზო სწორად მიმავალი დიდი გზის აქეთ-იქით გაშენებული სოფლის ბოლოში მდებარეობდა, ახლამოთხრილ და პირთამდე ავსებულ გუბურს იქით, რომლის ნაპირებზეც ჯერ კიდევ არ ამოსულიყო ბალახი. ეს იყო ახალგაშენებული ტყის შუაგულში, სადაც რამდენიმე დიდი ფიჭვი ამართულიყო.

ბატონის კარ-მიდამოს შეადგანდა კალო, ეზოს ნაგებობანი, საჯინბოები, აბანო, ფლიგელი და დიდი ქვითკირის სახლი ნახევრად მრგვალი ფრონტონით, რომელიც ჯერ კიდევ შენდებოდა. სახლის ირგვლივ ახალი ბაღი გაეშენებინათ. ზღუდეები და ჭიშკარი მაგარი და ახალი იყო; ფარდულქვეშ ორი სახანძრო მილი და მწვანედ შეღებილი კასრი იდგა, გზები სწორი იყო, ხიდები – მაგარი და მოაჯირიანი. ყველაფერს სიბეჯითისა და მუყაითობის ბეჭედი ესვა. შინაყმებმა, რომელთაც პიერმა ჰკითხა, სად ცხოვრობს თავადიო, მიუთითეს ახალ, მომცრო ფლიგელზე, რომელიც ზედ გუბურის ნაპირზე იდგა. თავად ანდრეის მოხუცმა მსახურმა, ანტონმა, პიერი ეტლიდან გადმოსვა, უთხრა, თავადი შინ არისო და სუფთა, პატარა წინა ოთახში შეიყვანა.

პიერი გააოცა პატარა, თუმცა სუფთა სახლის უბრალოებამ იმ ბრწყინვალე პირობების შემდეგ, რომელშიც უკანასკნელად ნახა მან თავისი მეგობარი პეტერბურგში. იგი სწრაფად შევიდა ჯერ კიდევ ფიჭვის სუნით გაჟღენთილ, მოუბათქამებელ, მცირე სადარბაზო ოთახში და უნდოდა წინ წასულიყო, მაგრამ ანტონმა ფეხის წვერებზე გაირბინა ოთახი და კარზე დააკაკუნა.

– ჰა, რა ამბავია? – მოისმა მკვახე, უსიამოვნო ხმა.

– სტუმარია, – მიუგო ანტონმა.

– სთხოვე დაიცადოს, – და მოისმა განზე გაჩეული სკამის ხმა.

პიერი სწრაფი ნაბიჯით მივიდა კართან და პირისპირ შეეჩეხა ოთახიდან გამოსულ, შუბლშეჭმუხნილ და მობერებულ თავად ანდრეის. პიერი გადაეხვია და, სათვალეაწეული კოცნიდა ლოყაზე, თანაც გამტერებული შესცქეროდა.

– არ მოგელოდი, ძალიან მოხარული ვარ, – თქვა ანდრეიმ.

პიერს არაფერი უთქვამს. იგი გაკვირვებული თვალმოუშორებლად შეჰყურებდა მეგობარს. პიერი გააოცა თავად ანდრეიში მომხდარმა ცვლილებამ. თავადი ანდრეი ალერსიანად ლაპარაკობდა, ტუჩებსა და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ გამოხედვა ჩამქრალი ჰქონდა, უსიცოცხლო, და ამ გამოხედვისთვის მას, აშკარა სურვილის მიუხედავად, სასიხარულო და საამო ელვარება ვერ მიეცა. გამხდარიყო, გაფითრებულიყო და დავაჟკაცებულიყო, მაგრამ ეს გამოხედვა და ნაოჭი შუბლზე, რაც ერთსა და იმავეზე გაუთავებელი ფიქრის ნიშანი იყო, აოცებდა და აშორებდა პიერს, ვიდრე არ მიეჩვია მას.

დიდი ხნის განშორების შემდეგ ხელახალი შეხვედრის დროს, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე, ლაპარაკი კარგა ხანს ვერ ხერხდებოდა. ისინი მოკლედ ეკითხებოდნენ ერთმანეთს და მოკლედ

პასუხობდნენ ისეთ საგნებზე, რომლებზედაც როგორც თვითონაც იცოდნენ, ხანგრძლივ უნდა ელაპარაკათ. ბოლოს ლაპარაკი ნელ-ნელა შეჩერდა მანამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ნათქვამზე, წარსული ცხოვრების საკითხებზე, მომავლის გეგმებზე, პიერის მოგზაურობაზე, მის მუშაობაზე, ომზე... ის შინაგანი დაკვირვება და გულმოკლულობა, რაც პიერმა თავად ანდრეის გამოხედვაში შენიშნა, ახლა უფრო მკვეთრად გამოიხატებოდა ღიმილში, რომლითაც იგი უსმენდა პიერს. მეტადრე მაშინ, როცა პიერი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა წარსულზე ან მომავალზე. ანდრეის თითქოს უნდოდა კიდევაც, მაგრამ ვერ ახერხებდა მონაწილეობა მიეღო იმაში, რასაც პიერი ამბობდა. პიერი თანდათან გრძნობდა, რომ თავად ანდრეის წინაშე უკვე უხერხული იყო გამოეთქვა თავისი აღტაცება, ოცნება, ბედნიერებისა და სიკეთის იმედი. მას რცხვენოდა გამოეთქვა მთელი თავისი ახალი, მასონური აზრები, განსაკუთრებით უკანასკნელი მგზავრობით გაცხოველებული და აღზნებული. პიერი თავს იკავებდა, ეშინოდა, გულუბრყვილობა არ გამოეჩინა; იმავე დროს ძალზე უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გაეგებინებინა მეგობრისათვის, რომ ახლა სულ სხვა, უკეთესი პიერია, ვიდრე ის, რომელიც პეტერბურგში იყო.

– ვერ აგისნით, რა ბევრი რამ განვიცადე ამ ხნის განმავლობაში. მე თვით ვერ ვცნობ ჩემს თავს.

– დიახ, ძალიან, ძალიან გამოვიცვალეთ მას შემდეგ, – დაუდასტურა ანდრეიმ.

– თქვენ როგორღა ხართ? – ჰკითხა პიერმა, – როგორია თქვენი გეგმები?

– გეგმები? – ირონიულად გაიმეორა თავადმა ანდრეიმ, – ჩემი გეგმები? – გაიმეორა მან კვლავ, თითქოს გააკვირვა ამ სიტყვის მნიშვნელობამ, – აი, ხომ ხედავ, ვაშენებ, მინდა მომავალი წლისთვის მთლად გადმოვსახლდე აქ.

პიერი უსიტყვოდ დააკვირდა თავად ანდრეის დაბერებულ სახეს.

– არა, მე გეკითხებით... – დაიწყო პიერმა, მაგრამ ანდრეიმ გააწყვეტინა.

– არ ღირს ჩემზე ლაპარაკი... მიაშვე შენს მოგზაურობაზე, ყველაფერზე, რა გააკეთე იქ, შენს მამულებში.

პიერმა უამბო, რა გააკეთა თავის მამულებში, თან ცდილობდა რამდენადაც შეიძლება მიეჩქმალა თავისი მონაწილეობა შეტანილ გაუმჯობესებებში. თავადმა ანდრეიმ რამდენჯერმე წინასწარ გაახსენა პიერს ის, რაც მას უნდა ეამბნა, თითქოს ყველაფერი ის, რაც პიერმა გააკეთა, დიდი ხნის ცნობილი ამბავი ყოფილიყოს, ამასთან თავადი ანდრეი არათუ ინტერესით არ უგდებდა ყურს, არამედ თითქოს რცხვენოდა კიდევ იმისა, რასაც პიერი უამბობდა.

პიერმა უხერხულობა იგრძნო, ძალზე უმძიმდა მეგობართან ყოფნა და გაჩუმდა.

– იცი რა, ჩემო კარგო, – მიმართა ანდრეიმ, ეტყობოდა, მასაც უჭირდა სტუმართან ყოფნა, – მე აქ ისე ვარ, თითქოს ბანაკში ვიმყოფებოდე. გადმოვედი მხოლოდ აქაურობის დასათვალისწინებლად და დღეს კვლავ დასთან მივდივარ. გაგაცნობ მას. მგონი, იცნობ კიდევ, – თქვა მან, ალბათ სტუმრის გასართობად, რომელთანაც იგი საერთოს ვეღარას პოულობდა, – სადილის შემდეგ წავალთ, ახლა კი, თუ გინდა, ჩემი კარ-მიდამო დავათვალისწინოთ.

ისინი გავიდნენ და სადილობამდე დადიოდნენ, ლაპარაკობდნენ პოლიტიკურ ამბებზე და საერთო ნაცნობებზე, ლაპარაკობდნენ ისე, როგორც ნაკლებად ახლობელი ადამიანები. ანდრეი გამოცოცხლდა და ინტერესი დაეტყო მხოლოდ მაშინ, როცა ახალ კარ-მიდამოსა და ნაგებობაზე ლაპარაკობდა, მაგრამ აქაც შუა ლაპარაკში, როდესაც ხარაჩოებზე იდგნენ და თავადი ანდრეი სახლის მომავალ მდებარეობას უხსნიდა, იგი უეცრად შეჩერდა, – საინტერესო აქ არაფერია, უმჯობესია, წავიდეთ, ვისადილოთ და მერე გავემგზავროთ.

სადილზე ლაპარაკი პიერის ქორწინებაზე ჩამოვარდა.

– ძალზე გავოცდი, როცა ეს ამბავი გავიგე, – თქვა თავადმა ანდრეიმ.

პიერი წამოწითლდა, წამოწითლდა ისევ, როგორც წითლდებოდა ყოველთვის, როცა საუბარი ამ საგანს ეხებოდა ხოლმე და აჩქარებით თქვა:

– ოდესმე გაიმბობთ, როგორ მოხდა ყოველივე ეს. მაგრამ იცოდეთ, რომ ყველაფერი დასრულდა, დასრულდა სამუდამოდ.

– სამუდამოდ? – თქვა თავადმა ანდრეიმ, – სამუდამო არაფერია!

– იცით კი, როგორ დამთავრდა საქმე? იცით, რომ დუელი იყო?

– ვიცი, რომ შენ ეგეც განიცადე.

– ერთადერთი, რისთვისაც ვმადლობ ღმერთს, არის ის, რომ არ მოვკალი ის კაცი, – თქვა პიერმა.

– რატომ მერე? – მიუგო ანდრეიმ, – ავი ძალის მოკვლა ძალიან კარგიცაა.

– არა, კაცის მოკვლა კარგი არ არის, უსამართლობაა...

– რატომ არის უსამართლობა? – შეეკითხა კვლავ თავადი ანდრეი. – ადამიანებს არ ძალუძთ განსაჯონ, რა არის სამართლიანი და უსამართლო. ადამიანები მუდამ ცდებოდნენ და მომავალშიც შეცდებიან, და ყველაზე მეტად შეცდებიან იმაში, რაც მათ სამართლიანად და უსამართლოდ მიაჩნიათ.

– უსამართლოა ის, რაც ბოროტებას წარმოადგენს სხვა ადამიანისთვის, – მიუგო პიერმა, თან სიამოვნებით შენიშნა, რომ თავადი ანდრეი, პირველად მისი მოსვლის შემდეგ, გამოცოცხლდა, ლაპარაკი დაიწყო და უნდოდა გამოეთქვა ყოველივე, რამაც ასე გამოცვალა იგი.

– მერე ვინ გაგაგებინა, რა არის ბოროტება სხვა ადამიანისთვის? – შეეკითხა იგი.

– ბოროტება? ბოროტება? – ამბობდა პიერი, – ყველამ ვიცით, რა არის ბოროტება საკუთარი თავისთვის.

– დიახ, ყველამ ვიცით, მაგრამ იმას, რაც ჩემთვის ბოროტებად მიმაჩნია, ვერ მივაყენებ სხვა ადამიანს, – უფრო და უფრო გამოცოცხლდა ანდრეი, ეტყობოდა, უნდოდა გამოეთქვა პიერისთვის თავისი ახალი შეხედულება საგნებზე. იგი ფრანგულად ლაპარაკობდა, – Je ne connais dans la vie que maux bien réels: c'est le remord et la maladie. Il n'est de bien que l'absence de ces maux (ცხოვრებაში მე ვიცი მხოლოდ ორი ნამდვილი უბედურება: სინდისის ქენჯნა და ავადმყოფობა, და ბედნიერება მხოლოდ ამ ორი ბოროტების უქონლობაა). იცხოვრე შენთვის, აარიდე თავი მხოლოდ ამ ორ ბოროტებას: აი, მთელი ჩემი სიბრძნე ამჟამად.

– მოყვასის სიყვარული, თავის გაწირვა? – დაიწყო პიერმა, – ვერა, ვერ დაგეთანხმებით. იცხოვრო მხოლოდ ისე, რომ ბოროტება არ ჩაიდინო, სინანულს არ მიეცე, – ეს ცოტაა. მე სწორედ ასე ვცხოვრობდი, საკუთარი თავისთვის ვცხოვრობდი და დავლუპე კიდევ ჩემი სიცოცხლე. და მხოლოდ ახლა, როცა სხვებისთვის ვცხოვრობ, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ ვიცხოვრო (თავმდაბლად გაასწორა პიერმა სიტყვა) სხვებისთვის, მხოლოდ ახლა მივხვდი ცხოვრების მთელ ბედნიერებას. ვერა, ვერ დაგეთანხმებით და თვით თქვენც არ ფიქრობთ ისე, როგორც ლაპარაკობთ.

თავადი ანდრეი ხმამაღულდებლად შეჰყურებდა პიერს და დამცინავად იღიმებოდა.

– აი, ნახავ ჩემს დას, კნიაჟნა მარიას, მას მალე დაუახლოვდები, – უთხრა ანდრეიმ, – იქნებ შენ მართალი იყო, რამდენადაც საქმე შენ შეგეხება, – განაგრძო მცირე დუმილის შემდეგ, – მაგრამ ყველა თავისებურად ცხოვრობს: შენ შენი თავისთვის ცხოვრობდი და ამბობ, ამით კინაღამ სიცოცხლე

დავლუპეო, ხოლო ბედნიერებას მივწვდი მაშინ, როცა სხვებისთვის დავიწყე ცხოვრებაო. მე კი საწინააღმდეგო განვიცადე. ვცხოვრობდი დიდებისთვის (რა არის მერე დიდება? იგივე სიყვარული სხვებისადმი; სურვილი, გააკეთო სხვებისთვის რაიმე; სურვილი, დაიმსახურო მათი ქება). ასე ვცხოვრობდი სხვებისთვის და არა კინალამ, არამედ მთლად დავლუპე ჩემი სიცოცხლე. დავმშვიდდი მას შემდეგ, რაც მარტოოდენ ჩემთვის ვცხოვრობ.

– როგორ უნდა იცხოვრო მარტო შენთვის? – გაცხარდა პიერი, – შვილი, და, მამა?

– ყოველივე ეგ იგივე მე ვარ, ეგენი სხვები არ არიან, – მიუგო თავადმა ანდრეიმ, – სხვები le prochain (მოყვასნი) არიან, როგორც თქვენ და კნიაჟნა მარია უწოდებთ. ეგ არის ცოდვისა და ბოროტების მთავარი წყარო. Le prochain (მოყვასნი) ისინი არიან, შენი კიეველი გლეხები, რომელთაც შენ სიკეთე გინდა შესძინო.

და მან პიერს დამცინავ-გამომწვევად შეხედა. ეტყობოდა, საკამათოდ იწვევდა.

– ხუმრობთ, ალბათ, – უფრო და უფრო გაცხარდა პიერი, – რა ცოდვას და ბოროტებას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ მე მსურდა (ძალიან ცოტა და ისიც ცუდად შევასრულე), დიახ, მსურდა სიკეთე დამეთესა, მერე დავთესე კი რამე? რა ბოროტებას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ უბედური ადამიანები, ჩვენი გლეხები, ისეთივე ადამიანები, როგორც ჩვენა ვართ, რომელნიც იზრდებიან და იხოცებიან ისე, რომ ღმერთი და სიმართლე წარმოადგენილი აქვთ როგორც საეკლესიო წესი და უაზრო ლოცვა, რომ ეს გლეხები ისწავლიან მომავალი ცხოვრების მანუგებებელ რწმენას, გაიგებენ, რომ არსებობს მისაგებელი, ჯილდო, ნუგეში? რა ბოროტებაა და შეცდომა იმაში, რომ ადამიანები იხოცებიან ავადმყოფობისგან, უძწეობისგან, მაშინ, როდესაც ასე ადვილია მატერიალური დახმარება მათთვის, იმაში, თუ მე მივცემ მათ მკურნალს, გავუმართავ საავადმყოფოს, თუ მოხუცს ავუგებ თავშესაფარს? და განა საგრძნობი, უეჭველი სიკეთე არ იქნება, როცა მე გლეხსა და ბავშვიან დედაკაცს, რომელთაც დღედაღამ მოსვენება არა აქვთ, მივცემ დასვენებას და მოცალოებას? – ამბობდა პიერი სწრაფად და ენამოჩლექით, – და მე გავაკეთე ეს, თუმცა ცუდად, ძალიან მცირედი, მაგრამ ცოტა რამ მაინც გავაკეთე ამისთვის, და თქვენ ვერა თუ ვერ გადამარწმუნებთ იმაში, რომ რაც მე გავაკეთე, კარგია, არამედ ვერ დამარწმუნებთ იმაშია კი, რომ თვითონ თქვენ ასე არ ფიქრობდეთ. მთავარი ის არის, – განაგრძო პიერმა, – რომ მე ვიცი, ამასთან, ვიცი დანამდვილებით, ამ სიკეთის თესვით მოპოვებული ნეტარება სიცოცხლის ერთადერთი ჭეშმარიტი ბედნიერებაა.

– დიახ, თუ ამგვარად დავსვამთ საკითხს, ეგ სხვა საქმე იქნება, – თქვა ანდრეიმ, – მე სახლს ვაგებ, ბაღს ვაშენებ, შენ კი საავადმყოფოებს აარსებ. ერთიც და მეორეც დროს გატარებად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ რა არის სიმართლე, რა არის სიკეთე, – დაე, ამაზე იმსჯელოს მან, ვინც ყველაფერი იცის და არა ჩვენ. მაგრამ შენ კამათი გინდა, – დაუმატა მან, – მაშ, მოდი ვიკამათოთ.

ისინი მაგიდას მოშორდნენ და პარმაღზე ჩამოსხდნენ, რომელიც აივნის მაგიერებას სწევდა.

– მოდი, ვიკამათოთ, – თქვა ანდრეიმ, – შენ ამბობ, სკოლებიო, – განაგრძო მან და ერთი თითი გადაულუნა, – დარიგება-შეგონება და სხვა, ესე იგი, შენ გინდა გამომიყვანო ის, – თქვა მან და მიუთითა გლეხზე, რომელმაც ამ დროს წინ გაუარა და ქუდი მოუხადა მათ, – პირუტყვის მდგომარეობიდან და მისცე ზნეობრივი მოთხოვნილებანი; მე მგონია, რომ ერთადერთი შესაძლებელი ბედნიერება არის ცხოველური ბედნიერება, შენ კი გინდა მოაკლო მას ეს ბედნიერება. მე შევნატრი მას, შენ კი ჩემს მდგომარეობაში გინდა ჩააყენო იგი, მაგრამ ისე, რომ ჩემი საშუალებანი არ მისცე. სხვასაც ამბობ შენ: მუშაობა შევუმსუბუქოთო. ჩემი აზრით კი, ფიზიკური შრომა მისთვის ისევე აუცილებელია, არსებობის ისეთსავე პირობას წარმოადგენს, როგორსაც ჩემთვის და შენთვის გონებრივი შრომა. შენ არ შეგიძლია არ იფიქრო. მე ვწევები დასაძინებლად სამ საათზე, თავში ათასი აზრი მეხადება. ამიტომ არ

შემიძლია დავიძინო, ვბორგავ, ვერ ვისვენებ დილამდე, რადგან არ შემიძლია არ ვიფიქრო ისევე, როგორც მას არ შეუძლია არ მოხნას, არ მოთიბოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სამიკიტნოში წავა ან ავად გახდება. როგორც მე ვერ ავიტან მის საშინელ ფიზიკურ შრომას და მოკვდები ერთი კვირის შემდეგ, ისე ის ვერ გადაიტანს ჩემს ფიზიკურ უსაქმობას, გასივდება და მოკვდება. მესამე... რა თქვი კიდევ?

ანდრეიმ მესამე თითი მოხარა.

– ჰო, საავადმყოფოები, წამლები. გლახს დამბლა დაეცა, სიკვდილის პირზეა, შენ კი სისხლი გამოაშვებინე, ვითომ მორჩინე. იგი საპყარი იქნება ათ წელიწადს, ყველას თავს მოაბეზრებს. მაგრამ რომ მომკვდარიყო, უფრო მოისვენებდა და უკეთესიც იქნებოდა მისთვის. სხვები დაიბადებიან, ისედაც ბევრნი არიან. გასაგები იქნება, შენ რომ გენანებოდეს, ზედმეტი მუშა დავკარგო, რადაც მე მიმაჩნია იგი, თორემ შენ თვით მუშის სიყვარულით არჩენ მას. ის კი არ საჭიროებს ამას. მერე, რატომ წარმოგიდგენია, რომ მედიცინას ვინმე ან ოდესმე მოერჩინოს? მოკვლით კი მოუკლავს! – თქვა მან წყრომით, წარბი შეკრა და პიერისგან პირი იბრუნა.

თავადმა ანდრეიმ ისე ნათლად და გარკვევით გამოთქვა თავისი აზრები, რომ აშკარა იყო არაერთხელ უფიქრია ამაზე; იგი ხალისით და სწრაფად ლაპარაკობდა, როგორც ისეთი კაცი, რომელსაც დიდხანს არ ულაპარაკია. თვალებს მით უფრო ემატებოდა ცეცხლი, რაც უფრო უიმედო იყო მისი მსჯელობა.

– საშინელებაა, საშინელება! – წამოიძახა პიერმა, – არ მესმის მხოლოდ, როგორ შეიძლება მაგვარი აზრებით ცხოვრება. მეც განმიცდია მაგნიური წუთები, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, მოსკოვში და გზაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისე მოვეშვები ხოლმე, რომ სიცოცხლე აღარ მინდა, ყველაფერი მეზიზღება... უმთავრესად კი ჩემი თავი. მაშინ მე აღარ ვჭამ, პირს აღარ ვიბან... თქვენ რაღა გემართებათ?

– რატომ არ უნდა დავიბანო პირი, ეგ სიბინძურეა, – მიუგო თავადმა ანდრეიმ, – პირიქით, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება უფრო საამო გავხადოთ ჩვენი ცხოვრება. მე ვცხოვრობ და ამაში დამნაშავე არა ვარ, მაშასადამე, როგორმე უკეთესად, სხვებისთვის ხელის შეუშლელად უნდა ვიცხოვროთ სიკვდილამდე.

– რა გაიძულვით იცხოვროთ ასეთი აზრებით? იჯდეთ უმოძრაოდ, არაფერი არ გააკეთოთ...

– ცხოვრება ისედაც არ გვამლევს მოსვენებას. მოხარული ვიქნებოდი, არაფერი მეკეთებინა, მაგრამ აი, ერთი მხრივ, აქაურმა თავადაზნაურობამ პატივი დამდო და წინამძღოლობა შემომთავაზა: ძლივს დავალწიე თავი. ვერ გაეგოთ, რომ მე არ გამაჩნია ის, რაც საჭიროა, არ გამაჩნია ის ცნობილი გულკეთილი და მზრუნველი უხამსობა, რომელიც ამისთვის არის საჭირო. თანაც, აი, ეს სახლი უნდა ავაგო, რათა ჩემი კუთხე მქონდეს, რომ მშვიდობიანად ვიცხოვრო. ახლა კიდევ ეს ლაშქარი.

– რატომ ჯარში არ მსახურობთ?

– აუსტერლიცის შემდეგ! – ნაღვლიანად წარმოთქვა ანდრეიმ, – არა, გმადლობთ, სიტყვა მივეცი თავს, არ ვიმსახურო რუსეთის მოქმედ არმიას და არც ვიმსახურებ. მაშინაც კი, ბონაპარტე რომ აქ იდგეს, სმოლენსკთან და ლისიგორას ემუქრებოდეს, მაშინაც არ დავიწყებ სამსახურს რუსეთის ჯარში. მითქვამს უკვე შანთვის, – განაგრძობდა თავადი ანდრეი და თანდათან მშვიდდებოდა, – ახლა ლაშქარი: მამაჩემი მესამე ოლქის მთავარსარდალია და ერთადერთი საშუალება, თავი დამეღწია ჯარისთვის, მამასთან ყოფნა...

– მაშასადამე, მსახურობთ?

– ვმსახურობ, – მიუგო თავადმა ანდრეიმ და გაჩუმდა.

– მაშ, რატომ მსახურობთ?

– აი, რატომ. მამაჩემი თავისი დროის ერთ-ერთი უმესანიშნავესი კაცია, მაგრამ უკვე ბერდება, და თუმცა იგი იმდენად მკაცრი არ არის, რამდენადაც ენერგიული ხასიათის პატრონი, საშიშია იმით, რომ მიჩვეულია შეუზღუდავ ძალაუფლებას, ახლა კი ზედ დაერთო ის ძალაუფლებაც, რომელიც ხელმწიფემ ლაშქრის მთავარსარდლებს მიანიჭა. მე რომ ორი კვირის წინათ ორი საათი დამეგვიანა, ის იუხნევში ოქმების შემდგენელს ჩამოახრჩობდა, – თქვა ანდრეიმ ღიმილით, – ჰოდა, ვმსახურობ იმიტომ, რომ ჩემ გარდა სხვა ვინმეს მამაჩემზე გავლენა არა აქვს და მე ვცდილობ ზოგან გადავარჩინო იგი ისეთი საქციელისგან, რომელიც შემდეგში სანანებელი გაუხდება.

– აი, ხომ ხედავთ!

– დიახ, mais ce n'est pas comme vous l'entendez (მაგრამ არა ისე, როგორც შენ ფიქრობ), – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – მე არავითარი სიკეთე არ მსურდა და არ მსურს ოქმების იმ გაიძვერა შემდგენლისთვის, რომელმაც მოლაშქრეებს ჩექმები მოჰპარა. კმაყოფილიც ვიქნებოდი, ის რომ სახრჩობელაზე ჩამოკიდებული მენახა, მაგრამ მე მებრალება მამა, ესე იგი, ისევ და ისევ ჩემი თავი.

თავადი ანდრეი თანდათან გამოცოცხლდა. თვალები უჩვეულოდ უბრწყინავდა, როცა ცდილობდა დაემტკიცებინა პიერისთვის, რომ მის საქციელში არასოდეს მოყვასისთვის სიკეთის მოტანის სურვილი არ ყოფილა.

– შენ გინდა გაათავისუფლო გლეხები, – განაგრძო ანდრეიმ, – ძალიან კარგია ეგ, მაგრამ არა შენთვის (მე ვფიქრობ, შენ არასოდეს არ გაგიწყვეპლია და არ გაგიციმბირებია ისინი), მით უფრო ნაკლებად გლეხებისთვის. თუ გლეხებს სცემენ, წვეპლავენ, აციმბირებენ, ვფიქრობ, ეს მათთვის უარესი არ უნდა იყოს. ციმბირში გლეხი იმავე პირუტყვულ ცხოვრებას ეწევა, ხოლო ჭრილობები ტანზე გაუმრთელდება და ისეთივე ბედნიერი იქნება, როგორც წინათ იყო. გაათავისუფლება საჭიროა იმ ადამიანებისთვის, რომელნიც ზნეობრივად ილუპებიან, სინანულს ეძლევიან, მერე ახშობენ ამ სინანულს და უხეშები ხდებიან იმის გამო, რომ შესაძლებლობა აქვთ სიკვდილით დასაჯონ სამართლიანად თუ უსამართლოდ. აი, ვინ მებრალება და ვისთვის ვისურვებდი გლეხების გაათავისუფლებას. შენ იქნებ არ გინახავს, მე კი მინახავს შეუზღუდავი ძალაუფლების პირობებში აღზრდილი კარგი ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ბრაზიანი, მკაცრი და უხეშნი ხდებიან; მათ იციან ეს, მაგრამ თავი ვერ შეუკავებიათ და ამით კიდევ უფრო უბედურნი არიან.

თავადი ანდრეი ამას ისეთი გატაცებით ამბობდა, რომ პიერმა უნებურად გაიფიქრა, ამ აზრებამდე ანდრეი, ალბათ, მამამ მიიყვანაო. მან არაფერი უპასუხა.

– აი, ვინ მებრალება: ადამიანის ღირსება, სინდისის სიმშვიდე, სისპეტაკე და არა მათი ზურგი და შუბლი, რომლებიც რამდენიც უნდა გაწყვეპლო, რამდენიც უნდა გაპარსო, ისეთივე დარჩება, როგორც იყო.

– არა, არა, ათასჯერ არა! ვერასოდეს ვერ დაგეთანხმებით! – წამოიძახა პიერმა.

თავი მეთორმეტე

სადამოს თავადი ანდრეი და პიერი ეტლში ჩასხდნენ და ლისიგორაში წავიდნენ. ანდრეი გადახედავდა ხოლმე პიერს და დროდადრო სიჩუმეს არღვევდა. ეტყობოდა, კარგ გუნებაზე იყო.

იგი თავისი მეურნეობის გაუმჯობესებაზე ელაპარაკებოდა, თანაც მინდვრებზე მიუთითებდა.

პიერი ფიქრობდა, რომ თავადი ანდრეი უბედურია, რომ ის ცდება, მისთვის უცნობია ჭეშმარიტი სინათლე და მან, პიერმა, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს, თვალი აუხილოს და ფეხზე დააყენოს. მაგრამ რაწამს პიერი ჩაუფიქრებოდა იმას, თუ როგორ და რა უნდა ეთქვა, წინასწარ გრძნობდა, თავადი ანდრეი ერთი სიტყვით, ერთი საბუთით დასცემდა ყველაფერს მის მოძღვრებაში. ეშინოდა, ის, რაც მისთვის წმიდათაწმიდა იყო, ანდრეისთვის დაცინვის საგნად არ გაეხადა.

– მაგრამ, რატომ ფიქრობთ, – უცრად დაიწყო პიერმა და სარქენად მომზადებული ხარავით დახარა თავი, – რატომ ფიქრობთ ამგვარად? ამგვარად არ უნდა ფიქრობდეთ.

– რაზე არ უნდა ვფიქრობდე ამგვარად? – შეეკითხა თავადი ანდრეი გაკვირვებული.

– ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე! ეგ შეუძლებელია! მეც ამგვარად ვფიქრობდი და იგი, რამ გადამარჩინა? მასონობამ! არა, ნუ იღიმებით. მასონობა არ არის რელიგიური, საწესჩვეულებო სექტა, როგორც მე მიმაჩნდა. მასონობა არის კაცობრიობის საუკეთესო, მარადიული მხარეების ასევე საუკეთესო, ერთადერთი გამოხატულება, – და იგი შეუდგა მასონობის გადმოცემას ისე, როგორც მას ესმოდა: რომ მასონობა არის სახელმწიფო და რელიგიური ბორკილებისგან გათავისუფლებული ქრისტიანობის მოძღვრება, თანასწორობის, ძმობისა და სიყვარულის მოძღვრება.

– ცხოვრებაში მხოლოდ ჩვენს წმინდა ძმობას აქვს ჭეშმარიტი აზრი, ყოველივე დანარჩენი სიზმარია, – ამბობდა პიერი, – იცოდეთ, ჩემო მეგობარო, რომ ამ კავშირის გარეშე ყველაფერი სიცრუითა და უსამართლობით არის გაჟღენთილი. გეთანხმებით, ჭკვიან და კეთილ ადამიანს არაფერი რჩება ამქვეყნად, გარდა იმისა, მიაღწიოს, როგორც თქვენ ფიქრობთ, სიკვდილს ისე, რომ არავის ხელი არ შეუშალოს. მაგრამ შეითვისეთ ჩვენი ძირითადი რწმენა, შემოდით ჩვენს ძმობაში, მოგვანდეთ თქვენი თავი, ნება მოგვეცით გიხელმძღვანელოთ და თქვენ მაშინვე იგრძნობთ თავს, როგორც მე ვიგრძენი, ნაწილად იმ უზარმაზარი და უხილავი ჯაჭვისა, რომლის დასაბამიც ზეცაში იმალება, – დაასრულა პიერმა.

თავადი ანდრეი ხმისამოუღებლად იყურებოდა წინ და ყურს უგდებდა პიერს. ეტლის ხმაურში ერთი-ორჯერ ვერ გაიგონა პიერის ნათქვამი და ხელახლა შეეკითხა. თავად ანდრეის თვალების განსაკუთრებულ ბრწყინვალეობასა და დუმილზე პიერი მიხვდა, რომ მისი სიტყვები ამაო არ იყო, რომ თავადი ანდრეი აღარ გააწყვეტინებდა ლაპარაკს და მასხრად არ აიგდებდა მის ნათქვამს.

ადიდებულ მდინარეს მიადგნენ, რომელზედაც ბორნით უნდა გადასულიყვნენ. ვიდრე ეტლსა და ცხენებს მოათავსებდნენ, ისინი ბორანზე ავიდნენ.

თავადი ანდრეი, მოაჯირს დაყრდნობილი, ჩუმად გაჰყურებდა ჩამავალი მზისაგან გაბრწყინებულ ადიდებულ მდინარეს.

– მაშ, რას ფიქრობთ ამაზე? – ჰკითხა პიერმა, – რას გაჩუმებულხართ?

– რას ვფიქრობ? ყურს გიგდებ, – მიუგო თავადმა ანდრეიმ, – ყველაფერი ასეა. მაგრამ შენ მეუბნები: შემოდი ჩვენს ძმობაში და ჩვენ გიჩვენებთ ცხოვრების მიზანს, ადამიანის დანიშნულებას და იმ კანონებს, რომელნიც ქვეყნიერებას განაგებენო. მერე, ვინ არიან ეგ ჩვენ? ადამიანები? რატომ იცით თქვენ ყველაფერი? რატომ მარტო მე ერთი ვერ ვხედავ იმას, რასაც თქვენ ხედავთ? თქვენ ხედავთ დედამიწაზე სიკეთისა და სიმართლის სუფევას, მე კი ვერ ვხედავ.

პიერმა გააწყვეტინა:

– გწამთ თუ არა მომავალი ცხოვრება?

– მომავალი ცხოვრება? – გაიმეორა თავადმა ანდრეიმ, მაგრამ პიერმა არ დააცადა პასუხის გაცემა, რადგან გამეორება უარყოფად ჩათვალა, მით უმეტეს, რომ მან იცოდა თავად ანდრეის წინანდელი ათეისტური შეხედულებანი.

– თქვენ ამბობთ, ვერ ვხედავ დედამიწაზე სიკეთისა და სიმართლის სუფევასო. მეც ვერ ვხედავდი მას და არც შეიძლება მისი დანახვა თუ სიცოცხლეს ყველაფრის დასასრულად მივიჩნევთ. დედამიწაზე, სწორედ ამ დედამიწაზე (პიერმა ხელი მინდვრისკენ გაიშვირა) არ არსებობს სიმართლე, ყველაფერი სიცრუე და ბოროტებაა, მაგრამ სამყაროში, მთელ სამყაროში არსებობს სიმართლის სუფევა და ახლა ჩვენ დედამიწის შვილები ვართ, ხოლო საუკუნოდ – მთელი სამყაროს შვილები. განა მე ჩემს სულში არ ვგრძნობ, რომ მე ამ უზარმაზარი, ჰარმონიული მთელის ნაწილს შევადგენ? განა მე არ ვგრძნობ, რომ ამ დაუსრულებელ, უთვალავ არსებათა შორის, რომლებშიც ვლინდება ღვთაება თუ უმაღლესი ძალა, როგორც გენებოთ, – მე შევადგენ ერთ რგოლს, ერთ საფეხურს დაბალი არსებებიდან უმაღლეს არსებებამდე? თუკი ცხადად ვხედავ ამ კიბეს, რომელსაც მცენარისგან ადამიანამდე მივყავართ, რატომ უნდა ვიფიქრო, რომ ეს კიბე წყდება ჩემთან ერთად და აღარ მიიმართება უფრო და უფრო მაღლა? მე ვგრძნობ, რომ მე არათუ გავქრები, როგორც არაფერი არ ქრება ამქვეყნად, არამედ ვიქნები ყოველთვის ისევე, როგორც ყოველთვის ვიყავი. მე ვგრძნობ, რომ ჩემ ზემოთ ცხოვრობენ სულები და რომ ამქვეყნად არის სიმართლე.

– დიახ, ეგ ჰერდერის[155] მოძღვრებაა, – თქვა თავადმა ანდრეიმ, – მაგრამ ეგ, ჩემო კარგო, მე ვერ მარწმუნებს: ცხოვრება და სიკვდილი – აი, რა გვარწმუნებს. გვარწმუნებს ის, რომ ხედავ ძვირფას არსებას, რომელიც დაკავშირებული იყო შენთან, რომლის წინაშეც დამნაშავე იყავი, მაგრამ იმედი გქონდა, რომ თავს იმართლებდი (თავად ანდრეის ხმა აუკანკალდა, მან სახე მიიბრუნა) და უეცრად ხედავ, რომ ეს არსება წვალობს, იტანჯება და აღარ არსებობს... რატომ? შეუძლებელია, რომ პასუხი არ მოიპოვებოდეს! და მე მწამს, რომ არის პასუხი... აი, რა გვარწმუნებს, აი, რამ დამარწმუნა მე, – დაამთავრა თავადმა ანდრეიმ.

– დიახ, დიახ, – დაუდასტურა პიერმა, – განა მეც მაგას არ ვამბობ?

– არა! მე ვამბობ მხოლოდ, რომ მომავალი ცხოვრების აუცილებლობაში გვარწმუნებენ არა საბუთები, არამედ ის, რომ ცხოვრებაში ხელიხელჩაკიდებული მიდიხარ ადამიანთან და უეცრად ეს ადამიანი ქრება იქ – სადღაც. და შენ ჩერდები ამ უფსკრულის წინაშე და იხედები იქ. მეც ჩავიხედე...

– მერე რა? თქვენ იცით, რომ არის იქ და იცით, რომ არის ვიღაც? იქ არის მომავალი ცხოვრება, არის ვიღაც და ეს ვიღაც – არის ღმერთი.

თავად ანდრეის პასუხი არ გაუცია. ეტლი და ცხენები უკვე დიდი ხანია გადაეყვანათ მეორე ნაპირზე და ყველაფერი მომზადებული იყო, მზე უკვე ნახევრად ჩამალულიყო და სადამოს ყინვას ვარსკვლავებით მოექარგა გუბები გადასასვლელთან, პიერი და ანდრეი კი, ლაქიების, მეეტლეებისა და მდინარეზე გადამყვანების გასაოცებლად, ჯერ კიდევ ბორანზე იდგნენ და ლაპარაკობდნენ.

– უკეთუ არსებობს ღმერთი და არსებობს მომავალი ცხოვრება, მაშინ უნდა არსებობდეს ჭეშმარიტებაც, არსებობდეს სათნოებაც; და ადამიანის უდიდეს ბედნიერებას უნდა შეადგენდეს ის, რომ ისწრაფოდეს მათი მიღწევისკენ. უნდა ვიცოცხლოთ, უნდა გვიყვარდეს, – ამბობდა პიერი, – უნდა გვწამდეს, რომ მიწის ამ ნაჭერზე ვცხოვრობთ არა მარტო დღეს, არამედ ვცხოვრობდით და ვიცხოვრებთ იქ მარადის და ყველაფერში (მან ცაზე უჩვენა).

თავადი ანდრეი მოაჯირზე დაყრდნობილი იდგა და ყურს უგდებდა პიერს, თან თვალს არ აშორებდა მზის წითელ ანარეკლს ლურჯად გადაშლილ ადიდებულ წყალზე. პიერი გაჩუმდა. სრული სიწყნარე

სუფევდა. ბორანი დიდი ხანია მიადგა ნაპირს, რომელსაც მხოლოდ ტალღები ეხეთქებოდნენ სუსტი ხმაურით. ანდრეის ეჩვენებოდა, თითქოს ტალღების ეს მოძრაობა ადასტურებდა პიერის სიტყვებს: სწორია, ერწმუნე მასო.

თავადმა ანდრეიმ ამოიოხრა და სხვიანი, ბავშვური თვალთ გადახედა პიერის წამოწითლებულ, აღფრთოვანებულ, მაგრამ მეგობრის წინაშე მაინც მოკრძალებულ სახეს.

– დიახ, კარგია, ეგრე რომ იყოს! – თქვა მან, – მაგრამ დროა, წავიდეთ, ჩავსხდეთ, – დაუმატა და ბორნიდან გადასვლისას შეხედა ცას, რომელზედაც პიერმა მიუთითა, და მან აუსტერლიცის შემდეგ პირველად დაინახა ის მაღალი და უსაზღვრო ცა, რომელსაც ხედავდა აუსტერლიცის ველზე მწოლიარე, და უეცრად რაღაც დიდი ხნის მიძინებულმა, რაღაც საუკეთესომ, რაც მას გააჩნდა, სიხარულითა და ახალგაზრდული აღტაცებით გაიღვიძა მის სულში. ეს გრძნობა გაქრა იმ წამს, რა წამსაც თავადმა ანდრეიმ კვლავ ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში შედგა ფეხი, მაგრამ მან იცოდა, რომ ეს გრძნობა, რომლის გაღვივებასაც იგი ვერ ახერხებდა, ცხოვრობდა მასში. პიერთან შეხვედრა ანდრეისთვის წარმოადგენდა მთელ ეპოქას: აქედან დაიწყო გარეგნულად წინანდებური, მაგრამ მის შინაგან სამყაროში ახალი ცხოვრება.

თავი მეცამეტე

უკვე ბინდდებოდა, როდესაც თავადი ანდრეი და პიერი ლისიგორის სახლის მთავარ კარს მიადგნენ. სწორედ იმ დროს, როცა სახლს უახლოვდებოდნენ, თავადმა ანდრეიმ ღიმილით მიაქცევინა ყურადღება პიერს იმ ჩოჩქოლზე, რომელიც უკანა შესასვლელთან ატყდა. ეტლის დანახვაზე წელში მოხრილი დედაბერი ზურგზე წამოკიდებული აბგით და შავსამოსიანი, გრძელთმიანი დაბალი მამაკაცი უკან, ჭიშკრისაკენ გაიქცნენ. მათ შემდეგ ორი დედაკაცი გამოვარდა და ოთხივე, შეშინებული, უკანა პარმალზე ავარდა, თან მალიმალ ეტლისკენ იყურებოდნენ.

– ეს მაშას ღვთის კაცები არიან, – მიმართა თავადმა ანდრეიმ პიერს, – მამაჩემად მიგვიღეს. ეს ერთადერთი რამაა, რაშიც მაშა მამას არ ემორჩილება: მამას ნაბრძანები აქვს, გარეკონ ეს ხალხი, ჩემი და კი იღებს მათ.

– რა არის ღვთის კაცი? – იკითხა პიერმა.

თავადმა ანდრეიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, სახლიდან მსახურები გამოეგებნენ. ანდრეიმ ჰკითხა მათ სად იყო ამჟამად მოხუცი თავადი და მალე მოელოდნენ თუ არა.

მოხუცი თავადი ჯერ ისევ ქალაქში იყო და მის დაბრუნებას ყოველ წუთს მოელოდნენ.

თავადმა ანდრეიმ პიერი იმ ოთახებში შეიყვანა, რომელიც მას ეკავა მამის სახლში და რომელიც მუდამ მზად და წესრიგში იყო მის მისაღებად, თვითონ კი საბავშვო ოთახისკენ გაემართა.

– წავიდეთ მაშასთან, – უთხრა მან პიერს, როცა უკან დაბრუნდა, – ჯერ არ მინახავს, ახლა ის იმალება, ზის იქ, თავის ოთახში, ღვთის კაცებთან. ახია მასზე, უსათუოდ შერცხვება, შენ კი ღვთის კაცებს ნახავ. C'est curieux, ma parole (გარწმუნებ, საინტერესოა).

– Qu'est-ce que c'est que (ვინ არიან ღვთის კაცები)?

– აი, წავიდეთ და შენ თვითონ ნახავ.

კნიაჟნა მარიმ მართლაც უხერხულად იგრძნო თავი და სახეზე წითელი ლაქები გადაეკრა, როცა თავადი ანდრეი და პიერი შევიდნენ მასთან. მყუდრო ოთახში, კანდელებიანი სახატეს წინ, დივანზე,

მარიას გვერდით, სამოვარს ბერის ანაფორაში გამოწყობილი გრძელცხვირიანი და გრძელთმიანი ახალგაზრდა ყმაწვილი ეჯდა.

იქვე სავარძელში სახედანაოჭებული, გამხდარი დედაბერი იჯდა ბავშვური სახის მშვიდი გამომეტყველებით.

– André, pourquoi ne pas m'avoir prévenu (ანდრეი, რატომ არ მაცნობე წინასწარ)? – მიმართა დამ მოკრძალებული საყვედურით და, თითქოს კრუხი წიწილებს იცავსო, თავისი ღვთის კაცების წინ გაჩერდა, – Charmée de vous voir. Je suis très contente de vous voir (მოხარული ვარ, რომ გხედავთ), – მიუბრუნდა იგი პიერს, როცა ეს უკანასკნელი დაიხარა და ხელზე აკოცა. კნიაჟნა ბავშვობაში იცნობდა პიერს და ახლა მისმა მეგობრობამ თავად ანდრეისთან, უბედურებამ, რომელიც შეემთხვა ცოლთან, უმთავრესად კი მისმა კეთილმა, უბრალო სახემ ერთბაშად მოხიბლა იგი. მარია შეჰყურებდა პიერს თავისი საუცხოო, შუქმფენი თვალებით და თითქოს ეუბნებოდა: „მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, მაგრამ გთხოვთ, ნუ დასცინებთ ჩემიანებს“. მისალმების შემდეგ ყველანი დასხდნენ.

– აა, ივანუშკაც აქ ყოფილა, – წამოიძახა თავადმა ანდრეიმ და ღიმილით უჩვენა ახალგაზრდა მწირზე.

– André! – ვედრებით მიმართა მას კნიაჟნამ.

– Il faut que vous sachiez que c'est une femme (იცო, პიერ, ეგ ქალია), – უთხრა ფრანგულად ანდრეიმ პიერს.

– André, au nom de Dieu (ანდრეი, ღვთის გულისათვის)! – კვლავ შეევედრა ძმას კნიაჟნა.

აშკარა იყო, რომ თავად ანდრეის მიერ ღვთის კაცების სასაცილო კილოთი მოხსენიება ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, მარიას მიერ მათი უნაყოფო გამოსარჩლება უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მათ ურთიერთობაში.

– Mais, ma bonne amie, vous devriez au contraire m'être reconnaissante de ce que j'explique à Pierre votre intimité avec ce jeune homme (ჩემო კეთილო მეგობარო, შენ მადლობელიც კი უნდა იყო ჩემი იმისთვის, რომ პიერს ვუხსნი შენს გულითად დამოკიდებულებას ამ ახალგაზრდა კაცისადმი), – მიუგო თავადმა ანდრეიმ.

– Vraiment (მართლა)? – წარმოთქვა პიერმა ცნობისმოყვარეობით და სერიოზულად (რისთვისაც განსაკუთრებით მადლიერი იყო მისი კნიაჟნა მარია) ჩააცქერდა სახეში თავისი სათვალისაგან ივანუშკას, რომელიც მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ და ეშმაკურად მოვალე თვალები ყველას.

კნიაჟნა მარია ამაოდ შეშფოთდა თავისიანებისთვის: მათ სრულიადაც არ ეტყობოდათ მორცხვობა. დედაბერმა თავი დახარა, მაგრამ დროდადრო შეუმჩნევლად გადაავლებდა ხოლმე თვალს ანდრეისა და პიერს. მან ფინჯანი ლამბაქზე წამოაპირქვა და გვერდით მოკვნიტილი შაქარი მიუდო. იგი მშვიდად და უძრავად იჯდა სავარძელში და მოელოდა, როდის შესთავაზებდნენ კვლავ ჩაის. ივანუშკა ლამბაქიდან შეექცეოდა ჩაის და წარბებქვეშიდან ცბიერი, ქალური თვალებით შესცქეროდა ახალგაზრდა მამაკაცებს.

– სად იყავი, კიევში? – ჰკითხა დედაბერს თავადმა ანდრეიმ.

– ვიყავი, ბატონო, – მიუგო ენაწყლიანად დედაბერმა, – ზედ შობა დღეს გავხდი ღირსი სათნომყოფლებთან წმინდა, ზეციურ საიდუმლოებათა ხილვისა. ხოლო ახლა, ჩემო კეთილო, კოლიაზინიდან დიდი მადლი წამოვიდა...

– მერე, ივანუშკაც შენთან არის?

– მე ჩემდა თავად დავიარე, ჩემო მწყალობელო, – მიუგო დედაბრის მაგიერ ივანუშკამ, იგი ცდილობდა ბოხი ხმით ელაპარაკა, – მხოლოდ იუხნოვოში შევუერთდი პელაგეიუშკას...

პელაგეიუშკამ სიტყვა გააწყვეტინა ამხანაგს: ეტყობოდა, ძალიან უნდოდა გადაეცა მსმენელთათვის ის, რაც ენახა.

– კოლიაზინში, ჩემო კეთილო, დიდი მადლი აღმოჩნდა.

– რა, ახალი წმინდანის ნაწილები? – იკითხა თავადმა ანდრეიმ.

– კმარა, ანდრეი, – მიმართა ძმას კნიაჟნამ, – გაჩუმდი, პელაგეიუშკა, ნუ ჰყვები!

– რატომ, შვილო, რატომ არ უნდა მოვყვე? მე მიყვარს იგი, კეთილი კაცია, ღვთის მადლით მოსილი; ჩემი კეთილისმყოფელია, ათი რუბლი მაჩუქა, მახსოვს. ჰოდა, კიევში რომ ვიყავი, კირიუშა მეუბნება, ღვთის გლახა, ჭკმდარიტად ღვთის გლახა, ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა დაიარება, რას დადიხარ წარამარაო. მეუბნება, კოლიაზინში წადი, იქ ხატი აღმოჩნდა სასწაულმოქმედი, ხალხს დედაღვთისა მოევლინა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელიო. ამ სიტყვების შემდეგ გამოვეთხოვე სათნომყოფელთ და დავადექი გზას...

ყველანი დუმდნენ. ლაპარაკობდა მარტოოდენ მწირი ქალი, ლაპარაკობდა ხმის აუწყევ-დაუწყევლად, დროგამომშვებით ჰაერს ჩაისუნთქავდა ხოლმე.

– მივედი, ჩემო კეთილისმყოფელო, და ხალხი მეუბნება, დიადი მადლი მოგვევლინა: დედაღვთისა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დაწვიდან მირონს აწვეთებსო.

– კარგი, კარგი, მერე მოყვები, – მიმართა მწირ ქალს ლოყებაწითლებულმა მარიამ.

– ნება მომეცით, ვკითხო, – სთხოვა პიერმა კნიაჟნას და პელაგეიუშკას მიუბრუნდა, – შენ თვით ნახე ეგ მირონი?

– როგორ არა, ბატონო, თავად ველირსე. ისეთ ბრწყინვალეებას გამოსცემდა მისი სახე, გეგონებოდათ, ზეციური შუქი მოეფინა იქაურობასო, ხოლო დაწვიდან დედაღვთისას წვეთები დასდიოდა და დასდიოდა.

– ეგ ხომ მოტყუებაა, – თქვა გულუბრყვილოდ პიერმა, რომელიც გულდასმით უგდებდა ყურს მწირქალს.

– ჰოი, ბატონო, რას ბრძანებ! – წამოიძახა ზარდაცემულმა პელაგეიუშკამ და საშველად კნიაჟნას გადახედა.

– ხალხს ატყუებენ, – გაიმეორა პიერმა.

– უფალო, იესო ქრისტე! – წამოიძახა კვლავ დედაბერმა და თან პირჯვარი გადაიწერა, – ნუ ამბობ მაგას, ჩემო კეთილო, ნუ! სწორედ მაგრევე არა სწამდა ერთ ანარალს[156], თქვა: ბერები ატყუებენ ხალხსო, თქვა და დაბრმავდა, და ნახა სიზმარი, მოევლინა წმიდა პეჩორელი დედა, უთხრა, მირწმუნე მე და გაგკურნავო. როცა გაიღვიძა, მოითხოვა, წამიყვანეთ დედა წმინდასთანო. ამას, ბატონო ჩემო, სრულ სიმართლეს მოგახსენებ, ჩემი თვალთ ვნახე, ჩემი თვალთ. ჰოდა, წაიყვანეს უსინათლო პირდაპირ მასთან. როცა მიიყვანეს, დაეცა მის წინ და ეუბნება: განმკურნე, წმინდაო, განმკურნე და ყველაფერს მოგიძღვნი, რაც კი მამაზეციერმა მიწყალობაო. თავად ვნახე, ჩემო კეთილო, ვარსკვლავია შიგ ჩასმული. ჰოდა, მართლაც აეხილა თვალები! ცოდვაა მაგრე ლაპარაკი. ღმერთი დაგსჯის, – დარიგების კილოთი მიმართა მან პიერს.

– მერედა როგორ გაჩნდა ვარსკვლავი ხატში? – ჰკითხა პიერმა.

– წმინდა დედასაც გენერლობა უბოძეს? – თქვა თავადმა ანდრეიმ ღიმილით.

პელაგეიუმკას უეცრად ფერი ეცვალა და ხელები გაასავსავა.

– რას ბრძანებ, კეთილო ადამიანო? ნუ იმძიმებ სულს ცოდვით, შვილის პატრონი ხარ! – ჩაილაპარაკა მან და ფერდაკარგულ ლოყებზე უეცრად სიწითლე მოერია, – რა ბრძანე ეგ, მამავ ბატონო? უფალმა ღმერთმა შეგინდოს! – პირჯვარი გადაიწერა და შეევედრა ღმერთს: – ღმერთო შეუნდე! რა არის ეს, ქალბატონო? – მიმართა მან კნიაჟნას. მერე წამოდგა და თითქმის ცრემლმორეულმა თავის აბგას დაავლო ხელი. ეტყობოდა, ეშინოდა და კიდევაც რცხვენოდა, რომ სარგებლობდა წყალობით იმ სახლში, სადაც შეიძლებოდა ასეთი რამის თქმა, თანაც ენანებოდა, რომ ამიერიდან უნდა დაეკარგა ამ სახლის ყოველი სიკეთე.

– ნეტავ რა გალაპარაკებთ? – თქვა კნიაჟნამ, – რატომ შემოხვედით ჩემთან?

– გეხუმრები, პელაგეიუმკა, გეხუმრები, – დაიწყო ბოდიშის მოხდა პიერმა, – Princesse, ma parole, je n'ai pas voulu l'offenser (გარწმუნებთ, კნიაჟნა, არ მინდოდა მისი წყენინება), – უთხრა პიერმა ფრანგულად კნიაჟნას, მერე ისევ პელაგეიუმკას მიუბრუნდა, – ცუდს ნურას იფიქრებ, პელაგეიუმკა, გაგეხუმრე, – ამბობდა და თან მოკრძალებით იღიმებოდა, ცდილობდა თავისი დანაშაულის მიფუჩეჩებას.

პელაგეიუმკა უნდობლად შეჩერდა, მაგრამ პიერის სახე ისეთ გულწრფელ სინანულს გამოხატავდა, ხოლო თავადი ანდრეი ისე მშვიდად შეჰყურებდა ხან პელაგეიუმკას, ხან პიერს, რომ დედაბერი თანდათან დამშვიდდა.

თავი მეთოთხმეტე

მწირი დედაბერი დამშვიდდა, და როცა კვლავ გაიბა საუბარი, მოუყვა დამსწრეთ მამა ამფილოხის ამბავს. მამა ამფილოხი იმდენად წმინდად ცხოვრობდა, რომ ხელებიდან საკმევლის სუნი ასდიოდაო. გაიხსენა ისიც, თუ როგორ მისცეს პელაგეიუმკას ბერებმა უკანასკნელად კიევში ყოფნის დროს მღვიმის გასაღები და როგორ გაატარა მან იქ, მღვიმეში, ორადორი პატარა ორცხობილის ამარა ორი დღე-ღამე სათნომყოფლებთან. „ვილოცებდი ერთი წმიდანის წინაშე, თაყვანს ვცემდი, მერე მეორესთან გადავიდოდი. წავიძინებდი და კვლავ ვემთხვეოდი ნეტართ; ისეთი სიმშვიდე იდგა, ისეთი მაღლი იყო მოფენილი, რომ აღარც კი მინდოდა გარეთ, მზის სინათლეზე გამოსვლა“.

პიერი გულდასმით და სერიოზულად უგდებდა ყურს. თავადი ანდრეი ოთახიდან გავიდა. მალე კნიაჟნა მარიამაც დატოვა სტუმრები ჩაის დასალევად და პიერი სასტუმრო ოთახში გაიყვანა.

– თქვენ მეტად კეთილი ადამიანი ბრძანდებით, – მიმართა კნიაჟნამ პიერს.

– გარწმუნებთ, სრულებით არ მინდოდა მათი შეურაცხყოფა; კარგად მესმის და დიდადაც ვაფასებ მათ გრძნობებს.

კნიაჟნა მარიამ უსიტყვოდ შეხედა პიერს და ნაზად გაუღიმა.

– მე ხომ დიდი ხანია გიცნობთ და ძმასავით მიყვარხართ, – თქვა მან, – რას იტყვით ანდრეიჩზე: როგორი გეჩვენებათ იგი? – სწრაფად შეეკითხა პიერს და აღარ დააცადა ეთქვა რამე ალერსიანი სიტყვების საპასუხოდ, – ძალზე მაწუხებს მასზე დარდი. ზამთარში უფრო ჯანმრთელად იყო, მაგრამ წარსულ გაზაფხულზე ჭრილობა გაეხსნა და ექიმმა თქვა, სამკურნალოდ უნდა წავიდესო. ზნეობრივადაც ძალიან მაშინებს. არა გვგავს ჩვენ, ქალებს, სხვანაირი ხასიათის ადამიანია. მას არ შეუძლია გამოიგლოვოს და გამოიტეროს თავისი ტკივილი. გულის სიღრმეში ატარებს მას. ახლა მხიარულია და გამოცოცხლებული, ეს თქვენმა მოსვლამ იმოქმედა ასე. იშვიათად არის ხოლმე ასეთ

გუნებაზე. რა კარგი იქნება, რომ დაიყოლიებდეთ საზღვარგარეთ წასვლაზე. მას მოქმედება ესაჭიროება, ეს ერთფეროვანი, წყნარი ცხოვრება კი ღუპავს. სხვები ვერ ამჩნევენ ამას, მე კი ვხედავ.

ათ საათზე შინამოსამსახურეები პარმადს მისცვივდნენ: მოხუცი თავადის მოახლოებული ეტლის ეჭვნების ჟღარუნნი მოესმათ. თავადი ანდრეი და პიერიც გავიდნენ პარმალზე.

– ეს ვინ არის? – იკითხა მოხუცმა თავადმა, როცა კარეტიდან გადმოსვლისას პიერი დაინახა, – აა, ძალიან მოხარული ვარ! მაკოცე! – თქვა მან, როცა იცნო, ვინც იყო ახალგაზრდა კაცი.

მოხუცი თავადი კარგ გუნებაზე იყო. მან მიუაღიერა პიერს.

ვახშმის წინ, როცა თავადი ანდრეი კვლავ დაბრუნდა მამის კაბინეტში, მოხუცი თავადი ცხარედ ეკამათებოდა პიერს. პიერი ამტკიცებდა, რომ დადგება დრო, როცა ომი აღარ იქნებაო. მოხუცი თავადი ოდნავ დაცინვით ედავებოდა, წყნარად, გაუჯავრებლად.

– ძარღვებიდან სისხლი გამოიშვი, მის მაგიერ წყალი ჩაიყენე და მაშინ აღარ იქნება ომი. დედაკაცური ბოდვაა, დიახ, დედაკაცური ბოდვა, – ჩაილაპარაკა მან, მაგრამ პიერს მაინც ალერსიანად მოუთათუნა მხარზე ხელი და მაგიდასთან მივიდა, სადაც თავადი ანდრეი, რომელსაც არ უნდოდა კამათში ჩაბმულიყო, მამის მიერ ქალაქიდან მოტანილ ქალაღებებს არჩევდა.

მოხუცი თავადი ანდრეისთან მივიდა და საქმეებზე დაუწყო ლაპარაკი.

– თავადაზნაურობის წინამძღოლმა გრაფმა როსტოვმა ნახევარი ხალხი არ მომგვარა. ამობრძანდა ქალაქში და ჩემი სადილად დაპატიჟება მოიწადინა. მე ისეთი სადილი ვუჩვენე, რომ... აი, ეს საქმე გადაათვალიერე... გეტყვი, ძმაო, – მიმართა თავადმა ნიკოლაი ანდრეიჩმა შვილს, თან ისევ პიერს წაუთათუნა ხელი, – რომ ყოჩაღია შენი მეგობარი, შემიყვარდა. სისხლს მიდუღებს. სხვა ზოგჯერ ჭკვიან სიტყვებს ამბობს, მაგრამ ყური არ გინდა დაუგდო, ეს კი სტყუის და მაინც სისხლს მიდუღებს მოხუცს. ახლა კი წადით, წადით, – განაგრძო მან, – იქნებ მეც გესტუმროთ ვახშამზე. კვლავ გამოგედავებით. შეიყვარე ჩემი სულელი ასული მარია, – თითქმის დაუყვირა პიერს კარიდან.

პიერმა მხოლოდ ახლა, ლისიგორაში ყოფნის დროს, დააფასა თავად ანდრეისთან მეგობრობის მთელი ძალა და სიამე. ამ სიამეს აძლევდა არა იმდენად თვით მასთან დამოკიდებულება, რამდენადაც დამოკიდებულება მის ახლობლებთან და შინაურებთან. პიერმა ერთბაშად დიდი ხნის მეგობრად იგრძნო თავი მოხუც, მკაცრ თავადთან და მშვიდ და მორიდებულ კნიაჟნასთან, თუმცა მათ თითქმის არც კი იცნობდა. თვითონ პიერიც უკვე ყველას უყვარდა. არა მარტო კნიაჟნა მარია, მოსყიდული იმით, რომ პიერი ისეთი მოკრძალებით მოეპყრო მის ღვთის მსახურებს, უალრესად შუქმფენი თვალებით შეჰყურებდა ახალგაზრდა კაცს, არამედ პატარა, ერთი წლის თავადმა ნიკოლაიმაც კი, როგორც მას პაპა ეძახდა, გაუღიმა პიერს და ხელში აყვანისას გაიწია მისკენ. მიხაილ ივანიჩი და m-Ile Bourienne ნეტარი ღიმილით შესცქეროდნენ, როდესაც იგი მოხუც თავადს ელაპარაკებოდა.

მოხუცი თავადი გამოვიდა ვახშმად სასადილო ოთახში, ალბათ, პიერის ხათრით.

ორი დღის განმავლობაში, რომელიც პიერმა ლისიგორაში დაჰყო, მოხუცი თავადი მეტად ალერსიანად ეპყრობოდა, ხოლო წასვლისას გამოუცხადა, კვლავაც გვესტუმრეო.

როდესაც პიერი წავიდა და ოჯახის წევრებმა თავი მოიყარეს, შეუდგნენ მის ღირსება-ნაკლის განსჯას, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე ახალი კაცის წასვლის შემდეგ, და, რაც ასე იშვიათია, ყველა მარტოდენ კარგს ამბობდა მასზე.

თავი მეთხუთმეტე

შვებულებიდან ჯარში დაბრუნებულმა როსტოვმა პირველად იგრძნო და გაიგო, თუ რამდენად ძლიერად იყო იგი დაკავშირებული დენისოვთან და მთელ პოლკთან.

როდესაც როსტოვი პოლკს მიუახლოვდა, მას ისეთივე გრძნობა დაეუფლა, როგორც მშობლიურ სახლთან მიახლოებისას. როდესაც თავისი პოლკის პირველი ჰუსარი დაინახა გაღვლილი მუნდირით, როდესაც იცნო წითური დემენტიევი, დაინახა თავლა ცხენების მისაბმელი და ლავრუშკამ სიხარულით წამოიძახა, – გრაფი მობრძანდაო. როდესაც მძინარე, თმააბურძგნული დენისოვი მიწურიდან გამოვარდა და გადაეხვია, ხოლო ოფიცრები მიეგებნენ, – როსტოვი ისევე ბედნიერი იყო, როგორც მამინ, როცა ეხვეოდა დედას, მამას და დებს, როცა სიხარულმა სუნთქვა შეუკრა და ლაპარაკის ნება არ მისცა.

როსტოვი პოლკის უფროსს გამოეცხადა და როდესაც იგი ისევე წინანდელ ესკადრონში გაამწესეს, როდესაც მან სამორიგეო და საალაფო მოვალეობანი მოიხადა, პოლკის ინტერესების ყოველსავე წვრილმანში ჩაება და შეზღუდულ, ერთ ვიწრო, უცვლელ ჩარჩოში მოექცა. ისეთივე სიმშვიდე, ისეთივე დასაყრდენი მოიპოვა და ისეთივე გრძნობა დაეუფლა, რომ აქაც ისევე შინ არის, თავის ადგილზე, როგორც იქ – მშობლების ჭერქვეშ. აღარ იყო თავისუფალი, ლაღი საზოგადოების მთელი ის ორომტრიალი, სადაც ადგილს ვერ პოულობდა და ცდებოდა არჩევანში; აღარ იყო სონია, რომლის წინაშეც უნდა ან არ უნდა გადაეშალა თავისი გულისნადები; აღარ იყო შესაძლებლობა, წასულიყო ან არ წასულიყო იქ; აღარ არსებობდა დღე-ღამის ოცდაოთხი საათი, რომლის გამოყენების ესოდენ სხვადასხვანაირი შესაძლებლობა იყო, აღარ არსებობდნენ ის უამრავი ადამიანები, რომელთაგან არავინ არ იყო მასთან ახლოს, არც შორს; აღარ არსებობდა ბუნდოვანი და გარუკვეველი ფულადი ურთიერთობა მამასთან, აღარაფერი აგონებდა საშინელ წაგებას დოლოხოვთან ბანქოს თამაშის დროს. აქ, პოლკში, ყველაფერი ცხადი და მარტივი იყო, მთელი ქვეყნიერება ორ არათანასწორ ნაწილად იყოფოდა. ერთს შეადგენდა ჩვენი პავლოგრადის პოლკი, მეორეს – ყოველივე დანარჩენი. და ამ დანარჩენთან პირველს არავითარი საქმე არ ჰქონდა. პოლკში ყველაფერი ცნობილი იყო: ვინ იყო პორუჩიკი, ვინ – როტმისტრი, მთავარი კი – ვინ იყო ამხანაგი. მარკიტანტი ყველაფერს ნისიად ამღევდა, ჯამაგირი მესამედობით რიგდებოდა. არაფერი იყო გამოსაგონებელი და ასარჩევი. არ უნდა ჩაგედინა მხოლოდ ისეთი რამ, რაც ურიგობად მიიჩნეოდა პავლოგრადის პოლკში, ხოლო თუ გაგზავნიდნენ სადმე, უნდა გაეკეთებინა ის, რაც ცხადი იყო, განსაზღვრული და ნაბრძანები, და ყველაფერი კარგად იქნებოდა.

როცა როსტოვი პოლკის ცხოვრების ამ განსაზღვრულ პირობებში მოექცა, მან ისეთივე სიხარული განიცადა და ისე დამშვიდდა, როგორც დასასვენებლად მიწოლილი დაღლილი ადამიანი მშვიდდება ხოლმე. მით უფრო საამო იყო როსტოვისთვის ამხანად პოლკის ეს ცხოვრება, რომ მან ფულის წაგების შემდეგ (იმ საქციელის შემდეგ, რომელიც, მშობლების მთელი ნუგეშის მიუხედავად, ვერ ეპატიებინა თავისი თავისთვის) გადაწყვიტა დანაშაულის გამოსასწორებლად ემსახურა არა ისე, როგორც წინათ, არამედ უფრო კარგად. გადაწყვიტა ყოფილიყო ჩინებული ამხანაგი და ოფიცერი, ესე იგი, საუცხოო ადამიანი, რის მიღწევაც ესოდენ ძნელი იყო საზოგადოებაში და ესოდენ შესაძლებელი პოლკში.

ფულის წაგების შემდეგ როსტოვმა გადაწყვიტა, ხუთი წლის განმავლობაში გადაეხადა ეს ვალი მშობლებისთვის. ოჯახიდან მას ათი ათასი რუბლი ეგზავნებოდა წელიწადში. გადაწყვიტა, მხოლოდ ორი ათასი რუბლი მიეღო, დანარჩენი მშობლებისთვის დაეტოვებინა ვალის გასასტუმრებლად.

რუსეთის არმია არაერთგზის უკან დახევის, წინ წაწევისა და იმ ბრძოლების შემდეგ, რომლებიც მან პულტუსკსა და პრეისიშ-ვილაუში ჩაატარა, თავს იყრიდა ბარტენშტეინთან. მიელოდნენ ხელმწიფის ჩასვლას არმიაში და ახალი კამპანიის დაწყებას.

პავლოგრადის პოლკი არმიის იმ ნაწილში ირიცხებოდა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1805 წლის ლაშქრობაში. იგი რუსეთში ივსებოდა, ამიტომ დაიგვიანა კამპანიის პირველი მოქმედებისთვის. მას არ მიუღია მონაწილეობა არც პულტუსკის, არც პრეისიმ-ელიაუს ბრძოლაში. კამპანიის მეორე ნახევარში, როდესაც მოქმედ ჯარს შეუერთდა, იგი პლატოვის რაზმში ჩაირიცხა.

პლატოვის რაზმი არმიისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. პავლოგრადელებმა რამდენჯერმე ნაწილ-ნაწილად მიიღეს მონაწილეობა მტრის წინააღმდეგ სროლაში, ხელთ იგდეს ტყვეები, ხოლო ერთხელ მარშალ უდინოს რაზმს ეტლებიც კი დაატოვებინეს. აპრილში პავლოგრადელებმა მიწასთან გასწორებული და დაცარიელებული გერმანული სოფლის გვერდით რამდენიმე კვირა გაატარეს ფეხმოუცვლელად.

ზამთარი ტყდებოდა, მიწა ატალახდა, ციოდა. მდინარეებზე ყინული დაიძრა. გზები გაუვალი გახდა. მთელი დღეობით საკვები არ ეძლეოდათ არც ცხენებს, არც ადამიანებს. გამწვანდა სურსათ-სანოვარის მიზიდვა და მიწოდება ჯარისთვის და ხალხი გაიფანტა მიტოვებულ, უკაცურ სოფლებში კარტოფილის საძებნელად, მაგრამ თითქმის ვერ შოულობდნენ.

ყველაფერი გადაქმული იყო. მოსახლეობა გაიფანტა, მიიძალა. დარჩენილნი მათხოვრებზე უარესად გამოიყურებოდნენ, წასართმევი აღარაფერი გააჩნდათ. ხშირად, ნაკლებად გულჩვილი ჯარისკაცებიც კი, წართმევის ნაცვლად, თვითონ აწვდიდნენ მათ იმ უკანასკნელს, რაც თავად გააჩნდათ.

პავლოგრადის პოლკს ბრძოლაში მხოლოდ ორი კაცი დაუჭრეს, შიმშილისა და ავადმყოფობისგან კი ჯარისკაცთა თითქმის ნახევარი დაკარგა. ჰოსპიტლებში ხალხი ისეთი რაოდენობით იხოცებოდა, რომ ცუდი კვების გამო სიმსივნით და ციებ-ცხელებით დაავადებული ჯარისკაცები, რომელნიც ფეხებს ძლივს დაათრევდნენ, საავადმყოფოში დაწოლას ფრონტზე დარჩენას ამჯობინებდნენ. გაზაფხულის დადგომისას ჯარისკაცები მინდვრად ახალთავამოყოფილ სატაცურის მსგავს მცენარეს პოულობდნენ, რომელსაც რატომღაც მაშკას ტკბილძირას ეძახდნენ. მაშკას ამ ტკბილძირა საძებნელად (ნამდვილად კი ძალზე მწარე იყო) მინდვრებსა და ველებს მოედვნენ, ხმლებით თხრიდნენ და ჭამდნენ, თუმცა ნაბრძანები იყო, არ გაჰკარებოდნენ ამ მავნე მცენარეს. გაზაფხულზე ჯარისკაცებს ახალი ავადმყოფობა აღმოაჩნდათ – უსივდებოდათ ხელები, ფეხები, სახე. ამის მიზეზად მკურნალებს აღნიშნული მცენარე მიაჩნდათ. მაგრამ აკრძალვის მიუხედავად, დენისოვის ესკადრონის პავლოგრადელი ჯარისკაცები უმთავრესად ამ ტკბილძირათი იკვებებოდნენ, რადგან უკანასკნელი ორცხობილა ორი კვირის განმავლობაში გამოიზოგეს (მხოლოდ ნახევარ-ნახევარ გირვანქას არიგებდნენ კაცზე), ხოლო უკანასკნელად მიწოდებული კარტოფილი დამზრალი და ჩახურებული აღმოჩნდა.

უკვე მეორე კვირა გადიოდა, რაც ცხენებიც სახლების სახურავი ჩალით იკვებებოდნენ, საზარლად გამხდარიყვნენ და ჯერ კიდევ ზამთრის მოუცვლელი ბალანი ბლუჯა-ბლუჯა ეკიდათ.

ასეთი უბედურების მიუხედავად, ჯარისკაცები და ოფიცრები ისევე ცხოვრობდნენ, როგორც ყოველთვის. ფერწასულნი, დასივებული სახითა და ჩამოფლეთილი მუნდირებით. ჰუსარები ახლაც ისევე ეწყობოდნენ შემოწმებისთვის, დადიოდნენ საჯინიბოების დასასუფთავებლად, წმენდდნენ ცხენებს და სამხედრო აღჭურვილობას, ეზიდებოდნენ ცხენებისთვის საკვების ნაცვლად ჩალას სახლის სახურავებიდან, სადილად მიდიოდნენ სამზარეულოში, სადაც ცარიელი ქვაბები იდგა და ისევე მშიერნი ბრუნდებოდნენ, ოხუნჯობდნენ და დასცინოდნენ სამაგელ საკვებსა და თავიანთ შიმშილს; ისევე, როგორც ყოველთვის, სამსახურისგან თავისუფალ დროს, ანთებდნენ კოცონებს, ტიტლიკანები ოფლს იდენდნენ ცეცხლზე, სწევდნენ თუთუნს, არჩევდნენ დამპალ და ჩახურებულ კარტოფილს და გადარჩეულს წვავდნენ, უყვებოდნენ ერთმანეთს და ისმენდნენ ამბებს პოტიომკინისა და სუვოროვის ლაშქრობებზე, ან ზღაპრებს გაიძვერა ალიოშასა და ხუცესის მოჯამაგირე მიკოლკაზე.

ოფიცრებიც ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ – ორ-ორნი, სამ-სამნი გაფარდალალეულ, ნახევრად აოხრებულ სახლებში. უფროსი ოფიცრები ჩალისა და კარტოფილის შეძენაზე ზრუნავდნენ, საერთოდ სურსათ-სანოვაგეზე გამოსაკვებად; უმცროს ოფიცერთაგან, როგორც ყოველთვის, ვინ ბანქოს თამაშობდა (ფული ბევრი იყო, მაგრამ სურსათ-სანოვაგე არ იშოვებოდა), ვინ ქალაქობანას და დანასობიას გულუბრყვილო თამაშით ირთობდა თავს. საქმეების საერთო მიმდინარეობაზე ნაკლებად ლაპარაკობდნენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ არსებითად არაფერი იცოდნენ, ნაწილობრივ კიდევ იმიტომ, რომ ბუნდოვნად გრძნობდნენ, ომის საერთო საქმე ცუდად მიდიოდა.

როსტოვი ძველებურად დენისოვთან ცხოვრობდა. მათი მეგობრობა შვებულების შემდეგ კიდევ უფრო მჭიდრო გახდა. დენისოვი არასოდეს ლაპარაკობდა როსტოვის შინაურებზე, მაგრამ ის სათუთი მეგობრობა, რომელსაც მეთაური იჩენდა თავისი ოფიცრისადმი, როსტოვს აგრძნობინებდა, რომ ძველი ჰუსარის უბედური სიყვარული ნატამასადმი მეგობრობის ამ გაძლიერებაში მონაწილეობდა. დენისოვი, ეტყობოდა, ცდილობდა რაც შეიძლება იშვიათად ჩაეგდო განსაცდელში როსტოვი, უფრთხილდებოდა მას და მტერთან შეტაკების შემდეგ განსაკუთრებულ სიხარულს გამოხატავდა, რომ მრთელსა და უვნებელს ხედავდა. აოხრებულ და მიტოვებულ სოფელში, სადაც როსტოვი დავალების შესასრულებლად – სურსათ-სანოვაგის საშოვნელად იყო წასული, იგი წააწყდა მოხუც პოლონელს და მის ძუძუთაბავშვიან ქალიშვილს. ისინი შიშვლები და მშივრები იყვნენ და არავითარი სახსარი არ გააჩნდათ, რომ სადმე წასულიყვნენ. როსტოვმა ისინი პოლკში წაიყვანა, თავის ბინაში მოათავსა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ინახავდა, ვიდრე მოხუცი გამოკეთდებოდა. როსტოვის ერთმა ამხანაგმა ქალებზე ლაპარაკის დროს სიცილით შენიშნა, რომ როსტოვი ყველაზე ეშმაკი აღმოჩნდა ამ საქმეში და ურიგო არ იქნება, რომ ამხანაგებსაც გაგვაცნოს მის მიერ გადარჩენილი ლამაზი პოლონელი. როსტოვმა ხუმრობა შეურაცხყოფად მიიღო, წამოენთო და იმდენი უსიამოვნო რამ აკადრა ოფიცერს, რომ დენისოვმა ძლივს შეაკავა დუელისგან ამხანაგები. როდესაც ოფიცერი წავიდა და დენისოვმა უსაყვედურა როსტოვს გაცხარება (დენისოვმა თავადაც არ იცოდა, რა ურთიერთობა არსებობდა როსტოვსა და პოლონელ ქალს შორის), როსტოვმა მიუგო:

– მაშ, რა უნდა მექნა, იმ ქალს ისე ვუყურებ, როგორც დას და ვერ აგიწერ, რა საწყენად დამრჩა მისი სიტყვები... იმიტომ, რომ... იმიტომ...

დენისოვმა ხელი დაჰკრა მხარზე და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა გამალებით. როსტოვს არ უყურებდა. ასე იცოდა ყოველთვის სულიერი მღელვარების დროს.

– რა სულელური ბუნების პატრონები ხართ როსტოვები, – ჩაილაპარაკა მან, და როსტოვმა ცრემლი შენიშნა დენისოვს თვალებზე.

თავი მეთექვსმეტე

აპრილში ხელმწიფის ჩასვლის ამბავმა სიცხოველე შეიტანა ჯარში. როსტოვი ვერ მოხვდა დათვალიერებაზე, რომელიც ხელმწიფემ ბარტენშტეინში ჩაატარა: პავლოგრადელები მაშინ წინ იდგნენ, ავანპოსტებზე, ბარტენშტეინიდან შორს. იქ მათ ბანაკი ჰქონდათ გაშლილი. დენისოვი და როსტოვი ჯარისკაცების მიერ ამოთხრილ და როკებით და ბელტებით გადახურულ მიწურში ცხოვრობდნენ. მაშინ მიწურს ახალ მოდაზე აწყობდნენ: ჭრიდნენ თხრილს, რომლის სიგანეც უდრიდა არშინ-ნახევარს, სიღრმე – ორ არშინს, სიგრძე – სამ-ნახევარ არშინს. ერთ ბოლოში ამ თხრილს საფეხურებს უკეთებდნენ, ეს ჩასასვლელი იყო, პარმადი. თვითონ თხრილი ოთახს წარმოადგენდა, სადაც ზოგიერთებს, უფრო ბედნიერებს, როგორც, მაგალითად, ესკადრონის უფროსები იყვნენ, კიბის პირდაპირ, თხრილის მეორე ბოლოში, პალოებზე ფიცარი ჰქონდათ გადებული, ეს იყო მაგიდა.

თხრილის გასწვრივ, ორივე მხარეს, ერთ არშინზე მიწა იყო ჩამოთლილი. ეს იყო ორი საწოლი და დივნები. სახურავი ისე ჰქონდა გაკეთებული, რომ შუაში დგომა შეიძლებოდა, ხოლო საწოლებზე – ჩამოჯდომაც კი, თუ უფრო ახლო მიიწევდით მაგიდისკენ. დენისოვს, რომელიც საუცხოოდ ცხოვრობდა, რადგან ესკადრონის ჯარისკაცებს უყვარდათ იგი, სახურავის ფრონტონზე ჩაჭედული ჰქონდა სხვა ფიცარი, რომელშიც ჩადგმული იყო გატეხილი, მაგრამ შეწებებული მინა. როდესაც ძალიან ციოდა, საფეხურებთან (მისაღებ ოთახში, როგორც დენისოვი ეძახდა მიწურის ამ ნაწილს) ნაკვერჩხლით სავსე გვერდებშეკეცილ რკინის ფურცელს სდებდნენ, რომელიც ჯარისკაცთა კოცონებიდან მოჰქონდათ და მაშინ ისეთი სითბო დგებოდა მიწურში, რომ ოფიცრები, რომლებიც ყოველთვის ბლომად იკრიბებოდნენ დენისოვთან და როსტოვთან, პერანგის ამარა ისხდნენ.

აპრილში როსტოვი სამორიგოდ იყო. უძილო ღამის შემდეგ რვა საათზე დაბრუნებულმა უბრძანა, ნაკვერჩხალი შემოეტანათ მიწურში, შემდეგ გამოიცვალა წვიმისგან დასველებული საცვალი, ილოცა, ჩაი დალია, მიალაგა ნივთები თავის კუთხეში მაგიდაზე და ქარდაკრული სახით, რომელიც ეწვოდა, პერანგის ამარა ზურგზე დაწვა და ხელები თავქვეშ ამოიღო. საამო ფიქრს მიეცა. ვარაუდობდა, რომ უკანასკნელი დაზვერვისთვის მალე მორიგ სამხედრო ხარისხს მიიღებდა. ფიქრობდა ამაზე და თან დენისოვს ელოდა. უნდოდა მოლაპარაკებოდა მას.

გარედან დენისოვის როხროხა ყვირილი მოისმა. ეტყობა, ვიღაცას უბრაზდებოდა. როსტოვი ფანჯარასთან მიიწია, რომ გაეხედა და გაეგო, ვის ეჩხუბებოდა დენისოვი. როსტოვმა ვახმისტრი ტოპჩენკო დაინახა.

– მე შენ გიბრძანებ, ნუ უშვებ ხალხს იმ რაღაც მამკას ძირების სახეთქად! – უყვიროდა დენისოვი, – ჩემი თვალით ვნახე, როგორც მიათრევდა ლაზარჩუკი მინდვრიდან იმ ძირებს.

– ვუბრძანე, თქვენო მაღალკეთილშობილება, მაგრამ არ გამიგონეს, – მიუგო ვახმისტრმა.

როსტოვი კვლავ წამოწვა და კმაყოფილებით გაიფიქრა: „დაე, იჩხუბოს, იჯახიროს, მე ჩემი საქმე შევასრულე და არხეინად ვწევარ ახლა“. კედლის იქითა მხრიდან ვახმისტრს გარდა, ლავრუშკას ხმა ისმოდა, დენისოვის ცქვიტი, ეშმაკი ლაქიასი. ლავრუშკა ვახმისტრს რაღაც საზიდებზე, ორცხოვნილებსა და ხარებზე უამბობდა, რომლებიც მას სურსათზე წასვლის დროს ენახა.

გარედან კვლავ მოისმა დენისოვის უკვე დაშორებული ყვირილი და სიტყვები „მეორე ოცეულო! მოემზადეთ!“

„სად მიდიან ნეტავი?“ – გაიფიქრა როსტოვმა.

ხუთი წუთის შემდეგ დენისოვი მიწურში შემოვიდა, ტალახიანი ფეხებით საწოლზე წამოწვა, გაჯავრებით გააბოლა ჩიბუხი, მიფანტ-მოფანტა მთელი თავისი ნივთები, ხმალი ჩამოიკიდა, მათრახი აიღო და მიწურიდან გასასვლელად გაემართა. როსტოვის კითხვაზე, – სად მიდიხარო, – საქმე მაქვსო, – მიუგო.

– დაე, განმსაჯონ მაღალმა ღმერთმა და დიდმა ხელმწიფემ! – წარმოთქვა დენისოვმა გასვლისას.

როსტოვს ესმოდა როგორ მიაფლატუნებდა ტალახში ფეხებს რამდენიმე ცხენი. მან თავი არ შეიწუხა იმის გასაგებადაც კი, თუ სად წავიდა დენისოვი. თავის კუთხეში ჩათბუნებულმა, ძილს მისცა თავი და საღამოხანი იყო, როცა მიწურიდან გამოვიდა. დენისოვი ჯერ არ დაბრუნებულიყო. საამო საღამო იდგა. მეზობელ მიწურთან ორი ოფიცერი და იუნკერი დანასობიას თამაშობდნენ, სიცილით ისროდნენ პალოებს და ფხვიერ ტალახიან მიწაში არჭობდნენ. როსტოვიც შეუერთდა მათ. შუა თამაშში რამდენიმე მოახლოებული ოთხთვალა დაინახეს ოფიცრებმა. მათ თხუთმეტიოდე ჰუსარი მოსდევდა, რომელნიც გამხდარ ცხენებზე ისხდნენ. მოსულები ცხენთსაბმელებთან გაჩერდნენ. მათ ჰუსარები შემოეხვივნენ.

– დენისოვი სულ წუხდა, – თქვა როსტოვმა, – და აი, სურსათიც გაჩნდა.

– როგორ გაიხარებენ ჯარისკაცები! – თქვეს ოფიცრებმა.

ჰუსარებს შორიახლო მოსდევდა დენისოვი ორი ქვეითი ჯარის ოფიცრის თანხლებით, რომლებსაც რაღაცაზე ელაპარაკებოდა. როსტოვი დენისოვის შესახვედრად გაემართა.

– გაფრთხილებთ, როტმისტრ, – ეუბნებოდა დენისოვს დაბალი ტანის გამხდარი ოფიცერი. ეტყობოდა, გაბრაზებული იყო.

– გითხარით უკვე, არ დაგანებებთ-მეთქი, – მიუგო დენისოვმა.

– იცოდეთ, პასუხს აგებთ, როტმისტრ, თავგასულობაა ეგ, – შენიანს გამოსტაცო ტრანსპორტი, ჩვენს ჯარისკაცებს ორი დღეა არაფერი უჭამიათ.

– ჩემს ჯარისკაცებს კი ორი კვირაა, არაფერი უჭამიათ.

– ეგ ყაჩაღობაა, პასუხს აგებთ, მოწყალეო ხელმწიფე! – აუწია ხმას ქვეითი ჯარის ოფიცერმა.

– რას ჩამაცივდით, მიბრძანეთ, ერთი! – დაუყვირა უეცრად გაცხარებულმა დენისოვმა, – მე ვაგებ პასუხს, მე და არა თქვენ. ყურები ნუ გამომიჭედეთ, გამეცალეთ აქედან, სანამ სული გიდგათ! – განაგრძო ყვირილით დენისოვმა.

– თუ მაგრეა, ნახავთ! – დაუყვირა თავის მხრივ პატარა ოფიცერმა. იგი არ შემკრთალა და არ მოშორებია დენისოვს, – მაშ, არ იშლით ყაჩაღობას, არა! ჰოდა, მე თქვენ...

– გამეცალე-მეთქი, გასწი სწრაფი ნაბიჯით, სანამ სული გიდგას! – და დენისოვმა ცხენი ოფიცრისკენ შეატრიალა.

– კარგი, კარგი! – ჩაილაპარაკა ოფიცერმა მუქარით, ცხენი მიაბრუნა და ჩაქჩაქით გაუდგა გზას.

– ლობეზე შესკუპებული ძაღლი, ცოცხალი ძაღლი ლობეზე! – მიაძახა დენისოვმა ოფიცერს: ასე აბრაზებდნენ კავალერისტები ქვეითი ჯარის მხედრებს და ეს უდიდეს დაცინვად ითვლებოდა. როსტოვთან მისულმა დენისოვმა გულიანად გადაიხარხარა, – ტრანსპორტი დავაგდებინე ქვეით ჯარს, ძალით დავაგდებინე, – წამოიძახა მან, – მაშ, რა უნდა მექნა, შიმშილით ხომ არ ამოვწყვეტთ ხალხს!

ჰუსართა მიერ მოყვანილი ოთხთვალა საზიდები ქვეითი პოლკისათვის იყო დანიშნული. დენისოვმა, რომელმაც ლავრუშკასგან გაიგო, რომ ტრანსპორტი მარტოდმარტო მიემართებოდა, თავისი ჰუსარებით ძალით მოაბრუნა საზიდები და თავის პოლკისკენ წამოიყვანა. ჯარისკაცებს საკმარისად დაურიგეს ორცხოზილა. სხვა ესკადრონებსაც გაუნაწილეს.

მეორე დღეს დენისოვი პოლკის უფროსმა თავისთან მიიხმო, თითებგაშლილი ხელი თვალეზზე მიიღო და უთხრა: „მე მაგ საქმეს აი, ასე ვუყურებ: არაფერი ვიცი ამის შესახებ და არც საქმეს აღვძრავ. მაგრამ გირჩევთ, შეიაროთ შტაბში, იქ სასურსათო უწყებაში მოაგვაროთ ეგ საქმე და თუ შესაძლებელი იქნება, ხელი მოაწეროთ, რომ მიიღეთ ამდენი და ამდენი სურსათ-სანოვარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაკი მოთხოვნა ქვეითი პოლკის სახელზეა დაწერილი, საქმე გამწვავდება და შეიძლება ცუდად დასრულდეს“.

პოლკის უფროსის ბინიდან გამოსული დენისოვი პირდაპირ შტაბისკენ გაემართა. ის გულწრფელად იყო მოწადინებული შეესრულებინა უფროსის რჩევა. საღამოს, როცა დენისოვი თავის მიწურში დაბრუნდა, ისეთი გაცხარებული ჩანდა, როგორც როსტოვს არასოდეს ენახა: ველარ ლაპარაკობდა, სული ეხუთებოდა. როსტოვის შეკითხვაზე, რა დაგემართაო, ხრინწიანი და სუსტი ხმით უცნაურად ილანძლებოდა და იმუქრებოდა.

დენისოვის მდგომარეობით შეშინებული როსტოვი მეგობარს ურჩევდა, წყალი დაეღია და ტანისამოსი გაეხადა, იმავე დროს კაცი გაგზავნა მკურნალთან.

– უნდა გამასამართლონ, ყაჩაღობისთვის, გესმის! წყალი მომაწოდე კიდეც, დაე, გამასამართლონ. გაიძვერა ადამიანებს მე მაინც მუდამ დავცხებ და ხელმწიფესაც მოვახსენებ. მომეცი ყინული, – ჩაილაპარაკა მან.

მოსულმა პოლკის მკურნალმა განაცხადა, საჭიროა სისხლის გამოშვებაო. დენისოვის ბანჯგვლიანი ხელიდან გამოშვებულმა შავმა სისხლმა ღრმა თეფში გაავსო და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო დენისოვმა გადაეცა როსტოვისთვის ყოველივე ის, რაც შეემთხვა.

– მივედი, – დაიწყო დენისოვმა, – აბა, სად არის აქ უფროსი, – ვიკითხე. მიმითითეს. დაცდა მოგიხდებათო. ვუპასუხე, – სამსახურის საქმე მაქვს, ოცდაათი ვერსი გამოვიარე, დასაცდელად არ მცალია, მოახსენე-მეთქი. კეთილიო. ვხედავ, გამოდის ობერქურდი. წარმოიდგინე, დარიგება დამიწყო, ეს ყაჩაღობააო. ყაჩაღობას ის კი არ სჩადის, ვისაც სურსათ-სანოვარე თავის ჯარისკაცთა გამოსაკვებად მიაქვს, არამედ ის, ვისაც იგი ჩასაჯობად მიაქვს-მეთქი. კეთილი, – მეუბნება, – მოაწერეთ ხელი კომისიონერთან, თქვენი საქმე კი გამოსადიებლად გადაეცემაო. მივედი კომისიონერთან. შევდივარ. ვხედავ, მაგიდასთან ზის... ვინ, როგორ გგონია? ვინა გვხოცავს თურმე შიმშილით? – დაიყვირა დენისოვმა და ისე მაგრად დაჰკრა მტკივანი ხელის მუშტი მაგიდას, რომ მაგიდა კინალამ წაიქცა, ხოლო ჭიქებმა ხტუნვა დაიწყეს, – ვინ და ტელიანინი. მაშ, შენა ხარ, შიმშილით რომ გვხოცავ-მეთქი, – შევმახე და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, მარჯვედ დავცხე სახეში. აი, შე ასეთო და ისეთო-მეთქი, დავჰყვივლე და დავაგორე. გეტყვით გულახდილად, გული ვიჯერე, – ამბობდა გახარებული დენისოვი და შავ ულვაშებს ქვეშიდან ბრაზიანად აკრაჭუნებდა თავის თეთრ კბილებს, – მოვკლავდი, ხელიდან რომ არ გამოეგლიჯათ.

– ნუ ყვირი, დაწყნარდი, – მიმართა როსტოვმა, – აი, ისევ წამოგივიდა სისხლი. მოიცა, ხელახლა შეგიხვევ.

დენისოვს ხელახლა შეუხვიეს ხელი და დააწვინეს. მეორე დღეს მხიარულმა და დამშვიდებულმა გაიღვიძა.

მაგრამ შუადღისას დენისოვის და როსტოვის საერთო მიწურში სერიოზული და ნაღვლიანი სახით შევიდა პოლკის ადიუტანტი და დამწუხრებულმა ამხანაგებს უჩვენა პოლკის უფროსის მიერ მაიორ დენისოვთან გამოგზავნილი ფორმის ქალაქი, სადაც დენისოვს კითხვებს აძლევდნენ გუშინდელი ამბის შესახებ. ადიუტანტმა აცნობა მათ, რომ საქმე მეტად ცუდ ხასიათს იღებდა. უკვე დანიშნულია სამხედრო-საგამომძიებლო კომისია და ახლანდელი სისასტიკის გამო ისეთ საქმეებში, როგორც არის დარბევა და ჯარის თვითნებობა, დენისოვის საქმე შეიძლება საუკეთესო შემთხვევაში ჯარისკაცობამდე ჩამოქვეითებით დასრულდესო.

დენისოვის მიერ განაწყენებულებმა საქმე ისე დასახეს, თითქოს ტრანსპორტის წართმევის შემდეგ, მთვრალი მაიორი დენისოვი გამოუწვევლად შეუვარდა ობერ-პროვიანტმეისტერს, უწოდა მას ქურდი და დაემუქრა კიდეც, ხოლო, როცა ოთახიდან გაიყვანეს, კანცელარიაში შევარდა, ორ მოხელეს სცემა, მესამეს კი ხელი უღრძო.

დენისოვმა როსტოვის ხელახალ შეკითხვაზე სიცილით უპასუხა, რომ, მგონი, მართლაც ვიდაც სხვა მოხელე მომხვდა ხელთ და მასაც წავუთაქეო. მაგრამ ეს არაფერია, სისულელეა, მე არავითარი სასამართლოსი არ მეშინია, ხოლო თუ ის გაიძვერები შარს მომდებენ, ისეთ დღეს დავაყენებ, სიკვდილამდე ახსოვდეთო.

დენისოვი დაუდევრად ლაპარაკობდა მთელ ამ საქმეზე, მაგრამ როსტოვი ძალიან კარგად იცნობდა დენისოვს და ხედავდა, რომ გულში (სხვებისგან დაფარულად) ეშინოდა სასამართლოსი და ტანჯავდა ეს საქმე, რომელსაც, ალბათ, ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ყოველდღე ახალ-ახალი ქაღალდები და შეკითხვები მოდიოდა, მოითხოვდნენ სამართალს, ხოლო პირველ მაისს დენისოვმა მიიღო მოწერილობა – თავისი უშუალო უფროსისთვის გადაეცა ესკადრონი და ახსნა-განმარტებისთვის დივიზიის შტაბში გამოცხადებულიყო სასურსათო კომისიაში ატეხილი უწესრიგობის გამო. წინააღმდეგ გენერალი პლატოვი მტრის დასაზვერად წავიდა. თან კაზაკთა ორი პოლკი და ჰუსართა ორი ესკადრონი წაიყვანა. როგორც ყოველთვის, დენისოვი ჯარისკაცთა წინა მწკრივებს გასცდა, – თავს იწონებდა სიმამაცით. სწორედ იმ დროს ფრანგების მიერ გამოსროლილი ტყვია ფეხის ზედა ნაწილის სირბილეში მოხვდა დენისოვს. სხვა დროს ასეთი მსუბუქი ჭრილობის გამო იქნებ თავი არ მიენებებინა მას პოლკისთვის, მაგრამ ახლა ისარგებლა ამ შემთხვევით, უარი თქვა დივიზიაში გამოცხადებაზე და ჰოსპიტალში წავიდა.

თავი მეჩვიდმეტე

ივნისში გაიმართა ფრიდლანდის ბრძოლა, რომელშიც პავლოგრადელებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ ბრძოლას დროებითი ზავის დადება მოჰყვა. როსტოვს, რომელიც ძალიან მძიმედ განიცდიდა უამხანაგობას, დენისოვის წასვლის შემდეგ არავითარი ცნობა არ მიუღია მის შესახებ. აწუხებდა როგორც მისი საქმის, ისე მისი ჭრილობის მდგომარეობა და აი, ახლა ისარგებლა დროებითი ზავით და გამოითხოვა დენისოვის სანახავად ჰოსპიტალში წასვლის ნებართვა.

ჰოსპიტალი რუსი და ფრანგი ჯარის მიერ ორჯერ აკლებულ პრუსიელთა პატარა დაბაში მდებარეობდა. სწორედ იმიტომ, რომ ზაფხული იდგა, როცა მინდვრად ყოფნა ასე სასიამოვნოა, ეს დაბა თავისი დანგრეული სახურავებითა და ღობეებით, ჭუჭყიანი ქუჩებით, ჩამოფლეთილი მცხოვრებლებით და მოხეტიალე მთვრალი ჯარისკაცებით განსაკუთრებით პირქუშ სანახაობას წარმოადგენდა.

ჰოსპიტალი ქვითკირის შენობაში იყო განთავსებული. ეზოს დანგრეული ზღუდე ერტყა, ხოლო შენობაში ჩარჩოებისა და მინების ნაწილი ჩალეწილი იყო. რამდენიმე ჭრილობაშეხვეული, ფერწასული და დასივებული ჯარისკაცი ეზოში დადიოდა მზეზე, ზოგი იჯდა.

რაწამს როსტოვი ამ სახლის ეზოში შევიდა, იმწამსვე ცხვირში ეცა გახრწილი სხეულისა და საავადმყოფოს სუნნი. კიბეზე რუსი სამხედრო ექიმი შეხვდა სიგარით პირში. ექიმს რუსი ფერშალი მოსდევდა.

– ორად ხომ არ გავიხლიჩები, – ეუბნებოდა ექიმი ფერშალს, – სადამოს შემოიარე მაკარ ალექსეევიჩთან, იქ ვიქნები.

ფერშალმა რაღაც ჰკითხა კიდეც.

– როგორც გენებოს, ისე მოიქეცი. განა სულერთი არ არის?

ექიმმა კიბეზე ამომავალი როსტოვი დაინახა.

– თქვენ რა გნებავთ, თქვენო კეთილშობილება? – ჰკითხა ექიმმა, – ტყვიამ ვერა დაგაკლოთ და ახლა ტიფს გინდათ გადაეგოთ? აქ, ჩემო ძმაო, კეთროვანთა სახლია.

– როგორ თუ კეთროვანთა სახლი? – გაიკვირვა როსტოვმა.

– ტიფია, ძმაო, ტიფი! ვინც აქ თავს შემოყოფს, სიკვდილს ვერ გადაურჩება. მხოლოდ ჩვენ ორნი, მე და მაკეევი (ფერშალზე მიუთითა) ვჯახირობთ აქ. მარტო ექიმებიდან აქ ხუთი კაცი გამოესალმა

წუთისოფელს. შემოყოფს თუ არა ახალი ექიმი თავს, ერთ კვირაში მზად არის! – მოჩვენებითი სიამოვნებით ამბობდა ექიმი, – პრუსიელი ექიმები გამოვიწვიეთ, მაგრამ არ უყვართ ჩვენს მოკავშირეებს ასეთი რამეები.

როსტოვმა აუხსნა ექიმს, საავადმყოფოში მწოლიარე ჰუსართა მაიორი დენისოვი მინდა ვნახო.

– არაფერი ვიცი, ჩემო ძმაო! წარმოიდგინეთ, მე მარტოს სამი ჰოსპიტალი მაბარია, ოთხას ავადმყოფზე მეტი. კიდევ კარგი, პრუსიელი ქველმოქმედი ქალები თვეში ორ-ორ გირვანქა ყავას და ფთილას გვიგზავნიან. ეს რომ არა, დავიღუპებოდი, – ექიმმა ჩაიცინა, – დიახ, ოთხასი ავადმყოფი! თანაც, სულ ახალ-ახალს მიგზავნიან. ხომ ოთხასია, არა? – მიმართა მან ფერშალს.

ფერშალს გაწამებული სახე ჰქონდა. ეტყობოდა, მოუთმენლად მოელოდა ენადქცეული ექიმის წასვლას.

– მაიორი დენისოვი, – გაიმეორა როსტოვმა, – მოლიტენთან დაიჭრა.

– მგონი, მოკვდა არა, მაკეევ? – გულგრილად შეეკითხა ექიმი ფერშალს.

მაგრამ ფერშალმა არ დაუდასტურა.

– მაღალი ხომ არ არის, წითური? – ჰკითხა ექიმმა.

როსტოვმა დენისოვის გარეგნობა აუწერა.

– იყო, იყო ასეთი კაცი, – თითქოს გახარებულმა ჩაილაპარაკა ექიმმა, – მაგრამ მოკვდა, ალბათ. თუმცა, ვნახავ. სიები მქონდა. ხომ გაქვს, მაკეევ?

– სიები მაკარ ალექსეიჩს აქვს, – მიუგო ფერშალმა, – წამობრძანდით ოფიცერთა პალატაში, იქ თქვენი თვალთ ნახავთ, – დაუმატა მან და როსტოვს მიმართა.

– არა, ჩემო ძმაო, უმჯობესია არ წახვიდეთ, – უთხრა ექიმმა, – თორემ შეიძლება თავად დარჩეთ აქ.

მაგრამ როსტოვი გამოემშვიდობა ექიმს და სთხოვა ფერშალს, გაეცილებინა იგი.

– მე ნულარ დამემდურებით, – მიაძახა ექიმმა, როცა კიბეზე ჩავიდა.

როსტოვი ფერშალთან ერთად დერეფანში შევიდა. საავადმყოფოს ისეთი მკვეთრი სუნი იდგა ამ ბნელ დერეფანში, რომ როსტოვმა ცხვირზე წაივლო ხელი, თანაც იძულებული გახდა შეჩერებულიყო, რომ ძალ-ღონე მოეკრიბა და გზა განეგრძო. მარჯვნივ კარი გაიღო და იქიდან თავი გამოყო გამხდარმა, მოყვითალო, ფეხშიშველა ყავარჯნიანმა კაცმა, რომელიც საცვლების ამარა იყო. კარის წირთხლთან [157] მიყუდებული, იგი ანთებული, ხარბი თვალებით შეჰყურებდა მიმავალთ. როსტოვმა კარში შეიხედა: ავადმყოფები და დაჭრილები იატაკზე, ჩალასა და მაზარებზე იწვნენ.

– შეიძლება შესვლა სანახავად? – იკითხა მან.

– რა არის მანდ სანახავი? – მიუგო ფერშალმა.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ფერშალს, როგორც ეტყობოდა, არ უნდოდა შეეშვა როსტოვი, ეს უკანასკნელი ნებადაურთველად შევიდა ჯარისკაცთა პალატაში. აქ უფრო მკვეთრად იდგა ის სუნი, რომელსაც როსტოვი უკვე შეეჩვია დერეფანში. მაგრამ აქ მაინც განსხვავებული იყო: უფრო მძაფრად მოქმედებდა და აშკარა იყო, რომ სწორედ აქედან ვრცელდებოდა იგი.

დიდი ფანჯრებიდან მზის სხივებით ძლიერად განათებულ გრძელ ოთახში თავით კედლებისკენ იწვნენ ავადმყოფები და დაჭრილები ისე, რომ შუაში მხოლოდ გასასვლელი იყო დატოვებული. ავადმყოფებისა და დაჭრილების უმეტესობა გონმიხდილი იყო და ყურადღება არ მიუქცევიათ

შესულთათვის. იმათ, ვინც გონებაზე იყო, წამოიწიეს საწოლებიდან, ზოგმა გამხდარი, ჩაყვითლებული სახეები ასწიეს მხოლოდ. ეს სახეები ერთსა და იმავეს გამოხატავდა: დახმარების იმედს, საყვედურს ან შურს სხვისი ჯანმრთელობისადმი. ასეთი გამომეტყველებით შეჰყურებდნენ ისინი როსტოვს, რომელიც შუა ოთახისკენ გაემართა. ღია კარიდან მან მეზობელ ოთახებში შეიხედა და ორივე მხარეს ერთი და იგივე დაინახა. შეჩერდა და ხმაამოუღებლად მიმოიხედა ირგვლივ. არ მოელოდა იმის ნახვას, რაც თვალწინ გადაეშალა. მის წინ, თითქმის შუა გასასვლელში, პირდაპირ იატაკზე გარდიგარდმო იწვა ავადმყოფი, ალბათ, კაზაკი, იმიტომ, რომ თმა კაზაკურად ჰქონდა შეკრეჭილი. ავადმყოფი გულადმა იწვა, უზარმაზარი ხელები და ფეხები აქეთ-იქით გაემხლართა. სახეზე მუქ-წითელი ფერი გადაჰკვროდა, თვალელები გადაჰბრუნებოდა, ისე, რომ მხოლოდ თეთრი გარსი მოუჩანდა; ჯერ კიდევ მოწითალო ფეხებსა და ხელებზე ძარღვები თოკებივით დასჭიმოდა. კაზაკმა კეფა დაჰკრა იატაკს და ხრინწიანად ჩაიბუტბუტა რაღაც. განუწყვეტლივ იმეორებდა იგი ამ რაღაც სიტყვას. როსტოვმა ყური მიუგდო მის ლაპარაკს და გაარჩია მრავალჯერ განმეორებული სიტყვა: შემასვით – მასვით – შემასვით. როსტოვმა მიმოიხედა, ეძებდა თვალელებით ვინმეს, ვინც თავის ადგილას დააწვენდა ამ ავადმყოფს და წყალს მიაწვდიდა.

– ვინ უვლის აქ ავადმყოფებს? – ჰკითხა მან ფერშალს.

ამ დროს მეზობელი ოთახიდან ფურშტატის ჯარისკაცი გამოვიდა, საავადმყოფოს მსახური, ფეხი ფეხს შემოჰკრა და როსტოვს გამოეჭიმა.

– დღეგრძელი იყავით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! – შესძახა ჯარისკაცმა და თვალელები დააშტერა როსტოვს, რომელიც ალბათ, საავადმყოფოს ერთ-ერთ უფროსად მიიღო.

– დააწვინე ავადმყოფი და წყალი დააღვინე, – მიმართა როსტოვმა და კაზაკზე უჩვენა.

– მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! – ხალისით მიუგო ჯარისკაცმა, უფრო ძლიერად დააშტერა თვალელები და უფრო ერთგულად გამოეჭიმა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაიძრა.

„არა, აქ კაცი ვერაფერს გააწყობს“, – გაიფიქრა როსტოვმა, თვალელები დახარა და გასვლა დააპირა, მაგრამ იგრძნო, რომ მარჯვენა მხრიდან ვიღაც შესცქეროდა თვალმოუცილებლად. როსტოვმა მიიხედა. თითქმის კუთხეში, მაზარაზე იჯდა ყვითელი, ჩონჩხივით გამხდარი სახის მოხუცი ჯარისკაცი გაუპარსავი ჭაღარა წვერით და დაჟინებით შესცქეროდა როსტოვს. მეზობელი ერთი მხრიდან რაღაცას ჩასჩურჩულებდა მოხუც ჯარისკაცს და როსტოვზე უჩვენებდა. როსტოვი მიხვდა, რომ მოხუცს რაღაცის თხოვნა უნდოდა. მიუახლოვდა და დაინახა, რომ მოხუცს მხოლოდ ცალი ფეხი მოეხარა, მეორე კი სულაც არ გააჩნდა მუხლზემოთ. მისი მეორე მეზობელი, რომელიც თავგადაგდებული უძრავად იწვა საკმაოდ მოშორებით მოხუცისგან, თვალელებად ბრუნებული ახალგაზრდა ჯარისკაცი იყო, სანთელივით გაყვითლებული. ჭორფლიანი სახე ჰქონდა და პაჭუა ცხვირი. როსტოვმა სახეზე შეხედა ჯარისკაცს და ცივმა ოფლმა დაასხა.

– ეს ხომ, მგონი... – მიმართა მან ფერშალს.

– სულ ვთხოვდით, თქვენო კეთილშობილებავ, ძალიან ვთხოვდით, – თქვა მოხუცმა ჯარისკაცმა ქვედა ყბის კანკალით, – ჯერ კიდევ დილით გარდაიცვალა. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ და არა ძაღლები...

– ამ წუთში გამოვგზავნი კაცებს, გაიტანენ, გაიტანენ, – სწრაფად წარმოთქვა ფერშალმა, – მობრძანდით, თქვენო კეთილშობილებავ!

– წავიდეთ, წავიდეთ, – მიუგო როსტოვმა და თვალდახრილი, მოკუნტული გაემართა ოთახიდან. ცდილობდა შეუმჩნევლად გაეგლო მისკენ შურითა და საყვედურით მიმართულ თვალეებს შორის. ბოლოს, როგორც იქნა, გააღწია ოთახიდან.

თავი მეთვრამეტე

დერეფნის გავლის შემდეგ ფერშალმა როსტოვი ოფიცერთა სამოთახიან განყოფილებაში შეიყვანა; სამივე ოთახს კარები ღია ჰქონდა. ამ ოთახებში საწოლები იდგა. დაჭრილი და ავადმყოფი ოფიცრები იწვნენ, ზოგი საწოლზე წამომჯდარიყო, ზოგიერთს ხალათი ეცვა და ოთახებში მიდი-მოდოდა. პირველი ადამიანი, რომელიც როსტოვს ოფიცერთა განყოფილებაში შეხვდა, იყო პატარა, გამხდარი, ცალხელა კაცი, რომელსაც თავზე ჩაჩი ეხურა და საავადმყოფოს ხალათი ეცვა. დაღრღნილი ჩიბუხი პირში გაერჭო და პირველ ოთახში დადიოდა. როსტოვი დააცქერდა, სახე ნაცნობად ეჩვენა, მაგრამ ვერ მოიგონა, სად ენახა იგი.

– აი, ღმერთმა სად შეგვახვედრა, – მიმართა პატარა კაცმა როსტოვს, – ტუშინი გახლავართ, ტუშინი! გახსოვთ, შენგრაბენტან ქვემეხით რომ წამოგიყვანეთ. მე კი მცირე რამ ჩამომაჭრეს, აი... – თქვა მან ღიმილით და ხალათის ცარიელი სახელო უჩვენა, – ვასილი დმიტრიჩ დენისოვს დაემებთ? ერთად ვართ, ერთად, – განაგრძო მან, როცა გაიგო, ვის ეძებდა როსტოვი, – აქ არის, აქ, – და ტუშინმა წაიყვანა როსტოვი მეორე ოთახში, საიდანაც რამდენიმე კაცის ხარხარი მოისმოდა.

„როგორ ახერხებენ აქ ხარხარს კი არა, ცხოვრებასაც კი?“ – ფიქრობდა როსტოვი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ასვენებდა ჯარისკაცთა განყოფილებიდან გამოყოლილი ცხედრის სუნი და რომელიც ჯერ კიდევ ხედავდა ირგვლივ შურიან თვალებსა და ახალგაზრდა ჯარისკაცის თვალებგადაბრუნებულ სახეს.

თავით ფეხამდე საბანში გახვეულ დენისოვს ჯერ კიდევ ეძინა, თუმცა დღის 12 საათი იყო.

– აა, როსტოვ, გამარჯობა, გამარჯობა! – დაუყვირა მან ძველებურად, როგორც პოლკში იცოდა ხოლმე; მაგრამ როსტოვმა მწუხარებით შენიშნა, რომ დენისოვის სახის გამომეტყველებაში, მის ინტონაციასა და სიტყვებში ამ სითამამესა და გაცხოველებასთან ერთად გამოსჭვიოდა რაღაც ავი, გულში ჩამარხული ახალი გრძნობა.

უმნიშვნელო ჭრილობა ჯერ კიდევ არ შეხორცებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ექვსმა კვირამ განვლო მას შემდეგ, რაც დენისოვი დაიჭრა. სახე ისეთივე ფერმკრთალი და შესივებული ჰქონდა, როგორიც ჰოსპიტალში მყოფ ყველა ავადმყოფს. მაგრამ ამან როდი გააოცა როსტოვი, გააოცა იმან, რომ მის ნახვას თითქოს არ გაუხარებია დენისოვი, იგი არაბუნებრივად უღიმოდა ამხანაგს. დენისოვს არ გამოუკითხავს არც პოლკის ამბები, არც საქმის საერთო მიმდინარეობა: როდესაც როსტოვმა თვითონ ჩამოუგდო ლაპარაკი, დენისოვი ყურს არ უგდებდა.

როსტოვმა ისიც შენიშნა, რომ დენისოვს არ სიამოვნებდა, როცა გაახსენებდნენ პოლკს ან საერთოდ იმ სხვა, თავისუფალ ცხოვრებას, რომელიც ჰოსპიტლის გარეთ ჩქეფდა. იგი თითქოს ცდილობდა დაევიწყებინა წინანდელი ცხოვრება, მას მხოლოდ თავისი საქმე აინტერესებდა სასურსათო დარგის მოხელეებთან. როსტოვის კითხვაზე, რა მდგომარეობაში იყო მისი საქმე, დენისოვმა მაშინვე ბალიშქვემოდან გამოიღო კომისიისგან მიღებული ქაღალდი და თავისი შავად დაწერილი პასუხი ამ ქაღალდზე. იგი გამოცოცხლდა, როცა თავისი პასუხის კითხვას შეუდგა განსაკუთრებით ცდილობდა როსტოვისთვის ეგრძნობინებინა ის გესლი, რომლითაც იგი უმასპინძლებოდა თავის მტრებს. დენისოვის ამხანაგები, რომელნიც შესვლისთანავე შემოეხვივნენ როსტოვს – გარედან შესულ ახალ პირს, – თანდათან გაიფანტნენ, როგორც კი დენისოვმა თავისი ქაღალდის კითხვა დაიწყო. მათი სახის გამომეტყველებით როსტოვი მიხვდა, რომ მათ არაერთხელ მოესმინათ მთელი ეს ისტორია და მოჰბეზრებოდათ კიდევ იგი. მხოლოდ დენისოვის მეზობელი, სქელი ულანი იჯდა საწოლზე მოღუშული და ჩიბუხს აბოლებდა. აქვე იდგა პატარა, ცალხელა ტუშინიც და უკმაყოფილოდ იქნევდა თავს. შუა კითხვის დროს ულანმა გააწყვეტინა დენისოვს.

– ჩემი აზრით, – თქვა მან და მიმართა როსტოვს, – უბრალოდ პატიება უნდა ეთხოვოს ხელმწიფეს. ამბობენ, დიდი ჯილდოები იქნება ახლათ და, ალბათ, გაპატიებენ...

– მე ვთხოვო ხელმწიფეს! – წამოიძახა დენისოვმა და თან შეეცადა ხმისათვის წინანდელი რიხი და სიცხარე მიეცა, მაგრამ მასში მხოლოდ უმიზეზო გაღიზიანება ისმოდა, – რა ვთხოვო? მე რომ ყაჩაღი ვიყო, შეწყალებას ვითხოვდი. მაგრამ მე მასამართლებენ იმისათვის, რომ მზის სინათლეზე გამომყავს ყაჩაღები. დაე, გამასამართლონ, მე არავისი არ მეშინია. პატიოსნად ვემსახურებოდი ხელმწიფეს და სამშობლოს და არაფერი მომიპარავს. და მე უნდა ჩამომაქვეითონ, და... გამიგონე, მე აშკარად ვწერ აი, აქ: „მე რომ ხაზინის ქურდი ვიყო“...

– თქმა არ უნდა, მარჯვედ არის დაწერილი, – თქვა ტუმინმა, – მაგრამ საქმე მაგაში არ არის, ვასილი დმიტრიჩი, – და მანაც როსტოვს მიმართა, – საჭიროა მორჩილება, ვასილი დმიტრიჩს კი არ უნდა. ხომ გითხრათ აუდიტორმა, – თქვენი საქმე ცუდად არისო.

– დაე, იყოს ცუდად, – მიუგო დენისოვმა.

– აუდიტორმა თხოვნა დაგიწერათ, – განაგრძო ტუმინმა, – უნდა ხელი მოაწეროთ და აი, ამით გაატანოთ. ამით, ალბათ (მან როსტოვზე მიუთითა), ნაცნობები ჰყავთ შტაბში. უკეთეს შემთხვევას ვერ გამოიხატავთ.

– ხომ ვთქვი, ფლიდობას ვერ ჩავიდენ-მეთქი, – გააწყვეტინა დენისოვმა და კვლავ განაგრძო თავისი ქაღალდის კითხვა.

როსტოვი ვერ ბედავდა თავის მხრივაც დაერწმუნებინა დენისოვი, თუმცა ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ტუმინისა და სხვა ოფიცრების მიერ ნაჩვენები გზა ყველა სხვა გზაზე სწორი იყო და უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევდა თავს, რომ შესძლებოდა და რაიმე დახმარება აღმოეჩინა დენისოვისთვის: მან იცოდა, რა ურყევი ნებისყოფის პატრონი იყო იგი და რა ცხარედ იცავდა სიმართლეს.

როდესაც დასრულდა დენისოვის გესლიანი ქაღალდების კითხვა, რამაც ერთ საათზე მეტს გაატანა, როსტოვს არაფერი უთქვამს. დღის დარჩენილი დრო მეტად ნაღვლიანად გაატარა დენისოვის ამხანაგებს შორის, რომლებმაც კვლავ მოიყარეს თავი მის გარშემო. იგი უამბობდა დაჭრილებს, რაც იცოდა, და ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს. დენისოვი მოღუშული დუმდა მთელი საღამოს განმავლობაში.

გვიან საღამოთი, როდესაც როსტოვმა წასვლა დააპირა, დენისოვს ჰკითხა, ხომ არაფერს დამავალეზო.

– მოიცა, – მიუგო დენისოვმა და ოფიცრებს თვალი შეავლო, მერე ბალიშქვეშიდან თავისი ქაღალდები გამოიღო, ფანჯარასთან მივიდა, სადაც მისი სამელნე იდგა და წერა დაიწყო, – ეტყობა, ძალით ვერაფერს გააწყობს კაცი, – თქვა მან, ფანჯარას მოშორდა და დიდი კონვერტი გადასცა როსტოვს. კონვერტში აუდიტორის მიერ დაწერილი თხოვნა იდო. ამ თხოვნაში დენისოვი არ იხსენიებდა სასურსათო უწყების დანაშაულს და მხოლოდ პატიებას ითხოვდა.

– გადაეცი, ეტყობა... – ვერ დაამთავრა დენისოვმა და ყალბად და მტკივნეულად გაიღიმა.

თავი მეცხრამეტე

უკან დაბრუნებულმა როსტოვმა პოლკის უფროსს აცნობა დენისოვის საქმის ვითარება და ხელმწიფისადმი მიმართული წერილით ტილზიტისკენ გაემართა.

19 ივნისს საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორები ტილზიტში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბორის დრუბეცკოიმ, რომელიც წარჩინებულ პირს ახლდა, სთხოვა ამ პირს, ჩაერიცხა იგი ამაღლაში, რომელიც მეფეს ტილზიტში უნდა ხლებოდა.

– Je voudrais voir le grand homme (მინდა ვნახო დიდი ადამიანი), – თქვა მან ნაპოლეონზე, რომელსაც მანამდე სხვებივით ბუონაპარტეს უწოდებდა.

– Vous parlez de Buonaparte (ბუონაპარტეზე ლაპარაკობთ)? – ჰკითხა ღიმილით გენერალმა.

ბორისმა გაკვირვებით შეხედა თავის გენერალს და მაშინვე მიხვდა, რომ იგი ხუმრობით ცდიდა.

– Mon prince, je parle de l'empereur Napoléon (თავადო, მე იმპერატორ ნაპოლეონზე ვლაპარაკობ), – მიუგო მან.

გენერალმა ღიმილით მოუთათუნა მხარზე ხელი.

– დიდ წარმატებას მიაღწევ. – უთხრა გენერალმა და ბორისი თან წაიყვანა ტილზიტში.

იმპერატორთა შეხვედრის დღეს ხელმწიფის მცირე მხლებელთა შორის ნემანზე ბორისიც იყო. მან ნახა ვენზელებიანი ტივები. ნახა, როგორ ჩაუარა მეორე ნაპირზე ნაპოლეონმა საფრანგეთის გვარდიას; დაინახა იმპერატორ ალექსანდრეს ჩაფიქრებული სახე, როცა იგი ნაპოლეონის მოლოდინში მდუმარედ იჯდა ქარვასლაში ნემანის ნაპირზე; ნახა, როგორ ჩასხდნენ იმპერატორები ნავებში, როგორ გაემართა ნაპოლეონი, რომელიც პირველი მიადგა ტივს სწრაფი ნაბიჯით და ხელი გაუწოდა ალექსანდრეს, შემდეგ კი პავლიონში მიიმალნენ ორივენი. უმაღლეს წრეებში მოხვედრის შემდეგ ბორისს წესად ჰქონდა, გულმოდგინედ ედევნებინა თვალყური და ჩაეწერა ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა. იმპერატორთა ტილზიტში შეხვედრის დროს ის ყველას ეკითხებოდა ნაპოლეონთან ერთად ჩამოსულ პირთა გვარებს, ეკითხებოდა მუნდირების შესახებ, რომლებიც მათ ეცვათ, გაფაციცებით უგდებდა ყურს წარჩინებულთა სიტყვებს. სწორედ იმ დროს, როცა იმპერატორები პავლიონში შევიდნენ, მან საათს დახედა; არ დაივიწყა საათზე დახედვა არც მაშინ, როცა ალექსანდრე პავლიონიდან გამოვიდა. იმპერატორების შეხვედრამ ერთ საათსა და ორმოცდაცამეტ წუთს გასტანა. ბორისმა სადამოთი, სხვა ფაქტებთან ერთად, რომლებსაც, მისი აზრით, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ, საათის სწორედ ეს დრო ჩაიწერა. რუსეთის იმპერატორის ამაღლა მეტად მცირერიცხოვანი იყო, ამიტომ იმ კაცისთვის, რომელიც წარმატებისკენ მიილტვოდა, ტილზიტში ყოფნა იმპერატორთა შეხვედრის დროს უდიდეს საქმეს წარმოადგენდა. ტილზიტში მოხვედრილი ბორისი გრძნობდა, რომ ამ დღიდან მისი მდგომარეობა სავსებით განმტკიცდებოდა. მას ახლა არათუ იცნობდნენ, თვალის შეაჩვიეს. ორჯერ ეახლა ხელმწიფესთან წარგზავნილი დავალებით. ასე რომ, ხელმწიფე უკვე იცნობდა სახით, ხოლო მეფის ახლობელნი არათუ წინანდებურად ერიდებოდნენ როგორც უცხო პირს, არამედ გაიკვირვებდნენ კიდევ, რომ აღარ ენახათ იგი.

ბორისი სხვა ადიუტანტთან, პოლონელ გრაფ ჟილინსკისთან ერთად ცხოვრობდა. პარიზში აღზრდილი პოლონელი ჟილინსკი მდიდარი კაცი იყო, და თითქმის ყოველდღე, ტილზიტში ყოფნის დროს, სადილად და საუზმეზე ჟილინსკისთან და ბორისთან საფრანგეთის გვარდიისა და მთავარი შტაბის ოფიცრები იკრიბებოდნენ.

24 ივნისს, სადამოთი, გრაფმა ჟილინსკიმ, ბორისის თანამობინადრემ, თავისი ნაცნობი ფრანგებისთვის ვახშამი გამართა. ვახშამზე იყვნენ: საპატიო სტუმარი – ნაპოლეონის ერთ-ერთი ადიუტანტი, საფრანგეთის გვარდიის რამდენიმე ოფიცერი და ახალგაზრდა ყმაწვილი, ნაპოლეონის პაჟი, რომელიც ძველ არისტოკრატიულ ფრანგულ გვარს ატარებდა. სწორედ ამ დღეს, სამოქალაქო ტანისამოსში

გამოწყობილმა როსტოვმა ისარგებლა სიბნელით, რომ არავის ეცნო, ტილზიტში შევიდა და ჟილინსკისა და ბორისის ბინას მიადგა.

როსტოვს, ისევე, როგორც მთელ არმიას, საიდანაც ის იყო ჩასული, ჯერ კიდევ არ განეცადა მტრებიდან მეგობრებად ქცეული ნაპოლეონისა და ფრანგებისადმი ისეთი შინაგანი გარდაქმნა, როგორც განიცადეს მთავარ ბინაზე მყოფებმა და ბორისმა. არმიაში ჯერ კიდევ წინანდებურად გაბატონებულიყო სიძულვილის, გაბოროტებისა და შიშის შერეული გრძნობა ბონაპარტესა და ფრანგებისადმი. დიდი ხანი არ გასულიყო მას შემდეგ, რაც როსტოვი, პლატოვის კაზაკთა ოფიცერთან ლაპარაკის დროს ამტკიცებდა, რომ ნაპოლეონს, ტყვედ რომ ჩავარდნოდა ჩვენებს, მოეპყრობოდნენ არა როგორც ხელმწიფეს, არამედ როგორც დამნაშავესო. სულ რამდენიმე დღის წინათ, გზაზე, როსტოვი დაჭრილ ფრანგ პოლკოვნიკთან გამოლაპარაკებისას ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია ზავის ჩამოგდება კანონიერ ხელმწიფესა და დამნაშავე ბონაპარტეს შორისო. ამიტომ როსტოვი გააკვირვა ბორისის ბინაზე ფრანგი ოფიცრების ნახვამ და იმ მუნდირებმა, რომლებსაც იგი სულ სხვა თვალთ უყურებდა ფრანკერის ხაზიდან[158], დაინახა თუ არა კარიდან თავგამოყოფილი ფრანგი ოფიცერი, როსტოვი ერთბაშად შეიპყრო ბრძოლისა და მტრობის იმ გრძნობამ, რომლითაც იგი ყოველთვის იმსჭვალებოდა მტრის დანახვისას. იგი კარის ზღურბლზე შეჩერდა და რუსულად იკითხა, აქ ცხოვრობს თუ არა დრუბეცკოიო. ბორისი, რომელსაც უცხო კაცის ხმა მოესმა, დერეფანში გავიდა მის შესახვედრად. პირველ წუთს, როცა როსტოვი იცნო, ბორისს უკმაყოფილება დაეტყო სახეზე.

– ოჰ, შენ ხარ? ძალიან მოხარული ვარ, ძალიან, – მაინც ღიმილით წამოიძახა და შესახვედრად გაემართა. მაგრამ როსტოვმა შენიშნა მისი პირველი მოძრაობა.

– მგონი, უდროოდ დროს მოვედი, – მიუგო მან, – არ მოვიდოდი, მაგრამ საქმე მაქვს, – განაგრძო ცივად...
– არა, მე მხოლოდ მაკვირვებს, როგორ წამოხვედი პოლკიდან. Dans un moment je suis à vous (მოვდივარ, ამ წუთში მოვდივარ), – მიმართა ფრანგულად ვილაცას, რომელიც მეორე ოთახიდან ეძახდა.

– ვხედავ, რომ უდროოდ დროს მოვედი, – გაიმეორა როსტოვმა.

ბორისს სახეზე აღარ ეტყობოდა უკმაყოფილება. ალბათ მოიფიქრა როგორ მოქცეულიყო: ძალიან მშვიდად ჩაჰკიდა სტუმარს ორივე ხელი და მეზობელი ოთახისკენ წაიყვანა. ბორისის თვალეში, რომლებიც მშვიდად და მტკიცედ შეჰყურებდნენ როსტოვს, თითქოს რაღაცას დაებურა, თითქოს რაღაც საბურველი – საერთო საცხოვრებლის ლურჯი სათვალე – აჰფარებოდა მათ. ასე ეჩვენებოდა როსტოვს.

– კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, განა შეიძლება შენი მოსვლა ოდესმე უდროოდ იყოს? – მიუგო ბორისმა.

ბორისმა როსტოვი იმ ოთახში შეიყვანა, სადაც სუფრა იყო გაშლილი, გააცნო იგი იქ მყოფთ, დაასახელა მისი გვარი და განაცხადა, რომ ის ჰუსართა პოლკის ოფიცერია და არა სამოქალაქო კაცი, ჩემი ძველი მეგობარიო, – გრაფი ჟილინსკი, le comte N.N., le capitaine S.S. (გრაფი ნ. ნ., კაპიტანი ს. ს.) – ასახელებდა ბორისი სტუმრებს.

როსტოვი მოღუშული შეჰყურებდა ფრანგებს, უხალისოდ უკრავდა თავს და დუმდა.

ჟილინსკიმ, ეტყობოდა, უხალისოდ მიიღო თავის წრეში ეს ახალი რუსული სახე და ხმა არ გასცა როსტოვს. ბორისი თითქოს ვერ ამჩნევდა ახალი პირის შემოსვლით გამოწვეულ უხერხულობას და იმავე საამო სიმშვიდითა და დაბურული თვალებით, როგორითაც როსტოვს შეხვდა, ცდილობდა გაეცხოველებინა საუბარი. ერთ-ერთმა ფრანგმა ჩვეულებრივი თავაზიანობით მიმართა როსტოვს და ჰკითხა, ალბათ, ტილზიტს იმპერატორის სანახავად ეწვიეთო.

– არა, საქმე მაქვს აქ, – მოკლედ მიუგო როსტოვმა.

როსტოვი მაშინვე უგუნებოდ გახდა, როცა ბორისის სახეზე უკმაყოფილება შენიშნა და, როგორც ყოველთვის ემართებათ ხოლმე უგუნებოდ მყოფ ადამიანებს, ეჩვენებოდა, თითქოს ყველა მტრულად უყურებდა და ყველას ხელს უშლიდა. და მართლაც, ყველას უშლიდა ხელს და მარტოდენ ის არ მონაწილეობდა საერთო საუბარში, რომელიც ხელახლა გაიბა. „რატომ ზის ნეტავი აქ?“ თითქოს ამბობდნენ დამსწრეთა თვალები, როცა მას გადახედავდნენ ხოლმე. როსტოვი ადგა და ბორისთან მივიდა.

– იცი, რა, – მიმართა მან ჩუმად ბორისს, – მართლაც ხელს გიშლი, წავიდეთ, მოვილაპარაკოთ და მერე გავუდგები ჩემს გზას.

– სრულიადაც არ მიშლი ხელს, – მიუგო ბორისმა, – მაგრამ თუ დაიღალე, წავიდეთ ჩემს ოთახში, იქ დაწევი და დაისვენე.

– მართლაც, კარგი იქნება...

ისინი შევიდნენ პატარა ოთახში, სადაც ბორისი იძინებდა. როსტოვი არ დამჯდარა. გაგულისებული, თითქოს ბორისი ყოფილიყო მის წინაშე რამეში დამნაშავე, შესვლისთანავე მოუყვა მას დენისოვის საქმის ვითარებას და თან შეეკითხა, გასურს და შეგიძლია თუ არა სთხოვო დენისოვის შესახებ თქვენი გენერლის მეშვეობით ხელმწიფეს და მისივე მეშვეობით გადასცე წერილიო. როდესაც მარტონი დარჩნენ, როსტოვი პირველად დარწმუნდა, რომ იგი ვერ ახერხებდა ბორისისთვის თვალის გასწორებას. ბორისი ფეხზე ფეხგადადებული უსმენდა როსტოვს, თან მარცხენა ხელს მარჯვენა ხელის თლილ თითებზე ისვამდა; უსმენდა ისე, როგორც გენერალი ისმენს ხელქვეითის მოხსენებას. იგი ხან განზე იყურებოდა, ხან იმავე დაბურული თვალებით პირდაპირ სახეში აცქერდებოდა როსტოვს. ამ დროს როსტოვი ყოველთვის უხერხულად გრძნობდა თავს და თვალებს ხრიდა.

– მსმენია მაგისტანა საქმეების შესახებ და ვიცი, რომ ხელმწიფე დიდ სისასტიკეს იჩენს მაგნიარ შემთხვევებში. ვფიქრობ, საჭირო არ არის მაგ საქმის ხელმწიფის ყურამდე მიტანა. მე მგონია, უმჯობესი იქნება, ეთხოვოს უშუალოდ კორპუსის უფროსს... საერთოდ კი, ვფიქრობ...

– მაშ, შენ არაფრის გაკეთება არ გინდა, ბარემ პირდაპირ თქვი! – თითქმის შეჰყვირა როსტოვმა, თანაც თვალი აარიდა ბორისის თვალებს.

ბორისმა გაიღიმა.

– პირიქით, გავაკეთებ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შემიძლია, მხოლოდ ვფიქრობდი...

ამ დროს კარიდან ჟილინსკის ხმა მოისმა, იგი ბორისს ეძახდა.

– ჰო, კარგი, წადი, წადი! – მიმართა ბორისს როსტოვმა.

მან უარი თქვა ვახშამზე. პატარა ოთახში მარტო დარჩენილი დიდხანს დადიოდა წინ და უკან და ყურს უგდებდა მეზობელ ოთახში მხიარულ ფრანგულ ლაპარაკს.

თავი მეოცე

როსტოვი ტილზიტში იმ დღეს ჩავიდა, რომელიც ყველაზე ნაკლებად იყო მოხერხებული დენისოვის შუამდგომლობისთვის. თვით როსტოვი მორიგ გენერალთან ვერ წავიდოდა, რადგან ფრაკი ეცვა და ნებადაურთველად იყო ჩასული ტილზიტში, ხოლო ბორისი, რომ მოესურვებინა კიდეც, ვერაფერს გააწყობდა როსტოვის ჩასვლის მეორე დღეს: ამ დღეს, 27 ივნისს, ხელი მოაწერეს ზავის პირველ პირობებს. იმავე დღეს იმპერატორებმა ერთმანეთს ორდენები მიუძღვნეს: ალექსანდრემ მიიღო

საკაპტო ლეგიონის ორდენი, ხოლო ნაპოლეონმა – პირველი ხარისხის ანდრიას ორდენი; სწორედ იმავე დღისთვის იყო დანიშნული სადილი, რომელსაც საფრანგეთის გვარდიის ბატალიონი უმართავდა პრეობრაჟენსკის პოლკის ბატალიონს. ამ ბანკეტს იმპერატორები უნდა დასწრებოდნენ.

როსტოვს იმდენად ეუხერხულებოდა და არ სიამოვნებდა ბორისთან ყოფნა, რომ როცა ვახშმის შემდეგ ბორისმა ოთახში შეიხედა, როსტოვმა თავი მოიმძინარა, ხოლო მეორე დღეს დილაადრიან შეეცადა ისე წასულიყო სახლიდან, რომ ბორისი არ ენახა. ფრაკში გამოწყობილი როსტოვი, ფარფლებიანი მრგვალი ქუდით თავზე, დადიოდა ქალაქში, ათვალეირებდა ფრანგებსა და მათ მუნდირებს, ქუჩებსა და სახლებს, სადაც რუსეთისა და საფრანგეთის იმპერატორები ცხოვრობდნენ. მოედანზე დაინახა, როგორ ალაგებდნენ მაგიდებს და ემზადებოდნენ სადილისთვის. ხედავდა ქუჩებში გადაკიდებულ ფარდებს, შემკულს რუსული და ფრანგული დროშებით და უზარმაზარი ვენზელებით A. და N. ფანჯრებშიც დროშები და ვენზელები მოჩანდა.

„ბორისს არ სურს დამეხმაროს, ახლა მე თვითონაც აღარ მივმართავ მას. გადაწყვეტილია, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ დენისოვისთვის არ გავაკეთებ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შემიძლია და, რაც მთავარია, სანამ ხელმწიფეს წერილს არ გადავცემ. ხელმწიფეს?! ის აქ არის!“ – ფიქრობდა როსტოვი, როცა თავისდა უნებურად მიუახლოვდა იმ სახლს, რომელიც ალექსანდრეს ეკავა.

სახლთან ცხენები იდგნენ და ამაღლა იკრიბებოდა. ეტყობოდა, ელოდებოდნენ ხელმწიფის გამოსვლას.

„ყოველ წუთს შემიძლია მისი ნახვა, – ფიქრობდა როსტოვი, – რომ შემეძლოს წერილის პირდაპირ გადაცემა და ყველაფრის თქმა... ნუთუ ფრაკისთვის დამაპატიმრებენ? შეუძლებელია! ხელმწიფე მიხვდებოდა, ვის მხარეზეა სიმართლე. მას ყველაფერი ესმის, მან ყველაფერი იცის. ვინ უნდა იყოს იმაზე სამართლიანი და სულგრძელი? რა ბედენაა მერე, თუნდაც დამაპატიმრონ იმისთვის, რომ აქ ვარ!“ – ფიქრობდა იგი და შეჰყურებდა ოფიცერს, რომელიც ხელმწიფის სახლში ადიოდა. „აი, ხომ ადიან იმ სახლში. ეჰ, ყველაფერი ეს სისულელეა, შევალ და თვითონ გადავცემ წერილს ხელმწიფეს: მით უარესი დრუბეცკოისთვის, რომელმაც აქამდე მიმიყვანა“. და უეცრად უარესი გამბედაობით, ისეთი გამბედაობით, როგორსაც იგი არ მოელოდა თავისი თავისგან, როსტოვი ხელმწიფის სახლისკენ გაემართა, თან ჯიბეში წერილი მოისინჯა.

„არა, ახლა მარჯვე შემთხვევას აღარ გავუშვებ ხელიდან, როგორც აუსტერლიცის შემდეგ“, – ფიქრობდა როსტოვი და ყოველ წუთს მოელოდა ხელმწიფესთან შეხვედრას. გრძნობდა, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ სისხლმა დაუარა მთელ სხეულში. „ფეხებში ჩავუვარდები და შევხვებწები. ამაყენებს, მომისმენს და მაღლობასაც მეტყვის: „ბედნიერი ვარ, როცა სიკეთის გაკეთება შემიძლია; უსამართლობის გამოსწორება ხომ უდიდესი ბედნიერებაა“, – წარმოიდგინა როსტოვმა ის სიტყვები, რომლებსაც ხელმწიფე წარმოთქვამს. და იგი ხელმწიფის მიერ დაკავებული სახლის პარმალისკენ გაემართა. როსტოვმა წინ ჩაუარა გზაზე მდგომთ, რომელნიც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ.

განიერი კიბე პარმალისკენ პირდაპირ ზევით ადიოდა. მარჯვნივ მოხურული კარი მოჩანდა. ქვემოთ, კიბის ქვეშ, ქვედა სართულის კარი იყო.

– ვინ გნებავთ? – იკითხა ვიღაცამ.

– წერილი მინდა მივართვა მის უდიდებულესობას, თხოვნა, – მიუგო ნიკოლაიმ აკანკალებული ხმით.

– თხოვნა მორიგეს უნდა გადასცეთ, მობრძანდით, აი, აქეთ (მიუთითეს ქვემოთა კარზე). მხოლოდ არ მიიღებენ.

ამ გულგრილი ხმის გაგონებაზე როსტოვს შეეშინდა იმისი, რასაც სჩადიოდა. ის აზრი, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა შეხვედროდა ხელმწიფეს, იმდენად მაცდურად, და ამის გამო, იმდენად საშინლად ეჩვენებოდა, რომ მზად იყო გაქცეულიყო, მაგრამ კამერ-ფურცელი, რომელსაც იგი შეხვდა, კარი გაუღო სამორიგეოში და როსტოვი იძულებული გახდა, შესულიყო.

ოთახში ოცდაათი წლის მომცრო ტანის სქელი კაცი იდგა, თეთრ შარვალსა და პაჭიკებში გამოწყობილი, ეტყობოდა, ის-ის იყო, ბატისტის თეთრი პერანგი ჩაეცვა. კამერდინერი, რომელიც მის უკან იდგა, აბრეშუმით ნაკერ საუცხოო თეთრ საბეჭურებს უკრავდა. როსტოვმა რატომღაც შენიშნა ეს საბეჭურები. სქელი კაცი მეორე ოთახში ელაპარაკებოდა ვიღაცას.

– Bien faite et la beauté du diable (კარგი აღნაგობა აქვს, თანაც ნორჩია), – ეუბნებოდა იგი, მაგრამ როსტოვის დანახვაზე გაჩუმდა და მოიღუშა.

– რა გნებავთ? თხოვნა გაქვთ?

– Qu'est ce que c'est (რა ამბავია)? – იკითხა ვიღაცამ მეორე ოთახიდან.

– Encore un petitionnaire (კიდევ ერთი მთხოვნელია), – მიუგო საბეჭურიანმა მამაკაცმა.

– გადაეცით, რომ მერე მოვიდეს. ამ წუთში ხელმწიფე გამობრძანდება, – უნდა წავიდეთ.

– მერე, მერე, ხვალ, გვიან არის...

როსტოვი შეტრიალდა და წასვლა დააპირა, მაგრამ საბეჭურიანმა კაცმა შეაჩერა:

– ვისგან არის? თქვენ ვინ ხართ?

– მაიორ დენისოვისგან, – მიუგო როსტოვმა.

– თქვენ ვინღა ხართ? ოფიცერი?

– პორუჩიკი, გრაფი როსტოვი.

– რა გაბედულებას! სამსახურის ხაზით შეიტანეთ თხოვნა. თქვენ კი მიბრძანდით, მიბრძანდით... – და კამერდინერის მიერ მიწოდებული მუნდირის ჩაცმა დაიწყო.

როსტოვი კვლავ დერეფანში შევიდა. იქიდან დაინახა, რომ პარმალზე უკვე ბლომად შეკრებილიყვნენ სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილი ოფიცრები და გენერლები. როსტოვს მათ გვერდზე უნდა გაეგლო.

იგი სწყევლიდა თავის გაბედულებას, სულს უხუთავდა ის აზრი, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა შეხვედროდა ხელმწიფეს, შეიძლებოდა შეერცხვინათ, თავი მოეჭრათ მის წინაშე, შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ კიდევ; მას ესმოდა თავისი საქციელის სრული შეუსაბამობა, ინანიებდა ჩადენილს. და აი, ასე შემოფოთებული, თვალმდახრილი მიიკვლევდა იგი გზას ბრწყინვალე ამალის წარმომადგენელთა მიერ გარშემორტყმული სახლიდან, როცა ვიღაცის ნაცნობმა ხმამ შეაჩერა და ხელი წაავლო.

– მიბრძანეთ ერთი, რას აკეთებთ აქ, ფრაკში გამოწყობილი? – შეეკითხა ვიღაცის ბოხი ხმა.

იგი კავალერიის გენერალი იყო, იმ დივიზიის ყოფილი უფროსი, სადაც როსტოვი მსახურობდა. ამ კამპანიაში მან ხელმწიფის განსაკუთრებული წყალობა დაიმსახურა.

შეშინებულმა როსტოვმა თავის მართლება დაიწყო, მაგრამ, დაინახა თუ არა გენერლის გულკეთილი და მოღიმარე სახე, განზე გადაგა და აღელვებული ხმით გადასცა გენერალს საქმის მთელი ვითარება,

თანაც სთხოვა, გამოსარჩლებოდა დენისოვს, რომელსაც გენერალი პირადად იცნობდა. გენერალმა მოუსმინა როსტოვს და სერიოზულად გადააქნია თავი.

– ცოდვაა, ცოდვა ვაჟკაცი; მომეცი წერილი.

ის იყო როსტოვმა გენერალს წერილი გაუწოდა და დენისოვის ამბის მოყოლა დაამთავრა, რომ კიბეზე სწრაფი ნაბიჯების ხმა და დეზების წკარუნი მოისმა. გენერალმა თავი მიანება როსტოვს და პარმალისკენ წაიწია. ხელმწიფის ამაღის წევრებმა კიბეზე ჩაირბინეს და ცხენებს მიაშურეს. ბერეიტორმა ენემ, სწორედ იმან, რომელიც აუსტერლიცში იყო, ხელმწიფის ცხენი პარმალთან მიიყვანა; სწორედ ამ დროს კიბიდან მოისმა მსუბუქი ნაბიჯების ხმა, რომელიც როსტოვმა მაშინვე იცნო. მას დაავიწყდა რა საშიშროება მოელოდა იმ შემთხვევაში, რომ ეცნოთ და ქალაქის ზოგიერთ ცნობისმოყვარე მოსახლესთან ერთად წინ წაიწია, პარმალისკენ, და ორი წლის შემდეგ მან კვლავ დაინახა სათაყვანებელი ნაკვეთები, დაინახა იგივე სახე, იგივე გამოხედვა, იგივე სიარული, სიდიადისა და სიმშვიდის იგივე შეერთება და ხელმწიფისადმი სიყვარულმა და აღტაცებამ წინანდელი სიმძლავრით იფეთქა როსტოვის გულში. პრეობრაჟენსკის პოლკის მუნდირში გამოწყობილი, ცხენ-ირმის თეთრი შარვლითა და მაღალი პაჭიჭებით და მკერდზე ვარსკვლავით, რომელიც როსტოვს ჯერ არ ენახა (ეს იყო légion d'honneur – საპატიო ლეგიონის ვარსკვლავი), პარმალზე გამოვიდა ხელმწიფე, მკლავებზე ქუდი ამოედო და ხელთათმანს იკეთებდა. იგი შეჩერდა, მიმოიხედა და თავისი გამოხედვით ყველაფერი გააშუქა ირგვლივ. ზოგიერთ გენერალს რამდენიმე სიტყვა უთხრა, იცნო როსტოვის დივიზიის ყოფილი უფროსიც, გაუღიმა და თავისთან მიიხმო.

მთელმა ამაღამ უკან დაიხია, და როსტოვმა დაინახა, რომ გენერალი საკმაოდ დიდხანს ელაპარაკებოდა ხელმწიფეს რაღაცაზე.

ხელმწიფემ რამდენიმე სიტყვა უთხრა გენერალს და ნაბიჯი გადადგა, რომ ცხენთან მისულიყო. კვლავ მიიწიეს ხელმწიფისკენ ამაღის წევრებმა და ქუჩაში შეკრებილებმა, რომელთა შორის როსტოვიც იყო. ცხენთან გაჩერებულმა ხელმწიფემ ხელი უნაგირს წაავლო. მერე ხმამაღლა, ალბათ, იმისთვის, რომ ყველას გაეგონა, მიმართა გენერალს:

– არ შემძლია, გენერალო, და არ შემძლია იმიტომ, რომ კანონი ჩემზე ძლიერია, – თქვა ეს და ფეხი უზანგისკენ წაიღო. გენერალმა მოწიწებით დახარა თავი, ხელმწიფე უნაგირს მოაჯდა და დაოთხილი ცხენი ქუჩაში გააქროლა. აღტაცებისაგან თავდავიწყებული როსტოვი ბრბოსთან ერთად დაედევნა ხელმწიფეს.

თავი ოცდამეერთე

მოედანზე, საითაც ხელმწიფე გაემართა, ორი ბატალიონი იდგა პირისპირ. მარჯვნივ – პრეობრაჟენელთა პოლკის ბატალიონი, მარცხნივ – საფრანგეთის გვარდიისა. ფრანგებს დათვის ტყავის ქუდეები ეხურათ.

იმ დროს, როცა მისასალმებლად მომზადებული ბატალიონების ერთ ფრთას ხელმწიფე უახლოვდებოდა, მოპირდაპირე ფრთისკენ ცხენებს მიაშურებდნენ მეორე ჯგუფის მხედრები, და როსტოვი მიხვდა, რომ ამ ჯგუფს ნაპოლეონი მიუძღოდა. არ შეიძლებოდა სხვა ვინმე ყოფილიყო იგი. ანდრიას ლენტით დამშვენებული, პატარა ქუდით თავზე და ლურჯი, გაღელილი მუნდირით თეთრ კამზოლზე, იგი ნავარდით მიაქროლებდა ჯიშიან ნაცრისფერ არაბულ ცხენს, რომელსაც ოქრომკედით ნაქარგი ჟოლოსფერი ასალი[159] ეფარა. ახლოს მისული ნაპოლეონი ქუდის აწევით მიესალმა ალექსანდრეს და ამ მოძრაობის დროს როსტოვის მხედრულ თვალს არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ

ნაპოლეონი ცუდად და არამყარად იჯდა ცხენზე. ბატალიონმა შესძახა: *Ypa* და *Vive l'Empereur!* ნაპოლეონმა რაღაც უთხრა ალექსანდრეს. ორივენი ჩამოხტნენ ცხენებიდან და ერთმანეთს ხელი ჩაავლეს. ნაპოლეონს სახეზე უსიამოვნო, თვალთმაქცური ღიმილი აღბეჭდოდა. ალექსანდრე ალერსიანი გამომეტყველებით ელაპარაკებოდა რაღაცას.

როსტოვი თვალმოუშორებლად შესცქეროდა იმპერატორ ალექსანდრეს და ბონაპარტეს, იგი გულდასმით ადევნებდა თვალს ყოველ მათ მოძრაობას, თუმცა ფრანგ ჟანდარმთა ცხენები აწვებოდნენ და ერეკებოდნენ თავმოყრილ ხალხს. როსტოვი მოულოდნელად გააოცა იმან, რომ ალექსანდრეს ისე ეჭირა თავი, როგორც თანასწორს ბონაპარტესთან, ხოლო ბონაპარტე სრულიად თავისუფლად ეპყრობოდა ალექსანდრეს, თითქოს ეს სიახლოვე რუს ხელმწიფესთან ბუნებრივი და ჩვეულებრივი ყოფილიყო მისთვის.

ალექსანდრე და ნაპოლეონი, რომელთაც უკან მრავალრიცხოვანი ამაღა მისდევდა, მივიდნენ პრეობრაჟენელთა ბატალიონის მარჯვენა ფრთასთან, სწორედ იქ, სადაც ხალხი იდგა. ხალხი ისე ახლო აღმოჩნდა იმპერატორებთან, რომ როსტოვს, რომელიც პირველ რიგებში იდგა, ძალზე შეეშინდა, ვაითუ მიცნონო.

– *Sire, je vous demande la permission de donner la légion d'honneur au plus brave de vos soldats* (ხელმწიფე, გთხოვთ, ნება დამართოთ, გადავცე საპატიო ლეგიონის ორდენი თქვენს უმამაცეს ჯარისკაცს), – წარმოთქვა მკვეთრმა, ზუსტმა ხმამ, რომელიც ყოველ ასოს გარკვევით გამოთქვამდა.

ამას ამბობდა ტანით მომცრო ნაპოლეონი, რომელიც ქვემოდან პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა ალექსანდრეს. ალექსანდრე გულდასმით ისმენდა იმას, რასაც ეუბნებოდნენ და თავდახრილი საამოდ ილიმებოდა.

– *A celui qui s'est le plus vaillamment conduit dans cette dernière guerre* (გადავცე იმას, ვისაც ყველაზე მამაცად ეჭირა თავი ამ ომში), – დაუმატა ნაპოლეონმა. იგი ამას ყოველი მარცვლის გამოკვეთით და როსტოვისთვის აღმაშფოთებელი სიმშვიდით ამბობდა, თან თამამად ავლებდა თვალს რუსთა რიგებს, მის წინ გამოჭიმულ ჯარისკაცებს, რომელნიც ჯერ კიდევ დამაბულნი იდგნენ და თავიანთ იმპერატორს სახეში შესცქეროდნენ.

– *Votre majesté me permettra-t-elle de demander l'avis du colonel* (ნება მიბოძეთ, თქვენო უდიდებულესობავ, გავიგო პოლკოვნიკის აზრი), – მიუგო ალექსანდრემ და რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი გადადგა თავად კოზლოვსკისკენ, ბატალიონის უფროსისკენ.

ამასობაში ბონაპარტემ პატარა, თეთრი ხელიდან ხელთათმნის გახდა დაიწყო, სიჩქარეში გახია იგი და გადააგდო. უკან მიმავალი ადიუტანტი სწრაფად დასწვდა ხელთათმანს.

– ვის მივცეთ? – ხმადაბლა ჰკითხა იმპერატორმა ალექსანდრემ კოზლოვსკის რუსულად.

– ვისაც გვიბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ.

ხელმწიფემ უკმაყოფილოდ შეკრა შუბლი, უკან მიიხედა და თქვა:

– ხომ უნდა გავცეთ პასუხი!

კოზლოვსკიმ მტკიცე გადაწყვეტილებით გადახედა რიგებს. მისი თვალი როსტოვსაც მოხვდა.

„მე ხომ არ უნდა მომცენ?“ – გაიფიქრა როსტოვმა.

– ლაზარევი! – წამოიძახა წარბებშეკრულმა პოლკოვნიკმა.

და რიგში მდგომი პირველი ჯარისკაცი ლაზარევი მკვირცხლად გავიდა წინ.

– სად მიდიხარ? გაჩერდი მანდ! – წასჩურჩულეს ლაზარევს, რომელმაც არ იცოდა, სად წასულიყო.

ლაზარევი გაჩერდა. თან შეშინებულმა თვალი შეავლო პოლკოვნიკს. იგი შეკრთა, როგორც ემართებათ ხოლმე ფრონტზე გაწვევის წინ ჯარისკაცებს.

ნაპოლეონმა თავი ოდნავ მიიბრუნა და პატარა, მსუქანი ხელი უკან გასწია, თითქოს რაღაცის აღება უნდაო. მისი ამალის წევრები მაშინვე მიხვდნენ, რა უნდოდა ნაპოლეონს, – დაფაცურდნენ, აფუსფუსდნენ, აჩურჩულდნენ, რაღაც გადასცეს ერთიმეორეს. სწორედ ამ დროს პაჟი, რომელიც წინა სადამოს როსტოვმა ბორისთან ნახა, გავარდა წინ, მოწიწებით დახარა თავი გაწვდილი ხელისკენ და ჩადო შიგ წითელლენტიანი ორდენი ისე, რომ წამიც არ დაუყოვნებია. ნაპოლეონს არ შეუხედავს, ისე მოუჭირა ორი თითი. ლენტი თითებს შორის აღმოჩნდა. ნაპოლეონი მივიდა ლაზარევთან, რომელიც თვალეზგადმოკარკლული კვლავ დაჟინებით შეჰყურებდა მარტოოდენ თავის ხელმწიფეს, თვალი შეავლო იმპერატორ ალექსანდრეს და ამით უჩვენა, რომ ის, რასაც იგი ახლა აკეთებდა, აკეთებდა თავისი მოკავშირისთვის. პატარა, თეთრი ხელი ორდენითურთ შეეხო ჯარისკაც ლაზარევის ღილს. ნაპოლეონმა თითქოს იცოდა, იმისთვის, რომ ეს ჯარისკაცი სამუდამოდ გაბედნიერებულიყო, ჯილდო მიეღო და გამორჩეულიყო ყველასგან ამქვეყნად, საჭირო იყო მხოლოდ, რომ მის, ნაპოლეონის ხელს ღირსი გაეხადა და შეხებოდა ჯარისკაცის მკერდს. ნაპოლეონმა ჯვარი მხოლოდ მიადო ლაზარევის მკერდს და, მოაშორა თუ არა ხელი, მიმართა ალექსანდრეს, თითქოს იცოდა, რომ ჯვარი თავად მიეწებებოდა ლაზარევის მკერდს. ჯვარი მართლაც მიეწება.

რუსთა და ფრანგთა დაუზარებელმა ხელებმა სწრაფად აიტაცეს ჯვარი და მიამაგრეს მუნდირს. ლაზარევი ისევ ისე უძრავად იდგა. მან პირქუშად შეხედა თეთრხელებიან პატარა კაცს, რომელმაც რაღაც ჩაიდინა მის მკერდზე, და კვლავ ალექსანდრეს მიაჩერდა თვალეზში, თითქოს ეკითხებოდა: განაგრძოს კიდევ დგომა თუ არა, ან ხომ არ უბრძანებენ გაიარ-გამოიაროს, ან სხვა რამ გააკეთოს, მაგრამ არავინ აძლევდა ბრძანებას და იგი საკმაოდ დიდხანს იდგა ასე გაშეშებული.

იმპერატორები ცხენებზე შესხდნენ და წავიდნენ. პრეობრაჟენელებმა რიგები დაარღვიეს, აიშალნენ, ფრანგ გვარდიელებში აირივნენ და მომზადებულ მაგიდებს მოუსხდნენ.

ლაზარევი საპატიო ადგილზე იჯდა. რუსი და ფრანგი ოფიცრები ეხვეოდნენ, ულოცავდნენ და ხელს ართმევდნენ მას. ოფიცრები და ხალხი მიდიოდნენ მაგიდასთან მხოლოდ იმისათვის, რომ ლაზარევი დაენახათ. მოედანზე, მაგიდების ირგვლივ, რუსულ-ფრანგული ლაპარაკი, სიცილი და გუგუნი ისმოდა. ორმა სახეაწითლებულმა, მხიარულმა და ბედნიერმა ოფიცერმა წინ ჩაუარა როსტოვს.

– ხედავ, მეგობარო, როგორი მასპინძლობაა? ყველაფერი ვერცხლის ჭურჭლით მოიტანეს, – თქვა ერთმა, – ლაზარევი ნახე?

– ვნახე.

– ამბობენ, ხვალ პრეობრაჟენელები გაუმასპინძლებიანო.

– არა, რა ბედნიერებას ეწია ლაზარევი! სანამ ცოცხალია, წლიური 1.200 ფრანკი პენსია ექნება.

– აი, ქუდიც ასეთი უნდა, ბიჭებო! – გაიძახოდა პრეობრაჟენელი და ფრანგის ბეწვის ქუდს იხურავდა.

– ძალიან გიხდება, საუცხოოა!

– გაიგე გამოხმაურება? – ჰკითხა გვარდიის ერთმა ოფიცერმა მეორეს, – სამი დღის წინათ იყო: „Napoléon, France, bravoure“ („ნაპოლეონი, საფრანგეთი, სიმამაცე“), გუშინ: „Alexandre, Russie, grandeur“ („ალექსანდრე, რუსეთი, სიდიადე“); ერთ დღეს ჩვენი ხელმწიფე გამოეხმაურა, მეორე დღეს –

ნაპოლეონი. ხვალ ხელმწიფე გიორგის ჯვარს გაუგზავნის უძამაცეს ფრანგ გვარდიელს. აბა, რა გგონია? ასევე უნდა უპასუხო.

თავის ამხანაგ ჟილინსკისთან ერთად ბორისიც იყო მოედანზე პრეობრაჟენელთა ბანკეტის სანახავად. უკან დაბრუნებისას ბორისმა შენიშნა როსტოვი, რომელიც სახლის კუთხეში იდგა.

– როსტოვ, გამარჯობა! ვედარ შევხვდით ერთმანეთს, – მიმართა ბორისმა. როსტოვს ისე უცნაურად მოღუშული და აშლილი ჰქონდა სახე, რომ ბორისმა თავი ვერ შეიკავა და ჰკითხა, რა დაგემართაო.

– არაფერია, არაფერი, – მიუგო როსტოვმა.

– შემოვივლი?

– ჰო, შემოვივლი.

როსტოვი დიდხანს იდგა კუთხეში და შორიდან შეჰყურებდა მონადიმეებს. მისი გონება მტანჯველი ფიქრით იყო შეპყრობილი და მაინც ბოლომდე ვერ მიეყვანა ეს ფიქრი. საშინელი ეჭვი ეპარებოდა. ხან აგონდებოდა დენისოვი თავისი შეცვლილი სახით და მორჩილი გამომეტყველებით, აგონდებოდა მთელი ჰოსპიტალი მოწყვეტილი ხელებით და ფეხებით, სიბინძურითა და ავადმყოფობებით. ისე ცოცხლად გრძნობდა იგი ახლა საავადმყოფოდან გამოყოლილ ცხედრის სუნს, რომ მალე იქნებოდა იყურებოდა, რომ გაეგო, საიდან შეიძლებოდა წამოსულიყო ეს სუნი. ხან აგონდებოდა თვითკმაყოფილი თეთრხელებიანი ბონაპარტე, რომელიც ახლა იმპერატორი იყო, რომელსაც სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა იმპერატორი ალექსანდრე. მაშ, ვიდასთვის არიან საჭირონი ეს მოწყვეტილი ხელები და ფეხები, დახოცილი ადამიანები? ხან აგონდებოდა დაჯილდოებული ლაზარევი და დასჯილი და არშენდობილი დენისოვი. როსტოვს ისეთი უცნაური აზრები ებადებოდა თავში, რომ შიში იპყრობდა.

ამ მდგომარეობიდან პრეობრაჟენელების საჭმლის სუნმა და შიმშილის გრძნობამ გამოიყვანა: როგორმე უნდა დანაყრებულიყო. წავიდა იმ სასტუმროში, რომელიც დილას დაინახა. სასტუმროში იმდენი ხალხი იყო და მასავით სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილ იმდენ ოფიცრობას მოეყარა თავი, რომ ძლივძლივობით მოახერხა სადილის მიღება. როსტოვს შეუერთდა ორი ოფიცერი მისივე დივიზიიდან. ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა, ზავზე ჩამოვარდა. ოფიცრები, როსტოვის ამხანაგები, ისევე, როგორც არმიის წევრთა უმეტესობა, უკმაყოფილონი იყვნენ ფრიდლანდის შემდეგ დადებული ზავით. ამბობდნენ, ცოტა კიდევ რომ გაგვეძლო, ნაპოლეონი დაილუპებოდაო, რადგან მის ჯარს აღარ მოეპოვებოდა აღარც ორცხობილა და აღარც სასროლი მასალაო. როსტოვი ხმაამოუღებელივ ჭამდა, უფრო მეტს კი სვამდა. ორი ბოთლი ღვინო დალია მარტომ. წინანდებურად ტანჯავდა გადაუწყვეტელი შინაგანი ბრძოლა: ეშინოდა არ აჰყოლოდა ფიქრებს და იმავე დროს ვერ მოემორებინა ისინი. უეცრად ერთ-ერთი ოფიცრის სიტყვებზე – საწყენია ფრანგებს ვუყურებდეთო, როსტოვმა ისეთი გაცხარებით დაიწყო ყვირილი, რომ შეუძლებელი იყო მისი გამართლება და ამიტომ ძალზე გააოცა ოფიცრები.

– მერე, როგორ შეგიძლიათ განსაჯოთ ის, თუ რა იქნებოდა უკეთესი! – შესძახა მან უეცრად წამოწითლებული სახით, – როგორ შეგიძლიათ განსაჯოთ ხელმწიფის საქციელი? რა უფლება გვაქვს ვიმსჯელოთ? ჩვენ ვერ მივწვდებით ვერც ხელმწიფის მიზანს და ვერც მის საქციელს.

– მე სიტყვაც არ დამიდრავს ხელმწიფეზე, – იმართლებდა თავს ოფიცერი, რომელსაც როსტოვის აფეთქება სხვა ვერაფრით აეხსნა, თუ არ სიმთვრალით.

მაგრამ როსტოვი ყურს არ უგდებდა.

– ჩვენ დიპლომატიური მოხელეები როდი ვართ, ჩვენ ოფიცრები ვართ და მეტი არაფერი, – განაგრძო მან, – თუ გვიბრძანებენ, გავწიროთ თავი, უნდა გავწიროთ და დავიხოცოთ... თუ დაგვსჯიან, დამნაშავენი ვყოფილვართ. ჩვენ არ ძალგვიძს განვსაჯოთ. თუ ინებებს ხელმწიფე იმპერატორი იცნოს ბონაპარტე იმპერატორად და დადოს მასთან კავშირი, მაშასადამე, ასე უნდა! თორემ თუ შევუდექით ლაპარაკს და ყველაფრის განსჯას, აღარაფერი შეგვრჩება წმინდა და უმწიკვლო. მაშინ იმასაც კი ვიტყვით – ღმერთი არ არისო, არაფერი არ არისო, – ამბობდა ნიკოლაი და მუშტებს უშენდა მაგიდას, ამბობდა ამას სრულიად უდროოდ დროს, თავის თანამოსაუბრეთა აზრით, ხოლო სავსებით სწორად საკუთრივ მისი აზრების მიმდინარების მიხედვით.

– ჩვენი საქმეა შევასრულოთ მოვალეობა, ვიბრძოლოთ ვაჟკაცურად და არ ვიფიქროთ, ეს არის და ეს! – დაამთავრა სიტყვა როსტოვმა.

– და შევსვათ, – ჩაურთო ერთ-ერთმა ოფიცერმა, რომელიც ჩხუბის გუნებაზე არ იყო.

– შევსვათ კიდეც, – დაუდასტურა როსტოვმა, – ჰეი, შენ, ერთი ბოთლი კიდეც! – გასძახა მან ოფიცინანტს.

ნაწილი მესამე

თავი პირველი

1808 წელს იმპერატორი ალექსანდრე ერფურტში გაემგზავრა იმპერატორ ნაპოლეონთან ხელახლა შესახვედრად; პეტერბურგის უმაღლეს საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობდნენ ამ საზეიმო შეხვედრის სიდიადეზე.

1809 წელს, მსოფლიოს ამ ორი მპყრობელის, როგორც მაშინ ნაპოლეონსა და ალექსანდრეს უწოდებდნენ, დაახლოება იქამდე მივიდა, რომ როცა ნაპოლეონმა იმ წელს ომი გამოუცხადა ავსტრიას, რუსეთის ჯარის კორპუსი საზღვარგარეთ გაემართა თავისი წინანდელი მტრის – ბონაპარტეს დასახმარებლად თავისივე წინანდელი მოკავშირის – ავსტრიის იმპერატორის წინააღმდეგ; ეს დაახლოება მივიდა იქამდე, რომ უმაღლეს საზოგადოებაში ლაპარაკობდნენ – შეიძლება ნაპოლეონმა იმპერატორ ალექსანდრეს ერთ-ერთი და შეირთოსო. მაგრამ საგარეო პოლიტიკურ მოსაზრებათა გარდა, რუსეთის საზოგადოების მთელი გულსყური განსაკუთრებული სიცხოველით იყო მიპყრობილი იმ დროს შინაური გარდაქმნებისკენ, რასაც მაშინ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა ნაწილში ახორციელებდნენ.

ამასობაში ცხოვრება, ადამიანთა ნამდვილი ცხოვრება ჯანმრთელობის, დაავადების, შრომის, დასვენების არსებითი ინტერესებით, აზრის, მეცნიერების, პოეზიის, მუსიკის, სიყვარულის, მეგობრობის, სიძულვილის, ვნებების ინტერესებით, როგორც ყოველთვის, მიმდინარეობდა დამოუკიდებლად, ნაპოლეონთან პოლიტიკური სიახლოვის თუ მტრობის გარეშე, ყოველგვარი გარდაქმნის გარეშე.

თავადი ანდრეი ორ წელიწადს ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა სოფელში. ყველა ის წამოწყება, რის განხორციელებაც პიერმა თავის მამულეებში განიზრახა და რაც მან ვერავითარ შედეგამდე ვერ მიიყვანა, რადგან ერთი საქმიდან მეორეზე გადადიოდა მუდამ, – ეს წამოწყებები თავადმა ანდრეიმ შეასრულა ისე, რომ არც დიდი შრომა დაუხარჯავს ამისთვის და არც არავისთვის უთქვამს რამე.

თავად ანდრეის უაღრესად დიდი პრაქტიკული უნარი ჰქონდა, რომელიც საშუალებას აძლევდა მას გაუჭირვებლად და ძალდაუტანებლად წარემართა საქმე.

ერთი თავისი მამული, სადაც სამასი სული ყმაგლეხი ცხოვრობდა, თავისუფალ მხვინელ-მთესველად გადაიყვანა (ეს ერთ-ერთი პირველი მაგალითი იყო რუსეთში), მეორეში საბატონო ბეგარის ნაცვლად ღალა შემოიღო. ბოგუჩაროვოში თავისი ხარჯით ნასწავლი ბეზიაქალი გამოიწერა, ხოლო მღვდელს ჯამაგირი დაუნიშნა გლეხთა და შინაყმათა შვილებისთვის წერა-კითხვის სასწავლებლად.

ნახევარ დროს თავადი ანდრეი ლისიგორაში ატარებდა მამასთან და შვილთან, რომელიც ჯერ კიდევ გამდელეების ხელში იყო; დანარჩენ დროს ბოგუჩაროვოს სავანეში რჩებოდა, როგორც უწოდებდა ამ სოფელს მამამისი. მიუხედავად იმისა, რომ თავადმა ანდრეიმ პიერთან საუბრის დროს გულგრილობა გამოიჩინა მსოფლიოს საგარეო პოლიტიკისადმი, იგი გულდასმით ადევნებდა თვალყურს ამ ამბებს. ამას გარდა მოსდიოდა მრავალი წიგნი, და თავისდა გასაოცრად ამჩნევდა, რომ როცა პეტერბურგიდან, ცხოვრების ამ ნამდვილი მორევიდან, მასთან ან მამამისთან ჩამოდიოდნენ, საგარეო ან შინაურ პოლიტიკაში მომხდარი ამბების ცოდნაში ახალმოსულნი ბევრად ჩამორჩებოდნენ მას, ფეხმოუცვლელად სოფელში მცხოვრებს.

მამულებში მუშაობისა და სხვადასხვა წიგნის კითხვის გარდა, თავადი ანდრეი რუსეთის ორი უკანასკნელი ბედშავი საომარი კამპანიის კრიტიკულ განხილვასა და რუსებით სამხედრო წესდებებისა და დადგენილების შეცვლის შესახებ პროექტის შედგენაზე მუშაობდა.

1809 წლის შემოდგომაზე თავადი ანდრეი თავისი შვილის მამულებში გამეგზავრა რიაზანში. იგი შვილის მეურვე იყო.

გაზაფხულის მზით შემთბარი ანდრეი ეტლში იჯდა და თვალს ავლებდა პირველ ბალახს, არყის ხის პირველ ფოთოლს და გაზაფხულის თეთრი ღრუბლების პირველ ქულებს, რომლებიც ცის კამკამა სილურჯეში დაქროდნენ. იგი არაფერზე ფიქრობდა, მხიარულად და უაზროდ იცქირებოდა აქეთ-იქით.

გადავიდნენ მდინარეზე, სადაც ერთი წლის წინათ პიერს ესაუბრებოდა. გაიარეს ტალახიანი სოფელი, კალოები, ჯეჯილები, დაღმართი – ხიდთან შემორჩენილი თოვლით, აღმართი – წალეკილი თიხნარით, ნაპურალის ზოლები, აქა-იქ ამწვანებული ბუჩქნარი და შევიდნენ არყის ხის ტყეში, რომელიც გზას მისდევდა ორივე მხრით, ტყეში თითქმის ცხელოდა. არ ისმოდა ქარის ზუზუნი, არ ირხეოდა მწვანე, წებოვანი ფოთლებით შემოსილი არყის ხე. მიწაზე ჩამოყრილი შარშანდელი ფოთლების ქვემოდან თავს ჰყოფდა პირველი მწვანე ბალახი. მოჩანდნენ ლილისფერი ყვავილები. არყნარში აქა-იქ გაფანტული წვრილი ნაძვები მუდმივი, უხეში სიმწვანით უსიამოვნოდ აგონებდნენ კაცს ზამთარს. ტყეში შესვლისას ცხენები აფრუტუნდნენ და უფრო მეტად გაოფლიანდნენ.

ლაქია პეტრემ რაღაც უთხრა მეეტლეს. მეეტლემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მაგრამ, ეტყობა, პეტრე არ დააკმაყოფილა მეეტლის თანაგრძნობამ: იგი ბატონისკენ გატრიალდა კოფოზე.

– რა სიმსუბუქეა, თქვენო ბრწყინვალეზავ! – მიმართა მან თავად ანდრეის და მოწიწებით გაიღიმა.

– რაო?

– სიმსუბუქეა, თქვენო ბრწყინვალეზავ.

„რას ამბობს? ჰო, ალბათ, გაზაფხულზე ლაპარაკობს, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ და ირგვლივ მიმოიხედა, – მართლაც, უკვე ყველაფერი ამწვანებულია... რა ადრე დგება! ამწვანებას იწყებს უკვე არყის ხეც, შოთხვიც, თხმელაც... მუხას კი არაფერი ეტყობა. აი, ისიც, მუხა“.

გზის ნაპირას მუხა იდგა, ალბათ, ათჯერ უფროსი იმ არყის ხეებზე, რომლებისგანაც ტყე შედგებოდა. იგი ყოველ არყის ხეზე ათჯერ უფრო სქელი და ორჯერ უფრო მაღალი იყო. უზარმაზარ მუხას ორი კაცი ძლივს შემოსწვდებოდა. იდგა დიდი ხნის წინათ ჩამოლეწილი რტოებით და ძველი იარებით დაავადებული, უკვე შემოცლილი ქერქით. თავისი უზარმაზარი, ტლანქი, არასიმეტრიულად გაჩაჩხული, დაკოჭრილი ხელებითა და თითებით იდგა გაღიმებულ არყის ხეებს შორის, იდგა როგორც ბებერი, განრისხებული და საზიზღარი სიმახინჯე, მარტო ის ერთი არ ემორჩილებოდა გაზაფხულის მომხიბვლელობას, მარტო მას არ უნდოდა დაენახა არც გაზაფხული და არც მზე.

„გაზაფხული, სიყვარული, ბედნიერება! – თითქოს ამბობდა ეს მუხა, – როგორ არ მოგბეზრდათ ერთი და იგივე სულელური და უაზრო თვალთმაქცობა. ყველაფერი ერთი და იგივეა და ყველაფერი თვალთმაქცობაა. არ არის არც გაზაფხული, არც მზე, არც ბედნიერება. აბა, შეხედეთ, აგერ დგანან დაბეჩავებული, მუდამ განმარტოებული მკვდარი ნაძვები. აი, მეც გაჩაჩხული მაქვს დამტვრეული, გატყავებული ხელები, საიდან არ ამოიზარდნენ ისინი – ზურგიდან, გვერდებიდან; როგორც კი ამოიზარდნენ, მას შემდეგ ვდგავარ და არ მწამს არც თქვენი იმედი და არც თქვენი თვალთმაქცობა“.

ტყეზე გავლისას თავადმა ანდრეიმ რამდენჯერმე შეავლო თვალი ამ მუხას, თითქოს რაღაცას გამოეღოს მისგანო. ყვავილები და ბალახი მუხის ქვეშაც ხარობდნენ, მაგრამ იგი ისევ ისეთი პირქუში იდგა მათ შორის უძრავად, მახინჯი და შეუპოვარი.

„დიახ, მართალია ეს მუხა, ათასჯერ მართალია, – ფიქრობდა თავადი ანდრეი, – დაე, სხვებმა, ახალგაზრდებმა, ირწმუნონ კვლავ ეს თვალთმაქცობა, ჩვენ კი არ ვიცნობთ ცხოვრებას, – ჩვენი ცხოვრება დასრულებულია!“ ამ მუხასთან დაკავშირებით ათასმა უიმედო, მაგრამ ნაღვლიანმა და იმავე დროს საამო აზრმა გაუელვა თავად ანდრეის. ამ მგზავრობის დროს მან თითქოს ხელახლა გადაავლო თვალი თავის ცხოვრებას და მივიდა იმავე, წინანდელ დამამშვიდებელ და უიმედო დასკვნამდე, რომ მას დასაწყები აღარაფერი აქვს, რომ ბოლომდე უნდა მიიყვანოს თავისი ცხოვრება, აღარ ჩაიდინოს ბოროტება, აღარ შემფოთდეს და აღარაფერი მოისურვოს.

თავი მეორე

რიაზანის მამულის სამეურვეო საქმეების გამო თავად ანდრეის მაზრის წინამძღოლი უნდა ენახა. მაზრის წინამძღოლად იმ ხანებში გრაფი ილია ანდრეიჩ როსტოვი იყო და თავადი ანდრეიც შუა მათში გაემგზავრა მის სანახავად.

გაზაფხულის მიწურული იყო და უკვე ცხელი დღეები იდგა. ტყე მთლად შემოსილიყო და ისე ცხელოდა, რომ მგზავრს წყალთან გავლისას ბანაობა მოუნდებოდა.

თავადი ანდრეი, მოწყენილი და ფიქრს მიცემული იმის გამო, თუ რა და რა უნდა გამოეკითხა წინამძღოლისთვის, ბალის ხეივანით როსტოვების ოტრადნოეს სახლს უახლოვდებოდა. ხეივნის მარჯვენა მხრიდან ქალების მხიარული კვილი მოესმა და დაინახა რამდენიმე გოგონა, რომლებიც მობობდნენ იმ გზისკენ, სადაც მის ეტლს უნდა გაევიდა. ყველაზე წინ გამობობდა და ეტლს უახლოვდებოდა შავთმიანი, მეტად წერწეტა, უცნაურად წერწეტა, ჩითის ყვითელკაბიანი, შავთვალა გოგონა, თეთრი ცხვირსახოცით თავწაკრული, რომლის ქვეშიდანაც დავარცხნილი თმა ჩამოშლოდა. გოგონა რაღაცას ყვიროდა, მაგრამ დაინახა თუ არა უცხო კაცი, თავალი აარიდა და უკან გაიქცა.

თავად ანდრეის უეცრად გულზე ბოღმა შემოაწვა. საუცხოო დღე იყო, მზე კაშკაშებდა და ირგვლივ ისეთი მხიარულება იყო! ამ წერწეტა, ლამაზმა გოგონამ კი არაფერი იცოდა და არც უნდოდა სცოდნოდა მისი არსებობის შესახებ, იგი კმაყოფილი და ბედნიერი იყო რაღაც თავისი განკერძოებული, ალბათ სულელური, მაგრამ მხიარული და ბედნიერი ცხოვრებით. „რამ გაახარა ასე? რაზე ფიქრობს? ალბათ, არა სამხედრო წესდებაზე და საღალე გლეხთა მოწყობაზე. რაზე ფიქრობს? რით არის ბედნიერი?“ – ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა თავს თავადი ანდრეი.

გრაფი ილია ანდრეიჩი 1809 წელს ოტრადნოეში ცხოვრობდა ისე, როგორც წინათ: უმასპინძლებოდა თითქმის მთელ გუბერნიას, ნადირობდა, მართავდა წარმოდგენებს, სადილებს, პატიჟებდა მუსიკოსებს. თავად ანდრეის ისეთივე სიხარულით მიეგება გრაფი, როგორითაც ყოველ ახალ სტუმარს ეგებებოდა ხოლმე, და თითქმის ძალით დატოვა იგი ღამის გასათევად.

მოწყენილი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც თავად ანდრეის ართობდნენ ოჯახის უფროსები და ყველაზე უფრო პატივცემული სტუმრები (სახელწოდების დღის მოახლოების გამო მოხუცი გრაფის სახლი სავსე იყო სტუმრებით), ბოლკონსკი რამდენჯერმე დააცქერდა ნატაშას, რომელიც რაღაცაზე იცინოდა და სხვა ახალგაზრდებთან ერთად მხიარულად ატარებდა დროს. ბოლკონსკი განუწყვეტლივ ეკითხებოდა თავის თავს: „რაზე ფიქრობს ნეტავი? რა ახარებს ასე?“

სადამოს, როცა ანდრეი მარტო დარჩა ახალ ადგილას, დიდხანს ვერ დაიძინა. წიგნის კითხვა დაიწყო, მერე სანთელი ჩააქრო და კვლავ აანთო. ოთახში შიგნიდან ჩაეკეტათ დარაბები და ცხელოდა. ანდრეის გული მოსდიოდა სულელ გრაფზე (ასე უწოდებდა როსტოვს), რომელმაც არ გაუშვა და რომელიც არწმუნებდა, რომ საჭირო ქაღალდები ქალაქშიაო. უსაყვედურებდა თავის თავსაც, რომ დაუჯერა გრაფს და დარჩა.

თავადი ანდრეი ლოგინიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, რათა გაეღო. რაწამს დარაბა გამოაღო, ოთახში მთვარის შუქი შეიჭრა, თითქოს დიდი ხანია ფანჯარასთან დადარაჯებული უცდიდა ამას. ანდრეიმ ფანჯარა გააღო. გრილი ღამე იყო, უძრავი და ნათელი. ფანჯრის წინ შეკრეპილი ხეების მწკრივი მოჩანდა, მათი ერთი მხარე შავად იყო ჩაბნელებული, მეორე – ვერცხლისფრად განათებული. ხეებქვეშ რაღაც ცვრიანი, სველი და ხუჭუჭა მცენარეები ხარობდნენ, აქა-იქ ოქროსფერი ფოთლებითა და ღეროებით. უფრო მოშორებით, შავ ხეებს იქით, ნამით გაბრწყინებული სახურავი მოჩანდა, მარჯვნივ – დიდი ქოჩორა ხე თეთრად გავარვარებული ტანითა და რტოებით; მათ ზემოდან, გაზაფხულის მოწმენდილი, თითქმის უვარსკვლავო ციდან დაჰქათქათებდა სავსე მთვარე. თავადი ანდრეი ფანჯარას დაეყრდნო და თვალები ცას მიაპყრო.

თავად ანდრეის ოთახი შუა სართულზე იყო მოთავსებული. მის ზემოთ მდებარე ოთახებშიც ცხოვრობდნენ; მათაც არ ეძინათ.

იქიდან ქალების ლაპარაკი მოესმა.

– მხოლოდ ერთხელ კიდევ, – წამოიძახა ქალის ხმამ, რომელიც თავადმა ანდრეიმ მაშინვე იცნო.

– როდისღა უნდა დაიძინო? – მიუგო მეორე ხმამ.

– არ დავიძინებ, არც შემიძლია ძილი. რა უნდა ვქნა? კარგი, კარგი, აი, უკანასკნელად...

ორმა ხმამ ჩაიმღერა რაღაც მუსიკალური ფრაზა, რომელიც რაღაცის დასასრულს წარმოადგენდა.

– რა საუცხოო ღამეა! მორჩა, მორჩა, ახლა დავიძინოთ.

– შენ დაიძინე, მე კი არ შემიძლია, – მიუგო პირველმა ხმამ, რომელიც ფანჯარას მიუახლოვდა. ეტყობოდა, ქალმა მთლად გამოყო თავი გარეთ, რადგან ისმოდა მისი ტანისამოსის შრიალი და თითქმის სუნთქვაც კი. ყველაფერი მიყუჩდა, გაქვავდა ისევე, როგორც მთვარე, მისი სინათლე და ჩრდილი. თავადი ანდრეიც გაინაზა, რათა არ გაემხილა თავისი უნებური იქ ყოფნა.

– სონია! სონია! – მოისმა კვლავ პირველი ხმა, – აბა, როგორ შეიძლება ძილი! შეხედე ერთი, რა მშვენიერებაა, ოჰ, რა მშვენიერებაა! გაიღვიძე, სონია! – ეუბნებოდა იგი თითქმის ცრემლმორეული, – ასეთი საუცხოო სადამო ხომ არასოდეს, არასოდეს არ ყოფილა.

სონიამ უხალისოდ უპასუხა რაღაც.

– არა, შეხედე ერთი, რა მთვარეა!.. რა მშვენიერებაა! მოდი აქ, მოდი, ჩემო ძვირფასო, ჩემო მტრედო! ხედავ? აი, ასე უნდა ჩაჯდე, მუხლზე ხელი შემოიჭირო, მაგრად შემოიჭირო, რაც შეიძლება მაგრად, უნდა დამაბო მთელი სხეული და გაფრინდე, აი, ასე!

– გეყოფა ერთი, გადავარდები.

მოისმა გაბრძოლებისა და სონიას უკმაყოფილო ხმა:

– ხომ ხედავ, უკვე ორი საათია.

– ეჰ, შენ მხოლოდ მიფუჭებ ყველაფერს, კარგი, წადი, წადი!

კვლავ მიყურდა ყველაფერი, მაგრამ თავადმა ანდრეიმ იცოდა, რომ ქალი ჯერ კიდევ იქ იჯდა; მას ესმოდა მისი წყნარი რხევა, ზოგჯერ ოხვრა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რა არის ეს! – წამოიძახა მან უეცრად, – რაკი ძილია, ძილი იყოს, – თქვა და ფანჯარა მიაჯახუნა.

„მას საქმე არა აქვს ჩემს არსებობასთან, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ იმ დროს, როცა ყური მიუგდო ნატაშას ხმას, თან რატომღაც შიშით მოელოდა, რომ იგი იტყოდა რამეს მის შესახებ, – და კვლავ ისაა, თითქოს განგებ!“ – ფიქრობდა იგი. თავად ანდრეის არსებაში ერთბაშად ისეთი მოულოდნელი არე-დარევა მოხდა მთელი მისი ცხოვრების საწინააღმდეგო ახალი აზრების და იმედებისა, რომ მაშინვე დაეძინა, რადგან გრძნობდა, რომ არ შეეძლო აეხსნა თავისი მდგომარეობა.

თავი მესამე

მეორე დღეს თავადმა ანდრეიმ არ დაუცადა ქალების ადგომას და გამოსვლას, გამოემშვიდობა მხოლოდ გრაფს და გზას გაუდგა.

უკვე ივნისის დასაწყისი იყო, როცა უკან დაბრუნებული ანდრეი კვლავ იმ არყის ხის ტყეში შევიდა, სადაც იდგა ბებერი, დაკოჟრილი მუხა, რომელიც ისე უცნაურად აღებეჭდა ანდრეის მეხსიერებაში. ეჭვნების ჟღარუნე უფრო ყრუდ მოისმა ტყეში, ვიდრე სულ ახლახან. ყველაფერი სავსე, დაჩრდილული და ხშირი იყო. ტყეში გაფანტული ნორჩი ნაძვის ხეები არ არღვევდნენ საერთო სილამაზეს და, საერთო ხასიათთან შეგუებულნი, ბიბინებდნენ ნაზბეწვიანი ნორჩი ყლორტებით.

მთელ დღეს ცხელოდა, სადღაც ღრუბლები ჭექა-ქუხილისთვის გროვდებოდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთ ადგილას წამოუშხეფა წვიმამ მტვრიან გზას და ნამიან ფოთლებს. ტყის მარცხენა მხარე, ჩრდილში გახვეული, ჩაშავებული იყო, მარჯვენა, სველი, გაკრიალებული მხარე, მზისგან ბრწყინავდა და ოდნავ ირხეოდა ქარისგან. ყველაფერი ხარობდა და ყვაოდა, ბულბულები სტვენდნენ, მათი ხმა ხან ახლოდან მოისმოდა, ხან შორიდან.

„დიახ, სწორედ ამ ტყეში იყო ის მუხა, რომელსაც მე დავეთანხმე, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ, – სად არის ნეტავ?“ – იგი გზის მარცხენა მხარეს იყურებოდა და თუმცა ვერ ცნობდა, მაგრამ თავისდა უნებურად ტკბებოდა იმ მუხით, რომელსაც ეძებდა. ბებერი მუხა, მთლად გარდაქმნილი, მწვანე ფოთლით შემოსილი, კარავივით გადაშლილი და გრძნობამორეული, ოდნავ ირხეოდა სადამოს მზის სხვეებში. არც დაკოჟრილი ტოტები, არც კოჟრები, არც ძველებური უნდობლობა და მწუხარება – არაფერი აღარ ეტყობოდა მუხას. მაგარ, ასწლოვან ქერქიდან ამოეხეთქათ ცვრიან, ნორჩ, უხორკლო ფოთლებს, არც კი დაიჯერებდით, ამ ბებერმა წარმოშვა ისინიო. „დიახ, ეს იგივე მუხაა“, – გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ და უეცრად სიხარულისა და განახლების უმიზეზო გაზაფხულისებრივმა გრძნობამ მოიცვა. და აუსტერლიციც, თავისი მაღალი ცით, ცოლის უსიცოცხლო და საყვედურით სავსე სახეც, ბორანზე მდგომი პიერიც, ღამის სიმშვენიერით აღფრთოვანებული გოგონაც, ეს ღამეც, ეს მთვარეც, ყოველივე და ყველაფერი ეს ერთბაშად გაახსენდა.

„არა, ოცდათერთმეტი წლის ასაკში ცხოვრება არ თავდება, – უეცრად საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვიტა თავადმა ანდრეიმ, – საკმარისი არ არის, რომ მე ვიცი ყოველივე ის, რაც ჩემშია, ყველამ უნდა იცოდეს ეს: ჰაერმაც, გოგონამაც, რომელსაც ცაში აფრენა უნდოდა; ყველა უნდა მიცნობდეს, რათა ჩემი ცხოვრება მარტო ჩემთვის არ მიმდინარეობდეს, რათა ჩემი ცხოვრებისგან ასე დამოუკიდებლად არ ცხოვრობდნენ ისინი, რათა ყველას სწვდებოდეს ის და ყველა ისინი ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ!“

მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ანდრეიმ გადაწყვიტა შემოდგომით პეტერბურგში წასულიყო და გამონახა კიდეც სხვადასხვა მიზეზი ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. ყოველ წუთს მზად ჰქონდა მრავალი ლოგიკური და გონივრული საბაზი იმის ასახსნელად, თუ რატომ უნდა წავიდეს პეტერბურგს და იმსახუროს კიდეც. ახლა არც კი ესმოდა, როგორ უნდა უარეყო ოდესმე ცხოვრებაში ენერგიული მონაწილეობის აუცილებლობა, სწორედ ისევე, როგორც ერთი თვის წინათ ვერ გაიგებდა, როგორ უნდა გაეგლო გონებაში სოფლიდან წასვლის აზრი. თავად ანდრეისთვის ცხადი იყო, რომ მისი ცხოვრების მთელი გამოცდილება უქმად დაიკარგებოდა და უაზრობად იქცეოდა, თუ საქმეში არ გამოიყენებდა მას და ცხოვრებაში კვლავ აქტიურად არ ჩაერთვებოდა. ისიც კი არ ესმოდა, რომ ასეთივე უმწეო და ამავე დროს გონივრული საბუთების საფუძველზე, წინათ აშკარა იყო, თავს დაიმცირებდა, თუ თავისი ცხოვრების გაკვეთილების შემდეგ კვლავ ირწმუნებდა სარგებლობის მოტანისა და ბედნიერებისა და სიყვარულის შესაძლებლობას. ახლა გონება სულ სხვა რამეს უკარნახებდა. ამ მოგზაურობის შემდეგ თავადმა ანდრეიმ მოიწინა სოფელში, წინანდელი სამუშაო აღარ აინტერესებდა და ხშირად, როცა კაბინეტში მარტოდმარტო იჯდა, ადგებოდა, სარკესთან მივიდოდა და დიდხანს უცქერდა შიგ თავის სახეს. მერე პირს მიიბრუნებდა და განსვენებული ლიზას პორტრეტს დააცქერდებოდა. ლიზა კი à la grecque (ბერძნულ ყაიდაზე) აზიდული კულულებით ნაზად და მხიარულად შეჰყურებდა მას ოქროს ჩარჩოდან. ლიზა უკვე აღარ ეუბნებოდა ქმარს წინანდელ შემზარავ სიტყვებს, იგი უბრალოდ და მხიარულად, თანაც ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდა მას. და თავადი ანდრეი, ზურგზე ხელებდაწყობილი, დიდხანს დადიოდა ოთახში, ხან იღუმებოდა, ხან ილიმებოდა, და თან ფიქრობდა იმ უგუნურ, სიტყვით გამოუთქმელ, დანაშაულივით საიდუმლო საკითხებზე, დაკავშირებულს პიერთან, დიდებასთან, ფანჯარაზე გადმოყუდებულ გოგონასთან, მუხასთან, ქალის სილამაზესა და სიყვარულთან, რომელთაც შეცვალეს მთელი მისი ცხოვრება. და როცა ასეთ დროს ვინმე შევიდოდა მასთან, იგი განსაკუთრებით უკმეხად ხვდებოდა მას, საუბარაც მკაცრი, ურყევი და უსიამოვნოდ ლოგიკური ჰქონდა.

– Mon cher, – ეტყოდა ხოლმე ასეთ წუთებში შესული კნიაჟნა, – ნიკოლუმკას სასეირნოდ წაყვანა დღეს არ შეიძლება, ძალზე ცივა.

– რომ თბილოდეს, – განსაკუთრებით მკვახედ ეტყოდა ხოლმე ამ დროს თავადი ანდრეი თავის დას, – მაშინ იგი პერანგის ამარა წავიდოდა, მაგრამ რაკი ცივა, უნდა თბილი ტანისამოსი ჩააცვათ, რაც სწორედ ამისთვის არის გამოგონილი. აი, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სიცივეა და არის ის, რომ ბავშვი შინ უნდა დარჩეს, როცა მას ჰაერი სჭირდება, – ამბობდა იგი განსაკუთრებული ლოგიკურობით, თითქოს სჯიდა ვიღაცას მთელი ამ საიდუმლო, არალოგიკური, შინაგანი ბრძოლისთვის, რომელიც მასში მიმდინარეობდა.

კნიაჟნა მარია ასეთ შემთხვევაში ფიქრობდა, გონებრივი მუშაობა ფიტავს მამაკაცებსო.

თავი მეოთხე

თავადი ანდრეი პეტერბურგს 1809 წლის აგვისტოს ჩავიდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ახალგაზრდა სპერანსკიმ თავისი დიდებისა და გადატრიალებათა განხორციელების მწვერვალს მიაღწია. სწორედ იმ წლის აგვისტოს გზად მიმავალი ხელმწიფე ეტლიდან გადმოვარდა და ფეხი დაიზიანა. იგი სამ კვირას დარჩა პეტერბურგში და ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველდღე მარტოდმარტო სპერანსკის ხვდებოდა. იმ დროს ამზადებდნენ არა მარტო ორ შესანიშნავ ბრძანებას, რამაც ასე შეაშფოთა საზოგადოება, – ბრძანებას სასახლის კარის ხარისხების გაუქმებისა და კოლეგიის ასესორისა[160] და სახელმწიფო მრჩევლის ხარისხების მისაღებად გამოცდების დაწესების შესახებ, არამედ ამზადებდნენ

მთელ სახელმწიფო კონსტიტუციას. ახალ კონსტიტუციას უნდა შეეცვალა რუსეთის მართვა-გამგეობის არსებული სასამართლო, ადმინისტრაციული და ფინანსური სისტემა, დაწყებული სახელმწიფო საბჭოთი და დამთავრებული სათემო მმართველობით. ახლა სრულდებოდა და ხორცს იხამდა ის გაურკვეველი, ლიბერალური ოცნებები, რომლებითაც გატაცებული იყო იმპერატორი ალექსანდრე ტახტზე ასვლის დროს და რომელთა განხორციელებასაც იგი თავისი თანამემწეების – ჩარტორიჟსკის, ნოვოსილცევის, კოჩუბეის და სტროგანოვის დახმარებით ცდილობდა. ხელმწიფე მათ ხუმრობით comité du salut publique (საზოგადოების ხსნის კომიტეტი) უწოდებდა.

ახლა ყველა ისინი შეეცვალა სპერანსკიმ სამოქალაქო, ხოლო არაკრევემა სამხედრო ნაწილში. თავადი ანდრეი პეტერბურგში ჩასვლის უმაღლვე, როგორც კამერჰერი, სასახლეში გამოცხადდა და ხელმწიფის გამოსვლასაც დაესწრო. ხელმწიფე ორჯერ შეხვდა მას, მაგრამ არც ერთი სიტყვის ღირსი არ გახადა. თავად ანდრეის ყოველთვის, ჯერ კიდევ წინათაც, ეჩვენებოდა, რომ იგი არ იმსახურებდა სიმპათიას ხელმწიფის თვალში, რომ ხელმწიფეს არ სიამოვნებდა მისი სახის და საერთოდ მისი დანახვა. ცივ, გამყინავ მზერაში, რომლითაც ხელმწიფემ თვალი შეავლო მას, თავადმა ანდრეიმ თავისი მოსაზრების წინანდელზე მეტი დადასტურება დაინახა. კარისკაცებმა ხელმწიფის უყურადღებობა იმით აუხსნეს თავად ანდრეის, რომ მისი უდიდებულესობა უკმაყოფილო იყო ბოლკონსკით, რადგან იგი 1805 წლიდან აღარ მსახურობდა.

„თვითონაც კარგად ვიცი, რომ ჩვენზე არ არის დამოკიდებული ჩვენი სიმპათიები და ანტიპათიები, – ფიქრობდა თავადი ანდრეი, – ამიტომ ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ პირადად წარვუდგინო ხელმწიფეს ბარათი სამხედრო წესდებაზე, საქმე თვითონ ილაპარაკებს თავის თავზე“. თავისი ბარათის შესახებ მან მოხუც ფელდმარშალს აუწყა, თავისი მამის მეგობარს. ფელდმარშალმა დაუნიშნა დრო, ალერსით მიიღო იგი და დაჰპირდა ეცნობებინა ხელმწიფისთვის. რამდენიმე დღის შემდეგ თავად ანდრეის აცნობეს, უნდა გამოცხადდეს სამხედრო მინისტრ გრაფ არაკრევეთანო.

დანიშნულ დღეს, დილის ცხრა საათზე, თავადი ანდრეი გრაფ არაკრევეის მისაღებ ოთახში გამოცხადდა.

ანდრეი პირადად არ იცნობდა გრაფ არაკრევეს და არც არასოდეს ენახა იგი, მაგრამ ყველაფერი ის, რაც გაეგონა მასზე, ნაკლებ პატივისცემას იწვევდა ამ პერსონისადმი.

„ის სამხედრო მინისტრია, ხელმწიფე იმპერატორის რწმუნებული პირი; ვის რა საქმე აქვს მის პირად თვისებებთან? მას დავალებული აქვს განიხილოს ჩემი ბარათი, მაშასადამე, მხოლოდ მას შეუძლია მისცეს მსვლელობა ჩემს საქმეს“, – ფიქრობდა ანდრეი, როცა მრავალ სხვა წარჩინებულ და არაწარჩინებულ პირთან ერთად გრაფ არაკრევეის კაბინეტში იცდიდა.

თავად ანდრეის თავისი სამსახურის დროს, მეტწილად ადიუტანტად ყოფნის დროს, წარჩინებული პირის მრავალი მისაღები ოთახი უნახავს და ამ ოთახების სხვადასხვა ხასიათი მეტად გარკვეული იყო მისთვის. გრაფ არაკრევეის მისაღებ ოთახს სრულიად განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა. იმ არაწარჩინებულ პირთა სახეებზე, რომელნიც აუდიენციის რიგს ელოდნენ გრაფ არაკრევეის მისაღებ ოთახში, დარცხვენისა და მორჩილების გრძნობა იყო აღბეჭდილი. უფრო წარჩინებულ პირთა სახეები უხერხულობის ერთ საერთო გრძნობას გამოხატავდნენ, იმავე დროს ცდილობდნენ დაეფარათ ეს გრძნობა უბოდიშო სითამამით და დასცინოდნენ საკუთარ თავს, საკუთარ მდგომარეობას და მომლოდინე პირთ. ზოგი ჩაფიქრებული დადიოდა წინ და უკან, ზოგიც სიცილით ჩურჩულებდა. თავად ანდრეის ყურს მოესმა sobriquet (შერქმეული სახელი), „სილ ანდრეიჩისა“ და სიტყვები: „ძია შეაფუცხუნებსო“, რომლებიც გრაფ არაკრევეს შეეხებოდა. ერთი გენერალი (წარჩინებული პირი),

ეტყობა, შეურაცხყოფილი იმით, რომ ასე დიდხანს მოუწია ლოდინმა, ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა და მწარედ უღიმოდა თავის თავს.

მაგრამ გაიღებოდა თუ არა კარი, ყველას სახეზე მხოლოდ ერთი რამ აღიბეჭდებოდა მაშინვე – შიში. თავადმა ანდრეიმ სთხოვა მორიგეს, სხვა დროს მოეხსენებინათ არაკრევევისთვის მის შესახებ, მაგრამ მას დამცინავად გადახედეს და უთხრეს, რომ თქვენი ჯერი თავის დროზე დადგებაო. როცა ადიუტანტმა მინისტრის კაბინეტში რამდენიმე პირი შეიყვანა და გამოაცილა, საზარელ კარში შეუშვეს ოფიცერი, რომელმაც თავადი ანდრეი გააოცა თავისი დამცირებული და შეშინებული სახით. ოფიცრის აუდიენციამ დიდხანს გასტანა. უეცრად კაბინეტიდან უსიამოვნო ღრიალი მოისმა და ოთახიდან გამოვიდა გაფითრებული ოფიცერი აცახცახებული ტუჩებით; მან თავზე ხელი წაივლო და მისაღები ოთახიდან გავარდა.

ოფიცრის შემდეგ კართან თავადი ანდრეი მიიყვანეს. მორიგემ წასჩურჩულა: „მარჯვნივ, ფანჯარასთან“.

თავადი ანდრეი არამდიდრულ, სუფთა ოთახში შევიდა. ფანჯარასთან ორმოცი წლის მამაკაცი იდგა. მაღალი წელი ჰქონდა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, წაგრძელებული თავი და დაღარული სახე. შეკრული წარბები ზემოდან დასცქეროდნენ მომწვანო მუქთაფლისფერ ჩამქრალ თვალებს და წითელ, ჩამოკიდებულ ცხვირს. არაკრევემა ისე მიიბრუნა მისკენ თავი, რომ ზედ არც კი შეხედა.

– თქვენ რას ითხოვთ? – ჰკითხა არაკრევემა.

– მე არაფერს არ... ვითხოვ, თქვენო ბრწყინვალეზავ, – წყნარად ჩაილაპარაკა თავადმა ანდრეიმ.

არაკრევემა შეხედა მას და მიმართა:

– დაბრძანდით, თავადო ბოლკონსკი!

– მე არაფერს არ ვითხოვ, მხოლოდ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილი ინება გადმოეგზავნა თქვენი ბრწყინვალეებისთვის ჩემ მიერ მირთმეული ბარათი...

– აი, რას მოგახსენებთ, ჩემო კეთილო, – გააწყვეტინა სიტყვა არაკრევემა, – თქვენი ბარათი წავიკითხე, – მხოლოდ პირველი სიტყვები წარმოთქვა ალერსიანად, მერე კი კვლავ თვალი აარიდა და ბუზღუნა, დამცინავი ტონით განაგრძო, – ახალ სამხედრო კანონებს გვთავაზობთ? კანონი ბევრია, შემსრულებელი კი ძველისაც არავინ არის. დღეს ყველა კანონებს წერს, წერა უფრო ადვილია, ვიდრე საქმის გაკეთება.

– მე გაიხელით ხელმწიფე იმპერატორის სურვილით, მინდა გავიგო თქვენი ბრწყინვალეებისგან, რა მიმართულებას ინებებთ მისცეთ ჩემ მიერ მორთმეულ ბარათს! – უთხრა თავაზიანად თავადმა ანდრეიმ.

– თქვენს ბარათს რეზოლუცია დავადე და კომიტეტს გადავუგზავნე. მე არ ვიწონებ თქვენს წინადადებას, – თქვა არაკრევემა, ფეხზე წამოდგა და საწერ მაგიდიდან ქალაღი ამოიღო: – აი! – და მან თავად ანდრეის ქალაღი გაუწოდა.

ქალაღზე გარდიგარდმო, მთავრული ასოების, ორთოგრაფიისა და სასვენი ნიშნების დაუცველად, ფანქრით წარწერილი იყო: „უსაფუძვლოდ შედგენილია, ვინაიდან როგორც მიბამვა, გადმოწერილია ფრანგული სამხედრო წესდებიდან და უსაფუძვლო გადახვევა სამხედრო არტიკულიდან“.

– რომელ კომიტეტს გადაეცა ბარათი? – ჰკითხა თავადმა ანდრეიმ.

– სამხედრო წესდების კომიტეტს, თანაც წარვადგინე, რომ თქვენი კეთილშობილება წევრად ჩარიცხონ, მხოლოდ უჯამაგიროდ.

ანდრეის გაეღიმა.

– მე თავად არ მსურს ჯამაგირი.

– დიახ, უჯამაგირო წევრად, – გაიმეორა არაკჩეევმა, – მაქვს პატივი. ეი! შემოიყვანე, ვინ არის კიდე? – დაიყვირა მან და თავად ანდრეის თავი დაუკრა.

თავი მეხუთე

კომიტეტის წევრად ჩარიცხვის მოლოდინში თავადმა ანდრეიმ განაახლა ძველი ნაცნობობა, მეტადრე იმ პირებთან, რომელთაც, როგორც მან იცოდა, ხელთ ეპყრათ ძალაუფლება და რომელნიც საჭირონი იქნებოდნენ მისთვის. ახლა, პეტერბურგში ყოფნისას, იგი ისეთსავე გრძნობას შეეპყრო, როგორსაც ბრძოლის წინა დღეს, როცა მას გულს უწყალებდა მოუსვენარი ცნობისმოყვარეობა და დაუძლეველი ძალა უმაღლეს სფეროებისკენ ეწეოდა, იქითკენ, სადაც მზადდებოდა მომავალი, რომლისგანაც დამოკიდებული იყო მილიონების ბედი. იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა ხალხი: როგორ იყვნენ გაბოროტებული მოხუცნი, როგორ იჩენდნენ ცნობისმოყვარეობას საქმის უცოდინარნი, როგორ თავდაჭერილად იქცეოდნენ საქმის მცოდნენი, როგორ იჩქაროდნენ და შფოთავდნენ ყველანი, იმ უამრავი კომიტეტისა და კომისიის მიხედვით, რომელთა არსებობასაც ყოველდღე იგებდა იგი, – ყოველივე ამის მიხედვით თავადი ანდრეი გრძნობდა, რომ ახლა, 1809 წელს, პეტერბურგში მზადდებოდა რაღაც უდიდესი სამოქალაქო ბრძოლა, რომელსაც მთავარსარდლობდა მისთვის უცნობი, საიდუმლო და მის მიერ გენიოსად მიჩნეული პირი – სპერანსკი. მოსალოდნელმა გარდაქმნებმა, რაზედაც ანდრეის ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და სპერანსკიმ – მთავარმა მოღვაწემ – ისე გატაცებით დააინტერესეს, რომ სამხედრო წესდების საქმემ მის შეგნებაში მალე მეორეხარისხოვანი ადგილი დაიჭირა;

თავადი ანდრეი უაღრესად ხელსაყრელ პირობაში იმყოფებოდა, რათა კარგად მიეღოთ მაშინდელი პეტერბურგის საზოგადოების მრავალფეროვან და უმაღლეს წრეებში. გარდამქმნელთა პარტია ხალხისთ იღებდა და იზიდავდა თავისკენ თავად ანდრეის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას გონიერი და დიდად ნაკითხი ადამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მეორეც იმიტომ, რომ მან თავის გლეხთა გათავისუფლებით უკვე მოიპოვა ლიბერალის რეპუტაცია. უკმაყოფილო მოხუცთა პარტია, გარდაქმნების მგომობელი და მოწინააღმდეგე პარტია, თანაგრძნობისთვის მიმართავდა მას, როგორც ცნობილი მამის შვილს. ხალხისთ იღებდა ქალთა საზოგადოებაც, უმაღლესი საზოგადოება, იმიტომ, რომ იგი საქმრო იყო, მდიდარი და დიდგვაროვანი საქმრო, და თითქმის ახალი პირი, რომანტიკული ისტორიის შარავანდედით მოსილი, რაც შედეგად მოჰყვა ცრუხმებს მისი დაღუპვის შესახებ და ცოლის ტრაგიკულ სიკვდილს. გარდა ამისა, მისი წინანდელი ნაცნობების საერთო აზრით იგი ხუთი წლის განმავლობაში ძალზე გამოიცვალა, დადინჯდა და დავაჟკაცდა, უკვალოდ გაქრა მასში წინანდელი თვალთმაქცობა, სიამაყე და დამცინაობა; სიდინჯე და სიდარბაისლე შეემატა, რასაც ადამიანს მხოლოდ წლები აძლევს. მასზე ლაპარაკობდნენ, იგი აინტერესებდათ და ყველას უნდოდა მისი ნახვა.

გრაფ არაკჩეევთან შეხვედრის მეორე დღეს, საღამოთი, თავადი ანდრეი გრაფ კოჩუბეისთან იყო. მან გადასცა გრაფს თავისი საუბარი სილა ანდრეევჩითან (ასე ეძახდა კოჩუბეი არაკჩეევს ისეთივე გაურკვეველი დაცინვის კილოთი, როგორც თავადმა ანდრეიმ სამხედრო მინისტრის მისაღებ ოთახში შენიშნა).

– Mon cher, ამ საქმეშიც კი ვერ ასცდებით მიხაილ მიხაილოვჩს. C'est le grand faiseur (იგი ყველა საქმის გამჩარხავია). ვეტყვი. დამპირდა, რომ დღეს საღამოთი შემოვივლის.

– რა საქმე აქვს მერე სპერანსკის სამხედრო წესდებებთან? – ჰკითხა თავადმა ანდრეიმ.

კოჩუბეიმ ღიმილით გაიქნია თავი, თითქოს გაკვირვებას გამოთქვამდა ბოლკონსკის გულუბრყვილობის გამო.

– ამას წინათ ლაპარაკი მქონდა მასთან თქვენ შესახებ, – განაგრძო კოჩუბეიმ, – თქვენი თავისუფალი პურის მხენელების შესახებ...

– მაშ ეგ თქვენ გაათავისუფლეთ, თავადო, გლეხები? – ჰკითხა ეკატერინეს დროინდელმა მოხუცმა და ათვალწუნებით მიტრიალდა მისკენ.

– პატარა მამულია, რომელიც არაფერს არ იძლეოდა, – მიუგო ბოლკონსკიმ, რათა ტყუილუბრალოდ არ გაელიზიანებინა მოხუცი და როგორმე შეემსუბუქებინა მის წინაშე თავისი საქციელი.

– Vous craignez d'être en retard (გეშინიათ არ დაიგვიანოთ), – თქვა მოხუცმა და კოჩუბეის შეხედა, – ერთი ვერ გამიგია მხოლოდ, – განაგრძო მან, – ვინდა მოხნავს მიწას, რაკი გლეხებს გაათავისუფლებენ? კანონების წერა ადვილია, მართვა-გამგეობა კი ძნელი. კვლავ გეკითხებით, გრაფ, ვინ იქნება პალატის უფროსი, რაკი ყველამ გამოცდა უნდა ჩააბაროს?

– ვფიქრობ, ის, ვინც გამოცდას ჩააბარებს, – მიუგო კოჩუბეიმ, ფეხი ფეხზე გადაიდო და მიმოიხედა.

– აგერ, ჩემთან მსახურობს პრიანიჩნიკოვი, საუცხოო ადამიანი, ოქრო კაცი. იგი უკვე სამოცი წლისაა, განა ის მოისურვებს გამოცდების ჩაბარებას?

– დიახ, საქმე გაძნელდება, რადგან განათლება ძალიან მცირედ არის გავრცელებული, მაგრამ... – გრაფმა კოჩუბეიმ არ დაამთავრა, წამოდგა, ხელი ჩაავლო თავად ანდრეის და გაემართა ახალშემოსულის შესაგებებლად. ახალშემოსული მაღალი კაცი იყო, მელოტი, ქერა, ორმოცი წლისა, დიდი ღია შუბლი ჰქონდა და არაჩვეულებრივად თეთრი, უცნაურად თეთრი, მოგრძო სახე. ლურჯი ფრაკი ეცვა, ყელზე ჯვარი ეკიდა, ხოლო მკერდის მარცხენა მხარეს ვარსკვლავი. ახალშემოსული სპერანსკი იყო. თავადმა ანდრეიმ მაშინვე იცნო იგი და გული აუთრთოლდა, როგორც სიცოცხლის გადამწყვეტ წუთებში ხდება ხოლმე. ვერ გაეგო, რა იყო ეს – პატივისცემა, შური თუ მოლოდინი. სპერანსკის მთელი ფიგურა განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც მაშინვე შეიძლებოდა მისი ცნობა. იმ საზოგადოებაში, სადაც თავადი ანდრეი ცხოვრობდა, არავის უხერხულ და უხეშ მოძრაობაში არ შეუმჩნევია, არავინ არ იცოდა ასეთი მტკიცე და ლმობიერი გამოხედვა ნახევრად მოხუჭული და ოდნავ წყლიანი თვალებიდან, არავის არ ჰქონდა ასეთი სიმტკიცე არაფრისგამომხატველი ღიმილისა, არავის ჰქონდა ასეთი დახვეწილი, აუღელვებელი და წყნარი ხმა და, რაც მთავარია, ასეთი ნაზი სითეთრე სახისა და მეტადრე ოდნავ ბრტყელი, მაგრამ მეტად ფუმფულა, ნაზი და თეთრი ხელების. სახის ასეთი სითეთრე თავად ანდრეის უნახავს მხოლოდ იმ ჯარისკაცებს შორის, რომელთაც დიდხანს დაუყვიათ ჰოსპიტალში. ეს კაცი იყო სპერანსკი, სახელმწიფო მდივანი, ხელმწიფის მომხსენებელი და თანამგზავრი ერფურტში, სადაც მას არაერთხელ უნახავს ნაპოლეონი და უსაუბრია მასთან.

სპერანსკი არ აცეცებდა თვალებს და ერთი პირიდან მეორეზე არ გადადიოდა მისი მზერა, როგორც ამას უნებურად სჩადიან ხოლმე დიდ საზოგადოებაში შესვლისას, და არც ჩქარობდა ხმის ამღებას. ლაპარაკობდა დინჯად, დარწმუნებული, რომ ყურს დაუგდებდნენ, და შესცქეროდა მხოლოდ იმას, ვისაც ელაპარაკებოდა.

თავადი ანდრეი განსაკუთრებულად გულდასმით ისმენდა სპერანსკის ყოველ სიტყვას და თვალყურს ადევნებდა ყოველ მის მოძრაობას. როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე ადამიანებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც მკაცრად სჯიან თავიანთ ახლობლებს, თავადი ანდრეი, ახალ პირთან შეხვედრისას,

მეტადრე ისეთ პირთან შეხვედრისას, როგორც იყო სპერანსკი, რომელსაც მხოლოდ რეპუტაციით იცნობდა, ყოველთვის მოელოდა, რომ იხილავდა მასში ადამიანის ღირსებათა სრულ გამოხატულებას.

სპერანსკი კოჩუბეის ელაპარაკებოდა, წუხდა, რომ უფრო ადრე ვერ ესტუმრა. და მიზეზი განუმარტა – სასახლეში შემაჩერესო. არ უთქვამს, ხელმწიფემ შემაჩერაო. და თავადმა ანდრეიმ შენიშნა ეს გადაჭარბებული მოკრძალება. როდესაც კოჩუბეიმ თავადი ანდრეი დაასახელა, სპერანსკიმ იმავე ღიმილით დინჯად გადახედა ბოლკონსკის და უხმოდ დააცქერდა.

– ძალიან მოხარული ვარ. როგორც ყველა სხვას, მეც ბევრი რამ გამიგონია თქვენზე, – უთხრა მან.

კოჩუბეი რამდენიმე სიტყვით მოუყვა სპერანსკის, როგორ მიიღო არაკრევემა ბოლკონსკი. სპერანსკის გაეღიმა.

– სამხედრო წესდებათა კომისიის დირექტორად ჩემი კარგი მეგობარია, ბატონი მაგნიცკი, – თქვა მან. იგი გარკვევით გამოთქვამდა ყოველ მარცვალს და ყოველ სიტყვას, – და თუ მოისურვებთ, შემოდელია შეგახვედროთ მასთან (იგი ცოტა ხანს შეჩერდა). იმედი მაქვს, თანაგრძნობით მოგეპყრობათ და დახმარებას გაგიწევთ ყველაფერში, რაც კი გონივრულია.

იმავე წუთს სპერანსკის ირგვლივ წრე გაკეთდა და იმავე მოხუცმა, რომელიც თავის მოხელეზე, პრინციპულად ლაპარაკობდა, კითხვით მიმართა სპერანსკის.

თავადი ანდრეი ლაპარაკში არ ერეოდა და მხოლოდ თვალყურს ადევნებდა სპერანსკის, მანამდე უმნიშვნელო სემინარისტს, რომელსაც ახლა თავის ხელში, თავის თეთრ, ფუმფულა ხელში ეჭირა რუსეთის ბედი, როგორც ბოლკონსკი ფიქრობდა. თავადი ანდრეი გააოცა იმ არაჩვეულებრივმა, დამცინავმა სიმშვიდემ, რომლითაც სპერანსკიმ მოხუცს მიუგო. იგი თითქოს მიუწვდომელი სიმაღლიდან მიმართავდა მოხუცს შემწყნარებელი სიტყვით. როცა მოხუცმა ძალიან ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, სპერანსკიმ გაიღიმა და თქვა, რომ მას არ შეუძლია განსაჯოს იმის სიავკარგე, რაც ხელმწიფემ მოისურვა.

სპერანსკი ერთხანს საერთო საუბარში ჩაება, მერე ფეხზე წამოდგა, თავად ანდრეისთან მივიდა და ოთახის მეორე ბოლოში გაიწვია. აშკარა იყო, მას საჭიროდ მიაჩნდა გამოხმაურებოდა ბოლკონსკის.

– იმ პატივცემულმა მოხუცმა ისე ჩამაბა საუბარში, რომ ვეღარ მოვასწარი თქვენთან ლაპარაკი, – თქვა მან, თანაც ზიზღნარევმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, თითქოს ამ ღიმილით გამოუტყდა მოსაუბრეს, რომ თავად ანდრეისთან ერთად კარგად ესმის ისეთ ადამიანთა არარაობა, როგორებთანაც ეს-ეს არის ლაპარაკობდა. ამ მიმართვით ნასიამოვნები დარჩა თავადი ანდრეი, – მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ, ჯერ ერთი, თქვენი საქმის გამო გლეხებთან: ეს პირველი მაგალითია ჩვენში, რასაც, სასურველია, მრავალი მიმზამველი გამოუჩნდეს, მეორე – თქვენ იმ ერთ-ერთი კამერპერთაგანი ბრძანდებით, რომელმაც თავი შეურაცხყოფილად არ მიიჩნია ახალი ბრძანებით კარისკაცთა ხარისხების შესახებ, რამაც ესოდენი მითქმა-მოთქმა და გაკილვა გამოიწვია.

– დიახ, – უპასუხა თავადმა ანდრეიმ, – მამაჩემმა არ მოისურვა გამომეყენებინა ეს უფლება. მე სამსახური დაბალი ხარისხიდან დავიწყე.

– მამათქვენი ძველი დროის კაცია, იგი ეტყობა, მაღლა დგას ჩვენს თანამედროვეებზე, რომელნიც ასე ჰკიცხავენ ამ ზომას; ეს ზომა კი მხოლოდ აღადგენს ბუნებრივ სამართლიანობას.

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ გაკიცხვასაც საფუძველი აქვს, – თქვა თავადმა ანდრეიმ; იგი ცდილობდა შებრძოლებოდა სპერანსკის გავლენას, რის ზემოქმედებასაც უკვე გრძნობდა. არ ესიამოვნებოდა ყველაფერში თანხმობა განეცხადებინა: უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია. თავად ანდრეის, რომელსაც

ლაპარაკი ჩვეულებრივ ადვილად და კარგად ეხერხებოდა, ახლა, სპერანსკისთან საუბრის დროს, ეძნელებოდა აზრის გამოთქმა. იგი ძლიერ გაეტაცებინა ამ შესანიშნავი ადამიანის პიროვნებას და მასზე დაკვირვებას.

– ალბათ პირადი პატივმოყვარეობისთვის თუ ექნება საფუძველი, – ჩაურთო ხმადაბლა სპერანსკიმ.

– რამდენადმე სახელმწიფოსთვისაც, – თქვა თავადმა ანდრეიმ.

– როგორ ფიქრობთ თქვენ? – ჰკითხა სპერანსკიმ და დინჯად დაუშვა თვალები.

– მე Montesquieu-ს [161] პატივისმცემელი ვარ, – მიუგო თავადმა ანდრეიმ, – და მის მოსაზრება იმის შესახებ, რომ le principe des monarchies est l'honneur, me paraît incontestable. Certains droits et privilèges de la noblesse me paraissent être des moyens de soutenir ce sentiment (მონარქიის საფუძველი პატივა, ეჭვგარეშედ მიმაჩნია. თავადაზნაურობის ზოგიერთი უფლება და უპირატესობა წარმოდგენილი მაქვს როგორც საშუალება ამ გრძნობის განსამტკიცებლად).

ღიმილი გაქრა სპერანსკის თეთრ სახეზე და მისმა გამომეტყველებამ ბევრი რამ მოიგო ამისგან. ალბათ, თავად ანდრეის აზრი ყურადსაღებად მიიჩნია.

– Si vous envisagez la question sous ce point de vue (დიახ, თუ თქვენ საქმეს მაგ თვალსაზრისით უყურებთ),

– დაიწყო მან და აშკარად ეტყობოდა, რომ უძნელდებოდა გამოთქმა ფრანგულად, თანაც უფრო ნელა ლაპარაკობდა, ვიდრე რუსულად, თუმცა სრულიად მშვიდად. მან თქვა, რომ პატივს, l'honneur-ს, ვერ განამტკიცებენ სამსახურის მიმდინარეობისთვის მავნე უპირატესობანი, რომ პატივი, l'honneur არის ან საძრახი საქციელის ჩაუდენლობის უარყოფითი ცნება, ან გაჯიბრების ერთგვარი წყარო ამ გაჯიბრების გამომხატველი მოწონების, ან ჯილდოს მისაღებად.

მისი საბუთები შეკუმშული, მარტივი და ნათელი იყო.

– ინსტიტუტი, რომელიც მხარს უჭერს ამ პატივს, შეჯიბრების წყაროს, არის დიდი იმპერატორის, ნაპოლეონის Légion d'honneur (საპატიო ლეგიონის) მსგავსი ინსტიტუტი, იგი კი არ ვნებს, პირიქით, ხელს უწყობს სამსახურს, არც წოდებრივი ან საკარისკაცო უპირატესობაა იგი.

– არ გედავებით, მაგრამ შეუძლებელია უარყოფთ, რომ საკარისკაცო უპირატესობამ მაგავე მიზანს მიაღწია, – მიუგო თავადმა ანდრეიმ, – ყოველ კარისკაცს თავის მოვალეობად მიაჩნია ღირსეულად ატაროს თავისი მდგომარეობა.

– მაგრამ თქვენ არ მოისურვებთ გესარგებლათ ამით, თავადო, – უთხრა სპერანსკიმ და ღიმილით უჩვენა, რომ სურს მოსაუბრისთვის უხერხულ კამათს თავაზიანად მოუღოს ბოლო, – თუ პატივს დამდებთ და ოთხშაბათს მობრძანდებით ჩემთან, – დაურთო მან, – მაშინ მე წინასწარ მოველაპარაკებ მაგნიტკის და გაცნობებთ, რაც თქვენ გაინტერესებთ, და გარდა ამისა, ბედნიერება მექნება უფრო დაწვრილებით გესაუბროთ, – თქვა ეს, თვალები მოხუჭა, თავი დაუკრა და à la française (ფრანგულ ყაიდაზე), გამოუმშვიდობებლად, დარბაზიდან გასასვლელად გაემართა. ამასთან, ცდილობდა შეუმჩნევლად გასულიყო.

თავი მეექვსე

პეტერბურგში ყოფნის პირველ ხანებში თავადმა ანდრეიმ იგრძნო, რომ განმარტოებული ცხოვრების დროს შემუშავებული აზრთა წყობა სრულიად დაჩრდილა წვრილმანმა საზრუნავმა, რომელშიც იგი პეტერბურგში ჩაეფლო.

სადამოთი შინ დაბრუნებული თავადი ანდრეი სამახსოვრო წიგნაკში იწერდა ოთხ თუ ხუთ rendez-vous (დარბაზობას) ან შეხვედრას დანიშნულ საათებში. ცხოვრების მექანიზმი, დღიური ზრუნვა მოითხოვდა, რომ ყველგან მოესწრო და ამას სიცოცხლის ენერჯის დიდი ნაწილი მიჰქონდა. არაფერს აკეთებდა, არაფერზე ფიქრობდა, ვერც ასწრებდა ფიქრს, მხოლოდ ლაპარაკობდა, წარმატებით ლაპარაკობდა იმაზე, რის მოფიქრებაც მოასწრო მანამდე, სოფელში ყოფნის დროს.

არაერთხელ შეუნიშნავს თავად ანდრეის, რომ იგი ერთსა და იმავე დღეს სხვადასხვა საზოგადოებაში ერთსა და იმავეს იმეორებდა, რაც უსიამოვნებას იწვევდა მასში. მაგრამ ისე დაკავებული იყო მთელ დღეს, რომ ვერ ასწრებდა ჩაჰკვირვებოდა იმას, რომ არაფერზე არ ფიქრობდა.

სპერანსკიმ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავად ანდრეიზე, როგორც პირველ შეხვედრისას კოჩუბეისთან, ისე შემდეგ, ოთხშაბათს, თავისთან, სადაც მან ბოლკონსკი პირისპირ მიიღო და დიდხანს და ნდობით ელაპარაკა.

თავად ანდრეის ადამიანთა ისეთი დიდი ნაწილი მიაჩნდა საზიზღარ არსებად და არარაობად, ისე უნდოდა ენახა სხვაში იმ სრულყოფის ცოცხალი იდეალი, რომლისკენაც მიილტვოდა, რომ სულ ადვილად ირწმუნა, სპერანსკის სახით სავსებით გონიერი და სათნო ადამიანის ეს იდეალი ვპოვეო. სპერანსკი რომ იმავე საზოგადოებიდან ყოფილიყო, რომელსაც თავადი ანდრეი განეკუთვნებოდა, იმავე განათლებისა და ზნეობრივი ჩვევების მქონე, ბოლკონსკი მალე შენიშნავდა მის სუსტ, ადამიანურ, არაგმირულ მხარეებს, მაგრამ ახლა მისთვის ეს უცნაური ლოგიკური მიმართულება სპერანსკის გონებისა მით უფრო იწვევდა მასში პატივისცემას, რომ იგი ჯერ კიდევ სავსებით არ იცნობდა მას. გარდა ამისა, სპერანსკი თავისი მიუდგომლობით, მშვიდი გონებით თავს იწონებდა თავად ანდრეის წინაშე, და ამას აკეთებდა იმიტომ, რომ მან ან სათანადოდ შეაფასა თავად ანდრეის ნიჭი ან საჭიროდ მიიჩნია გადაეხირობინა იგი თავისკენ; იმავე დროს სპერანსკი ცდილობდა თავად ანდრეის გულის მოგებას თავდაჯერებასთან შეერთებული მოხერხებული პირმოთნეობით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავის მოსაუბრეს და თავის თავს უსიტყვოდ აღიარებს ერთადერთ პირებად, რომელთაც ესმით ყველა დანარჩენის მთელი სისულელე და საკუთარი აზრების გონიერება და სიღრმე.

მათი ხანგრძლივი საუბრისას, ოთხშაბათს სადამოთი, სპერანსკიმ არაერთხელ თქვა: „ჩვენში ყველაფერს, რაც ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვეულების საერთო დონეს სცილდება, უყურებენ“... ან ღიმილით: – „მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მგლებიც მამღარნი იყვნენ და ცხვრებიც უვნებელნი“... ან: „მათ ეს ვერ გაუგიათ...“ და ყოველივე ეს ისეთი გამომეტყველებით იყო ნათქვამი, თითქოს სპერანსკი ამბობდა: „ჩვენ, თქვენ და მე, გვესმის, რანი არიან ისინი და ვინა ვართ ჩვენ“.

ამ პირველმა, ხანგრძლივმა საუბარმა სპერანსკისთან მხოლოდ გაუძლიერა თავად ანდრეის ის გრძნობა, რომლითაც იგი პირველად შეხვდა მას. ანდრეი ხედავდა მასში გონიერ, მკაცრად მოაზროვნე, უდიდესი ჭკუის ადამიანს, რომელმაც მხნეობითა და შეუპოვრობით მიაღწია ძალაუფლებას და რომელიც ამ ძალაუფლებას მხოლოდ რუსეთის საკეთილდღეოდ იყენებდა. თავად ანდრეის თვალში სპერანსკი სწორედ ის კაცი იყო, რომელიც გონივრულად ხსნიდა ცხოვრების ყველა მოვლენას, რომელსაც ჭეშმარიტებად მიაჩნდა მხოლოდ ის, რაც გონივრულია და რომელიც გონიერების საზომით უდგებოდა ყველაფერს, – ისეთი ადამიანი, როგორიც თვითონ უნდოდა ყოფილიყო. სპერანსკის გადმოცემაში ყველაფერი ისე უბრალო და ნათელი იყო, რომ თავადი ანდრეი უნებურად ეთანხმებოდა ყველაფერში. თუ შეესიტყვებოდა და შეედავებოდა, ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ უნდოდა დამოუკიდებლად ეჩვენებინა თავი და ყველაფერში არ დამორჩილებოდა სპერანსკის აზრს. ყველაფერი სწორი იყო, ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ ერთი რამ აფიქრებდა თავად ანდრეის: ეს იყო სპერანსკის

ცივი, სარკისებრი გამოხედვა, რომელიც არ გიშვებდათ ღრმად ჩაგეხედათ მის გულში, და მისი თეთრი, ნაზი ხელი, რომელსაც უნებურად შეჰყურებდა თავადი ანდრეი, შეჰყურებდა ისე, როგორც ჩვეულებრივად შეჰყურებენ ხოლმე ძალაუფლების მქონე ადამიანთა ხელებს. სარკისებრი გამოხედვა და ნაზი ხელი რატომღაც აღიზიანებდნენ თავად ანდრეის. უსიამოვნოდ აოცებდა თავად ანდრეის კიდევ ერთი რამ: მეტად დიდი სიძულვილი ადამიანებისადმი, რასაც იგი სპერანსკიში ამჩნევდა, და იმ ხერხების მრავალფეროვნება, რომელთაც იყენებდა იგი თავის მოსაზრებათა დასამტკიცებლად. შედარების გარდა, იგი, აზრის ყველა შესაძლებელ იარაღს მიმართავდა და, როგორც თავად ანდრეის ეჩვენებოდა, მეტად გაბედულად გადადიოდა ერთიდან მეორეზე. ხან პრაქტიკული მოღვაწის ნიადაგზე დგებოდა და ჰკიცხავდა მეოცნებეებს, ხან სატირიკოსის ნიადაგს ირჩევდა და ირონიულად დასცინოდა მოწინააღმდეგეებს, ხან მკაცრ ლოგიკას მიმართავდა, ხან კიდევ მეტაფიზიკის სფეროში ნავარდობდა (დამტკიცების ამ უკანასკნელ იარაღს განსაკუთრებით ხშირად მიმართავდა ხოლმე). საკითხი მას მეტაფიზიკის მწვერვალებზე გადაჰქონდა, იწყებდა სივრცის, დროისა და აზრის განსაზღვრას, გამოჰქონდა იქიდან უარყოფა და კვლავ ეშვებოდა კამათის ნიადაგზე.

საერთოდ, სპერანსკის ბუნების მთავარ თვისებას, რამაც თავადი ანდრეი გააოცა, შეადგენდა ის, რომ მას ურყევად სწამდა გონების ძალა და კანონიერება. აშკარა იყო, სპერანსკის არასოდეს არ დაეზარებოდა თავად ანდრეისთვის ესოდენ ჩვეულებრივი აზრი, რომ არ შეიძლება ყველაფერი იმისი თქმა, რასაც ფიქრობ, და არასოდეს არ შეეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ სისულელე ხომ არ არის ყველაფერი ის, რასაც მე ვფიქრობ და ყველაფერი ის, რაც მე მჯერა? სპერანსკის გონების ეს თავისებურება ყველაზე მეტად იზიდავდა თავად ანდრეის.

სპერანსკისთან ნაცნობობის პირველ ხანებში თავადი ანდრეი აღფრთოვანების ისეთივე დიდი გრძნობით იყო გამსჭვალული, როგორსაც იგი ბონაპარტესადმი განიცდიდა. ის გარემოება, რომ სპერანსკი მღვდლის შვილი იყო, რაც უგუნურ ადამიანებს საბაბს აძლევდა ზიზღით ეცქირა მისთვის, როგორც მეკორკოტისა და ხუცესის შვილისთვის, აიძულებდა თავად ანდრეის განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობოდა თავის გრძნობას სპერანსკისადმი და შეუცნობლად უფრო მეტად გაემდიერებინა იგი.

იმ პირველ საღამოს, რომელიც ბოლკონსკიმ მასთან გაატარა, კანონების შემდგენელ კომისიაზე ლაპარაკის დროს სპერანსკიმ ირონიით უამბო თავად ანდრეის, რომ კანონების შემდგენელი კომისია ორმოცდაათი წელიწადია არსებობს, რომ იგი მილიონები დაჯდა, მაგრამ გაკეთებით არაფერი გაუკეთებია, რომ როზენკამპფმა^[162] შედარებითი კანონმდებლობის ყველა მუხლს იარლიყი მიაწებაო.

– აი, ეს არის ყველაფერი, რისთვისაც სახელმწიფომ მილიონები გაიღო, – თქვა მან, – ჩვენ გვინდა სენატი ახალი სამოსამართლო უფლებით აღჭურვოთ, კანონები კი არ მოგვეპოვება. ამიტომ ისეთ ადამიანებს, როგორც თქვენ ბრძანდებით, თავადო, ცოდვად უნდა ჩაეთვალოთ სამსახურის გარეშე ყოფნა.

თავადმა ანდრეიმ მიუგო, რომ ამისთვის იურიდიული განათლებაა საჭირო, რაც მე არ გამაჩნიაო.

– ეგ განათლება არავის არ გააჩნია! მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ? ეს *circulus viciosus* (მოჯადოებული წრეა), რომელსაც ძალით უნდა დავაღწიოთ თავი.

ერთი კვირის შემდეგ თავადი ანდრეი სამხედრო წესდების კომისიის წევრად და, რასაც იგი არ მოელოდა, კანონების კომისიის განყოფილების თავმჯდომარედ ირიცხებოდა. სპერანსკის თხოვნით მან სამოქალაქო დებულების პირველი ნაწილის შედგენა იკისრა, და იგი *Code Napoléon* და *Justinian*

(ნაპოლეონისა და იუსტინიანეს[163] კოდექსების) საფუძველზე შეუდგა დებულების ერთი კარის – პირთა უფლებების შედგენას.

თავი მეშვიდე

ორიოდე წლის წინათ, 1808 წელს, მამულების შემოვლისა და პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, პიერი თავისდა უნებურად პეტერბურგელ მასონთა სათავეში მოექცა. ის აწყობდა სასადილოებს და დამკრძალავ ლოჟებს, იძენდა ახალ წევრებს, ზრუნავდა სხვადასხვა ლოჟის შეერთებაზე და ნამდვილი აქტების შექმნაზე. ის აძლევდა ფულს ტაძრების მოსაწყობად და, რამდენადაც შეეძლო, ავსებდა სამოწყალეო თანხას, რადგან წევრთა უმრავლესობა სიძუნწეს იჩენდა და წესიერად არ იხდიდა ფულს. თითქმის მარტოდმარტო ინახავდა ორდენის მიერ პეტერბურგში მოწყობილ ღარიბთა სახლს.

საერთოდ კი მისი ცხოვრება წინანდებურად მიმდინარეობდა, ისევე გართული და თავაშვებული იყო, როგორც ადრე. უყვარდა კარგად პურის ჭამა და კარგად დალევა, თავს ვერ იკავებდა და მონაწილეობდა უცოლშვილო ახალგაზრდობის გართობებში, თუმცა ეს უზნეობად და დამამცირებლად მიაჩნდა.

მაგრამ ასეთი ცხოვრებით გაბრუებულმა პიერმა ერთი წლის შემდეგ მაინც იგრძნო, რომ მასონობის ის ნიადაგი, რომელზედაც იდგა, მით უფრო ეცლებოდა ფეხიდან, რაც უფრო ცდილობდა გამაგრებულიყო მასზე. იმავე დროს გრძნობდა იმასაც, რომ რაც უფრო მეტად ეცლებოდა ფეხიდან ნიადაგი, რომელზეც იდგა, მით უფრო უნებურად უკავშირდებოდა მას. როცა პიერი მასონობას შეუდგა, იგი ისევე გრძნობდა თავს, როგორც ის კაცი, რომელიც ჭაობის სწორ ზედაპირზე ნდობით დაადგამს ფეხს. მაგრამ დაადგამს თუ არა, მაშინვე ჩაეფლობა. რათა სავსებით დარწმუნდეს ნიადაგის სიმაგრეში, იგი მეორე ფეხსაც შედგამს, და უფრო ღრმად ჩაეფლობა, იმდენად ღრმად, რომ უნებურად მუხლებამდე მოუხდებდა ჭაობში ტოპვა.

ოსიფ ალექსევიჩი პეტერბურგში არ იყო (ბოლო დროს ის ჩამოშორდა პეტერბურგის ლოჟებს და ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა მოსკოვში). ცხოვრებაში პიერი კარგად იცნობდა ყველა ძმას, ლოჟის წევრს და მისთვის ძნელი იყო მიეჩნია ისინი მარტოდენ ძმებად ქვის მთელელობის ხაზით და არა თავად ბ-დ, არა ივან ვასილიჩ დ-დ, რომელნიც ცხოვრებაში, როგორც მან იცოდა, მეტწილად სუსტ და უმნიშვნელო ადამიანებს წარმოადგენდნენ. მასონის წინსაფრებისა და ნიშნების ქვეშ იგი ხედავდა მუნდირებსა და ჯვრებს, რომელთა მოპოვებასაც ცხოვრებაში ასე ცდილობდნენ ისინი. ხშირად, როცა იგი მოწყალეობას აგროვებდა და როცა 20-30 რუბლს თუ დაითვლიდა, მოწყალეობის სახით შემოსულს, ისიც მეტწილად ვალად ჩაწერილს ათამდე წევრზე, რომელთა ნახევარიც ისევე მდიდარი იყო, როგორც თვითონ იგი, პიერი იგონებდა მასონურ ფიცს, რომლითაც ყოველი ძმა პირობას იძლეოდა, მთელი თავისი ქონება მოყვასის სასარგებლოდ მოეხმარა. მის გულში ამ დროს ეჭვი იპარებოდა, მაგრამ ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია ამ ეჭვისთვის.

ნაცნობ ძმებს პიერი ოთხ ჯგუფად ჰყოფდა. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებდა იმათ, რომელნიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ არც ლოჟისა და არც იმათ საქმეებში, რომელნიც გართულნი იყვნენ ორდენის საიდუმლოებათა მეცნიერებით, ღვთის სამმაგი სახელწოდების საკითხებით, ან ნივთთა – გოგირდის, მერკურისა და მარილის სამი საწყისით ან კვადრატისა და სოლომონის ტაძრის ფიგურების მნიშვნელობით. პიერი პატივს სცემდა მასონთა ამ ჯგუფის ძმებს. მათ მიეკუთვნებოდნენ უმთავრესად ძველი ძმები და, პიერის აზრით, თვით ოსიფ ალექსევიჩი. მაგრამ პიერი არ იზიარებდა მათ ინტერესებს. მის გულს არ იზიდავდა მასონობის მისტიკური მხარე.

მეორე ჯგუფს პიერი მიაკუთვნებდა თავის თავს და თავის მსგავს ძმებს, იმათ, ვინც ეძიებდა, ყოყმანობდა, ვისაც ჯერ კიდევ ვერ მოენახა მასონობაში პირდაპირი და გასაგები გზები, მაგრამ ვინც იმედოვნებდა, რომ გამონახავდა ამ გზებს.

მესამე ჯგუფს იგი მიაკუთვნებდა (ისინი ყველაზე მეტნი იყვნენ) იმ ძმებს, რომელნიც მასონობაში, ფორმისა და წესის გარდა, ვერაფერს ხედავდნენ და რომელთაც ამ გარეგანი ფორმის მკაცრი შესრულება იზიდავდათ მხოლოდ. ისინი არ ზრუნავდნენ მის შინაარსსა და მნიშვნელობაზე. ასეთი იყო ვილარსკი და მთავარი ლოჟის დიდი ოსტატიც კი.

ბოლოს, მეოთხე ჯგუფსაც ძმების დიდი რიცხვი მიეკუთვნებოდა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში შესულები. პიერის დაკვირვებით, ესენი ისეთი ადამიანები იყვნენ, რომელთაც არაფერი სწამდათ, არაფერი სწადდათ, და რომელნიც მასონები გახდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ დაახლოებოდნენ მდიდარ და დიდი ნაცნობობისა და გვაროვნობის მქონე ახალგაზრდა ძმებს. ასეთები კი ბლომად იყვნენ ლოჟაში.

პიერი უკვე გრძნობდა, რომ მას აღარ აკმაყოფილებდა თავისი საქმიანობა; ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მასონობა, ყოველ შემთხვევაში ის მასონობა, რომელსაც იგი პეტერბურგში იცნობდა, თითქოს მარტოდენ გარეგნობას ემყარებოდა. ეჭვი არ ეპარებოდა თვით მასონობაში, მაგრამ ფიქრობდა, რომ რუსული მასონობა ყალბ გზას დაადგა და თავის წყაროს გადასცდა. ამიტომ წლის დამლევს პიერი საზღვარგარეთ გაემგზავრა ორდენის უმაღლეს საიდუმლოებათა გასაცნობად.

1809 წლის ზაფხულს პიერი პეტერბურგში დაბრუნდა. იმ მიმოწერის მეოხებით, რომელიც ჩვენს მასონებს საზღვარგარეთელ მასონებთან ჰქონდათ, ცნობილი გახდა, რომ ბეზუხოვმა საზღვარგარეთ მრავალი წარჩინებული პირის ნდობა მოიპოვა და ბევრი საიდუმლოება გაიგო, რომ აღიჭურვა უმაღლესი ხარისხით და რომ ბევრი რამ მოჰქონდა თან რუსეთის ქვის მთელეთა საქმის საერთო სიკეთისთვის. ყველა პეტერბურგელი მასონი ეწვია მას, ყველა ცდილობდა მისი გულის მოგებას, ყველას ეჩვენებოდა, თითქოს იგი რაღაცას მალავდა და ამზადებდა.

დაინიშნა მე-2 გრადუსის ლოჟის საზეიმო სხდომა. პიერი დაჰპირდა პეტერბურგელ ძმებს, რომ ამ სხდომაზე აცნობებდა იმას, რაც ორდენის უმაღლეს ხელმძღვანელთაგან ჰქონდა მათთვის გადასაცემი. დარბაზი სავსე იყო. ჩვეულებრივი წესების შემდეგ ფეხზე წამომდგარმა პიერმა დაიწყო თავისი სიტყვა.

– საყვარელო ძმებო, – თქვა მან ენის ბორძიკით და წამოწითლდა. ხელში დაწერილი სიტყვა ეჭირა, – საკმაო არ არის დავიცვათ ლოჟის მყუდროებაში ჩვენი საიდუმლოებანი, საჭიროა მოქმედებაც... მოქმედება. ჩვენ მივიძინეთ, მეგობრებო, უნდა კი ვიმოქმედოთ, – და პიერმა აიღო რვეული და კითხვა დაიწყო:

„წმინდა ჭეშმარიტების გასავრცელებლად და სათნოებისთვის გამარჯვების მოსაპოვებლად უნდა გავათავისუფლოთ ადამიანები ცრურწმენებისგან, გავავრცელოთ დღევანდელი დღის შესაფერისი წესები, ვიკისროთ ახალგაზრდობის აღზრდა, განუყრელი კავშირით შევეუერთდეთ უჭკვიანეს ადამიანებს, გაბედულად და იმავე დროს კეთილგონივრულად გადავლახოთ ცრუმორწმუნეობა, ურწმუნოება და სისულელე, გავაერთიანოთ ერთობლივი მიზნით დაკავშირებული, უფლებისა და ძალის მქონე ჩვენი ერთგული ადამიანები.

„ამ მიზნის მისაღწევად უნდა ვეცადოთ, რომ სათნოებამ გაიმარჯვოს ბიწიერებაზე, რომ პატიოსანმა კაცმა ჯერ კიდევ ამქვეყნად მოიპოვოს ჯილდო თავისი სათნოებისთვის. მაგრამ ამ დიდი განზრახვების შესრულებას ძალზე აბრკოლებენ ახლანდელი პოლიტიკური დაწესებულებანი. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთი ვითარების დროს? ხელი უნდა შევუწყოთ თუ არა რევოლუციებს, უნდა დავამხოთ

თუ არა ყველაფერი, განვდევნოთ თუ არა ძალა ძალით?.. არა, ჩვენ ძალიან შორს ვართ ამისგან. განვიცხვის ღირსია ყოველი ნაძალადევი რეფორმა, იმიტომ, რომ იგი ოდნავადაც ვერ გამოასწორებს ბოროტებას, ვიდრე ადამიანები ისეთებად დარჩებიან, როგორც არიან, და კიდევ იმიტომ, რომ სიბრძნე არ საჭიროებს ძალადობას.

„მთელი გეგმა ორდენისა უნდა ემყარებოდეს იმას, რომ შევქმნათ მტკიცე, სათნო, ერთიანი რწმენით დაკავშირებული ადამიანები, რომელნიც ყველგან და მთელი ძალ-ღონით უნდა სდევნიდნენ ბიწიერებას და სისულელეს და მფარველობდნენ ნიჭსა და სათნოებას: მათ ყველგან ღირსეული ადამიანები უნდა გამოძებნონ და შემოუერთონ ჩვენს ძმობას. მხოლოდ მაშინ ექნება ჩვენს ორდენს ძალაუფლება – დაუბრკოლებლად შეუკრას ხელები უწესოების მფარველებს და ისე წარუძღვეს მათ, რომ ვერც კი ამჩნევდნენ ამას. ერთი სიტყვით, უნდა მოეწყოს საყოველთაოდ გაბატონებული მართვა-გამგეობა, რომელიც სამოქალაქო კავშირის დაურღვევლად უნდა გავრცელდეს მთელ ქვეყნიერებაზე და რომლის დროსაც ყველა დანარჩენი მმართველობა ჩვეულებრივი წესით უნდა მიმდინარეობდეს და აკეთებდეს ყველაფერს, გარდა იმისა, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი ორდენის დიად მიზანს, ესე იგი, სათნოებისთვის გამარჯვების მოპოვებას ბიწიერებაზე. ეს მიზანი ჰქონდა თვით ქრისტიანობას. იგი ასწავლიდა ადამიანებს, ყოფილიყვნენ ბრძენნი და კეთილნი და საკუთარი სიკეთისთვის მიებაძათ საუკეთესო და ბრძენი ადამიანების მაგალითისთვის.

„მაშინ, როცა ყველაფერი წყვილიადით იყო მოცული, საკმაო იყო, რასაკვირველია, მარტოოდენ ქადაგება: ჭეშმარიტების სიახლე განსაკუთრებულ ძალას ანიჭებდა მას; ახლა კი გვესაჭიროება ბევრად უფრო ძლიერი საშუალებანი. ახლა საჭიროა, რომ ადამიანი, რომელსაც საკუთარი გრძნობები ამოდრავებს, სიქველეში პოვებდეს ხორციელ სიმშვენიერეს. შეუძლებელია ვნებათა აღმოფხვრა, უნდა ვეცადოთ მხოლოდ, რომ ისინი წარვმართოთ კეთილშობილი მიზნისკენ; ამიტომ ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს სიქველით დაიცხროს ვნებები, და ჩვენმა ორდენმა საშუალებები უნდა გამოიხსოს ამისთვის.

„როცა ყოველ სახელმწიფოში ღირსეულ ადამიანთა სათანადო რიცხვი გაჩნდება, თითოეული მათგანი მიიმხრობს ორ ახალ წევრს და ყველა ისინი მჭიდროდ შეეკავშირდებიან ურთიერთს. მაშინ ყველაფერი შესაძლებელი გახდება ჩვენი ორდენისთვის, რომელმაც უკვე ბევრი რამ გააკეთა იდუმალად კაცობრიობის კეთილდღეობისთვის“.

ამ სიტყვამ არათუ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, არამედ მღელვარებაც კი გამოიწვია ლოჟაში. მაგრამ ძმათა უმრავლესობამ, რომელმაც ამ სიტყვაში ილუმინატების[164] საშიში განზრახვანი დაინახა, პიერის გასაოცებლად, ცივად მიიღო იგი. დიდი ოსტატი შეესიტყვა პიერს. პიერი თავგამოდებით შეუდგა თავისი აზრების განვითარებას. დიდი ხანია არ ყოფილა ასეთი ცხარე სხდომა. შედგა სხვადასხვა პარტია. ერთნი ბრალს სდებდნენ პიერს, ჰკიცხავდნენ ილუმინატობისთვის, სხვები მხარს უჭერდნენ. ამ კრებაზე პიერი პირველად გააოცა ადამიანის გონების იმ დაუსრულებელმა სხვადასხვაობამ, რასაც შედეგად მოსდევს ის, რომ არავითარი ჭეშმარიტება ერთნაირად არა აქვს წარმოდგენილი ორ ადამიანსაც კი. იმ წევრებსაც კი, რომელნიც პიერის მხარეზე იყვნენ, თავისებურად ესმოდათ მისი აზრები, ესმოდათ შეზღუდულად და შეცვლილად, რასაც პიერი ვერ დაეთანხმებოდა, რადგან ცდილობდა უმთავრესად იმას, რომ თავისი აზრი სხვებისთვის გადაეცა სწორედ ისე, როგორც თვითონ ესმოდა.

სხდომის დასრულებისას დიდმა ოსტატმა უსაყვედურა პიერს გაცხარება და შენიშნა, რომ მას კამათში მარტოოდენ სათნოებისადმი სიყვარული როდი იზიდავდა, რომ იგი ბრძოლამაც გაიტაცა. ამ შენიშვნაში უკეთურება და ირონია გამოსჭვიოდა. პიერმა არაფერი უპასუხა და მოკლედ ჰკითხა, იქნება

თუ არა მისი წინადადება მიღებული. არაო, მიუგეს, და პიერი ისე გავიდა ლოჯიდან და წავიდა შინ, რომ ჩვეულებრივი ფორმალობისთვისაც აღარ დაუცდია.

თავი მერვე

პიერს კვლავ შემოაწვა სევდა, რისიც ასე ეშინოდა. ლოჯაში სიტყვის წარმოთქმის შემდეგ სამ დღეს იწვა შინ, დივანზე; არავინ მიუღია და არც არსად გასულა.

ამ დროს მოუვიდა წერილი ცოლისაგან, რომელიც ემუდარებოდა შეხვედრას, სწერდა, რომ ძალიან აწუხებდა მისი უნახაობა და ჰპირდებოდა, რომ მთელ სიცოცხლეს შესწირავდა მას.

წერილის ბოლოს აცნობებდა, ამ დღეებში ჩამოვდივარ საზღვარგარეთიდანო.

ამ წერილის შემდეგ პიერის მართობა დაარღვია ყველაზე ნაკლებ პატივცემულმა მასონმა; მან ლაპარაკი ჩამოაგდო პიერის ცოლქმრულ ურთიერთობაზე და, როგორც ძმამ, რჩევის სახით, გამოთქვა აზრი, რომ სიმკაცრე ცოლისადმი უსამართლობაა და რაკი პიერი პატიებას გაურბის, იგი არღვევს მასონის პირველსავე წესს.

სწორედ იმავე დროს სიდედრმა, თავად ვასილის ცოლმა, კაცი მიუგზავნა პიერს; ევედრებოდა, თუნდაც ერთი წუთით მიწახულე დიდად საყურადღებო საქმის გამო მოსალაპარაკებლადო. პიერი ხედავდა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება იყო, უნდოდათ შეერიგებინათ ცოლთან. ეს კი პიერისთვის არცთუ ისე უსიამოვნო იყო იმ მდგომარეობაში, როგორშიც იგი იმყოფებოდა. მისთვის სულერთი იყო: პიერს არაფერი მიაჩნდა ცხოვრებაში დიდად მნიშვნელოვან საქმედ და სევდის გამო, რომელიც ახლა დაეუფლებოდა, არ უფრთხილდებოდა არც თავის თავისუფლებას, არც თავის გადაწყვეტილებას – დაესაჯა ცოლი.

„არავინ არ არის მართალი, არავინ არ არის დამნაშავე. მაშასადამე, არც ის არის დამნაშავე“, – ფიქრობდა იგი. თუ პიერმა მაშინვე არ განაცხადა ცოლთან შერიგების თანხმობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას, სევდით შეპყრობილს, ძალა არ შესწევდა რაიმე ზომები მიეღო. ელენი რომ მოსულიყო თვითონ, პიერი ახლა არ გააგდებდა. განა იმასთან შედარებით, რასაც პიერი განიცდიდა, სულერთი არ იყო მისთვის, იცხოვრებდა თუ არ იცხოვრებდა ცოლთან?

პიერს პასუხი არ გაუცია არც ცოლისთვის, არც სიდედრისთვის. ნაცვლად ამისა, ერთ დღეს მოემზადა გასამგზავრებლად და გვიან საღამოთი გაემართა მოსკოვისაკენ იოსიფ ალექსევიჩის სანახავად. აი, რა ჩაწერა მან თავის დღიურში:

„მოსკოვი, 17 ნოემბერი.

ეს-ეს არის, დავბრუნდი ჩემი კეთილისმყოფლისგან და ვესწრაფვი ჩავიწერო ყველაფერი, რაც მასთან განვიცადე. იოსიფ ალექსევიჩი ღარიბად ცხოვრობს და მესამე წელიწადია იტანჯება ნაღვლის ბუშტის მწვავე ტკივილებით. არავის არასოდეს გაუგონია მისი კვნესა ან წუწუნის. იგი დიდიდან გვიან ღამემდე მუშაობს მეცნიერებაზე, მუშაობს მთელ დღეს, გარდა იმ საათებისა, როცა შეექცევა სულ უბრალო საკვებს. დიდი წყალობით მიმიღო და დამსვა საწოლზე, რომელზედაც თვითონ იწვა. მივესალმე აღმოსავლეთისა და იერუსალიმის რაინდების მსგავსად, მანაც ასევე მიპასუხა და მშვიდი ღიმილით მკითხა, რა გავიგე და რა შევიძინე პრუსიისა და შოტლანდიის ლოჯებში. ვუამბე, როგორც შემეძლო, ყველაფერი. გადავეცი ის საფუძვლები, რომლებიც ჩვენს პეტერბურგის ლოჯას შევთავაზე და ვაცნობე, როგორც ცუდად მიმიღეს იქ და როგორ მომიხდა კავშირის გაწყვეტა ძმებთან. იოსიფ ალექსევიჩმა კარგა ხნის სიჩუმისა და ფიქრის შემდეგ, ყოველივე ამაზე გამოთქვა თავისი შეხედულება, რამაც

ერთბაშად გააშუქა ყოველი ჩემი წარსული და მთელი ჩემი მომავალი გზა. გამაკვირვა, როცა მკითხა, მახსოვს თუ არა, როგორია სამგვარი მიზანი ორდენისა? აი, ეს მიზნები: 1) დაცვა და შეცნობა საიდუმლოებისა; 2) თავის განწმენდა და მომზადება ამ საიდუმლოების მისაღებად და 3) კაცობრიობის მოდგმის გამოსწორება ამ განწმენდისკენ მისწრაფებით. ამ სამ მიზანში რომელია მთავარი და პირველი მიზანი? რასაკვირველია, საკუთარი თავის გამოსწორება და განწმენდა. მხოლოდ ამ მიზნისკენ შეგვიძლია ვისწრაფოდეთ მუდამ, ყოველგვარი ვითარებისგან დამოუკიდებლად. მაგრამ იმავე დროს, იგივე მიზანი მოითხოვს ჩვენგან უდიდეს შრომას და ამიტომ, სიამაყით გზადაკარგულნი, უგულვებელვყოფთ ამ მიზანს ანდა ხელს ვკიდებთ საიდუმლოებას, რომლის მიღების ღირსნიც არა ვართ საკუთარი თავის უწმინდურების გამო, ან ვკისრულობთ კაცობრიობის მოდგმის გამოსწორებას, როდესაც თავად ჩვენ სისაძაგლისა და გარყვნილების მაგალითს წარმოვადგენთ. ილუმინატობა არ არის წმინდა მოძღვრება სწორედ იმიტომ, რომ იგი გატაცებულია საზოგადოებრივი მოღვაწეობით და გამსჭვალულია სიამაყით. ამის საფუძველზე, იოსიფ ალექსევიჩმა, გაჰკიცხა ჩემი სიტყვა და მთელი ჩემი მოქმედება. გულის სიღრმეში მე დავეთანხმე მას. როცა ლაპარაკი ჩემს ოჯახურ საქმეებზე ჩამოვარდა, მან მითხრა: „ჭეშმარიტი მასონის მთავარ მოვალეობას, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეადგენს სრულყოფისკენ მისწრაფება. მაგრამ ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ უფრო სწრაფად მივალწევთ მიზანს, თუ ჩამოვიშორებთ ცხოვრების ყველა სიძნელეს. პირიქით, ხელმწიფეო ჩემო, – მითხრა მან. – მხოლოდ საზოგადოებაში განცდილი მღელვარებით შეგვიძლია მივალწიოთ სამ მთავარ მიზანს: 1) თვითშეცნობას, რადგან ადამიანი თავის თავს შეიცნობს მხოლოდ შედარებით; 2) სრულყოფას, რაც მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება და 3) მთავარ სიქველეს – სიყვარულს სიკვდილისადმი. მხოლოდ ცხოვრების უკუღმართობას შეუძლია დაგვანახოს თავისი ამაოება, მხოლოდ მას შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენში ჩანერგილ სიყვარულს სიკვდილისადმი ან ჩვენი ცხოვრების განახლებას“. ეს სიტყვები მით უფრო საგულისხმოა, რომ იოსიფ ალექსევიჩი, მიუხედავად თავისი მძიმე ფიზიკური ტანჯვისა, არასოდეს გაურბის ცხოვრებას, იმავე დროს უყვარს სიკვდილი, რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ გრძნობს თავს სავსებით მომზადებულად, მიუხედავად თავისი შინაგანი არსების სისუფთავისა და სიმაღლისა. შემდეგ ჩემმა კეთილისმყოფელმა ნათლად ამიხსნა მსოფლიოს დიადი კვადრატის მნიშვნელობა და მიმითითა იმაზე, რომ სამჯერადი და მეშვიდე რიცხვები ამის საფუძველს წარმოადგენენო. მან მირჩია არ გავწყვიტო ურთიერთობა პეტერბურგელ ძმებთან, დავჯერდე ლოჟაში მე-2 გრადუსის თანამდებობას, შევეცადო ვიხსნა ძმები სიამაყით გატაცებისგან, დავაყენო ისინი თვითშემეცნებისა და სრულყოფის ჭეშმარიტ გზაზე. გარდა ამისა, პირადად მე მირჩია, პირველ ყოვლისა, თვალყური ვადევნო ჩემს თავს და ამ მიზნით გადმომცა რვეული, სწორედ ის, რომელშიც ახლა ვწერ და ჩავწერ შემდეგშიც ყოველ ჩემს საქციელს“.

„პეტერბურგი, 23 ნოემბერი.

კვლავ ცოლთან ვცხოვრობ. ჩემი სიდედრი აცრემლებული მოვიდა ჩემთან და გადმომცა, რომ ელენი აქ არის და მევედრება, მოვუსმინო; რომ იგი უბედურია იმით, რომ მე თავი მივანებე, და მრავალი სხვა. ვიცოდი, რაკი ცოლს ვინახულებდი, მის სურვილს წინ ვედარ აღვუდგებოდი. ეჭვით შეპყრობილმა არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა დახმარებისა და რჩევისთვის. ჩემი კეთილისმყოფელი რომ აქ ყოფილიყო, მეტყოდა, როგორ მოქცეულიყავი. განვმარტოვდი, გადავიკითხე იოსიფ ალექსევიჩის წერილები, გავიხსენე მასთან საუბარი და ყოველივე აქედან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ უარი არ უნდა ვუთხრა მთხოვნელს და დახმარების ხელი უნდა გავუწოდო ყოველ, მით უმეტეს ჩემთან ესოდენ დაკავშირებულ ადამიანს და ასე და ამრიგად ვზიდო ჩემი ჯვარი. მაგრამ, რაკი სათნოების გულისთვის ვაპატიე მას, დაე, ჩემმა კავშირმა მასთან მარტოოდენ სულიერი მიზანი იქონიოს. ასე გადავწყვიტე და ასე მივწერე იოსიფ ალექსევიჩს. ცოლს ვთხოვე დაევიწყებინა ყოველივე ძველი, ეპატიებინა ის, რაშიც შეიძლება დამნაშავე ვყოფილიყავი მის წინაშე, მე კი მისთვის საპატიებელი არაფერი მქონდა.

გამიხარდა, ამის თქმა რომ შევძელი. დაე, ნუ ეცოდინება, როგორ მიმძიმდა მისი ხელახლა ნახვა. მოვეწყვე დიდი სახლის ზედა სართულზე და განვიცდი განახლების ბედნიერ გრძნობას“.

თავი მეცხრე

როგორც ყოველთვის, მაშინაც, უმაღლესი საზოგადოება, რომელსაც სასახლის კარი და დიდი ბალები აერთიანებდა, იყოფოდა რამდენიმე წრედ და ყოველი მათგანი თავის ელფერს ატარებდა. მათ შორის ყველაზე დიდ წრეს წარმოადგენდა ნაპოლეონთან კავშირის მომხრე – გრაფ რუმინანცოვისა და Caulaincourt'a (კოლენკურის) ფრანგული წრე. ამ წრეში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ელენმა, როგორც კი იგი ქმართან ერთად პეტერბურგში დასახლდა. მასთან დაიარებოდნენ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი და ამ მიმართულების მიმდევარი მრავალი ადამიანი, ცნობილი თავისი ჭკუითა და თავაზიანობით.

ელენი ერფურტში იყო; იქ მან იმპერატორთა შესანიშნავი შეხვედრის დროს დიდი კავშირი გააბა ნაპოლეონის ირგვლივ შემოკრებილ მთელი ევროპის გამოჩენილ ადამიანებთან. ერფურტში მან ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. თვით ნაპოლეონმა შენიშნა იგი თეატრში და იკითხა, C'est un superbe animal (ვინ არის ეს ლამაზი არსებაო) და დააფასა კიდევ მისი სილამაზე. პიერს არ აკვირვებდა მისი, როგორც ლამაზი და ელეგანტური ქალის წარმატება, რადგან წინანდელთან შედარებით ელენი უფრო გალამაზდა. არ აკვირვებდა არც ის, რომ ამ ორი წლის განმავლობაში მისმა ცოლმა მოიპოვა d'une femme charmante, aussi spirituelle, que belle („მომხიბლავი ქალის, იმდენადვე ჭკვიანი, რამდენადაც მშვენიერი ადამიანის“) რეპუტაცია. ცნობილი prince de Ligne (თავადი დე ლინი) რვაგვერდიან წერილებს სწერდა ელენს. ბილიბინი ინახავდა თავის მოსწრებულ mots (სიტყვებს), რათა ისინი პირველად გრაფ ბეზუხოვის მეუღლის სალონში წარმოეთქვა. გრაფინიას სალონში მიღება ჭკუის დიპლომად ითვლებოდა. ახალგაზრდა მამაკაცები წინასწარ წიგნებს კითხულობდნენ ელენის საღამოსთვის, რათა სცოდნოდათ, რაზე ელაპარაკათ მის სალონში. საელჩოს მდივნები და თვით ელჩებიც კი დიპლომატიურ საიდუმლოებას ანდობდნენ მას. ასე რომ, ელენი ერთგვარ ძალას წარმოადგენდა. პიერი, რომელმაც იცოდა, რომ ელენი ძალზე სულელი იყო, შეშფოთებისა და შიშის უცნაური გრძნობით ესწრებოდა ზოგჯერ ცოლის საღამოებსა და სადილებს, სადაც ლაპარაკი პოლიტიკაზე, პოეზიასა და ფილოსოფიაზე იყო. ამ საღამოებზე პიერს ისეთივე გრძნობა ეუფლებოდა, როგორც ფოკუსების მაჩვენებელს, რომელიც ყოველ წუთს მოელის, საცაა მიმიხვდებიან მოტყუებასო. მაგრამ იმიტომ, რომ ასეთი სალონის წარმართვისთვის საჭირო იყო სწორედ ტყუილი, თუ იმიტომ, რომ თვით მოტყუებულნი ჰპოვებდნენ სიამოვნებას ამ ტყუილსა და სისულელეში, მოტყუება არ აშკარავდებოდა და „საუცხოო და ჭკვიანი ქალის“ რეპუტაცია ისე ურყევად მიეკუთვნა ელენა ვასილევნა ბეზუხოვას, რომ მას შეეძლო წარმოეთქვა უდიდესი უხამსობა და სისულელე და მაინც ყველა აღტაცებაში მოვიდოდა და ყველა მის სიტყვებში გამონახავდა უდიდეს აზრს, რაც თვით მას ფიქრადაც არ მოუვიდოდა.

პიერი სწორედ ისეთი ქმარი იყო, როგორც სჭირდებოდა ამ ბრწყინვალე, მაღალი საზოგადოების ქალს. მომხიბლავი და grand seigneur (ჭკვიანი ქალის) ქმარი, დაბნეული და უცნაური ადამიანი, იგი არავის არ უშლიდა ხელს და არათუ არ აქარწყლებდა სასტუმრო ოთახის მაღალი ტონის საერთო შთაბეჭდილებას, არამედ ხელსაყრელ ფონსაც კი უქმნიდა ცოლს იმით, რომ მისი მოხდენილობისა და ტაქტის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. ამ ორი წლის მანძილზე პიერმა, რომელიც არამატერიალური ინტერესებით იყო გატაცებული და ზიზღით ეპყრობოდა ყოველივე ამქვეყნიურს, თავისი ცოლის (მისთვის არასაინტერესო) საზოგადოებაში შეითვისა გულგრილობის, დაუდევრობისა და ყველასადმი კეთილგანწყობის ისეთი ტონი, რომლის ხელოვნურად მოპოვება არ შეიძლება და

რომელიც სწორედ ამიტომ, უნებურ პატივისცემას იწვევს. იგი თავისი ცოლის სასტუმრო ოთახში ისე შედიოდა, როგორც თეატრში; ყველას იცნობდა, ყველას ნახვა ერთნაირად უხარობდა და ყველას ერთნაირი გულგრილობით ეპყრობოდა. ზოგჯერ იგი ჩაერეოდა საუბარში, რომელიც მას აინტერესებდა და მაშინ, იმის განუკითხავად, იყენებდა თუ არა აქ les messieurs de l'ambassade (საელჩოების თანამშრომლები), ბუტბუტით გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს, ზოგჯერ სრულიად შეუფერებელს იმ მომენტისათვის. მაგრამ ის აზრი, რომ პიერი de la femme la plus distinguée de Pétersbourg (პეტერბურგის ულამაზესი ქალის ქმარია და ამასთან მეტად უცნაური), იმდენად იყო უკვე განმტკიცებული საზოგადოებაში, რომ მის გამოსვლებს au sérieux (სერიოზულად) არავინ უყურებდა.

იმ ყმაწვილ კაცთა შორის, რომელნიც ყოველდღიურად მრავლად დაიარებოდნენ ელენთან, ერფურტიდან მისი დაბრუნების შემდეგ ყველაზე ახლობელი ბეზუხოვების სახლში იყო სამსახურში უკვე თვალსაჩინოდ დაწინაურებული ბორის დრუბეცკოი. ელენი მას mon page (ჩემს პაქს) უწოდებდა და ისე ეპყრობოდა, როგორც ბავშვს. ელენი ისევე უღიმოდა ბორისს, როგორც ყველა სხვას, მაგრამ ზოგჯერ პიერს უსიამოვნებას ჰგვრიდა ამ ღიმილის დანახვა. ბორისი პიერს განსაკუთრებული, ღირსეული და მწუხარე პატივისცემით ეპყრობოდა. პატივისცემის ეს თავისებურებაც აწუხებდა პიერს. სამი წლის წინათ პიერი ისე ძლიერ დაიტანჯა ცოლის მიერ მიყენებული შეურაცხყოფით, რომ ახლა, თავის გადასარჩენად იგი, ჯერ ერთი, აღარ იყო თავისი ცოლის ქმარი, მეორეც, თავს ნებას არ აძლევდა ეეჭვიანა.

„არა, ახლა, როცა ელენი bas bleu (ლურჯ წინდად)[165] გადაიქცა, მან სამუდამოდ უარი თქვა წინანდელ გატაცებებზე, – ეუბნებოდა პიერი თავის თავს, – არ ყოფილა ჯერ მაგალითი, რომ bas bleu სიყვარულს გაეტაცებინოს“, – იმეორებდა იგი ამ საიდანდაც ამოკითხულ წესს და შექვევლია, სწამდა კიდევ იგი. მაგრამ უცნაური იყო, რომ ბორისის სასტუმრო ოთახში ყოფნა (ის კი თითქმის მუდამ იქ იყო) ფიზიკურად მოქმედებდა პიერზე: უბორკავდა მთელ სხეულს, სპობდა მისი მოძრაობის შეუცნობლობას და თავისუფლებას.

„საკვირველია ასეთი უცნაური ანტიპათია, – ფიქრობდა პიერი, – წინათ კი ძალიან მომწონდა იგი“.

საზოგადოების თვალში პიერი დიდი ბატონი იყო, ოდნავ ბრმა და სასაცილო ქმარი შესანიშნავი ცოლისა. ახირებული, მაგრამ ჭკვიანი მამაკაცი, საუცხოო და კეთილი ადამიანი, რომელიც არაფერს აკეთებდა, მაგრამ არც სხვებისთვის მოჰქონდა ვნება. იმავე დროს პიერის სულში მთელი იმ ხნის განმავლობაში შინაგანი განვითარების რთული და მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა, რამაც ბევრი რამ დაანახვა და დიდი სულიერი ეჭვებისა და სიხარულის წინაშე დააყენა იგი.

თავი მეათე

პიერი განაგრძობდა თავის დღიურს. აი, რას წერდა იგი ამ ხნის განმავლობაში:

„24 ნოემბერი.

ავდექი რვა საათზე, ერთხანს საღვთო წერილს ვკითხულობდი, მერე სამსახურში წავედი (პიერი თავისი კეთილისმყოფლის რჩევით სამსახურში შევიდა – ერთ-ერთ კომიტეტში), დავბრუნდი სადილისთვის, მარტოდმარტომ ვისადილე (ელენს მრავალი, ჩემთვის უსიამოვნო სტუმარი ჰყავდა), ვჭამე და დავლიე ზომიერად, ხოლო სადილს შემდეგ ძმათათვის პიესები გადავწერე. საღამოთი ელენთან ჩავედი, დამსწრეთ ვუამბე სასაცილო ისტორია ბ-ზე. და როცა ყველანი ხმამაღლა იცინოდნენ, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ ეს არ უნდა ჩამედინა.

ვწვები დასაძინებლად ბედნიერი და დამშვიდებული სულით. ღმერთო მაღალო, დამეხმარე, ვიარო შენს კვალზე: 1) დავძლიო მრისხანება – აუჩქარებლობით, სიდინჯით; 2) ავხორცობა – თავშეკავებით, თავარიდებით; 3) განვერიდო ამაოებას, მაგრამ ისე, რომ არ ჩამოვშორდე: ა) სამსახურის სახელმწიფოებრივ საქმეებს; ბ) ოჯახურ ზრუნვას; გ) მეგობრულ ურთიერთობას და დ) ეკონომიკურ საქმიანობას“.

„27 ნოემბერი.

გვიან ავდექი, გაღვიძების შემდეგ დიდხანს ვიწექი ლოგინში, სიზარმაცით შეპყრობილი. ღმერთო მაღალო, დამეხმარე და განმამტკიცე, რათა შევძლო ვიარო შენს კვალზე! წავიკითხე საღვთო წერილი, მაგრამ არა სათანადო გრძნობით. შემოიარა ძმა ურუსოვმა, ვისაუბრეთ ამა ქვეყნის ამაოებაზე. მიაშობო ხელმწიფის ახალ განზრახვებზე. მე უკვე შევუდექი განკითხვას, როცა გამახსენდა ჩემი წესები და ჩვენი კეთილისმყოფლის სიტყვები, რომ ჭემმარიტი მასონი გულმოდგინე მოქმედი უნდა იყოს სახელმწიფოში, როცა საჭიროა მისი მონაწილეობა, და დამშვიდებული მჭვრეტელი იმისა, რისთვისაც იგი არ არის მოწოდებული. ჩემი ენა მტერია ჩემი. მინახულეს ძმებმა გ-მ, ვ-მ და ო-მ. გვქონდა მოსამზადებელი საუბარი ახალი ძმის მისაღებად. ისინი რიტორის მოვალეობას მაკისრებენ. რიტორობისთვის თავს სუსტად და უღირსად ვგრძნობ. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ როგორ უნდა აიხსნას ტაძრის 7 სვეტი და საფეხური, 7 მეცნიერება, 7 სიქველე, 7 ბიწიერება, სულიწმიდის 7 საუფლო ძღვენი. ძმა ო. მეტად მჭევრმეტყველი იყო. საღამოს მოხდა ახალი ძმის მიღება. ხელახლა მოწყობილმა სადგომმა ძალიან შეუწყო ხელი სანახაობის სიდიადეს. მიღებულია ბორის დრუბეცკოი. მე წარვადგინე იგი, მევე ვიყავი რიტორად. უცნაური გრძნობა მაღელვებდა ბნელ ტაძარში მასთან ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში. აღმოვაჩინე ჩემში სიძულვილის გრძნობა მისდამი, რის დაძლევისაც ამაოდ ვცდილობ. ამიტომ გულით მსურს ავაშორო მას ბოროტება და დავაყენო ჭემმარიტი გზაზე, მაგრამ თავი ვერ დავაღწიე ცუდ აზრებს მასზე. ვფიქრობდი, რომ მის მიზანს ჩვენს ძმობაში შემოსვლის დროს შეადგენდა ის, რომ დაახლოებოდა ხალხს, მოეპოვებინა ჩვენს ლოჟაში მყოფთა წყალობა. გარდა იმისა, რომ მან რამდენჯერმე იკითხა, ხომ არ ირიცხებიან ჩვენს ლოჟაში N. და S. (რაზეც მე ვერ ვუპასუხე), ჩემი დაკვირვებით, მას არ ძალუძს პატივით მოეპყრას ჩვენს წმინდა ორდენს. იგი იმდენად გატაცებულია და კმაყოფილი გარეგანი ადამიანით, რომ ვერ ისურვებს სულიერ გაუმჯობესებას; გარდა ამისა, არავითარი სხვა საფუძველი არ მომეპოვებოდა იმისთვის, რომ ექვი შემეტანა მასში; მაგრამ მე იგი არაგულწრფელი მეჩვენებოდა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მასთან ერთად პირისპირ ვიდექი ბნელ ტაძარში, ისე ვგრძნობდი, თითქოს დამცინავად ილიმებოდა ჩემს სიტყვებზე, და მე მართლაც მიხდოდა გამეპო მისი ღია მკერდი დაშნით, რომელიც ამ მკერდზე მიბჯენილი მეჭირა. მე არ შემეძლო ვყოფილიყავი მჭევრმეტყველი და გულწრფელად მეცნობებინა ჩემი ექვები ძმებისა და დიდი ოსტატისთვის. ბუნების დიდო ხუროთმოძღვარო, დამეხმარე გამოვძებნო ჭემმარიტი გზა, რომელიც სიცრუის ლაბირინთიდან გამომიყვანს“.

ამის შემდეგ დღიურში გამოტოვებული იყო სამი ფურცელი და მერე ჩაწერილი იყო შემდეგი:

„მქონდა ჭკუის სასწავლებელი და ხანგრძლივი ლაპარაკი ძმა ვ-სთან. მან მირჩია მივნიდობოდი ძმა ა-ს. ბევრი რამ გავიგე მე უღირსმა. ადონაი არის ქვეყნიერების გამჩენის სახელი და ელოიმ ყველაფრის მმართველის სახელი. მესამე წარმოუთქმელი სახელია, რომელიც ნიშნავს ყოველივეს. ძმა ვ-სთან საუბრებმა განმამტკიცა, განმაახლა და კეთილ გზაზე დამაყენა. მასთან ყოფნის დროს არავითარი ექვი არ გებადება. ცხადი ხდება ჩემთვის ის განსხვავება, რომელიც არსებობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ღარიბ მოძღვრებასა და ჩვენს წმინდა, ყოვლისშემცველ მოძღვრებას შორის. ადამიანთა მეცნიერებანი ყველაფერს ანაწევრებენ, რათა გასაგები გახადონ, ყველაფერს კლავენ, რათა სახილველი გახადონ. ორდენის წმინდა მეცნიერებაში კი ყოველივე მთლიანია, ყოველივე შეიცნობა თავის ერთობლიობასა

და ცხოვრებაში. სამებას – საგნების სამ საწყისს – შეადგენენ გოგირდი, მერკური და მარილი. გოგირდი ზეთისა და ცეცხლის თვისებებისაა, მარილთან შეერთებული იგი თავისი ცეცხლოვანებით ალაგზნებს მასში სურვილს, რის მეოხებითაც იზიდავს მერკურს, ბოჭავს და იკავებს მას და მასთან ერთად აჩენს ცალკეულ სხეულს. მერკური არის თხევადი და მქროლადი სულიერი რაობა – ქრისტე, სულიწმიდა, იგი“.

„3 დეკემბერი.

გავიღვიძე გვიან. ვკითხულობდი საღვთო წერილს, მაგრამ ყოველგვარი გრძნობის გარეშე. მერე გავედი და დარბაზში დავდიოდი. მინდოდა ფიქრს მივცემოდი, მაგრამ, ნაცვლად ამისა, წარმომესახა ერთი შემთხვევა, ოთხი წლის წინათ მომხდარი. დუელის შემდეგ, ბატონი დოლოხოვი მოსკოვში შემხვდა და მითხრა, იმედი მაქვს, ახლა თქვენ სრულიად დამშვიდებული ბრძანდებით, თუმცა თქვენი მეუღლე აქ არ არისო. მე მაშინ პასუხი არ გავეცი. ახლა გამახსენდა ამ შეხვედრის ყოველი წვრილმანი და გულში ღვარძლიანი სიტყვებით მივმართე და გესლიანი პასუხი გავეცი. გამოვერკვიე და ამ აზრს თავი მივანებე მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემი თავი ძალზე გაგულისებულ დავინახე, მაგრამ საკმარისად მაინც ვერ მოვიხანაიე დანაშაული. შემდეგ მოვიდა ბორის დრუბეცკოი და მომიყვა სხვადასხვა ამბავს. მე კი თავიდანვე უკმაყოფილო ვიყავი მისი მოსვლით და რაღაც საწინააღმდეგო ვუთხარი. იგი შემესიტყვა. მე ავენთე და ბევრი რამ ვუთხარი უსიამოვნო და უხეშიც კი. დრუბეცკოი გაჩუმდა, და გონს რომ მოვედი, უკვე გვიან იყო. ღმერთო ჩემო, სულ ვერ ვახერხებ მასთან თავის დაჭერას. ამის მიზეზი ჩემი თავმოყვარეობაა. ჩემს თავს მე მასზე მაღლა ვაყენებ და ამიტომ ბევრად იმაზე უარესი ვხდები, რადგან იგი ღმობიერად ეპყრობა ჩემს უხეშობას, მე კი, პირიქით, ზიზღით ვარ გამსჭვალული მისდამი. ღმერთო ჩემო, შემადლებინე მასთან ყოფნის დროს უფრო მეტად დავინახო ჩემი სისამაგლე და მოვიქცე ისე, რომ ეს მისთვისაც სასარგებლო იყოს. სადილის შემდეგ დავიძინე. დამინებისას აშკარად მომესმა ხმა, რომელმაც მარცხენა ყურში ჩამჩურჩულა, – შენი დღეაო.

სიზმარში ვნახე, თითქოს სიბნელეში მივდივარ. უეცრად ძაღლები შემომერტყნენ, მაგრამ მაინც უშიშრად მივდივარ; უცბად ერთმა პატარა გოშიამ კბილები ჩამჭიდა მარცხენა ბარძაყში და აღარ მიშვებს. დავიხარე და ხელი დავტაცე. ის-ის იყო, ჩამოვიშორე იგი, რომ მეორე ძაღლმა დამიწყო ღრღნა, უფრო დიდმა. დავტაცე მასაც ხელი და ავწიე. და რაც უფრო მაღლა ვწევდი, მით უფრო დიდი და მძიმე ხდებოდა იგი. უეცრად მოვიდა ძმა ა, ხელი წამავლო და წამიყვანა; მიმიყვანა შენობასთან. იქ შესასვლელად ვიწრო ფიცარზე უნდა გაგვევლო. ფეხი შევდგი, მაგრამ ფიცარი გადაიხარა და გადავარდა; მე ლოხეს წავეტანე, რომელსაც ძლივს მივწვდი ხელებით. დიდი წვალეების შემდეგ გადავიარე ისე, რომ ცალ მხარეს ფეხები მეკიდა, ხოლო მეორე მხარეს – სხეული. მივიხედე და დავინახე, რომ ძმა ა ლოხეზე დგას და ხელით მიჩვენებს დიდ ხეივანსა და ბაღს. ბაღში დიდი და მშვენიერი შენობა დგას. გამომეღვიძა. ღმერთო, ბუნების დიდო ხუროთმოძღვარო! დამეხმარე ჩამოვიშორო ძაღლები – ვნებანი ჩემნი, მეტადრე უკანასკნელი მათგანი, რომელიც ყველა წინანდელი ვნების ძალთა შეერთებას წარმოადგენს, დამეხმარე შევიდე სათნოების იმ ტაძარში, რომლის ხილვის ღირსიც სიზმარში გავხდი“.

„7 დეკემბერი.

ვნახე სიზმარი: იოსიფ ალექსევიჩი ჩემს სახლში ზის; მე ძალზე გახარებული ვარ და მინდა გავუმასპინძლდე; განუწყვეტილვ ვლავებო, ვითომ, გარეშეებთან. უეცრად გამახსენდა, რომ არ შეიძლება იოსიფ ალექსევიჩის მოეწონოს ეს; მინდა მივიდე და მოვეხვიო, მაგრამ მივუახლოვდი თუ არა, დავინახე, რომ მისი სახე გარდაიქმნა, გაახალგაზრდავდა. ორდენის მოძღვრებიდან რაღაცას მეუბნება იგი ჩუმად, ისე ჩუმად, რომ ვერ გავიგონე. მერე თითქოს ყველანი გავედით ოთახიდან და აქ

რაღაც მოხდა უცნაური. არ ვიცი, ვისხედით თუ ვიწექით იატაკზე. იოსიფ ალექსევიჩი რაღაცას მეუბნებოდა. მე კი ვითომ მომესურვა მეჩვენებინა მისთვის ჩემი გრძნობიერება; ყური აღარ დავუგდე მის სიტყვებს, წარმოვისახე ჩემი შინაგანი მდგომარეობა და ის წყალობა, რომელიც მომივლინა უფალმა. თვალზე ცრემლი მომადგა და კმაყოფილი ვიყავი, რომ მან ეს შენიშნა. მაგრამ ნაწყენმა შემომხედა, ლაპარაკი შეწყვიტა და ფეხზე წამოვარდა. შევკრთი და ვკითხე, მე ხომ არ მეხებოდა-მეთქი ნათქვამი; პასუხი არ გამცა და მხოლოდ ალერსიანად გადმომხედა. შემდეგ უეცრად გავჩნდით ჩემს დასაძინებელ ოთახში, სადაც ორმაგი საწოლი დგას. იგი კიდევ უწამოა. მე თითქოს მინდოდა მივალერსებოდი და იქვე მივწოლილიყავი. მან მკითხა: „მითხარით მართალი, რა არის თქვენი მთავარი მიდრეკილება? იცით თუ არა? მე ვგონებ, უკვე უნდა იცოდეთ“. მე შემაცბუნა ამ კითხვამ. სიზარმაცე-მეთქი ჩემი მთავარი მიდრეკილება. მან უნდობლად გააქნია თავი. და მე, უფრო შეცბუნებულმა, მივუგე, რომ მე, თუმცა მისი რჩევით ვცხოვრობ ცოლთან, მაგრამ ვცხოვრობ არა როგორც ქმარი-მეთქი. არ უნდა მოაკლო ცოლს ალერსიო, მითხრა; თანაც გამაგებინა, რომ ეს იყო ჩემი მოვალეობა. მრცხვენია-მეთქი, მივუგე, და უეცრად ყველაფერი გაქრა. გამომელვინა და გონებაში ჩამრჩა საღვთო წერილის ტექსტი: ცხოვრება იგი იყო ნათელი კაცთა, და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.

სახე იოსიფ ალექსევიჩის ახალგაზრდული და ნათელი ჰქონდა. ამ დღეს ჩემი კეთილმყოფელისგან წერილი მივიღე, სადაც მწერს ცოლქმრულ მოვალეობაზე“.

„9 დეკემბერი.

ვნახე სიზმარი, რომლისგანაც გულის კანკალით გამომელვინა. ვნახე, ვითომ მოსკოვში ვარ, ჩემს სახლში, დიდ სადივანოში. სასტუმრო ოთახიდან იოსიფ ალექსევიჩი გამოდის. თითქოს მაშინვე მივხვდი, რომ მან უკვე განიცადა განახლების პროცესი. გავემურე მისაგებებლად. უუკოცნი სახეს, ხელებს, ის კი მეუბნება: „შენიშნე თუ არა, რომ სხვა სახე მაქვს?“ შევხედე, თან კვლავ გულში ჩაკრული მიჭირავს. ვხედავ, სახე გაახალგაზრდავებია, მაგრამ თავზე თმა აღარა აქვს, სახის ნაკვთებიც მთლად გამოსცვლია. ვეუბნები: „გიცნობდით, შემთხვევითაც რომ შეგხვედროდით“. გულში კი ვფიქრობ: „მართალი ვთქვი თუ არა?“ და უეცრად ვხედავ, რომ იგი მკვდარივით წევს, გაშეშებული. შემდეგ ნელ-ნელა გონს მოვიდა და ჩემთან ერთად დიდ კაბინეტში შემოვიდა; ხელში ალექსანდრიის ქაღალდის ფურცლებზე დაწერილი დიდი წიგნი ეჭირა და თითქოს ვეუბნებოდა, ეს მე დავწერე-მეთქი. მან თავის დახრით მიპასუხა. წიგნი გადავშალე; ყველა გვერდზე საუცხოო სურათებია. თითქოს ვიცი კიდევ, რომ ეს სურათები წარმოადგენენ სულის სატრფიალო ამბებს, რომლებიც მას თავის სატრფოსთან შეემთხვა. წიგნის ფურცლებზე ვითომ ვხედავ ქალწულის მშვენიერ გამოსახულებას, რომელიც გამჭვირვალე სამოსით და გამჭვირვალე სხეულით ღრუბლებისკენ მიფრინავს. ვითომ ვიცი, რომ ეს ქალწული წარმოადგენს „ქებათა ქების“ ასახვას და სხვა არაფერს. შევცქეროდი ამ ნახატებს და ვგრძნობდი, რომ ცუდად ვიქცეოდი, მაგრამ არ შემეძლო მოვშორებოდი. უფალო, დამეხმარე! ღმერთო მაღალო, თუ შენ მიერ ჩემი ეს მიტოვება შენი მოქმედების შედეგია, დაე, იყოს ნება შენი; მაგრამ, უკეთუ მე თავად მივაყენე ჩემს თავს ეგე, მაშინ მასწავლე, რა უნდა ვქნა. დავილუპები ჩემი გარყვნილებისგან, თუ შენ სრულიად მიმატოვებ“.

თავი მეთერთმეტე

როსტოვების მძიმე ფინანსური მდგომარეობა არ გამოსწორებულა იმ ორი წელიწადის განმავლობაში, რაც მათ სოფელში დაჰყვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაი როსტოვი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: განაგრძობდა უჩინარ სამსახურს მიყრუებულ პოლკში და შედარებით ნაკლებ ფულს ხარჯავდა, ცხოვრება ოტრანდოეში ისე მიედინებოდა, მეტადრე მიტინკას ისე მიჰყავდა საქმეები, რომ ვალები ყოველწლიურად და შეუჩერებლად იზრდებოდა. ერთადერთი ხსნა ამ გაჭირვებიდან, რომელიც მოხუც გრაფს წარმოედგინა, იყო სამსახური, და იგი ჩავიდა კიდევ პეტერბურგში ადგილის საძებნელად და, როგორც თვითონ ამბობდა, იმისთვისაც, რომ უკანასკნელად გაერთო გოგონები.

არ გასულა დიდი ხანი როსტოვების პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ, რომ ბერგმა წინადადებით მიმართა ვერას, – ცოლად გაჰყოლოდა. მისი წინადადება მიიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში როსტოვები უმაღლეს საზოგადოებას მიეკუთვნებოდნენ, თუმცა თვითონაც არ იცოდნენ და არც ფიქრობდნენ, რომელ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ ისინი, პეტერბურგში მათი მდგომარეობა არეული და გაურკვეველი იყო. პეტერბურგში როსტოვები პროვინციელები იყვნენ და სწორედ ისინი, ვისაც როსტოვები მოსკოვში კვებავდნენ და არც კი კითხულობდნენ, რომელ საზოგადოებას ეკუთვნიან ისინი, ახლა ზევიდან დაჰყურებდნენ მათ და უკადრისობდნენ მათთან ურთიერთობას.

პეტერბურგში როსტოვები ისეთსავე სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ, როგორსაც მოსკოვში, და მათ ვახშმებზე თავს იყრიდა სხვადასხვა ხალხი: მეზობლები ოტრანდოედან, ხელმოკლე მოხუცი მემამულეები ქალიშვილებითურთ და ფრეილინა პერონსკაია, პიერ ბეზუხოვი და პეტერბურგში სამსახურში მყოფი სამაზრო ფოსტმაისტერის შვილი. მამაკაცებიდან როსტოვების ოჯახს პეტერბურგში ძალიან მალე დაუახლოვდნენ ბორისი, პიერი, რომელიც მოხუცმა გრაფმა ქუჩაში შეხვედრისას ძალით შეათრია სახლში, და ბერგი, რომელიც მთელ დღეებს როსტოვებთან ატარებდა და რომელიც უფროს ქალიშვილს ვერას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა, ისეთი ყურადღებით, როგორც შეიძლება გამოიჩინოს მხოლოდ სასიძოდ განწყობილმა ახალგაზრდა კაცმა.

ტყუილად როდი უჩვენებდა ბერგი ყველას აუსტერლიცის ბრძოლაში დაჭრილ თავის მარჯვენა ხელს, ხოლო მარცხენას არ აშორებდა დაშნას, რომელიც ყოვლად უსარგებლოდ ეკიდა წელზე. ის ისეთი დაჟინებით და ისეთი მონდომებით უამბობდა ყველას ამ მოვლენის შესახებ, რომ ყველამ დაიჯერა მისი საქციელის მიზანშეწონილება და ღირსება, და ბერგმა აუსტერლიცისთვის ორი ჯილდო მიიღო.

ფინეთის ომშიც მოახერხა თავის გამოჩენა ბერგმა. მან ხელი დასტაცა ყუმბარის ნატებს, რომლითაც მოკლეს ადიუტანტი მთავარსარდლის გვერდით და გაუწოდა იგი უფროსს. ისევე, როგორც აუსტერლიცის შემდეგ, იგი დიდხანს და დაჟინებით უამბობდა ყველას ამის შესახებ, და ყველამ ირწმუნა, თითქოს საჭირო ყოფილიყოს იმის გაკეთება, რაც ბერგმა გააკეთა; ფინეთის ომისთვის ბერგმა ორი ჯილდო მიიღო. 1809 წელს იგი, ორდენებით დამშვენებული, გვერდის კაპიტანი იყო და პეტერბურგში განსაკუთრებულად ხელსაყრელი ადგილები ეჭირა.

თუმცა ზოგიერთი თავისუფალი მოაზროვნე ღიმილით ისმენდა, როცა ბერგის ღირსებაზე უამბობდნენ, მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა იმის უარყოფა, რომ ბერგი ბეჯითი და მამაცი ოფიცერი იყო, უფროსები კარგი თვალთ უყურებდნენ მას, იგი ზნეობრივი ახალგაზრდა კაცი იყო, რომელსაც წინ ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა გადამლილი და მტკიცე მდგომარეობაც საზოგადოებაში.

ოთხი წლის წინათ ბერგი მოსკოვის თეატრის პარტერში შეხვდა გერმანელ ამხანაგს. მან ვერაზე მიუთითა და გერმანულად უთხრა: Das soll mein Weib werden (აი, ის ჩემი ცოლი იქნება). იმ წუთიდან გადაწყვიტა ცოლად შეერთო იგი. ახლა პეტერბურგში, აწონ-დაწონა თავისი და როსტოვების მდგომარეობა და გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, და მიმართა კიდევ წინადადებით.

ბერგის წინადადება როსტოვებმა პირველ ხანებში არცთუ იმდენად საამურად მიიჩნიეს. პირველად უცნაურად ეჩვენათ, რომ უბირი ლიფლიანდიელი აზნაურის შვილმა წინადადება მისცა გრაფ როსტოვის ასულს. მაგრამ ბერგის ხასიათის მთავარ თვისებას შეადგენდა ისეთი გულუბრყვილო და გულკეთილი ეგოიზმი, რომ როსტოვებმა უნებურად გაიფიქრეს, რაკი თვითონ ბერგი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ეს საქმე კარგია, მაშასადამე, იგი მართლაც ძალიან კარგი უნდა იყოსო. თანაც, როსტოვებს საქმეები ძალზე აწეწილ-დაწეწილი ჰქონდათ, რაც შეუძლებელი იყო ბერგს არ სცოდნოდა; მთავარი კი ის იყო, რომ ვერას უკვე ოცდაოთხი წელი შეუსრულდა, ის ყველა წვეულებაზე დადიოდა და თუმცა ნამდვილად ლამაზი და გონიერი იყო, დღემდე არავის მისთვის წინადადებით არ მიუმართავს. ბერგს თანხმობა გამოეცხადა.

– უნდა მოგახსენოთ, – ეუბნებოდა ბერგი თავის ამხანაგს, რომელსაც მეგობარს უწოდებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ადამიანს მეგობარი ჰყავს, – უნდა მოგახსენოთ, რომ მე ყველაფერი ეს მოვისაზრე და არც შევირთავდი ცოლს, რომ ყოველივე არ ამეწონ-დამეწონა და ეს რითიმე უხერხული ყოფილიყო. ახლა კი პირიქით, ჩემი მამა და დედა უზრუნველყოფილნი არიან: მე მათ იჯარა მოვუწყვე ოსტების მხარეში. ამიერიდან მე პეტერბურგში ცხოვრება შემიძლია ჩემი ჯამაგირით, მისი (ქალის) ქონებით და იმით, რომ წესიერების მოყვარული კაცი ვარ. დიახ, კარგად შეიძლება იცხოვრო. მე ფულისთვის არ ვირთავ ცოლს, ასეთი რამ კეთილშობილ საქმედ არ მიმაჩნია, მაგრამ ცოლს ხომ უნდა ჰქონდეს თავისი, ქმარს კიდევ – თავისი. მე მაქვს სამსახური, მას – ნათესავ-ნაცნობობა და მცირე ქონება. ჩვენს დროში ესეც რამეს ნიშნავს, ხომ ასეა? მთავარი კი ის არის, რომ იგი ლამაზი, პატივსაცემი ქალიშვილია და ვუყვარვარ...

ბერგი წამოწითლდა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

– მეც მიყვარს იგი, იმიტომ, რომ ძალიან კარგი ხასიათი აქვს, დამჯდარი. მეორე მისი და – ერთ ოჯახს ეკუთვნიან, მაგრამ სულ სხვაა, ხასიათიც უსიამოვნო აქვს, ჭკუაც სხვანაირი, როგორ აგიხსნათ... საამო არაფერია... ჩემი საცოლე კი... აი, მოხვალთ ხოლმე ჩვენთან, – განაგრძო ბერგმა, უნდოდა ეთქვა სადილადო, მაგრამ გადაიფიქრა და თქვა, ჩაის დასალევადო, თან პირიდან თამბაქოს კვამლის პატარა რგოლი გამოუშვა, რომელიც სავსებით გამოხატავდა მის ოცნებას ბედნიერებაზე.

გაოცების პირველი გრძნობის შემდეგ, რაც ბერგის წინადადებით იყო გამოწვეული, ოჯახში დამყარდა ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი სადღესასწაულო განწყობილება და სიხარული, მაგრამ სიხარული არ იყო გულწრფელი, იგი გარეგნული იყო. მშობლების გრძნობებში ამ შეუღლების გამო შეამჩნევდით შემფოთებასა და დარცხვენას. თითქოს რცხვენოდათ, რომ ვერა ნაკლებად უყვარდათ და ახლა ხალისით იშორებენ თავიდან. ყველაზე დარცხვენილი მოხუცი გრაფი იყო. იგი, ალბათ, ვერ დაასახელებდა ამ დარცხვენის მიზეზს. მიზეზი კი მისი ფულადი გაჭირვება იყო. მან სრულებით არ იცოდა, რა გააჩნდა, რამდენი ვალი ჰქონდა და რის მიცემას მოახერხებდა ვერასთვის მზითევში. როცა ქალიშვილები შეეძინა, ყოველ მათგანს მზითვად სამას-სამასი სული გლეხი დაუნიშნა. მაგრამ ერთ-ერთი ამ სოფელთაგანი უკვე გაიყიდა. ხოლო მეორე დაგირავებული იყო და ფულის შეტანის ვადა იმდენად გადაცილებული, რომ უნდა გაყიდულიყო, ამიტომ მამულის მიცემა მზითევში შეუძლებელი გახდა. არც ფული გააჩნდა.

ბერგი უკვე თვეზე მეტი იყო სასიძოდ ითვლებოდა და ქორწინებამდე ერთი კვირაღა რჩებოდა, გრაფს კი ჯერ მზითვის საკითხი არ გადაეწყვიტა და არც ცოლს მოლაპარაკებოდა ამის გამო. გრაფს ვერასთვის ხან რიაზანის მამულის გამოყოფა უნდოდა, ხან ტყის გაყიდვა, ხან თამასუქით სესხის აღება. რამდენიმე დღით ადრე ჯვრისწერამდე ბერგი დილაადრიან შევიდა გრაფის კაბინეტში და მომავალ სიმამრს საამური ღიმილით და მოწიწებით სთხოვა, უცნობებინა მისთვის, რას მისცემდა ვერას. ასეთ

მომართვას გრაფი დიდი ხანია მოელოდა და ახლა ისე შემფოთდა, რომ მოუფიქრებლად თქვა ის, რაც პირველად მოადგა ენაზე.

– მიხარია, რომ ზრუნავ, დიახ, მიხარია! კმაყოფილი დარჩები...

და მან ხელი წაუთათუნა მხარზე და ლაპარაკის შესაწყვეტად ფეხზე წამოდგა. მაგრამ ბერგმა საამო ღიმილით განუმარტა, რომ თუ მას დანამდვილებით არ ეცოდინება, რა მიეცემა ვერას და თუ იგი წინდაწინ არ მიიღებს იმის ნაწილს, რაც მის საცოლეს დაენიშნება, იძულებული გახდება, უარი თქვას შეუღლებაზე.

– იმიტომ, გრაფ, რომ თვითონ განსაჯეთ, უსინდისობა იქნება, ჩემი მხრივ, რომ ცოლი შევირთე ახლა, როცა არ გამაჩნია განსაზღვრული სახსრები ოჯახის მოსაწყობად...

ლაპარაკი დასრულდა იმით, რომ გრაფმა გულკეთილობის გამოსაჩენად და ახალი თხოვნის თავიდან ასაცილებლად, უთხრა, ოთხმოცი ათასი რუბლის თამასუქს მოგცემო. ბერგმა მშვიდად გაიცინა, მხარზე აკოცა გრაფს, დიდი მადლობა გადაუხადა და მიუგო, რომ, სამწუხაროდ, ახალ ცხოვრებას ვერ მოვაწყობ, თუ ნაღდად ოცდაათი ათას რუბლს არ მივიღებო.

– თუნდაც ოცი ათასი მაინც, გრაფ, – დაუმატა მან, – მაშინ თამასუქით მხოლოდ სამოცი ათასი დარჩება.

– დიახ, დიახ, კეთილი, – სწრაფად მიუგო გრაფმა, – მხოლოდ ბოდიშს ვიხდი, ჩემო კარგო, ოცი ათასს ახლა მოგცემ, თამასუქს კი მაინც ოთხმოცი ათასზე დაგიწერ. ასე იყოს. აბა, მაკოცე.

თავი მეთორმეტე

ნატაშა თექვსმეტი წლისა იყო, როცა 1809 წელი დადგა, სწორედ ის წელიწადი, რომლის მოახლოებასაც იგი ბორისთან ერთად თითებზე ითვლიდა ოთხი წლის წინათ, როცა ბორის დრუბეცკოის აკოცა. მას შემდეგ ნატაშას არც ერთხელ არ უნახავს ბორისი. როცა სონიასთან და დედასთან ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე ბორისზე, ნატაშა სრულიად თავისუფლად ამბობდა, როგორც გადაწყვეტილ საქმეზე, რომ არ ღირს ლაპარაკი იმაზე, რაც წარსულში მოხდა, რომ ყველაფერი ის ბავშვობა იყო და იგი დიდი ხანია დავიწყებულიაო. მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ტანჯავდა ერთი რამ: ხუმრობას წარმოადგენდა თუ სერიოზულ დაპირებას ბორისის მიერ ნაკისრი ვალდებულება?

იმ დროიდან, რაც ბორისი 1805 წელს მოსკოვიდან არმიაში წავიდა, მას როსტოვები აღარ უნახავს. რამდენჯემე იყო მოსკოვში, ოტრადნოეს მახლობლადაც გაიარა, მაგრამ როსტოვებს არც ერთხელ არ სწევია.

ნატაშას ზოგჯერ თავში გაუელვებდა ხოლმე, რომ ბორისს სწორედ მისი ნახვა არ უნდოდა, და ამ მოსაზრებას ადასტურებდა ის მწუხარე ტონი, რომელიც მოისმოდა უფროსების ლაპარაკში ბორისზე.

– ახლანდელ დროში ძველი მეგობრები აღარ ახსოვთ, – ამბობდა გრაფინია ბორისის გახსენებაზე.

ანა მიხაილოვნასაც, რომელიც ბოლო დროს იშვიათად ესტუმრებოდა ხოლმე როსტოვებს, როგორღაც განსაკუთრებული ღირსებით ეჭირა თავი და ყოველთვის აღფრთოვანებითა და კმაყოფილებით ლაპარაკობდა თავისი შვილის ღირსებებსა და იმ ბრწყინვალე კარიერაზე, რომელიც მის წინაშე იყო გადაშლილი.

როდესაც როსტოვები პეტერბურგს ჩავიდნენ, ბორისი სადარბაზოდ ეწვია მათ. არცთუ მშვიდად მიდიოდა ბორისი როსტოვებთან. ნატაშას გახსენება ბორისის ყველაზე პოეტურ მოგონებას წარმოადგენდა, მაგრამ იმავე დროს ის მიდიოდა მტკიცე გადაწყვეტილებით, აშკარად ეგრძნობინებინა

მისთვისაც და მისი მშობლებისთვისაც, რომ ბავშვობის დროს მათი დამოკიდებულება არ შეიძლებოდა სავალდებულო ყოფილიყო არც ნატაშასთვის და არც მისთვის. მას გრაფ ბეზუხოვის მეუღლესთან ინტიმური დამოკიდებულების გამო ბრწყინვალე მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული საზოგადოებაში. ასეთივე ბრწყინვალე მდგომარეობას მიაღწია მან სამსახურში იმ წარჩინებული პირის მფარველობის მეოხებით, რომლის ნდობითაც იგი სავსებით იყო აღჭურვილი; იმავე დროს ბორისს გადაწყვეტილი ჰქონდა, შეერთო ყველაზე მდიდარი საცოლე პეტერბურგში. ეს კი სულ ადვილად შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

როცა ბორისი სასტუმრო ოთახში შევიდა, ნატაშა თავის ოთახში იყო. გაიგო თუ არა სტუმრის მისვლა, ნატაშა წამოწითლებული და ალერსიანი ღიმილით შევარდა სასტუმრო ოთახში.

ბორისს ახსოვდა ის ნატაშა, რომელსაც ოთხი წლის წინათ იცნობდა: მოკლეკაბიანი და კულულებქვეშიდან გამომზირალი შავი და ბრწყინვალეთვალებიანი ნატაშა, რომელიც თავისი თავშეუკავებელი, ბავშვური სიცილით მთელ სახლს აყრუებდა; ამიტომ, როცა ოთახში სულ სხვა ნატაშა შევიდა, ბორისი შეკრთა და მისმა სახემ აღფრთოვანებული გაოცება გამოხატა. სახის ამ გამომეტყველებამ გაახარა ნატაშა.

– ჰა, იცანი შენი პატარა ცელქი მეგობარი? – ჰკითხა გრაფინიამ ბორისს.

ბორისმა ხელზე აკოცა ნატაშას და თქვა, გაოცებული ვარ მომხდარი ცვლილებითო.

– როგორ გალამაზებულხართ!

„ოღონდაც!“ – მიუგეს ნატაშას მოღიმარმა თვალებმა.

– მამა? როგორ გგონიათ, მოხუცდა? – ჰკითხა მან.

ნატაშა ჩამოჯდა და ბორისისა და გრაფინიას ლაპარაკში ჩაურევლად, ჩუმად, გულდასმით დაუწყო თვალთვლება თავისი ბავშვობის დროინდელ საქმროს.

ბორისი გრძნობდა ამ დაჟინებულ, ალერსიან მზერას და დროდადრო თვითონაც შეავლებდა ხოლმე თვალს.

ბორისის მუნდირი, დეზები, ჰალსტუხი, დავარცხნილი თმა – ყველაფერი ეს უკანასკნელ მოდას შეეფერებოდა და comme il faut (სავსებით წესრიგში) იყო. ნატაშამ ერთბაშად შენიშნა ეს. ბორისი გრაფინიას გვერდით იჯდა სავარძელში, ოდნავ მხარმოქცეული და მარჯვენა ხელით მარცხენა ხელზე წამოცმულ ქათქათა ხელთათმანს ისწორებდა; ტუჩების განსაკუთრებული, ნატიფი მოძრაობით ლაპარაკობდა პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოების გართობაზე; ოდნავ დაცინვით იგონებდა მოსკოვის წინანდელ დროს და მოსკოველ ნაცნობებს. არა უცაბედად, როგორც ნატაშას მოეჩვენა, გაიხსენა მან უმაღლესი არისტოკრატია, ელჩის მიერ გამართული ბალი, რომელსაც ისიც დაესწრო და წვეულებები ##-თან და SS-თან.

ნატაშა მთელი ამ ლაპარაკის დროს ჩუმად იჯდა და წარბებქვეშიდან შეჰყურებდა ბორისს. ეს დაჟინებული ცქერა უფრო და უფრო აწუხებდა და აშფოთებდა ბორისს. უფრო ხშირად იბრუნებდა პირს ნატაშასკენ და მალიმალ წყვეტდა ლაპარაკს. იჯდა სულ ათ წუთს, მერე გამოემშვიდობა მასპინძლებს. იგივე ცნობისმოყვარე თვალები შეჰყურებდნენ გამომწვევად და ოდნავ დამცინავად.

ამ პირველი დარბაზობის შემდეგ ბორისი იძულებული იყო გამოსტყდომოდა თავს, რომ ნატაშა ისევე მიმზიდველი იყო მისთვის, როგორც წინათ, მაგრამ არ უნდა გამიტაცოს ამ გრძნობამ, რადგან ცოლად შერთვა თითქმის უმზითვო ქალიშვილისა ნიშნავს კარიერის დაღუპვას, ხოლო შეუღლების გარეშე ძველი ურთიერთობის განახლება არ იქნება კეთილშობილური საქციელი. ბორისმა გულში

გადაწყვიტა, მორიდებოდა ნატაშასთან შეხვედრას. მაგრამ, ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ეწვია როსტოვებს, მერე უფრო და უფრო მოუხშირა სიარულს. ასე რომ, მთელ დღეებს მათთან ატარებდა. ბორისს საჭიროდ მიაჩნდა მოლაპარაკებოდა ნატაშას, აეხსნა მისთვის, რომ წარსული დავიწყებას უნდა მიეცეს, რომ, მიუხედავად ყოველივესი... ნატაშა ვერ გახდება მისი ცოლი, რომ მას, ბორისს, არ გააჩნია ქონება და არასოდეს ნატაშას მას არ მიათხოვებენ. მაგრამ ბორისი როგორღაც ვერ ახერხებდა მოლაპარაკებას, თანაც უხერხულად მიაჩნდა ასეთი განმარტება. რაც ხანი გადიოდა, იგი უფრო და უფრო იბნეოდა. დედასა და სონიას აზრით, ნატაშას თითქოს ძველებურად უყვარდა ბორისი. იგი უმღეროდა ბორისს საყვარელ ჰანგებს, უჩვენებდა თავის ალბომს, აიძულებდა ჩაეწერა მასში რამე, ნებას არ აძლევდა გაეხსენებინა წარსული, აგრძნობინებდა, თუ რამდენად წარმტაცი იყო აწმყო. და ყოველდღე ბორისი ბურუსში გახვეული მიდიოდა და ვერ ახერხებდა ეთქვა ის, რისი თქმაც განზრახული ჰქონდა. ვეღარ გაერკვია, რას აკეთებდა, რისთვის მიდიოდა და რით დასრულდებოდა ყოველივე ეს.

ბორისი ელენთან აღარ დაიარებოდა და, თუმცა ყოველდღე საყვედურის ბარათები მოსდიოდა, მთელ დღეებს მაინც როსტოვებთან ატარებდა.

თავი მეცამეტე

ერთხელ საღამოთი, როდესაც გრაფის მოხუცი მეუღლე, ღამის თავსაბურავსა და კოფთაში გამოწყობილი, პატარა ხალიჩაზე მუხლმოდრეკილი საღამოს ლოცვას კითხულობდა და თავს იატაკამდე ხრიდა, მისი ოთახის კარმა გაიჭრიალა და შიშველ ფეხებზე ფოსტლებწამოცმულმა, დედასავით კოფთიანმა და დასაწოლად თმაგამზადებულმა ნატაშამ შეირბინა. გრაფის მოხუც მეუღლეს ხელოვნური კულულები მოედრო და ყალამქრის[166] თეთრი თავსაბურავის ქვემოდან საცოდავად შერჩენილი ბუნებრივი თმა მოუჩანდა. მოხუცმა კარისკენ მიიხედა და წარბები შეიჭმუნა. იგი უკანასკნელ ლოცვას ამთავრებდა: „ნუთუ სარეცელი ესე კუბოდ გადამექცევა?“ ლოცვის ხალისი დაეკარგა. როდესაც წამოწითლებულმა, მხიარულმა ნატაშამ დაინახა, რომ დედა ლოცულობდა, უცბად შეჩერდა, ჩაცუცქდა და უნებურად ენა გამოუყო თავის თავს. როცა შენიშნა, რომ დედა ლოცვას განაგრძობდა, ფეხის წვერებზე მიირბინა საწოლთან, ცალი ფეხის მეორეზე მოცაცუნებით სწრაფად გაიხადა ფოსტლები და ჩახტა იმ სარეცელში, რომლის გამოც გრაფინია შიშობდა, კუბოდ არ მექცესო. ეს სარეცელი მაღალი იყო, ბუმბულისლეიბიანი, ხუთი ერთმანეთზე მომცრო ბალიშით. ნატაშა საწოლში ჩახტა და ბუმბულის ღრმა ლეიბში ჩაეფლო, მერე კედლისკენ გადაბრუნდა და საბანქვემ ცელქობა დაიწყო. ხან მუხლის თავებს ნიკაპთან მიიტანდა, ხან ფეხებს იქნევდა, ხან საბანს გადაიხურავდა თავზე, ხან გადაიხდიდა და დედას გადახედავდა, თანაც ოდნავ გასაგონად ხითხითებდა.

გრაფინიამ ლოცვა დაასრულა და მკაცრი სახით საწოლთან მივიდა, მაგრამ დაინახა, რომ ნატაშას სახეზე საბანი წაეფარებინა და გაიღიმა თავისი გულკეთილი ღიმილით.

– აბა, აბა, რა ამბავი გაქვს! – უთხრა დედამ.

– დედა, შეიძლება მოგელაპარაკო? – შეეკითხა ნატაშა, – გულში ჩაგეკვრები ერთხელ კიდეც და კმარა, – და ნატაშამ ხელები მოხვია დედას კისერზე და ნიკაპქვემ აკოცა.

დედასთან მოპყრობაში ნატაშა გარეგან უხეშობას იჩენდა, მაგრამ იმდენად გულისხმიერი და მოხერხებული იყო, რომ რაც უნდა მაგრად მოეხვია ხელები, დედას არც რამეს ატკენდა, არც უსიამოვნებასა და უხერხულობას მიაყენებდა.

– ჰა, დღეს რაღა საქმე გაქვს? – ჰკითხა დედამ, ბალიშებზე თავი გაისწორა და დაუცადა ნატაშას, სანამ იგი ერთი-ორჯერ გადატრიალდებოდა დედის გვერდით, მიუწვებოდა ერთ საბანქვეშ, ხელებს ზევით ამოიღებდა და სერიოზულ გამომეტყველებას მიიღებდა.

ნატაშას ეს სტუმრობა ღამღამობით, გრაფის კლუბიდან დაბრუნებამდე, დედა-შვილის ერთ-ერთ საამო გასართობს წარმოადგენდა.

– ჰო, რა საქმე გაქვს? მე კი უნდა გითხრა...

ნატაშამ პირზე ხელი დააფარა დედას.

– ვიცი, ბორისზე, – თქვა მან სერიოზულად, – სწორედ მაგისტრის მოვედი. ნურაფერს ნუ მეტყვი, ვიცი უკვე. მაგრამ, არა, თქვით, თქვით, – და ხელი მოაშორა, – მითხარით, ხომ საყვარელი ადამიანია?

– ნატაშა, შენ ახლა თექვსმეტი წლისა ხარ, შენს ასაკში მე გათხოვილი ვიყავი. ამბობ, ბორისი საყვარელი ადამიანიაო. ძალიან საყვარელი ადამიანია და მე შვილივით მიყვარს იგი, მაგრამ რა გწადია?.. რას ფიქრობ? სულ თავბრუ დაახვიე, ვხედავ კარგად...

და დედამ ქალიშვილს შეხედა. ნატაშა იწვა და გაშტერებით და უძრავად შეჰყურებდა საწოლის კუთხეში ამოჭრილი წითელი ხის ერთ-ერთ სფინქსს. ასე რომ, გრაფინია მისი სახის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავდა. ამ სახის სერიოზულმა და ღრმად დაფიქრებულმა გამომეტყველებამ გააოცა გრაფინია.

ნატაშა ყურს უგდებდა და ფიქრობდა.

– მერე რა? – იკითხა მან.

– შენ ბორისს გონება დაუბნე. რატომ? რა გინდა მისგან? ხომ იცი, რომ ვერ მისთხოვდები?

– რატომ? – ჰკითხა ნატაშამ. იგი ისევ ისე უძრავად იწვა.

– იმიტომ, რომ ის ახალგაზრდაა, იმიტომ, რომ ღარიბია, იმიტომ, რომ ნათესავია... იმიტომ, რომ თვით შენ არ გიყვარს იგი.

– მერე, საიდან იცით ეგ?

– ვიცი. ჰოდა, არ ვარგა ყოველივე ეგ, ჩემო კარგო.

– თუკი მინდა?.. – თქვა ნატაშამ.

– სისულელეს ნუ ამბობ, – მიუგო დედამ.

– თუკი მინდა მე?..

– ნატაშა, მე სერიოზულად...

ნატაშამ სიტყვა აღარ დაამთავრებინა, დედის დიდი ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა ჯერ ზემოდან, მერე ქვემოდან, შემდეგ ისევ გადააბრუნა ხელი და შეუდგა ჯერ სახსრების თავების, შემდეგ ჩაღრმავებული ადგილების კოცნას, თან ჩურჩულით ამბობდა: „იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი“.

– რატომ გაჩუმდით, დედა, მითხარით, რისი თქმაც გინდოდათ, მითხარით! – მიმართა ნატაშამ და თან თვალი შეავლო დედას, რომელიც ნაზად შეჰყურებდა ქალიშვილს და ამ ჭვრეტაში თითქოს დაივიწყა ყველაფერი, რისი თქმაც უნდოდა.

– დიახ, არ ვარგა, ჩემო კარგო, ასე რომ იქცევი. ბევრი ვერ გაიგებს თქვენს ბავშვურ ურთიერთობას. მისმა ასე დაახლოებამ შენთან შეიძლება საქმე გაგიფუჭოს იმ სხვა ახალგაზრდების თვალში, რომელნიც ჩვენთან დაიარებიან. ხოლო მთავარი ის არის, რომ ტყუილად აწვალე მას. მან იქნებ გამონახოს შესაფერისი საცოლე, მდიდარი საცოლე, ახლა კი გონებას კარგავს.

– გონებას კარგავს? – გაიმეორა ნატაშამ.

– აი, ჩემს თავზე გეტყვი. მე ერთი კუზენი მყავდა...

– ვიცი, კირილ მატვეიჩი, ის ხომ ბებერია?

– ყოველთვის ბებერი როდი იყო... მაგრამ იცი რა, ნატაშა, მე თვითონ მოველაპარაკე ბორიას. საჭირო არ არის, ასე ხშირად დაიარებოდეს ჩვენთან...

– რატომ არ არის საჭირო, თუკი სურვილი აქვს?

– იმიტომ, რომ ვიცი, არაფერი გამოვა აქედან.

– საიდან იცით? არა, დედა, არაფერი უთხრათ. რა სისულელეა! – წამოიძახა ნატაშამ ისეთი ადამიანის კილოთი, რომელსაც საკუთრების წართმევას უპირებენ, – კეთილი, არ მივთხოვდები, დაე, იაროს ისე, თუკი მას სიამოვნებს და მეც კარგად ვგრძნობ თავს, – ნატაშამ ღიმილით შეხედა დედას, – არ მივთხოვდები, იაროს ისე, – გაიმეორა მან.

– როგორ, ჩემო მეგობარო?

– როგორ და ისე. ძალიან საჭიროა, თუ არ მივთხოვდები! დაე, იაროს ისე...

– ისე, ისე! – გაიმეორა გრაფინიამ და გაიცინა კეთილი, მოულოდნელი, ბებრული სიცილით.

– კმარა, გეყოფათ სიცილი! – წამოიძახა ნატაშამ, – მთელი საწოლი ზანზარებს; საოცრად მგავხართ მე, ჩემსავით ხარხარებთ... მოიცა... – და დედის ორივე ხელი ტუჩებთან მიიტანა, აკოცა ნეკის ძვალზე – ივნისზე და განაგრძო მეორე ხელზე ივლისის, აგვისტოს კოცნა, – დედა, მითხარით, ძალიან შეყვარებულია ბორისი? როგორ ფიქრობთ? თქვენც ასე უყვარდით? ხომ საყვარელი კაცია, ძალიან საყვარელი? მხოლოდ ჩემს გემოვნებას არ უდგება სავსებით – ვიწროა როგორღაც, აი, სასადილოს საათივით... თქვენ ვერ გაიგებთ... ვიწრო, როგორ არ გესმით, ნაცრისფერი, ღია...

– რატომ სტყუი! – უთხრა დედამ.

ნატაშამ განაგრძო:

– ნუთუ არ გესმით? ნიკოლინკა გაიგებდა... ბეზუხოვი – აი, ის ლურჯია, მუქი ლურჯი წითელი ელფერით, თანაც ოთხკუთხოვანი...

– შენ მას ეკვლეუცები, – ღიმილით უთხრა დედამ.

– არა, ის ფრანკმასონია, გავიგე. საუცხოო ადამიანია, მუქი ლურჯია, მოწითალო, ელფერით... აბა, როგორ აგისხნათ.

– ჩემო კარგო, არ გძინავს? – მოისმა გრაფის ხმა კარიდან.

ნატაშა წამოხტა, ხელი დასტაცა ფოსტლებს და თავის ოთახში გაიქცა.

მან დიდხანს ვერ დაიძინა. იგი ფიქრობდა იმაზე, რომ ვერავის ვერ გაეგო ყოველივე ის, რაც მას ესმოდა და რაც მასში იყო.

„სონია? – გაიფიქრა და მძინარე სონიას გადახედა, რომელიც თავისი უზარმაზარი ნაწნავით მოკუნტული იწვა, – ეს სულ ვერ მიხვდებოდა. კეთილი და სათნო ადამიანია. მან ნიკოლინკა შეიყვარა და მეტი არაფერი უნდა. დედასაც კი არ ესმის. გასაოცარია, რამდენად ჭკვიანი ვარ და რამდენად... საყვარელია იგი“, – განაგრძო მან ფიქრი თავის თავზე, როგორც მესამე პირზე. ისე წარმოიდგინა, თითქოს მასზე ლაპარაკობდა ვიღაც ძალიან ჭკვიანი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე კარგი მამაკაცი. „ყველაფერი, ყველაფერი მოეპოვება მას, – განაგრძო იმ მამაკაცმა, – არაჩვეულებრივად ჭკვიანია და საყვარელი, ლამაზია, არაჩვეულებრივად ლამაზი, თანაც მოხერხებული: კარგად ცურავს, ჩინებულად იცის ცხენზე ჯდომა. ხმა? შეიძლება ითქვას, რომ გასაოცარი ხმა აქვს“. ნატაშამ ჩაიმღერა თავისი საყვარელი მუსიკალური ფრაზა ქერუბინის[167] ოპერიდან და მივარდა თავის საწოლს; სიხარულით გაუცინა იმ აზრს, რომ აი, ახლა ჩამეძინებაო. მერე დაუძახა დუნიაშას, რომ სანთელი ჩაექრო, და დუნიაშა ჯერ ოთახიდან არ იყო გასული, რომ უკვე გადავიდა მეორე, უფრო ბედნიერ სამყაროში, სიზმრების სამყაროში, სადაც ყველაფერი ისევე მსუბუქი და მშვენიერი იყო, როგორც სინამდვილეში, მხოლოდ უფრო კარგი, რადგან იქ ყოველივე სხვანაირად ხდებოდა.

მეორე დღეს გრაფინიამ დაიბარა ბორისი და მოელაპარაკა. იმ დღიდან მას ფეხი არ შეუდგამს როსტოვებთან.

თავი მეთოთხმეტე

31 დეკემბერს, ახალი, 1810 წლის le réveillon (წინაღამეს), ეკატერინეს დროის ერთმა წარჩინებულმა კაცმა ბალი მოაწყო. ბალს უნდა დასწრებოდა დიპლომატიური კორპუსი და ხელმწიფე.

ინგლისის სანაპიროზე საგანგებოდ იყო გაჩირადდნებული ამ წარჩინებული პირის ცნობილი სახლი. წითელმანუდიან განათებულ შესასვლელთან პოლიცია იდგა; იქვე იდგნენ არა მარტო ჟანდარმები, არამედ პოლიცმაისტერი (რომელიც შიგ შესასვლელში იდგა) და პოლიციის მრავალი ოფიცერი. სადარბაზო კართან ერთმანეთს ცვლიდნენ ახალ-ახალი ეტლები, წითელსამოსიანი, ქუდეებში ფრთაგარჯობილი ლაქიებით. კარეტებიდან გადმოდიოდნენ მუნდირებში გამოწყობილი ვარსკვლავიანი და ლენტებიანი მამაკაცები. ატლასსა და ყარყუმში გახვეული მანდილოსნები ფრთხილად ჩამოდიოდნენ ხმაურით გადაწეული ფეხსადგომებიდან და სწრაფად და უხმოდ მიეშურებოდნენ მაუდით მოფენილ სადარბაზოში.

თითქმის ყოველთვის, ახალი ეტლის მოსვლისას, შესასვლელთან თავმოყრილ ხალხს ჩურჩული გადაურბენდა და იწყებოდა ქუდეების მოხდა.

– ხელმწიფეა?... არა, მინისტრია... პრინცია... ელჩი... ნუთუ ვერ ხედავ ფრთებს?... – გაისმოდა ხალხში.

ერთი ვიღაც, სხვებზე უკეთ ჩაცმული, თითქოს ყველას სცნობდა: იგი სათითაოდ ასახელებდა იმ დროის წარჩინებულთ.

სტუმრების მესამედი უკვე მისულიყო ბალზე, როსტოვები კი, რომელნიც აგრეთვე უნდა დასწრებოდნენ ამ ბალს, ჯერ კიდევ ჩაცმა-მზადების ფაციფუცში იყვნენ.

ბევრი ლაპარაკი და მზადება იყო ამ ბალისთვის როსტოვების ოჯახში, დიდი შიში, რომ მიწვეულნი არ იქნებოდნენ, რომ ტანისამოსი ვერ მოესწრებოდა და ყველაფერი ისე არ მოეწყობოდა, როგორც საჭირო იყო.

როსტოვებთან ერთად ბალს უნდა დასწრებოდა მარია იგნატიევნა პერონსკაია, გრაფინიას მეგობარი და ნათესავი, ძველი სამეფო კარის ჩამომხმარი და ჩაყვითლებული ფრეილინა, რომელიც პეტერბურგის უმაღლეს საზოგადოებაში პროვინციელ როსტოვებს ხელმძღვანელობდა.

სადამოს ათ საათზე, როსტოვებს უნდა შეეველოთ ფრეილინასთან თავრიდის ბაღში. მაგრამ ათს ხუთი წუთიდა აკლდა და როსტოვების ქალიშვილები ჯერ ჩაცმულებიც არ იყვნენ.

ნატაშა თავის სიცოცხლეში პირველად უნდა დასწრებოდა დიდ ბალს. ამ დილით იგი რვა საათზე ადგა და მთელ დღეს მზადების ციებ-ცხელებაში იყო. დილიდან დაწყებული მთელი მისი გულისყური იქით იყო მიმართული, რომ ყველანი – თვითონ, დედა და სონია – საუკეთესოდ ყოფილიყვნენ ჩაცმულნი. სონია და გრაფინია მთლად მას დაენდნენ. გრაფინიას უნდა სცმოდა მუქი წითელი ფერის ხავერდის კაბა (მასაკა), მათ კი, სონიასა და ნატაშას – ჰაეროვანი კაბები ვარდისფერ აბრეშუმის სარჩულზე და ვარდებით კორსაჟებში. თმა à la grecque (ბერძნულად) უნდა დაეცარცხნათ.

მთავარი საქმე უკვე დასრულებული იყო: ხელები, ფეხები და ყელ-ყური საგულდაგულოდ დაებანათ, სურნელებამოსხურებული და პუდრწაცხებული, ისე, როგორც ბალს შეეფერებოდა. უკვე ეცვათ აბრეშუმის გამჭვირვალე წინდები და თეთრი ატლასის ბანტებიანი ფეხსაცმელები. თმის დავარცხნაც თითქმის მოათავეს. სონიამ უკვე დაამთავრა ჩაცმა, გრაფინიამაც. მხოლოდ ნატაშა ჩამორჩა, რომელიც ხან ერთს დასტრიალებდა თავს, ხან – მეორეს. ის ჯერ კიდევ სარკესთან იჯდა, გამხდარ მხრებზე პენუარმოხურული. სონია, უკვე ჩაცმული, შუა ოთახში იდგა და უკანასკნელ ბანტს იმაგრებდა, ისე მაგრად აჭერდა იგი პატარა თითს, რომ ქინძისთავქვეშ ბანტს შრიალი გაჰქონდა.

– ასე არა, ასე არა, სონია! – გასძახა მას თმის ვარცხნის დროს ნატაშამ, თან თავი მიიბრუნა და ხელები წაივლო თმაზე, რომლის გაშვებაც ვერ მოასწრო მოახლე გოგომ, – ასე არ შეიძლება, მოდი აქ.

სონია მოვიდა და ნატაშას წინ ჩაცუცქდა. ნატაშამ სხვანაირად მიამაგრა ბანტი.

– მოითმინეთ, ქალბატონო, არ შეიძლება ასე, – მიმართა ნატაშას მოახლე გოგომ, რომელსაც ნატაშას თმა ხელში ეჭირა.

– ღმერთო ჩემო! მერე, მერე! აი, ასე, სონია.

– აბა, მალე მოემზადებით? – მოისმა გრაფინიას ხმა, – უკვე ათი საათია.

– ამ წუთში, ამ წუთში, თქვენ კი მზად ხართ, დედა?

– აი, ესლა მაქვს მისამაგრებელი.

– უჩემოდ ნუ გაიკეთებთ, – დაუძახა ნატაშამ, – ვერ მოახერხებთ.

– უკვე ათია.

გადაწყვეტილი იყო თერთმეტის ნახევარზე ყოფილიყვნენ ბალზე. ნატაშა კი ჩაცმული არ იყო, თანაც თავრიდის ბაღში უნდა შეეველოთ.

ნატაშამ თმის დავარცხნა დაასრულა. ბოლოკაბით, რომლის ქვემოდანაც საბალო ფეხსაცმელი მოუჩანდა, და დედის კოფთით, იგი სონიას მივარდა, თვალი მოავლო და დედისკენ გაემურა, თავი შეუტრიალა და მორთულობა მიუმაგრა, მერე სწრაფად დაუკოცნა ჭაღარა თმა და ისევ მოახლე გოგოს დაუბრუნდა, რომელიც ბოლოკაბას უსწორებდა.

საქმეს ახლა ეს ბოლოკაბა აყოვნებდა, რომელიც ძალზე გრძელი იყო; ორი მსახური სწრაფად ამოკლებდა მას და მალიმალ კბილებით წყვეტდნენ ძაფს, მესამე კბილებში ქინძისთავებგაჩრილი, გრაფინიასა და სონიას შორის დარბოდა, მეოთხეს კი მაღლა აწეულ ხელებში ჰაეროვანი კაბები ეჭირა.

– მავრუმა, ჩემო კარგო, დაუჩქარე!

– სათითური მომაწოდეთ იქიდან, ქალბატონო.

– მზად ხართ თუ არა? – დაიძახა კარიდან გრაფმა, – აი, თქვენ სურნელებანი. პეროვსკაიას ლოდინით უკვე გული გაუწყალდებოდა.

– მზად არის, ქალბატონო, – უთხრა ნატაშას მოახლემ და ორი თითით მალა ასწია ამოკერილი გამჭვირვალე კაბა, თან რაღაცას უბერავდა და არხევდა და ამით აგებინებდა თავის ქალბატონს, რომ კარგად ესმოდა იმის სიწმინდე და ჰაეროვნება, რაც ხელში ეჭირა.

ნატაშა კაბის ჩაცმას შეუდგა.

– ამ წუთში, ამ წუთში, ნუ შემოხვალ, მამა! – შესძახა მან მამას კაბის ქვემოდან, რომელსაც მთელი მისი სახე დაეფარა. მამამ უკვე მოასწრო კარის გაღება, მაგრამ სონიამ მიაჯახუნა იგი.

ერთი წუთის შემდეგ გრაფი შეუშვეს. იგი წინდებში, ფეხსაცმელსა და ლურჯ ფრაკში იყო გამოწყობილი, სურნელებადაკურებული და პომადანაწაცხებული.

– რა კარგი ხარ, მამა, საუცხოო! – შესძახა ნატაშამ, რომელიც შუა ოთახში იდგა და გამჭვირვალე კაბის ნაკვეცებს ისწორებდა.

– მოითმინეთ, ქალბატონო, მოითმინეთ! – ეუბნებოდა ნატაშას მოახლე გოგო, რომელიც მუხლებზე იდგა და კაბას უსწორებდა. თან ქინძისთავები პირის ერთი მხრიდან ენით მეორე მხარეზე გადაჰქონდა.

– შენი ნებაა, – სასოწარკვეთილებით წამოიძახა სონიამ და ნატაშას კაბას თვალი მოავლო, – შენი ნებაა, მაგრამ ისევ გრძელია.

ნატაშა განზე გადგა, რომ ტრიუმოში ჩაეხედა; კაბა მართლაც გრძელი იყო.

– ღმერთმანი, ქალბატონო, სულ არ არის გრძელი, – მიუგო მავრუმამ, რომელიც მუხლებზე ცოცვით უკან დასდევდა ნატაშას.

– თუ გრძელია, შევკვცავთ, ერთ წუთში შევკვცავთ, – თქვა დუნიაშამ, ზედა ჯიბეში ჩადებული ცხვირსახოციდან ნემსი გამოაძრო და კვლავ შეუდგა მუშაობას.

ამ დროს თავმოსართავითა და ხავერდის კაბაში გამოწყობილი გრაფინია მორიდებული და ჩუმი ნაბიჯით შევიდა ოთახში.

– ოჰ, ჩემო მზეთუნახავო! – წამოიძახა გრაფმა, – ყველას გჯობიათ! – ამ სიტყვებზე უნდოდა მოხვეოდა ცოლს, რომელიც წამოწითლდა და თავი აარიდა ქმარს, ტანისამოსი რომ არ დაეჭმუჭნა.

– დედა, კიდევ გვერდზე უნდა თავმოსართავს გადაწევა, – ჩაილაპარაკა ნატაშამ, – ახლავე გაგისწორებთ, – და ამ სიტყვებზე მივარდა დედას.

გოგოებმა, რომელნიც ნატაშას კაბას უკვცავდნენ, ვერ მოასწრეს დროზე უკან დადევნება და ქსოვილის ნაჭერი ჩამოგლიჯეს.

– ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ასე! ღმერთმანი, დამნაშავე არა ვარ...

– არაფერია, ამ წუთში დავბლანდავ, არ გამოჩნდება, – თქვა დუნიაშამ.

– ჩემო მზეთუნახავო, ჩემო სულიკო, – დაიწყო ამ დროს ოთახში შესულმა გადიამ, – სონია? აბა, დამენახვე, მზეთუნახავო!..

ბოლოს, როგორც იყო, ათ საათსა და თხუთმეტ წუთზე, ჩასხდნენ კარეტაში და გზას გაუდგნენ. მაგრამ თავრიდის ბაღშიც ხომ უნდა შეეხვიათ.

პერონსკაია უკვე მზად იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოხუცი და ულამაზო იყო, მასთანაც იგივე მოხდა, რაც როსტოვებთან, თუმცა არა ისეთი ალიაქოთითა და ფუსფუსით (პერონსკაიასთვის ეს ჩვეული ამბავი იყო). როგორც იქ, აქაც აპკურეს ისეთივე სურნელება, დაბანეს, პუდრი წაუცხეს მოხუც ულამაზო სხეულს; ისევე გულმოდგინედ გამოუბანეს ყურის ძირები და, ასე გასინჯეთ, ისევე, როგორც როსტოვებთან, ბებერი მოახლე აღტაცებით შეჰყურებდა თავის ქალბატონს და ტკბებოდა მისი სამკაულით, როცა იგი ყვითელი კაბითა და შიფრით[168] სასტუმრო ოთახში გავიდა.

როსტოვებმა შეაქეს პერონსკაიას გემოვნება და ტუალეტი, და, ბოლოს, ფრთხილად, ისე, რომ თმა არ დაშლოდათ და ტანსაცმელი არ დაეჭმუჭნათ, თერთმეტ საათზე კარეტებში მოთავსდნენ და გზას გაუდგნენ.

თავი მეთხუთმეტე

ნატაშა დილიდანვე ისე იყო გართული საქმეში, რომ ვეღარ მოასწრო ეფიქრა, რა მოელოდა იქ, ბაღზე.

ნესტიან, ცივ ჰაერზე, კარეტის სივიწროვესა და ნახევრად სიბნელეში, მან პირველად წარმოიდგინა ცოცხლად ის, რაც ელოდა იქ, ბაღზე, გაკამკამებულ დარბაზებში: მუსიკა, ყვავილები, ცეკვა, ხელმწიფისა და პეტერბურგის მთელი ბრწყინვალე ახალგაზრდობის ხილვა. ის, რაც მოელოდა, იმდენად საუცხოო იყო, რომ არც კი სჯეროდა, თუ ეს ასრულდებოდა, ისე არ შეესაბამებოდა იგი კარეტის სიცივით, სივიწროვითა და სიბნელით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. ნატაშა ყოველივე ამას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა სადარბაზო კართან მოფენილ წითელ მაუდზე გაიარა, როცა დერეფანში შევიდა, ქურქი გაიხადა და სონიასთან ერთად დედის წინ ყვავილებს შორის განათებულ კიბეს აუყვავა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როგორ უნდა დაეჭირა თავი ბაღზე და შეეცადა მიეღო ის დიდებული იერი, ის დიდებული მანერა, რომელიც მას აუცილებლად მიაჩნდა ახალგაზრდა ქალისთვის ბაღზე. მაგრამ თავისდა საბედნიეროდ, იგრძნო, რომ თვალთ აუჭრელდა. ვეღარაფერს ხედავდა გარკვევით, მაჯამ ისე დაუწყო ცემა, რომ წუთში ასს აღწევდა, სისხლი ისე მოაწვა გულზე, რომ მისი დაგადუგი ესმოდა. განზრახულ მანერას ვეღარ მიმართავდა, რადგან იგი სასაცილოს გახდიდა, ამიტომ მიდიოდა მღელვარებისგან სუნთქვაშეკრული და ცდილობდა მხოლოდ ერთ რამეს – როგორმე დაეფარა ეს მღელვარება. და სწორედ ეს იყო ის მანერა, რომელიც ყველაზე მეტად უხდებოდა მას. ასეთივე დინჯი ლაპარაკით და ასევე საბალო ტანსაცმელში გამოწყობილი შედიოდნენ მათ წინ და უკან სხვა სტუმრებიც. სარკეები კიბეზე ნათლად ასახავდნენ თეთრ, ცისფერ და ვარდისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ მანდილოსნებს, მარგალიტებსა და ბრილიანტებს მათ ხელებსა და ყელზე.

ნატაშა სარკეებში იყურებოდა და მათ ანარეკლში ვერ არჩევდა თავის თავს სხვებისაგან. ყველაფერი ერთმანეთში აირია და ერთ ბრწყინვალე პროცესიად გადაიქცა. პირველ დარბაზში შესვლისას ხმების, ნაბიჯების, მისალმებების თანაბარმა გუგუნმა გააბრუნა ნატაშა, ხოლო შუქმა და ელვარებამ უფრო მეტად დააბრმავა იგი. დიასახლისი და მისი მეუღლე უკვე ნახევარი საათი იქნებოდა, რაც კარში იდგნენ და ერთი და იმავე სიტყვებით ეგებებოდნენ შემსვლელთ: *charmé de vous voir* (მეტად მოხარულნი ვართ, მობრძანდით). ასე შეხვდნენ ისინი როსტოვებსა და პერონსკაიასაც.

თეთრტანისამოსიანმა ორმა გოგონამ, ერთნაირი ვარდებით შავ თმაში, ერთნაირად ჩაიკეცა მუხლები, მაგრამ დიასახლისმა უნებურად თვალი უფრო დიდხანს შეაჩერა ტანწერწერა ნატაშაზე, მან შეხედა ნატაშას და, დიასახლისის ჩვეულებრივი ღიმილის გარდა, მარტო მას გაუღიმა განსაკუთრებულად. მის დანახვაზე დიასახლისს იქნებ გაახსენდა თავისი ოქროს ხანა, ბავშვობის დაუბრუნებელი ხანა, და

თავისი პირველი ბალი. მისმა მეუღლემაც გააყოლა თვალი ნატამას და ჰკითხა გრაფს, რომელი იყო მისი ქალიშვილი.

– Charmante (საუცხოოა)! – წარმოთქვა მან და თავისივე ხელის თითებს აკოცა.

დარბაზში სტუმრები ფეხზე იდგნენ. ხელმწიფის მოლოდინში მეტი წილი კართან შეჯგუფულიყო. გრაფინია პირველ რიგებში მოთავსდა, ნატამამ გაიგონა და იგრძნო, რომ რამდენიმე კაცმა იკითხა მის შესახებ და თვალები მიაპყრო მას. მიხვდა, რომ მოეწონა იმათ, ვინც ყურადღება მიაქცია, და ამან რამდენადმე დაამშვიდა.

„არიან ისეთები, როგორც ჩვენ ვართ, არიან ჩვენზე უარესებიც“, – გაიფიქრა მან.

პერონსკაია სათითაოდ უსახელებდა გრაფინიას ბალზე მყოფ ყველაზე თვალსაჩინო პირებს.

– აი, ის, ხომ ხედავთ, ჭადარა, ჰოლანდიის ელჩია, – აუხსნა პერონსკაიამ და უჩვენა ჭადარა და ხშირ ხუჭუჭთმიან მოხუცზე. მას ბლომად შემოხვეოდნენ ქალები, რომელთაც იგი რაღაცას უამბობდა და აცინებდა.

– აგერ ისიც, პეტერბურგის დედოფალი, გრაფ ბეზუხოვის მეუღლე, – და დარბაზში შესულ ელენზე მიუთითა, – რა ლამაზია! მარია ანტონოვნას არ ჩამოუვარდება. შეხედეთ, როგორ ევლებიან თავს ახალგაზრდებიც და მოხუცებიც. ლამაზიც არის და ჭკვიანიც... ამბობენ, პრინცი... გადარეულიაო მისთვის. აგერ იმ ორს, თუმცა ისინი ლამაზები არ არიან, უფრო მეტნი ეხვევიან.

პერონსკაიამ უჩვენა ერთ მანდილოსანზე, რომელმაც თავის მეტად ულამაზო ქალიშვილთან ერთად დარბაზში გაიარა.

– ეგეც სარძლოა, მილიონერი, – აუხსნა მან გრაფინიას... – აი, საქმროებიც. ეს გრაფ ბეზუხოვის ცოლისძმამა, ანატოლი კურაგინი, – განაგრძო მან და უჩვენა ლამაზ კავალერჰარდზე, რომელმაც მათ წინ გაიარა და რომელიც, მაღლა თავაწეული, მანდილოსნების თავებს იქით, ზემოდან სადღაც იყურებოდა, – რა ლამაზია! ხომ მართალია? ამბობენ, ამ მდიდარ ქალს მიათხოვებენ მას. თქვენი კუზენი დრუბეცკოიც ძალიან ეკურკურება. ხომ იცით, მილიონებია... დიახ, ეგ თვით საფრანგეთის ელჩია, – მიუგო მან გრაფინიას, როდესაც ამ უკანასკნელმა კოლენკურის ვინაობა იკითხა, – ერთი შეხედეთ, თითქოს მეფეაო. მაინც საამო ხალხია ფრანგები, მეტად საამო. ყველაზე საამო ადამიანები არიან ისინი საზოგადოებისთვის. აი, ისიც. არა, ყველაზე ლამაზი მაინც ჩვენი მარია ანტონოვნაა. მერე რა უბრალოდ აცვია. საუცხოოა! აგერ ის სქელი კი, სათვალისანი, საქვეყნო ფარმაზონია[169], – თქვა პერონსკაიამ და უჩვენა პიერ ბეზუხოვზე, – აბა, ერთი გვერდით ამოუყენეთ ცოლს. ნამდვილი ტაკიმასხარაა.

პიერი მიდიოდა და ბაჯბაჯით მიჰქონდა თავისი სქელი ტანი, აპობდა ხალხს და მარჯვნივ და მარცხნივ ისევე დაუდევრად და გულკეთილად უკრავდა ნაცნობებს თავს, თითქოს ბაზრის ბრბოს აპობსო. აშკარა იყო, ვიღაცას ეძებდა ხალხში.

ნატამა სიხარულით შეჰყურებდა პიერს, ამ ტაკიმასხარის, როგორც პერონსკაიამ უწოდა, სახეს. მან იცოდა, რომ პიერი ხალხში დაემებდა მათ, განსაკუთრებით მას. პიერი დაჰპირდა, რომ ბალს დაესწრებოდა და კავალრებს წარუდგენდა.

მაგრამ პიერმა ვერ შენიშნა როსტოვები. იგი შეჩერდა თეთრ მუნდირში გამოწყობილ მომცრო ტანის მეტად ლამაზ შავგვრემან სამხედროსთან, რომელიც ფანჯარასთან იდგა და ვიღაც ვარსკვლავებიან და ლენტთან მაღალ მამაკაცს ელაპარაკებოდა. ნატამამ მაშინვე იცნო თეთრმუნდირიანი მომცრო სამხედრო: იგი ბოლკონსკი იყო. ნატამას ბოლკონსკი მეტად გაახალგაზრდავებული, გამხიარულებული და გალამაზებული ეჩვენა.

– აი, ერთი ნაცნობი კიდეც, ბოლკონსკი, ხომ ხედავთ, დედა? – უთხრა ნატამამ დედას და თავადი ანდრეი დაანახვა, – ხომ გახსოვთ, ჩვენთან გაათია ღამე ოტრადნოეში.

– განა იცნობთ ბოლკონსკის? – იკითხა პერონსკაიამ, – ჭირვით მძულს. Il fait à présent la pluie et le beau temps (ახლა მხოლოდ მან იცის, დარი იქნება თუ ავდარი)[170] უზომოდ გოროზი და ამაყია. მამის კვალს დაადგა. გადაეკიდა სპერანსკის, რაღაც პროექტებს ადგენენ. შეხედეთ ერთი, როგორ ეპყრობა მანდილოსნებს! ქალი ელაპარაკება, მან კი ზურგი შეაქცია, – თქვა პერონსკაიამ და ბოლკონსკიზე უჩვენა, – მე რომ ასე მომექცეს, იცოცხლე, შევაფუცხუნებ.

თავი მეთექვსმეტი

უეცრად ყველანი აფუსფუსდნენ, ალაპარაკდნენ, ყველამ წინ წაიწია, მაგრამ ისევ განზე გადგა, და ამ დროს ორად გაყოფილ რიგებს შუა მუსიკის ხმაზე გამოჩნდა ხელმწიფე. მას მოსდევდნენ დიასახლისი და მისი ქმარი. ხელმწიფე სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა, თავს უკრავდა დამსწრეთ მარჯვნივ და მარცხნივ, თითქოს ცდილობდა მალე დაეღწია თავი შეხვედრის ამ პირველი წუთებისთვის. მემუსიკენი უკრავდნენ პოლკას, რომელიც ცნობილი იყო მაშინ სპეციალურად მისთვის შედგენილი სიტყვებით. Александр, Елизавета, восхищаете вы нас[171], ასე იწყებოდა ეს სიტყვები. ხელმწიფე სასტუმრო ოთახში შევიდა; ხალხი კარს მიაწყდა. რამდენიმე კაცი შეცვლილი სახით სწრაფად შევიდა იმავე სასტუმრო ოთახში და უკან გამობრუნდა. ხალხი კვლავ მოშორდა სასტუმრო ოთახის კარს, სადაც ხელმწიფე გამოჩნდა, იგი დიასახლისს ელაპარაკებოდა. ვიღაც ახალგაზრდა კაცი აბნეული სახით მანდილოსნებს ეხვეწებოდა, განზე გამდგარიყვნენ. ზოგიერთ მანდილოსანს სახეზე ეტყობოდა, რომ დავიწყებული ჰქონდა საზოგადოებაში მიღებული ყოველი წესი; ისინი დაურიდებლად მიიწევდნენ წინ და იფუჭებდნენ ტანისამოსსაც კი. მამაკაცებმა მანდილოსნებს მიაშურეს, წყვილ-წყვილად მწკრივდებოდნენ პოლკას საცეკვაოდ.

ყველამ განზე გაიწია. ხელმწიფემ ღიმილით გამოიყვანა დიასახლისი და სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა. იგი ისე მოდიოდა, რომ ყურადღებას არ აქცევდა ტაქტს. მას მოსდევდა ოჯახის უფროსი მ. ა. ნარიშკინასთან ერთად, შემდეგ – მინისტრები, გენერლები, რომელთაც დაულალავად ასახელებდა პერონსკაია. მანდილოსანთა ნახევარზე მეტს კავალრები ჰყავდა და მიდიოდნენ ან ემზადებოდნენ პოლკას საცეკვაოდ. ნატამა გრძნობდა, რომ იგი დედასა და სონიასთან ერთად მანდილოსნების იმ მცირეთა რიცხვში მოჰყვებოდა, რომელთაც პოლკაზე არ იწვევდნენ და რომელთაც კედლისკენ დაახევინეს. იგი გაშეშებული იდგა, სიფრიფანა ხელები ძირს დაეშვა, ოდნავ აბურცულ მკერდს მწყობრად ატოკებდა, სუნთქვას იკავებდა და თავისი შუქმფენი, დამფრთხალი თვალებით წინ იყურებოდა, მომზადებული როგორც უდიდესი სიხარულის, ისე უდიდესი მწუხარებისთვის. მას არ იტაცებდა არც ხელმწიფე, არც ის წარჩინებული პირნი, რომელთაც პერონსკაია ასახელებდა – მას ერთი აზრი უტრიალებდა თავში: „ნუთუ არავინ გამიწვევს, ნუთუ ვერ ველირსები პირველთა შორის ცეკვას, ნუთუ ვერ შემნიშნავენ ეს მამაკაცები, რომელნიც ახლა, მგონი, ვერც მამჩნევენ, ხოლო თუ შემომხედავენ, შემომხედავენ ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ამბობდნენ: არა, ეგ ის არ არის, არც ღირს იმად, რომ უყურო. შეუძლებელია! – ფიქრობდა ნატამა, – ხომ უნდა იცოდნენ მათ, როგორ მინდა ცეკვა, როგორ ჩინებულად ვცეკვავ და რა სიამოვნება მოელით მათ ჩემთან ცეკვის დროს“.

პოლკას ხმები, რომელიც კარგა ხანს გაისმოდა, უკვე სევდიანად ეწვეთებოდა ნატამას ყურებში. ტირილი ერეოდა. პერონსკაია ჩამოშორდა მათ. გრაფი დარბაზის მეორე ბოლოში იყო. გრაფინია, სონია და ნატამა, როგორც ტყეში, მარტონი იდგნენ ამ უცხო ხალხში, ისინი არავისთვის საინტერესონი არ იყვნენ, არავის არ სჭირდებოდნენ. თავადმა ანდრეიმ ვიღაც მანდილოსანთან ერთად გაიარა მათ წინ,

ალბათ, ვერ იცნო ისინი. ლამაზი ანატოლი ღიმილით ეუბნებოდა რაღაცას თავის მანდილოსანს, რომელიც საცეკვაოდ მიჰყავდა. მან ისე შეავლო თვალი ნატამას, როგორც კედელს შეხედავენ ხოლმე. ბორისმა ორჯერ ჩაუარა მათ და ორჯერვე პირი მიიბრუნა. მათთან ბერგი მივიდა ცოლითურთ, ისინი არ ცეკვავდნენ.

ნატამას შეურაცხყოფად მოეჩვენა ეს ოჯახური დაახლოება აქ, ბალზე, თითქოს, ამ ბალს გარდა, არ მოიპოვებოდა სხვა ადგილი ოჯახური საუბრისთვის. ის ყურს არ უგდებდა, არც უყურებდა ვერას, რომელიც რაღაცას ეუბნებოდა თავის მწვანე კაბაზე.

ბოლოს ხელმწიფე შეჩერდა თავისი უკანასკნელი მანდილოსნის წინ (მან სამ მანდილოსანთან იცეკვა). გაჩუმდა მუსიკაც. შეშფოთებული ადიუტანტი როსტოვებს მივარდა, სთხოვა დაეხიათ კიდეც როგორმე, თუმცა ისინი ზედ კედელთან იდგნენ უკვე. ამ დროს ზემოდან მოისმა ვალსის მკაფიო, ფრთხილი და წარმტაცად მწყობრი ხმა. ხელმწიფემ ღიმილით გადახედა დარბაზს. ერთმა წუთმა განვლო – ჯერ კიდეც არავის დაეწყო ცეკვა. განმკარგულებელი ადიუტანტი გრაფ ბეზუხოვის მეუღლესთან მივიდა და საცეკვაოდ გაიწვია. ელენმა ღიმილით ასწია ხელი და მხარზე დაადო ადიუტანტს ისე, რომ არც შეუხედავს მისთვის. ცეკვის ოსტატმა განმკარგულებელმა – ადიუტანტმა მაგრად მოხვია ხელი ელენს და მასთან ერთად ჯერ წრეს შემოუარა ნაპირ-ნაპირ, შემდეგ დარბაზის კუთხეში მანდილოსანს მარცხენა ხელში წაავლო ხელი და შემოატრიალა. მუსიკის უფრო და უფრო აჩქარებულ ხმებზე მოისმოდა მწყობრი წკარუნი, რომელსაც გამოსცემდნენ სწრაფი და მარჯვე ადიუტანტის დეზები. მოსახვევში, ყოველი სამი ტაქტის შემდეგ, იშლებოდა და ფრიალებდა მანდილოსნის ხავერდის კაბა. ნატამა შეჰყურებდა მათ და მზად იყო ტირილი დაეწყო იმის გამო, რომ ის არ ცეკვავდა ვალსის ამ პირველ ტურს.

თავადი ანდრეი პოლკოვნიკის თეთრ (კავალერიის) მუნდირში, შესაფერის წინდებსა და ფეხსაცმელში გამოწყობილი, გამოცოცხლებული და მხიარული, წრის პირველ რიგებში იდგა, როსტოვების მახლობლად. ბარონი ფირგოფი სახელმწიფო საბჭოს ხვალინდელ სხდომაზე ელაპარაკებოდა, პირველ სხდომაზე. თავად ანდრეის, როგორც სპერანსკისთან დაახლოებულ და საკანონმდებლო კომისიაში მომუშავე კაცს, შეემლო სწორი ცნობები მიეწოდებინა ხვალინდელი დღის სხდომის შესახებ, რომელზედაც ათასნაირი ხმა დადიოდა. მაგრამ იგი ყურს არ უგდებდა იმას, რასაც ფირგოფი ეუბნებოდა და შეჰყურებდა ხან ხელმწიფეს, ხან ცეკვის მოსურნე კავალრებს, რომელნიც ვერ ბედავდნენ წრეში ჩადგომას.

თავადი ანდრეი თვალს ადევნებდა ამ კავალრებს, რომელთაც ერიდებოდათ ცეკვა ხელმწიფის წინაშე, და მანდილოსნებს, რომელნიც გულის ფანცქალით ელოდნენ საცეკვაოდ მიწვევას.

პიერი თავად ანდრეისთან მივიდა და ხელში წაავლო ხელი.

– თქვენ მუდამ ცეკვავთ. აქ ჩემი protégée (პროტეჟეა), ახალგაზრდა როსტოვა, გაიწვიეთ საცეკვაოდ, – მიმართა მან თავად ანდრეის.

– სად არის? – იკითხა ბოლკონსკიმ, – უკაცრავად, – მიმართა მან ბარონს, – ამ ლაპარაკს სხვა ადგილას დავამთავრებთ, ბალზე კი უნდა ვიცეკვოთ.

ბოლკონსკი წინ გავიდა, იქითკენ, საითაც პიერმა უჩვენა. მას თვალში ეცა ნატამას სასოწარკვეთილი, გარინდებული სახე. თავადმა ანდრეიმ იცნო იგი, მიხვდა, რას განიცდიდა ის, მიხვდა იმასაც, რომ იგი პირველად გამოვიდა საზოგადოებაში, ამავე დროს გაახსენდა მისი სიტყვები ფანჯარასთან, და მხიარული სახით მივიდა გრაფ როსტოვის მეუღლესთან.

– ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი ქალიშვილი, – მიმართა მას გრაფინიამ და სახე შეუწითლდა.

– ბედნიერება მაქვს, ვიცნობდე მას, თუკი ვახსოვარ გრაფის ქალიშვილს, – მიუგო თავადმა ანდრეიმ და თავაზიანად და მდაბლად დაუკრა თავი, რაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა პერონსკაიას შენიშვნებს მის უხეშობაზე; თავადი ანდრეი ნატაშასთან მივიდა და ვიდრე საცეკვაოდ გაწვევას დაამთავრებდა, ხელი წაიღო ახალგაზრდა ქალის წელისკენ. მან ნატაშა ვალსის ტურზე გაიწვია. ნატაშას გარინდებული სახე, რომელიც მზად იყო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო ან ალტაცებულიყო რითიმე, ერთბაშად ბედნიერმა, მადლიერმა და ბავშვურმა ღიმილმა გაანათა.

„დიდი ხანია გელი“, – თითქოს უთხრა ამ დამფრთხალმა და ბედნიერმა გოგონამ ღიმილით, რომელიც მის სატირლად გამზადებულ სახეზე გამოკრთა, როცა მან მკლავი ასწია თავად ანდრეის მხარზე დასადებად. ისინი მეორე წყვილს წარმოადგენდნენ წრეში. თავადი ანდრეი თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოცეკვავე იყო. ნატაშაც საუცხოოდ ცეკვავდა. ატლასის საბალო ფეხსაცმლიანი მისი პატარა ფეხები მსუბუქად და პატრონის უნებურად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, ხოლო მისი სახე ბედნიერების ღიმილს გაებრწყინებინა. შიშველი ყელი და ხელები ნატაშას გამხდარი და ულამაზო ჰქონდა. ელენის მხრებთან შედარებით მხრები გამხდარი ჰქონდა, მკერდი გაურკვეველი, ხელები წვრილი; მაგრამ ელენს თითქოს უკვე ლაქი დასდებოდა ათასთა ჰვრეტისგან, რომელთა მზერა განუწყვეტლივ ჩერდებოდა მის სხეულზე, ნატაშა კი გოგონად გამოიყურებოდა, რომელიც პირველად გააშიშვლეს და რომლისთვისაც დიდად სამარცხვინო იქნებოდა ეს, რომ არ დაერწმუნებინათ, საჭიროა ასე მოქცევაო.

თავად ანდრეის უყვარდა ცეკვა, და იმისთვის, რომ მორიდებოდა პოლიტიკურ და საქმიან ლაპარაკს, რისთვისაც ყველა მიმართავდა მას, აგრეთვე იმისთვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაერღვია ხელმწიფის იქ ყოფნით გამოწვეული დარცხვენის ეს უსიამოვნო რკალი, მან დაიწყო ცეკვა და აირჩია ნატაშა, იმიტომ, რომ მასზე მიუთითა პიერმა, კიდევ იმიტომ, რომ ლამაზი ქალებიდან პირველად იგი მოხვდა თვალში; მაგრამ მოხვია თუ არა ხელი ამ ნაზ, მოძრავ წელს და შეირხა თუ არა გოგონა ასე ახლოს მისგან და გაუღიმა, მისმა სიტურფემ მათრობელასავით დაუარა თავში: როცა სული მოითქვა, ნატაშას თავი მიანება, შეჩერდა და მოცეკვავეთ გადახედა, გამოცოცხლებულად და გაახალგაზრდავებულად იგრძნო თავი.

თავი მეთვრამეტე

მეორე დღეს თავადმა ანდრეიმ გაიხსენა წინა დღის ბალი, მაგრამ დიდხანს არ შეუჩერებია მასზე თავისი აზრი. „დიახ, ბრწყინვალე ბალი იყო და კიდევ... ჰო, როსტოვა, მეტად მომხიბვლელი არსებია. რაღაც არის მასში ნორჩი, განსაკუთრებული, არაპეტერბურგული, რაც განასხვავებს მას“. აი, ყველაფერი ის, რაც მან წინა დღის ბალზე გაიფიქრა, ხოლო როცა ჩაი დალია, მუშაობას შეუდგა.

მაგრამ დაღლილობისა და უძილობის გამო დღე მუშაობისთვის უშედეგო აღმოჩნდა. თავადი ანდრეი ვერაფერს აკეთებდა, განუწყვეტლივ აკრიტიკებდა თავის ნამუშევარს, რაც ხშირად ემართებოდა ხოლმე, ამიტომ გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ვიღაც ეწვია.

სტუმარი იყო ბიცკი. იგი სხვადასხვა კომისიაში მსახურობდა, პეტერბურგის ყველა საზოგადოებაში დაიარებოდა, გატაცებული თავყვანისმცემელი იყო ახალი იდეებისა და სპერანსკის; დაულალავი მოამბე ყოველივე იმისა, რაც პეტერბურგში ხდებოდა; ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მიმართულებას ირჩევს ისევე, როგორც ტანსაცმელს, მოდის მიხედვით, და ვინც სწორედ ამის გამო მიმართულებათა ყველაზე თავგამოდებულ პარტიზანად გვეჩვენება. ისე შეფიქრიანებული შევარდა იგი თავად ანდრეისთან, რომ ქუდის მოხდა ძლივს მოასწრო, და იმავე წუთს გააბა ლაპარაკი. მას ის-ის იყო, გაეგო ხელმწიფის მიერ გახსნილი სახელმწიფო საბჭოს დღევანდელი დილის სხდომის დაწვრილებითი ამბები და ახლა

აღტაცებით და სულმოუთქმელად გადასცემდა ამ ამბებს თავად ანდრეის. არაჩვეულებრივი იყო ხელმწიფის სიტყვა. ერთი იმ სიტყვათაგანი, რომელთაც მხოლოდ კონსტიტუციური მონარქები წარმოთქვამენ ხოლმე. „ხელმწიფემ აშკარად თქვა, რომ საბჭო და სენატი სახელმწიფო წოდებებს წარმოადგენენ, და რომ მართვა-გამგეობას საფუძვლად უნდა დაედოს არა თვითნებობა, არამედ მტკიცე საწყისებიო. ხელმწიფემ განაცხადა, რომ ფინანსები უნდა გარდაიქმნას და ანგარიშგება საჯაროდ უნდა ხდებოდესო“, – ამბობდა ბიცკი, თან ხმას უწევდა საგულისხმო სიტყვებზე და მრავალმნიშვნელოვნად ახამხამებდა თვალებს.

– დიახ, დღევანდელი მოვლენები ჩვენს ისტორიაში ეპოქას წარმოადგენენ, უდიდეს ეპოქას, – დაასრულა მან.

თავადი ანდრეი ისმენდა სახელმწიფო საბჭოს გახსნის ამბებს, რასაც ასე მოელოდა და რასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, და უკვირდა, რომ ეს მოვლენა ახლა, როცა უკვე განვითარდა, არათუ არ აღელვებდა, არამედ სრულიად უმნიშვნელო რამედ ეჩვენებოდა. იგი შეუმჩნეველი ირონიით ისმენდა ბიცკის აღტაცებულ სიტყვებს და სრულიად უბრალო აზრი ებადებოდა თავში: „რა საქმე გვაქვს მე და ბიცკის, რა საქმე გვაქვს ჩვენ იმასთან, რისი თქმაც მოისურვა ხელმწიფემ სახელმწიფო საბჭოზე? განა ყოველივე ამას შეუძლია გამხადოს მე ბედნიერ და უკეთეს ადამიანად?“

და ამ უბრალო მსჯელობამ სრულიად გააცამტვერა წინანდელი ინტერესი დაწყებული გარდაქმნებისადმი. ამ დღეს თავად ანდრეის სპერანსკისთან უნდა ესადილა, en petit comité (პატარა კომიტეტთან ერთად), როგორც მასპინძელმა უთხრა მიწვევისას. ეს სადილი იმ ადამიანის ოჯახურ და მეგობრულ წრეში, რომლითაც იგი ასე იყო აღტაცებული, წინათ ძალიან აინტერესებდა თავად ანდრეის, მით უმეტეს, რომ მანამდე არ ენახა სპერანსკი ოჯახურ ყოფაში; მაგრამ ახლა თავად ანდრეის აღარ უნდოდა წასვლა.

მიუხედავად ამისა, სადილისთვის დანიშნულ საათზე თავადი ანდრეი უკვე შედიოდა სპერანსკის მომცრო სახლში თავრიდის ბაღთან. მომცრო სახლის პარკეტთან სასადილო ოთახში, რომელიც არაჩვეულებრივი სისუფთავით (რაც ბერულ სისუფთავეს აგონებდა კაცს) გამოირჩეოდა, თავად ანდრეის, რომელმაც ოდნავ დაიგვიანა, ხუთ საათზე უკვე თავმოყრილი დახვდა ამ petit comité-ს საზოგადოება, სპერანსკის ინტიმური მეგობრები. მანდილოსანი არავინ იყო, გარდა სპერანსკის პატარა ქალიშვილისა (მას მამასავით გრძელი ცხვირი ჰქონდა) და მისი გუვერნანტი ქალისა. სტუმარი სამი იყო: ჟურვე, მაგნიცკი და სტოლიპინი. თავად ანდრეის ჯერ კიდევ წინა ოთახში მოესმა ხმამალალი ლაპარაკი და წვრიალა სიცილი, ისეთი, რომლის მსგავსიც სცენაზე იციან: ვიღაცა წვრილი ხმით, რომელიც სპერანსკის ხმას ჰგავდა, იცინოდა: ჰა... ჰა... ჰა... თავად ანდრეის არასოდეს გაეგონა სპერანსკის სიცილი და სახელმწიფო კაცის წვრილი ხმით ასეთმა წვრიალა სიცილმა გააოცა იგი.

თავადი ანდრეი სასადილო ოთახში შევიდა. მთელი საზოგადოება ორ ფანჯარას შუა იდგა, პატარა მაგიდის წინ, რომელზედაც საუზმე გაეწყობო. სპერანსკი მაგიდასთან იდგა მხიარული სახით; მას ნაცრისფერი ფრაკი ეცვა ვარსკვლავით და, ალბათ იგივე თეთრი ჟილეტი თეთრივე ჰალსტუხით, რომლითაც იგი სახელმწიფო საბჭოს შესანიშნავ სხდომას დაესწრო. გარს სტუმრები ეხვივნენ. მაგნიცკი ანეკდოტს უამბობდა დამსწრეთ. იგი მიხაილ მიხაილიჩს მიმართავდა, ხოლო ეს უკანასკნელი წინასწარ იცინოდა იმაზე, რასაც მაგნიცკი იტყოდა. იმ დროს, როცა თავადი ანდრეი ოთახში შევიდა, სიცილმა კვლავ ჩაახშო მაგნიცკის სიტყვები, ხმამალა ხარხარებდა თავისი ბანით სტოლიპინი და იმავე დროს პურსა და ყველს ღეჭავდა, ჟერვე ყრუ სიცილით ქშინავდა, ხოლო სპერანსკი წვრილი ხმით და მკაფიოდ იცინოდა.

სპერანსკიმ თავისი თეთრი, ნაზი ხელი გაუწოდა თავად ანდრეის, თან სიცილი განაგრძო.

– ძალზე მოხარული ვარ, რომ გხედავთ, თავადო! – უთხრა ახალმოსულს, – ერთი წუთი მომიტმინეთ...
– და მან მაგნიცკის ლაპარაკი გააწყვეტინა, – ჩვენ დღეს პირობა დავდეთ, ეს სადილი მხიარულად უნდა გავატაროთ და ამიტომ არც ერთი სიტყვა არ უნდა ითქვას საქმეზე, – და მან კვლავ მიმართა მაგნიცკის და კვლავ გაიცინა.

თავადი ანდრეი გაკვირვებული და იმედგაცრუებული შეჰყურებდა გამხიარულებულ სპერანსკის და ყურს უგდებდა მის სიცილს. ეჩვენებოდა, რომ ეს იყო არა სპერანსკი, არამედ სხვა კაცი. ყველაფერი, რაც წინათ თავად ანდრეის საიდუმლოდ და მიმზიდველად ეჩვენებოდა სპერანსკიში, ერთბაშად ცხადი და არამიმზიდველი გახდა.

სუფრაზე ლაპარაკი წუთითაც არ შეწყვეტილა, იგი თითქოს სასაცილო ანეკდოტების კრებულს წარმოადგენდა. ჯერ მაგნიცკის თავისი ამბავი არ დაემთავრებინა, რომ ვიღაც სხვამ მოისურვა ახალი, უფრო სასაცილო ანეკდოტის თქმა. ანეკდოტები მეტწილად ეხებოდა არა სამსახურებრივ სფეროს, არამედ მოსამსახურე პირებს. თითქოს ამ საზოგადოებაში ისე უეჭველად მიიჩნის ალნიშნულ პირთა არარაობა, რომ ერთადერთი დამოკიდებულება მათდამი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ გულკეთილ-კომიკური. სპერანსკიმ მოუთხრო დამსწრეთ დღეს დილით სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მომხდარი ამბავი: როცა ერთ ყრუ წარჩინებულ პირს შეეკითხნენ, რა აზრის ბრძანდებითო, მან მიუგო თურმე, იმავე აზრისა გახლავართო. ჟერვემ გაიხსენა მთელი საქმე რევიზიის შესახებ, შესანიშნავი მის მონაწილე პირთა უაზრო მოქმედებით. სტოლიპინი ენის ბორძიკით ჩაერია ლაპარაკში, გაიხსენა წინანდელი დროის ბოროტმოქმედებანი, გაცხარდა და კინალამ სერიოზული ხასიათი მისცა ლაპარაკს. მაგნიცკიმ მასხრად აიგდო სტოლიპინის სიცხარე, ჟერვემ ოხუნჯობა ჩაურთო საუბარში და ლაპარაკმა კვლავ ძველებური, მხიარული მიმართულება მიიღო.

აშკარა იყო, სპერანსკის შრომა-ჯაფის შემდეგ უყვარდა დასვენება და გამხიარულება მეგობართა წრეში, და სტუმრები, რომელთაც ესმოდათ მასპინძლის სურვილი, ცდილობდნენ გაემხიარულებინათ იგი და თვითონაც გამხიარულებულიყვნენ. მაგრამ ეს მხიარულება თავად ანდრეის მიძიმე და ნამალადევ მხიარულებად ეჩვენებოდა. სპერანსკის წვრილმა ხმამ უსიამოვნოდ გააოცა იგი, მისი შეუწყვეტელი სიცილი ყალბი ნოტიო რატომღაც შეურაცხყოფდა თავად ანდრეის გრძნობას. იგი არ იცინოდა და შიშობდა, რომ აუტანელი იქნებოდა ამ საზოგადოებისთვის. მაგრამ ვერავინ ამჩნევდა, თუ რამდენად შეუფერებელი იყო იგი საერთო განწყობილებისთვის. თითქოს ყველა ძალზე მხიარულად გრძნობდა თავს.

თავადმა ანდრეიმ რამდენჯერმე მოისურვა ლაპარაკში ჩარევა, მაგრამ მისი სიტყვები უკუაგდეს, როგორც კორპის საცობი წყლიანი ბოთლიდან. თავად ანდრეის არ შეეძლო ოხუნჯობა მათთან ერთად.

არაფერი ყოფილა ცუდი ან შეუსაბამო იმაში, რასაც ისინი ამბობდნენ. ყველაფერი გონებასახვილური იყო და შეიძლება სასაცილოც კი, მაგრამ მას არათუ აკლდა სწორედ ის, რაც მხიარულების მარილს წარმოადგენს, არამედ აქ მყოფთ არც იცოდნენ, ასეთი რამ თუ არსებობს.

სადილის შემდეგ სპერანსკის ქალიშვილი და მისი გუვერნანტი ქალი სუფრიდან წამოდგნენ. სპერანსკიმ თავისი თეთრი ხელით მიუალერსა ქალიშვილს და აკოცა. ეს ჟესტიც არაბუნებრივად ეჩვენა თავად ანდრეის.

მამაკაცები ინგლისური წესისამებრ სუფრასთან დარჩნენ და პორტვეინს შეექცნენ. საუბარი ჩამოვარდა ნაპოლეონის ქმედებებზე ესპანეთში. ყველანი ერთი და იმავე აზრისანი იყვნენ, ყველანი იწონებდნენ ნაპოლეონის ქმედებას. თავადი ანდრეი შეესიტყვა მათ. სპერანსკიმ გაიღიმა და, ალბათ, იმისთვის, რომ კამათი აეცილებინა, წამოიწყო ანეკდოტი, რომელსაც საუბრის საგანთან არაფერი ჰქონდა საერთო. მცირე ხანს ყველანი დუმდნენ.

ერთხანს სუფრასთან დარჩნენ. მერე სპერანსკიმ ღვინიან ბოთლს საცობი დაახურა და თქვა, დღეს კარგი ღვინო ძნელი საშოვნელიაო, ბოთლი ლაქიას გადასცა და წამოდგა; ყველანი წამოიშალნენ და ხმამაღალი ლაპარაკითვე გაემართნენ სასტუმრო ოთახისკენ. სპერანსკის შიკრიკის მიერ მოტანილი ორი კონვერტი გადასცეს. მან კონვერტები გამოართვა და კაბინეტში შევიდა. გავიდა თუ არა სპერანსკი სასტუმრო ოთახიდან, საერთო მხიარულება მიყუჩდა და სტუმრებმა გონივრულად და ხმადაბლა გააბეს ლაპარაკი ურთიერთშორის.

– აბა, ახლა დეკლამაცია! – თქვა კაბინეტიდან გამოსულმა სპერანსკიმ, – საოცარი ნიჭია! – მიმართა მან თავად ანდრეის.

იმავე წუთს მაგნიცკიმ სათანადო პოზა მიიღო და დაიწყო ფრანგული საოხუნჯო ლექსების წარმოთქმა; ეს ლექსები ეხებოდა პეტერბურგის ზოგიერთ ცნობილ პირს და შედგენილი იყო თვით მაგნიცკის მიერ. მას ტაშისცემით რამდენჯერმე შეაწყვეტინეს დეკლამაცია. ლექსების კითხვის შემდეგ თავადი ანდრეი სპერანსკისთან მივიდა გამოსამშვიდობებლად.

– სად მიბრძანდებით ასე ადრე? – ჰკითხა სპერანსკიმ.

– შევპირდი, საღამოთი...

მცირე ხანს გაჩუმებულნი იყვნენ. თავადი ანდრეი ახლოდან შესცქეროდა ამ მიუკარებელ, სარკისებრ თვალებს. მას სასაცილოდ ეჩვენა ის ამბავი, რომ იგი რაღაცას გამოელოდა სპერანსკისა და თავისი მოღვაწეობიდან. ან როგორ შეეძლო მნიშვნელოვან საქმედ ჩათვალა ყოველივე ის, რასაც სპერანსკი აკეთებდა? მისი წესიერი, არამხიარული სიცილი დიდხანს ესმოდა თავად ანდრეის ყურებში მას შემდეგ, რაც სპერანსკისგან წავიდა.

შინ დაბრუნებულმა თავადმა ანდრეიმ თვალი გადაავლო პეტერბურგში გატარებულ თავის ცხოვრებას ამ ოთხი თვის განმავლობაში. გაიხსენა თავისი ზრუნვა, მამიებლობა, სამხედრო წესდების მისეული პროექტის ისტორია, – პროექტისა, რომელიც მხედველობაში მიიღეს და რომელიც მიჩქმალეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე შეადგინეს და ხელმწიფეს წარუდგინეს სხვა, ბევრად უფრო ცუდი წესდება; გაიხსენა იმ კომიტეტის სხდომები, რომლის წევრადაც ბერგი იყო; გაიხსენა, როგორ გულმოდგინედ და ხანგრძლივად იხილავდნენ ყველაფერს, რაც კომიტეტის სხდომების ფორმასა და პროცესს შეეხებოდა, და როგორ უგულოდ და ზერელედ ეკიდებოდნენ იმას, რაც საქმის არსს მოიცავდა. შემდეგ გაიხსენა თავისი საკანონმდებლო მუშაობა, როგორ გულდასმით თარგმნიდა რუსულ ენაზე რომისა და საფრანგეთის კანონთა კრებულებს. გაიხსენა ყოველივე ეს და შერცხვა თავისი თავის. მერე ცოცხლად წარმოიდგინა ბოგუჩაროვო, თავისი მუშაობა სოფლად, რიაზანში მგზავრობა, გაიხსენა გლეხები, მამასახლისი დრონი, და სცადა მიესადაგებინა მათთვის პიროვნებათა ის უფლებანი, რომელთაც იგი პარაგრაფების მიხედვით ანაწილებდა. გაოცებას მიეცა იმის გამო, რომ ასე დიდხანს აღმოჩნდა ჩაფლული უქმ შრომაში.

თავი მეცხრამეტე

მეორე დღეს თავადი ანდრეი სადარბაზოდ ეწვია რამდენიმე ოჯახს, სადაც იგი ჯერ არ ყოფილა, და, სხვათა შორის, როსტოვებს, რომლებთანაც ნაცნობობა მან უკანასკნელ ბალზე განაახლა. ზრდილობის კანონებს გარდა, რომელთა მიხედვითაც მას როსტოვები უნდა მოენახულებინა, თავად ანდრეის უნდოდა შინ ენახა ეს განსაკუთრებული, ცოცხალი გოგონა, რომელმაც ასეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

ნატაშა ერთი პირველთაგანი შეხვდა თავად ანდრეის. მას საშინაო ლურჯი კაბა ეცვა და ამ ტანსაცმელში იგი უფრო ლამაზი ეჩვენა სტუმარს, ვიდრე საბალო სამოსში. ნატაშამ და როსტოვების მთელმა ოჯახმა თავადი ანდრეი ისე მიიღეს, როგორც ძველი ნაცნობი, უბრალოდ და გულთბილად. მთელი ოჯახი, რომელსაც წინათ თავადი ანდრეი სასტიკად სჯიდა, ახლა საუცხოო, უბრალო და კეთილ ადამიანებად მოეჩვენა. მოხუცი გრაფის სტუმართმოყვარეობა და გულკეთილობა, გასაოცარი მეტადრე პეტერბურგში, ეგზომ ძლიერი იყო, რომ თავადმა ანდრეიმ უარი ვეღარ განაცხადა სადილზე. „დიახ, კეთილი და ჩინებული ადამიანები არიან, – ფიქრობდა ბოლკონსკი, – რომელთაც, ოდნავადაც არ ესმით, რა განძი მოეპოვებათ ნატაშას სახით. კეთილი ადამიანები, რომელნიც საუკეთესო ფონს წარმოადგენენ იმისთვის, რომ მასზე გამოირჩეოდეს განსაკუთრებულად პოეტური, სიცოცხლით აღსავსე, საუცხოო გოგონა!“

თავადი ანდრეი გრძნობდა, რომ ნატაშა მისთვის სრულიად უცხო, განსაკუთრებული სამყარო იყო, აღსავსე რაღაც მისთვის უცნობი სიხარულით, დიახ, უცხო სამყარო, რომელიც ასე აღიზიანებდა ჯერ კიდევ მაშინ, ოტრადნოეს ხეივანში, მთვარიან ღამეში. ახლა ეს სამყარო აღარ აღიზიანებდა და აღარ იყო მისთვის უცხო, პირიქით, თვითონ შედგა ფეხი ამ სამყაროში და ახალ სიამოვნებას პოულობდა იქ.

სადილის შემდეგ ნატაშა, თავად ანდრეის თხოვნით, კლავიკორდთან მივიდა და სიმღერა დაიწყო. თავადი ანდრეი ფანჯარასთან იდგა, მანდილოსნებს ესაუბრებოდა და ყურს უგდებდა სიმღერას. შუა ფრაზაზე თავადი ანდრეი შეჩერდა, მოულოდნელად იგრძნო, რომ ცრემლი ახრჩობდა; მას არ ახსოვდა, რომ ცრემლი მორეოდა ოდესმე თვალზე. თავადმა ანდრეიმ შეხედა ნატაშას და მის გულში რაღაც ახალი და ბედნიერი ჩაისახა. ბედნიერი იყო იგი და იმავე დროს დამწუხრებულიც. სატირალი სრულიად არავითარი მიზეზი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მზად იყო, ცრემლი წასკდომოდა. რაზე? წინანდელ სიყვარულზე? პატარა კნიაგინიაზე? თავისი იმედების გაცრუებაზე?.. თავის მომავალ იმედებზე?.. ჰოც და არაც. მთავარი, რაზეც მას მოუწონდა ტირილი, იყო ის, რომ ერთბაშად ცოცხლად შეიგრძნო ის საშინელი დაპირისპირება, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, მასში მყოფ რაღაც უსაზღვროდ დიდსა და გაურკვეველს, ხოლო მეორე მხრივ, იმ რაღაც ვიწროსა და ხორციელს შორის, რომელსაც წარმოადგენდა თვით იგი და ნატაშაც კი. ეს დაპირისპირება გულს უწყალებდა და თანაც ახარებდა ნატაშას სიმღერის დროს.

ნატაშამ სიმღერა დაასრულა, თავად ანდრეისთან მივიდა და ჰკითხა, როგორ მოგწონთ ჩემი ხმაო, ჰკითხა ეს და შერცხვა თავისივე კითხვისა. მიხვდა, რომ ეს არ უნდა ეკითხა. თავადმა ანდრეიმ გაიღიმა, შეხედა ნატაშას და უთხრა, რომ მას მოსწონს მისი სიმღერა, ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც ის აკეთებს.

თავადი ანდრეი გვიან საღამოთი წავიდა როსტოვებიდან. ჩვეულებისამებრ დაწვა დასადინებლად, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ძილი არ ეკარებოდა. იგი ხან სანთელს უკიდებდა და ლოგინში წამოჯდებოდა, ხან დგებოდა ლოგინიდან და კვლავ წვებოდა. უძილობა სრულიად არ აწუხებდა: ისეთ სიხარულსა და სიახლეს გრძნობდა, თითქოს ჰაერდახშული ოთახიდან მზის სინათლეზე გავიდაო. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ნატაშა უყვარდა, არც ფიქრობდა მასზე: მან მხოლოდ წარმოიდგინა იგი და ამის გამო მთელი თავისი ცხოვრება ახლებურად წარმოესახა. „რატომ ვიმტვრევ თავს, რატომ ვფუსფუსებ ამ ვიწრო, ჩაკეტილ ჩარჩოში, როცა ცხოვრება მთელი თავისი სიხარულით გადაშლილა ჩემ წინაშე?“ – ეუბნებოდა იგი თავის თავს. და დიდი ხნის შემდეგ, იგი პირველად შეუდგა ბედნიერი გეგმების დასახვას მომავლისთვის. მან გუნებაში გადაწყვიტა ხელი მოეკიდა თავისი შვილის აღზრდისთვის, მოენახა აღმზრდელი და ჩაეხარებინა იგი მისთვის. შემდეგ სამსახურიდან გამოვა და საზღვარგარეთ წავა, ინახულებს ინგლისს, შვეიცარიას, იტალიას. „უნდა ვისარგებლო თავისუფლებით, სანამ ასე უხვად ვგრძნობ ძალასა და ახალგაზრდობას, – ეუბნებოდა იგი თავის თავს,

– პიერი მართალი იყო, როცა მეუბნებოდა, რომ ადამიანს უნდა სწამდეს ბედნიერების შესაძლებლობა, რათა ბედნიერი გახდეს, და მე ახლა მწამს იგი, დაე, მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდრები, მე კი, სანამ ცოცხალი ვარ, უნდა ვიცხოვრო და ბედნიერი ვიყო“, – ფიქრობდა იგი.

თავი მეოცე

ერთ დილით პოლკოვნიკი ადოლფ ბერგი, რომელსაც პიერი იცნობდა ისე, როგორც ყველას მოსკოვსა და პეტერბურგში, სუფთა მუნდირში გამოწვეპილი, საფეთქლებზე, სადაც თმა წინ ჰქონდა წამოწეული, პომადაწაცხებული, როგორც ეს ხელმწიფე ალექსანდრე პავლოვიჩმა იცოდა, შინ ეწვია პიერს.

– ამ წუთში მე თქვენს მეუღლესთან გახლდით და იმდენად უიღბლო გამოვდექი, რომ ჩემი თხოვნა შეუწყნარებელი დარჩა; იმედი მაქვს, გრაფ, რომ თქვენ უფრო მოწყალე თვალთ გადმომხედავთ, – მიმართა მან პიერს ღიმილით.

– რა გნებავთ, პოლკოვნიკო? მზად ვარ, გემსახუროთ.

– მე უკვე საბოლოოდ მოვეწყვე ახალ ბინაზე, გრაფ, – აცნობა ბერგმა, ალბათ დარწმუნებულმა, რომ ამ ამბავმა არ შეიძლება სიამოვნება არ მოჰგვაროს გრაფსო, – ამიტომ გადავწყვიტე, გავმართოთ მცირე სალამო ჩემი და ჩემი ცოლის ნაცნობებისთვის (მან კვლავ სიამოვნებით გაიღიმა). მინდოდა მეთხოვა გრაფინიასთვის და თქვენთვის, პატივი დამდოთ და მეწვიოთ ჭიქა ჩაიზე და... ვახშამზე.

მხოლოდ გრაფინიას, ელენა ვასილევნას, შეეძლო იმდენი სიმკაცრე გამოეჩინა, რომ უარი განეცხადებინა ასეთ მიწვევაზე, – ელენა ვასილევნას, რომელმაც დამამცირებლად ჩათვალა თავისთვის ვიღაც ბერგების საზოგადოება. ბერგმა ისე ცხადად აუხსნა პიერს, რატომ სწადია პატარა, მაგრამ კარგი საზოგადოების შეკრება თავის ოჯახში, რატომ იქნება ეს მისთვის სასიამოვნო და რატომ ვერ იმეტებს ის ფულს ბანქოსთვის და რაიმე ცუდი საქმისთვის, ხოლო კარგი საზოგადოებისთვის მზად არის ხარჯიც კი გასწიოს, რომ პიერმა უარის თქმა ვერ მოახერხა და დაჰპირდა, – მოვალე.

– მხოლოდ გვიან ნუ ინებებთ მობრძანებას, გრაფ: გავბედავ და გთხოვთ, მობრძანდეთ ასე, რვას რომ ათი წუთი დააკლდება. ბანქოს გავაწყობთ, ჩვენი გენერალი იქნება. მეტად მოწყალედ მეპყრობა. ვივახშმებთ, გრაფ! მაშ, დამდეთ პატივი.

წვეულებაზე პიერი მუდამ იგვიანებდა. ამ ჩვეულების წინააღმდეგ, ბერგებს იგი ეწვია არა რვას რომ ათი წუთი აკლდა, არამედ რვას რომ თხუთმეტი წუთი აკლდა.

ბერგებმა მოიმარაგეს ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო სალამოსთვის და მზად იყვნენ სტუმრების მისაღებად.

ბერგი თავისი ცოლით პატარა ქანდაკებებით, სურათებითა და ახალი ავეჯით მორთულ ახალ, სუფთა და ნათელ კაბინეტში იჯდა. იგი, ღილებშეკრულ ახალ მუნდირში გამოწყობილი, გვერდით ეჯდა თავის ცოლს და უხსნიდა, რომ მუდამ შეიძლება იქონიო და უნდა იქონიო კიდევ ნაცნობობა ისეთ ადამიანებთან, რომელნიც შენზე მაღლა დგანან, რადგან მხოლოდ ასეთ ნაცნობობას მოაქვს სიამოვნებაო.

– მიჰბაძავ კარგ რამეში, შეიძლება სთხოვო კიდევ რამე. აბა, დააკვირდი, როგორ ვცხოვრობდი მე პირველი ჩინებიდან (ბერგი თავის ცხოვრებას ითვლიდა არა წლების, არამედ უმაღლესი ჯილდოების მიხედვით). ჩემი ამხანაგები ჯერ კიდევ არარას წარმოადგენენ, მე კი პოლკის უფროსის ვაკანსიაზე ვირიცხები. ბედნიერება მაქვს თქვენს ქმრად ვითვლებოდე (ბერგი წამოდგა და ხელზე აკოცა ვერას, ხოლო სანამ ამას გააკეთებდა, გზაზე ხალიჩის გადაკეცილი კუთხე გაასწორა). მერე რით მოვიპოვე

ყოველივე ეს? უმთავრესად იმით, რომ ვიცი ნაცნობების არჩევა. თავისთავად ცხადია, რომ სათნო და წესიერი ადამიანი უნდა იყო.

ბერგმა გაიღიმა, მას შეგნებული ჰქონდა თავისი უპირატესობა სუსტ ქალთან შედარებით, მერე გაჩუმდა და გაიფიქრა, რომ მისი საყვარელი ცოლი, რაც უნდა იყოს, სუსტი ქალია და ვერ ჩასწვდება ყოველივე იმას, რაც მამაკაცის ღირსებას შეადგენს – იყოს ნამდვილი მამაკაცი. იმავე დროს ვერამაც გაიღიმა, თავის მხრივ მასაც შეგნებული ჰქონდა თავისი უპირატესობა კარგი და სათნო ქმრის წინაშე, რომელსაც, როგორც ყველა მამაკაცს, ვერას წარმოდგენით, ცხოვრება მაინც მცდარად ესმოდა. ბერგს თავისი ცოლის მიხედვით ყველა ქალი სუსტ და სულელ არსებად მიაჩნდა. ვერაც მარტოოდენ თავისი ქმრის მიხედვით (და ამ შეხედულებას იგი ყველა მამაკაცზე ავრცელებდა) ფიქრობდა, რომ მამაკაცებს გონიერად მხოლოდ თავიანთი თავი მიაჩნიათ, ნამდვილად კი მათ არაფერი ესმით, ამაცნი და ეგოისტები არიანო.

ბერგი წამოდგა, ფრთხილად გადაეხვია ცოლს, რათა მაქმანის წამოსასხამი არ დაეკმუჭნა, რაც ასე ძვირი დაუჯდა, და ტუჩებში აკოცა.

– მხოლოდ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ასე მალე არ უნდა გვეყოლოს ბავშვები, – თქვა მან იდეათა შეუცნობელი ფილიაციის[173] ზეგავლენით.

– მე სულ არ ვარ შვილების მოსურნე, – მიუგო ვერამ, – საზოგადოებისთვის უნდა ვიცხოვროთ.

– სწორედ ასეთივე ეცვა თავად იუსუპოვის ცოლს, – თქვა ბერგმა ბედნიერი და გულკეთილი ღიმილით და მოსასხამზე მიუთითა.

ამ დროს აუწყეს მაპინძლებს – გრაფი ბეზუხოვი მოვიდაო. ცოლ-ქმარმა კმაყოფილი ღიმილით გადახედა ერთმანეთს, ერთიც და მეორეც თავის თავს მიაწერდა სტუმრის მოსვლის პატივს.

„აი, რას ნიშნავს იცოდე ნაცნობების არჩევა“, – გაიფიქრა ბერგმა.

„აი, რას ნიშნავს იცოდე თავის დაჭერა“, – გაიფიქრა ვერამ.

– მხოლოდ გთხოვ, როცა სტუმარს ვართობ, – მიმართა ვერამ ქმარს, – შენ ნუ გამაწყვეტინებ, იმიტომ, რომ მე ვიცი, როგორ გავართო ესა თუ ის სტუმარი და რომელ საზოგადოებაში რაზე უნდა ვილაპარაკო.

ბერგმა გაიღიმა.

– ასე როგორ შეიძლება: ზოგჯერ მამაკაცს მამაკაცურად უნდა ელაპარაკო, – მიუგო მან.

პიერი ახალთახალ სასტუმრო ოთახში მიიღეს, სადაც შეუძლებელი იყო დაჯდომა ისე, რომ სიმეტრია, სისუფთავე და წესრიგი არ დაგერღვია. ამიტომ სავსებით გასაგები იყო და არცთუ უცნაური, რომ ბერგი მზად იყო სულგრძელად დაერღვია ძვირფასი სტუმრისთვის სავარძლის თუ დივნის სიმეტრია, მიიწია თავისკენ სკამი, და იმავე წუთს ბერგმა და ვერამ დაიწყეს სალამო – ისინი ართობდნენ სტუმარს და ერთმანეთს აწყვეტინებდნენ საუბარს.

ვერამ გონებაში გადაწყვიტა, რომ პიერის გასართობად საჭიროა ლაპარაკის ჩამოგდება საფრანგეთის საელჩოზე, და იმავე წუთს საუბარი გააბა კიდეც ამ საგანზე. ხოლო ბერგმა, თავის მხრივ, გადაწყვიტა, რომ საჭიროა მამაკაცური ლაპარაკიცო, იმიტომ გააწყვეტინა ცოლს სიტყვა და შეეხო ავსტრიასთან ომის საკითხს, მაგრამ თავისდა უნებურად გადაუხვია საერთო საგანს და გადავიდა პირად მოსაზრებებზე იმის შესახებ. თუ როგორ შესთავაზეს მას ავსტრიის ლაშქრობაში მონაწილეობა და რატომ განაცხადა უარი ამ წინადადებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საუბარი დაულაგებლად მიმდინარეობდა და ვერა ჯავრობდა მამაკაცური ელემენტის ჩარევის გამო, ორივე მეუღლე სიამოვნებით გრძნობდა, რომ, ერთი

სტუმრის მიუხედავად, საღამო კარგად დაიწყო და რომ ეს საღამო, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავდა ყველა სხვა საღამოს ლაპარაკით, ჩაით და ანთებული სანთლებით.

მალე ბორისიც მოვიდა, ბერგის ძველი ამხანაგი. იგი ერთგვარი უპირატესობისა და მფარველობის ელფერით მიმართავდა ბერგსა და ვერას. ბორისის შემდეგ მოვიდა მანდილოსანი პოლკოვნიკთან ერთად. შემდეგ – თვით გენერალი, მერე – როსტოვები, და საღამო უკვე ეჭვს გარეშე, სავსებით დაემსგავსა ყველა სხვა საღამოს. ბერგი და ვერა ძლივს იკავებდნენ სიხარულის ღიმბლს, როცა თავიანთ სასტუმრო ოთახში ასეთ მოძრაობას ხედავდნენ. ესმოდათ არეული მითქმა-მოთქმა, ხმაური, ტანისამოსის შრიალი და მისალმებანი. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც სხვასთან; განსაკუთრებით ჩვეულებრივი იყო გენერალიც, რომელმაც მხარზე ხელი მოუყვაცუნა ბერგს, ბინა მოუწონა და მამობრივი თვითნებობით გასცა განკარგულება, – დაედგათ მაგიდა ბოსტონისთვის[174]. გენერალი გრაფ ილია ანდრეიჩის მიუჯდა, როგორც ყველაზე საპატიო კაცს თავის შემდეგ. მოხუცები მოხუცებთან დასხდნენ, ახალგაზრდები – ახალგაზრდებთან, ხოლო დიასახლისი – ჩაის მაგიდასთან, რომელზეც სწორედ ისეთივე ნამცხვარი ელაგა ვერცხლის კალათით, როგორც პანინების საღამოზე: ყველაფერი ისევე იყო, როგორც სხვებთან.

თავი ოცდამეერთე

პიერს, როგორც ერთ-ერთ საპატიო წევრს, ილია ანდრეიჩთან, გენერალთან და პოლკოვნიკთან ერთად ბოსტონის თამაშში უნდა მიეღო მონაწილეობა. ბოსტონის მაგიდასთან პიერს ნატაშას პირდაპირ მოუხდა ჯდომა, და ბალის შემდეგ მასში მომხდარმა უცნაურმა ცვლილებამ გააოცა იგი. ნატაშა მდუმარედ იჯდა და არათუ არ იყო ლამაზი, ისეთი, როგორც ბალზე, არამედ ულამაზოც იქნებოდა, მეტად მშვიდი და გულგრილი გამომეტყველება რომ არ ჰქონოდა.

„რა დაემართა?“ – გაიფიქრა პიერმა, როცა შეხედა მას. ნატაშა დის გვერდით იჯდა ჩაის მაგიდასთან. იგი უხალისოდ აძლევდა პასუხს ბორისს, რომელიც გვერდით მიუჯდა. ნატაშა არც კი უყურებდა მას. ამ დროს პიერს ქაღალდი მოუვიდა და თავისი თანამონაწილე ამხანაგის გასახარად ხუთჯერ მოიგო ფული. ფულის შეგროვების დროს მას ფეხის ხმა და ოთახში შემოსულთა მისალმება მოესმა და მან კვლავ ნატაშას შეხედა.

„რა დაემართა?“ – უფრო მეტად გაკვირვებული ეკითხებოდა თავს პიერი.

თავადი ანდრეი ნაზი და მზრუნველი გამომეტყველებით იდგა ნატაშას წინ და რაღაცას ეუბნებოდა. ის კი თავაწეული და წამოწითლებული შესცქეროდა თავად ანდრეის. ეტყობოდა, აჩქარებული სუნთქვის შეკავებას ცდილობდა. მასში კვლავ ანთო რაღაც შინაგანი, ერთხანს ჩამქრალი ცეცხლის კაშკაშა შუქი. ნატაშა მთლად შეიცვალა. ახლა იგი ისეთივე ლამაზი იყო, როგორც ბალზე.

თავადი ანდრეი პიერთან მივიდა და პიერმა მეგობრის გამომეტყველებაშიც შეამჩნია რაღაც ახალი, ჭაბუკური.

პიერს ქაღალდის თამაშის დროს რამდენჯერმე მოუხდა ადგილის შეცვლა. იგი ხან ზურგით იჯდა ნატაშასკენ, ხან პირდაპირ უცქერდა და მთელი ექვსი რობერის[175] განმავლობაში აკვირდებოდა ქალიშვილსა და თავის მეგობარს.

„რაღაც დიდად მნიშვნელოვანი ხდება მათ შორის“, – ფიქრობდა პიერი და სასიხარულო და იმავდროულად მწუხარე გრძნობა აღელვებდა და ავიწყებდა თამაშს.

ექვსი რობერის შემდეგ გენერალი წამოდგა, ასე თამაში შეუძლებელიაო, თქვა და პიერმა თავისუფლება მიიღო. ნატაშა ერთ მხარეს სონიასა და ბორისს ელაპარაკებოდა, ვერა ეშმაკური ღიმილით ეუბნებოდა რაღაცას თავად ანდრეის. პიერი თავის მეგობართან მივიდა, ჰკითხა, – საიდუმლო ხომ არაფერია, რაზეც თქვენ ლაპარაკობთო და გვერდით მიუჯდა. ვერამ შენიშნა, როგორ აქცევდა ყურადღებას თავადი ანდრეი ნატაშას, ამიტომ საჭიროდ მიიჩნია, რომ ამ საღამოს, ამ ნამდვილ საღამოს, აუცილებლად ჩამოეგდო გადაკრული ლაპარაკი გრძნობებზე. და იხელთა თუ არა დრო, როცა თავადი ანდრეი მარტო იყო, დაიწყო ლაპარაკი გრძნობებზე და კერძოდ, თავის დაზე. ვერას უნდოდა ასეთ ჭკვიან კაცთან საუბარში (როგორადაც თავადი ანდრეი მიაჩნდა) გამოეყენებინა თავისი დიპლომატიური ხელოვნება.

როცა პიერი მათთან მივიდა, შენიშნა, რომ ვერა, თვითკმაყოფილებით გამსჭვალული ლაპარაკში გართულიყო, ხოლო თავადი ანდრეი დარცხვენილი გამოიყურებოდა (რაც იშვიათად ემართებოდა მას).

– როგორ ფიქრობთ? – ეშმაკური ღიმილით ეკითხებოდა ვერა, – თქვენ, თავადო, მეტად შორსმჭვრეტელი ბრძანდებით, ერთბაშად ახერხებთ ხასიათის გამოცნობას. ჰოდა, რას ფიქრობთ ნატალიზე, შეუძლია თუ არა მას ერთგული იყოს სიყვარულში, შეუძლია თუ არა მას, როგორც სხვა ქალებს (ვერა თავის თავს გულისხმობდა), ერთხელ შეიყვაროს მამაკაცი და სამუდამოდ მისი ერთგული დარჩეს? ამას ვეძახი მე ნამდვილ სიყვარულს. თქვენ როგორ ფიქრობთ, თავადო?

– მე საიმისოდ არ ვიცნობ თქვენს დას, რომ ამგვარი რთული საკითხი გადავწყვიტო, – მიუგო თავადმა ანდრეიმ დამცინავი ღიმილით. ამ ღიმილით მას თავისი დარცხვენა უნდოდა დაეფარა, – ამასთან, შემინიშნავს, რაც უფრო ნაკლებად მოსაწონია ქალი, მით უფრო ერთგულია იგი, – დაუმატა მან და პიერს შეხედა, რომელიც ამ დროს მათთან მივიდა.

– დიახ, ეგ მართალია, თავადო! ჩვენს დროში, – განაგრძო ვერამ (გაიხსენა ჩვენი დრო ისევე, როგორც უყვართ ხოლმე მისი გახსენება გონებაშეზღუდულ ადამიანებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ გამონახეს და დააფასეს ჩვენი დროის თავისებურებანი და რომ ადამიანთა თვისებანი დროის მიხედვით იცვლებიან), – ჩვენს დროში ქალიშვილს იმდენი თავისუფლება აქვს, რომ le plaisir d'être courtisée (სურვილი, ჰყავდეს თავყვანისმცემლები), ხშირად ახშობს მასში ნამდვილ გრძნობას. Et Nathalie, il faut l'avouer, y est très sensible (უნდა გამოვტყდე, ნატალი ამ მხრივ ძალიან მგრძნობიარეა).

ლაპარაკის ისევ ნატალიზე ჩამოგდებამ აიძულა თავადი ანდრეი კვლავ უსიამოვნოდ შეექმუხნა შუბლი. მას ადგომა უნდოდა, მაგრამ ვერამ განაგრძო ლაპარაკი უფრო ეშმაკური ღიმილით.

– არავის ყმაწვილკაცები ისე არ ევლებოდნენ თავს, როგორც ნატალის, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მას არავინ სერიოზულად არ მოსწონებია. აი, თქვენ იცით, გრაფ, – მიმართა მან პიერს, – ჩვენი საყვარელი cousin ბორისიც კი, რომელიც entre nous (ჩვენ შორის) უნდა ითქვას, ძალიან იყო ჩართული dans le pays du tendre (მიჯნურობის ქვეყანაში)[176]...

თავადი ანდრეი მოღუშული იყო და დუმდა.

– თქვენ და ბორისი ხომ მეგობრები ხართ? – ჰკითხა ვერამ.

– დიახ, ვიცნობ...

– ალბათ, უამბია თქვენთვის თავის ბავშვურ სიყვარულზე ნატაშასადმი.

– იყო კი ბავშვური სიყვარული? – იკითხა თავადმა ანდრეიმ და უეცრად წამოწითლდა.

– დიახ, იყო. Vous savez entre cousin et cousine cette intimité mène quelquefois à l'amour: le cousinage est un dangereux voisinage, N'est ce pas (მოგეხსენებათ, ასეთი დაახლოება ბიძაშვილებს შორის ძალიან ხშირად სიყვარულით მთავრდება. ბიძაშვილობა საშიში მეზობლობაა, ხომ მართალს ვამბობ)?

– უეჭველად, უეჭველად, – მიუგო თავადმა ანდრეიმ და უეცრად, არაბუნებრივად გამოცოცხლდა და დაუწყო ხუმრობა პიერს იმაზე, თუ რამდენი სიფრთხილე მართებს მას, პიერს, თავის ორმოცდაათი წლის მოსკოველ კუზინებთან მოპყრობაში, და შუა საუბარში წამოდგა, პიერს მკლავში ხელი გამოსდო და განზე გაიყვანა.

– რას იტყვი? – ჰკითხა პიერმა, რომელიც გაკირვებული შეჰყურებდა თავისი მეგობრის უცნაურ განწყობას და რომელმაც შენიშნა, თუ როგორ გადაავლო მან ნატაშას თვალი ადგომისას.

– უნდა მოგელაპარაკო, უსათუოდ უნდა მოგელაპარაკო, – მიმართა თავადმა ანდრეიმ პიერს, – გეხსომება ჩვენი მასონური ხელთათმანები (გულისხმობდა იმ მასონურ ხელთათმანებს, რომლებსაც ახალარჩეულ ძმას აძლევდნენ საყვარელი ქალისთვის გადასაცემად), – მე... მაგრამ არა... მერე მოგელაპარაკები... – და უცნაურად გაბრწყინებული თვალებით და შეჭირვებული მოძრაობით იგი ნატაშასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. პიერმა დაინახა, როგორ ჰკითხა რაღაც თავადმა ანდრეიმ ნატაშას და როგორ უპასუხა წამოწითლებულმა ქალმა.

მაგრამ ამ დროს პიერთან ბერგი მივიდა და დაჟინებით სთხოვა მონაწილეობა მიეღო კამათში ესპანეთის შესახებ გენერალსა და პოლკოვნიკს შორის.

ბერგი კმაყოფილი და ბედნიერი იყო. სიხარულის ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს. სადამო მეტად კარგი იყო და სწორედ ისეთი, როგორც მის მიერ ნანახი სხვა სადამოები: მანდილოსნების გადაკრული ლაპარაკი, ქალაღდის თამაში, ზანქოს მაგიდასთან მჯდარი გენერალი, რომელიც მალიმალ ხმას იმალლებდა, სამოვარი, ნამცხვარი – ყველაფერი ისეთივე იყო, მაგრამ ერთი რამ აკლდა მის სადამოს, ის, რასაც ბერგი ხშირად ხედავდა იმ სადამოებზე, რომლებსაც იგი ჰხამავდა. აკლდა ხმამაღალი ლაპარაკი მამაკაცებს შორის და კამათი რაიმე მნიშვნელოვანსა და ჭკვიანურზე. გენერალმა დაიწყო ასეთი ლაპარაკი და მასში ჩასაბმელად მიიწვია ბერგმა პიერი.

თავი ოცდამეორე

მეორე დღეს თავადი ანდრეი გრაფ ილია ანდრეიჩის თხოვნით როსტოვებთან მოვიდა სადილად და მთელი დღე მათთან გაატარა.

ოჯახში ყველა გრძნობდა, ვისთვის დადიოდა თავადი ანდრეი მათთან და თვით ისიც არ მალავდა, ცდილობდა მთელ დღეს ნატაშასთან ყოფილიყო. არა მარტო დამფრთხალი, მაგრამ ბედნიერი და აღტაცებული ნატაშას გულში, არამედ მთელ ოჯახში იგრძნობოდა შიში რაღაც მნიშვნელოვნის წინაშე, რომელიც უნდა მომხდარიყო. გრაფინია ნაღვლიანი, მწუხარე და სერიოზულ-სასტიკი თვალებით შეჰყურებდა თავად ანდრეის, როცა იგი ნატაშას ელაპარაკებოდა, და მორცხვად და თვალთმაქცურად იწყებდა ლაპარაკს, როცა თავადი ანდრეი მისკენ მიიხედავდა. სონიას ეშინოდა მოშორებოდა ნატაშას, თან ფიქრობდა ხელი არ შეეუშალო. ნატაშა ფითრდებოდა მოლოდინის შიშით, როცა იგი ერთი წუთით პირისპირ რჩებოდა თავად ანდრეისთან. იგი აოცებდა ნატაშას თავისი გაუბედაობით. ქალი გრძნობდა, რომ მას რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა.

როცა სადამოთი თავადი ანდრეი წავიდა, გრაფინია ნატაშასთან მივიდა და ჩურჩულით ჰკითხა:

– რაო?

– დედა, ღვთის გულისათვის, ნურაფერს მეკითხებით ახლა, არ შეიძლება ამის თქმა, – მიუგო ნატამამ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ საღამოს ნატამა დიდხანს იწვა დედის ლოგინში ხან აღელვებული, ხან შემინებული და გაშეშებული თვალებით. იგი უამბობდა დედას, თუ როგორ აქებდა თავადი ანდრეი მას, ნატამას, როგორ ეუბნებოდა, საზღვარგარეთ წავალო, როგორ ჰკითხავდა, სად იცხოვრებენ ისინი ამ ზაფხულს, როგორ ეკითხებოდა ბორისზე.

– მაგრამ ასეთი რამ... არასოდეს არ დამმართნია, – ამბობდა ნატამა, – მხოლოდ მეშინია მასთან, მუდამ მეშინია მასთან. რას ნიშნავს ეს? მაშ, ეს ნამდვილია, ნამდვილი? დედა, გმინავთ?

– არა, ჩემო ძვირფასო, არ მმინავს. მე თავად მეშინია, – მიუგო დედამ, – წადი ახლა.

– სულერთია, არ დავიძინებ, სისულელეა ძილი! დედა, დედა, ასეთი რამ არასოდეს არ დამმართნია! – ამბობდა ნატამა გაოცებული და შეშინებული იმ გრძნობის წინაშე, რომელიც დაუფლებოდა მას, – განა შეგვეძლო ამაზე ფიქრი!..

ნატამას ეჩვენებოდა, თითქოს თავადი ანდრეი შეუყვარდა ჯერ კიდევ ოტრანდოეში, პირველი ნახვისთანავე. მას თითქოს აშინებდა ეს უცნაური, მოულოდნელი ბედნიერება; მას, ვინც ნატამამ ჯერ კიდევ მაშინ აირჩია (ნატამა მტკიცედ იყო ამაში დარწმუნებული), სწორედ მას ახლა კვლავ შეხვდა და ეტყობა, არც ის უნდა იყოს მისდამი გულგრილად. „არა, თითქოს განგებ ჩამოვიდა პეტერბურგში სწორედ მაშინ, როცა ჩვენ აქ ვართ, თითქოს განგებ შევხვდით იმ ბალზე. ბედია, ნამდვილად ბედია. ცხადია, ბედმა შეგვყარა. ჯერ კიდევ მაშინ, დავინახე თუ არა, ვიგრძენი რაღაც განსაკუთრებული“.

– რა გითხრა მერე? რა ლექსია ის ლექსი? წამიკითხე... – უთხრა ჩაფიქრებულმა დედამ იმ ლექსზე, რომელიც თავადმა ანდრეიმ ალბომში ჩაუწერა ნატამას.

– დედა, სამარცხვინო ხომ არ არის, რომ ქვრივია?

– აბა, რას ამბობ, ნატამა? შევედრე უფაღს. Les Mariages se font dans les cieux (შეუღლება ზეცაში წყდება).

– ჩემო კარგო დედილო, როგორ მიყვარხართ! რა საუცხოოდ ვგრძნობ თავს! – შესძახა ბედნიერებისა და მღელვარებისგან აცრემლებულმა ნატამამ და დედას გადაეხვია.

სწორედ ამ დროს თავადი ანდრეი პიერთან იჯდა, თავის სიყვარულზე ელაპარაკებოდა და თავის მტკიცე გადაწყვეტილებაზე, – შეერთო ნატამა.

ამ დღეს გრაფ ბეზუხოვის მეუღლეს ელენა ვასილევნას რაუტი[177] ჰქონდა. იყო საფრანგეთის ელჩი, იყო პრინცი, რომელიც ერთხანს ხშირ სტუმრად იქცა გრაფინიას სახლში, იყვნენ ბრწყინვალე მანდილოსნები და მამაკაცები. პიერი ქვემოთ იყო. მან დარბაზები მოიარა და ყველანი გააოცა თავისი გულჩათხრობილი, აბნეული და დაღვრემილი სახით.

პიერი ბალის შემდეგ იპოქონდრიის[178] შეტევის მოახლოებას გრძნობდა და თავგამოდებით ცდილობდა შებრძოლებოდა მას. იმის შემდეგ, რაც პრინცი მის ცოლს დაუახლოვდა, პიერს მოულოდნელად კამერჰერობა ებოძა და ამ დღიდან იგი იტანჯებოდა და სირცხვილით იწვოდა დიდ საზოგადოებაში. უფრო და უფრო ხშირად წამოუვლიდა ხოლმე წინანდელი მწარე ფიქრები ყოველივე ადამიანური ამოების შესახებ. იმავე დროს ამ სევდიან განწყობილებას უფრო აძლიერებდა მის მიერ შენიშნული გრძნობა მისი მფარველობის საგნად ქცეულ ნატამასა და თავად ანდრეის შორის, კიდევ უფრო მეტად უსვამდა ხაზს განსხვავებას, მისსა და მისი მეგობრის მდგომარეობას შორის. ის ერთნაირად გაურბოდა ფიქრებს თავის ცოლზე და ნატამასა და თავად ანდრეიზე. მარადისობასთან შედარებით კვლავ არარაობად ეჩვენებოდა ყველაფერი, კვლავ ებადებოდა კითხვა: „რისთვის?“ და

პიერი აიძულებდა თავს ემუშავა, დღედაღამ ემუშავა მასონთა საქმეებზე და ამით იმედოვნებდა განედევნა ბოროტი სულის მიახლოვება. 12 საათზე თავისი ცოლის ოთახებიდან გასული პიერი გაცვეთილი ხალათით იჯდა თავის მაგიდასთან, ზემოთ, თამბაქოს ბოლით სავსე დაბალ ოთახში და ნამდვილი შოტლანდიური აქტების გადაწერაზე მუშაობდა, როცა ვიღაც შევიდა მასთან ოთახში. ახალშესული თავადი ანდრეი იყო.

– აა, თქვენ ხართ? – წამოიძახა პიერმა აბნეული და უკმაყოფილო სახით, – მე კი აი, ვმუშაობ, – და რვეულზე მიუთითა იმ ბედშავი ადამიანის გამომეტყველებით, რომელსაც მუშაობა ცხოვრების უბედურებისგან თავის დასაღწევ საქმედ მიაჩნია.

თავადი ანდრეი, გაბრწყინებული და აღფრთოვანებული, პიერის წინ გაჩერდა; თავადმა ანდრეიმ შენიშნა მისი მწუხარე სახე და ბედნიერების ეგოიზმით გამოწვეული ღიმილით გაუღიმა.

– აი, ჩემო კარგო, – მიმართა მან პიერს, – გუშინ მინდოდა მეთქვა შენთვის და დღეს ამისთვის მოვედი. არასოდეს მსგავსი რამ არ განმიცდია. შეყვარებული ვარ, მეგობარო.

პიერმა უეცრად მძიმედ ამოიოხრა და თავისი მძიმე სხეულით დივანზე დაეშვა თავად ანდრეის გვერდით.

– ნატაშა როსტოვა გიყვარს, ხომ? – ჰკითხა მან.

– დიახ, დიახ, სხვა ვინ უნდა მიყვარდეს? არასოდეს არ დავიჯერებდი ასეთ რამეს, მაგრამ ეს გრძნობა ჩემზე ძლიერია. გუშინ ვეწამე, დავიტანჯე, მაგრამ ამ ტანჯვას არაფერზე არ გავცვლი. წინათ მე არ მიცხოვრია, ახლა ვცხოვრობ მხოლოდ, მაგრამ უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლია. მაგრამ შეუძლია თუ არა მას შემეყვაროს მე?.. მე ხნიერი ვარ მისთვის... რატომ არაფერს მეტყვი?..

– მე? მე? ხომ გითხარით, – უეცრად თქვა პიერმა, ფეხზე წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო, – მე მუდამ ვფიქრობდი ამაზე... ის გოგონა დიდი განძია, დიდი... იშვიათი გოგონაა... საყვარელო მეგობარო. გთხოვთ, ჰკუთას ძალას ნუ დაატანთ, ეჭვს ნუ შეიტანთ, შეირთეთ, შეირთეთ, დიახ, შეირთეთ... დარწმუნებული ვარ, თქვენზე ბედნიერი კაცი არ იქნება.

– მერე ის?

– მას უყვარხართ თქვენ.

– სისულელეს ნუ ამბობ, – უთხრა თავადმა ანდრეიმ ღიმილით და თვალებში ჩააცქერდა.

– უყვარხართ, ვიცი, – წამოიძახა გაჯავრებულმა პიერმა.

– არა, მომისმინე, – თქვა თავადმა ანდრეიმ და ხელით შეაჩერა, – იცი, რა მდგომარეობაში ვარ? მე ყველაფერი უნდა ვუამბო ვინმეს.

– თქვი, თქვი, დიდად მოხარული ვიქნები, – ეუბნებოდა პიერი, და მართლაც შეეცვალა სახე, ნაოჭი გაუქრა, და სიხარულით უგდებდა ყურს თავად ანდრეის.

თავადი ანდრეი სრულიად შეცვლილი ჩანდა და იყო კიდევ ასე. სად გაქრა მისი სევდა, მისი სიძულვილი ცხოვრებისადმი, იმედის გატეხა? პიერი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც იგი ყველაფერში უტყდებოდა, ყველაფერში, რაც კი გულში ედო. იგი ხან ადვილად და მამაცურად უშლიდა პიერს ხანგრძლივი მომავლის გეგმებს, ამბობდა, რომ მამის უხიაკობისთვის ვერ გაწირავს თავის ბედნიერებას, რომ აიძულებს მამას თანხმობა განაცხადოს ამ ქორწინებაზე და შეიყვაროს ნატაშა ან მისი თანხმობის გარეშეც იოლად წავა, ხან აკვირვებდა ის გრძნობა, რომელიც მას დაეუფლა და რომელიც რაღაც უცნაურ, უცხო და მისგან დამოუკიდებელ გრძნობად მიაჩნდა.

– ვერ დავიჯერებდი, ჩემთვის რომ ეთქვა ვისმეს, ასე შეყვარებას შევძლებდი, – ამბობდა თავადი ანდრეი, – ეს სრულებით არ არის ის გრძნობა, რომელიც წინათ განვიცადე. მთელი სამყარო ჩემთვის ორად არის გაყოფილი: ერთ ნახევარს წარმოადგენს ის და იქ არის მთელი ბედნიერება, იმედი, სინათლე: მეორე ნახევარია ყველაფერი დანარჩენი, სადაც არ არის ის, იქ სასოწარკვეთილება და სიბნელეა...

– სიბნელე და წყვილია, – გაიმეორა პიერმა, – დიახ, დიახ, მესმის.

– არ შემიძლია არ მიყვარდეს სინათლე. მე დამნაშავე არა ვარ ამაში. და მე დიდად ბედნიერი ვარ. გესმის თუ არა? ვიცი, რომ შენც გახარებს ჩემი ბედნიერება.

– დიახ, დიახ, – დაუმოწმა პიერმა, იგი ცრემლმომდგარი და მწუხარე თვალებით შეჰყურებდა თავად ანდრეის. რაც უფრო ნათელი ეჩვენებოდა მას თავად ანდრეის ბედი, მით უფრო ბნელად ესახებოდა საკუთარი.

თავი ოცდამესამე

ქორწინებისთვის საჭირო იყო მამის თანხმობა და ამისთვის თავადი ანდრეი მეორე დღესვე წავიდა მასთან.

მამამ გარეგანი სიმშვიდით, მაგრამ შინაგანი წყრომით მიიღო შვილის მიერ გადაცემული ამბავი. მას ვერ გაეგო, როგორ უნდა მოეწადინებინა ვინმეს ცხოვრების შეცვლა, მასში რაიმე ახლის შეტანა, როცა ცხოვრება მისთვის უკვე დასრულებული იყო. „დამაცადონ, უკანასკნელი დღეები გავატარო ისე, როგორც მე მინდა, მერე ისე მოიქცენ, როგორც მოესურვებათ“, – ამბობდა იგი თავისთვის. ასე ფიქრობდა გულში, მაგრამ შვილთან მაინც იმ დიპლომატიას მიმართა, რომელსაც მნიშვნელოვან შემთხვევებში იყენებდა ხოლმე. მან წყნარად და დინჯად განსაჯა ყველაფერი.

ჯერ ერთი, ეს ქორწინება არ არის ბრწყინვალე ნათესაობის, სიმდიდრისა და წარჩინების მხრივ; მეორე, თავადი ანდრეი არცთუ იმდენად ახალგაზრდაა, თანაც ჯანმრთელობით სუსტი (მოხუცმა განსაკუთრებით ამ მხარეს მიაქცია ყურადღება), ქალი კი ძალზე ახალგაზრდაა. მესამე, თავად ანდრეის ჰყავს შვილი, რომელიც ცოლია, რომ გოგოს ჩაუვარდეს ხელში. ბოლოს, მეოთხე, – უთხრა მოხუცმა შვილს და დაცინვით შეხედა თვალებში: – გთხოვ, გადადო საქმე ერთი წლით, წახვიდე საზღვარგარეთ და იმპურნალო, გამოძებნო, როგორც თვითონ გაქვს განზრახული, გერმანელი თავად ნიკოლაისთვის და მერე, თუ მაინცდამაინც ძლიერი იქნება სიყვარული, გატაცება თუ ჯიუტობა, როგორც გენებოს, დაქორწინდი. ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვაა, იცოდე, უკანასკნელი...“ – დაამთავრა თავადმა ისეთი კილოთი, რომელიც ცხადყოფდა, რომ ვერავინ აიძულებდა მას ამ გადაწყვეტილების შეცვლას.

თავადი ანდრეი ცხადად ხედავდა ყველაფერს: მოხუცს იმედი ჰქონდა, რომ ერთი წლის გამოცდას ვერ გაუძლებდა მისი შვილის ან მისი მომავალი სარძლოს გრძნობა, ან იმ დროისთვის თვითონ მოხუცი თავადი მოკვდებოდა. გაითვალისწინა ეს და გადაწყვიტა, შეესრულებინა მამის სურვილი: მიეცა ნატაშასთვის წინადადება, – გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ ქორწინება ერთი წლით გადაეღო.

როსტოვებთან გატარებული უკანასკნელი საღამოდან სამმა კვირამ განვლო და თავადი ანდრეი პეტერბურგს დაბრუნდა.

წინა ღამის ლაპარაკის შემდეგ, რომელიც დედა-შვილს ჰქონდა, ნატაშა მთელ დღეს ელოდა ბოლკონსკის, მაგრამ იგი არ გამოჩნდა. არ გამოჩნდა იგი არც მეორე და არც მესამე დღეს. პიერიც არსად

ჩანდა. ნატაშამ არ იცოდა, რომ თავადი ანდრეი მამასთან წავიდა, ამიტომ ვერაფრით აეხსნა მისი მიუსვლელიობა.

ასე გაიარა სამმა კვირამ. ნატაშას არსად არ უნდოდა გასვლა, უსაქმოდ და სევდიანად, როგორც ჩრდილი, ისე დადიოდა იგი ოთახებში; საღამოობით ყველასგან ფარულად ტიროდა და აღარც დედასთან შედიოდა საწოლ ოთახში. განუწყვეტლივ წითლდებოდა და ბრაზობდა. ეჩვენებოდა, თითქოს ყველამ იცოდა მისი იმედგაცრუება, თითქოს დასცინოდნენ და იბრალებდნენ. ძლიერი იყო მისი შინაგანი მწუხარება და მედიდურობის ნიადაგზე წარმოშობილი ეს მწუხარება უფრო აძლიერებდა მის უბედურებას.

ერთხელ დედასთან მივიდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ უეცრად ატირდა. მისი ცრემლები ნაწყენი ბავშვის ცრემლები იყო, რომელმაც თვითონაც არ იცის, რისთვის დასაჯეს.

დედამ დამშვიდება დაუწყო. ნატაშამ ჯერ ყური დაუგდო დედის სიტყვებს, მერე გააწყვეტინა:

– ნუ მეუბნებით, დედა, მაგას, არ ვფიქრობ მაგაზე და არც მინდა ვიფიქრო. რაც იყო, იყო: დადიოდა, მერე გადაიფიქრა და აღარ დადის...

ნატაშას ხმა აუკანკალდა, კინაღამ ტირილი აუვარდა, მაგრამ თავი შეიკავა და მშვიდად განაგრძო:

– სულაც არ მინდა გათხოვება. მეშინია კიდეც. ახლა მთლად დამშვიდებული ვარ, მთლად...

მეორე დღეს ამ ლაპარაკის შემდეგ ნატაშამ ჩაიკვია ის ძველი კაბა, რომელიც განსაკუთრებული იმით იყო, რომ სიხარულს ჰგვრიდა დილაობით, და დილიდანვე დაუბრუნდა წინანდელ ცხოვრებას, რომელსაც ბალის შემდეგ ჩამოშორდა. ჩაის შემდეგ დარბაზში შევიდა, რომელიც უყვარდა ძლიერი რეზონანსის გამო, და შეუდგა ვარჯიშს სიღრმეში. პირველი ვარჯიშის დამთავრების შემდეგ შუა დარბაზში შეჩერდა და ერთი მუსიკალური ფრაზა გაიმეორა, რომელიც განსაკუთრებით მოეწონა. მან სიხარულით მიუგდო ყური იმ სიმშვენსიერეს (თითქოს მოულოდნელს მისთვის), რომლითაც ამ ხმებმა აავსეს დარბაზის მთელი სივრცე, და ნელ-ნელა მიყუჩდნენ, და უეცრად სიხარულმა აიტაცა. „რა საჭიროა ბევრი ფიქრი მასზე, ისედაც კარგია ცხოვრება“, – თქვა ნატაშამ თავისთვის და დარბაზში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. იგი კრიალა იატაკზე უბრალოდ ნაბიჯებს კი არ ადგამდა, არამედ ქუსლიდან (ახალი, საყვარელი ფეხსაცმელი ეცვა) ფეხის წვერზე გადადიოდა და ისევე გახარებული უგდებდა ყურს ქუსლის ამ მწყობრ ხმაურს და ფეხის წვერის წრიპინს, როგორც თავისი ხმის ბგერებს. სარკესთან გავლისას შიგ ჩაიხედა. „აი, ეს მე გახლავართ! – თითქოს ამბობდა მისი სახის გამომეტყველება სარკეში, – ჰოდა, კეთილი, არავინ ჩემთვის საჭირო არ არის“.

ლაქიას შესვლა უნდოდა დარბაზში და მილაგება, მაგრამ ნატაშამ არ შეუშვა. კვლავ მიხურა კარი და განაგრძო სიარული. იგი ამ დილით ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ მდგომარეობას – საკუთარი თავის სიყვარულსა და აღტაცებას. „არა, რა მშვენებია ეს ნატაშა! – თქვა მან თავის თავზე მესამე პირის, მამრობითი სქესის სიტყვებით, – ლამაზია, ხმა აქვს, ახალგაზრდაა და არავის ხელს არ უშლის, გაანებეთ მხოლოდ თავი და მოასვენეთ“. მაგრამ რაც უნდა გაენებებინათ თავი და მოესვენებინათ, ნატაშას მოსვენება აღარ შეეძლო და ეს მან მაშინვე იგრძნო.

წინა ოთახში გარედან შესასვლელი კარი გაიღო, ვიღაცამ იკითხა, შინ არიანო? და მოისმა ვიღაცის ფეხის ხმა. ნატაშა სარკეში იყურებოდა, მაგრამ თავის თავს ვერ ხედავდა, ყურს უგდებდა ხმებს წინა ოთახში. როცა თავისი თავი დაინახა, სახე გაფითრებული ჰქონდა. ახალშემოსული ის იყო. ნატაშამ დანამდვილებით იცოდა ეს, თუმცა დახურული კარიდან ძლივს მოესმა მისი ხმა.

გაფითრებული და შეშინებული ნატაშა სასტუმრო ოთახში შევარდა.

- დედა, ბოლკონსკი მოვიდა, – თქვა მან, – საშინელებაა, დედა, აუტანელი! დედა, არ მინდა... ვიტანჯო! რა ვქნა?
- გრაფინიამ ვერ მოასწრო პასუხის გაცემა, რომ თავადი ანდრეი შეშფოთებული და სერიოზული სახით სასტუმრო ოთახში შევიდა. დაინახა თუ არა ნატაშა, სახე გაუბრწყინდა. მან ხელზე აკოცა გრაფინიას და ნატაშას და დივანთან დაჯდა.
- დიდი ხანია ბედნიერება აღარ გვექონია... – დაიწყო გრაფინიამ, მაგრამ თავადმა ანდრეიმ სიტყვა გააწყვეტინა. მას პასუხი უნდოდა გაეცა კითხვაზე და აშკარაა ჩქარობდა ეთქვა ის, რისი თქმაც ესაჭიროებოდა.
- მე მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ვყოფილვარ თქვენთან, რადგან მამასთან ვიყავი, უნდა მომელაპარაკა მნიშვნელოვან საქმეზე. დავბრუნდი მხოლოდ წუხელ, – თქვა მან და ნატაშას გადახედა, – მინდა მოგელაპარაკოთ, – მიმართა მან გრაფინიას მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ.
- გრაფინიამ ღრმად ამოიხვნეშა და თვალები დახარა.
- მზად ვარ თქვენი სამსახურისთვის.
- ნატაშამ იცოდა, რომ უნდა გასულიყო, მაგრამ რატომღაც ვერ ახერხებდა გასვლას, რაღაც მოაწვა ყელში და არათავაზიანად, გაშტერებული, ღია თვალებით შეჰყურებდა თავად ანდრეის.
- „ახლავე? ამ წუთში?... არა, შეუძლებელია!“ – ფიქრობდა იგი.
- თავადმა ანდრეიმ კვლავ შეხედა ნატაშას, და ამ შეხედვამ დაარწმუნა ახალგაზრდა ქალი, რომ იგი არ შემცდარა: დიახ, ახლა, ამ წუთში წყდებოდა მისი ბედი.
- გადი, ნატაშა, მერე დაგიძახებ, – წასჩურჩულა დედამ.
- ნატაშამ შეშინებული, მავედრებელი თვალებით შეხედა თავად ანდრეის და დედას, მერე გავიდა.
- მოვედი იმისთვის, რომ გთხოვოთ თქვენი ქალიშვილის ხელი, – მიმართა თავადმა ანდრეიმ გრაფინიას.
- ამ უკანასკნელს სახე წამოენთო, მაგრამ არაფერი უთქვამს.
- თქვენი წინადადება... – დაიწყო ბოლოს დარბაისლურად გრაფინიამ. თავადი ანდრეი თვალებში შეჰყურებდა გაჩუმებული, – თქვენი წინადადება (მას შერცხვა) სასიამოვნოა ჩვენთვის... მე ვიღებ მას და მოხარული ვარ... ჩემი ქმარიც... ვიმედოვნებ... მაგრამ თვით ნატაშაზე არის დამოკიდებული...
- ვეტყვი მაშინ, როცა თქვენს თანხმობას მივიღებ... თანახმა ბრძანდებით თქვენ თუ არა? – ჰკითხა თავადმა ანდრეიმ.
- თანახმა ვარ, – მიუგო გრაფინიამ, ხელი გაუწოდა და განრიდებისა და სინაზის შერეული გრძნობით ტუჩებით ბოლკონსკის შუბლს მიეკრა, როცა იგი მისი ხელისკენ დაიხარა. გრაფინიას სწაღდა შვილივით ჰყვარებოდა თავადი ანდრეი, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი უცხო და საშიში იყო მისთვის. – დაარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარი თანახმა იქნება, – დაუმატა მან, – მაგრამ მამათქვენი...
- მამაჩემმა თანხმობის აუცილებელ პირობად დამიდო ის, რომ ქორწინება ერთ წელიწადზე ადრე არ მოხდეს. სწორედ ეს მინდოდა მეცნობებინა თქვენთვის, – მიუგო თავადმა ანდრეიმ.
- მართალია, ნატაშა ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ გადადება ასე დიდი ხნით...
- სხვანაირად შეუძლებელი იყო, – თქვა თავადმა ანდრეიმ და ამოიოხრა.

– ახლავე გამოვგზავნი ნატამას, – მიუგო გრაფინიამ და ოთახიდან გავიდა. „ღმერთო შეგვიწყალო!“ – იმეორებდა იგი და ეძებდა ნატამას.

სონიამ უთხრა, ნატამა საწოლ ოთახშიაო. ნატამა თავის საწოლზე იჯდა, გაფითრებული, მშრალი თვალებით, ხატებს შეჰყურებდა, სწრაფად იწერდა პირჯვარს და რაღაცას ჩურჩულებდა. დედის დანახვაზე ფეხზე წამოიჭრა და მივარდა:

– რაო, დედა? რაო?

– შედი, შედი მასთან, ხელს გთხოვს, – მიუგო დედამ ცივად. როგორც ნატამას ეჩვენა, – შედი... შედი...
– მწუხარედ და სიყვარულით მიაყოლა დედამ ეს სიტყვები გაქცეულ ნატამას და მწარედ ამოიოხრა.

ნატამას არ ახსოვდა, როგორ შევიდა სასტუმრო ოთახში. კარში შესვლისას, დაინახა თუ არა თავადი ანდრეი, შეჩერდა. „ნუთუ ეს უცხო ადამიანი ახლა ყველაფერი გახდა ჩემთვის? – ჰკითხა მან თავის თავს და დაუყოვნებლივ მიუგო, – დიახ, ყველაფერი, მარტო ეს არის ახლა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქვეყანაზე“.

მასთან მისულმა თავადმა ანდრეიმ თვალები ძირს დაუშვა.

– დაგინახეთ თუ არა, იმ წუთიდან შემიყვარდით, – მიმართა მან, – შეიძლება იმედი ვიქონიო?

თავადმა ანდრეიმ ნატამას შეხედა და მისი სახის გამომეტყველების სერიოზულმა აღზნებამ გააოცა იგი. ეს სახე ამბობდა: „რატომ მკითხავთ? რატომ გეპარებათ ეჭვი იმაში, რაც არ შეიძლება არ იცოდეთ? რა საჭიროა ლაპარაკი, როცა სიტყვებით ვერ გამოთქვამ იმას, რასაც გრძნობ?“

ნატამა მიუახლოვდა და გაჩერდა. თავადმა ანდრეიმ მისი ხელი აიღო და აკოცა.

– გიყვარვართ თუ არა?

– დიახ, დიახ! – ჩაილაპარაკა ნატამამ თითქოს წყენით, ხმამაღლა ამოისუნთქა ერთხელ, მეორედ, უფრო ღრმად და ატირდა.

– რატომ ტირით? რა მოგივიდათ?

– რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ! – მიუგო მან ცრემლმორეული ღიმილით, უფრო მეტად დაიხარა მისკენ, წამით ჩაფიქრდა, თითქოს შეეკითხა თავს – შეიძლება თუ არაო ეს, და აკოცა.

თავად ანდრეის მისი ხელი ეჭირა, იგი თვალებში შესცქეროდა ნატამას და ვერ პოულობდა თავის გულში წინანდელ სიყვარულს მისდამი. მის სულში უეცრად რაღაც შეტრიალდა: აღარ იყო გატაცების წინანდელი პოეტური და საიდუმლო სიმშვენიერე, იყო მხოლოდ სიბრალული მის ქალურ და ბავშვური სისუსტისადმი, იყო შიში მისი ერთგულებისა და ნდობის წინაშე, მძიმე და მასთან ერთად სასიხარულო შეგნება მოვალეობისა, რომელმაც სამუდამოდ დააკავშირა იგი ახალგაზრდა ქალთან. ახლანდელი გრძნობა თუმცა წინანდელივით ნათელი და პოეტური არ იყო, მაგრამ იყო უფრო სერიოზული და ძლიერი.

– გადმოგცათ თუ არა maman, რომ ერთ წელიწადზე ადრე ვერ დავექორწინდებით? – ჰკითხა თავადმა ანდრეიმ და თვალებში შეხედა ქალიშვილს.

„ნუთუ ეს მე ვარ, წინანდელი გოგონა-ბავშვი (ასე ამბობდა ყველა ჩემზე), – ფიქრობდა ნატამა, – ნუთუ მე ახლა, ამ წუთიდან, ცოლი ვარ, თანასწორი ამ უცხო, საყვარელი, ჰკვიანი კაცისა, რომელსაც მამაჩემიც კი პატივს სცემს? ნუთუ ეს მართალია? ნუთუ მართალია, რომ ახლა უკვე აღარ შეიძლება ცხოვრებასთან ხუმრობა, რომ ახლა მე უკვე დიდი ვარ, რომ უკვე მეკისრება პასუხისმგებლობა ყოველი ჩემი საქმისა და სიტყვისთვის? ჰო, რა მკითხა მართლა?“

– არა, არ უთქვამს, – მიუგო, მაგრამ ნატაშას არ ესმოდა, რას ეკითხებოდა იგი.

– მაპატიეთ, – თქვა თავადმა ანდრეიმ, – თქვენ მეტად ახალგაზრდა ხართ, მე კი ბევრი რამ განვიცადე ცხოვრებაში. ვშიშობ თქვენთვის. თქვენ არ იცნობთ საკუთარ თავს.

ნატაშა ყურადღებით უგდებდა ყურს, ცდილობდა, გაეგო მისი სიტყვების აზრი, მაგრამ ვერ გაეგო.

– ძალიან მძიმე იქნება ჩემთვის ეს ერთი წელიწადი, რომელიც აგვიანებს ჩემს ბედნიერებას, – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – მაგრამ ამ ხნის განმავლობაში თქვენ შეამოწმებთ თქვენს თავს, გთხოვთ, ერთი წლის შემდეგ გამაბედნიეროთ. მაგრამ თქვენ თავისუფალი ხართ: ჩვენი ნიშნობა საიდუმლოდ დარჩება და თუ დარწმუნდებით, რომ არ გიყვარვართ, ან შეგიყვარდებით... – თქვა თავადმა ანდრეიმ არაბუნებრივი ღიმილით.

– რატომ ამბობთ ამას? – გააწყვეტინა ნატაშამ, – იცოდეთ, რომ მე შემეყვარდით სწორედ იმ დღიდან, როცა პირველად ოტრადნოეში მოხვედით, – თქვა მან, ღრმად დარწმუნებულმა, რომ მართალს ამბობდა.

– ერთ წელიწადში გაიცნობთ საკუთარ თავს...

– მთელი წელიწადი! – უეცრად წამოიძახა ნატაშამ და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ქორწინება ერთი წლით არის გადადებული, – მერე რატომ წელიწადი? რატომ წელიწადი?

თავადმა ანდრეიმ დაუწყო ამ გადადების მიზეზების ახსნა. ნატაშა ყურს არ უგდებდა.

– ნუთუ არ შეიძლება სხვანაირად? – იკითხა მან.

თავადმა ანდრეიმ არაფერი უპასუხა, მაგრამ მის სახეზე ამ გადაწყვეტილების შეცვლის შეუძლებლობა გამოიხატა.

– საშინელებაა! არა, საშინელებაა, საშინელება! – უეცრად ალაპარაკდა ნატაშა და კვლავ ატირდა, – მოგკვდები ერთი წლის ლოდინში. ეს არ შეიძლება, ეს საშინელებაა! – მან შეხედა თავის საქმროს და ტანჯვა და გაკვირვება შენიშნა მის სახეზე.

– არა, არა, ყველაფერს შევასრულებ, – თქვა მან და უეცრად ცრემლები შეაჩერა, – მეტად ბედნიერი ვარ! მამა და დედა ოთახში შემოვიდნენ და საქმრო და საცოლე დალოცეს.

ამ დღიდან თავადი ანდრეი როსტოვებთან დაიარებოდა, როგორც საქმრო.

თავი ოცდამეოთხე

ნიშნობა არ მომხდარა და არც დათქმის ამბავი ეცნობა ვისმეს ბოლკონსკისა და ნატაშას შორის. ეს თავად ანდრეიმ მოითხოვა. ის ამბობდა, რადგან მე ვარ გადადების მიზეზი, მევე უნდა ვზიდო ამ გადადების მთელი სიმძიმეო. ჩემი სიტყვით მე სამუდამოდ შევიბოჭე თავი და არ მინდა ასევე შევბოჭო ნატაშა, მას სრულ თავისუფლებას ვაძლევ: თუ ნახევარი წლის შემდეგ იგრძნობს, რომ არ ვუყვარვარ, უფლება ექნება, უარი მითხრასო.

თავისთავად ცხადია, რომ არც ნატაშას და არც მის მშობლებს გაგონებაც არ უნდოდათ ამისი; მაგრამ თავადმა ანდრეიმ თავისი გაიტანა. იგი ყოველდღე დაიარებოდა როსტოვებთან, მაგრამ ნატაშას არ ეპყრობოდა როგორც საქმრო: ელაპარაკებოდა თქვენობით. და ჰკოცნიდა მხოლოდ ხელზე. თავად ანდრეისა და ნატაშას შორის დათქმის დღის შემდეგ სულ სხვა ურთიერთობა დამყარდა – წინანდელზე უფრო დაახლოებული, უფრო უბრალო. ისინი თითქოს მანამდე ერთმანეთს არ იცნობდნენო. ერთსაც

და მეორესაც უყვარდათ იმის გახსენება, თუ როგორ უყურებდნენ ერთმანეთს, როცა ჯერ კიდევ არაფერი იყვნენ ერთმანეთისთვის; ახლა ორივენი სულ სხვა არსებად გრძნობდნენ თავს: არა თვალთმაქც, როგორც მაშინ, არამედ უბრალო, გულწრფელ ადამიანებად. პირველ ხანებში როსტოვები თავად ანდრეისთან უხერხულად გრძნობდნენ თავს, იგი უცხო ქვეყნიდან მოსულ ადამიანად ეჩვენებოდათ, და ნატაშა დიდხანს აჩვევდა თავად ანდრეის შინაურებს, სიამაყით არწმუნებდა ყველას, რომ ის მხოლოდ მოჩანს ასეთ განსაკუთრებულ ადამიანად, ნამდვილად კი იგი ისეთივეა, როგორც ყველა სხვა, რომ მას არ ეშინია თავად ანდრეისა და არც სხვა ვინმეს უნდა ეშინოდესო. რამდენიმე დღის შემდეგ როსტოვები მიეჩვივნენ თავად ანდრეის და დაურიდებლად განაგრძობდნენ წინანდელ ცხოვრებას, რაშიც თავადი ანდრეიც მონაწილეობდა. მას ეხერხებოდა ლაპარაკი მეურნეობაზე გრაფთან, სამკაულზე – გრაფინიასა და ნატაშასთან, ხოლო ალბომებსა და ქარგვაზე – სონიასთან. ზოგჯერ როსტოვები ურთიერთშორის და თავად ანდრეის წინაშე გაკვირვებას ეძლეოდნენ იმის გამო, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი და ყოველივე როგორ აშკარად მოასწავებდა ამას: თავად ანდრეის სტუმრობაც ოტრადნოეში, როსტოვების ჩასვლაც პეტერბურგს, მსგავსებაც ნატაშასა და თავად ანდრეის შორის, რაც გამდელმა შენიშნა თავად ანდრეის პირველი მისვლის დროს, შეტაკებაც თავად ანდრეისა და ნიკოლაის შორის 1805 წელს და მრავალი სხვა რამ, რაც შინაურებმა შენიშნეს.

სახლში გაბატონებული იყო ის პოეტური მოწყენილობა და სიჩუმე, რაც ყოველთვის თან სდევს საქმროსა და საცოლის ერთად ყოფნას. ხშირად ყველანი ერთად ისხდნენ და დუმდნენ. ზოგჯერ დგებოდნენ და მიდიოდნენ, და საქმრო და საცოლე, მარტოდ დარჩენილნი, მაინც დუმდნენ. იშვიათად ლაპარაკობდნენ ისინი თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე. თავად ანდრეის ეშინოდა და რცხვენოდა ამაზე ლაპარაკის. ნატაშა იზიარებდა ამ გრძნობას, როგორც ყველა სხვა გრძნობას, რასაც მუდამ ხვდებოდა ხოლმე. ერთხელ ნატაშამ დაუწყო გამოკითხვა შვილის შესახებ. თავადი ანდრეი წამოწითლდა, რაც მას ხშირად ემართებოდა ახლა და რაც განსაკუთრებით უყვარდა ნატაშას, და მიუგო, რომ შვილი ჩვენთან არ იცხოვრებსო.

– რატომ? – იკითხა შემკრთალმა ნატაშამ.

– პაპას ვერ წავართმევ ბავშვს, მერე კიდევ...

– როგორ მეყვარებოდა! – წამოიძახა ნატაშამ, რომელიც მიუხვდა აზრს, – ვიცი, თქვენ არ გინდათ არსებობდეს საბაბი თქვენსა და ჩემს გასამტყუნებლად.

მოხუცი გრაფი ზოგჯერ მივიდოდა და აკოცებდა ხოლმე თავად ანდრეის, თანაც ჰკითხავდა რჩევას პეტეის აღზრდის ან ნიკოლაის სამსახურის შესახებ, ხოლო მისი მოხუცი მეუღლე ოხვრით შეჰყურებდა ახალგაზრდებს. სონიას მუდამ ეშინოდა ზედმეტი არ ყოფილიყო და ცდილობდა გამოენახა მიზეზი, რათა მარტო დაეტოვებინა ისინი, მაშინაც კი, როცა მათ ეს არ ესაჭიროებოდათ. როცა თავადი ანდრეი ლაპარაკობდა (მან ძალიან კარგად იცოდა თხრობა), ნატაშა სიამაყით უსმენდა, ხოლო როცა თვითონ ნატაშა ლაპარაკობდა, შიშით და სიხარულით ხედავდა, რომ თავადი ანდრეი ყურადღებით და გამომცდელად შეჰყურებდა მას. ნატაშა შეფიქრიანებული ეკითხებოდა თავის თავს: „რას დაეძებს ჩემში? რის გაგებას ცდილობს თავისი შემოხედვით? ვაითუ არ აღმომაჩნდეს ის, რასაც იგი დაეძებს ამ შემოხედვით?“ ზოგჯერ ნატაშა, როგორც მას სჩვეოდა, უზომო სიხარულს ეძლეოდა, და მაშინ განსაკუთრებით უყვარდა მოსმენა და ცქერა, როგორ იცინოდა თავადი ანდრეი. იგი იშვიათად იცინოდა, მაგრამ სამაგიეროდ როცა გაიცინებდა, გულითა და სულით გაიცინებდა, და ასეთი სიცილის შემდეგ ნატაშა ყოველთვის გრძნობდა, რომ უფრო დაუახლოვდა მას. ნატაშა სავსებით ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ არ ასვენებდა ფიქრი მომავალი და მოახლოებული განშორების წინაშე.

პეტერბურგიდან წასვლის წინაღუდს თავადმა ანდრეიმ როსტოვებთან მიიყვანა პიერი, რომელიც ბალის შემდეგ არც ერთხელ აღარ ყოფილა მათთან. პიერი დაბნეული და დარცხვენილი გამოიყურებოდა. იგი გრაფინიას ელაპარაკებოდა. ნატაშა სონიასთან ერთად ჭადრაკის მაგიდას მიუჯდა და თავადი ანდრეიც მიიხმო თავისთან. ისიც მათთან მივიდა.

– თქვენ ხომ დიდი ხანია იცნობთ ბეზუხოვს? – ჰკითხა მან ნატაშას, – ხომ გიყვართ იგი?

– დიახ, საუცხოო, მაგრამ სასაცილო ადამიანია.

და ქალი, როგორც ყოველთვის, პიერზე სიტყვის ჩამოგდებისას, მოჰყვა ანეკდოტებს მის გულმავიწყობაზე, რომლებსაც ზოგჯერ უგონებდნენ კიდეც მას.

– იცი, ნატალი, მე პიერს ჩვენი საიდუმლოება გავანდე, – უთხრა ნატაშას თავადმა ანდრეიმ, – პიერს ბავშვობიდან ვიცნობ. ოქროს გული აქვს. გთხოვთ, ნატალი, – მიმართა მან უეცრად სერიოზულად, – მე წავალ, ღმერთმა უწყის, რა შეიძლება მოხდეს. იქნებ გადამიყვარ... ვიცი, არ უნდა მეთქვა ეს. ერთ რამეს გთხოვთ: რაც უნდა შეგემთხვეთ, როცა მე აქ არ ვიქნები...

– რა უნდა შემემთხვეს?

– რა მწუხარებაც უნდა განიცადოთ, – განაგრძო თავადმა ანდრეიმ, – გთხოვთ, m-lle Sophie, რაც უნდა შეგემთხვეთ, რჩევისა და დახმარებისთვის მიმართოთ მხოლოდ მას. იგი ყველაზე გულმავიწყი და სასაცილო კაცია, მაგრამ მასავით ოქროს გული არავის არა აქვს.

ვერც მამა და დედა, ვერც სონია, ვერც თვით თავადი ანდრეი ვერ გაითვალისწინებდნენ იმას, თუ როგორ იმოქმედებდა ნატაშაზე საქმროსთან განშორება. აწითლებული და აღელვებული, გამშრალი თვალებით, დადიოდა იგი ამ დღეს ოთახებში და აკეთებდა სრულიად უმნიშვნელო საქმეს, თითქოს არ ესმოდა, რა მოელოდა. არ უტირია იმ წუთსაც, როცა თავადმა ანდრეიმ გამომშვიდობებისას უკანასკნელად აკოცა ხელზე.

– ნუ წახვალთ! – უთხრა მხოლოდ ნატაშამ ისეთი ხმით, რომელმაც სერიოზულად აფიქრებინა თავად ანდრეის, იქნებ მართლა საჭიროა დავრჩყო.

როდესაც იგი წავიდა, მაშინაც არ უტირია ნატაშას; მაგრამ რამდენიმე დღეს უცრემლოდ იჯდა თავის ოთახში, არაფერი აინტერესებდა, და ზოგჯერ ამბობდა მხოლოდ: „რატომ წავიდა, რატომ?“

მაგრამ თავადი ანდრეის წასვლის ორი კვირის შემდეგ ნატაშა, ახლობელთათვის სრულიად მოულოდნელად, გამოერკვა თავისი ზნეობრივი სენისაგან და ისეთივე გახდა, როგორიც წინათ იყო, მხოლოდ შეცვლილი ზნეობრივი ფიზიონომიით, ისევე, როგორც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ბავშვები სულ სხვა სახით დგებიან ხოლმე ლოგინიდან.

თავი ოცდამეხუთე

ჯანით და ხასიათით თავადი ნიკოლაი ანდრეის ბოლკონსკი უკანასკნელ წელს, მას შემდეგ, რაც შვილი საზღვარგარეთ გაგზავნა, ძალზე მოუშვა. წინანდელზე უფრო ბრაზიანი გახდა და მისი უმიზეზო რისხვის ყოველი აფეთქება მეტწილად თავს ატყდებოდა კნიაჟნა მარიას. იგი თითქოს საგანგებოდ გამოუძებნიდა ხოლმე მტკივნეულ ადგილს, რომ რაც შეიძლება მკაცრი ზნეობრივი ტანჯვა მიეყენებინა მისთვის. კნიაჟნას ორი რამ იტაცებდა, ესე იგი, ორი რამ ახარებდა: ძმისწული ნიკოლუშკა და რელიგია. და ორივე ეს გატაცება მოხუცი თავადის თავდასხმისა და დაცინვის საყვარელ საგანს წარმოადგენდა. რაზედაც უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, მას საუბარი გადაჰქონდა ცრუმორწმუნე გაუთხოვარ ქალწულებზე ან განებივრებული ბავშვების თავგასულობასა და გაფუჭებაზე. „შენ გინდა

ის (ნიკოლინკა) აქციო ისეთივე ცრუმორწმუნე გაუთხოვარ ქალწულად, როგორც თვითონ ხარ. მაგრამ ამაოდ ცდილობ: თავად ანდრეის შვილი უნდა და არა ქალწული“, – ეუბნებოდა ის. ან მიმართავდა m-lle Bourienne-ს და ჰკითხავდა მას კნიაჟნა მარიას თანდასწრებით, როგორ მოგწონთ ჩვენი ხუცები და ხატებიო, თანაც ოხუნჯობდა...

იგი განუწყვეტლივ მწარედ შეურაცხყოფდა კნიაჟნა მარიას, ეს უკანასკნელი კი თავს ძალასაც კი არ ატანდა, რომ ეპატიებინა მისთვის. განა შეიძლებოდა დამნაშავე ყოფილიყო იგი მის წინაშე და განა შეეძლო უსამართლო ყოფილიყო მისი მამა, რომელსაც, როგორც კნიაჟნა მარიამ იცოდა, უყვარდა იგი? მერე, რა არის უსამართლობა? კნიაჟნა მარია არასოდეს ჩაფიქრებულა ამ ამაყ სიტყვაზე: „უსამართლობა“. კაცობრიობის რთული კანონები მის თვალში თავს იყრიდნენ ერთ მარტივ და ცხად კანონში – სიყვარულისა და თავგანწირვის კანონში, რომელიც გვამცნო მან, ვინც სიყვარულით ეწამა კაცობრიობისთვის, ეწამა, თუმცა თვით იგი ღმერთია. რა ესაქმებოდა მას, კნიაჟნას, სხვათა სამართლიანობასა თუ უსამართლობასთან? მას თვით უნდა განეცადა ტანჯვა და სიყვარული, და ამას სჩადიოდა კიდევ.

ზამთარში ლისიგორას ეწვია თავადი ანდრეი. მხიარული იყო, მშვიდი და ნაზი, ისეთი, როგორც იგი დიდი ხანია აღარ ენახა კნიაჟნას. ის გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო ძმის ცხოვრებაში, მაგრამ ანდრეის არაფერი უთქვამს თავის სიყვარულზე მარიასთვის. წასვლის წინ თავადი ანდრეი რაღაცაზე დიდხანს ესაუბრა მამას. კნიაჟნამ შენიშნა, რომ წასვლის წინ ერთმანეთის უკმაყოფილო იყო ორივე.

თავად ანდრეის წასვლის შემდეგ მარიამ ლისიგორიდან პეტერბურგში წერილი გაუგზავნა თავის მეგობარ ჟიული კარაგინას. კნიაჟნა ოცნებობდა, როგორც ოცნებობენ ქალიშვილები, მიეთხოვებინა თავისი ძმისთვის ჟიული კარაგინა, რომელიც იმ დროს მგლოვიარედ იყო თურქეთში მოკლული ძმის გამო. კნიაჟნა სწერდა მეგობარს:

„მწუხარება, ეტყობა, ჩვენი საერთო ბედი ყოფილა, ჩემო საყვარელო და სანეტარო მეგობარო, ჟიული.

თქვენი დანაკარგი იმდენად საზარელია, რომ მისი ახსნა ერთი რამით შეიძლება მხოლოდ: იგი განსაკუთრებული წყალობაა ღვთისა, რომელსაც – თქვენდამი სიყვარულით გამსჭვალულს – სურს გამოგცადოთ თქვენ და თქვენი საუცხოო დედა. დიახ, რელიგიას, ჩემო მეგობარო, მხოლოდ ერთადერთ რელიგიას შეუძლია, – აღარ ვამბობ, გვანუგემოს, – გადაგვარჩინოს სასოწარკვეთილებისგან; ერთადერთ რელიგიას შეუძლია აგვიხსნას ის, რის გაგებასაც მის დაუხმარებლად ვერ შეძლებს ადამიანი: რისთვის, რატომ მოუწოდებს ღმერთი თავისთან კეთილ, დიად ადამიანებს, რომელნიც ახერხებენ ბედნიერების მოპოვებას ცხოვრებაში, რომელნიც არათუ ვნებენ სხვებს, არამედ საჭირონიც არიან სხვების გასაბედნიერებლად, ხოლო რჩებიან და განაგრძობენ ცხოვრებას ბოროტი, უსარგებლო, მავნე ადამიანები ან ისეთები, რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებიან თავიანთ თავსაც და სხვებსაც. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პირველმა სიკვდილმა, რომელიც მე ვნახე და რომელიც არასოდეს დამავიწყდება, – ჩემი საყვარელი რძლის სიკვდილმა. სწორედ ისე, როგორც თქვენ ეკითხებით ბედს, – რატომ უნდა მომკვდარიყო თქვენი საუცხოო ძმა, სწორედ ასევე ვეკითხები მეც: რატომ უნდა მომკვდარიყო ის ანგელოზი – ლიზა, რომელსაც არათუ რაიმე ბოროტება არ მიუყენებია ვინმესთვის, არამედ არასოდეს კარგის მეტი სხვა არაფერი არ გაუვლია გულში. მერე რა, ჩემო მეგობარო? აი, განვლო მას შემდეგ ხუთმა წელიწადმა და მე ჩემი უმნიშვნელო ჰკუთით უკვე ცხადად ვიწყებ იმის გაგებას, თუ რატომ უნდა მომკვდარიყო იგი და რატომ წარმოადგენდა ეს სიკვდილი მხოლოდ შემოქმედის დაუსრულებელი მადლის გამოხატულებას, – შემოქმედისა, რომლის ყოველი მოქმედებაც (თუმცა ეს მოქმედებანი მეტწილად გაუგებარნი არიან ჩვენთვის) წარმოადგენს თავისი ქმნილებისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულის მარტოოდენ გამოამჟღავნებას. იქნებ ის, –

ხშირად ვფიქრობ მე, – მეტად უმანკო იყო, ანგელოზებზე უმანკო იმისთვის, რომ ძალა შესწევნოდა გადაეტანა დედის ყველა მოვალეობა. იგი, როგორც ახალგაზრდა ცოლი, უმწიკვლო იყო: იქნებ მას არ შეეძლო დედობა. ახლა მან არათუ დაგვიტოვა ჩვენ, მეტადრე თავად ანდრეის, უაღრესად წრფელი შებრალება და მოგონება, – უეჭველად მიიღებს ისეთ ადგილს, როგორის იმედსაც მე ვერ ვიქონიებ. მაგრამ, მასზედაც რომ არაფერი ვთქვათ, ამ ნაადრევმა და საზარელმა სიკვდილმა, მიუხედავად მთელი მწუხარებისა, უაღრესად კეთილი გავლენა იქონია ჩემზე და ჩემს ძმაზე. მაშინ, დაკარგვის წუთებში, ასეთი აზრი ვერ დამებადებოდა თავში, მაშინ შეძრწუნებული უკუვაგდებდი ამგვარ რამეს; ახლა კი მეტად ცხადი და უეჭველია ყოველივე ეს. გწერთ ყოველსავე ამას, მეგობარო, იმიტომ, რომ დაგარწმუნოთ სახარების სიტყვების ჭეშმარიტებაში: ღვთის უნებურად, მისი ნება-სურვილის გარეშე, არც ერთი ღერი თმაც არ მოსწყდება ადამიანს თავიდან, – სიტყვები, რომლებიც ჩემთვის ცხოვრების წესად გადაიქცნენ. ღვთის ნება-სურვილი კი ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ უსაზღვრო სიყვარულით ჩვენდამი. ამიტომ ყველაფერი, რაც უნდა დაგვემართოს, ყველაფერი ჩვენი სიკეთისთვის ხდება. მეკითხებით, – გავატარებთ თუ არა ჩვენ მომავალ ზამთარს მოსკოვში? არა მგონია და არც მსურს, თუმცა თქვენი ნახვის დიდი სურვილი მაქვს. გაგიკვირდებათ, რომ ამის მიზეზი ბუნაპარტეა და აი, რატომ: მამაჩემის ჯანმრთელობა საგრძნობლად სუსტდება, იგი ვეღარ იტანს სიტყვის შებრუნებას და ბრაზდება. ეს გაბრაზება, როგორც მოგეხსენებათ, მიმართულია უმთავრესად პოლიტიკური საქმეებისკენ. მას ვერ აუტანია ის აზრი, რომ ბუნაპარტე ევროპის ხელმწიფეებთან, – მეტადრე ჩვენს ხელმწიფესთან, ეკატერინე დიდის შვილიშვილთან, – საქმეს აწარმოებს ისე, როგორც თანასწორებთან. თქვენ იცით, რომ მე სავსებით გულგრილად ვეკიდები პოლიტიკურ საქმეებს, მაგრამ მამაჩემის სიტყვებიდან და მისი ლაპარაკიდან მიხაილ ივანოვიჩთან, ვიცი ყველაფერი, რაც დედამიწაზე ხდება, ვიცი განსაკუთრებით, რა პატივით ეპყრობიან ბუნაპარტეს, რომელიც, მგონი, მარტო ლისიგორაში არ მიგვაჩნია არც დიდ ადამიანად და არც, მით უმეტეს, საფრანგეთის იმპერატორად. და მამაჩემს არ შეუძლია ამისი ატანა. იგი უხალისოდ ლაპარაკობს მოსკოვში წამოსვლაზე. მე მგონია, იმიტომ, რომ პოლიტიკურ საქმეებზე თავისი შეხედულების გამო, ეშინია შეტაკებებისა, რომლებსაც გამოიწვევს დაურიდებლად აზრის გამოთქმის მისი მანერა. იმას, რასაც მკურნალობა შესძენს, დაკარგავს ბუნაპარტეზე კამათის დროს, რაც აუცილებლად მოსალოდნელია. ყოველ შემთხვევაში, წასვლის საკითხი მალე გადაწყდება. ჩვენი ოჯახური ცხოვრება ძველებურად მიმდინარეობს, გარდა იმისა, რომ ჩემი ძმა ანდრეი ამჟამად აქ იმყოფება. ის, როგორც უკვე გწერთ, უკანასკნელ დროს ძალიან გამოიცვალა. იმ უბედურების შემდეგ ზნეობრივად ჩემი ძმა სავსებით გამოცოცხლდა მხოლოდ ახლა, ამ წელს. იგი ისეთივე გახდა, როგორსაც ბავშვობისას ვიცნობდი: კეთილი, ნაზი, ისეთი ოქროს გულით, როგორსაც არ შევხვედრივარ. ვგონებ, მიხვდა, რომ მისი ცხოვრება ჯერ არ დასრულებულა. მაგრამ ამ ზნეობრივ ცვლილებასთან ერთად, ფიზიკურად ძალიან დასუსტდა. წინანდელზე უფრო გახდა, უფრო განერვიულდა. ვშიშობ მისთვის და მიხარია, რომ საზღვაგარეთ აპირებს გამგზავრებას, რასაც ექიმები დიდი ხანია ურჩევენ. ვიმედოვნებ, რომ ეს გამგზავრება გამოამრთელებს. თქვენ მწერთ, რომ პეტერბურგში მასზე ლაპარაკობენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოქმედ, განათლებულ და ჭკვიან ახალგაზრდა კაცზე. მაპატიეთ ნათესაობით გამოწვეული მიკერძოება: მე ამაში არასოდეს ეჭვი არ მეპარებოდა. ჩამოთვლაც კი შეუძლებელია იმ სიკეთისა, რომელიც მან აქ მოუტანა ყველას, როგორც თავის გლეხებს, ისე თავადაზნაურებს. პეტერბურგში ჩამოსულმა აიღო ის, რაც მას ეკუთვნოდა. გაცოცხლებული ვარ, როგორ აღწევნ საერთოდ პეტერბურგიდან მოსკოვამდე ხმები, მეტადრე ცრუხმები, ისეთი, რაზედაც თქვენ იწერებით – ვითომ ჩემს ძმას პატარა როსტოვა შეერთოს ცოლად. არა მგონია, რომ ანდრეიმ ვინმე შეერთოს და განსაკუთრებით ის, და აი რატომ: ჯერ ერთი – თუმცა ჩემი ძმა იშვიათად ლაპარაკობს განსვენებულ ცოლზე, მაგრამ ვიცი, რომ ამ დაკარგვით გამოწვეულმა მწუხარებამ იმდენად ღრმად დაიბუდა მის

გულში, რომ არასოდეს მოისურვებს გამოუნახოს მას შემცვლელი, ხოლო ჩვენს პატარა ანგელოზს – დედინაცვალი. მეორე – რამდენადაც ვიცი, ის ქალიშვილი არ ეკუთვნის იმ ჯურის ქალებს, რომელნიც თავად ანდრეის შეიძლება მოეწონოს. არა მგონია, რომ თავადმა ანდრეიმ აირჩიოს ის თავის ცოლად. გულახდილად ვიტყვი: არც მე მსურს. მაგრამ მე ძალიან გავერთე წერაში, უკვე მეორე ფურცელს ვასრულებ. მშვიდობით, ჩემო საყვარელო მეგობარო! უფალი ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი! ჩემო საყვარელო მეგობარო, m-Ile Bourienne გკოცნით.

თავი ოცდამეექვსე

შუა ზაფხულში კნიაჟნა მარიამ შვეიცარიიდან თავად ანდრეისგან მოულოდნელად მიიღო წერილი, რომლითაც იგი ატყობინებდა დას უცნაურ და მოულოდნელ ამბავს. თავადი ანდრეი აცნობებდა დას თავის დათქმას როსტოვასთან. მთელი წერილი გამსჭვალული იყო თავად ანდრეის აღზნებული სიყვარულით თავისი საცოლისადმი და ნაზი მეგობრობითა და ნდობით დისადმი. იწერებოდა, რომ არასოდეს არავინ არ მყვარებია ისე, როგორც მიყვარს ახლა და რომ მხოლოდ ახლა გავიგე და გავიცანი ცხოვრებაო. სთხოვდა დას, ეპატიებინა, რომ ლისიგორაში უკანასკნელად ყოფნის დროს არაფერი უთხრა თავის გადაწყვეტილებაზე, თუმცა მამას უკვე ელაპარაკა; არაფერი უთხრა დას იმიტომ, რომ კნიაჟნა დაუწყებდა მამას თხოვნას – დათანხმებულიყო ქორწინებას და რაკი ვერაფერს გააწყობდა, გააბრაზებდა მოხუცს და მთელი მისი მრისხანება მასვე დაატყდებოდა თავს. თუმცა, სწერდა ძმა, მაშინ საქმე ჯერ კიდევ არ იყო ისე საბოლოოდ გადაწყვეტილი, როგორც ახლაო. „მაშინ მამამ ერთი წლის ვადა დამინიშნა; ამ ვადიდან ნახევარი, ექვსი თვე უკვე გავიდა, და მე ახლა უფრო მტკიცედ ვდგავარ ჩემს გადაწყვეტილებაზე, ვიდრე ოდესმე. ექიმები რომ არ მაკავებდნენ აქ, წყლებზე, უკვე რუსეთში ვიქნებოდი, მაგრამ ახლა ჩემი დაბრუნება სამი თვით კიდევ უნდა გადავდო. შენ მიცნობ მე და იცი, როგორი ურთიერთობა მაქვს მამასთან. მე არაფერი მინდა მისგან, მუდამ დამოუკიდებელი ვიყავი და ვიქნები შემდეგშიც, მაგრამ რაიმეს ჩადენა მისი სურვილის წინააღმდეგ, მისი რისხვის გამოწვევა მაშინ, როცა შესაძლოა მისი ჩვენთან ყოფნის დღეები დათვლილია, გაანახევრებს ჩემს ბედნიერებას. ახლა მე წერილს ვწერ მამას ამაზევე და გთხოვ, შეურჩიო დრო, გადასცე ეს წერილი და მაცნობო, რა თვალთ უყურებს იგი ამ საქმეს და არის თუ არა იმედი, რომ იგი თანახმა გახდეს შემიმცირდეს ვადა სამი თვით?“

ხანგრძლივი ყოყმანის, ეჭვებისა და ლოცვის შემდეგ კნიაჟნამ წერილი მამას გადასცა. მეორე დღეს მოხუცმა თავადმა მშვიდად უთხრა:

– მისწერე ძმას, რომ დაიცადოს, სანამ მოვკვდებოდე... დიდი ხანი არ მოუხდება ცდა, მალე გავათავისუფლებ...

კნიაჟნას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მამამ არ დააცადა და უფრო და უფრო აიმაღლა ხმა:

– შეირთე, შეირთე, ჩემო ძვირფასო! კარგი ნათესაობა გეყოლება... ჭკვიანი ხალხია, ხომ? მდიდარი ხალხია, ხომ? დიახ! კარგი დედინაცვალი ეყოლება ნიკოლუმკას. მისწერე, რომ თუნდ ხვალვე შეირთოს. ნიკოლუმკას დედინაცვალი ეყოლება – ის იქნება დედინაცვალი, მე კი ბურიენკას შევირთავ!.. ჰა, ჰა, ჰა! შევირთავ, რომ არც ის დარჩეს უდედინაცვლოდ. ერთი რამ მხოლოდ: ჩემს სახლში მეტი დიაცი აღარ არის საჭირო. დაე, შეირთოს და თავისთვის იცხოვროს. იქნებ შენც მასთან გადახვიდე? – მიმართა მან თავის ქალს, – ღმერთმა ხელი მოგიმართო!.. გზა მშვიდობისა, გზა მშვიდობისა... გზა მშვიდობისა!..

ამ აფეთქების შემდეგ თავადს აღარაფერი უთქვამს ამ საქმეზე. მაგრამ შეკავებული წყენა შვილის სულმოკლეობის გამო გამოიხატა მამის დამოკიდებულებაში ქალიშვილთან. დაცინვის წინანდელ საბაბებს მიემატა ახალი – ლაპარაკი დედინაცვალზე და ალერსის გამოხატვა m-lle Bourienne-ისადმი.

– რატომ არ უნდა შევირთო იგი? – ეუბნებოდა მოხუცი ქალიშვილს, – საუცხოო კნიაგინია იქნება!

და შეშფოთებული და გოცნებული კნიაჟნა უკანასკნელ დროს ამჩნევდა, რომ მამა მართლაც უფრო და უფრო იახლოვებდა ფრანგ ქალს. კნიაჟნამ მისწერა მმას, როგორ მიიღო მამამ მისი წერილი, თანაც ანუგეშებდა და იმედს აძლევდა, ვეცდები, შევარიგო მამა ამ აზრსო.

ნიკოლუშკა და მისი აღზრდა, André და რელიგია – ესენი წარმოადგენდნენ კნიაჟნას ნუგეშსა და სიხარულს. მაგრამ, ამას გარდა, რაკი ყოველ ადამიანს საკუთარი იმედები ესაჭიროება, კნიაჟნა გულის სიღრმეში ატარებდა ფარულ ოცნებას და იმედს, რომლებიც ანიჭებდნენ მას მთავარ ნუგეშს ცხოვრებაში. ეს მანუგეშებელი ოცნება და იმედი ჩაუნერგეს ღვთის კაცებმა – მწირმა და ღვთისგლახა ადამიანებმა, რომლებიც მოხუცი თავადის ფარულად დაიარებოდნენ მასთან. რაც უფრო დიდხანს ცხოვრობდა კნიაჟნა მარია, რაც უფრო მეტად განიცდიდა და აკვირდებოდა იგი ცხოვრებას, მით უფრო აკვირვებდა მას იმ ადამიანთა სიბეცე, რომელნიც აქ, დედამიწაზე დაემებდნენ ნეტარებასა და ბედნიერებას; რომელნიც შრომობდნენ, იტანჯებოდნენ, იბრძოდნენ და ვნებას აყენებდნენ ერთმანეთს ამ არარსებული, ბოროტი და მოჩვენებითი ბედნიერების მისაღწევად. „თავად ანდრეის უყვარდა ცოლი, ის მოკვდა; მან არ იკმარა ეს და ახლა მოწადინებულია თავისი ბედნიერება სხვა ქალს დაუკავშიროს. მამას არ უნდა ეს, იმიტომ, რომ სურს მისთვის მეუღლე უფრო წარჩინებული და მდიდარი ოჯახიდან. და ყველა ისინი იბრძვიან და იტანჯებიან. აწამებენ და იბილწავენ სულს, ისეთი სიკეთის მისაღწევად, რომელიც თვალის დახამხამებაზე ქრება. ჩვენ თვითონ ვიცით ყოველივე ეს, მაგრამ არ ვუჯერებთ საკუთარ თავს, – ქრისტე ღმერთი, ძე ღვთისა, ჩამოვიდა ამქვეყნად და გვითხრა, ეს ცხოვრება წამიერია, გამოცდააო. ჩვენ კი მაინც ვებლაუჭებით მას და ვფიქრობთ, აქ მოვიპოვოთ ბედნიერება. როგორ ვერავინ ვერ მიმხვდარა ამას, – ფიქრობდა კნიაჟნა, – ვერავინ, გარდა ამ ათვალწუნებული ღვთის კაცებისა, რომელნიც აბგაწამოკიდებულნი მოდიან ჩემთან უკანა კარიდან: ეშინიათ არ შეეჩებონ თავადს, ეშინიათ არა იმიტომ, რომ შეიძლება დაიტანჯნენ მისგან, არამედ იმიტომ, რომ ცოდვა არ ჩაადენინონ თვით მას. უნდა მიატოვოს ადამიანმა ოჯახი, სამშობლო, ხელი აიღოს ყოველი ამქვეყნიური სიკეთისთვის ზრუნვაზე და ჩაიდინოს ეს იმისთვის, რომ, ყველაფერს მოწყვეტილმა, იაროს ხამი პერანგით, სხვისი სახელით, გადავიდეს ადგილიდან ადგილზე ისე, რომ ვნება არ მიაყენოს ადამიანებს, ილოცოს მათთვის, ილოცოს როგორც იმათთვის, ვინც სდევნის, ისე იმათთვის, ვინც მფარველობს: ამ ჭეშმარიტებასა და ცხოვრებაზე დიადი არ არის სხვა ჭეშმარიტება და ცხოვრება“.

იყო ერთი მწირი ქალი, ფედოსიუშკა, ორმოცდაათი წლის პატარა, წყნარი, ნაყვავილარი დედაკაცი, რომელიც ოცდაათი წელიწადია უკვე ფეხშიშველი და ჯაჭვმოსილი დადიოდა. კნიაჟნა მარიას განსაკუთრებით უყვარდა იგი. ერთხელ, როდესაც ბნელ ოთახში, მარტოდენ პატარა კანდელის სინათლეზე ფედოსიუშკა თავის ცხოვრებას უამბობდა, კნიაჟნა მარიას ისე მტკიცედ ჩაეჭედა გონებაში ის აზრი, რომ მარტოდმარტო ფედოსიუშკამ პოვა ცხოვრების ჭეშმარიტი გზა, რომ მან განიზრახა თავადაც გამგზავრებულიყო სალოცავების მოსავლელად. როცა ფედოსიუშკა დასაძინებლად წავიდა, კნიაჟნა მარია დიდხანს ფიქრობდა ამაზე, და, ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ დიდად უცნაური იყო ეს, გადაწყვიტა წასულიყო სამოგზაუროდ. მან თავისი განზრახვა გაანდო მხოლოდ თავის სულიერ მამას, – ბერ აკინფოს და მანაც მოუწონა გადაწყვეტილება. მწირი დედაკაცების დასაჩუქრების საბაბით კნიაჟნამ წინასწარ მოიმარაგა მწირის მთელი სამოსელი: პერანგი, ქალამნები, ხიფთანი და შავი

თავსაფარი. ხშირად მივიდოდა ხოლმე სანუკვარ კამოდთან, გაუბედავად გაჩერდებოდა და გაიფიქრებდა, – ხომ არ დადგა დრო განზრახვის სისრულეში მოსაყვანადო.

ხშირად, როცა კნიაჟნა ყურს უგდებდა მწირ დედაკაცებს, იგი ისე აღიგზნებოდა ხოლმე მათი უბრალო, მათთვის მექანიკური, ხოლო მისთვის ღრმააზრიანი სიტყვებით, რომ რამდენჯერმე მზად იყო მიეტოვებინა ყველაფერი და გაქცეულიყო სახლიდან. ოცნებით გატაცებული, ის უკვე ხედავდა თავის თავს უხეშ პერანგში გამოწყობილს, ხედავდა, როგორ მიემართებოდა მტვრიანი გზით ფედოსიუშკასთან ერთად ჯოხით და პატარა აბგით, მიემართებოდა ისე, რომ გულში არ ედო არც შური, არც ადამიანური სიყვარული, არც სურვილი, მიემართებოდა ერთი სათნომყოფლებისგან მეორე სათნომყოფლებისკენ და, ბოლოს, მივიდოდა იქ, სადაც არ არის არც მწუხარება, არც ოხვრა, სადაც არის მუდმივი სიხარული და ნეტარება.

„მივალ ერთ ადგილას, ვილოცებ; ვერ მოვასწრებ მიჩვევას, სიყვარულით გამსჭვალვას, – განვაგრძობ გზას და ვივლი მანამდე, სანამ მუხლები არ მომეკვეთება, დავწვები მაშინ და მოვკვდები სადმე, და ბოლოს მივაღწევ იმ სამარადისო, წყნარ ნავსაყუდელს, სადაც არ არის არც მწუხარება, არც ოხვრა!“ ასე ფიქრობდა კნიაჟნა.

მაგრამ შემდეგ, როცა დაინახავდა მამას და მეტადრე პატარა კოკოს, გუნება ეცვლებოდა და განზრახვა უსუსტდებოდა, ჩუმად ტიროდა და გრძნობდა, რომ ცოდვილი ადამიანია: მამა და ძმისწული უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე ღმერთი.

ნაწილი მეოთხე

თავი პირველი

ბიბლიური თქმულება გადმოგვცემს, რომ შრომის უქონლობა – უქმადყოფნა წარმოადგენდა პირველი ადამიანის ნეტარების პირობას მის დაცემამდეო. სიყვარული უქმადყოფნისადმი კვლავ შერჩა დაცემულ ადამიანსაც, მაგრამ წყევლა-კრულვა ახლაც მძიმე ტვირთად აწევს მას, და არა მარტო იმიტომ, რომ „ოფლითა ჩვენითა მოვიპოვოთ პური ჩვენი“, არამედ იმიტომაც, რომ ზნეობრივი თვისებებით ჩვენ არ შეგვიძლია უქმად და მშვიდად ვიყოთ. იღუმალი ხმა გვეუბნება, რომ დამნაშავენი უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ უქმად ვართ. ადამიანი რომ შემღებდეს ისეთი მდგომარეობის გამონახვას, როცა უქმად ყოფნისას, იგრძნობს, რომ იგი სასარგებლოა და თავის მოვალეობას ასრულებს, ის აღმოაჩენდა პირველყოფილი ნეტარების ერთ მხარეს. სავალდებულო და უმწიკვლო უქმადყოფნის ასეთი მდგომარეობით სარგებლობს მთელი წოდება – სამხედრო წოდება. და ეს სავალდებულო და უმწიკვლო უქმადყოფნა წარმოადგენდა და შემდეგშიც წარმოადგენს სამხედრო სამსახურის მთავარ მიმზიდველ ძალას.

ნიკოლაი როსტოვი სავსებით განიცადა ეს ნეტარება, როცა მან 1807 წლის შემდეგ კვლავ განაგრძო სამსახური პავლოგრადის პოლკში, სადაც იგი უკვე მეთაურობდა დენისოვისგან მიღებულ ესკადრონს.

ოდნავ სიტლანქესთან ერთად, როსტოვი საუცხოო ყმაწვილი კაცი დადგა, რომელსაც მოსკოველი ნაცნობები, ცოტა არ იყოს, mauvais genre (შეუფერებელი ტონის) ახალგაზრდად მიიჩნევდნენ, მაგრამ რომელსაც სიყვარულსა და პატივისცემას არ აკლებდნენ ამხანაგები, ხელქვეითები და უფროსები, და იგი კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით. უკანასკნელ დროს, 1809 წელს, შინაურების წერილებში ხშირად ხვდებოდა დედის წუწუნს იმის გამო, რომ ოჯახის საქმეები იწეწებოდა და უფრო და უფრო ცუდად მიდიოდა, დროა შინ დაბრუნდე, გაახარო და დაამშვიდო მოხუცი მშობლებიო.

როცა ნიკოლაი ამ წერილებს კითხულობდა, შიში იპყრობდა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს უნდოდათ მოეწყვიტათ იგი იმ წრისთვის, სადაც ის, ცხოვრების აურზაურისაგან დაცული, ასე მყუდროდ და მშვიდად ცხოვრობდა. გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან, კვლავ მოუხდებოდა იმ ორომტრიალში ჩაბმა, სადაც თავს ვერ დააღწევდა ოჯახური საქმეების არე-დარევას და გამოსწორებას, მოურავებთან ანგარიშების გაწევას, სადაც აუცილებელი იქნებოდა ჩხუბი, ინტრიგა, საზოგადოებასთან კავშირი, სონიასთან შეხვედრა და დაპირების გახსენება. ყოველივე ეს მეტად მნელ და აწეწილ საქმედ ეჩვენებოდა, და იგი დედას პასუხად უგზავნიდა ფრანგულ ენაზე დაწერილ წერილებს, ცივ კლასიკურ წერილებს, რომლებიც ასე იწყებოდა: Ma chère maman (საყვარელო დედავ) და ასე სრულდებოდა: Votre obéissant fils (თქვენი მორჩილი შვილი). სწერდა ამას, მაგრამ არ ატყობინებდა, თუ როდის აპირებდა ჩასვლას. 1810 წელს მან მიიღო მშობლების წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ ნატაშას დათქმას ბოლკონსკისთან და იმას, რომ ქორწინება ერთი წლით გადაიდო, რადგან მოხუცი თავადი თანახმა არ არისო. ამ წერილმა შეაწუხა და შეურაცხყო ნიკოლაი. ჯერ ერთი, ენანებოდა ნატაშას დაკარგვა, მისი მოშორება, რადგან ოჯახში ის ყველაზე მეტად უყვარდა; მეორე, თავისი ჰუსარული თვალსაზრისით, წუხდა, რომ დათქმას ვერ დაესწრო, თორემ აჩვენებდა სეირს იმ ბოლკონსკის; მისი დამოყვრება მაინცდამაინც არაფერს წარმოადგენდა სასახელოს, და თუ ნატაშა უყვარდა, შეეძლო ყურადღება არ მიექცია გადარეული მამის ნებართვისთვის. ერთ წუთს ყოყმანობდა, გამოეთხოვა თუ არა შვებულება, რათა ენახა, როგორი სარძლო იყო ნატაშა. მაგრამ გაახსენდა, რომ მანვერები ზედ ცხვირზე იყო მომდგარი, გაახსენდა აგრეთვე სონია, აწეწილ-დაწეწილი საქმეები, და ნიკოლაიმ კვლავ გადადო შინ დაბრუნება. მაგრამ იმავე წლის გაზაფხულზე მან მიიღო დედის წერილი; დედა გრაფისგან ფარულად

სწერდა, და ამ წერილმა დაარწმუნა იგი დაბრუნებულიყო შინ. დედა სწერდა, რომ თუ შინ არ დაბრუნდი და ხელი არ მოჰკიდებ საქმეებს, მთელი მამული საჯაროდ გაიყიდება, ხოლო ჩვენ კარდაკარ მოგვიხდება მათხოვრობაო. გრაფი ისე დაბერდა, ისე უჯერებს მიტინკას, თანაც იმდენად გულკეთილია და ისე ატყუებენ ყველანი, რომ საქმე სულ უკან და უკან მიდისო. „გევედრები, თუ ღმერთი გწამს, ჩამოდი ახლავე, თუ არ გინდა გაგვაუბედურო მეც და მთელი ოჯახიც“, – სწერდა გრაფინია.

ამ წერილმა იმოქმედა ნიკოლაიზე. იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მაგრამ იმდენად საღი გონება ჰქონდა, რომ ხვდებოდა, სად რა იყო საჭირო.

ახლა თუ სამსახურიდან არ გადადგებოდა, შვებულება მაინც უნდა აეღო და შინ დაბრუნებულიყო. თვითონაც არ იცოდა, რატომ უნდა დაბრუნებულიყო; მაგრამ როცა ნასადილევს გამოიძინა, უბრძანა შეეკაზმათ ნაცრისფერი მარსი, დიდი ხნის დასვენებული და ძალზე მოუსვენარი ულაცი, ხოლო შემდეგ, როცა გაოფლიანებული ულაცით პოლკში დაბრუნდა, გამოუცხადა ლავრუშკას (დენისოვის ლაქია როსტოვთან დარჩა) და სადამოთი მისულ ამხანაგებს, სამსახურს თავს ვანებებ და ოჯახში ვბრუნდებიო. მეტად ძნელი და უცნაური იყო მისთვის ის აზრი, რომ შტაბიდან (რაც განსაკუთრებით აინტერესებდა მას) ვერ გაიგებდა, მიიღებდა თუ არა როტმისტრობას ან ანას ორდენს უკანასკნელი მანევრებისთვის; უცნაური იყო ისიც, რომ იგი ისე წავიდოდა, რომ ვერ მიჰყიდდა გრაფ გოლუხოვსკის სამ ქურან ცხენს, რომლებსაც ეს პოლონელი გრაფი ევაჭრებოდა და რომელთა შესახებაც როსტოვი სანაძლეოს დებდა, რომ ორი ათასად გაყიდდა; თითქოს გაუგებარი იყო ისიც, რომ უიმისოდ ჩაივლიდა ის ბალი, რომელსაც ჰუსარები უმართავდნენ პანა შპაზდეცკაიას, წინააღმდეგ ულანებისა, რომელნიც ბაღს პანა ბორჟოხოვსკაიას უმართავდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად, მან იცოდა, რომ უნდა წასულიყო ამ საუცხოო, კარგი ადგილიდან იქ, სადაც ყველაფერი უაზრო და არეულ-დარეული იყო.

ერთი კვირის შემდეგ როსტოვმა შვებულების ქაღალდი მიიღო. ამხანაგმა ჰუსარებმა არა მარტო პოლკიდან, არამედ ბრიგადიდანაც სადილი გაუმართეს, რომელიც ხელის მოწერით კაცზე 15 რუბლად დაჯდა, – უკრავდა მუსიკა, მღეროდა მომღერალთა ორი გუნდი; როსტოვმა მაიორ ბასოვთან ტრეპაკი იცეკვა; მთვრალმა ოფიცრებმა აქანავეს და კოცნეს როსტოვი; ბოლოს ხელიდან დაუვარდათ. მესამე ესკადრონის ჯარისკაცებმა ერთხელ კიდევ აქანავეს და Ура დასძახეს, მერე მარხილში ჩასვეს და პირველ სადგურამდე გააცილეს.

შუა გზამდე, კრემენჩუკიდან კიევამდე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ამგვარ შემთხვევაში, როსტოვის მთელი ფიქრები ჯერ კიდევ ესკადრონისკენ იყო მიქცეული, მაგრამ გადალახა თუ არა ნახევარი მანძილი, უკვე ნელ-ნელა დაივიწყა თავისი ვახმისტრის, დოჟოვეიკის სამი ქურანი ცხენი და შემფოთებული ეკითხებოდა თავს, ვინ და როგორ დახვდებოდა ოტრადნოეში. რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სოფელს, მით უფრო მეტად, ბევრად უფრო მეტად (თითქოს ზნეობრივი გრძნობა მიზიდულობის იმავე კანონს ემორჩილებოდეს, როცა ვარდნილი სხეულის სიჩქარე მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია) ფიქრობდა თავის სახლზე. უკანასკნელ სადგურზე სამი რუბლი აჩუქა არყისთვის მეეტლეს, და ბავშვივით სულმოუთქმელად ავარდა სახლის პარმალზე.

შეხვედრით გამოწვეული აღტაცებისა და მოლოდინის დაუკმაყოფილებლობის უცნაური გრძნობის შემდეგ – რატომ მოვეჩქარებოდი, როცა ყოველივე იგივეაო! – ნიკოლაი თანდათან შეეწყო თავისი სახლის ძველ ყოფას. მამა და დედა იგივენი იყვნენ, მხოლოდ ოდნავ მოხუცებულიყვნენ, თან რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდათ და ზოგჯერ უთანხმოებაც, რასაც წინათ კაცი ვერ შეამჩნევდა და რაც, როგორც მალე გაიგო ნიკოლაიმ, გამოწვეული იყო საქმეების ცუდი მდგომარეობით. სონია მეოცე წელში იყო გადამდგარი. მეტი სილამაზე აღარ იყო მისგან მოსალოდნელი, მაგრამ რაც ჰქონდა, ესეც

საკმარისი იყო. მას შემდეგ, რაც ნიკოლაი ჩამოვიდა, ქალი მთლად ბედნიერებითა და სიყვარულით სუნთქავდა; მისი ერთგული, ურყევი სიყვარული ახარებდა ნიკოლაის. პეტამ და ნატამ ყველაზე მეტად გააოცეს იგი. პეტია უკვე დიდი იყო, ცამეტი წლის ლამაზი, მხიარული, ანცი და იმავე დროს ჭკვიანი ყმაწვილი, რომელსაც ხმა უკვე ეცვლებოდა. ნატამ ნიკოლაის დიდხანს აკვირებდა, შეჰყურებდა მას და იცინოდა.

– სრულიად სხვა ხარ, – ეუბნებოდა ის.

– რა, დავუშნოვდი?

– პირიქით, რაღაც სიდიადე მოგმატებია, თითქოს კნიაგინია იყო, – უთხრა ძმამ ჩურჩულით.

– დიახ, დიახ! – ამბობდა სიხარულით ნატამ.

ნატამ უამბო თავისი რომანი თავად ანდრეისთან, მისი მიღება ოტრადნოეში და აჩვენა მისი უკანასკნელი წერილი.

– რას იტყვი, კმაყოფილი ხარ? – ჰკითხა ნატამ, – მე ახლა დამშვიდებული ვარ, ბედნიერი.

– დიდად მოხარული ვარ, – მიუგო ნიკოლაიმ, – ჩინებული ადამიანია. ძალიან გიყვარს?

– როგორ აგისხნა, – მიუგო ნატამ, – მე მიყვარდა ბორისი, მასწავლებელი, დენისოვი, მაგრამ ეს სიყვარული სულ სხვაა. მშვიდად, მტკიცედ ვგრძნობ თავს. ვიცი, რომ იმაზე კარგი ადამიანი არ მოიძებნება და ახლა დამშვიდებული ვარ. არა ისე, როგორც წინათ...

ნიკოლაიმ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქორწინება ერთი წლით გადაიდო, მაგრამ ნატამ გაგულსებული მივარდა ძმას, უმტკიცებდა, რომ სხვანაირად შეუძლებელი იყო, რომ არ ივარგებდა მამის უნებურად შესულიყო ოჯახში, რომ თვითონ მოისურვა ეს.

– შენ ვერ გაიგებ, სრულებით ვერ გაიგებ ამას, – უთხრა მან ძმას.

ნიკოლაი გაჩუმდა, დაეთანხმა. ის ხშირად გაკვირვებული შესცქეროდა დას. სრულებით არ ჰგავდა საქმროს განშორებული ნატამა შეყვარებულ სარძლოს. იგი უმფოთველი, დამშვიდებული და მხიარული გამოიყურებოდა, სავსებით ისეთი, როგორც წინათ იყო. ნიკოლაის ეს აკვირებდა. იგი უნდობლად კი უყურებდა ნატამასა და თავად ანდრეის დათქმას. მას არ სჯეროდა, რომ ნატამას ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მით უმეტეს, რომ მას ნატამა და თავადი ანდრეი ერთად არ უნახავს. მუდამ ეჩვენებოდა, თითქოს ამ განზრახულ ქორწინებაში რაღაც არ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო.

„რატომ გადადეს? რატომ არ დაინიშნენ?“ – ფიქრობდა ნიკოლაი. ერთხელ, როდესაც ნიკოლაიმ დედასთან დაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, მან გაოცებულმა და რამდენადმე გახარებულმა გაიგო, რომ დედაც გულის სიღრმეში სწორედ ასე უნდობლად უყურებდა ამ შეუღლებას.

– აი, იწერება, – უთხრა დედამ ნიკოლაის და უჩვენა თავად ანდრეის წერილი, უთხრა იმ არაკეთილმოსურნეობის ფარული გრძნობით, რომელსაც დედა მუდამ ატარებს გულში ქალიშვილის მომავალი ცოლქმრული ბედნიერებისადმი, – იწერება, დეკემბერზე ადრე ვერ ჩამოვალ. რა საქმე უნდა აკავებდეს? ალბათ, ავადმყოფობა. მეტად სუსტი ჯანის პატრონია. ნუ ეტყვი ნატამას. ის არაფერია, რომ თავი მხიარულად უჭირავს: ეს მისი ქალწულობის უკანასკნელი დღეებია. ისე კი ვიცი, რა მოსდის ყოველთვის, როცა მის წერილს იღებს, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, იქნებ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, – დაამთავრებდა ხოლმე დედა სიტყვას, – ჩინებული კაცია.

თავი მეორე

პირველ ხანებში ჩამოსვლის შემდეგ ნიკოლაი სერიოზულად გამოიყურებოდა, მოწყენილიც კი იყო. მას ტანჯავდა მეურნეობის სულელურ საქმეში ჩარევის აუცილებლობა, რისთვისაც დედამ გამოიწვია. რაც შეიძლება ჩქარა რომ მოეშორებინა თავიდან ეს ტვირთი, ნიკოლაი ჩამოსვლის მესამე დღეს გაჯავრებული, შეკითხვაზე პასუხის გაუცემლად, თუ სად მიდიოდა, წარბებშეკრული გაემართა ფლიგელისკენ მიტინკასთან და მოსთხოვა მას ყველაფრის ანგარიში. რას წარმოადგენდა ეს ყველაფრის ანგარიში, ნიკოლაიმ უფრო ნაკლებად იცოდა, ვიდრე შეშინებულმა და გაოცებულმა მიტინკამ. ლაპარაკი და მიტინკას ანგარიში მცირე ხანს გაგრძელდა. მამასახლისს, არჩეულ კაცს და წესრიგის დამცველს, რომელნიც ფლიგელის დერეფანში იცდიდნენ, შეშინებულთ და თანაც კმაყოფილთ, ესმოდათ, როგორ დაიგუგუნა პირველ ხანს ახალგაზრდა გრაფის ხმამ, როგორ დაიჭექა და თანდათან ამაღლდა ეს ხმა, ესმოდათ ლანძღვა და საშინელი სიტყვები, რომელნიც ერთიმეორეს მოსდევდნენ.

– ყაჩაღო! უმადურო ქმნილებავ!.. აგჩეხავ, შე ძაღლო, შენა! მამა არ გეგონო... გაგვქურდე, ხომ!.. – და სხვა და სხვა.

მერე დერეფანში მყოფთ არანაკლები კმაყოფილებით და შიშით დაინახეს, როგორ გამოათრია ქეჩოთი მთლად აღმოდებულმა და თვალეებში სისხლმორეულმა ახალგაზრდა გრაფმა მიტინკა, როგორ ამოჰკრა მეტად მოხერხებულად პანდური და მიამახა: „გაეთრიე აქედან! აღარ დაგინახო აქ, შე საზიზღარო, შენა!“

მიტინკა შურდულივით დაეშვა ექვს საფეხურზე და ყვავილნარს შეერია (ეს ყვავილნარი დამნაშავეთა ცნობილ გადასარჩენ ადგილად მიიჩნეოდა ოტრადნოეში. თვით მიტინკა იმალებოდა ამ ყვავილებში, როცა ქალაქიდან მთვრალი ბრუნდებოდა; თავის მხრივ ოტრადნოეს ბევრი მოსახლე ემალებოდა მიტინკას ამ ყვავილნარში. მისი მხსნელი ძალა ყველამ იცოდა).

მიტინკას ცოლმა და ცოლისდებმა შეშინებული სახეები გამოყვეს დერეფანში იმ ოთახის კარიდან, სადაც სამოვარი დულდა და სადაც ამართული იყო ნოქრის მაღალი ლოგინი, გადაფარებული წვრილი ნაჭრებისგან ნაკერი დალიანდაგებული საბნით.

ახალგაზრდა გრაფმა, სულშეგუბებულმა, მტკიცე ნაბიჯით გაიარა მათ წინ და სახლისკენ გაემართა. გაიარა ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია მათთვის.

გრაფინია, რომელმაც მოახლე გოგოებისგან მაშინვე გაიგო ყველაფერი, რაც ფლიგელში მოხდა, ერთი მხრივ დაამშვიდა იმ იმედმა, რომ მათი მდგომარეობა ახლა, ალბათ, გამოკეთდებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, შეაწუხა იმ ფიქრმა, თუ როგორ გადაიტანდა ყოველივე ამას მისი შვილი. ფეხის თითებზე შემდგარი მოხუცი რამდენჯერმე მივიდა კართან და ყური დაუგდო, როგორ აბოლებდა ნიკოლაი ჩიბუხს ჩიბუხზე.

მეორე დღეს მოხუცმა გრაფმა განზე გაიხმო შვილი და მოკრძალებული ღიმილით უთხრა:

– იცი, რა, ჩემო კარგო, შენ გუშინ ტყუილად გაცხარდი. მიტინკამ ყველაფერი გადმოძცა.

„ვიცოდი, – გაიფიქრა ნიკოლაიმ, – რომ ვერასოდეს ვერაფერს ვერ გავიგებდი აქ, ამ გადარეულ ადგილას“.

– შენ გაცხარდი იმიტომ, რომ მიტინკას იქ 700 რუბლი არ ჩაუწერია. ნამდვილად კი ეს ფული ტრანსპორტით აქვს ჩაწერილი, მაგრამ დავთრის მეორე გვერდზე შენ არ დაგიხედავს.

– მამაჩემო, ის გაიძვერა და ქურდია, ეს მე ვიცი. რაც ჩავიდინე, ჩავიდინე, მაგრამ თუ თქვენ არ გინდათ, აღარაფერს აღარ ვეტყვი.

– არა, ჩემო კარგო (გრაფიც ოდნავ დარცხვენილი იყო. გრძნობდა, რომ ცუდი მომვლელი აღმოჩნდა თავისი ცოლის მამულისა და დამნაშავე იყო შვილების წინაშე, მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოესწორებინა საქმე), პირიქით, გთხოვ, ხელი მოჰკიდო საქმეებს, მე დავბერდი, მე...

– არა, მამაჩემო, მაპატიეთ, თუ გაწყენინებთ, მე თქვენზე ნაკლები ვიცი და მესმის.

„ჯანდაბას იმ გლეხების, ფულისა და ტრანსპორტის თავი! – ფიქრობდა იგი, – ოდესღაც კიდევ მესმოდა, როგორ უნდა შემერჩია ქალაქი ბანქოს თამაშში დიდი თანხისთვის, მაგრამ ტრანსპორტისა დავთრის გვერდზე – არ მესმის“, – თქვა მან თავისთვის და მას შემდეგ საქმეებში აღარ ჩაუხედავს. მხოლოდ ერთხელ გრაფინიამ მიიხმო შვილი თავისთან და აცნობა, რომ მას აქვს ანა მიხაილოვნას თამასუქი ორი ათას რუბლზე და ჰკითხა, რას ფიქრობდა იგი.

– აი, რას, – მიუგო ნიკოლაიმ, – თქვენ მითხარით, რომ ეს საქმე ჩემზეა დამოკიდებული; მე არ მიყვარს ანა მიხაილოვნა, არ მიყვარს არც ბორისი, მაგრამ ისინი ჩვენი მეგობრები იყვნენ და ღარიბად ცხოვრობდნენ. ჰოდა, აი, ასე ვფიქრობ! – და თამასუქი შუაზე გადახია. ამ საქციელით მან სიხარულის ცრემლებით აატირა მოხუცი დედა.

ამის შემდეგ ახალგაზრდა როსტოვი არავითარ საქმეს არ გაჰკარებია. იგი გატაცებით შეუდგა ახალ საქმეს – ნადირობას ძაღლებით, რისთვისაც მოხუც გრაფს ყველაფერი უხვად მოეპოვებოდა.

თავი მესამე

უკვე იწყებოდა ზამთრის პირველი სუსხი; დილის ყინვა ბორკავდა შემოდგომის წვიმებით გალხობილ მიწას. უკვე აიბურძენა ბალახი და მკვეთრად გამოეყო წაბლისფერ, პირუტყვის მიერ მოთელილ შემოდგომის ნათესს და გაზაფხულის ძალზე ყვითელ ნამჯას, რომელსაც უგრეხელის წითელი ზოლები ჩასდევდნენ. ძაღლოები და ტყეები, რომლებიც ჯერ კიდევ აგვისტოს დამლევს მწვანე კუნძულებად მოჩანდნენ შემოდგომის ნათესისა და ნამკალის შავ მინდვრებს შორის, ოქროსფერ და მკვეთრ წითელ კუნძულებად გადაიქცნენ შემოდგომის მწვანე ნათესს შორის. რუხმა კურდღელმა სანახევროდ უკვე იცვალა ფერი, მელიის ლეკვები წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო ახალგაზრდა მგლები ძაღლებს ჭარბობდნენ სიდიდით. საუკეთესო სანადირო დრო იდგა. გატაცებული ახალგაზრდა მონადირის, როსტოვის ძაღლები, არათუ მზად იყვნენ სანადიროდ, ისე იყვნენ დაგეშილები, რომ მონადირეთა საერთო თათბირზე გადაწყდა, ძაღლებისთვის სამი დღე მიეცათ დასასვენებლად და მერე, 16 სექტემბერს, დაეწყოთ ნადირობა დუბრავიდან, სადაც მგლისლეკვებიანი ხელუხლებელი ბუნაგი ეგულებოდათ.

ასეთ მდგომარეობაში იყო ყველაფერი 14 სექტემბერს.

მთელ ამ დღეს მონადირე ძაღლები შინ იყვნენ. ყინავდა და სუსხავდა, მაგრამ საღამოთი ცას ღრუბლები მოედო და დათბა. 15 სექტემბერს, როცა ხალათწამოსხმულმა ახალგაზრდა როსტოვმა ფანჯრიდან გაიხედა, ისეთი დილა დაინახა, უკეთესს ვერც წარმოიდგენდა: ცა თითქოს დნებოდა და უქაროდ ეშვებოდა ქვემოთ. ერთადერთი მოძრაობა, რომელიც ჰაერში შეიმჩნეოდა, ნისლის თუ ბურუსის ზევიდან ქვევით დაშვებული მიკროსკოპიული წვეთების წყნარი მოძრაობა იყო. ბაღის გამოშვლებულ რტოებზე გამჭვირვალე წვეთები ეკიდა; ისინი ახალდაცვნილ ფოთლებზე ციმციმებდნენ. მიწა ბოსტანში ყაყაჩოს გულივით შავად გამოიყურებოდა და ახლო მანძილზე ნისლის მქრალ და ნესტიან საბურველს უერთდებოდა.

ნიკოლაი სველ და ტალახიან პარმაღზე გავიდა: დამჭკნარი ხეებისა და ძაღლების სუნი იდგა. შავჭრელმა, გავაგანიერმა და დიდ, გადმოკარკლულ შავთვალეებიანმა ძუ ძაღლმა, მილკამ, დაინახა თუ

არა პატრონი, ფეხზე წამოდგა, გაიჭიმა და რუხი კურდღელივით წამოწვა, მერე მოულოდნელად წამოხტა და ცხვირი და ულვაში აულოკა როსტოვს. მეორე ძაღლი, მწევარი, როსტოვის დანახვაზე ფეხზე წამოხტა და ზურგაზნექილი, აჭრელებული ბილიკიდან სწრაფად მივარდა პარმალს, კუდი აიშვირა და ნიკოლაის ფეხებზე ხახუნი დაუწყო.

– ო, გოი! – მოისმა ამ დროს მონადირის ის შეუდარებელი ძახილი, რომელშიც უაღრესად დაბალი ბანი უაღრესად დახვეწილ ტენორთანაა შერწყმული და კუთხიდან დაკლაკნილი შოლტით ხელში და უკრაინულად თმაშეკრეჭილი მემბარათა მწვრთნელი და ბაზიერი დანილო გამოვიდა – ჭადრა, შუბლდანაოჭებული მონადირე ისეთი დამოუკიდებელი და ყველაფრისადმი ათვალწუნებული გამომეტყველებით, როგორც მხოლოდ მონადირეებს აქვთ. მან ბატონის წინაშე თავისი ჩერქეზული ქუდი მოიხადა და ათვალწუნებით შეხედა მას. ეს ათვალწუნება არ იყო საწყენი ბატონისთვის: ნიკოლაიმ იცოდა, რომ ეს ქედმაღალი დანილო, რომელიც ყველაფერს ათვალწუნებით უყურებდა, მაინც მისი ერთგული კაცი და მონადირე იყო.

– დანილა! – მიმართა ნიკოლაიმ, რომელიც გრძნობდა, რომ ამ სანადირო ამინდის, ამ ძაღლებისა და მონადირეების დანახვაზე მას უკვე წამოუარა იმ გაურკვეველმა მონადირულმა გატაცებამ, რომლის დროსაც კაცი ივიწყებს წინანდელ განზრახვებს ისევე, როგორც შეყვარებული ივიწყებს ყველაფერს თავისი სატრფოს წინაშე.

– რას მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეზავ? – იკითხა მან პროტოდიაკუნური და ძაღლების წვრთნის დროს ყვირილისგან ჩახრინწული ხმით, და ორმა შავმა გაბრწყინებულმა თვალმა შუბლქვეშიდან შეანათა ბატონს. „ჰა, გაუძლებ ჩემს შემოხედვას?“ – თითქოს ჰკითხა ამ ორმა თვალმა.

– კარგი დღეა, არა? გამოდევნება და ცხენების ჭენება, ჰა? – თქვა ნიკოლაიმ, თანაც მილკას ყურის ძირები დაუფხანა.

დანილომ პასუხი არ გასცა, მხოლოდ თვალეზი დაახამხამა.

– გარიჟრაჟზე უვარკა გავგზავნე მოსასმენად, – წარმოთქვა მისმა ბანმა მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ, – თქვა, ძუ მგელი თავისი ლეკვებით ოტრადნოეს ტყეში გადავიდაო (ეს ტყე სახლიდან ორ ვერსზე მდებარეობდა, იქ პატარა განკერძოებული ადგილი იყო).

– ხომ უნდა წავიდეთ? – ჰკითხა ნიკოლაიმ, – მოდი ჩემთან, უვარკა მოიყვანე.

– როგორც მიბრძანებთ!

– მაშ, ჯერ ნუ აჭმევ.

– მესმის!

ხუთი წუთის შემდეგ დანილო უვარკასთან ერთად ნიკოლაის დიდ კაბინეტში იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ დანილო მომცრო ტანის კაცი იყო, მისი დანახვა ოთახში ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ადამიანთა ცხოვრების პირობებში იატაკზე, ავეჯს შორის კაცი ცხენს ან დათვის ხედავდა. დანილო თვითონ გრძნობდა ამას და, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, კართან იდგა და ცდილობდა ელაპარაკა ჩუმად, არც მოძრაობდა, რომ ბატონის ავეჯი არ დაემსხვრია და ცდილობდა აგრეთვე სწრაფად გამოეთქვა ყოველივე და გარეთ გასულიყო, ჭერქვეშიდან ცის ქვეშ.

როცა გამოკითხვა დარსულდა და დანილომ განაცხადა, ძაღლებს არა უშავთ რაო (დანილოს თავად უნდოდა სანადიროდ წასვლა), ნიკოლაიმ უბრძანა, ცხენები შეეკაზმათ. მაგრამ ის-ის იყო, დანილომ გასვლა დააპირა, რომ ოთახში სწრაფი ნაბიჯით შევიდა ნატაშა, ჯერ კიდევ დაუვარცხნელი და ჩაუცმელი, თავზე გამდელის თავსაფარწაკრული. მასთან ერთად პეტიაც შევარდა.

– მიდიხართ? – ჰკითხა ნატაშამ ნიკოლაის, – ვიცოდი, რომ წახვიდოდით. სონიამ თქვა, არ აპირებენ წასვლასო. დღეს ისეთი დღეა, რომ წაუსვლელობა არ შეიძლება.

– მივდივართ, – მიუგო ნიკოლაიმ უხალისოდ. დღეს მას სერიოზული ნადირობა ჰქონდა განზრახული, ამიტომ ნატაშას და პეტის წაყვანას არ აპირებდა, – მივდივართ, მხოლოდ მგლებზე სანადიროდ, შენ მოგწყინდება.

– ხომ იცი, რომ ეგ უდიდეს სიამოვნებას მგვრის, – თქვა ნატაშამ, – არ ვარგა ასე, თვითონ მიდიხარ, ცხენის შეკაზმვაც უბრძანე, ჩვენ კი არაფერი გვითხარი.

– ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს რუსებს! – წამოიძახა პეტამ.

– შენ ვერ წამოხვალ: დედამ თქვა, რომ შენი წამოსვლა არ შეიძლება, – მიმართა ნიკოლაიმ ნატაშას.

– არა, წამოვალ, უსათუოდ წამოვალ, – თქვა გადაჭრით ნატაშამ, – დანილა, უბრძანე ცხენები შეკაზმონ. ჩემს ძაღლებს მიხაილო გაუძღვება, – მიმართა მან ბაზიერს.

ოთახში ყოფნა დანილას ისედაც უზრდელობად და მძიმედ რამედ მიაჩნდა, მაგრამ უფრო შეუძლებლად ეჩვენებოდა ბატონის ქალიშვილთან რაიმე საქმის დაჭერა. თვალები დახარა და კარს მიაშურა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა, თანაც შეეცადა, უცაბედად ვნება არ მიეყენებინა ქალიშვილისთვის.

თავი მეოთხე

მოხუცმა გრაფმა, რომელიც უამრავ მონადირე ძაღლს და მონადირეს ინახავდა, მთელი ეს საქმე შვილს გადასცა. მაგრამ ამ დღეს, 15 სექტემბერს, მოხუცი მხიარულ გუნებაზე იყო და თვითონაც მოემზადა სანადიროდ.

ერთი საათის შემდეგ ძაღლებმა და მონადირეებმა თავი მოიყარეს პარმალთან, ნიკოლაიმ მკაცრი და სერიოზული სახით, რაც აუწყებდა ყველას, ახლა ხუმრობის დრო არ არისო, წინ გაუარა ნატაშას და პეტის, რომელნიც მას რაღაცას უამბობდნენ. მან დაათვალიერა სანადიროდ მომზადებულნი, გაგზავნა მარეკი ძაღლები და მონადირეები, მოაჯდა თაფლა დონურ ცხენს, დაუსტვინა თავის ხროვას, გაიარა კალო და გავიდა მინდორში, რომელიც ოტრადნოეს ტყისკენ მიემართებოდა. მოხუცი გრაფის ცხენი, წაბლა იაბო, რომელსაც ვიფლიანკას ეძახდნენ, მსახურს მიჰყავდა, ხოლო თვითონ გრაფი მსუბუქი ეტლით უნდა მისულიყო იქ, სადაც ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

სულ სანადიროდ გაიყვანეს ორმოცდაათოთხმეტი მეძებარი, მათ ახლდა ექვსი ამხედრებული მწვრთნელი და ძაღლთფარეში. ამ მეძებრებთან, ბატონების გარდა, რვა მონადირე ირიცხებოდა, მათთან ორმოც მწევარზე მეტი დამრწოდა და დაეძებდა ნადირს. ასე რომ, ბატონების ძაღლებთან ერთად მინდვრად გავიდა დაახლოებით ას ოცდაათამდე ძაღლი და ოცამდე ცხენოსანი მონადირე.

ყოველი ძაღლი იცნობდა თავის პატრონს, ყოველმა ძაღლმა იცოდა თავისი სახელი. ყველა მონადირემ იცოდა თავისი საქმე, ადგილი და დანიშნულება. რა წამს სახლის ზღუდეს გასცდნენ, უხმაუროდ და ულაპარაკოდ, მწყობრად და წყნარად გაიშალნენ ოტრადნოეს ტყისკენ მიმავალ გზაზე და მინდორში.

როგორც რბილ ხალიჩაზე, ისე მიდიოდნენ მინდორში ცხენები, მხოლოდ ზოგჯერ, როცა გზას გადასცდებოდნენ, წუმპეში ტოპავდნენ. ნისლიანი ცა კვლავ შეუმჩნევლად და თანაბრად ეშვებოდა მიწაზე. ჰაერი გარინდებულიყო, თბილოდა, არსაიდან ხმა-კრინტი არ ისმოდა. იშვიათად გაისმოდა ხოლმე ხან მონადირის სტვენა, ხან ცხენის ხვიხვინი, ხან შოლტის ტყლამუნი ან თავის ადგილს გადაცდენილი ძაღლის წკმუტუნი.

როცა ერთი ვერსი გაიარეს, ნისლში გამოჩნდა როსტოვებისკენ მომავალი ხუთი სხვა ცხენოსანი ძაღლებითურთ. მომავალთ მოუძღოდა ჭარმაგი, ლამაზი მოხუცი, დიდი ჭალარა ულვაშით.

– გამარჯობა, ბიძია! – მიესალმა ნიკოლაი, როცა მოხუცი მიუახლოვდათ.

– Чистое дело марш![179] განა არა, ვიგრძენი, – გამოელაპარაკა მოხუცი (იგი როსტოვების ხელმოკლე მეზობელი იყო, მათი შორეული ნათესავი), – ვიგრძენი, რომ ვერ მოითმენდი და კარგადაც მოიქეცი, რომ წამოხვედი. Чистое дело марш (ეს მისი საყვარელი გამოთქმა იყო). ახლავე ამოირჩიე ადგილი, თორემ ჩვენმა გირჩიკმა მაცნობა, რომ ილაგინები თავიანთი ძაღლებითა და მონადირეებით კორინკაში დგანან. ისინი – Чистое дело марш! – ცხვირწინ გამოგაცლიან მგელსა და მთელ მის ლეკვებს.

– სწორედ იქითკენ მივდივარ. ჰა, შევერთოთ, ბიძია, ძაღლები? – ჰკითხა ნიკოლაიმ, – შევერთოთ...

მეძებრები შეაერთეს ერთ ხროვად, და ბიძია ნიკოლაისთან ერთად გაუდგა გზას. ნატაშამ, თავშალში გახვეულმა, საიდანაც გამოცოცხლებული სახე და გაბრწყინებული თვალები მოუჩანდა, ცხენი მიაგდო მათთან. მას ფეხდაფეხ მისდევდნენ პეტია, მიხაილო მონადირე და ბერეიტორი, რომელიც მეთვალყურედ ჰყავდა მიჩენილი ნატაშას. პეტია რაღაცაზე იცინოდა, აწვალებდა და სცემდა თავის ცხენს. ნატაშა კობტად და მაგრად იჯდა თავის შავ არაბულაზე. მან მტკიცე ხელით ძაღდაუტანებლად შეაყენა იგი.

ბიძიამ ეჭვის თვალის გადახედა პეტიას და ნატაშას. მას არ უყვარდა ცელქობა ნადირობის სერიოზულ საქმეში.

– გამარჯობა, ბიძია, ჩვენც მოვდივართ, – გადასძახა პეტიამ.

– გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! გაუფრთხილდით, მხოლოდ ძაღლები არ გასრისოთ, – სასტიკად მიუგო ბიძიამ.

– ნიკოლინკა, რა საუცხოო ძაღლია ტრუნილა! წარმოიდგინე, მიცნო, – თქვა ნატაშამ თავის საყვარელ მეძებარზე.

„ტრუნილა, ჯერ ერთი, ძაღლი კი არა, მეძებარია“, – გაიფიქრა ნიკოლაიმ და მკაცრად შეხედა დას, ცდილობდა ეგრძნობინებინა მისთვის, თუ რა დიდი მანძილი ჰყოფდა მათ იმ წუთში. ნატაშა მიუხვდა.

– თქვენ, ბიძია, არ იფიქროთ, რომ ჩვენ რითიმე ხელს შევუშლით ვინმეს, – მიმართა ნატაშამ, – ჩვენ ჩვენს ადგილას დავდგებით და არ გავინძრევით.

– და კარგადაც მოიქცევით, ჩემო გვრიტო, – მიუგო ბიძიამ, – მხოლოდ ცხენიდან არ გადმოვარდეთ, – დაუმატა მან, – თორემ, Чистое дело марш! რას იზამთ მაშინ?

ასიოდე საჟენზე[180] მოჩანდა ოტრადნოეს ტყიდან განკერძოებული ადგილი, კუნძული, როგორც მას ეძახდნენ. ძაღლების ფარეშები უკვე უახლოვდებოდნენ მას. როსტოვმა ბიძიასთან ერთად საბოლოოდ გადაწყვიტა, საიდან მიეშვათ მეძებრები, მერე უჩვენა ნატაშას ადგილი, სადაც იგი უნდა მდგარიყო და სადაც არაფერი გაირბენდა, და გაემართა ხრამისკენ, ანუ ჩასასაფრებელი ადგილისკენ.

– ჰა, ნათესავო, შენ, ალბათ, გამოჯეკილ მგელს უსაფრდები, – უთხრა ბიძიამ, – კარგად უყურე, არ გაგისხლტეს.

– ვნახავთ, – მიუგო როსტოვმა, – კარაი, აბა, ჰა! – დაუყვირა მან ძაღლს და ამ შემახილით პასუხი გასცა ბიძიას. კარაი ბებერი, მახინჯი, მეჭეჭებიანი ხვადი ძაღლი იყო, ცნობილი იმით, რომ მარტოდმარტო უმკლავდებოდა გამოჯეკილ მგელს. ყველა თავის ადგილას დადგა.

მოხუცმა გრაფმა იცოდა თავისი შვილის სიცხარე ნადირობის დროს, ამიტომ აუჩქარა, ეშინოდა, არ დაჰკვიანებოდა, და ძალღვარეშებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს დანიშნულ ადგილებზე მისვლა, რომ ილია ანდრეიჩმა, მხიარულმა, ამაგმაგებული ღაჟღაჟა ლოყებით, შავ ცხენებზემზებული მსუბუქი ეტლით ჯეჯილებით მიაშურა მისთვის დატოვებულ ჩასასაფრებელ ადგილს, მერე ქურქი გაისწორა, სანადირო საჭურველი აისხა და შეჯდა თავის მამდარ, წყნარ და კეთილ, თავისსავით გაჭადარავებულ ვიფლიანკაზე. ეტლი ცხენებით უკან გაგზავნეს. გრაფ ილია ანდრეიჩმა, რომელიც მონადირეობა მაინცდამაინც არ ხიბლავდა, მაგრამ რომელმაც სანადირო კანონები მტკიცედ იცოდა, ტყის პირს მიაყენა თავისი ცხენი, სადავე მოიმარჯვა, უნაგირზე გასწორდა და მიმოიხედა: იგი უკვე მზად იყო.

მის გვერდით მისივე კამერდინერი იდგა, ძველი, უკვე დამძიმებული მხედარი, სემიონ ჩეკმარი. ჩეკმარს თასმით ეჭირა სამი ცქვიტი, მაგრამ პატრონივით და მისი ცხენივით ჩასუქებული ძაღლი – მგელზე მონადირე. ორი ბებერი, ჭკვიანი ძაღლიც იქვე იწვა უთასმოდ. ასიოდე ნაბიჯზე, ტყის პირას, იდგა გრაფის მეორე მსახური, მიტკა, თავზე ხელაღებული მხედარი და გატაცებული მონადირე. გრაფმა, ძველი ჩვეულების მიხედვით, სანადიროდ გამოსვლამდე ერთი ფიალა ტკბილზე დაყენებული სანადირო არაყი გადაჰკრა, მერე დანაყრდა და ნახევარი ბოთლი თავისი საყვარელი ბორდოც დააყოლა.

ილია ანდრეიჩი ღვინოსა და ცხენზე ჯდომას ოდნავ შეეწითლებინა. განსაკუთრებით უბრწყინავდა დანამული თვალები. ქურქში გახვეული ცხენზე მჯდარი მოხუცი როსტოვი სასეირნოდ გამზადებულ ბავშვს ჰგავდა.

ჩამომხმარი ჩეკმარი, ჩაცვნილი ლოყებით, თავისი საქმეების მოგვარების შემდეგ, შესცქეროდა ბატონს, რომელთანაც ოცდაათ წელიწადს ცხოვრობდა სიამტკბილობით. ხედავდა, რომ ბატონი კარგ გუნებაზე იყო და მოელოდა საამო ლაპარაკს. ტყიდან მესამე ცხენოსანიც წამოვიდა მათკენ, წამოვიდა ფრთხილად (ეტყობოდა გაწვრთნილი იყო) და გრაფის უკან გაჩერდა. მოხუცი იყო, ჭადარა წვერით, ქალის დილის ხალათი ეცვა და მაღალი ჩაჩი ეხურა. ეს მასხარა გახლდათ, სახელად ნასტასია ივანოვნა...

– აბა, ნასტასია ივანოვნა, – ჩაუკრა თვალი გრაფმა და ჩურჩულით მიმართა, – შენ მხოლოდ ფეხები დაუტყაპუნე ნადირს, დანილო გასწავლის.

– მე... ჩემი ჭკუა მაქვს, – მიუგო ნასტასია ივანოვნამ.

– სსს! – ჩააჩუმა გრაფმა და ჩეკმარს მიმართა, – ნატალია ილინიშნა ხომ არ გინახავს? სად არის?

– პიოტრ ილიჩთან ერთად ჟაროვის შამბნარებთან დადგა, – მიუგო ღიმილით ჩეკმარმა, – თუმცა ქალია, მაგრამ ნადირობის ხალისი დიდი აქვს.

– გაკვირვებს ხომ, სემიონ, როგორ ზის ცხენზე? – ჰკითხა გრაფმა, – ვაჟკაცს არ ჩამოუვარდება.

– როგორ არ მაკვირვებს? გაბედულად ზის, მარჯვედ.

– ნიკოლაშა სადღაა? ლიადოვის ზემოთ ხომ არა? – განაგრძო ჩურჩულით გრაფმა.

– დიახ, ბატონო! მათ იციან, სად უნდა იდგნენ. ისეთი საუცხოო მხედარია, რომ ზოგჯერ მე და დანილო გაკვირვებას ვერ ვფარავთ, – ეუბნებოდა სემიონი, რადგან იცოდა, რით უნდა მოეგო ბატონის გული.

– ხომ კარგი მხედარია? როგორ ზის, ჰა, ცხენზე?

– დახატულს ჰგავს! ამას წინათ ზავარზინის შამბნარებში კურდღელი ავაგდეთ. გვაოცებდა, ისე გადადიოდა ბატონი ხრამებზე. ცხენი ათასი რუბლი ღირს, მხედარს კი ფასს ვერ გამოუძებნი. ერთი სიტყვით, ასეთ ვაჟკაცს ვერ გამოვნახვ!

– ვერ გამონახავ... – გაიმეორა გრაფმა, თითქოს სწყინდა, რომ სემიონის სიტყვა ასე მალე დასრულდა, – ვერ გამონახავ, – გაიმეორა მან ერთხელ კიდევ, მერე ქურქის კალთა გადასწია და საბურნუთე ამოიღო.

– ამას წინათ, როცა წირვიდან გამოვედით, მიხაილმა, აი, სიდორის შვილმა... – ვეღარ დაამთავრა სემიონმა, რადგან მიყუჩებულ ჰაერში აშკარად მოისმა ნადირის დევნის ხმა, და ორი თუ სამი მეძებრის ყეფა. სემიონმა თავი დახარა, ხმაურს ყური მიუგდო და უსიტყვოდ თითი დაუქნია ბატონს, – ლეკვებს წააწყდნენ... – ჩაიჩურჩულა მან, – ლიადოვისკენ გაირეკეს.

გრაფს ღიმილი წაეშალა სახეზე, წინ იყურებოდა, საგუბრის გასწვრივ; ბურნუთის კოლოფი ხელში ეჭირა, მაგრამ ბურნუთს არ ყნოსავდა. ძაღლების ყეფის შემდეგ მგლისკენ მიმართული დანილას რქის საყვირის ბოხი ხმა მოისმა. ხროვა პირველ სამ ძაღლს შეუერთდა. მოისმა საერთო ღრიანცელი, ამ ღრიანცელში შერეული იყო მეძებრების წკრიალა ხმა და ის განსაკუთრებული ხმაური, რომელიც მგლის დევნის ნიშანს წარმოადგენს. ძაღლთფარეშები აღარ ყვიროდნენ და შოლტებს აღარ ატყლაშუნებდნენ, ისინი ყიჟინას სცემდნენ მხოლოდ. საერთო ხმაურში გამოირჩეოდა დანილას ხმა, ხან ბოხი, ხან კიდევ მკვეთრად წკრიალა, ყურთასმენის წამლები. დანილას ხმა თითქოს მთელ ტყეს ავსებდა, სცილდებოდა მას და გაისმოდა შორს, მინდორში.

გრაფი და მისი მსახური ერთხანს ჩუმად უგდებდნენ ყურს ხმაურს. ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ მეძებრები ორ ხროვად გაიყვნენ: ერთი, უფრო დიდი ხროვა, რომელიც განსაკუთრებით ცხარედ ღრიალებდა, თანდათან შორდებოდა იქაურობას; ხროვის მეორე ნაწილმა გრაფის გვერდით გაირბინა, ტყის გასწვრივ, და მათგან ისმოდა დანილას ყიჟინა. ორივე ამ მდევართა ხმაური ხან ერთდებოდა, ხან ცალკევდებოდა, მაგრამ ორივე შორდებოდა. სემიონმა ამოიოხრა და დაიხარა, რომ თასმა მოეშვა, რომელშიც ახალგაზრდა ხვადი გაიხლართა. გრაფმაც ამოიოხრა და, როცა თავის ხელში საბურნუთე შენიშნა, თავი ახადა და ერთი შესუნთქვა ბურნუთი ამოიღო.

– უკან! – დაუყვირა სემიონმა ხვად ძაღლს, რომელიც ტყის ნაპირს გადასცდა.

გრაფი ისე შეკრთა, რომ ხელიდან საბურნუთე გაუვარდა.

ნასტასია ივანოვნა ცხენიდან ჩამოხტა და საბურნუთე აიღო.

გრაფმა და სემიონმა გადახედეს მას. უეცრად, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დევნის ხმა სწრაფად მიუახლოვდა მათ, თითქოს საცაა პირდაღებული ძაღლები და მოყიჟინე დანილა გამოჩნდებინაო.

გრაფმა მიიხედა და მარჯვნივ მიტკა დაინახა, რომელიც გადმოკარკლული თვალებით შეჰყურებდა გრაფს. მან ქუდი მოიხადა და მეორე მხრისკენ მიუთითა გრაფს.

– გაუფრთხილდი! – დაიყვარა მან ისეთი ხმით, რომ ჩანდა დიდი ხანია ტანჯავდა ამ სიტყვის წარმოუთქმელობა. წამოიძახა ეს სიტყვა, მერე ძაღლები მიუშვა და გრაფისკენ გააჭენა თავისი ცხენი.

გრაფი და სემიონი ტყიდან გამოცვივდნენ. მარცხნივ მათ მგელი დაინახეს, რომელიც დინჯად, ჩუმი ხტომით მარცხნიდან უახლოვდებოდა ტყის იმ ნაპირს, სადაც ისინი იდგნენ. თასმააწყვეტილმა და გაბოროტებულმა ძაღლებმა ცხენებს ფეხებთან გაურბინეს და მგლისკენ მოქუსლეს.

მგელმა სირბილი შეაჩერა, მაღალშუბლიანი თავი უხერხულად, თითქოს ანგინით დაავადებულმა, ძაღლებისკენ მიიბრუნა, მერე ისკუპა ერთხელ, ისკუპა მეორედ, კუდი გაიქნია და ტყეში შეიმალა. იმავე წუთს პირდაპირ მდებარე ტყის ნაპირიდან ტირილის მსგავსი ღმუილითა და თავგზააბნეული გამოვარდა მინდორში ჯერ ერთი, მერე მეორე, ბოლოს მესამე მეძებარი, და ყველა იმ ადგილისკენ გამოემართა, სადაც მგელმა გაირბინა. მეძებრებს შემდეგ თხილნარის ბუჩქებში გამოჩნდა ოფლისგან

გამავებული დანილოს წაბლა ცხენი, რომლის გრძელ ზურგზედაც მოკუნტული და წინწახრილი იჯდა ჭადარა, თმააწეწილი, ოფლში გაწურული და აღმოდებული უქუდო დანილო.

– ულულულუ, ულულუ! – იძახდა იგი. როცა გრაფი დაინახა, თვალებიდან ელვა დააკესა, – უჰ!.. – დასჭყვილა და ამართული შოლტით დაემუქრა გრაფს.

– გაუსხლტათ მგელი!.. მონადირეებს დამიხედე! – მან თითქოს შემდგომი ლაპარაკის ღირსად აღარ ჩათვალა დარცხვენილი და შეშფოთებული გრაფი და მისთვის გამზადებული შოლტი ღვარძლიანად და მაგრად შემოჰკრა თავის წაბლა იაბოს ჩავარდნილ სველ ფერდში და მეძებრებს დაედევნა. გრაფი დასჯილივით აქეთ-იქით იყურებოდა, ცდილობდა ღიმილით გამოეწვია სემიონის სიბრალოული თავისი მდგომარეობისადმი. მაგრამ სემიონი იქ აღარ იყო: მან ბუჩქნარით მოუარა მგელს, ცდილობდა გაკაფული ადგილიდან გადაეჭრა მისთვის გზა. ორი სხვა მხრიდან გზის გადაჭრას ცდილობდნენ მწევართ ბაზიერნი, მაგრამ მგელი ბუჩქნარით გაემართა და ვერც ერთმა ვერ გადაუჭრა გზა.

თავი მეხუთე

ამასობაში ნიკოლაი როსტოვი თავის ადგილას იდგა და ნადირს ელოდა. დევნის მიახლოებასა და დაშორებაზე, ნაცნობი ძაღლებისა და მწევართფარეშთა ხმების მიახლოება-დაშორებასა და ყვირილზე გრძნობდა, რა ხდებოდა კუნძულზე. მან იცოდა, რომ კუნძულზე ახალგაზრდა და ბებერი მგლები იყვნენ; იცოდა, რომ მეძებრები ორ ხროვად გაიყვნენ, რომ სადღაც ძაღლებს უსევდნენ, რომ რაღაც უსიამოვნო მოხდა. ის ყოველ წამს მოელოდა ნადირს თავის მხარეზე; ათასნაირ შესაძლებლობას იგონებდა, თუ როგორ და რომელი მხრიდან გაურბენდა ნადირი და როგორ მიუსევდა მას ძაღლებს. იმედს სასოწარკვეთილება ცვლიდა. რამდენჯერმე ღმერთს მიმართა და შეევედრა, რომ მგელი მისკენ წარემართა; ლოცულობდა ისე გატაცებით და ისეთი მოკრძალებული გრძნობით, როგორითაც ლოცულობენ ადამიანები უმნიშვნელო მიზეზით გამოწვეული ძლიერი ალელვების დროს. „რა იქნება, რომ ჩემთვის გააკეთო ეს! – შესთხოვდა იგი ღმერთს, – ვიცი, რომ ძლიერი ხარ და ცოდვას ასეთი თხოვნა, მაგრამ გვედრები, ღვთის გულისათვის, გააკეთო ისე, რომ ჩემკენ წამოვიდეს ბებერი მგელი და რომ კარაიმ სასიკვდილოდ ჩასჭიდოს კბილები ყელში, ბიძიას თვალწინ, რომელიც აგერ, იქიდან იცქირება“. ამ ნახევარ საათში ათასჯერ მოავლო როსტოვმა შეუპოვარი, დამაბული და მოუსვენარი თვალი ორ იშვიათ მუხას ვერხვებს შორის, ნაპირჩარეცხილ ხრამს და ბიძიას ქუდს, რომელიც ოდნავ მოჩანდა მარჯვნივ, ბუჩქებიდან.

„არა, არ მეღირსება ეს ბედნიერება, – ფიქრობდა როსტოვი, – მერე, რა დიდი რამეა! არ მეღირსება! მე არაფერში ბედი არა მაქვს, არც ბანქოში, არც ომში. – აუსტერლიცი და დოლოხოვი აშკარად წარმოუდგნენ თვალწინ, ერთი მეორეზე მკვეთრად გაიელვეს მის გონებაში, – ნეტავი ერთხელ მაღირსა ჩემს სიცოცხლეში ბებერი მგლის დაფლეთა, მეტის მოსურნე არა ვარ!“ – ფიქრობდა ის, თან ძაბავდა სმენას და მხედველობას, იყურებოდა მარცხნივ, მერე ისევ მარჯვნივ, ცდილობდა დაეჭირა მგლების დევნის ხმაურის ფაჩუნიც კი. კვლავ მარჯვნივ გაიხედა და დაინახა, რომ უდაბურ მინდორზე რაღაც მორბოდა მისკენ. „არა, შეუძლებელია!“ – გაიფიქრა და მძიმედ ამოიოხრა, ამოიოხრა იმ კაცივით, რომელსაც დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა, ეღირსა უდიდეს ბედნიერებას, ამასთან ასე უბრალოდ, უხმაუროდ, შეუმჩნევლად, აღუნიშვნელად. როსტოვი არ უჯერებდა თვალებს და ამ ყოყმანმა ერთ წამზე მეტხანს გასტანა. მგელი წინ მორბოდა, ის მძიმედ გადაეშვა ფლატეზე, რომელიც წინ დახვდა. ეს იყო ბებერი ნადირი, გაჭადარავებული ზურგით, მოწითალო გამამდარი მუცლით. მორბოდა აუჩქარებლად, ალბათ, დარწმუნებული, რომ ვერავინ ხედავდა. სუნთქვაშეკრულმა როსტოვმა ძაღლებს გადახედა. ზოგი იწვა, ზოგი იდგა, მაგრამ მგელს ვერ ხედავდნენ და არაფერი ესმოდათ.

ბებერი კარაი, კისერმოგრეხილი, გაგულისებული რწყილებს დაეძებდა და ყვითელ კბილებს უკანა ბარძაყზე აკაწკაწებდა.

– ულულულულუ! – ჩურჩულით ჩაილაპარაკა ტუჩებმოკუმულმა როსტოვმა.

შეურჯოლებული ძაღლები ფეხზე წამოცვივდნენ, ყურები დაცქვიტეს. კარაიმ ბარძაყი მოიფხანა და წამოდგა, მანაც ცქვიტა ყურები და ოდნავ გაიქნია კუდი, რომელზედაც ბალანი ბლუჯა-ბლუჯა ეკიდა.

„მივუსიო თუ არა?“ – ეუბნებოდა ნიკოლაი თავის თავს იმ დროს, როცა მგელი, მოშორებული ტყეს, მისკენ მიიწევდა. უეცრად ნადირს მთელი სახე შეეცვალა: შეაჭრჟოლა, როცა მან, ალბათ, პირველად თავის სიცოცხლეში, დაინახა ჯერეთ უხილავი მისკენ მიმართული ადამიანის თვალები. მან ოდნავ მიიბრუნა თავი მონადირისკენ და შეჩერდა – უკან თუ წინ: „ეე, სულერთია, წინ!“ – უთხრა ალბათ მან თავის თავს და წინისკენ გასწია, გასწია ისე, რომ უკან აღარ მოუხედავს, რბილი, იშვიათი, თავისუფალი, მაგრამ მტკიცე ხტომით.

– ულულულულუ!.. – თითქოს სხვისი ხმით დასძახა ნიკოლაიმ, ხოლო მისი ცხენი ღრანტეებზე ხტომით გაექანა აღმართისკენ, რომ მგლისთვის გზა გადაეჭრა.

ცხენზე უფრო სწრაფად მოკურცხლეს ძაღლებმა და მალე გაუსწრეს კიდეც მას. ნიკოლაის არ ესმოდა თავისი ყიჟინა, ვერ გრძნობდა ვერც იმას, რომ ცხენი მიაქროლებდა, ვერ ხედავდა ძაღლებს, ვერც იმ ადგილს, სადაც ცხენს მიაჭენებდა; ხედავდა მხოლოდ მგელს, რომელმაც სირბილს მოუმატა და მიმართულების შეუცვლელად ღელე-ღელე მიხტოდა. მგლის მახლობლად პირველი გამოჩნდა შავჭრელი, გავაგანიერი მილკა, იგი თანდათან უახლოვდებოდა ნადირს. უფრო და უფრო მიუახლოვდა... აგერ მიაღწია კიდეც. მაგრამ მგელმა ოდნავ შეუბღვირა, და მილკა იმის მაგიერ, რომ სცემოდა მგელს, როგორც ყოველთვის იქცეოდა, უეცრად კუდამოძუებული გაჩერდა და წინა ფეხებს მიებჯინა.

– ულულულულუ! – გაჰკიოდა ნიკოლაი.

მილკას შემდეგ წითური ლიუბიმი გამოხტა, იგი სწრაფად მივარდა მგელს და უკანა ფეხის ბარძაყში სტაცა კბილი, მაგრამ იმავე წამს შეშინებული განზე გახტა. მგელი ჩაცუცქდა, კბილები ააკაწკაწა, მერე ისევ წამოხტა და გაეშურა. მას ერთი ადლის მანძილზე უკან მისდევდა ყველა ძაღლი, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა მიახლოებას.

„გაგვისხლტება! არა, შეუძლებელია ეს!“ – ფიქრობდა ნიკოლაი და ხრინწიანი ხმით განაგრძობდა ყვირილს.

– კარაი! კარაი! ულულულულუ!.. – გაჰკიოდა იგი და თვალებით ეძებდა ბებერ ხვადს, ერთადერთ თავის იმედს. კარაი კი მთელი თავისი ბებრული ძალ-ღონით, შესაძლებლობისამებრ დაძაბული, მძიმედ მიხტოდა მოშორებით, მგლისკენ თვალებმიპყრობილი, და ცდილობდა გზა გადაეჭრა მისთვის. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად მირბოდა მგელი და რამდენად ნელა ძაღლი, ცხადი იყო, რომ კარაის ვარაუდი შემცდარი იყო. ნიკოლაი ხედავდა, რომ შორს აღარ იყო ის ტყე, სადაც მგელი უსათუოდ მიიმალებოდა, თუკი მოახერხებდა და მიაღწევდა მას. ამ დროს წინ გამოჩნდნენ ძაღლები და ვიღაც მონადირე, რომლებიც პირდაპირ მგლისკენ მიქროდნენ. ჯერ კიდეც იყო იმედი. სხვა ხროვის მუქწაბლისფერი, ნიკოლაისთვის უცნობი, ახალგაზრდა, გრძელი ხვადი წინიდან მივარდა მგელს და თითქმის წააქცია იგი. მგელი სწრაფად წამოხტა, რაც მოულოდნელი იყო მისგან, ეცა მუქწაბლისფერ ხვადს და ისე ძლიერ გაჰკრა კბილი, რომ გასისხლიანებულმა ძაღლმა მწარედ შეჰკვივლა და გაფატრული ფერდით ბალახში ჩაყო თავი.

– კარაი, აბა, ჩემო ძვირფასო!.. – თითქმის ტიროდა ნიკოლაი.

ბებერმა ხვადმა, რომელსაც ბარძაყზე ბლუჯა-ბლუჯად ეკიდა ბალანი, თითქმის გადაუჭრა გზა შეფერხებულ მგელს და უკვე ხუთ ნაბიჯზე იყო მისგან. თითქოს იგრძნოო განსაცდელი, მგელმა დაუბღვირა კარაის, უფრო შორს მიმალა თავისი კუდი ფეხებს შორის და უმატა ხტუნვას. მაგრამ ამ დროს, – ნიკოლაიმ დაინახა მხოლოდ, რომ კარაის რაღაც დაემართა, – იგი თვალის დახამხამებამი მგელს ზურგზე მოექცა და მასთან ერთად წყლის მიერ ჩადარულ თხრილში ჩაგორდა.

ის წუთი, როცა ნიკოლაიმ დაინახა, როგორ ებრძოდნენ თხრილში ნადირს ძაღლები, რომელთა ქვეშიდანაც მოჩანდა მგლის ჭაღარა ბალანი, მისი ამოშვერილი უკანა ფეხი, ყურებაკრებილი გაგუდული მისი თავი (კარაის ყელში ჩაველო მისთვის კბილები) – ეს წუთი მისი ცხოვრების უბედნიერეს წუთს წარმოადგენდა. მან უკვე სტაცა ხელი უნაგირის კოტას, რათა ჩამომხტარიყო და დაეწყო მგლის აჩეხა, რომ უეცრად ძაღლების ხროვიდან ნადირის თავი გამოჩნდა, მერე მისი წინა ფეხები მოებლაუქნენ თხრილის კიდე; ამავე დროს მგელმა კბილები გააკრაჭუნა (კარაის კბილები აღარ ჰქონდა ჩაბლაუჭებული ყელში), უკანა ფეხებიც ამოსწია თხრილიდან, კვლავ მოწყდა ძაღლებს და კუდამოდუებული გაუდგა გზას. კარაი, ბალანაბურძგუნლი, ალბათ, დაშავებული ან დაჭრილი, ძლივს ამოცოცდა ფლატედან.

– ღმერთო ჩემო! რისთვის, რატომ? – სასოწარკვეთილებით წამოიძახა ნიკოლაიმ.

ბიძიას მონადირე მეორე მხრიდან მოაქანებდა ცხენს მგლისთვის გზის გადასალობად; მისმა ძაღლებმა კვლავ შეაჩერეს ნადირი და კვლავ შემოერთყნენ.

ნიკოლაი, მისი მსახური, ბიძია და მონადირე გარს უტრიალებდნენ მგელს, ყიჟინას სცემდნენ, ყვიროდნენ; ყოველ წუთს, როცა კი მგელი ჩაჯდებოდა, მზად იყვნენ ჩამომხტარიყვნენ, მაგრამ მალე ისევ მიაქროლებდნენ ცხენებს, როგორც კი მგელი შეირხეოდა და ტყისკენ გასწევდა, რომლისთვისაც თავი უნდა შეეფარებინა.

ამ დევნის ჯერ კიდევ დასაწყისში, ყიჟინის გაგონებისთანავე დანილო ტყიდან გამოვარდა. მან დაინახა, როგორ დაახტა კარაი მგელს და ცხენი შეაყენა, რადგან გაიფიქრა, საქმე დასრულდაო. მაგრამ როცა მონადირეებმა არ ჩამოიქვეითეს, როცა მგელი შეირხა და კვლავ გაუდგა გზას, დანილომ თავისი წაბლა პირდაპირი ხაზით ტყისკენ გააქროლა, ისევე, როგორც კარაი მოიქცა, მგლისთვის გზის გადასაჭრელად. ამის მეოხებით დანილო მგელთან მივიდა იმ დროს, როცა მეორედ ბიძიას ძაღლებმა შეაჩერეს.

დანილო ცხენს ხმაგაკმენდილი მიაჭენებდა, წინგაშვერილ მარცხენა ხელში ხანჯალი ეჭირა, ხოლო მარჯვენათი შოლტს უტყვლაშუნებდა ცხენის შეზნექილ ფერდს.

ნიკოლაიმ ვერ დაინახა დანილო და ვერ გაიგონა მისი ხმა იმ დრომდე, სანამ მის წინ მძიმედ არ ჩაიქმინა წაბლამ. მხოლოდ ახლა მოესმა გადმოხტომის ხმა და დანილო ძაღლებს შორის, მგლის გავაზე გაწოლილი დაინახა; იგი ცდილობდა ყურებში წაეველო ხელი მგლისთვის. აშკარა გახდა ძაღლებისთვისაც, მონადირეებისა და მგლისთვისაც, რომ ახლა ყველაფერი გათავებული იყო. მგელმა შიშით ყურები აიკრიბა და შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ძაღლები ბუზებივით დაესივნენ. დანილომ წამოიწია და, თითქოს დასასვენებლად დაწოლას აპირებო, მთელი თავისი სიმძიმით დაეშვა. მგელზე და ყურებში ხელები სტაცა. ნიკოლაის უნდოდა მგლისთვის იარაღი ჩაეცა, მაგრამ დანილომ წასჩურჩულა: არ უნდა, შევბოჭოთო. მან მდგომარეობა შეიცვალა და მგელს კისერზე ფეხი დაადგა. შემდეგ ნადირს ხახამი ჯოხი გაუჩხირეს, თითქოს ლაგამი ამოსდესო, შეკრეს და ფეხები გაუთოკეს. დანილომ ერთხელ თუ ორჯერ მგელი ერთი გვერდიდან მეორეზე გადააგორა.

გახარებულმა, მაგრამ გატანჯულმა მონადირეებმა ცოცხალი, მამალი მგელი განზე გამბტარ და მოფრუტუნე ცხენს გადაჰკიდეს და იმ ადგილისკენ წაიყვანეს, სადაც ყველანი უნდა შეკრებილიყვნენ. ძაღლები წკმუტუნით მისდევდნენ მათ. ორი ახალგაზრდა მგელი მეძებრებმა დაიჭირეს, სამიც – მწევრებმა. მონადირეები თავიანთი ნადავლით და ამბებით იკრიბებოდნენ, ყველა ათვალთვრებდა ზორბა მგელს, ეს უკანასკნელი კი თავისი შუბლმალა თავით, პირში გამოჩრილი დაღრღნილი ჯოხით, დიდი მინისებრი თვალეებით შეჰყურებდა ძაღლებისა და ადამიანების მთელ ამ კრებულს, რომელიც გარს ეხვია. როდესაც რითიმე ეხებოდნენ, იგი გათოკილ ფეხებს ამაგმაგებდა და ველურად და იმავე დროს უბრალოდ შესცქეროდა. შეეხო მას ცხენდაცხენ მისული გრაფი ილია ანდრეიჩიცი.

– უჰ, რა ზორბა რამ არის, – თქვა მან, – ხომ, დანილო? – ჰკითხა გრაფმა იქვე მდგომ დანილოს.

– ზორბა გახლავთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, – მიუგო დანილომ და თავიდან სწრაფად მოიგლიჯა ქუდი. გრაფმა გაიხსენა ხელიდან გაშვებული მგელი და მთელი თავისი შეტაკება დანილოსთან.

– მაგრამ, ძმაო, ბრაზიანი ყოფილხარ, – უთხრა გრაფმა.

დანილომ პასუხი არ გასცა და მორცხვად გაუღიმა, გაუღიმა ბავშვურად მშვიდი და საამო ღიმილით.

თავი მეექვსე

მოხუცი გრაფი შინისკენ გაემართა. ნატაშა და პეტია დაჰპირდნენ, ჩვენც ახლავე წამოვალთო. ნადირობა გაგრძელდა, რადგან ჯერ კიდევ ადრე იყო.

შუადღისას მეძებრები ახალგაზრდა, ხშირი ტყით დაფარულ ხევში გაუშვეს. ნიკოლაი ნამკალში იდგა და ყველა თავის მონადირეს ხედავდა.

ნიკოლაის პირდაპირ ჯეჯილი იყო და იქ ორმოში მისი მონადირე იდგა, მარტოდმარტო, გამოცალკევებული, თხილნარის უკან. ის-ის იყო, გაუშვეს მეძებრები, რომ ნიკოლაის მოესმა ნაცნობი ძაღლის – ვოლტორნის კანტიკუნტი ყეფა. მას სხვა ძაღლებიც შეუერთდნენ. ისინი ხან მიუყრდებოდნენ, ხან კვლავ იწყებდნენ ყეფას. ერთი წუთის შემდეგ კუნძულიდან მოისმა მელიის წამოგდების ხმა და მთელი ხროვა, ერთმანეთში არეული, გაემართა ძაღლობისკენ, ჯეჯილის მიმართულებით.

ნიკოლაი ხედავდა, როგორ მოაჭენებდნენ ცხენებს წითელქუდიანი მეძებართმწვრთნელნი ბუჩქებით დაფარული ხევის ნაპირ-ნაპირ, ხედავდა ძაღლებსაც კი და ყოველ წუთს მოელოდა მელიის გამოჩენას იმ მხარეზე, ჯეჯილებში.

ორმოში მდგომმა მონადირემ ძაღლები გაუშვა და თვითონაც დაიძრა. და ნიკოლაიმ დაინახა წითური, დაბალ-დაბალი უცნაური მელა, რომელიც კუდაგაბურბენილი და გამალებული ჯეჯილებისკენ მიექანებოდა. ძაღლები თანდათან ეწეოდნენ. აი, მიუახლოვდნენ. ახლა მელა ძაღლების მიერ შემორკალულ წრეში დარბოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, უფრო და უფრო ხშირად ავლებდა წრეს, ბეწვიან კუდს ირგვლივ ატრიალებდა. მაგრამ აი, დააფრინდა ვილაცის თეთრი ძაღლი, მერე შავი ძაღლი, ბოლოს ყველაფერი ერთმანეთში აირია. გარშემორტყმული ხროვა ვარსკვლავს დაემსგავსა, იგი ოდნავ ირხეოდა. ძაღლებთან ცხენი მიაქროლა ორმა მონადირემ: ერთს წითელი ქუდი ეხურა, მეორეს, უცხოს, მწვანე ხიფთანი ეცვა.

„რა ამბავია? – გაიფიქრა ნიკოლაიმ, – საიდან გაჩნდა ეს მონადირე? ბიძიასი არ არის“.

მონადირეებმა მელა გააგდებინეს ძაღლებს და დიდხანს იდგნენ ჩამოქვეითებულნი, არ ცდილობდნენ მელის მიბმას კოტაზე. იქვე, მათთან იდგნენ ცხენები თავიანთი წინწაშვერილი უნაგირებით და იწვნენ

ძაღლები. მონადირეები ხელებს იქნევდნენ და რაღაცს უშვებოდნენ მელას. იქიდანვე მოისმა სანადირო ბუკის ხმა – ჩხუბის ნიშანი.

– ეს ილაგინის მონადირე ედავება რაღაცას ჩვენს ივანეს, – თქვა ნიკოლაის მსახურმა.

ნიკოლაიმ მსახური დისა და პეტას მოსაყვანად გაგზავნა. ხოლო თვითონ ნელი ნაბიჯით გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც ძაღლთფარეშნი მეძებრებს უყრიდნენ თავს. რამდენიმე მონადირემ ჩხუბის ადგილისკენ გააქანა ცხენი.

ნიკოლაი ცხენიდან გადმოხტა და მეძებრების ხროვასთან გაჩერდა. იგი უცდიდა ამბავს, რით გათავდებოდა ჩხუბი. ამასობაში ნატაშა და პეტაც მივიდნენ. ტყიდან გამოვიდა მოჩხუბარი მონადირე და ახალგაზრდა ბატონს მიუახლოვდა. მელა მას უნაგირის კოტაზე თასმით ეკიდა. მონადირემ შორიდანვე მოიხადა ქუდი, ცდილობდა ზრდილობიანად ელაპარაკა, მაგრამ სახე გაჰფითებოდა და სუნთქვა ეკვროდა, ეტყობოდა, გაბოროტებული იყო. ცალი თვალი დასივებოდა, მაგრამ, ალბათ, არც კი ამჩნევდა ამას.

– რა მოხდა? – ჰკითხა ნიკოლაიმ.

– სადაურია ერთი მიბრძანეთ: ჩვენი მეძებრის მიერ წამოგდებულ მელას თავისი ძაღლები დაადევნა, დაჭერთაც ხომ ჩემმა თავისფერმა ძუკნამ დაიჭირა. წადი ახლა და ედავე! როგორ მოგწონთ: ხელი სტაცა მელას. მეც ავდექი და კარგად ვაგორავე, ინებე მელია-მეთქი. მელია კი აგერ ჰკივია უნაგირზე, – ამბობდა მონადირე და უჩვენებდა ხანჯალზე, ალბათ, ეგონა, ჯერ კიდევ ჩემს მტერს ველაპარაკებო.

ნიკოლაიმ ხმა არ გასცა მონადირეს, სთხოვა დასა და ძმას დაეცადათ მისთვის, თვითონ კი იქითკენ გაუყენა ცხენი, სადაც მისი მტერი ილაგინი ნადირობდა.

გამარჯვებული მონადირე სხვა მონადირეებში გაერია და იქ, თანამგრძნობი ცნობისმოყვარეებით გარშემორტყმული, უამბობდა მათ თავის გამირობას.

საქმე ის იყო, რომ ილაგინი, რომელთანაც როსტოვები უმძრახად იყვნენ და დავაც ჰქონდათ სასამართლოში, ნადირობდა იმ ადგილებში, რომლებიც ოდითგან როსტოვებს ეკუთვნოდათ; ახლაც მან თითქოს განგებ უბრძანა თავისიანებს მიახლოებოდნენ კუნძულს, სადაც როსტოვები ნადირობდნენ, და ნება მისცა თავის მონადირეს დაეწყო დევნა სხვისი მეძებრების მიერ წამოგდებული მელისთვის.

ნიკოლაის არასოდეს ენახა ილაგინი, მაგრამ მან ჩვეულებრივ არ იცოდა ზომიერება თავის მსჯელობასა და გრძნობებში; და ახლაც, ამ მემამულის სიშმაგისა და თვითნებობის გამგონეს, სულითა და გულით ეზიზღებოდა და უბოროტეს მტრად მიაჩნდა იგი. ნიკოლაი აღელვებული და აღშფოთებული მიდიოდა მისკენ, თანაც მაგრად უჭერდა ხელს სანადირო მათრახს: მზად იყო მიემართა უაღრესად გაბედული და საშიში მოქმედებისთვის თავისი მტრის წინააღმდეგ.

გავიდა თუ არა ტყიდან გაშვერილ ქიმზე, როსტოვმა დაინახა მისკენ მომავალი ჩასუქებული მებატონე, რომელსაც წავის ქუდი ეხურა და ჩინებულ შავ ცხენზე იჯდა. უცნობს ორი მსახური ახლდა.

მტრის ნაცვლად ილაგინის სახით როსტოვს წარმოუდგა თავაზიანი, წარმოსადეგი მებატონე, რომელიც უაღრესად მოწადინებული იყო ახალგაზრდა გრაფის გაცნობას. როსტოვთან მისვლისას ილაგინმა წავის ქუდის აწევით სალამი მისცა და უთხრა, რომ ძალზე წუხს იმის გამო, რაც მოხდა, რომ უბრძანებს დასაჯონ მონადირე, რომელმაც დევნა დაუწყო სხვისი ძაღლების მიერ წამოგდებულ მელიას, ბოლოს სთხოვა, გავიცნოთ ერთმანეთით, თანაც წინადადება მისცა, მისი ადგილები გამოეყენებინა სანადიროდ.

ნატაშა, რომელსაც ეშინოდა, საშინელი არაფერი ჩაედინა მის ძმას, ალელვებული, შორიახლო მისდევდა ნიკოლაის. როცა დაინახა, რომ მტრები მეგობრულად მიესალმნენ ერთმანეთს, თვითონაც მივიდა მათთან. ილაგინმა ნატაშას წინაშე უფრო მაღლა ასწია თავისი წავის ქუდი, საამოდ გაუღიმა და უთხრა, დიანას[181] წარმოადგენთ როგორც ნადირობის სიყვარულით, ისე სილამაზით, რომელზედაც მე ბევრი რამ მსმენიაო.

თავისი მონადირის შეცდომის გამოსასწორებლად ილაგინმა დაჟინებით სთხოვა როსტოვს, გავიაროთ ერთი ვერსის მანძილზე მდებარე ნაკვეთისკენ, რომელსაც ჩემთვის ვინახავ და რომელიც სავსეა კურდღლებითო. ნიკოლაიმ თანხმობა განაცხადა, და ნადირობის მონაწილენი, რომელთა რიცხვიც ერთიორად გაიზარდა, გაუდგნენ გზას.

ილაგინის ნაკვეთისკენ მიმავალთ მინდვრები უნდა გაევიდნოთ. მონადირეები მწკრივად გაიფანტნენ, ბატონები ერთად მიდიოდნენ. ბიძია, როსტოვი და ილაგინი ფარულად გადახედავდნენ ხოლმე სხვის ძაღლებს, ისე, რომ არავის შეენიშნა ეს. ისინი გულის ფანცქალით დაეძებდნენ მათ შორის თავიანთი ძაღლების მეტოქეებს.

როსტოვი განსაკუთრებით გააოცა თავისი სილამაზით ილაგინის წითელ-ჭრელმა ძუკნამ, მომცრო, ვიწროდ აზიდულმა, მაგრამ ფოლადივით მაგარი კუნთების პატრონმა წმინდა სანადირო ძაღლმა, თხელი ცხვირით და გადმოკარკლული შავი თვალებით. მას გაგონილი ჰქონდა ილაგინის ძაღლების სიმკვირცხლე და ეს ლამაზი ძუკნა თავის მილკას მეტოქედ მიიჩნია.

დარბაისლურ ლაპარაკში მიმდინარე წლის მოსავალზე, რომელიც ილაგინმა ჩამოაგდო, ნიკოლაიმ მიუთითა მის წითელ-ჭრელ ძუკნაზე:

– კარგი ძუკნა გყავთ, – უთხრა დაუდევრად, – მკვირცხლია?

– ეს ძუკნა? ჰო, კარგი ძაღლია, ახერხებს დაჭერას, – მიუგო გულგრილად ილაგინმა თავის ლამაზ ერზაზე, რომელშიც ერთი წლის წინათ თავის მეზობელს სამი ოჯახი შინაყმა მისცა, – გრაფ, მაშ, თქვენკენაც ნაკლები შემოსავალი ჰქონდა მარცვლეულს? – განაგრძო მან დაწყებული ლაპარაკი. მერე ილაგინმა მართებულად მიიჩნია თავაზიანობა თავაზიანობით გადაეხადა გრაფისთვის: მან თვალი გადაავლო როსტოვის ძაღლებს და მათ შორის აირჩია მილკა, რომელიც თვალში ეცა თავისი სიგანით.

– კარგია ეს თქვენი გავაჭრელი ძაღლი, საუცხოოდ არის მოყვანილი, – თქვა მან.

– არა უშავს რა, მარდი სირბილი იცის, – მიუგო ნიკოლაიმ. „ნეტავი ერთი გამოჩნდეს მინდორში ზორბა რუხი კურდღელი და გაჩვენებ, რა ძაღლია მილკა“, – გაიფიქრა მან. მერე მსახურს მიუბრუნდა და უთხრა, რუბლს მივცემ იმას, ვინც მიმაღულ კურდღელს ააგდებსო.

– არ მესმის, – განაგრძო ილაგინმა, – რატომ უყურებს ზოგიერთი მონადირე შურის თვალით ნადირს და ძაღლებს. მოგახსენებთ ჩემზე, გრაფ, მე მახარებს ცხენით გავლა, შეხვდები აი, ასეთ ადამიანებს, რა სჯობია ამას, – მან კვლავ მოიხადა თავისი წავის ქუდი ნატაშას წინაშე, – ის კი, რომ ტყავები თვალო, თუ რამდენი მიიტანე შინ, ჩემთვის სულერთია!

– რა თქმა უნდა.

– ან საწყენად დამრჩეს, როცა სხვისი ძაღლი დაიჭერს და არა ჩემი – რა სათქმელია! მე მახარებს და მატკობს დევნა. ასე არ არის, გრაფ? მერე, მე ვმსჯელობ...

– ეცი... მაგას! – მოისმა ამ დროს ერთ-ერთი მწევართფარემის გაგრძელებული ყიჟინა. იგი ნამკალში იდგა, პატარა ბორცვზე, შოლტმოდერებული; მან ერთხელ კიდევ გააგრძელა: – ე-ცი მა-გას! (ეს ხმა და მოდერებული შოლტი ნიშნავდა იმას, რომ იგი მწოლიარე კურდღელს ხედავდა).

– მგონი, შენიშნა, – თქვა დაუდევრად ილაგინმა, – დავედევნოთ, ხომ, გრაფ?

– ჰო, უნდა ახლო მივიდეთ... ერთად, არა? – ჰკითხა როსტოვმა და გადახედა ერზას და ბიძიას წითურ რუგაიას, ორ თავის მეტოქეს, რომლებსაც არასოდეს შეხვედრიან მისი ძაღლები. „ვაითუ ყურები დააგლიჯონ ჩემს მილკას!“ – ფიქრობდა იგი და ბიძიასთან და ილაგინთან ერთად კურდღლისკენ მიიწევდა.

– ზორბაა? – იკითხა ილაგინმა და წაიწია იმ მონადირისკენ, რომელმაც პირველად შენიშნა კურდღელი. ილაგინმა, ცოტა არ იყოს აღელვებულმა მიიხედა და დაუსტვინა თავის ერზას... – თქვენ რაღას აპირებთ, მიხაილ ნიკანორიჩ? – მიმართა მან ბიძიას.

ბიძია მოღუმული მიდიოდა.

– მე სად შემიძლია თქვენ დაგეტოლოთ! Чистое дело марш! ყოველ თქვენს ძაღლში თითო სოფელია მიცემული, თქვენი ძაღლები ათასიანები არიან. თქვენ თქვენი ძაღლები შეახვედრეთ ერთმანეთს, მე კი სეირს ვუყურებ!

– რუგაი, მიდი! მიდი! – და დასცა მან ყიჟინა, – რუგაი ჩემო! – დაუმატა და თითქოს ამ ალერსით გამოხატა თავისი სინაზე და ის იმედი, რომელსაც იგი ამ წითელ ხვადზე ამყარებდა. ნატაშა ხედავდა და გრძნობდა, როგორ მალავდა ეს ორი მოხუცი და მისი ძმა თავიანთ მღელვარებას და თავადაც ღელავდა.

დაბალ ბორცვზე მყოფი მონადირე აშვერილი შოლტით იდგა, ბატონები ნაბიჯით უახლოვდებოდნენ მას. მეძებრები, რომელნიც ზედ ჰორიზონტზე მოჩანდნენ, შორდებოდნენ კურდღელს. ასევე შორდებოდნენ მას მონადირეები, არაბატონები. ყველანი დინჯად და დარბაისლურად მოძრაობდნენ.

– საითკენ წევს თავით? – ჰკითხა ნიკოლაიმ მონადირეს, რომელმაც პირველად შენიშნა კურდღელი.

მაგრამ ვერ მოასწრო მონადირემ პასუხის გაცემა, რომ კურდღელმა, იგრძნო რა ხვალინდელი სუსხის მოახლოება, უძრავად წოლა ვეღარ აიტანა და წამოხტა. მეძებრების გადაბმული ხროვა ღმუილით დაედევნა კურდღელს, რომელიც აღმართს შეუდგა. მეძებრებისა და კურდღლისკენ დაიძვრნენ ყველა მხრიდან ის მწვერებიც, რომელნიც გადაბმულნი არ იყვნენ. ყველა ეს დინჯად მიმავალი მონადირე თავის საქმეს აკეთებდა: მეძებართვარეშნი ყვიროდნენ: „შესდექ!“ და გზაამცდარ ძაღლებს აბრუნებდნენ; მწვეართვარეშნი გაჰკვიოდნენ: „მიდი, მიდი“ და უსევდნენ ძაღლებს. ბოლოს ყველანი მინდორს მოედვნენ. აუღელვებელი ილაგინი, ნიკოლაი, ნატაშა და ბიძია მიაქროლებდნენ ცხენებს, თვითონაც არ იცოდნენ როგორ და რატომ. ისინი ხედავდნენ მხოლოდ ძაღლებსა და კურდღელს და ეშინოდათ, როგორმე არ გამოჰპაროდათ კურდღლის დევნის მიმდინარეობა. კურდღელი ზორბა და მკვირცხლი აღმოჩნდა. წამოხტომისას მაშინვე არ მოკურცხლა, ჯერ ყურები ცქციტა – მიაყურა ყვირილს და თქარათქურს, რაც უეცრად ყველა მხრიდან შემოესმა. მერე ათიოდეჯერ გადახტა, გადახტა აუჩქარებლად, ახლო მიუშვა თავისთან ძაღლები და, ბოლოს, მიხვდა რა განსაცდელიც ელოდა და აირჩია მიმართულება, ყურები აიკრიფა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა. ის ნამკალში იწვა, წინ კი საფლობი ჯეჯილი იყო. პირველად შენიშნა კურდღელი და დაედევნა მას იმ მონადირის ორი ძაღლი, რომელმაც თავდაპირველად დაინახა მწოლიარე კურდღელი. ისინი ყველაზე ახლოც იყვნენ კურდღელთან. მაგრამ ჯერ კიდევ მცირე მანძილი ჰქონდათ გავლილი, რომ მათ უკნიდან გამოხტა ილაგინის ერზა, საოცარი სისწრაფით მიუახლოვდა კურდღელს და წაეტანა მის კუდს, მაგრამ უეცრად მიწაზე გაგორდა: ეგონა, კუდს ვტაცე პირიო და თავი ვეღარ შეიმაგრა. კურდღელმა ზურგი აზნიქა და უფრო აუჩქარა სირბილს. ერზას შემდეგ გამოვარდა გავაგანიერი, შავჭრელა მილკა, იგი სწრაფად ეწეოდა კურდღელს.

– მილკა, ჩემო საყვარელო მილკა! – მოისმა ნიკოლაის გახარებული ყვირილი.

კაცს ეგონებოდა, საცაა მილკა დაეწევა, დაჰკრავს თათს და აიტაცებს კურდღელსო, მაგრამ ამის ნაცვლად იგი დაეწია და გაუსწრო კიდეც კურდღელს, რადგან ეს უკანასკნელი განზე გახტა. კვლავ მიუახლოვდა ლამაზი ერზა და ფეხდაფეხ აედევნა კურდღელს, თითქოს ვარაუდობდა, ახლა მაინც აღარ შეეცდებოდა უკანა ბარძაყში ვტაცო პირო.

– ერზა! ჩემო კარგო! – მოისმა ილაგინის მტირალა, სრულიად შეცვლილი ხმა.

ერზამ არ შეისმინა მისი ვედრება: სწორედ იმ წუთს, როცა ეგონათ, ძალღი საცაა თათს წაავლებს კურდღელსო, მას კვალი ეცვალა, შეირყა, გაგორდა და გორვით ჯეჯილისა და ნამკალის მიჯნას მიაღწია. კვლავ გაუსწორდნენ ერთმანეთს ერზა და მილკა, როგორც ეტლის წყვილი ცხენი, და დაედევნენ კურდღელს. მიჯნაზე კურდღელს უფრო გაუადვილდა სირბილი, ძაღლები კი ისე სწრაფად ვეღარ უახლოვდებოდნენ.

– რუგაი! რუგაიკავ! Чистое дело марш! – დასძახა ამ დროს ერთმა ახალმა ხმამ კიდეც და ბიძიას წითური, კუდიანი ხვადი დაძაბული და ზურგაბურცული, ჯერ გაუსწორდა პირველ ორ ძაღლს, მერე გაუსწრო მათ, ბოლოს საშინელი თავგამოდებით მიეტანა კურდღელს, მიჯნიდან ჯეჯილში შეაგდო იგი და მუხლამდე ლაფში ჩაფლული, ძაღზე გაბოროტებული, ერთხელ კიდეც მიუხტა ტალახიან ჯეჯილში. ჩანდა მხოლოდ, კურდღელთან ერთად როგორ კოტრიალობდა ზურგმოსვრილი ძაღლი ტალახში. ძაღლები ვარსკვლავის მსგავსად შემოერთყვნენ მათ. ერთი წუთის შემდეგ ყველანი ძაღლების შეჯგუფებული ხროვის ირგვლივ იდგნენ. ერთადერთი ბედნიერი ბიძია გადმოხტა ცხენიდან და გამოჰკვლიჯა კურდღელი ძაღლებს. მან ასწია იგი და ქნევა დაუწყო, რათა სისხლი დასდენოდა; იმავე დროს შემფოთებული იყურებოდა აქეთ-იქით, თვალებს აცეცებდა, არ იცოდა, რა ექნა ხელებისა და ფეხებისთვის და ლაპარაკობდა, თვითონაც არ იცოდა ვისთან და რაზე. „აი, ეს არის, Чистое дело марш! აი, ძაღლი... ყველანი გააცურა, ათასიანებიც, რუბლიანებიც! Чистое дело марш!“ – ამბობდა სუნთქვაშეკრული მოხუცი და ბოროტად იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს ვიდაცას ლანძღავსო, თითქოს ყველანი მისი მტრები ყოფილიყვნენ, თითქოს ყველამ აწყენინა და მხოლოდ ახლა შეძლო მან თავის გამართლება. „ეგეც თქვენი ათასიანები, – Чистое дело марш!“.

– რუგაი, ჰა ფეხი! – მიმართა მან ძაღლს და კურდღლის მოჭრილი ტალახიანი ფეხი გადაუგდო, – დაიმსახურე, Чистое дело марш!

– ძალ-ღონე გამოელა, სამჯერ დაედევნა მარტოდმარტო, – ამბობდა ნიკოლაი, ყურს არავის უგდებდა და არც იმაზე წუხდა, უგდებდა თუ არა ვინმე ყურს თვითონ მას.

– რა გამოვიდა, მაგან ხომ გარდიგარდმო გადაუჭრა გზა! – თქვა ილაგინის მსახურმა.

– რაკი კურდღელი წაიფორხილებს, დევნის შემდეგ ყოველ ფინიასაც კი შეუძლია მისი დაჭერა, – წამოიძახა აწითლებულმა ილაგინმა, რომელიც ცხენის ჭენებისა და ადელვებისგან სულს ძლივს ითქვამდა.

იმავე დროს გახარებული და აღტაცებული ნატაშა სულმოუთქმელად წიოდა, ისე გამგმირავად წიოდა, რომ ყურებში ზუზუნნი გაისმოდა. ამ წივილით იგი გამოხატავდა ყოველივე იმას, რასაც თავიანთი ერთდროული ლაპარაკით გამოხატავდნენ სხვა მონადირეები. და ეს წივილი იმდენად უცნაური იყო, რომ თვითონ მას უნდა შერცხვენოდა ამ ველური ხმისა და ყველა დამსწრეც უნდა გაოცებულიყო, სხვა დროს რომ მომხდარიყო ეს ამბავი.

ბიძიამ საკუთარი ხელით შეკრა კურდღელი თასმებით, მარჯვედ და მკვირცხლად გადაჰკიდა იგი ცხენს გავაზე, უნაგირს უკან, თითქოს ამ გადაკიდვით საყვედურს ეუბნებოდა ყველას, თანაც ისე

იყურებოდა, იფიქრებდით, ლაპარაკიც კი არავისთან არ სურსო, მერე მოაჯდა თავის ჩალისფერ ცხენს და გაუდგა გზას. გზას ჩაუდგნენ სხვებიც, დამწუხრებულნი და შეურაცხყოფილნი, და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დაუბრუნდნენ წინანდელ მოჩვენებით გულგრილობას. კიდევ დიდხანს შეჰყურებდნენ ისინი წითურ რუგაის, რომელიც, ტალახით მოსვრილი, კუზიანი ზურგით, რკინის ფირფიტის წკარუნით და იმ მშვიდი სახით, როგორც გამარჯვებულს სჩვევია, ფეხდაფეხ მისდევდა ბიძიას ცხენს.

„მე ისეთივე ვარ, როგორც ყველა სხვა არის, როცა საქმე ნადირის დევნას არ ეხება. დევნაში კი წინ ვერავინ დამიდგება!“ თითქოს ამბობდა, როგორც ნიკოლაის ეჩვენებოდა, ამ ძაღლის სახე.

როცა კარგა ხნის შემდეგ ბიძია ნიკოლაისთან მივიდა და გამოელაპარაკა, ნიკოლაიმ თავმოსაწონ საქმედ მიიჩნია ის, რომ ბიძიამ ლაპარაკის ღირსად გახადა იგი ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მოხდა.

თავი მეშვიდე

როცა საღამოთი ილაგინი ნიკოლაის გამოეთხოვა, ეს უკანასკნელი ისე შორს აღმოჩნდა სახლიდან, რომ მან მიიღო ბიძიას წინადადება, დაეტოვებინა ღამის გასათევად ძაღლები და მათი ფარეშები მასთან, სოფელ მიხაილოვკაში.

– უკეთესი იქნება, თუ თქვენც ჩემთან შემოივლით, Чистое дело марш! – დაუმატა ბიძიამ, – როგორც ხედავ, ნამიანი ამინდია. დაისვენებდით, გრაფინიას ეტლით გავისტუმრებდით.

ბიძიას წინადადება მიიღეს, ეტლისთვის მონადირე გაგზავნეს ოტრადნოეში, და ნიკოლაი, ნატაშა და პეტია ბიძიასთან წავიდნენ.

მთავარ პარმალზე ბატონის შესახვედრად გამოვარდა ხუთიოდე კაცი, შინაყმა, დიდი და პატარა. ათიოდე დედაკაცმა, მოხუცმა, დიდმა თუ პატარამ, კისერი წაიგრძელა უკანა პარმალიდან, რათა მომავალი მონადირეებისთვის ეცქირათ. კნიაჟნა ნატაშას დანახვამ ცხენზე ბიძიას შინაყმების ცნობისმოყვარეობა იქამდე მიიყვანა, რომ ბევრი მათგანი დაურიდებლად უახლოვდებოდა სტუმარს, თვალეში შესცქეროდა და მისივე თანადასწრებით გამოთქვამდა თავის აღტაცებას, როგორც თითოთ საჩვენებელ სასწაულზე, რომელიც ადამიანი არ უნდა იყოს და რომელსაც არ უნდა ესმოდეს და გაეგებოდეს ის, რასაც მასზე ამბობენ.

– არინკა, შეხედე ერთი, გვერდზე ზის! თვითონ ზის, კალთა კი უფრიალებს... აგერ რქაც!

– ღმერთო დიდებულო, დანა!..

– ხომ ხედავ თათრის ქალია!

– არა, როგორ არ გადაკოტრიალდი? – მიმართა ნატაშას ყველაზე გაბედულმა.

ბიძია ცხენიდან გადმოხტა ბაღში ჩამალული თავისი ხის სახლის პარმალთან და თვალი მოავლო შინაყმებს. შემდეგ რიხიანად უბრძანა, ზედმეტნი წასულიყვნენ და მოემზადებინათ ყველაფერი, რაც საჭირო იყო სტუმრებისა და ნადირობის მონაწილეთა მისაღებად.

ყველანი მიმოიფანტნენ. ბიძიამ ნატაშა ცხენიდან ჩამოსვა და ხელით პარმალის მოქანავე ფიცრულის საფეხურებზე აიყვანა. მოუბათქაშებელ ძელურკედლებიან სახლში მაინცდამაინც დიდი სისუფთავე არ იყო. არ ეტყობოდა, რომ იქ მცხოვრებ ადამიანთა მიზანი ლაქების მოსპობა ყოფილიყო, მაგრამ არცთუ მთლად თავმინებებული იყო სახლი. დერეფანში ახალმოკრეფილი ვაშლის სუნი იდგა და მგლისა და მელიის ტყავები ეკიდა.

წინა ოთახით ბიძიამ თავისი სტუმრები მომცრო დარბაზში გაიყვანა, სადაც თვალს მოჰკრავდით დასაკეც მაგიდას და წითელ სკამებს, მერე სასტუმრო ოთახში გავიდნენ, სადაც არყის ხის მრგვალი მაგიდა და დივანი იდგა, და ბოლოს – კაბინეტში, რომელსაც ამშვენებდა დაფლეთილი დივანი, გაცვეთილი ხალიჩა და პორტრეტები სუვეროვისა, სახლის პატრონის მამისა და დედის და თვით ბიძიასი სამხედრო მუნდირში. კაბინეტში თამბაქოსა და ძაღლების ძლიერი სუნი იდგა. ბიძიამ სთხოვა სტუმრებს, დამსხდარიყვნენ და მოქცეულიყვნენ ისე, როგორც საკუთარ სახლში, თვითონ კი ოთახიდან გავიდა. კაბინეტში რუგაიც შევიდა თავისი ტალახიანი ზურგით, დივანზე წამოწვა და ენითა და კბილებით შეუდგა ზურგის წმენდას. კაბინეტიდან დერეფანი მიდიოდა, ხოლო დერეფანში მოჩანდა დახეულფარდებიანი თეჯირები. თეჯირებს იქიდან ქალების სიცილი და ჩურჩული მოისმოდა.

ნატაშამ, ნიკოლაიმ და პეტიაშე ზედა სამოსი გაიხადეს და დივანზე დასხდნენ. პეტიაშე თავი ხელებს დააყრდნო და მაშინვე ჩაიძინა. ნატაშა და ნიკოლაი ჩუმად ისხდნენ. სახე ორივეს ასწითლებოდა. ძალიან შიოდით და მხიარულად გრძნობდნენ თავს. მათ ერთმანეთს გადახედეს (ნადირობის შემდეგ ოთახში ნიკოლაის საჭიროდ აღარ მიაჩნდა გამოეჩინა თავისი უპირატესობა დის წინაშე). ნატაშამ თვალი ჩაუკრა ძმას. ერთხანს ძლივს იკავებდნენ თავს, მერე ხმამაღლა გადაიხარხარეს, ისე, რომ მიზეზიც კი ვერ გამოუნახეს თავიანთ სიცილს.

ცოტა ხნის შემდეგ ბიძია შევიდა; მას კაზაკინი, ლურჯი შარვალი და პატარა წაღები ეცვა. ნატაშა ამ ტანისამოსში ხედავდა ბიძიას ოტრადნოეში, მას აკვირებდა ეს ტანისამოსი და დასცინოდა კიდეც ბიძიას, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ ეს სამოსიც ისეთივე ჩვეულებრივი ტანსაცმელია და იგი არაფრით ჩამოუვარდება სერთუკსა და ფრაკს. ბიძიაც მხიარულ გუნებაზე იყო. მას არათუ არ სწყენია და-ძმის სიცილი, აზრად არც კი მოუვიდოდა თუ და-ძმა მის ცხოვრებას დასცინებდა, თვითონ ისიც შეუერთდა მათ მხიარულებას.

– აი, ასეთი უნდა ახალგაზრდა ასული გრაფისა, – *Чистое дело марш!* – სხვა ამისთანა არ მინახავს, – თქვა მან და ერთი გრძელტარიანი ჩიბუხი როსტოვს გადააწოდა, ხოლო მეორე მოკლე, მოჭრილი ტარით თვითონ აიღო და ჩვეულებისამებრ სამი თითით დაიჭირა.

– მთელი დღე მამაკაცივით ცხენზე იჯდა და ვითომ არაფერი იყო.

არ გასულა დიდი დრო ბიძიას შესვლის შემდეგ, რომ კარი გააღო, როგორც ფეხის ხმაზე ეტყობოდა, ფეხშიშველა ქალმა, და დიდი სავსე ხონჩით ხელში კაბინეტში შევიდა სქელ-სქელი, ღაჟღაჟა ორმოცი წლის ლამაზი დედაკაცი ორმაგი ნიკაპით და მსუქანი წითელი ტუჩებით. მან სტუმართმოყვარეობრივი დარდიმანდობით და თვალებისა და ყოველი მოძრაობის მიმზიდველობით გადახედა სტუმრებს და ალერსიანი ღიმილითა და პატივისცემით დაუკრა მათ თავი. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვეულებრივზე უფრო სქელი იყო, რაც აიძულებდა მას გამოეხურცა მკერდი და მუცელი და გადაეწია უკან თავი, იგი (ბიძიას ეკონომი ქალი) მეტად რბილად ადგამდა ნაბიჯებს. ქალი მაგიდასთან მივიდა, ხონჩა დადო და თავისი თეთრი, ფუშფუშა ხელებით გადმოიღო და მაგიდაზე მარჯვედ დაალაგა ბოთლები, საუზმე და ხილეული. დაასრულა რა ეს საქმე, მოშორდა მაგიდას და ღიმილით დადგა კართან. „აი, ეს ვარ მე! ახლა ხომ გესმით ბიძიასი?“ – უთხრა როსტოვს ამ ქალის კაბინეტში შესვლამ. როსტოვმა კი არა, ნატაშამაც გაიგო ყველაფერი, გაიგო ბიძიას მოღუშული წარბებისა და იმ ბედნიერი და კმაყოფილი ღიმილის მნიშვნელობა, რომელიც ოდნავ დასთამაშებდა მას ტუჩებზე, როცა ანისია ფეოდოროვნა კაბინეტში შევიდა. ხონჩაზე ეწყო: ბალახეულ მცენარეებზე ნაყენი არაყი, სხვა სასმელები, სოკო, შავი ფქვილისგან შრატზე დამზადებული ნამცხვარი, ფიჭათაფლი, თაფლი ალვახაზი და შუმშუნა თაფლი, ვაშლი, თხილი ნედლი, მოხალული და თაფლში ამოვლებული. შემდეგ ანისია

ფეოდოროვნამ შემოიტანა თაფლსა და შაქარზე დამზადებული მურაბები, ლორი, ახალშემწვარი ქათამი.

ყველაფერი ეს ანისია ფეოდოროვნას მეურნეობისა იყო, მის მიერ მომარაგებული და დამზადებული. ყველა ამას ანისია ფეოდოროვნას სუნი, იერი და გემოვნება დაჰკრავდა; ყველაფერი ეს ნოყიერი, სუფთა, სპეტაკი იყო, ყოველივე ამას საამო ღიმილი დასთამაშებდა.

– მიირთვით, გრაფინია, – ამბობდა იგი და აწვდიდა ხან ერთ, ხან მეორე საჭმელს.

ნატაშა ყველაფერს შეექცეოდა. მას ისე ეგონა, თითქოს არსად და არასოდეს ეჭამა შრატზე დამზადებული ასეთი ნამცხვარი, ასეთი სურნელოვანი მურაბები, თაფლში ჩადებული ასეთი თხილი და ასეთი ქათამი.

ანისია ფეოდოროვნა კაბინეტიდან გავიდა. როსტოვი და ბიძია ვახშამს ალუბლის ნაყენს აყოლებდნენ და წარსულ და მომავალ ნადირობაზე, რუგაიზე და ილაგინის ძაღლებზე ლაპარაკობდნენ. ნატაშა გაბრწყინებული თვალებით დივანზე იჯდა და ყურს უგდებდა მათ. რამდენჯერმე შეეცადა პეტის გაღვიძებას, რომ მიეცა რამე საჭმელი, მაგრამ ის ძილში რაღაც გაუგებარს ლულულულებდა. ნატაშა ისე გახარებული იყო, ისე კარგად გრძნობდა თავს ამ ახალ ვითარებაში, რომ ეშინოდა, მალე არ მოსულიყო ეტლი. შემთხვევითი სიჩუმე ჩამოვარდა, ამ სიჩუმის შემდეგ, როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე იმათ, ვინც პირველად იღებს თავის სახლში ნაცნობებს, ბიძიამ, თითქოს იმ აზრს უპასუხაო, რომელიც სტუმრებს დაეხდათ, თქვა:

– ჰოდა, ასე ვასრულებ ჩემს დღეებს... მოვკვდები! – Чистое дело марш! – არაფერი დამრჩება, ცოდვის ჩადენაც აღარ ღირს.

ბიძიას სახე მიმზიდველი იყო, ლამაზიც კი, როცა ამას ამბობდა. როსტოვმა უნებურად გაიხსენა ყველაფერი, რაც რამ კარგი გაეგონა ბიძიაზე მამისა და მეზობლებისგან. ბიძიას მთელ გუბერნიაში უკეთილშობილესი და ყოვლად უანგარო, თანაც უცნაური კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მას იწვევდნენ ოჯახებში ჩამოვარდნილი დავის გასარჩევად, ნიშნავდნენ ანდერძის აღმასრულებლად, ანდობდნენ საიდუმლოებებს, ირჩევდნენ მოსამართლედ და სხვა თანამდებობებზე, მაგრამ საზოგადოებრივ სამსახურზე მუდამ გადაჭრილ უარს აცხადებდა. შემოდგომასა და გაზაფხულს მინდორში ატარებდა, თავის ჩალისფერ ცხენზე შემომჯდარი, ზამთრობით შინ იჯდა, ხოლო ზაფხულობით თავის დაბურულ ბაღში იყო წამოწოლილი.

– რატომ არ მსახურობთ, ბიძია?

– ვმსახურობდი, მაგრამ მივატოვე. არ ვარგივარ, Чистое дело марш! ვერაფერი გამიგია. ეგ თქვენი საქმეა, მე კი ჭკუა არა მყოფნის. აი, ნადირობა სულ სხვაა, ეს არის ნამდვილი Чистое дело марш! გააღეთ მანდ კარი! – დაიყვირა მან, – რატომ დახურეთ?

კარი დერეფნის ბოლოში (რომელსაც კორიდორის ნაცვლად კოლიდორს ეძახდა ბიძია) გადიოდა სამონადირეო ოთახში. ასე ეწოდებოდა მონადირეთა საჯალაბო ოთახს. შიშველმა ფეხებმა სწრაფად გაირბინეს და უხილავმა ხელმა სამონადირეო ოთახის კარი გააღო. დერეფნიდან გარკვევით მოისმა ბალალაიკის[182] ხმა; უკრავდა, ალბათ, ამ საქმის რომელიმე ოსტატი. ნატაშა დიდი ხანია უკვე ყურს უგდებდა ამ ხმას და ახლა დერეფანში გავიდა, რათა უფრო გარკვევით გაეგონა იგი.

– ეგ ჩემი მიტკა მეეტლე უკრავს... კარგი ბალალაიკა ვუყიდე, მიყვარს, – თქვა ბიძიამ.

ბიძიას წესად ჰქონდა შემოდებული, როცა ნადირობიდან ბრუნდებოდა, სამონადირეოში მიტკას ბალალაიკა უნდა დაეკრა. ბიძიას უყვარდა მუსიკის მოსმენა.

– რა კარგია! მართლაც რომ ჩინებულია! – თქვა ნიკოლაიმ ერთგვარი უნებური დაუდევრობით, თითქოს რცხვენოდა გამოტეხილიყო, რომ ეს ხმები დიდ სიამოვნებას ჰგვრიდნენ.

– როგორ თუ ჩინებულია? – მიმართა საყვედურით ნატაშამ; მან იგრძნო ძმის სიტყვების კილო, – არათუ ჩინებულია, საუცხოოა! – როგორც ბიძიას სოკო, თაფლი და ნაყენი ეჩვენა ნატაშას უგემრიელეს სასმელ-საჭმელად ამქვეყნად, ისე სიმღერები ეჩვენებოდა ამ წუთში მუსიკალური სიმშვენიერის მწვერვალად.

– კიდევ, გეთაყვა, კიდევ! – გასძახა ნატაშამ, როგორც კი ბალალაიკა ჩაჩუმდა.

მიტკამ ააწყო საკრავი, და კვლავ აჟღარუნდა „ბარინია“ [183] თავისი მუხლებითა და ასამაღლებლებით. ბიძია იჯდა და, გვერდზე თავგადახრილი ყურს უგდებდა ოდნავი ღიმილით ტუჩებზე. „ბარინიას“ მოტივი ასჯერ მაინც განმეორდა. ბალალაიკა რამდენჯერმე ააწყვეს, იგივე ბგერები ისევ და ისევ ჟღარუნებდნენ, მაგრამ მსმენელებს მაინც არ მოსწყინდათ, პირიქით, უფრო და უფრო უნდოდათ საკრავის მოსმენა. ანისია ფეოდოროვნა კვლავ შევიდა ოთახში და სრული ტანით კედელს მიეყრდნო.

– ბალალაიკას უსმენთ? – მიმართა მან ნატაშას ღიმილით, რომელიც ძალიან ჰგავდა ბიძიას ღიმილს, – საუცხოოდ უკრავს.

– აი, ეს მუხლი ვერ დაუკრა სწორად, – უცებ თქვა ბიძიამ და თან ენერგიული ჟესტი დააყოლა, – აქ ბგერებს გაფანტვა უნდა, გაფანტვა! – განა თქვენ იცით დაკვრა? – ჰკითხა ნატაშამ.

ბიძიამ პასუხი არ გასცა, მხოლოდ გაიღიმა.

– ნახე ერთი, ანისიუშკა, აქვს თუ არა გიტარას მთელი სიმები? დიდი ხანია ხელში აღარ ამიღია! Чистое дело марш! მივატოვე.

ანისია ფეოდოროვნა ხალისიანად გაემართა თავისი მსუბუქი ნაბიჯით ბატონის ბრძანების შესასრულებლად და მოუტანა კიდეც გიტარა.

ბიძია არავის უყურებდა, მან გიტარას შეუბერა და მტვერი გადაბერტყა, მერე საკრავი გადააბრუნა, გამხდარი თითები წაუკაკუნა, მომართა და სავარძელში გასწორდა. შემდეგ ტარს ზემოთ გიტარას ხელი წაავლო (აქ ბიძიამ რამდენჯერმე თეატრალურ ჟესტს მიმართა და მარცხენა ხელის იდაყვი განზე გასწია), ანისია ფეოდოროვნას თვალი ჩაუკრა და. „ბარინიას“ დაკვრის ნაცვლად ერთი ძლიერი წმინდა აკორდი აიღო, მერე ზომიერად და წყნარად, მაგრამ მტკიცედ, აუჩქარებელი ტემპით შეუდგა ცნობილი სიმღერის, По у-ли-и-це мостовой-ს [184] გადმოცემას; იმავე წუთს სიმღერასთან შეწყობილად, დარბაისლური მხიარულებით (სწორედ ისეთით, როგორითაც სუნთქავდა ანისია ფეოდოროვნას მთელი არსება) აჟღერდა ნიკოლაისა და ნატაშას გულში სიმღერის მოტივი. სახეაწითლებულმა ანისია ფეოდოროვნამ ხელსახოცი აიფარა და სიცილით ოთახიდან გავიდა. ბიძია განაგრძობდა სიმღერის უზადოდ, გულმოდგინედ და ენერგიულად შესრულებას; იგი შეცვლილი ზემთაგონებული თვალით შესცქეროდა იმ ადგილს, საიდანაც ანისია ფეოდოროვნა გავიდა. ოდნავ, სულ ოდნავ რაღაც იცინოდა ბიძიას სახეზე, ცალ მხარეს, ჭადარა უღვაშქვემ, იცინოდა განსაკუთრებით მაშინ, როცა უფრო და უფრო იშლებოდა სიმღერა, მატულობდა ტაქტი და როცა გადასასვლელ ადგილებში რაღაც წყდებოდა.

– საუცხოოა, საუცხოო, ბიძია! კიდევ, კიდევ! – წამოიძახა ნატაშამ, დაასრულა თუ არა ბიძიამ სიმღერა. მერე ადგილიდან წამოხტა, გადაეხვია და აკოცა ბიძიას, – ნიკოლინკა, ნიკოლინკა! – ამბობდა იგი, თან ძმას გადახედავდა ხოლმე, თითქოს ჰკითხავდა: მითხარი ერთი, რა არის ეს?

ნიკოლაისაც ძალიან მოსწონდა ბიძიას სიმღერა. ბიძიამ მეორედ დაუკრა. ანისია ფეოდოროვნას მოღიმარე სახე კვლავ გამოჩნდა კართან, ხოლო მის უკან გამოჩნდნენ სხვა სახეები... За холодный

ключевой, кричит: девица стой! [185] – უკრავდა ბიძია. მერე მან ოსტატურად შეწყვიტა დაკვრა და მხრები შეარხია.

– კიდევ, კიდევ, საყვარელო ბიძია! – ისეთი ვედრებით შეეხვეწა ნატაშა, თითქოს მისი სიცოცხლე ამ დაკვრაზე ყოფილიყო დამოკიდებული.

ბიძია ფეხზე წამოდგა და თითქოს მასში ორი ადამიანი ყოფილიყოს – ერთმა მათგანმა სერიოზულმა გაუღიმა მეორეს, მხიარულს, ხოლო მხიარულმა გულუბრყვილო და მართებული საქციელი ჩაიდინა ცეკვის წინ.

– აბა, ძმისწულო! – შესძახა ბიძიამ ნატაშას, აკორდი გაწყვიტა და ხელი გაუქნია.

ნატაშამ შალი მოიშორა, ბიძიასთან მიიღებინა, დოინჯი შემოიყარა, მხრები შეარხია და წინ დაუდგა.

სად, როგორ, როდის შეიწოვა ფრანგი ემიგრანტი ქალის მიერ აღზრდილმა გრაფინიამ რუსული ჰაერიდან, რომლითაც იგი სუნთქავდა, ეს რუსული სული, საიდან აიღო მან ეს ხერხები, რომლებიც pas de châteლ-ს დიდი ხანია უნდა გამოედევნა? მაგრამ ეს სული და ეს ხერხები სწორედ იმ შეუდარებელ, შეუსწავლელ, რუსულ სულსა და ხერხებს წარმოადგენდნენ, რომლებსაც ბიძია ნატაშასგან მოელოდა. გაჩერების უმაღლვე ნატაშამ გაიღიმა, გაიღიმა საზეიმოდ, ამაყად და მხიარულ-ემმაკურად; პირველმა შიშმა, რომელიც ნიკოლაიმ და ყველა სხვა დამსწრემ განიცადა, შიშმა, რომ ნატაშა ჩაიდენდა არა იმას, რაც საჭიროა, გაიარა და ისინი უკვე ტკბებოდნენ მისი მზერით.

ნატაშამ გააკეთა სწორედ ის და ისე ზუსტად, ისე სავსებით ზუსტად, რომ ანისია ფეოდოროვნას, რომელმაც მაშინვე მიაწოდა ცეკვისთვის საჭირო ხელმანდილი და რომელიც შესცქეროდა ამ თხელ, გრაციოზულ, მისთვის ასე უცხო, აბრეშუმსა და ხავერდში აღზრდილ გრაფინიას, სიცილის დროს თვალეზი დაენამა, – შესცქეროდა გრაფინიას, რომელსაც ყველაფერი ესმოდა, ყველაფერი, რაც იყო ანისიაში, ანისიას მამაში, მის დეიდაში, დედაში და ყოველ რუს ადამიანში.

– ჰაიდა, გრაფინია! Чистое дело марш! – სიხარულით და სიცილით წამოიძახა ბიძიამ, როცა დაკვრა დაასრულა, – ჰაიდა, ძმისწულო! ახლა შენ კარგი ვაჟკაცის არჩევა გჭირდება მხოლოდ ქმრად.

– უკვე არჩეულია, – თქვა ნიკოლაიმ ღიმილით.

– ჰოო? – გაიკვირვა ბიძიამ და ნატაშას შეხედა.

ნატაშამ ბედნიერი ღიმილით და თავის დაქნევით დაადასტურა ძმის სიტყვები.

– მერე როგორი! – თქვა მან. მაგრამ წარმოთქვა თუ არა ეს, მასში აზრებისა და გრძნობების სხვა, ახალი წყება წამოიშალა. „რას ნიშნავდა ნიკოლაის ღიმილი, როცა თქვა: უკვე არჩეულიაო? ახარებს თუ არა ეს ამბავი? თითქოს უნდა ფიქრობდეს, რომ ჩემი ბოლკონსკი არ მოიწონებდა ამ ჩვენს სიხარულს, ვერ გაიგებდა მას. არა, ის ყველაფერს გაიგებდა. სად არის ახლა იგი?“ – გაიფიქრა ნატაშამ და მისმა სახემ უეცრად სერიოზული გამომეტყველება მიიღო. მაგრამ ეს მხოლოდ წამით გაგრძელდა. „ნუ ფიქრობ, არ გაბედო ფიქრი ამაზე!“ – უთხრა მან თავის თავს და გაიღიმა. მერე ისევ ბიძიას მიუჯდა და სთხოვა, დაეკრა კიდევ რამე.

ბიძიამ ერთი სიმღერა და ვალსი კიდევ დაუკრა. მერე მცირე სიჩუმის შემდეგ, ჩაახველა და დაამღერა თავისი საყვარელი მონადირული სიმღერა:

Как со вечера пороша

Выпадала хороша... [186]

ბიძია მღეროდა ისე, როგორც ხალხი მღერის, იმ სისავსითა და გულუბრყვილოდ დარწმუნებული, რომ სიმღერაში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სიტყვებს, რომ ჰანგი თავისთავად ჩნდება და ცალკე არ არსებობს; ჰანგი არსებობს მხოლოდ წყობისთვის. სწორედ ამის გამო ეს შეუცნობელი ჰანგი, როგორც ფრინველთა გალობაა, განსაკუთრებით კარგად მოისმოდა ბიძიას სიმღერაში. ნატაშა აღტაცებული იყო ამ სიმღერით. მან გადაწყვიტა, აღარ განვაგრძობ არფაზე დაკვრის შესწავლას, დაუპირა მხოლოდ გიტარაზე. ნატაშამ სთხოვა ბიძიას გიტარა და მაშინვე შეურჩია აკორდები სიმღერას.

ათ საათზე ნატაშასა და პეტის წასაყვანად მოვიდა გრაფის მიერ გამოგზავნილი ორი ეტლი და სამი ცხენოსანი. გრაფმა და მიმა მეუღლემ არ იციან, სად არიან ისინი და ძალიან სწუხანო, თქვეს გამოგზავნილებმა.

პეტია ხელით ჩაიყვანეს და, მძინარე ეტლში ჩასვეს. ნატაშა და ნიკოლაი მეორე ეტლში ჩასხდნენ. ბიძია ნატაშას ფუთნიდა და სრულიად ახალი სინაზით ეთხოვებოდა. მან ქვეითად ხილამდე გააცილა სტუმრები. ეტლები და ცხენოსნები ფონით უნდა გასულიყვნენ. ბიძიამ მონადირეებს უბრძანა, ფარნებით გასძლოლოდნენ სტუმრებს.

– მშვიდობით, ძვირფასო ძმისწულო! – გაისმა სიბნელეში მისი ხმა, არა ის ხმა, რომელსაც ნატაშა წინათ იცნობდა, არამედ ის, რომელიც მღეროდა: *Как со вечера пороша...*

სოფელში, რომელიც მათ გაიარეს, წითელი სინათლე მოჩანდა და კვამლის სუნი იდგა.

– რა საუცხოო კაცია ეს ჩვენი ბიძია! – თქვა ნატაშამ, როცა დიდ გზაზე გავიდნენ.

– ჰო, კარგი კაცია, – მიუგო ნიკოლაიმ, – ხომ არ გცივა?

– არა, არა. მე ძალიან კარგად ვარ, – თქვა ნატაშამ, თითქმის გაოცებულმა.

დიდხანს დუმდნენ.

ღამე ბნელი და ნესტიანი იყო. ცხენები არც კი ჩანდნენ. ისმოდა მხოლოდ, როგორ მიტოპავდნენ ისინი უჩინარ ტალახში.

რა ხდებოდა ამ ბავშვურ, მგრძობიარე სულში, რომელიც ასე ხარზად ეტანებოდა და ითვისებდა ცხოვრების ათასნაირ შთაბეჭდილებას? როგორ ლაგდებოდა ყოველივე ეს იქ? მაგრამ ნატაშა მეტად ბედნიერი იყო. სახლს უკვე უახლოვდებოდნენ, როცა ნატაშამ უეცრად წაიღიღინა *Как со вечера пороша*-ს ჰანგი, რომლის გახსენებასაც მთელი გზა ცდილობდა და ბოლოს გაიხსენა.

– გაიხსენე? – ჰკითხა ნიკოლაიმ.

– შენ რაზე ფიქრობდი, ნიკოლინკა? – ჰკითხა თავის მხრივ ნატაშამ. მათ უყვარდათ ასეთი კითხვით მიემართათ ურთიერთისთვის.

– მეე? – თქვა ნიკოლაიმ და შეეცადა გახსენებას, – იცი, რას გეტყვი: პირველად მე ვფიქრობდი, რომ რუგაი, წითელი ხვადი ბიძიას ჰგავს, და ადამიანი რომ იყოს იგი, ბიძიას მუდამ თავისთან იყოლიებდა, სირბილისთვის, თუ არა, ჰანგებისთვის მაინც. საუცხოო კაცია ბიძია, მართალს არ ვამბობ? შენ რაღას ფიქრობ?

– მეე? მოიცა, მოიცა. ჰო, ჯერ აი, რა ვიფიქრე: ჩვენ მივდივართ და გვგონია, რომ შინ მივდივართ, ნამდვილად კი ღმერთმა უწყის, სად მივდივართ ამ სიბნელეში, და უეცრად მივალთ და ვნახავთ, რომ ვართ არა ოტრადნოეში, არამედ ჯადოსნულ სამეფოში. მერე კიდევ გავიფიქრე... არა, მეტი არაფერი.

– ვიცი, ალბათ, მასზე ფიქრობდი, – თქვა ნიკოლაიმ ღიმილით, რასაც ნატაშა მისი ხმის ბგერებზე მიხვდა.

– არა, – მიუგო ნატაშამ, თუმცა ნამდვილად იმავე დროს ფიქრობდა როგორც თავად ანდრეიჩზე, ისე იმაზე, თუ როგორ მოეწონებოდა მას ბიძია, – ჰო, ერთი კიდეც: სულ ვიმეორებ, მთელ გზაზე, ვიმეორებ: როგორ კარგად ეჭირა თავი ანისიუშკას, ძალიან კარგად... – თქვა ნატაშამ და ნიკოლაიმ გაიგონა მისი წკრიალა, უმიზეზო, ბედნიერი სიცილი, – იცი, – უეცრად თქვა მან, – ვიცი რომ მე არასოდეს აღარ ვიქნები ისე ბედნიერი და დამშვიდებული, როგორც ახლა ვარ.

– სისულელეა, სიცრუე, ჩმახვა! – მიუგო ნიკოლაიმ და გაიფიქრა: „რა მშვენიერია ეს ჩემი ნატაშა! ამისთანა მეგობარი მეორე არავინ მყავს და არც მეყოლება. რატომ უნდა გათხოვდეს? ასე ერთად ვიქნებოდით მუდამ!“

„რა საუცხოოა ეს ნიკოლინკა!“ – ფიქრობდა ნატაშა.

– ოჰო, ჯერ კიდევ სინათლეა სასტუმრო ოთახში, – თქვა მან და ფანჯარაზე მიუთითა, რომელიც ლამაზად ბრწყინავდა ღამის სველ ხავერდოვან სიბნელეში.

თავი მერვე

გრაფმა ილია ანდრეიჩმა თავი დაანება წინამძღოლობას, რადგან ეს თანამდებობა მეტად დიდ ხარჯს იწვევდა. მაგრამ მის საქმეებს ჯერ კიდევ არ ეტყობოდა გამოსწორება. ხშირად ნატაშა და ნიკოლაი ხედავდნენ მშობლების საიდუმლო, შფოთიან ლაპარაკს და ესმოდათ ხმები როსტოვების მდიდარი მამაპაპეული სახლის გაყიდვის შესახებ მოსკოვის გუბერნიაში. რაკი გრაფმა წინამძღოლობას თავი დაანება, საჭირო აღარ იყო მდიდრული მიღებები, და ცხოვრება ოტრადნოეში უფრო ჩუმად და შეუმჩნეველად მიმდინარეობდა, ვიდრე წინა წლებში. მაგრამ უზარმაზარი სახლი და ფლიგელები მაინც გაჩქდილი იყო ხალხით, სუფრაზე ისევ ოც სულზე მეტი ჯდებოდა. ყველა ესენი შინაურები იყვნენ, დიდი ხნის განმავლობაში ოჯახს შეწყობილნი, თითქმის ოჯახის წევრები, ან ისეთები, რომელთა ცხოვრებაც როსტოვების ოჯახში თითქოს აუცილებელი იყო. ასეთები იყვნენ მემუსიკე დიმლერი ცოლითურთ, ფოგელი, ცეკვის მასწავლებელი ოჯახობითურთ, იქვე მცხოვრები გაუთხოვარი დედაბერი ბელოვა და კიდევ ბევრი სხვანი. პეტას მასწავლებლები, ქალიშვილების ყოფილი გუვერნანტი ქალი და საერთოდ ის ადამიანები, რომელთათვისაც უფრო ხელსაყრელი იყო გრაფთან ცხოვრება, ვიდრე თავიანთ სახლში. წინანდებურად ისე ბლომად აღარ გროვდებოდნენ შორიდან მოსული სტუმრები, მაგრამ ცხოვრება ძველებურადვე მიმდინარეობდა, და გრაფსა და მის მეუღლეს ვერც წარმოედგინათ სხვანაირი ცხოვრება. ძველებური იყო ნადირობაც. უფრო გადიდებული ნიკოლაის მიერ. ისევ ჰყავდათ საჯინიბოში ორმოცდაათი ცხენი და თხუთმეტი მეეტლე. იგივე ძვირფასი საჩუქრები დღეობებში, საზეიმო სადილები მთელი მაზრისთვის, იგივე ვისტები და ბოსტონები, რომელთა დროსაც გრაფი ყოველდღიურად რამდენიმე ასი რუბლის მოგების საშუალებას აძლევდა მეზობლებს; ამ მეზობლებს გრაფ ილია ანდრეიჩთან ბანქოს პარტიის გაწყობა და თამაში უაღრესად ხელსაყრელ იჯარად მიაჩნდათ.

გრაფი თავის საქმეებს უტრიალებდა და ისე დადიოდა, როგორც უზარმაზარ ბადეში გახლართული. ცდილობდა, არ ერწმუნა, რომ საქმეები აეწეწა და ვალებში გაება და რომ ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო ეწეწებოდა საქმეები; გრძნობდა, რომ ძალა არ შესწევდა გაერღვია ბადე ან ფრთხილად, მოთმინებით გაეშალა იგი და გაეთავისუფლებინა თავი. გრაფინია თავისი მოსიყვარულე გულით გრძნობდა, რომ მისი შვილები ქონებას ჰკარგავენ, რომ გრაფი დამნაშავე არ იყო, რომ მას არ შეეძლო არ ყოფილიყო ისეთი, როგორც იყო, რომ მას თავად ტანჯავდა (თუმცა არ ამხელდა) იმის შეგნება, რომ ცარიელზე რჩებოდა თვითონაც და ცარიელზე რჩებოდნენ ბავშვებიც, და ეძებდა საშუალებებს საქმეების გამოსასწორებლად. მისი ქალური თვალსაზრისით არსებობდა მხოლოდ ერთი საშუალება –

ნიკოლაისთვის მდიდარი საცოლის გამონახვა. იგი გრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი იმედი იყო და თუ ნიკოლაი უარს იტყოდა იმ საცოლეზე, რომელიც მან უკვე გამოუნახა, სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდნენ საქმეების გამოსწორების შესაძლებლობას. ეს საცოლე ჟიული კარაგინა იყო, საუცხოო, სათნო დედისა და მამის ქალიშვილი, რომელსაც როსტოვები ბავშვობიდან იცნობდნენ და რომელიც ახლა, უკანასკნელი ძმის სიკვდილის შემდეგ, მდიდარ სარძლოს წარმოადგენდა.

გრაფინიამ პირდაპირ კარაგინას მისწერა მოსკოვში; წინადადება მისცა დაექორწინებინათ ახალგაზრდები. მიიღო კიდეც საიმედო პასუხი. კარაგინა სწერდა, რომ ჩემი მხრივ თანახმა ვარ, მაგრამ მაინც ყველაფერი ჩემი ქალიშვილის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. კარაგინა მოსკოვში იწვევდა ნიკოლაის.

რამდენჯერმე გრაფინია თვალუბაცრემლებული ევედრებოდა შვილს, რომ ახლა, როცა ორივე მისი ქალიშვილი ბედს ეწია, მის ერთადერთ ნატვრას შეადგენს ის, რომ ცოლიანი ნახოს იგი. ამბობდა, თუ ამას მოვესწრები, უფრო დამშვიდებული ჩავწვები კუბოში. შემდეგ ეუბნებოდა, რომ მას უკვე ჰყავდა არჩეული მშვენიერი ქალიშვილი. დედა ცდილობდა გაეგო, რა აზრისა იყო მისი შვილი ცოლის შერთვაზე.

სხვა ლაპარაკის დროს იგი აქებდა ჟიულის და ურჩევდა ნიკოლაის, ჩასულიყო დღესასწაულებზე მოსკოვში დროს გასატარებლად. ნიკოლაი ხვდებოდა, რა სწადა დედას და ერთ-ერთი ასეთი ლაპარაკის დროს ყველაფერი ათქმევინა. დედამ უთხრა შვილს, რომ მათი ოჯახის საქმეების გამოსწორების მთელი იმედი ახლა ნიკოლაის მიერ კარაგინას შერთვაზე იყო დამყარებული.

– მე რომ მიყვარდეს ისეთი ქალიშვილი, რომელსაც შეძლება არა აქვს, ნუთუ თქვენ, დედილო, მომთხოვდით, რომ გრძნობა და ღირსება შემეწირა შეძლებისთვის? – ჰკითხა დედას ნიკოლაიმ, რომელსაც არ ესმოდა თავისი კითხვის სიმკაცრე, რომელსაც სწადადა მხოლოდ ერთი რამ: გამოეჩინა კეთილშობილება.

– არა, შენ ვერ გაიგე, რისი თქმა მინდოდა, – მიუგო დედამ, მან არ იცოდა, როგორ გაემართლებინა თავი, – ვერ გაიგე, ნიკოლინკა. მე ერთი სურვილი მაქვს მხოლოდ, ბედნიერი იყო, – დაუმატა მან და იგრძნო, რომ მართალს არ ამბობდა, იგრძნო, რომ დაიბნა. თავი ველარ შეიკავა და ტირილი დაიწყო.

– დედა, დედილო, ნუ ტირით, მითხარით მხოლოდ, რომ თქვენ ეგ გწადიათ და, ხომ იცით, მთელ ჩემს სიცოცხლეს, ყველაფერს გაწვირავ იმისთვის, რომ თქვენ დამშვიდებული იყოთ, – თქვა ნიკოლაიმ, – ყველაფერს შევწირავ თქვენთვის, ჩემს გრძნობასაც კი.

მაგრამ გრაფინიას ასე არ უნდოდა საკითხის დასმა: იგი არ მოითხოვდა მსხვერპლს შვილისგან, მას თვითონ უნდოდა მსხვერპლი გაეღო შვილისთვის.

– არა, შენ ვერ გაიგე ჩემი ნათქვამი... ნულა შევეხებით ამას, – თქვა მან და ცრემლი მოიწმინდა.

„დიახ, იქნებ მე მართლაც მიყვარს ღარიბი ქალიშვილი, – ეუბნებოდა ნიკოლაი თავის თავს, – მერე რა, განა უნდა გაწვირო გრძნობა და პატიოსნება შეძლებისთვის? მაკვირვებს, როგორ მითხრა დედამ ასეთი რამე. იმისთვის, რომ სონია ღარიბია, გამოდის, რომ მე აღარ უნდა მიყვარდეს იგი, – განაგრძო ფიქრი ნიკოლაიმ, – გამოდის, რომ აღარ უნდა ვუპასუხო მის გულწრფელ, ერთგულ სიყვარულს. მასთან კი, თქმა არ უნდა, უფრო ბედნიერი ვიქნები, ვიდრე რომელიმე ტიკინა ჟიულისთან. მე ვერ ვუბრძანებ ჩემს გრძნობას. რაკი სონია მიყვარს, ჩემი გრძნობა ჩემთვის ყველაფერზე ძლიერი და მაღალია“.

ნიკოლაი არ წასულა მოსკოვს, გრაფინიასაც აღარ ჩამოუგდია მასთან ლაპარაკი ცოლის შერთვაზე; იგი მწუხარებითა და გაბოროტებით ხედავდა, უფრო და უფრო როგორ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს მისი შვილი და უმზითვო სონია. ის უსაყვედურებდა თავის თავს, რომ არ შეეძლო თავის შეკავება, არ

შეძლო ბუზლუნი არ დაეწყო და არ გამოსდავებოდა სონიას. ხშირად უმიზეზოდ აჩერებდა მას, „თქვენობით“ ელაპარაკებოდა, ხშირად მიმართავდა: ჩემო კარგო. ყველაზე მეტად კეთილი მოხუცი სწორედ იმისთვის ჯავრობდა სონიაზე, რომ ეს საბრალო შავთვალა ძმისწული იმდენად მშვიდი, იმდენად კეთილი, იმდენად ერთგული და მაღლიერი იყო თავისი კეთილისმყოფლებისა და ისე ერთგულად, თავგამოდებით უყვარდა ნიკოლაი, რომ ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებდა.

ნიკოლაის შვებულების დღეები გადიოდა. ნატაშას საქმროს, თავად ანდრეისგან მეოთხე წერილი მიიღეს, რომიდან; იუწყებოდა, დიდი ხანია რუსეთში გამოვემგზავრებოდი, მოულოდნელად რომ ჭრილობა არ გამხსნოდა თბილ ჰავაზე, რამაც მაიძულა გამომგზავრების ვადა მომავალი წლის დასაწყისისთვის გადამედო. ნატაშას კვლავ უყვარდა თავისი საქმრო, კვლავ დამშვიდებული იყო ამ სიყვარულით და კვლავ გატაცებული ცხოვრებით. მაგრამ განშორების მეოთხე თვეზე გუნება შეეცვალა – დროდადრო სევდა იპყრობდა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლასაც იგი ვერ ახერხებდა. ნატაშას ებრალებოდა საკუთარი თავი, ენანებოდა, რომ მისი ცხოვრება ასე უქმად იკარგებოდა ამდენ ხანს, როცა მას შეეძლო ჰყვარებოდა ვინმე და თვითონაც სიყვარულის საგნად ქცეულიყო.

როსტოვების სახლში მოწყენამ დაისადგურა.

თავი მეცხრე

დადგა შობის დღესასწაულები და, გარდა საპარადო წირვისა, გარდა მეზობლებისა და შინაყმების საზეიმო და მოსაწყენი მოლოცვებისა, გარდა ახალი ტანსაცმლისა, რომლითაც ყველა შეიმოსა, არაფერი მომხდარა განსაკუთრებული, დღესასწაულების აღმნიშვნელი; მხოლოდ ოცგრადუსიან უქარო ყინვაზე, მოკაშკაშე, თვალისმომჭრელ მზიან დღეში და ვარსკვლავებით გაშუქებულ ზამთრის ღამეში იგრძნობოდა დროის ასე თუ ისე აღნიშვნის საჭიროება.

დღესასწაულის მესამე დღეს სადილს შემდეგ შინაურები თავ-თავიანთ ოთახებში გაიფანტნენ. დღის ყველაზე მოსაწყენი დრო იყო. ნიკოლაიმ, რომელმაც დილით მეზობლები მონახულა, სადივანოში დაიძინა. მოხუცი გრაფი თავის კაბინეტში ისვენებდა. სასტუმრო ოთახში სონია მრგვალ მაგიდას მისჯდომოდა და სახეების გადაღებაზე მუშაობდა. გრაფინია სათამაშო ქალაქს შლიდა. მასხარა ნასტასია ივანოვნა მოწყენილი სახით ორ დედაბერთან ერთად ფანჯარასთან იჯდა. ნატაშა სასტუმრო ოთახში შევიდა, სონიასთან მივიდა, დახედა, რას აკეთებსო, მერე დედასთან მივიდა და ხმამაღლად გაჩერდა.

– რას დადიხარ მიუსაფარივით? – მიმართა დედამ, – რა გინდა?

– ის მინდა, ის... ახლავე, ამ წუთშივე, – სერიოზული სახით მიუგო თვალეხანთებულმა ნატაშამ.

გრაფინიამ თავი ასწია და გულდასმით დააცქერდა ქალიშვილს.

– ნუ მიყურებთ, დედა, ნუ, ამ წუთში ავტირდები.

– დაჯექი, დარჩი ჩემთან, – უთხრა გრაფინიამ.

– დედა, გეუბნებით, ის მინდა, რატომ ვილუპები, დედა, ასე?.. – ნატაშას ხმა ჩაუწყდა, თვალებიდან ცრემლი წასკდა და რათა ცრემლები დაემალა, სწრაფად მიტრიალდა და ოთახიდან გავიდა. გავიდა სადივანოში, იქაც მცირე ხანს იდგა, ჩაფიქრდა და სამოახლო ოთახში შევიდა. იქ მოხუცი მოახლე აქაქანებული ებუზლუნებოდა საჯალაბოდან გამოვარდნილ ახალგაზრდა ქალიშვილს.

– იკმარე ცელქობა, – ეუბნებოდა მოხუცი, – ყველაფერს თავისი დრო აქვს.

– გაუშვი კონდრატიევნა, – მიმართა მოხუცს ნატამამ, – წადი, მავრუშა, წადი.

მავრუშას გაშვების შემდეგ ნატამა დარბაზით წინა ოთახში გავიდა. იქ მოხუცი და ორი ახალგაზრდა ლაქია ქალაღდს თამაშობდნენ. ნატამას შესვლისას თამაში შეწყვიტეს და ფეხზე წამოხტნენ.

„რა ვენა ახლა მე ამათთან!“ – გაიფიქრა ნატამამ.

– ჰო, ნიკიტა, გეთაყვა, გავარდი ერთი... – „სად გავგზავნო?“ – ჰო, გავარდი საჯალაბოში და მამალი მომიყვანე, შენ კი მიშა, შვრია მომიტანე.

– რამდენს მიბრძანებთ: ცოტა მოვიტანო? – მხიარულად და ხალისით ჰკითხა მიშამ.

– წადი, წადი ჩქარა, – უთხრა თავის მხრივ მოხუცმა.

– შენ კი, ფიოდორ, ცარცი მიშოვე სადმე.

ბუფეტთან გავლისას, უბრძანა, სამოვარი მიერთმიათ ბატონებისთვის, თუმცა სრულებითაც არ იყო სამოვრის დრო;

მებუფეტე ფოკა ყველაზე ბრაზიანი კაცი იყო მთელ სახლში. ნატამას უყვარდა მასზე თავისი ძალაუფლების გამოჩენა. ფოკამ არ დაუჯერა ნატამას და წავიდა საკითხავად, მართლა მიერთმია სამოვარი თუ არა.

– ოჰ, ეს ქალიშვილი! – თქვა მან და, ვითომ გაჯავრებულმა ნატამაზე, წარბები შეჭმუნა.

არავინ ოჯახში იმდენ ხალხს არა გზავნიდა აქეთ-იქით და ისე არ ასაქმებდა, როგორც ნატამა. მას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა ადამიანებისთვის, არ შეეძლო არ გაეგზავნა ისინი სადმე. თითქოს სცდიდა, ხომ არ გაჯავრდებოდა, ან არ გაიბუტებოდა რომელიმე მათგანი, მაგრამ არავის ბრძანების ასრულება ისე არ უყვარდათ როსტოვების სახლში, როგორც ნატამას ბრძანებისა. „რა ჩავიდინო? სად წავიდე?“ – ფიქრობდა ნატამა, აუჩქარებლად მიმავალი დერეფანში.

– ნასტასია ივანოვნა, რა მეყოლება მე? – ჰკითხა მან დერეფანში მისკენ მიმავალ და მოკლე ჯუბაში შემოსილ მასხარას.

– შენ გეყოლება რწყილები, კუტკალიები, ჭრიჭინები.

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! სულ ერთი და იგივე! სად წავიდე? რა ვუყო ჩემს თავს?“ და იგი სწრაფად, ფეხების ბაკაბუკით ავარდა კიბეზე ფოგელთან, რომელიც ცოლითურთ ზემო სართულზე ცხოვრობდა. ფოგელთან იჯდა ორი გუვერნანტი ქალი, მაგიდაზე ეწყო თეფშები ქიშმიშით, კაკლითა და ნუშით. გუვერნანტი ქალები ლაპარაკობდნენ, სად უფრო იაფად შეიძლებოდა ცხოვრება – მოსკოვსა თუ ოდესაში. ნატამა მიუჯდა მათ, სერიოზულად ჩაფიქრებული სახით, ყური დაუგდო ლაპარაკს და წამოდგა.

– კუნძული მადგასკარი, – ჩაილაპარაკა მან, – მა-და-გას-კარი, – გარკვევით გაიმეორა ყოველი ასო, პასუხი არ გასცა მადამ შოსს, როცა იგი შეეკითხა, რას ამბობო, და ოთახიდან გავიდა.

მისი ძმა პეტიაც ზევით იყო: ის და მისი ძიძა შუშუნას აწყობდნენ, რომელიც საღამოს უნდა გაემვათ.

– პეტია! პეტკა! – დაუძახა დამ, – ამიკიდე და ქვევით ჩამიყვანე.

პეტამ მიიღბინა და ზურგი მიუშვირა. ნატამა შეახტა და ხელები კისერზე მოხვია. პეტია ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა ქვემოთ.

– არა, აღარ მინდა... კუნძული მადგასკარი! – ჩაილაპარაკა ნატამამ, გადახტა ძმის ზურგიდან და ქვემოთკენ გაემართა.

თითქოს მოიარა ნატამ თავისი სამფლობელო, გამოცადა თავისი ძალაუფლება და დარწმუნდა, რომ ყველანი ემორჩილებოდნენ, მაგრამ მაინც მოწყენილი იყო. ნატამ დარბაზში შევიდა, გიტარა აიღო, ბნელ კუთხეში პატარა კარადის უკან დაჯდა და სიმები ააჟღერა; ცდილობდა გამოეყვანა ფრაზა ერთი ოპერიდან, რომელიც პეტერბურგში მოისმინა თავად ანდრეისთან ერთად. გარეშე მსმენელთათვის იგი გიტარაზე გამოსცემდა ისეთ ხმებს, რასაც არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ მის წარმოსახვაში ეს ხმები მრავალ მოგონებას აცოცხლებდნენ. ნატამ კარადის უკან იჯდა, თვალები იმ შუქის ზოლისთვის მიემტერებინა, რომელიც ბუფეტის კარიდან შედიოდა, ყურს უგდებდა თავის თავს და იგონებდა განვლილს. იგი მოგონებათა სამყაროში იმყოფებოდა.

სონიამ პატარა ჭიქით ხელში დარბაზი გადაჭრა და ბუფეტში შევიდა. ნატამ თვალი შეავლო სონიას, მერე ჭუჭრუტანას ბუფეტის კარში და ეჩვენა, თითქოს გაიხსენა ის, რომ ბუფეტის კარიდან ჭუჭრუტანაში სინათლე შედიოდა და რომ სონიამ ჭიქით ხელში გაიარა. „სწორედ ასეთი რამ მოხდა“, – გაიფიქრა ნატამ.

– სონია, რა არის ეს? – დაუძახა ნატამ და თითები მსხვილ სიმს ჩამოჰკრა.

– ა, შენ აქ ხარ! – წამოიძახა სონიამ და შეკრთა, ნატამასთან მივიდა და დაკვრას ყური დაუგდო, – არ ვიცი რა არის, ქარიშხალია? – თქვა მან გაუბედავად. ეშინოდა, არ შემცდარიყო.

„აი, სწორედ ასე შეკრთა, სწორედ ასე მოვიდა და გაუბედავად გაიღიმა მაშინ, როცა ეს უკვე მომხდარი იყო, – გაიფიქრა ნატამ, – სწორედ ასევე... გავიფიქრე მე, რომ მას რაღაც აკლია“.

– არა, ეს გუნდია „წყლის მზიდავიდან“, [187] ხომ გესმის? – და ნატამ სიმღერით დაამთავრა გუნდის მოტივი, რათა სონიას გაეგო.

– სად იყავი? – ჰკითხა ნატამ.

– ჭიქაში წყალი გამოვცვალე. ახლავ დავამთავრებ სახის გადაღებას.

– შენ მუდამ საქმეში ხარ გართული, მე კი ვერ ვახერხებ, – თქვა ნატამ, – ნიკოლინკა სადღაა?

– მგონი სძინავს.

– სონია, წადი, გააღვიძე, – სთხოვა ნატამ, – უთხარი, რომ მე ვეძახი სამღერად.

ნატამ ერთხანს იჯდა, ფიქრობდა, რას ნიშნავს ის, რომ ყველაფერი ეს უკვე იყო და, რაკი ვერ გადაჭრა ეს საკითხი და არცთუ მაინცდამაინც აიტკივა თავი მის გადასაჭრელად, კვლავ გაიხსენა ის დრო, როცა მასთან ერთად იყო და როცა იგი შეყვარებული თვალებით შესცქეროდა.

„ოჰ, ნეტავი ჩქარა ჩამოვიდეს. მეშინია, რომ ეს არ მოხდება. მთავარი კი ის არის, რომ ვბერდები! აი, რა! აღარ იქნება ის, რაც ახლა ჩემშია. მაგრამ იქნებ ახლა ჩამოვიდეს, ამ წუთში ჩამოვიდეს. იქნებ მოვიდა კიდევ და ზის იქ, სასტუმრო ოთახში. იქნებ ჯერ კიდევ გუშინ ჩამოვიდა და მე დამავიწყდა“. ფეხზე წამოდგა, გიტარა დადო და სასტუმრო ოთახში შევიდა. ყველანი – შინაურები, მასწავლებლები, გუპერნანტები და სტუმრები – უკვე ჩაის უსხდნენ. მსახურები მაგიდის ირგვლივ იდგნენ, თავადი ანდრეი კი არსად ჩანდა, კვლავ ძველი ცხოვრება მიმდინარეობდა.

– აი, ისიც! – წამოიძახა ილია ანდრეიჩმა, როცა სასტუმრო ოთახში შესული ნატამ დაინახა, – მოდი, ჩემთან დაჯექი.

მაგრამ ნატამ დედის წინ გაჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს რაღაცას დაეძებო.

– დედა! – მიმართა მან დედას, – მომეცი იგი, მომეცი ჩქარა, ჩქარა! – და კვლავ ძლივს შეაჩერა ქვითინი.

ნატაშა მაგიდას მიუჯდა და ყური დაუგდო უფროსებისა და ნიკოლაის ლაპარაკს. ნიკოლაიც ის-ის იყო, მიუჯდა მაგიდას. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! იგივე სახეები, იგივე ლაპარაკი, ისევე უჭირავს მამას ფინჯანი და ისევე უბერავს!“ – ფიქრობდა ნატაშა და ზარდაცემული გრძნობდა, როგორ იპყრობდა ზიზღი ყველა შინაურისადმი, ზიზღი იმის გამო, რომ ისევე ისეთები იყვნენ, როგორც ყოველთვის.

ჩაის შემდეგ ნიკოლაი, სონია და ნატაშა სადივანოში შევიდნენ, თავიანთ საყვარელ კუთხეში, სადაც იწყებოდა მათი გულითადი ლაპარაკი.

თავი მეათე

– გემართება თუ არა შენ ასეთი რამე, – უთხრა დამ ძმას, როცა ისინი სადივანოში დასხდნენ, – გეჩვენება თუ არა, თითქოს არაფერი აღარ იქნება, არაფერი! თითქოს ის, რაც კარგია, უკვე იყო? და არათუ მოწყენილი ხარ, სევდა გაწვება გულზე?

– მემართება, როგორ არა! – მიუგო ძმამ, – ასეთი რამეც დამმართნია: ყველაფერი კარგად მიდის, ყველანი მხიარულად არიან და უეცრად თავში გაგიღვებებს, რომ ყოველივე ეს უკვე მობეზრებული გაქვს და ყველას სიკვდილი მოელის. ერთხელ პოლკში სასეირნოდ არ წავედი, იქ კი მუსიკა უკრავდა... და უეცრად ისე მომწყინდა...

– მენიშნა ეგეც, დიახ, მენიშნა, – ჩამოართვა სიტყვა ნატაშამ, – სულ პატარა ვიყავი, როცა მსგავსი რამ დამემართა. გახსოვს, ერთხელ ქლიავისთვის დამსაჯეს: ყველანი ცეკვავდით, მე კი ვიჯექი კლასში და ვღრიალებდი. არასოდეს დამავიწყდება: სევდამ და სიბრაღულმა მოიცვა მთელი ჩემი არსება, მებრალებოდა ყველა, სხვაც და ჩემი თავიც, მებრალებოდნენ ყველანი და, რაც მთავარია, მე დამნაშავე არ ვიყავი, – თქვა ნატაშამ, – გახსოვს?

– მახსოვს, – მიუგო ნიკოლაიმ, – მახსოვს, მერე შენთან მოვედი, მინდოდა მენუგეშებინე და, იცი, შემრცხვა. ძალზე სასაცილონი ვიყავით. ერთი სათამაშო მქონდა მაშინ, როგორც უნდა გეკრა ხელი, არ წაიქცეოდა. აი, ის სათამაშო მინდოდა მომეცა. გახსოვს?

– მახსოვს, – თქვა ნატაშამ ჩაფიქრებული ღიმილით, – დიდი ხანია მას შემდეგ, დიდი ხანი, სულ პატარები ვიყავით მაშინ, ბიძიამ კაბინეტში დაგვიძახა, ჯერ კიდევ ძველ სახლში, ბნელოდა იქ, შევედით და რას ვხედავთ...

– არაბს, – დაამთავრა ნიკოლაიმ მხიარული ღიმილით, – განა შეიძლება დავიწყება! ახლაც არ ვიცი, არაბი იყო ის, სიზმარი თუ გვიამბეს მხოლოდ.

– რუხი იყო, თეთრი კბილები ჰქონდა, იდგა და შემოგვეცქეროდა...

– თქვენ გახსოვთ, სონია? – ჰკითხა ნიკოლაიმ.

– ჰო, ჰო, მეც მახსოვს რაღაც მაგნიარი, – მორიდებულად მიუგო სონიამ...

– მე ხომ გამოვკითხე მაგ არაბის შესახებ დედას და მამას, – თქვა ნატაშამ, – ისინი ამბობენ, არავითარი არაბი არ ყოფილაო. შენც ხომ გახსოვს, ნიკოლაი?

– როგორ არა, თითქოს ახლაც ვხედავ მის კბილებს.

– რა უცნაურია, გონია სიზმარში მომხდარიყოს. მიყვარს ასეთი რამ.

– გახსოვს, როგორ ვაგორებდით დარბაზში კვერცხებს და უეცრად ორი დედაბერი გაჩნდა, როგორ ტრიალებდნენ ისინი ხალიჩაზე. მოხდა თუ არა ასეთი რამ? გახსოვს, რა კარგი დრო იყო?

– მახსოვს. შენ გახსოვს, როგორ გაისროლა პარმაღზე თოფი ლურჯ ქურქში გამოწყობილმა მამამ?

მათ ღიმილით და სიამოვნებით გადაქექეს მოგონებები, არა სიბერის სამწუხარო, არამედ ბავშვობის პოეტური მოგონებები, ის შთაბეჭდილებები ძალიან შორეული წარსულისა, სადაც სიზმარი სინამდვილეს უერთდება, გადაქექეს, თანაც რაღაცას შეჰხაროდნენ და ჩუმად იცინოდნენ.

სონია, როგორც ყოველთვის, ჩამორჩა მათ, თუმცა მოგონებები საერთო ჰქონდათ.

სონიას არ ახსოვდა ბევრი რამ, რასაც ისინი იგონებდნენ, ხოლო რაც მან გაიხსენა, არ აღუძრავს მასში ისეთი პოეტური გრძნობა, როგორსაც ისინი განიცდიდნენ. ის მხოლოდ ტკბებოდა მათი სიხარულით და ცდილობდა მიეხატა მათთვის.

სონია ჩაერთო მხოლოდ მაშინ, როცა გაიხსენეს მისი პირველი მისვლა როსტოვების ოჯახში. სონიამ უამბო და-ძმას, როგორ ეშინოდა მას ნიკოლაის, ეშინოდა იმიტომ, რომ მას კურტაკზე ზონრები ჰქონდა დაკერებული, გამდელმა კი უთხრა, შენც ზონრებში გაგახვევენ და შეგკრავენო.

– მე კი მახსოვს, მითხრეს, რომ შენ კომბოსტოში გიპოვეს, – განაგრძო ნატაშამ, – ისიც მახსოვს, რომ ვერ ვბედავდი არ დამეჯერებინა, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს არ იყო სიმართლე და ამის გამო ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს.

ამ ლაპარაკის დროს სადივანოს უკანა კარში თავი შეჰყო მოახლემ.

– ქალბატონო, მამალი მოიყვანეს, – ჩურჩულით უთხრა მან ნატაშას.

– საჭირო აღარ არის, პოლია, უბრძანე წაიყვანონ, – მიუგო ნატაშამ.

როდესაც სადივანოში მყოფნი შუა ლაპარაკში იყვნენ, დიმილერი შევიდა ოთახში და კუთხეში აყუდებულ არფასთან გაჩერდა. დიმილერმა ტილო გადახადა არფას, რომელმაც ყალბი ხმა გამოსცა.

– ედუარდ კარლიჩ, დაუკარით, გეთაყვა, ჩემი საყვარელი Nocturiene მუსიე ფილდისა[188], – მოისმა გრაფის მოხუცი მეუღლის ხმა სასტუმრო ოთახიდან.

დიმილერმა აკორდი აიღო და, ნატაშას, ნიკოლაის და სონიას მიმართა და წარმოთქვა:

– როგორ წყნარად ზის ახალგაზრდობა.

– ჩვენ ვფილოსოფოსობთ, – მიუგო ნატაშამ, ერთი წამით უკან მიიხედა და ისევ განაგრძო ლაპარაკი. მუსაიფობდნენ ახლა სიზმრებზე.

დიმილერმა დაკვრა დაიწყო. ნატაშა, ფეხის თითებზე შემდგარი, უსიტყვოდ მივიდა მაგიდასთან, სანთელი აიღო, ოთახიდან გაიტანა და, დაბრუნებული, წყნარად დაჯდა თავის ადგილზე. ოთახში, განსაკუთრებით დივანზე, სადაც ისინი ისხდნენ, ბნელოდა, მაგრამ დიდი ფანჯრებიდან სავსე მთვარის ვერცხლისფერი შუქი მთელ იატაკს ეფინებოდა.

– იცი, რას გეტყვი, – დაიწყო ნატაშამ ჩურჩულით და ნიკოლაისა და სონიასთან მიიწია, როცა დიმილერმა დაკვრა დაასრულა, მაგრამ ჯერ კიდევ იჯდა და სიმებს ათამაშებდა სუსტად, – არ იცოდა, ამდგარიყო თუ დაეწყო ახალი რამ, – მე ვფიქრობ, რომ როცა ასე იგონებ და იგონებ, სულ იგონებ, იქამდე მიხვალ, რომ მოგაგონდება მხოლოდ ის, რაც იყო წინათ, ვიდრე მე ამქვეყნად გავჩნდებოდი...

– ეგ მეტამფსიქოზია, – თქვა სონიამ, რომელიც ყოველთვის კარგად სწავლობდა და რომელსაც ყველაფერი ახსოვდა, – ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ჩვენი სულები ცხოველებში იმყოფებოდნენ და კვლავ დაუბრუნდებიან მათ.

– არა, მე არა მჯერა, რომ ჩვენი სულები ცხოველებში ყოფილიყვნენ, – თქვა ნატაშამ ისევ ჩურჩულით, თუმცა მუსიკა უკვე დასრულებული იყო, – მე დანამდვილებით ვიცი მხოლოდ, რომ ჩვენ ანგელოზები ვიყავით იქ, სადღაც, და აქაც ვყოფილვართ, ამის გამო ყველაფერი გვახსოვს...

– შეიძლება შემოგიერთდეთ? – ჰკითხა ჩუმი ხმით მათთან მისულმა დიმლერმა და მიუჯდა მათ.

– ჩვენ რომ ანგელოზები ვყოფილიყავით, მაშინ რატომ მოვექცეოდით მათზე ქვემოთ? – თქვა ნიკოლაიმ, – არა, ეგ შეუძლებელია.

– ქვემოთ არა, ვინ გითხრა, რომ ქვემოთ?.. საიდან ვიცი, რა ვიყავი მე წინათ? – დარწმუნებით გამოეძვრა ნატაშა, – სული ხომ უკვდავია... მაშასადამე, ვიცხოვრებ მუდამ, როგორც წინათაც ვცხოვრობდი, მარადის ვცხოვრობდი.

– კეთილი, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია მარადისობა, – თქვა დიმლერმა, რომელიც ყმაწვილ კაცებთან მივიდა მშვიდი და დამცინავი ღიმილით, მაგრამ ახლა ლაპარაკობდა მათსავით ჩუმი და სერიოზულად.

– რატომ არის ძნელი წარმოსადგენი? – მიუგო ნატაშამ, – დღეს იქნება, ხვალ იქნება, მუდამ იქნება, გუშინაც იყო, გუშინწინაც იყო...

– ნატაშა, ახლა შენი ჯერია. მიმღერე რამე, – მოისმა გრაფინიას ხმა, – რას დამსხდარხართ მანდ შეთქმულებივით.

– დედა, სრულებით არა ვარ სიმღერის გუნებაზე, – მიუგო ნატაშამ, მაგრამ იმავე დროს ფეხზე წამოდგა.

არავის, არაახალგაზრდა დიმლერსაც კი არ უნდოდა ლაპარაკის შეწყვეტა და სადივანოს კუთხის მიტოვება, მაგრამ ნატაშა წამოდგა, ხოლო ნიკოლაი კლავიკორდს მიუჯდა. როგორც ყოველთვის, ნატაშამ, აირჩია რეზონანსისთვის საუკეთესო ადგილი შუა ოთახში და დაიწყო დედის საყვარელი პიესის შესრულება.

მან თქვა, გუნებაზე არ ვარო, მაგრამ ისე, როგორც ამ საღამოს, დიდი ხანია არ უმღერია არც წინათ და არც შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში. გრაფ ილია ანდრეიჩის მისი სიმღერა კაბინეტში შემოესმა, სადაც იგი მიტინკას ელაპარაკებოდა და როგორც მოწაფე, რომელიც გაკვეთილის დასრულებამდე სათამაშოდ ისწრაფვის, იგი ბრძანების გაცემის დროს სიტყვებს ურევდა და ბოლოს გაჩუმდა; გრაფის წინ უხმოდ გაჩერებული მიტინკაც ღიმილით უგდებდა ყურს სიმღერას. ნიკოლაი თვალს არ აშორებდა დას და მასთან ერთად სუნთქვას იბრუნებდა. სონია ყურს უგდებდა სიმღერას და ფიქრობდა, რა დიდი განსხვავება არსებობდა მასა და მის მეგობარს შორის და როგორ არ ძალუძდა მას, თუნდაც ოდნავ მაინც, ისეთივე მომხიბლავი ყოფილიყო, როგორც მისი კუზინა იყო. გრაფის მოხუცი მეუღლე ბედნიერი და თანაც მწუხარე ღიმილით და თვალზე ცრემლმომდგარი იჯდა და დროდადრო თავს იქნევდა. იგი ფიქრობდა ნატაშაზეც, თავის ახალგაზრდობაზე და იმაზეც, რომ რაღაც არაბუნებრივსა და საზარელს შეიცავდა ნატაშას მომავალი შეუღლება თავად ანდრეისთან.

დიმლერი გრაფინიას მიუჯდა და თვალდახუჭული სმენად გადაიქცა.

– არა, ბატონო, – მიმართა მან ბოლოს გრაფინიას, – ეს ევროპული ნიჭია, მას სწავლა არ სჭირდება. არაფერი სჭირდება ამ სიმსუბუქეს, სინაზეს, ძალას...

– ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მაშინებს მისი ბედი, – თქვა გრაფინიამ, თუმცა აღარ ახსოვდა, ვის ელაპარაკებოდა. დედის ალღო უკარნახებდა, რომ რაღაც ძალიან ბევრი მოეპოვებოდა ნატაშას და რომ ამისგან იგი ბედნიერი არ იქნებოდა.

ნატამას ჯერ არ დაესრულებინა სიმღერა, რომ ოთახში თოთხმეტი წლის პეტია შევარდა და დაიძახა, გადაცმული ნიღბოსანნი მოვიდნენო.

ნატამა უეცრად შეჩერდა.

– სულელო! – დაუყვირა მან ძმას, მივარდა სკამს, დაეშვა ზედ და ისე აქვითინდა, რომ დიდხანს ხმა ვეღარ ამოიღო, – არაფერია, დედილო, არაფერი: პეტამ შემაშინა, – თქვა მან ბოლოს და შეეცადა გაეღიმა, მაგრამ ცრემლი მაინც ჩამოსდიოდა და ქვითინი სულს უხუთავდა.

წინა ოთახში შევარდნილი გადაცმული შინაყმები – დათვები, თურქები, მეტრაქტირები, ქალბატონები, საზარელნი და სასაცილონი, რომელთაც სიცივე და მხიარულება შეიტანეს, პირველად მოკრძალებით ეკვროდნენ ერთმანეთს წინა ოთახში, შემდეგ, ურთიერთის უკან მიმალულნი, დარბაზში შეგრილდნენ და ჯერ მორცხვად, მერე უფრო და უფრო მხიარულად და მწყობრად გააბეს სიმღერა, ცეკვა, ფერხული და სხვა საშობაო თამაშობები. გრაფინიამ იცნო ზოგიერთი გადაცმული. იგი სასტუმრო ოთახში გავიდა სიცილით. გრაფი ილია ანდრეიჩი დარბაზში იჯდა და იწონებდა ცეკვა-თამაშს. ახალგაზრდობა სადღაც გაქრა.

ნახევარი საათის შემდეგ დარბაზში სხვა გადაცმულებთან ერთად გაჩნდა მოხუცი ქალბატონი, რომელსაც გერმანული ბოლოკაბა ეცვა – ეს იყო ნიკოლაი. თურქის ქალს წარმოადგენდა პეტია, ჯამბაზს – დიმლერი, ჰუსარს – ნატამა, ხოლო ჩერქეზს – სონია, რომელსაც შეტრუსული კორპის საცობით ულვაში და წარბები ჰქონდა დახატული.

ღმობიერი გაკვირვების, მოწონებისა და ქება-დიდების შემდეგ იმათ მხრივ, ვისაც გადაცმაში მონაწილეობა არ მიუღია, ახალგაზრდებმა დაასკვნეს, ტანისამოსი იმდენად კარგია, რომ სხვებსაც უნდა ვაჩვენოთ იგიო.

ნიკოლაის ძალიან უნდოდა თავისი სამცხენიანი ეტლით თავისიანებთან ერთად გაესეირნა საუცხოო გზით. ამიტომ წინადადება შეიტანა, წაეყვანათ თან ათი გადაცმული შინაყმა და წასულიყვნენ ბიძიასთან.

– არა, რატომ გინდათ ააფორიაქოთ მოხუცი, – წამოიძახა გრაფინიამ, – იქ ვერც მიტრიალ-მოტრიალდები. რაკი მიდიხართ, წადით მელიუკოვებთან.

მელიუკოვა ქვრივი იყო, ჰყავდა სხვადასხვა ასაკის შვილები, აგრეთვე გუვერნანტები და გუვერნიორები. ცხოვრობდა იგი ოთხ ვერსზე როსტოვებიდან.

– აი, ეგ, ma chère, ჭკვიანურია, – თქვა გამოცოცხლებულმა გრაფმა, – მოდი, მეც მოვირთვები და წამოვალ თქვენთან.

მაგრამ გრაფინიამ არ მოისურვა გრაფის გაშვება. გადაწყვიტეს, რომ ილია ანდრეიჩი ვერ წავიდოდა, მაგრამ თუ ლუიზა ივანოვნა (m-me Schoss) არ დაიზარებდა წასვლას, მაშინ შეიძლებოდა ქალიშვილების გაშვება მელიუკოვასთან. სონია, მუდამ მორიდებული და მორცხვი, ყველაზე მეტად ეხვეწებოდა ლუიზა ივანოვნას, უარი არ ეთქვა წასვლაზე.

სონიას მორთულობა ყველაზე კარგი იყო. ულვაში და წარბები ძალზე უხდებოდა. ყველანი ეუბნებოდნენ, ძალიან ლამაზი ხარო, და იგი უჩვეულოდ გამოცოცხლებულიყო. რაღაც შინაგანი ხმა ჩასჩიჩინებდა, დღეს თუ არა, არასოდეს არ გადაწყდება შენი ბედო, და იგი მამაკაცის ტანსაცმელში სულ სხვა ადამიანად მოჩანდა.

ლუიზა ივანოვნამ თანხმობა განაცხადა, და ნახევარი საათის შემდეგ ოთხი სამ-სამცხენიანი მარხილი ზარებისა და ეჭვნების წკარუნით, სალტეების წრიპინითა და სტვენით გაყინულ თოვლზე გაჩერდა პარმალის წინ.

ნატამამ პირველმა მისცა ტონი საშობაო დღესასწაულის სიმხიარულებს, და ეს მხიარულება ერთიდან მეორეზე გადადიოდა და უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ხოლო უმაღლეს წერტილს მიაღწია მაშინ, როცა ყველანი ლაპარაკით, ხმაურით, სიცილითა და ყვირლით გაყინულ ჰაერზე გავიდნენ და მარხილებში ჩასხდნენ.

ორი მარხილი სწრაფად მოსრიალე იყო, მესამეს, მოხუცი გრაფის მარხილს, შუაში ორლოვის ჯიშის ცხენი ება; მეოთხეში, რომელიც ნიკოლაის ეკუთვნოდა, შუა ადგილი ეჭირა დაბალ, შავ, ბანჯგვლიან ცხენს. ნიკოლაი თავის დედაბრულ ტანისამოსში, რომელზედაც ჰუსარისქამრიანი წამოსასხამი გადაიცვა, სადავემოზიდული, შუა მარხილში იდგა.

ისე განათებული იყო ყველაფერი ირგვლივ, რომ ნიკოლაი მთვარის შუქის ანარეკლზე ხედავდა ბალთებსა და ცხენების თვალებს; ცხენები კი თავებს იბრუნებდნენ და დამფრთხალი თვალებით შესცქეროდნენ ჩაბნელებულ შესასვლელ კარებში მოფუსფუსე წამსვლელებს.

ნიკოლაის მარხილში ჩასხდნენ ნატამა, სონია, m-me Schoss და ორი გოგო, მოხუცი გრაფის მარხილში – დიმლერი, მისი ცოლი და პეტია, დანარჩენ მარხილებში – გადაცმული შინაყმები.

– გასწი წინ, ზახარ! – დაუყვირა ნიკოლაიმ მამის მეეტლეს, რათა შემთხვევა მისცემოდა გაესწრო მისთვის გზაში.

პირველი დაიდრა მოხუცი გრაფის მარხილი, რომელშიც დიმლერი და სხვები ჩასხდნენ, დაიდრა კავების ჭრიალით, თითქოს თოვლს უნდა მიეყინოსო, და ზარის ყრუ წკრიალით. მარჯვნივ და მარცხნივ მიბმული ცხენები ხელნებს ეკვროდნენ და, თოვლში ჩაფლულნი, ფეხებით აბრუნებდნენ შაქარივით მაგარ და მზინავ თოვლს.

ნიკოლაი პირველ მარხილს გაჰყვა, უკან ახმაურდნენ და აჭრიალდნენ დანარჩენი მარხილები. პირველ ხანს ცხენები ნელი ჩორთით მიდიოდნენ ვიწრო გზაზე. ვიდრე ბალის გასწვრივ მიემართებოდნენ, გაშიშვლებული ხეების ჩრდილები ხშირად წვებოდნენ გზის გარდიგარდმო და ფარავდნენ მთვარის კაშკაშა შუქს. მაგრამ გასცდნენ თუ არა ზღუდეს, ყველა მხარეს გადაიშალა ალმასივით ბრწყინვალე, შავმოიისფრო ანარეკლში გახვეული თოვლიანი ვაკე, რომელიც, სრულიად უძრავი, ყოველი მხრიდან დასანახავი გახდა. ერთი, ორი! – ატოკდა ღრანტესგან პირველი მარხილი; ისევე ატოკდნენ შემდეგი და მომდევნო მარხილები და ამან შეუპოვრად დაარღვია შებორკილი სიჩუმე. მარხილები ერთი-ერთმანეთზე გაიჭიმნენ.

– კურდღლის კვალი, მრავალი კვალი... – გაიწკრიალა ნატამას ხმამ შებორკილ ყინვიან ჰაერში.

– როგორ მოჩანს ყველაფერი, Nicolas! – გაისმა სონიას ხმა.

ნიკოლაიმ თავი მიიბრუნა და შეხედა სონიას; დაიხარა, რათა ახლო დაენახა მისი სახე. მთვარის შუქზე სიასამურის ტყავებიდან გამოიყურებოდა როგორიღაც სრულიად ახალი, საყვარელი სახე შავი წარბებით და უღვაშით; იგი შორსაც იყო და ახლოც.

„ეს წინათ სონია იყო“, – გაიფიქრა ნიკოლაიმ. უფრო ახლოდან დააკვირდა და გაიღიმა.

– რა არის, Nicolas?

– არაფერი, – მიუგო მან და კვლავ ცხენებისკენ მიბრუნდა.

როდესაც გავიდნენ მთვარის შუქზე ადვილად დასანახ, მარხილის კავებისგან გაგლესილ და ნალის ლურსმნებისგან მთლად აჭრელებულ დიდ გზაზე, ცხენებმა თვით დაჭიმეს სადავეები და ნაბიჯს მოუჩქარეს. მარცხნივ მიბმულმა ცხენმა კისერი მოლუნა და ხტუნვისგან ღვედები აატოკა. შუა ცხენი ქანაობდა და ყურებს ცქვეტდა, თითქოს კითხულობდა: დავიწყო თუ ჯერ კიდევ ადრეაო. თეთრ თოვლზე გარკვევით მოჩანდა წინ უკვე კარგა მანძილით დაშორებული და ზარის წკარუნით მიმავალი ზახარის შავი მარხილი. ამ მარხილიდან ისმოდა შემახილები, ხარხარი და გადაცმულების ხმები.

– აბა, გასწით! – დასჭყვილა ნიკოლაიმ ცხენებს და ცალი ხელით სადავე აატოკა, ხოლო მეორით შოლტი ასწია.

და მხოლოდ პირქარის გაძლიერებაზე და განაპირა ცხენების ხტუნვის აჩქარებაზე თუ შეატყობდით, რა სწრაფად გააქროლა მარხილმა. ნიკოლაიმ უკან მიიხედა. ყვირილითა და ხმაურით, შოლტების ქნევითა და განაპირა ცხენების ხტუნვით ძლივს მისდევდნენ დანარჩენი მარხილები. მისი მარხილის შუა ცხენი შეუდრეკლად ირხეოდა რკალის ქვეშ, იგი არ ფიქრობდა სირბილის შენელებას, პირიქით, მზად იყო, თუ საჭიროება მოითხოვდა, სიჩქარე მოემატებინა.

ნიკოლაი დაეწია პირველ მარხილს. ისინი რომელიღაც გორიდან დაემშენენ განიერი გზისკენ, მდგლოზე, მდინარის მახლობლად.

„სად ვართ, ნეტავი? – გაიფიქრა ნიკოლაიმ, – ალბათ, კოსოემდელოზე. მაგრამ არა, ეს რაღაც ახალი ადგილია, რომელიც არასოდეს მინახავს. ეს არ არის არც კოსოემდელო, არც დიომკინაგორა, ღმერთმა უწყის, რა არის! ეს რაღაც ახალი და წარმტაცი ადგილია. რაც არის, არის!“ და მან დასჭყვილა ცხენებს და იწყო პირველი მარხილის შემოვლა.

ზახარმა ცხენები შეაკავა და წარბებამდე შეჭირხლული სახე მიიბრუნა.

ნიკოლაიმ თავისი ცხენები მიუშვა. ზახარმა ხელები წინ გაიშვირა, ტუჩებით ნიშანი მისცა ცხენებს და მანაც მიუშვა ისინი.

– აბა, გამაგრდი, ბატონო! – დაიძახა მან.

უფრო სწრაფად გაიქროლეს მხარდამხარ მიმავალმა მარხილებმა, სწრაფად ინაცვლებდნენ ფეხებს მიმქროლავი ცხენები. ნიკოლაი თანდათან წინ მიიწევდა. ზახარს არ შეუცვლია გაშვერილი ხელების მდგომარეობა, მან ცალი ხელი ასწია მხოლოდ, ასწია სადავიანად.

– ცდები, ბატონო! – დაუყვირა მან ნიკოლაის.

ნიკოლაიმ ხტუნვით გაუშვა სამივე ცხენი და გაუსწრო ზახარს. ცხენებმა წვრილი, მშრალი თოვლი შეაყარეს მარხილში მსხდომთ სახეში. ახლო, სულ ახლოს გაისმოდა ხმაური და სწრაფად მოძრავი არეულ-დარეული ფეხების ბაკაბუკი და მოჩანდნენ ჩრდილები მარხილებისა, რომელნიც ერთმანეთს უსწრებდნენ. ყოველი მხრიდან მოისმოდა თოვლზე მოსრიალე მარხილის კავების სტვენა და ქალების კივილი.

კვლავ შეაჩერა ნიკოლაიმ ცხენები და კვლავ მიმოიხედა ირგვლივ. ყველგან მოჩანდა მთვარის შუქით განათებული წარმტაცი ვაკე, რომელსაც ზევიდან ვარსკვლავები დაჰქათქათებდნენ.

„ზახარი მიყვირის, მარცხნივ გავუხვიო. მერე, რატომ მარცხნივ? განა ჩვენ მელიუკოვებთან მივდივართ, განა ეს მელიუკოვკაა? ღმერთმა უწყის, სად ვართ და ღმერთმა უწყის, რა გვემართება – ძალიან უცნაურია და კარგიც, რაც გვემართება“. ნიკოლაიმ მარხილში ჩაიხედა.

– შეხედეთ ერთი, ულვაშიც და წამწამებიც მთლად გათეთრებული აქვს, – თქვა ერთ-ერთმა მარხილში მჯდომმა, უცნაურმა, ლამაზმა და უცხო ადამიანმა, ვიწრო ულვაშით და წამწამებით.

„ეს, მგონი, ნატაშა იყო, – გაიფიქრა ნიკოლაიმ, – ის კი m-me Schoss; იქნებ ისინი არ არიან; ეს ულვაშიანი ჩერქეზი კი არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ მიყვარს“.

– ხომ არ გცივათ? – იკითხა მან.

მათ პასუხი არ გასცეს, გაიცინეს მხოლოდ. დიმილერი რაღაცას ყვიროდა უკანა მარხილიდან, ალბათ, სასაცილოს, მაგრამ შეუძლებელი იყო გაგონება.

– ჰო, ჰო, გცივა! – სიცილით უპასუხეს ხმებმა.

აგერ კიდევ წარმტაცი ტყე, ნაირ-ნაირად გაწოლილი შავი ჩრდილებით, აღმასისებრი ბზინვით და მარმარილოს უამრავი საფეხურით, წარმტაცი შენობების ოქროს სახურავებით და მხეცების ყურისწამლები წკმუტუნით. „თუ ეს მართლაც მელიუკოვკაა, მაშინ უფრო უცნაური ის არის, რომ ვინ უწყის, სად მივაქროლებდით ცხენებს, მოვედით კი მელიუკოვკაში“, – ფიქრობდა ნიკოლაი.

ნამდვილად კი ეს მელიუკოვკა იყო, და შესასვლელ კარში სანთლებითა და გახარებული სახეებით გოგოები და ლაქიები გამოცვივდნენ.

– ვინა ხართ? – კითხულობდნენ კარიდან.

– გრაფის გადაცმული ხალხია. ცხენებზე ვიცანი, – უპასუხეს ხმებმა.

თავი მეთერთმეტე

პელაგია დანილოვნა მელიუკოვა, მხარბეჭიანი, მხნე დედაკაცი, სათვალწამოცმული და კაპოტში[189] გამოწყობილი, ქალიშვილებშემორტყმული სასტუმრო ოთახში იჯდა და ცდილობდა გაერთო ახალგაზრდები. ისინი ცვილს ასხამდნენ და გამოსული ფიგურების ჩრდილებს შეჰყურებდნენ, როცა წინა ოთახიდან სტუმრების ფეხის ხმა და ლაპარაკი შემოესმათ.

ჰუსარები, ქალბატონები, კუდიანები, მასხარები, დათვები ხველებითა და ყინვისგან შეჭირხლული სახეებით წინა ოთახიდან დარბაზში შევიდნენ, სადაც სასწრაფოდ ანთებდნენ სანთლებს. მასხარამ, დიმილერმა ქალბატონ ნიკოლაისთან ერთად პირველმა დაიწყო ცეკვა. მყვირალა ბავშვებით გარშემორტყმული გადაცმული სტუმრები სახეებზე ხელებს იფარებდნენ, ხმას იცვლიდნენ, დიასახლისს თავს უკრავდნენ და ოთახში ადგილებს იჭერდნენ.

– შეუძლებელია ცნობა! აგერ, ნატაშა! შეხედე ერთი, ვის ჰგავს? გარწმუნებ, ვიღაცას მაგონებს. რა კარგია ედუარდ კარლიჩი. ვერ ვიცანი. როგორ ცეკვავს! ხედავ, ვიღაც ჩერქეზიც არის. რა ძალიან უხდება სონიას. ეს ვიღაა? რომ იცოდეთ, როგორ გაგვახარეთ. მაგიდები აალაგეთ. ნიკიტა, ვანია! ჩვენ კი ისე წყნარად ვისხედით.

– ჰა-ჰა-ჰა!.. ჰუსარს დამიხედე, ჰუსარს! თითქოს ბავშვიაო, ფეხებიც... არ შემიძლია ყურება, – ისმოდა ხმები.

ნატაშა, ახალგაზრდა მელიუკოვების საყვარელი მეგობარი, მათთან ერთად უკანა ოთახებში გაქრა. იქ მათ მოითხოვეს კორპის საცობი, სხვადასხვა ხალათი და მამაკაცის ტანისამოსი, რასაც ქალიშვილების შიშველი ხელები ღია კარში ართმევდნენ ლაქიებს. ათი წუთის შემდეგ მელიუკოვების ოჯახის მთელი ახალგაზრდობა როსტოვების გადაცმულებს შეუერთდა.

პელაგია დანილოვნა, რომელმაც განკარგულება გასცა გაეთავისუფლებინათ ადგილები სტუმრებისთვის და გამასპინძლებოდნენ ბატონებსა და შინაყმებს, სათვალემოუხსნელად, შეკავებული ღიმილით დადიოდა გადაცმულთა შორის და აკვირდებოდა მათ სახეებს, მაგრამ ვერავის ვერ ცნობდა.

მან ვერ იცნო არათუ როსტოვები და დიმლერი, ვერ იცნო თავისი ქალიშვილებიც, ვერც თავისი ქმრის ხალათები და მუნდირები, რომლებიც მათ ეცვათ.

– ეს ვილა ბრძანდება? – ჰკითხა მან თავის გუვერნანტ ქალს და სახეში შეაცქერდა საკუთარ ქალიშვილს, რომელიც ყაზანელ თათრის ქალს წარმოადგენდა, – მგონი, ვილაც როსტოვთაგანია, თქვენ, ბატონო ჰუსარო, რომელ პოლკში მსახურობთ? – ჰკითხა მან ნატაშას, – აი თურქიც, მართვით მას ხილის თათარა, – უთხრა მეზუფეტეს, რომელიც საჭმელ-სასმელს სთავაზობდა სტუმრებს, – ეგ მათი კანონით აკრძალული არ არის.

ზოგჯერ პელაგია დანილოვნა შეჰყურებდა უცნაურ, სასაცილო ილეთებს, რომლებიც მოცეკვავეებს გამოჰყავდათ (ისინი ფიქრობდნენ, რომ გადაცმულები ვართ და ვერავინ გვიცნობსო, ამიტომ არაფერს ერიდებოდნენ), და თვალეზზე ცხვირსახოცს იფარებდა, ამასთან მთელი მისი სხეული ცახცახებდა შეუკავებელი კეთილი, ბებრული სიცილისგან.

– აი, საშინეტი, ჩემი საშინეტი! – გაიძახოდა იგი.

რუსული ცეკვებისა და ფერხულების შემდეგ პელაგია დანილოვნამ გააერთიანა შინაყმები და ბატონები და შექმნა მათგან ერთი დიდი წრე. მოიტანეს ბეჭედი, ბაწარი და რუბლიანი და გამართეს საერთო თამაშობები.

ერთი საათის შემდეგ ყველას ტანისამოსი დაჰმუჭნილი და შელახული იყო. კორპის უღვაშები და წარბები, ოფლისგან გალხობილი, გახურებულ და მხიარულ სახეებზე მოედოთ გადაცმულებს. პელაგია დანილოვნა უკვე ცნობდა გადაცმულებს, აღტაცებაში მოდიოდა – საუცხოოდ არის შეკერილი ტანისამოსიო. განსაკუთრებით მოეწონა ქალიშვილების ჩაცმულობა. მადლობას უხდიდა ყველას გამხიარულებისთვის. სტუმრები ვახშმად სასტუმრო ოთახში მიიწვიეს, ხოლო დარბაზში შინაყმებს გაუმასპინძლდნენ.

– არა, აბანოში მარჩიელობა საშინელია! – თქვა ვახშამზე მელიუკოვებთან მცხოვრებმა მოხუცმა ქალმა.

– რატომ მერე? – ჰკითხა მელიუკოვების უფროსმა ქალიშვილმა.

– ვერ გაბედავთ, მაგისტვის დიდი მამაცობაა საჭირო.

– მე გავბედავ, – თქვა სონიამ.

– გვიამბეთ, რა შეემთხვა ქალიშვილს? – სთხოვა მელიუკოვების მეორე ქალიშვილმა.

– ერთხელ გაბედა ერთმა ქალიშვილმა, – თქვა მოხუცმა ქალმა, – წავიდა და წაიყვანა თან მამალი და წაიღო ორი ხელსაწყო. დაჯდა, როგორც წესია. იჯდა ერთხანს, მერე უეცრად შემოესმა, რომ მოდის... ზარების წკარუნით და ეჟვნების ჟღარუნით მივიდა მარხილი. ესმის, რომ შედის. შევიდა ადამიანის სახის არსება, ნამდვილი ოფიცერი. შევიდა და დინჯად დაუჯდა გვერდით ხელსაწყოსთან.

– ოჰ! – შეჰკვივლა ნატაშამ და თავზარდაცემულს თვალები გაუფართოვდა.

– მერე, ლაპარაკიც დაიწყო?

– მაშ, კაცივით; როგორც წესია, დაუწყო შეგონება, დარწმუნება, ქალს კი ლაპარაკით უნდა გაერთო მამლების ყივილამდე, მაგრამ შეკრთა, შეკრთა და შიშისგან ხელები აიფარა სახეზე. მან მაშინვე ხელი დასტაცა. კიდევ კარგი, რომ ქალიშვილები შეცვივდნენ.

– ნუ ამინებთ ხალხს! – წამოიძახა პელაგია დანილოვნამ.

– დედილო, თქვენ ხომ თვითონ მარჩიელობდით... – თქვა ქალიშვილმა.

– ბელელში როგორღა მარჩიელობენ? – იკითხა სონიამ.

– აი, თუნდაც ახლა შეიძლება ბელელში წასვლა და ყურის დაგდება: თუ გაიგონებ, რომ აჭედებენ რამეს, აკაკუნებენ – არ ვარგა, თუ ხორბალს ჰყრიან ერთი ჭურჭლიდან მეორეში – კეთილს მოასწავებს. ისიც ხდება ხოლმე...

– დედა, გვიამბეთ, რა შეგემთხვათ ბელელში?

პელაგია დანილოვნამ გაიღიმა.

– აბა, რა ვიცი, დამავიწყდა კიდეც... – მიუგო მან, – რომელიმე თქვენგანი ხომ არ წავა?

– მე წავალ! გამიშვით, პელაგია დანილოვნა, მე წავალ, – სთხოვა სონიამ.

– რა გაეწყობა, თუ არ გემინია.

– ლუიზა ივანოვნა, ხომ შეიძლება წავიდე? – ჰკითხა სონიამ.

თამაშობის თუ ლაპარაკის დროს (ითამაშეს ბეჭდობანა, ბაწრობანა და რუბლობანა) ნიკოლაი სონიას არ მოშორებია, იგი სრულიად ახალი თვალებით შესცქეროდა მას. ნიკოლაის ეგონა, რომ კორპის უღვაშის მეოხებით დღეს მან პირველად გაიცნო სავსებით სონია. ამ სადამოთი სონია მართლაც მხიარული იყო, გამოცოცხლებული და ლამაზი, როგორც არასოდეს უნახავს ნიკოლაის.

„აი, თურმე როგორი ყოფილა! რა სულელი ვიყავი!“ – გაიფიქრა ნიკოლაიმ და შეხედა მის გაბრწყინებულ თვალებს, მის ბედნიერ და აღტაცებულ ღიმილს უღვაშქვეშ, – ღიმილს, როგორც წინათ არ უნახავს და რის წყალობითაც მას ლოყები ეკუჭებოდა.

– მე არაფრის არ მეშინია, – თქვა სონიამ, – თუნდაც ახლავე წავალ, – და წამოდგა.

სონიას ასწავლეს, სად იყო ბელელი და როგორ უნდა დამდგარიყო იქ ხმამაღულვლად, ქურქი მიაწოდეს. მან თავზე წამოიგდო იგი და ნიკოლაის შეხედა.

„რა საუცხოო გოგონაა! – გაივლო გუნებაში ნიკოლაიმ, – რას ვფიქრობდი ნეტავი ამდენ ხანს!“

სონია დერეფანში გავიდა, რათა ბელლისკენ წასულიყო. ნიკოლაი სასწრაფოდ გაემართა საპარადო პარმალისკენ. ცხელაო, განაცხადა მან. მართლაც, თავმოყრილი ხალხის გამო, ოთახში ჰაერი შეხუთული იყო.

გარეთ ისევ უძრავი სიცივე იდგა, იგივე მთვარე ანათებდა, მხოლოდ უფრო მეტად. შუქი ისე ძლიერად კაშკაშებდა და იმდენი ვარსკვლავი იყო თოვლზე, რომ აღარ გინდოდა გეცქირა ცისთვის: ნამდვილ ვარსკვლავებს ვეღარ ამჩნევდი. ცა შავი და მოწყენილი იყო, დედამიწა – მხიარული.

„სულელი ვარ, სულელი! რას ვუცდიდი აქამდე?“ – გაიფიქრა ნიკოლაიმ და, პარმალზე გავარდნილმა, სახლის კუთხეს შემოუარა იმ ბილიკით, რომელიც უკანა პარმალისკენ მიდიოდა. მან იცოდა, რომ იქ გაივლიდა სონია. შუა გზაზე საყენებად დალაგებული შეშა ეწყო. მასზე თოვლი იდო, ხოლო მისგან ჩრდილი გაწოლილიყო. თოვლსა და ბილიკზე სხვა ჩრდილებიც იყო – ბებერი, შიშველი ცაცხვების ჩრდილები. ბილიკი ბელლისკენ მიდიოდა. ბელლის კედელი და თოვლით დაფარული სახურავი მთვარის შუქზე ისე ბზინავდა, თითქოს რაღაც ძვირფასი ქვისგან ყოფილიყო გამოკვეთილი. ბაღში ხე გაიბზარა, და ისევ ყველაფერი მიყუჩდა. მკერდი თითქოს სუნთქავდა და არა ჰაერით, არამედ რაღაც ახალგაზრდული ძალითა და სიხარულით.

სამოახლო პარმალის საფეხურებიდან ფეხის ხმა გაისმა; უკანასკნელმა საფეხურმა, რომელზეც თოვლი იყო დადებული, ხმამაღლა გაიჭრაჭუნა. მოისმა მოხუცი მოახლის ხმა:

– პირდაპირ, სულ პირდაპირ, აი, ამ ბილიკით. მხოლოდ უკან არ მოიხედოთ.

– მე არ მეშინია, – მიუგო სონიას ხმამ, და ნიკოლაისკენ მიმავალ ბილიკზე აწრიპინდა და აწრიალდა სონიას თხელი ფეხსაცმელი:

სონია ქურქში გახვეული მიდიოდა. ორ ნაბიჯზე იყო უკვე ბელლიდან, როცა ნიკოლაი დაინახა. მასაც ნიკოლაი ეჩვენა არა ისეთი, როგორსაც იცნობდა და რომლისაც ოდნავ ეშინოდა. იგი ქალის ტანისამოსში იყო აბურმუნული თმით და ბედნიერი და სონიასთვის ახალი ღიმილით ტუჩებზე. სონიამ სწრაფად მიიღბინა მასთან.

„სრულიად სხვაა, მაგრამ იმავე დროს იგივეა“, – ფიქრობდა ნიკოლაი და მთვარის შუქით განათებულ სახეში შესცქეროდა. მან ხელები შეყო თავზე წამოფარებულ ქურქში, მოეხვია, მკერდზე მიიკრა და აკოცა ტუჩებში, რომლის ზემოდაც ულვაშები ჰქონდა დახატული და რომლებსაც შეტრუსული კორპის სუნი ასდიოდა. სონიამაც აკოცა ნიკოლაის და ლოყებზე მოავლო პატარა ხელები.

– სონია!.. Nicolas!.. – წაიჩურჩულეს მხოლოდ. მერე ბელელთან მიიღბინეს და უკან დაბრუნდნენ თავ-თავიანთი პარმალით.

თავი მეთორმეტე

როდესაც პელაგია დანილოვნას სახლიდან ყველანი უკან ბრუნდებოდნენ, ნატაშამ, რომელიც ყველაფერს ხედავდა და ამჩნევდა, ისე მოაწყო საქმე, რომ ლუიზა ივანოვნა და თვითონ ის დიმიურის მარხილში ჩასხდნენ, ხოლო სონია მოახლე გოგოებთან ერთად ნიკოლაის მარხილში ჩაჯდა.

უკან დაბრუნებისას ნიკოლაი თანაბარი ნაბიჯით მიერეკებოდა ცხენებს და აღარ ცდილობდა გაესწრო სხვა მარხილებისთვის. მთვარის ამ უცნაურ შუქზე იგი სულ სონიას შესცქეროდა და შუქზე, რომელიც ყველაფერს ცვლიდა, წარბებისა და ულვაშის ქვეშ დაეძებდა თავის წინანდელ და ახლანდელ სონიას: გადაწყვიტა არასოდეს განშორებოდა სონიას. ნიკოლაი შესცქეროდა ახალგაზრდა ქალს და, როდესაც წინანდელ და ახლანდელ სონიას ხედავდა და კოცნის გრძნობასთან შერეული კორპის სუნს იგონებდა, ღრმად ისუნთქავდა სუსხიან ჰაერს, თვალს აყოლებდა მიმავალ მიწას და ბრწყინვალე ცას და კვლავ წარმტაც სამყაროში გრძნობდა თავს.

– სონია კარგად ხარ? – ეკითხებოდა ხოლმე ზოგჯერ იგი.

– კარგად ვარ, – მიუგებდა სონია, – შენ?

შუა გზაზე ნიკოლაიმ სადავეები მეეტლეს გადასცა, ერთი წუთით ნატაშას მარხილთან მიიღბინა და კავზე შედგა.

– ნატაშა, – უთხრა მან ჩურჩულით ფრანგულად, – იცი, გადავწყვიტე სონიას შესახებ.

– უთხარი? – ჰკითხა ნატაშამ, სიხარულისაგან უეცრად მთლად გაბრწყინებულმა.

– რა უცნაური ხარ, ნატაშა, მაგ ულვაშით და წარბებით! ნატაშა, გაგიხარდა?

– ძალიან გამიხარდა, ძალიან, უკვე ვჯავრობდი შენზე. არ მითქვამს, რომ შენ ცუდად ექცეოდი სონიას. ოქროა, ნამდვილი ოქრო, Nicolas. მოხარული ვარ. მე სადაგელი ვარ ხოლმე, მაგრამ მეც კი სინდისი მტანჯავდა, რომ მარტო მე ვიყავი ბედნიერი და სონია კი არა, – განაგრძო ნატაშამ, – ახლა მეტად გახარებული ვარ. აბა, გაიქეცი მასთან.

– არა, მოიცა, რა სასაცილო ხარ! – უთხრა და კვლავ დააცქერდა. ნატაშაშიც შენიშნა მან რაღაც ახალი, არაჩვეულებრივი, მომხიბლავი და ნაზი, რასაც წინათ ვერ ხედავდა, – ნატაშა, რაღაც არის ირგვლივ ჯადოქრული, ჰა, რას იტყვი?

– ჰო, არის, – მიუგო ნატაშამ, – ძალიან კარგად მოიქეცი.

„წინათ რომ სონია ასეთი მჩვენებოდა, როგორც ახლაა, – ფიქრობდა ნიკოლაი, – დიდი ხანია ვკითხავდი, რა უნდა გამეკეთებინა, და გავაკეთებდი ყველაფერს, რასაც მიბრძანებდა, და ყველაფერი კარგად მოეწყობოდა“.

– მაშ, გიხარია? მაშ, კარგად მოვიქეცი?

– ძალიან კარგად მოიქეცი. ამას წინათ მაგისთვის დედას წავეჩხუბე. დედამ თქვა, რომ სონია უკან დასდევსო. როგორ შეიძლება მაგის თქმა! კინადამ ერთმანეთი დავლანძღეთ. არასოდეს არავის ნებას არ მივცემ, ცუდი რამე თქვას ან გაიფიქროს სონიაზე, იმიტომ, რომ მასში კარგის მეტი არაფერია.

– მაშ, კარგად მოვიქეცი? – ჰკითხა ნიკოლაიმ და ერთხელ კიდევ დააკვირდა დის სახის გამომეტყველებას, რათა გაეგო, მართალს ამბობდა თუ არა, შემდეგ ჩექმების ჭრაჭუნით კავიდან გადმოხტა და თავისი მარხილისკენ გაიქცა.

იქ კი იჯდა და სიასამურის კაპორიდან[190] გამოიყურებოდა იგივე ბედნიერი, მოღიმარე ჩერქეზი ულვაშით და გაბრწყინებული თვალებით და ეს ჩერქეზი სონია იყო, სონია კი, ალბათ, მისი მომავალი, ბედნიერი და მოსიყვარულე ცოლი იქნებოდა.

როცა შინ დაბრუნდნენ, ქალიშვილებმა უამბეს დედას, როგორ გაატარეს დრო მელიუკოვებთან, მერე თავიანთ ოთახში წავიდნენ. ტანთგახდილნი, მაგრამ კორპის ულვაშებიანნი, ისინი დიდხანს ისხდნენ და ლაპარაკობდნენ თავიანთ ბედნიერებაზე; ლაპარაკობდნენ, როგორ იცხოვრებდნენ გათხოვების შემდეგ, როგორი მეგობრები იქნებიან მათი ქმრები და როგორი ბედნიერნი იქნებიან ისინი. ნატაშას მაგიდაზე ჯერ კიდევ ეწყო დუნიაშას მიერ წინა საღამოს მომზადებული სარკეები.

– მხოლოდ როდის იქნება ყოველივე ეს? ვშიშობ, რომ არასოდეს... მეტად და მეტად კარგი იქნებოდა ყოველივე ეს! – თქვა ნატაშამ, ფეხზე წამოდგა და სარკესთან მივიდა.

– დაჯექი, ნატაშა, იქნებ დაინახო ის, – თქვა სონიამ.

ნატაშამ სანთლები აანთო და სარკეს მიუჯდა.

– ვიღაც ულვაშიანს ვხედავ, – თქვა მან, თუმცა თავის სახეს ხედავდა მხოლოდ.

– სიცილი არ შეიძლება, ქალბატონო, – თქვა დუნიაშამ.

ნატაშამ სონიასა და მოახლის დახმარებით სარკეს სათანადო მდებარეობა გამოუძებნა; მისმა სახემ სერიოზული გამომეტყველება მიიღო; ბოლოს გაჩუმდა. დიდხანს იჯდა იგი და შესცქეროდა სარკეებში ჩამწკრივებული სანთლების მთელ რიგს, იგი მოელოდა (ნაამბობის მიხედვით), რომ სარკეში კუბოს დაინახავდა, დაინახავდა მ ა ს, თავად ანდრეის, ამ უკანასკნელ, შეერთებულ, ბუნდოვან კვადრატში. იგი მზად იყო უმნიშვნელო ლაქაც კი ადამიანის სახედ ან კუბოს მსგავსად მიეღო, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, ბოლოს წამწამების ხამხამს მოუხშირა და მოშორდა სარკეს.

– რატომ ხედავენ სხვები, მე კი ვერაფერს ვხედავ? – წამოიძახა ნატაშამ, – აბა, შენ მიდი, სონია, დღეს შენი დღეა, – დაუმატა მან, – მხოლოდ ჩემს მაგიერ... ძალიან მეშინია დღეს!

სარკეს სონია მიუჯდა, მოეწყო და დაიწყო შიგ ცქერა.

– აი, სოფია ალექსანდროვნა უსათუოდ დაინახავს, – ჩურჩულით თქვა დუნიაშამ, – თქვენ კი სულ იცინით.

სონიამ გაიგონა ეს სიტყვები, გაიგონა ისიც, როგორ თქვა ნატაშამ ჩურჩულით:

– მეც ვიცი, რომ სონია დაინახავს, მან შარშანაც დაინახა.

სამიოდე წუთს ყველანი დუმდნენ. „უსათუოდ!“ – წაჩურჩულა ნატაშამ და არ დაამთავრა... უეცრად სონიამ განზე გასწია ის სარკე, რომელიც ხელში ეჭირა და თვალებზე ხელები მიიფარა.

– ოჰ, ნატაშა! – თქვა მან.

– დაინახე? დაინახე? რა დაინახე? – წამოიძახა ნატაშამ და ხელი მიამშველა სარკეს.

სონიას არაფერი დაუნახავს, მას ის-ის იყო, წამწამები უნდა დაეხამხამებინა და წამომდგარიყო, რომ შემოესმა ნატაშას ხმა და გაიგონა სიტყვა „უსათუოდ“... მას არ უნდოდა არც დუნიაშას, არც ნატაშას მოტყუება, ჯდომაც უმძიმდა. მან თვითონაც არ იცოდა, როგორ და რის გამო აღმოხდა კვილი, როცა თვალებზე ხელები მიიფარა.

– დაინახე ის? – ჰკითხა ნატაშამ და ხელში ხელი სტაცა.

– ჰო. მოიცა... დავინახე... ის, – უნებურად თქვა სონიამ, თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა, ვინ ჰყავდა მხედველობაში ნატაშას, როცა თქვა, ის-ო: ის – ნიკოლაი თუ ის – ანდრეი.

„მაგრამ რატომ არ უნდა ეთქვა ის, რაც დავინახე? ხომ ხედავენ სხვები! ვის შეუძლია მამხილოს იმაში, რა დავინახე და რა არ დავინახე?“ – გაუელვა თავში სონიას.

– ჰო, დავინახე ის, – თქვა მან.

– როგორ? როგორ? დგას თუ წევს?

– არა, დავინახე... არაფერი არ იყო; უეცრად ვხედავ, რომ წევს...

– ანდრეი წევს! ავად არის? – ჰკითხა ნატაშამ და შიშისგან გაფართოებული თვალები მეგობარს მიამტერა.

– არა, პირიქით, პირიქით! მხიარული სახე ჰქონდა და პირი ჩემკენ მოიბრუნა, – იმ წუთს, როცა სონია ამას ეუბნებოდა, ისე ეჩვენებოდა, თითქოს მართლაც დაინახა ის, რასაც ამბობდა.

– მერე, მერე, სონია?..

– მერე ვეღარ გავარჩიე, რაღაც ლურჯი და წითელი...

– სონია! როდის დაბრუნდება? როდის ვნახავ? ღმერთო ჩემო! როგორ ვშიშობ მასზე და ჩემზეც, ყველაფერი მაშინებს. – წამოიძახა ნატაშამ და ყურადღება არ მიაქცია სონიას მანუგეშებელ სიტყვებს. ლოგინში ჩაწვა, და სანთლის ჩაქრობის შემდეგაც კიდევ დიდხანს იწვა უძრავად, ღია თვალებით, და გაყინული ფანჯრებიდან შეჰყურებდა მთვარის სუსხიან შუქს.

თავი მეცამეტე

შობის დღესასწაულების შემდეგ ნიკოლაიმ აცნობა დედას თავისი სიყვარულის ამბავი და ის, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სონია ცოლად შეერთო. გრაფინიამ, რომელმაც უკვე იცოდა ყველაფერი, რაც სონიასა და ნიკოლაის შორის ხდებოდა, და რომელიც მოელოდა კიდევ ყოველივე ამას, ჩუმად მოისმინა შვილის სიტყვები, მერე გამოუცხადა, შეგიძლია შეერთო ვინც მოგესურვება,

მაგრამ არც მე და არც მამაშენი არასოდეს დავლოცავთ ასეთ შეუღლებასო. პირველად იგრძნო ნიკოლაიმ, რომ დედა უკმაყოფილო იყო მისი, რომ მიუხედავად დიდი სიყვარულისა მისდამი, ის დათმობაზე არ წავიდოდა. გრაფინიამ არც კი შეხედა შვილს, ცივად მიბრუნდა და მოახლე გაგზავნა ქმრის დასაძახებლად, და როცა გრაფი შევიდა, უნდოდა ნიკოლაის თანდასწრებით მოკლედ და ცივად გადაეცა მისთვის საქმის ვითარება, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა, ჯავრით ატირდა და ოთახიდან გავიდა. მოხუცმა გრაფმა გაუბედავად დაუწყო საყვედური შვილს, სთხოვა, ხელი აეღო განზრახვაზე. ნიკოლაიმ მიუგო, ვერ ვუღალატებ ჩემს სიტყვასო. მამამ ამოიოხრა და, თითქოს დარცხვენილმა, მალე შეწყვიტა ლაპარაკი და ცოლთან წავიდა. ყოველი შეტაკების დროს შვილთან გრაფს აწუხებდა თავისი დანაშაულის შეგნება, ის, რომ მისი მეოხებით ოჯახის საქმეები აწეწილი იყო. ამიტომ ვერ ახერხებდა შვილზე გაჯავრებას იმისთვის, რომ მან უარი განაცხადა მდიდარ საცოლეზე და უმზითვო სონია აირჩია. მხოლოდ ამ შემთხვევაში ახსენდებოდა მას ის ამბავი, რომ საქმეები ასე რომ არ ასწეწოდა, სონიაზე უკეთეს საცოლეს ვერავინ გამოძებნიდა ნიკოლაისთვის და რომ დამნაშავე მარტო ის იყო თავისი მიტინკათი და თავისი დაუძლეველი ჩვეულებებით.

მამასა და დედას ადარ ულაპარაკიათ შვილთან ამ საქმეზე, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გრაფინიამ დაუძახა სონიას და უსაყვედურა ისეთი უღმობლობით, როგორსაც არ მოელოდა მისგან არც ერთი და არც მეორე, უსაყვედურა უმადურობა და შვილის მახეში გაბმა. თვალედახრილი სონია ხმამაღლედ ისმენდა გრაფინიას მკაცრ სიტყვებს და არ ესმოდა, რა უნდოდათ მისგან. იგი მზად იყო გაეწირა თავი თავის კეთილისმყოფელთათვის. თავგანწირვა მისი საყვარელი აზრი იყო. მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ გაეგო, რა უნდა გაეწირა და ვისთვის. მას არ შეეძლო არ ჰყვარებოდა გრაფინია და როსტოვების მთელი ოჯახი, მაგრამ არ შეეძლო არ ჰყვარებოდა ნიკოლაიც და არ სცოდნოდა, რომ მისი ბედნიერება ამ სიყვარულზე იყო დამოკიდებული. სევდით შეპყრობილი მდუმარედ იდგა და პასუხს არ აძლევდა. ნიკოლაის, როგორც თვითონ ეჩვენებოდა, არ შეეძლო დიდხანს აეტანა ასეთი მდგომარეობა, და დედასთან წავიდა მოსალაპარაკებლად. იგი ხან ევედრებოდა დედას, ეპატიებინა მისთვის და სონიასთვის და მათ შეუღლებაზე თანხმობა მიეცა, ხან ემუქრებოდა – თუ სონიას დევნას დაუწყებთ, ახლავე საიდუმლოდ ჯვარს დავიწერ მასზეო.

გრაფინია საშინელი უღმობლობით, როგორც შვილს არასოდეს შეუნიშნავს, ეუბნებოდა ნიკოლაის, რომ ახლა სრულწლოვანი ხარ, რომ თავადი ანდრეი მამის სურვილის წინააღმდეგ ირთავს ცოლს და შენც შეგიძლია ასე მოიქვე, მაგრამ მე, დედაშენი, არასოდეს ვცნობ იმ ინტრიგან ქალს ჩემს შვილადო.

სიტყვა ინტრიგანით აღმფოთებულმა ნიკოლაიმ ხმა აღიმადლა და უთხრა დედას, არასოდეს აზრად არ მომსვლია, თუ დედა მაიძულებდა გამეყიდა ჩემი გრძნობები და, რაკი ასეა, უკანასკნელად ვამბობ... მაგრამ ნიკოლაიმ ვერ მოასწრო იმ, როგორც მის სახეზე ეტყობოდა, გადამჭრელი სიტყვის თქმა, რომელსაც დედა საზარელი ძრწოლით მოელოდა და რომელიც შეიძლებოდა სამუდამოდ დარჩენილიყო მკაცრ მოგონებად მათ შორის. მან ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება, იმიტომ, რომ ოთახში გაფითრებული და სერიოზული სახით შევიდა ნატაშა, შევიდა იმ ოთახის კარიდან, საიდანაც იგი ყურს უგდებდა დედა-შვილის ლაპარაკს.

– ნიკოლინკა, ნუ ჩმახავ უაზრობას! გაჩუმდი, გაჩუმდი! გეუბნები გაჩუმდი! – თითქმის ყვიროდა იგი, რათა ჩაეხშო მისი ხმა, – დედავ, საყვარელო დედავ, ჩემო ძვირფასო! – მიმართა ახლა დედას, რომელიც, განშორების შიშით დამფრთხალი, ზარდაცემული შეჰყურებდა შვილს, მაგრამ გაკერპებულსა და ბრძოლით გატაცებულს არ უნდოდა და არც შეეძლო დათმობა, – ნიკოლინკა, ყველაფერს აგიხსნი, ახლა კი გადი, გადი!.. გამიგონეთ, დედავ, ჩემო დაუფასებელო დედავ! – მიმართა ნატაშამ ისევ დედას.

მისი სიტყვები უაზრო იყო, მაგრამ მათ მიაღწიეს იმ შედეგს, რომელსაც ნატაშა მოელოდა.

მწარედ აქვითინებულმა გრაფინიამ სახე ქალიშვილის მკერდში ჩამალა, ხოლო ნიკოლაიმ ხელები თავზე წაივლო და ოთახიდან გავარდა.

ნატაშა შეუდგა შერიგების საქმეს და იქამდე მიიყვანა იგი, რომ დედამ პირობა მისცა შვილს, არ შეავიწროებდა სონიას, ხოლო ნიკოლაი დაჰპირდა, არაფერს მოიმოქმედებდა საიდუმლოდ, მშობლების დაუკითხავად.

ნიკოლაიმ მტკიცედ გადაწყვიტა, მოეგვარებინა თავისი საქმეები პოლკში, დაენებებინა სამსახურისთვის თავი, დაბრუნებულიყო შინ და შეერთო სონია ცოლად. ამ გადაწყვეტილებით აღჭურვილი ნიკოლაი, დამწუხრებული და სერიოზულად განწყობილი, მშობლებთან უმძრახი, მაგრამ როგორც თავად ეჩვენებოდა, გატაცებით შეყვარებული, იანვრის დამდეგს გაუდგა გზას პოლკისკენ.

ნიკოლაის წასვლის შემდეგ სევდამ როსტოვების სახლი უფრო მეტად მოიცვა, ვიდრე ოდესმე. სულიერი აშლილობისგან გრაფინია ავად გახდა.

სონიას აწუხებდა ნიკოლაისთან განშორება, უფრო მეტად კი ის მტრული ტონი, რომლითაც არ შეიძლებოდა არ მიემართა ხოლმე მისთვის გრაფინიას. გრაფი არასოდეს ყოფილა ისე დამწუხრებული საქმეების ცუდი მდგომარეობით, როგორც ახლა, რაც გადამჭრელი ზომების მიღებას მოითხოვდა. საჭირო იყო მოსკოვის სახლისა და მოსკოვის გუბერნიაში მდებარე მამულის გაყიდვა, სახლის გასაყიდად კი მოსკოვში უნდა წასულიყო, მაგრამ ცოლის ჯანმრთელობა აიძულებდა გრაფს დღითი დღე გადაედო წასვლა.

ნატაშა, რომელიც პირველ ხანებში ადვილად და მხიარულადაც კი იტანდა საქმროს განშორებას, ახლა უფრო და უფრო ღელავდა და მოუთმენლობა ეტყობოდა. მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ ასე უქმად, გამოუსადეგად იკარგებოდა მისი საუკეთესო დრო, რასაც იგი საქმროს სიყვარულს მონადომებდა. თავად ანდრეის წერილები მეტწილად აბრაზებდნენ. შეურაცხყოფად მიაჩნდა ის, რომ იგი ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხედავდა ახალ ადგილებს, ახალ, მისთვის საინტერესო ადამიანებს, თვითონ ნატაშა კი მხოლოდ და მხოლოდ მასზე ფიქრობდა. რაც უფრო საინტერესო იყო თავად ანდრეის წერილები, მით უფრო სწყდებოდა გული. თავად ანდრეისთან გაგზავნილი მისი წერილები კი არათუ ნუგეშს არ ჰგვრიდნენ, არამედ მოსაწყენ და ცბიერ მოვალეობადაც კი ეჩვენებოდა. ნატაშამ წერა არ იცოდა, არ იცოდა, რადგან მისი გონება ვერ სწვდებოდა იმას, რომ წერილით შესაძლებელია სწორად გამოხატო თუნდაც მეათასედი იმისა, რის გამოხატვასაც იგი მიჩვეული იყო სიტყვით, ღიმილით და შეხედვით. ნატაშა თავად ანდრეის სწერდა კლასიკურად ერთფეროვან, მშრალ წერილებს, რომლებსაც თვითონაც არ აძლევდა მნიშვნელობას, მცირე მნიშვნელობასაც კი და რომლის შავად ნაწერშიც გრაფინია ორთოგრაფიულ შეცდომებს ასწორებდა.

გრაფინიას ჯანმრთელობას გაუმჯობესება არ ეტყობოდა, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო მოსკოვში გრაფის წასვლის გადადება. საჭირო იყო მზითვის მომზადება, საჭირო იყო სახლის გაყიდვა, თანაც თავად ანდრეის ჯერ მოსკოვში ელოდნენ, სადაც იმ ზამთარს თავადი ნიკოლაი ანდრეიჩი ცხოვრობდა. ნატაშა დარწმუნებულიც კი იყო, რომ თავადი ანდრეი უკვე დაბრუნდა.

გრაფინია სოფელში დარჩა, ხოლო გრაფმა თან წაიყვანა სონია და ნატაშა და იანვრის დამდეგს მოსკოვში გაემგზავრა.

ნაწილი მეხუთე

თავი პირველი

თავად ანდრეისა და ნატაშას დათქმის შემდეგ, პიერმა ერთბაშად და სრულიად უმიზეზოდ იგრძნო, რომ აღარ შეეძლო განეგრძო წინანდელი ცხოვრება. მტკიცედ სწამდა თავისი კეთილისმყოფლის მიერ შთაგონებული ჭეშმარიტებანი, უზომოდ იყო გატაცებული პირველ ხანებში თვითგამოსწორების შინაგანი სწრაფვით, რასაც ასე თავგამოდებით მიეცა იგი თავად ანდრეისა და ნატაშას დათქმისა და იოსიფ ალექსევიჩის სიკვდილის შემდეგ (ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ მან თითქმის დათქმასთან ერთად მიიღო). მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, წინანდელი ცხოვრების მშვენიერება უცებ გაქრა მისთვის. შერჩა მარტოოდენ ჩონჩხი ცხოვრებისა: სახლი ბრწყინვალე ცოლით, რომელიც ახლა ერთი წარჩინებული პირის წყალობით სარგებლობდა, ნაცნობობა მთელ პეტერბურგთან და სამსახური მოსაწყენი ფორმლობებით. თვით წინანდელი ცხოვრებაც პიერს ერთბაშად მოულოდნელ საზიზღრობად მოეჩვენა. მან ხელი აიღო დღიურის წერაზე, გაურბოდა ლოჟის ძმების საზოგადოებას, იწყო კვლავ კლუბში სიარული, კვლავ ბევრის სმა, კვლავ დაუახლოვდა უცოლშვილო ახალგაზრდების კამპანიებს და დაიწყო ისეთი ცხოვრება, რომ მისმა ცოლმა, ელენა ვასილევნამ საჭიროდ ჩათვალა სასტიკი შენიშვნა მიეცა მისთვის. პიერმა იგრძნო, რომ ცოლი მართალი იყო და რათა სახელი არ გაეტეხა მისთვის, მოსკოვში გაემგზავრა.

მოსკოვში ჩასვლისას, შედგა თუ არა ფეხი თავის უზარმაზარ სახლში, სადაც ცხოვრობდნენ უკვე ჩამომკვნიარი და ჩამოსაჭკნობად გამზადებული თავადის ქალიშვილები, და იმყოფებოდა უამრავი შინაყმა, დაინახა თუ არა ქალაქზე გავლისას ივერიის სამლოცველო და სანთლების შუქით გავარვარებული ხატების ოქროს მოჭედილობანი, კრემლის მოედანი გაუტკეპნელი თოვლით, სივცევი ვრაჟკოვის ქოხმახები და მეეტლეები, მოინახულა მოსკოველი მოხუცი მამაკაცები, რომელთაც აღარავითარი სურვილი აღარ გააჩნდათ, და რომელნიც აუჩქარებლად, მშვიდად ელოდნენ თავიანთი სიცოცხლის დასასრულს, მოსკოველი დედაბრები, ქალბატონები, გაიხსენა მოსკოვის ბალები და მოსკოვის ინგლისური კლუბი, იგრძნო, რომ შინ იყო, მყუდრო ნავსაყუდელში. მოსკოვში მან იგრძნო ისეთივე სიმშვიდე, სითბო, ჩვეული მდგომარეობა და სიბინძურე, როგორც ძველი ხალათის ჩაცმისას.

მოსკოვის საზოგადოებამ, ყველამ, დაწყებული დედაბრებით და დასრულებული ბავშვებით, ისე მიიღო პიერი, როგორც დიდი ხნის სასურველი სტუმარი, რომლის ადგილიც მუდამ მზად და დაუკავებელი იყო. მოსკოვის საზოგადოებისთვის პიერი ყველაზე საყვარელი, კეთილი, ჭკვიანი, მხიარული, დიდსულოვანი და თანაც ახირებული ადამიანი იყო, ძველი ყაიდის დაბნეული და გულითადი რუსი მებატონე. მისი ქისა მუდამ ცარიელი იყო, იმიტომ, რომ გახსნილი იყო ყველასთვის.

ბენეფისები, ცუდი სურათები, ქანდაკებები, საქველმოქმედო საზოგადოებები, ბოშები, სკოლები, ხელისმოწერით გამართული სადილები, ქეიფი, მასონები, ეკლესიები, წიგნები – არავინ და არასოდეს უარს არ იღებდა მისგან და თუ არა ორი მისი მეგობარი, რომელთაც დიდძალი ფული ჰქონდათ პიერისგან ნასესხები და რომელთაც მისი მეურვეობა იკისრეს, იგი მთელ თავის ქონებას დაარიგებდა. უიმისოდ კლუბში არ გაიმართებოდა არც სადილი, არც საღამო. რაწამს იგი, „მარგოს“ ორი ბოთლის შემდეგ, მიესვენებოდა დივანზე თავის ადგილას, იმწამსვე გარს ეხვეოდნენ და იწყებოდა მითქმა-მოთქმა, კამათი, ოხუნჯობა. იქ, სადაც ჩხუბი ატყდებოდა, პიერი მარტოოდენ თავისი კეთილი ღიმილით და მოსწრებულად თქმული ოხუნჯობით არიგებდა წაჩხუბებულთ. მასონთა სასადილო ლოჟები მოწყენილი და უფერული იყო, თუ პიერი არ ესწრებოდა.

როცა ყმაწვილკაცებთან ვახშმის შემდეგ პიერი კეთილი და საამო ღიმილით თანხმობას აცხადებდა მხიარული კამპანიის თხოვნაზე და წამოდგებოდა, რათა გაჰყოლოდა მათ, ახალგაზრდებს შორის გაისმოდა მხიარული საზეიმო შემახილები. ბალებზე იგი მხოლოდ მაშინ ცეკვავდა, როცა კავალრების სიმცირე იყო. ახალგაზრდა მანდილოსნებსა და ქალიშვილებს პიერი უყვარდათ იმისთვის, რომ იგი არავის ეარშიყებოდა და ყველასთან ერთნაირად თავაზიანი იყო, მეტადრე ვახშმის შემდეგ. *Il est charmant, il n'a pas de sexe* (საუცხოო კაცია, მაგრამ სქესი არ გააჩნია), – ამბობდნენ მასზე.

პიერი ის გადამდგარი კამერჰერი იყო, როგორსაც მოსკოვში ასობით დაითვლიდით და რომელნიც გულკეთილად მიაჩანჩალებდნენ თავიანთი ცხოვრების დღეებს.

როგორ გაცდებოდა პიერი, ვინმეს რომ ეთქვა მისთვის შვიდი წლის წინათ, როცა იგი ის-ის იყო, ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, ამოდ ეცდები რისამე ძიებას და გამოგონებას, რომ შენი გზა დიდი ხანია გაკვლეულია, განსაზღვრულია სამარადისოდ, და იმად დარჩები, რაც შეიძლება იყოს შენს მდგომარეობაში მყოფი ყველა ადამიანიაო. პიერი არასოდეს დაიჯერებდა ამას. განა ის არ იყო, მთელი გულით რომ უნდოდა რუსეთში რესპუბლიკა დაემყარებინა ან თავად გამხდარიყო ნაპოლეონი? განა მას არ წარმოედგინა თავი ხან ფილოსოფოსად, ხან ნაპოლეონის დამმარცხებელ ტაქტიკოსად? განა შესაძლებლად არ მიაჩნდა ადამიანის ბიწიერი მოდგმის გარდაქმნა, რასაც ის უაღრესად იყო მოწადინებული? განა ის არ ცდილობდა სრულყოფის უმაღლეს საფეხურამდე მიღწევას? განა ის არ არსებდა სკოლებსა და საავადმყოფოებს და ათავისუფლებდა გლეხებს?

ყოველივე ამის ნაცვლად კი რა არის იგი ახლა: მოღალატე ცოლის მდიდარი ქმარი, გადამდგარი კამერჰერი, ჭამისა და სმის მოტრფიალე, რომელსაც უყვარდა ქმარმოშვებულ მდგომარეობაში მთავრობის ოდნავ გაღანძვვა, მოსკოვის ინგლისური კლუბის წევრი და მოსკოვის საზოგადოების ყველასთვის საყვარელი წევრი. პიერი დიდხანს ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ იგი სწორედ ის მოსკოველი გადამდგარი კამერჰერი იყო, რომლის ტიპიც ასე სძულდა შვიდი წლის წინათ.

ზოგჯერ პიერი თავს ინუგეშებდა იმით, რომ მხოლოდ დროებით ცხოვრობდა ასე, მაგრამ შემდეგ სხვა აზრი აგდებდა სასოწარკვეთილებაში: მასავით რამდენი ადამიანი შესდგომია ამ ცხოვრებას ჯანსაღი კბილებით და თავზე თმით და შესულა იმავე კლუბში, მაგრამ იქიდან სრულიად უკბილო და უთმო გამოსულა.

როდესაც სიამაყე წამოუვლიდა, როცა ფიქრობდა თავის მდგომარეობაზე, ეჩვენებოდა, თითქოს სულ სხვა ადამიანი იყო, განსხვავებული იმ გადამდგარი კამერჰერებისგან, რომელნიც ასე სძულდა წინათ. ისინი უხამსი და სულელი არსებანი არიან, კმაყოფილნი და დამშვიდებულნი თავიანთი მდგომარეობით, მე კი დღესაც ისევე უკმაყოფილო ვარ, სულ მინდა რაღაც გავაკეთო კაცობრიობისთვისო, – ინუგეშებდა თავს სიამაყის ჟამს. „მაგრამ იქნებ ის ჩემი ამხანაგებიც, სწორედ ისევე, როგორც მე, თავს იმტვრევდნენ, ეძიებდნენ რაღაც ახალ, საკუთარ გზას ცხოვრებაში და ისევე, როგორც მე, ვითარების, საზოგადოების, მოდგმის ძალამ, იმ სტიქიურმა ძალამ, რომლის წინაშეც ადამიანი უძლურია, მიიყვანა ისინი იქ, სადაც მე მივედი“, – ეუბნებოდა იგი თავის თავს მოკრძალების წუთებში, და მოსკოვში დარჩენის რამდენიმე ხნის შემდეგ, სიძულვილის ნაცვლად, უკვე სიყვარულით, პატივისცემითა და სიბრალულით იმსჯვალეობდა თავისი თავისა და მასავით ერთ ბედში მყოფი ამხანაგებისადმი.

პიერი წინანდელივით სასოწარკვეთილებაში აღარ ვარდებოდა, სულს აღარ უხუთავდა ბოღმა და სიძულვილი ცხოვრებისადმი; მაგრამ იმავე სენმა, რომელიც წინათ მძაფრად წამოუვლიდა ხოლმე, შიგნით დაიბუდა და ერთი წამითაც არ ანებებდა თავს. „რატომ? რისთვის? რა ხდება ამქვეყნად?“ – გაოცებული ეკითხებოდა დღეში რამდენჯერმე თავს და უნებურად იწყებდა ცხოვრების მოვლენათა

აზრში ჩახედვას, ჩაკვირებას. მაგრამ რაკი გამოცდილებით იცოდა, რომ ამ კითხვებზე პასუხი არ იყო, ცდილობდა სწრაფად განრიდებოდა მათ, იწყებდა წიგნის კითხვას ან მიდიოდა კლუბში, ან კიდევ აპოლონ ნიკოლაევიჩთან ქალაქის ჭორებზე სამასლაათოდ...

„ელენა ვასილევნა, რომელსაც თავისი სხეულის მეტი არასოდეს არავინ არ ჰყვარებია და რომელიც ყველაზე სულელი ქალია ამქვეყნად, – ფიქრობდა პიერი, – დიდად ჰკვიან და დახვეწილ ადამიანად მიაჩნიათ და ქედს იხრიან მის წინაშე. ნაპოლეონ ბონაპარტე სძულდა ყველას იმ დროს, როცა იგი დიდი ადამიანი იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც უბადრუკ კომედიანტად გადაიქცა, იმპერატორი ფრანცი ცდილობდა უკანონო მეუღლედ მიეჩეჩებინა მისთვის თავისი ქალიშვილი. ესპანელები კათოლიკე სამღვდელოების მეშვეობით ღმერთს მადლობას უძღვნიან იმისთვის, რომ 14 ივნისს დაამარცხეს ესპანელები. ჩემი ძმები, მასონები სიცოცხლეს იფიცებენ და ირწმუნებიან, რომ მზად არიან გაიღონ შესაწირავი მოყვასისთვის, იმავე დროს კი თითო რუბლს ვერ იმეტებენ ღარიბთა სასარგებლოდ და „ასტრეას“ ამხედრებენ „მანანის მაძიებელთა“ წინააღმდეგ.[191] თანაც ზრუნვას არ აკლებენ ნამდვილი შოტლანდიური ხალიჩის შესაძენად და იმ აქტისთვის, რომლის აზრიც არ ესმის თვით მას, ვინც დაწერა იგი, და რომელიც არავისთვის საჭირო არ არის. ჩვენ ყველანი ვაღიარებთ წყენისთვის პატიებისა და მოყვასისადმი სიყვარულის ქრისტიანულ კანონს, – კანონს, რომლის გულისთვისაც მოსკოვში ორმოცჯერ ორმოცი ეკლესია ავაგეთ, გუშინ კი გააშიშვლეს და ცემით მოკლეს გაქცეული კაცი, და იმავე სიყვარულისა და პატიების კანონის მსახური, მღვდელი, სიკვდილით დასჯის წინ სამთხვევლად ჯვარს აწვდიდა ჯარისკაცს“, – ასე ფიქრობდა პიერი, და ეს საერთო, ყველას მიერ აღიარებული სიცრუე მუდამ აოცებდა მას, როგორც ახალი რამ, თუმცა ის დიდი ხანია მიჩვეული იყო ამ სიცრუეს. „მე მესმის ეს სიცრუე და არევ-დარევა, – განაგრძობდა ფიქრს პიერი, – მაგრამ როგორ უნდა ვუამბო სხვებს ყოველივე ის, რაც მესმის მე? მე დავაკვირდი და ყოველთვის შემინიშნავს, რომ გულის სიღრმეში მათაც ესმით ის, რაც მე მესმის. ცდილობენ მხოლოდ არ შენიშონ იგი. მაშასადამე, ასე უნდა! მაგრამ რა ვქნა მე, სად გადავიკარგო?“ – ფიქრობდა პიერი. ის განიცდიდა მრავალთა, მეტადრე რუსი ხალხის უბედურებას: მათ აქვთ უნარი დაინახონ და იწამონ სიკეთისა და სიმართლის შესაძლებლობა. იმავე დროს ისინი მეტად ცხადად ხედავენ ცხოვრების ბოროტებასა და სიცრუეს, რაც შეუძლებელს ხდის მათთვის, მიიღონ სერიოზული მონაწილეობა ამ ცხოვრებაში. შრომის ყოველი დარგი მის თვალში შეერთებული იყო ბოროტებასთან და მოტყუებასთან. ყველაფერი სცადა მან, ყველაფერს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ბოროტება და სიცრუე განარიდებდნენ მას, მოქმედების ყოველსავე გზას უღობავდნენ. ცხოვრება კი თავისას მოითხოვდა. საჭირო იყო საქმეში ჩაბმა. მეტად საზარელი იყო ცხოვრების ამ გადაუჭრელი საკითხების ტვირთის ზიდვა, და რათა დავიწყებოდა ყოველივე ეს, იგი უბრუნდებოდა პირვანდელ გატაცებებს: დადიოდა ათასნაირ საზოგადოებაში, ბევრს სვამდა, ყიდულობდა სურათებს და აგებდა შენობებს, ყველაზე მეტად კი კითხულობდა.

პიერი კითხულობდა, კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა და კითხულობდა ისე, რომ, შინ დაბრუნებულს, როცა ლაქიები ჯერ კიდევ ტანისამოსს ხდიდნენ, უკვე ხელში ეჭირა წიგნი. კითხვის შემდეგ ძილს ეძლეოდა. ძილის შემდეგ ლაყბობას სასტუმრო ოთახებსა და კლუბში, ლაყბობის შემდეგ ქეიფს და ქალებთან ყოფნას, ქეიფის შემდეგ კვლავ ლაყბობას, კითხვას და ღვინოს. ღვინის სმა მისთვის უფრო და უფრო ფიზიკურ და თანაც ზნეობრივ მოთხოვნილებად იქცა. თუმცა ექიმები ეუბნებოდნენ, რომ ღვინო მისთვის მავნებელი იყო, იგი მაინც ბევრს სვამდა. სავსებით კარგად პიერი მაშინ გრძნობდა თავს, როცა, თავისდა შეუმჩნეველად, რამდენიმე ჭიქა ღვინოს გადაუძახებდა თავის დიდ პირში, საამო სითბოს იგრძნობდა სხეულში, სინაზეს ყველა ახლობლისადმი და გონების მზაყოფნას საიმისოდ, რომ, სიღრმეში ჩაუხედავად, ზერელედ გამოხმაურებოდა ყოველ აზრს. მხოლოდ ერთი თუ ორი ბოთლის დაღვევის შემდეგ გრძნობდა იგი ბუნდოვნად, რომ არცთუ ისე საშინელი ყოფილა, როგორც მას ეჩვენებოდა, ცხოვრების ის დახლართული, საზარელი კვანძი,

რომელიც წინათ შიშის ზარს ჰკვრიდა. განუწყვეტლივ ხედავდა ამ კვანძის რომელიმე მხარეს, როცა თავში უმზუოდ და ლაპარაკობდა ან ყურს უგდებდა სხვების ლაპარაკს, ან კიდევ კითხულობდა წიგნს სადილის თუ ვახშმის შემდეგ. მხოლოდ ღვინის გავლენით ეუბნებოდა იგი თავის თავს: „ეს არაფერია: ამას გამოვარკვევ! აი, ახსნაც მზად მაქვს, მხოლოდ ახლა არ მცალია, შემდეგში გავარკვევ ყოველივეს“. მაგრამ ეს შემდეგში არასოდეს აღარ მოდიოდა.

დილით, უზმოზე, ყველა წინანდელი საკითხი კვლავ გადაუჭრელად და საზარელი სახით წარმოდგებოდა ხოლმე, და პიერი სწრაფად იღებდა ხელში წიგნს ან სიხარულს ეძლეოდა, როცა ვინმე ეწვეოდა.

ზოგჯერ პიერი გაიხსენებდა ხოლმე ერთ გაგონილ ამბავს: ომში სროლისგან თავის გადასარჩენად საფარში მჯდომი ჯარისკაცები, როცა მათ გასაკეთებელი არაფერი ჰქონდათ, გაფაციცებით ცდილობდნენ გამოეძებნათ რამე საქმე, რათა უფრო ადვილად გადაეტანათ განსაცდელი. და პიერს ასეთ ჯარისკაცებად ჰყავდა წარმოდგენილი ადამიანები, რომელნიც ცდილობდნენ დაეღწიათ თავი ცხოვრებისგან: ვის პატივმოყვარეობით, ვის ბანქოს თამაშით, ვის კანონების წერით, ქალებით, სათამაშოებით, ცხენებით, პოლიტიკით, ნადირობით, ღვინით, სახელმწიფო საქმეებით. „არ არის არც უმნიშვნელო, არც მნიშვნელოვანი, სულერთია. ოღონდ როგორმე თავი გადავირჩინო მისგან, – ფიქრობდა პიერი, – ოღონდ აღარ დავინახო იგი, ეს საზარელი, საშინელი იგი“.

თავი მეორე

ზამთრის დასაწყისში თავადი ნიკოლაი ანდრეიჩ ბოლკონსკი ქალიშვილითურთ მოსკოვში გადაბარგდა. თავისი წარსულით, თავისი ჭკუითა და ორიგინალობით, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იმ ხანებში შენელდა აღტაცება იმპერატორ ალექსანდრეს მეფობისადმი, აგრეთვე იმ ანტიფრანგული და პატრიოტული მიმართულების გამო, რომელიც იმ დროს მოსკოვში იყო გამეფებული, თავადი ნიკოლაი ანდრეიჩი ერთბაშად გადაიქცა მოსკოველთა განსაკუთრებული პატივისცემის საგნად და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებული მოსკოვის ოპოზიციის ცენტრად.

თავადი ძალიან დაბერდა ამ ერთ წელიწადში. მას სიბერის მკვეთრი ნიშნები დაეტყო: მოულოდნელად იძინებდა, ივიწყებდა ცოტა ხნის წინათ მომხდარ ამბებს და იგონებდა შორეული წარსულისას, იტაცებდა ბავშვური მედიდურობა. ასეთი მედიდურობით მიიღო მან მოსკოვის ოპოზიციის მეთაურობა. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი ჩაის დასალევად, მეტადრე საღამოობით, თავისი პატარა ქურქით და გაპუდრული პარიკით გამოდიოდა და იწყებდა ვინმეს მიერ გახსენებულ, თავისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბების გადმოცემას წარსულზე ან უფრო მეტად ნაწყვეტ-ნაწყვეტ და მკვახე მსჯელობას აწმყოზე, იგი ყველა თავის სტუმარს მოწიწებული პატივისცემის ერთნაირ გრძნობას აღუძრავდა ხოლმე. მიმსვლელთათვის ეს ძველებური სახლი უზარმაზარი ტრიუმფებით, რევოლუციის წინა დროის ავეჯით, გაპუდრული ლაქიებით, წარსული საუკუნის თვით ეს მკაცრი და ჭკვიანი მოხუცი თავისი მშვიდი ქალიშვილითურთ და სანდომიანი ფრანგი ქალითურთ, რომელნიც მოწიწებით შეჰყურებდნენ მოხუცს, – ყოველივე ეს დიადი და საამო სანახავი იყო. მაგრამ მიმსვლელნი არ ფიქრობდნენ, რომ, იმ ორი-სამი საათის გარდა, როდესაც ისინი მასპინძლებს ხედავდნენ, დღე-ღამეში იყო კიდევ ოცდაორი საათი, როცა გარეშეთათვის უხილავი შინაგანი ცხოვრება მიმდინარეობდა.

უკანასკნელ დროს ეს შინაგანი ცხოვრება მოსკოვში მეტად აუტანელი გახდა კნიაჟნა მარიასთვის. იგი მოკლებული იყო იმ დიდ სიხარულს – საუბარს ღვთის კაცებთან და განმარტობას, რაც ასე ახალისებდა მას ლისიგორაში. იგი არც სატახტო ქალაქის ცხოვრების ათასნაირი სიკეთით და გასართობით სარგებლობდა, არც საზოგადოებაში დადიოდა. ყველამ იცოდა, რომ მამა მარტოს არ

უშვებდა, თვითონ კი, უქეიფობის გამო, ვერ გაჰყვებოდა და კნიაჟნას აღარც იწვევდნენ სადილებსა და ვახშმებზე. გათხოვების იმედი მთლად უკუაგდო. კარგად ხედავდა, რა ცივად და გაბოროტებით იღებდა და ისტუმრებდა მოხუცი თავადი იმ ახალგაზრდა მამაკაცებს, რომელნიც შეიძლებოდა საქმროებად გამოსდგომოდნენ კნიაჟნას და რომელნიც ზოგჯერ თავს შეჰყოფდნენ ხოლმე მათ სახლში. მეგობრები კნიაჟნა მარიას აღარ ჰყავდა: მოსკოვში ამხანად ყოფნის დროს მას გული გაუტყდა ორ თავის ყველაზე ახლობელ ადამიანზე: m-lle Bourienne-ზე, რომელთანაც მაინცდამაინც არც მანამდე იყო გულახდილი, ახლა კი სხვადასხვა მიზეზთა გამო ცდილობდა დაშორებოდა მას, და ჟიულიზე, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა და რომელთანაც მას ხუთი წელიწადი ჰქონდა მიწერ-მოწერა. მაგრამ სრულიად უცხო ადამიანი აღმოჩნდა, როცა კნიაჟნა კვლავ დაუახლოვდა მას პირადად. ჟიული, რომელიც, ძმის სიკვდილის გამო ყველაზე მდიდარი საცოლე გახდა მოსკოვში, მთლად გატაცებული იყო საზოგადოებაში გართობა-დროს ტარებით. მას გარს ეხვივნენ ახალგაზრდა მამაკაცები, რომელთაც როგორც თვით იგი ფიქრობდა, ერთბაშად შეაფასეს მისი ღირსებანი. ჟიული იმ ხანდაზმულობაში გადამდგარი ქალიშვილის მდგომარეობაში იყო, როცა უკვე გრძნობს, რომ დადგა გათხოვების უკანასკნელი შესაძლებლობა: ან ახლა უნდა გადაწყდეს მისი ბედი, ან არასოდეს აღარ გადაწყდება. კნიაჟნა მარია მწუხარე ღიმილით იგონებდა ხუთშაბათობით, რომ მას აღარავინ ჰყავდა, ვისთანაც შეიძლებოდა წერილის გაგზავნა, რადგან ჟიული, რომელთან ყოფნაც არავითარ სიხარულს არ ჰგვრიდა, აქ იყო და ყოველ კვირას ხედავდა მას. კნიაჟნა მარიას, როგორც ძველ ემიგრანტს, რომელმაც უარი თქვა იმ მანდილოსნის შერთვაზე, ვისთანაც რამდენიმე წლის განმავლობაში სადამოებს ატარებდა, ენანებოდა, რომ ჟიული მოსკოვში იყო და წერილს ვეღარავის მისწერდა. კნიაჟნა მარია მოსკოვში ვერავისთან ახერხებდა გულითად ლაპარაკს, ვერავის უზიარებდა თავის მწუხარებას, მწუხარება კი მრავლად დაუგროვდა ამ ხნის განმავლობაში.

თავად ანდრეის დაბრუნებისა და ქორწინების ვადა ახლოვდებოდა, ხოლო მისი დავალება დისადმი – მოემზადებინა ამ დროისთვის მამა, არათუ არ იყო შესრულებული, არამედ, პირიქით, თითქოს უფრო გაუარესებულიყო: გრაფინია როსტოვას მარტო გახსენებასაც კი მოთმინებიდან გამოჰყავდა მოხუცი თავადი, რომელიც ისედაც მეტწილად გუნებაზე არ იყო. ახალი მწუხარება, რომელიც უკანასკნელ დროს კნიაჟნა მარიას მოემატა, იყო გაკვეთილები, რომლებსაც იგი ექვსი წლის ძმისწულს უტარებდა. ნიკოლუშკასთან ურთიერთობისას სასოწარკვეთილი ხედავდა, რომ თავისი მამის ხასიათი – სიბრაზე – მასაც გამოჰყვა. მას არაერთხელ გაუფიქრია, ძმისწულის სწავლების დროს არ უნდა გავცხარდეო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითქმის ყოველთვის, როცა ფრანგული ანბანის სასწავლებლად მიუჯდებოდა ბავშვს, ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა და ადვილად გადაეცა თავისი ცოდნა ნიკოლუშკასთვის, რომელსაც უკვე შიში იპყრობდა – აი, საცაა მამიდა გაჯავრდებაო. ბავშვისგან უბრალო უყურადღებობაზე შეაჟრჟოლებდა ხოლმე კნიაჟნას, იგი ჩქარობდა, ცხარობდა, ხმას იმაღლებდა, ზოგჯერ ხელს წაჰკრავდა და კუთხეში აყენებდა ხოლმე. კუთხეში დაყენების შემდეგ თვითონვე იწყებდა ტირილს, აწუხებდა თავისი ბოროტი, ცუდი ხასიათი; მაშინ ნიკოლუშკაც აჰყვებოდა ხოლმე მამიდას ტირილში, კუთხეს თავს ანებებდა, მამიდასთან მიდიოდა, თვალებიდან ხელს აშორებდა და ანუგეშებდა.

მაგრამ ყველაზე მეტად კნიაჟნას მწუხარებაში აგდებდა მამის სიბრაზე. ეს სიბრაზე, რომელიც უკანასკნელ ხანებში სიმკაცრემდე მივიდა, ყოველთვის მიმართული იყო ქალიშვილის წინააღმდეგ. მამას რომ უარესად დაესაჯა იგი, ებრძანა, მთელი ღამე მუხლმოყრილი გაატარეო, ან ეცემა კიდეც, ან შეშა და წყალი ეზიდვინებინა, მას აზრად არც კი მოუვიდოდა, რომ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ ეს მოსიყვარულე მტანჯველი, ყველაზე აუტანელი იმის გამო, რომ უყვარდა და მისთვის ტანჯავდა თავის თავსაც და მასაც, არათუ განგებ ამცირებდა და აყენებდა შეურაცხყოფას ქალიშვილს, არამედ უმტკიცებდა კიდეც, ყოველთვის და ყველაფერში შენ ხარ დამნაშავეო. ბოლო

დროს მოხუცს ახალი ზნე დასჩემდა, რაც ყველაზე მეტად ტანჯავდა კნიაჟნა მარიას: იგი ძალიან დაუახლოვდა m-lle Bourienne-ს. ეტყობოდა, ძალიან მოეწონა მოხუცს ის ახალი აზრი-დაცინვა, რომელმაც თავად ანდრეის განზრახვის გაგების პირველ წუთებში გაუელვა თავში: თუ თავადი ანდრეი ცოლს შეერთავს, არც მე ჩამოვრჩები და შევირთავ m-lle Bourienne-სო; და ახლა იგი მხოლოდ იმიტომ, რომ კნიაჟნა მარიასთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა (როგორც მას ეჩვენებოდა), განსაკუთრებული ალერსით ეპყრობოდა m-lle Bourienne-ს და ამით ამჟღავნებდა თავის უკმაყოფილებას ქალიშვილისადმი.

ერთხელ, მოსკოვში, კნიაჟნა მარიას თანდასწრებით (მას ისე ეჩვენა, თითქოს მამამ განგებ ჩაიდინა ეს მისი თანდასწრებით) მოხუცმა თავადმა m-lle Bourienne-ს ხელზე აკოცა, მერე მიიზიდა თავისკენ და ალერსიანად გადაეხვია. კნიაჟნა მარია აენტო და ოთახიდან გავარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მასთან ოთახში m-lle Bourienne შევიდა მხიარული კილოთი და თავისი საამო ხმით რაღაცის მოყოლა დაიწყო. კნიაჟნა მარიამ საჩქაროდ მოიწმინდა ცრემლები, მტკიცე ნაბიჯით მივიდა მასთან და, ეტყობოდა, თავისდა უნებურად, მრისხანედ და ხმამაღლა დაუწყო ყვირილი ფრანგ ქალს.

– საზიზღრობაა, სულმდაბლობა და უადამიანობაა ისარგებლოთ სისუსტით... – და ვეღარ დაამთავრა, – გადით ჩემი ოთახიდან! – დაუყვირა ბოლოს და აქვითინდა.

მეორე დღეს თავადს არაფერი უთქვამს ქალიშვილისთვის, მაგრამ კნიაჟნამ შენიშნა, როგორ უბრძანა მოხუცმა, რომ სუფრაზე საჭმლის ჩამორიგება დაეწყოთ m-lle Bourienne-დან. სადილის დასრულების შემდეგ, როცა მებუფეტემ ყავის ჩამორიგება კვლავ კნიაჟნათი დაიწყო, თავადი ერთბაშად ისე გაცოფდა, რომ ყავარჯენი ესროლა ფილიპს და იქვე განკარგულება გასცა – ჯარისკაცად გადაეცათ იგი.

– არ ესმით!.. ორჯერ ვთქვი!.. მაინც არ ესმით!.. ის პირველი ადამიანია ამ სახლში, ის ჩემი საუკეთესო მეგობარია! – ყვიროდა იგი, – თუ შენ ნებას მისცემ თავს, – განრისხებულმა დაუყვირა მან და პირველად მიმართა კნიაჟნა მარიას, – ერთხელ კიდევ დაივიწყებ თავს მის წინაშე... როგორც გუშინ გაბედე, გიჩვენებ მაშინ, ვინ არის ამ სახლში ბატონ-პატრონი, გაეთრიე აქედან! აღარ გნახო აქ! სთხოვე პატიება!

კნიაჟნა მარიამ პატიება სთხოვა ამალია ევგენიევნას და მამას თავისთვის და ფილიპ მებუფეტესთვის, რომელმაც გამოსარჩლება ითხოვა.

ასეთ წუთებში კნიაჟნა მარიას გულს მოწამებრივი სიამაყის მსგავსი გრძნობა ეუფლებოდა. და სწორედ ასეთ წუთებში მამა, რომელსაც იგი ჰკიცხავდა, მის თვალწინ სათვალეს დაეძებდა და ხელებს აფათურებდა ირგვლივ, ან ივიწყებდა იმას, რაც იმ წუთში ხდებოდა, ან მისუსტებული ფეხებით გაუბედავ ნაბიჯებს ადგამდა, თან უკან იყურებოდა, ხომ არავინ ხედავს ჩემს სისუსტესო, ან, რაც ყველაზე უარესი იყო, სადილის დროს, როცა არ იყვნენ სტუმრები, რომლებიც მას ალაგზნებდნენ ხოლმე, უეცრად სუფრაზე ჩათვლემდა, ხელსახოცი გაუვარდებოდა და აკანკალებული თავი თევზისკენ დაეხრებოდა. „ბებერია და სუსტი, მე კი ვბედავ და ვკიცხავ!“ – ეუბნებოდა ხოლმე ასეთ წუთებში თავის თავს კნიაჟნა მარია და ზიზღით იმსჯვალეებოდა საკუთარი თავისადმი.

თავი მესამე

1811 წელს მოსკოვში ცხოვრობდა მოდაში სწრაფად შესული ფრანგი ექიმი, უზარმაზარი ტანის პატრონი, ლამაზი, თავაზიანი, როგორც ყველა ფრანგი, და როგორც მოსკოვში ამბობდნენ, თავისი საქმის დიდი ოსტატი – მეტივიე. იგი მიღებული იყო მაღალი საზოგადოების ოჯახებში, ამასთან მიღებული იყო არა როგორც ექიმი, არამედ როგორც თანასწორი კაცი.

თავადი ნიკოლაი ანდრეიჩი სასაცილოდ იგდებდა მედიცინას, მაგრამ ბოლო დროს, m-lle Bourienne-ის რჩევით, თანახმა გახდა მიეღო ეს ექიმი და მალე მიეჩვია კიდევ მას. მეტივიე კვირაში ერთხელ-ორჯერ ეწვეოდა ხოლმე თავადს.

თავადის სახელწოდების დღეს, მთელმა მოსკოვმა მიაშურა ნიკოლაი ანდრეიჩის სახლის შესასვლელ კარს, მაგრამ თავადმა ბრძანება გასცა, არავინ მიეღოთ. მხოლოდ რამდენიმე კაცი უნდა მიეწვიათ სადილად; მათი სია მოხუცმა კნიაჟნას გადასცა.

დილით მისალოცად მისულმა მეტივიემ, როგორც ექიმმა, ზრდილობად მიიჩნია de forcer la consigne (დაერღვია ბრძანება), როგორც მან კნიაჟნა მარიას განუცხადა, და შესულიყო თავადთან. ამ დილით მოხუცი თავადი უაღრესად ცუდ გუნებაზე იყო. მთელი დილის განმავლობაში ოთახებში დადიოდა და ხან ვის ჩააცივებოდა, ხან ვის, თანაც ისე ეჭირა თავი, თითქოს არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ, და არც მისი ესმოდა ვინმეს. კნიაჟნა მარია კარგად იცნობდა მისი სულის ასეთ მდგომარეობას, იმ ყრუ და შეშფოთებულ ბუზღუნს, რომელიც ჩვეულებრივად ცოფად გადმოინთხეოდა ხოლმე, და როგორც გატენილი, ჩახმახშეყენებული თოფის წინაშე, ისე დადიოდა იგი მთელ დილას და მოელოდა აუცილებელ გასროლას. დილამ ექიმის მოსვლამდე კეთილად ჩაიარა. კნიაჟნა მარიამ ექიმი შეუშვა, ხოლო თვითონ წიგნით ხელში სასტუმრო ოთახში დაჯდა, კართან, სადაც შეეძლო გაეგონა ყველაფერი, რაც კაბინეტში მოხდებოდა.

პირველ ხანს მხოლოდ მეტივიეს ხმა ესმოდა, მერე მამის ხმაც მოესმა, შემდეგ ორივე ხმა ერთად ალაპარაკდა, ბოლოს კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ჯერ მეტივიეს ლამაზი, შეშფოთებული ფიგურა შავი ქოჩრით, მერე თავზე არახჩინჩამოცმული და ტანზე ხალათწამოსხმული მოხუცის ფიგურა სიბრაზისგან დამახინჯებული სახით და გუგაგაშავებული თვალებით.

– არ გესმის? – უყვიროდა თავადი, – მე კი მესმის! საფრანგეთის ჯაშუშო, ბონაპარტეს ყმავე, ჯაშუშო, გაეთრიე ჩემი სახლიდან, გაეთრიე, გეუბნები! – და კარი მიუჯახუნა.

მეტივიემ მხრები აიჩჩა, შემდეგ m-lle Bourienne-თან მივიდა, რომელიც ყვირილზე მეზობელ ოთახიდან გამოვარდა.

– თავადი ვერ არის სავსებით ჯანმრთელად, la bile et le transport au cerveau. Tranquillisez-vous, je repasserai demain (ნაღველი აწუხებს და სისხლი აქვს ავარდნილი თავში. ნუ შეწუხდებით, ხვალ კიდევ გაეხლებით), – თქვა მეტივიემ, ტუჩებზე თითი მიიღო და სწრაფად გავიდა.

კარს იქიდან მოისმოდა ფეხის ხმა და ყვირილი: „ჯაშუშები, მოლალატეები! ყველგან მოლალატეები არიან! კაცს საკუთარ სახლში ერთ წუთსაც ვერ მოგისვენია!“

მეტივიეს წასვლის შემდეგ მოხუცმა თავადმა ქალიშვილს დაუძახა და მთელი თავისი რისხვა მას დაატეხა თავს. ის იყო დამნაშავე, რომ მასთან ჯაშუშში შეუშვეს. ხომ უთხრა, შეედგინა სია და ის, ვინც სიაში არ იქნებოდა, არ შემოეშვათ. მერე, რატომ შემოუშვეს ის გაიძვერა? ყველაფრის მიზეზი კნიაჟნა მარია იყო: „ამასთან ერთი წუთი მოსვენება არ მქონია, ამასთან ვერც მოკვდები დამშვიდებულნი!“ – ამბობდა მოხუცი.

– არა, ჩემო კარგო, უნდა გავმორდეთ ერთმანეთს, უნდა გავმორდეთ; იცოდეთ ეს, იცოდეთ! ახლა მეტი აღარ შემიძლია! – დაასკვნა მან, ოთახიდან გავიდა და თითქოს შეეშინდა, როგორმე თავი არ ინუგეშოსო, უკან დაბრუნდა, თან შეეცადა დამშვიდებული სახე მიეღო, და დაუმტა, – არ იფიქროთ, რომ გული მომივიდა და იმიტომ გითხარით, არა, დამშვიდებული ვარ და ყველაფერი ეს მოვიფიქრე; ავასრულებ კიდევ – უნდა გავმორდეთ, მონახეთ ადგილი!.. – მაგრამ ვერ მოითმინა და გაბოროტებულმა, როგორც შეიძლება გაბოროტდეს და გაიტანჯოს მხოლოდ მოსიყვარულე ადამიანი,

მუშტები აიქნია და შეჰყვირა, – ნეტა ვინმე სულელმა ცოლად მაინც წაგიყვანოს! – მერე კარი მიიჯახუნა, m-Ile Bourienne-ს დაუძახა და კაბინეტში მიყუჩდა.

ორ საათზე თავი მოიყარეს სადილისთვის მიწვეულმა სტუმრებმა – ექვსმა არჩეულმა კაცმა. სტუმრები – ცნობილი გრაფი რასტოპჩინი, თავადი ლოპუხინი თავისი ძმისწულითურთ, გენერალი ჩატროვი, მოხუცი თავადის ძველი ამხანაგი და თანამებრძოლი, ახალგაზრდებიდან პიერი და ბორის დრუბეცკოი – სასტუმრო ოთახში უცდიდნენ თავადს.

ახლახან მოსკოვს ჩამოსულმა, შვებულებაში მყოფმა ბორისმა მოისურვა გასცნობოდა თავად ნიკოლაი ანდრეიჩს, და როდესაც წარუდგინეს და გააცნეს, ისე მოხიბლა მოხუცი, რომ მან უცოლშვილო ახალგაზრდებიდან, რომლებსაც თავადი ოჯახში არ იღებდა, ბორისისთვის გამონაკლისი დაუშვა.

თავადის სახლი არ წარმოადგენდა იმას, რასაც „საზოგადოებას“ უწოდებდნენ, იგი შედგებოდა პატარა წრისგან და თუმცა ქალაქში მასზე არაფერი ისმოდა, ამ წრეში შესვლა სასახელო საქმედ ითვლებოდა. ბორისი ამას მიხვდა ერთი კვირის წინათ, როცა გრაფმა რასტოპჩინმა მთავარსარდალს, რომელიც ნიკოლოზის დღეს სადილად იწვევდა მას, ბორისის თანდასწრებით უთხრა, ვერ წამოვალო.

– ამ დღეს მე, – განაგრძო გრაფმა, – ყოველთვის თავად ნიკოლაი ანდრეიჩის სამთხვევად დავდივარ.

– ჰო, მართლა, მართლა, – მიუგო მთავარსარდალმა, – რასა იქმს ნიკოლაი ანდრეიჩი?..

მცირე საზოგადოება, რომელიც სადილის წინ ძველმოდური ავეჯით მორთულ, ძველებურ მაღალ სასტუმრო ოთახში შეიკრიბა, წააგავდა საზეიმოდ შეკრებილ სამსჯავროს საბჭოს. ყველანი დუმდნენ და თუ ვინმე ხმას იღებდა, ლაპარაკობდა ჩუმად. თავადი ნიკოლაი ანდრეიჩი სერიოზული გამომეტყველებით და უსიტყვოდ გამოვიდა. კნიაჟნა მარია ჩვეულებრივზე უფრო მეტად მიყუჩებული და მოკრძალებული გამოიყურებოდა. სტუმრები უხალისოდ მიმართავდნენ კნიაჟნას, რადგან ხედავდნენ, რომ მას მათთან ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. გრაფი რასტოპჩინი ერთადერთი სტუმარი იყო, რომელიც საუბარს უძღვებოდა: იგი მოუთხრობდა დამსწრეთ ახალ ამბებს ხან ქალაქის, ხან კიდევ პოლიტიკური ცხოვრებიდან.

ლოპუხინი და მოხუცი გენერალი იშვიათად ჩაერთვებოდნენ საუბარში. თავადი ნიკოლაი ანდრეიჩი უზენაეს მოსამართლესავით ისმენდა მოხსენებას, რომელსაც მას უკითხავდნენ, და მხოლოდ ათასში ერთხელ სიჩუმით თუ მოკლე სიტყვით აცხადებდა, რომ ითვალისწინებს იმას, რაც მოახსენეს. ლაპარაკის კილო ისეთი იყო, რომ ამჟამად ჩანდა, არავინ იწონებდა იმას, რაც პოლიტიკურ სფეროებში ხდებოდა. ლაპარაკობდნენ ისეთ მოვლენებზე, რომლებიც ცხადად ადასტურებდნენ, რომ ყველაფერი უკან და უკან მიდიოდა. მაგრამ ყველა ამბავსა და მსჯელობაში გასაოცარი იყო ის, თუ როგორ ჩერდებოდა გადმომცემი ან როგორ აჩერებდნენ მას ყოველთვის იმ ზღვარზე, სადაც მსჯელობა შეიძლება შეხებოდა ხელმწიფე იმპერატორის პიროვნებას.

სადილზე ლაპარაკი ჩამოვარდა უკანასკნელ პოლიტიკურ ამბავზე – ნაპოლეონის მიერ ოლდენბურგის ჰერცოგის სამფლობელოს ხელში ჩაგდებისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის ნოტის შესახებ, იმ ნოტის შესახებ, რომელიც ყველა სახელმწიფოს გაეგზავნა.

– ბონაპარტე ისე ექცევა ევროპას, როგორც მეკობრე დაპყრობილ გემს, – თქვა გრაფმა რასტოპჩინმა და ამით გაიმეორა უკვე რამდენჯერმე ნათქვამი ფრაზა, – გაკვირვებს მხოლოდ ხელმწიფეთა სულგრძელობა ან სიბრმავე. ახლა საქმე რომის პაპზე მიდგა და ბონაპარტე უკვე დაურიდებლად ცდილობს კათოლიკური რელიგიის მეთაურის დამხობას, და ყველა დუმს. მხოლოდ ჩვენმა ხელმწიფემ განაცხადა პროტესტი ოლდენბურგის ჰერცოგის სამფლობელოს გატაცების გამო და ისიც... – გრაფი

რასტოპჩინი გაჩუმდა, რადგან იგრძნო, რომ ფეხი შედგა იმ ზღვარზე, სადაც გაკიცხვა აღარ შეიძლებოდა.

– საჰერცოგოს ნაცვლად ოლდენბურგს სხვა სამფლობელო შესთავაზეს, – თქვა თავადმა ნიკოლაი ანდრეიჩმა, – ისე ექცევა ჰერცოგებს, თითქოს მე გლეხებს ვასახლებდე ლისიგორიდან ბოგუჩაროვოსა და რიაზანის მამულში.

– Le duc d’Oldenbourg supporte son malheur avec une force de caractère et une résignation admirable (ჰერცოგი ოლდენბურგი თავის უბედურებას ხასიათის საოცარი სიმტკიცით და სიმშვიდით იტანს), – თქვა ბორისმა და მოწიწებით ჩაერია საუბარში. თქვა მან ეს იმიტომ, რომ პეტერბურგიდან გამოსვლისას პატივი ჰქონდა წარდგომოდა ჰერცოგს.

თავადმა ნიკოლაი ანდრეიჩმა ისე შეავლო თვალი ახალგაზრდა კაცს, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა მისთვის ამის შესახებ, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ამისთვის მეტად ახალგაზრდად მიიჩნია იგი.

– მე წავიკითხე ჩვენი პროტესტი ოლდენბურგის საქმის გამო და გამაკვირვა ამ ნოტის ცუდმა რედაქციამ, – თქვა გრაფმა რასტოპჩინმა იმ ადამიანის დაუდევარი კილოთი, რომელიც კარგად ნაცნობ საქმეზე მსჯელობს.

პიერმა გულუბრყვილო გაკვირვებით შეხედა რასტოპჩინს. ვერ გაეგო, რატომ აწუხებდა მას ნოტის ცუდი რედაქცია.

– განა სულერთი არ არის, გრაფ, როგორ იქნება დაწერილი ნოტა, – თქვა მან, – თუკი შინაარსი ძლიერია?

– Mon cher, avec nos 500 mille hommes de troupes, il serait facile d’avoir un beau style (ჩემო კარგო, ჩვენი 500-ათასიანი ჯარით ადვილი უნდა იყოს კარგი ენის გამონახვა), – მიუგო გრაფმა რასტოპჩინმა.

პიერი მიხვდა, რატომ აწუხებდა გრაფ რასტოპჩინს ნოტის ცუდი რედაქცია.

– ვგონებ, მჯღაბნელნი საკმაოდ გამრავლდნენ, – თქვა მოხუცმა თავადმა, – იქ, პეტერბურგში, სულ წერენ, წერენ არა მარტო ნოტებს, კანონებსაც. ჩემმა ანდრიუშამ იქ რუსეთისთვის კანონების მთელი ტომი დაწერა. დღეს სულ წერენ! – და მან არაბუნებრივად გაიცინა.

ლაპარაკი წუთით შეწყდა. მოხუცმა გენერალმა ხველებით ყურადღება მიიქცია.

– არ გსმენიათ უკანასკნელი ამბავი ჯარის დათვალიერებაზე პეტერბურგში? როგორ გვიჩვენა თავი საფრანგეთის ახალმა ელჩმა!

– რაო? ჰო, რაღაც გავიგონე, რაღაც უხერხული უთქვამს მისი უდიდებულესობის წინაშე.

– მისმა უდიდებულესობამ ელჩის ყურადღება მიაქცია გრენადერთა დივიზიას და ცერემონიულ მარშს, – განაგრძო გენერალმა, – და თითქოს ელჩს არავითარი ყურადღება არ მიექციოს, თითქოს ნება მიეცეს თავისთვის ეთქვას, რომ ჩვენ საფრანგეთში ამგვარ უბრალო რამეებს ყურადღებას არ ვაქცევთო. ხელმწიფემ არაფრის თქმა არ ინება. ამბობენ, შემდგომ დათვალიერებაზე ხელმწიფემ არცერთხელ აღარ ინება მიემართა მისთვისო.

ყველანი გაჩუმდნენ: ამ ფაქტზე, რომელიც პირადად ხელმწიფეს ეხებოდა, არავითარი მსჯელობის გაბმა არ შეიძლებოდა.

– უტიფარნი! – თქვა მოხუცმა თავადმა, – იცნობთ მეტივიეს? დღეს სახლიდან გავაგდე. აქ იყო, შემოუშვეს ჩემთან, თუმცა ვეხვეწე, არავინ შემოუშვათ, – თქვა თავადმა, თან გაჯავრებულმა ქალიშვილს გადახედა; და მოხუცმა უამბო სტუმრებს მთელი თავისი საუბრის შესახებ ფრანგ ექიმთან და ის

მიზეზები, რამაც დაარწმუნა მეტივიეს ჯამუშობაში. თუმცა ეს მიზეზები ნაკლებად სარწმუნო და ბუნდოვანი იყო, მაგრამ საწინააღმდეგოდ ხმა მაინც არავის ამოულია.

მოხრაკულზე შამპანური შემოიტანეს. სტუმრები წამოდგნენ და მიულოცეს მოხუც თავადს.

კნიაჟნა მარიაც მივიდა მასთან. მოხუცმა ცივი, ბოროტი თვალებით შეხედა და მოპარსული, დაღარული ლოყა მიუშვირა. მთელი მისი სახის გამომეტყველება ცხადყოფდა, რომ დილანდელი ლაპარაკი არ ჰქონდა დავიწყებული, რომ მისი გადაწყვეტილება კვლავ ძალაში რჩებოდა და რომ მხოლოდ სტუმრების მეოხებით არ ეუბნება არაფერს ამის შესახებ.

როდესაც სასტუმროში ყავის დასალევად გავიდნენ, მოხუცები ერთად დასხდნენ.

თავადი ნიკოლაი ანდრეიჩი უფრო გამოცოცხლდა. მან თავისი აზრი გამოთქვა მომავალი ომის შესახებ.

მან განაცხადა: ჩვენი ომი ბონაპარტესთან მანამდე იქნება უიმედო, სანამ ხელს არ ავიღებთ გერმანელებთან კავშირზე და სანამ უარს არ ვიტყვით ევროპის საქმეებში ჩარევაზე. ამ საქმეებში ტილზიტის ზავმა ჩაგვება. ჩვენ არ უნდა გვეომა არც ავსტრიისთვის, არც ავსტრიის წინააღმდეგ. ჩვენი პოლიტიკა მთლად აღმოსავლეთისკენ უნდა იყოს მიმართული. ხოლო ბონაპარტესადმი ერთ გზას უნდა დავადგეთ – შევიარაღდეთ საზღვარზე, სიმტკიცე გამოვიჩინოთ პოლიტიკაში, და ის ვერასოდეს, ცხრაას შვიდი წლის მსგავსად, ვეღარ გაბედავს რუსეთის საზღვრის გადმოლაზხვასო.

– როგორ შეგვიძლია, თავადო, ფრანგებთან ომი? – თქვა გრაფმა როსტოპჩინმა, – განა ჩვენ ავმხედრდებით ჩვენი მასწავლებლებისა და ღმერთების წინააღმდეგ? შეხედეთ ერთი ჩვენს ახალგაზრდობას, შეხედეთ ჩვენს ქალბატონებს. ჩვენი ღმერთები ფრანგები არიან, ჩვენი სასუფეველი პარიზია.

მან ხმა აიმაღლა, ალბათ იმიტომ, რომ ყველას გაეგონა:

– ტანსაცმელი ფრანგული, აზრები ფრანგული, გრძნობები ფრანგული. აი, თქვენ კინწისკვრით გააგდეთ მეტივიე იმიტომ, რომ ფრანგია და გაიძვერა, ჩვენი ქალბატონები კი მის წინ დახობავენ. გუშინ მე ერთ სადამოზე ვიყავი, ჰოდა, ხუთი ქალბატონიდან სამი კათოლიკე იყო. რომის პაპის ნებართვით, კვირაობით ისინი სხედან და ქარგავენ. თვითონ კი, უკაცრაული პასუხია, თითქმის შიშველ-ტიტველნი სხედან სავაჭრო აბანოების აბრებზე დახატულებივით. რა უნდა ვთქვა! ჩვენი ახალგაზრდობის შემყურემ უნდა დაავლო ხელი პეტრე დიდის კეტს კუნსტკამერში და რუსულად ერთი თუ ორი! ისე უნდა აუზილო გვერდები, რომ ხელად გამოფხიზლდნენ.

ყველანი დუმდნენ. მოხუცი თავადი ტუჩებზე ღიმომდგარი შეჰყურებდა როსტოპჩინს და მოწონების ნიშნად თავს უქნევდა.

– მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ნუ შეუშინდებით უქეიფობას, – თქვა რასტოპჩინმა და, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, სწრაფად წამოდგა და ხელი გაუწოდა თავადს.

– მშვიდობით, ძვირფასო, – ნამდვილი არფაა, ყოველთვის სმენად გადავიქცევი ხოლმე, – თქვა მოხუცმა თავადმა, სახელო დაუჭირა და ლოყა მიუშვირა საკოცნელად. რასტოპჩინთან ერთად სხვებიც აიშალნენ.

თავი მეოთხე

კნიაჟნა მარია იჯდა სასტუმრო ოთახში და ყურს უგდებდა მოხუცების ამ მითქმა-მოთქმას, მაგრამ არაფერი ესმოდა იმის, რასაც ამბობდნენ. ის ფიქრობდა მხოლოდ ერთზე: ხედავდნენ თუ არა სტუმრები

მამის მტრულ დამოკიდებულებას მისდამი. მან ისიც ვერ შენიშნა, თუ რა განსაკუთრებული ყურადღებით და ალერსით ეპყრობოდა მას მთელი ამ სადილის განმავლობაში დრუბეცკოი, რომელიც უკვე მესამედ იყო მათ სახლში.

კნიაჟნა მარია ისეთი გამომეტყველებით, თითქოს რაღაც უნდა ჰკითხოვს, გონებააბნეული, შეჰყურებდა პიერს, რომელიც ქუდით ხელში, გაღიმებული, სტუმართაგან უკანასკნელი მივიდა მასთან, როცა თავადი სასტუმრო ოთახიდან გავიდა და ისინი მარტონი დარჩნენ.

– შეიძლება კიდევ დავრჩე აქ თქვენთან? – ჰკითხა პიერმა და თავისი სქელი ტანით სავარძელში ჩაესვენა კნიაჟნას გვერდით.

– რასაკვირველია, შეიძლება, – მიუგო მან. „განა თქვენ არაფერი არ შეგინიშნავთ?“ – ჰკითხა მან თვალებით.

პიერი კარგ გუნებაზე იყო, ისეთ გუნებაზე, როგორზედაც კაცი სადილის შემდეგ არის ხოლმე. წინ იყურებოდა და წყნარად იღიმებოდა.

– დიდი ხანია იცნობთ მაგ ახალგაზრდა კაცს, კნიაჟნა? – ჰკითხა მან.

– ვის?

– დრუბეცკოს.

– არა, ახლახან გავიცანი...

– მერე, მოგწონთ?

– დიახ, სასიამოვნო ახალგაზრდა კაცია... რატომ მეკითხებით? – ჰკითხა თავის მხრივ კნიაჟნა მარიამ და განაგრძო ფიქრი დილანდელ ლაპარაკზე მამასთან.

– იმიტომ, რომ დაკვირვებამ მასწავლა: ახალგაზრდა კაცი შვებულების დროს პეტერბურგიდან მოსკოვში ჩვეულებრივ ჩამოდის მხოლოდ ერთი მიზნით, შეირთოს მდიდარი ქალი.

– დაკვირვებამ გასწავლათ ეგ? – ჰკითხა კნიაჟნამ.

– დიახ, – განაგრძო პიერმა ღიმილით, – და ამ ახალგაზრდა კაცს ახლა თავი ისე უჭირავს, რომ სადაც მდიდარი საცოლეა, ისიც იქ არის. ისე კარგად ვიცნობ, თითქოს წიგნს ვკითხულობდე. ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტია, ვისზე მიიტანოს იერიში: თქვენზე თუ mademoiselle ჟიული კარაგინაზე. Il est très assidu auprès d'elle (მასაც დიდი ყურადღებით ეპყრობა).

– დრუბეცკოი დადის მათ სახლში?

– დიახ, ძალიან ხშირად. იცით თუ არა არშიეობის ახალი მანერა? – მხიარულად ჰკითხა პიერმა. ეტყობოდა, კარგ გუნებაზე იყო, გულკეთილი დაცინვის გუნებაზე, რისთვისაც ასე ხშირად უსაყვედურებდა თავის თავს დღიურში.

– არა, არ ვიცი, – მიუგო კნიაჟნა მარიამ.

– თუ კაცს გინდა ახლა მოსკოველ ქალიშვილებს თავი მოაწონო, il faut être mélancolique. Et il est très mélancolique auprès de m-lle Karagin (მელანქოლიური უნდა იყო. ჰოდა, ბორისიც ძალიან მელანქოლიურია კარაგინასთან), – განმარტა პიერმა.

– Vraiment (მართლა)? – თქვა კნიაჟნა მარიამ და კეთილ თვალებში შეხედა პიერს, თანაც არ ივიწყებდა თავის დარდს. „გულზე უფრო მომეშვება, რომ შემემლოს ვუამბო ვისმეს ყველაფერი. გულით მინდა,

სწორედ პიერს ვუამბო ყველაფერი. გულკეთილი ადამიანია, კეთილშობილი. შვებას ვიგრძნობდი, რჩევას მომცემდა“.

– მისთხოვდებოდით თუ არა დრუბეცკოის? – ჰკითხა პიერმა.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! არის ხოლმე, გრაფ, ისეთი წუთები, როცა ყველას მივთხოვდები! – უცრად თავისდა უნებურად მიუგო კნიაჟნამ აცრემლებული თვალებით, – ოჰ, რა ძნელია, გიყვარდეს ახლობელი ადამიანი და გრძნობდე, რომ (განაგრძო მან ისევ ათრთოლებული ხმით)... მწუხარების მიყენების მეტი არაფრის გაკეთება არ შეგიძლია მისთვის, როცა იცი, რომ არ შეგიძლია ამის შეცვლა. ერთილა დაგრჩენია მაშინ, წახვიდე! მაგრამ სად უნდა წავიდე მე?

– რას ამბობთ, რა დაგემართათ, კნიაჟნა?

მაგრამ კნიაჟნა მარიამ სათქმელი ვეღარ დაამთავრა. ატირდა.

– არ ვიცი, რა დამემართა დღეს, ყურს ნუ მიგდებთ, დაივიწყეთ, რაც გითხარით.

პიერს ერთბაშად შეეცვალა გუნება. იგი შეშფოთებული ეკითხებოდა კნიაჟნას, ევედრებოდა, ეთქვა ყველაფერი, გაეხსენებოდა თავისი მწუხარება, მაგრამ კნიაჟნა ერთსა და იმავეს იმეორებდა. სთხოვდა, დაივიწყეთ, რაც გითხარით, აღარც მახსოვს, რა ვთქვიო; მე არავითარი დარდი და მწუხარება არა მაქვს, იმის გარდა, რაც თქვენ უკვე იცით ის, რომ თავად ანდრეის ქორწინება უსიამოვნებასა და შფოთს ჩამოაგდებს მამასა და შვილს შორისო.

– ხომ არაფერი გაგიგონიათ როსტოვების შესახებ? – ჰკითხა მან, რათა ლაპარაკის საგანი შეეცვალა, – მითხრეს, მალე ჩამოვლენო. მეც ანდრეის დღე-დღეზე მოველი. გულით მინდა, აქ შეხვდნენ ერთმანეთს.

– როგორ უყურებს იგი ამ საქმეს ახლა? – ჰკითხა პიერმა. როცა ამას ეკითხებოდა, მოხუც თავადს გულისხმობდა.

კნიაჟნა მარიამ თავი გააქნია.

– რა უნდა ვქნა? ერთ წლამდე რამდენიმე თველა რჩება. არაფრის გაკეთება არ შეიძლება. მინდა მხოლოდ ავაცილო ძმას პირველი წუთების უსიამოვნება. კარგი იქნება, თუ როსტოვები მალე ჩამოვლენ. იმედი მაქვს, მოვახერხებ ქალიშვილთან დაახლოებას... თქვენ როსტოვებს დიდი ხანია იცნობთ, – მიმართა კნიაჟნა მარიამ, – მითხარით გულწრფელად, მითხარით სრული სიმართლე, რას წარმოადგენს ის ქალიშვილი და როგორ ადამიანად მიგაჩნიათ იგი? სრული სიმართლე მითხარით, იმიტომ რომ, ხომ იცით, რა ძალიან ბევრს დაკარგავს ანდრეი, რაკი ამას მამის ნება-სურვილის წინააღმდეგ ჩაიდენს? ამიტომ მინდა ვიცოდე...

გაურკვეველი ინსტინქტით ხვდებოდა პიერი, რომ კნიაჟნას ამ ყოყმანში და მის ათასწაირ განმეორებულ თხოვნაში, სრული სიმართლე მითხარითო, გამოიხატებოდა მისი არაკეთილი განწყობილება მომავალი რძლისადმი: მას სურდა პიერს დაეგმო თავად ანდრეის არჩევანი. მაგრამ პიერმა თქვა ის, რასაც უფრო გრძნობდა, ვიდრე ფიქრობდა.

– არ ვიცი, როგორ მოგიგოთ მაგ კითხვაზე, – წარმოთქვა მან და წამოწითლდა, თვითონაც არ იცოდა, რისგან, – სრულებით არ ვიცი, რა ადამიანია ის ქალიშვილი. ვერაფერს გეტყვით მის შესახებ. იგი მომხიბვლელია, ხოლო რატომ არის ასეთი, არ ვიცი: აი, ყველაფერი ის, რისი თქმაც შეიძლება მის შესახებ.

კნიაჟნა მარიამ ამოიოხრა. მისი სახის გამომეტყველება ამბობდა: „დიახ, მოველოდი მაგას და მეშინოდა“.

– ჭკვიანია? – ჭკითხა კნიაჟნა მარიამ.

პიერი ჩაფიქრდა.

– ვფიქრობ, რომ არა, – მიუგო მან, – თუმცა არ ვიცი, შეიძლება ჭკვიანიც იყოს. თავს არ იტკივებს მაგისთვის... იგი მომხიბვლელია და მეტი არაფერი.

კნიაჟნა მარიამ უკმაყოფილების ნიშნად თავი გააქნია.

– ძალიან მინდა შევიყვარო; გადაეცით ეს, თუ ჩემზე ადრე ნახავთ.

– ყური მოვკარი, რომ ამ დღეებში იქნებიან აქ, – თქვა პიერმა.

კნიაჟნამ აცნობა პიერს თავისი გეგმა, თუ როგორ დაუახლოვდებოდა ჩამოსვლის შემდეგ მომავალ რძალს, თანაც თქვა, შევეცდები მოვალბო მოხუცი თავადის გულიო.

თავი მეხუთე

პეტერბურგში ვერ მოახერხა ბორისმა მდიდარი ქალის შერთვა და სწორედ ამ მიზნით ჩავიდა იგი მოსკოვს. მოსკოვში კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რომელი აერჩია ორი მდიდარი საცოლიდან: ჟიული თუ კნიაჟნა მარია. თუმცა კნიაჟნა მარია, მიუხედავად იმისა, რომ ლამაზი არ იყო, ჟიულიზე უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა, რატომღაც ბორისი ერიდებოდა კნიაჟნას და ვერ ახერხებდა მასთან დაახლოებას. უკანასკნელი შეხვედრისას, მოხუცი თავადის სახელწოდების დღეს, ბევრს ეცადა იგი ბოლკონსკაიას გამოლაპარაკებოდა გრძნობებზე, მაგრამ კნიაჟნა აბნეულად პასუხობდა, ეტყობოდა, ყურს არ უგდებდა.

ჟიული, პირიქით, თუმცა თავისებურად, ისე, როგორც მხოლოდ ის იყო ჩვეული, მაგრამ მაინც ხალისით იღებდა ახალგაზრდა კაცის არშეყოფას.

ჟიული ოცდაშვიდი წლისა იყო. ძმების სიკვდილის შემდეგ იგი დიდი სიმდიდრის პატრონი გახდა. ახლა ის სრულიად ულამაზო იყო, მაგრამ თავისი თავი არათუ წინანდებურად ლამაზ ქალად მიაჩნდა, არამედ წინანდელზე უფრო მიმზიდველადაც. ამ შეცდომაში შეჰყავდა იგი, ჯერ ერთი, იმას, რომ მეტად მდიდარი საცოლე გახდა, მეორე იმას, რომ რაც უფრო ხანში შედიოდა, მით უფრო უშიშარი ხდებოდა მამაკაცებისთვის, მით უფრო თავისუფლად შეეძლოთ მამაკაცებს დაეჭირათ მასთან თავი, არ ეკისრათ არავითარი ვალდებულება და იმავე დროს ესარგებლათ მისი ვახშმებით, საღამოებით და მასთან თავმოყრილი გაცხოველებული საზოგადოებით. მამაკაცი, რომელიც ათი წლის წინათ ვერ გაბედავდა ყოველდღე ევლო იმ სახლში, სადაც ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი იყო, ვერ გაბედავდა, რათა სახელი არ გაეტეხა მისთვის და ხელ-ფეხი არ შეებორკა თავისთვის, ახლა უშიშრად დადიოდა მასთან ყოველდღე და ეპყრობოდა მას არა როგორც გასათხოვარ ქალიშვილს, არამედ როგორც სქესის არმქონე ნაცნობს.

კარაგინების ოჯახი იმ ზამთარს ყველაზე მიმზიდველი და სტუმართმოყვარე იყო მოსკოვში. გარდა წვეულთათვის გამართული ვახშმებისა და სადილებისა, კარაგინებთან ყოველდღე ფართო საზოგადოება იკრიბებოდა. მეტადრე ბლომად იყრიდნენ თავს მამაკაცები, რომელნიც 12 საათზე ვახშმობდნენ და 3 საათამდე რჩებოდნენ. არ გამართულა არც ერთი ბალი, სეირნობა, წარმოდგენა, რომელსაც ჟიული არ დასწრებოდა. ეცვა მუდამ უკანასკნელი მოდის სამოსი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერში თითქოს გულგატეხილი იყო. ყველას ეუბნებოდა, რომ არ სწამდა არც მეგობრობა, არც სიყვარული, არც სიხარული და დამშვიდებას მხოლოდ იქ მოელოდა. მან შეითვისა ისეთი ქალიშვილის კილო, რომელსაც თითქოს დიდი გულგატეხილობა განეცადოს, – ქალიშვილისა,

რომელსაც თითქო ან დაეკარგოს საყვარელი ადამიანი, ან მოეტყუებინოს ასეთ ადამიანს. მართალია, ჟიულის მსგავსი არაფერი შემთხვევია, მაინც ასეთად მიაჩნდათ. მეტიც, თვითონაც სჯეროდა, რომ დიდად გაიტანჯა ცხოვრებაში. ეს იყო ისეთი მელანქოლია, რომელიც ქალს ხელს არ უშლიდა მხიარულად გაეტარებინა დრო და არც მათ სახლში მოსიარულე ახალგაზრდა კაცებს აზრკოლებდა – ესამოვნათ. მათთან მისული ყოველი სტუმარი თავის ვალს იხდიდა დიასახლისის მელანქოლიური სულისკვეთების წინაშე, ხოლო მერე გულს აყოლებდა საუბარს, ცეკვას, გონებრივ გასართობებსც, ბურიმეს[192] ტურნირებს, რაც მაშინ დიდად მიღებული იყო კარაგინების ოჯახში. მხოლოდ ზოგიერთი ახალგაზრდა, მათ შორის ბორისიც ცდილობდა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ჟიულის მელანქოლიურ სულისკვეთებას. ამ ყმაწვილკაცებთან ჟიულის უფრო ხანგრძლივი და განმარტოებული საუბარი ჰქონდა ამა ქვეყნის ამაოებაზე; მათვე უშლიდა და ანდობდა მწუხარე ჩანახატებით, გამონათქვამებითა და ლექსებით აჭრელებულ თავის ალბომებს.

ჟიული განსაკუთრებული ალერსით ეპყრობოდა ბორისს: ებრალებოდა, რომ მას ასე ადრე გაუტყდა გული ცხოვრებაზე, ჰპირდებოდა მეგობრულ ნუგეშს და აქედან გამომდინარე ყოველგვარ დახმარებას, – თავადაც ხომ ესოდენ გაიტანჯა ცხოვრებაში, – ბოლოს გადაუშალა თავისი ალბომი. ბორისმა ალბომში ორი ხე დახატა და ქვეშ მოუწერა: „Arbres rustiques, vos sombres rameaux secouent sur moi les ténèbres et la mélancolie“ (სოფლის ხეებო, თქვენი შავი რტოები წყვდიადსა და მელანქოლიაში მხვევენ).

მეორე ადგილას მან აკლდამა დახატა და მიუწერა:

La mort est secourable et la mort est tranquille

Ah! contre les douleurs il n'y a pas d'autre asile.

(სიკვდილი მხსნელია და სიკვდილი მშვიდია;

ოჰ! ტანჯვას გავურბი, ვეძიებ თავშესაფარს).

ჟიულიმ თქვა, საუცხოოაო.

– Il y a quelque chose de si ravissant dans le sourire de la mélancolie (არის რაღაც დაუსრულებლად მომხიბვლელი მელანქოლიის დიმილში), – გაუმეორა მან ბორისს წიგნიდან სიტყვასიტყვით ამოწერილი ადგილი, – C'est un rayon de lumière dans l'ombre, une nuance entre la douleur et le désespoir, qui montre la consolation possible (ეს არის სინათლის შუქი ჩრდილში, ელფერი მწუხარებასა და სასოწარკვეთილებას შორის, რაც ცხადყოფს ნუგეშის შესაძლებლობას).

ამაზე ბორისმა ფრანგული ლექსი დაუწერა:

Aliment de poison d'une âme trop sensible,

Toi, sans qui le bonheur me serait impossible,

Tendre mélancolie, ah! viens me consoler,

Viens calmer les tourments de ma sombre retraite

Et mêle une douceur secrète

A ces pleurs, que je sens couler.

(მეტად მგრძნობიარე სულის საზრდოვ, შხამიანო,

მე უშენოდ ბედნიერი ვერ ვიქნები ვერასოდეს,

ნაზო მელანქოლიავ, შენ მაინც მანუგეშე,

ტანჯვასთან რომ ძველებურად აღარ განვმარტოვდე,

და ჩემს ცრემლებს შეუერთე სიტკბოება იდუმალი,

გაქრეს ცრემლთა მდინარება, აღარ დამრჩეს მისი კვალი).

ჟიული ბორისისთვის არფას უკრავდა, უკრავდა ყველაზე სევდიან ნოქტიურნებს. ხოლო ბორისი „უბედურ ლიზას“ [193] უკითხავდა. მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულ ხშირად წყვეტდა კითხვას. მაღალ საზოგადოებაში შეხვედრისას ჟიულისა და ბორისის ისეთ ადამიანებად მიაჩნდათ თავიანთი თავი, რომელთაც ამ გულგრილ ქვეყანაში კარგად ესმით ერთმანეთის გულისნადები.

ანა მიხაილოვნა, რომელიც ხშირად დადიოდა კარაგინებთან, ჟიულის დედასთან საუბარში ატარებდა დროს, მაგრამ ამასთანავე უტყუარ ცნობებს აგროვებდა იმის შესახებ, თუ რას აძლევდნენ მზითვად ჟიულის (ეს იყო პენზის ორივე მამული და ნიჟნინოვგოროდის ტყეები). ანა მიხაილოვნა განგებაზე მინდობილი და გულაჩვილებული შეპყრებდა იმ სათუთ მწუხარებას, რომელიც ასე აკავშირებდა მის შვილს მდიდარ ჟიულისთან.

– *Toujours charmante et mélancolique, cette chère Julie* (ისევ ისე საუცხოო და მელანქოლიურია ჩვენი საყვარელი ჟიული), – ეუბნებოდა ის ქალიშვილს, – ბორისი ამბობს, რომ სულიერად ისვენებს თქვენს სახლში. მან დიდი გულგატეხილობა განიცადა, თანაც მეტად მგრძნობიარე ადამიანია, – ეუბნებოდა დედას, – ოჰ, ჩემო მეგობარო, ვერ აღგიწერ, როგორ შემეყვარდა ამ ბოლო დროს ჟიული, – ეუბნებოდა იგი თავის შვილს – ან კი ვინ იქნება ისეთი, რომ არ შეიყვაროს ჟიული? არაამქვეყნიური არსებაა. ეჰ, ბორის, ბორის! – გაჩუმდებოდა წუთით, – რომ იცოდე, როგორ მებრალება მისი დედა, – განაგრძობდა იგი კვლავ, – დღეს მაჩვენა თავისი ანგარიშები და წერილები პენზიდან (მათ იქ უზარმაზარი მამული აქვთ). საცოდავი თავად უძღვება ყველაფერს, მერე, როგორ ატყუებენ თურმე!

ბორისი ყურს უგდებდა და ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა. იგი უწყინრად დასცინოდა დედის გულუბრყვილო ეშმაკობას, მაგრამ ყურს მაინც უგდებდა: მან ყურადღებით გამოჰკითხა დედას პენზისა და ნიჟნინოვგოროდის მამულების ამბავი.

ჟიული უკვე დიდი ხანია მოელოდა წინადადებას თავისი მელანქოლიური მალმერთებლისგან და მზად იყო მიეღო იგი. მაგრამ ბორისს ჯერ კიდევ აჩერებდა ზიზღის რაღაც იდუმალი გრძნობა ჟიულისადმი, გათხოვების იმ უდიდესი სურვილისადმი, რომლითაც შეპყრობილი იყო ეს ქალი, მისი არაბუნებრიობისადმი; ამრწუნებდა ისიც, რომ უარი უნდა ეთქვა ნამდვილი სიყვარულის შესაძლებლობაზე. მისი შვებულების ვადა უკვე თავდებოდა. მთელ დღეებს, უკლებლივ ყველა დღეს, ბორისი კარაგინებთან ატარებდა და ყოველდღე ეუბნებოდა თავს, რომ ხვალ წინადადებით მივმართავ კარაგინასო. მაგრამ ყოველთვის, როცა ხედავდა ჟიულის, მის წითურ, მუდამ პუდრმოყრილ სახესა და ნიკაპს, მის სველ თვალებს, მისი სახის გამომეტყველებას, რომელიც გამოხატავდა მელანქოლიიდან ერთ წუთში ცოლქმრული ბედნიერების არაბუნებრივი აღტაცებისკენ გადასვლას, ბორისი ვეღარ ახერხებდა გადაჭრილი სიტყვის წარმოთქმას, თუმცა მას უკვე დიდი ხანია თავისი თავი პენზისა და ნიჟნინოვგოროდის მამულების მფლობელად მიაჩნდა და დიდი ხანია უკვე ანაწილებდა ამ მამულების შემოსავალს. ჟიული ხედავდა ბორისის გაუბედაობას და ზოგჯერ ეჭვიც ებადებოდა, ვეზიზღებო. მაგრამ იმავე წუთს ქალური თვითცდუნება ნუგეშს უბრუნებდა და თავს აჯერებდა, ბორისი მორცხვია, რადგან შეყვარებულიაო. მაგრამ ჟიულის მელანქოლია უკვე გაღიზიანებაში გადადიოდა. და აი, ბორისის გამგზავრების წინ ჟიული გადამჭრელ გეგმას დაადგა. სწორედ იმ დროს, როცა ბორისს შვებულება უთავდებოდა, მოსკოვში და, მაშასადამე, კარაგინების სასტუმრო ოთახშიც გაჩნდა ანატოლ კურაგინი, და ჟიულიმ მოულოდნელად დაივიწყა მელანქოლია, ერთბაშად გამხიარულდა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კურაგინს.

– Mon cher, je sais de bonne source que le Prince Basile envoie son fils à Moscou pour lui faire épouser Julie (ჩემო ძვირფასო, მე უტყუარი წყაროებიდან ვიცი, რომ თავადმა ვასილიმ მოსკოვში შვილი გამოგზავნა იმიტომ, რომ შერთოს მას ჟიული). მე ისე მიყვარს ჟიული, რომ მენანება სხვას მისთხოვდეს... რას ფიქრობ, ჩემო მეგობარო? – ჰკითხა ანა მიხაილოვნამ თავის ვაჟს.

ის აზრი, რომ შეიძლებოდა იგი ყინულზე გაცურებული დარჩენილიყო, და ჟიულისთან მძიმე მელანქოლიურ სამსახურში გატარებული მთელი ერთი თვე დაკარგულიყო, ხოლო პენზის მამულების გონების თვალთ უკვე განაწილებული და მოხმარებული შემოსავალი ნამდვილად სხვას ჩავარდნოდა ხელში, მეტადრე სულელ ანატოლის, – შეურაცხყოფდა ბორისს. იგი გაეშურა კარაგინებისკენ მტკიცე გადაწყვეტილებით, – მიეცა წინადადება ჟიულისთვის. ჟიული ხალისიანად და უდარდელად შეხვდა. მან უამბო, რა მხიარულად გაატარა გუშინდელი ბალი და ჰკითხა, როდის აპირებთ გამგზავრებასო. თუმცა ბორისი იმ განზრახვით მივიდა, თავის სიყვარულზე ელაპარაკა, მაშასადამე, ალერსიანი ყოფილიყო, მან გაბრაზებულმა დაიწყო ლაპარაკი ქალების გაუტანლობაზე: იმაზე, თუ როგორ ადვილად ახერხებენ ქალები მწუხარებიდან სიხარულზე გადასვლას, როგორ არის მათი სულიერი განწყობილება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ეარშიყება მათ. შეურაცხყოფილმა ჟიულიმ მიუგო, რომ ქალს მართლა სჭირდება მრავალფეროვნება, რომ მას ჰბეზრდება მუდამ ერთი და იგივე.

– ამიტომაც გირჩევდით... – დაიწყო ბორისმა და ენაზე მწარე სიტყვა მოადგა, მაგრამ ამ დროს თავში გაუელვა შეურაცხყოფილმა აზრმა, რომ შეიძლება მას მოსკოვიდან ისე მოუხდეს გამგზავრება, მიზანს ვერ მიაღწიოს და ამაოდ დაეკარგოს შრომა (რაც მას არასოდეს და არავისთან არ დამართნია). ბორისმა წინადადება შეწყვიტა, თვალეები დახარა, რათა არ დაენახა ჟიულის უსიამოვნოდ გაღიზიანებული და გაუბედავი სახე და წარმოთქვა: – მე თქვენთან სრულებითაც არ მოვსულვარ იმისთვის, რომ გეჩხუბოთ. პირიქით... – ბორისმა შეხედა, რათა დარწმუნებულიყო, შეიძლებოდა თუ არა სიტყვის განგრძობა. ჟიულის სახეზე ერთბაშად გაქრა მთელი გაბრაზება და გაღიზიანება, მისი მოუსვენარი, მუდარით აღსავსე თვალეები გაუმაძღარი მოლოდინით შესცქეროდნენ. „მე ყოველთვის შემძლია მოვეწყო ისე, რომ იშვიათად ვხედავდე ამ ქალს, – გაიფიქრა ბორისმა, – საქმე კი დაწყებულია და უნდა დამთავრდეს“. ბორისს სახე წამოენთო, ჟიულის თვალეები მიაპყრო და უთხრა, – თქვენ იცით ჩემი გრძნობები თქვენდამი, – მეტის თქმა საჭირო აღარ იყო: ჟიულის სახე გამარჯვებითა და თვითკმაყოფილებით ბრწყინავდა, მაგრამ მან მაინც აიძულა ბორისი ეთქვა ყველაფერი, რისი თქმაც მიღებულია ასეთ შემთხვევაში, ეთქვა, რომ უყვარს იგი და არასოდეს არც ერთი სხვა ქალი არ ჰყვარებია მასზე ძლიერად. ჟიულის ესმოდა, რომ პენზის მამულებისა და ნიჟინოვგოროდის ტყეებისთვის შეეძლო მოეთხოვა ეს და მან მიიღო კიდევ ის, რაც მოითხოვა.

საქმროსა და საცოლეს აღარ გახსენებიათ ის ხეები, რომლებიც წყვდიადსა და მელანქოლიაში ხვევდნენ მათ; ისინი ახლა გეგმებს აწყობდნენ, თუ რა ბრწყინვალედ გამართავდნენ თავიანთ მომავალ სახლს პეტერბურგში, სადარბაზოდ დაიარებოდნენ და ამზადებდნენ ყველაფერს, რაც საჭირო იყო ბრწყინვალე ქორწილისთვის.

თავი მეექვსე

გრაფი ილია ანდრეიჩი ნატაშასა და სონიასთან ერთად იანვრის დამლევს მოსკოვს ჩავიდა. გრაფინია უქეიფოდ იყო და მათთან ერთად არ შეეძლო წასვლა, ხოლო ცდა იმ დრომდე, სანამ ის გამომრთელდებოდა, არ შეიძლებოდა: თავად ანდრეის მოსკოვში დღე-დღეზე ელოდნენ; გარდა ამისა, საჭირო იყო მზითვის ყიდვა და მამულის გაყიდვა მოსკოვის გუბერნიაში. იმავე დროს უნდა ესარგებლათ მოხუცი თავადის ყოფნით მოსკოვში, რათა წარედგინათ მისთვის მომავალი რძალი.

როსტოვების სახლი მოსკოვში არ თბებოდა; გარდა ამისა, ისინი მცირე ხნით ჩავიდნენ მოსკოვს, არც გრაფინია იყო მათთან, ამიტომ ილია ანდრეიჩმა გადაწყვიტა, მოსკოვში ჩამომხტარიყო მარია დმიტრიევნა ახროსიმოვასთან, რომელიც დიდი ხანია სთავაზობდა თავის სტუმართმოყვარეობას.

გვიან საღამოთი ოთხი დატვირთული ურემი მარია დმიტრიევნას ეზოში შევიდა სტარო კანიუშენის ქუჩაზე. მარია დმიტრიევნა მარტო ცხოვრობდა. ახროსიმოვას ქალიშვილი უკვე გაეთხოვებინა, ვაჟები ყველანი სამსახურში იყვნენ.

ახროსიმოვას ძველებურად ამაყად ეჭირა თავი და კვლავინდებურად დაურიდებლად, ხმამაღლა და გადაჭრით გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, თანაც თითქოს მთელი არსებით უსაყვედურებდა სხვებს ყოველგვარი სისუსტის, ვნებებისა და გატაცებების გამო, რომელთა შესაძლებლობაც მას არ სწამდა. მოკლე ჯუბაში გამოწყობილი, დილაადრიანად ებმებოდა საოჯახო საქმეებში, უქმე დღეებში წირვას ესწრებოდა, ხოლო წირვიდან საპატიმროებსა და სატუსალოებში მიდიოდა, სადაც მას საქმეები ჰქონდა; ამ საქმეებს იგი არავის უმხელდა. ჩვეულებრივ დღეებში შინ იღებდა სხვადასხვა წოდების მთხოვნელებს, რომელნიც ყოველდღე დადიოდნენ მასთან. შემდეგ სადილობდა. მსუყე და გემრიელ სადილს ყოველთვის ესწრებოდა სამი-ოთხი სტუმარი. სადილის შემდეგ ბოსტონს აწყობდა. დაწოლის წინ აკითხებდა ახალ გაზეთებსა და წიგნებს, ხოლო თავად ყურს უგდებდა და ქსოვდა. იშვიათად დაუშვებდა ხოლმე გამონაკლისს საზოგადოებაში გასასვლელად; თუ გავიდოდა, მხოლოდ ყველაზე წარჩინებულ პირებს ეწვეოდა ქალაქში.

მარია დმიტრიევნა ჯერ არ დაწოლილიყო, როცა როსტოვები ეწვივნენ. წინა ოთახში აწრიალდა ჭოჭონაქი, როცა კარი გააღეს და შემცივნილი როსტოვები და მათი მსახურნი შეუშვეს. მარია დმიტრიევნა ცხვირზე სათვალედაშვებული და უკან თავგადაწეული კარში იდგა და სასტიკი, გაჯავრებული სახით შესცქეროდა შემსვლელებს. კაცს ეგონებოდა, თითქოს გაბრაზებული იყო ჩამოსულებზე და საცაა გარეკავდა მათ; ნამდვილად კი დიდ მზრუნველობას იჩენდა და ბრძანებებს იძლეოდა, სად მოეთავსებინათ სტუმრები და მათი ნივთები.

– გრაფისაა? აქ შემოიტანე, – უთხრა მან მსახურს, უჩვენა ჩემოდნებზე ისე, რომ არავის მისალმებია, – ქალიშვილებო, აქეთ, მარცხნივ! თქვენ, ჰეი, რას დაგიღიათ მანდ პირი! – დაუყვირა მან გოგოებს, – სამოვარი აადუღეთ!

– გასუქებულხარ, გალამაზებულხარ, – ჩაილაპარაკა მან და თავსაბურავით თავისკენ მიიზიდა ყინვისგან აწითლებული ნატაშა, – უჰ, რა ცივი ხარ! გაიხადე, ჩქარა, გაიხადე! – დაუყვირა მან გრაფს, რომელიც ხელზე საკოცნელად მიიწევდა მარია დმიტრიევნასკენ, – მთლად გაიყინე, ალბათ. ჩაიზე რომი მოიტანეთ! სონიუშკა, bonjour, – მიმართა მან სონიას და ამ ფრანგული მისალმებით თითქოს აღნიშნა თავისი ოდნავ ზერელე და ალერსიანი დამოკიდებულება სონიასთან.

როდესაც ყველამ გაიხადა, მომქანცველი გზის შემდეგ სული მოითქვა და ჩაის დასალევად გავიდა, მარია დმიტრიევნამ რიგრიგობით გადაკოცნა სტუმრები.

– გულით მოხარული ვარ, რომ ჩამოხვედით და მე მესტუმრეთ, – მიმართა მან ახალმოსულთ, – დიდი ხანია დროა! – თქვა ეს და ნატაშას თვალი ჩაუკრა, – მოხუცი აქ არის და შვილს დღე-დღეზე მოელიან. უნდა გაიცნო, უსათუოდ უნდა გაიცნო. მაგრამ ამაზე მერე მოვილაპარაკებთ, – დაუმატა მან და ისეთი თვალით გადახედა სონიას, რომელიც ცხადყოფდა, რომ მარია დმიტრიევნას მასთან არ სურდა ამაზე ლაპარაკი, – ახლა ყური დამიგდე, – მიუბრუნდა იგი გრაფს, – ვინ უნდა მოინახულო ხვალ? შინშინი? – მან ერთი თითი გადალუნა, – მუდამ მტირალა ანა მიხაილოვნა, – ეს ორი. აქ არის ახლა ის შვილითურთ. ცოლს ირთავს შვილი. შემდეგ, ბეზუხოვი ხომ არ დაგჭირდება? ისიც აქ არის თავისი ცოლით. ბეზუხოვი გამოეცა ცოლს, მაგრამ ცოლი უკან გამოედევნა. ოთხშაბათს ჩემთან ისადილა ბეზუხოვმა.

ამათ კი, – და მან ქალიშვილებზე უჩვენა, – ივერის ხატს მოვალეობებზე და მერე ობერშალმესთან შევივლით. ალბათ, ყველაფერს ახალს შეაკერვინებთ? ჩემგან ნუ აიღებთ მაგალითს, ახლა აი, ასეთი სახელოები შემოიღეს! ამას წინათ ჩემთან შემოიარა თავადის ახალგაზრდა ასულმა ირინა ვასილევნამ: დანახვაც კი საშინელებაა, თითქოს ორი კასრი ჩამოუკიდიათ ხელებზეო. ახლა დღე არ გაივლის ისე, რომ ახალი მოდა არ შემოვიდეს. მითხარი ერთი, თვით შენ რა საქმეები გაქვს? – მიმართა მან მოხუც გრაფს.

– ყველაფერი ერთბაშად დამატყდა: ჩვრები უნდა ვიყიდო, სწორედ ახლა აღმოჩნდა მოსკოვის გუბერნიაში მდებარე მამულის და სახლის მყიდველი. თუ თქვენ ინებებთ და ნებას დამართავთ, დროს შევურჩევ და ერთი დღით მარიინსკოეში წავალ, ხოლო გოგონებს თქვენ მოგიგდებთ.

– კეთილი, კეთილი, ჩემთან არაფერი დაემართებათ. ისე იქნებიან აქ, როგორც სამეურვეო საბჭოში. მე გავიყვან კიდეც საზოგადოებაში, იქ, სადაც საჭიროა, თანაც დავტუქსავ, მივუალერსებ კიდეც, – მიუგო მარია დმიტრიევნამ და თავისი დიდი ხელი ალერსით შეახო საყვარელი ნათლულის, ნატაშას ლოყას.

მეორე დღეს, დილით, მარია დმიტრიევნამ ნატაშა და სონია ივერის ეკლესიაში წაიყვანა, მერე მაღამ ობერშალმესთან, რომელსაც ისე ეშინოდა მარია დმიტრიევნასი, რომ სამკაულებს ყოველთვის თავისდა საზარალოდ უთმობდა, ოღონდ რაც შეიძლება ჩქარა მოემორებინა იგი თავიდან. მარია დმიტრიევნამ თითქმის მთელი მზითვი შეუკვეთა. როცა შინ დაბრუნდა, ნატაშას გარდა, ყველანი ოთახიდან გარეკა, თავისი საყვარელი ნატაშა კი სავარძელთან მიიხმო.

– აბა, ახლა მოვილაპარაკოთ. მოგილოცავ საქმროს შოვნას, მშვენიერი ვაჟკაცი ჩაიგდე ხელში. ძალიან მიხარია. ვიცნობ მას პატარაობიდან, აი, ამოდენა იყო (ხელით უჩვენა მიწიდან ერთი არშინისხელა[194] სიმაღლე), – ნატაშა სიხარულით წითლდებოდა, – მიყვარს იგი და მთელი მისი ოჯახი. ახლა მომისმინე. უკვე იცი, რომ მოხუც თავად ნიკოლაის ძალიან არ უნდოდა, რომ შვილს ცოლი შეერთო. ახირებული მოხუცია: რა თქმა უნდა, თავადი ანდრეი ბავშვი არ არის და უიმისოდაც მოაგვარებს საქმეს, მაგრამ არ ვარგა მამის სურვილის წინააღმდეგ ოჯახში შესვლა. ასეთი საქმე სიამტკბილობით, სიყვარულით უნდა მოეწყოს. შენ ჭკვიანი გოგონა ხარ, ისე დაიჭერ თავს, როგორც საჭიროა, კეთილად და ჭკვიანად. ეს არის და ეს. ყველაფერი კარგად მოგვარდება.

ნატაშა დუმდა, როგორც მარია დმიტრიევნას ეგონა, მორცხვობისგან, ნამდვილად კი არ სიამოვნებდა, რომ ერეოდნენ მისი სიყვარულის საქმეში, რაც მას ისეთ განსაკუთრებულ რამედ მიაჩნდა, ისეთ განსხვავებულად ყველა ადამიანურ საქმისგან, რომ, ნატაშასვე წარმოდგენით, არავის შეეძლო მისი გაგება. მას უყვარდა ერთადერთი თავადი ანდრეი და საქმე ჰქონდა მხოლოდ მასთან; თავად ანდრეისაც უყვარს იგი, ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს და წაიყვანოს თავისთან. ამაზე მეტი არც არაფერი უნდოდა.

– ჰოდა, დიდი ხანია ვიცნობ მას, მიყვარს მაშენკაც. შენი მული. მულები აფთრები არიანო, ეს კი ბუზსაც არ აწყენინებს. მაშენკამ მთხოვა, მასთან წაგიყვანო. ხვალ მამასთან ერთად წახვალ მათთან. მოეფერე, მიუალერსე: შენ მასზე ახალგაზრდა ხარ. როცა შენი ვაჟკაცი ჩამოვა, უკვე გაცნობილი იქნები დასთანაც, მამასთანაც, შეუყვარდები. ხომ ასეა? ხომ უკეთესი იქნება?

– დიახ, უკეთესი იქნება, – მიუგო უხალისოდ ნატაშამ.

თავი მეშვიდე

მეორე დღეს, მარია დმიტრიევნას რჩევით, გრაფი ილია ანდრეიჩი ნატაშასთან ერთად თავად ნიკოლაი ანდრეიჩთან წავიდა. მოწყენილი ემზადებოდა გრაფი ამ დარბაზობისთვის: გულში ძალზე ეშინოდა.

მას ახსოვდა ის მწარე საყვედური ჯარში გასაწვევთა არშეკრებისთვის, რომელიც მან თავადისგან მოისმინა უკანასკნელი შეხვედრის დროს, როდესაც სთხოვა თავადს, სადილად მეწვიეთო. ნატაშა, პირიქით, თავის საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილი, მეტად კარგ გუნებაზე იყო. „შეუძლებელია, არ შემიყვარონ, – ფიქრობდა იგი, – მე მუდამ ყველას ვუყვარდი. თვითონ მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი, რასაც ისინი მოისურვებენ, მზად ვარ, შევიყვარო მოხუცი იმისთვის, რომ მამაა მისი, ხოლო კნიაჟნა მარია იმისთვის, რომ დაა მისი. ასე რომ, გაუგებარია, რატომ არ უნდა შემიყვარონ?“

ისინი ძველ, პირქუშ სახლს მიადგნენ ვოზდვიჟენკაზე და დერეფანში შევიდნენ.

– ღმერთო, შეგვიწყალებ! – ჩაილაპარაკა გრაფმა ნახევრად ოხუნჯობით, ნახევრად სერიოზული კილოთი.

მაგრამ ნატაშამ შენიშნა, რომ მამამისი წინა ოთახში შესვლისას აფუსფუსდა და მოკრძალებით, ჩუმად იკითხა, შინ არის თუ არა თავადიო. როცა მოახსენეს მათი მოსვლა, მსახურთ შორის ჩუმი ჩოჩქოლი ატყდა. მოსახსენებლად გაქცეული ლაქია მეორე ლაქიამ შეაჩერა დარბაზში და ჩურჩული დაუწყო რაღაცაზე. დარბაზში შევარდა მოახლე გოგო და ისიც აჩქარებული ლაპარაკობდა რაღაცაზე. მან რამდენჯერმე კნიაჟნა მოიხსენია. ბოლოს გამოვიდა მკაცრი გამომეტყველების მოხუცი ლაქია და მოახსენა როსტოვებს, რომ თავადს მათი მიღება არ შეუძლია, ხოლო კნიაჟნა გთხოვთ, მობრძანდეთო.

სტუმრებს პირველად m-Ile Bourienne შეეგება. იგი მეტად თავაზიანად შეხვდა მამასა და ქალიშვილს და მიაცილა ისინი კნიაჟნასთან. კნიაჟნა აღელვებული, დამფრთხალი და წითელი ლაქებით სახედაფარული, მძიმე ნაბიჯით გამოვარდა სტუმრების შესახვედრად; იგი ამოდ ცდილობდა თავისუფალი და გულთბილი სჩვენებოდა მათ. ნატაშა პირველი დანახვისთანავე არ მოეწონა კნიაჟნა მარიას. ის მეტად მორთული, მსუბუქი, მხიარული და ზვიადი ეჩვენა. კნიაჟნა მარიამ არ იცოდა, რომ მანამდე, სანამ დაინახავდა თავის მომავალ რძალს, იგი უკვე ცუდად იყო განწყობილი მისდამი, ხოლო ამ განწყობილებას იწვევდა უნებური შური მისი სილამაზისა, ახალგაზრდობისა და ბედნიერებისადმი და ექვი ძმის სიყვარულისადმი. გარდა ანტიპათიის ამ დაუძლეველი გრძნობისა, კნიაჟნა მარია იმ წუთს აღელვებული იყო იმითაც, რომ როცა თავადს როსტოვების მისვლა მოახსენეს, მოხუცმა დაიყვირა, მე ისინი არ მესაჭიროებიან და თუ კნიაჟნა მარიას სურს, დაე, მიიღოს, ჩემთან კი არ შემოუშვათო. კნიაჟნა მარიამ გადაწყვიტა მიეღო როსტოვები, მაგრამ ეშინოდა, მოხუცს რაიმე ახირებულება არ ჩაედინა, რადგან ძალზე აღელვებული იყო როსტოვების მისვლით.

– აი, მოგიყვანეთ, საყვარელო კნიაჟნა, ჩემი მოჭიკჭიკე ჩიტი, – მიმართა გრაფმა ფეხების ფრატუნით კნიაჟნას და შემფოთებულმა ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს ეშინოდა, მოხუცმა თავადმა თავი არ შემოცოსო, – ძალზე მოხარული ვარ, რომ ერთმანეთი გაიცანით... ვწუხვარ, ვწუხვარ, რომ თავადი კვლავ ავად არის, – და კიდევ რამდენიმე ზოგადი ფრაზის წარმოთქმის შემდეგ ფეხზე წამოდგა, – თუ ნებას მიბოძებთ, ნატაშას თხუთმეტიოდე წუთით თქვენ დაგიტოვებთ, მე კი აქვე, ორ ნაბიჯზე საბაჩიმოედანზე ანა სემიონოვნასთან შევივლი და მერე გეახლებით.

ილია ანდრეიჩმა ეს დიპლომატიური ეშმაკობა იმისთვის მოიგონა, რომ მომავალი მულისთვის შესაძლებლობა მიეცა დაუბრკოლებლად გამოლაპარაკებოდა სარძლოს (ასე უთხრა მან შემდგომ თავის ქალიშვილს) და კიდევ იმისთვის, რომ არ მისცემოდა თავადთან შეხვედრის შესაძლებლობა, – თავადთან, რომლისაც ასე ეშინოდა. მას არ უთქვამს ეს ქალიშვილისთვის, მაგრამ ნატაშა მიხვდა მამის შიშსა და შემფოთებას და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. სახე აუწითლდა მამის საქციელის გამო. უფრო მეტად გაჯავრდა იმისთვის, რომ სახე აუწითლდა და გაბედული, გამომწვევი თვალით შეხვდა კნიაჟნას, რაც აშკარად ამბობდა, რომ მას არავისი არ ეშინოდა. კნიაჟნამ უთხრა გრაფს, ძალიან

მოხარული ვარო, და სთხოვა, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო ანა სემიონოვნასთან. ამის შემდეგ ილია ანდრეიჩი წავიდა.

კნიაჟნა მარიას პირისპირ უნდოდა მოლაპარაკებოდა ნატაშას, მაგრამ m-Ile Bourienne, რომელსაც კნიაჟნა თვალთ ანიშნებდა, არ გადიოდა ოთახიდან და მტკიცედ განაგრძობდა ლაპარაკს მოსკოვის გასართობებსა და თეატრებზე. ნატაშა შეურაცხყოფილი იყო წინა ოთახში ატეხილი ჩოჩქოლით, მამის შეშფოთებით და კნიაჟნას არაბუნებრივი კილოთი. ისე ეჩვენებოდა, თითქოს კნიაჟნამ მისი მიღებით წყალობა უბოძა. ამიტომ ყველაფერი უსიამოვნებას ჰგვრიდა. ნატაშას არ მოსწონდა კნიაჟნა მარია. იგი ულამაზო, თვალთმაქც და უცხვირპირო ადამიანად ეჩვენებოდა. ნატაშამ ერთბაშად ზნეობრივი შეურაცხყოფა იგრძნო და უნებურად დაუდევარი კილო მიიღო, რამაც უფრო მეტად დააშორა კნიაჟნას. ხუთი წუთის მძიმე თვალთმაქცური ლაპარაკის შემდეგ მოისმა ფოსტლებიანი ფეხების სწრაფად მოახლოებული ფრატუნის. კნიაჟნა მარიას სახეზე შიში აღებეჭდა. ოთახის კარი გაიღო და თეთრ არახჩინსა და ხალათში გამოწყობილი თავადი შევიდა.

– ოჰ, ქალბატონო, – დაიწყო მან, – ქალბატონო, გრაფინია... თუ არ ვცდები, გრაფ როსტოვის ასულო... გთხოვთ, მაპატიოთ, მაპატიოთ... არ ვიცოდი, ქალბატონო, ხედავს ღმერთი, არ ვიცოდი, რომ ღირსგვყავით ჩვენთან მოზრმანებით. ქალიშვილთან შემოვედი ასეთ სამოსში. გთხოვთ, მაპატიოთ... ხედავს ღმერთი. არ ვიცოდი, – იმეორებდა ის არაბუნებრივად (თანაც ხმას უმაღლებდა იქ, სადაც ღმერთს ახსენებდა) და ისე უსიამოვნოდ, რომ კნიაჟნა მარია, თვალეზღვებული იდგა და ვერ გაეხედა შეეხედა ვერც მამისთვის, ვერც ნატაშასთვის.

ნატაშა წამოხტა და კნიქსენით[195] მიესალმა მოხუცს, მერე აღარ იცოდა, რა ექნა. მარტო m-Ile Bourienne იღიმებოდა საამოდ.

– გთხოვთ მაპატიოთ, გთხოვთ მაპატიოთ! ხედავს ღმერთი, არ ვიცოდი, – ჩაიბურტყუნა მოხუცმა და მას შემდეგ, რაც ნატაშას თავით ფეხამდე თვალი შეავლო, გავიდა.

M-Ile Bourienne პირველი გამოერკვა ამის შემდეგ; იგი შეეხო თავადის უქეიფობას. ნატაშა და კნიაჟნა მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს და რაც უფრო დიდხანს შესცქეროდნენ ისინი ერთმანეთს და არაფერს ამბობდნენ იმაზე, რაც უნდა ეთქვათ, მით უფრო არაკეთილგანწყობილად ფიქრობდნენ ურთიერთზე.

როცა გრაფი დაბრუნდა, ნატაშას შეუფერებლად გაუხარდა მისი მოსვლა და დაუჩქარა წასვლა. მას იმ წუთს თითქმის ეზიზღებოდა ეს ბებერი, გამოფიტული კნიაჟნა, რომელმაც ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო იგი და რომელსაც მთელი ნახევარი საათის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს თავად ანდრეიზე. „მე ხომ პირველი ვერ დავიწყებდი ლაპარაკს მასზე ამ ფრანგი ქალის წინაშე“, – ფიქრობდა ნატაშა. ამაზევე იტანჯებოდა კნიაჟნა მარია. მან იცოდა, რა უნდა ეთქვა ნატაშასთვის, მაგრამ ვერ ახერხებდა თქმას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ m-Ile Bourienne უშლიდა, მეორე იმიტომ, რომ თვითონაც ვერ გაეგო, რატომ ეძნელებოდა ასე სიტყვის ჩამოგდება ამ ქორწინებაზე. როცა გრაფი უკვე გადიოდა ოთახიდან, კნიაჟნა მარია სწრაფი ნაბიჯით მივიდა ნატაშასთან, ხელში ხელი წაავლო, ღრმად ამოიოხრა და თქვა: „მოიცადეთ, მინდა რაღაც“... ნატაშა დამცინავი თვალებით შეჰყურებდა კნიაჟნა მარიას და თვითონაც არ იცოდა, ვის დასცინოდა.

– საყვარელო ნატალი, – თქვა კნიაჟნა მარიამ, – იცოდეთ, მოხარული ვარ, რომ ჩემმა ძმამ ბედნიერება იპოვა... – თქვა ეს და შეჩერდა, იგრძნო, რომ მართაღს არ ამბობდა.

ნატაშამ შენიშნა ეს შეჩერება და მიხვდა მის მიზეზს.

– მე მგონია, კნიაჟნა, ახლა უხერხულია ამაზე ლაპარაკი, – მიუგო ნატაშამ გარეგანი ღირსებით და ცივად. იმავე დროს იგი ძლივს იკავებდა ცრემლებს.

„რა ვთქვი, რა ჩავიდინე!“ – გაიფიქრა მან, რაწამს ოთახიდან გავიდნენ.

დიდხანს ელოდნენ იმ დღეს სადილზე ნატაშას. იგი თავის ოთახში იჯდა და ბავშვით ღრიალებდა, ცხვირს იწმენდა და სლუკუნებდა. სონია თავს ედგა და თმაზე ჰკოცნიდა.

– ნატაშა, რატომ ტირი? – ეუბნებოდა იგი. – რაში გეკითხებიან ისინი? ყველაფერი გაივლის, ნატაშა.

– არა, რომ იცოდე, რა საწყენია... თითქოს მე...

– ნუ ამბობ მაგას, ნატაშა, შენ ხომ დამნაშავე არა ხარ, რა გესაქმება? მაკოცე, ჩემო საყვარელო, – მიეალერსა სონია.

ნატაშამ თავი ასწია, აკოცა მეგობარს და ცრემლით დასველებული სახით მკერდში ჩაეკრა სონიას.

– ვერაფერს ვერ ვიტყვი, არაფერი არ ვიცი. არავინ არ არის დამნაშავე, – ამბობდა ნატაშა, – მე ვარ დამნაშავე. მაგრამ ყველაფერი ეს საშინლად მიკლავს გულს. ღმერთო ჩემო, რატომ არ ჩამოდის!

სადილად ნატაშა თვალეზღვრებულად შევიდა. მარია დმიტრიევნას, რომელმაც იცოდა, როგორ მიიღო მოხუცმა თავადმა როსტოვები, თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა ნატაშას არეულ სახეს, იგი დაურიდებლად და ხმამაღლა ეხუმრებოდა სუფრაზე გრაფს და სხვა სტუმრებს.

თავი მერვე

იმ საღამოს როსტოვები ოპერაში წავიდნენ, რომლის ბილეთებიც მარია დმიტრიევნამ იშოვა.

ნატაშას არ უნდოდა წასვლა, მაგრამ უარის თქმა არ შეიძლებოდა, ისე ალერსიანად ეპყრობოდა მარია დმიტრიევნა. როცა ჩაცმული ნატაშა დარბაზში გავიდა, მამის მოლოდინში სარკეში ჩაიხედა, დაინახა, რომ ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი და უფრო მეტად მოაწვა გულზე სევდა, მაგრამ ამ სევდას თან ახლდა სიყვარულისა და სიამის გრძნობაც.

„ღმერთო ჩემო, ის რომ აქ იყოს, მაშინ სრულებით არ მოვიქცეოდი ისე, როგორც ვიქცეოდი წინათ, როგორღაც სულელურად და მორიდებულად რაღაცის წინაშე, მოვიქცეოდი ახლებურად და უბრალოდ, მოვებუდოდი, ჩავებუტებოდი, ვაიძულებდი ეცქირა ჩემთვის იმ ხარბი, ცნობისმოყვარე თვალებით, როგორითაც ასე ხშირად მიცქეროდა და მერე ვაიძულებდი ეცინა, ეცინა ისე, როგორც მაშინ იცინოდა; მისი თვალები... – როგორ ვხედავ ამ თვალებს! – ფიქრობდა ნატაშა, – რა შესაქმება მის მამასთან და დასთან: მე მიყვარს მხოლოდ ის, ის, ის! მიყვარს იმ სახით და თვალებით, ღიმილით, მამაკაცური და ამავე დროს ბავშვური ღიმილით... არა, უმჯობესია არ ვიფიქრო მასზე, დავივიწყო, სრულიად დავივიწყო ამ ხნის განმავლობაში. ვერ ავიტან ამ მოლოდინს, ამ წუთში ავტირდები, – და იგი მოშორდა სარკეს, ძალას ატანდა თავს, რომ არ ატირებულყო, – როგორ შეუძლია სონიას, ასე აუღელვებლად, ასე მშვიდად უყვარდეს ნიკოლინკა და ელოდოს ასე დიდხანს და მოთმინებით! – გაიფიქრა მან, როცა დაინახა დარბაზში შესული სონია, ისიც უკვე ჩაცმული და ხელში მარათი, – არა, ეს სულ სხვანაირია, მე არ შემიძლია!“

ნატაშა იმწუთას ისეთი მოშვებული იყო და ისეთი განაზებული, რომ მისთვის ცოტა იყო შეყვარებული ყოფილიყო და სცოდნოდა, რომ სხვასაც უყვარდა იგი: მისთვის საჭირო იყო, ახლავე, ამ წუთშივე მოხვეოდა საყვარელ ადამიანს და წარმოეთქვა და გაეგონა სიყვარულის სიტყვები, რითაც სავსე იყო მისი გული. სანამ ჩაფიქრებული იჯდა მამის გვერდით კარეტაში და გაყინული ფანჯრიდან ხედავდა,

როგორ ციმციმებდა ფარნების შუქი, თავს უფრო მეტად შეყვარებულად და მწუხარედ გრძნობდა. თითქოს დაავიწყდა კიდეც ვისთან და სად მიდიოდა. როსტოვების კარეტა სხვა კარეტების მწკრივში მოჰყვა და თოვლზე თვლების ოდნავი ჭრიალით მიადგა თეატრს. სწრაფად გადმოხტნენ ნატაშა და სონია და კაბები აიწიეს; ლაქიების დახმარებით გადმოხტა გრაფიც. თეატრში შემსვლელ მანდილოსნებსა და მამაკაცებს და აფიშების გამყიდველებს შორის სამივენი ბენუარის დერეფანში შევიდნენ. მიხურულ კარებიდან უკვე ისმოდა მუსიკის ხმა.

– Nathalie, vos cheveux (ნატალი, შენი თმა)! – წასჩურჩულა სონიამ.

კაპელდინერი[196] თავაზიანად და სწრაფად გაძვრა მანდილოსნებს შორის და ლოჟის კარი გააღო. მუსიკა უფრო მკვეთრად მოისმა კარიდან, გაიღვეს განათებულმა ლოჟებმა მანდილოსანთა გაშიშვლებული მხრებითა და მკლავებით და მოგუგუნე, მუნდირებით გაბრწყინებულმა პარტერმა. მანდილოსანმა, რომელიც მეზობელ ბენუარში შედიოდა, ნატაშას ქალური, შურიანი თვალით გადახედა. ფარდა ჯერ არ აეხადათ, ჯერ კიდეც უვერტიურას[197] უკრავდნენ. ნატაშამ ტანისამოსი გაისწორა, სონიასთან ერთად წინ გავიდა და დაჯდა, მერე პირდაპირ მდებარე განათებულ ლოჟებს გადახედა. ათასი თვალი შეაცქერდა ნატაშას გაშიშვლებულ მკლავებსა და ყელს (ამგვარი ყურადღება დიდი ხანია აღარ განუცდია მას). ამან ერთბაშად სასიამოვნოდ და ამავდროულად უსიამოვნოდ აიტაცა იგი, გამოაღვიძა მასში ამ შეგრძნების შესაბამისი უამრავი მოგონება, სურვილი და მღელვარება.

ამ ორმა საოცრად ლამაზმა გოგონამ, ნატაშამ და სონიამ, გრაფ ილია ანდრეიჩთან ერთად, რომელიც დიდი ხანია მოსკოვში არ გამოჩენილა, საერთო ყურადღება მიიქცია. გარდა ამისა, ყრუდ ყველამ იცოდა ნატაშასი და თავად ანდრეის დათქმა, იცოდნენ, რომ მას შემდეგ როსტოვები სოფელში ცხოვრობდნენ, და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო საქმროს საცოლეს.

ნატაშა სოფელში გალამაზდა, როგორც ყველანი ეუბნებოდნენ, ხოლო ამ საღამოს, მღელვარების გამო, განსაკუთრებით ლამაზი ჩანდა. იგი აოცებდა კაცს ცხოვრებისა და სილამაზის სისრულით, რაც შეერთებული იყო გულგრილობასთან ყველაფრისადმი, რაც კი გარს ეხვია. მისი შავი თვალები შეჰყურებდნენ შეკრებილთ, ისინი არავის ეძებდნენ, ხოლო ნაზი, იდაყვზემთ გაშიშვლებული ხელი, ხავერდის რამპაზე[198] დადებული და შეუცნობლად უვერტიურის ტაქტს აყოლებული, ხან იკუმშებოდა, ხან იშლებოდა, თანაც აფიშას ჭმუჭნიდა.

– შეხედე, აგერ ალენინა, მგონი, დედასთან ერთად, – თქვა სონიამ.

– ღმერთო ჩემო! მიხაილ კირილიჩი უფრო გასქელებულა! – წამოიძახა მოხუცმა გრაფმა.

– შეხედეთ ერთი, რა თავმოსართავი ხურავს ჩვენს ანა მიხაილოვნას.

– აგერ კარაგინებიც, ჟიული და ბორისი მათთან არიან. აშკარად ეტყობათ, რომ დანიშნულები არიან!

– დრუბეცკომ უკვე მიმართა კარაგინებს წინადადებით, დიახ, დღეს გავიგე, – თქვა როსტოვების ლოჟაში შესულმა შინშინმა.

ნატაშამ გაიხედა იქითკენ, საითკენაც მამა იყურებოდა და დაინახა ჟიული, რომლის სქელი, წითელი კისერი (პუდრმოყრილი – ნატაშამ იცოდა ეს) მარგალიტებით იყო შემკული; იგი ბედნიერი გამომეტყველებით იჯდა დედის გვერდით.

მათ უკან მოჩანდა ბორისის თმადატკეპნილი, ლამაზი თავი, რომელიც ღიმილით დახრილიყო ჟიულისკენ. ბორისი შუბლქვემოდან შესცქეროდა როსტოვებს და ღიმილით ეუბნებოდა რაღაცას თავის დანიშნულს.

„ისინი ჩვენზე ლაპარაკობენ, ჩემსა და მის შესახებ, – გაიფიქრა ნატაშამ, – ის, ალბათ, ამზვიდებს დანიშნულს, რომელიც ჩემზე ექვიანობს: ამაოდ წუხს! რომ იცოდნენ, რა ნაკლებ მაინტერესებს ისინი!“

მათ უკან მწვანე თავმოსართავში, ღვთის განგებაზე დანდობილი და ბედნიერი, სადღესასწაულო გამომეტყველებით იჯდა ანა მიხაილოვნა. მათ ლოჯაში ის ატმოსფერო იდგა, დანიშნულების იქ ყოფნით გამოწვეული, რომელსაც ასე კარგად იცნობდა და რომელიც ასე ძალიან უყვარდა ნატაშას. მან თავი მიიბრუნა და უეცრად გაახსენდა ყველაფერი ის, რაც ასე დამამცირებელი იყო დილანდელ დარბაზობაში.

„რა უფლება აქვს, არ მიმიღოს თავის ნათესაობაში? მაგრამ უმჯობესია, არ ვიფიქრო ამაზე, არ ვიფიქრო მის ჩამოსვლამდე!“ – უთხრა მან თავის თავს და დაუწყო ცქერა ნაცნობ და უცნობ სახეებს პარტერში.

პარტერის წინ, შუა ადგილას, რამპაზე ზურგით მიყუდებული იდგა სპარსულ სამოსში გამოწყობილი დოლოხოვი უკან გადავარცხნილი ზვინის მსგავსი ხუჭუჭა თმით. იგი იდგა პარტერის ყველაზე გამოსაჩენ ადგილას. იცოდა, რომ ამით მთელი დარბაზის ყურადღებას მიიქცევდა, იდგა ისევე თავისუფლად, როგორც საკუთარ ოთახში. მის ირგვლივ თავი მოეყარა მოსკოვის ყველაზე ბრწყინვალე ახალგაზრდობას. ეტყობოდა, დოლოხოვი პირველობდა ამ ახალგაზრდებს შორის.

გრაფმა ილია ანდრეიჩმა თითი წაჰკრა ლოყებზეწითლებულ სონიას და მიუთითა მის წინანდელ მალმერთებელზე.

– იცანი? – ჰკითხა მან, – ნეტა საიდან გაჩნდა? – მიმართა მერე შინშინს, – იგი ხომ დაკარგული იყო სადღაც?

– დიახ, დაკარგული იყო, – მიუგო შინშინმა, – კავკასიაში იყო, იქიდან კი გაიქცა. ამბობენ, ვიღაც მთავრის მინისტრად იყო სპარსეთში, იქ შაჰის ძმა მოკლავ. ჰოდა, მოსკოველი ქალბატონები ჭკუიდან იშლებიან მის გამო. Dolochoff le Persan (სპარსი დოლოხოვი), მორჩა და გათავდა! მოსკოვში ახლა სიტყვას ვერავინ დამრავს, თუ დოლოხოვი არ ახსენა: მასზე ფიცგულობენ, მისთვის, როგორც თართზე, სტუმრებს იწვევენ, – ამბობდა შანშინი. – დოლოხოვი და ანატოლ კურაგინი ყველა მანდილოსანს ჭკუიდან შლიან.

მეზობელ ბენუარში მაღალი, ლამაზი მანდილოსანი შევიდა. უზარმაზარი ნაწნავი ჰქონდა და გაშიშვლებული, თეთრი, სრული მხრები. ყელზე დიდი მარგალიტების ორმაგი აცმა შემოევლო. სანამ დაჯდებოდა, დიდხანს აშრიალებდა სქელ აბრეშუმის კაბას.

ნატაშა უნებურად აკვირდებოდა მის ყელს, მხრებს, მარგალიტებს, თავვარცხნილობას და ტკბებოდა მხრებისა და მარგალიტების სილამაზით. იმ დროს, როცა ნატაშამ მეორედ შეხედა მანდილოსანს, ამ უკანასკნელმა მათკენ მიიხედა. თვალი შეავლო გრაფ ილია ანდრეიჩს, თავი დაუკრა და გაუღიმა. ეს იყო გრაფ ბეზუხოვის მეუღლე, პიერის ცოლი. ილია ანდრეიჩმა, რომელიც ყველას იცნობდა ამქვეყნად, გადაიხარხარა და გამოელაპარაკა მას.

– დიდი ხანია მობრძანდით, თქვენო ბრწყინვალეებავ? – ჰკითხა მან, – მანდ გეახლებით, გეახლებით, ხელზე გეამბორებით. მე კი საქმეების გამო ჩამოვედი და ქალიშვილებიც წამოვიყვანე. ამბობენ, სემიონოვა საუცხოოდ თამაშობსო, – ამბობდა ილია ანდრეიჩი, – გრაფი პიოტრ კირილოვიჩი არასოდეს გვივიწყებდა. აქ არის?

– დიახ, აქ გახლავთ, უნდა შემოევლო, – მიუგო ელენმა და ყურადღებით შეავლო თვალი ნატაშას.

გრაფი ილია ანდრეიჩი ისევ დაჯდა თავის ადგილას.

– ხომ ლამაზია? – ჩაეკითხა იგი ჩურჩულთ ნატაშას.

– საოცრებაა! – მიუგო ნატაშამ. – შეყვარება შეიძლება.

ამ დროს გაისმა უვერტიურის უკანასკნელი აკორდები და აკაკუნდა კაპელმასტერის[199] ჯოხი. პარტერში დაგვიანებული მამაკაცები თავიანთი ადგილებისკენ გაემშურნენ, და ფარდაც აიწია.

რაწამს ფარდა აიწია, ლოჟებსა და პარტერში ყველანი დადუმდნენ. და ყველა მამაკაცმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ, მუნდირიანმა და ფრაკიანმა, ყველა ქალმა, რომელსაც ძვირფასი ქვები უბრწყინავდა შიშველ ტანზე, მთელი თავისი ყურადღება გაუმადლარი ცნობისმოყვარეობით მიაპყრო სცენას. ნატაშამაც სცენას დაუწყო ყურება.

თავი მეცხრე

სცენაზე, შუა ადგილას, სწორი ფიცრები იყო გადებული, გვერდებზე შეღებილი სურათები იდგა, რომელნიც ხეებს ასახავდნენ, ხოლო უკანა ფიცრებზე ტილო გაეჭიმათ. შუა სცენაზე ისხდნენ ქალწულები წითელ კორსაჟებსა და თეთრ ბოლოკაბებში გამოწყობილნი. ერთი მათგანი, ძალიან სქელი, აბრეშუმის თეთრ ტანისამოსში, ცალკე იჯდა დაბალ სკამზე, რომელსაც უკან მწვანე მუყაო ჰქონდა აკრული. ყველანი რაღაცას მღეროდნენ. როცა მათ თავიანთი სიმღერა დაასრულეს, თეთრებში გამოწყობილი ქალწული სუფლიორის ჯიხურთან მივიდა. იმავე წუთს მას ფრთიანი და ხანჯლიანი მამაკაცი მიუახლოვდა, რომელსაც სქელ კანჭებზე აბრეშუმის შარვალი ჰქონდა შემოტმასნილი. მან ხელები გაშალა და სიმღერა დაიწყო.

შემოტმასნილშარვლიანი მამაკაცი მარტო მღეროდა, მერე იმღერა ქალმა. შემდეგ ორივენი დადუმდნენ და მუსიკამ დაუკრა. მამაკაცი თითებით ეფერებოდა თეთრებში შემოსილი ქალის ხელს. ალბათ, ელოდა ტაქტს, რომ ქალთან ერთად კვლავ დაეწყო თავისი პარტია. შემდგომ ორივემ ერთად იმღერეს, დარბაზში ყველამ ტაში დაუკრა და ყვირილი ატეხა, ხოლო მამაკაცი და ქალი, რომელნიც სცენაზე შეყვარებულებს წარმოადგენდნენ, გაჩერდნენ, ღიმილით გაშალეს ხელები და თავი დაუკრეს მაყურებლებს.

სოფლის შემდეგ და იმ სერიოზული განწყობილების დროს, რომელშიც ნატაშა იყო, ყოველივე ეს ველურობად მიაჩნდა და გაცეხას იწვევდა. ის ვერ ადევნებდა თვალს ოპერის მსვლელობას, ვერ ახერხებდა მუსიკის მოსმენასაც კი, იგი ხედავდა მხოლოდ შეღებილ მუყაოს, უცნაურად მორთულ მამაკაცებსა და ქალებს, რომელნიც გაკაშკაშებულ შუქზე უცნაურად მოძრაობდნენ, ლაპარაკობდნენ და მღეროდნენ. მან იცოდა, რას წარმოსახავდა ყოველივე ეს, მაგრამ ყოველივე ეს ისე დამანჭული, ყალბი და ისეთი არაბუნებრივი ეჩვენებოდა, რომ ხან რცხვენოდა მსახიობების მაგიერ, ხან სასაცილოდ მიაჩნდა ისინი. ნატაშა ირგვლივ იყურებოდა, შესცქეროდა სახეში დამსწრეთ, ეძებდა ამ სახეებში დაცინვისა და გაცეხის იმ გრძნობას, რომელსაც თვით განიცდიდა, მაგრამ ყველა სახე ყურადღებით შესცქეროდა იმას, რაც სცენაზე ხდებოდა და, როგორც ნატაშას ეჩვენებოდა, თვალთმაქცურ აღტაცებას გამოხატავდა. ალბათ, ასე უნდაო, – ფიქრობდა ნატაშა. იგი რიგრიგობით გადახედავდა ხოლმე ხან პომადანაცხებული თავების რიგებს პარტერში, ხან გაშიშვლებულ ქალებს ლოჟებში, მეტადრე თავის მეზობელ ელენს, რომელიც, ლამის სრულიად გაშიშვლებული, ტკბილი და წყნარი ღიმილით თვალმოუშორებლად შეჰყურებდა სცენას და რომელიც, ცხადად ჩანდა, შეიგრძნობდა დარბაზში მოფენილ კაშკაშა შუქსა და ხალხით შეხუთულ ჰაერს. ნატაშას თანდათან ეუფლებოდა თრობა, ის მდგომარეობა, რომელიც დიდი ხანია აღარ განეცადა. მას აღარ ახსოვდა, ვინ იყო იგი, სად იყო და რა ხდებოდა მის წინაშე. იგი იცქირებოდა და ფიქრობდა, და მოულოდნელად, ანგარიშმიუცემლად, მეტად უცნაური აზრები უტრიალებდა თავში. ხან ის აზრი გაუელვებდა ხოლმე, რომ შემხტარიყო

რამპაზე და ემღერა ის არია, რომელსაც მსახიობი ქალი მღეროდა, ხან უნდოდა მარაო გამოედო მახლობლად მჯდომი ბერიკაცისთვის, ხან გადახრილიყო ელენისკენ და ლიტინი დაეწყო მისთვის.

ერთ-ერთ იმ წუთში, როდესაც სცენაზე არიის დაწყების მოლოდინში ყველაფერი მიყურდა, გაიჭრიალა პარტერში შესასვლელმა კარმა იმ მხარეზე, სადაც როსტოვების ლოჟა იყო, და მოისმა დაგვიანებული მამაკაცის ფეხის ხმა. „აი, კურაგინი!“ – ჩაიჩურჩულა შინშინმა. გრაფ ბეზუხოვის მეუღლემ ღიმილით მიიბრუნა პირი ახალშესულისაკენ. ნატამამ თვალი გააყოლა იმ მიმართულებას, საითკენაც გრაფ ბეზუხოვის მეუღლემ გაიხედა და დაინახა მეტად ლამაზი ადიუტანტი, რომელიც გულდაჯერებული და თანაც თავაზიანი გამომეტყველებით მიემართებოდა მათი ლოჟისკენ. ეს იყო ანატოლ კურაგინი, რომელიც მას დიდი ხანია ნანახი ჰყავდა და რომელიც მან პეტერბურგის ბალზე შენიშნა. ახლა კურაგინს ადიუტანტის მუნდირი ეცვა ერთი ეპოლეტით და ექსელბანტით. თავშეკავებული მიდიოდა. კობტად და მოხდენილად, რაც სასაცილო იქნებოდა, ის რომ ესოდენ ლამაზი არ ყოფილიყო და მის მშვენიერ სახეზე გულკეთილი კმაყოფილებისა და სიხარულის ასეთი გამომეტყველება არ აღბეჭდილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება მიმდინარეობდა, ის აუჩქარებლად, დეზებისა და ხმლის ოდნავი წკარუნით ადგამდა ნაბიჯებს ხალიჩაზე დერეფანში, თან მოხდენილად და ზეაწეული მიჰქონდა სურნელებანაკურები ლამაზი თავი. შეხედა ნატამას, მერე დასთან მივიდა, ხელთათმანში გამოწკეპილი ხელი ლოჟის კიდურს დაადო, თავი შეარხია და, ელენისკენ დახრილმა, რაღაც ჰკითხა, თან ნატამაზე უჩვენა.

– Mais charmante (ძალიან ლამაზია), – თქვა მან, ალბათ, ნატამაზე, რასაც ნატამა უფრო მიხვდა მისი ტუჩების მოძრაობაზე, ვიდრე გაიგონა. მერე გაიარა პირველი რიგისკენ, დოლოხოვის გვერდით დაჯდა და თან მეგობრულად და დაუდევრად წაჰკრა იდაყვი იმ დოლოხოვს, რომელსაც ისე ელაქუცებოდნენ სხვები. ანატოლმა მხიარულად ჩაუკრა თვალი, გაუღიმა და ფეხი რამპას მიაბჯინა.

– როგორ ჰგვანან ერთმანეთს და და ძმა, – თქვა გრაფმა, – და რა ლამაზები არიან ორივენი.

შინშინმა დაბალი ხმით გადასცა გრაფს მოსკოვში მომხარი კურაგინის რაღაც ინტრიგის ამბავი, რომელსაც ნატამამ ყური დაუგდო სწორედ იმიტომ, რომ კურაგინმა მასზე თქვა, – ლამაზიაო.

პირველი აქტი დასრულდა, პარტერში ყველანი წამოდგნენ და ერთმანეთში აირივნენ, ზოგი დადიოდა, ზოგი გამოდიოდა.

ბორისი როსტოვების ლოჟაში შევიდა, მან სულ უბრალოდ მიიღო მილოცვა, მერე წარბი ზევით აზიდა, აბნეულად გაიღიმა და გადასცა ნატამასა და სონიას თავისი დანიშნულის თხოვნა – ქორწილში სწვევოდნენ, შემდეგ გავიდა. ნატამა მხიარული და კეკლუცი ღიმილით ელაპარაკებოდა და ულოცავდა სწორედ იმ ბორისს, რომელიც წინათ თვითონ უყვარდა. თრობის იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა, ყველაფერი უბრალოდ და ბუნებრივად ეჩვენებოდა.

ნახევრად შიშველი ელენი მის მახლობლად იჯდა და ერთნაირად უღიმოდა ყველას. სწორედ ასევე გაუღიმა ნატამამ ბორისს.

ელენის ლოჟა ხალხით აივსო; პარტერის მხრიდან ბევრნი ეხვეოდნენ მას. ყველანი უაღრესად წარჩინებული და ჰკვიანი მამაკაცები იყვნენ. ისინი თითქოს ერთმანეთს ასწრებდნენ, – ეჩვენებინათ ყველასათვის, რომ იცნობენ გრაფ ბეზუხოვის მეუღლეს.

კურაგინი მთელი აქტის განმავლობაში დოლოხოვთან ერთად რამპის წინ იდგა და როსტოვების ლოჟას შესცქეროდა. ნატამამ იცოდა, რომ კურაგინი მასზე ლაპარაკობდა და ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. ისე მიტრიალდა იგი, რომ დოლოხოვს მისი პროფილი დაენახა, რადგან, როგორც თვით ნატამას ეგონა, ასე ის ძალიან ლამაზი ჩანდა.

მეორე აქტის დასაწყისს პარტერში გამოჩნდა პიერი, რომელიც ჩამოსვლის შემდეგ ჯერ არ ენახათ როსტოვებს. სახე მწუხარე ჰქონდა; იგი უფრო გასუქებულიყო მას შემდეგ, რაც ნატაშამ უკანასკნელად ნახა. პიერი პირველი რიგებისკენ გაემართა, მიდიოდა ისე, რომ ვერავის ამჩნევდა. ანატოლი მასთან მივიდა და რაღაცაზე დაუწყო ლაპარაკი, თან როსტოვების ლოჟისკენ იცქირებოდა და უჩვენებდა მასზე. პიერმა ნატაშა დაინახა, გამოცოცხლდა და რიგებს შორის სწრაფად გაემართა როსტოვების ლოჟისკენ. როცა მივიდა, ლოჟას დაეყრდნო და დიდხანს ელაპარაკა ნატაშას. პიერთან ლაპარაკის დროს გრაფ ბეზუხოვს ცოლის ლოჟიდან ნატაშას მამაკაცის ხმა შემოესმა და რატომღაც მიხვდა, რომ ეს კურაგინი იყო. უკან მიიხედა და თვალებით კურაგინს შეხვდა. ეს უკანასკნელი თითქმის ღიმილით შესცქეროდა ნატაშას პირდაპირ თვალებში, ამასთან შესცქეროდა ისეთი აღტაცებით და ალერსით, რომ უცნაურიც იყო: ასე ახლო იყო მამაკაცთან, ასე შესცქეროდა მას, ასე დარწმუნებული იყო, რომ მოსწონხარ, და არ იცნობდე.

მეორე აქტში ისეთ სურათებს უჩვენებდნენ, რომლებიც მონუმენტებს ასახავდნენ; ტილოში ნახვრეტი მოჩანდა, რაც მთვარეს ნიშნავდა. რამპაზე ქალები ასწიეს. უკრავდა ბოხხმიანი საკრავები და კონტრაბასები. მარჯვნიდან და მარცხნიდან დიდძალი ხალხი გამოვიდა, ყველას შავი მანტია წამოესხა. გამოსულები ხელებს იქნევდნენ; ხელში ყველას ხანჯლის მსგავსი რაღაც ეჭირა; შემდეგ მოცვივდნენ კიდევ ვიღაცები და უნდოდათ გაეყვანათ ის ქალწული, რომელსაც წინათ თეთრი, ახლა კი ცისფერი ტანისამოსი ეცვა. მათ ერთბაშად როდი გაათრიეს ის ქალწული, ჯერ დიდხანს მღეროდნენ მასთან ერთად და მხოლოდ შემდეგ გაათრიეს; კულისებს უკან რაღაც ლითონს სამჯერ შემოჰკრეს. ყველამ დაიჩოქა და გალობით ლოცვა გააბა. რამდენჯერმე ეს მოქმედებები მაყურებელთა აღტაცებულმა შემახილებმა დაარღვია.

ამ აქტის დროს, როცა კი ნატაშა პარტერს გადაავლებდა თვალს, ხედავდა ანატოლს, სავარძლის ზურგზე ხელგადაგდებულს და მისკენ მაცქერალს. ნატაშას სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ ასე დაატყვევა იგი და აზრად არ მოსდიოდა, თუ ამაში რამე ცუდი იყო.

როცა მეორე აქტი დასრულდა, გრაფ ბეზუხოვის მეუღლე ფეხზე წამოდგა და როსტოვების ლოჟისკენ მიტრიალდა (მკერდი მთლად გაღელილი ჰქონდა); მან ხელთათმნიანი თითით მოხუცი გრაფი თავისთან მიიხმო და თავაზიანი ღიმილით დაუწყო ლაპარაკი; ამ დროს იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მასთან ლოჟაში შესულებს.

– გამაცანით, გრაფ, თქვენი საუცხოო ქალიშვილები, – მიმართა მან მოხუც გრაფს, – მთელი ქალაქი მათზე ლაპარაკობს, მე კი არ ვიცნობ.

ნატაშა წამოდგა და კნიკსენით მიესალმა ამ დიდად მშვენიერ მანდილოსანს. იმდენად საამო იყო მისთვის ამ ბრწყინვალე მზეთუნახავის ქება, რომ სიამოვნებისგან წამოწითლდა.

– ახლა მეც მოსკოველი მინდა გავხდე, – თქვა ელენმა, – როგორ არ გრცხვენიათ, განა შეიძლება ასეთი მარგალიტების სოფელში გამომწყვდევა!

გრაფ ბეზუხოვის ცოლს სამართლიანად ჰქონდა მოპოვებული მომხიბვლელი ქალის რეპუტაცია. მას შეეძლო ლაპარაკი ისეთ რამეზე, რაზედაც არ ფიქრობდა, განსაკუთრებით კი სრულიად უბრალოდ და ბუნებრივად შეეძლო პირფერობა.

– არა, საყვარელო გრაფო, ნება უნდა მომცეთ, დავუახლოვდე თქვენს ქალიშვილებს. თუმცა აქ მე ახლა დიდი ხნით არ დავრჩები. თქვენც, ვგონებ. შევეცდები გავართო თქვენები. ჯერ კიდევ პეტერბურგში მქონდა ბევრი რამ თქვენზე გაგონილი და მინდოდა თქვენი გაცნობა, – უთხრა მან ნატაშას თავისი ერთფეროვანი, მაგრამ ლამაზი ღიმილით, – თქვენზე გაგონილი მქონდა ჩემი პაჟის,

დრუბეცკოსაგანაც. იქნებ იცით, ცოლს ირთავს. ჩემი ქმრის მეგობრის, ბოლკონსკისგანაც, დიახ, თავად ანდრეი ბოლკონსკისაგან, – თქვა მან განსაკუთრებული მახვილით ამ სახელსა და გვარზე და ამით გააგებინა, რომ მან იცოდა მისი ურთიერთობა ნატაშასთან. იმისთვის, რომ უკეთ გაეცნო, ელენმა სთხოვა გრაფს, ერთ-ერთი ქალიშვილი მასთან გადამჯდარიყო წარმოდგენის დასრულებამდე, და ნატაშა ელენის ლოჟაში გადავიდა.

მესამე აქტში სცენაზე უჩვენეს სასახლე, სადაც მრავალი სანთელი ენთო და ეკიდა სურათები, რომლებზედაც გამოსახული იყვნენ მოკლეწვერიანი რაინდები. შუაში, ალბათ, მეფე და დედოფალი იდგნენ. მეფემ მარჯვენა ხელი დაიქნია და, ალბათ, ღელვის გამო, ცუდად იმღერა, მერე ჟოლოსფერ ტახტზე დაჯდა. ის ქალწული, რომელსაც ჯერ თეთრი ტანისამოსი ეცვა, მერე ცისფერი, ახლა პერანგის ამარა, მეფის ტახტთან იდგა თმაგაწეწილი. იგი დედოფალს მიმართავდა, თან მწუხარედ მღეროდა რალაცას. მაგრამ მეფემ მკაცრად გაიქნია ხელი და სცენის აქეთ-იქიდან ფეხშიშველი მამაკაცები და ქალები გამოვიდნენ და ყველამ ერთად დაიწყო ცეკვა. შემდეგ ვიოლინოებზე დაუკრეს ძალიან ნაზად და მხიარულად; ერთი შიშველ და სქელფეხებიანი, გამხდარხელებიანი ქალწული სხვებს განშორდა, კულისებს მოეფარა, კორსაჟი გაისწორა, შუა სცენაზე გამოვიდა და დაიწყო ხტუნვა, ხტუნავდა და თან სწრაფად არტყამდა ცალ ფეხს მეორეზე. პარტერში ყველამ ტაში დაუკრა და ბრავო შესძახა. მერე ერთი შიშველფეხებიანი მამაკაცი კუთხეში დადგა. ორკესტრში წინწილებმა[200] და ჩასაბერმა საკრავებმა ხმა აუმაღლეს. იმ შიშველფეხებიანმა მამაკაცმა ხტუნვა დაიწყო. ხტოდა ძალიან მაღლა და თან ფეხებს აცანცალებდა (ეს მამაკაცი Duport-ი[201] იყო, რომელიც ამ ოსტატობისთვის 60 ათასს იღებდა წელიწადში). ყველანი პარტერში, ლოჟასა და გალერეაზე უკრავდნენ ტაშს და ყვიროდნენ, ყვიროდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. მამაკაცი შეჩერდა, მერე გაიღიმა და დაიწყო თავის დაკვრა. შემდეგ სხვებმაც იცეკვეს, ფეხშიშველა მამაკაცმა და ქალებმა. მერე ერთ-ერთმა მეფემ კვლავ შესძახა რალაც მუსიკის ტაქტზე და ყველამ დაიწყო სიმღერა. მაგრამ უეცრად ქარიშხალი ამოვარდა, ორკესტრიდან მოისმა ქრომატული[202] გამები და დაწეული სეკტიმის[203] აკორდები. ყველანი გაიქცნენ და კვლავ კულისებისკენ წაათრიეს ერთ-ერთი მონაწილეთაგანი. მერე ფარდა დაეშვა. ისევ ატყდა მაყურებელთა შორის საშინელი ხმაური და აღფრთოვანებული ყვირილი:

– დიუპორი! დიუპორი! დიუპორი!

ნატაშას უცნაურად აღარ ეჩვენებოდა ყოველივე ეს. იგი ნასიამოვნები, გახარებული ღიმილით იყურებოდა ირგვლივ.

– N'est ce pas qu'il est admirable – Duport (რას იტყვით, ხომ მომაჯადოებელია დიუპორი)? – მიმართა მას ელენმა.

– Oh, oui (რა თქმა უნდა)! – მიუგო ნატაშამ.

თავი მეათე

ანტრაქტის დროს ელენის ლოჟაში სიცივემ დაუბერა, კარი გაიღო და ოდნავ მოხრილი, თანაც ფრთხილი ნაბიჯით, ისე, რომ არავის წამოსდებოდა, ლოჟაში ანატოლი შევიდა.

– ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩემი ძმა, – მიმართა ელენმა ნატაშას და შემფოთებული თვალები ნატაშადან ანატოლზე გადაიტანა.

ნატაშამ შიშველი ბეჭის ზემოდან მიიბრუნა ლამაზ ახალგაზრდა კაცისკენ მოხდენილი თავი და გაიღიმა. ანატოლი, რომელიც ახლოდან ისევე ლამაზი იყო, როგორც შორიდან, ნატაშას მიუჯდა. მან თქვა, რომ დიდი ხანია ნატრობდა ამ გაცნობას, ამ სიამოვნებას. ნატრობდა ჯერ კიდევ ნარიშკინის

ბალიდან, სადაც ბედნიერება ჰქონდა ენახა იგი, და მას შემდეგ არ დავიწყებია ეს ბედნიერება. კურაგინი ქალებთან ურთიერთობაში ბევრად უფრო ჭკვიანი და უბრალო იყო, ვიდრე მამაკაცთა საზოგადოებაში. ის გაბედულად და უბრალოდ ლაპარაკობდა, და ნატამამ საოცრად და სასიამოვნოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ამ კაცში, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ, არაფერი იყო საშინელი. პირიქით, იგი გზიბლავდა უაღრესად გულუბრყვილო, მხიარული და გულკეთილი ღიმილით.

კურაგინმა ჰკითხა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე წარმოდგენამ და უამბო, თუ როგორ დაეცა წინა წარმოდგენაზე თამაშის დროს სემიონოვა.

– იცი, გრაფინია, – თქვა მან და უეცრად მიმართა, ისე, როგორც ძველ, დიდი ხნის ნაცნობს, – ჩვენ ვაწყობთ კოსტიუმებიან კარუსელს; ურიგო არ იქნება, თქვენც მიიღოთ მონაწილეობა: დიდი მხიარულება იქნება. ყველანი არხაროვებთან შეიკრიბებიან. გთხოვთ, მობრძანდეთ. რას იტყვით? – ჩაილაპარაკა მან.

ლაპარაკის დროს კურაგინი მოლიმარე თვალებს არ აშორებდა ნატამას სახეს, კისერს, შიშველ მკლავებს. ნატამამ ნამდვილად იცოდა, რომ კურაგინი აღტაცებული იყო მისით. მას სიამოვნებას ჰგვრიდა ეს, მაგრამ რატომღაც იგი ბოჭავდა და სულს უხუთავდა თავისი იქ ყოფნით. როცა ნატამა არ უყურებდა კურაგინს, გრძნობდა, რომ ახალგაზრდა კაცი თვალს არ აშორებდა მის მხრებს, და ის უნებურად სახეს იბრუნებდა მისკენ, რადგან უმჯობესად მიაჩნდა თვალებში ეცქირა მისთვის. მაგრამ როდესაც თვალებში შესცქეროდა, ნატამა შიშით გრძნობდა, რომ მასა და ყმაწვილ კაცს შორის ქრებოდა მორცხვობის ის ზღუდე, რომელიც არსებობდა მასა და სხვა მამაკაცებს შორის. თვითონაც არ იცოდა, როგორ, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ უკვე გრძნობდა, რომ ძალიან დაახლოებოდა მას. როცა ნატამა მიბრუნდებოდა, ემინოდა, ანატოლს უკნიდან არ წაეგლო ხელი შიშველ მკლავში, არ ეკოცნა კისერში. ისინი სულ უბრალო საგნებზე ლაპარაკობდნენ და ნატამა გრძნობდა, რომ ისე დაახლოვდნენ, როგორც არასოდეს არც ერთ მამაკაცთან არ ყოფილა დაახლოებული. ნატამა თვალებით ელენსა და მამას მიმართავდა, თითქოს ეკითხებოდა მათ, რას ნიშნავს ეს ყოველივე. მაგრამ ელენი ვიღაც გენერალთან ლაპარაკში იყო გართული და პასუხს არ აძლევდა მის მხერას, ხოლო მისკენ მიქცეულმა მამის თვალებმა არაფერი უთხრეს, გარდა იმისა, რასაც ყოველთვის ამბობდნენ: „მხიარულად ხარ, ჰოდა, მეც მიხარია“.

როცა ერთხელ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დროსაც ანატოლი გაფართოებული თვალებით მშვიდად და შეუპოვრად შესცქეროდა ახალგაზრდა ქალს, ნატამამ, სიჩუმე რომ დაერღვია, ჰკითხა, როგორ მოგწონთ მოსკოვიო. ჰკითხა და წამოწითლდა. ნატამას მუდამ ეჩვენებოდა, რომ რატომღაც უზრდელად იქცეოდა, როცა ანატოლს ელაპარაკებოდა. ანატოლმა გაიღიმა, თითქოს წააქეზაო.

– პირველ ხანებში ნაკლებად მომწონდა, იმიტომ, რომ ვინ ხდის ქალაქს სასიამოვნოს? – ce sont les jolies femmes (ლამაზი ქალები). ხომ მართალს ვამბობ? ახლა კი ძალიან მომწონს, – თქვა მან და მნიშვნელოვნად შეავლო თვალი ნატამას, – წამობრძანდებით თუ არა კარუსელზე, გრაფინია? უსათუოდ წამობრძანდით, – უთხრა მან, ხელი გაიშვირა მისი თაიგულისაკენ და დაბალი ხმით უთხრა, – Vous serez la plus jolie. Venez, chère comtesse, et comme gage donnez moi cette fleur (თქვენ ყველაზე ლამაზი იქნებით, წამობრძანდით, ძვირფასო გრაფინია, ხოლო საწინდრად ეს ყვავილი მომეცით).

ნატამამ ვერ გაიგო, რაც მან უთხრა, ისევე, როგორც თავად ანატოლმა ვერ გაიგო თავისი ნათქვამი, მაგრამ იგრძნო, რომ მისი გაუგებარი სიტყვები უტიფარ განზრახვას შეიცავდნენ. ნატამამ არ იცოდა, რა ეპასუხა და პირი მიიბრუნა, ვითომ ვერ გაიგონა მისი სიტყვები. მაგრამ მიბრუნდა თუ არა, გაიფიქრა, რომ ის აქვე ახლოს, ჩემ უკან დგასო.

„რას ფიქრობს ახლა? დარცხვენლია? გაჯავრებულია? უნდა გამოვასწორო საქმე?“ – ჰკითხა ნატაშამ თავის თავს. თავი ვერ შეიკავა, რომ უკან არ მიეხედა. შეხედა პირდაპირ თვალებში და მისმა სიახლოვემ და გულდაჯერებულებამ, მისმა გულკეთილმა, ალერსიანმა ღიმილმა დაამარცხა იგი. ნატაშამ პირდაპირ თვალებში შეხედა და გაიღიმა სწორედ ისევე, როგორც იღიმებოდა ახალგაზრდა კაცი. და ნატაშა კვლავ სასოწარკვეთილებით გრძნობდა, რომ მასა და კურაგინს შორის არავითარი ზღუდე აღარ არსებობდა.

კვლავ აიწია ფარდა. ანატოლი ლოჟიდან გავიდა, დამშვიდებული და მხიარული. ნატაშა მამასთან დაბრუნდა, თავიანთ ლოჟაში. ახლა ის უკვე სავსებით განიცდიდა იმ სამყაროს გავლენას, რომელშიც იმყოფებოდა. ყველაფერი, რაც მის წინ ხდებოდა, უკვე სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა. სამაგიეროდ, წინანდელ აზრებს საქმროზე, კნიაჟნა მარიაზე, სოფლურ ცხოვრებაზე აღარც ერთხელ აღარ გაუელვია მის თავში, თითქოს ყოველივე ის დიდი ხნის მომხდარი იყო, დიდი ხნის წარსული იყო.

მეოთხე აქტში რაღაც ეშმაკი გამოვიდა, რომელიც მღეროდა და ხელებს იქნევდა მანამდე, სანამ მის ფეხქვეშ ფიცრებმა არ გაიწიეს და ეს ეშმაკი ქვევით არ ჩაეშვა. ნატაშამ მეოთხე მოქმედებიდან მხოლოდ ეს დაინახა: რაღაც აღელვებდა და ტანჯავდა, და აღელვების მიზეზი კურაგინი იყო, რომელსაც იგი თავისდა უნებურად ადევნებდა თვალს. როდესაც როსტოვები თეატრიდან გამოდიოდნენ, ანატოლი მათთან მივიდა, მათი კარეტა გამოიწვია და ჩაჯდომაში მიეშველა როსტოვებს. როცა ნატაშას შველოდა, იდაყვს ზემოთ მკლავზე ხელი მოუჭირა. აღელვებულმა და წამოწითლებულმა ნატაშამ მისკენ მიიხედა. თვალებგაბრწყინებული და ნაზად მოღიმარე ანატოლი დაურიდებლად შესცქეროდა ნატაშას.

მხოლოდ შინ დაბრუნების შემდეგ მოიფიქრა ნატაშამ ცხადად ყოველივე ის, რაც მას თეატრში დაემართა, და უეცრად, გაახსენდა თუ არა თავადი ანდრეი, ისე შეძრწუნდა, რომ ყველას წინაშე ჩაიზე, რომლის მაგიდასაც თეატრის შემდეგ შემოუსხდნენ ყველანი, ხმამაღლა ამოიოხრა და წამოწითლებული გავარდა ოთახიდან. „ღმერთო ჩემო, დავიღუპე! – ჩაილაპარაკა მან, – რატომ ჩავიდინე ასეთი რამ?“ დიდხანს იჯდა აწითლებულ სახეზე ხელგაფარებული და ცდილობდა თავადვე გარკვეულიყო იმაში, თუ რა დაემართა, მაგრამ ვერ გაეგო ვერც ის, თუ რა დაემართა და ვერც ის, თუ რას გრძნობდა. ყველაფერი ბნელით მოცულად, ყველაფერი გაურკვეველად და საზარლად ეჩვენებოდა. იქ, იმ უზარმაზარ, გაშუქებულ დარბაზში, სადაც სველ ფიცრებზე მუსიკის ხმაზე შიშველი ფეხებით დახტოდა ბზინავ ქურთუკში გამოწვეპილი დიუპორი, დახტოდნენ ქალწულებიც, მოხუცებიც, სადაც ნახევრად შიშველი ელენი მშვიდი და ამაყი ღიმილით აღტაცებული ყვიროდა ბრავოს, იქ, ამ ელენის ჩრდილქვეშ, ყველაფერი გასაგები იყო და მარტივი, მაგრამ ახლა, მარტო დარჩენილს, თავის თავთან დარჩენილს, გაუგებრად ეჩვენებოდა ეს. „რა არის ეს? რას ნიშნავს ის შიში, რომელსაც მისდამი განვიცდიდი? რას ნიშნავს ეს სინდისის ქენჯნა, რომელსაც ახლა განვიცდი?“ – ფიქრობდა იგი.

მარტო თავის დედისთვის შეეძლო ნატაშას ღამე, ლოგინში, გადაეცა ყოველივე ის, რასაც ფიქრობდა. სონია? იცოდა მან, რომ სონია თავისი მკაცრი შეხედულებით ვერაფერს გაიგებდა, ან შეზარავდა ის, რაშიც ნატაშა გამოუტყდებოდა. ნატაშა მარტოდმარტო ფიქრობდა იმის გადაჭრას, რაც ასე ტანჯავდა.

„დავიღუპე თუ არა მე თავად ანდრეის სიყვარულისთვის? – ეკითხებოდა იგი თავის თავს და დამამშვიდებელი ღიმილით უპასუხებდა, – რა სულელი ვარ, რომ ვკითხულობ ამას! რა მოხდა ისეთი? არაფერი. მე არაფერი ჩამიდენია. არაფრით არ გამომიწვევია ეს. ვერავინ ვერ გაიგებს და მეც ვერასოდეს ველარ ვნახავ მას, – ეუბნებოდა იგი თავის თავს, – მამასადამე, ცხადია, რომ არაფერი მომხდარა, რომ სანანებელი არაფერი მაქვს, რომ თავად ანდრეის შეუძლია ვუყვარდე ასეთი, როგორც ვარ, მაგრამ

როგორ თუ ასეთი? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რატომ არ არის ის აქ?!“ ნატაშა წუთით დამშვიდდა, მაგრამ მერე რომელიღაც ინსტინქტმა ჩასჩურჩულა, რომ თუმცა ყოველივე ეს მართალია და თუმცა არაფერი არ მომხდარა, მაგრამ – ეუბნებოდა ინსტინქტი, – თავად ანდრეისადმი წინანდელი სიყვარულის მთელი სისპეტაკე დაიღუპაო. და ქალი კვლავ იმეორებდა გონებაში მთელ თავის ლაპარაკს კურაგინთან და იმავე დროს ცდილობდა წარმოედგინა ამ ლამაზი და გაბედული კაცის სახე, მიხრა-მოხრა და ნაზი ღიმილი მაშინ, როცა ხელს ართმევდა.

თავი მეთერთმეტე

ანატოლ კურაგინი მოსკოვში ცხოვრობდა იმიტომ, რომ მამამ პეტერბურგიდან გააძევა, სადაც იგი წელიწადში ოცი ათასზე მეტს ხარჯავდა ნაღდ ფულად და ამდენსავე ვალად იღებდა. ამ ვალს კი კრედიტორები მამისაგან ითხოვდნენ.

მამამ გამოუცხადა შვილს, რომ იგი უკანასკნელად გადაიხდიდა მისი ვალის ნახევარს, გადაიხდიდა იმ პირობით, თუ იგი მოსკოვში გადავიდოდა მთავარსარდლის ადიუტანტის თანამდებობაზე (მამამ მოუხერხა ეს თანამდებობა) და იქ შეეცდებოდა მდიდარი ცოლის შერთვას. მან კნიაჟნა მარიასა და ჟიული კარაგინაზე მიუთითა.

ანატოლი დასთანხმდა და მოსკოვში ჩავიდა, სადაც პიერთან ცხოვრობდა. პიერმა ანატოლი პირველ ხანს უხალისოდ მიიღო, მაგრამ მერე მიეჩვია და ზოგჯერ მასთან ერთად დადიოდა დროს გასატარებლად მის წრეში და ვითომ სესხად ფულსაც აძლევდა.

ანატოლმა, როგორც სამართლიანად ამბობდა მასზე შინშინი, მას შემდეგ, რაც მოსკოვში ჩავიდა, ჭკუიდან შეშალა მოსკოველი ქალბატონები. შეშალა უფრო იმიტომ, რომ იგი უგულუბელყოფდა მათ და, ალბათ, უპირატესობას აძლევდა ბოშა ქალებს და ფრანგ მსახიობ ქალებს, რომელთა მეთაურთანაც, mademoiselle Georges (მადმუაზელ ჟორჟთან), როგორც ამბობდნენ, მეტად დაახლოებული იყო. ის არ უშვებდა არც ერთ ქეიფს დანილოვთან და სხვა მოსკოველ მოქეიფებთან, მთელ ღამეებს განუწყვეტლივ სვამდა და ყველას ათრობდა, ესწრებოდა მაღალი საზოგადოების ყველა საღამოსა და ბალს. ლაპარაკობდნენ მის კავშირზე რამდენიმე მოსკოველ მანდილოსანთან; ბალებზეც ეარშიყებოდა იგი ზოგიერთს. მაგრამ ქალწულებს და, მეტადრე, მდიდარ საცოლეებს, რომელნიც მეტწილად ულამაზონი იყვნენ, იგი არ ეკარებოდა, მით უმეტეს, რომ ანატოლმა ორი წლის წინათ ცოლი შეირთო, რაც მხოლოდ ძალიან ახლო მეგობრებმა იცოდნენ. ორი წლის წინათ, როცა მისი პოლკი პოლონეთში იდგა, ერთმა პოლონელმა ხელმოკლე მემამულემ აიძულა ანატოლი, შეერთო მისი ქალიშვილი.

ანატოლმა ძალიან მალე მიატოვა ცოლი და იმ ფულით, რომლის გაგზავნასაც სიმამრს შეჰპირდა, მოიპოვა უცოლო კაცის სახელის ტარების უფლება.

ანატოლი მუდამ კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით, თავისი თავით და სხვებით. იგი ინსტინქტურად, მთელი არსებით დარწმუნებული იყო, რომ არ შეეძლო სხვანაირად ცხოვრება, თუ არა ისე, როგორც ცხოვრობდა და რომ მას არასოდეს თავის სიცოცხლეში ცუდი არაფერი ჩაუდენია. მას არ შეეძლო დაჰკვირებოდა იმას, თუ როგორ იმოქმედებდა მისი საქციელი სხვებზე. არც იმას, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის ამა თუ იმ საქციელს. იგი დარწმუნებული იყო, რომ როგორც იხვია გაჩენილი ისე, რომ მუდამ წყალში უნდა ცხოვრობდეს, ისიც ისევე გააჩინა ღმერთმა, რომ უნდა ცხოვრობდეს ოცდაათი ათასი რუბლი შემოსავლით და მუდამ უმაღლესი მდგომარეობა ეჭიროს საზოგადოებაში. მას ისე მტკიცედ სწამდა ეს, რომ მისი შემყურე სხვებიც რწმუნდებოდნენ ამაში და უარს არ ეუბნებოდნენ არც მაღალ მდგომარეობაზე საზოგადოებაში, არც ფულზე, რასაც იგი, ალბათ, გაუსტუმრებლად სესხულობდა ყველასაგან მარჯვნივ და მარცხნივ.

ანატოლი არ იყო ბანქოს მოთამაშე, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს ეტრფოდა მოგებას. იგი არ იყო დიდების მოყვარული. მისთვის სულერთი იყო, ვინ რას ფიქრობდა მასზე. უფრო ნაკლებად ფიქრობდა პატივმოყვარეობაზე. მან რამდენჯერმე გაიფუჭა კარიერა და გააბრაზა ამით მამა. არად აგდებდა პატივსა და დიდებას. ძუნწი არ იყო და თუ ვინმე სთხოვდა ფულს, უარს არ ეუბნებოდა. ერთი, რაც მას უყვარდა, იყო ლხენა და ქალები, და რადგან, მისი გაგებით, ამაში არაკეთილშობილური არაფერი იყო, ხოლო იმის გარკვევა, თუ რა შედეგი მოსდევდა სხვებისთვის მისი სურვილების დაკმაყოფილებას, არ შეეძლო. ამიტომ გულში თავისი თავი უმწიკვლო ადამიანად მიაჩნდა, გულწრფელად ეზიზღებოდა გაიძვერა და ცუდი ადამიანები და, სინიდისდამშვიდებულს, ამაყად ეჭირა თავი.

ეს მოქეიფეები, ეს მამაკაცი-მაგდალინელები ისევე, როგორც დედაკაცი-მაგდალინელები, გამსჭვალულნი არიან უმანკოების შეგნების საიდუმლო გრძნობითა და მიტევების იმედით. „იმ ქალს ყველაფერი ეპატიება, იმიტომ, რომ ბევრი მამაკაცი უყვარდა. ამ მამაკაცსაც ყველაფერი ეპატიება, იმიტომ, რომ ბევრი იმხიარულა“.

დოლოხოვი, რომელიც განდევნისა და სპარსეთში ხეტიალის შემდეგ ამ წელს კვლავ გამოჩნდა მოსკოვში და რომელიც ხელგაშლილად ატარებდა დროს ბანქოს თამაშსა და ქეიფში, დაუახლოვდა თავის ძველ პეტერბურგელ ამხანაგს კურაგინს, რომელსაც თავისი მიზნებისათვის იყენებდა.

ანატოლს გულწრფელად უყვარდა დოლოხოვი, უყვარდა ჭკუისა და თავაშვებული ცხოვრებისთვის. დოლოხოვი, რომლისთვისაც საჭირო იყო ანატოლ კურაგინის სახელი, გვარიშვილობა, კავშირი თავის საყომარბაზო საზოგადოებაში ახალგაზრდა მდიდარი კაცების შესატყუებლად, სარგებლობდა და ერთობოდა კურაგინით. ამასთან, იქცეოდა ისე, რომ კურაგინი ვერაფერს ხვდებოდა. გამორჩენის გარდა, რისთვისაც მას ანატოლი სჭირდებოდა, თვით პროცესი სხვის ნება-სურვილზე ბატონობისა სიამოვნებად, ჩვეულებად და მოთხოვნილებად გადაექცა დოლოხოვს.

ნატამამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კურაგინზე. თეატრის შემდეგ ვახშამზე, მან, როგორც დიდმა ოსტატმა და მცოდნემ, ჩამოუთვალა დოლოხოვს ნატამას ხელების, მხრების, ფეხებისა და თმის ღირსება და გამოაცხადა თავისი სურვილი გაარშიყებოდა მას. რა გამოვიდოდა აქედან, ანატოლი არ ფიქრობდა და არც იცოდა, როგორც არასოდეს იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა მის ამა თუ იმ საქციელს.

– კარგია, ძმაო, მაგრამ ჩვენთვის არ არის, – უთხრა დოლოხოვმა.

– ვეტყვი დას, რომ სადილად მიიწვიოს, – თქვა ანატოლმა, – რას იტყვი?

– უმჯობესია დაიცადო, სანამ გათხოვდება...

– იცი, რას გეტყვი, – მიუგო ანატოლმა, *j'adore les petites filles* (ვალმერთებ პატარა გოგონებს)! ხელად კარგავენ თავს.

– გოგონამ ერთხელ უკვე გაგაბა მახეში, – თქვა დოლოხოვმა, რომელმაც იცოდა, რომ ანატოლს ცოლი ჰყავდა. სიფრთხილე გმართებს.

– ორჯერ გაბმა არ შეიძლება? – მიუგო ანატოლმა და გულკეთილად გაიცინა.

თავი მეთორმეტე

მეორე დღეს, წარმოდგენის შემდეგ როსტოვები არსად გასულან, არც მათთან მისულა ვინმე. მარია დმიტრიევნას ნატამას ფარულად რაღაცის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა მის მამასთან. ნატამა ხვდებოდა, რომ ლაპარაკი მოხუც თავადზე ჰქონდათ, რომ რაღაცას აწყობდნენ; ყველაფერი ეს აწუხებდა და შეურაცხყოფდა მას. ნატამა ყოველ წუთს მოელოდა თავად ანდრეის და იმ დღეს ორჯერ

მეზობლები კი გაგზავნა ვოზდვიჟენკაზე გასაგებად, ხომ არ ჩამოსულა თავადიო. მაგრამ ჩამოსული არ აღმოჩნდა. ნატაშა ახლა ბევრად უფრო ცუდად გრძნობდა თავს, ვიდრე მოსკოვში ჩასვლის პირველ დღეებში. მოუთმენლობასა და მწუხარებას დაერთო უსიამოვნო მოგონება კნიაჟნა მარიასთან და მოხუც თავადთან შეხვედრის შესახებ და შიში და შეშფოთება, რისი მიზეზიც ვერ გაეგო. ნატაშას მუდამ ეჩვენებოდა, რომ ან თავადი ანდრეი არასოდეს აღარ ჩამოვა, ან ვიდრე ის ჩამოვიდოდა, თვითონ მას შეემთხვეოდა რამე. მას არ შეეძლო წინანდებურად დამშვიდებულად და ხანგრძლივად მისცემოდა მარტოდმარტო ფიქრს მასზე. რაწამს იწყებდა ფიქრს თავად ანდრეიზე, იმავე წამს მოგონებას მასზე უერთდებოდა მოგონება მოხუც თავადზე. კნიაჟნა მარიაზე, უკანასკნელ წარმოდგენაზე და კურაგინზე. მის წინაშე კვლავ წამოიჭრებოდა ხოლმე კითხვა, დამნაშავე ხომ არა ვარ, ხომ არ ვუღალატე თავად ანდრეის ერთგულებასო; და კვლავ იჭერდა იგი თავის თავს იმაში, რომ იგონებდა კურაგინის ყოველ სიტყვას, ყოველ ჟესტს, მისი სახის გამომეტყველების ყოველ იერს, იგონებდა დაწვრილებით, იგონებდა წვრილმანებსაც კი, – იგონებდა ყოველსავე ამას იმ ადამიანისას, რომელსაც ასე ეხერხებოდა ხოლმე გაუგებარი და საშინელი გრძნობის აღძვრა. შინაურების აზრით, ნატაშა ჩვეულებრივზე უფრო გამოცოცხლებული იყო, მაგრამ არა ისე დამშვიდებული და ბედნიერი, როგორც წინათ.

კვირა დილით მარია დიმიტრიევნამ სტუმრები წირვაზე მიიწვია თავის მრევლში, მიძინების ეკლესიაში, მოგილცში.

– არ მიყვარს ეს მოდური ეკლესიები, – ამბობდა ის და ეტყობოდა, ამაყობდა თავისი თავისუფალი აზროვნებით, – ღმერთი ყველგან ერთია. ხუცესი მშვენიერი გვყავს, წირვა-ლოცვას რიგიანად იხდის, კეთილშობილურად; ასეთივეა დიაკვანი. განა რაიმე სიწმინდე ემატება ეკლესიას იმით, რომ კლიროსზე[204] კონცერტებს მღერიან? თავგასულობაა და მეტი არაფერი!

მარია დიმიტრიევნას უყვარდა კვირადღეები და იცოდა მათი კარგად გატარება. შაბათს მთელი სახლი იწმინდებოდა და სუფთავდებოდა. კვირადღეს არ მუშაობდნენ არც თვითონ, არც მსახურნი. ყველანი მორთულნი იყვნენ და წირვას ესწრებოდნენ. ბატონების სადილს საჭმელი ემატებოდა, ხოლო მსახურთ ეძლეოდათ არაყი და მოხრაკული ბატი ან გოჭი. მაგრამ უქმე დღე მთელ სახლში ისე არაფერს არ ეტყობოდა, როგორც მარია დიმიტრიევნას გაშლილ, სასტიკ სახეს, რომელიც ამ დღეს აუცილებლად საზეიმო გამომეტყველებას იღებდა.

როცა წირვის შემდეგ ყავას შეექცეოდნენ ავეჯზე შალითაგადაფარებულ სასტუმრო ოთახში, მარია დიმიტრიევნას მოახსენეს, კარეტა მზად არისო და მან, საპარადოდ შალმოხურულმა, რითაც იგი სადარბაზოდ დაიარებოდა, სასტიკი გამომეტყველებით განაცხადა, რომ თავად ნიკოლაი ანდრეიჩ ბოლკონსკისთან მიდიოდა, რათა ნატაშას შესახებ მოლაპარაკებოდა...

მარია დიმიტრიევნას წასვლის შემდეგ როსტოვებს ეწვიათ მოდური ტანსაცმლის მკერავი მაღამ შალმესგან, და ნატაშაც, მას შემდეგ, რაც მეზობელი ოთახის კარი ჩაიკეტა, მეტად კმაყოფილი სახით შეუდგა ახალი სამოსის ზომვა-სინჯვას. ამ დროს, როცა ნატაშამ უსახელო, უბრალო ძაფით დაბლანდული ლიფი გადაიცვა და თავგადახრილმა სარკეში ჩაიხედა, რათა გაეგო, როგორ იყო გამოყვანილი ზურგი, სასტუმრო ოთახიდან მოესმა მამისა და უცხო ქალის გაცხოველებული ლაპარაკი, რამაც ერთბაშად აუწითლა ლოყები. ეს იყო ელენის ხმა. ვერ მოასწრო ნატაშამ ლიფის გახდა, რომ კარი გაიღო და ოთახში შევიდა მაღალსაყელოიან მუქლილისფერ ხავერდის კაბაში გამოწყობილი გრაფ ბეზუხოვის მეუღლე, გულკეთილი და ალერსიანი ღიმილით გაბრწყინებული.

– Ah, ma délicieuse (ოჰ, ჩემო მომხიბლავო)! – უთხრა მან აღმოდებულ ნატაშას, – Charmante (მშვენიერი)! არა, რას ჰგავს ეს, კეთილო გრაფო! – მიმართა მან ილია ანდრეიჩს, რომელიც ფეხდაფეხ შეჰყვა ოთახში ელენს, – მოსკოვში ცხოვრობდე და არავისთან არ დადიოდე! არა, არაფრით არ

მოგეშვებით. დღეს საღამოთი ჩემთან m-Ile Georges გამოვა დეკლამაციით, შეიკრიბებიან ზოგიერთები და თუ თქვენ არ მოიყვანთ თქვენს მზეთუნახავებს, რომელნიც ბევრად სჯობიან m-Ile Georges-ს, იცოდეთ, ხმას აღარ გაგცემთ. ჩემი ქმარი შინ არ არის, ტვერში წავიდა, თორემ მას გამოვგზავნიდი წამოსაყვანად. უსათუოდ მოდი, უსათუოდ, ცხრა საათზე.

მან თავი დაუქნია ნაცნობ მკერავ ქალს, რომელიც მოწიწებით მიესალმა კნიქსენით; შემდეგ ელენი სავარძელში ჩაესვენა სარკის წინ და ლამაზად გადაშალა ხავერდის კაბის ნაკეციები. გულკეთილად და მხიარულად განაგრძობდა ლაპარაკს და აღტაცებაში მოდიოდა ნატაშას სილამაზით. მან გადასინჯა ნატაშას კაბები და შეაქო ისინი; შეაქო თავისი ახალი კაბაც, en gaz métallique (გაზის[205] მეტალისფერი ქსოვილისგან) შეკერილი; ეს კაბა მან პარიზიდან მიიღო. თანაც ურჩია ნატაშას, მიეზამა მისთვის და პარიზიდან გამოეწერა კაბები.

– თუმცა თქვენ ყველაფერი გიხდებათ, ჩემო მშვენიერო, – დაუმატა მან.

ნატაშას სახეს კმაყოფილების ღიმილი არ შორდებოდა. იგი ბედნიერად გრძნობდა თავს და თითქოს იფურჩქნებო გრაფ ბეზუხოვის საუცხოო მეუღლის ქება-დიდებას მეოხებით, – ბეზუხოვის მეუღლის, რომელიც წინათ მიუდგომელ და ზვიად ქალბატონად ეჩვენებოდა, ხოლო ახლა ძალზე გულკეთილად მოევიდნა. ნატაშა გამხიარულდა, მას თითქმის შეუყვარდა ეს ლამაზი და გულკეთილი ქალი. თავის მხრივ ელენი გულწრფელად იყო აღტაცებული ნატაშათი და გულით სწადდა გაემხიარულებინა იგი. ანატოლმა სთხოვა დას, მოეწყო საქმე ისე, რომ შეხვედროდა ნატაშას და სწორედ ამიტომ ეწვია ელენი როსტოვებს. ნატაშას შეხვედრა ანატოლთან ართობდა ელენს.

ელენი გულნატკენი იყო იმით, რომ ნატაშამ პეტერბურგში პირველ ხანებში გადაიბირა ბორისი, მაგრამ ახლა იგი სულ აღარ ფიქრობდა ამაზე და თავისებურად გულითა და სულით სურდა სიკეთე ნატაშასთვის. როსტოვებიდან წასვლის წინ მან განზე გაიხმო თავისი protégée (პროტეჟე).

– გუშინ ჩემმა ძმამ ისაძლია ჩემთან, სიცილით დავიხოცეთ: არაფერს ჭამს, თქვენზე ოხრავს და კვნესის, ჩემო მშვენიერო. Il est fou, mais fou amoureux de vous, ma chère (გონება დაკარგა, გარწმუნებთ, დაკარგა გონება, ისე უყვარხართ, ჩემო ლამაზო).

ამ სიტყვების გაგონებაზე ნატაშა წითლად აენტო;

– როგორ წითლდებით, როგორ წითლდებით, ma délicieuse (ჩემო მშვენიერო)! – ჩაილაპარაკა ელენმა, – Si vous aimez quelqu'un, ma délicieuse, ce n'est pas une raison pour se cloîtrer. Si même vous êtes promise, je suis sûre que votre promis aurait désiré que vous alliez dans le monde en son absence plutôt que de dépérir d'ennui (უსათუოდ მოდი. თუ ვინმე გიყვართ, ჩემო მშვენიერო, ეს კიდევ არ გამოდგება იმის მიზეზად, რომ თავი ჩაიკეტო. თუნდაც სასძლოც იყოთ, დარწმუნებული ვარ, თქვენი საქმრო უფრო მოსურნე იქნება საზოგადოებაში გამოჩნდეთ ხოლმე, ვიდრე მოწყენილი იჯდეთ სახლში).

„მაშასადამე, იცის, რომ სასძლო ვარ! მაშასადამე, ესეც თავის ქმართან, სამართლიან პიერთან, – ფიქრობდა ნატაშა, – ლაპარაკობდა და იცინოდა ამაზე. მაშასადამე, ეს არაფერია“. და ის, რაც წინათ საზარელი ეგონა, კვლავ ელენის გავლენით უბრალოდ და ბუნებრივად ეჩვენა ნატაშას. „ამ grande dame-ს (წარჩინებულ მანდილოსანს), ამ წარმტაც ადამიანს ეტყობა სულითა და გულით ვუყვარვარ. და რატომ არ უნდა ვიმხიარულო?“ – ფიქრობდა ნატაშა და გაკვირვებული, ფართოდ გაღებული თვალებით შესცქეროდა ელენს.

სადილისთვის მარია დმიტრიევნა დაბრუნდა, დაბრუნდა პირმოკუმული, ალბათ, დამარცხებული მოხუც თავადთან შეხვედრის დროს. იმდენად აღელვებული იყო მომხდარი შეტაკებით, რომ ვერ ახერხებდა მშვიდობიანად მომხდარის ახსნას. გრაფის შეკითხვაზე მან თქვა, რომ ყველაფერმა კარგად

ჩაიარა და ხვალ გაიმბობთო. როცა გაიგო გრაფ ბეზუხოვის მეუღლის სტუმრობა და როსტოვების თავისთან მიწვევა, განაცხადა:

– გრაფ ბეზუხოვის მეუღლესთან საქმის დაჭერა მე არ მიყვარს და არც თქვენ გირჩევთ; მაგრამ რაკი დაჰპირდი, წადი, გაერთობი, – დაუმატა მან, როცა ნატაშას მიმართა.

თავი მეცამეტე

გრაფმა ილია ანდრეიჩმა თავისი ქალიშვილები გრაფ ბეზუხოვის მეუღლესთან წაიყვანა. სადამოს საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო, მაგრამ მთელი საზოგადოება თითქმის უცნობი იყო ნატაშასთვის. გრაფ ილია ანდრეიჩმა შენიშნა, რომ მთელი ეს საზოგადოება შედგებოდა უმთავრესად ისეთი მამაკაცებისა და მანდილოსნებისგან, რომელნიც ურთიერთობაში ცნობილი იყვნენ თავისუფალი მოპყრობით და ეს არ ესიამოვნა. M-Ile Georges, ახალგაზრდებით გარშემორტყმული, სასტუმრო ოთახის კუთხეში იდგა. იყო იქ რამდენიმე ფრანგი და მათ შორის მეტივიე, რომელიც ელენის ჩამოსვლის შემდეგ შინაურ კაცად იქცა მის სახლში. გრაფმა ილია ანდრეიჩმა გადაწყვიტა, არ შესდგომოდა ქალაქის თამაშს, არ მოშორებოდა ქალიშვილებს და დაბრუნებულიყო შინ, როგორც კი M-Ile Georges-ის წარმოდგენა დასრულდებოდა.

ანატოლი, ეტყობოდა, კართან უცდიდა როსტოვების შესვლას. იგი მაშინვე მიესალმა გრაფს, მერე ნატაშასთან მივიდა და აედევნა მას. ანატოლის დანახვისთანავე ნატაშა, ისევე, როგორც თეატრში, ორმა გრძნობამ აიტაცა; მედიდური სიამოვნების გრძნობამ, რომ იგი მოსწონს ყმაწვილკაცს, და შიშის გრძნობამ, რომ არავითარი ზნეობრივი ზღუდე არ არსებობს მასა და ანატოლს შორის.

ელენმა სიხარულით მიიღო ნატაშა და ხმამაღლა გამოხატა თავისი აღტაცება მისი სილამაზისა და ჩაცმულობის გამო.

არ გასულა დიდი ხანი მათი მისვლის შემდეგ, რომ m-Ile Georges ოთახიდან გავიდა ჩასაცმელად. სასტუმრო ოთახში სკამების დალაგებას და ადგილების დაკავებას შეუდგნენ. ანატოლმა სკამი წასწია ნატაშასათვის, უნდოდა თვითონაც გვერდით მოსჯდომოდა, მაგრამ გვერდით გრაფი მოუჯდა, რომელიც თვალს არ აშორებდა ნატაშას. ანატოლი ნატაშას უკან დაჯდა.

M-Ile Georges გამიშვლებული, სქელი მკლავებითი, აქა-იქ ჩაკუჭული სახელოებიანი კაბით, ცალ მხარზე წითელ შალწამოსხმული გამოვიდა და სავარძლებს შორის მისთვის დატოვებულ თავისუფალ ადგილას გაჩერდა, გაჩერდა არაბუნებრივი პოზით. მოისმა აღტაცებული ჩურჩული.

M-Ile Georges-მა მკაცრი და მოღუშული სახით გადახედა საზოგადოებას და დაიწყო კითხვა რაღაც ფრანგული ლექსისა, სადაც ლაპარაკი იყო მის დანაშაულებრივ სიყვარულზე შვილისადმი. ადგილ-ადგილ ხმას უმაღლებდა, ადგილ-ადგილ ჩურჩულებდა, დიდის ამბით სწევდა თავს ზევით, ხან თვალეზგაფართოებული ჩერდებოდა და ხიხინებდა.

– Adorable, divin, délicieux (მომაჯადოებელია, ღვთაებრივია, სასწაულებრივია)! – ისმოდა ყოველი მხრიდან.

ნატაშა შესცქეროდა სქელ Georges-ს, მაგრამ არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა და ვერაფერი გაეგო იმისა, რაც მის წინ ხდებოდა. იგი კვლავ იმ უცნაურ, უგუნურ სამყაროში გრძნობდა თავს, ესოდენ დაშორებულს წინანდელთან, სადაც არ შეიძლება იმის ცოდნა, თუ რა არის კარგი, რა არის ცუდი და რა – უგუნური. მის უკან ანატოლი იჯდა. ნატაშა გრძნობდა მის სიახლოვეს და შეშინებული მოელოდა რაღაცას.

პირველი მონოლოგის შემდეგ მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა და m-Ile Georges-ს შემოეხვია. იგი თავის აღფრთოვანებას უცხადებდა მსახიობს.

– რა საუცხოოა! – უთხრა ნატამამ მამას, რომელიც სხვებთან ერთად ფეხზე წამოდგა და გზას მიიკვლევდა მსახიობი ქალისკენ.

– თქვენი შემყურე ვერ ვიტყვი მაგას, – მიუგო ანატოლმა და გაჰყვა ნატამას. ანატოლმა ეს ისეთ დროს უთხრა, როცა მის სიტყვებს ვერავინ გაიგონებდა, – თქვენ მშვენიერი ხართ... იმ წუთიდან, როცა დაგინახეთ, თავი ვეღარ...

– წავიდეთ, წავიდეთ, ნატამა, – უთხრა გრაფმა ქალიშვილს უკან დაბრუნებისას, – რა ლამაზია!

ნატამა ხმამაღლა მივიდა მასთან, იგი გაკვირვებული შეჰყურებდა მამას, თითქოს ეკითხებოდა რაღაცას.

რამდენიმე სენსის შემდეგ m-Ile Georges წავიდა და გრაფინია ბეზუხოვამ სთხოვა საზოგადოებას, დარბაზში გასულიყო.

გრაფს წასვლა უნდოდა, მაგრამ ელენი შეევედრა, არ გაეფუჭებინა მისი იმპროვიზებული ბალი. როსტოვები დარჩნენ.

ანატოლმა ნატამა ვალსზე მიიწვია და ვალსის დროს წელსა და მკლავზე ხელი მოუჭირა, თანაც წასჩურჩულა, ravissante (მომხიბვლელი) ხართ და მიყვარხართო. ეკოსეზის დროს, რომელსაც ნატამა კვლავ კურაგინთან ცეკვავდა, როცა მარტონი დარჩნენ, ანატოლს არაფერი უთქვამს, მხოლოდ სახეში შეჰყურებდა. ნატამას ეჭვი ეპარებოდა, სიზმარში ხომ არ გავიგონე ის, რაც მან ვალსის დროს მითხრაო. პირველი ფიგურის შემდეგ ანატოლმა კვლავ მოუჭირა ხელი. ნატამამ შემფოთებული თვალები შეანათა, მაგრამ მის ალერსიან შეხედვასა და ღიმილში ისეთი თავდაჯერება და სინაზე იყო გამოხატული, რომ მან ვეღარ შეძლო ეთქვა ის, რისი თქმაც განზრახული ჰქონდა. მან თვალები დახარა.

– ნუ მეუბნებით ასეთ რამეებს, მე დანიშნული ვარ სხვაზე და მიყვარს იგი! – ჩაილაპარაკა ნატამამ სწრაფად და შეხედა ანატოლს. მაგრამ ეს უკანასკნელი არ შეკრთა და არ შეწუხდა იმის გამო, რაც ნატამამ თქვა.

– ნუ გამაგონებთ მაგას! რა მესაქმება მაგასთან? – მიუგო მან, – გეუბნებით, მიყვარხართ, მიყვარხართ თავდავიწყებამდე. განა მე დამნაშავე ვარ, რომ თქვენ მომხიბვლელი ხართ?... აბა, დავიწყეთ.

გამოცოცხლებული, და იმავე დროს შემფოთებული ნატამა ფართოდ გაღებულ, დამფრთხალი თვალებით იყურებოდა ირგვლივ და ჩვეულებრივზე უფრო მხიარული მოჩანდა. მას თითქმის არაფერი ახსოვდა იქიდან, რაც იმ საღამოს მოხდა. ცეკვავდნენ ეკოსეზსა და გროსფატერს. მამა ეძახდა, წავიდეთო, ნატამა ეხვეწებოდა, დავრჩეთო. სადაც უნდა ყოფილიყო, ვისაც უნდა დალაპარაკებოდა, ნატამა გრძნობდა, რომ ანატოლი გაშტერებული შესცქეროდა. მერე ახსოვდა, რომ მამას სთხოვა, ნება მიეცა საპირფარეოში გასულიყო ტანისამოსის გასასწორებლად; ახსოვდა ისიც, რომ ელენი უკან გაჰყვა და სიცილით ჩამოუგდო ლაპარაკი ძმის სიყვარულზე. შემდეგ მცირე სადივანოში კვლავ შეხვდა ანატოლს; ელენი სადღაც გაქრა, ისინი მარტონი დარჩნენ, ანატოლმა ხელი წაავლო და ნაზი ხმით უთხრა:

– მე არ შემიძლია თქვენს ოჯახში სიარული, მაგრამ ნუთუ ვერასოდეს ვეღარ გნახავთ?.. გაგიჟებით მიყვარხართ. ნუთუ ვერასოდეს?.. – და მან, გადაუღობა ნატამას გზა და მისი სახისკენ დაიხარა.

ანატოლის გაბრწყინებული, დიდი, მამაკაცური თვალები ისე ახლო იყო მის თვალთაგან, რომ ნატამა ამ თვალებს გარდა ვეღარაფერს ვეღარ ხედავდა.

– ნატალი?! – ჩაიჩურჩულა, თითქოს ეკითხებო, ანატოლის ხმამ და ვიღაცამ ხელზე მაგრად მოუჭირა ხელი, – ნატალი?!

„მე არაფერი მესმის, სათქმელიც არაფერი მაქვს“, თქვეს ქალის თვალებმა.

მხურვალე ტუჩები მიეკვრნენ მის ტუჩებს და იმავე წუთს ნატამ თავი კვლავ თავისუფალ ადამიანად იგრძნო.

ოთახში მოისმა ელენის ფეხის ხმა და მისი კაბის შრიალი. ნატამ ელენისკენ მიიხედა, შემდეგ აწითლებულმა და აკანკალებულმა, შეშინებული თვალებით შეხედა ანატოლს და კარისკენ გაემართა.

– Un mot, un seul, au nom de Dieu (ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა, ღვთის გულისათვის)! – წამოიძახა ანატოლმა.

ნატამა შეჩერდა. ქალს გულით სწადადა, ანატოლს ის სიტყვა წარმოეთქვა, რომელიც აუხსნიდა მას ყველაფერს, რაც მოხდა და რაზედაც ნატამა პასუხს გასცემდა.

– Nathalie, un mot, un seul (ნატალი, ერთი სიტყვა, ერთი სიტყვა), – იმეორებდა იგი ერთსა და იმავეს, ეტყობოდა, არ იცოდა, რა ეთქვა, და იმეორებდა მანამდე, სანამ მათთან ელენი არ მივიდა.

ელენი ნატამასთან ერთად კვლავ შევიდა სასტუმრო ოთახში. როსტოვეები წავიდნენ, ისე წავიდნენ, რომ ვახშმად აღარ დარჩნენ.

შინდაბრუნებულ ნატამას მთელი ღამე არ დაუძინია: ტანჯავდა გადაუჭრელი კითხვა – ვინ უყვარდა: ანატოლი თუ თავადი ანდრეი? თავადი ანდრეი უყვარდა, ცხადად ახსოვდა, როგორ ძლიერ უყვარდა იგი. მაგრამ უყვარდა ანატოლიც, – ეს უეჭველი იყო. „წინააღმდეგ შემთხვევაში, განა ყველაფერი ეს მოხდებოდა? – ფიქრობდა იგი, – თუკი მე ამის შემდეგ, გამოთხოვებისას, ღიმილით გავეცი პასუხი მის ღიმილზე, თუკი მე აქამდე მივედი, აშკარაა, რომ მე პირველი წუთიდანვე შევიყვარე იგი. იგი კეთილი, კეთილშობილი და საუცხოო ადამიანია, და არ შეიძლებოდა არ შემყვარებოდა. რა უნდა ვქნა, როცა მიყვარს ისიც და მეორეც?“ – ეკითხებოდა ნატამა თავის თავს და ვერ პოულობდა პასუხს ამ საზარელ კითხვებზე.

თავი მეთოთხმეტე

დადგა დილა თავისი საზრუნავ-საფიქრალით. ყველანი ადგნენ, ამოძრავდნენ, ალაპარაკდნენ; კვლავ მოვიდნენ ტანისამოსის მკერავნი, კვლავ გამოვიდა მარია დმიტრიევნა და მიიწვიეს ჩაიზე ყველანი. ნატამა ფართოდ გაღებულ თვალებით დადიოდა, თითქოს უნდოდა სხვებისთვის დაესწრო და თვითონ გაეტაცა მისკენ მიპყრობილი ყოველი მხერა, იგი შემფოთებული შეჰყურებდა ყველას და ცდილობდა სჩვენებოდა სხვებს ისეთად, როგორც მუდამ იყო.

საუზმის შემდეგ მარია დმიტრიევნა (ეს მისი საუკეთესო დრო იყო) სავარძელში ჩაჯდა; მან ნატამა და მოხუცი გრაფი მიიხმო.

– აი, მეგობრებო, მთელი საქმე ავწონ-დავწონე, მოვიფიქრე, ჰოდა, ჩემი რჩევა ასეთია, – დაიწყო მან, – გუშინ, როგორც უკვე იცით, თავად ნიკოლაისთან ვიყავი; მოველაპარაკე, როგორც წესი და რიგია... ყვირილი დააპირა, მაგრამ, იცოცხლე, მე იმას ვუყვირე: ყვირილში ის მე ვერ მაჯობებს. ყველაფერი გადმოვულაგე.

– რაო, მერე? – ჰკითხა გრაფმა.

– რა უნდა მოსთხოვო გადარეულს? გაგონებაც კი არ უნდა! ან რაზე უნდა მელაპარაკა? ისედაც გავტანჯეთ საწყალი გოგონა, – თქვა მარია დმიტრიევნამ. – ხოლო ჩემი რჩევა ასეთია: დაასრულეთ საქმეები და გასწით შინ, ოტრადნოეში... და იქ დაელოდეთ...

– არა, არა! – წამოიძახა ნატაშამ.

– არა, კი არა, უნდა წახვიდეთ! – მიუგო მარია დმიტრიევნამ, – იქ დაელოდებით. თუ შენი საქმრო აქ ჩამოვიდა, უდავიდარაბოდ საქმე არ დასრულდება; აქ ის მარტოდმარტო მოელაპარაკება მოხუცს და შემდეგ თქვენთან ჩამოვა.

ილია ანდრეიჩმა მოიწონა ეს წინადადება, მიხვდა მაშინვე მის სრულ გონიერებას: თუ მოხუცი მორბილდა, მით უფრო ადვილი იქნება მერე მასთან ჩამოსვლა მოსკოვში ან ჩასვლა ლისიგორაში; თუ არ მორბილდა, მაშინ ჯვრისწერა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ შესაძლებელი გახდება მხოლოდ ოტრადნოეში.

– ჭეშმარიტებაა! – თქვა მან, – ვწუხვარ, რომ მასთან ვიყავი და ნატაშაც წავიყვანე, – დაუმატა მოხუცმა გრაფმა.

– არა, სამწუხარო რა უნდა იყოს? რაკი აქ იყავით, პატივიც უნდა გეცათ, ხოლო თუ მან არ მოისურვა, ეს მისი საქმეა, – მიუგო მარია დმიტრიევნამ და შეუდგა რაღაცის ძებნას რედიკიულში, – მზითევიც ხომ მზად არის, რაღას უნდა უცადოთ? რაც არ არის მზად, გადმოგიგზავნით. თუმცა მებრალებით, მაგრამ მაინც წასვლა სჯობს, – ამასობაში იპოვა, რასაც ეძებდა, მარია დმიტრიევნამ გადასცა იგი ნატაშას. ეს იყო კნიაჟნა მარიას წერილი.

– შენ გწერს. ძალზე წუხს, უბედური. ემინია, არ იფიქრო, თითქოს არ უყვარხარ.

– არც ვუყვარვარ, – მიუგო ნატაშამ.

– სისულელეა, ნუ ამბობ მაგას! – შეუტია მარია დმიტრიევნამ.

– არავის არ დაუუჯერებ: ვიცი, რომ არ ვუყვარვარ, – თქვა ნატაშამ დაურიდებლად და წერილი აიღო. მისი სახე უდრეკ და ბოროტ გადაწყვეტილებას გამოხატავდა, რამაც აიძულა მარია დმიტრიევნა უფრო გულდასმით დაჰკვირვებოდა და უფრო მეტად მოღუშულიყო.

– შენ, შვილო და დაო, ასე ნუ მპასუხობ, – მიუგო მარია დმიტრიევნამ, – რასაც გეუბნები, ჭეშმარიტებაა. პასუხი მისწერე.

ნატაშამ არაფერი უპასუხა და თავის ოთახში შევიდა კნიაჟნა მარიას წერილის წასაკითხად.

კნიაჟნა მარია სწერდა, – სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო ჩვენ შორის მომხდარმა გაუგებრობამო; რა გრძნობითაც უნდა ყოფილიყო შეპყრობილი მისი მამა, კნიაჟნა მარია სთხოვდა ნატაშას, ერწმუნა მისი გულწრფელობა, ერწმუნა, რომ მას არ შეეძლო არ ჰყვარებოდა ის, ვინც მისმა ძმამ აირჩია და ვისი ბედნიერებისთვისაც იგი მზად იყო თავი გაეწირა.

„თუმცა, – სწერდა იგი, – არ იფიქროთ, მამაჩემი ცუდად იყოს განწყობილი თქვენდამი. მამა ავადმყოფი და მოხუცი ადამიანია, რომელსაც ყველაფერი უნდა ეპატიოს. სამაგიეროდ, იგი კარგი და გულკეთილი მოხუცია, მას მუდამ ეყვარება ის, ვინც ბედნიერება მოუტანა მის შვილს“. კნიაჟნა მარია სთხოვდა შემდეგ, დაენიშნა დრო, როცა შეძლებდა მის ნახვას.

წერილის წაკითხვის შემდეგ ნატაშა საწერ მაგიდას მიუჯდა პასუხის დასაწერად: „Chère princesse (საყვარელო კნიაჟნა!) – სწრაფად, მექანიკურად დაწერა და შეჩერდა, – რაღა უნდა მივწერო ყველა იმის შემდეგ, რაც გუშინ მოხდა? დიახ, დიახ, ყველაფერი ეს მოხდა, და ახლა უკვე სხვაა, – ფიქრობდა იგი და

დაწყებულ წერილს დასცქეროდა, – უარი უნდა შევუთვალო? ნუთუ საჭიროა ეს? საშინელება!..“ და რათა უკუეგდო თავიდან ეს საშინელი ფიქრები, სონიასთან გავიდა და მასთან ერთად სახეების გარჩევას შეუდგა.

სადილის შემდეგ ნატაშამ თავის ოთახს მიაშურა. მან კვლავ აიღო კნიაჟნა მარიას წერილი. „ნუთუ ყველაფერი უკვე დასრულდა? – ფიქრობდა იგი, – ნუთუ ასე სწრაფად მოხდა ყოველივე ეს და ასე სწრაფად მოსპო მან ყოველივე წინანდელი?“ ნატაშამ მთელი ძალით გაიხსენა თავისი წინანდელი სიყვარული თავად ანდრეისადმი; ამავდროულად გრძნობდა, რომ უყვარდა კურაგინი. ცოცხლად წარმოიდგინა თავისი თავი თავად ანდრეის ცოლად, წარმოიდგინა გონებაში მასთან ცხოვრების არაერთხელ განმეორებული ბედნიერი სურათი და ამასთანავე, მღელვარებისგან აღტყინებულს, აშკარად წარმოესახა ანატოლისთან გუშინდელი შეხვედრის ყოველი წვრილმანი.

„რატომ არ შეიძლებოდა ყოველივე ეს ერთად? – ფიქრობდა ზოგჯერ იგი მთლად გონებადახშული, – მხოლოდ მაშინ ვიქნებოდი სავსებით ბედნიერი; ახლა კი ერთ-ერთი უნდა ავირჩიო, ერთ-ერთი მათგანის გარეშე მე ბედნიერებას ვერ ვეღირსები. ერთი რამ კიდევ, – ფიქრობდა იგი, – თქმა ან დამალვა თავად ანდრეისთვის იმისა, რაც მოხდა – ერთნაირად შეუძლებელია. ამასთანავე არც არაფერი გაფუჭებულია. მაგრამ ნუთუ სამუდამოდ უნდა მივატოვო თავად ანდრეის სიყვარულთან დაკავშირებული ბედნიერება, რითაც მე ასე დიდხანს ვცხოვრობდი?“

– ქალბატონო, – ჩურჩულით და საიდუმლო გამომეტყველებით მიმართა ოთახში შესულმა მოახლე გოგომ ნატაშას, – ერთმა კაცმა მიბრძანა გადმოგცეთ ეს, – და გოგომ წერილი გადასცა, – მხოლოდ, ღვთის გულისათვის... – ჯერ კიდევ ეუბნებოდა გოგო, როცა ნატაშამ მექანიკური მოძრაობით ბეჭედი მოჰკლიჯა კონვერტს და დაიწყო კითხვა ანატოლის სატრფიალო წერილისა, რომლიდანაც ვერც ერთი სიტყვა ვერ გაეგო, გარდა ერთისა, რომ წერილი მისგან იყო, იმ კაცისაგან, რომელიც უყვარდა. „დიახ, უყვარდა, წინააღმდეგ შემთხვევაში განა შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა? განა შეიძლებოდა მას ხელში ჩავარდნოდა მისი სატრფიალო წერილი?“

აკანკალებული ხელებით ეჭირა ნატაშას ეს ვნებით აღსავსე სატრფიალო წერილი, შედგენილი ანატოლისთვის დოლოხოვის მიერ. ნატაშა კითხულობდა წერილს და პოულობდა მასში გამოხმაურებას ყოველსავე იმაზე, რასაც გრძნობდა და განიცდიდა.

„გუშინდელი საღამოდან ჩემი ბედი გადაწყვეტილია: უნდა გიყვარდეთ თქვენ ან უნდა მოვკვდე, სხვა გზა არა მაქვს!“ – ასე იწყებოდა წერილი. შემდეგ ანატოლი იწერებოდა: ვიცი, თქვენი მშობლები თქვენს თავს არ მომცემენ; ამას თავისი საიდუმლო მიზეზები აქვს, რისი გამხელაც მას, ანატოლს, მარტო მისთვის შეუძლია; მაგრამ თუ მას მართლა უყვარს იგი, საკმარისია, წარმოთქვას ერთი სიტყვა: ჰო, რომ ვერავითარმა ადამიანურმა ძალამ ხელი ვერ შეუშალოს მათ ნეტარებას. სიყვარული ყველაფერს დაძლევეს. იგი გაიტაცებს მას და ცხრა მთას იქით გადაამალავს.

„დიახ, დიახ, მიყვარს იგი!“ – ფიქრობდა ნატაშა და მეოცედ კითხულობდა წერილს. წერილის ყოველ სიტყვაში ის რაღაც განსაკუთრებულ, უაღრესად ღრმა აზრს ეძებდა.

იმ საღამოს მარია დმიტრიევნა არხაროვებთან მიდიოდა. მან წინადადება მისცა ქალიშვილებს, წაჰყოლოდნენ ისინიც. ნატაშამ თავის ტკივილი მოიმიზეზა და შინ დარჩა.

თავი მეთხუთმეტე

გვიან ღამით დაბრუნებულმა სონიამ ნატაშას ოთახში შეიხედა და თავისდა გასაოცრად დაინახა, რომ მას გაუხდელად ეძინა. მის წინ მაგიდაზე ანატოლის გაშლილი წერილი ეგდო. სონიამ წერილი აიღო და კითხვა დაიწყო.

კითხულობდა წერილს და შეჰყურებდა ნატაშას, მის სახეზე უნდოდა ამოეკითხა ის, რასაც წერილში კითხულობდა, მაგრამ ვერ პოულობდა. სახე მშვიდი, წყნარი და ბედნიერი ჰქონდა. სუნთქვა შეეკრა სონიას. შიშისა და მღელვარებისგან ფერწასული და აკანკალებული სავარძელში ჩაჯდა და ცრემლად გადაიქცა.

„როგორ მოხდა, რომ ვერაფერი ვერ შევნიშნე? როდის მოახერხეს ასე შორს შეტოპვა? ნუთუ გადაიყვარა მან თავადი ანდრეი? როგორ მისცა ნება კურაგინს, აქამდე მისულიყო? ის მატყუარაა, ავაზაკი – ეს ცხადია! რა დაემართება ნიკოლაის, საყვარელ, კეთილშობილ ნიკოლაის, როცა გაიგებს ყოველივე ამას? აი, თურმე რას ნიშნავდა ნატაშას აღელვებული, გაბედული და არაბუნებრივი სახე გუშინწინ, გუშინ და დღეს! – ფიქრობდა სონია, – შეუძლებელია, რომ ნატაშას უყვარდეს იგი! ალბათ, არ იცოდა, ვისგან იყო ეს წერილი, და გახსნა. ალბათ, ახლა იგი შეურაცხყოფილია. ვერ ჩაიდენს ნატაშა ასეთ რამეს“.

სონიამ ცრემლები მოიწმინდა და ნატაშასთან მივიდა, კვლავ დააცქერდა მის სახეს.

– ნატაშა! – ჩასძახა ოდნავ გასაგონად.

ნატაშამ გაიღვიძა და სონია დაინახა.

– დაბრუნდა?

და ნატაშა მტკიცედ და ნაზად, რაც ხშირად ემართება ხოლმე კაცს გაღვიძების წუთებში, გადაეხვია თავის მეგობარს. მაგრამ, შენიშნა თუ არა შეცბუნება სონიას სახეზე, თავადაც შეცბუნდა და დაეჭვდა.

– სონია, წაიკითხე წერილი? – ჰკითხა მან.

– წავიკითხე, – მიუგო სონიამ ჩუმად.

ნატაშამ აღფრთოვანებით გაუღიმა.

– არა, სონია, მეტი აღარ შემიძლია! – წამოიძახა მან, – ვეღარ დაგიმაღავ. იცოდე, რომ გვიყვარს ერთმანეთი. სონია, ჩემო მტრედო, იწერება... სონია...

სონია, თითქოს ყურს არ უჯერებსო, გაშტერებული თვალებით შესცქეროდა ნატაშას.

– ბოლკონსკი? – ჰკითხა სონიამ.

– ოჰ, სონია, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ, – მიუგო ნატაშამ, – შენ არ იცი, რა არის სიყვარული...

– მერე, ნატაშა, ნუთუ ყველაფერი ის დასრულდა?

ნატაშა დიდი, ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა სონიას, თითქოს არ ესმოდა, რას ეკითხებოდა იგი.

– განა უარს ეუბნები თავად ანდრეის? – ჰკითხა სონიამ.

– შენ არაფერი გესმის, სონია, სისულელეს ნუ ამბობ, ყური დამიგდე! – უკმაყოფილოდ მიმართა ნატაშამ.

– ვერა, ვერ დავიჯერებ, – გაიმეორა სონიამ, – არ მესმის: მთელ წელიწადს გიყვარდა ერთი კაცი და ერთბაშად... შენ ხომ მხოლოდ სამჯერ ნახე ის კაცი. ნატაშა, ვერ დაგიჯერებ, ეშმაკობ, სამ დღეში დაივიწყო კაცმა ყველაფერი, დაივიწყო ისე...

– სამი დღეო? – გამოედავა ნატაშა, – მე მგონია, ასი წელიწადია მიყვარს იგი. მე მგონია, არავინ არასოდეს მასზე ადრე არ მიყვარებია... შენ ამას ვერ გაიგებ, სონია! მომისმინე, აი, ჩამოჯექი აქ, – ნატაშა გადაეხვია და გადაკოცნა სონია, – გამიგონია და შენც, ალბათ, გაგონილი გექნება, რომ ასეთი რამ ხდება, მაგრამ მე თვითონ მხოლოდ ახლა გამოვცადე სიყვარული. ეს ის არ არის, რაც წინათ განმიცდია. დავინახე თუ არა, ვიგრძენი, რომ იგი ჩემი მბრძანებელია და მე მონა ვარ მისი, და არ ძალმძის, არ მიყვარდეს იგი. დიახ, მონა ვარ! რასაც მიბრძანებს, იმას შევასრულებ. შენ ვერ გაიგებ ამას. რა ვქნა, სონია? როგორ მოვიქცე? – ეკითხებოდა ნატაშა ბედნიერი და შეშინებული სახით.

– დაუფიქრდი, ნატაშა, რას სჩადიხარ! – ეუბნებოდა სონია, – მე ვერ დავტოვებ ამას უყურადღებოდ. ეგ საიდუმლო წერილები... როგორ მიხვედი აქამდე? – ამბობდა იგი ზარდაცემული და ზიზღით, რის დაფარვასაც ძლივს ახერხებდა.

– ხომ გითხარი, – მიუგო ნატაშამ, – რომ ნებისყოფა დავკარგე, როგორ არ გესმის: მიყვარს, მიყვარს იგი! – მე ნებას არ მოგცემ, ბოლომდე მიიყვანო საქმე. ვუამბობ ჩვენებს ყველაფერს! – წამოიძახა სონიამ, თვალზე ცრემლმომდგარმა.

– რას ამბობ, სონია, ღვთის გულისათვის!.. თუ უამბობ ვისმეს, ჩემი მტერი იქნები, – მიუგო სწრაფად ნატაშამ, – შენ ჩემი უბედურება გწადა, გინდა, რომ დაგვაშორონ...

როცა სონიამ ნატაშას თვალეში შიში დაინახა, ატირდა სირცხვილისა და სიბრალულის ცრემლით თავისი მეგობრისადმი.

– მაგრამ რა მოხდა თქვენ შორის? – ჰკითხა მან, – რა გითხრა? რატომ ოჯახში არ დაიარება?

ნატაშამ პასუხი არ გასცა ამ კითხვებზე.

– ღვთის გულისათვის, სონია, ნურავის ნურაფერს ნუ ეტყვი, ნუ დამტანჯავ, – ევედრებოდა ნატაშა, – გახსოვდეს, რომ არ უნდა ჩაერიო ასეთ საქმეში. მე გამოგიტყდი...

– მაგრამ რატომ გჭირდება ეს საიდუმლოება? რატომ არ დაიარება ის ჩვენს ოჯახში? – ეკითხებოდა სონია, – რატომ აშკარად არ ითხოვს შენს ხელს? თუ ასეა, ხომ მოგცა თავადმა ანდრეიმ სრული თავისუფლება? მაგრამ მე არაფერი მჯერა მისი. ნატაშა, მითხარი, დაუფიქრდი თუ არა, რა საიდუმლო მიზეზები შეიძლება ედოს საფუძვლად ამ ყოველივეს?

ნატაშა გაოცებული თვალეში შესცქეროდა სონიას. ეტყობოდა, თვითონ მასაც პირველად დაებადა ეს კითხვა და არ იცოდა, როგორი პასუხი გაეცა მასზე.

– არ ვიცი, რა მიზეზებია, მაგრამ, ალბათ, არის მიზეზები.

სონიამ ამოიოხრა და თავი უნდობლად გააქნია.

– რომ იყოს მიზეზები... – დაიწყო მან.

მაგრამ ნატაშა ხვდებოდა სონიას ეჭვებს და შეშინებულმა სიტყვა გააწყვეტინა.

– სონია, არ შეიძლება მასზე ეჭვის შეტანა, არ შეიძლება, არა! გესმის თუ არა! – დაუყვირა ბოლოს.

– უყვარხარ კი?

- ვუყვარვარ? – გაიმეორა ნატაშამ სიბრაღელების დიმილით. ებრალებოდა, რომ ასეთი მიუხვედრელი იყო მისი მეგობარი, – ხომ წაიკითხე წერილი, ხომ ნახე?
 - მაგრამ თუ კეთილშობილი კაცი არ არის?
 - ის!.. არ არის კეთილშობილი კაცი? რომ იცნობდე, არ იტყოდი მაგას! – მიუგო ნატაშამ.
 - ის რომ კეთილშობილი კაცი ყოფილიყო, უნდა აეხსნა თავისი განზრახვა ან ხელი აელო შენთან შეხვედრაზე, და თუ შენ არ გინდა ამის ჩადენა, მე ჩავიდენ, წერილს მივწერ, მამას ვეტყვი, – გადაჭრით უთხრა სონიამ.
 - არ შემძლია ცხოვრება უიმისოდ! – წამოიძახა ნატაშამ.
 - ნატაშა, შენი ვერაფერი გავიგე! რას ამბობ, გაიხსენე მამა. Nicolas...
 - მე არავინ მჭირდება, მე მის გარდა არავინ მიყვარს! როგორ ბედავ და ამბობ, კეთილშობილი კაცი არ არისო? განა არ იცი, რომ მიყვარს? – ყვიროდა ნატაშა, – სონია, წადი, წადი აქედან! არ მინდა, წაგეჩხუბო. წადი, ღვთის გულისათვის: ხომ ხედავ, როგორ ვიტანჯები! – ყვიროდა გაბოროტებული ნატაშა შეკავებული, მაგრამ მაინც გაღიზიანებული და სასოწარკვეთილი ხმით.
- სონიას ტირილი აუვარდა, იგი ოთახიდან გავიდა.
- ნატაშა მაგიდასთან მივიდა და უყოყმანოდ მისწერა პასუხი კნიაჟნა მარიას, რომლის დაწერაც ვერ მოახერხა მთელი დილის განმავლობაში. ამ ბარათში იგი მოკლედ სწერდა კნიაჟნა მარიას, რომ ამიერიდან ბოლო ეღება ყველა გაუგებრობას მათ შორის და რომ იგი, ნატაშა, სარგებლობს თავად ანდრეის სულგრძელობით, რომელმაც წასვლისას თავისუფლება მიანიჭა, და სთხოვს ახლა კნიაჟნას, დაივიწყოს ყველაფერი და აპატიოს, თუ რამე დანაშაული მიუძღვის მის წინაშე, მაგრამ მას არ შეუძლია თავად ანდრეის ცოლად გაჰყვეს...
- ყოველივე ეს ნატაშას იმ წუთში მეტად იოლ და უბრალო საქმედ ეჩვენებოდა.
- პარასკევს როსტოვები სოფელში უნდა გამგზავრებულიყვნენ, ხოლო ოთხშაბათს გრაფი მამულის მყიდველთან ერთად მოსკოვის გუბერნიაში მდებარე მამულში უნდა წასულიყო.
- გრაფის წასვლის დღეს სონია და ნატაშა დიდ სადილზე იყვნენ მიწვეული კურაგინებთან, და მარია დმიტრიევნამ წაიყვანა კიდევაც ისინი. ამ სადილზე ნატაშა ისევ შეხვდა ანატოლს და სონიამ შენიშნა, რომ ნატაშამ რაღაც უთხრა მას, თანაც შეეცადა, არავის გაეგონა ნათქვამი. მთელი სადილის განმავლობაში ნატაშა წინანდელზე მეტად იყო აღელვებული. როცა შინ დაბრუნდნენ, ნატაშამ პირველმა ჩამოაგდო სონიასთან ლაპარაკი მომხდარ ამბებზე, რასაც სონია უკვე მოელოდა.
- აი, შენ, სონია, სხვადასხვა სისულელეს მეუბნები იმაზე, – დაიწყო ნატაშამ მშვიდი ხმით, ისეთი ხმით, როგორითაც ბავშვები ლაპარაკობენ, როცა უნდათ, რომ დიდებმა შეაქონ, – დღეს ჩვენ მოვილაპარაკეთ.
 - მერე, რაო? რა გითხრა? რა მოხარული ვარ, ნატაშა, რომ შენ ჩემზე არ ჯავრობ. მითხარი ყველაფერი, მთელი სიმართლე. რა გითხრა?
- ნატაშა ჩაფიქრდა.
- ოჰ, სონია, შენ რომ ისე კარგად იცნობდე, როგორც მე ვიცნობ!.. მან თქვა... მან მკითხა, რა პირობა მქონდა მიცემული ბოლკონსკისთვის. გაუხარდა, რომ ჩემზეა დამოკიდებული უარის თქმა.
- სონიამ მწარედ ამოიოხრა.
- მაგრამ შენ ხომ ბოლკონსკისთვის უარი არ გითქვამს? – ჰკითხა სონიამ.

– იქნებ ვუთხარი კიდევ უარი! იქნებ ყველაფერი დასრულებულია ბოლკონსკისთან! რატომ ფიქრობ მაგრე ცუდად ჩემზე?

– მე არაფერსაც არ ვფიქრობ, მე მხოლოდ არ მესმის...

– მოიცა, სონია, ყველაფერს გაიგებ. ნახავ, რა კაცია. ცუდს ნუ ფიქრობ ნურც ჩემზე და ნურც მასზე.

– მე არავისზე ცუდს არ ვფიქრობ. მე ყველა მიყვარს და ყველა მეზრალეა. მაგრამ რა შემძლია მე? სონიას ვერ იმორჩილებდა ის ნაზი კილო, რომელსაც ნატაშამ მიმართა. რაც უფრო შერბილებული და მოთვინიერებული ჩანდა ნატაშას სახის გამომეტყველება, მით უფრო სერიოზულად და მკაცრად გამოიყურებოდა სონია.

– ნატაშა, – მიმართა სონიამ, – მთხოვე, აღარ დაგელაპარაკო და მეც გავჩუმდი; ახლა შენ თვითონ დაიწყე. ნატაშა, მე არ მჯერა მისი. რა საჭიროა ეს საიდუმლოება?

– ისევ და ისევ იმას იმეორებ! – გააწყვეტინა ნატაშამ.

– ნატაშა, ვშიშობ შენ გამო.

– რატომ შიშობ?

– ვშიშობ, რომ თავს დაილუპავ, – გადაჭრით თქვა მან და თვითონვე შეეშინდა თავისი სიტყვებისა. ნატაშას სახე კვლავ ღვარძლმა დაუფარა.

– ჰოდა, დავილუპავ, დიახ, დავილუპავ, რაც შეიძლება მალე დავილუპავ თავს! თქვენი საქმე არ არის. თქვენ ხომ არა, მე დამემართება ცუდი საქმე. გამანებე, გამანებე თავი! მძულხარ, დიახ, მძულხარ!

– ნატაშა! – შესძახა შეშინებულმა სონიამ.

– მძულხარ, მძულხარ! შენ სამუდამოდ ჩემი მტერი ხარ!

ნატაშა ოთახიდან გავარდა.

იგი აღარ დალაპაკებია სონიას, გაურბოდა კიდევ. იმავე გამომეტყველებით – ალეღვებული გაკვირვებისა და დანაშაულებრივი გამომეტყველებით – დადიოდა იგი ოთახებში, ხან რას მოჰკიდებდა ხელს, ხან რას და იმავე წუთს თავს ანებებდა.

ძალიან ეძნელებოდა სონიას, მაგრამ იგი მაინც თვალს არ აშორებდა თავის მეგობარს.

გრაფის დაბრუნების წინადღეს სონიამ შენიშნა, რომ ნატაშა მთელ დილას სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან იჯდა, თითქოს რაღაცას ელისო. შენიშნა ისიც, რომ მან რაღაც ანიშნა ქუჩაში მიმავალ სამხედროს, რომელიც სონიამ ანატოლად შეიცნო.

სონიამ უფრო გულმოდგინედ დაუწყო თვალყურის დევნება მეგობარს და შენიშნა, რომ ნატაშა მთელი სადილისა და საღამოს განმავლობაში რაღაც უცნაურ და არაბუნებრივ მდგომარეობაში იყო (შეკითხვებზე არეულ პასუხს იძლეოდა, იწყებდა და არ ამთავრებდა ფრაზებს, ყველაფერზე იცინოდა).

ჩაის შემდეგ სონიამ დაინახა ნატაშას ოთახის კართან მორიდებულად მდგომი მოახლე გოგო, რომელიც მის გამოსვლას ელოდა. სონიას გამოსვლის შემდეგ გოგო შევიდა და როცა სონიამ კართან ყური დაუგდო, გაიგო, რომ გოგომ კვლავ გადასცა წერილი.

და უეცრად სონიასთვის ცხადი გახდა, რომ ნატაშას რაღაც საშინელი გეგმა ჰქონდა შემუშავებული დღეს საღამოსთვის. სონიამ კარზე დაუკაკუნა, ნატაშამ არ შეუშვა.

„ნატამა მასთან ერთად გაიქცევა, – გაივლო სონიამ თავში, – მას ყველაფრის ჩადენა შეუძლია. დღეს მის სახეზე რაღაც განსაკუთრებულად უბადრუკი და ამავე დროს ურყევი იყო აღბეჭდილი. იტირა, როცა ბიძიას გამოეთხოვა, – გაიხსენა სონიამ, – დიახ, სწორია, მასთან ერთად აპირებს გაქცევას. მაგრამ რა ვქნა მე? – ფიქრობდა სონია, თან გაიხსენა ის ნიშნები, რომლებიც ცხადად ადასტურებდნენ, რომ ნატამას საზარელი რაღაც ჰქონდა გადაწყვეტილი. – გრაფი აქ არ არის. რა უნდა ვქნა? მივწერო კურაგინს და მოვთხოვო განმარტება? მაგრამ ვინ დაატანს ძალას, რომ პასუხი მომცეს? მივწერო პიერს, როგორც ითხოვა თავადმა ანდრეიმ, მისთვის მიგვემართა უბედურების დროს?.. მაგრამ ნატამამ იქნებ მართლა უკვე შეუთვალა უარი ბოლკონსკის (გუმბინ გაუგზავნა მან წერილი კნიაჟნა მარიას). ბიძია აქ არ არის!“

ეთქვა მარია დმიტრიევნასთვის, რომელიც ასე უჯერებდა ნატამას, სონიას საშინელ საქმედ მიაჩნდა.

„მაგრამ ასეა თუ ისე, – ფიქრობდა ბნელ დერეფანში მდგომი სონია, – სწორედ ახლა დადგა დრო, დავუმტკიცო მათ, რომ მე მახსოვს მათი ოჯახის ყველა სიკეთე და მიყვარს Nicolas. არა, თუნდაც სამ ღამეს არ დავიძინებ და ამ დერეფნიდან მაინც არ გავალ, ძალით არ გავუშვებ ნატამას და ნებას არ მივცემ, სირცხვილი დაატყდეს თავს მათ ოჯახს“, – ფიქრობდა სონია.

თავი მეთექვსმეტე

ბოლო დროს ანატოლი დოლოხოვთან გადასახლდა. როსტოვას გატაცების გეგმა უკვე რამდენიმე დღეა მოფიქრებული და გამზადებული იყო დოლოხოვის მიერ, და იმ დღეს, როცა სონიამ ნატამას კარს მიაყურა და გადაწყვიტა დაეცვა იგი, ეს გეგმა სისრულეში უნდა მოეყვანათ. ნატამა ათ საათზე გავიდოდა კურაგინთან უკანა პარმალზე. კურაგინს უნდა ჩაესვა იგი წინასწარ მომზადებულ სამცხენიან მარხილში და წაეყვანა მოსკოვიდან სამოც ვერსზე მდებარე სოფელში, კამენკაში, სადაც გაკრეჭილ მღვდელს ჯვარი უნდა გადაეწერა მათთვის. კამენკაში მზად იყვნენ ცხენები და ეტლი, რომლითაც ისინი ვარშავის გზაზე უნდა გასულიყვნენ, ხოლო იქიდან საფოსტო ცხენებით საზღვარგარეთ გასდგომოდნენ გზას.

ანატოლს პასპორტიც ჰქონდა და სამგზავრო მოწმობაც. ჰქონდა დის მიერ მიცემული ათი ათასი რუბლი და კიდევ სხვა ათი ათასი რუბლი, დოლოხოვის მიერ მისთვის ნასესხები.

ორი მოწმე – ხვოსტიკოვი, ყოფილი მოხელე, რომელსაც დოლოხოვი ბანქოს თამაშისას იყენებდა, და მაკარინი, გადამდგარი ჰუსარი, გულკეთილი და სუსტი ადამიანი, რომელსაც უზომოდ უყვარდა კურაგინი, – ჩაის მაგიდასთან იჯდა პირველ ოთახში.

დოლოხოვის დიდ კაბინეტში, რომლის კედლებიც ჭერამდე სპარსული ხალიჩებით, დათვის ტყავებითა და იარაღით იყო მორთული, საგზაო ახალუხსა და ჩექმებში გამოწყობილი დოლოხოვი იჯდა. წინ ედგა ღია ბიურო, რომელზედაც ეყარა ანგარიშები და დასტობით ფული. ანატოლს მუნდირი გაეხსნა და იმ ოთახიდან, სადაც მოწმეები ისხდნენ, კაბინეტზე გავლით მიმოდიოდა უკანა ოთახში, სადაც მისი ფრანგი ლაქია სხვებთან ერთად უკანასკნელ ნივთებს ალაგებდა. დოლოხოვი ფულს ითვლიდა და იწერდა.

– ხვოსტიკოვს, – თქვა დოლოხოვმა, – ორი ათასი რუბლი უნდა მივცეთ.

– მიეცი.

– მაკარკა (ასე ეძახდნენ ისინი მაკარინს) უანგარო კაცია, ცეცხლსა და წყალში გადავარდება შენთვის. მამ ასე, ანგარიშები გასწორებული და დასრულებულია, – თქვა დოლოხოვმა და უჩვენა ანატოლს ბარათი, – ხომ ასეა?

- რა თქმა უნდა, მაგრე იქნება, – დაუდასტურა ანატოლმა, რომელიც, ეტყობოდა, ყურს არ უგდებდა და ღიმილით სადღაც წინ იყურებოდა.
- დოლოხოვმა ხმაურით დახურა ბიურო და დამცინავი ღიმილით მიმართა ანატოლს.
- იცი, რა, მიანებე ყველა ამას თავი: ჯერ კიდევ არის დრო, – ურჩია მან.
- სულელი! – მიაძახა ანატოლმა, – თავი ანებე რომვას! რომ იცოდე... ეშმაკმა იცის, რა არის!
- გეუბნები, მიანებე თავი, – გაუმეორა დოლოხოვმა, – საქმეს გირჩევ. განა ხუმრობაა, რაც შენ განიზრახე?
- კიდევ მაბრაზებს! გამშორდი! – დაუყვირა სახეშეჭმუხნილმა ანატოლმა, – გეუბნები შენი ხუმრობის თავი არა მაქვს! – და ოთახიდან გავიდა.
- დოლოხოვი ზიზღით, თან ქედმაღლურად იღიმებოდა, როცა ანატოლი ოთახიდან გადიოდა.
- მოიცა, – უთხრა დოლოხოვმა ოთახიდან მიმავალ ანატოლს, – არ გეხუმრები, საქმეზე გეუბნები; მოდი, მოდი აქ.
- ანატოლი კვლავ დაბრუნდა ოთახში და შეეცადა გონების მოკრებას; იგი შესცქეროდა დოლოხოვს, ალბათ, უნებურად დამორჩილებული.
- ყური დამიგდე, უკანასკნელად გეუბნები. რა მაქვს სახუმარო შენთან? განა მე შენს წინააღმდეგ წავედი? ვინ მოგიწყო ყველაფერი? ვინ გამონახა ხუცესი, ვინ გიშოვა პასპორტი და ფული? ყველაფერი მე გავაკეთე.
- ჰოდა, გმადლობ! შენ გგონია, მადლობელი არა ვარ? – ანატოლმა ამოიოხრა და გადაეხვია დოლოხოვს.
- მე გშველოდი და გეხმარებოდი, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა გითხრა: საშიში საქმეა და, თუ ჩავუკვირდებით, უგუნურიც. ვთქვათ, წაიყვანე, კეთილი, განა ამ საქმეს უყურადღებოდ დატოვებენ? გაიგებენ, რომ შენ ცოლიანი ხარ. სისხლის სამართალში მიგცემენ...
- სისულელეა, სისულელე! – კვლავ წამოიძახა სახეშეჭმუხნილმა ანატოლმა, – ხომ აგისენი, არ გახსოვს? – და ანატოლმა განსაკუთრებული მიკერძოებით იმ დასკვნისადმი (რაც გონებაჩლუნგ ადამიანებს სჩვევიათ), რომელსაც თავიანთი გონებით აღწევენ, გაიმეორა ის მსჯელობა, რაც ასჯერ მაინც გაეგონა დოლოხოვს, – ხომ აგისენი, რომ გადავწყვიტე: თუ ეს ქორწინება ნამდვილი არ გამოდგა, – თქვა და თითი გადაღუნა, – მე პასუხს არ ვაგებ; ხოლო თუ ნამდვილი გამოდგა, საზღვარგარეთ, სულერთია, არავის ეცოდინება. ხომ ასეა? მაშ, ნუღარ მელაპარაკები, ნუ მელაპარაკები.
- გეუბნები, თავი მიანებე, მხოლოდ ხელ-ფეხს შეიბოჭავ.
- ეშმაკმა წაიღოს შენი თავი! – დაუყვირა ანატოლმა, თმაში ხელი წაივლო და მეორე ოთახში გავიდა, მაგრამ იმავე წუთს დაბრუნდა და დოლოხოვის მახლობლად ფეხმორთხმული სავარძელში მოკალათდა, – ეშმაკმა იცის, რა ამბავია! შეხედე ერთი, როგორ მიცემს გული, – დოლოხოვის ხელი აიღო და გულზე მიიღო, – Ah! quel pied, mon cher, quel regard! Une déesse (ოჰ, რა ფეხები აქვს, ჩემო მეგობარო, რა გამოხედვა! ღვთაებაა)!
- დოლოხოვმა ცივად გაიღიმა და თავისი ლამაზი, თავხედი თვალებით შეხედა, ეტყობოდა, ჯერ კიდევ სწადდა გული მოეფხანა მისი გაბრაზებით.
- ფული გამოგელევა, მერე რას იზამ?

– მერე რას ვიზამ? – გაიმეორა ანატოლმა, გულწრფელად შეფიქრიანებულმა თავის მომავალ ბედზე, – მერე რას ვიზამ? არ ვიცი, რას ვიზამ მაშინ... ეჰ, არა ღირს სისულელეზე ლაპარაკი! – საათს დახედა, – უკვე დროა!

ანატოლი უკანა ოთახში გავიდა.

– ჰა, ჩქარა მორჩებით თუ არა? ამდენს რას ჩხირკედელაობთ მანდ? – დაუყვირა მან მსახურთ.

დოლოხოვმა ფული შეინახა და კაცს უბრძანა, მოეტანა საჭმელი და სასმელი, რათა საგზაოდ დანაყრებულიყვნენ. მერე იმ ოთახში შევიდა, სადაც ხვოსტიკოვი და მაკარინი ისხდნენ.

ანატოლი, იდაყვებზე დაყრდნობილი, დივანზე იწვა კაბინეტში, ჩაფიქრებული ილიმებოდა და თავისთვის რაღაცას ნაზად ჩიფჩიფებდა.

– მოდი, შეჭამე რამე ან დალიე! – დაუყვირა დოლოხოვმა მეორე ოთახიდან.

– არ მინდა! – უპასუხა ანატოლმა, თან ისევ ილიმებოდა.

– მოდი, ბალაგა მოვიდა.

ანატოლი სასადილო ოთახში შევიდა.

ბალაგა იყო ცნობილი მეეტლე (სამცხენიანი ეტლების). იგი უკვე ექვსი წელიწადია იცნობდა დოლოხოვს და ანატოლს, რომელთაც თავისი ეტლებით ემსახურებოდა. არაერთხელ წაუყვანია მას სადამოთი ანატოლი ტვერიდან, როცა მისი პოლკი ამ ქალაქში იდგა, და გათენებისას მოსკოვში ჩასულა, ხოლო მეორე დღეს ღამე უკან დაბრუნებულა. არაერთხელ გადაურჩენია ბალაგას დოლოხოვი დევნისგან, არაერთხელ ჩაუქროლებია მას ქალაქის ქუჩებში დოლოხოვი და ანატოლი ბოშებთან და პატარა მანდილოსნებთან ერთად, როგორც იგი მათთან მსხდომ ქალებს უწოდებდა. არაერთი და ორი მგზავრი გადაუთელავს და არა ერთი და ორი ეტლი გადაუბრუნებია ქუჩაში, მაგრამ ბატონებს, როგორც იგი დოლოხოვსა და ანატოლს ეძახდა, გადაურჩენიათ იგი. არა ერთი და ორი ცხენისთვის გაუწყვეტია ქანცი, როცა ამ ბატონებს ქუჩებში დააქროლებდა. არაერთხელ დაუხელიათ ანატოლსა და დოლოხოვს მისთვის გვერდები, არაერთხელ დაუთვრიათ შამპანურით და მადერათი[206] (უყვარდა ეს სასმელები) და არა ერთი და ორი ოინი ახსოვდა მას თავისი ბატონებისა, რისთვისაც ჩვეულებრივ კაცს ციმბირს აქეთ ატოვებინებდნენ. ანატოლი და დოლოხოვი ხშირად ისწრებდნენ მას ქეიფში, აიძულებდნენ დაეღია და ეცეკვა ბოშებთან, და არა ერთსა და ორ ათას რუბლს გაუვლია მის ხელში. მათ სამსახურში ბალაგას წელიწადში ოცჯერ მაინც მოელოდა განსაცდელი: განსაცდელში აგდებდა იგი როგორც თავის სიცოცხლეს, ისე საკუთარ ტყავს, და ამ სამსახურში მას უფრო მეტი ცხენისთვის ამოუხდია სული, ვიდრე მათგან ფული ჰქონდა მიღებული.

მაგრამ ბალაგას უყვარდა ისინი, უყვარდა გაშმაგებული ქროლა. საათში თვრამეტი ვერსის გავლა, უყვარდა ეტლის გადაკოტრიალება და ქვეითად მოსიარულეთა გადათელა მოსკოვში და რამდენიმე გადახტომით მთელი ქუჩების გადალახვა. უყვარდა, როცა უკნიდან ესმოდა მთვრალების გადარეული ყვირილი: „გასწი! გასწი!“ ესმოდა ეს ყვირილი მაშინ, როცა უფრო სწრაფი სვლა შეუძლებელი იყო; უყვარდა მათრახის გადაკვრა გლეხისთვის, რომელმაც, შიშისგან დამფრთხალმა, აღარ იცოდა, საით მიტრიალებულიყო. „აი, ნამდვილი ბატონები!“ – ფიქრობდა იგი.

ანატოლს და დოლოხოვსაც უყვარდათ ბალაგა, უყვარდათ მეეტლეობის ოსტატობისთვის, იმისთვის, რომ ბალაგას სწორედ ის უყვარდა, რაც მათ. სხვებს ბალაგა ურიგდებოდა, იღებდა მათგან ოცდახუთ რუბლს ორი საათის მგზავრობაში, ამასთან სხვებთან ის იშვიათად მართავდა ცხენებს, მეტწილად თავის ბიჭებს გზავნიდა. თავის ბატონებთან კი, როგორც ის მათ ეძახდა, თვითონ ჯდებოდა ეტლებზე და

არასოდეს არაფერს თხოულობდა მუშაობაში. მხოლოდ როცა კამერდინერებისაგან იგებდა, რომ ბატონებს ფული ჰქონდათ, რამდენიმე თვეში ერთხელ ეწვეოდა ხოლმე მათ, ეწვეოდა დილაობით, ფხიზელი, მდაბლად თავს დაუკრავდა და სთხოვდა, გადაერჩინათ იგი გაჭირვებისგან. ბატონები ყოველთვის დასვამდნენ ხოლმე ბალაგას.

– უნდა გადამარჩინოთ როგორმე, ბატონო ჩემო, ფიოდორ ივანიჩი, ან თქვენ, თქვენო ბრწყინვალეზავ, – ამბობდა იგი, – სრულიად უცხენოდ დავრჩი, ბაზრობაზე მივდივარ, უნდა მასესხოთ, რამდენიც შეგეძლება.

და ანატოლი და დოლოხოვი, როცა კი ფული მოეპოვებოდათ, აძლევდნენ ხოლმე ათას-ათასს, ხანდახან ორ-ორ ათასსაც.

ბალაგა ქერა კაცი იყო, წითური სახით და მეტადრე წითელი სქელი კისრით, დაბალი, პაჭუა გლეხი, პატარა ელვარე თვალებითა და მოკლე წვერით. ეცვა ქუქუნაკი, წმინდა ლურჯი ხიფთანი, რომელსაც აბრეშუმის სარჩული ჰქონდა გამოკრული.

ახლა ბალაგამ შესვლისას, წინა კუთხისკენ პირჯვარი გადაიწერა, დოლოხოვთან მივიდა და შავი, მომცრო ხელი გაუწოდა.

– ვახლავართ, ფიოდორ ივანიჩს, – მიესალმა იგი და თავი დაუკრა.

– გაგიმარჯოს, ძმაო, აი, ანატოლიც.

– გამარჯობა, თქვენო ბრწყინვალეზავ! – მიესალმა ანატოლს და მასაც ხელი გაუწოდა.

– გეკითხები, ბალაგა, – მიმართა ანატოლმა და ხელები მხრებზე დაადო, – გიყვარვარ თუ არა? ახლა უნდა გამიწიო სამსახური... რომელი ცხენებით მოხვედი?

– როგორც გამოგზავნილმა მიბრძანა, თქვენი მხეცებით, – მიუგო ბალაგამ.

– ჰოდა, გამიგონე, ბალაგა: ყელი გამოსჭერი სამივეს და სამ საათში კი ჩამიყვანე, გესმის თუ არა?

– ყელს თუ გამოვჭრი, როგორღა ჩაგიყვან? – მიუგო ბალაგამ და თვალი ჩაუკრა.

– ნუ ოხუნჯობ, იცოდე, ცხვირ-პირს ჩაგილეწავ! – უეცრად დაუყვირა ანატოლმა და თვალები გადმოკარკლა.

– სახუმარო რა მაქვს, – წამოიძახა ბალაგამ, – განა მე ჩემი ბატონებისთვის დავზოგავ რამეს? ისე გავრეკავ ცხენებს, როგორც შეძლებენ.

– ჰო, ჰო! – წამოიძახა ანატოლმა. – აბა, დაჯექი!

– დაჯექი, დაჯექი! – მიმართა დოლოხოვმაც.

– ფეხზე ვიქნები, ფიოდორ ივანიჩი!

– თავს ნუ იგდებ, დაჯექი, დალიე! – უთხრა ანატოლმა და დიდ ჭიქაში მადერა დაუსხა.

ღვინის დანახვაზე მეეტლეს თვალები გაუბრწყინდა, უარს ზრდილობისთვის ამბობდა მხოლოდ; ღვინო გადაჰკრა და პირი წითელი ცხვირსახოცით მოიწმინდა, რომელიც ქუდში ედო.

– როდის გავალთ, თქვენო ბრწყინვალეზავ?

– აი, ახლავე (ანატოლმა საათს დახედა) გავეშურებით. აბა, შენ იცი, ბალაგა! ხომ მოასწრებ?

– თუ ბედმა არ გვიღალატა, რატომ არ უნდა მოვასწროთ? – მიუგო ბალაგამ. – ხომ ვასწრებდით ტვერში ჩასვლას შვიდ საათში? გახსოვთ, ალბათ, თქვენო ბრწყინვალეზავ!

– იცი, – მიმართა ანატოლმა ღიმილით მაკარინს, რომელიც მოწიწებით შესცქეროდა კურაგინს, – ერთხელ საშობაოდ ტვერიდან მოვდივარ. არ დაიჯერებ, მაკარკა, ისე მოვქროდი, რომ სუნთქვა შემეკრა. ურმების გროვაში შევიჭერთ, ორ ურემს თავზე გადავახტით.

– აბა, მათაც ჰყავდათ ცხენები, აი! – განაგრძო ბალაგამ ანატოლის მიერ დაწყებული ამბავი, – მე მაშინ ორი ახალგაზრდა განაპირა ცხენი აქეთ-იქიდან მივუბი შუაში გაბმულ ჩალისფერ ცხენს, – მიმართა მან დოლოხოვს, – არ დაიჯერებ, ფიოდორ ივანიჩ: სამოცი ვერსით მოქროდნენ მხეცები; სადავეთა დაჭერა აღარ შემემლო, ხელები გამეყინა, სუსხი იდგა. მივაგდე სადავეები, დაიჭი-მეთქი, თქვენო ბრწყინვალეზავ, თვითონ კი მარხილში მივეგდე; რის გარეკვა, ადგილამდე გაჩერებაც აღარ შეიძლებოდა მათი. სამ საათში ჩამოგვაქროლეს. ოღონდ ეგ იყო, მარცხენა მხარეს გაბმულმა ცხენმა სული დალია.

თავი მეჩვიდმეტე

ანატოლი ოთახიდან გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა: ვერცხლის ქამარი ერტყა, პატარა ქურქი ეცვა და სიასამურის ქუდი ეხურა, რომელიც კოხტად მოეგდო გვერდზე და რომელიც ძალიან უხდებოდა მის ლამაზ სახეს. სარკეში ჩაიხედა და იმავე პოზით, როგორითაც სარკესთან იდგა, დოლოხოვის წინ გაჩერდა და ღვინით სავსე ჭიქა აიღო.

– აბა, ფედია, მშვიდობით, გმადლობ ყველაფრისთვის, – თქვა ანატოლმა, – ამხანაგებო, – თქვა და ჩაფიქრდა, – ჩემი... ახალგაზრდობის... მეგობრებო... მშვიდობით! – მიმართა მან მაკარინს და სხვებს.

თუმცა ყველანი მასთან ერთად მიდიოდნენ, ანატოლს, როგორც ეტყობოდა, მაინც უნდოდა ამხანაგებისადმი ამ მიმართვისთვის მიეცა განსაკუთრებული, გულის ამაჩუყებელი და საზეიმო ხასიათი. ლაპარაკობდა გაჭიანურებით და ხმამაღლა, წინ წამოეწია მკერდი და ცალ ფეხს ამოძრავებდა.

– ჭიქები აიღეთ ყველამ, შენც, ბალაგა! ჰოდა, ამხანაგებო, ჩემი ახალგაზრდობის მეგობრებო, დრო ვატარეთ, ვიქეიფეთ, დიახ, ვიქეიფეთ. ხომ ასეა? ახლა როდის შევხვდებით? საზღვარგარეთ მივდივარ. დრო ვატარეთ, ახლა მშვიდობით, ბიჭებო! გაგიმარჯოთ! Ура! – თქვა, დალია ღვინო და ჭიქა იატაკზე დაანარცხა.

– ჯანმრთელად იყავი! – წამოიძახა ბალაგამ, გამოცალა ჭიქა და ცხვირსახოცი თუჩები მოიწმინდა.

მაკარინი, თვალეზზე ცრემლმოდგარი, ანატოლს ეხვეოდა.

– ეჰ, თავადო, მიმძიმს შენთან განშორება! – ჩაილაპარაკა მან.

– მიდივართ, მივდივართ! – დაიძახა ანატოლმა.

ბალაგამ ოთახიდან გასვლა დააპირა.

– შეჩერდი! – დაუძახა ანატოლმა, – კარი მიხურე, უნდა დავსხდეთ. აი, ასე!..

კარი მიხურეს და ყველანი დასხდნენ.

– აბა, ახლა გავწიოთ, ბიჭებო! – თქვა ანატოლმა და წამოდგა.

ლაქია ჟოზეფმა აბგა და ხმალი მიაწოდა ანატოლს, და ყველანი წინა ოთახში გავიდნენ.

– ქურქი სადღაა? – დაიძახა დოლოხოვმა, – ჰეი, იგნატკა! გასწი მატრიონა მატვეევნასთან და ქურქი იკითხე, სიასამურის სალოპი. გამიგონია, როგორ იტაცებენ, – თქვა დოლოხოვმა და თვალი ჩაუკრა, – ხომ იცი, თავდავიწყებული გამოვარდება იმ ტანისამოსით, რაც შინ ეცმევა. თუ ოდნავ შეფერხდი,

დაიწყება ცრემლები, გამოცვივდებიან მამაც, დედაც, მაშინვე გაცივდება და გასწი ისევ უკან, – ჰოდა, შენც ერთბაშად გაახვიე იმ ქურქში და მარხილისკენ გააქანე.

ლაქიამ მელიის ტყავის ქალის სალოპი მოიტანა.

– სულელო, მე გითხარი, სიასამურის ქურქი-მეთქი. ჰეი, მატრიომკა, სიასამურის ქურქი, სიასამურის! – დაიყვირა დოლოხოვმა ისე, რომ შორს ოთახებში გაისმა მისი ხმა.

სალოპით ხელში გამოვარდა ლამაზი, გამხდარი და ფერწასული ბოშა ქალი შავი, გაბრწყინებული თვალებით და შავი ხუჭუჭა თმით, რომელსაც იისფერი გადაჰკრავდა. თავზე წითელი შალი მოეხვია.

– მე როდი მენანება, წაიღე, – თქვა მან შემინებულმა თავისი ბატონის წინაშე; ცხადი იყო, რომ სალოპი ენანებოდა.

დოლოხოვმა ხმა არ გასცა, ქურქი ჩამოართვა, მასვე მხრებზე წამოასხა და შიგ გაახვია იგი.

– აი, ასე, – თქვა მან, – მერე ასე, – და საყელო აუწია, ღიად დატოვა მხოლოდ პატარა ადგილი სახესთან, – შემდეგ ასე, ხომ ხედავ? – და მან ანატოლის თავი საყელოსთან დატოვებულ ღია ადგილთან მიიტანა, საიდანაც მატრიონას ელვარე ღიმილი მოჩანდა.

– აბა, მშვიდობით, მატრიონა! – მიმართა ანატოლმა მატრიონას და აკოცა. – ეჰ, გათავდა ჩემი ქეიფი აქ! გადაეცი სალამი სტიოპკას. მშვიდობით, მშვიდობით, მატრიონა! კეთილი გზა მისურვე!

– ღმერთმა გაგაბედნიეროს, თავადო, – მიუგო მატრიონამ ბოშური აქცენტით.

პარმალთან ორი სამ-სამცხენიანი მარხილი იდგა და ორ მარჯვე მეეტლეს ეჭირა ცხენები.

ბალაგა პირველ მარხილში ჩაჯდა, ხელები ასწია და დინჯად გაასწორა სადავეები. ანატოლი და დოლოხოვი მასთან ჩასხდნენ მარხილში. მაკარინმა, ხვოსტიკოვმა და ლაქიამ მეორე მარხილს მიაშურეს.

– მზად ხართ თუ არა? – იკითხა ბალაგამ. მერე სადავეები მომართა და დაიძახა, – აბა, გავწიოთ, – და მარხილი ნიკიტის ბულვარით ქვემოთ დაემვა.

– ნწუ! გასწი, შენ ჰეი! ნწუ! – ისმოდა ბალაგასი და კოფოზე მჯდომი მარჯვე ახალგაზრდის ძახილი.

არბატის მოედანზე მარხილი კარეტას გამოედო, რაღაცამ გაიჭრაჭუნა, მოისმა ყვირილი, მაგრამ მარხილმა არბატზე გაიელვა მხოლოდ.

პოდნოვინსკის ქუჩაზე ბალაგამ ორჯერ ჩააქროლა მარხილი, მერე სადავეები მოზიდა და სტარი კონიუშენსკის გზაჯვარედინთან შეჩერდა.

მარხილიდან მარჯვე ახალგაზრდა გადმოხტა და ცხენებს სადავეები დაუჭირა. ანატოლი დოლოხოვთან ერთად ტროტუარით გაემართა. დოლოხოვი ჭიშკართან მივიდა და დაუსტვინა. მას სტვენითვე უპასუხეს და იმავე წუთს სახლიდან მოახლე გოგო გამოვარდა.

– ეზოში შედით, თორემ ყველაფერი ჩანს, ამ წუთში გამოვა, – თქვა მან.

დოლოხოვი ჭიშკართან დარჩა. ანატოლი მოახლე გოგოს ეზოში შეჰყვა, კუთხეში შეუხვია და პარმალზე ავარდა.

იქ ანატოლს დახვდა მარია დმიტრიევნას უზარმაზარი მხლებელი ლაქია გავრილო.

– მოზრმანდით ქალბატონთან! – მიმართა მან თავისი ბოხი ხმით ანატოლს და კართან გზა გადაუღობა.

– რომელ ქალბატონთან? შენ ვინ ხარ? – სუნთქვაშეკრული ჩურჩულით ჰკითხა ანატოლმა.

– მოზრძანდით, ნაზრძანები მაქვს, მასთან მივიყვანოთ.

– კურაგინ, უკან! – დაიყვირა ამ დროს დოლოხოვმა, – ლალატია! უკან, უკან!

დოლოხოვი ჭიშკრის პატარა კართან, სადაც იგი გაჩერდა, ებრძოდა მეეზოვეს, რომელიც ცდილობდა ეზოში შესულ ანატოლისთვის კარი გამოეკეტა. დოლოხოვმა ძალ-ღონე მოიკრიბა, უკუაგდო მეეზოვე, ხელი სტაცა გამოვარდნილ ანატოლს, კარში გაიყვანა იგი და მასთან ერთად მარხილისკენ გაიქცა.

თავი მეთვრამეტე

მარია დმიტრიევნამ, დაინახა თუ არა დერეფანში მტირალი სონია, ყველაფერში გამოტეხა იგი. მან ხელში ჩაიგდო ნატაშას ბარათი და ამ ბარათით მის ოთახში შევიდა.

– საზიზღარო! უსირცხვილოვ! – მიმართა მან ნატაშას, – არაფრის გაგონება არ მინდა! – შეუტია გაჯავრებულმა და ხელი ჰკრა ნატაშას, რომელმაც გაკვირვებული და მშრალი თვალები შეანათა, მერე კარი გამოუკეტა და მეეზოვეს უბრძანა, შეეშვათ ჭიშკრიდან და უკან ადარ გაეშვათ ისინი, ვინც იმ სადამოთი მათთან მივიდოდა, ხოლო ლაქიას – შეეყვანა მასთან სადამოთი მისული კაცები. ამის შემდეგ სასტუმრო ოთახში დაჯდა და დაუწყო ცდა გამტაცებლებს.

როდესაც გავრილომ მოახსენა, მოსულები გაიქცნენო, მარია დმიტრიევნამ ხელები ზურგზე დაიწყო და შუბლშეკრული მოჰყვა ოთახში სიარულს. დიდხანს დადიოდა ასე და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. ღამის 12 საათზე ჯიბეში გასაღები მოსინჯა და ნატაშას ოთახისკენ წავიდა. სონია დერეფანში იჯდა და ტიროდა.

– მარია დმიტრიევნა, ღვთის გულისათვის, შემიშვით ნატაშასთან, – მიმართა მან მარია დმიტრიევნას.

მაგრამ ამ უკანასკნელმა ხმა არ გასცა, ნატაშას ოთახის კარი გააღო და შიგ შევიდა. „საზიზღრობაა! სისამაგლეა! ასეთი რამ ჩემს სახლში! ბილწი გოგონა! მამა მებრალეა მხოლოდ, – ფიქრობდა მარია დმიტრიევნა და ცდილობდა როგორმე დაეოკებინა ბრაზი, – მეტად ძნელია, მაგრამ ვუბრძანებ ყველას, დუმდეს და ამრიგად დავეუმალავ გრაფს“. მარია დმიტრიევნა მტკიცე ნაბიჯით შევიდა ოთახში. ნატაშა, თვალებზე ხელმიფარებული, დივანზე იწვა და არ იძვროდა. იწვა ისევე, როგორც მარია დმიტრიევნამ დატოვა.

– კარგი ვინმე ყოფილხარ, თქმა არ უნდა! – მიმართა მარია დმიტრიევნამ, – ჩემს სახლში პაემნებს უნიშნავ საყვარლებს! ეგ თვალთმაქცობა რაღაა? ყური დაუგდე, როცა გელაპარაკებიან! – მარია დმიტრიევნამ ხელი შეახო, – ყური დამიდგე, როცა გელაპარაკები! თავი შეირცხვინე, როგორც უკანასკნელმა გოგომ. კარგ დღეს არ დაგაყრიდი, მაგრამ მამაშენი მებრალეა. უნდა დავუმალო...

ნატაშამ მდგომარეობა არ შეიცვალა; უხმო, ძალით შეკავებული ქვითინისგან მთელი სხეული უთრთოდა. მარია დმიტრიევნამ სონიასკენ მიიხედა და ნატაშას გვერდით დივანზე ჩამოჯდა.

– მისი იღბალი, რომ ხელიდან გამისხლტა, მაგრამ ვიპოვი, – თქვა მან უხეში ხმით, – გესმის თუ არა, რასაც ვამბობ? – ამ სიტყვებით თავისი დიდი ხელი ნატაშას ნიკაპთან მიიტანა და მისი სახე თავისკენ მიიბრუნა. მარია დმიტრიევნაც და სონიაც გაოცდნენ, როცა ნატაშას სახე დაინახეს: თვალები გაბრწყინებული და გამშრალი ჰქონდა, ტუჩები მოკუმული, ლოყები დაშვებული.

– თავი გა-მანებეთ!.. მე... მე მოვკვდები! – ჩაილაპარაკა გაბოროტებულმა, მარია დმიტრიევნასგან თავი გაითავისუფლა და წინანდელი მდგომარეობა მიიღო.

– ნატალია, – უთხრა მარია დმიტრიევნამ, – მე შენთვის სიკეთე მინდა. იწევი, თუ ეგრე გინდა, იწევი, ხელს არ გახლებ, მაგრამ ყური დამიგდე... არაფერს გეტყვი იმაზე, თუ რა დამნაშავე ხარ. თვით გეცოდინება უკვე. ხვალ მამაშენი დაბრუნდება, რა უნდა ვუთხრა? ჰა?

ქვითინისგან კვლავ შეთრთოლდა ნატაშას სხეული.

– გაიგებს იგი, გაიგებს შენი ძმა, შენი საქმრო...

– მე საქმრო აღარა მყავს, უარი შევუთვალე! – წამოიძახა ნატაშამ.

– სულერთია, – განაგრძო მარია დმიტრიევნამ, – გაიგებენ ისინი, როგორ გგონია, ასე დატოვებენ ამ საქმეს? მე ხომ ვიცნობ მამაშენს, განა კარგი იქნება, დუელში რომ გამოიწვიოს, კარგი იქნება?

– თავი გამანებეთ! რატომ შემოშალეთ ხელი, რატომ? რატომ? ვინ გთხოვდათ? – ყვიროდა ნატაშა დივანზე წამომჯდარი და ბოროტი თვალებით შესცქეროდა მარია დმიტრიევნას.

– რა გეწადა, მითხარი ერთი? – წამოიძახა კვლავ გაგულისებულმა მარია დმიტრიევნამ, – განა ჩაკეტილი იყავი? ვინ უშლიდა, ევლო ოჯახში? რატომ უნდა მოეტაცე, როგორც ვილაც ბოშა ქალი? ვთქვათ, მოეტაცე კიდევაც, მერე, როგორ გგონია, ვერ იპოვიდნენ? ან მამა, ან ძმა, ან საქმრო? საზიზღარი, გაიმვერა!

– ყველას გჯობიათ ის! – წამოიძახა ნატაშამ და წამოიწია, – ხელს რომ არ მიშლიდეთ... ღმერთო ჩემო, რა არის ეს, რა არის? რატომ ჩაიდინე, სონია? წადით აქედან!.. – და მან საშინელი სასოწარკვეთილებით მორთო ტირილი, ისეთი სასოწარკვეთილებით, როგორითაც ადამიანები დიდ მწუხარებას დასტირიან, რომლის მიზეზადაც მათ თავიანთი თავი მიაჩნიათ.

მარია დმიტრიევნას კვლავ უნდოდა დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ ნატაშამ შეჰკვივლა:

– წადით, წადით აქედან! თქვენ ყველას გპულვართ, გეზიზღებით! – და ისევ დივანზე დაეშვა.

მარია დმიტრიევნამ ცოტა ხანს კიდევ განაგრძო ნატაშას დარიგება, ცდილობდა ჩაეგონებინა მისთვის, რომ საჭირო იყო ყოველივე მომხდარის დამალვა გრაფისგან, რომ ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს, თუ ნატაშა ყველაფერს დაივიწყებს და ისე დაიჭერს თავს, ვითომ არაფერი მომხდარა. ნატაშა პასუხს არ აძლევდა, აღარც ტიროდა, მაგრამ თრთოდა და კანკალებდა. მარია დმიტრიევნამ თავქვემ ბალიში ამოუდო, ორი საბანი დაახურა, თვითონ მიუტანა ცაცხვის ნაყენი, მაგრამ ნატაშა არაფერზე არ გამოეხმაურა.

– დაე, იძინოს, – თქვა მარია დმიტრიევნამ ოთახიდან გასვლისას, რადგან ეგონა, რომ ნატაშას ეძინა.

მაგრამ ნატაშას არ ეძინა, იგი სახეგაცრეცილი და გაშტერებული თვალებით იყურებოდა წინ. ნატაშას მთელ ღამეს არ დაუძინია, არ უტირია, არც ხმა გაუცია სონიასთვის, რომელიც, ლოგინიდან წამომდგარი, რამდენჯერმე მივიდა მასთან.

მეორე დღეს საუზმისთვის გრაფი ილია ანდრეიჩი დაბრუნდა მოსკოვის მახლობლად მდებარე მამულიდან, როგორც დაპირებული იყო. ძალიან კარგ გუნებაზე იყო: მამულის გაყიდვის საქმე ეწყობოდა, აღარაფერი აღარ უშლიდა ხელს მოსკოვიდან წასვლას და ცოლის ნახვას, რომელიც ძალიან მონატრებოდა. მარია დმიტრიევნამ პირველი შეხვედრისთანავე აუხსნა, რომ ნატაშა ავად გახდა გუშინ, რომ გაგზავნეს კაცი ექიმის მოსაყვანად, მაგრამ ახლა უკეთ არისო, დაუმატა მან. ნატაშა იმ დილით ოთახიდან არ გამოსულა. მოკუმული, დახეთქილი ტუჩებით, მშრალი, გაშეშებული თვალებით იჯდა ფანჯარასთან და გასცქეროდა ქუჩაში მიმავალთ, თანაც, შეშფოთებული, უკან იყურებოდა, როცა ვინმე ოთახში შედიოდა. აშკარა იყო, ცნობას მოელოდა იმისგან, იმედი ჰქონდა, რომ თვითონ ის მოვიდოდა ან ბარათს გამოუგზავნიდა.

როცა გრაფი ნატაშასთან შევიდა, ამ უკანასკნელმა მამაკაცის ფეხის ხმის გაგონებაზე თავი მისკვნ მიიბრუნა და მთელმა მისმა სახემ წინანდელი ცივი და თითქმის ბოროტი გამომეტყველება მიიღო. არც კი წამომდგარა მამის მისაგებებლად.

– რა დაგემართა, ჩემო ანგელოზო, ავად ხარ? – ჰკითხა გრაფმა.

ნატაშა მცირე ხანს დუმდა.

– ჰო, ავად ვარ, – მიუგო ბოლოს.

გრაფის შემფოთებულ შეკითხვებზე, რატომ ხარ ასე გულმოკლული, ხომ არაფერი შეემთხვა შენს საქმროსო, ნატაშამ დაარწმუნა, არაფერია და შეწუხებად არ ღირსო. მარია დმიტრიევნამ დაადასტურა ნატაშას სიტყვები, არაფერი მომხდარაო. ქალიშვილის მოგონილი ავადმყოფობისა და იმის მიხედვით, თუ როგორ ცუდ გუნებაზე იყო ნატაშა, როგორ შემფოთებული გამოიყურებოდნენ სონია და მარია დმიტრიევნა, გრაფი ცხადად ხედავდა, რომ მისი იქ არყოფნის დროს რაღაც მომხდარიყო. მაგრამ მას ისე საზარლად ეჩვენებოდა ფიქრი იმაზე, რომ შეიძლება რამე სამარცხვინო შემთხვეოდა ჩემს საყვარელ ქალიშვილსო, მას ისე უყვარდა თავისი მხიარული სიმშვიდე, რომ გაურბოდა გამოკითხვას და ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. წუხდა მხოლოდ, რომ ნატაშას ავადმყოფობის გამო უნდა გადაედოთ სოფელში გამგზავრება.

თავი მეცხრამეტე

იმ დღიდან, რაც ელენი მოსკოვში ჩავიდა, პიერი ემზადებოდა სადმე სხვაგან წასასვლელად, რათა გასცლოდა ცოლს და მასთან ერთად არ დარჩენილიყო. როდესაც როსტოვები მოსკოვში ჩავიდნენ, ნატაშამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პიერზე და ამან დააჩქარებინა მას განზრახვის შესრულება. პიერი ტვერში წავიდა იოსიფ ალექსევიჩის ქვრივთან, რომელიც დიდი ხანია დაჰპირდა განსვენებულის ქალღმერთის გადაცემას.

მოსკოვში დაბრუნებისას პიერს გადასცეს წერილი მარია დმიტრიევნასგან; ეს უკანასკნელი სთხოვდა პიერს, მისულიყო მასთან მეტად საჭირო საქმის გამო, რომელიც ეხებოდა ანდრეი ბოლკონსკის და მის დანიშნულს. პიერი გაურბოდა ნატაშას. მას ეჩვენებოდა, თითქოს იგი უფრო ძლიერი გრძნობით იყო გამსჭვალული ნატაშასადმი, ვიდრე შეეფერება ცოლიან კაცს თავისი მეგობრის დანიშნულის მიმართ. მაგრამ რაღაც ბედი მუდამ ახვედრებდა მას ნატაშასთან.

„რა უნდა მომხდარიყო? ან რა საქმე აქვთ მათ ჩემთან? – ფიქრობდა იგი, როცა ტანთ იცვამდა მარია დმიტრიევნასთან წასასვლელად, – ჩქარა მაინც ჩამოვიდეს ანდრეი და შეირთოს იგი!“ – ფიქრობდა იგი, როცა ახროსიმოვასთან მიდიოდა.

ტვერის ბულვარზე ვიღაც გამოელაპარაკა.

– პიერ! დიდი ხანია ჩამოხვედი? – დაუყვირა ნაცნობმა ხმამ.

პიერმა თავი ასწია. ორცხენიანი მარხილით გაიქროლა ანატოლმა თავის განუყრელ ამხანაგ მაკარინთან ერთად. ნაცრისფერი ცხენები ისე გარბოდნენ, რომ თოვლით ავსებდნენ მარხილის წინა ნაწილს. ანატოლი გაჭიმული იჯდა, თავმომწონე სამხედროების კლასიკური პოზით; სახის ქვედა ნაწილი წავის საყელოში ჩაემალა, ხოლო თავი ოდნავ წინ წახრილი ეჭირა. სახეგალაჟღაჟებულს თეთრფრთიანი ქუდი გვერდზე მოეგდო, რის გამოც დახუჭუჭებული, პომადანაცხებული და თოვლწაყრილი თმა მოუჩანდა.

„აი, ნამდვილი ბრძენი! – შურით გაიფიქრა პიერმა, – ვერაფერს ხედავს სიამოვნების წუთს იქით, არაფერი აშფოთებს, ამიტომ მუდამ მხიარულია, კმაყოფილი და დამშვიდებული. რას არ მივცემდი, ოღონდ ასეთი ვყოფილიყავი!“

წინა ოთახში ქურქის გახდის დროს ახროსიმოვას ლაქიამ უთხრა პიერს, – მარია დმიტრიევნამ გთხოვათ, საწოლ ოთახში შებრძანდეთო.

დარბაზის კარის გაღებისას პიერმა დაინახა ნატაშა, რომელიც ჩამომხმარი, ფერწასული და ბოროტი სახით იჯდა ფანჯარასთან. ნატაშამ პირი პიერისკენ მიიბრუნა, შეხედა მას, შუბლი შეკრა და ცივი და ამაყი გამომეტყველებით გავიდა ოთახიდან.

– რა მოხდა? – ჰკითხა პიერმა მარია დმიტრიევნას საწოლ ოთახში შესვლისას.

– რაღა რა მოხდა, – მიუგო მარია დმიტრიევნამ, – ორმოცდათვრამეტი წელიწადი ვცხოვრობ ამქვეყნად და ასეთ ამბებს არ მოვსწრებივარ, – და მარია დმიტრიევნამ, პიერს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ არ გაახმაურებდა იმას, რასაც მისგან გაიგებდა და უამბო, ნატაშამ უარი შეუთვალა თავად ანდრეისო. თანაც, უარი შეუთვალა ისე, რომ მშობლებს არც კი დაეკითხაო. ხოლო ამ უარის მიზეზი ანატოლი კურაგინი იყო, რომელთან ნატაშას დაახლოებასაც პიერის ცოლი უწყობდა ხელს; აცნობა ისიც, რომ ნატაშა მამის შინ არყოფნის დროს ანატოლთან ერთად გაქცევას და მასზე ჯვრის დაწერას აპირებდა.

პიერმა მხრები აიჩეჩა. იგი პირდაღებული უგდებდა ყურს იმას, რასაც მარია დმიტრიევნა უამბობდა. არ უჯერებდა საკუთარ ყურებს. პიერს ვერ გაეგო და ვერ წარმოედგინა, რომ თავად ანდრეის საცოლემ, რომელიც ასე ძალიან უყვარდა საქმროს, მანამდე ესოდენ საყვარელმა ნატაშა როსტოვამ, თავადი ბოლკონსკი გაცვალა სულელ ანატოლზე, უკვე ცოლიანზე (პიერმა იცოდა მისი წინანდელი ქორწინების საიდუმლოება) და ისე შეიყვარა იგი, რომ თანახმა გახდა მასთან ერთად გაქცეულიყო.

ნატაშას პიერი ბავშვობიდან იცნობდა და ის საუცხოო შთაბეჭდილება, რომელსაც იგი მასზე ახდენდა, ვერ ურიგდებოდა მის გულში ახალ წარმოდგენას ნატაშაზე – მის სიმდაბლეს, სისულელესა და სიმკაცრეს. გაახსენდა თავისი ცოლი. „ყველანი ერთნაირები არიან“, – თქვა მან თავისთვის და გაიფიქრა, რომ მარტო მას არ არგუნა ბედმა ბილწ დიაცთან ცხოვრება. მაგრამ მას მაინც საშინლად ებრალებოდა თავადი ანდრეი, ებრალებოდა მისი სიამაყე და რაც უფრო ებრალებოდა მეგობარი, მით უფრო სძულდა, ეზიზღებოდა კიდევ ნატაშა, რომელმაც ეს-ეს იყო, ასე ამაყად გაიარა მის წინ დარბაზში. მან არ იცოდა, რომ ნატაშას გული ვეღარ იტევდა სასოწარკვეთილებას, სირცხვილს, დამცირებას და რომ იგი დამნაშავე არ იყო იმაში, თუ მისი სახე მისდა უნებურად გამოხატავდა დამშვიდებულ ღირსებასა და სისასტიკეს.

– როგორ თუ ჯვრისწერას აპირებდა? – ჩაილაპარაკა პიერმა მარია დმიტრიევნას სიტყვებზე, – მას არ შეეძლო ჯვრის დაწერა, იგი ცოლიანია!

– ყოველ საათს უარესი და უარესი ამბები გესმის! – გაიკვირვა მარია დმიტრიევნამ, – როგორ მოგწონთ, ჰა? ნამდვილი გაიმკვრია! ნატაშა კი უცდის, მეორე დღეა უცდის. უნდა ვუთხრა, აღარ დაუცდის მაინც.

მარია დმიტრიევნამ პიერისგან დაწვრილებით გაიგო ანატოლის მიერ ცოლის შერთვის ამბავი, ლანძღვით გული იჯერა, შემდეგ კი აცნობა პიერს ის, რისთვისაც იგი დაიბარა: მარია დმიტრიევნას უნდოდა დაეფარა გრაფისგან და ბოლკონსკისგან, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩამოსულიყო, მომხდარი ამბები, რადგან ეშინოდა, რომ გრაფს ან ბოლკონსკის საქმის ვითარების გაგებისას დუელში არ გაეწვიათ კურაგინი. ამიტომ სთხოვა პიერს, მისი, მარია დმიტრიევნას სახელით ებრძანებინა თავისი ცოლისმმისთვის გასცლოდა მოსკოვს და თვალთ აღარ სჩვენებოდა მას. პიერი დაჰპირდა სურვილის შესრულებას. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა, რა განსაცდელი მოელოდა როგორც მოხუც გრაფს, ისე

ნიკოლაის და თავად ანდრეის. მოკლედ და ზუსტად გადასცა მარია დმიტრიევნამ პიერს ყველა თავისი მოთხოვნა, მერე შეუშვა იგი სასტუმრო ოთახში.

– გახსოვდეს, გრაფმა არაფერი იცის. შენც ისე მოიქეცი, ვითომ არაფერი იცი, – უთხრა მარია დმიტრიევნამ, – მე კი წავალ, ვეტყვი ნატაშას, რომ ამაოდ იცდის. დარჩი თუ გინდა სადილად, – მიაძახა მიმავალ პიერს მარია დმიტრიევნამ.

პიერი მოხუც გრაფს შეხვდა. შემფოთებული და უგუნებოდ იყო იგი: იმ დილით ნატაშას ეთქვა მისთვის, რომ უარი შეუთვალა თავად ბოლკონსკის.

– უბედურებაა სწორედ, ჩემო მეგობარო, უდედოდ ახალგაზრდა ქალების მოვლა, – შესჩივლა მან პიერს, – ვნანობ, ძალიან ვნანობ, რომ ჩამოვედი. გულახდილად გეტყვი: გაიგებდით, უარი შეუთვალა საქმროს, შეუთვალა ისე, რომ არავის არ დაეკითხა. მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ მახარებდა ეს ქორწინება. ვიცი, კარგი კაცია, მაგრამ რა გამოვიდოდა, მამის ნება-სურვილის წინააღმდეგ ბედნიერებას ვერ ეღირობოდა. ნატაშა არასოდეს დარჩება უბედოდ. მაინც ძალიან გაჭიანურდა საქმე. მერე როგორ შეიძლებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა მამის დაუკითხავად, დედის დაუკითხავად? ახლა კიდევ წვეს, ავად არის. ღმერთმა უწყის, რა იქნება! ცუდად არის საქმე, გრაფ, ცუდად; უდედოდ ძნელია ქალიშვილებთან საქმის მოგვარება...

პიერი ხედავდა, როგორ გუნებაზე იყო გრაფი, ცდილობდა სხვა რამეზე ჩამოეგდო ლაპარაკი, მაგრამ იგი ისევ და ისევ თავის უბედურებას უბრუნდებოდა.

სონია შემფოთებული სახით შევიდა სასტუმრო ოთახში.

– ნატაშა ვერ არის კარგად, თავის ოთახშია, თქვენი ნახვა უნდა. მარია დმიტრიევნაც მასთან არის, გთხოვენ, მობრძანდეთ თქვენც.

– თქვენ ხომ დიდი მეგობარი ხართ ბოლკონსკისა. ალბათ ნატაშას რაღაც უნდა დაგაბაროთ მასთან, – თქვა გრაფმა, – ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რა კარგად მიდიოდა ყველაფერი! – გრაფმა ხელები წაივლო შეთხელებულ თმაზე საფეთქელთან და ოთახიდან გავიდა.

მარია დმიტრიევნამ გამოუცხადა ნატაშას, ანატოლი ცოლიანიაო. ნატაშამ არ დაიჯერა და თვით პიერისგან მოითხოვა დადასტურება. სონიამ ეს ამბავი პიერს აცნობა მაშინ, როცა დერეფნით ნატაშას ოთახისკენ მიდიოდნენ.

ნატაშა მარია დმიტრიევნას გვერდით იჯდა, გაფითრებული, მკაცრი გამომეტყველებით. მან კართანვე შეაგება პიერს ელვარე თვალები. არ გაუღიმა, არც თავი დაუქნია, გამტყრებული შესცქეროდა მხოლოდ, და მისი თვალები ერთს ეკითხებოდნენ: მეგობარი იყო იგი ანატოლისა თუ ისეთივე მტერი, როგორც ყველა სხვა? თავისთავად პიერი, ალბათ, არც არსებობდა მისთვის.

– მან ყველაფერი იცის, – მიმართა მარია დმიტრიევნამ ნატაშას და პიერზე მიუთითა, – დაე, თქვას, მართალი გითხარი თუ არა.

ნატაშა ისე შეჰყურებდა ხან ერთს, ხან – მეორეს, როგორც დაჭრილი და დევნისგან ქანცმილეული ნადირი შეჰყურებს მიახლოებულ მემებრებსა და მონადირეებს.

– ნატალია ილინიშნა, – დაიწყო თვალდახრილმა პიერმა, სიბრალულით აღვსილიყო ნატაშასადმი, თანაც ზიზღს ჰგვრიდა ოპერაცია, რომელიც მას უნდა ჩაეტარებინა, – თქვენთვის სულერთი უნდა იყოს, მართალია ეს თუ არ არის მართალი, იმიტომ, რომ...

– მაშ, მართალი არ ყოფილა, რომ ის ცოლიანია?

– არა, მართალია!

– ცოლი ჰყავდა, დიდი ხანია? მომეცით პატიოსანი სიტყვა?

პიერმა პატიოსანი სიტყვა მისცა.

– ჯერ კიდევ აქ არის თუ არა? – იკითხა მან სწრაფად.

– აქ არის. ეს-ეს არის, ახლა შემხვდა.

ნატამას, ალბათ, ლაპარაკი აღარ შეეძლო, იგი ხელებით ანიშნებდა, მარტო დაეტოვებინათ.

თავი მეოცე

პიერი სადილად არ დარჩენილა, მაშინვე გავიდა სახლიდან და დაუყოვნებლივ შეუდგა ანატოლ კურაგინის ძებნას ქალაქში. მარტოდენ ფიქრი კურაგინზე მთელ სისხლს უმღვრევდა და სუნთქვას უკრავდა. არ აღმოჩნდა იგი არც სასრიალოდ მოწყობილ მოედანზე, არც ბოშებთან, არც კომონენტან. პიერმა კლუბს მიაშურა. კლუბში ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა: სადილად შეკრებილი სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ. ისინი ესალმებოდნენ პიერს და ქალაქის ამბებზე ლაპარაკობდნენ. ლაქიამ, რომელმაც იცოდა პიერის ზნე-ჩვეულება და იცნობდა მის ნაცნობებს, მისალმების შემდეგ მოახსენა, რომ ადგილი მისთვის მცირე სასადილოში იყო დატოვებული, რომ თავადი მიხაილ ზახაროვი ბიბლიოთეკაში იჯდა, ხოლო პაველ ტიმოფეიჩი ჯერ არ მოსულიყო. პიერის ერთ-ერთმა ნაცნობმა ამინდზე ლაპარაკის დროს ჰკითხა, ხომ არაფერი გაუგონია კურაგინის მიერ როსტოვის ქალიშვილის მოტაცების შესახებ, რაზედაც ქალაქში ლაპარაკობდნენ – მართალია თუ არაო. პიერმა სიცილით მიუგო, სისულელეა, რადგან ეს-ეს არის მოვდივარ როსტოვებისგანო. იგი ანატოლის შესახებ ეკითხებოდა ყველას. ერთმა უთხრა, ჯერ არ მოსულაო, მეორემ – დღეს აქ უნდა ისადილოსო. პიერს უცნაურად ეჩვენებოდა სასადილოდ შეკრებილი ბრბოს სიმშვიდე და გულგრილობა, რომელთაც არ იცოდნენ, რა ხდებოდა მის გულში. მან დარბაზში გაიარა-გამოიარა, ერთხანს დაიცადა, ვიდრე ყველანი შეიკრიბებოდნენ და, რაკი ანატოლი არ გამოჩნდა, სადილად აღარ დარჩა და შინ წავიდა.

ანატოლი, რომელსაც პიერი ყველგან დაეძებდა, იმ დღეს დოლოხოვთან სადილობდა: თათბირი ჰქონდა მასთან იმაზე, თუ როგორ გამოესწორებინა წამხდარი საქმე. მას აუცილებლად მიაჩნდა როსტოვას ნახვა. საღამოთი დასთან შეიარა, რათა მოლაპარაკებოდა ამ შეხვედრის მოწყობის შესახებ. როდესაც პიერი, რომელმაც ამაოდ მოიარა მთელი ქალაქი, შინ დაბრუნდა, კამერდინერმა მოახსენა, რომ ანატოლი ვასილიევიჩი თქვენს მეუღლესთან ბრძანდებაო. გრაფინიას სასტუმრო ოთახი ხალხით იყო გაჭედული.

პიერი, რომელსაც დაბრუნების შემდეგ ცოლი არ ენახა, არ მიესალმა მას (არასოდეს იგი არ სძულებია პიერს ისე, როგორც ამ წუთს), სასტუმრო ოთახში შევიდა და როცა ანატოლი დაინახა, მასთან მივიდა.

– Ah, Pierre, – თქვა ელენმა და პიერთან მივიდა, – შენ არ იცი, რა მდგომარეობაშია ჩვენი ანატოლი... – თქვა ეს და შეჩერდა: იგრძნო ის საშინელი გაცოფება და ძალა, რასაც კარგად იცნობდა და რაც მან დოლოხოვის დუელის შემდეგ საკუთარ თავზე განიცადა. ამ გაცოფებას ცხადყოფდნენ პიერის დაბლა დაშვებული თავი, მისი აწითლებული თვალები და მტკიცე ნაბიჯი.

– სადაც თქვენ ხართ, იქ გარყვნილება და ბოროტებაა მხოლოდ! – მიმართა პიერმა ცოლს, – ანატოლ, წამოდით ჩემთან, უნდა მოგელაპარაკოთ, – უთხრა მერე ანატოლს ფრანგულად.

ანატოლმა დისკენ გაიხედა და მორჩილად წამოდგა, მზად იყო გაჰყოლოდა პიერს.

პიერმა ხელი წაავლო ანატოლს, თავისკენ მიიზიდა და ოთახიდან გაემართა.

– Si vous vous permettez dans mon salon (თუ თქვენ ჩემს სასტუმრო ოთახში ნებას მისცემთ თავს)... – დაიწყო ჩურჩულით ელენმა, მაგრამ პიერმა პასუხი არ გასცა და ოთახიდან გავიდა.

ანატოლი ჩვეულებრივი, თავმომწონე ნაბიჯით მისდევდა პიერს, მაგრამ სახეზე შემფოთება ეტყობოდა.

შევიდა თუ არა კაბინეტში, პიერმა კარი ჩაკეტა და მიმართა ანატოლს.

– თქვენ დაჰპირდით გრაფ როსტოვის ასულს ცოლად შეგერთოთ იგი? გინდოდათ მოგეტაცებინათ?

– ჩემო კარგო, – მიუგო ანატოლმა ფრანგულად (ისევე, როგორც მანამდე მიმდინარეობდა ლაპარაკი), – მე მოვალედ არ მივიჩნევ თავს, გაგცეთ პასუხი ასეთი კილოთი წარმოთქმულ დაკითხვაზე.

პიერის სახე, მანამდეც ფერმიხდილი, მთლად შეიცვალა გაცოფებისგან. მან თავისი დიდი ხელი მუნდირის საყელოში წაავლო ანატოლს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეანჯღრია იგი. ანჯღრევდა მანამდე, სანამ ანატოლს შიშისგან საკმაოდ არ ეცვალა ფერი.

– როცა გეუბნებით, უნდა მოგელაპარაკოთ-მეთქი... – გაიმეორა პიერმა.

– აბა, რას ჰგავს ეს, როგორ შეიძლება! – თქვა ანატოლმა და ხელით მოსინჯა ის ადგილი, სადაც მუნდირს ღილი ჰქონდა მოწყვეტილი.

– თქვენ არამზადა და გაიძვერა ხართ! არ ვიცი, რა მაკავებს იმ სიამოვნებისგან, რომ აი, ამით გაგიჭიჭყოთ თავი, – მიმართა პიერმა; მან ასე მოხერხებულად გამოთქვა თავისი აზრი იმიტომ, რომ ფრანგულად ლაპარაკობდა. პიერმა ხელში მძიმე პრესპაპიე აიღო და ანატოლს მოუღერა, მაგრამ მაშინვე სწრაფად დადო თავის ადგილას.

– დაჰპირდით თუ არა ცოლად შერთვას?

– მე, მე, არ ვფიქრობდი, არც მიმიცია არასოდეს პირობა...

პიერმა სიტყვა გააწყვეტინა.

– გაქვთ მისი წერილები? გაქვთ თუ არა წერილები? – გაიმეორა პიერმა და ანატოლისკენ წაიწია.

ანატოლმა შეხედა, იმავე წუთს ჯიბეში ხელი ჩაიყო და საფულე ამოიღო.

პიერმა ჩამოართვა გაწვდილი წერილები, ხელი ჰკრა მაგიდას და დივანზე დაეშვა.

– Je ne serai pas violent, ne craignez rien (ნუ გეშინიათ, ხელს არ გახლებთ), – უთხრა პიერმა ანატოლს, როცა მისი შემინებული მოძრაობა შენიშნა, – წერილები – ეს ერთი, – თქვა პიერმა, თითქოს გაკვეთილს იმეორებს თავისთვისო, – მეორე, – მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ განაგრძო ფეხზე წამომდგარმა და ოთახში მოსიარულე პიერმა, – ხვალ მოსკოვიდან უნდა გახვიდეთ.

– როგორ შემიძლია...

– მესამე, – განაგრძო პიერმა და ყურადღება არ მიაქცია ანატოლის სიტყვებს, – არასოდეს სიტყვა-კრინტი არ უნდა დაძრათ იმაზე, რაც თქვენსა და გრაფინიას შორის მოხდა. ვიცი, ამას ვერ აგიკრძალავთ, მაგრამ თუ ნამუსის ნატამალი მაინც გაგაჩნიათ... – პიერმა რამდენჯერმე უსიტყვოდ გაიარ-გამოიარა ოთახში.

ანატოლი მაგიდასთან იჯდა და ტუჩებს იკვნიტდა.

– როგორ შეიძლება არ გესმოდეთ, რომ თქვენი სიამოვნების გარდა, არსებობს ბედნიერება და სიმშვიდე სხვა ადამიანებისა, რომ თქვენ ღუპავთ ადამიანის მთელ სიცოცხლეს მარტო იმისთვის, რომ გინდათ იმხიარულოთ. გაერთეთ და იმხიარულეთ ჩემი ცოლისთანა ქალებთან. სრული უფლება გაქვთ მოექცეთ მათ ისე, როგორც გეწადთ. ამ ქალებმა იციან, რა გინდათ თქვენ მათგან. ისინი თქვენს წინააღმდეგ გარყვნილების იმავე იარაღით არიან აღჭურვილნი. მაგრამ დაჰპირდეთ ქალიშვილს, შეგირთავო, ეს არის მოტყუება, გაქურდება... ნუთუ არ გესმით, რომ ეს ისეთივე საზიზრობაა, როგორც მოხუცის ან ბავშვის ცემა?

პიერი გაჩუმდა და ანატოლს შეხედა. ამ შეხედვაში აღარ იყო მრისხანება, იგი თითქოს ეკითხებოდა მხოლოდ: აბა, რას იტყვიო.

– ეგ მე არ ვიცი, – ანატოლი ხედავდა პიერის მრისხანების დაცხრომას და გამბედაობა ემატებოდა, – ეგ მე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, – თქვა მან ქვედა ყბის ოდნავი კანკალით, ისე, რომ პიერისთვის არ შეუხედავს, – მაგრამ თქვენ მითხარით, საზიზრობააო და სხვა ამისთანა სიტყვები, რის ნებასაც მე, comme un homme d'honneur (როგორც პატიოსანი კაცი), ვერავის ვერ მივცემ.

პიერმა გაოცებულმა შეხედა, ვერ გაეგო, რა უნდოდა.

– თუმცა ეს პირისპირ მოხდა, – განაგრძო ანატოლმა, – მაგრამ არ შემძლია...

– რა გნებავთ, დაკმაყოფილებას მოითხოვთ? – დაცინვით ჰკითხა პიერმა.

– ყოველ შემთხვევაში, შეგიძლიათ უკან წაიღოთ თქვენი სიტყვები. ჰა? თუ გნებავთ, რომ თქვენი სურვილი შევასრულო. ჰა?

– ვიღებ, ვიღებ უკან ჩემს სიტყვებს და გთხოვთ მაპატიოთ, – პიერმა უნებლიეთ შეხედა მოწყვეტილ ღილს, – ფულსაც მოგცემთ, თუ გზაში დაგჭირდებათ.

ანატოლმა გაიღიმა.

ამ საზიზღარმა და ლაჩრულმა ღიმილმა, რომელსაც კარგად იცნობდა ცოლის მეოხებით, მოთმინებიდან გამოიყვანა პიერი.

– ოჰ, ბილწო და გულქვა მოდგმავ! – ჩაილაპარაკა პიერმა და ოთახიდან გავიდა.

მეორე დღეს ანატოლი პეტერბურგს გაემგზავრა.

თავი ოცდამეერთე

პიერი მარია დმიტრიევნას ეწვია, რათა ეცნობებინა, რომ მისი სურვილი ანატოლის მოსკოვიდან განდევნის შესახებ შესრულებულია. მთელი სახლი შეშინებული და აფორიაქებული დახვდა. ნატაშა ძალიან ავად იყო. როგორც მარია დმიტრიევნამ საიდუმლოდ გადასცა, მას თავი მოეწამლა იმ ღამეს, როცა აცნობეს, რომ ანატოლი ცოლიანიაო, თავი მოეწამლა დარიშხანით, რომელიც საიდუმლოდ ეშოვა სადღაც, ცოტა გადაეყლაპა, მაგრამ ისე შეშინებულიყო, რომ სონია გაუღვიძებია და გაუმხელია ყველაფერი. დროზე მიუღიათ სათანადო ზომები შხამის წინააღმდეგ და ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ მაინც იმდენად სუსტად იყო, რომ მისი სოფელში წაყვანა აღარ შეიძლებოდა, ამიტომ კაცი აფრინეს გრაფინიას ჩამოსაყვანად. პიერმა თავგზააბნეული გრაფი და მტირალი სონია კი ნახა, მაგრამ ნატაშას ნახვა ვერ მოახერხა.

პიერმა იმ დღეს კლუბში ისადილა. ყველა მხრიდან ერთი და იგივე ესმოდა, თუ როგორ განიზრახა კურაგინმა როსტოვის ასულის მოტაცება. პიერი თავგამოდებით უარყოფდა ამ ამბავს და არწმუნებდა

ყველას, რომ არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ მისმა ცოლისძმამ ცოლად გაყოლა სთხოვა როსტოვას და უარი მიიღო. პიერს თავის მოვალეობად მიაჩნდა მთელი ამ საქმის მიჩქმალვა და როსტოვას რეპუტაციის აღდგენა.

პიერი შიშით მოელოდა თავად ანდრეის დაბრუნებას და ყოველდღე შედიოდა მოხუც თავადთან მისი ამბის გასაგებად.

თავადმა ნიკოლაი ანდრეიჩმა m-lle Bourienne-ის მეოხებით კარგად იცოდა, თუ რა ხმა დადიოდა ქალაქში. მას წაკითხული ჰქონდა ის ბარათიც კნიაჟნა მარიასი, რომლითაც ნატაშა უარს უთვლიდა თავის საქმროს. იგი ჩვეულებრივზე მხიარულად გამოიყურებოდა და მოუთმენლად მოელოდა შვილს.

მოსკოვიდან ანატოლის წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ, პიერმა ბარათი მიიღო თავად ანდრეისგან, აცნობებდა თავის ჩამოსვლას და სთხოვდა, მისულიყო მასთან.

თავადმა ანდრეიმ მოსკოვში ჩასვლის პირველ წუთშივე მიიღო მამისგან ნატაშას ბარათი, რომლითაც იგი უარს უთვლიდა საქმროს (ეს ბარათი კნიაჟნა მარიას მოჰპარა და მოხუც თავადს გადასცა m-lle Bourienne-მა) და მამისგანვე გაიგო გაზვიადებული ხმები ნატაშას მოტაცების შესახებ.

თავადი ანდრეი მოსკოვში ჩავიდა წინააღმდეგ სადამოთი. პიერმა მასთან მეორე დღეს შეიარა, დილით. იგი მოელოდა, რომ თავადი ანდრეი დახვდებოდა თითქმის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ნატაშა იყო, ამიტომ გაუკვირდა, როცა სასტუმრო ოთახში შესულს კაბინეტიდან თავად ანდრეის ხმამაღალი საუბარი მოესმა, რომელიც გაცხოველებული ლაპარაკობდა პეტერბურგის რაღაც ინტრიგაზე. მოხუცი თავადი და ვიღაც სხვა ანდრეის იშვიათად აწყვეტინებდნენ ლაპარაკს. პიერის შესაგებებლად კნიაჟნა მარია გავიდა. მან ამოიოხრა და თვალებით ანიშნა იმ ოთახის კარზე, სადაც თავადი ანდრეი იყო. ალბათ, ამით უნდოდა გამოეხატა თავისი თანაგრძნობა ძმის მწუხარებისთვის, მაგრამ პიერი სახეზე ატყობდა კნიაჟნას, რომ იგი გახარებული იყო როგორც იმის გამო, რაც მოხდა, ისე იმის გამო, როგორც მიიღო მისმა ძმამ ცნობა საცოლის ღალატის შესახებ.

– თქვა, მოველოდი ამასო, – უთხრა კნიაჟნამ პიერს, – ვიცი, სიამაყე ნებას არ მისცემს აშკარად გამოხატოს თავისი გრძნობა, მაგრამ მაინც უკეთ, ბევრად უკეთ გადაიტანა მან მწუხარება, ვიდრე მე მოველოდი. ეტყობა, ასე უნდა მომხდარიყო...

– მაგრამ ნუთუ ყველაფერი დასრულდა? – ჰკითხა პიერმა.

კნიაჟნამ გაკვირვებით შეხედა. მას ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა კითხვაც კი.

პიერი კაბინეტში შევიდა. თავადი ანდრეი, დიდად გამოცვლილი, ალბათ, გაჯანსაღებული, მაგრამ ახალი, წარბებს შორის გაწოლილი ნაოჭით, სამოქალაქო ტანისამოსში იდგა მამისა და თავად მეშჩერსკის პირდაპირ და რაღაცაზე ცხარედ კამათობდა, თან ენერგიულად იქნევდა ხელებს.

ლაპარაკი შეეხებოდა სპერანსკის, რომლის გადასახლებისა და ვითომ ღალატის შესახებ ცნობამ ის-ის იყო, მიაღწია მოსკოვს.

– ახლა სჯის და ამტყუნებს მას (სპერანსკის) ყველა, ვინც ერთი თვის წინათ აღტაცებული იყო მისით, – თქვა თავადმა ანდრეიმ, – და ისინიც, ვისაც ვერ გაეგო მისი მიზნები. ძალიან ადვილია დევნილის განსჯა და სხვისი შეცდომების გადაბრალება მისთვის. მე კი ვიტყვი, თუ რამე კარგი გაკეთდა ახლანდელ მეფობაში, გააკეთა მან, მარტოდმარტო მან... – თავადი ანდრეი შეჩერდა, როცა პიერი დაინახა, შეკრთა და მისმა სახემ იმავე წუთს ბოროტი გამომეტყველება მიიღო, – შთამომავლობა დააფასებს და სიმართლეს აღადგენს, – დაასრულა მან და იმავე წუთს პიერს მიუბრუნდა, – როგორ ხარ,

სულ სუქდები და სუქდები! – წარმოთქვა ცოცხლად, მაგრამ ახალგაწოლილი ნაოჭი უფრო ღრმად ჩაიჭედა შუბლში, – დიახ, მე ჯანმრთელად ვარ, – მიუგო პიერს კითხვაზე და ჩაიციხა.

პიერისთვის ცხადი იყო, რასაც ამბობდა ეს ჩაცინება: „ჯანმრთელი ვარ, მაგრამ ჩემი ჯანმრთელობა არავის სჭირდება“. თავადი ანდრეი მცირე ხნით გამოელაპარაკა პიერს. თქვა რამდენიმე სიტყვა საშინელ გზებზე პოლონეთის საზღვრიდან, იმაზე, რომ იგი შვეიცარიაში პიერის ნაცნობებს შეხვდა, აგრეთვე ბატონ დესალზე, რომელიც შვილის აღმზრდელად ჩამოიყვანა საზღვარგარეთიდან, და მერე ისევ ჩაება ორი მოხუცის ლაპარაკში სპერანსკიზე.

– ღალატი რომ მომხდარიყო და ჰქონოდათ რაიმე საბუთი სპერანსკის საიდუმლო ურთიერთობისა ნაპოლეონთან, საჯაროდ გამოაცხადებდნენ ყოველსავე ამას, – ლაპარაკობდა იგი ცხარედ და აჩქარებით, – მე პირადად არ მიყვარდა და არც მიყვარს სპერანსკი, მაგრამ მიყვარს სიმართლე.

პიერმა იცნო თავისი მეგობარი: მან იცოდა, თუ როგორ ღელავდა და კამათობდა იგი გარეშე საქმის გამო, რათა ჩაეხშო ამით მეტად აუტანელი სულიერი მღელვარება.

როცა თავადი მეშჩერსკი წავიდა, თავადმა ანდრეიმ ხელი წაავლო პიერს და თავის ოთახში გაიყვანა. ოთახში აშლილ საწოლთან გახსნილი ჩემოდნები და სკივრები ელაგა. თავადი ანდრეი მივიდა ერთ-ერთ ჩემოდანთან და ამოიღო იქიდან კოლოფი. კოლოფიდან ქალაღდების შეკვრა. ყოველივე ამას აკეთებდა მდუმარედ და ძალიან სწრაფად. მერე წამოდგა და ჩაახველა, სახე მოღუშოდა, ტუჩები მოეკუმა.

– მაპატიე, რომ გაწუხებ...

პიერი მიხვდა, რომ თავად ანდრეის ნატაშაზე უნდოდა ლაპარაკი და მისმა ფართო სახემ მწუხარება და თანაგრძნობა გამოხატა. პიერის სახის ასეთმა გამომეტყველებამ გააბრაზა თავადი ანდრეი. მან მტკიცედ, მკვეთრი და უსიამოვნო ხმით განაგრძო:

– მე უარი მივიღე გრაფი როსტოვის ასულისგან. ჩემამდე მოაღწიეს ხმებმა, თითქოს მის შერთვას ცდილობდა შენი ცოლის ძმა თუ რაღაც ამგვარი. მართალია თუ არა ეს?

– მართალიც არის და არც მართალია, – დაიწყო პიერმა, მაგრამ თავადმა ანდრეიმ გააწყვეტინა.

– აი, მისი წერილები და სურათი, – თქვა მან. მაგიდიდან წერილების შეკვრა აიღო და პიერს გაუწოდა, – გადაეცი ეს გრაფინიას... თუ ნახავ.

– ძალიან ავად არის, – მიუგო პიერმა.

– მაშ, ჯერ კიდევ აქ არის? – ჰკითხა თავადმა ანდრეიმ, – თავადი კურაგინი სადღაა? – იკითხა მან სწრაფად.

– დიდი ხანია წავიდა... გრაფინია ძლივს გადაურჩა სიკვდილს...

– ძალიან ვწუხვარ მისი ავადმყოფობის გამო, – თქვა თავადმა ანდრეიმ. მან თავის მამასავით ცივად, ბოროტად, უსიამოვნოდ ჩაიციხა, – მაშასადამე, ბატონმა კურაგინმა თავის ღირსად არ მიიჩნია გრაფ როსტოვის ასული? – თქვა ანდრეიმ და რამდენჯერმე ცხვირით დააფრუტუნა.

– კურაგინს არ შეეძლო მისი შერთვა, იმიტომ, რომ ცოლიანია, – თქვა პიერმა.

თავადმა ანდრეიმ უსიამოვნოდ ჩაიციხა და კვლავ თავის მამას დაემსგავსა.

– სად იმყოფება ახლა თქვენი ცოლისძმა, შემძლია თუ არა გავიგო? – ჰკითხა მან.

– პეტერბურგში წავიდა... მაგრამ დანამდვილებით არ ვიცი, – მიუგო პიერმა.

– თუმცა სულერთია ეგ, – თქვა თავადმა ანდრეიმ, – გადაეცი გრაფინიას, რომ იგი იყო და არის სავსებით თავისუფალი და რომ ვუსურვებ მას ყოველივე სიკეთეს.

პიერმა ქაღალდების შეკვრა აიღო. თავად ანდრეის თითქოს გაახსენდა, ხომ არაფერი მაქვს კიდევ სათქმელი ან ხომ არაფერს იტყვის კიდევ პიერიო, და გაშტერებული შესცქეროდა თვალეზში.

– გამიგონეთ, გახსოვთ თუ არა ჩვენი კამათი პეტერბურგში? – ჰკითხა პიერმა, – გახსოვთ თუ არა...

– მახსოვს, – სწრაფად მიუგო თავადმა ანდრეიმ, – მე ვამბობდი, რომ ზნედაცემულ ქალს უნდა ეპატიოს-მეთქი, მაგრამ არ მითქვამს, მე ვაპატიებ-მეთქი. მე არ შემძლია.

– განა ამგვარი შედარება შეიძლება? – თქვა პიერმა.

თავადმა ანდრეიმ სიტყვა გააწყვეტინა. მან მკვახედ წამოიძახა:

– როგორ, კვლავ ვთხოვო მას ხელი, გამოვიჩინო სულგრძელობა და სხვა ამისთანები?.. დიახ, დიდად კეთილშობილური იქნება ეს, მაგრამ მე არ შემძლია sur les brisées de monsieur (იმ ვაჟბატონის კვალს მივდიო). თუ გინდა ჩემს მეგობრად დარჩე, ნურასოდეს ნურაფერს მეტყვი ამ... ყოველივე ამაზე... აბა, მშვიდობით! მაშ გადასცემ?

პიერი მოხუც თავადთან და კნიაჟნა მარიასთან შევიდა.

მოხუცი ჩვეულებრივზე უფრო გამოცოცხლებული იყო, კნიაჟნა მარია კი ისეთივე, როგორც ყოველთვის, მაგრამ პიერი მის სახეზე სიხარულს კითხულობდა, გამოწვეულს იმით, რომ მისი ძმის ქორწინება ჩაიშალა. ამით იგი თავისებურად თანაუგრძნობდა ძმას. მათი შემყურე პიერი მიხვდა, რა ზიზღითა და ბოროტებით იყვნენ ისინი გამსჭვალული როსტოვებისადმი; მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა იმის სახელის ხსენებაც კი, ვინც თავადი ანდრეი ვიღაც სხვაზე გაცვალა.

სადილზე ლაპარაკი ჩამოვარდა ომზე, რომლის მოახლოებაც ცხადი ხდებოდა. თავადი ანდრეი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა ან ეკამათებოდა ხან მამას, ხან დესალს, შვეიცარიელ აღმზრდელს, და ჩვეულებრივზე გამოცოცხლებული მოჩანდა. ეს ის გამოცოცხლება იყო, რომლის ზნეობრივ მიზეზსაც კარგად იცნობდა პიერი.

თავი ოცდამეორე

იმავე საღამოს პიერი როსტოვებთან წავიდა, რათა დავალება შეესრულებინა. ნატაშა ლოგინში იწვა, გრაფი კლუბში იყო. პიერმა სონიას გადასცა წერილები და მიაშურა მარია დმიტრიევნას, რომელსაც აინტერესებდა, როგორ მიიღო თავადმა ანდრეიმ ცნობა ნატაშას უარის შესახებ. ათი წუთის შემდეგ სონია მარია დმიტრიევნასთან შევიდა.

– ნატაშას აუცილებლად უნდა გრაფ პიოტრ კირილოვიჩის ნახვა, – თქვა მან.

– როგორ მოვიქცეთ: იქ შევიყვანოთ? თქვენ ხომ მილაგებული არა გაქვთ ოთახი? – თქვა მარია დმიტრიევნამ.

– ნატაშამ ტანთ ჩაიცვა და სასტუმრო ოთახში გავიდა, – თქვა სონიამ.

მარია დმიტრიევნამ მხრები აიჩეჩა მხოლოდ.

– როდის ჩამოვა ნეტავი გრაფინია? მთლად გამტანჯა! გახსოვდეს, ყველაფერს ნუ ეტყვი, – მიმართა მან პიერს, – ველარც კი გამილანძღავს, ისე მებრალება ის საცოდავი.

ჩამომხმარი, ფერწასული ნატაშა მკაცრი სახით (მაგრამ სრულებითაც არ იყო დარცხვენილი, როგორც პიერი მოელოდა) იდგა შუა ოთახში. როცა პიერი კარში გამოჩნდა, იგი აფუსფუსდა, ალბათ, ვერ გადაეწყვიტა, მიჰგებებოდა თუ დაეცადა.

პიერი სწრაფი ნაბიჯით მივიდა ნატაშასთან. მას ეგონა, რომ ნატაშა, როგორც ყოველთვის, ხელს გაუწვდიდა, მაგრამ იგი მხოლოდ მიუახლოვდა და გაჩერდა. ხელებდაშვებული მძიმედ სუნთქავდა; იდგა სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა სამღერლად გადიოდა შუა დარბაზში, მაგრამ სახის სულ სხვა გამომეტყველებით.

– პიოტრ კირილიჩ, – დაიწყო მან სწრაფად, – თავადი ბოლკონსკი თქვენი მეგობარი იყო, დღესაც მეგობარია თქვენი (გაასწორა სიტყვა, მას ეგონა, რომ ყველაფერი წარსულში იყო და ახლა სულ სხვაა). მაშინ მან მითხრა, მოგმართოთ თქვენ, თუ...

პიერი მდუმარედ იდგა, მძიმედ ფშვინავდა და ნატაშას შესცქეროდა. იგი დღემდე გულში საყვედურობდა ნატაშას, ცდილობდა შეეზიზღებინა კიდეც იგი, მაგრამ დღეს ისე შეებრალა, რომ მის გულში საყვედურისთვის ადგილი აღარ დარჩენილიყო.

– ის აქ არის ახლა, უთხარით, რომ მაპა... მაპატიოს, – ნატაშა შეჩერდა, სუნთქვას მოუხშირა, მაგრამ ტირილი მაინც არ დაუწყია.

– ჰო... ვეტყვი, – მიუგო პიერმა, – მაგრამ... – აღარ იცოდა, რა ეთქვა კიდეც.

ნატაშა, ეტყობოდა, დააფრთხო იმ აზრმა, რომელიც შეიძლებოდა პიერს მოსვლოდა თავში.

– არა, არა, ვიცი, რომ ყველაფერი დასრულდა, – განაგრძო მან სწრაფად, – ახლა ეგ უკვე შეუძლებელია. მე მტანჯავს მხოლოდ ის, რომ საშინელი ბოროტება მივაყენე. უთხარით მას ერთი რამ მხოლოდ: მაპატიოს, დიახ, მაპატიოს, ყველაფერი მაპატიოს, – და ამ სიტყვებზე მთელი სხეული აუკანკალდა. სკამზე ჩამოჯდა.

პიერს გული სიბრალულით აევსო, ისეთი სიბრალულით, როგორც მანამდე არ განეცადა.

– ვეტყვი, ერთხელ კიდეც ვეტყვი ყველაფერს, – თქვა პიერმა, – მაგრამ... ერთი რამის გაგება მინდოდა... „რის გაგება?“ – შეეკითხა თვალებით ნატაშა.

– მინდოდა გამეგო, გიყვარდათ თუ არა... – პიერმა არ იცოდა, როგორ დაესახელებინა ანატოლი, რომლის გახსენებაზეც მთლად წამოწითლდა, – გიყვარდათ თუ არა ის უგვანი კაცი?

– ნუ ეძახით უგვან კაცს, – თქვა ნატაშამ, – მაგრამ მე არაფერი არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... – და კვლავ ატირდა.

და სიბრალულის, სინაზისა და სიყვარულის უფრო დიდმა გრძნობამ მოიცვა პიერის მთელი არსება. იგი გრძნობდა, როგორ ჩამოსდიოდა ცრემლები სათვალის ქვეშ, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ვერ შენიშნავდნენ ამ ცრემლებს.

– ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე, ჩემო მეგობარო, – თქვა პიერმა.

უცნაურად ეჩვენა ნატაშას მისი ეს მშვიდი, ნაზი და გულითადი ხმა.

– ნულარ ვილაპარაკებთ, ჩემო მეგობარო, ყველაფერს გადავცემ; ერთს გთხოვთ მხოლოდ, მიმიჩნიეთ თქვენს მეგობრად და თუ დაგჭირდებათ დახმარება, რჩევა, ან თუ მოისურვებთ გულის გადამლას ვისმეს წინაშე... არა ახლა, არამედ მაშინ, როცა ნათელი მოეფინება თქვენს სულს – მომიგონეთ მე, – თქვა ეს და ხელზე აკოცა, – ბედნიერი ვიქნები, თუ შემეძლება... – დაიწყო, მაგრამ აირია და ვეღარ განაგრძო.

– ნუ მელაპარაკებით ასე: ღირსი არა ვარ ამის, – წამოიძახა ნატაშამ და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ პიერმა ხელი დაუჭირა და არ გაუშვა. მან იცოდა, რომ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ როცა თქვა ეს რაღაცა, თვით გააკვირვა საკუთარმა სიტყვებმა.

– ნუ ამბობთ, ნუ ამბობთ მაგას, მთელი თქვენი სიცოცხლე ჯერ კიდევ წინ არის, – მიუგო პიერმა.

– ჩემი სიცოცხლე? არა, ჩემთვის ყველაფერი დაღუპულია, – თქვა ნატაშამ სირცხვილითა და თავის დამცირებით.

– დაღუპულიო? – გაიმეორა პიერმა, – მე რომ მე არ ვიყო, მე რომ ულამაზესი, უჭკვიანესი და საუკეთესო ადამიანი ვიყო დედამიწაზე და თანაც თავისუფალი, მუხლმოდრეკილი გთხოვდით ხელს და სიყვარულს.

ნატაშა ამდენი დღეების შემდეგ პირველად ატირდა მადლობისა და აღტყინების ცრემლებით, მერე თვალი შეანათა პიერს და ოთახიდან გავიდა.

ნატაშას შემდეგ პიერიც თითქმის გავარდა წინა ოთახში. გულაჩუყებული, ძლივს იმაგრებდა თვალეზზე მომდგარ ბედნიერ ცრემლებს; ძლივს მოახერხა ხელების გაყოფა ქურქის სახელოებში. მერე გარეთ გავიდა და მარხილში ჩაჯდა.

– საით მიბრძანებთ ახლა? – ჰკითხა მეეტლემ.

„საით? – ახლა პიერმა ჰკითხა თავის თავს, – სად შეიძლება წასვლა ახლა? ნუთუ კლუბში ან სტუმრად?“ ადამიანები ახლა მას უბადრუკ არსებებად ეჩვენებოდნენ გულის აჩუყებისა და სიყვარულის იმ გრძნობასთან შედარებით, რომელიც მან განიცადა; იმ შერბილებულ, მადლობით აღსავსე შეხედვასთან შედარებით, რომლითაც ნატაშამ უკანასკნელად შეავლო ცრემლმორეული თვალი.

– გასწი წინ! – შესძახა პიერმა და, მიუხედავად ათგრადუსიანი სუსხისა, დათვის ტყავის ქურქი გაიხსნა და განიერი მკერდი გადაიღელა, რომელიც სიხარულით სუნთქავდა.

ყინავდა. მოწმენდილი საღამო იდგა. ტალახიან, ნახევრად ჩაბნელებულ ქუჩებსა და შავ სახურავებს ბნელი, ვარსკვლავებიანი ცა დაჰყურებდა. პიერი მხოლოდ შესცქეროდა ცას და ვერ გრძნობდა ყოველივე ამქვეყნიურის შეურაცხმყოფელ სიმდაბლეს იმ სიმაღლესთან შედარებით, სადამდეც მისი სული აზიდულიყო.

არბატის მოედანზე გასვლისას პიერის თვალწინ გადაიშალა ბნელი ვარსკვლავებიანი ცის უზარმაზარი სივრცე. ამ ცის თითქმის შუაგულში, პრეჩისტენსკის ბულვარის თავზე, ირგვლივ, ვარსკვლავებით შემორტყმული და შემოფენილი, მაგრამ ყველასაგან განსხვავებული დედამიწასთან სიახლოვით, თეთრი შუქით და გრძელი, ზემოთ აწეული კუდით ბრწყინავდა 1812 წლის უზარმაზარი კაშკაშა კომეტა, ის კომეტა, რომელიც როგორც ამბობდნენ, ათას საშინელებასა და ქვეყნიერების დასასრულს უქადდა ყველას და ყოველივეს. მაგრამ პიერის გულში ეს კაშკაშა ვარსკვლავი გრძელი სხივიანი კუდით არ აღძრავდა არავითარ საშინელ გრძნობას. პირიქით, პიერი სიხარულით, ცრემლებისგან სველი თვალეზით შესცქეროდა ამ კაშკაშა ვარსკვლავს, რომელმაც თითქოს აუწერელი, პარაბოლური სისწრაფით გადაიქროლა თვალუწვდენელი სივრცეები და, როგორც მიწაში ჩარჭობილი ისარი, შავ ცაზე უეცრად ერთ არჩეულ ადგილას შეიჭედა და გაჩერდა სხვა უთვალავ, მოციმციმე ვარსკვლავებს შორის, გაჩერდა კუდაწეული, თავისი თეთრი შუქით განათებული და ათამამებული. პიერს ეჩვენებოდა, თითქოს ეს ვარსკვლავი სავსებით შეესაბამებოდა იმას, რაც ახალი ცხოვრებისთვის აყვავებულ, მის გალხობილ და გამხნევებულ გულში იყო.

შენიშვნები

[122] უნგრულა – აქ: მოკლე მაუდის ქურთუკი მკერდზე გარდიგარდმო ზონრებით უნგრელ ჰუსართა ფორმის მსგავსად. უნგრულა XVIII-XIX საუკუნის რუსეთში წარმოადგენდა ადგილობრივ მემამულეთა, ასევე სამხედრო პირთა საყვარელ სამოსს.

[123] ლავგარდანი – აქ: შენობის კედელზე ან ჭერზე შემოვლებული არშია, კარნიზი.

[124] ლომბერის მაგიდა – ბანქოს სათამაშო მაგიდა (ჩვეულებრივ, დასაკეცი), რომელზეც გადაკრულია მწვანე მაუდი (მველებური ბანქოს თამაშის, ლომბერის სახელის მიხედვით).

[125] შილა – აქ: (ძვ.) ბამბულის ქსოვილი, ჩვეულებრივ წითელი ფერისა.

[126] ანტრამა (ფრანგ.) – საბალეტო ცეკვებში: მსუბუქი შეხტომა, რომლის დროსაც მოცეკვავის ფეხები რამდენჯერმე სწრაფად ეხება ერთმანეთს.

[127] ტორტიუ (ფრანგ.) – ლაბას მსგავსი ცივად მოხარშული კერძი ქათმის ბიბილოებით.

[128] ცქვრინი – თევზის სახეობა.

[129] კაზაკინი (რუს.) – (ძვ.) კაზაკური სამოსი.

[130] დოლგორუკოვი, იური ვლადიმეროვიჩი (1740-1830) – რუსი სამხედრო მოღვაწე.

[131] ძერწე, ძერწე და გამოიძერწები (რუს.).

[132] რასტოპჩინი, ფიოდორ ვასილიევიჩი (1763-1826) – რუსი გენერალი, სახელმწიფო მოღვაწე.

[133] საუკუნევ, ადიდე ალექსანდრე

და დაიცავი ტახტრევანზე ვითარცა ტიტუს,

იყავ ბელადი მრისხანე და კაცი – კეთილი,

იყავ რიპეი მამულში და კეისარი ველზე ბრძოლისა,

და ბედნიერი ნაპოლეონი,

ვინაც შეიგრძნო სიბრძნე იგი ბაგრატიონის,

ვერვინ გაბედავს ამიერიდან გაურთულონ ალკიდებს რუსთა

მეტად ტკივილი (რუს.).

(აქვე განვმარტავთ ტექსტში მოყვანილ რამდენიმე სიტყვას: 1. ტიტუსი – რომის იმპერატორი ფლავიუსების დინასტიიდან 79-81 წლებში. ხალხმა იგი სიყვარულისა და ნუგეშის სიმბოლოდ აქცია; 2. რიპეი – იგულისხმება რიპეის მთები (ბერძნ.), ანუ ჰიპერბორების (მითური გმირი, რომლის სახელიც ჰქვია მის ქვეყანას) ქვეყანაში მდებარე მთები, რომლებიც დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთად მიაჩნდათ და უამრავ მითს უკავშირებდნენ; 3. ალკიდები – სამეფო გვარებიდან ერთ-ერთი, რომელიც მომდინარეობს მითური პერსონაჟებისა და ანტიკურ ფილოსოფოსთა გვარებიდან).

[134] გამარჯვების ხმა გუგუნებს და / მხიარულობს რუსი კეთილი (რუს.).

[135] კანტატა (იტალ.) – 1. დიდი, საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელსაც ასრულებს გუნდი, ერთი ან რამდენიმე სოლისტ-მომღერალი და ორკესტრი. 2. ძველებური ლირიკული ლექსი, რაიმე საზეიმო შემთხვევის გამო დაწერილი.

[136] ვერ შეაშინებს რუსთ წინაღობა,

სიმამაცა საწყისი ბრძოლის

და რადგანაც გვყავს ბაგრატიონი,

ფერხთ განერთხმება მტერი ბოროტი (რუს.).

[137] ბრეტორი (ფრანგ.) – (მოძვ.) პირი, რომელიც სულ მცირე საბაზს ეძებდა ჩხუბის ასატეხად, დუელში ვისიმე გამოსაწვევად; დუელის მოყვარული.

[138] პრინციპალი (ლათ.) – (მოძვ.) უფროსი, პატრონი.

- [139] რობესპიერი, მაქსიმილიან (1758-1794) – დიდი ფრანგული რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, თანამედროვეებისთვის ცნობილი, როგორც „მოუსყიდავი“.
- [140] მოლიერი (1622-1673) – მისი ნამდვილი გვარ-სახელია ჟან-ბატისტ პოკლენი. ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე. მოიხსენიებენ როგორც მაღალი კომედიის ჟანრის ფუძემდებელს.
- [141] რეკრუტი (გერმ.) – (ისტ.) საზღვარგარეთისა და რუსეთის არმიებში: ახალგაწვეული ჯარისკაცი.
- [142] მაზურკა (პოლონ.) – პოლონური ეროვნული ცეკვა.
- [143] რა ძალა გაქვს, შენ, ჯადოქარო,
ვით განმიტაცე გაწყვეტილ სიმით,
რაგვარი ცეცხლი აღმინთე გულში,
მარტო, ეულად დამტოვე რარიგ (რუს.).
- [144] ბარკაროლა – ვენეციელი მენავეების (გონდოლიერების) სიმღერა.
- [145] ტერცია (ლათ.) – მუსიკალური გამის მესამე საფეხური; ინტერვალი პირველსა და მესამე საფეხურს შორის.
- [146] ტორჟოკი – რუსეთის უძველესი ქალაქი, სადაც XIII საუკუნეში შეიქმნა და მას აქეთ პოპულარულია უძველესი რუსული ტრადიციული ოქრომკედით ნაქარგობა.
- [147] ნაშური – (ძვ.) უბრალო ქსოვილი.
- [148] მასონობა, იგივე ფრანკმასონობა (ფრანგ.) – რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც შეიქმნა XVIII საუკუნის ინგლისში და შემდეგ გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში საიდუმლო საზოგადოებათა სახით.
- [149] ნოვიკოვი, ნიკოლაი ივანოვიჩ (1744-1818) – რუსი ჟურნალისტი, გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე. ცნობილი მასონი.
- [150] მარტინისტი – მარტინიზმის მიმდევარი. მარტინიზმი (ფრანგ.) – მისტიკური და ეზოტერიკული (საიდუმლო, დაფარული) ქრისტიანობის ფორმა.
- [151] თომა კემპიელი (1379-1471) – გერმანელი კათოლიკე ბერი და მოძღვარი. ცნობილი სასულიერო ტრაქტატების ავტორი.
- [152] ფრანგული გამოთქმა pour le roi de Prusse – წარმოადგენს სიტყვების თამაშს და ნიშნავს „პრუსიის მეფისთვისაც“ და „ფუჭი საქმისთვისაც“. ქართულად მისი გადმოთარგმნა არ ხერხდება (ისევე როგორც რუსულად არ ითარგმნება. – რედაქტორის შენიშვნა).
- [153] კიბიტი (რუს.) – აქ: დახურული, ჩარდახიანი ეტლი.
- [154] ფილანტროპია (ბერძნ.) – ქველმოქმედება, მოწყალება, კაცთმოყვარეობა.
- [155] ჰერდერი, იოჰან გოტფრიდ (1744-1803) – გერმანელი კულტურის ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოეტი. საფუძველი ჩაუყარა ხელოვნებისა და კულტურის ისტორიულ გაგებას.
- [156] ანარალი – აქ: ურწმუნო.
- [157] წირთხლი – კარის ან ფანჯრის ჩარჩოს გვერდი.
- [158] ფლანკერის ხაზი – (მოძვ.) კავალერიაში მზვერავთა შემადგენლობის განლაგება XVIII-XIX საუკუნის რუსეთში.
- [159] ასალი – ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი.
- [160] ასესორი (ლათ.) – აქ: რევოლუციამდელ რუსეთში: სამოქალაქო ჩინი მერვე კლასისა.
- [161] მონტესკიე, შარლ ლუი დე (1689-1755) – ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი.
- [162] როზენკამპფი, გუსტავ ანდრეევიჩ (1762-1832) – თავისი დროის უდიდესი რუსი იურისტი.
- [163] იუსტინიანე, წმინდა იუსტინიანე I (ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში) – მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი. მისი ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით შედგა რომაულ კანონთა კრებული.
- [164] ილუმინატები (ლათ.) – (ისტ.) ევროპაში, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან: საიდუმლო რელიგიურ-პოლიტიკურ საზოგადოებათა წევრები; იბრძოდნენ იეზუიტების გავლენის წინააღმდეგ.
- [165] ლურჯი წინდა – აქ: ცუდმეცნიერი ქალი.

- [166] ყალამქარი (არაბ., სპარს.) – (ძვ.) დაჩითული ზამზის ქსოვილი.
- [167] ქერუბინი, ლუიჯი (1760-1842) – იტალიელი კომპოზიტორი, რომელმაც შექმნა 20 ოპერა, მათ შორის 14 – ფრანგულ ტექსტზე.
- [168] შიფრი – იგივეა, რაც ვენზელი (პოლონ.) – ერთმანეთში მხატვრულად გადახლართული ინიციალები (სახელისა და გვარის საწყისი ასოები).
- [169] ფარმაზონი – იგივეა, რაც ფრანკმასონი, მასონი.
- [170] ახლა მხოლოდ მან იცის, დარი იქნება თუ ავდარი – ფრანგული ანდაზაა, რომელსაც მეტისმეტად დიდი წარმატების მქონე პირზე იტყვიან.
- [171] ალექსანდრე, ელიზავეტ, აღტაცებულნი ვართ თქვენით (რუს.).
- [172] კოტილიონი – ძველებური ცეკვა.
- [173] ფილიაცია (ფრანგ.) – (წიგნ.) რისამე განვითარება თანამიმდევრულად. მაგალითად, იდეათა ფილიაცია.
- [174] ბოსტონი – აქ: ბანქოს თამაში ერთგვარი.
- [175] რობერი – რობერი, ხელი (ბანქოს თამაშში).
- [176] ვერა გულისხმობდა სიყვარულის რუკას, რომელიც მაშინ ძალიან იყო გავრცელებული ახალგაზრდებში.
- [177] რაუტი (ინგლ.) – (მომვ.) საზეიმო წვეულება, დარბაზობა.
- [178] იპოქონდრია (ბერძნ.) – ავადმყოფური შიში, გამოწვეული საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით.
- [179] Чистое дело марш (რუს.) – მონადირული გამოთქმაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს – წმინდა საქმეა მარში (ანუ ამ შემთხვევაში ნადირობა).
- [180] საჟენი (რუს.) – ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული. უდრის 2 მეტრსა და 13 სანტიმეტრს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.
- [181] დიანა (ლათ.) – რომაულ მითოლოგიაში: ნადირობის მფარველი ქალღმერთი.
- [182] ბალაღაიკა (რუს.) – რუსული ხალხური სამსიმიანი მუსიკალური საკრავი სამკუთხედის ფორმისა.
- [183] „ბარინია“ – რუსული ხალხური სიმღერა.
- [184] მოკირწყლული ქუ-ჩე-ბით (რუს.).
- [185] ცივ წყაროზე მიმავალი, ყვირის: – გოგონა, შეჩერდი (რუს.).
- [186] როგორც სადამოს ფანტელი
ეფინებოდა ნარნარად (რუს.).
- [187] გუნდი „წყლის მზიდავიდან“ – აქ ლაპარაკია იტალიელი კომპოზიტორისა და მუსიკალური თეორეტიკოსის მარია ლუიჯი კარლო ზინობიო სალვადორე ქერუბინის ამავე სახელწოდების ოპერაზე.
- [188] ფილდი, ჯონ (1783-1837) – ცნობილი ირლანდიელი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი, რომელსაც რუს ირლანდიელს ეძახდნენ.
- [189] კაპოტი (ფრანგ.) – აქ: (მომვ.) ქალის საშინაო კაბა, ხალათი.
- [190] კაპორი (ჰოლან.) – ბავშვის ან ქალის საზამთრო თავსაბურავი, რომელიც ბავშვებით ან თასმებით იკვრება ნიკაპს ქვეშ.
- [191] „ასტრეას“ ამხედრებენ „მანანის მაძიებელთა“ წინააღმდეგ – „ასტრეა“ და „მანანის მაძიებელი“ სახელწოდებაა ორი სხვადასხვა პეტერბურგული მასონთა ლოჟისა.
- [192] ბურიმე (ფრანგ.) – ლიტერატურული თამაში – წინასწარ მოცემული რითმებით იუმორისტული ლექსების შეთხზვა.
- [193] „უბედური ლიზა“ – რუსი მწერლის, ნიკოლაი მიხაილოვიჩ კარამზინის (1766-1826) სენტიმენტალური მოთხრობა, დაწერილი 1792 წელს.
- [194] არშინი (რუს., თურქ.) – ძველი რუსული სიგრძის საზომი, უდრის 71,12 სანტიმეტრს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

[195] კნიქსენი (გერმ.) – იგივეა, რაც რევერანსი (თავის დაკვრა მარჯვენა მუხლის ოდნავ ჩაკეცივით).

[196] კაპელდინერი (გერმ.) – თეატრში ან საკონცერტო დარბაზში მომუშავე, რომელიც მაცურებლებს უსინჯავს ბილეთებს, ეხმარება მათ ადგილის მოძებნაში, თვალყურს ადევნებს წესრიგს და სხვ.

[197] უვერტიურა (ფრანგ.) – აქ: ოპერის, ბალეტის, ოპერეტის საორკესტრო შესავალი.

[198] რამპა (ფრანგ.) – თეატრში: გრძელი, დაბალი ბარიერი ავანსცენის გასწვრივ, რომელიც ფარავს დარბაზის მხრიდან სცენის გასანათებელ მოწყობილობას; თვით ეს გასანათებელი მოწყობილობა.

[199] კაპელმასტერი (გერმ.) – (მომვ.) დირიჟორი, ლოტბარი.

[200] წინწილი – საკრავი, ლითონის თევში, რომელსაც მეორე ამნაირივე თევშით ახმაურებენ.

[201] დიუპორი, ლუი ანტუან (1786-1853) – ცნობილი ფრანგი მოცეკვავე და ბალეტმასტერი. 1808 წელს პარიზის ოპერის თეატრთან კონტრაქტი გაწყვიტა და რამდენიმე მსახიობთან ერთად სანქტ-პეტერბურგში გამოიქცა. რუსეთში ოთხ წელიწადს ცეკვავდა და პუბლიკა ისე მოხიბლა, რომ მისი ანაზღაურება ათჯერ მეტს შეადგენდა, ვიდრე იმ დროისთვის ასევე რუსეთში მოღვაწე მსოფლიოში სახელგანთქმული ბალეტის მოცეკვავისა და ბალეტმასტერის, კარლ ლუდოვიკ დიდლოსი (1767-1837), რომლის სპექტაკლებშიც ცეკვავდა დიუპორი.

[202] ქრომატული (ბერძნ.) – ფერადი, შეღებილი. აქ: მრავალფეროვანი.

[203] სეპტიმა (ლათ.) – (მუს.) დიატონიკური გამის მეშვიდე საფეხური. ინტერვალი პირველსა და მეშვიდე საფეხურს შორის.

[204] კლიროსი (ბერძნ.) – ეკლესიაში: ამალეზული ადგილი მგალობელთათვის (კანკელის წინ).

[205] გაზი – აქ: აბრეშუმის ან ბამბის ერთგვარი ძვირფასი, მსუბუქი გამჭვირვალე ქსოვილი. სახელწოდება მომდინარეობს ახლო აღმოსავლეთის ქალაქ გაზიდან, სადაც ეს ჰაეროვანი, ნახვრეტებიანი ქსოვილი პირველად გამოუშვეს 1561 წელს და ევროპაშიც გაიგზავნა.

[206] მადერა – ყურძნის მაგარი ღვინო. მისი წარმოება პირველად დაიწყო კუნძულ მადეირაზე და აქედან მოდის სახელწოდებაც.